ბიბრბი
ნერეთილი

I

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ ჩემი შემდეგი განცხადება: ჩემს მიერ გამოქვეყნებულ შრომებში ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესახებ დაშვებულია მთელი რიგი შეცდომებისა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩემ მიერ დაშვებული ფედერალისტური რეციდივები და ლიბერალიზმი 60-იან წლების ჩვენი ზოგიერთი მწერლების შეფასების საკითხში; გადაჭარბებული და შემცდარი შეფასება საქართველოში ნაროდნიკული მოძრაობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ; ზოგან არასწორი შეფასება მარქსიზმის წარმოშობისა და მისი წარმომადგენლების შესახებ 90-იან წლებში.

ვაღიარებ რა ყოველივე ამას, ჩემს მოვალეობათ მიმაჩნია, როგორც პარტიის წევრისა და ბოლშევიკის, უახლოეს დროში ჩემი შეცდომების შესახებ გაშლილი კრიტიკით გამოვიდე წერილობით (სიტყვიერად უკვე გამოვედი რამოდენიმეჯერ) და შეურიგებელი ბრძოლა ვაწარმოო ყოველვარ გადახრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამახინჯებათა წინააღმდეგ.

კომსალამით სიმონ ხუნდაძე.

კომ. 1932. 14 ოქტ.

1931.381 XI

ქართული კლასიკური მწერლობა

გიორგი წერეთელი

თხზულებათა სრული კრებული

სიმონ ხუნდაძის
რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით

ქ ა რ თ უ ლ ი წ ი გ ნ ი
ტ ფ ი ლ ი ს ი

ქ ა რ თ უ ლ ი კ ლ ა ს ი კ უ რ ი მ წ ე რ ლ ო ბ ა

გ ი ო ლ რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი

ტ ო მ ი პ ი რ ვ ე ლ ი

პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ უ რ ი წ ე რ ი ლ ე ბ ი

1862—1868

4051

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ასურ. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-ნუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

ქ ა რ თ უ ლ ი წ ი გ ნ ი

M C M X X X I

მიასნიკოვის სახელობის სტამბა გმც-ბა „ზარია ვოსტოკა“-სი

შეკვ. № 1341 მთავლ. № 1081 ტირაჟი—3.000



გ. წერეთელი ახალგაზდობაში

(1861)

რედაქტორისაგან

„ჯერ აქნობამდე ეს დაუღალავი და გულწრფელი მოღვაწე ხეირიანად არ არის დაფასებული ჩვენის კრიტიკისაგან, არც არავინა კისრულობს მისი თხზულებების ტომებად გამოცემასა. სამწუხაროა ასეთი გულცივობა გიორგისადმი. ამ ჟამად ჩვენი ხალხი, მასა, ძალიან ეტანება წიგნებსა, არა თუ ეტანება, ეწაფება მას. კარგი იქნება რომელიმე გამომცემელი იკისრებდეს გიორგის ნაწერების სრულს გამოცემასა“.

ასე სწერდა გიორგი წერეთლისა და მისი ნაწერების გამოცემის შესახებ განსვენებული ბელეტრისტი სოფ. მგალობლიშვილი 1914 წ. მართლაც, ვინც იცის ქართული ლიტერატურის ისტორია და ქართული კრიტიკის ვითარება, მას ეცოდინება, რომ 60-იანი წლების არც ერთი მწერალი ისე დავიწყებული და დაუფასებელი არ ყოფილა, როგორც გიორგი წერეთელი. ყველასათვის ცნობილია, რომ კიტა აბაშიძემ მისი მხატვრული ნაწერები მიწასთან გაასწორა და ვერც ერთი დადებითი მხარე ვერ ნახა მის შემოქმედებაში; მის პუბლიცისტურ მოღვაწეობასა და წერილებს დღემდე ობიექტურად არავინ შეხებია და არ განუხილავს. ამ მწერალს თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში უხდებოდა ჩვენი ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის პირველ რიგებში დგომა და ბრძოლა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობისათვის,—დღემდე არავინ ცდილა გამოეცა მისი პუბლიცისტური წერილები.

ასეთი „გულცივობა“ გ. წერეთლისა და მისი ნაწერებისადმი შემთხვევით არ არის წარმოშობილი: მას თავისი ისტორიული მიზეზები ჰქონდა. გიორგი წერეთელი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო 60-იანი წლების ახალი თაობის ინტელიგენციისა. მანაც განიცადა რუსეთის 60-იანი წლების რადიკალ-დემოკრატიული მოძრაობის ცხოველმყოფელი გავლენა, იგიც ცდილობდა, ამ იდეებს ქართულ ნიადაგზე გადმონერგვას. ამ მიმართულებით მისი მუშაობა მართლაც დაუფასებელია. მაგრამ ვერც ერთი ჩვენი „სამოციანელი“ ვერ შერჩა იმ იდეების სამსახურს, რომელიც მათ ახალგაზრდობაში

შეითვისეს: მათთვის მძიმე შეიქმნა ამ იდეების ზიდვა და დიდი უმეტესობა გადაიხარა მარჯვნით—ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმისაკენ. უკეთ რომ ვსთქვათ, ცხოვრების რეალურმა პირობებმა მათ ახალგაზრდულ გატაცებას ნიადაგი გამოაცალა და მათი სამოქმედო გეგმები გაბატონებული კლასის ინტერესებს შეუფარდა. გიორგი წერეთელი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც „სამოციანელთა" იდეებისადმი პატივისცემა ბოლომდე მიიტანა და 90-იან წლებში შეეცადა იგი შეეუღლებია ახალ, სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობისათვის. ეს ცდა მარცხით დამთავრდა და ისტორიულად არც შეიძლებოდა ასე არ მომხდარიყო. პროლეტარული მოძრაობა და მისი ხელმძღვანელები თუმცა სიმპატიით ეპყრობოდენ გ. წერეთელს, მაგრამ თავიდანვე ეჰვით უცქეროდენ მისი ცდის განხორციელებას: რადიკალ-დემოკრატიული ბურჟუაზიული იდეოლოგიის,—რითაც ხასიათდებოდა გ. წერეთლის მსოფლმხედველობა,—პროლეტარულ მოძრაობასთან შეუღლება შეუძლებელი იყო. მეორე მხრივ არც გაბატონებულმა წრეებმა არ აპატიეს გ. წერეთელს მისი კავშირი ახლად აღორძინებულ მუშათა მოძრაობასთან და მისი გაცხარებული ბრძოლა „ივერიის" თავად-აზნაურულ ლიბერალიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ დასაჯა იგი სასტიკად კრიტიკოსმა კ. აბაშიძემ; სწორედ აქედან წარმოსდგა ჩვენი საზოგადოებრივი წრეების „გულგრილობა" და „გულცივობაც" მისდამი.

დღეს, როდესაც გაცხოველდა ინტერესი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლისადმი, როდესაც ქართული კლასიკოსების შესწავლა წმინდა მარქსისტულ სოციოლოგიის თვალსაზრისით მორიგ ამოცანად გადაიქცა ჩვენი კულტურული ბრძოლის ფრონტზე—ბუნებრივად დაიბადა ჩვენში ინტერესი გიორგი წერეთლის ნაწერების და მისი მოღვაწეობის შესწავლისა.

გ. წერეთლის სრული ნაწერების გამოცემის იდეა მისი გარდაცვალების (1900 წ.) მეორე დღესვე წამოაყენა ფ. მახარაძემ, რომელიც სწერდა: „სანამ გ. წერეთლის ნაწერები, რომელიც დღეს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში და ცალკე გამოცემებშია გაფანტული, არ შეიკრიბება და ერთათ არ გამოიცემა მისი ვრცელი ბიოგრაფიის ჩართვით, ჩვენ არ შეგვეძლება სრული წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ ვინ იყო გ. წერეთელი და რა ღვაწლი მიუძღვის მას ქართველი საზოგადოების და ხალხის წინაშე" (იხ. „კვალი" № 3, 1900 წ.). სამწუხაროთ ეს მოწოდება მთელი 30 წლის განმავლობაში განუხორციელებელი დარჩა და მხოლოდ გ. წერეთლის გარდაცვალების ოცდაათი წლის თავზე ჩაეყარა საფუძველი ამ დიდ კულტურულ საქ-

მეს იმავე ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით სახელგამთან დაარსებულ კლასიკოსთა სექციაში.

მკითხველმა უნდა წინასწარ იცოდეს, რომ ჯერ ხნობით ჩვენში ძალიან ძნელი არის ქართველი კლასიკოსების შესაფერისად გამოცემა, აკადემიურ გამოცემაზე რომ არ ვილაპარაკოთ. როგორც ცნობილია, ჩვენში ჯერჯერობით თითქმის არც ერთი მწერალი არ არის სათანადოთ შესწავლილი და მეცნიერულად გამოცემული. ეს კი მეტად აძნელებს ცალკე მწერლების შესაფერისად გამოცემის საქმესაც,—მათი ფსევდონიმების გამორკვევას, ნაწერების დადგენას, ტექსტის აღდგენასა და მთლიანად მათი ნაწერების მეცნიერულ შესწავლას. რუსეთის მწერლობაში ათეული წლების განმავლობაში აწარმოებდენ ამ მიმართულებით მუშაობას, და თითოეული მწერალი შესწავლილია ათეული მკვლევარისა და პროფესორის მიერ. ჩვენში მხოლოდ ამჟამად ეყრება მტკიცე საფუძველი ამ მიმართულებით მუშაობას.

ამიტომ სრულიად არ არის გასაკვირი თუ ვიტყვით, რომ გ. წერეთლის ნაწერების სრული კრებულის პირველ გამოცემას მრავალი დაბრკოლება გადაეღობა წინ და მან დიდი მუშაობა მოითხოვა. როგორც აღვნიშნეთ, გ. წერეთელი არ ყოფილა სათანადოთ შესწავლილი: მისი პუბლიცისტური წერილები სრულიად არ ყოფილა გამოცემული, ხოლო ბელეტრისტიკიდან რამოდენიმე რჩეული ნაწერი იცემოდა დროგამოშვებით, ისიც—პირველ წყაროებთან და დედნებთან შეუდარებლად. ცხადია, ეს პირველი სრული გამოცემა არ იქნება უნაკლო; ამას ყველაზედ უფრო მისი რედაქტორი გრძნობს.

გ. წერეთლის სრული ნაწერები ჩვენ გავყავით ორ მთავარ სერიად. პირველ სერიაში შედის ყველა მისი პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ უ რ ი წ ე რ ი ლ ი და მ ე ც ნ ი ე რ უ ლ-ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ნ ა რ კ ვ ე ვ ი; მეორე სერიაში — მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი (რომანები, მოთხრობები, პიესები, პოემები, ლექსები, ზღაპრები). წინასწარი გეგმის მიხედვით გ. წერეთლის პირველი სერიის ნაწერებს დასჭირდება რვა ტომი, *) ხოლო მეორეს—ექვსი ტომი; უკანასკნელ ტომში მოთავსებული იქნება გ. წერეთლის კერძო წერილები, საზოგადოებრივი ხასიათის დოკუმენტები და გამორჩენილი მასალები. (დაწვრილებითი საორიენტაციო გეგმა იხ. ამ ტომის ბოლოში (გვ. 451—454).

---

*) პირველ სერიის ნაწერებში არ იქნება დაბეჭდილი გ. წერეთლის პუბლიცისტურ-მეცნიერული ხასიათის ნ ა თ ა რ გ მ ნ ი ლიტერატურა; მეორე სერიაში კი შევა რამოდენიმე ასეთი ნაწარმოები.

ამრიგად, გ. წერეთლის ნაწერების სრული კრებულის გამოცემა წინასწარი საორიენტაციო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია 15 ტომად. ყოველი ნაწარმოები შედარებული იქნება დედნებთან და პირველ წყაროებთან. აქვე უნდა ვაცნობოთ მკითხველს, რომ გ. წერეთლის დედნებისა და ხელნაწერების ძლიერ მცირედი ნაწილია დარჩენილი; ასე რომ რედაქცია იძულებული შეიქნა ტექსტის დადგენის დროს პირველ წყაროებად გამოეყენებია უმთავრესად ის ჟურნალ-გაზეთები, რომლებიაც პირველად დაიბეჭდა მისი ნაწერები.

ნაწერების დალაგებისას ჩვენ უმთავრესად ქრონოლოგიური წესით ვხელმძღვანელობდით. პირველი სერიის ნაწერების დალაგების დროს ეს წესი თითქმის უცვლელად არის დაცული, ხოლო მეორე სერიის—მხატვრული ნაწერების—ტომებად დაწყობის დროს რამოდენადმე გადაუხვიეთ ამ წესს.

რასაკვირველია, ყოველ ტომში წარმოდგენილი მასალები იბეჭდება უცვლელად—გ. წერეთლის სტილის, მართლწერისა და გამოთქმების დაცვით. ჩვენი აზრით, ყოველი კლასიკი-მწერალი საზოგადოებამ იმ სახით უნდა გაიცნოს, როგორათაც იგი ისტორიულად იყო მოცემული.

რედაქტორი

17. IX.—30

მეორე წერეთელი

მოლვაწეობა. აზროვნება. შემოქმედება.

გიორგი წერეთელი

1.

წელს გიორგი წერეთლის გარდაცვალებიდან ოცდაათი წელი (1900-1930) შესრულდა. ხოლო მისი — დაბადებიდან ოთხმოცდარვა წელი (1840-1930).

გ. წერეთელი მე-19-ე საუკუნის ჩვენი მოღვაწეთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში სამოციანელთა სახელწოდებით არის ცნობილი. ეს სამოციანელები ჩვენი საზოგადოების მაშინდელმა რეაქციონურმა ნაწილმა „თერგდალეულთა“ სახელწოდებით მონათლა; ისტორიამ ეს სახელწოდება დააკანონა, მაგრამ არა იმ გაგებით, რომელსაც მაშინდელი რეაქციონური ნაწილი აძლევდა ამ ტერმინს, არამედ სხვა შინაარსითა და სხვა მნიშვნელობით. ჩვენი თერგდალეულები ალიზარდენ 60-იანი წლების რუსეთის ახალ აზროვნების გავლენის ქვეშ და მათ მოინდომეს ამ ახალი იდეების გადმონერგვა და დამყნა საქართველოს ნიადაგზე. ამრიგად, თერგდალეულობა თავისი ისტორიული მნიშვნელობით არსებითად ნიშნავს ახალი იდეებისა და ახალი საზოგადოებრივი აზროვნების შემოტანას საქართველოში; თერგდალეულებმა ჩვენში განამტკიცეს ახალი საზოგადოებრივი მიმდინარეობა.

გ. წერეთელი ერთი იმ თერგდალეულთაგანი იყო, რომელმაც ღრმად შეითვისა რუსეთის 60-იან წლების ახალი აზროვნება და მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა მას.

გ. წერეთელმა თავისი ნიჭი და ცოდნა მრავალ დარგში გამოიჩინა. პროფესიის მრავალსახიანობა დამახასიათებელი თვისება იყო მისი ხანგრძლივი მოღვაწეობისა ჩვენს საზოგადოებრივ ასპარეზზე. მაგრამ ეს მარტო გ. წერეთელს არ ახასიათებდა, იგი ჩვეულებრივი მოვლენა იყო მე-19-ე საუკუნის საქართველოში: ვერ დავასახლებთ ვერც ერთ ჩვენ მოღვაწეს, რომელსაც მრავალ დარგში არ ეცადოს თავისი საქმიანობა, არ დაექსაქსოს თავისი ნიჭი. ეს არსებითად გამოხატავდა ჩვენი ცხოვრების განუვითარებლობას. ჩვენს სოციალურ ურთიერთობაში, ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო ვერ მო-

ხდა ის ღრმამნიშვნელობის დიფერენციაცია, რომელიც ბუნებრივად იწვევს საზოგადო მოღვაწის დასპეციალებას გარკვეული მიმართულებით. დიდი ბანკირი და დიდი პოეტი ი. ჭავჭავაძე ტიპიური წარმომადგენელი იყო ამ მხრივ გასული საუკუნის ჩვენი ინტელიგენციისა.

გ. წერეთელიც ვერ ასცდა ამ საერთო, შეიძლება ითქვას, სენს და მანაც დაუზოგველად დაქსაქსა თავისი ნიჭი სხვადასხვა საქმიანობაში: რედაქტორი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, ფილოლოგი, დრამატურგი, ბუნებისმეტყველი, პოეტი, მრეწველი და საზოგადო მოღვაწე—აი როგორი „საქმიანობით“ ხასიათდებოდა გ. წერეთლის მოღვაწეობა. რასაკვირველია, ნიჭისა და ცოდნის ასე დაქსაქსვა თვით პროდუქტის ღირებულებაზე მოახდენდა გავლენას,—გ. წერეთლის ზოგიერთ ნაწერს ეს აუცილებლად ამჩნევია.

ჩვენდა სამწუხაროდ გ. წერეთელი დღესაც არ არის სათანადოთ შესწავლილი. მას როგორც ბელეტრისტს უფრო იცნობენ, ვინემ როგორც პუბლიცისტს და მოაზროვნეს, მაგრამ მისი მხატვრული ნაწერებიც არ არის სათანადოთ შესწავლილი და ამ დარგშიაც იგი ყალბად არის გაშუქებული. რაც შეეხება მის მოღვაწეობის სხვა მხარეებს და განსაკუთრებით მისი აზროვნების განვითარებას და სოციალ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობას—ამ მხრივ გ. წერეთელი სრულიად არ არის შესწავლილი. და უნდა ვსთქვათ, რომ ეს ერთობ ძნელი საქმეც არის მანამ, სანამ არ იქნება სისრულეში მოყვანილი და გამოცემული აკადემიური წესით მთელი მისი ნაწერები.

როგორც ვთქვით, გ. წერეთელმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო, 60-იან წლებში. თუ გვინდა გავიცნოთ მისი აზროვნების ხასიათი უნდა გამოვარკვიოთ მაშინდელი ეპოქის შინაარსი, მისი ეკონომიური სტრუქტურა, საწარმოო ძალთა განვითარების დონე და სოციალურ ფენათა ურთიერთობანი, ერთი მხრივ, და ის იდეოლოგიური ბრძოლა, რომელსაც ენერგიულად აწარმოებდა მაშინდელი ახალთაობის ინტელიგენცია დახავსებული აზროვნების წინააღმდეგ, მეორე მხრივ.

მე-19-ე საუკუნის 50-60-იანი წლების ჩვენ ეპოქას სამი დიდი მომენტი ახასიათებდა: 1) ეკონომიურად კრიზისი ნატურალური მეურნეობისა და კაპიტალისტური ურთიერთობის მშობიარობის პროცესები; 2) სოციალურად ძველი წოდებრივ-საზოგადოებრივ ურთიერთობის რღვევა და ახალი სოციალური ფენების კონსოლიდაციის დასაწყისი; 3) იდეოლოგიურად 60 იან წლების რუსეთის ახალ მიმდინარეობისა და პროგრესიულ-დემოკრატიული და რევოლუციონური აზროვნების გავლენით ჩვენს ინტელიგენციაში დაი-

წყო დიფერენციაციმ, ძველი პატრიარქალური ოჯახი ქართული კულტურის მესვეურთა დაირღვა და ცხოვრების ახალ მოთხოვნილებათა ნიადაგზედ ახალი მიმდინარეობანი ჩამოყალიბდა სხვა გვარი იდეოლოგიითა და ზრახვებით; არსებითად ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების სფეროში მომხდარი დიფერენციაციკა გამოწვეული იყო საზოგადოებრივ ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებებით, კლასთა დამოკიდებულების გადაჯგუფებით, ახალი სოციალური მოთხოვნილებებით.

მე-19-ე საუკუნის ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ისტორიული ვითარების შესწავლა შეუძლებელია ამიერ-კავკასიის და უმთავრესად რუსეთის ეკონომიური ვითარების შესწავლის გარეშე. 1801 წლის აქტით რუსეთის თვითმპყრობელობამ არა მარტო პოლიტიკურად დაიპყრო ამიერ-კავკასია, არამედ ეკონომიურადაც იგი თავის კოლონიად გადააქცია. რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის მთავარი მომაძრავებელი ფაქტორი იმ პერიოდში სავაჭრო კაპიტალი იყო და ამიერ-კავკასიის დაპყრობით რუსეთის სამხედრო ძალამ ეკონომიურად გზა გაუხსნა რუსეთის სავაჭრო კაპიტალს და ფართო სარბიელი გადაუშალა ჩვენში სამოღვაწეოდ. ამრიგად რუსეთის პოლიტიკური ბატონობის განმტკიცებით საქართველოში, მთელი ჩვენი მხარე და ამიერ-კავკასია რუსეთის ბურჟუაზიის საექსპლოატაციო ობიექტად გადაიქცა: ამ სამეურნეო რაიონებს უნდა დაეკმაყოფილებია აღორძინების და სწრაფი განვითარების გზაზე შემდგარ რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის ინტერესები.

მაგრამ რუსეთის კაპიტალსა და რუსეთის ბურჟუაზიას ყოველ-პერიოდში ერთი და იგივე კოლონიალური მოთხოვნილებანი არ ჰქონია. რამდენადაც რუსეთში ვითარდებოდა კაპიტალიზმი და იცვლებოდა მისი კოლონიალური მოთხოვნილებანი, იმდენადვე მისი პოლიტიკაც ამიერ-კავკასიისადმი განიცდიდა საგრძნობ ცვლილებებს.

საქართველოს დაპყრობის პირველ პერიოდში რუსეთის სავაჭრო კაპიტალი უხეში და ტლანქი ფორმებით იჭრებოდა ამიერ-კავკასიის ცხოვრებაში და პირველადი კაპიტალისტური დაგროვების სარბიელად გადააქცია იგი. 30-იან წლებში რუსეთის კაპიტალი დაინტერესებული იყო საქონლის გასასაღებელ ბაზრის მოპოებით და მთავარმართებელი ბარ. როზენის მთელი ეკონომიური პოლიტიკა რუსეთის კაპიტალის ამ ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ იყო მიმართული. მაგრამ 40-იან წლებში რუსეთში სამრეწველო კაპიტალიზმის განმტკიცებით ამიერ-კავკასიასა და საქართველოსადმი ინტერესი უფრო გაფართოვდა: ამ-კავკასია უნდა გადაქცეულიყო არა მარტო

რუსეთის ბურჟუაზიის საქონლის გამსაღებელ ბაზრად, არამედ მას უნდა მიეწოდებია ნედლი მასალაც რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებისათვის.

რუსეთის ბურჟუაზიის ეკონომიურ ინტერესების საფუძვლებზედ აღმოცენდა შეფის მოადგილის მ. ს. ვორონცოვის სამეურნეო პროგრამაც 40-იან და 50-იან წლებში. ერთი მხრივ, თუ მან გააუმჯობესა მიმოსვლის საშვალება და ამ რიგად როგორც ამიერკავკასიაში სხვა და სხვა ცენტრები დაუახლოვა ერთი მეორეს, ისე მთელი ამიერკავკასია მაგრად გადააჯაჭვა რუსეთს და ფათრო საშუალება მისცა რუსეთის ბურჟუაზიას მოღვაწეობისათვის, მეორე მხრივ, თავისი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკით ვორონცოვი ხელს უწყობდა სოფლის კაპიტალიზაციის პროცესს და რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებისათვის საჭირო ნედლი მასალის დამზადებას; მესამე მხრივ, ცნობილ „პრიკაზის“ დაარსებით ვორონცოვმა ადგილობრივ მემამულეებს მისცა საშუალება ფულის შოვნის და ამით გზა გაუხსნა რუსეთის საქონელს გასასაღებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვორონცოვის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ამიერ-კავკასიის სასოფლო-მეურნეობის რაციონალურ საფუძვლებზე გადაყვანას: მის მიერ დაარსებულ „ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ მთავარ ამოცანას შეადგენდა ხელი შეეწყო სოფლის მეურნეობის რაციონალურად დამუშავებისათვის ახალი სასოფლო იარაღების მიწოდებით, კარგი თესლის გამოწერით და გამოცდილი აგრონომების დახმარებით[1]).

ამ რიგად საზოგადოებამ ძლიერ წაახალისა მემამულეები და ისინიც შეუდგენ სოფლის მეურნეობის ახალ საფუძველზე მოწყობას; განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საფაბრიკო ნედლი მასალის დამზადებას (თუთუნი, ბამბა, მარენა, შაფრანი და სხვა) მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა ამ საზოგადოების მიზანი.

მის ამოცანას შეადგენდა ისიც, რომ მიეწოდებია ნედლი მასალა რუსეთის ბურჟუაზიისათვის: „посредничество между производителями сельских произведений и фабрикантами для открытия и усиления сбыта местных произведений“—ასე მეტყველებს წესდების ერთი მუხლი[2]). „Если дух промышленности —სწერს კოლოდეევი 1851 წელს,—этот могучий рычаг народной деятельности, при содействии заботливого правитель-

[1]) Колодеев: „Обзор действий наместника Кавказского для развития сельского хозяйства“ 1851 წ.

[2]) იხ. იქვე, გვ. 101.

ства более разовьется в производителя Закавказского края, то эта страна, снабжая Россию многими колониальными произведениями, может сделаться богатейшим уголком нашей империй"[1]).

ამ პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო. 50-იან წლებიდან საქართველოში უკვე იწყება ნელი პროცესი სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებისა, რაც ბატონყმობის მოსპობის შემდეგ უფრო ჩქარი ტემპით განვითარდა. მართლაც, აღსანიშნავი არის ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განვითარების ტემპი მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში. ა/კავკასიის სავაჭრო ურთიერთობის დამოკიდებულება რუსეთსა და უცხოეთის ქვეყნებთან ნათლად გვიჩვენებს, ერთი მხრივ, ჩვენი ეკონომიური განვითარების ტემპს, მეორე მხრივ, იმას თუ როგორ გადაიქცა ჩვენი მხარე უცხო კაპიტალის საექპლოატაციო ობიექტად. მაგ. მთელი ამიერ-კავკასიის სავაჭრო ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან შემდეგნაირად ვითარდებოდა: 1822 წ. შემოტანილი და გატანილი იყო—1.289.108 მან. საქონელი; 1840 წ.—4.426.724 მ.; 1851 წ.—5.298.233 მ.; 1860 წ.—7.368.084 მან.; 1865 წ.—13.193.198 მან.; 1870 წ.—15.388.718 მან.[2]) ეს მხოლოდ უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობის ხაზით.

50-იან წლებიდან უკვე იწყება ჩვენში საფაბრიკო ცხოვრების გამოცოცხლების ნიშნები,—1852 წ.—ტფილისში იხსნება პირველი თუთუნის ფაბრიკა, მეორე 1858 წ. იმავე წელს ტფილისის გუბერნიაში 239 წვრილი ტიპის ფაბრიკა-ქარხანა იყო.[3])

„მამულის პატრონობისა და ვაჭრობის გაზეთი" „გუთნის დედა" სწერდა: „თავის დღეში არ ყოფილა ამთენი მსურველი ახალის მაშინების ანუ ახალი თესლების დაბარებისა, არც ამთენი მოთხოვნილება სხვა და სხვა ხვნა-თესვის ნაწილებზედა ჭარიგებისა, არც მომხმარები მამულზე ამთენი ფულისა; ბოლოს დროს ტფილისში და გარეშე აშენდა რამთენიმე ქარხნები, რომელიც არ შეარცხვენდნენ თვით ევროპის მხარესა და გამოჩნდენ მამულის მკეთებელნი სოფელშიაც, სადაც მოაწყვეს თავიანთი მამულები მშვენიერს და ანგარიშიანს წესებზედ."[4]) ასეთი არის ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განვითარების მოკლე სურათი იმ პერიოდში, როდესაც ჩვენში ჯერ

[1]) იქვე გვ. 95.

[2]) „Кавказский календарь за 1879 г." გვ. 342-5.

[3]) Сборник материалов для описания Тифлисской губер." ტ. I, ნაწ. I გვ. 72-74, 1870 წ.

[4]) იხ. „გუთნის დედა" № 1, 1863 წ.

კიდევ არსებობდა ბატონყმური წყობილება, რომელიც კაპიტალისტური ურთი-ერთობის განვითარების უდიდეს შემფერხებელ ძალას წარმოადგენდა.

მაგრამ კაპიტალისტური ურთი-ერთობის განვითარება აუცილებლად იწვევს ძველი, დახავსებული წყობილების რღვევის პროცესებს, მის საფუძვლებზედ აღმოცენებულ სოციალური ურთიერთობის შერყევას. მართლაც რუსეთის კაპიტალიზმის ზეგავლენით განვითარებულმა ახალმა ეკონომიურმა ფაქტორებმა გამოიწვია ჩვენში, ერთი მხრივ, ნატურალური მეურნეობის და ბატონყმური წყობილების რღვევის პროცესი და, მეორე მხრივ, სოციალურ ურთიერთობათა გამძაფრება, რაც გამოიხატება მემამულეთა და გლეხთა შორის გამწვავებულ ბრძოლაში და ახალი სოციალური ფენების წარმოშობაში.

მაგრამ საქართველოში ბატონყმობის მოსპობის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიური მიზეზი რუსეთის სამრეწველო კაპიტალის ინტერესებში უნდა ვეძიოთ. ეს კაპიტალი ველარ ეგუებოდა ბატონყმურ წყობილების ფორმებს თავის კოლონიებში; ახალი კაპიტალისტური ეკონომიკა ველარ ეტეოდა ნატურალურ—ბატონ-ყმურ მეურნეობის ჩარჩოებში, ახალი საწარმოო ძალთა განვითარების აუცილებლობა მოითხოვდა ამ უკანასკნელის მოსპობასა და კაპიტალისათვის თავისუფალი სარბიელის შექმნას. ამრიგად ნატურალურ-ბატონყმურ წყობილების დარღვევა ეკონომიურად აუცილებელი ხდებოდა ჩვენშიაც.

აღსანიშნავია ერთი საინტერესო ფაქტი: ის მემამულეები, რომელნიც შეუდგენ ვორონცოვის პოლიტიკის ზეგავლენით სოფლის მეურნეობის აღორძინებას, რაციონალურად მოწყობასა და სავაჭრო მიზნებით სასოფლო პროდუქტების დამზადებას, ნათლად დარწმუნდენ, რომ დაქირავებული შრომა უფრო იაფი ჯდება, ვინემ თავისი ყმის შრომა. 1857 წ. ბარ. ნიკოლაი, რომელსაც ტფილისის გუბერნიაში ფერმაც ჰქონდა მოწყობილი, სწერდა:—„Крестьянин на господской работе ест много, а работает мало... потребляет столько, что его работа оказывается очень дорогою; она не только не обходится менее наемной, но в сущности чуть-ли не дороже... И есть такие (помещики), которые желали бы и даже пытались заменить эту повинность денежным оброком,—явное доказательство того, что эта работа дорога, и может быть дороже работы посредством наемных рук.“[1])

1) იხ. „Записки кавказского общества сельского хозяйства“ გვ.13-15; 1857 წ.

ეს ციტატა მეტის მეტად საინტერესოა და მრავლის ამხსნელი. იგი ნათლად გვიმტკიცებს, რომ ჩვენში წამოწყებული ახალი ეკონომიური ურთიერთობა, მისი საწარმოო ძალთა განვითარების აუცილებლობა ველარ ეტეოდა ძველი წყობილების ფორმებში და მისი ინტერესი მოითხოვდა ამა თუ იმ სახით ამ ძველი ჩარჩოების დაშლას

ეს გარემოება საუცხოვო გასაღებს გვაძლევს იმისათვის, თუ სად უნდა ვეძიოთ ჩვენ სოციალ-ეკონომიური მიზეზები იმ თავადაზნაურულ-ლიბერალური პროგრამისა, რომლის წარმომადგენლები 60-იან წლებში კ. მამაცაშვილი, მ. თუმანიშვილი, ი. კერესელიძე, ნ. ჭავჭავაძე და სხვ. იყვნენ და რომელნიც გლეხთა განთავისუფლებას მოითხოვდენ.

უკვე 50-იან და 60-იან წლებში ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები ნათლად გრძნობენ, რომ საქართველოში ახალი ეპოქა დაიწყო, ეპოქა ევროპის ცივილიზაციის გაწვითარებისა.

მაგრამ ამ ახალი სამეურნეო ფაქტორის შემოჭრა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე უფრო ნათელი შეიქნა ბატონყმობის მოსპობის შემდეგ, როდესაც გაიყვანეს ჩვენში რკინის გზები, გაცხოველდა წარმოება, გამრავლდა ფაბრიკა-ქარხნები, ფართო მაშტაბით დაიწყო სამთომადნო მრეწველობის განვითარება (ნავთი, მარგანეცი, ქვა-ნახშირი).

ეს იყო პერიოდი, როდესაც რუსეთისა და ევროპის სამრეწველო კაპიტალი მჭიდროდ შემოიჭრა ამიერკავკასიაში, რომელსაც აინტერესებდა არა მარტო ადგილობრივი ბაზარი თავისი საქონლის გასასაღებლად და ჩვენი ნედლი მასალა, არამედ იგი დაინტერესებული იყო აგრეთვე თავისი კაპიტალის ადგილობრივად ამოძრავებით.

ეს ეკონომიური ფაქტორები თავიდანვე ნათლად შეამჩნია გ. წერეთელმა და არა ერთ ნაწარმოებში დაუსაბუთებია და დაუსურათებია ჩვენში ნატურალურ მეურნეობის რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესები[1]).

2

მაგრამ კაპიტალიზმის განვითარება თავისთავად ნიშნავს ძ ვ ე ლ ს ო ც ი ა ლ უ რ ურ თ ი ე რ თ ო ბ ა შ ი ღ რ მ ა ც ვ ლ ი ლ ე ბ ი ს შ ე ტ ა ნ ა ს ა დ ა ა ხ ა ლ ი კ ლ ა ს ე ბ ი ს წ ა რ მ ო შ ო ბ ა ს. ამ პროცესსაც ვერ ასცდა საქართველო და არც შეიძლებოდა ასცდენოდა: იქ სადაც კაპიტალისტური წყობილება ვითარდება, ბუნებრივად ხდებაწვრილი ბურჟუაზიის გაკოტრება, მათი გაღატაკება და მათი წრიდან პროლეტარული კლასის წარმოშობა; მეორე მხრივ სოციალური ცხოვრების ზედა ფონზეეცემა ძველი წოდება და მტკიცდება ახალი მებატონე ბურჟუაზიის სა-

1) იხ. მაგ. „გულქანი" და „პირველი ნაბიჯი".

ხით. აქაც გ. წერეთლის კალამი მახვილი გამოდგა, ხოლო მისი პუ-ბლიცისტური ნიჭი უფრო რეალური ალღოს მატარებელი: მან 60-იან წლებშივე შეამჩნია ჩვენი ძველი სოციალური შენობის რღვევის პროცესი და ახალი საზოგადოებრივი კლასების განვითარება[1]).

მაგრამ ამ ღრმა ეკონომიურ-სოციალური ხასიათის ცვლილებებს არ შეიძლებოდა თავისი შესაფერისი ცვლილება არ გამოეწვია იდეოლოგიის სფეროშიაც და სწორედ ამ ცვლილებების შედეგი იყო ის მნიშვნელოვანი გონებრივი მოძრაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 60-იან წლების საქართველოში. ამ აზროვნების გამოცოცხლებისა და აყვავების საქმეზე აუცილებლად დიდი გავლენა -ოახდინა 60-იანი წლების რუსეთის რადიკალურ-დემოკრატიულმა მიმდინარეობამ. ჩვენი ახალთაობის ინტელიგენცია აღიზარდა რუსეთის იდეოლოგიური მოძრაობის ზეგავლენით: ამ ინტელიგენციამ გადმოიტანა ჩვენში რუსეთის 60-იან წლების პროგრესიულ-დემოკრატიული მისწრაფებანი. ამრიგად რუსეთის ინტელიგენციის დახმარებით შესძლო ჩვენმა ინტელიგენციამ ახალ პირობებში ახალ იდეოლოგიის გამომუშავება[2]).

ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების დიფერენციაცია 60-იან წლებში უდავო ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს. წინად, 60-იან წლებამდე, თუ ჩვენ აზროვნებაში გაბატონებული იყო თავად-აზნაურული იდეოლოგია და მხოლოდ კანტი-კუნტად მოსჩანდა ახალ ლიბერალურ მისწრაფებათა ჩანასახი, 60-იან წლებში ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების აღორძინებასთან ერთად დაიწყო მისი დიფერენციაციის საგრძნობი პროცესი, რაც აუცილებელი შედეგი იყო ჩვენში დაწყებულ სოციალურ-ეკონომიური ცვლილებებისა.

ამ მხრივ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ოთხი უმთავრესი მიმდინარეობა 60-70-იან წლების ჩვენს ინტელიგენციაში: 1. კონსერვატიული—დამცველი არსებული საზოგადოებრივ ურთიერთობისა და გამომხატველი თ.-აზნაურთა წოდების დიდი უმეტესობის მისწრაფებათა. რეფორმის დასაწყისში ეს მიმდინარეობა მთელი თავისი ენერგიით იბრძოდა ბატონ-ყმობის მოსპობის წინააღმდეგ, მაგრამ როდესაც ეს შეუძლებელი შეიქმნა, მაშინ მან წამოაყენა გლეხების ხიზან-

---

[1]) მაგ. შეადარეთ: გ. წერეთელი: „ამ დროის მოძრაობა" ჟურნ. „კრებული" № 3, 1873 წ. და მისივე: „ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები" „ცვალი" № 11, 1899 წ.

[2]) რუსეთის აზროვნების გავლენა ქართულ ინტელიგენციაზე მთელ რიგ წერილებში აღნიშნა გ. წერეთელმა; საგულისხმიერო ფაქტებს „მგზავრის" წერილებშიაც" ვპოულობთ (იხ. მეორე ნაწილის დასაწყისი).

თა მდგომარეობაში გადაყვანის პროექტი. ამ კონსერვატიული აზროვნების საუკეთესო წარმომადგენელი იყო დიმ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი და საერთოდ ჟურნ. „ცისკარი"; 2. თავადაზნაურულ-ლიბერალური მიმდინარეობა, რომელიც გამოხატავდა მაღალი წრეების მცირეოდენი ჯგუფის პროგრესიულ მისწრაფებას. ამ ჯგუფმა შეიგნო ბატონ-ყმობის მოსპობის აუცილებლობა; იგი ფიქრობდა ევროპის ცხოვრების ახალი ვითარება დაემყნა საქართველოს მაშინდელ ნიადაგზე, მაგრამ იგი არ სცილდებოდა თავის წოდებრივ თვალსაზრისს. უკეთ რომ ვსთქვათ, იგი სცდილობდა თავად-აზნაურული წოდება შეეგუებია ახალი ეკონომიური ვითარებისათვის (კ. მამაცაშვილი, მ. თუმანიშვილი და სხვ.); 3. ლიბერალურ და რადიკალ-დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც ებრძოდა რა ბატონყმურ წყობილებას, პოტენციაში გამოხატავდა ახალთაობის ინტელიგენციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მისწრაფებებს. ამ მიმდინარეობის გამომხატველი იყო ჟურ. „საქართველოს მოამბე" (1863 წ.), გაზ. „დროება" (დაარსდა 1866 წ.) და მთელი ის წყება ახალგაზრდა ინტელიგენტებისა, რომელნიც აღიზარდენ რუსეთის 60-იან წლების აზროვნებაზე. შემდეგში ეს თერგდალეულთა ჯგუფი გაიყო ორ საწინააღმდეგო ბანაკად, რომლის შესახებაც ქვევით გვექნება საუბარი. ამ ჯგუფს ეკუთვნოდა თავიდანვეგ. წერეთელიც; 4. ნაროდნიკულ-სოციალისტური მიმდინარეობა, რომელმაც 60-იან წლებში შეითვისა რუსეთის რადიკალური აზროვნება და ნაროდნიკული სოციალიზმის საფუძვლები. შემდეგში ამ მიმდინარეობამ ფართო ხასიათი მიიღო ჩვენში, და 1872 წელს უკვე ჩამოყალიბდა ნაროდნიკულ-რევოლუციონური ორგანიზაცია, ხოლო 60-იან წლებში ამ იდეების საქართველოში შემომტანი იყვნენ: ან ფურცელაძე, ნ. ნიკოლაძე და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, გ. წერეთელი 60-იან წლების რუსეთის რადიკალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობაზე აღიზარდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა 19-20 წლისა იგი ითვლებოდა „პაწაწა" კავკასიელების წრის" წევრად პეტერბურგში. 1861 წ. მან სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად მხურვალე შონაწილეობა მიიღო სტუდენტთა არეულობაში [1]) და შემდეგ, როდესაც ამ არეულობის მეთაურები დააპა-

[1]) თავის „ჩვენი ცხოვრების ყვავილში", გ. წერეთელი შეეხო სტუდენტთა ამ არეულობას, მაგრამ ცენზურას ზოგიერთი ადგილები ამოუღია. აქ ვკითხულობთ, „186... წელს ოქტომბრის 20-ს ის (დიტო) გულსმოდგინეთ ისმენდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ზალაში ერთი მშვენიერი ახალგაზრდა სტუდენტის აღელვებულს სიტყვას. ამ ზალაში იმ დროს ორას სტუდენტამდის იყო მოგროვი-

ტიმრეს, იგიც სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად რამოდენიმე თვე იჯდა კონშტადტის საპატიმროში[1]).

ასე ჩაება გ. წერეთელი ახალ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მან არა მარტო შეითვისა ახალი მოძღვრების შინაარსი, არამედ მთელი თავისი ენერგიით სცდილობდა ამ იდეების საქართველოში გადმონერგვასა და რეალურ სინამდვილეში განხორციელებას.

60-იან წლების რუსეთის მოაზროვნეთა ხალხისადმი სიყვარულრ და ხალხთან დაახლოვება გ. წერეთელმა უყოყმანოდ შეითვისა. ჩვენ ვფიქრობთ, ავტობიოგრაფიულ ცნობას გადმოგვცემს გ. წერეთელი, როდესაც იგი თავის „მგზავრის წერილში“ აგვიწერს ერთ საინტერესო ფაქტს ქართველი ინტელიგენტის ცხოვრებიდან; აქ ჩვენ ვკითხულობთ: „საღათა (ამ ტიპში თავისი თავი ჰყავს გამოყვანილი გ. წერეთელს) ერთი წელიწადია, რაც დაბრუნებულიყო უნივერსიტეტიდან შეუძლებლობის გამო (თვითონ გიორგი წერეთელი პეტერბურგიდან დაბრუნდა 1864 წ.), რადგან სამსახურის სუფევილი არ ჰქონდა და არც უნდოდა შინ ტყუილად პური ეჭამა, ამისათვის იწყო სიარული სოფლად და ქ... ს (ქუთაისის) მახლობლად ვახსნა გლეხებისათვის სკოლა. პირველად სკოლაში სწავლა ძალიან კარგად წავიდა, გლეხებიც ძალიან კმაყოფილნი იყვნენ ახალი მასწავლებლისა, სახლი უშოვეს, სკამები, პაწაწინა წიგნის საკითხავი ტაბაკებიც და ბოლოს სამ-სამი შაურიც მოაგროვეს გლეხების თავზე, რომ წიგნები ეყიდნათ. თვითონ მას გლეხები არჩენდენ თავის პურ-ღვინით. ცოტა ხანს იქით სოფელს მოჩივარაში გავარდა ხმა წვრილმან აზნაურობაში, რომ ერთი ვიღაც რუსეთელი ახალგაზრდა მოსულა და გლეხებს აგონებს: „თქვენ ბატონებს ნუ ემსახურებით, თქვენ და თქვენი ბატონები სულ ერთი ხართო“. ბოლოს აზნაურებმა კაი-კაი მოსცხეს „ამ თავხედ რუსეთელ ინტელიგენტს“[2]).

ასეთი აღტაცებისა და აღფრთოვანების მატარებელი პიროვნება იყო გ. წერეთელი. მან არსებითად შეითვისა 60-იან წლების რუსეთის გონებრივ მოძრაობის ნაყოფი და მთელი თავისი ძალლონით სცდილობდა გადმოენერგა ეს იდეები საქართველოში. ჯერ კიდევ 60-იან წლების დასაწყისში, როდესაც ილ. ჭავჭავაძემ ცხარე

ლი და ყველას დიდად აღელვებდა კათედრიდან მოლაპარაკე ახალგაზრდა“... (იხ. „კრებული“ № 2, გვ. 71;1873 წ.) როგორც სჩანს, გ. წერეთელს „ჩვენი ცხოვრების ყვავილის“ მეორე ნაწილის დაწერაც სდომებია.

[1]) ამის შესახებ ცნობა გერცენის „კოლოკოლშიაც“ არის მოთავსებული (იხ. 1861 წ. „კოლოკოლი“ № 114.

[2]) გ. წერეთელი: თხზულებანი, გვ. 315—17, 1926 წ.

ბრძოლა გააჩაღა ჟურნ. „ცისკრის“ წინააღმდეგ, გ. წერეთელი ენ-ტუზიაზმით მიეგება ამ ბრძოლას და თვითონაც მიიღო მონაწილეობა „ცისკრის“ წინააღმდეგ წარმოებულ კამათში. გ. წერეთლისათვის უკვე გარკვეული იყო, რომ ეს ახლად გაჩაღებული ბრძოლა ქართულ ლიტერატურაში ძველსა და ახალ თაობას შორის არსებითად გამოხატავდა ბრძოლას პროგრესიულ და კონსერვატიულ მიმდინარეობათა შორის; რომ ილ. ჭავჭავაძისა და მისი ჯგუფის მიერ წარმოებული ბრძოლით იწყებოდა ახალი პერიოდი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, რომ ახალმა თაობამ, რუსეთის 60-იანი წლების იდეებით შეიარაღებულმა, უკვე ჩაუყარა საფუძველი იმ მიმდინარეობას, რომელსაც უნდა გაერღვია საქართველოს საუკუნოებით დახავსებული საზოგადოებრივი ურთიერთობა.

ამაში დარწმუნებული იყო გ. წერეთელი და ამიტომ სხვა თერგდალეულებთან ერთად იგიც, 20 წლის ახალგაზრდა სტუდენტი, ჭაბუკური აღფრთოვანებით ესალმებოდა ძველი წყობილებისა და დახავსებულ აზროვნების წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ კოლონებს

ჩვენ აქა ვართ სამნი ძმანი,
სამნივ თერგდალეულთგანი,
მე გახლავარ გორისელო,
ერთი ამ სამ ძმათაგანი[1])...

ასე ათავებდა თავის წერილს ერთ-ერთი თერგდალეული [2]), რომელიც იცავდა ილ. ჭავჭავაძეს კონსერვატიულ მოაზროვნეთა თავდასხმისაგან, და რომელიც პეტერბურგის ქართველ სტუდენტების სახელით ლაპარაკობდა.

მაგრამ გ. წერეთელი არა მარტო ძველსა და ახალთაობათა შორის დაწყებულ ბრძოლას ხედავდა და თვითონაც აქტიურ მონაწილეობის ღებულობდა შიგ, არამედ მისთვის უკვე ცხადი იყო, რომ ჩვენი ძველი დახავსებული საზოგადოებრივი წყობილება დაიძრა ძველი კალაპოტიდან და ახალი ურთიერთობის ფორმებს ჩაუყარა საფუძვლები. 1863 წ. ჟურნ. „ცისკრის“ წინააღმდეგ მიმართულ წერილში გ. წერეთელი სწერდა: „მთელი კაცობრიობის ცხოვრება... თავის თავად არც ძველდება და არც წარმავალია; ძ ვ ე ლ დ ე ბ ა მ ხ ო ლ ო დ მ ი ს გ ა ნ გ ა მ ო ნ ა კ ვ ლ ე ვ ი ფ ო რ მ ა, მ ი ს გ ა ნ შ ე მ უ შ ა ვ ე ბ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა, რ ო მ ე ლ ი ც ი მ დ რ ო შ ი ა მ ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ს მ ხ ო ლ ო დ“

[1]) იხ. „ცისკარი“ №, 4 გვ. 365, 1862; წ.

[2]) ამ წერილის ავტორი პოეტი ა კ. წ ე რ ე თ ე ლ ი იყო.

აკმაყოფილებდა. თანდათან ხალხის განათლებით, რასაკვირველია, თავად ცხოვრების მოთხოვნილებაც, მის კეთილ მდგომარეობისამებრ, უფრო და უფრო ვრცელდება და მრავლდება სხვადასხვაობით; მაშასადამე რამოდენიმე საუკუნის წინ დაარსებული საზოგადო წყობილება და მისგან მონაპოვარი საშვალებაც ველარ აკმაყოფილებს ამ ცხოვრების მოთხოვნილებასა. აშკარაა რომ საზოგადო ფორმამ განვლო თავისი საუკუნე, დაძველდა და ამის გამო ან სულ უნდა მოიპოს და ან გადაკეთდეს ახლად შემოსულ მოთხოვნილებისამებრ...

რადგანაც კაცის გონიერებას მოსდგამს მუდამ სისრულეში მოვალეობა, არაოდეს არც ხალხის ცხოვრება არ დარჩება მუდამ ერთ და იმავე მდგომარეობაში. ალიძვრის თუ არა ცხოვრებაში იმდენი ძალა, რომ საკმაო იქნება ახალ საშუალების მოსაპოებლად და ძველი ფორმის გადასაგდებად, იმავე წამს ცხოვრების წინმსვლელობაც დაიძვრის და ატყდება გამწარებული ბრძოლა ძველ წყობილების და ახალ მოთხოვნილების შუა" [1]).

ასე სწერდა გ. წერეთელი 1863 წ. და ამით იგი ნათლად აყენებდა იმ სოციოლოგიურ დებულებას, რომ საზოგადოებრივი წყობილება არ ჩერდება ერთ წერტილზე, რომ იბადება ახალი მოთხოვნილებანი, რომელიც მოითხოვს ძველის მოსპობასა და ახალი ურთიერთობის დამყარებას; გ. წერეთელის აზრით, ახალი თაობის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ამ ახალი წყობილების მშობიაობის პროცესს, გახდეს მისი მეთაური და გამომხატველი. „ცისკრის" საყურადღებოდ იგი სწერდა: „ჩვენ საზოგადოებაში დაიძრა ცხოველი სული, იმას უნდა ცხოველი სიტყვა; მაშასადამე „ცისკარს" თუ თავის სიკვდილი არ უნდა უსათუოდ უნდა დასტოვოს ის გზა, რომელზედაც აქამდინ მიდიოდა, გააგდოს მიშურა, გარეგანი სიბრკიალე და ჩაღრმავდეს სიცოცხლის მორევში მარგალიტების მოსაბოჭად" [2]).

„ცისკარს" არც შეეძლო და ვერც შესძლო ახალი ცხოვრებისა და ახალი აზროვნების გამომხატველ ორგანოდ გადაქცეულიყო. სამაგიეროთ გ. წერეთელი გახდა ამ ახალი ცხოვრებისა და მისწრაფების გამომსახველი: 60-იან წლებში მის მიერ დაარსებული ლიტე-

---

[1]) გ.-თელი (გ. წერეთელი): „ცისკარ"-ს რა აკაკანებდა?"—„საქართველოს მოამბე" № 5, 1863 წ.

[2]) იქვე.

რატურული ორგანოები ახალი ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა ქართველ საზოგადოებას.

როგორც ვწერდით, რეფორმის შემდეგი პერიოდი ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფი განვითარებით ხასიათდება. მაგრამ რეფორმამ ვერ აღმოფხვრა ძველი წყობილების ნაშთები, ვერ გაანთავისუფლა გლეხი მემამულის ბატონობისაგან და ამით კაპიტალიზმის განვითარებას ჩვენში შემაფერხებელი ზღუდეები აღემართა. ეპოქის მორიგ ამოცანად გადაიქცა დარღვევა ამ შემაფერხებელი ზღუდეებისა, აღმოფხვრა ფეოდალური წყობილების ნაშთების და გლეხის სავსებით განთავისუფლება მემამულის ბატონობისაგან. ეს იყო კაპიტალისტური წყობილების განვითარებისა და მისი განმტკიცების აუცილებელი ეკონომიური პირობა. მაგრამ კაპიტალიზმის განვითარებას აფერხებდა არა მარტო ძველი წყობილების სოციალ-ეკონომიური ხასიათის ნაშთები, არამედ თვითმპყრობელობის სახელმწიფოებრივი აპარატიც, რომელსაც სურდა ახალ პერიოდშიაც დაეცვა მემამულეთა ინტერესები და ეს წოდება გაეხადა ცხოვრების მეთაურად. აქედან წარმოსდგა ბრძოლის აუცილებლობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომელიც ხელოვნურად აფერხებდა საერთოდ მთელს რუსეთსა და კერძოდ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების საქმეს და სასტიკი რეჟიმის განმტკიცებით ძირშივე სპობდა ყოველგვარ ახალ მოძრაობას, ცხოვრების განახლებისაკენ მიმართულს.

ამრიგად ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ მორიგ ამოცანად წამოაყენა ბრძოლა ძველი ბატონყმური ნაშთების წინააღმდეგ. კაპიტალისტური ურთიერთობის შემდეგი სწრაფი განვითარებისათვის,—ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ცხოვრების დემოკრატიზაციისათვის და ბურჟუაზიის ბატონობის გასამტკიცებლად. ასეთი სამოღვაწეო პროგრამა, ასეთი შეუღლება დემოკრატიზმისა ახალ ეკონომიკასთან, არსებითად კაპიტალისტური ურთიერთობისა და ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესებიდან იყო წარმოშობილი. ე. წ. დროებით ვალდებულთა ინსტიტუტმა ჩვენში გლეხი კვლავ დასტოვა მებატონის სრულს მორჩილებაში, იგი კვლავ ყოფილი მებატონის საექსპლოატაციო ობიექტად გადააქცია. ბურჟუაზიის ინტერესი მოითხოვდა გაერღვია ასეთი ურთიერთობა მემამულესა და გლეხობას შორის და უკანასკნელი თავისუფალ მწარმოებლად გაეხადა; ამით ბურჟუაზიას სურდა ფართო ბაზარი შეექმნა თავისი საქონლის გასასაღებლად და თავისუფალი მუშა ხელი ყოლოდა მარაგში თავისი ფაბრიკა-ქარხნებისათვის. გლეხობის საკითხი არსებითად ისტორიულ-ობიექტურ პირობების გამო, გამოიხატებოდა იმაში, თუ

ვინ უნდა ყოფილიყო გლეხობის ექსპლოატატორი: ძველი მემამულე, რომელიც დროებით-ვალდებულთა ინსტიტუტის წყალობით სრული ბატონ-პატრონი გახდა და ათასგვარი გადასახადებით უკანასკნელ ძალღონეს აცლიდა მას, თუ ახალი ბურჟუაზია, რომლის ინტერესიც მოითხოვდა გლეხობა კაპიტალისტური ურთიერთობის მორევში ჩაეთრია, თავის საექსპლოატაციო ობიექტად გაეხადა იგი და ამრიგად ის, რაც მემამულეს მიჰქონდა რენტის სახით, უშვალოდ თავის შემოსავლის წყაროდ გადაექცია.

ასეთი მორიგი ამოცანები წამოაყენა ახალმა, ეპოქამ და ის ინტელიგენტთა ჯგუფი, რომელიც შესძლებდა თავისი სამოღვაწეო პროგრამა შეეფარდებია ეპოქის მოთხოვნილებისათვის, არსებითად ბურჟუაზიის სასარგებლო საქმეს აკეთებდა, სურდა მას თუ არ სურდა, ისტორიულად ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცებისათვის იბრძოდა.

ჩვენში ზოგიერთი მკვლევარი ჰფიქრობს, რომ 60-იან წლების დასაწყისში სამოღვაწეოდ გამოსული ახალი თაობა ერთ მთლიან ოჯახს წარმოადგენდა და მათში არავითარ წინააღმდეგობას არ ჰქონდა ადგილი 1877 წლამდე. მაგრამ ასეთი დებულება ფაქტიურად არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. ისტორიული ფაქტია, რომ 60-იან წლებში გამოსული ჩვენი ახალი თაობა ვერ დადგა ბოლომდე თავის სიმაღლეზე და მალე დაიწყო მისი რღვევის პროცესები. თუ პირველ პერიოდში ამ ინტელიგენციას უაღრესად აინტერესებდა ბატონყმობის მოსპობის საკითხი და ჩვენი ცხოვრების ახალი ფორმებით განვითარება, მეორე პერიოდში, როდესაც ფორმალურად მოისპო ბატონყმობა და გლეხი განთავისუფლდა მონურ მდგომარეობისაგან, როდესაც ჩვენში სხვა დარგებშიაც შეუდგენ „რეფორმების“ გატარებას,—თერგდალეულთა ბანაკში დაიწყო წინააღმდეგობა და რღვევა. თუ პირველ პერიოდში მათ აერთიანებდათ ბატონყმურ წყობილების წინააღმდეგ ბრძოლა, სამაგიეროთ ახალ პერიოდში მათი გეგმები ახალი წყობილების შექმნის საქმეში საგრძნობლად დაუპირისპირდა ერთი მეორეს: ნაწილი მარჯვნივ თავად-აზნაურულ ლიბერალიზმისაკენ გადაიხარა, ხოლო მეორე ნაწილი დემოკრატიულ-რადიკალური იდეოლოგიის გაღრმავების გზას დაადგა.

„სამოციანელთა“ ამ დიფერენციაციის მაჩვენებელი იყო სწორედ ის ისტორიული ფაქტი, რომ 1869 წ. ჩვენში ახალი ჯგუფი შესდგა, რომელსაც „ახალი ახალგაზრდობის“ სახელწოდება დაერქვა და რომელიც კრიტიკულად აფასებდა 1861 წლის ჯგუფის მოღვაწეობას. თვით გ. წერეთელი არა ერთხელ შეხებია 60-იან წლების

თერგდალეულთა დიფერენციაციის პროცესს, როგორც თავის მხატვრულ ნაწერებში, [1]) აგრეთვე პუბლიცისტურ წერილებშიაც. აი რას სწერდა იგი 1897 წელს 60-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის ორ ბანაკად დაყოფის შესახებ; აღნიშნავს რა 1861 წლის ჯგუფის გამოსვლას სამოღვაწეო ასპარეზზე და მის როლს ჩვენს ცხოვრებაში, იგი განაგრძობს:

„სამწუხაროთ ამ ცოცხალმა მოძრაობამ მხოლოთ ერთი წელიწადი გაატანა. „საქართველოს მოამბე“, როგორც მაშინდელი ახალი თაობის ჟურნალი, გამოდგა დღენაკლული. ერთ წელს შემდეგ მასთან ერთათ დალია სული თვით ილ. ჭავჭავაძის ახალთაობის წრემაც. ჟურნალის მოსპობასთან ერთად ილ. ჭავჭავაძის წრეც უცბათ დაიშალა. ყველამ მოძებნა თავთავის შესაფერი სახელმწიფო სამსახური. თვითონ თ. ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ჯერ გახდა გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ საქმეთა მინდობილობის მოხელეთ. მერე მომრიგებელ შუამავლათ და ბოლოს მომრიგებელ მოსამართლეთ; პ ე ტ რ ე ნ ა კ ა შ ი ძ ე ც აგრეთვე მოიქცა. ი ვ. პ ო ლ ტ ა რ ა ც კ ი შევიდა უმთავრეს გამგეობის კანცელარიის მოხელეთ, გ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი მომრიგებელ შუამავლის კანდიტატათ, ს ა ვ ა ნ ე ლ მ ა ც აგრეთვე იმავ თანამდებობაში შერგო თავი, ი ლ. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ მ ა, მ ი ხ ე ი ლ ყ ი ფ ი ა ნ მ ა და ვ ა ხ. თ უ ლ ა შ ვ ი ლ მ ა კ ი გასამიჯნავ დაწესებულებაში იშოვეს კარგი ადგილები. რაკი მეთაური და მისი წრე ახალი მოძრაობისა მოხერხებულათ დაბინავდენ სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, ქართველ საზოგადოებაში ისევ ჩამოვარდა ჩვეულებრივი მყუდროება. იმ დროს მთავრობის სფეროში დიდი მითქმა-მოთქმა იყო ამ წრის შესახებ, რომლის წევრებსაც მაშინ საშიშ ლიბერალებათ იხსენიებდენ“. [2])

აქ დახასიათებულია იმ დასის წევრთა მოღვაწეობა, რომელნიც 1861 წლის დასს ეკუთვნოდენ და რომელთა ბელადი ი. ჭავჭავაძე იყო. თერგდალეულთა დარღვევის გამომსახველი სწორედ ის იყო, რომ ამ დასმა „რეფორმები“ მიიღო, თითქოს დაკმაყოფილდა მით და იგი აღარ ცდილობდა მის გაღრმავებასა და გაფართოებას დე-

[1]) ამ მხრივ მეტად საინტერესოა მისი რომანი „გ ულ ქ ა ნ ი“ (იხ. გვ. 364, 368 და სხვ,) და „მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი ს“ მეორე ნაწილი. გ. წერეთლის ბელეტრისტული ნაწერების ერთ-ერთ ტომში გამოქვეყნებული იქნება ნარკვევი: „60-ი ა ნ ი წ ლ ე ბ ი ს ქ ა რ თ ვ ე ლ ი ინ ტ ე ლ ი გ ე ნ ც ი ა გ. წ ე რ ე თ ლ ი ს ნ ა წ ე რ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ“, რომელშიაც ისტორიული მასალების განხილვით გამორკვეული იქნება გ. წერეთლის ზოგიერთ მოთხრობის სიუჟეტი და დახასიათებული ტიპები.

[2]) იხ. წერილი: „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“—„კვალი“ № 46, გვ. 815, 1897 წ.

მოკრატიულ-რადიკალური პროგრამის მიმართულებით. მაგრამ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარება ამ წერტილზე ვერ შეჩერდებოდა; ცხოვრების რეალური მოთხოვნილება უფრო რადიკალურისა და დემოკრატიული დასის მოღვაწეობას მოითხოვდა. იმავე წერილში იგივე გ. წერეთელი განაგრძობს:

„...1866 წლიდან გამოჩდა ახალი, უფრო პროგრესიული მოძრაობა ქართულ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ სფეროში. ამ დროს გამოჩდა მეორე დასი. განსაკუთრებით თავი იჩინა ამ მეორე დასმა 1869-დან—1877-დე. ეს დასი შეჯგუფდა და შეკავშირდა „დროება“—„კრებულის“ რედაქციაში. ამ დასის ნამდვილი წარმომადგენლები იყვენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, კირილე ლორთქიფანიძე და პეტრე უმიკაშვილი. ამათვე შემოუერთდა განკერძოვებულათ მოღვაწე აკაკი წერეთელი. ეს მეორე დასი იყო პროგრესიულ დემოკრატიული მიმართულების მიმდევარი. ამ დასმა განუწყვეტლათ იშრომა ერთათ მთელი ათი წელიწადი—1877 წლამდის. შემდეგ კი განაწილდენ და მოხდა მათ შორის დიფერენციაცია... ამ მეორე დასს სულ სხვა იდეალი შეჰქონდა ცხოვრებაში და ლიტერატურაში, ვიდრე დასს ღუმანიტარულ მიმართულებისას...

როგორც ხედავს მკითხველი, თუმცა ეს ორი დასი ორივე მესამოცე წლებში გამოვიდენ ლიტერატურის და ცხოვრების ასპარეზზე, მაგრამ ისინი ერთმანეთში ისე განირჩევოდენ, როგორც ცეცხლი და წყალი. და ლიტერატურაში მუდამ პრინციპიალურათ იბრძოდენ. ხან და ხან პრაქტიკულ ასპარეზზედაც მოსვლიათ ხოლმე იმათ გამწვავებული შეჯახება“ [1]).

მკითხველისათვის რომ ნათელი გახდეს 60-იანი წლების ახალი თაობის დიფერენციაციის სურათი, ჩვენ აქ მას მოვაგონებთ, რომ 1869 წ. დაარსებულ „ახალი ახალგაზრდობის“ წარმომადგენელმა ნ. ნიკოლაძემ მკაცრად გააკრიტიკა 1861 წლის დასი და მასთანვე ფართოდ მოხაზა ის პროგრამა, რომელიც სამოღვაწეოდ წამოაყენა ახალმა დასმა. ნიკოლაძე სწერდა: „...1861 წლის ახალი თაობა ჩვენ ცხოვრებაში პატიოსანი გრძნობით აღვსებული შემოვიდა, იმას კეთილი მიზანი ჰქონდა, პატივსაცემი მიმართულება, შრომისა და ბრძოლის სურვილი და ახალგაზრდული აღტაცება... თვითონ ეს თაობა დამზადებული როდი იყო ძველ თაობასთან ბრძოლაში შესაბმელათ. იმას გაცნობილი არ ჰქონდა პრაქტიკული ცხოვრება, საზოგადოებრივი წესის კანონები და საჭიროებები, იმან არ იცოდა თუ რა და რა

[1]) იქვე, გვ. 816-17.

ცვლილებას თხოულობდა ხალხის მდგომარეობა, რა ნაირ მოქმედებას და დისციპლინას ბრძოლისას საჭიროებდა, ის ერიდებოდა ძველ თაობას, ან, მართალი ვთქვათ, ეშინოდა მისი“ [1]). აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ნ. ნიკოლაძის შეტაკება საბანკო საკითხებში პირველად 1873 წ. ბეს. ღოღობერიძესთან [2]) და მეორეთ 1876 წ. ი. ჭავჭავაძესთან [3]) არსებითად გამოხატავდა ამ ორი დასის საწინააღმდეგო შეხედულებას ბანკის საკითხში.

როგორც ვხედავთ, 60-იანი წლების ახალი თაობის ინტელიგენციაშიაც ჰქონია ადგილი დაჯგუფებას, დასებათ დაყოფასა და პრინციპიალურ ბრძოლებს. როგორი კლასიური საფუძვლები ედვა სარჩულად ამ დასებად დაყოფასა და ბრძოლას?

უდავოა, რომ 60-იანი წლების დასაწყისში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ თერგდალეულთა ჯგუფის დაშლა და მის ბანაკიდან წარმოშობა „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფისა გამოწვეული იყო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შემდეგი განვითარებითა და დიფერენციაციით, სოციალური წინააღმდეგობათა შემდეგი გამწვავებით; ბურჟუაზიული და თავად-აზნაურული ინტერესები ამ პერიოდში გარკვევით დაუპირისპირდა ერთი მეორეს; მესამე მხრივ, საქართველოს გლეხთა ფართო მასების მისწრაფება რეფორმის შემდეგ პერიოდში, აშკარად მიმართული იყო ძველი ბატონყმური ნაშთების მოსპობისა და თავისი დამოუკიდებელი ეკონომიურ არსებობის განმტკიცებისაკენ, რაც არსებითად გამოიხატებოდა მიწის შეძენასა და წვრილი წარმოების განმტკიცებაში. ამ საზოგადოებრივ-კლასიურ ნიადაგზედ აღმოცენდა ჩვენში რეფორმის შემდეგ დიდი პრობლემა: რომელი გზით უნდა განვითარებულიყო საქართველო; უკეთ რომ ვსთქვათ, რომელი კლასი უნდა გადაქცეულიყო ახალი ცხოვრების მესაჭედ და მის მეთაურად. სწორედ ამ სოციალ-კლასიურ საფუძვლებზე მოხდა თერგდალეულთა ჯგუფის დანაწილება ორ მოწინააღმდეგე ბანაკად.

ი. ჭავჭავაძის სამოღვაწეო პროგრამა 70-იან წლებში არსებითად გამოხატავდა თავად-აზნაურულ ლიბერალიზმის მიმდინარეობას, იგი პროგრესიული თავად-აზნაურობის თვალსაზრისზე დადგა. ი. ჭავჭავაძე, ამ პერიოდში ცდილობდა არა წოდებათა მოს-

---

[1]) ნ. სკანდელი: „ახალი ახალგაზრდობა“—„კრებული“ № 1, გვ. 285—6; 1873 წ.

[2]) იხ. „დროება“ № 28, 29; 1873 წ.

[3]) იხ. „დროება“ № 35, 40, 47; 1876 წ. აგრეთვე „ტფილისის უწყება“ იმავე წლისა.

პობას, არამედ თავად-აზნაურობის გადარჩენას განადგურებისაგან, მის შეგუებას ახალი ცხოვრების ვითარებასთან. 70-იან წლებიდან ილ. ჭავჭავაძის სამოღვაწეო გეგმების ცენტრში იდგა არა გლეხობა, არამედ თავად-აზნაურობა. მას სურდა წოდებათა შორის დაემყარებინა მშვიდობიანი ურთიერთობა თავად-აზნაურობის პრივილეგიების დაცვით. იგი ცდილობდა ბანკი თავად-აზნაურობის სასოფლო-მეურნეობისა და წარმოების აღორძინების მთავარ ცენტრად გადაექცია; მისი გეგმით სოფლის მეურნეობის მოწყობა ახალ რაციონალურს საფუძვლებზე და მისი საწარმოო იარაღების გაუმჯობესება ერთ-ერთი პირობა იყო თავად-აზნაურობის გადასარჩენად. აქედან წარმოსდგა მისი ეკონომიური პოლიტიკაც, რომელიც მოითხოვდა წარმოების ევროპაული სისტემის შემოღებას სოფლის მეურნეობაში და სოფლის პროდუქტების გასასაღებლად გზების მოწესრიგებასა და ბაზრების გამოძებნას. ამაში გამოიხატებოდა სწორედ მისი თავისებური აგრარული კაპიტალიზმის იდეოლოგობა. 1893 წ. ი. ჭავჭავაძე სწერდა: „თუ ჩვენ თავად-აზნაურობას უნდა კვლავ ეჭიროს ხელში პირველობა, მთავარი ადგილი, ცხადია, რომ სამრეწველოდ აღძრულს ახალსა და ნორჩს ძალღონეს მოთავეობა უნდა გაუწიოს. მძიმე სამრეწველო ურმის თავში თვითონვე უნდა შეებას“ [1]).

სულ სხვა მიმდინარეობასა და სოციალურ ფენას გამოხატავდა გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფი. ეს იყო რადიკალური ბურჟუაზიის მსოფლმხედველობის და ინტერესების გამომხატველი. ეს რადიკალური ბურჟუაზიული ინტელიგენცია ველარ ეტეოდა „რეფორმების“ ფარგლებში და მის გაღრმავებას მოითხოვდა; იგი ცდილობდა გლეხი გაენთავისუფლებია მემამულეთა ბატონობისაგან და ხელი შეეწყო ვაჭრობა—მრეწველობის განვითარებისათვის ჩვენში; მისი იდეალი იყო საზოგადოებრივი წყობილების დემოკრატიზაცია. როგორც ზევით დავინახეთ, ასეთი პროგრამა არსებითად გამომდინარეობდა ეპოქის მოთხოვნილებიდან და სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების ინტერესებზედ იყო აგებული. ჩვენი ინტელიგენციაც, ისტორიულ-ობიექტიურ პირობების გამო უნდოდა მას თუ არ უნდოდა, რადიკალური ბურჟუაზიის თვალთახედვით იხილავდა იმ ეპოქაში წამოჭრილ პრობლემებს. როგორც ვხედავთ, 70-იან წლებში ი. ჭავჭავაძისა და გ. წერეთლის სახით ერთიმეორეს დაუპირისპირდა თავად-აზნაურობის

[1]) იხ. წერილი: „მოვალეობა ჩვენი თავად-აზნაურობისა“—„ივერია“ № 23, 1893 წ.

ლიბერალური სოფლმხედველობა და ბურჟუაზიის რადიკალურ-დემოკრატიული მისწრაფებანი.

აღსანიშნავია სწორედ ის გარემოებაც, რომ გ. წერეთელი ბოლომდე შერჩა ამ თავის ძველ პროგრამას და რადიკალურ-დემოკრატიულ აზროვნებას. მისი ცდა 90-იან წლებში დაახლოვებოდა მარქსიზმსა და მუშათა მოძრაობას, არსებითად გამოხატავდა მის დემოკრატიულ-რადიკალურ მისწრაფებებს—გამოეყენებია ახალი საზოგადოებრივი ძალა ბურჟუაზიული წყობილების გასამტკიცებლად. ამ დემოკრატიზმისა და რადიკალიზმის გზას 80-იანი წლებიდან საბოლოოდ ასცდა და გამოეთხოვა ნ. ნიკოლაძე და იგი ლიბერალურ-ოპორტუნისტულ ტაქტიკას დაადგა [1]). ამრიგად 80—90-იან წლებში გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის სამოღვაწეო გეგმებს შორის საგრძნობი განსხვავება იყო, თუმცა ორივენი ბურჟუაზიული აზროვნების და ინტერესების გამომხატველნი იყვნენ ჩვენში. მაგრამ აღნიშნულ პერიოდში ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის სამოღვაწეო გეგმების დაპირისპირებაში არსებითად გამოიხატებოდა თვით ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენების ინტერესები:—მსხვილი ბურჟუაზიის შეგუება თვითმპყრობელობასთან, საშუალო ბურჟუაზიისა და მისი ინტელიგენციის შეურიგებლობა და ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ამრიგად ეს წინააღმდეგობა ნიკოლაძესა და გ. წერეთელს შორის გამოწვეული იყო ჩვენი სოციალ-ეკონომიური ცხოვრების შემდეგი ევოლიუციითა და დიფერენციაციით. აღსანიშნავია ის ისტორიული ფაქტიც, რომ, მაშინ როდესაც ნიკო ნიკოლაძის სამოღვაწეო პროგრამა 80—90-იან წლებში მიმართული იყო რუსეთისაკენ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთის კაპიტალის განვითარებას ა-კავკასიაში,—უკეთ რომ ვსთქვათ ნიკოლაძე მატარებელი იყო რუსეთის კაპიტალიზმის ორიენტაციისა, გ. წ ე რ ე თ ე ლ ი დ ასავლეთ ევროპის ორიენტაციის ნიადაგზე იდგა; იგი კარგად გრძნობდა რუსეთის კაპიტალიზმის კოლონიალური პოლიტიკით როგორ იჩაგრებოდა ადგილობრივი ნაციონალური კაპიტალიზმის განვითარებისა და წარმატების საქმე და ამიტომ თავისი გეგმები დასავლეთის კაპიტალისაკენ მიმართა. აქედან წარმოსდგა მისი პოლიტიკური ხასიათის ნაბიჯები: ცდები 1877-სა და 1885 წელში პოლიტიკური კავშირი გაება ევროპის სახელმწიფოებთან. როგორც მტკიცდება, 1885 წელს გ. წერეთელმა სხვებთან ერთად მემორანდუმით მიჰმართა გლადსტონს და მოუწოდა საქართველოს დაპყრო-

2) იხ. ჩემი ნარკვევი: „ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე“—1931 წ.

ბისაკენ. ასე გამოიწვია ნაციონალური კაპიტალისა და ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესებმა გ. წერეთელის ორიენტაციის დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიისაკენ მიმართვა.

ეს იყო რადიკალურად მოაზროვნე ბურჟუაზიული ინტელიგენციის ცდა, რომლითაც იგი ჰფიქრობდა ნაციონალური კაპიტალისა და ნაციონალური ბურჟუაზიის საქმის განმტკიცებას საქართველოში.

კიდევ ერთი მომენტი. 90-იან წლებში გ. წერეთელი შეეცადა თავისი ბურჟუაზიული პროგრამა მარქსიზმის ფორმაში გამოეხვია. მე-XX-ე საუკუნის დასაწყისში არ. ჯორჯაძემ ესევე პროგრამა სოციალ-ფედერალიზმის ფორმებში წარმოადგინა. მაგრამ საკმარისია ეს გარეგანი ფორმები მოაცილოთ მათ პროგრამებს, რომ მათ შორის თითქმის სრული იდენტივობა დაინახოთ არა მარტო ეკონომიურ საკითხებში, არამედ ეროვნულსა და ფედერაციის საკითხებშიაც. ერთისაც და მეორეს სახითაც რადიკალური ბურჟუაზია მეტყველებდა. გ. წერეთელს უშვალოდ არ. ჯორჯაძეზე არა ჰქონია გავლენა. მაგრამ ისტორიულად გ.წერეთელმა და ნ. ნიკოლაძემ ჯერ კიდევ 70-იან წლებში მოხაზეს ის ძირითადი დებულებანი, რომელიც შემდეგში არ. ჯორჯაძის მოძღვრების მთავარ შინაარს შეადგენდა.

მაგრამ დაუბრუნდეთ გ. წერეთელს და უფრო ახლო გავიცნოთ მისი 70—90-იანი წლების სამოღვაწეო პროგრამა.

3

გ. წერეთლის მიერ დაარსებული „დროება“ (1866 წ.), „სასოფლო გაზეთი“ (1868 წ.) და „კრებული“ (1871 წ.) აუცილებლად გამომხატველი იყო რადიკალურად და დემოკრატიულად მოაზროვნე ინტელიგენციის მისწრაფებისა. როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში ინტელიგენციის წინაშე მეტის-მეტად რთული და ღრმად მნიშვნელოვანი სოციალ-ეკონომიური ხასიათის პრობლემები წამოიჭრა გადასაწყვეტად. ინტელიგენციამ თავისებური საზომით გააშუქა ყველა ეს საკითხი და გარკვეული პროგრამაც წამოაყენა განსახორციელებლად, როდესაც ამ პროგრამის შინაარსს ითავალისწინებთ, რწმუნდებით, რომ ამ ინტელიგენციის სახით ჩვენში ახალი პროგრესიული ბურჟუაზია მეტყველებდა, ბურჟუაზია, რომელსაც სურდა გაერღვია ძველი დახავსებული ცხოვრების ზღუდეები და ევროპის გზით მიემართა ჩვენი ცხოვრება. ამ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ მწვავედ სწარმოებდა კაპიტალისტური ურთიერთობის მშობიარობა ქართულ ნიადაგზე, ისტორიულად შეუძლებელი იყო ინტელიგენციის ბურჟუაზიული პროგრამა რადიკალურსა და დემოკრატიულს ფორმებში არ გამოხვეულიყო; უკეთ რომ ვსთქვათ, დემოკრატიზმი და ბურჟუაზიული აზროვნება ერთ მთლიან მოძღვრებაში ერთდებოდა;

მათ შორის კიდევ შეუძლებელი იყო რადიკალური წინააღმდეგობის აღმოჩენა; დემოკრატიზმი და რადიკალიზმი ბუჟუაზიულად განწყობილი ინტელიგენციის საოცნებო ლოზუნგი იყო იმ პერიოდში.

გ. წერეთელი საუკეთესო გამომხატველი იყო მაშინდელი ისტორიულ-ობიექტური ვითარებისა: მისი სამოღვაწეო პროგრამა, მისი თეორია და პრაქტიკა იდეოლოგიურად ასახავდა კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების პროცესს საქართველოში, იგი ბურჟუაზიული ფენების სოფლმხედველობას და მისწრაფებებს გამოხატავდა ჩვენს ისტორიულ სინამდვილეში.

მაგრამ ვიკითხოთ, კონკრეტულად რაში გამოიხატა მისი სამოღვაწეო პროგრამა და როგორი იყო მისი თეორიული სოფლმხედველობა? ამ მხრივ ჩვენ საინტერესო ცნობები გვაქვს მოცემული თვით გ. წერეთლის მიერ. 1897 წ. კიტა აბაშიძესთან კამათის დროს მან გააშუქა „დროების“ ახალი ჯგუფის პროგრამა და სამოღვაწეო ხაზი. ამ წერილში ჩვენ ვკითხულობთ:

„1) ხელოვნურ, ან სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში მან (ახალმა ჯგუფმა) დაარსა ნამდვილი, შეუფერავი, შეუკეთებელი რეალიზმი.

2) პოლიტიკო-ეკონომიურ შეხედულებაში ის ემხრობოდა უფრო პოლიტიკო-ეკონომისტის მილის თეორიას, მაგრამ ცხოვრებაში, ეს პროგრესიულ-დემოკრატიული დასი ბურჟუაზიისა და მუშა ხალხს შორის გამწვავებულ ბრძოლის დროს უფრო იმ თეორიას ადგა, რომ სახელმწიფო კანონმდებლობითი ძალა უნდა შეერიოს ამ ბრძოლაში მუშათა კლასის სასარგებლოთ, რომ ალაგმოს ძალმომრეობა ბურჟუაზიისაო.

3) საზოგადოებრივ წყობილების განვითარებაში ეს დასი უარს ჰყოფდა, როგორც თავად-აზნაურობას, ისე დაბალი ხალხის განკერძოებით ყოფნას. მან წამოაყენა ნამდვილი ერი, რომელშიაც თანასწორი უფლებით შედიოდენ ყველა წოდებები, არც ერთისაკენ სასწორს არ ხრიდა, ხოლო დემოკრატიული, წოდებათა განურჩევლათ, საზოგადო წესწყობილება მიაჩნდა ასეთი ერის შესაფერად.

4) საკრედიტო დაწესებულებათა შორის ის ეწინააღმდეგებოდა თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის დაარსებას. ამის მაგიერად ის ურჩევდა მოკლე ვადიან სამრეწველო ბანკების წეს-წყობილებას. ამასთან ამ დასმა წამოაყენა წინ სასოფლო და საქალაქო სამრეწველო კრედიტი და ერთი ამგვარი წვრილმანი ბანკი კიდეც დაარსა იმ დროს ტფილისში წვრილმან მოვაჭრეებისათვის“[1]).

1) გ. წერეთელი: „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“, „კვალი“ № 46, გვ. 816, 1897 წ.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ აქ დახასიათებული პროგრამა წმინდა წყლის ბურჟუაზიული პროგრამა არის. ეს უფრო ნათელი გახდება ქვევით, როდესაც ჩვენ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ მის შინაარსს. ახლა საჭიროა აღინიშნოს კიდევ შემდეგი მომენტები.

60-იანი წლების რუსეთის აზროვნების ზეგავლენით გ. წერეთელს წილად ხვდა ჩვენში შემოეტანა, ერთი მხრივ, ბუნებისმეცნიერების მატერიალიზმი და, მეორე მხრივ, რაციონალიზმი. საქმე ის არის, რომ 60-იანი წლების რუსეთის აზროვნებამ გადმოიღო ეს მატერიალიზმი ევროპიდან, მაგრამ ძისი განვითარება მას არ შეეძლო დიალექტიურ მატერიალიზმამდე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამავე ხანებში ბუნებისმეცნიერებამ და მისი შესწავლის საქმემ ფართოდ გაიდგა ფესვები რუსეთში. გ. წერეთელმა და ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა ამ მხრივაც განიცადეს გავლენა. თვით გ. წერეთელი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლობდა და არა ერთი წერილი მოუთავსებია „დროების“ ფურცლებზე ბუნებისმეტყველებიდან. ამ გზით გ. წერეთელი აუცილებლად მივიდა ბუნებისმეტყველების მატერიალიზმამდე. ერთ თავის წერილში „მოლეშოტის“ შესახებ იგი სწერდა:

„მოლეშოტი ეს ის მეცნიერია, რომლის წიგნებითაც აღიზარდა გალვიძებული გონება რუსეთის საზოგადოებისა და ჩვენი ახალი თაობა მესამოცე და მესამოცდაათე წლებისა. მას ევროპის განათლებისათვის იგივე მნიშვნელობა აქვს ბუნების წარმატებაში, როგორც ფეიერბახს, ბიუხერს და ფოხტს ახალი ფილოსოფიისა და ანტროპოლოგიის მეცნიერებაში. ამათ შეიტანეს სარწმუნოების მცნებაში ახალი გზა და შეუთანხმეს მას ახალი მიმართულება ბუნების მეცნიერებისა. უწინ ქრისტეს მცნებას პლატონის ფილოსოფია ჰქონდა საფუძვლად დადებული, ამ ფილოსოფიის მასალად იყო უკვდავი სული, ცხოვრება და საქმე, რომელთა ურთიერთშორისი დამოკიდებულების განხილვა და გამოძიება შეადგენდა მთელ ქრისტიანული ფილოსოფიის შინაარსს. მოლეშოტისა და ფოხტის მცნებისამებრ ბუნებაში უკვდავნი არიან ორნი საგანნი: უკვდავია მატერია და უკვდავია მასთან თანდაყოლილი ძალა, რომელნიც ერთმანეთის ზედმოქმედებით წარმოშობენ ყოველის ტიპისა და გვარის ცხოვრებას და არსებას— სულიერსა და უსულოს. ცხოვრება არის გამუდმებული ცვლა სიკვდილისა და სიცოცხლისა... მატერია იცვლება და არ ისპობა. მაშასადამე ბუნება და ქვეყნიერება არის ერთი განუწყვეტელი ბაწარი ცხოვრებისა, საცა ყოველი წარმოებული, შემდგარი, ან გაჩენილი

არსება იცვლება. მაშასადამე, ყოველი კერძო ცხოვრება ცვალებადია; მაგრამ მისი მწარმოებელი ძალა და მატერია კი უკვდავნი არიან"[1])

ასეთი მატერიალისტური აზრი გ. წერეთელს მრავალ წერილში აქვს გატარებული. ჯერ კიდევ 1870 წელს გაზ. „ს ა ს ო ფ ლ ო გ ა ზ ე თ შ ი" მოთავსებული სამეცნიერო-პოპულიარულ წერილებში ბუნებისმეცნიერებიდან იგი ამბობდა: „ბუნებაში ყოველი ქმნილება იბადება, ცხოვრობს როგორც შეხვდება და შემდეგ კვდება,—სჩანს დაიშლება იმ ნაწილებად, რომლებისაგანაც იყო შედგენილი. ჩვენ ვიცით, რომ ამ ნაწილებს ელემენტები ჰქვია. ამ ნაწილებისაგან კიდევ რაიმე დაიბადება ბუნებაში, ისევ ცხოვრობს და ხელმეორედ დაიშლება. მაშ როცა ან კაცი, ან ცხოველი მოკვდება, ან მცენარე დაჭკნება, ესე იგი, როცა იმასაც სიკვდილი მოუვა, ამის შემდეგ არაფერი არ იკარგება. როდესაც რაიმე აღარ სცხოვრობს—კვდება—ეს იმას ნიშნავს, რომ ელემენტების შედგენილობა გადასხვაფერდება"[2]).

აქ უკვე სავსებით გატარებული არის მატერიალისტური შეხედულება ბუნებაში. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბუნებაში აღიარებული მატერიალისტური შეხედულება გ. წერეთელს არ შეეძლო გადმოეტანა საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ისტორიის ვითარებაში. უკეთ რომ ვსთქვათ, მან ვერ შესძლო მატერიალისტურად ახსნა საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა. ბუნების მეცნიერებაში მატერიალისტი, იგი სოციოლოგიაში იდეალისტი დარჩა; მისთვის საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების ფაქტორები არა ობიექტურ-ეკონომიურ ურთიერთობაში არსებობდა, არამედ იდეაში, აზროვნებაში; გონება, აზროვნება—ეს არის ისტორიის მამოძრავებელი ძალა. „ისტორიას ქმნიან კრიტიკული მოაზროვნე პირები", ასე ფიქრობს სოციოლოგიაში გ. წერეთელი. ეს „ყოვლად შემძლეობა ადამიანის გონებისა"—ეს რაციონალისტური სოფლმხედველობა—გ. წერეთელმა იმავე 60-იან წლების რუსეთის მოაზროვნეებიდან ისესხა. ამ სუბიექტური სოციოლოგიის ნაყოფი იყო ის აზრები, რომელსაც თავიდანვე ატარებდა გ. წერეთელი ქართულ ლიტერატურაში; მისი შეხედულობით განათლება, ცოდნა, შეგნება უპირველესი პირობაა ხალხის წარმატების საქმეში; აქედან ინტელიგენციის მოვალეობაც გ. წერეთლის პროგრამით გარკვეული არის. 1868 წ. იგი სწერდა:

---

[1]) X—ლი (გ. წერეთელი): „მოლეშოტი"—„კვალი" № 25, 1893 წ.

[2]) გ. წერეთელი: „საუკეთესო ცოდნა" გვ. 38. პირველი გამოცემა გამოვიდა 1870 წელს, მეორე—1888 წ.

„ევროპაში დიდი ხანია დარწმუნდნენ იმ აზრზე, რომ მინამ საზოგადოთ თვითონ ხალხი არ განათლდება, სწავლით, რაც უნდა კარგი გამგეობა და სამართალი მისცე, მაინც არა გამოვა რა; ხალხის უგუნურობით კარგი სამართალიც უკულმართად მიდის და კარგს გამგეობასაც ეკარგება თავისი ძალა, კარგი სამართალი და გამგეობა მაშინ მოუტანს ხალხს სარგებლობას, როცა თვითონ ხალხს შეუძლიან იმის მოხმარება, ამისათვის საჭიროა ხალხის ზრდა, იმის ჭკუაგონების გამდიდრება სწავლითა. ახლა საქმე ის არის, რა საშუალება უნდა იხმაროს კაცმა ამისათვის“[1]).

განათლების გავრცელება ხალხში ეს არის უპირველესი მოვალეობა მოწინავე ინტელიგენციისა; იგი უნდა დაუახლოვდეს ხალხს, შეიტანოს მასში განათლება, აამაღლოს გონებრივად. „ჩვენ უნდა ვიყოთ მხოლოდ მოწინავე კაცები. ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ უნდა ვიყოთ გაზაფხულის მომასწავებელი მერცხლები და მანამ ვიჭიკჭიკოთ, სანამ ეს გაზაფხული კარზედ არ მოგვადგეს, სანამდის ჩვენი დედაკაცობა არ შევსძრათ უმაღლეს განათლების მისაღებად. თუ ჩვენ ამას შევასრულებთ, ჩვენი უმთავრესი ბედნიერებაც ეს უნდა იყოს“.—ამბობს გ. წერეთელი თავის „მგზავრის წერილებში“.

გ. წერეთლის ამ იდეალისტურ-სოციოლოგიურ სოფლმხედველობიდან გამომდინარეობდა მისი სამოღვაწეო პროგრამის მუხლებიც ხალხის განათლებისა და ცოდნის გავრცელების საქმეში. როგორც იდეალისტი და რაციონალისტი გ. წერეთელი ჰფიქრობდა, რომ შესაძლებელია აზროვნების და განათლების გავრცელების საშუალებით ისტორიული ცხოვრების ამა თუ იმ გზით განვითარება, რომელიმე პროგრამის განხორციელება ცხოვრებაში ყოველ პირობებში არის შესაძლებელი, თუ კი ამ პროგრამის შინაარსს შეიგნებს და შეითვისებს ხალხი ინტელიგენციის დახმარებითა და მეთაურობით. ამრიგად გ. წერეთელი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების უმთავრეს ფაქტორად სუბიექტურ მომენტს — შეგნებას, და ინტელიგენციის იდეურ ხელმძღვანელობას სთვლიდა; ხოლო ობიექტურ-ეკონომიური პირობები პირველ მომენტის შედეგად მიაჩნდა. ამ სუბიექტური სოციოლოგიის ერთგული დარჩა გ. წერეთელი ბოლომდე: მან ვერ შესძლო თავი გაენთავისუფლებია ამ აზროვნებისაგან იმ პერიოდშიაც კი, როდესაც იგი სცდილობდა მარქსის მატერიალისტური სოფლმხედველობის შეთვისებას. რაციონალიზმი და იდეალიზმი ბოლომდე დარჩა გ. წერეთლის სოფლმხედველობის და-

1) X—ელი (გ. წერეთელი): „ჩვენი ცხოვრების ქრონიკა“,—„დროება“ № 6 1868 წ.

მახასიათებელ თვისებად. ამრიგად ძველმა მატერიალისტმა, 60-იან წლების ქართველმა ბუნებისმეცნიერების მატერიალისტმა ვერ შესძლო თავისი ფილოსოფიური და სოციოლოგიური აზროვნების დიალექტიური მატერიალიზმის გზით განვითარება და შერჩა ძველ აზროვნებასა და მეთოდებს. გ. წერეთლის მიერ 90-იან წლებში მარქსიზმის მოძღვრების ვითომდა შეთვისება უფრო მექანიკური იყო, ვინემ არსებითი, როგორც ამას ქვევით დავინახავთ. ამ დარგშიაც იგი ვერ გასცდა პრობლემების უბრალო მექანიკურ გაგებას: 90-იან წლებში „მარქსისტ" გ. წერეთელის სახით კვლავ ძველი იდეალისტი და ბუნებისმეცნიერების მატერიალისტი მეტყველებდა ჩვენში.

4

გ. წერეთელს ჩვენი საზოგადოება უმთავრესად ხცნობს როგორც ბელეტრისტს, მისი მხატვრული შემოქმედება უფრო ცნობილი არის საქართველოში, ვინემ მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა და სოციალ-პოლიტიკური იდეალები. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების შეფასება, მოცემული ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში, ზოგან ყალბია და მასთანავე ზოგიერთ შემთხვევაში—მიკერძოებითი. კ. აბაშიძისათვის გ. წერეთელი ქართული რეალიზმის დეკადანსის გამომხატველი იყო და ამასთანავე მას არც მხატვრული ნიჭი უწყობდა თურმე ხელს; აბაშიძის აზრით, როგორც მხატვარი გ. წერეთელი ბევრად დაბლა იდგა მე-19-ე საუკუნის სხვა ცნობილ ქართველ მწერლებთან შედარებით [1]).

მაგრამ მარტო კ.აბაშიძის აზრით არ ამოიწურება გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების შეფასება.ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში ნ. ნიკოლაძემ თავიდანვე საკმაოდ მაღლა დააყენა გ. წერეთლის მხატვრული ნიჭი და შემოქმედება [2]). მაგრამ ნ. ნიკოლაძის შეხედულებამ გ. წერეთლის ბელეტრისტულ ნაწერების შესახებ ჩვენს ლიტერატურაში ვერ ჰპოვა შესაფერისი გასავალი და უმთავრესად კიტა აბაშიძის შეხედულება გაბატონდა ჩვენში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 60-იან წლებში, როდესაც გ. წერეთელმა გამოაქვეყნა თავისი პირველი ბელეტრისტული ნაწერები „დროებისა" და „კრებულის" ფურცლებზე, მაშინდელი ქართველი საზოგადოება მას აღფრთოვანებით შეხვდა. ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს:

---

1) კიტა აბაშიძე: „ეტიუდები" ტ. II.

2) ნიკო ნიკოლაძე: „გიორგი წერეთლის პირველი შრომა"—„მოამბე" № 3 1894 წ.

,,როცა ამ ოც-და-ხუთი წლის წინად ,,დროებამ'' პირველი ხანების ბეჭვდა დაიწყო ბ-ნ წერეთლის ,,მგზავრის წიგნებისა'', მკითხველებში თითქმის იმგვარივე მოძრაობა შეიქმნა, როგორც ცოტათი უწინ ბ-ნ ილია ჭავჭავაძის ,,კაცია—ადამიანმა'' მოახდინა. მგონია, ცოტა არ არის ამით ნათქვამი. მთელმა საზოგადოებამ მიაქცია ყურადღება დამწყები ავტორის ნიჭს. მისი ცხოველი სურათები, მისი იუმორი, მისი ტიპები ყველას მოსწონდა და თვალწინ უდგა. ,,უცნობი რამ გაგვაცნო ამ კაცმაო'', ამბობდა თუ გრძნობდა მკითხველი. დიდი იმედებიც დაბადა ყველაში ამ ბედნიერმა დასაწყისმა. ყველა ელოდა, აი ახალი ბელეტრისტი გაუჩდა ჩვენ მწერლობასო, ფხიზლად და ცხოველად მხატველი ჩვენი ქვეყნის და ცხოვრების უცნობ მხარეებისაო, და სხვ... მით უფრო საამო შეიქმნა ქვეყნისათვის ამ ახალი ტალანტის ასპარეზზე გამოსვლა. ყოველი ახალი ხანა მისი ,,მგზავრის წიგნისა'' ახალ აღტაცებას, ახალ უმაღლეს ლოდინს და იმედებს ჰბადებდა'' [1]).

ასეთი გავლენა მოახდინა 60-70-იან წლებში გ. წერეთლის ბელეტრისტული ნაწერების გამოქვეყნებამ. როგორც ვხედავთ, ამ ნაწერებს დიდი გავლენა ჰქონია ,,ჩვენს ლიტერატურულ მოძრაობაზე'' და თუ შემდეგში დაჰკარგა თავისი გავლენა—ეს მოხდა განსაკუთრებით იმ ფენაში, რომელიც გ. წერეთელს მტრულად უცქერდა და არ იზიარებდა მის პოლიტიკურ სოფლმხედველობას.

ამ ნარკვევში, რასაკვირველია, გ. წერეთელის ბელეტრისტულ ნაწერებს მთლიანად ჩვენ ვერ განვიხილავთ. ჩვენი ნარკვევისათვის საჭირო არის შევეხოთ მხოლოდ ორ მომენტს: გ. წერეთლის ლიტერატურულ-ესთეტიურ სოფლმხედველობას და მისი მხატვრული ნაწერების თემატიკას.

გ. წერეთლის ლიტერატურულ-ესთეტიური შეხედულება შემუშავდა იმავე 60-იან წლების რუსეთის მოღვაწეთა ესთეტიურ აზროვნების ზეგავლენით. ამ მხრივ აღსანიშნავია ნ. გ. ჩერნიშევსკის ესთეტიური თეორიის გავლენა არა მარტო გ. წერეთელზე, არამედ 60-ან წლების ჩვენი ახალთაობის ლიტერატურულ-ესთეტიურ აზროვნების შეხედულებაზე საერთოდ. ჩერნიშევსკიმ 60-იან წლებში პრინციპიალურად უარყო ყალბი თეორია „ხელოვნება ხელოვნებისათვის" და თავის ესთეტიურ თეორიას რეალიზმისა და უტილიტარიზმის პრინციპი დაუდვა საფუძვლად. ხელოვნება—ჩერნიშესკის განმარტებით—რაიმე საზოგადოებრივ ფუნქციას უნდა ასრულებდეს ცხოვრებაში:

1) იხ. ნ. ნიკოლაძის დასახელებული წერილი, გვ. 141—42.

მისი მოვალეობაა ასახოს რეალური სინამდვილე და უმსახუროს საზოგადოების წინმსვლელობის საქმეს.[1]) ეს უტილიტარულ-რეალისტური ესთეტიური თეორია, როგორც ვიცით, შემდეგში ესთეტიკის უარყოფამდე განავითარა დ. პისარევმა. გ. წერეთელმა 60-იან წლებიდანვე გარკვევით შეითვისა ეს თეორია და შეგნებულად ემსახურებოდა მას თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ წუთამდე. მაგრამ თუ გიორგი წერეთელმა სხვებთან ერთად განავითარა უტილიტარული პრინციპი ესთეტიკაში, სამაგიეროდ 60-იან წლებში ანტ. ფურცელაძეს წილად ხვდა დ. პისარევის ნიჰილისტური ხელოვნების თეორია გადმოენერგა ქართულ ლიტერატურაში. ერთი, ჩერნიშევსკის გავლენით, გარკვეულ რეალისტურ-უტილიტარულ თეორიის გზას დაადგა, მეორემ პისარევის გავლენით ესთეტიკის დამსხვრევა მოინდომა ჩვენში.

უკვე თავის პირველ წერილში 1863 წ. ჟურნ. „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე გ. წერეთელი მწერლის დანიშნულებას და მოვალეობას შემდეგნაირად ახასიათებდა; იგი სწერდა: ,,მწერალი არის ერთი თავის საზოგადოების წევრთაგანი, ერთი ამ პირთაგანი, რომლების კრებაც შეადგენს საზოგადოებას. ეს არის საზოგადოების ტანჯვის და შვების თანამგრძნობელი. რაში მდგომარეობს მისი ღვაწლი საზოგადოების წინ?—აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი ამ ნაკლულევანების შესახებ, უჩვენოს იმგვარი საშუალებანი, რომლებიც მისი ფიქრით საუკეთესო არიან ამ ნაკლულევანების მოსასპობლად“ [2]).

ამ პრინციპს ატარებდა გ. წერეთელი არა მარტო თავის კრიტიკულ წერილებში, არამედ ამავე პრინციპიალურ საფუძვლებზედ იყო აშენებული მისი მხატვრული შემოქმედებაც. გ. წერეთელი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მხატვრულ ლიტერატურას და საერთოდ ხელოვნების დარგს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ქართული საზოგადოების წარმატების საქმისათვის; ხელოვნებისა და ლიტერატურის საზოგადოებრივი ფუნქცია ამ მხრივ გ. წერეთლისათვის გარკვეული იყო. ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებას, მას უნდა შეჰქონდეს ხალხში ცოცხალი აზრები და მოწინავე იდეები, იგი უნდა უნათებდეს საზოგადოებას გზას მომავალისაკენ და მოუწოდებდეს არსებული ცხოვრების გარდაქმნისაკენ. ის რაც შეიძლება პუბლიცისტის მიერ დამტკიცებული და ნაჩვენები იქნეს ლოლიკურ

[1]) სიმ. ხუნდაძე: „ნ. გ. ჩერნიშევსკი“.

[2]) გ.—თელი (ა. წერეთელი): ,,ცისკარს რა აკაკანებდა?“ ჟურნ. „საქართველოს მოამბე“ № 5, გვ. 55, 1863 წ.

არგუმენტაციებით, ხელოვნებამ უნდა გამოსახოს მიმზიდველი ფერადებით. აქ პოლიტიკასა და ხელოვნებას, პუბლიცისტიკასა და ესთეტიკის შორის შესაძლებელი არის ნათესაური კავშირი გაიდვას: ერთიც და მეორეც ერთ და იმავე იდეებს ემსახურება, მხოლოდ სხვა და სხვა საშუალებებითა და მეთოდებით. ამრიგად გ. წერეთელმა გარკვევით შეიტანა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მომენტი ხელოვნებისა და ესთეტიკის დარგში. და უნდა ითქვას, რომ თვით გ. წერეთლის ლიტერატურული პროდუქციის ორი დარგი: პუბლიცისტიკა და ხელოვნება ერთნაირი იდეებით სულდგმულობდა, ერთი და იმავე მისწრაფებით იყო გაჟღენთილი. გ. წერეთელმა ამ მხრივ გაორება არ იცოდა: მისი იდეები და აზრები წითელი ზოლივით არის გატარებული ყველა მის ნაწერში; ხელოვნება და პუბლიცისტიკა ერთნაირად ემსახურებოდა ავტორის მთავარ მისწრაფებებსა და პროგრამას.

„მგზავრის წერილებში" გ. წერეთელი ამბობდა: „ჩვენ არ უნდა ვამცირებდეთ უმაღლესს ჩვენს ამ სოფლად მოვლენასა ეგრეთის გულის განაზებითა და სისუსტით. რათ დავივიწყეთ ჩვენი მოვალეობა და მიზანი ჩვენისა სიცოცხლისა? განა ახლა ისეთი დრო არის, რომ ჩვენისთანა ახალგაზრდამ ეძიოს ბედნიერება თბილ საწოლში? ჯერ ხომ ერთი ნაბიჯი წინ არ წაგვიდგამს საწინააღმდეგოთ ქვეყნის დამაბრკოლებელ მიზნებისათვის? ჩვენ მხოლოდ ჯერ უნდა ვიბრძოდეთ პირისპირ ყოვლისა სიბოროტისა, უსამართლობისა და დაჩაგვრისა, ვიდრემდის არ ამოვთხრით ქვეყნაო ყოველსა ამა უწმინდურებასა ძირიანად. ვიდრემდის არ მიჰვფენთ მთლად საქართველოსა სწავლისა ნათელსა, არ განვაბნევთ ბნელსა და არ აღვადგენთ ჩვენს საზოგადოებასა, ესრეთ მწარეთ დაცემულსა".

აქ გამოთქმული არის გ. წერეთლის საერთო მისწრაფებანი, რომელსაც იგი ხაზგასმით ატარებდა თავის პუბლიცისტურ ნაწერებშიაც. ამრიგად მხატვრული ცხოვრების დანიშნულება და პუბლიცისტიკის მოვალეობა გ. წერეთლის განმარტებით, აუცილებლად ხვდება ერთი მეორეს. მაგრამ აქედან სრულიად არ გამომდინარეობს ის, რომ მხატვრული ლიტერატურა გაუთანასწორდეს პუბლიცისტიკას თავისი ფორმითაც: იდეური და მიზნობრივი ნათესაობა სრულიად არ ნიშნავს მათი ფორმების, მეთოდებისა და ხერხების იდენტივობასაც. ეს კარგად ესმოდა გ. წერეთელს და ყოველთვის ცდილობდა მხატვრული ხელოვნების პრინციპისათვის არ ეღალატნა. მისი უმეტესი მხატვრული ნაწერი საკმაოდ გამართლებული არის ესთეტიური საზომითაც.

ამბობენ: გ. წერეთელი ღარიბი არის თემების მხრითო. ასეთი სიღარიბე დამახასიათებელია ყველა ჩვენი მაშინდელი მწერლისათვის იმიტომ, რომ თვით ჩვენი სოციალური ცხოვრების სიღარიბე არ იძლეოდა ფართო გასაქანს მწერლისათვის; მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტურმა ურთიერთობამ შეანგრია ნატურალისტური მეურნეობის ფარგლები, ჩვენში ქალაქური წარმოება, მანქანური კულტურა და მასზედ აღმოცენებული მთელი საზოგადოებრივი შედეგები, ვერ განვითარდა თავისი შესაფერისი მრავალფეროვანების სახით. ამრიგად ჩვენმა ცხოვრებამ ვერ განიცადა ევროპიული ტემპი და სიმძაფრე განვითარებისა, ვერ განიცადა მისი მრავალფეროვანება და დიფერენციაცია. ცხადია ეს გარემოება თავის დაღს ასვამდა მწერლის ნაწარმოებს მასალის შერჩევის საქმეშიაც.

მაგრამ მაშინდელ ობიექტურ-ისტორიულ პირობების მიხედვით გ. წერეთლის მიმართ თემების სიღარიბეზე ლაპარაკი, უსაფუძვლოა: გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მე-19-ე საუკუნის არც ერთ ჩვენ მწერალს იმდენი თემა არ დაუმუშავებია, როგორც ეს შესძლო გ. წერეთელმა.

ამ მწერალს ახასიათებდა სოციოლოგიური პრინციპის შეტანა ლიტერატურაში. მან, როგორც მოაზროვნე მწერალმა, ღრმად გაითვალისწინა ჩვენი საზოგადოების ისტორიული განვითარების გზები და თავისი მხატვრული შემოქმედების შინაარსიც ამ ვითარებას შეუწონა. მან ნათლად შეიგნო, რომ ძველი ნატურალური მეურნეობის რღვევით საქართველოში უკვე დაიწყო კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება, რომ ამ დიდ საზოგადოებრივ-ეკონომიურ პროცესს თან მოსდევდა ღრმა ცვლილებები სოციალურ ურთიერთობაში, წოდებათა დამოკიდებულებაში, რომ ეს პროცესი იწვევდა ახალი კლასების წარმოშობასა და იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავებას სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის. აი ჩვენი ცხოვრების ის მოვლენები, რომელიც გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების თემებად გადაიქცა; ეს იყო ჩვენი ისტორიული ცხოვრების აქტუალური საკითხები, მისი შინაგანი განვითარების ძირეული მოვლენები; ამ ძირეულ ისტორიულ პრობლემებიდან წარმოსდგა გ. წერეთლის შემოქმედების თემატიკაც. ერთი მხრივ, რღვევა ნატურალურ ბატონყმური მეურნეობისა, და მეორე მხრივ კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების განვითარება—აი ამ ისტორიულ-საზოგადოებრივ ფონზედ არის აშენებული გ. წერეთლის მთელი მხატვრული ნაწერები. მაგრამ იგი ნატურალური მეურნეობისა და ბატონყმური ურთიერთობის რღვევას ასურათებს არა ერთი რომელიმე მომენტის აღე-

ბით, არამედ მთელი თავისი ისტორიულ შინაარსით: ეკონომიური, სოციალური და იდეოლოგიური ვითარების დახასიათებით. ასევე იქცევა კაპიტალიზმის განვითარების შესახებაც: აქ იგი მხატვრულ ფონზე გვიშლის ძველი წყობილების რღვევის პროცესთან ერთად ახალი ურთიერთობის განვითარების პროცესსაც მთელი თავისი საზოგადოებრივ იდეოლოგიური სახეებით.

გ. წერეთელი ისტორიულ ცხოვრებას გვისურათებს დინამიკაში: მის მხატვრულ ტილოზე გადატანილი არის ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობიდან ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის წარმოშობის პროცესი. აქ არის გ. წერეთლის როგორც მხატვარის სიძლიერეც, ისე მისი სისუსტეც; სიძლიერე იმიტომ, რომ იგი სოციოლოგიური მეთოდით არის შეიარაღებული და საზოგადოებრივ ცხოვრებას ასახავს თავის ისტორიულ განვითარების პროცესში—საზოგადოებას მთლიანად აღებულს ყველა თავისი მოვლენებითა და შინაარსით, სისუსტე—იმიტომ, რომ ასეთი გრანდიოზული, მრავალსახიანი თემის დამუშავება და მხატვრულ ფერადებში ასახვა ხანგრძლივ დროსა და დიდ დაკვირვებას მოითხოვს;—მხატვრულად გადმოცემა საზოგადოების მთელი ისტორიული ვითარებისა, მისი გადასვლა ერთი სამეურნეო საზოგადოებრივ ფორმაციიდან მეორეში—დიდ ენერგიასა და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს. გ. წერეთელი, დატვირთული მრავალგვარ საზოგადოებრივ და კერძო საქმეებით, ხშირად ვერ ახერხებდა სათანადო ყურადღების მიქცევას მხატვრულ მხარისათვის,—აქედან წარმოსდგა საფრთხე გ. წერეთლის მხატვრულ ნაწერებში პუბლიცისტიკის შეჭრისა; უკეთ რომ ვსთქვათ, ხელოვნების პუბლიცისტიკამდე დაყვანისა. უნდა ვსთქვათ, რომ ზოგ ნაწერში გ. წერეთელმა შესძლო ამ საფრთხის თავიდან აცილება. აკაკი წერეთელი სრულიად საფუძვლიანად სწერს თავის მოგონებებში: „მის (გ. წერეთლის) შრომას ორგვარი ბეჭედი აზის: ზოგს ნიჭისა და ზოგს მოქანცვის“ [1]).

შეიძლება აქ ერთგვარი შედარება გავიყვანოთ გ. წერეთლისა და ი. ჭავჭავაძის მხატვრული პროდუქციის შორის.

ილია ჭავჭავაძე აუცილებლად დიდი მხატვარია და იმავე დროს რეალისტური სკოლის მიმდევარიც, მაგრამ მას აკლია ის, რაც ახასიათებს გ. წერეთელს—თემების ისტორიული პერსპექტივის ფონზე გაშლა. ილია ჭავჭავაძეს ახასიათებს თემის ან მასალის შემოფარგვლა, მაგრამ იმავე დროს მისი სიღრმით გაქანება; გიორგი წერე-

1) აკაკი წერეთელი: „რჩეული ნაწერები“. ტ. I.

თელი ხასიათდება თემის ფართოდ გაშლითა და შინაარსის მრავალ-ფეროვანებით. ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში უფრო ფართოდ და სიღრმით არის გაშლილი ბატონყმური საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება, მაგრამ შემდეგი ეპოქა ჩვენი საზოგადოებრივი წყობილებისა ერთობ მკრთალად არის გადმოცემული მის ნაწერებში. ამ მხრივ გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების შინაარსი უფრო მდიდარია, მის ნიერ მხატვრულ ტილოზე გადატანილი ქართული ცხოვრება მრავალფეროვანია.

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება მათ შორის არსებული განსხვავება. ილ. ჭავჭავაძეს აკლია ისტორიულ-სოციოლოგიური მეთოდი ხელოვნებაში, გ. წერეთლის სიძლიერე სწორედ ამ მეთოდის შეთვისებაში და გამოყენებაშია. ი. ჭავჭავაძე იღებს მთელ საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ რ ო მ ე ლ ი მ ე კ უ თ ხ ე ს, ან, თუ გნებავთ, მ ხ ა რ ე ს და მას შლის თავისი მხატვრული შემოქმედების ფონზე; ი. ჭავჭავაძის შემოქმდების ტილოზე ვერ ხედავთ გადატანილს ცხოვრებას დ ი ნ ა მ ი უ რ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა შ ი; მის მიერ დასურათებული ცხოვრება სტატიკაში არის მოცემული და მისი ისტორიული პერსპექტივით გაშლა მას არ ეხერხება: მაგ. ი. ჭავჭავაძემ დაგვისურათა ბატონყმური საქართველო: თქვენ აქ გრძნობთ მაგარი ხელით დახატულ ბატონყმურ საზოგადოებრივ ურთიერთობას უკვე თავის დაცემის პროცესში შესულს. ილიამ ეს ყოფა ასახა სიღრმითაც და მხატვრული სიძლიერითაც მაგრამ ცხოვრება ხომ განუწყვეტელი მსვლელობაა წინ, იგი ხომ პროცესში იმყოფება! ბატონყმურ საქართველოს გვერდით და მის შიგნით ხომ არსებობდა ახალი ეკონომიური ფაქტორი და ახალი სოციალური ძალა, რომელიც ძირს უთხრიდა ბატონყმურ საქართველოს და გზას იკაფავდა მომავალისათვის. ი. ჭავჭავაძე თითქოს ვერ გრძნობს ცხოვრების ამ პროცესს: მის ნაწარმოებში არსად არ სჩანს, თუ რღვევის პროცესში მყოფი ბატონყმური საქართველო როგორ გადადის სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობაში. ჩვენი ცხოვრების ეს ღრმა მნიშვნელობის პროცესი შეუმჩნეველი დარჩა ილია ჭავჭავაძის მხატვრული ინსტინქტისათვის. თუ ერთი მხრივ თქვენ გრძნობთ ილიას ნაწერში სიძლიერით დახატულ დაცემულ ბატონყმურ საქართველოს, მეორე მხრივ, არსად სჩანს საქართველო ძველი წყობილების შემცვლელი, საქართველო მშობიარობის, ზრდისა და განვითარების პროცესში მყოფი, საქართველო ძველ წყობილებიდან ამომავალი; ეს მეორე საქართველო—საქართველო კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარების გზაზე მდგარი—ი. ჭავჭავაძემ ვერ დაინახა და შეიძლება არც

უნდოდა დაენახა. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ილია ჭავჭავაძე საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ ერთ კუთხეს იღებს და მას გვისურათებს მხოლოდ სტატიკაში. ეს უმთავრესად აიხსნება მით, რომ ი. ჭავჭავაძეს არა აქვს ისტორიულ-სოციოლოგიური მეთოდი შემუშავებული, იგი ისტორიულ ფაქტიდან კი არ გამოდის, არამედ წინასწარ განსაზღვრული იდეით მიდის ისტორიულ ფაქტთან; ამიტომ ფაქტი კი არ იშლება ისტორიულ განვითარების ფონზე, არამედ—წინასწარ შემუშავებული გეგმების მიხედვით ისახება მის შემოქმედებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ,,ოთარაანთ ქვრივი''. ეს ნაწარმოები რეალისტური ხასიათისაა. მაგრამ უაღრესად ტენდენციური. ი. ჭავჭავაძის მხატვრული დიდი ნიჭი თითქოს ფარავს ამ ტენდენციას და ამ ნაწარმოებს გვიდგენს როგორც ჩვენი ცხოვრების რეალურად ამსახველს. მაგრამ ეს სწორი არ არის. ი. ჭავჭავაძე 80-იან წლებში გარკვეული სოციალური სოფლმხედველობის მატარებელი იყო; ‘ან უკვე შეიმუშავა წოდებათა შორის თანამშრომლობისა და ,,ჩატეხილ ხიდის'' გამრთელების თეორია. ამ წინასწარი შემუშავებული სოციალური თეორიით შეუდგა იგი ჩვენი ცხოვრების ასახვას და გამოცდილი ოსტატის ხელით ააშენა ამ თეორიის გამამართლებელი სურათები. მაგრამ მის მიერ დასურათებული ,,ცხოვრება'' არ შეესაბამებოდა რეალურ სინამდვილეს. ეს გარკვეული იდეების მიხედვით ასახული ცხოვრება იყო, მაგრამ არა რეალური ცხოვრება თავისი დინამიური განვითარებითა და სოციალური ურთიერთობით. მართლაც, ბატონყმობის მოსპობის შემდეგ პერიოდში წოდებათა შორის დამოკიდებულება უფრო გამწვავდა, გლეხისა და მემამულეების ინტერესები რეალურად დაუპირისპირდა ერთი მეორეს, რაც ხშირად ხელჩართულ ბრძოლის ხასიათსაც ღებულობდა: ისტორიული სინამდვილე ,,ჩატეხილ ხიდის'' გამრთელების გზით კი არ მიდიოდა, არამედ მისი გაღრმავებისა და წოდებათა წინააღმდეგობის გამწვავებით. ,,ოთარაანთ ქვრივი'' ი. ჭავჭავაძის სოციალურ ფილოსოფიას უფრო გამოხატავდა, ვინემ ჩვენი რეალური ცხოვრების ისტორიულ ვითარებას. მაგრამ სად არის ი. ჭავჭავაძის ნაწერებში ასახული ის საზოგადოებრივი ურთიერთობა და ეკონომიური ცვლილებანი, რომელიც ბატონყმობის მოსპობის შემდეგ პერიოდში განიცადა საქართველომ? იგი არსად სჩანს და მის გადმოცემისათვის არც უზრუნვია ავტორს იმიტომ, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა ავტორის მისწრაფებებს.

სულ სხვა მეთოდი აქვს მხატვრულ ლიტერატურაში გამომუშავებული გ. წერეთელს. ისტორიულ-სოციოლოგიური მეთოდი გ. წე-

რეთელს საშუალებას აძლევდა „ცხოვრება“ დინამიურობაში გაეშალა: ის უაღრესად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ბატონყმურ მეურნეობის რღვევით ნიადაგი ეყრებოდა კაპიტალისტურ საქართველოს; უკეთ რომ ვსთქვათ, კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარების პროცესებით იყო გამოწვეული ბატონყმური საქართველოს რღვევის აუცილებლობა. აქ ჩვენი ცხოვრება ნათლად ისახება ისტორიულ ფონზე გადაშლილი; ძველი საზოგადოებრივი ფორმების სიკვდილისა და დაშლის პროცესთან ერთად ისახება და ვითარდება ახალი ფორმები, ახალი საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი: ძველ სამეურნეო ცხოვრებიდან ახალი ეკონომიკა ვითარდება, ძველ სოციალურ კლასებს ახალი კლასები უპირისპირდება; ძველი იდეოლოგია—ახალი იდეოლოგიით იდენება. ეს ძველი და ახალი საქართველოს სურათები თავის დაშლისა და განვითარების ფონზედაა ასახული.

ჩვენ ვიტყოდით უფრო მეტს—გ. წერეთლის მხატვრული ნაწერების მიხედვით შესაძლებელი არის მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიული ცხოვრების გადმოცემა. ბევრს, ალბად, ეს ჩვენი მოსაზრება გადაჭარბებულად ეჩვენება; მაგრამ ვინც გულდასმით და ობიექტურად გაეცნობა საკითხს, იგი არ შეიძლება არ დეთანხმოს ჩვენს მოსაზრებებს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ მისი ნაწერების მთავარი „მასალა“, რომელიც ჩვენი რეალური სინამდვილიდან იყო ამოღებული; ბატონყმური საქართველო თავისი საზოზოგადოებრივი ურთიერთობით, მისი რღვევის პროცესები, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება, წოდებათა მდგომარეობა ამ ახალ პერიოდში, სხვადასხვა კლასების დამოკიდებულება ბატონყმობის მოსპობის საქმესთან, გლეხობის ბრძოლა მემამულეთა წინააღმდეგ და მათი პროლეტარიზაციის პროცესი, ბრძოლა მსხვილ თავადებსა და წვრილ აზნაურებს შორის, კაპიტალისტური კლასების განვითარება; ინტელიგენციის ახალი თაობის წარმოშობა და მისი იდეოლოგია; „თერგდალეულთა“ თაობის დაშლა და „ახალი ახალგაზრდობის“ ჩამოყალიბება; ჟურნალ-გაზეთების დაარსება და კულტურული ფონის განვითარება; ბრძოლა ბანკების გარშემო და სხვა მრავალი,—აი ის ნედლი, მაგრამ აქტუალური მასალა, რომელიც ახასიათებდა ჩვენი ცხოვრების მაშინდელ ისტორიულ ვითარებას და რომელიც მხატვრულად ასახა თავის ნაწერებში გ. წერეთელმა.

აღსანიშნავია გ. წერეთლის მისვლა მასალასთან. იგი ილია ჭავჭავაძესავით არ თხზავს „რეალურ ცხოვრებას“ თავის წინასწარ შემუშავებული იდეების მიხედვით. გ. წერეთელი ეძებს ნამდვილ ისტო-

რიულ ფაქტებს, კონკრეტ მოვლენებს და მას ამუშავებს შეფარდებით ჩვენი ცხოვრების საერთო ისტორიულ ვითარებასთან; ამ კონკრეტ მასალების მიხედვით იშლება დიდი ისტორიული ცხოვრების ფონი. უკვე ცნობილია, რომ გ. წერეთელმა „ჩვენი ცხოვრების ყვავილში“ მასალად აიღო თავისი ავტობიოგრაფიული ცნობები და გაშალა იგი ბატონყმურ ფონზე; „მგზავრის წერილები“ ცნობილ კონკრეტ ისტორიულ ფაქტებზედ არის აგებული; აქ ტიპებად აღებულია ცნობილი ჩვენი მოღვაწეები, ხოლო მასალად— ცნობილი ისტორიული ფაქტები, რომლებშიაც თვით ავტორიც ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას; „გულქანშიაც“ არა ერთხელ არის გადმოცემული ჩვენი მაშინდელი (60—70-იან წლების) ცხოვრების ცნობილი ფაქტები. ბრძოლა „თერგდალეულთა“ მემარცხენე და მემარჯვენე ბანაკთა შორის, რომლის შესახებაც ჩვენ ზევით ვწერდით, „გულქანში“ თითქმის ისტორიული დეტალებით არის გადმოცემული და რაც აღსანიშნავია, სწორი ციტატებიც კი მოყავს მაშინდელ კამათიდან ცნობილ პირებს შორის (ი. ჭავჭავაძე, ნიკოლაძე). შეიძლება სხვა ნაწერების მიმართაც ასეთივე ანალიზი იქნეს გაკეთებული *). ამით მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფაქტი მტკიცდება; გ. წერეთელი თავისებური „დოკუმენტალური რომანის“ დამწყებად უნდა ჩაითვალოს ჩვენში. მაგრამ მისი „დოკუმელტალისტობა“ მაინც თავისებურია: იგი კონკრეტ მასალას ანზოგადებს, უფარდებს საერთო ცხოვრების ვითარებას და ისტორიულად აშუქებს. მას კონკრეტი ფაქტი საერთო მოვლენის გამოხატულებად მია-

*) „პირველი ნაბიჯის“ შესახებ კ. აბაშიძე სწერდა: „ყოველივე ეს გარეგანი შემთხვევა პირდაპირ მიგვითითებს ამა თუ იმ პირზედ, და ამ რომანის გამოსვლისთანავე ყველამ თითქმის ერთხმად ერთ ოჯახზედ მიიტანეს ეჭვი (იხ. „ეტიუდები“ ტ. II გვ. 63.) ეს უფლებას აძლევს კიტა აბაშიძეს გ. წერეთელს რეპორტიორი უწოდოს. ბევრად უფრო სწორად სწერდა ბელეტრისტი თეოფილე ხუსკივაძე: „გ. წერეთლის ყველა ნაწერებს ერთი დიდი ღირსება ემჩნევა. ეს შესამჩნევი ღირსება მისი გონებითი ნაწარმოებისაკ გახლავთ ჩვენი ცხოვრების ცოდნა, მისი ავისა და კარგის გაგება და ამ ღირსების ანუ ნაკლის უმეტნაკლებობით სანატრელს სინამდვილით გამოხატვა. მთელს მის ნაწერებში ისეთი ლიტერატურული სიმართლე გამოჭკამკამებს, ისეთი სინამდვილითა და ცოცხალის ფაქტებით გემუსაიფებათ, რომ უნებლიეთ წარმოიდგენთ თვალწინ ბრავალ თქვენ ნაცნობებს, რომლებისაც მხოლოდ სახელები შეცვალეთ და დანარჩენი თვისება ავტორის გმირისა ყველაფერი თქვენს წინ მდგარს ნაცნობში იქნება თავმოყრილი... ბ. გ. წერეთლის ზოგიერთ ნაწერებში კი ხშირად შეხვდებით ისეთ სცენებს ან მოვლენის აღწერას, რომელიც მრავალჯერ გვინახავს და ნამდვილ მომქმედ პირებსაც ვიცნობთ“. (იხ. თ. ხუსკივაძე: „პირველი ნაბიჯი“— გვ. 15—16, 1891 წ.)

ჩნია და ამიტომ ფაქტიდან ფართო დასკვნამდე მიდის; ილია ჭავ-ჭავაძე კი წინასწარ გამომუშავებული იდეით მიდის ცხოვრებასთან და ფაქტებს ამ იდეების მიხედვით ამუშავებს, ე. ი. თხზავს.

გ. წერეთელს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა თავის თავზე, რომ იგი, „ნამდვილი, შეუფერავი რეალიზმის“ განმმტკიცებელი იყო საქართველოში. ასეთი იყო ზოგადათ გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების ხასიათი. გ. წერეთლის მხატვრული სოფლმხედველობა და ლიტერატურული მოღვაწეობის მნიშვნელობა შეიძლება სამ მუხლში ჩამოყალიბდეს:

1. ესთეთიკის თეორიაში მან რუსეთის 60-იანი წლების ახალი აზროვნების ზეგავლენით უარყო ძველი შეხედულება და განამტკიცა ჩვენში ხელოვნების უტილიტარული თეორია, რომელიც ცხოვრების სამსახურისაკენ მოუწოდებდა ხელოვნებას. ხელოვნება არა ხელოვნებისათვის, არამედ ცხოვრებისათვის—ასეთი იყო გ. წერეთლის ესთეტიური შეხედულება. აქედან გამომდინარეობდა გ. წერეთლის მეორე შეხედულება: ხელოვნება რომელიმე გარკვეულ იდეას და პროგრამას უნდა ემსახურებოდეს, ე. ი. ხელოვნება და პოლიტიკა განუყრელად უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს.

2. ლიტერატურული მიმართულების მიხედვით—გ. წერეთელი „შეუფერავი, ნამდვილი რეალიზმის“ მიმდევარი იყო. ხელოვნებამ უნდა გამოხატოს ნამდვილი, რეალური ცხოვრება თავის ისტორიულ განვითარებაში მოცეული. მხატვარი უნდა სწავლობდეს ამ ცხოვრებას და ნამდვილ ისტორიულ ვითარების მიხედვით უნდა შლიდეს ცხოვრების ფონს. ამხრივ გ. წერეთლის მხატვრული ალღო ცხოვრების დამახასიათებელ აქტუალურ მასალებისა და თემების გამოძებნაში აუცილებლად ღირსშესანიშნავია. ამ ხაზით მას ვერავინ ვერ შეედრება. გ. წერეთელმა შესძლო ჩვენი ისტორიული ცხოვრების ვითარების გადატანა ფართო მხატვრულ ფონზე.

3. ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი მ ე თ ო დ ე ბ ი ს მიხედვით იგი სოციოლოგიურ თვალსაზრისზე დგას. გ. წერეთელი—ს ო ც ი ო ლ ო გ ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ ა დ უნდა ჩაითვალოს ჩვენში.

5

ახლა განვიხილოთ გ. წერეთლის სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური სოფლმხედველობა. ზევით ჩვენ მოვიყვანეთ თვით გ. წერეთლის მიერ დახასიათებული პროგრამა, რომელსაც გ. წერეთელი და მისი ახალი ჯგუფი ემსახურებოდა 60-იან წლებში. თავისი კლასიურ მნიშვნელობით ეს პროგრამა ბურჟუაზიული შინაარსისა

არის, მაგრამ უფრო რადიკალური და დემოკრატიული თავის მეთოდებში. ეს არც გასაკვირველია, იმ პერიოდში, როდესაც საქართველო ახლად გამოდიოდა ბატონყმურ მეურნეობის ურთიერთობიდან— დემოკრატიზმი და რადიკალიზმი ისტორიულ-ობიექტურ პირობების გამო ბურჟუაზიული შინაარსის მატარებელი იყო. ეს ცნებები იმჟამად ჯერ კიდევ განუყრელი იყო; ისინი ავსებდენ ერთი მეორეს და არსებითად ახალ საზოგადოებრივი ურთიერთობის ანარეკლს წარმოადგენდენ. გ. წერეთლის პროგრამაც ახალი ეპოქის ნაყოფი იყო და მასთანვე დემოკრატიულ და რადიკალურ მისწრაფებების მატარებელი. ეს დემოკრატიზმისა და რადიკალიზმის პრინციპები გ. წერეთელმა იმავე 60-იანი წლების რუსეთის ახალთაობის აზროვნებიდან ისესხა და თავისი დაუღალავი ენერგიით ცდილობდა ეს იდეები დაედვა ჩვენი ახალი თაობის ინტელიგენციის სამოღვაწეო პროგრამის საფუძვლად. უნდა ვთქვათ, რომ მისი რედაქტორობით გამოცემული გაზ. „დ რ ო ე ბ ა“ (1866 წ.) უშესანიშნავეს ეპოქას წარმოადგენდა ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიაში. ეს გაზეთი იყო ნამდვილი დემოკრატიული მისწრაფებების გამომხატველი, ჩვენი ინტელიგენციის რადიკალურ მისწრაფებათა გამზიდველი. 1868 წ. მისივე რედაქციით გამოცემული „ს ა ს ო ფ ლ ო გ ა ზ ე თ ი“ გაღრმავება იყო იმ პროგრამისა, რომელიც წამოაყენა განსახორციელებლად „დროებამ“; „სასოფლო გაზეთი“ პირველი პოპულარული საგლეხო გაზეთი იყო საქართველოში გამოცემული, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი გლეხის დახმარებასა და მის გონებრივ განვითარებას. 1861 წლიდან ჩვენში „გ უ თ ნ ი ს დ ე დ ა ც“ გამოდიოდა, მაგრამ ეს „სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის“ გაზეთი არსებითად მემამულეთა ორგანო იყო. გ. წერეთელმა არა მემამულე, არამედ გლეხი გაიხადა თავის სამოღვაწეო საგნად და ამ მიმართულებით მისი მოღვაწეობა მართლაც აღსანიშნავია. ჟურნ. „კ რ ე ბ უ ლ ი ს“ გამოცემით (1871—73 წ.) გ. წერეთელმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადასდგა ჩვენი ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიაში. ეს ორგანო ფაქტიური დამატება იყო გაზ. „დროებისა“ და იგი უფრო საფუძვლიანად და თეორიულად არკვევდა იმ პროგრამას, რომელიც ამ გაზეთმა წამოაყენა.

გ. წერეთლის დემოკრატიული მისწრაფება, უწინარეს ყოვლისა, ბატონყმურ წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატა. „დროების„ პირველსავე ნომერში იგი სწერდა: „იცი მკითხველო, რაში მოვიპოვე მე ჩემი სიჭაბუკე?—გლეხების განთავისუფლებაში. დიახ, იმ დროიდან, როდესაც ჩვენ დაჩაგრულ ძმებს მივეცით დიდი

ხნიდან დაკარგული სიმართლე, იმ დღიდან წარმომიდინდა ჩემი ახალი წყარო ჭაბუკობისა და შენიც უფრო ნათელი, ღონიერი და უფრო სამართლიანი წყარო ცხოვრებისა“ [1]). მეორე წერილში იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბატონყმობის მოსპობის შემდეგ ჩვენი ინტელიგენციის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს გააუმჯობესოს უმიწაწყლო გლეხის მდგომარეობა და გამოიყვანოს იგი მატერიალურ და გონებრივად ჩამორჩენილობიდან.

როგორც დავინახეთ, გ. წერეთელმა გარკვევით შეიგნო ბატონყმურ მეურნეობის რღვევის აუცილებლობა და ამ საზოგადოებრივი წყობილების შეუსაბამობა ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობასთან. მეორე მხრივ გ. წერეთელი ნათლად ხედავდა ახალი სამეურნეო პერიოდის დასაწყისს საქართველოში, ვაჭრობის, მრეწველობისა და აღებ-მიცემობის ჩქარი ტემპით განვითარებას. გ. წერეთლის სიმპატიებიც ამ მეორე პროცესისაკენ იყო მიმართული. იგი გრძნობდა, რომ ახალი სამეურნეო ცხოვრების მეთაურად ვერ გამოდგებოდა ქართველი თავად-აზნაურობა, რომ მას ახალი საზოგადოებრივი წრე უნდა გამოსჩენოდა ხელმძღვანელად. ამ წრეს გ. წერეთელი ახალ სოციალურ ფენებსა და ახალი თაობის ინტელიგენციაში ხედავს. იგი სწერდა: „ამ წოდების (თავად-აზნაურობის) ოდენი უზნეობა და ქვეყნის გამცემობა არც ერთ წოდებას არ მიუძღვის. ძველთაგანვე დაწყებული ჩვენი ქვეყანა სულ ამ ბოროტ წოდების უსამართლობით იყო დაღუპული... დროთა ვითარებამ ისინი (თავად-აზნაურობა) მშრომელი ხალხის კისრიდან გადმოასკუპა, დასვა ცარიელზედ და უთხრა.—აწ შენი ოფლითა და მკლავით იშრომევო; გაფუჭებული და ღონე გამოლეული ჩვენი თავად-აზნაურობა დარჩა ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში: შრომა იმას არ შეუძლია, სწავლა და მოხერხება არა აქვს. ამის გამო ის თანდათან ღარიბდება, საშვალება ხელიდან ეცლება და თანდათან ჰქრება მისი სახელ წოდებაც. ამ გარემოებაში მოგებული დარჩა ის უმთავრესი ნაწილი ხალხისა, რომელიც ძველთაგანვე გაჭირვებაში და შრომაში იყო გაწაფული-მომავალიც ამ ჯანით ღონიერს ხალხზე ტრიალებს და იმდენი შეგნებითი კარგი თვისებაცა აქვს, რომ მიუცილებლად ბურთი და მოედანი იმას დარჩება. მით უფრო სარწმუნოა ეს ამბავი, რომ ამ ქორფა ხალხის ნამდვილ შვილებათ და მომავლათ სთვლის, თავის თავს ის გონება გახსნილი მშრომელი ახალგაზრდა,

[1]) იხ. ფელეტონი: „მათუსალას აღსარება“,—„დროება“ № 1, 1866 წ.

რომელსაც სულ პირველად ქვეყნის ბედნიერება და მთელი ერის კეთილდღეობა აქვს წინ წამოყენებული. ამ სახით ჩვენი თავად აზნაურობის დასუსტება, დაქვეითება და მუშა ხალხის სულის ჩადგმა, იმისი წინ წამოწევა,—აი დიდად სანუგეშო ნიშანთაგანი ამ დროებისა. მაშ გაუმარჯოს მშრომელს ერს და იმის მოთავეს მშრომელს, განათლებულს ახალგაზრდობას. ჩვენი ქვეყნის ბედნიერება შემდეგში მათ ერთმანეთთან დაკავშირებაზე და დამეგობრებაზეა დამოკიდებული“ [1]).

ასეთი არის ის დემოკრატიული შეხედულებანი, რომელიც გატარებულია გ. წერეთლის 60—70-იანი წლების პუბლიცისტურ წერილებში. ბრძოლა დემოკრატიისათვის და დემოკრატიული წყობილებისათვის გ. წერეთლის პოლიტიკური აზროვნების ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ერთ ხელმოუწერელ წერილში ავტორი სწერდა: „რომელ ხალხსაც სრული თავისუფლება არა ჰქონია, იმას თავის დღეში ვერა გაუკეთებია რა ქვეყნისათვის. მაგრამ რომელი ხალხიც მომეტებულად თავისუფალი ყოფილა, ის მომეტებულად განათლებული, ბედნიერი, სამართლიანი და მოსიყვარულე ყოფილა... როგორც მცენარე ვერ აყვავდება უმზეოდ და უჰაეროდ, ისე ის (ხალხი) ვერ გაიშლება წელში, თუ თავის თვალის წინ ვერ ჰხედავს გაშლილს თავისუფლებას, სადაც ყველა კაცი თავის თავის მეფეა და იმის პიროვნებას ვერა შემოზღუდავს რა“ [2]).

ასე სწერდა გიორგი წერეთელი თავისუფლების მნიშვნელობისა და დემოკრატიზმის შესახებ 60-იან წლებში და ასეთი აზრები ფართოდ არის გატარებული მთელს მის ნაწერებში. მაგრამ მისი დემოკრატიზმი ნაროდნიკულ აზროვნების ელფერსაც ატარებს: არა მარტო ფართო მშრომელი მასისთვის სამსახური, არა მარტო ვაოის მოხდა გაღატაკებული გლეხების წინაშე, არამედ ხალხზე დაყრდნობაც და მათი საშვალებით ბრძოლა ახალ ცხოვრებისათვის, აი რაში გამოიხატებოდა გ. წერეთლის დემოკრატობა. „მგზავრის წერილში“ ავტორი სწერდა: „ხალხი ყველგან და ყოველს ჟამს მკვირცხლგონებიანია. იმის მღვიძარე გრძნობას არ დაემალება ყოველნაირი ცუდი მხარე საკუთარი ცხოვრებისა. რამდენადაც უფრო მავნებელია ერის ცხოვრებისათვის რომელიმე ქვეყნის დაწესებულება, იმდენად

---

1) ს. წერეთელი: „ამ დროის მოძრაობა“, — „კრებული“ № 3, გვ. 227—31, 1873 წ.

2) „რამოდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზე“—„დროება“ № 25, 1868 წ.

აღელვებულია იმისი აზრი, რომელიც ამ შემთხვევაში ეძებს საშუალებას, რომ ამ ცუდის დაწესებულებისაგან თავი დაიხსნას“ [1]).

მაგრამ თუ, ერთი მხრივ, გ. წერეთელის პოლიტიკური აზროვნება დემოკრატიზმისა და რადიკალიზმის გზით მიემართებოდა, მეორე მხრივ, იგი ღრმად იყო დარწმუნებული ვაჭრობა-აღებ-მიცემობისა და მრეწველობის განვითარების აუცილებლობასა და საჭიროებაში. პროცესი ჩვენი ეკონომიური განვითარებისა კაპიტალისტურ ურთიერთობისაკენ თავიდანვე გათვალისწინებული ჰქონდა გ. წერეთელს. ერთ თავის წერილში იგი სწერდა: „ჩვენი ახლანდელი სოფლებიც—გლეხი და მეპატრონე ყველანი ამჟამად ითხოვენ ფულს. ვაჭრებმა ეს შეიტყვეს და ერთ მანეთზე მანეთის სარგებელს იღებენ. ამ სახით ყოველი მიწის მუშა შეიქნა ვაჭრის მოხარჯე; ის ყოველ მანეთზე, მანეთის ხარკს ითხოვს სარგებლის სახელით. ამ სახით მიწაზე დამოკიდებული ბატონყმობა ახლა შეიცვალა ფულზე დამოკიდებულს ბატონყმობით და უწინდელი ბატონები ყველანი მის ყურმოჭრილ ყმებად ჰხდებიან. მეც რომ არ ვთქვა, ამას ყოველი მიწის მომუშავე თვითონ ფიქრობს და გრძნობს. ცდილობს ამისთანა ხიფათში თავი არ გაჰყოს, მაგრამ ვერა მოუხერხებია“ [2]). 1866 წ. ხელმოუწერელ წერილში იგი აღნიშნავდა: „ჩვენში კეთდებიან რამოდენიმე ფულის მქონებელნი პირნი მრავლის შრომით და მოღვაწეობით. ახლა ვხედავთ რომ ამ სიღარიბის გზაზე ვდგევართ და რამდენიმე დროს შემდეგ უეჭველად პროლეტარში ჩავცვივით“ [3]).

გ. წერეთელი და დიდი ნაწილი 60-იანი წლების ახალი თაობის ინტელიგენციისა თუ ერთი მხრივ ნათლად გრძნობდა რომ ვაჭრობა-მრეწველობისა და აღებ-მიცემობის განვითარება ჩვენში აუცილებელი და სასარგებლოა, მეორე მხრივ, იგი ხედავდა, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება საფრთხესაც წარმოადგენდა ხალხისათვის იმდენად, რამდენადაც ეს ურთიერთობა არღვევდა დაბალი წოდების ეკონომიურ საფუძვლებს და „პროლეტარში ჩაცვენით“ ემუქრებოდა ერის დიდ ნაწილს. ამგვარი ეკონომიურ-სოციალური შედეგების ეშინოდა ინტელიგენციას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ინტელიგენციას აფრთხობდა დასავლეთ ევროპის კაპიტალის შემოჭრა საქართველოსა და ამიერკავკასიაში იმი-

[1]) გ. წერეთელი: თხზულებანი—278. 1926 წ.

[2]) „ორიოდე სიტყვა სასოფლო ბანკების თაობაზე“,—„სასოფლო გაზეთი“, № 11, 1871 წ.

[3]) „დროება“, № 25, 1866 წ.

ტომ, რომ მისი წარმოდგენით ევროპის დაწინაურებული ქვეყნები თავიანთი ცოდნითა და ტექნიკით დაიმონებენ ჩვენს ქვეყანას და მას თავის საექსპლოატაციო ობიექტად გადააქცევენ.—ასე ფიქრობდა მაშინდელი ინტელიგენცია. იგივე გ. წერეთელი ამ საკითხის შესახებ სწერდა:

„გამოჩნდა, რომ რკინის გზა ყოფილა გამართული იმ განათლებული ხალხებისათვის, რომელთაც ნამუშევრისა და სხვა ნაწარმოების უმრავლესობა აწუხებდათ, შემოსატანი მოხერხებული გზა არ ჰქონიათ ჩვენში და თურმე რკინის გზა უნდოდათ გაემართათ, რომ შესძლებიყოთ იმათი შემოტანა და გასაღება. გამოჩნდა, რომ რკინის გზა გაკეთებულია ფულიან კაცებისა და ყოველნაირ ხელობაში გაწვრთნილ კაცებისათვის, რომელთაც მხოლოდ მასალა ჰკლებიათ თავის ქვეყანაში, მიწა ცოტა ჰქონიათ და ამის გამო, რაკი რკინის გზამ იმათ ჩვენი ქვეყნის გული გაუხსნა, ფუტკრებსავით უნდა შემოვიდენ და ყოველნაირი შეუმუშავებელი მასალა გაიტანონ, მიწები მოიპოვონ და იწყონ თავის ნახელავების მრავლება, ყიდვა და როგორც მდიდრები არიან, უნდათ კიდევ უფრო გამდიდრდენ. ამ შრომის ბრძოლაში ჩვენ რაღა შეგვიძლიან. იმათ აქვთ ფული, ჩვენ არა; იმათ აქვთ სწავლა, ჩვენ არა. იმათ იციან ყოველნაირი ხელობა, ჩვენ კი არა ვიცით-რა. იმათ აქვთ ქარხნები, ჩვენ კი არაფერი. მაშ გამოჩნდა, რომ ჩვენი რკინის გზა აპირებს ჩვენსავე ქვეყანაში უფულო, უსწავლელის, მოხელეობის უცოდნელის საქართველოს ანუ უკეთ ვთქვათ, კავკასიის ერების შებმას მდიდარ ევროპის ხალხებთან, რომელთაც აქვთ აუარებელი სიმდიდრე, საუკეთესო იარაღები, ყოველნაირი ხელობის სწავლა, დიდი მეცნიერება და ამის შემდეგ შენ თვითონ გამოიცან მკითხველო, ვის დარჩება ბურთი და მოედანი შემდეგში“ [1]).

ამგვარად საქართველოში ევროპისა და რუსეთის კაპიტალის შემოჭრაში გ. წერეთელი დიდ ეკონომიურ საფრთხეს ხედავდა და ამიტომ ეძებდა საშუალებას ამ საფრთხიდან თავის დასახსნელად. ამ შემთხვევაში იგი პრინციპიალურად კი არ ებრძოდა კაპიტალიზმსა და კაპიტალისტურ ურთიერთობას, არამედ რუსეთისა და ევროპიულ სახელმწიფოთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, კაპიტალისტურ პოლიტიკას უარყოფდა. მაგრამ როგორი საშუალებით ფიქრობდა გ. წერეთელი ევროპის კაპიტალის მავნე მხარეების წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოში, როგორი იყო ამ მხრივ მისი პრაქტიკული ღონის-

[1]) გ. წერეთელი: „საამხანაგო ბანკები“. „კრებული“ № 8-9, 1872 წ.

ძიებანი?— მისი ეკონომიური პროგრამა ეროვნული კაპიტალის განვითარებაში გამოიხატებოდა. თუ გვინდა თავიდან ავიცდინრთ სხვა ქვეყნების ეკონომიური მონობა და ექსპლოატაცია,— ამბობდა გ. წერეთელი—ჩვენ უნდა ვებრძოლოდ მათ იმავე იარაღით, როგორითაც ის გვიპირებს ჩვენ დაპყრობას. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, სწავლა-განათლებისა და მეცნიერების გავრცელება, ტექნიკის გაუმჯობესება—არის ის საშუალებანი, რომლითაც უნდა შეიარაღდეს ქართველი ხალხი და დაიცვას თავი უცხო კაპიტალის შემოტევისაგან. იმავე წერილში. გ. წერეთელი სწერდა: „მით უფრო ღრმად გვმართებს მოსაზრება, რომ როგორმე უეცრად მოვარდნილს ღვარს ჩვენი საერთო სახლ-კარის საძირკველი არ გამოვათრევინოთ; ისეთი ქვიტკირის კედლით შევიზღუდოთ თავი, რომ მაგარი ბურჯები ჰქონდეს, არ აგვატივტივოს და ქვეყნის მორევში არ ჩაგვიტანოს—ამისთანა მკვიდრი კედელი ამჟამად უნდა იყოს ფულის გაჩენა ჩვენში, რომ ყოველ კაცს ახალი საქმის დაწყებისათვის ხელი მოენაცვლებოდეს“ [1]). მეორე წერილში იგი ამბობს: „აწ რა რკინის გზა გაისხნა, იმან მიუთითა საქართველოს ტომის ვაჭარს ხალხს ხელი ტფილისზე და უთხრა: აი, შენი დედაქალაქი და საქართველოს ბურჯი გარეშე ხალხს ჩაუგდია ხელში. შენ ეს აქამდის არ იცოდი და რომ გცოდნოდა მაინც, აქამდის ვერას გაარიგებდი, აწ მიესიეთ და იჩინეთ თავი ტფილისის სავაჭრო ასპარეზე. ეხლა იქ არის ბურთი და მოედანი. დაიწყეთ ტფილისის სავაჭრო ბაზარში მიწოლა და ვაჭრობა.. ისევ თქვენ დაირჩინეთ. უამისოდ ტფილისიც სამუდამოდ დაკარგულია და ქართლ-კახეთის მიწა-წყალიც დაღუპულია... მაშინ ჩვენი ცხოვრების ნაკადულიც ძალიან გადიდდება, იწყებს წარმატებით ჩქარ დენას და კეთილდღეობაც მოახლოვებულია“ [2]).

ასე სწერდა გ. წერეთელი ნაციონალურ კაპიტალის განვითარების აუცილებლობისა და საჭიროების შესახებ. მისი ეკონომიური პროგრამა იმ პერიოდისთვის უაღრესად პროგრესიული იყო. ამ შემთხვევაში გ. წერეთელმა ღრმად განსჭვრიტა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ისტორიული კითარება და ისეთი ეკონომიური პროგრამა შეიმუშავა, რომელიც ძირეულად შეესაბამებოდა ქართველი ხალხის მოთხოვნილებებს. აქ გ. წერეთლის პირით ისტორიული სინამდვილე მეტყველებდა და იგი გამოხატავდა მშობიარობის პროცესში მყოფ

---

1) იქვე.

2) გ. წერეთელი. „ამ დროის მოძრაობა“. „კრებული“ № 3, 1873 წ.

ქართველ ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესებს. გ. წერეთელი შეგნებული წინამორბედი და მებრძოლი იყო ამ ახალი კლასისა. მისი იდეოლოგია ახალი, ბურჟუაზიული საქართველოს იდეოლოგია იყო, რომელიც ისახებოდა ახალ სოციალ-ეკონომიურ ცვლილებათა ნიადაგზე. მაგრამ რადგან ეს ახალი სოციალ-ეკონომიური ნიადაგი ჯერ კიდევ მშობიარობის პროცესში იმყოფებოდა, ჯერ კიდევ განუვითარებელი და მოუმწიფებელი იყო, ამიტომ ასეთს პირობებში აღმოცენებული ბურჟუაზიული აზროვნება და იდეოლოგია თავისებური სახის მატარებელი უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია სწორედ ის გარემოება, რომ გ. წერეთელი მხარს უჭერდა ასოციაციებსა და მეურნეობის კოლექტიურ ფორმებს. აქ მართლაც სჩანს ჯ. სტ. მილის გავლენა. გარკვეული ენით რომ ვთქვათ, გ. წერეთელი მომხრე იყო კაპიტალიზმი ჩვენში კოლექტიურ ფორმებში განვითარებულიყო, ე. ი. მას სურდა კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარებას მიეღო მშვიდობიანი და დემოკრატიული ხასიათი. ერთი მხრივ, მას აფრთხობდა ქართველი გლეხობის „პროლეტარიატში ჩაცვენის“ შიში, მასების გაღატაკება და ის უხეში მეთოდები, რომელსაც კაპიტალიზმი იყენებს თავისი განვითარების დროს; მეორე მხრივ, ევროპის ცხოვრების შესწავლით გ. წერეთელმა კარგად იცოდა, თუ როგორ დიდ სოციალურ ბრძოლებს იწვევს წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის და ჰქმნის ანარქიას კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება ამა თუ იმ ქვეყანაში. აქედან შემუშავდა გ. წერეთლის ეკონომიური პროგრამა, ასე ვთქვათ, პროგრამა დემოკრატიული კაპიტალიზმის განვითარებისა საქართველოში,—კაპიტალიზმის, რომელსაც გ. წერეთლის წარმოდგენით დაკარგული ექნებოდა თავისი მკაცრი და უხეში სახე და რომელიც კოლექტიურ-ასოციაციურ ფორმებში მოთავსდებოდა. ასეთი კაპიტალიზმი აგვაცდენს „პროლეტარიატში ჩაცვენას“ და მასში შესძლებს გაერთიანებას ჩვენი საზოგადოების ყოველი ცოცხალი ძალა: მუშა, გლეხი, ვაჭარი, მრეწველი, ინტელიგენტი და სხვა, ისიქნება უპროლეტარო კაპიტალიზმი, უფრო მშვიდობიანი და დემოკრატიული, ვინემ არის დასავლეთ ევროპაში. ასე ფიქრობდა 60—70-იან წლებში გ. წერეთელი. და მისი აზროვნება სავსებით შეესაბამებოდა მაშინდელ პროგრესიულ-რადიკალური ინტელიგენციის მისწრაფებებს; ამ პროგრამაში დემოკრატიზმიც იყო დაცული და კაპიტალიზმიც, მშრომელი ფენებიც (გლეხი, მუშა, ინტელიგენტი) და ბურჟუაზიაც; ამ პროგრამით გ. წერეთელმა შეუკავშირა დემოკრატიზმი კაპიტალიზმს, მშრომელი მასა—ბურჟუაზიას; ასე შეადუღა გ. წერეთელმა ერთ სინტეზ-

ში სხვადასხვა მოვლენები და სოციალური კატეგორიები. ასე სურდა მას დაეკარგა კაპიტალიზმისათვის ანტაგონისტური და კლასიური ხასიათი და გადაექცია იგი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესიულ ძალების გამაერთიანებელ ფაქტორად. რასაკვირველია, ასეთი პროგრამა ყალბ სოციოლოგიურ საფუძველზე იყო აგებული: კაპიტალიზმის განვითარება უკვე გულისხმობს ანტაგონისტურ-კლასიურ საზოგადოებას, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის სოციალ-ეკონომიურ ბრძოლებს; რომ ინტელიგენციის სურვილისა და აზრების მიხედვით კი არ ვითარდება კაპიტალიზმი და მუშავდება მისი ფორმები, არამედ ისტორიულ აუცილებლობით, საზოგადოებრივი ცხოვრების შინაგანი კანონებით. გ. წერეთელი, რომელიც არ იცნობდა ამ კანონებს და სუბიექტური სოციოლოგიის ნიადაგზე იდგა, ცდილობდა საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების განვითარებისათვის სასურველი შინაარსი და ფორმები მიეცა. ეს უტოპიური ცდა იყო; მაგრამ ეს ბურჟუაზიული უტოპიზმიც ახალი იდეოლოგიის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა: ამ უტოპიზმის ფორმაშიაც ნათლად სჩანდა ბურჟუაზიული პროგრამა და ბურჟუაზიული აზროვნება.

აღსანიშნავია გ. წერეთლის საბანკო პოლიტიკაც. როგორც ვიცით, ბატონყმობის მოსპობის შემდეგ დ. ყიფიანის მეთაურობით წამოყენებულ იქნა სათავად-აზნაურო ბანკების დაარსების პროექტი. ამ პროექტის მეთაურთ სურდათ გალატაკების გზაზე შემდგარი თავად-აზნაურობა ბანკების საშვალებით გადაერჩინათ სრულ განადგურებას და შეენარჩუნებიათ მათთვის ქონებრივ-ეკონომიური უპირატესობა. 70-იან წლების დასაწყისში ბანკების საკითხის გარშემო დიდი კამათი გაიმართა ქართულ პრესაში. ახალი თაობის ინტელიგენცია სხვანაირად უყურებდა ბანკის დანიშნულებას: მას არ სურდა წოდებრივ ფარგლებში მოექცია ბანკი და იგი ერთი წოდების ინტერესების დამცველად გაეხადა. გ. წერეთელს კარგად ესმოდა ბანკების მნიშვნელობა ეკონომიური ცხოვრების წარმატების საქმეში. იგი მთელი თავისი ენერგიით მხარს უჭერდა სასოფლო-სამეურნეო და „მოკლე-ვადიან სამრეწველო ბანკების წესწყობილებას". ამ საკითხშიაც გ. წერეთელი თავიდანვე დაადგი დემოკრატიულ გზას და მისი საბანაკო პოლიტიკა არსებითად შეფარდებულ იყო ჩვენი ცხოვრების სამრეწველო განვითარების საქმესთან.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსი არის გ. წერეთლის ეროვნული პოლიტიკა. 50—60—70-იან წლებში, როდესაც აღორ-

ძინება დაეტყო ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას და დაიწყო კაპიტალიზმის განვითარების პროცესი ჩვენში, გამოცოცხლება დაეტყო ბურჟუაზიულად განწყობილ ინტელიგენციის ეროვნულ მისწრაფებასაც, კლასიური ბრძოლის განვითარებასთან ერთად გაცხოველდა ინტელიგენციის ეროვნული შეგნებაც. 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ქართული ეროვნული პოლიტიკის შინაარსი რუსეთის ტახტისადმი ერთგულებასა და საქართველოსადმი სიყვარულში გამოიხატებოდა. თავად-აზნაურული ინტელიგენცია შეეზარდა რუსეთის სახელმწიფოებრივ აპარატს და მისი პოლიტიკის ერთგული დარაჯი გახდა საქართველოში. ასეთი იყო მაგ. დ ი მ. ყ ი ფ ი ა ნ ი ს ეროვნული პოლიტიკა [1]). სხვა გზას დაადგა 60-იან წლების ახალთაობის ინტელიგენციის ზოგიერთი ნაწილი. ამ ინტელიგენციის ლოზუნგი იყო ეროვნული თავისუფლების მოპოება თვითმპყობელობის დამხობის საშუალებით. იგი პრინციპიალურად არ იზიარებდა „ტახტთან“ თანამშრომლობას და მეფის ერთგულების პოლიტიკას; მისთვის მთავარი იყო ეროვნული თავისუფლების აღდგენა, როგორც გარანტია ხალხის ცხოვრების აღორძინებისა და ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოებისა. გ. წერეთლის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში ამ გზით მიემართებოდა; იგი უაღრესი დამცველი იყო ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობისა და დამოუკიდებლობის დემოკრატიულ-ფედერატიულ საფუძვლებზე. 1874 წ. ციურიხში მოწვეულ ა/კავკასიის მოღვაწეთა კონგრესზე გ. წერეთელი ატარებდა იმ აზრს, რომ საჭირო არის ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის მოპოება და შტკიცე დემოკრატიულ-ფედერატიულ საფუძველზე აშენება სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის საქმისა ამიერ-კავკასიაში [2]). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გ. წერეთელი თავიდანვე დამცველი იყო ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობისა და თანამშრომლობის. 1879 წ. იგი სწერდა: „ჩვენ საქართველოს ხალხს და იმათს დაწინაურებულს კაცებს დღეს ბაირაღზე ეს უნდა გვეწეროს: ერთმანეთთან დახმარება, ერმანეთის პატივისცემა. სამივე ერის (სომხების, ქართველების და თათრების, ს. ხ.) გულისთვის ერთად ზრუნვა, ძმური კავშირი და საერთო ძალით იმ შინაური ცუდის გასწორება, რომელიც ასე აჩერებს ჩვენს კეთილ-მდგომარეობის გზაზე წინ წასვლას... ეს სამი ტომი დღეს კავკასიის აქეთა მხარეში მკვიდრი მოსახლენი არიან, ერთმანეთის დახმარებით აშენდებიან, ერთმანეთის მტრობით

---

[1]) იხ. ჩემი ბონოგრაფია: „დიმიტრი ყიფიანი“.

[2]) იხ. Ив. Джабадари: „Процесс 50-ти“—„Былое“ № 9, 1907 წ.

კი დაიქცევიან“ [1]). ასე სწერდა ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობისა და თანამშრომლობის შესახებ გ. წერეთელი 70-იან წლებში და ამ პრინციპისათვის მას არასდროს არ ულალატნია. მისი გაგებით ამ ერთა სოლიდარობა, თანამშრომლობა და შეთანხმებული მოქმედება იყო საუკეთესო გარანტია ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის მოსაპოებლად. როგორც ვიცით, ჟურნ. „ივერია“ ი. ჭავჭავაძის მეთაურობით და ქართველი თავად-აზნაურობა ცხარე ბრძოლას აწარმოებდენ სომხობის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა არსებითად გამოხატავდა ქართველ თავად-აზნაურთა და სომხის ბურჟუაზიის კლასიურ ბრძოლას; გ. წერეთელი, როგორც ახალგაზრდა ქართველი ბურჟუაზიის წარმომადგენელი, თითქოს ვერ გრძნობდა 70-იან წლებში სომხის კაპიტალის წინააღმდეგობას; და იგი ფიქრობდა, რომ სომხისა და ქართველი ბურჟუაზია ინტელიგენციის ხელმძღვანელობით უნდა შეთანხმდენ და ერთად დაიცვან თავიანთი ეკონომიური ინტერესები.

როგორათაც არ უნდა ავხსნათ გ. წერეთლის პოლიტიკა ამ საკითხში, მაინც უნდა ვსთქვათ, რომ მას მხნეთ ეჭირა ხელში ეროვნული სოლიდარობის დროშა და თავ-გამოდებით იცავდა ამიერ-კავკასიის ერთა დაახლოებისა და დაძმობილების საქმეს [2]). ამ მხრივ მისი პოლიტიკა არსებითად განსხვავდებოდა ი. ჭავჭავაძის პოლიტიკისაგან.

6

90-იან წლებში გ. წერეთელმა ერთი მეტად საინტერესო პოლიტიკური ნაბიჯი გადასდგა: მან პოლიტიკური კავშირი დაიჭირა ახლად ჩამოყალიბებულ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებთან და ბოლოს მარქსიზმის დროშაც დაიჭირა ხელში. გ. წერეთელის ამ ნაბიჯმა ცხარე კამათი გამოიწვია მაშინდელ ქართულ პრესაში [3]) და დღესაც იწვევს ერთგვარ გაუგებრობას; მართლაც საინტერესო საკითხი არის: რა მოტივები ამოძრავებდა გ. წერეთელს ამ ნაბიჯის გადადგმის დროსა და ნამდვილად ორტოდოქსალი მარქსიზმის მიმდევარი გახდა იგი 90-იან წლებში? ამ ნარკვევში მხოლოდ მოკლედ გავცემთ პასუხს აღნიშნულ კითხვას, შემდეგში, როდესაც გამოქვეყნდება გ. წერეთლის შესახებ მონოგრაფია, იგი უფრო ფართოდ და ღრმად იქნება გაშუქებული.

---

1) გ. წერეთელი: „ჩვენ და ჩვენი დროება“,—გაზ. „დროება“ № 16, 1879 წ.

2) იხ. მისი წერილი: „ქართველობა და სომხობა“—„კვალი“ № 15, 17, 21, 1893 წ.

3) იხ. ლალისა და ა. ნა-ლის წერილები—1894—95 წლის „ივერიასა“ და „მოამბეში“.

90-იან წლები ჩვენ უახლოეს ისტორიის პერიოდში უშესანიშნავეს ხანას წარმოადგენს. ამ ეპოქაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ უკვე საგრძნობ დონეს მიაღწია. მთელი ამიერკავკასია კაპიტალისტური განვითარების მორევში მოყვა და მის მიერ გამოწვეული შესაფერისი ცვლილებების ნაყოფი უკვე საგრძნობი შეიქმნა.

კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას თან მოჰყვა პროლეტარული კლასის ჩამოყალიბება, რომელთა მოწინავე კოლონები უკვე გამოვიდენ სამოღვაწეო ასპარეზზე. ამრიგად 90-იანი წლები იმითაც არის შესანიშნავი, რომ საგრძნობლად ამოძრავდა ჩვენი ცხოვრების ყველაზე უფრო მოძრავი საზოგადოებრივი ფენები; ამასთანავე ცხოვრების ახალ დულილში, ახალი იდეოლოგია და ახალი აზროვნება ჩამოყალიბდა; პროლეტარული ფენების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლასთან ერთად საქართველოს ნიადაგზე საფუძველი ჩაეყარა მარქსისტულ მიმდინარეობასაც. ხოლო ამ მიმდინარეობის ჩამოყალიბება ნიშნავდა ცხარე იდეოლოგიური ბრძოლის გაჩაღებას სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის. მეორე მხრივ დეკადანსი დაიწყო ძველ ნაროდნიკულ იდეოლოგიაში: 70-იან წლებში ამოძრავებული წვრილი ბურჟუაზიული ინტელიგენცია დამარცხდა იდეოლოგიურადაც და ფაქტიურადაც, მან ვერ შესძლო ცხოვრების თავისი პრინციპებისა და პროგრამის მიხედვით გარდაქმნა; კაპიტალიზმის განვითარება უფრო მძლავრი აღმოჩნდა, ვინემ ნაროდნიკების სამოღვაწეო პროგრამა; ახალთაობის წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენცია ცდილობდა ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებების ახალი თვალსაზრისით შეფასებას და ახალი იდეოლოგიის შემუშავებას. აქედან წარმოსდგა ამ წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაწილის მარქსიზმით გატაცება.

90-იან წლების კარი ორმა დიდმა ისტორიულმა ფაქტმა შემოაღო: ერთი—ბათომის მუშების გრანდიოზულმა გაფიცვამ 1890 წელს და მ ე ო რ ე—1892 წელს მარქსისტების პირველმა კრებამ ე. ნინოშვილის მეთაურობით ყვირილაში, ე. ი. მარქსისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბებამ. ბოლოს ამ ორ ფაქტს შორის უნდა მომხდარიყო სრული შეთანხმება, მათი დაკავშირება, რადგან მარქსიზმისა და მუშათა კლასის შეუღლება ისტორიული ცხოვრების აუცილებელი კანონია. რასაკვირველია, ჩვენი ცხოვრების ვითარებაც ვერ ასცდებოდა ამ კანონს. თუ ერთი მხრივ მარქსისტული ინტელიგენცია ჯერ ფარულად და შემდეგ ლეგალურად გაზეთებში გაცხარებულ მუშაობას აწარმოებდა მარქსისტულ პრინციპების დასაცავად, მეორე მხრივ,

მუშათა მოძრაობაც ისახებოდა და ამ სახით ორი საზოგადოებრივი ფაქტორი — მარქსისტული იდეოლოგია და მუშათა ფენები და მათი ორგანიზაციები შემდეგში შეკავშირებულად უნდა გამოსულიყო სამოღვაწეო ასპარეზზე.

გ. წერეთელს წილად ხვდა ამ ორი დიდი ფაქტის მშობიარობის პროცესის ახლო მეთვალყურე გამხდარიყო და შემდეგ მათი მზრუნველობაც ეკისრა.

ცნობილი არის გ. წერეთლის დამოკიდებულების ფაქტები ახალგაზრდა ს.-დემოკრატიულ ინტელიგენციის პირველ მეთაურებთან.

ბათომის მუშათა ამ პირველ მნიშვნელოვან გაფიცვას თვით გ. წერეთელიც ეხება ერთ თავის წერილში. ამ გაფიცვასთან რამდენადმე კავშირი ჰქონდა თვით გ. წერეთელსაც. ავტორი აღნიშნავს, რა, რომ „ამ დროს როტშილდის ქარხანაში მუშაობდა რვა ათასი კაცი ყოველ დღე“, შემდეგნაირად გადმოგვცემს აღნიშნულ გაფიცვის ვითარებას:

„1890 წლის მარტის თვეში ბათომში როტშილდის მუშებმა — ხუთასმა კაცმა — შეჰკრეს პირი და მუშაობას თავი დაანებეს, რადგან ქარხნის გამგებელმა ბ-ნ ზროდლოვსკიმ ქირა გაუნახევრა, ვითომაც იმ გარემოების მიხედვით, რომ კეროსინის ფასმა იკლო საზღვარგარეთო. ვისაც მანეთი ეძლეოდა, ათშაურზე ჩამოიყვანეს და ვისაც ორი მანეთი — ექვს აბაზზე. მუშები იყვენ სულ იმერეთ-სამეგრელო-გურიიდან. ისინი ემუქრებოდენ ზროდლოვსკის ცემას. ამან მიაშურა მაშინვე ბათომის სამხედრო გამგებელს, ნ. ერისთავს, რომელმაც ფიცხი განკარგულება მოახდინა: თუ მუშები არ დაიწყებენ კვლავ მუშაობას, პოლიციის ეტაპით უნდა განდევნილ იყვენ თავიანთ ქვეყნებში, ხოლო მუშების ამბუნტებელ მეთაურებს ეძებდენ დასაჭერათ. ამ დროს ქართველი მუშების არტელის დასაარსებლათ ვიყავით მიწოდებული ბათომში, და ასე, წირვის დრო იქნებოდა, რომ როტშილდის ქარხნის მუშები ერთიანათ შემოვიდენ ჩემი არტელის კანტორაში და მთხოვეს შუამდგომლობა გამეწია სამხედრო გუბერნატორის თანაშემწესთან, თ. ნ. ერისთავთან, როგორც ქართველ კაცთან. ისინი თხოვდენ მას პატრონობას როტშილდის ქარხნის უფროსის ზროდლოვსკის მიერ შევიწროებისაგან... მე მაშინვე წავყევი თ. ნ. ერისთავთან, რომლის სახლის წინ გამოჭიმული იყვენ რამდენიმე პოლიციის ბოქაული და დარაჯები. მუშა ხალხი სახლის გალავნის გარეთ დადგა და მე შევედი თ. ერისთავთან მოსალაპარაკებლათ. ის ძალიან ცუდ-გუნებაზე დამხვდა და ჩემ კითხვაზე საშინელი ლანძღვა

ბინებით მოიხსენია იმერელი მუშები: ვინც დღეს და ხვალ ბათომიდან არ წავა, ყველას სატუსაღოში ჩავყრიო... მე თქვენ გთხოვთ თავი დაანებეთ მაგათ პატრონობას, თორემ თქვენი მუშის არტელიც გაუქმდება და თქვენც მთავრობის წინაშე შენიშნული იქნებითო— მითხრა მან წყრომით... ყველა მიხვდა, რასაც მაშინ ჩემი გული გრძნობდა. მუშებს ვუთხარი, ცუდათ არის საქმე მეთქი, ჰსჯობია ისევ შინ წადით და თოხს მოკიდეთ ხელი, თვარა აქ ყველას დაჭერას გიპირებენ-მეთქი* [1]).

ასე მოხდა პირველი შეხვედრა გ. წერეთლისა ამოძრავებულ პროლეტარულ მასებთან. ერთი მხრით, მას როგორც, მუშათა არტელის გამგეს, საშვალება ჰქონდა ახლო გასცნობოდა ქართველ პროლეტარიატის ეკონომიურ მდგომარეობას, მეორე მხრივ, იგი უშვალო მეთვალყურე გახდა პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ-მ ა ს ი ურ მ ო ძ რ ა ო ბ ი ს, პირველ კოლონების გამოსვლისა ბრძოლის სარბიელზე. საქართველოს ა მ ო ძ რ ა ვ ე ბ უ ლ ი მ ა ს ა, ალბად, პირველად იხილა გ. წერეთელმა. იმავე წერილში იგი სწერს: „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ხ ა ლ ხ ი, ე ს უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ე რ ი ს ა, რ ო მ ლ ი ს ა გ ა ნ ა ც ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო მ ო ე ლ ი ს თ ა ვ ი ს ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ა ს, უ კ ვ ე შ ე ძ რ უ ლ ა დ ა მ ა ს ში დ ა ბ ა დ ე ბ უ ლ ა უ კ ე თ ე ს ი ე რ ო ვ ნ უ ლ ი დ ა ე კ ო ნ ო მ ი ურ ი ი დ ე ა ლ ე ბ ი“ [2]). აი, ამ ახლად ამოძრავებულ საქართველოს უმრავლესობის გამოყენებას ცდილობდა შემდეგში გ. წერეთელი თავისი მიზნებისათვის. ეს ფაქტი აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული.

1893 წ. გ. წერეთლის მეთაურობითა და მისი უახლოესი თანამშრომლობით დაარსებული იქნა ახალი პროგრესიულ-დემოკრატიული ორგანო „კ ვ ა ლ ი“, რომელშიაც დაარსებიდანვე თავი შეაფარა ახალგაზრდა მარქსისტულმა ინტელიგენციამ (ე. ნინოშვილი, ხომლელი, ნ. ჟორდანია, ფ. მახარაძე და სხვ.). შეიძლება ითქვას, რომ გ. წერეთელი თავიდანვე თანაგრძნობით შეხვდა ამ ჯგუფს და შეძლებისდაგვარად გაუხსნა თავისი ჟურნალის კარები. მაგრამ გ. წერეთელი მარტო თანამშრომლობით არ კმაყოფილდებოდა, იგი ცდილობდა იდეური ნათესაური კავშირიც გამოეძებნა ახალ მიმდინარეობასთან. უკვე ერთი წლის შემდეგ, 1894 წ. ე. ნინოშვილის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვების შესახებ გ. წერეთელი სწერდა: „ერთი რამ შესანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა ნინოშვილის დასაფლა-

1) გ. წერეთელი: „ეგნატე ინგოროყვა“, (წიგნში: „ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა“) გვ. IX—XII, 1895 წ.

2) გ. წერეთელი: „ეგნატე ინგოროყვა“ (წიგნში „ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა“ 1895 წ.) გვ. XVIII.

ვებაზე. მის კუბოს გარს შემოკრბენ, ასე ვსთქვათ, მესამე დასი ახალ-გაზრდობისა, ესე იგი სულ უკანასკნელი წლების თაობა—ისინი რომელნიც გამოსულან ასპარეზზე მეოთხმოც-და-ათე წლებიდან. ნამდვილი ამათი მოთავე, ამათი სახელი და ამათი იმედი ყოფილა ნინოშვილი, რომლის ნაწერებშიაც ბრწყინავს ეს მესამე დასი, ახალ-გაზრდობის სულის მისწრაფება და მათი მოქმედების პროგრამა მომავალში. ისინი უარს ჰყოფენ ძველ ჩვენ ინტელიგენტებს—მეთაურებს და მათი მოქმედება უკვე მავნებლად მიაჩნიათ ჩვენი საზოგადოების წარმატებისათვის... ამ დასში არიან მრავალი სოფლის მასწავლებელნი, გონება-განვითარებული სემინარიელნი, სამოსწავლო ინსტიტუტში კურს-დასრულებულნი და მეოთხმოცდა-ათე წლების ზოგიერთი სტუდენტობა. ნინოშვილის კუბოზე პირველად წარმოსთქვეს მათ თავისი პროგრამა მოქმედებისა და თითქმის რაზმად დაეწყვენ, რომ ხალხში შეიტანონ განათლების შუქი და ზურგი შეაქციონ იმ ინტელიგენციას, რომელიც დღეს თავს იხრჩობს ბანკისა და ქალაქის არჩევნებში. ამ მესამე დასმა საგნათ აირჩია ისეთი მოქმედება, რომ გაუნათლებელს ხალხში მოჰფინოს წერა-კითხვა, შეიტანოს მეცნიერებისაგან გამორკვეული ნათელი აზრები, მკვირცხლად ადევნოს თვალი მსოფლიო ცხოვრების მიმდინარეობას და არავითარი შემთხვევა არ გამოეპაროს მსოფლიო ცხოვრების მოძრაობაში მისთანა, რაც კი სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს და წინ წააყენებს მის ბედიღბალს. ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ ამ დასში ყველა თავგანწირულები არიან, რომელთაც არავითარი სიმდიდრე არ აინტერესებს და მზად არიან ძაძით-შემოსილნი ემსახურონ ხალხს და ეცადონ მის გამოფხიზლებას; ესენი არიან სულ ახალგაზრდანი, გონგბრივი ღონით სავსენი... არც ერთი მუხლი იმათ (მესამე დასელების) პროგრამისა არ ეწინააღმდეგებოდა იმ აზრებს, რომელიც გამოარკვია გ. წერეთელმა ნინოშვილის კუბოს წინაშე წარმოთქმულ სიტყვებში" [1]). კიდევ ერთი წლის შემდეგ გ. წერეთელი სწერს: „კვალის" მეთაურებმა უარყვეს პირველი დასის (ნაროდნიკების) შეხედულება და მეორესაც („ივერიის"), რადგან ორივენი იყო ცალ-კერძო და უსულო... ამისათვის „კვალი" დიდის სიხარულით და აღტაცებით მიეგება ამ ახალ გზაზე მოსიარულე მესამე დასს, რომელმაც უარჰყო წოდებათა განკერძოება და მათზე მზრუნველობა. იმან გამოაცხადა საგნათ თავის ზეგავლენის მთელი საქართველოს ერი, რომელიც მარტო გლეხკაცობა, ან მარტო თავადაზნაურობა კი არ არის,

1) იხ. „კვალი", № 21, 1894 წ. წერილი: „ეგნატე ინგოროყვას გასვენება", დამსწრესი (გ. წერეთლის).

არამედ ეს არის შეკრებულობითი არსება, რომელშიც გლეხიც არის, თავად-აზნაურობაც, მღვდელიც, ვაჭარიც, მოხელე და მოქირავე ყმაც" [1]). ასე ესმოდა გ. წერეთელს ახალი დასის—რომელსაც მან პირველად უწოდა „მესამე დასი"—პროგრამის შინაარსი. უდავოა, რომ პირველ ხანებში გ. წერეთელი სრულიად გაურკვეველი ყოფილა ახალი დასის იდეოლოგიასა და სამოღვაწეო პროგრამაში. ისიც უდავოა, რომ იგი თავიდანვე ცდილობდა ეს ახალი დასი გადმოებირებია თავის მხარეზე, თავისი პროგრამისა და იდეოლოგიის მატარებელი გაეხადა.

ამრიგად გ. წერეთელმა 1893 წლიდან შეიხიზნა თავის ორგანოში ახალი მარქსისტული მიმდინარეობა და ცდილობდა ამ დასსთან იდეოლოგიურ-პოლიტიკური კონტაქტი დაემყარებია თავისივე პრინციპიალურ მოსაზრებათა საფუძვლებზე. მაგრამ შემდეგში ჩვენ სხვაგვარ მდგომარეობასთან გვაქს საქმე: მარქსიზმი უფრო მძლავრი აღმოჩნდა ვინემ გ. წერეთლის აზროვნება; ახალგაზრდა მარქსისტები უფრო მტკიცე და შეურყეველნი აღმოჩნდენ თავიანთ პრინციპიალურ შეხედულებაში, ვინემ თვით გ. წერეთელი. აქედან ჩვენ მივიღეთ შემდეგი ფაქტი: თვით გ. წერეთლის გადახრა მარქსიზმისაკენ; იგი იძულებული შეიქნა ახალგაზრდა დასს დასთანხმებოდა, დამორჩილებოდა და ბოლოს (1898 წ.) თავისი ორგანოც მათთვის გადაეცა. იგი უკვე მარქსისტული ენით ლაპარაკობს და სწერს: 1896 წ. გაზ. „ივერიის" საპასუხოდ იგი სწერდა: „მარქსის თეორიას ეკონომიური მატერიალიზმისას პოლიტიკი-ეკონომიურ მეცნიერებაში იგივე ადგილი უჭირავს რაც დარვინის თეორიას ბუნების მეცნიერებაში და ბიოლოგიაში. ეს არის უკანასკნელი მეცნიერული დასკვნა პოლიტიკოეკონომიაში და სოციოლოგიაში" [2]).

ასეთი გზით განვითარდა გ. წერეთლის აზროვნება 90-იან წლებში.

აქ შეიძლება ერთი პატარა პარალელი გავიყვანოთ. ისე, როგორც გ. წერეთელმა 90-იან წლებში შეიხიზნა ახალგაზრდა დასი თავის ორგანოში, მსგავსადვე ი. ჭავჭავაძემ უკვე 80-იან წლებიდან ფართოდ გაულო გაზ. „ივერიის" კარები ნაროდნიკული მიმდინარეობის წარმომადგენლებს საქართველოში (ნ. ხიზანიშვილი, ს. ჭრელაშვილი, გ. ყიფშიძე, მ. მაიაშვილი, ა. ნანეიშვილი, გ. ლასხიშვილი, ვ. წერეთელი და სხ.). ამიტომ არის რომ გაზ. „ივერია"-ს ფურც-

[1]) გ. წ ე რ ე თ ე ლ ი: „კვალის ორი წლის ნაღვაწი". № 5, 1895 წ.

[2]) გ. წერეთელი: გაზ. „ივერია" და მისნ საპოლემიკო ხასიათი"—„კვალი" 1899 წ.

ლებზე ხშირად შეხვდებით ნაროდნიკული შინაარსის წერილებს, მაგრამ ილ. ჭავჭავაძემ შესძლო ამ თავისი შეხიზნულთა დიდი ნაწილის (ხიზანაშვილი, ყიფშიძე და სხვ.) თავისებურად გადახარშვა, თავის აზროვნებაზე გადაყვანა, „ივერიი"-ს პროგრამის საფუძველზე მათი აღზრდა, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც არ დაემორჩილა მას, გასცილდა „ივერიას". გ. წერეთელი კი ჩაითრია თავის მოძრაობაში ახალმა დასმა და თავისი მიმდევარი გახადა, ილ. ჭავჭავაძე კი უფრო მტკიცე აღმოჩნდა, მან თვით ჩაითრია ქართველი ნაროდნიკები და თავისი მიმდევარი გახადა. ეს პროცესი ისტორიულად გასაგებია: თავი რომ დავანებოთ წმინდა სუბიექტურ მომენტებსა და ი. ჭავჭავაძისა და გ. წერეთლის აზროვნებათა დახასიათებას, ისტორიულ-ობიექტური თვალსაზრისით აქ შემდეგ პროცესთან გვქონდა საქმე: ნაროდნიკობა გამოხატავდა წვრილ ბურჟუაზიის მისწრაფებას და მისი იდეოლოგია და პროგრამა უკვე აღარ შეესაბამებოდა ისტორიული ცხოვრების განვითარებას; იგი საგრძნობ კრიზისს განიცდიდა როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც და გადაშენების გზაზე იდგა; ნაროდნიკობა ან უნდა გალიბერალებულიყო და ამით უარეყო თავისი თავი ან მარქსიზმისაკენ უნდა გადახრილიყო და პროლეტარულ მოძრაობას შეერთებოდა, ან ახალი სამოღვაწეო პროგრამა შეემუშავებია. ნაწილი ქართველ ახალგაზრდა ნაროდნიკების ამ უკანასკნელ გზას დაადგა; ამ მიმდინარეობიდან შემდეგში ჩვენ მივიღეთ ე. წ. „სოციალ-ფედერალიზმი"-ს მოძღვრება საქართველოში. მეორე ნაწილი გალიბერალდა და შეუერთდა „ივერიის" მიმდინარეობას. ხოლო მესამე ნაწილი ახალგაზრდა ნაროდნიკებისა მარქსიზმის მიმართულებით წავიდა. აქედან წარმოიშვა ს.-დემოკრატიული მიმდინარეობა ჩვენში. ცხადია, რომ ნაროდნიკების ნაწილის „ივერიის" ბანაკში გადასვლა ი. ჭავჭავაძის პირად პოლიტიკას კი არ მიეწერებოდა, როგორც ამას ფიქრობდა ნ. ჟორდანია[1]), არამედ იგი ისტორიულ-სოციალური აუცილებლობით იყო გამოწვეული. ნაროდნიკული მოძრაობა ლამარცხდა ჩვენში; მისი იდეოლოგიური და პრაქტიკული საქმიანობა არსებითად ეწინააღმდეგებოდა ჩვენი ცხოვრების საერთო ვითარებას. აქედან წარმოიშვა ნიადაგგამოცლილი ძველი მიმდინარეობის კრიზისი და მისი დაშლის პროცესი; ამიტომ წვრილ ბურჟუაზიის ნაწილმა თავისუფლად შესცურა ლიბერალიზმის ტბაში.

სულ სხვა გვარი ისტორიული როლი ჰქონდა დაკისრებული ქართულ მარქსისტულ მიმდინარეობასა და მის ორგანიზაციას. იგი ჯერ

[1]) იხ. ნ. ჟორდანია: „ქართული პრესა", 1900 წ.

კიდევ თავის წარმოშობისა და ზრდის პროცესში იმყოფებოდა, ხოლო მისი მოღვაწეობა, იდეოლოგია და პროგრამა სავსებით შეესაბამებოდა ისტორიული ცხოვრების ვითარებას, ახალი სოციალური კლასის—პროლეტარიატის ინტერესებსა და მისწრაფებებს. ცხადია ამ მიმდინარეობის მთლიანად გადაყვანა ნაციონალურ-დემოკრატიულ ნიადაგზე შეუძლებელი იყო და ეს ვერც გ. წერეთელმა შესძლო. ასეთი შესაძლებლობა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას ეწინააღმდეგებოდა. გ. წერეთელი თვით გახდა ამ ახალი დასის მიმდევარი, იგი თვით ჩაითრია ახალმა ძალამ თავის მოქმედების ფერხულში.

მაგრამ აქ კითხვა იბადება: რამდენად შესძლო გ. წერეთელმა მარქსისტული მოძღვრების შეთვისება? ნუ თუ იგი მართლა გახდა მეცნიერული სოციალიზმის მიმდევარი და ორტოდოქსალი მარქსისტი? ეს საკითხი მეტად საინტერესოა თავის მნიშვნელობით. ჩვენს წიგნში „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ უკვე ვუპასუხეთ ამ კითხვაზე.[1]) ჩვენ მაშინ ვამბობდით, რომ გ. წერეთლის გადახრა მარქსიზმისაკენ 90-იან წლებში არსებითად გამოხატავდა რადიკალურ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ცდას გამოეყენებია თავისი კლასის ინტერესებისათვის, როგორც მარქსისტული მოძღვრება, ისე მუშათა კლასი და ს.-დემოკრატიული ორგანიზაციები. გ. წერეთელი ახლად წარმოშობილ დასსა და მარქსიზმს დაუახლოვდა, როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგი; მის სამოღვაწეო პროგრამაში არსებითად არავითარი ცვლილება არ მომხდარა, ამ მხრივ იგი ცდილობდა მარქსიზმისათვის წმინდა ბურჟუაზიული შინაარსი მიეცა, პროლეტარული იდეოლოგია შეეცვალა ბურჟუაზიული იდეოლოგიით. 1895 წ. „კვალის“ ორი წლის მოღვაწეობის შეფასების დროს გ. წერეთელი სწერდა: „ჩვენ უნდა გავხსნათ ჩვენი საკუთარი სამრეწველო და სამეურნეო ბანკები. უნდა დავაარსოთ სამეურნეო და სამრეწველო ასოციაციები, უნდა ვისწავლოთ ვაჭრობა და აღებ-მიცემობა. გავხსნათ ჩვენივე საკუთარი მოთხოვნილების დუქნები“[2]). ასეთი ეკონომიური პროგრამის დამცველი ბოლომდე დარჩა გ. წერეთელი, ხოლო ეს სხვა არაფერი არ არის, თუ არა ბურჟუაზიული პროგრამა; იგი მფარველობით და მზრუნველობით ეკიდებოდა „ახლად აღორძინებულ ვაჭარ-მრეწველთა კლასს“. ამ პროგრამიდან არ შეეძლო გადახვევა

---

[1]) სიმონ ხუნდაძე: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“. ტ. II, გვ. 271—76.

[2]) გ. წერეთელი: „კვალის ორი წლის ნაღვაწი“—„კვალი“ № 3, 1895 წ.

გ. წერეთელს და არც სურდა გადახვევა: იგი სწორედ ბურჟუაზიულ კლასში, ხედავდა ჩვენი ცხოვრების მამოძრავებელ ფაქტორს, მის მოწინავე ძალას. ამრიგად გ. წერეთლის მარქსიზტობა საეჭვო ხასიათის არის: მან მარქსიზმიდან მიიღო ის, რაც გამოსაყენებელი იყო ბურჟუაზიისათვის საქართველოში, კაპიტალისტური წარმოების განვითარებისათვის. ამ სახით თუ განვიხილავთ გ. წერეთლის მოღვაწეობასა და აზროვნებას 90-იან წლებში, უნდა ვსთქვათ, რომ იგი ე. წ. „ლეგალური მარქსიზმის“ თავისებური სახის მატარებლად უნდა ჩაითვალოს ჩვენში. როგორც ვიცით, იმავე 90-იან წლებში რუსეთშიაც ბურჟუაზიული ინტელიგენცია (სტრუვე, ტუგან-ბარანოვსკი და სხ.) შეეცადა თავისებურად შეეთვისებია მარქსიზმი: ამით რუსეთში საფუძველი ჩაეყარა „ლეგალურ მარქსიზმის“ მიმდინარეობას, რომელიც გარეგანი ფორმით იყო მარქსიზმის მიმდევარი, არსებითად კი ბურჟუაზიულ მისწრაფებებს გამოხატავდა. იმავე კლასიურმა საფუძველმა ჩვენშიაც მიიყვანა ბურჟუაზიული ინტელიგენცია მსგავს მოვლენამდე' სრულიად დამოუკიდებლად რუსეთის „ლეგალური მარქსიზმისა“— ჩვენში გ. წერეთელმა, როგორც დავინახეთ, სცადა მარქსიზმის შეუღლება ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, მაგრამ ასეთი ცდა მარცხით დამთავრდა. მაგრამ თვით ეს ცდა საინტერესო იყო იმდენად, რამდენადაც იგი გამოხატავდა პროგრესიული ბურჟუაზიული ინტელიგენციის ძიებას, ბრძოლასა და მისწრაფებებს.

* * *

ამით შეიძლება დავამთავროთ გ. წერეთლის აზროვნების განვითარების მოკლე მიმოხილვაც. ამ წერილში ჩვენ შევეცადეთ მოგვეცა გ. წერეთლის შემოქმედებისა და სოფლმხედველობის მხოლოდ მთავარი კონტურები. როგორც დავინახეთ, იგი ერთობ ნაყოფიერი და მრავალფეროვანი მწერალი და მოღვაწე იყო. გ. წერეთელი ერთ-ერთი საინტერესო ფიგურა იყო „სამოციანელთა“ შორის. მისი მოღვაწეობა ჩვენი ისტორიული ცხოვრების ახალი ეპოქის ვითარებას შეეხება ქრონოლოგიურად, და მან ყველაზე უფრო მკაფიოთა და ნათლად ასახა ის პროცესი, რომელიც სწარმოებდა საქართველოს სოციალ-ეკონომიურ წყობილებაში. თავისი იდეოლოგიით, პრაქტიკული პროგრამითა და მოღვაწეობით იგი გამოხატავდა აღორძინების პროცესში მყოფ ახალი სოციალური კლასის—ბურჟუაზიის ინტერესებს. თავისი ეპოქისათვის გიორგი წერეთელი უაღრესად პროგრესიული, დემოკრატიული და რადიკალურად მოაზროვნე პიროვ-

ნება იყო. თავისი ხანგრძლივი ლიტერატურული და პუბლიცისტური მოღვაწეობით გ. წერეთელმა მეტად საგრძნობი წვლილი შეიტანა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებისა და წარმატების საქმეში.

გ. წერეთელი თავისი ეპოქის შვილი იყო და მისი აზროვნებაც და პრაქტიკული მოღვაწეობაც ამ ეპოქის მიხედვით უნდა იქნეს შეფასებული. მაგრამ ის, რაც საინტერესო და პროგრესიული იყო მაშინდელ პერიოდისათვის,—სრულიად გამოუსადეგარი და მიუღებელი ხდება ჩვენი ეპოქისათვის. მაშინდელი ეპოქის ძირეული ამოცანები კაპიტალისტური ურთიერთობის ინტერესებითა და ჩვენი ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესებით იყო გამოწვეული. ამ ეპოქის მამოძრავებელი კლასი ბურჟუაზია იყო, ხოლო მისთვის იდეოლოგიურად მებრძოლი—ბურჟუაზიული ინტელიგენცია. მაგრამ ეს ეპოქა ახლა უკვე გავლილია და ჩვენი ცხოვრების მესაჭედ მუშათა კლასი გამოვიდა: ჩვენი ეპოქის ამოცანები სოციალისტური მეურნეობისა და სოციალისტური კულტურის ძირეული ინტერესების მიხედვით მუშავდება. ამ ეპოქისათვის გ. წერეთლის საზოგადოებრივი აზროვნება და სოციალ-პოლიტიკური იდეალები გამოუსადეგარია. მაგრამ გ. წერეთელი არა მარტო პოლიტიკური მოღვაწე და რადიკალურ-ბურჟუაზიულად მოაზროვნე მწერალი იყო—იგი იმავე დროს დიდი მხატვარიც იყო, რომელმაც თავისი სკოლაც შეჰქმნა ჩვენს ლიტერატურაში და თავისებურად ასახა ჩვენი ცხოვრების მაშინდელი ვითარება. გ. წერეთლის ლიტერატურული თეორია, მისი სოციოლოგიური მიდგომა მასალისადმი, მისი ლიტერატურულ მხატვრული ხერხები და ტიპების დამუშავების მეთოდები და სხვა—ძვირფასს მემკვიდრეობას წარმოადგენს თანამედროვე პროლეტარულ კულტურისა და ლიტერატურის - მცოდნეობისათვის. გ. წერეთლის ამ ლიტერატურულ მემკვიდრეობიდან ბევრი რამ შეუძლია მიიღოს და გამოიყენოს თანამედროვე პროლეტარულმა მწერლობამ. რასაკვირველია, აქ მექანიკურ „მიღებაზე“ კი არ არის ლაპარაკი, არამედ კრიტიკულად შეთვისებაზე.

სამწუხაროდ, გ. წერეთლის სკოლა და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა არავის შეუსწავლია წმინდა მარქსისტული თვალსაზრისით.

დრო არის ქართული კულტურისა და ლიტერატურის ეს ენერგიული მუშაკი თავისი ნამდვილი ისტორიული სახით იქნეს შეფასებული.

ბიოლოგი წერეთელი

პუბლიცისტური წერილები

1863—1868

1863

„ცისკარს“ რა აკაკანებდა?

„ცისკარი“ იანვარს აქეთ რაღაც ერთობ დატკბა. ანჩხლობის მაგიერად თითქო ყველას ია და ვარდს აფენსო... მეტად გაგულკეთილდა!.. წარმოიდგენდით, მკითხველო, თუ როდესმე „ცისკარი“ იმ გაბასრებულ ჩხუბის შემდგომ ასე დამშვიდდებოდა? ახლა შეხედეთ! თითქო ბუღალსაც ვერ გააღვიძებსო!—ასე გასინჯეთ: საზოგადოებასაც თავს აბრალებს ვითომც ვისმე შეევიწროებინოს. რას თათბურებ „ცისკარო“? ან ვის კალთაში ლამი თავის დადებას? ვინ შეგავიწროვა?.. რომ შენთვის ჯერ კაცს ხმა არ გაუცია? და მართლა რომ კიდევაც ვინმემ ხმა გაგცეს, განა უნდა საჩივლელად წახვიდე? შენ შენი აზრები გაქვს, რომლების დაცვაც ყოველ წინააღმდეგ აზრისგან უკანასკნელ სისხლის ცვარამდინ გმართებს, მაგრამ მხოლოდ შენის გონებით და მსჯელობის ძალით და არა სხვის მოხმარებით. მსჯელობა ყოველთვის თავისუფლებას ეძებს და ყოველი გვარი მფარველობა მას სიკვდილივით სძაგს. ან იქნება მართლა შენ გინდოდეს გუგულსა და მამალსავით მოიქცე?.. „გუგულო, რისთვის აქებ მამლის ყივილსაო?“—„მიტომ რომ მამალი ჩემს ხმას აქებსო“. ვინ არ მიხვდება, ჩემო „ცისკარო“, რომ „ცისკრის“ აგრეთი ქცევა უფრო სულმოკლე სიმხდალის ნიშანია, რომ როგორმე დამოკლესის მახვილი აიცდინოს და არა იმ სულგრძელ მოქმედების შედეგი, რომელიც აღიძვრის ყოველ კეთილშობილ გულში, როდესაც მას შეაგონებენ მისს შეცდომაებს.—მით უფრო მაგითი პირს ვერ აგვახვევინებ, რომ მაინც დაწვლილებით არ განვიხილოთ საზოგადოების წინ შენი ექვსი წლის ნაღვაწი, რომლითაც ყურებს გვიყრუებ. ვერც იმას მოგვაშლევინებ არა ვთქვათ, რომ ყოველი ფაქტი, საზოგადო გონიერების წინ წაწევის დასამტკიცებლად აღმოჩენილი, რაგინდ რომ თავისთავად სასარგებლო იყოს, მაინც გაივლის უნაყოფოდ ცხოვრებისათვინ, როდესაც ეს ფაქტი დაფუძნდება მრუდე დასაწყისებზედ,—თავად ის საშუალობა, რომლითაც მიუკილებლად საზოგადოების გონებითი ხსნა ყველაზედ მსწრაფლად წინ უნდა წაწეულიყო, როდესაც მას არ უჭირავს თავისი ადგილი ცხოვრებაში, წავა სრულად

უნაყოფოდ, როდესაც ხალხის სიტყვა, რომლის გამომთქმელადაც უნდა იყოს ყოველი ჟურნალი, არ უბნომს იმას, რაც რომ სტანჯავს ხალხის ცხოვრებას, არ მუსრავს იმ ნაკლულევანებაებს, რაც რომ წინ უდგება ცხოვრების კეთილმდგომარეობას და არ აჩვენებს საზოგადოებას სწავლისაგან გამოსაკვლევს ჭეშმარიტებაებს და კანონებს, რომლების ძალითაც ისპობა ეს ნაკლულევანებაები, მაშინ ყველაფერი უნაყოფოა.

ამ უკანასკნელ დროში, ნამეტურ ორის წლის წინიდამ დაწყებული იანვრამდინ მაინც, „ცისკარი" თითქო სამუდამოდ გამოეთხოვა მოსვენებას. ლანდით დაფრთხალ კაცივით არა ეშველა რა, შფოთვაში და ღელვაში ატარებდა თავის წუთის სოფელს. რა მიზეზი იყო, ან რისგან შეემთხვა ასე უეცრად აგრეთი ცვლილება, კვალისა ამღები ახლაც არ არის. გრძნობდა მხოლოდ ერთს საუბედურო სიმპტომებს, (უსათუოთ ახლაც გრძნობს, თუმცა რომ გვგონია ჰირზედ ვარდი გადმოდისო) დრო გამოშვებით ტანში ჟრუანტელი უვლიდა, მაგრამ ნიშნის ცოდნიდან მიზეზის გამოკვლევამდინ ყოველთვის დიდი ბჯია, „ცისკრისათვის" ხომ სულ მიუწვდომელი ყოფილა. ხან იმას მივარდებოდა აშფოთებული ხან, ამას და ამგვარ ვითარებაში ერთვოდნენ მისი უფერო დღეები საუკუნისა. მის ამგვარმა ქცევამ ისე მოგვიხუთა სული, რომ ბოლოს გამოჩნდა ერთი ღვთიანი კაცი, რომელმაც მიიღო თავის თავზედ მის მაშფოთებელ მიზეზების გულწრფელად ჩვენების მოვალეობა, ვითომც ეგონა იმ კეთილ პირს, თუ ერთის მხრით „ცისკარსაც" სარგებლობას მოუტანდა, რადგანაც თავად „ცისკარმა" იმ მიზეზების კვალიც არ იცოდა და მეორეს მხრით ჩვენც გაგვათავისუფლებდა მის ფუჭ ქადაგებისაგან; მაგრამ ღმერთი არ გაუწყრა!.. ფხიკიანი აკი გამოდგა „ცისკარი"!.. ექიმთან წამალზე გაფრენის მაგივრად, მიზეზების ჩვენება თავის თავზედ აკი უკადრისად მიიღო!.. ამაზედ მახსენდება ერთი ყმაწვილი, რომელსაც თვალზედ გამოუვიდა მუწუკი. „ყმაწვილო თვალზედ შემწვარი ხახვი დაიდე, დაგიმწიფდება, ჩირქი გამოვა და მუწუკისაგან მალე განთავისუფლდებიო." — ვინც შეხვდებოდა, ამას ეტყოდა. ყმაწვილს ეგონა თუ მუწუკიანს მეძახიანო და ვინც კი ძის წინ მუწუკის სახელს ახსენებდა, სულ კუდით ქვას ასროლინებდა ხოლმე!.. რა საძწუხაროც არ უნდა ყოფილიყო ყველასთვის „ცისკარის" აგრეთი ზნეობითი სიჩვილე, მაგრამ საუბედუროდ ეს მართლა მოხდა. იწყო გაბასრებული ჩხვლეტა; ცოტა რომ მჭრელი ეკალი ჰქონოდა; თქვენი მტერია, რომ ბრალიანს და უბრალოს სულ ერთიანად დაჰჩხვლეტდა! რაღაც ბედით, არ ვიცი, დღე მოსწრებით მოსტეხია ეკალი, თუ დასა-

ბამიდანვე მისთვის უზენაესს ის ერთი ეკლის სიბასრეც დაშურებია, მოჰყვა უკბილო ღრძილებით ლოღვნასა... ბა ერთი მითხარით ღრძილებით ლოღვნა ვის რას ავნებდა?.. აქედან აშკარათა ჩანს, რომ მისი პასუხის გება არავისთვის არ ღირდა თავის შესაწყენად, ამიტომ რომ ამ შემთხვევაში წინააღმდეგ მოქმედებას აღძრავს მხოლოდ ერთი ტკივილის გრძნობა; თუ რომ ნაკბენი არსაით შეიმჩნევა, უსათუოდ იქ არც ტკივილის გრძნობას ექნება ალაგი, მაშ ყოველი წინააღმდეგი მოქმედებაც სრულებით წავიდოდა ამაოდ, და თუ რომ ეხლა ვსცემთ პასუხს, ამის მიზეზი არის უსათუოდ ერთი საგანი, რომელიც ქვემოთ ცხადდება. „ცისკარმა“ რომ ამ ბოლო დროს დაიწყო ჩხვლეტა და წივილი—ეს ფაქტია და ყველამაც იცის. რა იყო მისი წივილის მიზეზი? უსათუოდ ერთი იმ ელემენტთაგანი, რომლის მოკლებითაც ყოველს სხეულში შეირყევა სიმრთელე. „ცისკარმა“ დაიწყო ცოტა ხელის მომწერების რიცხვზედ ჩივილი: აშკარაა, რომ ზემოხსენებული ელემენტი არ ყოფნიდა, ესე იგი არ იყო იმდენი, რამდენსაც მოითხოვდა მისი სიმრთელით ყოფნა; რასაკვირველია, რომ ამის შემდგომ ის მიუცილებლად უნდა ჩავარდნილიყო არაჩვეულებრივ მდგომარეობაში, რომელსაც მუდამ ოხვრა და წივილი მოსდევს. იმერეთში ვიცოდი ერთი ოჯახი, სადაც იმყოფებოდა ერთი საწყალი მუნჯი,ეს მუნჯი იყო მეტად წითელ ნუნუის და ნამეტურ მისი კულით რაკრაკის მუსუსი. გაჩნდა იმერეთში წყეული ნაცარი, რომელმაც სულ ერთიანად კვირტებში დაახმო ყურძნის ტევნები; გაჭირვებულმა მუნჯმა არამც თუ კულით, ჭიქითაც ველარ დაიტკბო ნუნუით გული; მას აქეთ იმას პირზედ საუკუნოდ დაეკარგა ღიმილი. ,,ცისკრის'' ჩივილი ედარება ამ შემთხვევის შედეგს, მაგრამ ელემენტის სიცოტავის მიზეზი კი იმყოფება თავად ,,ცისკარში'' და არ მიეწერება გარეშე უეცარ შემთხვევას, როგორც ყურძნის ნაცარი. მოლაყბე გვიმტკიცებს, ვითომც თერგდალეული და სხვა მის გვარი პირები ,,ცისკარს'' არ იწერენ და მით იყოს ცუდიო. მე მგონია ეს ,,ცისკრის'' უკარგობის მიზეზი კი არ არის, მისი უკარგობის მიზეზის შედეგია: ალბად რომ მისი გამოწერა სასარგებლო არ არის რომ არ იწერენ.

რა გინდ რომ გაუხსნელი იყოს საზოგადოება, ეს მაინც ცხადია, რომ ის ცხოვრებს, მაშასადამე მის მოთხოვნილებაში უნდა სუფევდეს ცხოველი აზრი, მარგები ელემენტი, რომელზედაც დამოკიდებულია მისი სიცოცხლე. ტყუილი არ არის მე რომ მშიოდეს და შენ ცარიელი სიტყვებით მიყოლიებდე, ჩემ შფოთვაზედ მუდამ მიმეორებდე: ,,მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო'', სწორეთ

ვიფიქრებ: ,,ეს კაცი ან გაგიჟებულა ან და ჩემი შიმშილით მოკვლა ნდომია მეთქი''. თავად იესო ქრისტეს ღვთიურ ქადაგებასაც არ ექნებოდა ერთ უდაბურ ალაგს ხალხზედ იმდენი გავლენა, თუ ისინი ქადაგების შემდგომ პურით და თევზით არ დაეძღო. აგერ ერთი საუკუნეა სპარსელების და ოსმალებისაგან განვთავისუფლდით; ,,ცისკრის'' რედაქტორს კი, როგორც პოეტს, თითქო ერთ საუკუნის განმავლობაში სულ უძინიაო და როდესაც ძილისაგან თვალი გამოუჭყეტია, მოჩვენებია ვითომც ჩვენ ისევ იმათ ხელში ვართო და ჩვენ ყმაწვილებს გულში ,,ნანით'' აკვნიდგან სისხლის ღვრის გრძნობის აღძვრას უპირებს.—მოუვიდა პოეტიკური ფანტაზია და აღტაცებაში გამოხატაო თავის გრძნობა—იტყვის ზოგი. ჩვენის ფიქრით გრძნობა აღიძვრის, როდესაც კაცის გონებაზედ მოქმედებს გარემო მდგომარეობა, როდესაც კაცის გულში აღძრავს რომელიმე აზრს თავად ცხოვრება და გარეგანი ქვეყნის ზედმოქმედება. პოეტი ხომ კაცზედ სხვა არსება არ არის? თქვენი რისხვა მქონდეს თუ ,,ცისკრის'' რედაქტორს თავის დღეში ენახოს ხანჯლით მოკლული კაცი.—მაგითი კიდევ ხომ არ მტკიცდება, რომ ჩვენ შინაური მტერი სრულიადაც მოგვსპობოდეს—იტყვით, მკითხველო. დიახ მართალია, მტერი ცოცხალ არსებას არაოდეს არ ესპობა, მაგრამ ახლანდელი მტრები ძველ მტრებს ხომ არა გვანან. მის ფარში ჩვენი ხანჯლის წვერი ვერ გაატანს. ,,დევკაჟის მოსაკლავად, დევკაჟისვე ხმალი უნდა მოიპოვოო''—არის ნათქვამი. აი ჩვენს ვითომც პოეტს რედაქტორს ხანჯლის ხმარების მაგივრად ყმაწვილებისთვის ესწავლებინა, თუ როგორის საშუალობით მოიპოვება დევკაჟის ხმალი—ეს სხვა იყო, თორემ ამ ნაირი საზრდოთი ჩვენი ყმაწვილები აკვანში ვეღარ გაიზრდებიან; ამ გვარი საზრდო ერთობ დაობდა, რომ მათ სხეულისთვის იქნეს მარგები და შეძლევაზედაც თავად მათ პირი არ გაიბრუნონ.—მაშ საიდან აღიძრა ეგ კეთილგრძნობა პოეტის გულში?—საიდანაც ის საკიცხავი ვაჟი მილიციონერი და სულ მთელი ,,დიასამიძის'' სახლობაც, რომლების მსგავსი იქნება რამ ჰაერში სუფევდეს და არა ჩვენ საზოგადოებაში.—სულ ერთ გვარ წყაროდან, რომელიც ერთ ცრუ გრძნობით მოდის აღტაცებაში და თავის ვიწრო შეხედულობით ვერ სწვდება რეალურს, მართალ ცხოვრების სიმრავალგვარეს; სულ იმ დამსხვრეულ ფანტაზიიდან, რომელიც ვერ ხედავს ულეველ ქვეყნის მშვენიერებას და თავის ,,ანგელოზის'' მხრებზედ მჯდარი, მიიგლიჯება ჰაერში, უნდა ცხოვრებაც თან გაიტაცოს. ჰაერში ფრენა ჩვენ არას გვარგიაო!.. როგორც დედამიწის შვილები ჩვენ მხოლოდ დედამიწაზედა ვართ წელ მაგარიო,—მიუგო საზოგადოებამ ინსტიქტურად ხელის მოუწერლობით.

—შენ ჩვენ გულმტკივნეულებას ვერა გრძნობ, წადი როგორც გეფრინოს ჰაერში ისე იფრინეო! აი, სად არის „ცისკრის“ მარგებ ელემენტის სიცოტავეს მიზეზი და მასთან მისი ჩივილისაც. აშკარაა, რომ „ცისკრის“ უკარგობა და მისი ჩივილი სულ თავის მიმართულების ბრალია, რომელიც, მართლა რომ ვსთქვათ, სრულებით არადროს მასში არ ყოფილა, როგორც ეხლა არ არის, ამიტომ რომ ყოველი გვარი მიმართულობა არის დაფუძნებული რომელიმე აზრზედ და წადილზედ, რომელიც მუდამ უნდა გაჰყავდეს მას საზოგადოებაში; მაგრამ, თუ რომ აზრი არ სუფევს, ალბათ აქ არც მიმართულებას ექნება ალაგი.

რა იქნება იმაზედ უკეთესი ყოველ მემამულესთვის, როდესაც ის ფაქტით იგრძნობს თავის საზოგადოების გონების კეთილ წარმატებას. ამ გვარ ფაქტით, რასაკვირველია, დამტკიცდა, როგორც ეს ისე ცხოველ ელემენტების დაძვრა ჩვენ საზოგადოებაში. ჟურნალის გამოცემით ყველამ ვიგრძნეთ, რომ მრავალ ხნის ძილის შემდგომ, ბოლოს ჩვენ ცხოვრებასაც ეშველა თვალის გამოჭყერა, თუმც რომ „ცისკრის“ რედაქტორს კი გონია, ვითომ მხოლოდ იმას და მის თანამშრომელებს მოეხდინოს ან აღეძრას ეს მომენტი ჩვენს ცხოვრებაში. იმას ხომ ვერ დააჯერებ, რომ რამოდენიმე გულ-წრფელი სიტყვა, რომელიც მის გამოცემაზედ წარმოითქვა, იყო საზოგადოების გამოხმობა, რომლის თანაგრძნობითაც „ცისკარმა“ მოატანა აქამდინ ძალა უნებურათ.

ყოველი მომენტი, ხალხის ცხოვრების კეთილ-წარმატების გამსაზღვრელი, არის მრავალ ხნის მის ისტორიულ ცხოვრების ნამყოფი,—და არა კაცის ძალას აგეთი ბიჯი არ შეუძლიან საზოგადოებაში რომ მოახდინოს. თითოული პირის ცხოვრება იმ გვარად არის შეკავშირებული მთელ საზოგადოების ცხოვრებასთან, რომ არც შეუძლიან მის ზედ-მოქმედებისგან თავი ისხნას, არც მისგან გაცალკდეს და არც მაზედ ამაღლდეს; ამის გამო ყოველ ცხოვრების მოქმედების ფაქტის წინ, თითოულის პირის მოქმედობა დარჩება ყოვლად უძლური; მაგრამ ამ შემთხვევაში მისი გამჭრიახობა და ნაღვაწი, როგორც საზოგადოების წინ, აგრეთვე შთამომავლობის წინ იფასება, თუ რამდენად უცვნია იმას ეს ფაქტი, როდესაც შემთხვევით გამხდარა მისი მმართველი, ან თუ რა მხრით წარუმართავს ის, რომ როგორმე ამ ფაქტს შესძლებოდა ცხოვრებისათვის მოეტანა იმდენი კეთილი, რამდენიც მისგან იყო შესაძლო. რომ ვრცლად გავზომოთ ამ ზომით „ცისკრისაგან“ მოტანილი საზოგადოებისთვინ კეთილი ექვსის წლის განმავლობაში და მისი მმართველის ღვაწლი შთამომავლობის, წინ საჭირო არის ცოტა მოვილაპარაკოთ იმ კანონებზედ,

რომლების წესითაც გადასულა განათლება ერთის ხალხიდან მეორეში; მით უფრო, რომ ჩვენ ცხოვრებაში აღმოჩენილი მომენტი არის ამ წრისა და არა ჩვენი საკუთარი ისტორიულ ცხოვრების ნამყოფი.

როგორც ისტორია მოგვითხრობს, საზოგადო კაცობრიობითი განათლების გზა მუდამ ყოფილა ავი საკვლევი. ვინ წარმოიდგენს, თუ რამდენ ადამიან შთამომავლობას თავი ქვაზედ უმსხვრევია და ხალხს ხალხად დაუყვია თავის წუთის სოფელი, სანამ შემზადდებოდა ახლანდელი ევროპის ცივილიზაცია და რა? ზოგიერთს სწავლულს, რომელსაც სუნითა და გემოთი დაწვლილებით გაუცვნია ეს განათლება, რომ ჰკითხოთ, ამბობს, „ჯერ კიდევ სწავლის კარშიაც თუ ვართ შესულიო". მართლა, რომ კიდევაც კარგად მოვიფიქროთ, არც გასაკვირველია ასე ნელა ბოდიალი ხსნის გზაზედ. თუ რომ წარმოვიდგენთ იმ მჭმუნვარე გარემომდებარეობას, იმ სულ მომხუთველს, წრიალს კლდეებს თავის დახშულის, უდაბურის მღვიმეებით, იმ ცამდინ მწდომს მთის წვერებს თავის უძირო ნაპრალებით, თვალ მიუწვდომელ მინდვრებს და მუდამ მღელვარე სტიქიონს, რომლებსაც უნდა ქონოდა მისთანა მჭიდრო ზედ მოქმედება ჯერ კიდევ ნორჩს კაცის გამოხატულებაზედ; კიდევ მადლი მის სიყურმახვილეს, თუ რომ ბოლოს ამას უშველა მაინც ამ გვარ ზედმოქმედებისგან განთავისუფლებამ. ხევთა ჩხრიალი, ქართა ქრიალი, კლდეთა ღუილი, ზვავთა ძგრიალი, მეხის ჭექა, ზღვის ქოთვა, კოხთა ცქრიალი და ათასი სხვა ბუნების ძალების სასაშიშრო მოქმედებაები და გამოხატულებისთვის მკაცრი სურათები განა არ იქნებოდნენ საკმაოდ, რომ კაცს ევლო მართლა „წყუდიად ბნელში" ქვეყანაზედ, სანამ რომელიმე გარემოების გამო, შესძლებოდა ხელი გაეშვირა თავად მის მჩაგვრელის ბუნებისთვის და მასშივე ეძებნა წყაროები თავისი ცხოვრების კეთილმდგომარეობაში მოსაყვანად? განა ახლაც არ არის რწმუნება ჩვენ ხალხში, ვითომც ტყეში, ნამეტურ ღამე, ყოველ ფოთლის ქვეშ იმალებოდეს ფათერაკი სული, რომელიც თითქო ყოველს გამვლელს ეჯახებოდეს შესანთქავად. თუნდ თვითონ „ცისკარიც" ავიღოთ. ასე გასინჯეთ ამ გვარ რწმუნებაებზედ ერთობ გულგრილი არც ის ყოფილა. თორემ ეს კარგად ვიცი, რომ ერთ მის ნომერთაგანში — ნომერი დამავიწყდა საუბედუროდ — იყო გრძელი მოთხრობა, თუ ბრუტ-საბძელზედ რა რიგი შექცევა ქონიათ თავის ტარტაროსით კუდიანებს. ამას იქით თუ კი ახლანდელ კაცის გონიერებას ვხედავთ ამ გვარ მდგომარეობაში, როგორსაც წარმოგვიდგენს ევროპიის ცივილიზაცია, სადაც კაცს გაუტეხია ბუნებისგან შებმული მონების ბორკილი ე. ი. განთავისუფლებულა ამ გვარ რწმუნებაებისაგან, და გამხდარა

თითქმის მისი ბატონი, კიდევ მადლი მის გონიერებას. ეს არის, რომ როგორც ზევითა ვსთქვით, ერთობ ბევრი ხალხის ოფლი დაწურულა და ჩაუვლია მრავალ საუკუნოებს, სანამ კაცობრიობა მოვიდოდა ამ გვარ მდგომარეობაში. ეს განათლება არის მრავალის ისტორიული ხალხების ნაშრომი, რომლებიც მოქმედებდნენ ერთი მეორის შემდგომ. მთელი კაცობრიობის ცხოვრება, როგორც დასაბამიდგან ისე აქამომდე მომდინარეობს (რომ მომავალ დროზედ სჯას დავეხსნათ, რადგანაც მომავალი ჩვენს გულთმხილველობისგან დაფარულია), თავის თავად არც ძველდება და არც წარმავალია; ძველდება მხოლოდ მისგან გამონაკვლევი ფორმა, მისგან შემუშავებული საზოგადო წყობილება, რომელიც იმ დროში ამ ცხოვრების მოთხოვნილებას მხოლოდ აკმაყოფილებდა. თანდათან ხალხის განათლებით, რასაკვირველია, თავად ცხოვრების მოთხოვნილებაც, მის კეთილ მდგომარეობისამებრ, უფრო და უფრო ვრცელდება და მრავლდება სხვა და სხვაობით; მაშასადამე რამოდენიმე საუკუნეს წინ დაარსებული საზოგადო წყობილება და მისგან მონაპოვარი საშუალებაც ველარ აკმაყოფილებს ამ ცხოვრების მოთხოვნილებასა. აშკარაა რომ საზოგადო ფორმამ განვლო თავის საუკუნე, დაძველდა და ამის გამო ან სულ უნდა მოისპოს და ან გადაკეთდეს ახლად შემოსულ მოთხოვნილებისამებრ. ცხოვრებას მხოლოდ თავის ნიჭნი სისრულეში მოჰყავს. მაგალითად: თუნდ ავიღოთ კაცი ივანე, ივანე ისეთი ივანეა აკვანში, როგორც წვერ-ულვაშიანი; ისეთი კაცის არსება არის აკვანში, როგორც წვერ-ულვაშიანი; ისეთი კაცური უფლება აქვს აკვანში, როგორც წვერულვაშიანს: მხოლოდ რომ ივანე აკვანში იყო ჩვილი ყრმა და ეხლა კი წვერულვაშიანი ვაჟ-კაცია; მაშინ იმას დედა არჩენდა, ეხლა კი თავს თითონ ირჩენს. მაშინ ის იყო ჭკუით უგუნური, ეხლა კი გონიერი, ისე ცხოვრებაც. მხოლოდ რომ, შეიძლება წინეთ დაარსებული ზოგადწყობილების ფორმა იყოს დამყარებული იმ გვარ სასტიკს კანონებზედ, რომელიც ჩააგდებს საზოგადო გონიერებას და მის გამჭრიახობას უძლურებაში, როგორც საწყალ ივანეს დააჯუჯავებს მუდამ დედის ცემა; მაგრამ რადგანაც კაცის გონიერებას მოსდგამს მუდამ სისრულეში მომავალობა, არაოდეს არც ხალხის ცხოვრება არ დარჩება მუდამ ერთ და იგივე მდგომარეობაში; აღიძვრის თუ არა ცხოვრებაში იმდენი ძალა, რომ საკმაო იქნება ახალ საშუალების მოსაპოვნელად და ძველი ფორმის გადასაგდებათ, იმავე წამს ცხოვრების წინმსვლელობაც დაიძვრის და ატყდება გამწარებული ბრძოლა ძველ წყობილების და ახალ მოთხოვნილების შუა. ამ შემთხვევაში შეიძლება ზოგიერთ მკაცრის გარეგან შემთხვეულებაე-

ბის გამო თავად ხალხის ცხოვრებაც უდროოდ დაიღუპოს, როგორც დაიღუპება საწყალი ივანეს სიმრთელე და გონიერება, თუ რომ რომელიმე გარემოების გამო არ წაერთვა მისი თავი დედის სიმტარვალესა. აი ამ გვარად დაიქცა რომიც. რაგინდ რომ მკაცრი ზოგად წყობილებაც არ ყოფილიყო რომში, რაგინდ რომ გასრესილი არ ყოფილიყო მისი შინაგანი ცხოვრება ზოგად წყობილებით სიმტარვალისაგან, რაგინდ რომ შევიწროვებულიც ყოფილიყო მის ცხოვრების კეთილ-წარმატების საშუალობაც, მაინც მიუცილებლად ხალხში აღმოჩნდებოდა იმდენი ცხოველი ძალა, რომ შესძლებოდა გაეწია ბრძოლა მის მახრჩობელ გარემოებასთან და მოესპო ის, თუ რომ შინაგან ბრძოლას და უთანხმოებას არ მიმატებოდა მრთელის ქვეყნების ხალხების ძალა, რომლის სიმძლავრის ქვეშაც გაისრისა სრულებით რომის არსება. აი ამ გვარ უეცარ შემთხვეულებაების გამო დაიყოფებოდა სხვა და სხვა დროში თითქმის ყოვლის ისტორიულის ხალხის ცხოვრება,—და იმავ მიზეზებსაც უნდა მივაწეროთ თითქოშემკვიდრებით ჭკუითის საუნჯის გავრცელება სხვა და სხვა ნაციებისგან. განსაკუთრებით მესანიშნავია ის კანონი ამ შემთხვევაში, რომლის წესითაც ერთს ხალხს გადუცია მეორე ხალხისთვის თავის ჭკუით შეძენილი ქონება, მით უფრო, რომ ზოგი ცუდი მხარე, რომელიც თან მოსდევს ამ გვარ წესს არა ხალხის ცხოვრებას, სადაც კი განათლება გადაღებით გადასულა, არ ასცილებია. ასე გაშინჯეთ ჩვენც ვერ ავშორებივართ იმ ქვას, რომელზედაც წამოუკრავს ფეხი თითქმის ყოველის ისტორიულის ხალხის ცხოვრებასა. ამის მიზეზი უნდა იმყოფებოდეს უსათუოთ ჯერ კიდევ ნორჩს ხალხის გონიერებაში, რადგანაც მის სუყე ჭკუასა არ შეუძლიან იმ მაღლად გახსნილის ცხოვრების საფუძვლიანად გაბილვა, რომელშიაც მას ექნება ნიადაგი მიმოსვლა. ავიღოთ თუნდ მაგალითი: ვსთქვათ რომ ერთმა ღარიბის კაცის შვილმა დაინახა ვინმე მდიდრად ჩაცმული ყმაწვილი. მას მიიზიდავს იმავ წამს ამ ყმაწვილში მისი მდიდარი სამკაული. „ნეტავი შენ, ყმაწვილო, მაგ ნაირი ტანსაცმელი გაცვია... რა არის ახლა ჩემი სიცოცხლე?.. ამ ტიალ კონკში მაინც! რატომ მეც არ მაცვია აგრეთი ტანისამოსი?.. ჩემ ტანსაც ხომ აგრე შეამკობს, კარგი არ არის, რომ მეც აგრე ვუყვარდე ჩემ დედ-მამას, როგორც თავის დედ-მამას ეს ყმაწვილი, ხომ მეც აგრე ჩამაცმევენ“, —ფიქრობს თავისთვის ღარიბი კაცის შვილი; ის კი არა თუ იმ ყმაწვილის მამას თავის შვილის ტანსაცმელი ეგოდენათ არ ულირს, რამდენათაც მის გაჭირვებულს მშობელს ეთი შვილის პერანგი; და თუ მართლა თავის შვილის უგუნურებას აჭყვა, უკანასკნელ პურის ქერქსაც უნდა გამოეთხოვოს.

რასაც ვხედავთ ნორჩს ყრმის გონიერებაში სრულებით მას ვხედავთ გონიერებით ჩვილის ხალხის ცხოვრებაში. შეიძლება მკაცრი ეჩვენოს ბევრს ამ გვარი შედარება. ავიღოთ მეორე: ვსთქვათ, ერთი ჩვენ თავადის შვილთაგანი გავიდა სამზღვარ გარეთ და შეხვდა მას ერთ ევროპიულს სატახტო ქალაქში ყოფნა, ვსთქვათ ის მოხვდა პარიზსა. საითაც თვალს არ მიაპყრობს ყოვლის მხრით ჰხედავს მხოლოდ ერთ დიდებას და სამოთხის გვარ მშვენიერებას: დიდებულს სასახლეებს, დიდებულს ქუჩებს, კაცის ენიდგან გამოუთქმელს სიმრავალგვარით და გემოვნებით საჭმელებს, წალკოტს, კაცის თვალისგან უნახავის შადრევანებით, ძეგლებით, აუზებით, სხვა და სხვა ქვეყნის ხეხილებით, მდინარით, ზღვით, სხვა და სხვა ქვეყნის მხეცებით; ერთი სიტყვით ის იქ ნახავს დიდებას და მშვენიერებას, რომელიც თვით მაჰმადსაც არ მოზმანებია თავის სამოთხეში. დასვით ეხლა ეს პირი ჩვენში. პირველი მისი წადილი ის იქნება, რომ როგორმე ბროლის კოშკი დაიდგას და იმ გვარი წალკოტი გაიმართოს, როგორიც იმ ქვეყანაში იმას თვალს უბრმავებდა. ოღონდ კი გამართოს, თორემ მრთელი ხალხიც რომ ჰყავდეს ხელში, მისს ღონისძიებას უკანასკნელ წვეთამდინაც შესწირავს ამ წადილს. განა ამას აქვს იმდენი გონი, რომ მოიფიქროს, თუ ამ გვარ წადილით, უიმისოთაც საშუალობით ღარიბის სიცოცხლის ცეცხლზედ სულ წყალს დაასხამს? განა ის იმის სჯას შეუდგება, თუ ეს გარეგანი სიმდიდრე და ბრკიალება მხოლოდ დიდის ხნიდან ცხოვრების კეთილ-წარმატების გზაზედ მომდინარეობის შედეგია?—თუ ეს სიმდიდრე მხოლოდ ამ გვარად გახსნილს ცხოვრებას შეფერის და ყოვლის საშუალობით ღარიბის ცხოვრებისთვინ დიდი მავნებელია, რადგანაც მისი გადაღება უდროოდ ლევს ამ ცხოვრების ძალას? ის არის უბედურება, რომ გონებით გაუხსნელის ხალხის თვალთ-მხედველობას იტაცებს მხოლოდ ერთი გარეგანი ელვარება და არ შეუძლიან მას ჩაღრმავდეს იმდენათ, რომ გამოიკვლიოს მისგან მიზეზი და ანაზრი. აქედამ, რასაკვირველია, ვხედავთ იმ უწესო მომენტებს ყოველს ისტორიულს ცხოვრებაში, რომლებიც არიან შედეგი ამ გვარ გადაღებისა. თუნდ ეხლა ავიღოთ ჩვენი ცხოვრება: ვინ არ იცის, რომ ჩვენს საზოგადოებაში ელვარე მუნდირს დიდი ფასი აქვს: ვინც.....*) ეპოლეტებით არის შემკული, ვინ არ იცის, რომ ჩვენი საზოგადოების ფიქრით, მხოლოდ ის არის კაცური კაცი, ბრძენი და ფილოსოფოსი. ჩვენში კაცის ღვაწლი საზო-

*) ცენზორის მიერ არის ამოღებული.

გადოების წინ და მისი გონიერება იფასვის გარეგან ელვარობითა. არ შემიძლიან აქ არ მოვიხსენიო ერთი იმერელი თავადიშვილთაგანი, რომელმაც ერთ დიდ კაცის წინ იმდენი იმაიმუნა, როგორც გავიგეთ, სანამ ჩინი არ იშოვნა. მაგრამ განსაკუთრებით იმის მაგალითს, რომელზედაც ჩვენ გვაქვს ლაპარაკი, წარმოგვიდგენს ფრანციის შინაგანი ისტორიული ცხოვრება. როდესაც საზოგადოებამ მიაწია იმდენ განათლებაზედ, რომ შემოვიდა ცხოვრებაში ძველის კლასიკურის მეცნიერების გადაღების მოთხოვნილება, მისი გონება მხოლოდ ერთმა ბრკიალა სამოსმა შეიპყრო: მან სტაცა ხელი მხოლოდ ერთს ფორმას; მისი ყურადღება მიიქცია მხოლოდ ერთ ტურფა და მეტად ტკბილის ენით ზამოთქმაზედ და არა თვით მასში მყოფს აზრზედ. მისი პოეტები იწყებდნენ იმ ნაირად ყეფას, როგორც სოფოკლი, ესხილი, არისტოფანი და სხვა გამოჩენილი საბერძნეთის მწერლები; აღწერდნენ იმ გვარ გრძნობაებს, როგორებსაც თავის საზოგადოების ნაკლულევანებაები აღძრავდა არისტოფანის და ევრიპიდის გულში. რასაკვირველია, რომ ამ გვარ გზაზედ დამდგარი ლიტერატურა და პოეზია სრულიად უნდა განშორებოდა ხალხის ცხოვრებას; შინაგანის ცხოვრების ელემენტით გაცხოველებული პოეტის სიტყვა უნდა შეცვლილიყო ერთს ყურისმგლეჯელს ციკს ხმაზედ. ლიტერატურამ დაკარგა ცხოვრებაში თავისი მნიშვნელობა და ხალხის ცხოვრებიდგან განშორებულმა, მან ვერ შესძლო მისთვისვე გამოეკვლია გონიერი და საფუძვლიანი დასაწყისები, რომელზედაც მაგრად უნდა დაფუძნებულიყო მომავალი პოლიტიკური წყობილება. აქედან გამოვიდა ის რომ, როდესაც ხალხმა თავისუფლება მოითხოვა სახელმწიფოში, როდესაც მან ძველი წყობილება, როგორც უვარგი შესცვალა ახალზედ, თითქმის მთელს ერთ საუკუნის განმავლობაში განვლო მუდამ ტანჯვაში, ბოლოს კი მაინც ჩავარდა იმ გვარ ზოგად წყობილების ჭვანგებში, რომელიც ბევრით არ გაერჩევა პირველს. აი რა მავნებელია ლიტერატურა და პოეზია, როდესაც ის არ მსახურებს ხალხის ცხოვრებას, ატარებს დროებას ფუჭ დეკლამაციაში, როდესაც გადაღებაში, ნამეტურ ამ გვარ განათლების მხარეების, როგორც პოეზია და ლიტერატურა, მისი გადმომღები ხელთმძღვანელობს ერთ გარეგან ბრკიალა სახით და ვერ სცნობს მის მარდალს მნიშვნელობას, მის შინაგანს აზრს, ურომლისოთაც თვით ელვარე ფორმა ფუჭია და მავნებელი. აი ის ქვა, რომელზედაც ყოველის ხალხის ისტორიულ ცხოვრებას, მიმბაძავ პერიოდის დროს, ფეხი წამოუკრავს და რომელზედაც ჩვენც ზედ გადამტვრევას გვიპირებს ჩვენი „ცისკა-

რი“, თუ კი რომ ქონდეს ის მაღური თვალი, რომლის გორვითაც შესძლებოდა შორს გავეტაცეთ.

1857 წელს, ჩვენს ბნელს გორიზონტს ეღირსა ბოლოს „ცისკრის“ ამოსვლა. აბა მითხარით ვინ არ გაიხარებდა ამაზედ, რადგანაც ყველას გულში გვქონდა, რომ მდაბიურად ყოველს ცისკრის ამოსვლის შემდგომ, „ბნელით მოცულს“ ბუნებას ელის გამაცხოველებელი ტკბილი დილა. მაგრამ დაგელოცა ღმერთო სამართალი!.. ურიცხვი სხვა და სხვა ქმნილებათა შორის ყოფილა ქვეყანაზედ იმგვარი „ცისკარიც“, რომელიც არ გვანებია მდაბიურს ცისკარს. ამიტომ რომ ეს მეშვიდე წელი დადგა, ის იჭყირება იმავ ალაგიდან, საიდანაც შვიდის წლის წინეთ დილის მოსვლა გვაუწყა. თავად კი ჯერ თავის ალაგიდან არ დაძრულა, თუღა აწ დაიძვრის—ეს უფალმა იცის. მრთელ შვიდის წლის განმავლობაში ნათობს ციალის შუქით და არა ეშველა რა—ოდნავ ვარსკვლავის სიბრკიალეც ვეღარ მიიღო, არამც თუ დილის გამაცხოველებელი სინათლე. ჩვენი ბედკრული „ცისკარი“ შვიდის წლის განმავლობაში სულ იმაზედ გვატარებინებს დროებას ან ღამე როგორია, ან დღე რა რიგის სინათლით მოიცვავს არე მარეს, თუ დილა კაცის გულში რა რიგს ტკბილს გრძნობაებს აღძრავს, ან თუ საღამო რა რიგის სიმშვენივრით მორთავს ბუნებას და სხვა ამ გვარებით. არა გვეშველა რა, ის აზრი კი ვერ გამოვიკვლიეთ მასში, რომელსაც პირობა დაედვა საქართველოს დილის ამოსვლაზედ; თუ რომ ლამიდა შეტოპვას ცხოვრების მორევში, იმავ წამს ისხამდა ფრთებს ჰერში გასაფრენად და ჩაუვარდებოდა ენა. ნამდვილის ცხოვრების თვისების მაგივრად, ფანტაზიაში შედგენილ სურათებზედ გვაცქერინებდა; რასაკვირველია, რომ ყველას მალე უნდა მოსწყენოდა ღარიბის ფანტაზიის სურათებით შემკულ ქვეყანაზედ მუდამ ყურება!

ჟურნალი იმ გვარის თვისების, როგორიც მიიღო მან ევროპიის ხალხში, უნდა ყოფილიყო მხოლოდ ნამყოფი ევროპიელი ხალხის ცხოვრებისა. მხოლოდ ევროპიაში, ზოგიერთის გარემომდებარეობის მიზეზების მადლობით ადრე ჩავარდა კაცი თავის გონში და მოითხოვა სასტიკ ზოგად წყობილებისაგან დაკარგული უფლება. აშკარაა, რომ აღმოსავლეთში, სადაც ხალხის ცხოვრება იყო მოსრესილი მეფის დესპოტობისაგან, ამ გვარს ფაქტს არ ექნებოდა ადგილი. ეს ფაქტი გადმოვიდა ჩვენ ცხოვრებაში მიბაძვით, ამისთვის ყველაზედ პირველად უნდა შეგვეტყო მისი აზრი და არ გავყოლოდით მის გარეგან სახეს, ყველაზედ პირველად უნდა გაგვეგო, თუ რისი მაქნისია, ან რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ჟურნალს ჩვენს ცხოვრება-

ში, ვინემ აღვტაცებულვიყავით მის ყოველს თვისა და თვის თავზედ შვიდ შვიდის დაბეჭდილის ფურცელების გამოსვლით და „ცისკრის“ სახელით. მაგრამ პირებს, რომლების ხელმძღვანელობის ქვეშაც ჩავარდნილა შემთხვევით ეს ფაქტი, ვერ შეჰძლებიათ ღრმად იმის აზრის გაგება და ამის გამო ის მეტად კეთილ-მყარ თავის თავად ფაქტს ჩაუვლია აქამდინ სრულიად უნაყოფოდ საზოგადოებისთვის. „ცისკარი“ ასე გაშორებულია ცხოვრების მოთხოვილებაზედ, როგორც ცა მიწაზედ. ის ვერ გრძნობს სრულებით მის გულმტკივნელობას და მის მოთხოვილებაზედ წინ უდგებს იმ გვარ საჭმელებს, როგორც „შვილი უმანკოებისა“, ისიც სხვისა, საძაგლად გადაკეთებული და თავისად უსირცხვილოდ მითვისებული,*) „ჩემი ანგელოზი“, „თამარ ბატონის შვილი“, „მამისგან შვილის დარიგება“ და ვერ მოვითვლი რამდენს სხვა ამ გვარებს. რა გასაკვირველია, რომ საზოგადოებაში ვერ პოებს სიმპატიას. კიდევ ბედია, ჭეშმარიტად, რომ აქამდინაც სრულებით არ დაეცა, მაგრამ ზოგი მის მოლაყბესაც უნდა ჰკითხოს კაცმა. აი რა გვარ მიზეზებს აწერს ის „ცისკრის“ დაცემას:—„ცისკრის“ თავდა პირველად გამოცემა ყველას სასიხარულოდ მიგვაჩნდა“,—ამბობს მოლაყბე ოქტომბრის ნომერში 1862 წ. —„მაგრამ დამარხვაზედ კი ნურას უკაცრაოდ, ყოვლისფერი დაიმარხება, თუ მტრად გადავეკიდენით და ქვითა ვდიეთ ჩასაქოლავათ“. ქვით ჩაქოლვა რა არის?.. განა თუ კაცს, რომელსაც არ მოსწონს ზოგიერთი აზრები, მისის ფიქრით მავნებელი ცხოვრების კეთილ-წარმატებისთვის და დაიწყებს ლაპარაკს ამ გვარის აზრების წინააღმდეგ, ერქმის ქვით მქოლავი?.. საზოგადოების ცხოვრებაში, როგორც სულთდგმულთ მოქმედებაში, მუდამ იპოებიან სხვა და სხვა ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი ელემენტები: მაშასადამე მათში ყოველთვის უნდა სუფევდეს მუდამი ბრძოლა, რადგანაც განსვენება

*) ეს თხზულება გახლავთ რუსულად ნათარგმნი ნემეცურიდამ: უხეირო ნემენცის მწერალის კოცებუს დრამაა მაგავე წოდებით, მაგრამ უფ. „ცისკრის“ რედაქტორმა გადააკეთა გვარები და სახელები და თავისად გამოჰსცა. ცისკარს ბევრჯერ მოსვლია ამგვარი სიკეკლუცე საზოგადოების წინაშე, მაგ. რჩეულოვის „შეშლილი“. ეგ გახლავთ პატარა მოთხრობა ანგლიურიდამ რუსულად ნათარგმნი, რუსულს ენაზედ მაგ მოთხრობასა ჰქვიან: „Венок Офелии“. უფ. რჩეულოვმა სახელი გამოუცვალა, სიტყვა სიტყვით სთარგმნა. მხოლოდ გიორგი, კოროლი ანგლიისა, ვარანცოვად გადააკეთა, ლონდონის თეატრი ჩვენ თეატრად, იქაური გიჟების სახლი ბედლემი, ჩვენ ნავთლუხის გიჟების სახლად, იქაური აქტრისა, აქაურად და ამ ყოფით იმ მოთხრობას დაარქვა შეშლილი და თავისი გვარი მოაწერა,—მითამ და იმისია. აგრეთვე „იშვიათი ცხოვრება“ გ. ბარათაშვილისა, „ანუკა ბატონიშვილი“ იმავე რჩეულოვისა და სხ.

სიკვდილის წესია. ცხოვრებაში იმყოფებიან სხვა და სხვა რწმუნებაები, ყოველ საგანზედ თავისებური სჯა, თავისებური აზრი და შეხედულობა, რომელსაც ჰყვანან თავთავის დამცველები. საზოგადოებაში, როგორც გონიერ არსებაში, შედის მუდამ ის რწმუნება, ის აზრი,რომელიც ყველაზედ ვრცლად, ცხოველად და საფუძვლიანად დაიცვის, რომელიც ყველაზედ უფრო ჭეშმარიტია; თუ კი რომ „ცისკარში" წარმოითქმოდეს მისთანა აზრები, რომელშიაც საზოგადოება კეთილს და სასარგებლოს რამეს ჰპოებდეს, რაგინდ ბევრი ქვა და ლოდი სცემონ, მაინც ვერვინ ვერას დააკლებს. ქვის სროლა „ცისკარს" კიდევაც უფრო გაამაგრებს, რადგანაც წინააღმდეგ აზრებში მისი სარგებლობა უფრო აშკარად დაინახება. როგორც სჩანს, იმ სალაყბო ფურცლის ღირსება მდგომარეობს ან სრულებით ფუჭ მეტყველობაში და ან თუ თერგდალეულის სტატიის განხილვას წადილობს, მხოლოდ იმ გვარ საგნებზედ აქვს ლაპარაკი, თუ თერგდალეულმა, რატომ თქვა „გაიარდა" და არა გაივლიდაო; მის შინაგანს აზრს კი ვერ ეხება, რადგანაც მართლის პირში შეხედვას არწივის თვალები უნდა. ამის გამო ვის ექნება იმდენი დრო, რომ ნამეტურ აქ თავიდან ბოლომდისინ ის გაარკვიოს? მხოლოდ არ შეიძლება ზოგიერთ პუნქტებზედ არ გავჩერდეთ, რადგანაც იქ ზოგიერთს მაღალ საგნებზედ მოდის ლაყბობა და სწორეთ თუ მრუდეთ „ცისკრის" დაცემის მიზეზებს ეხება. თუნდ ავიღოთ ის, სადაც მოლაყბეს მოუდის ლაპარაკი მწერალის და მწერლობის მნიშვნელობაზედ:—„რა არის მწერალი და თვით მწერლობა?"—ჰკითხავს მოლაყბე თერგდალეულს. აქ რომ მართლა კითხვითი ნიშანი დაესვა და შემდგომ სხვაზედ დაეწყო ლაპარაკი, უსათუოთ ვიფიქრებდით, რომ მისი მნიშვნელობა, თავის სიყურ-მახვილით, სადმე ამონაკითხი მაინც ექნებოდა. ახლა კი მე მგონია მის ახსნით საზოგადოებაში მოიპოვა დიდი სახელი, რადგანაც მან უჩვენა სწავლულთ ქვეყანას პოეზიის და ლიტერატურის სფეროში იმ გვარი კანონები, რომლების მსგავსი არა წარმოთქმულა რა არც ლესსინგის „ლაოკოონში" და არც ლეგელის „ესთეტიკაში". მიეცი შვებას, ჩვენო საზოგადოებავ! დღეს შენ აჩუქე კაცობრიობას ერთი სწავლის მნათობი, რომლის კვალზედაც აწ იწყებს წინ წასვლას ევროპიის განათლება, ის მნათობი გახლავთ მოლაყბე. ნეტავ ვიცოდე ვინ არის, ან რა სახე აქვს ამ მოლაყბეს, რომ მისის კინკრიხის გახილვით ვამცნო ახალი კანონები ფაქტებთ ლარიბს ფრენელოლიის სწავლას. აი რას გვამცნებს მოლაყბესაგან წარმოთქ-

მული პირველი კანონი: 1. „მწერალი არის მამა ხალხისა". მკითხველებო გაიგონეთ ამ კანონის გარკვევა, მწერალი არის მამა ხალხისა, ესე იგი ხალხი მისი შვილები, გესმით კარგად?.. შვილებს უნდა მამისგან მუდამ ზნეობითი დარიგება. ყოველს ჩვილს წლოვანებითს ყმაწვილის გულში თითოეული მამის სიტყვა არის განუსაზღვრელი ჭეშმარიტება. აქედან: მოლაყბე არის მწერალი, ჩვენ მისი შვილები, მაშ ყოველი ნამცნევი, რაც რომ მის პირისაგან არ წარმოითქოს, უნდა გვეგონოს განუსაზღვრელ ჭეშმარიტებად. მხოლოდ ამ შემთხვევაში გველის მომავალს დროში ცხოვრების კეთილ-წარმატება, განათლებით ევროპიელ ხალხებზედ დაწინაურება და თუ, ვინიცობაა, არ ვეთანხმეთ ზოგიერთს მის აზრს, შევიქნებით ღვთის პირისაგან წყეული, როგორც მამის ურჩი შვილები. ყოველ სულდგმულს მართებს არამც თუ გონიერად, ინსტინქტურადაც თავის არსებობის დაცვა. არც მოლაყბეს ეძრახვის, რომ ამ გვარი სალლოგიზმებით იმოქმედოს „ცისკრის" და თავის ინტერესის დასაცველად, მაგრამ ღვთის პირისაგან შეჩვენებაც რომ მელოდეს, არ შემიძლიან ამ განმარტებაში წინააღმდეგად არ გავუხდე. მწერალი, ჩემის ფიქრით, ყველაზედ პირველად იმ ქვეყნის შვილია, სადაც რომ შრომობს; არის დაბადებული იმ საზოგადოებაში, აღზრდილი იმ საზოგადოებაში, და მიმღები ყოველივე ზნეობითის ჩვეულებაების, რომლებიც სუფევენ იმ საზოგადოებაში. მაშ მწერალი უფრო უნდა იყოს საზოგადოების შვილი, ვინემ მამა; მაგრამ სწორედ რომ გავსაჯოთ, არც ეს არის: მწერალი არის ერთი თავის საზოგადოების მწევრთაგანი, ერთი იმ პირთაგანი, რომლების კრებაც შეადგენს საზოგადოებას. ის არის საზოგადოების ტანჯვის და შვების თანაგრძნობელი. რაში მდგომარეობს მისი ღვაწლი საზოგადოების წინ?—აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი ამ ნაკლულევანებაების შესახებ, უჩვენოს იმ გვარი საშუალობაები, რომლებიც მისის ფიქრით საუკეთესო არიან ამ ნაკლულევანებაების მოსასპობელად. შეიძლება მისი აზრები არ ვარგოდეს, მაშინ ის ჰპოებს მის მოძმეებში წინააღმდეგობას. გამოჩნდება მესამე, მეოთხე. ერთის სიტყვით ყველა ვინც, რომ ჰპოებს იმდენ ძალას, რომ თავისი აზრი გამოთქვას. შეიქნება ბაასი და აი ამ ბაასში და სხვა და სხვა აზრებში ეუწყება საზოგადოებას ჭეშმარიტება, რომელიც განსაზღვრავს მის გონებითს გახსნას და ცხოვრების კეთილ-წარმატებასაცა.

რასაკვირველია, რომ ასე მოკლეთ მწერლის მნიშვნელობის განმარტება არ არის საკმაო, მაგრამ არც სტატიის სივრცე გვაძლევს მეტს ნებას, ამისთვის სხვა შემდგომისთვის იყოს, აქ მხოლოდ ის არის

ნაჩვენები, თუ რავდენად უგუნური არის ის განმარტება, რომლითაც მწერლის მნიშვნელობას ადარებენ მამის მნიშვნელობას. როგორც მოლაყბის სიტყვებიდან სჩანს, იმას სამძღვარ გარეთ უმგზავრნია. არ ვიცი, რომელ სალიტერატურო ორღანიდან ამოუკითხავს ესრეთი სჯა ამ გვარ საგნებზედ, თუ იქნება მართლა „ტრედიაკოვებით“, „სუმაროკოვებით“, „ხემნიცერებით“ თუნდ „ლაღარპებითაც“ და მათ თხზულებაებით თავი ისე გაუტენია, რომ პატარა გონიერ სჯას თუნდ ამ გვარს, მის თავში ადგილიც აღარ დარჩენია? ვთქვათ, თუნდ ეს ასე იყოს,—მაგრამ ამ ნაირი კანონები საიდანღა გამოულია? ხომ ერთ ხემოხსენებულს მწერლების თხზულებაებშიაც არ იპოვება ამ გვარი კანონები, როგორც მაგალითად:—„რაც რომ ბეგრს ფულს მივსცემ მწერალს, იმდენად უფრო კარგად დასწერსო“? (bis) გეთაყვა ერთი კიდევ გაიმეორე ეს კანონი, მოლაყბე! ამათ მსგავსი კანონები ნევტონსაც აღარ წამოუთქვამს ქვეყნის აგებულების ასახსნელად. აი უცოდინარობა მწერალს როგორ უგუნურებაებას წარმოათქმევინებს. ერთი რომ ჟურნალი თავის სიკეთით იძენს ბევრს ფულს, რადგანაც ამ შემთხვევაში ყველა წადილობს მის გამოწერას, და არა ფული შეიქს კარგს ჟურნალს: მეორე—ეს მაინც რამ წარმოგათქმევინა, მოლაყბე! „ხუთი ათას ხელისმომწერლების ფულით რა მწერალსაც მინდა ლეკურს ბუქნას ვათამაშებო“? განა მწერალი სუდიას გვარია, რომ ასი თუმნით ლეკური ბუქნა ჩამოარონინო? მაშ, მოლაყბე, იქნება შენ კარგი ნიჭიერი მწერალიც იყო, მაგრამ სანამ ხუთას, თუმნობით მუჭებს არ გაგივსებენ, მანამ არ დაიძვრი განა?—დიახ და გეშაბის! შეიძლება შენ შენის უნიჭოების მისამალავათაც წარმოსთქვი ეს; მაგრამ რაც რომ ბევრი ეცადო, თუნდ ერთი მილიონიც მოგცენ, მაინც მაგაზედ უკეთესს ვერ დასწერ რაც დაგიწერია. განა რაც ბუნებას წენთვის დაშურვებია, ფული იმას ჩაგინერგავს თავში? ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მწერალი, რომელიც ასი თუმნით თამაშობს, მეტად ნიჭიერიც, რომ იყოს, მაინც თავის თვისებით კეთილზედ ბოროტს უფრო მეტს შესძენს საზოგადოებას, მაშასადამე მაგ გვარი მწერალი, რომ კიდევაც გამოჩნდეს მაინც კბილით დასაგლეჯია. ნიჭიერი და მამულის მოყვარე მწერალი ფულში არ საჭიროებს. მის გულში, როგორც გაუქრობელი ლამპარი, ანთია მუდამ ერთი წმინდა წადილი, რომელიც სიკვდილამდინ აძხნევებს იმას ღვაწლისთვის. რასაკვირველია, ფული მრავალ თავისუფლებას მიჰსცემდა მწერალსა, იმიტომ რომ თუ საწყალია თითქმის უფრო მეტი თავისი დღენი მაგ ღონისძიების მოპოებაში ეკარგება და ამით მწერლობასა ჰკლდება, მაგრამ აქედამ ის არ გამოდის, რომ მწერალს ფული ჰქმნიდეს. რა-

ტომ რომ შილდი არა შექსპირობს, ჩემო მოლაყბევ! მაგრამ იმას, ვისაც ოცდა ათის და მეტის წლის განმავლობაში სულ ერთი მხრით უწევნია, მეორე მხრით როგორღა გააწევინებ, რაგინდ რომ აშკარად და საფუძვლიანადაც ელაპარაკო. ჩვენც, რასაკვირველია, აქ თავს მივანებებდით, თუ რომ ერთი მეტად შემაქცევარი ადგილი არ გვეპოვა კიდევ მის სალაყბო ფურცელში, ეს—ის ადგილია, სადაც ის ყმაწვილურის სიმარტივით ერწმუნება, ვითომც და „ცისკარს“ ზოგიერთის ხეირიანის სტატიებით მოეტანოს რამე კეთილი საზოგადოებისთვის. აი ეს ადგილი: „აქებს თერგ-დალეული ზოგიერთს მწერლებს, რომელთ შრომაები „ცისკარში“ დაბეჭდილი იყვნენ: ჭონქაძეს, დიმიტრი ყიფიანს, გარდაქეშნელს, ბერიძეს, დიმიტრი ბაქრაძეს, ლავრენტი არდაზიანს და მე ულირს მონას და მოსამსახურეს, (ტყვილა პირს ნუ იწვამ, რა საქებიცა ხარ შევიტყვეთ: იმას თუ იტყვი, რომ ზოგიერთი ჩვენის ცხოვრების უმსგავსო ფაქტი, რომელიც თავის უმსგავსოებით ყველას თვალში ეჩხირებოდა, შეგიტანია სალაყბო ფურცელში, როგორც შექრონიკეს—ეს კიდევ დიდი სიქადული არ არის ნამეტნავად როცა შევიტყეთ, რომ იმის შემტანიც შენ არა ყოფილხარ. „ქებისთვინ დიდი მადლობა!“ (სულ ტყვილა! თუ მართლა თერგდალეულმა გაქო, ძლიერ შემცდარა) „მაგრამ ერთი ესა ბრძანოს, აკი იძახდა „ცისკარი“ ცუდიპო! მაშ ცუდი არ ყოფილა“. დიახ, მართალია ზოგიერთი ისტორიული სტატიები „ცისკარში“ არ იყვნენ ურიგონი. შეიძლება შემდგომისთვის, როგორც ისტორიის მასალა, შეიქნენ რითიმე გამოსადეგნი, ისიც ვინ იცის? მაგრამ ცხოვრებისთვის კი სრულიად გამოუსადეგარნი იყვნენ, რადგანაც გვაჩვენებენ მხოლოდ წარსულის ისტორიის ფაქტებს და საზოგადოებაც არ იყო იმდენად გახსნილი, რომ საკუთარ მსჯელობით მათგან რომელიმე სასარგებლო წესი ცხოვრებისთვის გამოეკვლია. ესეც ხომ იყო: საზოგადოებას რომ კიდევაც შესძლებოდა ამ ფაქტების განხილვა, მე არ მგონია, იმ გვარად იყვნენ დაწერილნი ეს სტატიები, რომ მათგან შეძლებულიყო რამე სასარგებლოს აღმოჩენა ცხოვრებისთვის. არც ის იყო შესაძლო ამ სტატიებისაგან, გვეცნო საფუძვლიანად რომელიმე მომენტი წარსულის ცხოვრებისა. მაშ „ცისკარს“ როგორც ჟურნალს, ამ გვარ სტატიებით ღირსება არ მიეცემოდა. რასაკვირველია „სურამის ციხე“ მეტადრე „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“ და განსაკუთრებით „რომეო და ჯულიეტა“ დრამა შექსპირით ნათარგმნი შორს მოიტოვებდნენ „შვილს ემანკოებისას“, „თამარ ბატონის შვილს“, მაგრამ ამითი რა გახდა? ევროპიული საჭმელები რომ მომიტანო, მათი ჭამაც ხომ უნდა მასწავლო, როგორ-

უნდა. შექსპირის დრამების გასაგებლად, საზოგადოებას იმდენად უნდა ქონდეს ესტეტიკური გრძნობა გახსნილი, რომ შეეძლოს მისი დრამებში თითქოს ღვთიურის ხელით აღმოხატულის ცხოვრების ჭვრეტა, კაცის გულის ისე ღრმად და ვრცლად გაგება, როგორც ის არის ნაჩვენები მის დრამებში და კომედიებში. აბა ერთი მითხარით რავდენ სტატიებში აუწყა საზოგადოებას „ცისკარმა“ ან პოეზიის მნიშვნელობა ან მისი ისტორიული არსება და ცვლილება, თუ როგორი შეხედულობა ქონიათ ელლინელთ ქვეყანაზედ, ან როგორის გრძნობით ეყრებოდნენ ბუნების ზედ მოქმედებას, ან თუ რა არის პლასტიკური გრძნობა, ურომლიოთაც პოეტისგან არ შეიძლება რეალურ ცხოვრების მართლად ჭვრეტა. აბა სად გვიჩვენა ის პლასტიკური გრძნობა რომელიც გამოსჭვერს თ. რაფიელ ერისთვის ზოგიერთ ლექსებში და ნამეტურ თ. გრიგოლ ორბელიანის, სწორედ ხალხურის ელემენტით სავსეს პოეტურს გრძნობაებში, სადაც ასე აღტაცებით არის გამოყვანილი, თუ რას შეხარის ქართველის გული? აბა თუ შეუნიშნავს კიდევაც „ცისკარს“ ის რომანტიული (?) მიდრეკილება, რომელიც ისმის თითქმის აკაკი წერეთლის ყოველ ლექსებში: „საყვარელო ალექსანდრა“ დან „რუსთუმეს“ სურათებამდინ. „ცისკარი“ არ იყო ილია ჭავჭავაძეს ქვის სროლით შეხვდა? სად გვიჩვენა მან ის ორი ხასიათი ქალისა და ვაჟისა, რომლებიც ასე ღრმად და საკვირვლად არიან გამოხატული „სურამის ციხეში“? სად განიკვლია მან ის მიზეზები და გარემოება, რომელმაც შექნა ეს ხასიათები, ამისთანა ბოლოს ღირსნი, როგორიც ამ რომანშია ნაჩვენები?

სრულებით ამ გვარ რამეს 1857 წლიდან, რომ დავიწყოთ და ამ თვის ნომრამდინ გადავშალოთ სულ ფურცელ-ფურცლად, მაინც ვერაფერს მასში ვერ ვპოვებთ. ვერც იმას ვპოებთ, თუ სად განუხილავს ასე ვრცლად და მართლად გამოხატული სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის ხასიათი, რომ როგორმე მკითხველის გულში აღეძრა ზიზღი ამ გვარ მიდრეკილებაზედ. როგორც ვეჭობ, „ცისკარს“ სურამის ციხის აზრი სრულებითაც არ გაუგია, ამიტომ რომ როდესაც თერგ-დალეულმა გაიხსენა იმაზედ, როგორც ერთ კარგ თხზულებათაგანზედ, რაც რომ მხოლოდ „ცისკარში“ არ დაწერილა, მხოლოდ მის შემდგომ გამოვიდა მასზედ ფურცელაძის რეზენზია და მერე როგორი! განა ამას რეცენზია ერქმის?.. ახალ ადგმულ ენის ყბედობაა და ქარის მობერილი ჰსჯა. ამის შემდგომ თუნდ თვითონ შენ დაიდევ, მოლაყბევ, გულზედ ხელი და თქვი ღვთის წინაშე, რამდენი ქეთილი მოუტანია „ცისკარს“ საზოგადოებისთვის ამ შვიდის წლის

განმავლობაში? ვინ იქნება იმდენად უგუნური, რომ „ცისკარს'' ამაში დაუწყოს გამტყუნება. ყოველი საგანი მხოლოდ მაშინ იმტყუნება, როდესაც მასში იპოება მისთანა საშუალობა, რომლითაც შეიძლებოდა რამე კეთილის მოტანა და არ მოუტანია. ცარიელი ტიკი რაგინდ რომ წურო, კახურს ვერ ჩამოგისხამს, მაგრამ ის არის სამწუხარო, რომ, როდესაც ამტკიცებენ, რომ „ცისკარი" შვიდის წლის განმავლობაში არა კეთილის შემძენი არ ყოფილა საზოგადოებისთვისაო. აშკარა მართლის თქმაზედ გული გებძარვის კარგი რაც ითქვა, ითქვა: იმას ხომ აღარა გაეწყობა რა, მხოლოდ ერთი უნდა გითხრა, მოლაყბე! რადგანაც „ცისკრის" ადვოკატობა მიგიღია: შენ კარგად გექნება ნაცნობი თუ არ შენის გულთმხედველობით, ინსტიქტიურის გრძნობით მაინც, რომ ჩვენ საზოგადოებაში დაიძრა ცხოველი სული, იმას უნდა ცხოველი სიტყვა; მაშასადამე „ცისკარს'' თუ თავის სიკვდილი არ უნდა უსათუოდ უნდა დასტოვოს ის გზა, რომელზედაც აქამდინ მოდიოდა, გააგდოს მიშურა, გარეგანი სიბრკიალე და ჩაღრმავდეს სიცოცხლის მორევში მარგალიტების მოსაბოჭად. სიტყვით დატევება ცოტა არის, საქმით კი ჯერ ვერა ვხედავთ. გარიბალდის ცხოვრებით და სხვა ამ გვარებით თავს ვერ შეგვიხვევ ამიტომ, რომ მის გვერდში ვხედავთ იმ გვარ თხზულებაებს, როგორც „მამისგან შვილის დარიგება'', ქერელი ბექას ბაქიობა და სხვ. ამ გვარად „ცისკრის" გზის გამოცვლა კიდევაც უფრო მავნებელია, რადგანაც ამ გვარებით შეიძლება მკითხველის თვალისგან დაიფაროს შინაგანი ეშმაკობა. და ესეც არის: კაცი, რომელიც თან შეზრდია ერთგვარ სმენას და შეხედულობას ცხოვრებაზედ, რომელსაც გამოუშვია თავისებური სჯა თითოულ საგანზედ და ფაქტებზედ თუ კი იმას რამე აზრი აღუზრდია თავში, ერთობ ძნელად შეიძლება გადახდეს თავის გზას ნამეტურ ასე უცებ, „ცისკრის" რედაქტორმა ეს გვაუწყა და თითქმის ყოველწელს გვაუწყებდა: ეხლა სხვა აზრზედ უნდა წავიდეო, სხვა კარგ მიმართულებას ვიქონიებო და თუ მართლა ასეა, სანამ ჟურნალის შინაგანი ნაკლულოვანება საქმით არ გაიწმინდება, სულ ტყუილია, რომ იძახონ თუნდ წლიდამ წლამდინ: ეხლა სხვა გზაზედ ვდგებიო. საქმე უნდა და არა სიტყვა. როგორც ტბაში თუ ქვეწარმომავალი არის, არ შეიძლება, რომ ხანგამოშვებით მაინც თავი არ ამოყოს ხოლმე და იმ ტბის სიწმინდავე, არ აამღვრიოს, სწორედ ისეც ჟურნალშია ხოლმე.

1866

მათუსალას ალსარება

I

ოჰ, რა მოხარული ვარ მკითხველო, რომ ამდენის ხნის სიმუნჯის შემდეგ ბოლოს მაინც, ღვთის შეწევნით, ენის კლიტე გამეხსნა შენთან სალაპარაკოთ. უნდა წარმოიდგინო, რა რიგად დაწუხებული ვიყავი ამ სულთა-მხუთავის ჭირვებისაგან... სიმუნჯე, ჰმ!.. სიმუნჯესთანა სენი ნეტა თუ რამე მოევლინოს ზეციურს მამას კაცის დასასჯელად. უეცრად დამუნჯებული კაცის საქმე სულ სხვაა და დაბადებიდგან მუნჯისა კიდევ სხვა. დაბადებიდგან მუნჯს იმისთანა სამწუხარო მდგომარეობა არა სჭირს, როგორიც შემდგომისათ დამუნჯებულს კაცს. პირველს არაოდეს არ მოუსმენია კაცის ტკბილი საუბარი, ჩიტის ჭიკჭიკი, ბულბულის წკრიალი, შოშიას სტვენა, მდინარის ჩხრიალი, კლდის ქვითინი, მწყემსის სალამური და ყოველნაირი ხმა, ბუნებაზედ რომ კაცის გასართველად მოვლენილა. ღმერთს ბუნებით მუნჯისთვის დაბადებიდანვე დაუხშავს სასმენელი და ის ვერტ წარმოიდგენს თითქმის ხმის სიტკბოებას; მაგრამ კაცმა, რომელსაც თვითონ უმღერია და რამდენჯერმე მისი გული აღელვებულა დედის ალერსით და ჩვილის ტიკტიკით, იმ კაცმა რარიგათ უნდა აიტანოს სასმენლის და სიტყვიერების მოკლება? დიდი გულის საკვდავია იმისი მდგომარეობა, როდესაც იმას თავის ნაღვლიანი ამბოხება სურს მოძმეს გაუმჟღავნოს, მაგრამ სასაუბროთ ენა ველარ მოუბრუნებია და მოძმეს ლაპარაკი უხმო ტუჩის ძრევათ ეჩვენება. ჭეშმარიტათ ძნელი ასატანი უნდა იყოს ამ წუთისოფელში პირუტყვათ ცხოვრება, მაგრამ სიცოცხლესთან საუკუნოთ გამოსალმება კიდევ უფრო ძნელი ყოფილა. საგრძნობელის მოკლება დიდი უბედურებაა, მაგრამ სიკვდილს კი მაინც ვერ შეედარება... მკითხველი იქნება ამ ჩემს ლაპარაკს ყურადღებით ისმენდეს, მაგრამ ის კი არ იცის, ვინ ელაპარაკება. ეს იმასა ჰგავს, ჰაერიდგან კაცის ხმა მოისმოდეს და თვით მთხრობელს კი ვერ ხედავდე. ერა, უჩინმაჩინის ქუდს შენს წინ რათ

დავიხურავ, რადგანაც ჩემს თავს შენს მახლობელს ნათესავათ და მეგობრათ ვხდი. ის რაღა მეზობელი და მეგობარია, თავის მეზობელს რომ ვერ გამოჰჩენია. აი, ამისათვისაც ვისწრაფი თავი მალე გაგაცნო, მკითხველო. მე ვარ ერთი იმ საქართველოს მათუსალათაგანი, ბახუსის წვენით რომ ნოეს მოუძლურება დახსოვნებია და იმისს შვილებზედ წყევაც მოუსმენია. მე ვარ ის მათუსალა, მურვან-ყრუ აგარიანელის საქართველოში შემოსვლის მოწამე რომ ყოფილა. ვაი იმ დღეს, როდესაც ჩემთან ათასი წარჩინებული საქართველოს შვილი კლდეებში და ღრეებში იმალებოდნენ მთელი ორი წელიწადი! ვინ იცის, რა გაჭირვება არ გამოვიარეთ! ბევრჯერ მოხდებოდა ხოლმე, რომ პურათ მარტო ხის კანი გვქონდა და საჭამადათ ხის ხავსი. ყოველი სულიერი და უსულო რკინასა და ცეცხლს მიეცა მოსანელებლათ. მთელმა სამოცმა წელმა მას უკან ისე გაიარა, რომ საქართველო ჩვეულებრივს მდგომარეობაში ჯერ კიდევ ვერ ჩამდგარიყო. მე ვარ ის მათუსალა, სულთანის ჯელალ-ედინის ტფილისში შემოსვლა რომ თავის თვალით უნახავს, რუსუდანის მეფობის დროს. ოჰ, უღვთოებავ!? ოჰ, არა წმინდებავ!... მე, ბედკრულმა ძლივს, რითაც იქნა, ერთს ბნელს სარდაფში ჩავასწრე, მაგრამ ქართველების ღრიალს და დედა-კაცების უნუგეშო გოდებას სარდაფის კედლები როგორ დაიჭერდა. დედის წინ ძუძუმწოვარს ყრმას აიყვანდნენ და მიწაზედ დაანარცხებდნენ, თვით დედასაც შემდეგ დანით ზედ დააკლავდნენ. მოხუცს ცხენის ძუას გამოაბამდნენ და ლუკმა-ლუკმათ იმის წიხლებს დააგლეჯინებდნენ. გეგონებოდა ამ დროს სიჭაბუკე იმისათვის დავაჟკაცებულაო, რომ თურქის ხრმლით თავი უნდა მოკვეთოდაო. გეგონებოდა იმათთვის სამი მტკაველი მიწაც დაშურებიათო და იმისთვის დაუხოცნიათო, კაცის თავებით ნადირი და ძაღლები რომ დაეძღოთო. შველის მაგივრათ დედაში გასაკიცხავი დედოფალი რუსუდან ქუთაისს იმალებოდა. ამნაირს მდგომარეობას საშუალო აზიიდგან კიდევ მონგოლების შემოსევა დაერთო. იმათს უკანით მიქცევის შემდეგ, მთელი საქართველოს მხარე ცეცხლით გადაფუტებულს ველს ემსგავსებოდა. მე ვარ ის მათუსალა, ამერის და იმერის გაცალკევებას რომ მოვსწრებივარ, მოვსწრებივარ იმ დროს, როდესაც სპარსეთში და ოსმალეთში ათასობით გაჰყავდათ საქართველოს ახალგაზდობა, ზოგი ტყვეთ და ზოგი ძევლათ, ვყოფილვარ იმ დროების მოწამე, როდესაც უპირულობის გამო ისე მოვუძლურდით, რომ ჩვენი მეზობელი ლეკები დაღისტნიდგან იმერეთში გადადიოდნენ, დაბასა და ქალაქს ცეცხლით აოხრებდნენ, ტყვეებს და საქონელს იტაცებდნენ. ამდენს ცეცხლში და კუპრში გამოვლილს, მე ცოდვა გა-

ლიდებულს მათუსალას განა გული კიდევ უნდა შემრჩენოდა, რომ თავს ზარის დაცემით ენის საბრუნავი არ ჩამკეტოდა?—უეჭველია. მე რომ ხანგრძლივ დავდუმდი, აპისი მიზეზი იყო ის განუქარვებელი სევდა, რომელიც მომდიოდა გულზე წამისწამს, როდესაც მოვიგონებდი ყოვლად უნაყოფოდ ჩავლილ ჩვენს ისტორიულს ცხოვრებას. ერთს მშვენიერს საღამოს, იმისთანა საღამო, რომლის ნაირიც დიდი ხანი იყო ჩემს თვალებს არ ენახა, დამაშვრალი განვისვენებდი მწვანე მდელოზედ. ძველი ჩვენი ფუჭი ცხოვრება მუდამ ცხოველის წარმოდგინებით გულის ჭრილობას მიახლებდა. ამ დროს უეცათ ალბათ სისხლის აგორვებით მომიხდა თავს, რომ ზარმა დამკრა, კოჭებამდის ჩაირბინა. როცა ცნობაში მოვედი, ამგვარის ზარის დაკვრის შემდეგ, ენის საბრუნავი სრულიად ჩამკეტოდა. მას აქეთ არის რაც დადუმებული დავტანტალებდი ამ წუთის სოფელში ყოვლად უსაქმოთ, უფრო მისთვის რომ სადმე სამს მტაველზედ ცივი სამარის მიწა გამხსნოდა და მას საუკუნოდ მივებარებინე; მაგრამ მე, ცოდვა გადიდებულს სიკვდილიც მელტვოდა. თითქო თვით ბუნებას მათუსალასათვის ადანის წლობა მიუნიჭებიაო. როგორც იქნა მკვდარ-ცოცხალი მოვცოდვილდი ამ დროებადმის და აქ კი სულის სიკრულე შემისალავათდა. ციაგის შუქმა უეცრად შემოანათა იმ ბედ კრულს ღამეში, რომელშიაც უგზო-უკვლოთ დავეხეტებოდი. სიხარულისათვის კარდახშული გული გამინედლდა. ამ დროშიაც მომესმა ჭეშმარიტების ხმა: „ესხურე, მათუსალავ, ახალის ცძოვრების წყაროთი, შეიხსენ შემოჭირებული ბორკილი და ისევ ღრმა მოხუცებისაგან გამშვენიერდი ჭაბუკად". იცით, მკითხველნო, რაში მოვიპოვე მე ჩემი სიჭაბუკე?—გლეხების განთავისუფლებაში. დიახ, იმ დროიდგან, როდესაც ჩვენს დაჩაგრულს ძმებს მიეცათ დიდის ხნიდგან დაკარგული სიმართლე, იმ დღიდგანაც წარმოდინდა ჩემი ახალი წყარო ჭაბუკობისა და შენიც უფრო ნათელ, ღონიერი და უფრო სამართლიანი წყარო ცხოვრებისა. ამ გვარის ცვლილების მომსწრე ასეთ რიგად ავღორძინდი, რომ დადუმებული ენაც ისევ ამედგა. ახლა მხოლოდ ამას ვევედრები უზენაესს, რომ ნორჩის ენით ტიკტიკი მდიდარს და მოსწრებულ ქართულს სიტყვიერებად შემიცვალოს. ახალის ადგმულის ენითაც ახლა ვისურვებ შენთან ელურტულს სხვა და სხვა ამბის შესახებ... მაგრამ რა ვთქვი? სულ ყველა ყველა და ტკბილის საუბრის კი რა მოგახსენო? მადამის N ეთეროვანს გაზრდილებთან ნურას უკაცრავად, თუ მათი ყურთა სმენა სირინოზის ხმით ვერ დავატკბე ხოლმე. ეჰვი არ არის იმათი ფაფუკი ღაღაბი, ნაზი წელ-გაწრეტილება და გულმკერდის უხვად გადმოშლილება კორხლიანს სიტ-

ყვებს ვერ აიტანს და ხშირადაც შეიძლება წამოიძახონ ხოლმე ამ გვარად: „ფუი გაუზრდელი!.. ეს ვის გაუგონია ამ გვარი უზრდელი სიტყვები! ტპუ! ტპუ! ცადი დაიქარგე, თვალით არ დაგვენახო უზრდელო მათუსალავ!“—უნდა მოგახსენოთ მადამის N და ნატუსიანთ არე მარეში ერთს რაღაც ნაირს იხტიბალურს მანქანასა ხმარობენ და მითი ასეთ რიგად უვიწროებენ ყანყრატოს ჩვენ ახალ-გაზდა სიტურფესა, რომ ამათ ყელს არც ასოსი ᲩᲬ, არც Ჯ და არც Ჭ გამოთქმა არ შეუძლიანთ. Ჩ მაგივრად იტყვიან Ჯ, Ჯ მაგივრად გამოთქმენ ᲒᲒᲒᲐᲐᲜᲡ და Ჭ მაგივრადაც Გ! მაგალითად, თუ სურთ გამოთქვან—„ჩვენ ვყაყანებთ“, ამის მაგივრად იტყვიან „ჩვენ ვკაკანებთ!“... იკაკანე რამდენიც გერჩიოს ჩვენო წყალწაღებულო სიტურფეკ; მაგრამ მე კი არ შემიძლიან ამ ქვემო ხსენებულის წინასიტყვაობის ძალით ყოველთვის ასე არ მოვიქცე ხოლმე:

აწ აღვიძვრი შენ საქებად
ეთეროვანო არსება!
ასკილს მოვიხმარ სიტყვებად,
თუმც ვიცი არ გეამება.

მაგრამ სჯობს ასე, მყობადში რომ არ გავხდეთ საგონებლად. ამ ჟამად მხოლოდ ამ წინასიტყვაობით გავათავებ ჩვენს ახალ-გაზდა სიტურფესთან ლაპარაკს, რადგანაც სხვა მკითხველებთანაც ბევრს რასმე საგნებზედა მაქვს სალაპარაკო, მაგრამ ეს შემდგომისათვის გადავდვათ.

II.

ცხოვრების წყაროთი განახლებული თქვენი ბერი მათუსალა ვისწრაფი ხელმეორეთ მოგცე სალამი, მკითხველო! „კარგი გამარჯვება“!—ღმერთმან გადღეგრძელოს—შემომაგებებ, განა არ ვიცი შენის გულკეთილობისაგან! მაგრამ მე კი, სწორე მოგახსენო, არაფრათ მეჯაშნიკა შენი მაგისთანა მოლოცვა. ნოედგან აქამომდე სულ ვდღეგრძელობ, მაგრამ მეტი შენს მტერს ნურა კეთილი დაყრია, რაც ტანჯვის მეტი ჯერ არა გაშომეცადნოს რა... მჰ, დღეგრძელი!.. რა დღეგრძელია ქვა რომ იცოდე, მკითხველო!... ბუნების მეძიებლები ამტკიცებენ, ვითომც ოდესმე ჩვენი დედა-მიწა სიცხისაგამო ტყვიასავით გალხვალი ყოფილიყოს და რაკი იმდენათ გაციებულა, რომ სიპი ქვის აბკი გარს შემოუკრავს, მას უკან ქვა სულ დღეგრძელებს, მაგრამ ამითი ნამცეცი შინაგანი კეთილ-მდგომარეობა იმას არ შემატებია. ბრალიანს და უბრალოს სულ ქვა დაუბრიყვებია. მიარახუნებს თუ არა დროშკა, იმისმა ბორბლებმა მაინც ქვას ნაპერწკლები უნდა გააყრევინონ. მიაჭენებს თუ არა ცხენი,

უეჭველია ქვაზედ იმისმა ტორებმა ბრაგა-ბრუგი უნდა აუყენოს. ვისაც კედელში ლურსმის შერჭობა უნდა მიუცილებლათ, თუ ჩაქუჩი არ აქვს, ქვას გვერდები უნდა შეალეწოს. ვისაც უნდა ციხე ააშენოს, იმან პირველათ კლდე ნაღმით უნდა დაარღვიოს და მერმე საცოდავი ქვის ლოდები გავარვალებულს საკირეში უნდა კირათ დაანაცროს. მეტი სიუბედურე რაღა იქნება, რომ ყმაწვილის საბურთალოთაც ქვას ქვისთვის თავი უნდა ასკმევინონ, ამისთანა დღეგრძელობას, კარაპეტასი არ იყოს, მეტი ბედოვლათი დღეგრძელობა მიქვია. ამისთანა დღეგრძელობა, მკითხველო, ნურც შენ მოგცეს ღმერთმან, მაგრამ ეს ჩემი მოძმე მათუსალები ამ უკანასკნელს დროში დღეგრძელობისაგან ისე მოიკრუნჩხნენ, რომ კაკლის ხეჭუჭში ჩასატევი გამხდარან; მერე თუ მართლა, ერთის ზღაპრისა არ იყოს, კაკლის ხეჭუჭშიაც ჩასხდნენ! თქვენი მტერი, ბევრი აღარა ეკლებათ რა გაქვავებას! ნამეტნავათ მე რომ ამერიკანული კაკლის ხეჭუჭი ვიცი, მგონია სიმაგრით ქვას აჯობოს! ამ გვარის ხეჭუჭით გზების მოკირწყვლაც ძალიან შნოიანი და სუფთა იქნება; ამ გვარის კენჭებით მოკირწლულს ქუჩებზედ ძალიან რბილათ უნდა ირიხინოს რესორიანმა კარეტებმა. რასაკვირველია, ამისთანა რახარუხის ხმა მაშინ აღარ იქნება, როგორც ახლა რიყის ქვებზედ არის. ერთს ახლანდელ მეცნიერთაგანს კიდეც უქადაგნია, ვითომც ის ჟამიც შორს აღარ არისო, როდესაც ზემოხსენებული ქვა შენობებისათვის მოიხმარებაო!... მართლა, მეცნიერებზედ მომაგონდა... ახლანდელს დროში ჩვენს საქართველოში და ნამეტნავათ ტფილისში მეცნიერები ისე გამრავლდნენ, როგორც მტკვრის ქვიშა. მხოლოთ ერთი რამ წვლილი ნაკლულევანებისა სჭირთ ამ მეცნიერებს, თორემ სხვებრ ყოვლათ შემკობილნი არიან, ვითარცა ხუცესი უხუცესთსა ქვეყანასა შინა. ეს წვლილი იმათი ნაკლულევანება არის ხშირათ სიცრუვის ლაპარაკი. თუ რომ დღეში ერთხელ მაინც არ იცრუეს, იტყვიან: „ის დღე უქმათ ჩავლილია განათლებისათვისო“. ამგვარი იმათი წვლილი ნაკლულევანება წარმომდგარა ერთის კიდევ უწვლილესის იმათის ნაკლულევანებისაგან: ისინი არიან საკვირველი თაფლის მოყვარული ფუტკრები, ისე რომ თუ თაფლს დაპირდი, შრომასაც გადაიხდიან ხოლმე და თუ კი შენთვის საამურად დარჩება, დღეს ღამეთ მოგაჩვენებენ; თუ რომ თაფლს არ დაპირდი, ტყუილათ ნუ იფიქრებ, რომ ხელი უბრალოთაც გაანძრიონ; თითქმის ტყუილისთვისაც ენას არ მოაბრუნებენ. ახლანდელს დროში თაფლი მეტი რამ საუნჯე შეიქნა. ამბობენ, თაფლით შეიძლებაო სამართლის მოპოება. თაფლით შეიძლებაო რისხვის თავიდგან მოშორება, თაფლით შეიძლებაო ჯოჯო-

ხეთრდგან სამოთხეშიაც შესვლა, თაფლით ვინ იცის კაცი რას არ იზავსო. თუ კი პირზედ მოსაცხებელი თაფლი მაქვს ბლომათ, რომელი ქართველიც არ უნდა დამისახელო, იმ ქართველს ჩავაცმევ ყორნის ტანთ-საცმელს და ყორანსავითაც ვაყივლებ. ამ ცოტას ხანში ერთი იმ მეცნიერთაგანი, რომელთაც თაფლზედ ფუტკარსავით მუსუსი მოსდით, ყოფილა ერთს მშვენიერს და მდიდარს ჭალაში მდებარეს ქალაქში. მიუხედ-მოუხედავს და სერზედ ციხის ნანგრევი დაუნახავს. ამ ციხის კედელი ღორის ზურგისთვის შეუდარებია. მერმე გამოუკითხავს ქალაქის სახელი და შეუტყვია, რომ ქალაქს სახელათ გორი რქმევია. აქედგან იმ წამსვე გამოუყვანია: „უთუოდ ქალაქს ღორი უნდა რქმეოდაო, მაგრამ რადგანაც ფილოლოგიური წესით ასო ღ ხმირათ შეიცვლებაო, ამისთვის თვით მცხოვრებლებსაც ღორის მაგიერათ ქალაქისთვის გორი დაურქმევიათო“, ამაზედ არის ერთი ლათინური ანდაზა . . . . . *) ამისთანა ამბების გამორკვევაც შემდეგაც ბევრჯერ მოგვიხდება ხოლმე, თუ ვიცოცხლეთ და სიზარმაცის დირე თავს კიდევ უწინდულათ არ წამოგვაწვა, მკითხველო. მაგრამ მე და შენ ამ პირველშივე უნდა დავდვათ ზოგი იმისთანა პირობაები, რომელსაც ერთი ერთმანეთთან შეეძლოს კავშირის გასკვნა, თორემ უამისოთ მე და შენს მეგობრობას დიდი ხანი არ ექნება. ყოველი შენი და ჩემი ნაკლულევანება სულ ერთის წყაროსაგან წარმოდინდება ხოლმე, რადგანაც ორივე მეც და შენც ერთს არეზედ ვართ აღმოცენებული, ერთი წყალი გვისვავს ორივეს და ერთი ჰაერი გვისუნთქავს. ამისთვის ყოველგვარი ჩემი მწუხარება, მოუსვენებლობა და ბევრი რამ სხვა ცუდი მიზეზი უსათუოთ შენც არ უნდა მოგასვენებდეს. ორთავეს უნდა გვქონდეს ერთი გულის წუხილი და ვიყვნეთ თანამოზიარე ერთმანეთის ჭირისა. საკუთარს ნაკლულევანებას უნდა ვსდევნიდეთ ერთის ძალით, რადგანაც ის არის ორივეს სიცოცხლის გამბორობელი. საერთო მავნე ყოველთვის ერთის ძალით უნდა მოვიცილოთ ხოლმე. მოხდება, როდესაც კაცი თავის ნაკლულევანებას ისე შეეთვისება, რომ თითქმის ნაკლულევანებათაც აღარ მიაჩნია, მაგრამ ჩვენი მეცადინეობა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ამ გვარს ტანში გამჯთარს სენს დაუგდოთ ბარი და ამოვსთხაროთ ცხოვრების ჯურღმულითგან, როგორც უკეთური ღვარძლი. ეი ცოტათი მე რისა მეშინიან ვაი თუ, ამგვარს ნაკლულევანებაზედ სჯა შენ ძლიერ მკვახე

*) ცენზორის მიერ არის ამოღებული.

რედ.

ვეჩვენოს, მაგრამ რაც რომ მე არ დამიჯერო, ის ჩემს წვა-და-დაგვა-ში გათეთრებულს თმას დაუჯერე. ჩემმა ხნიერებამ იმდენი გულ-საწვავი მაგალითი მიჩვენა, რომ ყველაზე უკეთ შემიძლიან დავაფასო, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი ჩვენს მდგომარეობაში. ამისთვის გევედრები, მკითხველო, თუ რომ მკვახეთაც მოგეჩვენოს ჩემი აზრი პირველათ, ჯერ მაინც ჩაფიქრდი და ამ რიგათ განსაჯე ხოლმე: „ჩვენი ცხოვრებისგან ტანჯული მათუსალა ჩვენს სასარგებლოს საქმეს რისთვის გაკიცხავდა?“ თუ თვალი არ გადაგიცდენია, მე ზევითაც გაცნობე, რომ ჩემი გულის გამნედლებელი და დადუმებულის ენის ამდგმელი გლეხების პირადათ განთავისუფლება იყო.

მას აქეთ არის, რაც ჩემი სიჭაბუკის წყარო ხელახლა წარმოდინდა. ვგრძნობ, ვგრძნობ, მკითხველო, რომ ეს სიტყვები ეკალსავით გულზე გეჩხვლიტება და იქნება ორიოდეს ქართულს ლოცვასაც მიგზავნი; მაგრამ წლოვანება ნებას არ მაძლევს რომ შენმა დაღრეჯილებამ ჩემი გული ცოტათი მაინც ააციმციმოს. ამის მაგივრათ უფრო საჭიროთ ვრაცხ ამ აზრზედ შენთან დაწვლილებით მოვილაპარაკო. ჯერ შენ ეს მითხარი, გყოლია თუ არა მეგობარი?—დიახ, ერთის მაგივრათ ათიც გყოლია და მათ შორის ერთი მაინც განსაკუთრებით უგულითადესი შენი მეგობარი ყოფილა. წარმოვიდგინოთ რომ ამ შენმა უგულითადესმა მეგობარმა ცოტა სიამაყე დაიწყო. იმედი მაქვს ამ სიამაყისათვის იმას მკაცრის სიტყვებით დასჯი და თუ თავის სიამაყესაც არ მოუკლო, გულსაც იმაზე მალე აიყრი. ეტყვი: „შენც შეგარცხვინოს ღმერთმან და შენი მეგობრობაც მაგისთანა ცხვირის აბზეკისათვის“. სწორეთ ამისთანა სიტყვებია გაამპარტავნებულის მეგობრის საკადრისი. მაგრამ ახლა ეს განვსაჯოთ: თუ რომ შენს გულითადს მეგობარს უბრალო სიამაყესაც ვერ შეაწევ და ცუდის მეზობლობისათვის საუკუნოთ აეშლები, მაშ იმ კაცმა შენზედ რაღა უნდა იფიქროს, ვინც ჩვენგნით დაჩაგრულია... სიძულილი ერთის მეორისა ყოფილა მიზეზი, რომ ჩვენს ძველს ცხოვრებას ასე უნაყოფოთ ჩვენთვის ჩაუვლია. სიძულილი, ჯოჯოხეთის ნაირი სიძულილი და მგლური თვისება ყოფილა ჩვენის ძველათვე უბედურების მიზეზი. მგლურს კბილებს გაუცალკევებივართ და ამისგამო არა რაიმე კავშირი არა თუ ერთმანეთში, არც მრთელს მხარეებს შუა არა ყოფილა. ადრიდგან მისგან წარმოდგენილმა უბედურებამ გამომაძებნინა ზემოხსენებული მიზეზი. ყოველს მწუხარების დროს ეს ნაღვლიანი სიტყვები მომვარდებოდა ხოლმე ენის წვერზედ: „რომ ჩვენში ერთს კაცს მეორის დაჩაგვრა არ შესძლებოდა. ოჰ, რა ბედნიერი და ძლიერი ვიქნებოდით! ოჰ, რა ერთსულობა გვექნებოდა!..“ ამას

იქით თვით შენ იფიქრე, მკითხველო, რა რიგათ უნდა გავხარებულ-ვიყავ, როდესაც მომესმებოდა, რომ ჩვენის წარსულის გამყალბებელი მიზეზი მოიკვეთება. მას შემდეგ ჩვენი სურვილიც მხოლოთ ამას უნდა შეიცავდეს, დაჩაგრულს ძმას ძველი ნაუსამართლევი გულში არ ჩავარჩენინოთ და რომლის ხელითაც დაგვიჩაგრავს, იმავე ხელით ახლა იმას თვალზედ ძველი ცრემლი მოვსწმინდოთ. მკითხველსა ვსთხოვ ამგვარის წრფელგულიანობისათვის ჩემზე გული არ აიყაროს და, თუ ვინცობაა ამ ჟამათ ეს სიმართლე არ ეჯამნიკოს, ათს წელს შემდეგ, როდესაც ამაზედ თავის გონებით დარწმუნდება, მაშინ მაინც ვსთხოვ შენდობით მოიხსენებდეს ჩემს სულს საუკუნეში.

№ 1.

ᲠᲝᲚᲔᲯᲐ

ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

ᲤᲘᲚᲔᲢᲝᲜᲘ.

დედა-კაცის აზრი დედა-კაცზედ

ახლანდელს დროში დაწინავებულნი პირნი განათლებულს ქვეყნებში ნამდვილათ გრძნობენ, რომ ქალს საზოგადოებაში არა აქვს მინიჭებული თავისი შესაფერი მდგომარეობა. ყოველ სახელმწიფოს სჯულში არის ზოგი იმისთანა კანონები, რომლის გამოთაც დედა-კაცი იჩაგრება და იმდენი თავისუფლება არ მიეცემა, რამდენიც საჭიროა სახელმწიფოს კეთილ მდგომარეობისთვის და შთამომავლობის სასარგებლოთ. ეჭვი არ არის, ამ სიტყვებზედ ჩვენი ქალები წყრომას დაგვიწყებენ.—როგორ თუ შესაფერი მდგომარეობა არა გვაქვსო? დაჩაგვრა კი არა, ჩვენოდენი უფლება და ღირსება არავის არა აქვს. აი წარმოვიდგინოთ, როდესაც ქალი და კაცი ქუჩაში ერთათ დასეირნობენ; დედა-კაცი წინ მიდის და მამა-კაცი კი ბიჭსავით უკან აედევნებაო. ქალები არა ვართ, რომ კაცები, როგორც მეფეს მოწიწებით ხელზედ გვკოცნიან და ზოგჯერ ჩვენს წინ მუხლსაც მოიყრიან? აბა ერთი მიჩვენე საზოგადოების ყრილობაში, თუ ქალს ყოველთვის კაცზედ უპირველესი ადგილი არ უჭირავს! ვის გაუგონია ამ გვარი ცილის წამებაო! არა, ეგ ტყუილი მოგიგონია, ვილაც გამოსულხარ და სწერ; მაგ სიტყვებს არასოდეს ჩვენ თავზედ არ მივიღებთ. ჩვენისთანა ბატონები მამა-კაცები არ არიანო, ჩვენ ოჯახებში ბატონებათ ვზივართ და ისინი კი ოფლის წურწურით შრომობენ და ხარჯს გვაძლევენო.

პატივცემულნო მანდილოსანნო, ძლიერ ნუ გაცხარდებით; გული დაიმშვიდეთ და ისე მოისმინეთ ჩემი საუბარი. მე აქ უფრო ერთის გამოჩენილის დედა-კაცის პირით ვლაპარაკობ, რომელსაც არ მოსწონს ქალის ბატონობა ახლანდელს დროში და ამბობს, რომ ამ გვარი ბატონობა დედა-კაცის დამამცირებელი და შეუფერებელი არისო. მაშ ახლა განვაგრძობ ლაპარაკს. დედა-კაცს კანონით აკრძალული აქვს, რომ თავისი ნიჭი და გონიერება საზოგადოების წარსამატებლათ მოიხმაროს. დედა-კაცს არ შეუძლიან საზოგადო საქმისთვის იშრომოს, ისე როგორც მამა-კაცსა; იმას არ შეუძლიან ცხოვრების

საშუალობა პატიოსანის გარჯით მოიპოვოს. საზოგადოების ჩვეულება დედა-კაცს ნებას არ აძლევს, რომ თავისი გონება გაანათლოს იმდენათ, რამდენათაც მამა-კაცს შეუძლიან თავისის გონების გახსნა. საზოგადოების წესდებულება უშლის დედა-კაცს, რომ ის სახელმწიფო გამგეობის წევრათ გახდეს; იმას არ შეუძლიან შეიქნეს მასწავლებელი, ექიმი, სამოქალაქო თანამდებობის აღმასრულებელი და სხვა. რადგანაც დედა-კაცს არავითარი წყარო თავისუფლათ ცხოვრებისა არ ჰქონია, ამისთვისაც ის გამხდარა სრული მონა მამა-კაცისა. ის პირმოთნეობა, რომელიც ცოლ-ქმარობაში ხშირია—ოჯახის გამრყვნელი და ზნეობის დამამცირებელია. ხასიათის შეუთვისებლობით რომ ცოლის გულში უკმაყოფილება აღიძრას, უეჭველათ ქალმა ეს უკმაყოფილება უნდა დაჰფაროს და მუდამ თავის გულს უნდა ასკდებოდეს; ამ ნაირის მდგომარეობისაგან დედა-კაცი ვერას ღონისძიებით თავს ვერ იხსნის. თუ ეს უკმაყოფილება იმან ცხადათ წარმოსთქვა, ვაი იმის მოსწრებას!.. მეტი გზა არ არის, ყოველს ამ ნაირს მდგომარეობაში დედა-კაცი პირმოთნეობით უნდა აღიჭურვოს. აი, ამ გვარმა საზოგადოების სასტიკმა ჩვეულებამ და სჯულმა აღძრა ქალების დრტვინვა და განათლებულის კაცების უკმაყოფილება.

ყოველი ჭკვიანი ქალი და კაცი ევროპისა და ამერიკისა, ებრძვის ასეთ საზოგადო წყობილებას და იმის ჩვეულებას დედა-კაცის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. სხვათა დედა-კაცებთა შორის ერთი ფრიად განათლებული ქალი, გრაფინა დორა დისტრია ძალიან უკმაყოფილოა ახლანდელს შეუფერებელს ქალის მდგომარეობაზედ. დორა დისტრია დედა-კაცის მდგომარეობას სხვადასხვა საზოგადოებაში ისტორიულათ განიხილავს და იმ აზრზედ დამყარდება, რომ უგუნურს კაცის სიმძლავრეს დედა-კაცი მამა-კაცის მონათ გაუხდიაო. აი რას იტყვის ისა: ველურს ხალხში დედა-კაცს პირუტყვსავით ეპყრობიან და ზოგჯერ იმის მდგომარეობაზედაც უფრო სამძიმოა. აქ დედა-კაცი ღმერთებისგან მოძულებულათ მიაჩნიათ. დედა-კაცს მამა-კაცთან პურის ჭამა არ შეუძლიან; რაც მამა-კაცის საჭმელია, იმას დედა-კაცი ვერ შეეხება. მამა-კაცთან ვერ დაჯდება. რომელს ჭურჭელსაც მამა-კაცი ხმარობს, დედა-კაცი იმ ჭურჭელს ვერ იხმარებს. ის იქ მამა-კაცს ვერას დაამადლებს და მამა-კაცი კი იმაზედ ხშირათ მოიხვარს ხოლმე თავისს ძალას. ამ დედა-კაცის დამოკიდებულება ძველიდან აქამომდე მომდინარეობს, ბოლოთ ეს კი არის, რომ ეს დამონავება თანდათან სუსტდება. აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალის მდგომარეობა არ არის ისე სასტიკი. დედა-კაცი რომ ველურს ხალხს პირუტყვად მიაჩნია, აღმოსავლეთის ხალხი იმას ისე უყურებს, რო-

გორც თავისს მონას. თუმცა ქალი იქაც ნივთსავით საკუთრებათ მიაჩნიათ, მაგრამ ეს საკუთრება ოჯახის მმართველია და იმის ფასიც აძევს: დედა-კაცს აქ ყიდულობენ. რადგანაც აღმოსავლეთში დედა-კაცი სავაჭრო საქონელია, რომელიც უნდა გაისყიდოს, ამისთვის უეჭველია, ვისაც მომეტებული შეძლება აქვს ის ამ ნაირს ნივთს უფრო ბევრს მოიპოვებს და აი აქედანაც უნდა წარმომდგარ იყო მრავალცოლიანობა. განათლებულს საბერძნეთში და რომში ქალი უფრო პატივცემული იყო. აღმოსავლეთსავით იქ დედა-კაცს არა ყიდდენ, და არც ითვლებოდა ისა მამა-კაცის მონათ, თუმცა იმავე მამა-კაცის ხელში იყო სრულებით.

ქრისტიანობამ თავისის ღვთიურის აზრებით იმ დროში ძირითადი ცვლილება ვერ მოახდინა დედა-კაცის შესახებ. რომის განათლებას არ შეეძლო, რომ საქრისტიანო აზრებზედ გავლენა არ ჰქონოდა, როდესაც ეს აზრები ხალხში ვრცელდებოდნენ. ამ მიზეზებისა გამო ქრისტიანობამ ვერ შესძლო დედა-კაცის მდგომარეობის გაუმჯობესება. ამას ჩვენ ახლანდელს დროშიც ნათლათ ვხედავთ. ჩვენში დედა-კაცი უწინდულათ არის მამა-კაცის დამოკიდებულების ქვეშ, მაშინ როდესაც ეს დამოკიდებულება იმისთვის სრულიად საჭირო არ არის.

მწერლები, რომელნიც საზოგადო მონებისგან დედა-კაცის განთავისუფლებას ეწინააღმდეგებიან, ორ გვარს საბუთებს წარმოადგენენ. ერთი საბუთი იმას შეიცავს, ვითომც დედა-კაცს თავისი შესაფერი თავისუფლება ქონდეთ მინიჭებული; დედა-კაცის დანიშნულება, იმათის აზრით, ოჯახობა არის და იქ ის სრული თავისუფალიაო. მაგრამ დორას აზრით ოჯახის მოვლის გარდა ქალს კიდევ ბევრი თავისუფალი დრო დარჩება. იმას უნდა ნება მიეცეს, რომ დანარჩენი თავისუფალი დრო საზოგადოების სასარგებლოთ მოიხმაროს, როგორათაც საზოგადოების წევრმა. ერთის სიტყვით, ვისაც ჰგონია, რომ დედა-კაცი მარტო კარგი მეოჯახე უნდა იყოსო, ისინი ძალიან სტყუიან, ამისთვის რომ შეიძლება კაცი კარგი ოჯახის მომვლელი იყოს და ამასთან კარგი ექიმიც, კარგი ვაჭარიც, კარგი ვექილიც, კარგი ისტორიკოსიც, კარგი სახელმწიფო მოხელეც და სხვ. ოჯახობა, როგორც მამა-კაცს, აგრეთვე დედა-კაცს ვერ დაუშლის ისტორიკოსობას და მრავალს სხვა რიგს სამოქალაქო სამსახურსა.

მეორე საბუთი დედა-კაცის წინააღმდეგ ამ აზრს წარმოადგენს: ვითომც იმისი ნიჭიერება და მამა-კაცისა შორის შორს იყოს; მაგრამ ამ გვარი აზრიც დორას ფიქრით სრულიათ უსაფუძვლოა. დორა დისტრია აიღებს ისტორიას და იქ ცხადათ გვიჩვენებს, რომ სწავლაში, პოლიტიკაში და სარწმუნოების სფეროში გამოჩენილნი დედა-კაცები

ყოფილან. შესანიშნავია ერთი იტალიელი ქალი, რომელიც სხვათა შორის დედა-კაცის ნიჭიერების დასამტკიცებლათ მოჰყავს დორას. ამ დედა-კაცს რქმევია მარიამ გაეტანა აგნეზი. ცხრა წლისა რომ შექმნილა იმას დაუწერია ლათინური თხზულება, რომელიც ნათლათ ამტკიცებს, რომ დედა-კაცსაც შეუძლიან ამგვარი შრომა, თერთმეტის წლისას ამ ქალს ბერძნული ესმოდა და ოცდა ათის წლისა ლათინურიდამ თარგმნიდა ბერძნულათ, იტალიურათ, ფრანგულათ და ნემეცურათ. შემდეგ იმან კიდევ ისპანიური და ებრაული ენა ისწავლა. ოცის წლისა იყო მხოლოთ, როდესაც პაპამ ბენედიკტმა XIV ის მიიწვია პროფესორათ მათემატიკის კათედრაზედ ბოლონის უნივერსიტეტში. ეს პატივცემული ადგილი ამ დედა-კაცმა დაიმსახურა თავისის შესანიშნავის მათემატიკურის თხზულებით, რომელიც იმ დროს სწავლულებში ძალიან ხმა გავარდნილი იყო. ლაურა ბასსიც თითქმის ისე შესანიშნავია ფილოსოფიაში და ფიზიკაში, როგორც აგნეზი. როდესაც პრუსიაში თავისუფლებისთვის ომიანობა მოხდა, მაშინ მრავალმა დედა-კაცმა თავი გამოიჩინა მამულის სიყვარულით და სხვა მოღვაწეობითა. სხვადასხვა სწავლის ნაწილშიაც ბევრი სახელგანთქმული დედა-კაცები არიან, მაგალ. ფილოსოფიაში მარკიზ-დეშეტელე, ვოლტერის მეგობარი, ეთნოგრაფიაში ანუ ხალხის აღწერაში, გეოგრაფიაში, ფიზიკაში—სოფიო ჟერმენი, იდა ფეიფერი და მისი შტრიკლანდი, ასტრონომიაში—ზომერვილი და მრავალი სხვა.

ეს დედა-კაცები ყოველს საბუთზედ უფრო ნამდვილათ გვიჩვენებენ, თუ რამდენათ უსაფუძვლოა იმ კაცების აზრები, რომელნიც ეწინააღმდეგებიან დედა-კაცის მამა-კაცთან გათანასწორებასა და ამბობენ, ვითომც მამა-კაცის ნიჭიერება ბევრათ მაღლა იდგეს დედა-კაცის ნიჭიერებაზედ. ახლა ევროპის საზოგადოებაში დაწინავებული პირები უფრო იმ აზრზედ არიან დამყარებულნი, რომ დედა-კაცი განთავისუფლდეს მამა-კაცის ნივთიერებითის დამოკიდებულებისაგან და ის უფლება მიენიჭოს იმათ, რომელიც მამა-კაცს აქვს. რა საკვირველია, ამ გვარი თავისუფლება დედა-კაცს მიანიჭებს ნამდვილს კაცურს ღირსებას და ამასთან იმის დაჩაგრულს მდგომარეობასაც აღადგენს.

საკვირველი მოვლენა

სანტორინის კუნძულიდამ (საბერძნეთში) მოწერილი წიგნი გვაცნობებს, 160 წლის წინათ რომ ზღვაში პატარა კუნძული ნეაკამენი გამოჩნდა, დიდის მიწის ძვრის შემდეგ, ისევ ჩამალვას აპირებსო. 30 იანვარს ამ კუნძულზედ, რომელიც სანტორინიდამ შვიდს მილზე (49 ვერსი) არის, მიწის ყრუ გრგვინვა ისმოდა და მეორეს დღეს ამ ხმამ ისე მოიმატა, რომ ზარბაზნის სროლას მიემზგავსა. კუნძულს გარემო ზღვა საშინლათ ღელავდა, დუღდა და ზედ ადიოდა თეთრი ბოლი, რომელსაც გოგირდის სუნი ჰქონდა. საღამოს თვალითაც შენიშნეს რომ მიწა ძირს იწევდა. პირველს თებერვალს მიწიდამ ალმა ამოხეთქა და ორ საჟენს სიმაღლეზედ სცემდა. ეს შესანიშნავი მოვლენა ერთი საათი მეტი გაგრძელდა.

საბერძნეთის მთავრობის კაცები განემგზავრენ იმ კუნძულზე და ნახეს, რომ ერთს გვერდზედ ეს კუნძული ღრმად გამსქდარიყო. უწინ ეს კერძო უნაყოფო იყო და ახლა კი ამ ადგილს ორი ტბა გამოჩნდა. ტბები თან-და-თან განიერდებიან. დაკვირვებით შეიტყეს, რომ ტბებში წყალი ოთხის საათის განმავლობაში ორ გოჯს სიმაღლეს მატულობს; ორის საათის განმავლობაში კი მიწა ნახევარს არშინზედ ძირს ჩავიდა.

ამ კუნძულის მახლობლივ რომ ხომალდები იყვნენ ყველანი საადგურიდან აეხსნენ და განშორდნენ. იქ რომ სააბანავო სახლები იყვნენ აგებულნი, ძალიან წახდნენ და საცა არის კიდეც დაინგრევიან. რადგანაც კუნძულის უეცრათ ზღვაში ჩანთქმისა ეშინიანთ, ამისათვის მცხოვრებლების გამოსაყვანათ იქ ცეცხლის გემი არის გაგზავნილი.

დედა-მიწის ზურგზედ ამ გვარი შემთხვევა არ არის იშვიათი, რაკი ევროპიელებმა იმისთანა ავეჯი მოიგონეს რომ ოკეანეში გზა აღარ ებნევათ, იმას შემდეგ მრავალნი სწავლულნი განეგზავრებოდნენ ხომალდებით უცხო ქვეყანაში მეცნიერების შესაძენათ. იმას შემდეგ არც იმისთანა სწავლული კაცები არიან ძვირნი, რომლებსაც

არათუ განკერძოებულის კუნძულის ზღვაში ამოსვლა და ჩანთქმა უნახავთ, არამედ თვით ვრცელის ქვეყნების ამოწევისა და ჩაწევის მოწამენიც ყოფილან. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოგვიდგენს ნეაპოლის მახლობლივ, იტალიაში, სერაპისის ტაძრის ნანგრევი. ტაძარში სამი სვეტი დგას. თვითო სვეტს თითქმის ექვს-ექვსი საჟენი სიმაღლე აქვს; ეს სვეტები ზღვის პირიდგან ორ საჟენს სიმაღლეზედ დახვრეტილები არიან. თითქო ლოკოკინები მიკვროდეთ და იმათ დაეხვრიტოთ. ზღვაში კლდეები ხშირად არიან ლოკოკინებისაგან დახვრეტილნი. იმ სვეტების ნახვრეტები ძალიან ემზგავსებიან ზღვაში კლდეების ნახვრეტებს. უეჭველია კაცმა უნდა იფიქროს, რომ უწინ ეს სვეტები ყოფილან ღრმად წყალში ჩასულნი და ლოკოკინებს დაუხვრეტია; აქედამ უნდა ვიფიქროთ, რომ უწინ ეს ადგილი ჯერ იმდენზედ დაწეულა, რომ სვეტები ორ საჟენს მეტზედ ზღვაში ჩამალულან, შემდეგ მიწას ისევ ამოუწევია. სვეტები ახლა მშრალს მიწაზედ დგანან.

ზღვას არ შეეძლო მომატება, ამისთვის რომ მაშინ ყოველ კიდეებზედ უნდა ზემოხსენებული ნიშნები გამოჩენილიყო, მაგრამ ამ გვარი ნიშნები ამ ადგილის მეტად არსად არ იპოვება.

1822 წლიდამ 1823 წლამდე, ერთი ანგლიელი, ქალი მისტრის გრეგემ თვითონ ყოფილა მოწამე, თუ მიწის ძვრის გამო ერთს ალაგს მეტზედ როგორ ამაღლებულა თითქმის მთელის პერუს სახელმწიფოს დასავლეთის კერძო, ამერიკაში.

ბუნებაში კაცის გონებას ბევრი რამ მიიტაცებს და კაცს მხოლოდ კარგი დაკვირვება უნდა, თორემ იქედამ ბევრს რამეს საკვირველს ამბებს გამოიკვლევს. მაგალითად ბევრს სწავლულ კაცს სურდა შეეტყო, თუ როგორი სითბოა მიწის სიღრმეში. ამის შესატყობათ იმათ კარგი საშუალება მიუხმარნიათ და ბოლოს ეს შეუტყვიათ, რომ თერთმეტ საჟენს სიღრმეზედ ზამთარ და ზაფხულ თითქმის ყოველგან ერთგვარი სითბო არის.

რაც უნდა ცივი ზამთარი იყოს და რაც უნდა ცხელი ზაფხული, მაინც ამ სითბოს არც მოაკლდება და არც მოემატება. ამის მაგალითს თვით ჭის წყალიც ნათლათ გვიჩვენებს ხოლმე. თუ ჭა ღრმად არის ამოთხრილი, იმისი წყალი პაპანაქა სიცხეში ძალიან ცივი გვეჩვენება ხოლმე და ძალიან ცივ ზამთარში თბილი. ეს იმიტომ რომ ამ წყლის სითბოს არც ემატება და არც აკლდება.

ევროპის სახელმწიფოებში, სადაც მადნებსა სთხრიან ალაგ-ალაგ მიწაში დიდ სიღრმეზედ ჩასულან. ერთის კარგი იარაღით, რომელსაც თერმომეტრს ეძახიან, ამ ადგილებში შეიტყეს, რომ ყო-

ველს 18 საჟენზედ იმას ქვევით, სადაც მარადის ერთი და იგივე სითბოა, თითო გრადუსი ანუ ზომა სითბო ემატება. ასე რომ ამ გვარის გამოანგარიშებით 74 ვერსტ მიწის სიღრმეში იმისთანა სიცხე უნდა იდგეს, რომ ყოველი ქვა და რკინეულობა გამდნარი უნდა იყვეს. ალაგ-ალაგ მიწაში თითქმის ამ გალხვალ გულამდის ჩასდევს ნაპრალები, რომელშიაც ჩავა ხოლმე წყალი და ჩაატანს ამ გამდნარს გულამდის. აქ წყალი უეცრად სიცხის გამო ორთქლად იქცევა და დაიჭერს დიდს ალაგს. როცა ეს ორთქლი ძალიან ბევრი შეგროვდება მიწის სიღრმეში, მაშინ ის იმ ვიწრო სივრცეში ვერ მოთავსდება. ხოლმე, ცდილობს სადმე ამოხეთქოს მიწა და თავისთან გამდნარი მიწის გულიც ამოაქციოს. ჯერ ამოხეთქამდის ორთქლი მიწის ქერქს შიგნიდამ მძლავრათ აწვება და ალაგ-ალაგ დედა-მიწის ზურგს შეანძრევს ხოლმე. აი ამ შემთხვევაში გრგვინავს მიწა და იტყვიან მიწა შეინძრავო. ზოგიერთი მთის წვერები არიან ჩაღრმავებულები, საიდანაც დრო და დროს განმავლობაში ამოქუხს გამდნარი მიწის გული. ორი ამისთანა შესანიშნავი მთა არის ევროპაში: ერთსა ქვიან ვეზუვია, რომელმაც რომაელების დროს ასეთის ძალით ამოიდინა, რომ გამდნარმა მიწის ნაკადულმა ორი ქალაქი ღერკულანუმი და პომპეი, თავის მცხოვრებლიანათ მოსწვა-მოდაგა. სხვათა შორის აქ ერთი ჩინებული რომაელი სწავლული კაცი დაიღუპა. იმას ერქვა ლინოს უფროსი. მეორე ამისთანა მთის წვერი არის სიცილიის კუნძულზედ და ეწოდება ეტნა.

შესანიშნავია, თუ ნადუღის ამოსროლასა და მიწის ნძრევას შუა რა კავშირი არის. ამისთვის მოკლეთ განვიხილავთ 10 წლის განმავლობაში, ისე იგი 1750 წლიდამ 1760 წლამდე. რა და რა ქვეყნებში მიწა ძვრულა და ან სად ამოხეთქილა ნადუღი. 1751 წელს გრძნობდნენ რომ მთელის წლის განმავლობაში სპარსეთიდამ მოკიდებული ატლანტიკის ოკეანემდის, განსაკუთრებით საშუალ-ქვეყნის ზღვის პირები ძროდა და 1751 წელს ვეზუვიიდამ ნადუღმა ამოიქუხა. მერმეთ მოხდა ისევ ძვრა ამ ადგილებისა 1754 წლიდამ. 1755 წლის იანვარში პორტუგალიის სატახტო ქალაქი ლისსაბონი დაიქცა. მრავალი ხალხი დაიღუპა. შემდეგს წლებში საბერძნეთის კუნძულებში საშინელი ძვრა იყო, მცირე აზიაში იმისგან დამასკი და სიდონი დაიქცა იქა და წამოყვა ძვრა, დასავლეთით გამოიარა ვეზუვია და ეტნა, ფრანციაში, გერმანიაში და ანგლიაშიაც კი იგრძნეს მიწის შენძრევა. ალბათ მძლავრი ორთქლი ანუ ოხშივარი დარბოდა მიწის ქერქში და ვერსად ვერ იპოვა ამოსასვლელი ალაგი. ამ წელიწადებში ეტნამ ამოხეთქა, მაგრამ ამონადენი ნადული და ოხში-

ვარი ძლიერ ნაკლები იყო, ბოლოს ამერიკაში, მექსიკის სახელმწიფოში, ტრიალს მინდორზე, სადაც უწინ მთა კაცს არ ენახა, უცბათ ამოიბერა მიწა და გაკეთდა მთა, რომლის წვერიც ამოსკდა და გადმოდინდა მიწის ნადული, ამ მთას ეწოდა იორულო. 1760 წ., დეკემბერში ვეზუვიამაც საშინლათ ამოიქუხა. რაკი მიწის სიღრმე განთავისუფლდა მონაგროვს ოშხივარისაგან, რამდენსამე ხნის განმავლობაში მიწის ზურგიც ნძრევისაგან დამშვიდდა. ამის შემდეგ მკითხველიც დამეთანხმება, რომ უეჭველია ეს ჩვენი კავკასიის მთები და გორები იორულოს მთისავით ამობერილან; არც ის გაუკვირდება, თუ კუნძული ნეაკამენი რათ იღუპება ზღვაში, ამიტომ რომ იმის მაგიერ უეჭველად სადმე ან ზღვაში და ან ხმელეთად მიწა უნდა ამოიბერებოდეს. არც ის გაუკვირდება თუ სერაპისის სვეტები პირველათ ზღვაში რათ ჩასულან ან მერმეთ ისევ რათ ამოსულან. ამ გვარი ცვლილებანი დედა-მიწის ზურგზედ სულ გალხვალის მიწის გულის ბრალია და იქ შენაგროვების ორთქლისა.

ბანკის დაარსებისა გამო ქუთაისში

ამ დღეებში ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდამ ძალიან სასიამოვნო ამბავი. ოთხშაბათს, 6-ს ამ აპრილს, იმერეთის თავად-აზნაურობა შეყრილა ქუთაისში და გადუწყვეტია ბანკის დაფუძნება; დაუდვიათ რომ ბანკის შესადგენად გადასდონ 10 პროცენტი ე. ი. მანეთზე ორი შაური იმ ფულიდამ, რომელიც ხელმწიფე იმპერატორს უწყალობებია იმერეთის მებატონეებისათვის გლეხების განთავისუფლების გამო. ამ ყრილობის გადაწყვეტილებაზედ თითქმის ყველა მებატონეებს მოუწერია ხელი. ზოგს იმათგან საქებარი თანაგრძნობა გამოუცხადებია ამ ქვეყნის სასარგებლო საქმისათვის და შეუწირავთ ბანკისთვის, როგორც იწერებიან, 10 პროცენტზედ ბევრად მეტი. თავად-აზნაურობას ამოურჩევია კომისია, რომლისათვის მიუნდვია წესდების პროეკტის შედგენა ბანკის თავობაზედ. კომისია კიდეც შესდგომია ამ მინდობილების ასრულებას. ვისწრაფით ჯერ ეს მოკლე ცნობა შევატყობინოთ ჩვენს მკითხველებს, რადგანაც მეტი ამ ჟამად არც ჩვენ ვიცით. მოუთმენლივ მოველით ქუთაისიდამ დაწვრილებითს ამბავს.

ყოველი კეთილ-გონიერი კაცი დაგვეთანხმება, რომ ზემოხსენებულის ფულის მოხმარება იმაზედ უკეთ არ შეიძლებოდა, როგორც იმერეთის თავად-აზნაურობა აპირებს. უეჭველია, თუ კარგათ წავიდა, ბანკი დიდს სარგებლობას აღმოუჩენს იქაურს მხარეს. იმერეთი რომ ბუნებით მდიდარია და ამასთანავე სასარგებლო მდებარეობა აქვს ევროპასთან სავაჭროდ, ეს ყველამ იცის; მაგრამ ამასთანავე ესეც ჭეშმარიტია, რომ ის ღარიბი ქვეყანაა, რომ იქ არც ვაჭრობა არის გავრცელებული და არც ხელოსნობა. ამ მდგომარეობის ერთი უმთავრესს მიზეზთაგანი ის არის, რომ ამ მხარეს კაპიტალი (ფული) ძალიან აკლია. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა საშინელს სარგებელს იღებენ ფულში იმერეთში: 15 და 20 პროცენტი იქ ჩვეულებრივ სარგებლათ ითვლება და ხშირად ამ სარგებლითაც არ იშოვება ფული. ამ გვარს უფულო ქვეყანაში რა რიგი ვაჭრობა შეიძლება ან რანაი-

რათ უნდა შეამუშავოს კაცმა დიდი-ძალი მიწა, თუნდა კიდეც დიდის მამულის პატრონი იყოს? ამისათვის ბანკის დაფუძნება იმერეთისათვის დიდი ბედნიერებაა, იმას დიდის სარგებლობის მოტანა შეუძლიან ფულის სესხებით, მეორეს მხრით ბანკი ქვეყანას სარგებლობას მოუტანს ფულიდამ შემოსულის პროცენტით. ჩვენ ჯერ სწორეთ არ ვიცით, თუ როგორ უნდა იმერეთის თავად-აზნაურობას ბანკიდამ შემოსულის სარგებლის მოხმარება. მაგრამ სრული იმედი გვაქვს, რომ ამ სარგებელის მეტს ნაწილს ის მოახმარს იმ საქმეს, რომელიც უალრესია ნივთიერებითის სიმდიდრეზე და რომელზედაც არის დამოკიდებული ჩვენის ქვეყნის მომავალი სვე. ჩვენ ვამბობთ ახალის თავობის განათლებაზედ. ჩვენ ამაში მით უფრო დარწმუნებულნი ვართ, რომ წინათ ბევრი იმერეთის მებატონეებისაგან გაგვიგონია: თუ ბანკი დაარსდაო, იმის სარგებლით ყმაწვილები უნდა გამოიზარდონო.

შესაძლებელია, ბევრნი ეჭვში შეეიდნენ, რომ იმ ბანკმა, რომელსაც თავდაპირველად მხოლოდ რამდენიმე ათი ათასი თუმანი ექმნება, ქვეყანას იმდენი სარგებლობა შესძინოს. არც ჩვენ ვიტყვით, რომ იმას ახლავე შეეძლოს ქვეყნის გამდიდრება და განათლება; ჩვენ უფრო მომავალის დროისთვის ვამბობთ. ამ გვარი საქმე თითქმის ყოველთვის მცირე კაპიტალით იწყება, რომელიც შემდეგ თან-და-თან იზრდება ამ შემთხვევაში ცხადს მაგალითს გვიჩვენებენ ევროპის ბანკები, რომელნიც ახლა აუარებელს ფულს აბრუნებენ, პირველათ კი ბევრი იმათგანი მცირე კაპიტალით ყოფილან დაფუძნებულნი. ჩვენ მხოლოდ ამას ვამბობთ, რომ ბანკი ახლაც სასარგებლოა და მომავალში კიდევ უფრო მეტს სარგებლობას მოიტანს, თუ რიგიანად დაარწესეს და კარგათ წაიყვანეს იმისი საქმე. უეჭველია, ყოვლის საქმის წარმატება იმაზედ არის დამოკიდებული, თუ როგორ გაუძღვებიან და წაიყვანენ. ეს ჰეშმარიტება ყველაზედ უფრო საგრძნობელია ბანკის და სხვა იმ გვარს საქმეებში, სადაც ნაღდი ფული მუშაობს. ბანკის საქმე დამოკიდებულია კრედიტზედ ე. ი. რწმუნებაზედ და ნდობაზედ. რწმუნება და ნდობა მაშინ ექნება ბანკს, როდესაც იმისი საქმე კარგად წავა, როცა ყველა დარწმუნებული იქნება, რომ იმაში შეტანილი ფული არ დაეკარგება და თავის დროს სარგებელით დაუბრუნდება. როდესაც საქმის კარგათ წაყვანით ბანკი კრედიტს შეიძენს, მაშინ იმისი საქმე გაკეთდება. ყველა იმაში შეიტანს ფულს და რაც მეტს ფულს შემოიტანებენ ბანკში შესანახავად, იმის და გვარად იმას სარგებლის შემოსავალი მოემატება, რადგანაც ყოველი ბანკი შემოტანილს ფულში ნაკლებს სარგებელს აძლევს, გასესხებულში კი მეტს იღებს.

ამ მიზეზებისა გამო ბანკის წესდება დიდის სიფრთხილით და წინდახედვით უნდა შესდგეს. სიფრთხილე უფრო იმისათვის გვმართებს, რომ ჩვენში ბანკი ახალი საქმეა და ჩვენ არა გვყავს ამ გვარს საქმეებში მცოდნე დახელოვნებული და გამოცდილი კაცები. ეს საქმე უთუოდ კარგად უნდა გაირჩიოს, როგორც იტყვიან, უნდა აიწონოს და დაიწონოს. ამის გარჩევა, რა საკვირველია, ყველაზე უფრო ადვილი და სასარგებლო იქნება დაბეჭდილის სიტყვის საშუალებით. მაშინ ყველას შეეძლება თავისის აზრის გამოთქმა და ეჭვი არ არის, ვისაც კი ესმის ეს საქმე, იმას არ დაეზარება აზრის წარმოთქმა ამ საგანზედ. ამ გზით საქმე კარგათ აიხსნება, ერთი წარმოადგენს თავის აზრს, მეორე შენიშნავს იმისს საფუძვლიანობას ან ნაკლულევანებას, საქმე გაირჩევა ყოვლის მხრით; ცხადათ გამოჩნდება, რომლის აზრის მიღება ემჯობინება და რომლის უარ-ყოფა. ამ გვარად გაშინჯვენ ხოლმე განათლებულ ქვეყნებში ყოველს საზოგადოს საქმეს და ამიტომაც კარგათ მიჰყავთ ის. მივბაძოთ ამ შემთხვევაში მაინც იმათს მაგალითს და უეჭველია ეს მიბაძვა უსარგებლოთ არ ჩაივლის. რედაქცია დიდის სიხარულით დაბეჭდავს თავის გაზეთში ყოველ გვარს ცნობას და სჯას, რომელიც ბანკის შესახები იქნება. ის ბედნიერად შერაცხს თავის თავს, თუ ცოტაოდენი მაინც შემწეობა აღმოუჩინა ამ ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს.

ქართული თეატრი

კომედია „ცოლის შერთვეინება“ და „ძალათ აქიმი“

წლევანდელს წელს ქართული სცენა ტფილისში უწინდელზე უფრო გამხიარულებული იყო და ამის მიზეზი შეიქნა ორი ფრანცუზულიდამ გადმოღებული კომედია.

ეს ორი კომედია—„ცოლის შერთვეინება“ და „ძალათ აქიმი“ ფრანცუზის გამოჩინებულის მწერლის მოლიერისაგან არის შეთხზული. „ცოლის შერთვეინება“ უ. დიმიტრი ყიფიანისაგან ჩინებულის ქართულის ენით არის ნათარგმნი. უნდა ვთქვათ, რომ უ. დიმიტრი ყიფიანი ქართულს სიტყვიერების ცოდნაში განთქმულია და ყოველი იმის კალმიდამ გამოსული თხზულება, ნათარგმნი და თუ საკუთარი ლექსში ძალა-დაუტანელობით და ბუნებითი სინამდვილითა ბრწყინავს. როდესაც შეგვხედრია ხოლმე იმის ენით დაწერილის თხზულების წაკითხვა, ბევრჯერ მხიარულებით წამოგვიძახნია—აი ნამდვილი ქართული ენა!... აი ის მდიდარი ქართული ენა, რომელსაც თითქმის არა ღრმა აზრის ნათლად გამოთქმა არ გაუჭირდება.„ ცოლის შერთვეინება“ უწინაც იყო სცენაზე ერთჯერ, თუ ორჯერაც, მაგრამ წლევანდელის წარმოდგენა სისრულით ბევრათ სჯობდა მაშინდელს. „ძალათ აქიმი“ კი წლევანდელის მეტად არ გვინახავს სცენაზედ. ეს კომედია ჯერ დაბეჭდილიც არ არის. მადლობა ღმერთს, რომ ბოლოს მაინც გვეღირსა სცენაზე იმისთანა სურათის ნახვა, რომელიც ცხოვრების სინამდვილეს ცხადათ წარმოადგენს. ამ კომედიების წარმოდგენის დროს გულითადი სიცილი გაუწყვეტელად გრიალებდა პარტერში და ეს საყოველთავო სიცილი გვიმტკიცებდა ნათლად, რომ ყველას ჩვენთაგანს ბევრჯერ უნახავს ჩვენს ცხოვრებაშიაც ამისთანა სურათი. ჩვენ გვინდა ზემოხსენებულს პიესებზედ ვთქვათ რამოდენიმე სიტყვა და ბოლოს თვით წარმოდგენებზედაც, მაგრამ პირველად სჯობს მოკლეთ მოვიხსენიოთ კაცის ზოგი უმთავრესი თვისება, ანუ ხასიათი, რომ უფრო ცხადათ გავიგოთ, თუ რო-

გორი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ცხოვრებაში დრამატიკურს თხზულებას.

ვიდრემდის კაცს არა ვითარი ცოდნა არა აქვს, ქვეყნიერობისაც იმას თითქმის არა გაეგებარა. ის ვერ ცნობს თავის კაცურს მოვალეობას და ემორჩილება სრულიად სხეულის მოთხოვნილებას. ამისთანა პირებისაგან შემდგარს საზოგადოებას იმავე გვარი თვისება აქვს. სვინდისი ძვირათ ამხილებს გონება-გაუხსნელს საზოგადოებას; ცუდის მოქმედების საგრძნობლათ იმას ცოცხალს სურათში უნდა აჩვენოს კაცმა იმისივე მოქმედება. ამ მოქმედებაში საზოგადოებამ ანუ ხალხმა უნდა იცნოს თავისთავი და ღრმათ შეირყეს. ვიტყვით მაგალითს: ამბობენ ლოთობისთანა ძნელი მოსაშლელი კაცისთვის არა არის რაო, მაგრამ ბევრჯერ შეიძლება, რომ ლოდი სრულიად ღვინის სმას გადაეჩვიოს, როდესაც ნახავს მომაკვდავს კაცს, რომელსაც არაყით კუჭში ცეცხლი ედება, იმისაგან წვალობს და იკრუჩხვის. ქვეყანაზედ ხშირია იმისთანა სურათი, რომელშიაც კაცს თავის უბედურების სურათი ღრმად შეარყევს და ზნეობით გააკეთებს. თუ ხალხში წერაკითხვა გავრცელებულია, ის მაშინ კარგის წიგნების კითხვითაც გახსნის გონებას და გაკეთდება. იქ დაწინაურებულის კაცების ვალია მისცეს ხალხს ამ გვარი საზრდო და არ მოაწყურონ კარგი წიგნების კითხვა; მაგრამ იმ ხალხში, სადაც ანბანის სახელიც არ იციან, რა საშუალებით უნდა გაეხსნას ხალხს გონება?—ამ შემთხვევაში არის ორი გვარი ღონისძიება:—ერთი ისა, რომ ჭკვიანი კაცი და მეცნიერი უნდა საქვეყნოდ გამოვიდეს და იქადაგოს, როგორც საბერძნეთში ამას სოკრატ ფილოსოფოსი იქმოდა; მეორე ისა, რომ ძალიან ნიჭიერმა კაცმა უნდა მოიგონოს იმისთანა საშუალება, რომლითაც შეიძლებოდეს, რომ ხალხს აჩვენოს ნამდვილი თავის ცხოვრება და მოქმედება. ამისთვის დახელოვნებული მწერალი ამოარჩევს ხოლმე ცხოვრებაში იმისთანა მოვლენას (შემთხვევას), რომელიც კაცის ცუდს გულის-თქმას მოუხდენია და რომელიც საზოგადოების ნაკლულევანების ბრალია, ცხოვრებაში რამე შესანიშნავი მოვლენა ან ერთისა და ან რამოდენიმე პირის მოქმედებით მოხდება; მწერალი გამოიყვანს ამ პირებს სურათში და ამოქმედებს იმათ იმათის ბუნებისამებრ: მაყურებელი კი, ამ სურათის წარმოდგენაზედ ხედავს თავისავე საკუთარს მოქმედების სახეს და, თუ უმსგავსოა ეს მოქმედება, რცხვენიან თავის თავისა, ამ სახეს მწერლობისას ეწოდება დრამატიკური თხზულება და იმას გამოყავს კარგი და ცუდი მხარე კაცისა. ეს მხარე აშკარათ ჩნდება სცენაზედ ცოცხალის პირების მოქმედებაში. ამ პირებს ეწოდება აკტორები და მოქმედებენ იმიტომ, რომ მაყურებელს ცხადათ

დაანახვონ იმისივე საკუთარი მოქმედება. კომედია, რომელშიაც კაცის შეუფერებელი თვისება არის გაკიცხული, ეკუთვნის დრამატიკურს ხელოვნებას. ახლა თვით მკითხველსაც შეუძლიან ამ გვარათ დაასკვნას:—დრამატიკური ხელოვნება შეიცავს ცხოვრების აზრს და იმის სახეს, რომელიც თვით კაცის მოქმედებაში სცენაზედ იხედება.

ძველს დროში საბერძნეთის სახელმწიფოებში და განსაკუთრებით ათინის რესპუბლიკაში უმთავრესი უფლება ხალხს ჰქონდა მიმკვიდრებული; ამისთვის არა სხვა ქვეყნის სახელმწიფოებს ისე საჭიროდ არ დაუნახავთ ხალხის განათლება, როგორც საბერძნეთის სახელმწიფოებს. რამდენათაც უფრო გონიერი და ზნეობით სრული იქნებოდა იქ ხალხი, იმოდენათ სახელმწიფოს სჯული და დაწყობილება უფრო სრული და კეთილ მდგომარეობის მომცემი იქნებოდა ყოველის მოქალაქისათვის. ამის გამო ყველაზედ პირველათ ბერძნებმა მოიხმარეს უმზგავსო მოქმედების სურათი ხალხის გასაზრდელათ. დრამატიკურმა ხელოვნებამ პირველად იქ მიიღო თავისი მნიშვნელობა საზოგადოების გონების გასაღვიძებლად. საბერძნეთში დიდი ნიჭის მწერლები ცდილობდნენ სცენაზედ მოქმედებით ეჩვენებინათ ხალხისთვის ანგარების მოყვარეობა, საზოგადოების ზნეობით მოუძლურება, რომელიც ზოგში საბერძნეთის დამხობის მიზეზიც შეიქნა.

უმთავრესი კაცის თვისება ყოველს მხარეში ერთი და იგივეა, კაცი თავის ბუნებით ყოველგან კაცათ დარჩება. ანგარების მოყვარე და უპირო კაცი შეიძლება ფრანცუზიც იყოს, ანგლიელიც და ქართველიც. ცრუობა და ცრუმორწმუნოება ფრანციაშიც და საქართველოშიც ერთსა და იმავე გარემოებაში იბადება. დიდის ნიჭის მწერალი კაცი ნაკლულევანებას და ხალხის ცხოვრებას ძლიერ ღმრათ უყურებს. ამის გამო საზოგადოების ცხოვრებაში ის იმისთანა შემთხვევას მოსძებნის ხოლმე, რომ ამ შემთხვევაში ანუ მოვლენაში უმთავრესი ნაკლულევანება და ბოროტება კაცს ცხადათ თვალის წინ წარმოუდგეს. რამოდენათ მწერალი უფრო ღრმათ შეეხება ცხოვრებას, იმოდენათ იმისგან გამოყვანილს სურათში ნათლად დაინახავს მაყურებელი თავის თავს. ამ გვარი მწერლისაგან გამოჩენილი ნაკლულევანება ეკუთვნის მთელს ქვეყნის ხალხს და ამ შემთხვევაში თვით მწერალიც საქვეყნო ჭკუის მასწავლებელი შეიქნება. ამითი აიხსნება, რომ მოლიერის ღრმა მჭვრეტელობამ დაგვანახვა ზოგი ჩვენივე ცხოვრების ნაკლულევანება ფრანცუზულის ცხოვრების სურათში. მოლიერი ცხოვრებდა მეჩვიდმეტე საუკუნეში და იყო დიდის ნიჭის პატრონი. აი რას შეიცავს იმის კომედია—„ცოლის შერთვეინება„. ერთი მდიდარი მოხუცებული კაცი, გვარათ სგანარელი, სიბე-

რეში სიყვარულს შეუპყრავს და ცოლის შერთვას აპირებს. ამაზედ ის პირველად თავის მეგობარს დაეკითხება, მაგრამ რადგანაც იმისგან სასიამოვნო პასუხს ვერ მიიღებს, ამისთვის განიზრახავს მოლაპარაკებას იმ დროის ფილოსოფოსებთან. ფილოსოფოსნი არიან ორგვარნი: ერთი—არისტოტელის მიმყოლი და მეორე—სკეპტიკი, ესე იგი ყოველს საქმეს იჭვნეულობით განსჯის ხოლმე. რაც უნდა ჰკითხო, ის სულ ამას ამბობს—„იქნება“, „შგონია შეუძლებელი არ იყოს“, „მე ხელი დამიბანია“. რადგან-ამისთანა გვამებისაგან სგანარელი ხეირიანს პასუხს ვერ გამოიტანს, ამისთვის, მეტი გზა არა აქვს, ისევ მკითხავს მიჰმართავს. მაგრამ გზაზედ ერთი შემთხვევის ნახვა საწყალს სგანარელს თვალს აუხელს. ის თავს წაატყდება საცოლოს, რომელიც თავის საყვარელს ეალერსება და სგანარელზედ გულ-დაუნდობელობას გამოაცხადებს. სგანარელს უნდა ხელი აიღოს თავის ლამაზს დორიმენზედ და წავა მის მამასთან ჯვარის დაწერაზე უარის სათქმელათ. პასუხის მაგიერათ ქალის მამა თავის შვილს ააბლებს სგანარელს. ახალგაზრდა ყმაწვილი შეურაცხებისთვის ხმალში გამოითხოვს სასიძოს. სგანარელი უარზედ დგას. ქალის ძმა ლაზათიანათ იმას წნელით ზურგს გაუხურებს და ქორწინებაზედ ძალათ დაათანახმებს. ამ კომედიაში განსაკუთრებით შესანიშნავია ერთი ალაგი, სადაც რჩევის საკითხავად სგანარელი მიდის სხვა და სხვა ფილოსოფიის დოქტორებთან; სგანარელის საცოლო დორიმენ არის მსხვერპლი იმ საზოგადო გართულებისა, რომელიც მოიცავდა იმ დროში თითქმის მთელს ფრანციას. დორიმენს ყავს თავისი საყვარელი. იმას უნდა თავის გულის სატრფოსთან შვება და ყოველ გვარი განცხრომა, მაგრამ სიღარიბისა გამო ორთავ არიან მრავალს მხიარულებას მოკლებულნი; აი ამისთვისაც უნდა იმას თავის დაგებულს მახეში გააბას მდიდარი, მაგრამ მოხუცი სგანარელი. მამაც ცხადათ ხედავს თავის ქალის ვერაგობას და, რადგანაც იცის, რომ მრისხანებით ვერარას გააწყობს, ამისთვის თვითონაც აჩქარებს, როგორმე თავის ქალი თავიდამ მოიცილოს. ბიწიერი დორიმენ ეუბნება თავის საქმროს, რომ არ დაუშალოს იმის მყობადს მეუღლეს ბალებში სიარული, ვიზიტები, საჩუქრის მიღება და სეირნობა.

ეს სიტყვები სგანარელს ეკალსავით გულში ეცემა და გასწევს ფილოსოფოსებთან რჩევის მისაღებათ. არისტოტელის მიმყოლს დოქტორს პანკრასსა უკითხავს წარჩინებულის ბერძნის ფილოსოფოსის თხზულება, მაგრამ რადგანაც იმის თხზულებაების უმთავრესი აზრები თავიდგან გამოპარვია და ვერ უცვნია, ამისთვის პანკრასს მარტო უაზრო მჭერ-მეტყველება შეუთვისებია. უნდა წარმოვიდგინოთ, რამ-

დენი ცბიერება არსებობს ამ ცრუ-მეცნიერში. — რომელს ენაზედ გინდათ გელაპარაკოთ? — ჰკითხავს პანკრასი სგანარელსა — იტალიურად, ისპანიურად, ნემეცურათ, ანგლიურათ, ლათინურათ, ბერძნულათ, ებრაულათ, სირიულათ, ოსმალურათ, არაბულათ, თუ რა ენაზედ?.. — განა ბგონიათ ამ ცბიერმა მეცნიერმა ეს ენები მთლათ ერთიანათ იცოდეს?? — არა. ის სტყუის ამ შემთხვევაში; მაგრამ თვითონაც კარგათ იცის, თუ რა სულიერთან აქვს ლაპარაკი და ამისთვისაც ბედავს ცხადს სიცრუეს. სგანარელს იმის ბაასში ინჩიც არ ესმის და ან რას დაეძებს იმის ლაპარაკს. იმას' თავისი სენი აწუხებს: — უნდა ჩქარა გაიგოს რამე თავის მყობადს ბედნიერებაზედ და ამისთვისაც ჩქარ-ჩქარა დაეკითხება ხოლმე დოქტორს თავის საქმეზედ, პანკრასი ყოველს იმის კითხვაზედ ამ გვარს ბაასში გაერთობა: — „ნუ თუ საზარელი არ იყოს. ნუ თუ არ ჰღალდებდეს ცად მიმართ სიბრიყვე და უმეცრება იგი, რომელი სახალხოთ იტყვის ფორმაო ქუდისაო!? — მე ვამტკიცებ, რომ უნდა ითქმოდეს ფიგურა ქუდისა და არა ფორმა ქუდისა, რადგან ფიგურასა და ფორმას შორის განსხვავება ესე არს. რომელ ფორმა არს გარეგანი სახე პირისა, ანუ სულიერისა სხეულისა და ფიგურა არს გარეგანი სახე ნივთისა, ანუ სხეულისა უსულოსი;" — სგანარელი — (ცალკე) ყოველი ერი დალუპულა მეთქი მეგონა (პანკრასს) უფალო დოქტორო, ნულარ ფიქრობთ მაგაზედა... მე..." მაგრამ პანკრასი მაინც კიდევ თავისას ბოდავს. რომ ვერას ღონისძიებით ველარ გამოარკვევს სგანარელი მეცნიერს თავის განვითარებისაგან, ბოლოს სტაცებს საყელოში ხელს და შეაგდებს თავის ოთახში. შემდეგ სგანარელი მიჰმართავს პირონის ფილოსოფიის მეცნიერსა. მაგრამ საუბედუროთ იმისგანაც ვერა გამოიტანა რა. ყოველს იმის კითხვაზედ მეცნიერი თუთიყუშსავით უპასუხებს: „შეიძლება" „შეუძლებელი არ არის. — სგანარელი. — „კარგი იქნება თუ ცუდი ჩემი საგულებელი ცოლი რომ შევირთო?" — მარფურიოს (ასე ეწოდება პირონის შკოლის დოქტორს) — „ერთიცა და მეორეცა". სგანარელი — „მაგრამ რომ შევირთო ვაი თუ, როგორც მოგეხსენებათ, ფეხი აირბ... ქვეყანაში ქუდი მომხადოს". მარფურიოს — „შეიძლება მოხდეს". სგანარ. — „რას ფიქრობთ ამაზედ?" მარფურიოს - „მგონია შეუძლებელი არ იყოს". სგანარ. — „ლამის ცეცხლი მომეკიდოს". მარფურიოს. — „მე ხელი დამიბანია". სგანარელი. — „ცეცხლი და ნავთი შენს თავსა გამოშტერებულო ბებერო"! მარფურიოს — „რაც მოხდება, ის იქნება". სგანარელი. — „ჯალათო შეჩვენებულო!" — და ჯოხს დაუშენს. მარფურიოსი ყვირის: „ოჰ, ოჰ, ოჰ!" და მხოლოდ ახლა გამოერკვევა და დაუყვირებს სგანარელს — „როგორ, როგორ გაბედე ჩემი ასე გაუპატიურება! ჩემებრ-

ფილოსოფოსის ცემა!.. მაგრამ სგანარელი იმისთვის უწინდელის სიტ-
ყვებით პასუხს აძლევს: „ჩემი ბრალი არ არის“, „მე ხელი დამიბა-
ნია“. სგანარელს თავის დღეში ამისთანა კარგი საქმე არ მოუხდენია.
ამ გვარი მეცნიერება იმაში მდგომარეობს, რომ ფიგურასა და ფორ-
მის განრჩევაში კაცმა მთელი თავისი სოცოცხლე გაატაროს? ნუ თუ
მეცნიერის მოვალეობა არის, რომ მთელს თავის სიცოცხლეში თუ-
თიყუშსავით იძახოს: „მე ხელი დამიბანია“, „რაც მოხდება ის იქნე-
ბა“ და სხვა.

ამ გვარი მეცნიერები სადაც გამრავლებულნი არიან, იქ ხალ-
ხის წარმატებაც გონებით არ უნდა იყოს შესაძლო. თავის გამოუდე-
გარის სწავლითა ისინი სრულიად განშორებულნი არიან ხალხისაგან.
იმათ არ შეუძლიანთ გზა დაბნეული კაცი სწორე გზაზე დააყენონ,
ამისათვის, რომ თვითონაც გზა დაბნეულნი არიან. მაშ სგანარელის-
თანა კაცებს მეტი რა ღონე აქვთ, რომ გაჭირვებაში, რომ ისევ
მკითხავთან არ წავიდნენ, რადგანაც ამგვარის მეცნიერებისგან არა
გამოდნება რა! მკითხაობას კი ცბიერება და უმეცარის ხალხის
ცარცვა მოსდევს. დიდი სამწუხაროა იმ ხალხის მდგომარეობა,
სადაც უმეცრება თავს იჩაგრავს და საუკეთესო კაცები კი
პანკრასსა და მარფურიოსსავით ხალხთან განშორებულნი არიან. სა-
უბედუროთ ჩვენს დროშიაც ჩვენი ქვეყანა არ ასცილებია ამისთანა
სურათს. იქნება ჩვენშიაც იყვნენ ბევრნი მარფურიოსისთანა გაბუ-
ტებულნი თუთიყუშნი, მაგრამ ქვეყნისთვის კი იმათი სწავლა და
ცხოვრება სრულიად გამოუდეგარია. ისინი, როგორც სჩანს საქმით,
ხალხს განშორებიან და შორიდამ კი ასე იძახიან: „ჩვენი ხალხი უგუ-
ნური და ზნეობით დაცემულიაო“.—აბა ერთი მითხარი, რამდენი სა-
შუალება მოგიხმარია, ჩვენო სწავლულო თუთიყუშო, რომ ამისთანა
დაცემისაგან ხალხის წამოყენება მოგენდომებინოს?.. მაგრამ აქ სიტყვას
გავწყვეტ.

იმ პირებს, რომლებმაც ისურვეს ზემოხსენებულის კომედიების
წარმოდგენა, ძალიან კარგათ უცვნიათ თავ-თავიანთი როლები. იმათს
მიხვრა-მოხვრაში და ლაპარაკში მოუხერხებლობა არ სჩანდა. „ცო-
ლის შერთვეინებაში“ განსაკუთრებით სამნი თამაშობდნენ ძლიერ
კარგათ თავ-თავიანთს როლებსა; უ. გარსოევი— სგანარელისასა, უ. მა-
მულოვი—პანკრასის როლსა და კალოუბანსკი—პირონელთ ფილო-
სოფიის დოქტორისას. უ. მამულოვს მაინც დოქტორის როლში კაცი
ვერ გამოიცნობდა. ჩვენ არ გვეგონა, თუ ჩვენის თვალის წინ საშუა-

ლო საუკუნის სხოლასტიკი არ მოქმედობდა და არ ბაასობდა, როდესაც ვხედავდით უ. მამულოვის თავისუფლათ ხელის და ტანის ხმარებას, გულ-ამაყობით სიარულს და აღელვებულს ლაპარაკს. სასიამოვნოა, რომ ქართულს სცენაზედ ნამდვილ ნიჭს შევხვდით. მეორე პიესამ, „ძალათ აქიმმა", კიდევ უფრო დაამტკიცა უ. მამულოვის ნიჭი. ვინ წარმოიდგენდა, თუ ის კაცი რომელიც ასე ნამდვილათ წარმოადგენდა არისტოტელის ფილოსოფიის დოქტორსა, შემდეგ თათუა მევაქსის კომიკურს (სასაცილო) სახეს მიიღებდა. „ძალათ აქიმში" თავი როლი უ. მამულოვისა იყო. ამ პიესაში უ. მამულოვმა ყველა გაგვაკვირვა. ყოველი იმისი გარეგანი ყოფა-ქცევა აღმოხატავდა იმის შინაგანს მღელვარებას. რასაც ენით ვერ გამოსთქვამდა, იმას პირის სახით და ხელოვნურის მოქცევით, გაგვაგებინებდა ხოლმე.

კომედია „ძალათ აქიმი", როგორც ზევით მოვიხსენეთ, არის მოლიერისაგან დაწერილი და არ ვიცით კი ქართულს ენაზედ ვის გადმოუთარგმნია; მაგრამ რა ვთქვი!.. ნეტაი ნათარგმნი იყოს, თორემ ბევრათ ემჯობინებოდა. დალოცვილს მთარგმნელს მოუნდომებია ფრანცუზულის ცხოვრების სურათის გადაკეთება ქართულს ცხოვრების სურათზედ; მაგრამ ერთის მეგრელისა არ იყოს, ისე მოსვლია, მეგრელმა ორ მწყერს მიმინო მიუტევა და თან მიაძახა: — „ჟირი ჭოფი, ჟირი ჭოფი" (ორივე დაიჭირეო), ვერც ერთს კი მიმინო ვერ მიეწია. ამ გადაკეთებულს კომედიას ფრანცუზულის ცხოვრების სურათიც დაჰკარგვია და ჩვენს ცხოვრებაშიაც ფეხი არ უდგა. დაგლეჯილის ევროპიულის ტანთ-საცმელით მევაქსე და შემდეგ საყელოებიანი დოქტორი, რომელსაც ერთი არშინი წვეტიანი ქუდი თავზედ ხურავს, ჩვენს ცხოვრებაში არ იპოვება. ეს გარეგანი მორთულობა თათუა მევაქსისა და ჩვენი საწყალი გლეხები და მებატონე ერთათ რაღაც უმსგავსოთ თვალში ეჩხირება ხოლმე მაყურებელს; ამისთანა არევ-დარევა ტანთ-საცმლისა თუმცა გარეგანს სახეს კომედიისას აფუჭებდა, მაგრამ შინაგანს აზრს თავისი სიკეთე მაინც არ დაჰკარგვია.

კომედიის აზრი ეს არის: ერთს გონება მახვილს მევაქსეს ქეიფობაში თავის ცოლის მზითევი გაუფანტავს. ცოლი ამ საქმეს ესაყვედურება და იმდენზედ მიიყვანს ქმარს, რომ თავს გაალახვინებს. ცოლს უნდა მაგიერი გადაუხადოს და შემთხვევაც მალე მიეცემა ამისთვის. ორი გლეხი შედის მევაქსე თათუას სახლში და აქიმს ეძებენ. თათუას ცოლი ამათ დააჯერებს, რომ იმისი ქმარი თათუა დიდი აქიმია, და ამასთან კიდეც დაარიგებს იმათ, რომ ვიდრემდის კარგათ ჯოხით გვერდებს არ გაუხურებენ, თათუა აქიმობას არ გააც-

ხადებს. გლეხები ისე მოიქცევიან, როგორც ქალმა დაარიგა. მანამ აქიმი ვარო თათუას არ ათქმევინებენ, არ მოეშვებიან. თათუა აქიმათ მორთული წავა გლეხების ბატონის სახლში, და ბატონს ლაზათიანათ ფულებს დასტყუებს. აქ შემთხვევით შეიტყობს, რომ ქალი სიყვარულის გამო დამუნჯებულა. ქალის საქმროსაც აქ ბლომათ ფულს ააცუცნის და ბოლოს პიესა გათავდება იმით, რომ ქალი თავის საყვარელს შეირთავს. მეტად შესანიშნავია ამ შემთხვევაში თათუას სიტყვები: „აქიმის ხელობაში უპატიოსნება არ იმყოფებაო; ათასი კაციც საიქიოს რომ გაგზავნო, პასუხს იმათთვის კაცი ვერ მოგკითხავსო. გინდ მოჰკალ ავათ-მყოფი, გინდ მოარჩინე, ფული ორივე შემთხვევაში გეძლევაო. აბა რა ბრიყვი ვიქნები ამისთანა ხელობაზედ. სიკვდილამდის ხელი ავიღოვო“.—უწინ, როდესაც მარტო ვაქსის მყიდავი იყო თათუა, დღე არ გავიდოდა, რომ იმისთვის გვერდები ჯოხით არ დაეზილათ და უპატიოსნოც არ დაეძახათ. კვირა გავიდოდა, იქნება ორ მანეთსაც ვერ მოიგებდა, ახლა კი ცოლის მადლობით, ვინ იცის, კვირაში რამდენს ფულს არ იშოვნის. იმისთანა ხალხში, სადაც თათუა მოქმედებს, კაცი უმეცრების გამო ვერაფერს საქმეს საფუძვლიანათ ვერ გამოიძევს. როგორც პატარა ყმაწვილს ნათქვამი ზღაპარი მართალი ჰგონია, ისე ამ უმეცარს ხალხში ყოველი განაგონი ამბავი კაცს მართლად მიაჩნია. ის არ დაიწყებს გამოძიებას, თუ რაოდნათ მართალია ამ შემთხვევაში ეს მოჭორებული ამბავი. დაჰყაროს კი ვინმემ რამე შესანიშნავი ხმა, თორემ მეორე წამს ამ ხმას ათასი ენა გაიმეორებს და რამდენს პირშიაც ეს ხმა გაივლის, იმდენათ უფრო დიდდება და სახეს იცვლის. აი მაგალითად: კომედიაში „მზის დაბნელება“, ბატონსა და ყმას, რომელნიც მოულოდნელს შემთხვევას უნდა დაესწრონენ, გული ორივეს ერგვარათ უცემთ, ბატონი რომ ერთს ამბავს მოაჭორებს—დაბნელების დროს ცის ფრინველები კლანჭებით ცხვირპირს დაგვაფხრეწენო, გლეხი კიდევ თავის მხრით უარესს იტყვის,—ჩოფრები გაცოფიანდებიან და ყველას დაგვჭამენო. მართალი არც ერთს არ გაეგებათ, ორივე სტყუიან; მაგრამ ან კი რა ქნან, რომ ერთმანეთს არ დაუჯერონ, ნამდვილის მართლის მთქმელი კაცი რომ არავინ არის, რომელს ხალხშიაც არაფერი სწავლა არ შესულა, იქ კაცმა არ იცის, რომლის განაგონს ხმას დაუჯეროს და ამისთვის ცბიერის კაცისაგან ყოველი მოგონილი ამბავი სარწმუნოთ მიაჩნია. „ძალათ აქიმში“ დედა-კაცს თავის ქრმის თათუას ჯავრი სჭირს და ეძებს რამე საშუალებას, რომ ის ვისმეს მწარეთ გააჯოხინოს. აი მარტო ეს არის იმის მიზეზი, რომ დედა-კაცი აქიმის მძებნელს კაცებს ეუბნება—თათუა მევაქსე

ჯანიოზი აქიმი არისო და, თუ კარგათ არ გასახრეთ, თავს არ გამოიჩენსო. ამისთანა მოჭორება სრულებით საკმაოა, რომ გლეხმაც და ბატონმაც მეორე წამსვე სალახანა ვაქსის მყიდავი თათუა აქიმათ დასახონ. რაკი თათუა გაჯოხეს, ახლა უარზედ არც ის დგას და ყოველის ღონის-ძიებასაც ხმარობს, რომ აქიმობაში სახელი გაითქვას. ის კიდევაც დარწმუნდა, რომ აქიმობის სახელი იმის გაფხეკილის ჯიბისათვის სასარგებლო იქნება. თათუას თავის სიცოცხლეში ბევრი პანკრასისთანა მეცნიერები უნახავს და ბევრჯერაც გაუგონია იმათგან არისტოტელისა და ციცერონის სახელი. ის ახლა ამ განაგონის სახელებითაც კი სარგებლობს. თათუა ამ განაგონს სახელებს ხშირათ ხმარობს მებატონის სახლში და ამასთან ყოველს სიტყვას, რაც კი ენაზედ მოვარდება, წამოროშავს ხოლმე, რომ უფრო დააჯეროს უმეცარი მებატონე თავის სწავლითა და აქიმობითა. რა სარგებლობა აქვს ამითი თათუას?—ძალიან დიდი. ერთი რომ ღატაკს თათუას თავისის სიცრუით ჯიბე უსქელდება, მეორე რომ ის ყველას პატიოსან კაცად მიაჩნია და, როგორც ჯანიოზს აქიმს, საზოგადოებაშიც დიდი პატივი აქვს. პიესის დასასრულს თათუა თვითონვე ამხელს თავის უმეცრებას აქიმობაში, მაგრამ, რადგან საზოგადოება ისე უგუნური უნახავს, რომ მევაქსე თათუა ძალათ აქიმათ გაუკეთებია, მაშ მეტი რა ქნას, რომ არ იცრუოს და ხალხი არ ცარცვოს. ამის იქით საკვირველი არ იქნება, თუ ჩვენს ქვეყანაშიაც სოფლათ და ქალაქად ვხედავთ ხოლმე, რომ მკითხავები ძალიან გამრავლებულნი არიან. ხალხის გაუნათლებლობა აძლევს იმათ ნებას შეუბრალებლათ ქვეყანა ატყუონ. ვიდრემდის ხალხი ამ გვარს უმეცრებაშია, თათუასთანა კაცებსაც ყოველთვის შეეძლებათ, რომ იმათგან ისარგებლონ ხოლმე. ამ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ჩვენს თავს ასე არ ვკითხოთ:—რა ზხსნის ხალხს ამ გვარის მდგომარეობისაგან?—მხოლოდ ერთი სწავლის გავრცელება და იმისი განათლება, მაგრამ საუბედუროთ ჯერ კიდევ ჩვენს მეცნიერებს ამისთანა საქმისათვის სძინავთ.

ბუნების მეცნიერებიდან

წ ა ვ ი

ქვეყანაზედ მრავალი იმისთანა ცხოველი არის, რომ მე და შენ, მკითხველო, არამც თუ იმათი ცხოვრება, თვით იმათი სახელიც არ ვიცით... ბუნებაში ყოველს არსებას თავის დანიშნულება აქვს. ყოველს ცხოველს თავისი ადგილი აქვს. ის ცხოვრობს იმ სჯულით, რაც ბუნებას და იმის შინა-აგებულებას იმისთვის განუწესებია. ამისი ცოდნა კაცის გონებას ამდიდრებს და განსწმენდს იმას ბევრის ცრუ-მორწმუნეობისგან. რამდენათაც ვრცლათ იცის კაცმა ბუნება და იმისი არსებანი, იმდენათ უფრო ძლიერი და ამაღლებულია ის ამ ქვეყანაში; ამას გვიმტკიცებს მთელი ევროპის ხალხობა...

მიუცილებლათ ჩვენს ქვეყანაში ყველაზედ უფრო შესანიშნავი ცხოველი არის წავი, თუმცა კი იმისი მნახველი იშვიათია. ძლიერ ცოტაა იმისთანა კაცი, რომ მთა-ტყე დაევლოს და ნამეტურ მთების ჩქარ მდინარეებისთვის თვალ-ყური ედევნოს. წავი კი არის მცხოვრები ამ გვარის მდინარეებისა და ყოველს იმერელზე უფრო უყვარს ამ მდინარეების ახალი თევზი და კიდევ უფრო კალმახი. მეტად შემაქცევარი სანახავია, როდესაც წავი ანკარა მდინარის სიღრმეში თევზაობს, ხან წინ გარბის, ხან უკან. იქ და აქ წყლიდამ ცხვირის წვერს ამოყოფს, რომ სული მოიბრუნოს და შემდეგ ისევ გაჭქრება მორევში, რომ ხელ-ახლა აამღვრიოს ჩქარის კალმახების სიმყუდროვე. კაცი ძალიან ძნელად მოავლებს თვალს წყალში წავსა და იმის იქ მყოფობა მხოლოთ იმითი შეინიშნება, რომ წყლის სიღრმიდამ ამოდის შეუწყვეტელი ბაწარი წვრილ-წვრილის წყლის ბუშტებისა და ისარსავით წამის-წამს ამოსჭრის ხოლმე წყალს თვით წავის ტუჩი, რომ ჰაერი შეისუნთქოს და შემდეგ ისევ ჩაიყურჭუმალოს.

წავს ისეთი ბასრი და მაგარი კბილები აქვს, რომ რაც უნდა სრიალა და სწრაფი თევზი იყვეს, იმის კბილებს მაინც ვერ გაუსხლტება. ხან-და-ხან რომ წავი წყლიდამ არ ამოიხედავდეს სულის

მოსაბრუნებლად, იმას ვერც ერთი თევზი ვერ მოურჩება დაუჭერავი. წავისთვის სულ ერთია, გინდ ზევით უცურავნია, გინდა სიღრმეში, უნდა წინა-ტანით წავა, უნდა უკანა ტანით, ერთის სიტყვით წყალში ყოველნაირათ იმოძრავებს. თუ წავი წყალშია, ის მუდამ მოძრაობაშია, ბრუნავს ყოველ გვარად და გეგონება, რომ განზრახ თამაშობსო. ხან-და-ხახ წავი ცურავს ცალ გვერდზედ, მერე დაიწყებს ბრუნვას, მინამ ზურგით არ დაწვება, შემდეგ გაშლის ტანს, დაიწყობს გულზე და მუცელზედ თავის ფეხებს და მხოლოდ კუდსა და თავს ანძრევს ხან იქეთ და ხან აქეთ. ამ შემთხვევაში იმისი გრძელი ტანი და კუდი საკვირველად მიემზგავსება გველსა. რაც უნდა დიდ ხანს დარჩეს წყალში, წავის ბეწვი მაინც არ დასველდება და, როგორც ბევრი ამბობს ღამ-ღამე კიდევ ანათებს. ზამთარში, როდესაც მდინარეებს გაჰყინავს, წავი მოსძებნის ხოლმე იმ გვარს ალაგს, სადაც ყინულის ნახვრეტებია, ჩასძვრება შიგ და ცურავს, ამ ცურვაში ის პოულობს, ხოლმე დიდის მოხერხებით ახალსა და ახალს ყინულის ნახვრეტებს, ამოყოფს ხოლმე შიგ ტუჩსა და სუნთქავს, ხშირად შეხვდება ხოლმე კაცი ზამთარში წავს, რომელსაც წელი მაღლა შეუხრია, გაჯავრებულ კატასავით, თავი ძირს დაუღია, მოკუნტულა და ამ რიგათ გაყინულს მდინარეზედ, ანუ თოვლზედ თავ-დაღმა მისრიალებს.

წავი არის გრძელი ტანისა, მოკლე ფეხებზედ დგას და თითებშუა ფართო ტყავი აქვს გამჯდარი, ბატის ფეხებსავით, ყურები მოკლე და ფართო; ისინი ძლივს გამოჩანან გრძელსა და რბილს ბეწვში. თავი აქვს მსხვილი და ბრტყელი, ტუჩი მოკლე და ფართო.

წავის ბეწვი საკვირველი რბილი და თბილია; იმას უფრო შავი ფერი დასცემს. ამ შავს ფერში ხშირად თეთრ-თეთრი გრძელი ბანლებია ამოსული და ისინი თვით ტყავსაც ვეცხლის ფერს გადაჰკრავენ. ტუჩებზედ წავსა აქვს თეთრი ფოროჯები. წავის შავი ბწკიალა თვალები ამტკიცებენ იმის განცხოველებულს მოძრავობას. ძნელად გაიგონებს კაცი წავის ხმას, თუ შინ არა ჰყავს დატუსაღებული. როდესაც აღელვებულია, წავი სტვენს ხმა მაღლა და სასიამოვნოდ. იმ მდინარის პირზედ, სადაც წავს დაუბუდნია, იმას აქვს რამოდენიმე სორო გათხრილი. თუ რომ თევზი ბევრია მდინარეში, მაშინ წავი ერთ სოროსაც იკმარებს. წავი ისეთი ფხიზელია, რომ მეტი არ შეძლება. თუ ხმელეთად არის გამოსული, კაცი ას ნაბიჯზედაც ვერ მიეკარება. თვალი და ყური ძლიერ უჭრის. ყნოსვა კარგათა აქვს გახსნილი. დღე უფრო ხშირათ წავი თავის სოროში იმყოფება, ღამე კი ყოველთვის წყალში ნადირობს. თუ

წყალმა მეტის-მეტად მოიმატა და სორო წყლით ამოუვსო, მაშინ ის ხეზედ შეიმალება.

თევზს გარდა წავი იჭერს კიბოს, ცხრა-ფეხას და წყლის ლოკოკინებს; მაგრამ ბატი და იხვი თუ მოხვდა იმ წყალში, სადაც თვით წავი იმყოფება, ის იმაი ხორციოთაც კი მოითხოვს ხოლმე დღიურს ხარჯსა.

„შტუტგარდტის მშვენიერს ბაღებში რომ ტბები არიან, იქ მრავალი შინაური და გარეული იხვი და ბატი იბუდებს,—ამბობს ტესსინი,—ტბებში თევზი და კალმახი ურიცხვია. 1824 წელს ზაფხულზედ ამ ტბებს შეეჩვია ერთი წავი და დიდს ზარალს აძლევდა ამ წყლების მცხოვრებლებს, მაგრამ ვერავინ კი ვერ მიხვდა, თუ ვინ იყო ასე შემაწუხებელი ამ მშვიდობიანის მდგმურებისა. დღითი დღე ნახავდნენ ხოლმე აუზების ნაპირებზედ და თვით კუნძულზედ, რომელნიც იყვნენ ამ ტბებში, დანგრეულს ბუდეებს და კვერცხებს შიგნიდან გამოჭმულს; პატარა ბარტყები წამისწამს იკარგებოდენ და იმათ კვალს ვერსად ვერ პოულობდნენ; ძველ-ძველს იხვებს კი ხშირად ნახავდნენ ხოლმე, რომელთაც თავი და კისერი მოჭმული ჰქონდათ. ბატები და ჟრუნები მწარედ დაჭრილნი ბასრის კბილებითა ხშირად კვდებოდენ ხოლმე. ვინ იყო ამ საქმის ჩამდენი, არავინ არ იცოდა. ბოლოს კაროლის მებაღემ, ბოშმა, ერთს მთვარიანს ღამეში განიზრახა მიდარაჯება ტბის ნაპირზედ. შუალამეზდის ფრინველებში ასტყდა დიდი ალიაქოთი, წვრილ-წვრილი იხვები საწყლად ყვიროდნენ და მხოლოდ მაშინ მიწყნარდა ეს შფოთვა და „ყვირილი, როცა ფრინველები წყლიდამ ამოვიდნენ. უ. ბოში ცდილობდა ფრინველები ისევ წყალში ჩაერეკა, მაგრამ ისინი არას გზით წყალში აღარ ჩადიოდნენ. შუალამის პირველს საათზედ ბოშის მახლობლად ჩავიდა წყალში ერთი გარეული იხვი. ამის შემდეგ ბოშმა დაინახა წვრილ-წვრილი წყლის ბუშტები, რომელნიც ბაწრად გაბმულნი ამოდიოდნენ ზევით, ტბის სილრმიდამ. შეეძლო კაცს ეფიქრნა, რომ ეს სწორეთ დიდი თევზია და მაღლა მოცურავსო, მაგრამ ბუშტების ნაკადული მეტის-მეტად ჩქარა წინ მოდიოდა და დიდი თევზი კი ასე ჩქარა ცურვას არ დაიწყებდა. როგორც კი შენიშნა ეს იხვმა, იმავ წამს წყლიდამ ამოფრინდა და გადიკარგა. ბუშტების ნაკადული თან და თან უახლოვდებოდა ბოშსა. ასე რომ ბოლოს იმან ესროლა თოფი, მსხვილი საფანტით გატენილი. ამის შემდეგ წყალი დაწყნარდა. ბოში ჩავიდა წყალში ნავითა და მალე ნახა რბილი რაღაცა, ტბაში ჩაძირული, და გამოათრია ბარჯით ნაპირას. ეს იყო მამალი წავი, თითქმის ორი არშინი სიგრძე კუდის ბოლოდის და ერთ ბათმან-

ზედ მეტს იწონიდა. ამის შემდეგ ფრინველებს მიეცათ მოსვენება“

სასიამოვნო სანახავია, როცა წავი წყალში ნადირობს; ის ხან ამოეფარება ერთს ქვის ძირს და უყარაულებს თევზს, რომელიც აპირებს ქვის ქვეშ შეწოლას; ხან გამოეკიდება მოზდილს ნაფოტა თევზს. და საკმაოა იმის დასაჭერად, თუ ერთი ბასრი კბილი იმან სადმე მოჰკრა. ზოგჯერ წავი კუდს დაჰკრავს ხოლმე წყალზედ, რომ თევზები შეაშინოს; შემდეგ დაეცემა ხოლმე ქორივით შეშინებულს თევზს, რომელიც შეძვრება ხოლმე ქვის ქვეშა თავის შესაფარებლად. წავის პატარა კლანჭები მეტად მჭრელია.

წავი ბევრ კაცს ჰყოლია მოშინაურებული და ბევრს და ბევრს გასართობ ამბავსაც მოგვითხრობენ იმის ჭკუაზედ და ნადირობაზედ. მაგრამ იმ მოთხრობას მაინც არა შეეძლება რა, რომელსაც გვიამბობს ერთი პოლშელი აზნაური, ქრიზოსტომი პასსეკი, თავის მოშინაურებულს წავზედ, რომელიც იმას გაუწაფავს თევზის ნადირობაში. აი ის რას ამბობს: „1686 წელს, როდესაც მე ვცხოვრობდი ოიცოვკოში, კაროლმა (პოლშისამ) გამოგზავნა ჩემთან კავალერი სტრაშჩევსკი, წავი მთხოვა და მაგიერად შემპირდა დიდს წყალობას. რა მექნა, უნდა გამოვთხოვებოდი ჩემს საყვარელსა. ცოტა დავიხებრეთ და გაველით მინდორზედ, რადგანაც იმდროს ჩემი წავი სახლში არ იყო. ის მაშინ ნადირობდა მახლობელის წყლის საგუბარში. მე დავუძახე: „ვურმ“ და იმან იმავე წამს ჭალიდამ თავი ამოყო, მომვარდა და დაიწყო ჩემწინ ხტომა და თამაში. სტრაშჩევსკი გაკვირდა და სთქვა: „ოჰ, რა გაეხარდება კაროლს ამისთანა ცხოველის შოვნა— „შენ მაგას მარტო ამისთვის აქებ, მაშ მაგის სხვა თვისებაები რომ ნახო, სულ გადირევი“—მე ვუთხარი. ჩვენ წავედით იქვე წყლის საგუბარში; შევდექი ტივზედ და დავუყვირე: „ვურმ“, სტუმრებისათვის თევზი მინდა, აბა წყალში ჩადი და თევზი დამიჭირე“. წავი ჩახტა მარდათ და ამომგვარა ნაფოტა-თევზი, მეორეთ ამოიყვანა ერთი პატარა ქარი-ყლაპია თევზი, მესამეთ უფრო მოზდილი, რომელსაც კისერში ჰქონდა ნაკბენი. სტრაშჩევსკიმ შემოიკრა თავში ხელი და დაიყვირა:—„ღმერთო, ამას რას ვხედავ!“—„გინდა კიდევ ვეტყვი, კიდევ დამიჭერს, ერთის სიტყვით რამდენსაც ვეტყვი, იმდენსა“. სტრაშჩევსკის მეტად უხაროდა, რადგანაც ფიქრობდა, რომ ამ ამბებით ბევრს ასიამოვნებდა კაროლსა. მე ვაჩვენე იმას ამ ცხოველის ყველა თვისებანი და შემდეგ გავატანე კაროლთან...

წავი იწვა ხოლმე ჩემთან და ასეთი ფაქიზი იყო, რომ არაოდეს არც ჩემი ქვეშსაგები და არც ჩემი ოთახი არ გაუსვრია. ის

იყო ჩემი მცველი. ღამე ჩემ ლოგინთან მოსვლა არავის შეეძლო, ბიჭსაც არ ანებებდა, რომ ჩემთვის ფეხთ მოეხადა, ის გააბამდა ასეთ ყვირილსა, რომ რაც უნდა ღრმად მძინებოდა მაინც გამომაღვიძებდა. ხან-და-ხან, როცა დავითვრებოდი, წავი მანძრევდა და მივლიდა გარშემო, მინამ არ გამომაფხიზლებდა. დღე სადმე კუთხეში ეძინა ისე მაგრად, რომ ხელითაც გეტარებინა, თვალს მაიც არ გამოახელდა. თუ ხელს ვინმე მომკიდებდა და დავიძახებდი: „ვურმ", მიჭერენ, მომეხმარე",—ის იმავ წამს გამოექანებოდა და ჩემს დამჭერს ხან ტანსაცმელში სწევდა და ხან ფეხებში კბენდა. იმას უყვარდა ერთი ბანჯვლიანი ოთახის ძაღლი და არაოდეს არ სცილდებოდა; ამ ძაღლისაგან ისწავლა ჩემმა წავმა ბევრი რამეები. სხვა ძაღლები კი არ უყვარდა.

ერთხელ სტანისლავი ოცარსკი მესტუმრა. „დაიჭი ეს მწევარი! უთხრა იმან თავის შვილს—მეშინიან წავს არ ეცეს"!—„ნუ გეშინიან, ჩემი პატარა მხეცი მაგისთანა შეურაცხებას არ მოითმენს"—მე ვუთხარი. „შენ ხუმრობ, და ჩემი მწევარი მგელს ეჭიდება, მელას კი სულის მობრუნებასაც არ დააცდის, ისე უცბათ გაგუდავს". წავი დიდხანს მეთამაშებოდა და, როცა უცხო ძაღლი დაინახა, ჩახტა ძირს, აუარ-ჩამოუარა უცხო მწევარს, დასუნა უკან ფეხებში და განშორდა. ჩვენ ისევ რაღაც ლაპარაკს გავერთვით. ამ დროს მოეპარა წავი ძაღლს უკანიდამ და ასეთ ღონივრად შამოჰკრა იმას ყბაში თავისი თათი, რომ მწევარი გადახტა კარებისაკენ და იქიდამ შევარდა ბუხრის თავზედ. წავი უკან გამოეკიდა და უნდოდა იმასაც ბუხრის თავზედ შესვლა. ძაღლმა რომ მეტი ვეღარ მოახერხარა, ჩამოხტა ჩვენ სუფრაზედ და ორი ბროლის ჭიქა ღვინით სავსე, გაგვიტეხა. ის კარში გავაგდეთ და ამის შემდეგ სახლში აღარ შამოგვკარებია, თუმცა იმის პატრონი მეორე დღეს შუადღემდის ჩემთან დარჩა. თუ კარში რომელიმე ძაღლი მიეკარებოდა წავსა და დაუწყებდა დასუნვას, ის იმისთანა უსიამოვნოს ხმით გააბამდა ყვირილს, რომ ძაღლი იმავ წამს გაშორდებოდა.

„ეს ცხოველი ბევრს კარგს საქმეს მიკეთებდა, როცა წავიდოდი სადმე მარხვაში და, თუ ჩემი წავი თან მყავდა, მივიდოდი ხოლმე სადმე მდინარის პირზედ, ვეტყოდი: ,,ვურმ, ჩადი თევზი დამიჭირე". ის ჩავარდებოდა მაშინვე წყალში და მოკლეს დროს იმდენს დაიჭერდა, რომ მეც მეყოფოდა და ჩემ მოსამსახურეებსაც". როცა ის მომაცილეს, საწყალი საშინლათ სწუხდა, იგლიჯებოდა გალიაში და საოცრად ყვიროდა".

კაროლს დიდი ხანი არ ყოლია ეს წავი, როგორც მიგვარეს ის იმავ საღამოს გალიიდამ გაიქცა და ერთმა კაროლის დრაგუნმა მოჰკლა, რომელმაც არ იცოდა, თუ ის შინაური იყო. იმან ამ წავის ტყავი მიჰყიდა ერთ ურიას. უნდა ვთქვათ, რომ წავის ტყავი ძვირად ფასობს. იმის თბილს და საკვირველს რბილს და სასიამოვნო ფერის ბეწვსა ხმარობენ შინლის საყელოზედ მოსავლებად და ეძახიან ბაბორსა.

მლეთის სოფლის საზოგადოების სათემო განჩინების გამო

ამ ნომერში ვბეჭდავთ ჩვენ ერთს კორრესპონდენციას და იმედი გვაქვს ამ კორრესპონდენციის საგანს „დროების“ მკითხველები ყურადღებას მიაქცევენ. ის მივიღეთ ქვიშეთიდან, რომელიც მდებარეობს დიდს გზაზედ კავკასიის გულში და ეკუთვნის ხევის მაზრას. კორრესპონდენცია შეიცავს განაჩენს, რომელიც მლეთის სოფელს შეუდგენია ამ წელს მაისში, სასოფლო ბანკის დაწესების გამო. კორრესპონდენტი გვწერს, რომ მლეთის მაგალითს სხვა სოფლებიც შესდგომიანო, ესე იგი, სიონი, სნო და კობი. პირველი აზრი მიუცია მაზრის ნაჩალნიკს, უ. გრიგორიევს. სოფლები მოხარულნი თურმე არიან და იმედი აქვთ, რომ საქმე კეთილათ იწარმოებს.

ეს საქმე ისეთი საქმეა, რომ არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ წარმოვსთქვათ იმის გამო. კაპიტალის შედგენა ამხანაგობით, სასოფლო ბანკები განათლებულს ქვეყნებში ჩვენ დროს უკეთესს საფუძვლათ და უპირველესს ღონის-ძიებათ არის მიღებული საზოგადო კეთილ-დღეობისთვის. ამ საგანზედ ჩვენმა მკითხველებმა კიდეც იციან „დროების“ აზრი, რომელიც გამოითქვა ორჯერ: პირველათ იმერეთის საზნაურო ბანკის გამო, მეორეთ ევროპის ასსოციაციების გამო სტატიაში: „ისტორიული მოძრაობა განათლებისა“. ჩვენ შემდეგშიაც არ დავცხრებით; ყოველს ამ გვარს შემთხვევას სიამოვნებით მივიღებთ, რომ კიდევ და კიდევ მოვილაპარაკოთ ხოლმე.

მოვიგონოთ მოკლეთ, რაც რომ ამ საგანზედ იყო ნათქვამი „დროებაში“. ევროპაში გონების გახსნა და მეცნიერება ძალიან წარმატებაში შევიდნენ. მაგრამ, რასაც მეცნიერება უნდა მსახურებდეს, ჯერ, სამწუხაროთ, უკან არის დარჩენილი. ჩვენ ვამბობთ თვით ხალხის კეთილ-დღეობაზედ. სხვა-და-სხვა ღონისძიება არის ნაჩვენები საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესებისთვის. უმეტესი ნაწილი იმათ შორის უქმათ აღმოჩნდა. ბოლო დროს შესდგნენ იმაზედ, რაც რომ უკეთესი იყო: კაპიტალის დაწესებაზედ ამხანაგობით, ამხანაგობით აღებ-

მიცემაზედ და ბანკების შედგენაზედ; ფასი აღებ-მიცემობაში, პროცენტი ანუ სარგებელი ბანკში არის დადებული მცირე. საქმეს შეუდგებიან ხოლმე ძალიან ადვილათ თვით უღონონი და ღარიბნი: რამდენიმე ამხანაგი შეიტანს აბაზობით, მანეთობით, თუმნობით; ვისაც საკუთარი ფული არა აქვს, სესხულობს; ფული, რაც უნდა მცირე სარგებელი ჰქონდეს იმას, ძალიან მატულობს, თუ რომ ადამიანი გონივრულათ დააწესებს საქმეს. სულ ათი წელიწადია გასული, რაც ამხანაგობაები დაიწყეს ევროპაში და რა გვარათ გრძნობენ იმის საჭიროებას, რამდენათ არიან ახლა გავრცელებულნი, ეს სჩანს შემდეგის ფაქტიდამ: ანგლიაში—მთელს მცხოვრებლებში, ამხანაგობას ეკუთვნის ცხრიდან ერთი კაცი, ბელგიაში სამოცდა ოთხიდან—ერთი, ფრანციაში სამოცდა თექვსმეტიდან—ერთი, გერმანიაში—უფრო ნაკლებათ. რიცხვი სხვადასხვა ამხანაგობის წევრებისა მარტო ანგლიაში და ფრანციაში შეადგენს ხუთს მილიონზედ მეტს.

გსურთ შეიტყოთ, რა მჭიდროთ ამყარებს ამხანაგობა კეთილდღეობას? შეადარეთ იმ კაცის ცხოვრება, რომელიც ამხანაგობას ეკუთვნის, ცხოვრებას იმ კაცისას, რომელიც ამხანაგობაში არ არის შესული. მაგალითათ მოგვყავს დაბალი ხალხი: ერთიც და მეორეც ამ უწყებას ეკუთვნიან. ამხანაგობის წევრი რამდენისამე წლის წინათ ყოფილა ღარიბი და ღატაკი; ახლა კი იმას იმდენი აქვს შეძენილი, რომ კმაყოფილათ სცხოვრობს. რომელს ამხანაგობასაც უკეთ მიჰყავს საქმე, იმის წევრებს ფულიც ბლომათ აქვთ შეკრებილი, ასე რომ მარტო სარგებლით შეუძლიან სახლობა გამოკვებონ. გარდა ამისა, ის სწავლაზედაც ფიქრობს: შვილების სასწავლებლათ ამხანაგობები თვითონვე შკოლებს აწესებენ, თვით წევრებისთვის აწესებენ ბიბლიოთეკებს, საკითხავს კლუბებს. იმათ აქვთ პურისა და სხვადასხვა საჭირო მაღაზინები: როგორათაც წევრები, აგრეთვე გარეშე პირნი ყოველს ხორაგს, სავაჭროს ბევრით იაფათ პოულობენ ამ მაღაზინებში, ვიდრე ბაზრებში და ბაზრის მოვაჭრეებში: იქ 15—20 პროცენტით ყოველივე ნაკლებია. თავიანთს სავაჭროს გასავრცელებლათ ისინი ხმარობენ უკეთესს ღონისძიებას, ზომიერებას და პატიოსნებას. ასე თითქმის ყველგან. ეს პატიოსნება აღმოაჩინეს ნამეტნავათ ბანკების საქმეში. ამხანაგობით შედგენილი ბანკები დიდათ ვრცელდება. აქ სარგებელი 10 პროცენტზედ მეტი არსად არის, ესე იგი ორ შაურზედ მეტი მანეთზედ წელიწადში. აი რა არის ამხანაგობა, ან რა სასარგებლოა ისა მთელის საზოგადოებისთვის. იმედი აქვთ, თავისს დროზედ მთელი ვაჭრობა, აღებ-მიცემობა ყველგან ევროპაში ამ გვარს ამხანაგობაზედ იქნება დამოკიდებული.

ამხანაგობის ღირსება უფრო მაშინ შეგვიძლიან კარგათ დავაფასოთ, როდესაც წარმოვიდგენთ იმ კაცების ცხოვრებას, რომელნიც გაცალკევებით სცხოვრობენ, ამხანაგობას არ ეკუთვნიან. იმათი ცხოვრება, იმათისვე არის მონებრივი: ისინი ბაზრის ვაჭრების ხელში არიან. ვთქვათ, ღარიბი კაცი ერთს თუმანს სესხულობს; ეს ერთი თუმანი იმას ძვირათ უჯდება: წელიწადში თხუთმეტ მანეთათ, ორ თუმნათ და უფრო მეტათ. ვალიდან ვერ გამოდის, ხორაგი, ყოველი გამოსაკვები აგრეთვე ერთი ორათ უჯდება იმას. ეს არის მიზეზი, რომ იმისგან ოფლით შეძენილი, ყოველი იმისგან ნაშრომი სხვებს მიაქვთ. ასეა მთელი იმისი ცხოვრება, ოჯახობის გამოკვება იმ:ს არ შეუძლიან. ამის გამო უფრო გაძლიერდა ევროპაში პროლეტარიატი ანუ უკიდურესი სიღარიბე, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან არის გავრცელებული და ტვირთათ აწევს ევროპას. იმისი მოსპობა შეუძლიან მხოლოთ ასსოციაციას ანუ ამხანაგობას. რაღა თქმა უნდა, რომ გონების გახსნა, სწავლა, პატიოსნება და ზნეობა პროლეტარებში შეუძლებელი საქმე არის.

ჯერ ჩვენს ხალხს არ გამოუცდია პროლეტარიატი. იმედი გვაქვს, არც ჩავარდეს ამ მდგომარეობაში, თუ ის თავისს კეთილ-დღეობისთვის ღონისძიებას მიიღებს. ჩვენი მხარე ბუნებას შეუმკია ყოველისფრით, ყოვლის ნაყოფიერებით. კახეთი, იმერეთი, ქართლი სწორეთ სამოთხეა; ბევრი ქვეყანა არ არის ხმელეთზედ, რომ ამათ შეედრებოდეს. ამასაც არ ვიტყვით, რომ ზარმაცნი ვიყვნეთ: ჩვენ ვშრომობთ, მაგრამ ჯერ არ ვიცით, როგორ უნდა ვიშრომოთ, რომ ჩვენი შრომა ისევ ჩვენს ხელში დარჩეს; არც ეს ვიცით, როგორ უნდა ვისარგებლოთ ეს შრომა, რომ ჩვენც შევიძინოთ და სხვებსაც შევძინოთ. ეს გვაკლია ჩვენ; ამაზედ უნდა ვიფიქროთ, ამას უნდა ვეცადოთ.

საკმაოა რამდენიმე სიტყვა, რომ ჩვენის ხალხის ახლანდელი მდგომარეობა გამოვხატოთ. ჩვენში კეთდებიან რამდენიმე ფულის მქონებელნი პირნი მრავალის შრომით და მოღვაწეობით. ეს წესი თუ არ შეიცვალა, დიდს ვნებას მისცემს ყველას. ხალხს გააღარიბებს. ახლავე ვხედავთ, რომ ამ სიღარიბის გზაზედა ვდგევართ, და რამდენისამე დროს შემდეგ უეჭველათ პროლეტარიატში ჩავცვივით. ჩვენ ყველანი ვალში ვართ; ამ ვალიდამ ვერ გამოვდივართ. რა არის მიზეზი? ვთქვათ ოცი თუმანი მეჭირება და ვსესხულობ; მაგრამ ეს ფული მე ერთი ხუთათ და ერთი-ათათ მიჯდება. უბედურს გლეხს ყოველთვის ეჭირება ფული: იმან უნდა გამოჰკვებოს სახლობა, გაიღოს სახაზინო ხარჯი, აძლიოს მებატონეს. შოულობს ფულს პურზედ, ღვი-

ნოზედ. მაგრამ როგორ? ერთის კოდის მაგიერ მიაქვთ ათი კოდი, ერთის საპალნის მაგიერ—ათი საპალნე. ხან-და-ხან ორი სამი თუმნისთვის მამულსა ჰკარგავს, სარგებელი ისეთი უღვთოა, ისე მატულობს მცირე ხანში, რომ ველარ მოუხერხებია იმისი გამოხსნა. ეს სენი მთელს ხალხშია გავრცელებული, ხალხი გრძნობს თავისს მდგომარეობას, მაგრამ მახეშია გაბმული და არ იცის რა ქნას.

ამ უბედურებაში ვინ უნდა მისცეს იმას შემწეობა? ეს მოვალეობა აძევს ყველა მაზრებში ადგილობრივს მოხელეებს, რომელნიც მთავრობისგან არიან დაყენებულნი; ის აძევთ აგრეთვე მიროვის პოსრედნიკებს და აგრეთვე ყველას, ვისაც სწავლა აქვს მიღებული და ესმის საქმის გარემოება. იმათ უნდა ჩააგონონ ხალხს, განუმარტონ, უჩვენონ მოსახმარი ღონის-ძიება. ეს ღონის-ძიება ძნელი არა არის რა. დააწესონ ამხანაგობები, შეადგინონ კაპიტალები. აბაზობით და მანეთობით იმათ შეუძლიანთ იმდენი შეიძინონ, რომ საჭირო აღარ იყოს იმათთვის გარეშე სესხი, დამღუპავი იმათი შრომისა და ნაღვაწისა. გაიჩინონ პურის მაღაზინები, აქედან აძლიონ სესხით პური ზომიერი სარგებლით, ან გაჰყიდონ ხოლმე და აქციონ კაპიტალათ (თავნათ) და ეს კაპიტალი ამუშაონ ხოლმე. ამხანაგობანი თვითონვე შეუდგნენ აღებ-მიცემობას: თვითონვე ჰყიდონ პური, ღვინო და სხვა ხორაგი და სავაჭრო. სხვას ნუ აძლევენ თავიანთ შრომას და ოფლს. დააწესონ სოფლებში პატარ-პატარა ბანკები, ბანკებს დაუნიშნონ ხუთიდან ათამდე პროცენტი ანუ სარგებელი...

მხოლოდ ამ გვარათ შეიძლება კეთილ-დღეობის გავრცელება ხალხში. თუ არ ამხანაგობით, არაფერი არ მოუხერხდება რა. მართალია ასში-ორასში ერთი გამდიდრდება, მაგრამ გამდიდრდება ყოვლის უსამართლობით. მაგრამ საზოგადოებას რა? საზოგადოება მხოლოდ ღარიბდება, ზნეობით მცირდება.—აი, რა აზრები დაბადა ჩვენს გონებაში, როდესაც მლეთის განჩინება წავიკითხეთ. ღმერთმა ინებოს, რომ ეს საქმე დამყარდეს და გავრცელდეს სხვა მაზრებშიაც, ერთი სიტყვით, მთელს ჩვენს მხარეში. დასასრულ, ჩვენი სურვილი ეს არის, რომ ყოველივე ამგვარი შემთხვევა აცნობონ ხოლმე „დროების“ რედაქციას. ეს საჭიროა ჩვენთვისაც და ჩვენის მკითხველებისთვისაც. „დროების“ შემწეობით უფრო ადვილი იქნება იმის გავრცელება ხალხში. „დროება“ ეცდება კიდეც, უჩვენოს ხოლმე, თუ რადა რა საფუძველია საჭირო ამა და ამ შემთხვევაში, როგორ არის ის დაწესებული სხვადასხვა ადგილებში.

P. S. ტფილისის ღუბერნიის თავად-აზნაურობა ამ ორის წლის წინათ ბანკის საქმეს შეუდგა; როგორც გვახსოვს, ფულიც შეკრიბა, მაგრამ არ ვიცით, რა დაემართა ამ საქმეს, აგრეთვე წელს იმერეთის თავად-აზნაურობამ მიჰყო ხელი ამ საქმეს; არცა რა იქიდან გვაქვს ცნობა მიღებული. რას მივაწეროთ ეს დუმილი? ნუ თუ არა გრძნობენ, ვის ხელშიაც ეს საქმეებია, რომ საზოგადო საქმის დაწყებაში დუმილი მავნებელია?

ახალგაზრდა დედებს და ყმაწვილ ქალებს

ხშირად მოგვდის ხოლმე ლაპარაკი ჩვენს გამოუდეგრობაზედ. ვამბობთ, რომ არც კაცები ვარგივართ, არც ქალები და არც ახალგაზდობა: იმისთანანი არა ვართ, როგორსაც მოითხოვს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მდგომარეობა და ჩვენი დრო. ყველანი ვგრძნობთ ამისთანა უვარგობას; ამას ზოგნი გულში ვამტკიცებთ; მაგრამ თვით ის ბასრიკი არც ერთს არ მოგვიძებნია და არ გვიჩვენებია, რომლითაც შეგვეძლებოდა ამოგვეკვეთნა ჩვენი ნაკლულოვანება და ამით შეგვემცირებინა ჩვენი გაკიცხვა... რა არის ამისთანა ბასრი და წამალი საზოგადოების გაუმჯობესებისა?.. მაგრამ პასუხის მაგივრად ჯერ კიდევ ეს ვიკითხოთ: რა არის უმთავრესი მიზეზი ჩვენის გამოუდეგარობისა და უხეირობისა?

ახლანდელი მეცნიერები ამბობენ; „კაცი არის ქმნილებათათვის გარემოებისაო“. ყოველი ახალგაზრდა დედა თავს დაჰხარის თავის პირმშო შვილს; იმის დედური გული და შვილზედ თავ-განწირული სიყვარული ხშირად უღადღადებს თავის ახალ მოტიკტიკე ყმაწვილს: „შვილო შენ უნდა იყო წარჩინებული შენს ტოლსა და ამხანაგებში; შენ უნდა გამოხვიდე შეუდარებელი კაცი კაცთა შორის; შენ უნდა დააგვირგვინო შენი მშობელი შენის სახელით“,—ყოველი დედა ამ გვარად უქადაგებს თავის შვილებს; მაგრამ ამ შემთხვევაში არც ერთი დედა კი თავის თავს არ ჰკითხავს, თუ რა გააკეთებს და რა გახდის იმის შვილს პირველ კაცად კაცთა შორის. ყმაწვილს ზეციდან არ გადმოევლინება განუდრეკელი ხასიათი, გაუკიცხველი ზნე, მაღალი ჭკუა და მაგარი სხეული, რომელნიც გახდიან იმას საუკეთესო კაცად. ყველა ეს თვისება ყმაწვილს უნდა ჩაენერგოს მშობლიდან და იმ მაგალითებით, რომლითაც ყმაწვილია გარემრცული შინა ცხოვრებაში. მაგრამ საუბედუროდ ჩვენებურს დედებს და მშობლებს შინა-აღზრდისა არა გაეგებათ რა და არც ესმით ყმაწვილის ხასიათი და იმის აგებულება.

ყოველი ახალგაზრდა ჩვენში სრულებით თავმინებებულია და იზრდება უყურადღებოთ. ჩვენის უმეცრების გამო ისინი მრავალს ცუდს მაგალითს ხედავენ ჩვენს ცხოვრებაში, შეითვისებენ ყოველს უმსგავსო ნაკლულოვანებას და შემდეგ ამ ცუდს დასაწყისზედ განიგრძობა იმის ზნეობითი დასრულება. მაშ ჩვენი უვარგობის მიზეზი არის ჩვენი შინაური და გარეგანი აღზრდა. სიყმაწვილეში არ გვეძლევა არავითარი გონიერი მაგალითი და ამის გამო სივაჟკაცეშიაც ფუჭად ვატარებთ ჩვენს ცხოვრებას...*)

ჩვენში ყმაწვილი ქალები, რომელნიც დედობას ემზადებიან და თვით ახალგაზრდა დედები განიყოფებიან ორ გვარათ: ერთნი არიან მდიდარნი, ამის გამო იმათ შეუძლიანთ გაიზარდონ სასწავლებლებში და მიაქციონ ყურადღება პედაგოგიას*), რომლის სწავლაც იმისთვის ცხოვრებაში მიუცილებლად საჭიროა. იმათ შეუძლიანთ სასწავლებლებში ისწავლონ, თუ რა რიგათ უნდა გაზრდა ყმაწვილს, ან რა თვისების არის ყმაწვილის ნორჩი აგებულობა, ან როგორ უნდა მოპყრობა ყმაწვილს, ან რა გარემოებაში უნდა ჩასდგეს ყმაწვილი, რომ იმას შეეთვისოს მაღალი ზნე და მაგარი აგებულობა, რომ შემდეგ გახდეს ყოვლისფრით სასარგებლო კაცი თავის ქვეყნისათვის. შეძლებულს და ინსტიტუტებში ნასწავლს დედებს შეუძლიანთ მოიპოვონ საპედაგოგო წიგნები, შეუძლიანთ გამოიწერონ ჟურნალები, რომელიც შეეხება ყმაწვილის გ ნივრულს აღზრდას. ამით ისინი შეივსებდნენ თავიანთ სწავლას, რომელიც მიუცილებელი საჭიროება იყო იმათთვის, რადგან ამგვარის სწავლით, ისინი დააყენებენ კაცურს გზაზედ თავიანთს შვილებს. საუბედურო ამის მაგივრად ყოველი ჩვენებური დედა, რომელსაც თუ ცოტა რამე შეძლება აქვს, მაშინვე იმას ცდილობს, რომ როგორმე თავიდან მოიცილოს თავისი შვილი, მიაბაროს ძიძას და თვითონ კი თავისუფლად ისეირნოს. ამის გამო პირველდაბადებითი აღზრდა იმ ყმაწვილებისა, რომელთაც შეეძლოთ გონიერად აღზრდილიყვნენ, ჩავარდნილია ყოვლად ღგუნურს ძიძების ხელში. უნდა განვიხილოთ ძიძის სახლობა და თვით სოფლური ტალახი, რომელიც შეეთვისება ყმაწვილს ცხოვრებაში და მაშინ დავრწმუნდებით, თუ რა უნდა გამოვიდეს ამისთანა ყმაწვილისაგან. შენ თვითონ იცი, მკითხველო, ჩვენებურს ძიძებში რამდენი გონიერება და კარგი თვისება იპოვება, რამდენს საშაგალითო ჩვეულებებს, შთანერგავენ ისინი თითო ყმაწვილის სხეულში...

*) აქ ცენზორის მიერ არის ამოღებული
რ ე დ.

**) პედაგოგია ნიშნავს სწავლას აღზრდის შესახებ

აქედან სჩანს, რომ შეძლებულის დედების შვილებიც იმ გვარად იზრდებიან და არიან სრულებით უყურადღებოდ, როგორც მდაბალის ხალხის ახალგაზრდობა.

მეორე გვარის დედები არიან ღარიბნი, რომელთაც არა შესძლებიათ განათლების მიღება. ისინი მხოლოდ შინ არიან გაზრდილნი, ქართული წერა-კითხვა უსწავლიათ და ამით დაგვირგვინებულა იმათი გონების განათლება. რასაკვირველია, ამ გვარი დედები უფრო ხშირად თვითონვე ზრდიან თავ თავიანთ შვილებს, იმათ იმდენი შეძლება არა აქვთ, რომ შვილის აღზრდისაგან თავი იხსნან; მაგრამ აქედამაც არა გამოდის რა. ყმაწვილნი აქაც, როგორც ძიძის და გამდელების ხელში, არიან გარემოცულნი უმეცრებითა, ცუდის მაგალითებითა, რჩებიან უყურადღებოთ და ამის გამო ცხოვრებაშიაც შეიქმნებიან ქარაფშუტებად. ამგვარად გაზდილს ყმაწვილს შკოლის სწავლაც ბევრს სარგებლობას ვერ მისცემს. დაბადებიდან შეყოლილი ნაკლულევანება შკოლის შემდეგაც გაჰყვებათ და შერჩებათ მთელს ცხოვრებაში. ძალიან იშვიათად მოხდება, რომ შკოლამ გაასწოროს ყმაწვილის ცუდი ზნე, იმიტომ რომ ათას ყმაწვილში ჯეროვანი ყურის გდება შეუძლებელია მასწავლებლისთვის.

მაშასადამე შეძლებულნიც და შეუძლებელნიც ყველანი ერთრიგად ზრდიან თავიანთ შვილებს. მთელი ჩვენი ახალთაობა გადის უმეცრების აკვანში; იქ შეითვისებს მრავალსგვარს ნაკლულევანებას და ცხოვრებაშიაც ვართ ზოგნი ზნეობით დამახინჯებულნი და ზოგნი სხეულით.

მანამ შინაურს აღზრდას ცოტა მაინც გონიერი საფუძველი არ მიეცემა, ჩვენს გამჯობინებასაც არა გაეწყობა რა და ყოველთვის უვარგნი დავრჩებით. ამისათვის ჩვენ მივაქცევთ ახალგაზრდა დედების ყურადღებას და ყმაწვილ-ქალების გონებას ამ საგანზედ. თუ რომ იმათი დედური გული ისურვებს ყოველს კეთილს თავიანთ შვილებისათვის, უეჭველია ამასთან ესეც უნდა იცოდნენ, რომ ყოველი კეთილი ზნე იმათს შვილებს უსათუოდ შეეთვისება იმათგან. გონიერი საფუძველი ყმაწვილის აღზრდაში დაიდება დედისაგან. ამის გამო არაოდეს გონიერი დედა ერთი, რომ თავის შვილს ცუდს სახლობას არ გააზრ დევინებს და მეორე, რომ ის ყოველთვის ეცდება მოიპოვოს შვილის აღზრდაში დიდი გამოცდილება და ცოდნა.

ამ შემთხვევაში რაც შესაძლებელია ჩვენც ვეცდებით ჩვენს გაზეთში დავსტიოთ ხოლმე ზოგიერთი ცნობა შვილის შინაურს აღზრდაზედ. ამგვარი ცნობა მიუცილებელი საჭიროა განსაკუთრებით იმ დედებისთვის, რომელთაც რუსულ სასწავლებლებში არ უსწავ-

ლიათ; ხოლო, რომელნიც ნასწავლნი არიან, იმ დედებს კი ვურჩევთ წაიკითხონ პედაგოგიური წიგნები; აგრეთვე სასიამოვნო იქნება რომ იმათ მოიპოვონ ერთი პედაგოგიური ჟურნალი, რომელსაც სახელად ჰქვიან „ საყმაწვილო ბაღი“--„Детский сад“ და რომელიც გამოიცა პეტერბურგს, წლევანდელ წელს, აპრილის თვიდამ.

ამ ჟამად გამოვსწერთ ამ ჟურნალიდამ ერთს სტატიას და იმედი გვაქვს ის უნაყოფოდ არ ჩაივლის მკითხველებისათვის.*)

*) იხ. სარედაქციო შენიშვნა
რედ.

კორესპონდენციები

წერილი პირველი

ქუთაისიდან. ჩვეულებრივ შემოდგომა იმერეთში სანატრელი დროა, მაგრამ წელს ამ დროს გვიღალატა. დადგა თუ არა პირველი შემოდგომის თვე, სეკტემბერი, თან მოიტანა ჩვენი დამღუპველი ზენა-ქარი და ამასთანავე ზაფხულის სიცხე დაიჭირა. ჩვენ მოველოდით ამ პოეტებისგან ქებულის და მსუქნად წოდებულის დროსაგან გაძღომას, მაგრამ გაძღომის მაგიერათ იმას უნდა დაგვამშიოს. გაზაფხული და ზაფხული იმერეთში ძალიან კარგი იყო მოსავლისათვის. მავნებელი აღმოსავლეთის ქარი, რომელსაც იმერლები ზენა-ქარს ეძახიან, მხოლოდ ერთხელ ამოვარდა ზაფხულში და ჰქრიდა ორს თუ სამ დღეს და არაფერი დიდი ზარალი მოუტანია. ყველანი მოხარულნი ვიყავით, რომ ზაფხულმა გაიარა და მოსავალი კარგი სჩანდა. მაგრამ ამ დასაქცევმა ქარმა თავისი მაინც არ მოიშალა, ორს კვირაზე მეტს ჰქროდა, ძლივს როგორც იქმნა გუშინწინ დაწყნარდა. ამასთანავე დიდი წვიმა დაიწყო, რომელსაც ჯერ კიდევ არ გადუღია.—ვინც იმერეთში არ ყოფილა, იმისთვის ძნელი წარმოსადგენია, რა საძაგელი და მავნებელია ეს ქარი; ის ზაფხულში საშინელი ძლიერი და ცხელია. როცა ის ჰქრის, რეომიურის თერმომეტრი ხანდახან მზეში 40 გრადუსამდე აიწევს. ჰაერს აშრობს, მცენარეს აჭკნობს და ამტვრევს, ადამიანს სუნთქმას უძნელებს და აღონებს. არა ხანგრძლივი გოლვა არ ახმობს ისე მიწას და არ არის ისე მავნებელი, როგორც ეს ქარი. ძნელი ასახსნელია, სად იბადება და საიდან მოდის ეს ქარი. ის ჰქრის აღმოსავლეთიდამ, მაგრამ ეს არის შესანიშნავი, რომ ქართლმა ეს ქარი არ იცის. ზენა-ქარი ჰქრის შომეტებულათ საკუთარს იმერეთში და სამეგრელოში; იმათ გარშემო მდებარე მხარეებს (რაჭას, ლეჩხუმს, აფხაზეთს, გურიას და ახალციხის უეზდს) ის ან სულ არ ხვდება და ან ნაკლებათ.

ამ ქარს რომ არ წაეხდინა, მოსავალი ჩვენში ძალიან კარგი სჩანდა, იმედი კი გვაქვს მაინც, რომ საყოფი მოვა. თუ უქარობა არ

შეიძლებოდა, კიდევ ბედია, რომ ის სეკტემბერში ამოვარდა; ახლა იმოდენათ მაინც ვერ გვაზარალებს, როგორათაც ზაფხულში, ერთი რომ ახლა ქარი უფრო გრილია და მეორე სიმინდი დაჭწიფებულია, ნაგვიანებს თუ აწყენს კიდევ, თორემ ნაადრს ბევრს ვერაფერს დააკლებს.

იმერეთში ბევრი სხვადასხვა რიგი საზრდო მოდის. თავი და ყველაზედ უფრო გავრცელებული ჭირნახული სიმინდი არის. იმას ყოველგან სთესვენ, მთის ადგილებშიაც და ბარშიც. თუ სიმინდი კარგათ მოვიდა, პურის მოუსვლელობას ადვილათ მოითმენენ იმერეთში. როცა კარგი მოსავალია, იმერეთს კარგი ძალი სიმინდი გადარჩება ხოლმე გასასყიდლათ და ეს გადარჩენილი ზღვით გააქვთ ოსმალეთში.

პურს სთესვენ უფრო ზემო იმერეთში, რაჭაში, ლეჩხუმში და სვანეთში; ქვაკე იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში და აბხაზეთში იშვიათად. ვაკეში ერთი ცუდი თვისება აქვს პურს: როცა პურს გალეწენ, თუ მაშინვე კარგათ არ გაირეცხა, შეხურდება და გაუჩნდება პეპელი, რომელიც მარცვალს გულს გამოუხრავს და წაახდენს. წელს პურის მოსავალი იმერეთში საქები ვერ არის.

რომელს ადგილებშიაც პური ცოტა ითესება, იქ იმის მაგიერათ ღომი მოჰყავთ. წელს ღომის და ფეტვის მოსავალი კარგი სჩანდა, მაგრამ ქარმა დიდი ზარალი მისცა, დამწიფებული ღომი და ფეტვი, სულ გასცალა მარცვლისაგან.

ღვინო ბევრი მოდიოდა წინათ იმერეთში, ათს წელიწადზე მეტი ა რაც ამ მხარეში გაჩნდა ყურძნის ავათმყოფობა, რომელსაც სწავლულები ეძახიან ოიდიუმ ტუკკერს (Oidium Tuckeri) და ღვინის მოსავალმა ძალიან დაიკლო. თუ მოდიოდა ღვინო კიდევ მთის კალთებზედ, რომელთაც წინათაც მეტი და უკეთესი ღვინო იცოდნენ, თორემ ვაკეში ყურძენი სულ წახდა. მას აქეთ, რაც ყურძნის ავათმყოფობა გაჩნდა წლევანდელსავით ვენახს არ სხმია, მაგრამ ზენა-ქარმა ისიც დიდათ დააზარალა. იმერეთში უფრო ხშირია მაღლარი (ხეზედ გაშენებული) ვენახი, მინამ დაბლარი. დაბლარი ვენახი ბევრი არ წაუხდენია, მაღლარი თითქმის სურ გაცალა ყურძნისგან, დაუმწიფებელი მტევნები ქარმა ხეებიდამ ჩამოყარა. შესანიშნავია, რომ ყირიმიდამ მოტანილს ყურძენს იზაბელლას არ ემართება ოიდიუმ ტუკკერი და ამის გამო ეს ყურძენი არ ხდება. ბევრმა ამის დამნახველმა გააშენა იზაბელლა იმერეთში, მაგრამ ამ ყურძენს ერთი დიდი ნაკლულევანება სჭირს—იმისგან კარგი ღვინო არ დგება.

აბრეშუმი იმერეთში წელს აგერ-ეგერ მოვიდა. მმართველობამ დაარიგა ცოტ-ცოტა აბრეშუმის თესლი. ეს თესლი იყო ორ გვარი:

ერთი იაპონური და მეორე ნუხური. პირველმა ივარგა და მეორე-სულ წახდა. ადგილობრივმა თესლმაც ვერ იხარა. დიდი ბედნიერებ-ბა იქნება იმერეთისათვის, თუ შემდგომს წელში საკმაოთ დარიგდა იაპონური თესლი. ღვინის და აბრეშუმის ავათმყოფობამ გააღარიბა ხალხი იმერეთში. პირველი ფულის საშოვარი საშუალებ-ბა ჩვენში ღვინო და აბრეშუმი იყო. გლეხი მოიწევდა ღვინოს და აბრეშუმს, გაყიდდა იმათ, ამ ფულით ტანსაც ჩაიცვამდა და სახელ-მწიფო ხარჯსაც გადიხდიდა. ახლა ორივე ეს საგანი მოისპო, ხალხს ძალიან გაუჭირდებოდა, რომ ამ მდგომარეობაში იმას ბამბა არ დახ-მარებოდა. იმერეთში ძალიან კარგი ბამბა მოდის; აქაურს ბამბას ბევრათ ამჯობინებენ ერევნისასა და იმაზედ მეტათაც ფასობს, მაგ-რამ წინათ ცოტას თესვიდნენ; როცა ამერიკის ომის �ბამბას კარგი ფასი დაედვა, მაშინ მოუმატეს იმისი თესვა. შარშან ბამბა კარგათ ფასობდა, ფუთი 18 მანეთათ გადიოდა ადგილზედ და ბევ-რიც გაიტანეს იმერეთიდამ ევროპაში. იმისთანა მოსახლე გლეხები არიან ვაკე იმერეთში, რომელთაც შარშან გაყიდეს ორმოც და ათის, სამოცი თუმნის და კიდევ მეტის ბამბა. წელს ბამბა ბევრი სთესია და ძალიან კარგათაც მოვიდა, მაგრამ ჯერ ნაკლებ ფასობს, ვაჭრები ფუთში თუმანს იძლევიან. იტყვიან: „ერთი ჭირი მარგებელიაო“. ეს ანდაზა წელს ზენა-ქარმა გაამართლა. სხვა მოსავალი წაახდინა, ბამბას კი ძალიან მოუხდა და კარგ დროსაც მოუსწრო, თუ შემოდგომაზედ კარ-გი ამინდი არ დაესწრო და ქარი არ მოხდა, ისე ბამბის ჰარკები ან ვაშლები, როგორც იმერეთში ეძახიან, არ გაიშლება. ამ შემოდგო-მას იმას არც კარგი ამინდი დაჰკლებია და არც ქარი. მშვენიერი სანახავია ახლა ბამბით დათესილი ყანები, ჰარკები დამსკდარან და გამოუშლიათ მზეში ნაზი და თოვლსავით თეთრი ბამბა. ბამბის შე-მუშავებაში ყველაზე უფრო უძნელდებათ ჩვენში იმის გარჩევა, კურ-კის მოცილება ბამბისგან.

აქაური ჩიხრიხით ბამბა დიდის ცოდვილით ირჩევა და ევრო-პიული მხოლოთ რამდენსამე პირსა აქვს იმერეთში. ძალიან კარგს საქმეს იზამს კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება, რომ ევროპიდამ დაიბაროს ბამბის სარჩევი ჩიხრიხები და ქუთაისში გაყი-დოს. ამ გვარის ჩიხრიხის გავრცელება ძალიან სასარგებლო იქნება იმერეთისთვის.

ზაფხული ჩვენში მთელი იყო. იმერეთის ჩვეულებრივი ავათ-მყოფობა ცივებ-ცხელება და მუცელა წელს, ღვთის მადლით, იშვი-ათად არის. მხოლოთ ამ თვეში ერთმა ცუდმა სენმა დააპირა შემო-პარვა, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ის ბევრს ვერაფერს დაგვაკლებს.

რადგანაც ახლა კიდეც აგრილდა და ზამთარიც გვიახლოვდება. ეს სენი ხოლერა არის. პირველათ ხოლერა ჯარს გაუჩნდა აფხაზეთში, სადაც ის უეჭველია, ყირიმიდამ გადმოვიდა. როცა შემდეგ ჯარი დაიშალა აბხაზეთში, შემდეგ ხოლერაც გაწყდა იმერეთში. ამბობენ ახლა ფოთში და ზუგდიდში არისო ხოლერა, მაგრამ სუსტი. ქუთაისში ორს თუ სამს კაცს გამოაჩნდა ხოლერა, ისინი სამნივე სოხუმიდამ იყვნენ მოსულნი. აგრეთვე სოფლებში გამოაჩნდათ ეს სენი ზოგიერთს პირებს, რომელნიც მილიციაში იყვნენ აბხაზეთში და იქიდამ მოკლე ხანში დაბრუნდნენ.

როგორც წინათვე მოსალოდნელი იყო აბხაზეთში არეულობა უჩხუბრათ გათავდა. მმართველობამ მოსთხოვა აბხაზეთს იარაღის აყრა და მოცემა თავი კაცებისა, რომელთაც არეულობა მოახდინეს. ვინც კი კოდორის მდინარის გაღმა სახლობენ ყველამ თოფი და დამბაჩა აიყარეს და ჩააბარეს რუსის ჯარს. არეულობის თავი კაცებთაგანი ზოგი დაიჭირეს და ზოგნი თვითონ გამოვიდნენ რუსებთან. ახლა ეს მხარე სრულებით დამშვიდებულია.

წერილი მეოთხე

ქუთაისიდამ. წარსულს კორესპონდენციაში ჩვენ ვუჩივოდით ქარს, რომელმაც სეკტემბერში შეგვაწუხა. ოკტომბერში მოვიდა იმისი წინააღმდეგი წვიმა, მაგრამ იმ გვარათ, როგორც ჩვენში იტყვიან: „ვაის გავეყარეო და ვუის შევეყარეო“. ამ თვის განმავლობაში თითქმის სულ წვიმდა. იმერეთში ხშირად იცის დაჟინებული წვიმა. მაგრამ არ ნახულა იმისთანა წვიმა, როგორიც წარსულს კვირაში მოდიოდა. ეს წმინდა წარღვნა იყო. ერთის ორშაბათიდამ (17 ოკტომბერს) დაწყებული მეორე ორშაბათამდე ცა მოდებული იყო შავი ღრუბლით, მზეს ერთხელაც არ გამოუხედია და განუწყვეტელი წვიმა კოკასავით ასხავდა. სადაც შოსსე არ არის, გზაზედ კაცს არ გაევლება. მდინარეები და ხევის წყლები გადირიენ, გადიარეს ნაპირები, წაახდინეს წისქვილები და გზები, მოიტაცეს ხიდეები, ხეები და რაც რამ ნაპირას დახვდათ. რიონი ქუთაისში ძალიან მომატებული არ არის, ამისათვის რომ მთები დაუთოვლია და ამით საზრდოც მოკლებია; ქვევით, ამბობენ, ძალიან დიდიაო, რადგანაც ქუთაისის დაბლა იმას ერთვის ბევრი წყლები, რომელთაც წვიმის დროს ძალიან მომატება იციან.

ამ დიდმა წვიმამ ახლაც კარგი ზარალი მოახდინა, მაგრამ კიდევ ბედია, რომ ის იმ დროს მოვიდა, როცა ჭირნახული მოწეული იყო. უფრო ადრე, რომ მოსულიყო ჭალებში სულ წაახდენდა ჭირ-

ნახულს, როგორც შარშანწინ მოხდა დიდ წყლობის დროს. ახლა წვიმამ ნამუშავართაგან მარტო ბამბას მოუსწრო. ის კიდევ არ იყო სულ მოწეული და კიდევ ავნო. თუ ამის იქით მაინც კარგი დარი დადგა, ბამბას კიდევ არა უშავს რა, გამოივარგებს. ეს სამი დღეა მშვენიერი დარი დგას, მაგრამ ვინ იცის დიდხანს გასწევს თუ არა?

წერილი მესამე

ქუთაისი, 22 დეკემბერი, 1866 წელს. ამ უკანასკნელის ორის კვირის განმავლობაში თეატრზე და სათეატრო წარმოდგენაებზედ ქუთაისში ხშირი ლაპარაკი იყო. ვისთანაც უნდა მისულიყავით, სადაც უნდა გაგევლოთ, განსაკუთრებით აქაურს ბულვარზე, თითქმის ყოველგან და ყოველთვის მოჰკრავდით ყურს თეატრზე ლაპარაკს. ალბად წარმოდგენაები ხშირად ყოფილა, იფიქრებ—და არ მოსტყუვდები; მართლადაც გახშირდა აქ სპეკტაკლები: ორი კვირის განმავლობაში ხუთი სპეკტაკლი ხუმრობა, არ არის ამისთანა ქალაქისთვის, როგორც ქუთაისი, და არა როგორც ტფილისი, სადაც ხანდიხან არა თუ ოთხი-ხუთი, არამედ ბევრად უფრო მეტიც წარმოდგენა რამოდენიმე დღის განმავლობაში—ჩვეულებრივი საქმეა. მერმე კიდევ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა ქუთაისში ყოველ წლობით არის ხოლმე სპეკტაკლები, მაგრამ ეს არის შობა-ახალ წლის და ალდგომის დღესასწაულ დღეებში და ყველიერში და არა ამისთანა დროს. ქართულ ენაზე იყო მხოლოდ ორი წარმოდგენა, იმათგან ერთი გუშინ საღამოს. პირველ წარმოდგენაში, რომელსაც მე არ დავსწრებივარ, ყოფილიყო „გაყრა“, „შეშლილის“ თანდამატებით, წუხელის წარმოადგინეს „ძალათ ექიმი“.

ორივე წარმოდგენაებს ჰქონდა საკმაო-წარმატება. საზოგადოთ სპეკტაკლს ყოველთვის დიდი წარმატება აქვს ქუთაისში.

ერთი-მხრივ ის არის, რომ აქ არ არის ნაკლულევანება ნიჭიერ წარმოდგენელ პირებში, ასე რომ შესახებ ზოგიერთ ამისთანა პირებთა, მგონი, ტფილისსაც შეუძლიან შურის თვალით შეხედოს ქუთაისს. ეს პირები—კაცებიც და მანდილოსნებიც—ყოველთვის დიდი ხალისით მიიღებენ ხოლმე მონაწილეობას წარმოდგენაში; დაზარება ამათგან არ შეიძლება. ამასთანავე პუბლიკაც ყოველთვის დიდის ხალისით დაესწრება ხოლმე წარმოდგენასა, ასე რომ ხშირად ვერ ეტევიან აქაურს თეატრში. ვამბობ თეატრაში, მაგრამ აქედგან არავინ იფიქროს, რომ ქუთაისში არის საკუთარი სათეატრო სახლი, როგორც არის, მიგალითებრ ტფილისში და სხვა დიდ ქალაქებში; არა, ქუთაისს არ აქვს სათეატრო სახლი, წარმოდგენა არის ხოლმე

ძველ კლუბში, როგორც ეძახიან აქ იმ სახლს, რომელშიაც წინათ კლუბი იყო.

სასპეკტაკლო ზალა ამ სახლის ძლიერ ვიწროა; ხშირად არ იტევს ხოლმე ყველა მსურველ მაყურებლებსა. ამის გამო ადგილებს საკმაოდ დიდი ფასი აძევს; იმაში არაოდეს არ არის ხოლმე ხუთ ექვს შაურიანი ადგილები, როგორც ტფილისის თეატრში. ზალა რომ დიდი იყოს, მაშინ ადგილებს უფრო ნაკლები ფასი ედება, უფრო ბევრი ხალხი ივლის; ადგილები არაოდეს არ დარჩება ცარიელი, თორემ მოხდება ხოლმე, ხანდახან—თუმცა ეს არ ითქმის ახლანდელ წარმოდგენაებზე—რომ ხალხი ცოტაა სპეკტაკლში. ამის მიზეზი ბილეთების სიძვირეა და ეგრეთი სივიწროე სათეატრო სახლისა არის ერთი ძნელი საქმე, რომელიც სჭირს ქუთაისს ანუ, სხვებრ ვსთქვათ, ქუთათურების ესთეტიკურს შექცევას. მეორე ის არის ძნელი, რომ ქართული რეპერტუარი (სათეატრო პიესები) მეტად მკირეა. ამაში ქუთაისის თანამოზიარეა ტფილისიც.

სულ ერთი და იგივე „გაყრა", „ძუნწი", „მზის დაბნელება" და სხვა სამი ოთხიოდე პიესები—აი მთელი რეპერტუარი, ერთი და იგივე ხშირად მოკლე დროში განმეორებული, მოსწყინდება კაცს, თავს მოაბეზრებს; კარგია კიდევ, რომ ამ პიესებში ერთი ორიოდე, მაგალითებრ „გაყრა" ისეთი პოპულიარულია, ისე კარგათ არის მიღებული, რომ ყოველთვის მოსწონს პუბლიკას. ასეთი ბედი ექნება თუ არა „ძალით ექმს", რომელიც შეემატა ჩვენს რეპერტუარს და რომელიც წუხელის წარმოადგინეს? არა მგონია.

მართალია, სიცილი და ხარხარი ბევრი იყო წუხელის. ალბათ სასაცილოა, ალბათ თავისი ნამდვილი ცხოვრების სახეს ხედავენ შიგ და პუბლიკას მოსწონს და ტაშს უკრავსო,—სთქვა ერთმა ჩემ ახლოს მჯდომარე პირმა, რომელსაც ქართული არ ესმოდა. დიახ, სასაცილოა, მაგრამ სასაცილოც იქნება და სასაცილოც: ერთი გოგოლისაგან მოხსენებული კაცისა არ იყოს, ზოგიერთს თითიც რომ უჩვენო, საშინლად გაიხარხარებს, ზოგი უმიზეზოთაც იცინის. ჩვენ ხომ საზოგადოდ ქვემოურები მცხოვრებნი დასავლეთის საქართველოისა, მხიარული ხალხი გახლავართ.—არა, ვაჟო, მეუბნება ერთი მეზობელი, მხიარულება სადღა არის. წავიდა ის დრო. უწინ გეამებოდა კაცის შეხედვაც, ყველას მხიარული მოცინარე პირის სახე ჰქონდა: ლხინი, ქეიფი, შექცევა საყოველთაო იყო, ახლა ყველა ჩაფიქრებულია, დაღვრემილია: შეხედე ამ ჩემ მეგობარს, როგორ ჩამოუშვია ცხვირ-პირი, ასე გგონია, რაღაც საშინელი უბედურება დამართიაო, თუ არა და შეხედე კიდევ აი ამ მოხუც კაცს, რომელსაც

კარგათ იცნობ, გინახავს როდისმე, რომ მის პირზე ღიმილი არ ყოფილიყოს, არა თუ მაშინ, როდესაც სხვასთან ლაპარაკში და შექცევაში ყოფილა, არა—მარტოკაც სადაც მინახავს, სულ ღიმილი იყო მის ტუჩებზე, სულ იცინოდა. აბა, ახლა შეხედე, როგორი დამწუხრებული, მტირალა პირის სახე აქვს. წავიდა წინანდელი დრო, ქეიფი.—ღმერთმა ასე ქნას—ვამბობ მე.—როგორ!... რომ ყველანი დამწუხრებული და დაფიქრებულნი ვიყოთ?—სიანჩხლით მკითხავს ჩემი მოსაუბრე, განა მწუხარება და ტირილი სჯობს მხიარულებას?—ხშირად ასე სჯობს—ვეუბნები მე, მართალია ზოგიერთი კაცი თუნდა იცინოდეს, თუნდა სტიროდეს, აქედგან ხეირი არა გამოვა რა; მაგრამ თუ კაცი უფრო უბედურია, მინამ ბედნიერი,—მაშინ მხიარულებას და სიცილს მწუხარება და ტირილი სჯობს. სხვა არა იყოს რა, ეს ჭეშმარიტებასთან უფრო ახლო იქნება.—მეც ამას ვამბობ—მეუბნება მოსაუბრე; მე ვამბობ, რომ უწინ უფრო მხიარულება იყო, ამიტომ რომ უზრუნველი დრო გვქონდა;—მე კიდევ იმას ვამბობ—თუგინდ დაიჯერე, თუგინდ ნუ, დრო უწინ ბევრად უარესი იყო, უფრო უბედურნიც ვიყავით... ძველ დროს ბევრად სჯობია ახლანდელი დრო; თუ უწინ უფრო სიმხიარულე იყო, მინამ ახლა, ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი დრო სჯობნებია. ახლა ყველანი ჩაფიქრებულები არიანო—ამბობდ თქვენ; მე კიდევ ვიტყვი: ღმერთმა ქნას, რომ ასე იყოს. ფიქრი კარგი საქმეა; ფიქრში ჩავარდნა, ჭკუაში ჩავარდნის მომასწავებელია, წინამორბედია. მაგრამ მეკი ასე მგონია, რომ ჩვენ ჯერ არა ვართ საკმაოდ ფიქრში ჩავარდნილნი...

ამასობაში მე დამავიწყდა იმის მოხსენება, რაც დავდაპირველად იყო სათქმელი. მე ვსთქვი ზევით, რომ ახლანდელი წარმოდგენაები ჩვეულებრივს დროს არ მომხდარა. რა იყო მიზეზი წარმოდგენაების დახშირებისა ამისთანა დროს? ეს წარმოდგენაები იყვნენ ქალების სასწავლებელის სასარგებლოთ, რომელიც გაიხსნა ქუთაისში ორი თვის წინეთ გენერალ-გუბერნატორის, ბნიაზის სვიატოპოლკ-მირსკის თავობით. დანიშნულება ამ შკოლისა ის არის, რომ აქაურს ღარიბი კაცების ახალგაზრდა ქალებს მიეცეს ღონის-ძიება, რომ უსასყიდლოთ ისწავლონ წერა-კითხვა და, შეძლების და გვარად, სხვა უსაჭიროესი ცნობაები და ხელ-საქმობა. ამ შკოლის გახსნა დიდად სასიამოვნო და სანუგეშო ფაქტია. იმერეთი, როგორც საზოგადოდ მთელი საქართველო, ძლიერ ღარიბია სასოფლო შკოლებით, მაგრამ რაც უნდა იყოს, ვაჟებისთვის კი ოთხი ხუთიოდე სასწავლებელი მაინც არის, ქალებისთვის ძლიერ ნაკლები არიან საზოგადო სასწავლებლები. მთელს დასავლეთს საქართველოს ერთად-ერთი ქალების სასწავლებე-

ლი აქვს ქუთაისში. მე ვამბობ წმინდა ნინოს სასწავლებელზე (ზავე-დენიაზე). ამოდენა მხარისთვის რას ნიშნავს ერთი ქალების სასწავ-ლებელი? მერმე კიდევ ბევრს შეუძლიან იმაში შვილი გაზარდოს? ძალიან ცოტას. აი რისთვის არის დიდად სასიამოვნო ახალი შკო-ლის გახსნა. ჯერ-ჯერობით 50 პატარა ქალები დადიან სასწავლე-ბელში. როგორც ამბობენ, მსურველები სხვებიც ბევრნი არიან თურ-მე, მაგრამ, სახლის სივიწროვის გამო, მეტს ვერ იღებენო. სახლის ქირას და სხვა შკოლის ხარჯს კერძო შეგროვებულ და შემოტანილი ფულებით იხდიან. სულით და გულით ვისურვებთ ამ სასარგებლო საქმისთვის სრულს წარმატებას.

ამ შემთხვევით არ შეგვიძლიან არ გამოვაცხადოთ, თუ რა საწყენია, რომ არავითარი ცნობა არ გვაქვს სასოფლო შკოლებზე საქართველოში. ეს ცნობაები დიდათ საინტერესოა ამ მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვს ხალხში განათლების გავრცელებას. ნუ თუ სულ არ არის სოფელის შკოლები საქართველოში, რომ მათზე არაფერი ისმის?..

განათლების გავრცელებაზედ საქართველოში

„უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენის ძვლებიდ-
გან არ დაიბადოს ჩამომავლობა, რო-
მელმაც დაგვიწყოს წყევლა და დევნა".
(ერთი ლათინური სწავლული)

ქართველო კაცო! შენ, ვგონებ შეეჩვიე ცოტ-ცოტათ პირში თქმასა. გწყინს, თუ არა, ეს საჭიროა ვიცოდეთ, რომ შემდეგ ისე გელაპარაკოთ. ვიცით შენში ჯერ იმოდენათ არ არის დაკარგული ის რაინდობა და ძველი გულ-გახსნილობა, რომ არ გიამოს შეიტყო შენს თავზედ სწორი ამბავი. შეგიძლიან, ჩემო ქართველო, იმაზედ დაგვემდურო, რომ ამბავი ისე არ გაცნობეთ; ჭეშმარიტება გამოვ-ცვალეთ; მაგრამ იმედი გვაქვს და არც სიმართლე გაქვს, იმაზედ დაგვემდურო, როდესაც პირში მართალს და ქეშმარიტს ამბავს გეტ-ჩვით, თუნდ საკუთრად შენზედაც რომ იყოს ნათქვამი ეს ამბავი. მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, არიან კიდევ იმისთანა პირები, რო-მელთაც ყველა სწორეთ ნათქვამი ამბავი ქართველზედ და საქარ-თველოზედ გინებათ მიაჩნიათ, და ჰგონიათ, ვითომც ჩვენ ქართვე-ლები არ გვიყვარს და ამიტომაც მივაწერთ ხოლმე იმათ ყოველს ცუდსა. ჩვენ კიდეც ვიცით, რომ არიან იმისთანა პირნი, რომელნიც ისე ფიქრობენ, მაგრამ, ჩვენს საუბედუროთ აშკარათ და სახალხოთ კი ხმას არ იღებენ და სხვა ნაირათ უცხო პირსა, ჩუმად უჩურჩულე-ბენ ხოლმე, ვითომც ამისთანა მოქმედებით ქართველების სახელს დავიცვავთო შეურაცხებისგან.

არა, მაგისთანა მოქმედებას, ცრუნო-მზრუნველნო, რიგიანი პი-რები არ დაგიმადლებენ და ჩვენ, ჩვენის მხრით, სულყველასა ვთხოვთ, რომ თუ რაშიმე ვცდებით, ან ტყუილს რასმე ვამბობთ, გვიჩვენონ და გვამტყუნონ სახალხოთ; ჩუმათ ლაპარაკს უცხო კაც-თან კი თავი დაანებეთ. ჩუმათ ლაპარაკი ძალიან ადვილი საქმეა და, რასაკვირველია, იმის მოქმედნიც ზურგს-უკან მოლაპარაკენი

არიან. ყველამ ვიცით რაც ხელობა არის ზურგს-უკან ლაპარაკი-უცხო კაცთან და რა მავნებელი საქმე გამოვა იქიდგან.....*)

გირჩევ, ქართველო კაცო, თავი დაანებო ამისთანა მოქმედებას; გეყო რაც ზურგს უკან ილაპარაკე შენს სიცოცხლეში და ვნახეთ რაც ნაყოფი გამოვიდა მანდიდგან. ამიტომაც სჯობს თავი დაანებო. თუ გაქვს რამე სათქმელი, რომელიც მთელს საზოგადოებას შეეხება, სთქვი სახალხოთ, თუნდ საკუთრათ ჩვენზედ. „დროების“ რედაქცია სულ ყოველთვის სიხარულით დაბეჭდავს ყველა სტატიებს, რომელ-შიაც კი იქნება ნაჩვენები რედაქციის შეცდომილება; რასაკვირველია ამასთან უფლებაც კი ექნება იმას, რომ მოიხსენოს პირველათვე, თუ რაზედ არ ეთანხმება სტატიას, და პასუხიც მისცეს თავის დროს. სულ-ყველა გონიერს და რიგიანს კაცს უნდა ესმოდეს, რომ აზრის გამო-სათქმელათ ჩვენვე ერთი-ერთ მანეთს არ უნდა ვსდევდეთ და აგრეთვე არც უნდა დავუშალოთ. რასაკვირველია ყველა კერძო პირს უნდა შეეძლოს თავისუფლათ გამოსთქვას თავისი აზრი, რამდენათაც კა-ნონი მისცემს უფლებას.

ამ ჟამათ დავიწყოთ ლაპარაკი იმაზედ, რომ გაუნათლებლები, ღარიბები, ამაყ-გულიანები და მფანტველები ვართ. დიდხანს გასწევს და არავისთვის ეს ახალი ამბავი არ არის და სულ ყველამ ვიცით ეგ თითქმის. როგორც სჩანს ეს ნაკლულევანება ჯერ კიდევ დიდხანს გასწევს. ვეცდებით ამაზედ სხვა ალაგს მოვილაპარაკოთ; ახლა კი გვსურს ორიოდე სიტყვის თქმა განათლებაზედ.....*)

უპირველესი ნიშანი განათლებისა არის წერა-კითხვის გავრცე-ლება საზოგადოებაში და იმის ცოდნა, თუ რასა კითხულობს ხალხი და რა წარმოსდგება იქიდგან. ვინც თვალს ადევნებს ხალხების მოძ-რაობას და განათლებას, იმან იცის, რომ ყოველს ევროპიის და უმე-ტესად ამერიკის ქვეყნებში ცდილობენ, რომ ყველა საზოგადოების წევრმა უთუოდ იცოდეს წერა-კითხვა, რომ ამ ცოტას ხანში წერა-კითხვა ნეგრებშიაც კი გავრცელდა; ამის დასამტკიცებლათ წარმო-ვადგენთ ამ ფაქტსა: წრეულს ვირგინიაში (შტატია შეერთებულს ამერიკის შტატებში) იყო ამ გვარი შემთხვევა: 170 ამერიკელში, რომელნიც იყვნენ სამუშავოთ ერთს ალაგას, მარტო სამმა იცოდა წერა, რომ მოეწერათ თავიანთი გვარი და სახელი; 140 ნეგრებიდგან კი 92 იცოდა წერა და კითხვა, რომლებმაც მოაწერეს ადვილად თა-ვიანთი გვარი და სახელი. ამერიკელი ვინკლერი ამოწმებს, რომ სამ-ხრეთის ამერიკის ნეგრები ძალიან ცდილობენო თავიანთს განათლე-ბას. ნუ— ორლეანის შკოლებში 20 ათასი ნეგრების ქალი და ვაჟი დადიანო ყოველს დღეს. იმავე ქალაქში, 4 ათასი მოზრდილი კაცი

*) ცენზორის მიერ არის ამოღებული
რედ.

დადის საღამოს შკოლებში. ამაზედ რას იტყვი, ჩემო გულგრილო ქართველო? ჩვენ შეგვიძლიან საქვეყნოდ ვსთქვათ, რომ საქართველოში მრავალი იმისთანა სოფელია, სადაც არამც თუ პატარამ, დიდებმაც კი არ იციან წერა-კითხვა. მაგალითად არის ბევრი იმისთანა სოფელი, სადაც ას-ორმოცდა-ათას კომლში, მღვდლისა და დიაკვნის მეტმა ერთმა არავინ იცის წერა-კითხვა. რამდენი აზნაურის შვილები გვინახავს იმისთანა, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან, თუმცა ძალიან კი ამაყობენ და ტრაბახობენ თავიანთის ჩამომავლობით. მრავალი იმისთანა თავადები და აზნაურები არიან, რომლებმაც თავის სახელის და გვარის წაკითხვა და მოწერა თუ იციან, ისიც ძალიან კარგი საქმეა; წიგნის წაკითხვას ხომ ვინღა ჩივის, აი ის მაგალითი, ქართველო, რომ ჩვენ განათლებაში ნეგრებსაც კი დაუვარდით, იმ ნეგრებს, რომლებსაც ამ ოთხისა და ხუთი წლის წინათ პირუტყვად რაცხავდენ ამერიკაში. შენ კი, დიდგულო ქართველო, ძალიან ტრაბახობ ჩამომავლობით და გვაროვნობით.

ისიც უნდა შეიტყო, თუ რასა კითხულობენ ნეგრები? დიახ, ესეც კარგი შესატყობი ამბავია, რადგანაც მარტო წერა-კითხვა მაგდენს არას მისცემს ადამიანსა, თუ ამასთან ღონისძიება და რიგიანი წასაკითხავი წიგნებიც არა აქვს.

ამ ცოტა ხანში ამერიკის შეერთებულს შტატებში, ნეგრებს, რომლებსაც აქამდინ არაფერი სამოქალაქო პატივი და უფლება არა ჰქონდათ, ამ ჟამად აქვთ 9 ჟურნალი, რომლებიც კვირაში ერთხელ გამოდიან და ერთი საყოველდღეო გაზეთი. ამის გარდა სამხრეთ—ამერიკის შტატებში ნეგრებსავე აქვთ 5 გაზეთი: „Coloured Tenesselan"—ნაშვილში; „Tribune"—ახალ-ორლეანში; „Nationalist"—მობილმი; „Loyal Georgian"—ავგუსტში და „Comunicato"r—ბალტიმორში. ამ გაზეთების და ჟურნალების რედაქტორები არიან თითონ ნეგრებივე. ამაზედ რაღას იტყვი, ჩემო ქართველო? აბა ერთი მითხარი: რა გაზეთები და ჟურნალები გამოდის ქუთაისში, გორში, თელავში, სიღნახში და სხვაგან? ან რა სასწავლებლები გაქვს ოქავე დაფუძნებული, რომელნიც დაედარნენ ახალ-ორლეანის სასწავლებლებს?.....*)

ამასთან ვიტყვით, რომ უპირველესი სურვილი და ღირსება ყოველის რიგიანის კაცისა ანუ საზოგადოებისა არის ის, რომ თავისის თავის გარდა, თავისი მოძმე კაციც ახსოვდეს და იმისთვისაც

*) ცენზორის მიერ არის ამოღებული
რედ.

არ დაიშუროს ყოველი კეთილი საქმე და შეეწიოს ყოველს გასაჭირს მდგომარეობაში. ეს აზრი ახალი არ არის. ამას პატარაობიდგანვე ჩაგვჩიჩინებენ ხოლმე. ვინ არ იცის, რომ ქრისტიანობა მაგაზედ არის დადგენილი და მაგ აზრს ასწავლის; მაგრამ რასა ვხედავთ? ჩვენ საუბედუროთ არამც თუ ვასრულებთ ზემოხსენებულს აზრსა, არამედ ყოველს ღონის-ძიებასა ვხმარობთ, რომ ამისი წინააღმდეგი საქმეები ჩავიდინოთ; ყოველს ფეხის გადადგმაზედ ვეწინააღმდეგებით ამ აზრსა და ვცდილობთ დავცეთ ჩვენი ძმა კაცი.....*)

ახლა მოვიგონოთ თუ, რაზედ დადგა ბანკის საქმე? ძლივს ქართველებმა ერთი რიგიანის საქმის ასრულება მოვინდომეთ და თავი გამოვიდეთ, მაგრამ ესეც კი თავ-და-პირველათვე უნდა ჩაიშალოს. რა არის მიზეზი? არა გვგონია ამ დროში ჩვენში გამოვიდეს იმისთანა კაცი, რომელსაც არ ესმოდეს, თუ ბანკს რა სიკეთე და საშუალება ექნება ჩვენს ცხოვრებაზედ. უეჭველია, ბანკის დაწესებაში ბევრი კერძოობითი და წვრილმანი ნაკლულევანება შეიპარება, მაგრამ ეგენი არ უნდა იყვნენ მიზეზნი, რომ მაგათ შეგვაშინონ. ვერც ერთი ხალხი და ვერც კერძო პირი ვერ იტყვის, რომ შეუცდომლობით გაეტარებინოს თავისი სიცოცხლე, მაგრამ მაგიტომ არავის მოუკვეთია ცხოვრება. ეგრე უნდა იყოს ყოველი საზოგადო საქმეცა. მაინც კიდევ ვიკითხავთ, რაზედ დადგა ბანკის საქმე? როგორც ვიცით ჯერ არც წესდებულება იყო დაწერილი და არც გაჩხრეკილიყო იმისი კანონები, საიდანაც გამოჩენილიყო ის აზრი, რომ იმნაირის დაწესებით ბანკი წინ ვერ წავა. მაშასადამე თუ გამოჩნდნენ წინააღმდეგნი, ისინი იყვნენ ისევ იმ აზრისა, რომ ბანკი არ დაწესებულიყო. ჩვენ ეს აზრები და ფაქტები იმისთვის არ გამოვსთქვით, რომ სახალხოთ გამოვიყვანოთ წინააღმდეგნი პირნი; არა, ჩვენ გვინდოდა დაგვემტკიცებინა ამ ფაქტით ის აზრი, რომ ჩვენში ერთობა არ არის და ეს მიზეზი გვიშლის დავწინაურდეთ და კეთილდღეობა მოვიპოვოთ; აგრეთვე მტკიცდება ის აზრი, თუ რა ძალიან შორსა ვართ იმ აზრთან, რაც ზევით წარმოვსთქვით, ესე იგი: ჩვენ მოძმე კაცს უნდა ყოველის ღონისძიებით შევეწიოთ.....*)

ადრინდელი დრო წავიდა. ჩვენს სასიხარულოთ ის დროებაც წავიდა საუკუნოთ, როდესაც ყმები გვყვანდა და გვიკვირს ზოგიერთი პირები როგორა ფიქრობენ, რომ თავადმა აზნაური ყმათ გაიხადოს. ეგ ცრუ და უგუნური აზრია; სჯობს საუკუნოთ გამოვესალმოთ და

*) ცენზორის მიერ არის ამოღებული

თავი დავანებოთ მაგ აზრს და წადილს. ვერცარავინ ნებას მისცემს. და ვერც თითონ ისინი შეიძლებენ იმ აზრის ასრულებას. ისევ სჯობს თავი დაუდოთ, რომ ერთობა და სიყვარული დაარსდეს ჩვენში. ამას ღმერთიც და კაციც დაგვიმადლებს. თუ კი ნეგრებმა მოიპოვეს საშუალება და თავი იხსნეს იმ მდგომარეობიდგან, რის კმაყოფილებაც არ იყვნენ, როგორლა უნდა გვსურდეს, რომ ჩვენი მოძმე კაცი ახლათ დავიმონავოთ და ჩვენ გვარად უფლება არ მივსცეთ, უმეტესათ მაშინ, როდესაც მაგ უფლებას კანონი არ უშლის.

„დროებაში“ იყო დაბეჭდილი მოკლე ამბავი, რომ ქუთაისში, იქაურს თავად-აზნაურობას ჰსურს ბანკის დაწესება და მთავრობას კიდეცა სთხოვეს ამ საგანზედ ნებართვა. რასაკვირველია, ყველა რიგიანმა ქართველმა სიხარულით მიიღო ამ ძალიან სასარგებლოს საქმის ამბავი, თუმცა ჩვენ უნდა სასირცხვილოთა გვქონდეს, რომ პირველათ ბანკის დაწესების აზრი აქ გავრცელდა და იმერეთში კი გვაჯობეს. გავიმეორებთ, რომ ყველა ქართველს უნდა ეს ამბავი სიხარულით მიგვეღო, რადგანაც იმერლები და ქართველები, თუმცა გუბერნიების სახელებით გაირჩევიან, მაგრამ არაფერი განსხვავება არა აქვთ რა და ძმანნი არიან. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ იქაური ხალხის მოქმედება გვიმტკიცებს, რომ ქუთაისის გუბერნიაში უფრო უმეტესი სურვილი და გულის წადილი აქვთ საზოგადო საქმეზედ, ვიდრე ტფილისის გუბერნიის ქართველებს, თუმცა ყოველის ქართველის მომეტებული სურვილი ის უნდა იყოს, რომ ქუთაისის და ტფილისის გუბერნიების ქართველებმა სასარგებლო საზოგადო საქმე უთუოთ ერთათ უნდა დაიჭირონ, და ამ ორის გუბერნიის ბანკი ერთათ დაწესდეს.....*)

ვიდრე ეს ჩვენი სურვილი ასრულდება ვიტყვით, რომ უმეტესათ ჩვენი მოქმედება და მდგომარეობა არის მიზეზი, რომ ნეგრებმაც კი გვაჯობეს. ჩვენ კი, ჩემო ქართველო, ძალიან მაგრათ მივსდევთ ჩვენ მამა-პაპის აზრებს და მოქმედებაებს, ახლანდელს დროსთვის კი თავი დაგვინებებია; მაგრამ ის კი არ ვიცით, რომ იქნება იმ აზრებს თავის დროს ჰქონდა რამე მნიშვნელობა, ეხლა კი უნდა გავიგოთ და შევიტყოთ, რომ მაგ განზრახვას და აზრს არაფერი რიგიანი მნიშვნელობა არა აქვთ და გროშათაც არა ღირან. დრო არის გავიგოთ და დავრწმუნდეთ, რომ ამ სოფელში უპირველესი ღირსება განათლებაში და სწავლაში მდგომარეობს. უამისოთ სულ ყოველის ფერი ფუჭია და ამაოა. მარტო გვაროვნობა რომ დაუგდოთ ჩვენს

*) ცენზორის მრერ არის ამოღებული
რედ.

შვილებს, არას შევმატებთ, თუ უფრო არ შეავიწროებს მათ მდგომარეობას. ამიტომაც თუ ბედნიერება გვინდა ან ჩვენი თავისა, ან ჩვენი ჩამომავლობისა, მარტო საკუთრათ ჩვენ თავისთვის კი ნუ ვიზრუნებთ,—მოვიგონოთ ჩვენი ჩამომავლობაც და იმისთვის ვიზრუნოთ; ეს უნდა იყოს ყოვლის კაცის წადილი. მოვიგონოთ ის აზრი, რომელიც ზევით არის გამოყვანილი: „ვეცადოთ, რომ ჩვენის, ძვლებიდგან არ დაიბადოს ჩამომავლობა, რომელმაც დაგვიწყოს წყევლა და დევნა". აბა ახლა მოვიგონოთ ჩვენი წარსული დრო და ვკითხოთ: რა მოვიქმედეთ ამ ცოტა ხანში იმისთანა მაინც, რომ ზემოხსენებული წყევლა ჩვენს თავზედაც არ ასრულდეს.

ყველა ჩვენს უძრაობას, მოუქმედებლობას ვაბრალებთ ჩვენს საწყლობას. ჩვენც ახლა გვსურს მოგაგონოთ, მკითხველო, რომ ახლა გვქონდა შემთხვევა მოგვეფიქრებინა ჩვენს ჩამომავლობაზედ, რადგანაც ამ ცოტას ხანში მოხდა ჩვენს გარემოებაში დიდი ცვლილება. აბა ვკითხოთ ჩვენს თავსა: რა დაუმზადეთ ჩვენს ჩამომავლობას და ან რას მოელის ის ჩვენგან? ვგონებთ რიგიანს არაფერს, რადგანაც ამ დროებამაც და შემთხვევამაც ისე გაიარეს, როგორც ადრეც გაუვლია. ფულები ისე მივფლანგეთ და მოვფლანგეთ, როგორც გვიფლანგავს ამ ათის—ოცის წლის წინათაც, ის კი არ გვესმის, რომ არაფერი უფლება არა გვაქვს უხეიროთ ვხარჯოთ ეს ფული, რომელიც ჩვენს მამა-პაპას იქნება სისხლის ღვრით და ვაი-ვაგლახით უშოვნია. ჭკუა მოვიკრიფოთ და ისე წავიყვანოთ საქმე, რომ ჩვენი შვილები არ დაგვემდურონ, როგორც ვემდურებით ახლა ჩვენს მამა-პაპას, რომ თავიანთის უზრუნველობით არც ზრდილობა მიგვქცეს, არც განათლება, თუ გვინდა, რომ ამ განსაცდელს მოვშორდეთ, უნდა თავი დავანებოთ იმ აზრს, ვითომც ყველამ უნდა იზრუნვოს და იცხოვროს მარტო თავის თავისათვის და არა ჩამომავლობისთვის და ყველა კაცის შემწეობისთვის. ჩვენ ძალიან ვსდევთ უგუნურს და ულვთო აზრს, რომელიც წარმოსთქვა ჩვენმა ერთმა წინაპარმა: „თუ მე არ ვიქნებიო, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო." ჩვენდა საუბედუროთ ამ უსამართლო და უსაფუძვლო აზრმა ძალიან გასჭრა და მრავალი მბაძავი მოუპოვნია. ჩემო ქართველო, მაგისთანა უგუნური აზრი ფრანციაშიაც იყო ძალიან გავრცელებული შუა და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნეში, ლიუდოვიკის მე XVI დროს. მაშინ ამბობდნენ: „Apres moi le deluge" (ჩემს უკან თუნდ წარღვნა მოსულაო). ეს აზრი არსებობდა იმ დროს, როდესაც საზოგადო წყობილება ისე გაირყვნა და წახდა, რომ რევოლიუცია დაიბადა და ამ რევოლიუციამ მოუღო ბოლო იმ ხალხს და პირებს, ვინც ზემოხსენებულს აზრს მისდევდნენ.

ამ სტატიას ვათავებთ. იქნება ამ სტატიამ ზოგი კიდეც გააჯავროს და ზოგი გააცინოს. ამ ორში ერთერთი მაინც უთუოთ იქნება. მაგრამ მოიგონე, რომ როდესაც დაუდევნელობით ჩვენი ჩამომავლობა ჩვენც უპატიურათ მოგვეპყრას და დაგვიწყოს ლანძღვა და დამდურება, მაშინ არც დროებას უნდა დავემდუროთ, არც წამხდარს ახალგაზრდა კაცებს, როგორც გვიყვარს ივი სი მოხსენება და შემკობა, არა, მაშინ ამოვიოხროთ და ვსთქვათ: „ჩვენ თითონა ვართ დამნაშავე და ჩვენ თითონვე დავბადეთ ჩამომავლობა, რომელიც გვდევს და გვემდურის“. გესმის, ჩემო მკითხველო!

ბუნების მეცნიერება და მისი დიდი ღვაწლი ხალხის განათლებისთვის

როდესაც კაცს თავისი ჭკუა და ჭკუისაგან მოპოებული მეცნიერება არ მსახურობს, იმისთანა უძლური სულდგმული ქვეყანაზედ არ იპოება. იმას არ აქვს არაფერი გარეგანი საშუალება, რომ მტრისაგან თავი დაიცვას და საზრდო იშოვნოს. ყოველი მხეცი ამ შემთხვევაში იმაზე ძლიერია. მგელსა აქვს თბილი ქურქი, ბასრი კბილები და მჩატე ტანი, რომ სიცივისაგან თავი დაიცვას, მტერი მოიგეროს და სარჩო მოიპოვოს. კურდღელსა აქვს გრძელი ყურები, გრძელი უკანა ფეხები და მაგარი წინა-კბილები, რომ მტრის მიპარება შეიტყოს, ხტომით გაექცეს და მაგარი ჯაგების წნელები თავის გასაკვებად ცოხნოს ხოლმე. ჩიტს ფრთა აქვს, რომლითაც ერთის თვალის დახამხამებას ცხრა მთას გადირბენს, ტყე-ველს მოივლის, საკენკს იშოვნის და კუჭს გაიძღობს. საწყალი კაცი ამ შემთხვევაში კურდღელზედაც და ჩიტზედაც უფრო უღონოა. იმას არც ერთი ზემოხსენებული იარაღთაგანი არ აბადია. ის არ არის, როგორც მგელი, ბუნებით გამოხვეული ბეწვის ტყავში, რომ ზამთარში სიცივემ არ შეაწუხოს და ზაფხულში სიცხემ არ დასწვას შიშველი ტანი; არა აქვს ბასრი კბილები, რომ მტერს სისხლის დაღი დააჩინოს და ცხვარს ყელი გამოსჭრას; ის ვერ გაიქცევა კურდღელსავით და არც აქვს იმისი მაგარი კბილები და სტომაქი, რომ ნეკერით და ხის ფოთოლით თავი ირჩინოს; ის ვერ გაფრინდება ჩიტსავით, რომ ზამთარ იქ იცხოვროს, სადაც ბევრი სარჩოა და ზაფხული იქა, სადაც ყოველივე საზრდო მწიფს და მწიფდება. კაცი თავის სხეულის აგებულებაში ვერ უჩვენებს იმისთანა მოწყობილებას, რომ იმით შეეძლოს სხვა ცხოველებსავით სიცოცხლის შენახვა. ამ მოწყობილების მაგივრად იმას აქვს სულიერი ძალა, ანუ ჭკუა, რომლითაც იმან უნდა მოიპოვოს ყოველივე, რაც ბუნებით წართმეული აქვს. ბეწვიანი ტყავის მაგივრათ იმან უნდა მოქსოვილი და შეკერილი ტანისამოსი იშოვნოს, ბასრის კბილების მაგივრად—თოფი, ბარი, გუთანი და სხვა მრავალი სიცოცხლის დამცველი სამკაული; ჩქარის ფეხების მაგივრად—სახლი ხისა ან ქვიტკი-

რისა, რომლის კარებსაც ვერა გარეგანი მხეცი ვერ შეამტვრევს, თუ არ თვითონვე კაცი; ფრთების მაგივრად—ჩქარი ცხენი და კიდევ უფრო ჩქარი გემი და რკინის გზა, რომელსაც შორს სიარულში ვერა ფრინველი ვერ შეედრება. მაგრამ ამდენი საშუალების გამოძებნას დიდი შემჭადებული ჭკუაც უნდა. ის უნდა იყოს მდიდარი გამოცდილებითა, ძალიან უნდა დაკვირებოდეს ბუნებას, რომ მრავლის ნივთის დანიშნულება იცოდეს და ამ ნივთების მოხმარებაც უნდა შეეძლოს თავის სასარგებლოდ. როდესაც კაცის გონება გამოცდილებით და მეცნიერებით ჯერ კიდევ პირვანდელს მდგომარეობიდან არ გამოსულა, მაშინ იმას სად ექნება ამდენი მიხვედრა? უნდა ვიფიქროთ, რომ მაშინ იმის ბუნებას არა გაეგებარა. ყოველი ბიჯი, მრუდეთ გადადგმული, მრავალს გაჭირვებას შეამთხვევს ხოლმე. ქარი, წვიმა, წყალი, ცეცხლი და სხვა მრავალი, იმის სიცოცხლის წინააღმდეგი მოვლენა აწუხებს ჭკუით გაუხსნელს კაცსა, ჩაგრავს და აშინებს იმის გონებას. ტყეში თუ შევიდა, იქ სხვა და სხვა ნადირი და ფრინველი მოძრაობს. ეს მოძრაობა იმას ხშირად მტრად ეჩვენება. კლდეში თუ შევიდა, იქ ერთი უეცრად მოგლეჯილი კლდის ლოდი დააფრთხობს იმას. ის გაიფიქრებს რაღაც ბოროტს სულზედ, რომელიც იმას სდევნის დღე ნიადაგ ამ ქვეყანაში. ცა რომ მოიღრუბლოს და ელვა და გრგვინვა რომ გამოუშვას, იმის გამოც საწყალი კაცი ძრწის, რადგანაც წამის-წამს მეხის დაცემას და სულის დალევას მოელის. ამ გვარის დაუწყნარებელის მოქმედებითა ბუნება კაცს უფრო და უფრო შეიპყრობს და წარმოადგენინებს მრავალ გვარს კუდიანებს, ეშმაკებს და ქაჯებს.

საწყალის უმეცარის კაცის გონებით მთელი ქვეყანა ამ გვარის ბოროტის სულებით არის ავსებული. ისინი არ აძლევენ იმას მოსვენებას არც შინ და არც გარედ.

ამ სახით კაცი მიეცემა ცრუმორწმუნეობას. ეს ცრუმორწმუნეობა შეეზრდება ერთის შთამომავლობიდამ მეორე შთამომავლობას. ხალხი, რომელიც ამ გვარის დამფრთხალის კაცებისაგან არის შემდგარი, ველარ ამდიდრებს თავის გონებას; ამიტომ რომ იმას ეშინიან ყოველის საგნისა: ტყისა, წყლისა, კლდისა, ავდრისა, გრუხუნისა. ის ვერაფერს გულ-დამშვიდებით ველარ დააკვირდება, და თუ კი არას დააკვირდი, ვერც არაფერს შეიტყობ, თუ რომ არ გამოიძიე, არ აწონე და დაწონე რაიმე საგანი, რასაკვირველია, არც გამოცდილება და სწავლა შეგემატება. როდესაც ხალხი ამისთანა მდგომარეობაშია, ის არის დამცრობილი ბუნების მკაცრის მოქმედებითა. ცრუმორწმუნოება იმას არ აძლევს ნებას თავისი ძვირფასი საუნჯე—ჭკუა

თავისუფლად მოიხმაროს. მანამ ის ამ გვარს მდგომარეობაშია, თავის ცხოვრებას ვერ გაამჯობინებს, ამისათვის რომ იმისი გონება შეშინებული და მიძინებულია...

ამ შემთხვევაში ბუნების მეცნიერება პირველი საშუალებაა რომ კაცს და აგრეთვე ხალხს დააკარგვინოს ცრუმორწმუნოება. ის ახსნის, თუ რა რიგათ თან და თან ირღვევა კლდე ჰაერისაგან და წყლისაგან; ან ტყე რარიგს ცხოვრებას და მოძრაობას მიეცემა იმაში მყოფის სულდგმულებითა და უსულოთი; ის ახსნის გრგვინვის მოვლენას, თოვლის მოსვლას, ჰავის ცვლილებას და სხვ. გააცნობს ხალხს ბუნების სჯულს და ძალას, რომელიც მოქმედებს და დაბადებს სხვა და სხვა მოვლენას. ამ რიგათ კაცის გონებაც აღარ ერწმუნება ბოროტის სულის არსებობას; ის მკვიდრად დაადგება იმ აზრს, რომ ქვეყანაზედ ქაჯების, კუდიანების და ეშპაკების მაგივრად მოქმედებს მხოლოდ ბუნების ძალა იმ წესით, როგორც ბუნების სჯულს შეესაბამება. იმას აღარ ეშინება ბოროტის სჯულისა და, უწინ რომ რამე მოვლენის გამო შიშით ირყეოდა, ახლა გულმაგრად უყურებს ამ მოვლენას. თვით იმ ძალის, რომელიც წარმოშობს ამისთანა მოვლენას, ის დაიწყებს ხოლმე მოხმარებას თავის სასარგებლოდ, და აქედამ წარმოდინდება იმისი კეთილდღეობა. მაგალითად: მიწიდამ და ზღვიდამ ადის ჰაერში წყლის ორთქლი. ეს ორთქლი ზევით იკრიბება წვრილ-წვრილ ბუშტებად და შეადგენს ღრუბლებს. ზემოხსენებული ორთქლი, როდესაც წვრილ ბუშტებად იქცევა, დაბადებს ელექტრონის ძალას, რომლის გამოც გრგვინვა და ჭექა მოხდება ხოლმე ჰაერში. ეს ძალა კაცმა იხმარა ტელეგრაფის ძაფში და ახლა იმის საშუალებით ორიათასს ვერსზედ ჩვენ ერთი-ერთმანეთს ველაპარაკებით და ვატყობინებთ ხოლმე ერთი-ერთმანეთის ამბავს რამოდენისამე მინუტის განმავლობაში. ზემოხსენებულივე ორთქლი კაცმა მოაგროვა პატარ-პატარა თუჯის ქვაბებში და დაჰბადა ასეთი ძალა, რომ იმას ერთი მხრიდამ მეორე მხარეში რამოდენიმე ათასი კაცი გადაყავს ხოლმე რამოდენიმე საათის განმავლობაში. ერთის სიტყვით ამ ორთქლის საშუალებით იმან გააჩინა რკინის გზა.

როგორც ზემოთ ნაჩვენების მაგალითიდამ შევიტყვეთ, ბუნების მეცნიერება გამოაფხიზლებს კაცის შეშინებულს გონებას და ბოროტის სულების მაგივრად ის გააცნობს ბუნების ძალებთან, რომლებსაც უწინ კაცი ჰყავდა დამფრთხალი ეშმაკის სახითა.

ბუნების მეცნიერება ასწავლის კაცს, თუ რა რიგათ უნდა მოიხმაროს იმან ეს ძალები თავის სასარგებლოდ. ის ათავისუფლებს კაცს ცრუმორწმუნოებისაგან და უჩვენებს იმას მრავალს სასარგებლო

არსებას ბუნებაში. აი ეს არის უმთავრესი ღვაწლი, რომლითაც ბუნების მეცნიერება მსახურებს კაცსა.

ერთი უსაკვირველესი ბუნების მოვლენა ქვეყანაზედ არის სისხლის წვიმა და ცხოველის წვიმება. ამ მოვლენას ბევრჯერ შეუშინებია ხალხი, განსაკუთრებით საშუალ საუკუნოებში, როდესაც ევროპაში და სხვა ქვეყნებში ნაკლებათ იყო სწავლა გავრცელებული, და ხალხი საშინელს ამაომორწმუნეობაში იყო ჩავარდნილი. ამ გვარი მოვლენა მით უფრო შემაძრწუნებელია, რომ ზეციდამ ცვივა თევზები, ბაყაყები და ზოგჯერ შინაური ცხოველებიცა. გაუნათლებელს ხალხს მით უფრო თავ-ზარი უნდა დაცემოდა ამ შემთხვევაში, რომ არ იცოდა, საიდამ ერის ამისთანა საკვირველი მოვლენა? ის აბრალებდა ამას ღვთის განრისხებას.

1813 წელს, იტალიის სამხრით, კალაბრიის მაზრაში, 23 მარტს, გამოჩნდა ერთი შავი ღრუბელი, რომელიც ზღვიდამ მოისწრაფოდა. როდესაც ეს ღრუბელი გადაეფინა ამ მაზრას, თუმცა დღე იყო, მაგრამ დადგა ასეთი ბინდი, რომ უსანთლოდ აღარაფერი იხედებოდა. ჯერ ცა შეიღება სისხლის ფრად და შემდეგ კაცს ეგონებოდა, რომ მთელი არემარე ცეცხლის ალმა მოიცვაო. ხალხს შიშისაგან ძალა წაერთო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაუშვა სხვილმა წითელმა წვიმამ. ყველას ეგონა ზეციდამ სისხლი მოწვიმსო და, ეს არის, ქვეყანასაც მიეცემა დასასრულიო. როგორც მოგეხსენება, მკითხველო, ამისთანა დროს სასულიერო წოდება კიდევ უფრო სასოებას უკარგავს ხოლმე ხალხს, რადგანაც დაიწყებს ქადაგებას ღვთის განრისხებაზედ და ცოდვის მონანებაზედ. ერთის მხრით სასულიერო წოდებისთვის ამისთანა ქადაგება სასარგებლოც არის, რადგანაც ის ამ შემთხვევაში თავის ლოცვით უფრო დაიმონავებს კაცის გულსა და სარგებლობაც ემატება... ამ რიგათვე მოიქცა სასულიერო წოდება იმდროს იტალიაში. მაგრამ ხალხს რაღა იმისი მხილება ეჭირებოდა! ის უმისოთაც სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი სისხლის წვიმითა!

ახლანდელს დროში ამ გვარი წვიმები აღარავის აკვირვებენ. ბუნების მეცნიერებამ ახსნა, რომ ეს სისხლის წვეთები იგივე უბრალო წყლის წვეთებია, რომელშიაც მრავალი მეტად პატარა წითელი ცხოველები ცურაობენ.

1675 წელს, ერთმა გოლლანდიელმა სწავლულმა შენიშნა დამდგარს წვიმის წყალში პატარა ცხოველები, რომელნიც კაცის თვალით არ შეიმჩნევიან, თუ არ მიკროსკოპიფა (გამდიდებელის შუშითა, ჭიქითა), უფრო გვიან ყველა ამ გვარს ცხოველებს დაარქვეს საერთო სახელი ინფუზორია.

ამ ცხოველებში ის, რომელიც ხან-და-ხან წვიმის წვეთებში იმ-ყოფება, არის ევგლენა (Euglena); ეს ცხოველი მრავლდება დამდგარს წყლებში, ესე იგი ტბებში და იმ მდინარის უბეებში, რომელიც ძლიერ მდორეთ მიდის.

ევგლენა წარმოადგენს ბუშტსა; ბუშტს შიგნით სქელი წყალია და წყალს შიგნით კიდევ პატარა ბუშტია, რომელსაც გული ჰქვიან. ევგლენას მხოლოდ ერთი ან ორი ღერი ბალანი ასხია. ამ ბალანის შემწეობით ის წყალში დაცურავს. არც პირი და არც სხვა მოწყობილება არა აქვს. ის გავს ხეჭოჭ-შემოუკვრელ კვერცხსა. იმისი საზრდოა წყალში გამდნარი ნივთიერება, რომელსაც შეისვამს თავისის თხელის კანითა. მრავლდება ამ გვარათ: შინა გული დაიყოფება რამდენსამე ნაწილათ, თითო გულის ნაწილს გარს შემოერტყმის სქელი წყალი და შემდეგ თხელი კანი; იმას გამოუა ერთი ან ორი ღერი ბალანი და შთამომავლობა მზათ არის, რომ დედის საშოდამ გამოვიდეს და წყალში იცხოვროს. როდესაც დედა ევგლენა გაიტენება ამ გვარის შვილებითა, შემდეგ ის გასკდება და პატარა ევგლენები გამოცვივიან წყალში საცხოვრებლად. ამ რიგად რამოდენისამე დღის განმავლობაში ერთის ევგლენისაგან შეიძლება რამდენიმე მილიონი ამისთანა ცხოველი წარმოსდგეს.

ახლა ეს უნდა ვიკითხოთ: ჰაერში საიდამ ჩდებიან ეს ცხოველები, რომელნიც ხან-და-ხან ისე ბეურნი იმყოფებიან წვიმაში, რომ ღებავენ იმას სისხლის ფრათა?

ამ ცხოველების ზეცაში ატანას აბრალებენ სმერჩსა ანუ ტრომბას. ზოგჯერ რომელსამე ღრუბელს უეცრად გაეგბერება და გაეშლება ზედა ნაწილი, ამასთან ქვედა ნაწილი უგრძელდება და ძირში წვერს იკეთებს. ამ გვარი ღრუბელი თან-და-თან მსწრაფლად დაეშვება მიწაზედ, ბრუნავს როგორც ციბრუდი და საშინელის ჩქარის დენით მირბის ერთის ადგილიდამ მეორე ადგილზედ. რაც რომ წინ დაუხვდება: ხეები, ცხოველნი, კაცები,-ის ყოველს ფერს გლეჯს და ჰაიერში აჰყავს. ერთხელ სირიაში ამ გვარს სმერჩს აეყვანა მიწიდამ რამოდენიმე კატა. იმათმა ჭყავილმა და ჰაერში მოგზაურობამ საშინლად დააფრთხო იქაური მცხოვრებლები. თუ ამისთანა სმერჩს გზაზედ დაუხვდა ან ტბა და ან მდინარე, მთლად ერთიანად ამოაშრობს და წარიტაცებს ტბების და მდინარეების ცხოველებსა: თევზებს, ბაყაყებს, ჭიებს და ინფუზორიებს. ერთხელ ამ გვარმა სმერჩმა მთელი ზღვის უბე ამოაშრო ქალაქის ქრისტიანიის მახლობლად, რომელიც მდებარებს ნორვეგიაში. სმერჩი ჩვენებურად გრიგალი უნდა იყოს. მაგრამ ჩვენში გრიგალს ეძახიან უფრო ქარს, რომელიც ბრუნავს და ხეებს მოთხრის.

სმერჩი დიდხანს ვერ გასძლებს ხოლმე. ის გაირბენს რამოდენსამე ვერსსა და შემდეგ იქცევა მსხვილ წვიმათა, რაც ცხოველები და სხვა საგნები თან გაუტაცნია, ყველას ისევ წვიმასთან ძირს ჩამოყრის. შოტლანდიაში ბევრჯერ ციდამ ჩამოყრილა ხოლმე მრავალი ზღვის თევზები, რომელთაც მოუფენიათ იქ ზოგიერთი ადგილები დიდს სივრცეზე. 1815 წელს, 13 დეკემბერს, ფრანციაში წვიმასთან იმდენი ჭიაები ჩამოცვივდნენ მიწაზედ, რომ ხალხმა ალაგ-ალაგ კოცონები ააგო ამ მატლების დასაწველად, რადგანაც ძლიერ შეეშინდა, რომ სახლებში არ შესეოდნენ ეს მატლები.

ამას შემდეგ, რასაკვირველია, არავის ჩვენთაგანს არ გაუკვირდება, თუ როდესმე ჩვენშიაც მოხდა წვიმასთან ცხოველების ჩამოცვივნა და სისხლის წვიმის მოსვლა, რადგანაც გვეცოდინება რომ ეს ცხოველები მიწიდამ არიან ატანილნი ტრომბასგან.

1867

ძველი წლის ნაყოფი და ახალი წლის კოკრები

I

,,ღმერთმა მრავალს ახალწელიწადს დაგასწროთ''!—ეს ვინ გვილოცავს?.. აი, დასწყევლოს ღმერთმა!.. აკი ,,დროება'' მეორე წელში ფეხს ვერ გადადგამსო!—იტყვის მკითხველი და კეთილი გულით გაიღიმებს. დიახ, მკითხველო, ,,დროება'' ისევ ცოცხალია. რაც დღე გამოდის, ის უფრო და უფრო ფეხზედ მაგრათ დგას. ბევრს ჩვენს მოძმეებს არა სჯეროდათ ,,დროების'' დღეგრძელობა. ისინი ამბობდნენ,—რაცუნდა კარგის მოდგმისა იყოს, დღენაკლულათ დაბადებული დიდხანს მაინც ვერ იხეირებსო. გამოზაფხულის და გაზაფხულის სითბოებში კიდევ როგორც იქნება გააჯანჯალებსო თავის სიცოცხლეს, მაგრამ დადგება თუ არა შემოდგომა და როგორც რომ ზამთრის სიცივე კანჭებში მოუჭერსო, მაშინ იმისი საქმე წასულიაო. ,,დროება'' თან და თან იმჭლევებს, მისუსტდება, ფერი გამოეცვლებაო და ახალწლის წინაღამეს ფეხებს გასჭიმავსო, აგრე რომ ვთქვათ, ზამთრის ყინვა ქვასაც გახეთქავს; მაგრამ საქმე ის არის, ახალ მოზარდი იმდენზედ არ მივიყვანოთ, მართლაც სიცივემ გაყინოს. მკითხველო, შენ რომ მშვენიერი გაფუნთრუშებული ყმაწვილი გყავდეს და ასე განიზრახო: ,,მოდი ამ ყმაწვილს მუდამ ყინვიან წყალში ვაბანავებ და ცოტასაც ვაჭმევ, კარგი ტანადიც გამოვაო და მაგარი აგებულებისაც იქნებაო'', შენი მტერი, როგორც ის ყმაწვილი ხელში შემოგაკვდეს და ან თუ გადაურჩა ამისთანა წვალებას გაჭოსადეგი მაინც აღარ იქნება: ამიტომ რომ ტანი დაუსნეულდება. ჩვენში იტყვიან, ,,საქონელი მოვლისა არისო''.— მიუცილებლად, ,,დროებისთვის'' რომ ყური არ გვეგდო, გამოცემის საშუალება არ მიგვეცა, მაგას რა დიდი კითხვა უნდა, რომ ისიც ფეხს გაშლიდა მეორე წელში; მაგრამ ღვთის მადლით, საზოგადოების თანაგრძნობა იმას თავიდგანვე წინ მიუძღოდა. ამისთვისაც ,,დროებამ'' ერთი წელიწადი, როგორც ერთი წამი, ისე გაირბინა და მეორე წელიწადში გადამდგარმა თავი დაგიკრათ.

როდესაც „დროება“ გამოჩნდა, ვინ იცის რამდენი ჭორები არ გამოუგონეს?.. ჯერ ამას იძახდნენ,—ეგ სულ თილისმობა არისო. „დროების“ რედაქცია მოთილისმეებით სავსეაო და თვითონ „დროებაც“ თილისმის მახეო. მაგგვარი თილისმის მახეც ვნახეთო. ძალიან დახელოვნებული ხალხი უნდა იყვესო ეს მოთალისშე ვვამები, როცა ამ კაცებს ჟამთავითარება გარიყავს და ჯიბეში თაგვები ხრიგინს დაუწყებენო, მაშინ ამ გვარ მახეს, მოიგონებენო. ეს მახე ისეთი მანქანებაა, ძვირად იქნება, რომ იმაში ძვირფასი საუნჯე არ გაებასო, რომელიც მთელს სიცოცხლეში კაცს საქმელს პურს არ გამოულევსო. ისინი ამ გვარ მახეთი თავის საქმეს იკეთებენო, ჩვენ კი მაგ თილისმობით თილისმობის და მოტყუების მეტი არ გვხვდებარაო. მაგ თილისმობასაც დრო წაუვიდაო. ამნაირი სჯა „დროების“ გამომცემლებისთვის ძალიან გულსატკენი იყო; მაგრამ ამისთანა მრუდე აზრის გასწორებას მოთმინების მეტი არა გაეწყობოდარა. დრო, ყოვლის-ფერს გაასწორებს და ჩვენც საზოგადოების წინ გაგვამართლებსო, ფიქრობდნენ ისინი. ამით რომ საქმე გათავებულიყო კიდევ არაფერი, მაგრამ ამას გარდა „დროებას“ ბევრი სხვა მიზეზებიც მოუდეს. „დროებას“ ზრახავდნენ, რომ ახალი ასოებით რათ იბეჭდებაო. ჩვენებურს სტამბაში რომ ასო-მთავრული არა ყოფილა „დროებამ“ საიდამ შამოგვაჩეჩაო. საზოგადოება სწყრებოდა ასო მთავრულის შემოღებაზე—ეს რა ასოებია ინი ინს არა ჰგავსო და ენი ენს. ამ გვარად წერა თქვენი ჭირიმეთ, ვის გაუგონია:—ენსა და ვინს რომ მაღლა სმენო, სხვა ასოებს კი დაბლა. ზოგი აწეულია, ზოგი დაწეულია, თითქო ასოები ყირამალაზედ გადასვლას აპირებენო ამისთანა სჯაში ბევრჯერ იყვნენ ხოლმე გართულნი ჩვენი მოხუცებულები. მაგრამ „დროება“ ამისთანაებს ყურს არ უგდებდა. იმან კარგათ იცოდა, რომ ყოველი ახალი საქმე და ნივთი კაცს თვალში ეჩხირება, არ მოსწონს იმისთვის, რომ თვალი შეუჩვეველი აქვს; იმისი წინააღმდეგია, რადგანაც ჯერეთ იმისგან სარგებლობას ვერ ჰხედავს. ამასთანავე „დროება“ კარგათ ხედავს ასო-მთავრულის სარგებლობას; იმან იცოდა, რომ უასომთავრულოთ კაცი საკუთარს სახელს ძნელად გამოიცნობს ხოლმე ასე, რომ კითხვაში ხშირად შეუნიშნავათ რჩებიან უცხო ქვეყნების და კაცების სახელები. ამას გარდა ყოველი აზრი კითხვაში უფრო მკაფიოდ და ნათლად იხედება, რადგანაც ის ყოველთვის ასო-მთავრულით იწყება ხოლმე. ასო-მთავრულის შემოღებით აგრეთვე თვითონ ქართული სტამბაც მრავალგვარდება და მშვენიერდება. „დროება“ კარგათ გრძნობდა, რომ როდესაც მკითხველებს ასო-მთავრულზედ თვალი გაუტყდებათ, მაშინ ისინი ღირსე-

ბათ ჩათვლიან იმ ნაკლულევანებას, რომელსაც პირველათ ხედავდნენ. ამ აზრის იყო „დროება“ და ვგონებ, არც მოტყუებულა. ახლა ენაზე გადავიდეთ. „დროებამ“ დაიწყო თუ არა ლაპარაკი, მაშინვე ჯავრობა დაუწყეს. ეს სადაური ქართულია, რომ ნახევარი სიტყვების მთლათ არ გვესმისო. როცა „დროება“ ლაპარაკს დაიწყებს თითქო ყურებში ჩხირს გვიჩხუკურებდნენ, ისე გვიჩოთირებაო იმისი გაგონება. ვიცით რომ ქართული სიტყვები სწერია, მაგრამ სიტყვა სიტყვაზედ ისე ეშმაკურად გადამბულია, რომ დაბურდულს აბრეშუმის შულში, როგორც ძაფს თავს ვერ მოუნახავ, ისე იმის ქართულ სიტყვებში აზრს ვერ გამოიკვლევ.

დიახ, მაგაში ჩვენც თანახმა ვართ. „დროება“ ნამდვილი ქართული ენით არ ლაპარაკობდა, მაგრამ ან კი სად უნდა ესწავლა ქართული ლაპარაკი. ცოტათ მოზრდილან თუ არა „დროების“ თანამშრომელნი მაშინვე იმისთანა სასწავლებელში მიუციათ, სადაც ქართულ ენაზედ ერთი აზრიც არ მოსმენიათ. ისინი გაზრდილან უცხო ენაზედ და ნაჰდვილს ქართულს სიტყვიერებას თან-და-თან გადაჩვევიან. იმათი გონება და აზრი თან-და-თან უცხო ენის კილოზედ დაწყობილა და ამის გამო ბუნებითი ენის კილოც დაჰკარგვიათ. ამაში ვინ არის დამნაშავე? მიუცილებლათ თვითონ საზოგადოებაა. ის თუ კი არ იზრუნებს თავის ენაზედ შვილის განათლებას, შვილს სად ექნება იმდენი ღონე და მიხვდომა, რომ თვითონ იფიქროს თავის სამშობლო ენაზედ. ამის გამო „დროების“ თანამშრომელებს ბევრი ჯაფა დასჭირდებოდათ, რომ შრომით ისევ თავისი ბუნებითი ენა დაებრუნებინათ. ჯაფა და შრომა დროსაც მოითხოვს. მაშ „დროების“ ენა თუ პირველად არ იყო ნამდვილი და შესაფერი, იმედი ჰქონდა, დროს-და-დროს განმავლობაში მაინც იკეთებდა. ამას გარდა „დროებას“ უნდა გამოეთქვა სხვა-და-სხვა მეცნიერებიდამ გამოკრეფილი აზრები. ჩვენს ენაზედ, რადგანაც ეს მეცნიერებანი შემუშავებულნი არა ყოფილან, ამისთვის ბევრი ახალი აზრი თავის შესაფერს სიტყვასაც მოითხოვდა. ახალის აზრის გამოსათქმელად უეჭველად ახალი სიტყვებიც უნდა შამოგვეღო. იმათი მნიშვნელობა პირველად ძნელი გასაგებია, მაგრამ ხშირად წმარებაში ისინი შევლენ ჩვენს ენაში და ბოლოს ჩვენის ენის საკუთრებათაც გახდებიან. ეს ყველა ხალხის ცხოვრებაში ასე ყოფილა. მაგალითს ვიტყვით: როდესაც კაცი ჯერ კიდევ აკვნის ყმაწვილია, თავის გრძნობას მარტო ყვირილით აცხადებს ხოლმე. წლის ანუ წლინახევრის რომ შეიქნება, რამოდენისამე ნივთის სახელს ისწავლის. ის გრძნობს თვალით, ყურით, ენით და შეხებით. პატარა ყმაწვილი რასაც დაინახავს, იმისი ხელის მო-

კიდება უნდა და პირშიც იდებს. ერთის და იმავე ნივთის გაცნობისათვის ხმარობს რამოდენსამე საგრძნობელს: რომ დაინახოს, შეეხოს და ვემო გაიცნოს. მინამ კარგა დიდი შეიქნებოდეს, შინაურობაში იმისთანა ნივთი არ იქნება, რომელიც ყმაწვილს არ ენახოს და იმან იმისი სახელი არ იცოდეს. ამნაირათ ჭკუის ზრდასთან ენაც იზრდება. როდესაც ყმაწვილი კარგა დიდი შეიქნება და შინ ველარ დამაგრდება, გამოვა გარეთ, გაიცნობს თავის სამშობლო ქვეყნის ბუნებას, ის ხედავს მთას, ბარს, მდინარეს, ღელეს, ხეს, ტყეს, მინდორს ერთის სიტყვით ყოვლისფერს, რაც იმას გარშემო აკრავს. ამ გვარად ბუნების გაცნობა, რასაკვირველია, ამდიდრებს ყმაწვილის ჭკუას და ამის შესაფერად ენაც გაუმდიდრდება; იმის მხარეში იმისთანა საგანი ძვირად იქნება, რომ სახელი არ დაარქვას და რამე ყველასაგან გამოკვლეული თვისება ამ საგნისა არ შეიტყოს. ამ მაგალითიდამ ცხადათ სჩანს, რომ თან-და-თან ჭკუის გახსნას, ენის გახსნა და ვამდიდრება მოსდევს. ერთის სიტყვით ჭკუა არის იმისთანა ნიჭი, რომელიც ენაში გამომეტყველებს. როდესაც ყმაწვილი აკვანში იწვა, იმისი ჭკუა ჯერ სრულებით შეუგნებელი იყო, იმისდა გვარად ენასაც მობრუნება და სიტყვის გამოთქმა არ შეეძლო. ენა რას გამოთქვამდა, რომ ჭკუაში და გონებაში არა ჭყაოდა რა? როცა არ იყო ჭკუა გახსნილი, არც ენას ჰქონდა თავისი სიტყვიერება. როცა ჭკუა თან-და-თან იწყებს გონებაში ჩახვდომას, მაშინ ენაც თან-და-თან იწყებს ლაპარაკს და ახალის სიტყვის შეძენას.

ახლა ხალხზედ გადვიდეთ. როგორც ერთი კაცი, ხალხიც აგრეთია. კაცსა აქვს თავის სიყმაწვილე და სივაჟკაცე; აგრეთვე ხალხსაც თავისი ყმაწვილობის და ვაჟკაცობის დროება აქვს. როდესაც საზოგადოებას, ანუ ხალხს არავითარი მეცნიერება და განათლება არა აქვს, იმან მხოლოდ იმდენი ნივთის სახელი და თვისება იცის, რამდენსაც ჰხედავს და რამდენიც გამოცდილებით მოუპოვებია. რაც აზრი და გონება აქვს იმის მეტს თავის ენით ეს ხალხი ვერ გამოთქვამს. როცა ის სწავლით მდიდრდება, ჭკუა ეზრდება, ახალი აზრები თავში ებადებიან, მაშინ ამ ახალის აზრების გამოსათქმელად ახალს სიტყვებს მოიგონებს ხოლმე. ეს სიტყვები იმის ენას შეეთვისება და ამ ხალხის საკუთრებათ გახდებიან. ლინგვისტებს (საენო მეცნიერებს) და სხვა სწავლულებს გარდა, მეტი ვერავინ გამოიცნობს, ეს სიტყვები ადგილობრივ მოგონილია, თუ სხვა ენიდამ გადმოღებულია.

რადგანაც ყოველს ხალხს ჰსურს თავის ჭკუის განათლება და მეცნიერების შეძენა, ჩვენც აგრეთვე უნდა ვეცადოთ სწავლის გადმონერგვას ჩვენს მხარეში. უსწავლელად ხალხი პირუტყვია; მეცნიე-

რების საშუალებით კი ბუნების ძალასაც თავის სასარგებლოდ მოიხმარს. ამ კანონის თანახმად ახალის აზრის და მეცნიერების წარმოსათქმელად „დროებას“ უეჭველად ახალი სიტყვები უნდა ეხმარა ხოლმე. კაცმა არ უნდა თქვას, ახალი აზრი ახალის სიტყვებით რათ წარმოთქვესო. ამას რა კითხვა უნდა, რომ თუ კი აზრი ახალია, იმას ახალი სიტყვებიც დასჭირდება. მაშ ახალის აზრის შემოსატანად ახალის სიტყვების მოუხმარებლობა შეუძლებელია. ეს აქამდისაც ასე ყოფილა. ვინ იფიქრებს თუ სიტყვები: კანონი, სვინიდისი, პარასკევი, პატრონი, ოჯახი, ბარათი, კალამი, ფული, საპონი და მრავალი სხვა, ჩვენი სიტყვების არ იყოს; მაგრამ არა. ეს სიტყვები სულ უცხო ენებიდამ არიან შემოტანილნი. აბა ახლა წარჩინებულს ძველს მწერალს რუსთველს ვკითხოთ, თუ რამდენი არაბული და ბერძნული სიტყვები უხმარია თავის თხზულებაში. ვეფხვის-ტყაოსანი გადაშალეთ, მკითხველო, და მაშინ შეიტყობ. უახალსიტყვებოთ ჩვენი მწერლობა ვერ გაიხარებს, ვერ გავრცელდება, როგორც უიმისოთ განათლებულის ხალხების ლიტერატურა ვერ გავრცელებულა. მაგრამ ესეც უნდა ვთქვათ, რომ ახალი სიტყვები ახსნილი უნდა იყოს. ვგონებ ამ აზრითაც უფრო ჯავრობდა საზოგადოება, როცა ამას იტყოდა ხოლმე:—ესა და ეს სიტყვები რა ეშმაკური რამ გამოუგონიათო, რომელსაც ვერც თავი და ვერც ბოლო ვერ გაუგეთო. ამ შემთხვევაში რამდენათაც „დროება“ იყო დამნაშავე, იმდენათ თვით გარემოებაც. თითქმის არც ერთი ახალი სიტყვა, „დროებას“ აუხსნელი არ დაუტოვებია, მაგრამ ერთის ახსნით მკითხველი უცხო სიტყვას ვერ გაიბეჯითებს, რადგანაც იმისი მნიშვნელობა მალე დაავიწყდება. ამისთვის ყველას ის ემჯობინება, რომ ახალი სიტყვები, რომლებიც მთელის წლის განმავლობაში ხმარებულა, „დროებამ“ შეკრიბოს და მოკლე ლექსიკონი გამოსცეს. თვით „დროების“ მოვალეობაც ამას მოითხოვს და საზოგადოების ჩივილიც დაწყნარდება.

ამის გამო მკითხველების ჯავრობა თუმცა ბევრში საფუძვლიანია ამ შემთხვევაში, მაგრამ „დროებას“ მაინც დიდათ არ შეაწუხებდა, რადგანაც ამისთანა უკმაყოფილება დროსა და დროს გავლით თან-და-თან შემცირდებოდა და კიდეც მოისპობოდა. მაგრამ „დროებისთვის“ საწყინარი მოსასმენი ის იყო, როცა შეიტყო, რომ მკითხველს სწყინსო იმისი მკაცრი ლაპარაკი.—„ჯერ რომ არც კი გამოსულა ასპარეზზედ და ასეთ უკმეხ სიტყვებს ისვრისო, მაშინ რაღა ხეირს დაგვაყრის, როცა ის უფრო ღონეს და ძალას მოიცემსო. მკითხველი ამბობდა, ვინ მისცაო იმას იმდენი სიმართლე, რომ ჩვენ შინა-ცხოვრებას

შეეხოს და შინაური ჭუჭყი გარეთ გამოიტანოსო?.. ამას თუ არ მტერი, კაცს მეგობარი როგორ უზამსო.

,,დროებას'' განა ის კი არა სწყენია, რომ ზრახავდნენ, უფრო ის ეწყინა, რომ მკითხველი ასე მრუდეთ ისმენდა მის ლაპარაკს. ეს ერთ შემთხვევას მომაგონებს: ორი მეგობარი მიდიოდა ერთ თვალუწდომელს მინდორზედ. პაპარაქა სიცხის არმური იყო გამდგარი იმ არემარეზედ. მგზავრები სიცხით სულს ვერ იბამდნენ. ისინი ასეთ ხმელსა და უნაყოფო მხარეს მოხვდნენ, რომ ხის ნატამალი არ მოიძიოდა. მიწა მეტის-მეტის გოლვისგან თითო მტკაველზედ იყო დამსქდარი. მეგობრები მეტის წყურვილით პირს აწლაკუნებდნენ. ამისთანა პაპარაქებაში მგზავრობა კიდევ უფრო უმატებდა იმათ წვალებას. ენა გაუშრათ, ყელი გაუხმათ ბედკრულს მეგობრებს.—ნეტავ როდის მოვრჩებით ამ ღვთის პირისაგან შეჩვენებულს პიპალო მინდორსა—ჰკითხა ერთმა მეორეს.—უფალმა უკეთ უწყის—წამოიძახა მეორემ და სასოწარკვეთილების ფერმა გადაჰკრა. ამ დროს შორს დაინახეს ცისფერი მაღლობი.—ღმერთო, ვინ ღირს შენს წყალობას,—სიხარულით დაიძახეს ორივე მეგობრებმა.—იქ ალბათ ჩრდილიც იქნება და წყაროც მოიძებნება. არაქათ წართმეულებმა მიაწურეს უკანასკნელი ღონე და მივიდნენ იმ გორის ძირსა. წარმოიდგინე, მკითხველო, რა რიგის სიამოვნებით დაეხტნობოდნენ... იმ გორიდამ მშვენიერი წყარო გამოჩუხჩუხებდა. წყაროს ჩრდილავდა ძეწნის ხეები, და იქიდამ მონადენი ტკბილი სიო არაქათ წართმეულს მეგობრებს უგრილებდა და ღონეს უბრუნებდა. ამ ტკბილს სიგრილეში და წყაროს ჩუხჩუხში ერთს იმათაგანს ღრმად მიეძინა. ამ დროს წყაროდგან გველი ამოძვრა და მიძინებულს მგზავრს კბენა დაუპირა. იმ წამს მეორემ კარგი ქისტი უთავაზა დაძინებულს მეგობარს, აქეთ გადმოაგდო და გველს კი თავი გაუჭეჭყა.—ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და შენი მეგობრობაცაო—უთხრა ძილ დაფთხობილმა,—შენ მეგობარი კი არა მოსისხლე მტერი ყოფილხარ, რომელსაც ჩემი ტანჯვა და ცემა გაუვარებია. წადი თვალიდან დამეკარგეო. იმ უგუნურს იმდენი სინათლე თვალში კი აღარ დაურჩა, რომ იქვე თავ გატეხილი გველი დაენახა. სწორეთ ამ გვარათ მოიქცა ზოგი მკითხველი; იმან დაიწყო ჯავრობა, ,,დროებამ'' ისე ენა რად დაიგრძელა, რომ ჩვენი ნაგავის კარში გამოტანა დააპირაო. ამ შემთხვევაში ,,დროება'' ძლიერ სწუხს, მაგრამ იმას კი არა, რომ ბოდიში მოიხადოს მკითხველის წინ; არა, ის იმასა სწუხს, რომ მართლაც ვერ მოახერხა ჩვენი შინა-ცხოვრების შეუფერებლობის გამოხატვა, იმას იმდენი ღონე არა ჰქონდა, რომ ჩვენი ცხოვრების უმგზავსოება ნათლად წარმოედგინა მკითხველის თვალწინ.

ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ ყველას თავს მოგვაჭავებდა; მაგრამ კაი, რომ ამისთვის არც გარემოება გვაძლევდა ¡ნებას და არც შესაფერი ღონე მოგვდევდა!..

კაცი, მკითხველო, ასეთი არსებაა, რომ მინამ რაიმე საზოგადოს სენი კარგათ არ დააზარალებს, იმის მოშორებას არ ფიქრობს. როგორც მოგეხსენება, მკითხველო, იმერეთში მინდვრად და ბაღებში ბევრი ტყემალი, ალუჩა და ქლიავი იცის. გაზაფხულზედ, როცა ეს ხეები ნაყოფს გამოიღებენ ხოლმე, უნდა გაყურებინათ, როგორ ფუტკრებსავით მიესევიან ხოლმე იქაური ყმაწვილები ამ ხეების უმწიფარს ნაყოფსა. ისინი დედ-მამას წინ იტენებიან ხოლმე ამ მავნებელი ნაყოფითა, მაგრამ უფროსებს აზრშიაც როგორ მოუათ ამისი დაშლა. შემდეგ, როცა ყმაწვილს მუცელი გრიალს დაუწყებს, სისხლს ასაქმებს და ყმაწვილი სასიკვდილოთ თავს გადადებს, დედ-მამა თავში ხელს მხოლოდ მაშინ შემოიკრავს და ეუბნება თავის თავს:—ეს რა უბედური დღე დამადგა, რა ღმერთი გამიწყრა, რომ ყმაწვილს კვახე ნაყოფის ჭამა არ ავუკრძალეო. კიდეც ეგ არის, ჩემო თვალის სინათლე, რომ გაფრთხილება და წინათ მოსაზვრა გკლებია. ჩვენში ანდაზათ არის დარჩენილი: ურემი რომ კაცს წაექცევა, გზასაც მაშინ მოსძებნისო. საქმე ის არის, მინამ ურემი გადაბრუნდებოდეს, კარგი გზა მონახო, თორემ რაკი ურემი დაგემტვრევა, შოსსეც რომ გააგო, მაინც დამტვრეულს ურემს ვერას უშველი. რადგანაც ყოველი საზოგადოება თითო პირებისაგან შესდგება, ამისთვის რაც ნაკლულევანება ერთს გვამს სჭირს, იგივე ნაკლულევანება მთელის ხალხის თვისებაა. მაგრამ ამ შემთხვევაში ხალხს კიდევ უარესი თვისება სჭირს. აი, თუნდა წარმოვიდგინოთ ერთი რომელიმე სოფელი. ვთქვათ ამ სოფელს მგელი შემოეჩვია და ერთ მოსახლეს ხარი წამოუქცია. საწყალი ხარის პატრონი ყველას წუწუნით შეჰჩივის, მგელმა ხარ შემიჭამაო. ის კი არა თუ მაშინვე მთელი სოფელი წავიდეს სანადროთ და ნადირი მოიცილონ. არა, ყველა ფეხმოკეცილი ზის და საწყალს ხარის პატრონს სასაცილოთ იგდებს:—ახია თუ შეუჭამია, რატომ კარგათ არ გაუფრთხილდა, რატომ ყოველ ღამ ბაკეში არ ებაო. უზრუნველად გაუშვია მინდორში, რასაკვირველია, ნადირი შეუჭამდაო. კარგი, ეს არაფერი; მაგრამ საქმე ამით არ მიწყნარდება; ვნახოთ მეორე დღეს მეორე მოსახლეს ცხვარი დააკლდა; მერე მესამე მოსახლეს მგელმა ღორი მოსტაცა. ამრიგათ მთელს სოფელს თითო-ოროლა საქონელი მოაკლდათ. ახლა კი ყველას ზურგის კანი ასტკივდა. ყველა იძახის, არიქა, მგელი თავიდამ მოვიცილოთ, თორემ პირუტყვისაგან გაგვცალა, მაგრამ არც ამით არა გაკეთდა რა.

თუმცა ძლიერ ყვირიან, არც ერთი კარში ფეხის გამოდგმას კი არა ფიქრობს. თუნდ რომ კიდეც წავიდნენ და ნადირი მოკლან, მაინც ეს ზარალს ვერას უშველის. ამრიგათ, მკითხველო, უთანხმოებისა და უზრუნველობის გამო მთელმა სოფელმა სულ ტყუილათ უბრალოთ იზარალა. კიდეც ეგ არის ხალხის ნაკლულევანება, რომ იქ თანხმობა და ერთი პირი არ არის. ამ უთანხმოების გამო ყველა ზარალშია. ერთს რომ სახლი ეწოდეს, მეორე მოხმარების მაგივრად, შეჩერებია და ჰხარობს: „ოჰ, რა წიაკოკონია გაჩნდაო“! იმას კი არ ფიქრობს, რომ თუ ეს ცეცხლი გაძლიერდა იმის სახლსაც შემოედება.

ხალხში ბევრნაირი წრის კაცებია: ერთია მდიდარი, მეორეც ღარიბი, მესამეს ლუკმა პურიც არა აქვს. ამას გარდა ხასიათით და თვისებით რომ განირჩევიან, იმისთანაებსაც მრავალს შეხვდებით; ხალხში იპოვნით ჭკუიანსაც და უჭკუოსაც, გონიერსაც და გიჟსაც, მოცეტებულსაც და დაზანტებულსაც, დარდიანსაც და უდარდელსაც, ქეიფიანსაც და მწუხარესაც. ერთი რომ იძახის,—არიქა, ძმებო, ხმელა პური მაინც მომაწოდეთ, თორემ ლამის მეც და ჩემი ცოლ-შვილიც შიმშილით დავიხოცენითო; მეორე კი ასე ეუბნება:—რამ გადაგრია, სადაური შიმშილი, რას გაუგიჟებიხარო, მგონი ამისთანა მაძღრობა თავის დღეშიაც არ ყოფილაო; პური კი არა, ჩიტის რძეც რომ დამჭირდეს, თქმის მეტი არა მინდა რაო. მაძღარი მშიერს არ განიკითხავს და მშიერი მაძღარს ვერ უგრძრობს. ამისთანა გარემოებაში უნებურად მოგაგონდება ჩვენებური ანდაზა: „მაძღარს მშიერიც მაძღარი ჰგონია“. ერთი რომ წინ გაიწევს, მეორე კალთაში აფრინდება: დაჯე, მამაგიცხონდება, თავხედი ნუ ხარო. აბა სულ იმ წინ რომ მიისწრაფი, ვინ იცის რა დაგემართებაო. აქ კი ჩვენ კერას ძირში ყველანი თბილათ და უზრუნველად ვცხოვრებთო: „რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ დახევ ფარფაშებსა“. ვითომც როგორც შენ მამადა პაპას კომლიან სახლში თვალები უსრესია, შენც ეგრე იცხოვრეო. ის კი არა, თუ უწინ შალის ჩოხითაც კარგათ გამოხვიდოდი გარეთ, ახლა კი შალის ჩოხა თუ ჩაიცვი, მაშინვე „ბიჩოს“ დაგიძახებენ და ღმერთმა იცის ან კი რა შეგემთხვევა! ყველას უნდა მაუდი ჩაიცვას და წმინდათ იცხოვროს; მაგრამ ამისთანა ცხოვრებას ფულიც უფრო ბევრი ნდომებია. ფულს შრომა და დიდი ჯაფა ყვარებია; ჩვენ კი ასე ვიძახით: „აჰ, თუ ღმერთი გწამს, შრომის და ჯაფის სახელს ნუ გაგვაგონებ. ჩვენ ეგ სულიერი ძველიდამ არ გვყვარებია და არც ახლა გვიყვარსო. ჩვენ უფრო მოსვენებულად ცხოვრებას ვართ შეჩვეულიო“. მაშ თუ აგრეა მეც, ერთი მოვაჭრესი არ იყოს, მოგახსენებთ: უშრომოთ კნიაზის ჯიბეც ფხინკ!.. გროშიც არ მოგვეპოება! ხარჯვას

კი ღვთის მადლით ძალიან შეჩვეულნი ვართ და შრომა სულ არ გვიყვარს; ამის გამო არც ფული გვაქვს. მაშ საქმე სესხებაზედ მიადგა. ამაში, რასაკვირველია, მარჯვეთა ვართ, მაგრამ ვალს გადახდა უნდა, ჩვენ კი ფული არ გვაბადია. ამის გამო ვალს თანდათან ემატება და ადგილ-მამული ცოტ-ცოტობიდ მიდის ჩვენის ხელიდგან. ბოლოს, როგორც მგონია, ამით იმდენ ხედ მივატანთ, რომ ერთს ფილოსოფოსივით დაგვემართება, რომელსაც ტანსაცმლის მეტი არა ებადა რა და საცა მივიდოდა ამას იძახოდა: რაც მაქვს თან დამაქვსო. (Omnia mea mecum porto) ენამ მიყივლა! ღმერთი არ გაუწყრეს მართლა იმ ერთ ფილოსოფოსსავით არ დაგვემართოს,—მარტო ტანსაცმლის ამარა არ დავრჩეთ! მაგრამ ან კი რატომ არ უნდა დავრჩეთ?. სადაც არ ჩაიხედავ, ყოველგან ამოიკითხავ, რომ ხან ამ ქართველს მებატონეს უყიდიან ადგილ-მამულს და ხან იმ ქართველსა. ფცქვნიან საწყლებს, როგორც ქათმებსა. მაგრამ ამ ლაპარაკში ჩემ წინა აზრს გადავცილდი. ამას ვამბობდი: საზოგადოებაში ერთი რომ ერთი მხრით მიდის, მეორე მეორე მხრივ ეზიდება:—მანდეთ სად მიდიხარ, ხევში გადავარდები, აქეთ წამო, კარგს გატკეცილს გზას გიჩვენებო; მაგრამ თვითონ კი სრულებით არ იცის იმისგან ნაჩვენები გზა გატკეცილია, თუ ბუჩქებიანი. ამისთანა მიხლა-მოხლაში ბოლოს იმდენზედ მივა საქმე, რომ საზოგადოებაში ორს კაცს ვერ ნახავ, რომ ერთი აზრი ჰქონდეთ და ერთ გზაზედ მიდიოდნენ. ყველას თავის განზრახვა და გაცალკევებული წადილი აქვს. ყველას თავის მოთხოვნილების წრე შემოუფარგლავს, კედელი შემოუვლია და სხვისი დარდი აღარ აწუხებს. იმის კედელს გარეთ ქვეყანაც რომ დაიქცეს, ხმას არ ამოიღებს, კარშიაც არ გამოიხედავს. ამ დროს რომ რამე საზოგადო შემავიწროვებელი გაჭირვება მოხდეს, ვთქვათ ნიაღვარი, ცეცხლი და სხვა სენი, ამიავინ ხელსაც არ გაანძრევს. ყველას თავის კერას ძირს ფეხი მოუკეცია და სხვის გაჭირვებას, ყვირილს ყურსაც არ უგდებს. იმას ჰგონია, ის სენი ამით გათავდება და ჩემამდინ ვერ მოატანსო და, რომ კიდეც მოატანოსო, მაგარ კედელს მაინც ვერ შემომინგრევსო. მაგრამ სამღვთო წერილში სწერია: „როგორითა საწყაულითა მიუწყოთ, აგრეთითა საწყაულითა მოგეწყოსთო“. იმისი შემოვლებული კედელი საზოგადო სენს ვერ დაიმაგრებს. კედელი გასტყდება და სენი სხვის გაჭირვების უგრძნობელს კისერში ხელს წაავლებს და გაგუდავს. ის დაიწყებს ძახილს: „მიშველეთ, მიშველეთ!“ მაგრამ როგორი საწყაულით სხვას მიაგო, იმისთანავეთი თვითონ იმას შეეგება. ამგვარი კაცის დაღუპვა გონიერის კაცისთვის არც კია შესაბრალისი. ახლა ჩვენ უნდა ვიკითხოთ: ამნაირად დაწყობილს ხალხში კაცმა რა უნდა

ჰქნას?.. ძველად იცოდნენ საყვირის ხმარება. ყოველს შინა და გარეგანს გაჭირვების დროს აძახებდნენ საყვირსა, მინამ ყველას ყურს არ გაუყრუვებდნენ, რომ თხასავით გაბნეული მოძმეები შეეკრიბათ და ერთად მოეფიქრებინათ ამ გაჭირვების თავიდგან მოშორება. საყვირს ახლა აღარ ხმარობენ. იმის მაგივრად ჩვენ დროშია შამოღებული გაზეთი და ჟურნალები. იმათ უნდა იმდენი ილაპარაკონ და იყბედონ, რომ საზოგადოებას კეთილი განზრახვა აღუძრან, კარგი გრძნობა გაუღვიძონ და ცხოვრებაში საუკეთესო მიმართულება მისცენ. ამას გარდა იმათ უნდა ნათლად დაგვანახონ ჩვენი უმგზავსოება, იქნება ამით მაინც ჩაგვაფიქრონ და მოგვააზრებინონ რამე, თორემ ჩვენ თვითონ ვერაოდეს ვერ ვხედავთ ჩვენს ნაკლულევანებას და ჩვენი თავი ყველას შეუმცდარი გვგონია. მაგრამ, როდესაც კაცი ჩაფიქრების მაგივრად ჯავრობას დაიწყებს, იტყვის,—ასე რათ გვლანძღავენ, რომ ჩვენ ნაკლულევანებას თვალით გვიჩვენებენო,—ამისთანა კაცი შენ როგორ მოგწონს, მკითხველო!.. ამის ასახსნელად მაგალითს ვიტყვი. წარმოვიდგინოთ ყმაწვილი, რომელსაც გულზედ წვინტლი აქვს. მეორე ყმაწვილი ეუბნება: „აი, გულზე წვინტლი გაქვს, მოიშორეო“. იმან რომ წვინტლის მოშორების მაგიერად თავის ამხანაგს ჯავრობა დაუწყოს, როგორ თუ შენ მაგისი თქმა გაბედე, მე კი არა წვინტლი თუ კარგია, შენ გქონდესო,—აბა ამისთანა ყმაწვილზედ რაღას იფიქრებ მკითხველო?.. სწორეთ უგუნური უნდა იყოს, თორემ ჭკუიანი მაგისთანა საქმეს არ იზამს. ახლა ვთქვათ, ის ყმაწვილი უფროსთანაც წავიდა საჩივლელათ, უთხრა, ამა-და-ამ ყმაწვილმა გამლანძღაო და ჩემს თავს ალანძღვინებთო. ამისთანა ყმაწვილზედ რაღას იფიქრებთ, მკითხველო?.. ამისი განსჯა თქვენთვის მომინდვია. ჩვენ მეტს არას ვიტყვით, მხოლოდ ამას კი მოგახსენებთ, რომ წარსულს წელს ჩვენს საზოგადოებაშიაც ამისთან შემთხვევა მოხდა...

კარგი უცუდოთ შეუძლებელია. ამისთვის საზოგადოებაშიც თუ იმ ყმაწვილებისთანა პირები გამოჩნდნენ, იმათ არ უნდა ეწყინოთ საზოგადო ნაკლულევანებაზედ ლაპარაკი. ამ შემთხვევაში ჩვენი სურვილიც მხოლოდ ის არის, რომ ცუდი ხალხში მოისპოს და კარგს მიეცეს წარმატება. ამით ვათავებთ წარსულის წლის ანგარიშს. რაც უნდა უკმაყოფილოდ ვიყოთ წარსულის წლისა, ის მაინც ჩვენთვის ნეტარ სახსენებლად უნდა დარჩეს, ამიტომ რომ იმან ერთი საზოგადო მოლაპარაკე შეგვძინა. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ „დროებას“ ბევრი ნაკლულევანება აქვს; მაგრამ სასიხარულო ეს არის, რომ „დროების“ გამოსვლით საშშობლო ენაზედ საზოგადოთ ლაპარაკი ნება მოგვეცა.

II

ესეც ახალი წელი! ყოველს ახალ წლის დამდეგს ყველანი ერთი ერთმანეთს სიხარულით ვულოცავთ ხოლმე: „ღმერთმა მრავალს ახალწელიწადს დაგასწროთ“; მაგრამ თუ ამ სიტყვებს კარგათ დავაკვირდით, ეს მოლოცვა დიდათ აღარ გვახარებს. ყოველი ახალწელიწადი უმატებს ჩვენს ხნიერებას. ახალწლის დადგომით ჩვენი სიცოცხლე ერთს მოკლე ნაბიჯს საფლავისკენ გადადგამს ხოლმე. ერთმა რომაელმა პოეტმა სთქვა: „რაც გუშინ ვყოფილვართ, დღეს ის აღარა ვართო“. დროსა და დროს გამოვლით ჩვენი ტანი თანდათან იცვლება. ყოველს წამს ათასი ნაწილი ჩვენი ტანისა კვდება, სხეულისთვის აღარ ვარგა, ტანს შორდება და სისხლის ნაკადულს გარეთ გამოაქვს. ამათ მაგიერ ათასს ახალს ნაწილს სისხლი ისევ ტანს უბრუნებს და დასტოვებს იმავე ადგილებზედ, რომლებსაც ძველი ნაწილები მოშორებიან. ამსახით ყოველს საათს და ყოველს წამს არის ტანს შიგნით გაუსხლეტელი მუშაობა: ახალი მოდის, ძველი კვდება და ტანს შორდება.

ამ მუდამ ცვლილებაში ჩვენი შინა-აგებულებაც ცვდება იმავე გვარად, როგორც ყოველი ნივთი ხდება მუდამ ხმარებაში. სიცოცხლის ბორბალი თან-და-თან აკლებს ბრუნვას და ბოლოს კიდეც გაჩერდება. ტანი მეტის-მეტის გაცვეთის გამო ვეღარ იმუშავებს და საუკუნოდ დადგება. ამას სიკვდილს ვეძახით. ამ აზრით ყოველი ახალი წელიწადი სამარეს გვიახლოვებს.

მაშ ახალწლის დადგომა სასიხარულო კი არა სატირალი უნდა იყოს.—ზოგისთვის დიახ სატირალია, ზოგისთვის კი სასიხარულო. წარმოვიდგინოთ, რომ ტანი მილიონ პატარა ნაწილებისგან არის შემდგარი. კაცის ტანში ყოველს ნაწილს თავისი დანიშნილება აქვს. ის რამოდენსამე ხანს უნდა მსახურებდეს აგებულებას. იმან უნდა იშრომოს რამდენიც რიგია, განწესებულს ვადამდის უნდა სინიდისიანათ აასრულოს თავისი დანიშნულება. ამისთანა შრომით ის მთელის ტანის სიცოცხლეს ხელს წარუმართავს. როდესაც ის თავის ცხოვრების წრეს სრულად გაივლის, კვდება და გარეთ გამოდის. თუ რომ ყველა ნაწილები ამ ერთ ნაწილსავით რიგიანათ ასრულებენ თავის დანიშნულებას, მაშინ თვითონ ტანიც სიმრთელით არის და სტკბება უსნეულო ცხოვრებითა.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ კაცმა მცირედი რამ საწამლავი მიიღო. რამდენსამე ხანს შემდეგ ამ საწამლავის ნაწილები მიუცილებლად კუჭიდგან სისხლში გადავლენ; სისხლის ნაკადული კი მკვდარი

ნაწილების მაგივრად დასტოვებს ტანში ამ საწამლავის ნაწილებს. ყოველი ამგვარი ნაწილი ტანისთვის მავნებელია. ის ტანს იმით ავნებს, რომ სხვა მრთელს ნაწილებს უდროოთ მოჰკლავს და იმათს დანიშნულებას აღარ აასრულებინებს. ამგვარად საწამლავის ნაწილები სხეულში იარას გააჩენენ.

ერთი ნაწილი ასს მარგებელს ნაწილს მოწამლავს და გადასცემს იმათ თავისს მავნებელ თვისებას, რომ მოწამლულმა ნაწილებმა კიდევ სხვანი გააფუჭონ. იარა სხეულში თანდათან ვრცელდება. მთელს ტანს მოივლის და ბოლოს კიდეც მოჰკლავს და დაშლის.

რა დანიშნულებაც ერთ ნაწილს ტანში აქვს, იგივე დანიშნულება ერთ კაცს ხალხში აქვს და (უფრო ვრცლად რომ ვსთქვათ) კაცობრიობაში აქვს. როდესაც ყოველი კაცი ნაყოფიერად შრომობს თავის სიცოცხლეში, მაშინ მთელი ხალხიც წარმატებით ცხოვრობს. კაცი რამდენათაც ბევრს შრომობს, იმდენათ უფრო ბევრს ნაყოფს იძენს. ჩვენ იმას შრომას არ დავარქმევთ, რომ ვთქვათ, კაცმა მთელს თავის სიცოცხლეში წერაქვი ურახუნოს, საიდამაც ნაყოფი არ გამოვა. უფრო გამორკვევით ვიტყვით: კაცი რამდენათაც უფრო ბევრს მიწას შეიმუშავებს, იმდენათ ბევრს მოსავალსაც მოჰკრეფს. შესაძლებელია კაცს გოლვიანი წელიწადი დაუდგეს, მაგრამ ესეც იმის შრომაზედ არის დამოკიდებული. იმას შეუძლიან წყლის მისაშვები ჩარხები ააბრუნოს და თავის სახნავ-სათესსა სისველე არ მოაკლოს. თანდათან შრომის მომატებით ნაწარმოებიც მრავლდება, მხოლოთ იმ შემთხვევაში, როცა კარგი მშრომელი, კარგი შემნახავიც არის.

თუ მშრომელი კარგი შემნახავი არ არის, იმისი ჯაფა სრულებით უნაყოფოთ ჩაივლის. ვთქვათ ამ წელიწადს იმან ბევრი ნაწარმოები შეკრიბა; მაგრამ წლის გასულს რომ რაც მთელს წელში იშოვნა ერთს დღეს გაფანტოს,—ამისთანა მოქმედებითაც სრულებით არა გამოდნება რა. ამისთანა მოქმედება უფრო სავნებიც არის. ეს იმას ემსგავსება, რომ მთელი წელიწადი კაცმა ჯაფაში და წვალებაში გაატაროს და მეორე წელს კი კუჭი ისევ ცარიელი გაჰყვეს. მიუცილებლად ამგვარს კაცს იმ მეორე წელში სიკვდილი ეწვევა, თუ ვინმემ საზრდო პური არ მისცა. ამის გამო ყოველი კაცის დანიშნულება არის შრომა და შრომის ნაყოფის კარგი შენახვა. როგორც ზემოთ ვთქვით, ბევრი შრომა ბევრს საზრდოსაც აძლევს და კარგი შენახვა ერთს წაწილს მონაგებისას გადაანარჩუნებს.

კაცმა რომ წელიწადში სამასი მანეთი იშოვნოს, წლის გასულს სამჯერ ათი მანეთი მაინც უნდა გადაარჩინოს.

ვინც თავისი ნაწარმოების სრული პატრონია, მეათედის გადანარჩუნებაც ძალიან ცოტაა; მაგრამ ასე ცოტ-ცოტა მოგროვითაც და რიგიანი შრომითაც კი შეიძლება, რომ ბოლოს ფული გაჩნდეს. თუ კაცს ფული აქვს, კარგს ხელსაწყოსაც მოიპოებს. რასაც ერთი კევრი ერთს თვეს გალეწავს, იმას მაშინის სალეწავი ერთს დღეს არ მოუნდება.

ამისთანა ხელსაწყოს შეძენით კაცის ნაწარმოებიც ერთი ათად იქცევა. ამის გამო კაციც წინანდელზედ ათჯერ უფრო მდიდარი ჰხდება. როდესაც ამგვარათ ყოველი კაცი წარმატებაშია, მაშინ მთელი ხალხიც უფრო მდიდარია, მიტომ რომ საზოგადო საჭიროებისთვის ყოველი კაცი უფრო ბევრს ფულს გამოიღებს. სიმდიდრეს ჭკუა-გონების გახსნა და სწავლის შემატება მოსდევს. ამას რაღა კითხვა უნდა, რომ ვისაც ბევრი ფული აქვს, ის უფრო ბევრს დახარჯავს თავის შვილების გასანათლებლად, ის საუკეთესო მასწავლებლებს უშოვნის თავის შვილებსა.

იქნება ბევრი მკითხველი ამაში წინააღმდეგი გახდეს: სთქვას, რომ ჩვენში მდიდარი კაცის შვილები უფრო ვერ გამოდიანო კარგები. მაგრამ ეს ტყუილია.

მდიდარი კაცი იმას არა ჰქვიან, რომელიც თავის ნაწარმოებს არ ამრავლებს. ამისთანა გვამებს დღეს რომ აქვთ, ხვალ იქნება ულუკმა პუროთაც დარჩნენ. ამისთანა ოჯახის ვაჟს თვითონ თავისი სახლობა ახდენს. იმის სახლობაში ყველანი უსაქმოთ ზიან; ყველანი ლხინში და შექცევაში ატარებენ თავის ცხოვრებას. ამის შემხედავი ყმაწვილიც თან-და-თან მიეჩვევა უსაქმობას, გაირთვება და სწავლაზედ დიდს ყურადღებას არ მიაქცევს.—უსწავლელათაც ბევრი მექნებაო, ყმაწვილი ჰფიქრობს, და ცხოვრებაშიაც გარეწარი იქნება. რაცა აქვს, მიფლანგ-მოფლანგავს, ყოვლის ფერი ვალში ეყიდება და და ბოლოს იმისთანა ღარიბი არავინ იქნება. ევროპაში ანგლიასთანა მდიდარი ქვეყანა არ არის. იმისთანა განათლებული და წარმატებული ცხოვრებაც არავის აქვს. იმ ქვეყანაში თითო კაცი რომ აიღოთ, იმათთანა გამრჯელი და თავდარიგის დამჭერი სხვაგან იშვიათად მოიძებნება. იქ თითოეული კაცი დიდი მშრომელი და მომგებია; ამის გამო მთელი ხალხიც ძალიან მდიდარი და განათლებულია. აქედამ სჩანს, რომ კაცს თავის კეთილ მდგომარეობისთვის და საზოგადოთ ხალხის წარმატებისთვის ეს ორი თვისება უნდა სჭირდეს: გულდადგრომილი შრომა და ნაწარმოების კარგი შენახვა. როდესაც იმას ეს ორი თვისება სჭირს, მაშინ ის გამდიდრებასაც ადვილათ შეიძლებს. თუ ყოველი კაცი მდიდარია, მაშინ მთელი ხალხი

საერთო გამონაღებითაც უფრო ბევრს საშუალებას მოაგროვებს, რომ ქვეყნის საჭიროებაც უფრო კარგათ დააკმაყოფილოს.

ამ შემთხვევაში მთელი ხალხიც უკეთესს ცხოვრებაშია. მაშ ხალხის ბედნიერება და უბედურება თითოეულს პირზედ ყოფილა დამოკიდებული. ამაში ეჭვი არ არის.

კაცი, რომელიც სინიდისიანათ ასრულებს თავის დანიშნულებას, ორს დიდს კეთილს საქმეს შვრება. ერთი რომ თვითონ გაუჭირვებლად ცხოვრებს, მეორე რომ ქვეყანას ეწევა, რადგანაც ქვეყნის საჭიროებისთვის მომეტებულს ფულს სწირავს.

ახლა წარმოვიდგინოთ ხალხში იმისთანა გვამი, რომელიც ზემოთ მოხსენებულს დანიშნულებას არ ასრულებს. ამისთანა კაცები ჩვენში ბევრია.

ვთქვათ ერთი კაცი არ შრომობს:—არ ხნავს, არ თესავს, არ ვაჭრობს; არავითარს სასარგებლო მოხელეობას არ ასრულებს და არც საზოგადო სამსახურშია. ვთქვათ ის ზის სახლში; ზამთარ და ზაფხულ თავის გასართობლათ ნადირობს; თუ შემთხვევა მიეცა, არც ლხინსა და არც ჭირს აკლდება. ამისთანა კაცს უნდა ცხოვრება, უნდა პური, ღვინო და ფული. რადგანაც ესეები შრომის ნაყოფია და თვითონ არ შრომობს, ამისათვის იმან როგორმე სხვის ნაშრომით უნდა იცხოვროს. მაშ ეს სხვა გვამი, რამდენიც შეეძლო, იმდენს მონაგებს ველარ მოაგროვებს. იმისი ნაწარმოები იმ ზემოხსენებულს კაცს მიაქვს, რომელიც არ შრომობს. ამ სახით თვითონ მშრომელი თავის ნახევარს ჯაფას ტყუილათ ჰკარგავს. ის ველარ შეიძლებს თავის ცხოვრების გაუმჯობესებას, რადგანაც მონაგებს ხელში ვერ იმაგრებს. ამის გამო ხალხის საჭიროებისათვის ეს პირი ველარ სწირავს იმდენს ფულსა, რამდენიც რიგი იყო. ამ შემთხვევაში საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად ხალხსაც უმცირდება ღონისძიება.

მაშასადამე, კაცი, რომელიც თვითონ არ შრომობს, ორს დიდს ზარალს შვრება. ის აზარალებს იმ კაცს, რომლის მონაგებიც თავის საცხოვრებლად მიაქვს და აგრეთვე ზარალს აძლევს მთელს საზოგადოებას, რადგანაც იმას შემწეპირს ულარიბებს. მაგრამ ეს ორი დიდი ზარალი ამით კიდევ არ თავდება. კაცი, რომელიც მხოლოდ სხვის მონაგებს შეჩერებია, თვითონ ჯაფას არ ეწევა და მარტო სხვისი მონაგები კი იმის ცხოვრებისთვის არ კმარა, ამის გამო თავის თავით ერთს ღარიბს კიდევ უმატებს საზოგადოებას. თვითონ რომ არა აქვს, საზოგადოებას რას მისცემს.

ცხოვრებაში კი ხშირად მოხდება, ვინც არ მუშაობს, ის საზოგადოებას არაფერს აძლევს. ამ სახით ნებივრად მცხოვრები კაცი

ოთხკეცს ზარალს შვრება. ის თავის გაურჯელობით აღარიბებს თავის თავს და იმ კაცს, რომლისგანაც თავს ირჩენს. აგრეთვე ხალხსაც ორკეცს ზარალს აძლევს, რადგანაც იმას ორ ღარიბს კაცს შესძინებს, რომლებიც სიღარიბის გამო საზოგადოებას ცოტას აძლევენ და იმდენს არა, რამდენსაც საზოგადო საჭიროება ითხოვს. ამ შემთხვევაში შრომის მოყვარე კაცი ჰგავს ტანის ნაწილს, რომელიც თავის სასარგებლო შრომით სხეულის სიცოცხლეს ეწევა. რომელი კაციც არა შრომობს, ის იმ მომწამვლელ ნაწილს მიემგზავსება, რომელიც ტანში იარას აჩენს. უსაქმური კაცი იმისთანავე იარას დაჰბადებს ხალხის ცხოვრებაში, როგორც ტანში საწამლავი. რამდენათ უფრო ბევრი მავნებელი ნაწილი შევა კაცის ტანში, იმდენათ უფრო დიდდება შინაგანი იარა და ბოლოს სხეული იმითი კიდეც მოკვდება. აგრეთვე რამდენათ უფრო ბევრი უსაქმური კაცები ხალხში იბადება, იმდენათ შრომის ნაყოფი მცირდება და საჭმელი პური ყველას აღარ ყოფნის. ხალხი თან-და-თან ღარიბდება, იმშევა და დაეცემა...*).

ძველათ აღმოსავლეთში ბევრი განათლებული ხალხი ცხოვრებულა, შემდეგ ამ ხალხების მეტი ნაწილი გაქრა. იქ საცა ძველი ასსირიელი და ძველი ბაბილონელი სეირნობდა, ახლა თურქსა და სპარსელს გაუჭიმავს თავისი სახლ-კარი და ბაბილონის ქალაქის მცირედი ნაქცევი თუ მოგვაგონებს ბრწყინვალე ნაბუქოდონოსორის ოდესმე მეფობას, თორემ იმ არემარეზედ სხვა კი არაფერია. ამ ხალხების გაქრობის მიზეზი ნეტავ რა იყო?—უმთავრესი მიზეზი კუჭის ცარიელობა იყო. მთელი ხალხის ნაწარმოები რამდენისამე პირის ხელში ვარდებოდა. ისინი ხარჯვისა და გარყვნილს ცხოვრების მეტს არას აკეთებდნენ. უმრავლესს ნაწილს კი შიმშილით კუჭი ეწვოდა, ხალხის უმეტესმა ნაწილმა ძუცელი რომ ველარ გაიძღო თან-და-თან მისუსტდა. ამ დროს ველური ხალხი იმათ თავს გადაელაჯა და ისინი თავის სიმძიმის ქვეშ ამოსრიისა.

აქედამ ნათლად სჩანს, რომ შრომაზედ გულ აცრუვებას ყოველთვის ცუდი ბოლო აქვს ხალხის ცხოვრებისთვის; თუ ხალხში ყოველი კაცი კარგი მშრომელია და თავის ნაწარმოების რიგიანი მოხმარებელი, მაშინ, როგორც ცალკე პირების, ისე მთელი საზოგადოების კეთილდღეობაც თანდათან მატულობს.

კაცის სიცოცხლე ძალიან მოკლეა. სულ რომ ბევრი ვთქვათ, კაცი სამოცს ახალწელიწადს თუ გაატარებს ამ სოფლად თითქმის მეტს ველარ. ახლანდელს დროში ოთხმოცისა და ასი წლის კაცი ძალიან ძვირად იპოვება. უფრო ხშირათ ორმოცსა და ორმოცდაათ

*) ცენზორის მიერ არის ამოღებული.

რ ე დ.

წელს არ გადასცილდებიან. ნეტაი ცხოვრების წრე მაინც დიდი იყოს, რომ რამდენიმე ხანი უდარდელად გავატაროთ და დანარჩენი შრომას შევწიროდ. აკვნიდამ ხუთმეტს წლამდის კაცი მოუხმარებელია. ამ დრომდის იმას საქმის კეთება არ შეუძლია.

მაშ რაღა დარჩა? ბევრი, ბევრი ოცდა ათი ან ოცდა ხუთმეტი წელი: ამ ხნის ნახევარიც ძილში გვეკარგება, ბოლოს ხუთმეტი წელია ჩვენი შრომის წრე. ეს ხანი ისე ჩქარა გარბის, რომ იტყვიან, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, სიბერე შემოგესწრებაო. აბა ეს მოკლე ხანიც უდარდელათ ვატაროთ, შრომა როდისღა გავსწიოთ? ცხოვრებაში ხშირად შევხვდებით ხოლმე იმისთანა მოხუცებულს, რომლის სახესაც მწუხარების კვალი ღრმად აჩნია. ვის არ მოუსმენია იმისი მძიმე ამოოხვრა. ამ ოხვრაში ისმის მწუხარე გლოვა დაკარგულს ყმაწვილობაზედ. იმას თვალის წინ ხშირად უდგას წარსული ცხოვრების სურათი და ამ სურათში ის ვერ ჰპოვებს იმისთანა მოქმედებას, რომელსაც შეძლებოდა იმის სახელი კარგის ხსენებით დაემკვიდრებინა ამ ქვეყანაში. იმას ის აწუხებს, რომ გავლილს ცხოვრების სურათში ერთს სარგებლიანს საქმესაც ვერ ჰხედავს. ის სითვალხარბით ნატრულობს თავის სიყმაწვილის დაბრუნებას; მაგრამ ამაოა, იმისი ნატვრა. იმას თავის სიბერის დღენი უსიამოვნოდ წინ მიურბიან. ტკბილი სიბერე მხოლოდ იმისია, რომელსაც თავის ცხოვრებაში გონივრად უშრომია და სიბერის დროს შეჰხარის თავის შრომის ნაყოფსა. პირველისთვის კი ყოველი ახალი წელიწადიც სატირალი და სამწუხაროა, რადგანაც ძველი წელიწადი უნაყოფოთ გაუტარებია და ახალიც მხოლოდ სიცოცხლის დღეებს აკლებს. იმას სასარგებლო შრომის იმედი არა აქვს, ამიტომ იმისი გართული და დაზარმაცებული ცხოვრება კარგს საქმეზედ ხელს ვერ მოაკიდებინებს... ჩვენს წარსულს ცხოვრებაში ძალიან ცოტაა ნაყოფიერი და კეთილი მონაქმედი, განსაკუთრებით ახლანდელს დროს უფრო გვმართებს შრომაში განვითარება.

ბევრი იმისთანა თავმინებებული საქმეა ჩვენს ცხოვრებაში, რომ, თუ იმათ ყურადღება არ მივაქციეთ და ხელი დროზე არ მივყავით, სხვა ცუდი შემთხვევაც რომ არ გვექნას, მარტო ამ საქმეების თავმინებება მოგვითხრის ძირსა. ახლა უნდა გამოვიკითხოთ, ეს რა საქმეებია?.

რაც არის ამას შემდეგ მოგახსენებთ.

მზის დაბნელება

რომელიც მოხდება 22 თებერვალს

მოულოდნელს ზეციურს მოვლინებას ყოველთვის დიდი ზედმოქმედება აქვს ხალხის გამოხატულებაზედ, ყოველთვის აშინებს და აფრთხობს მას. ამ მოვლინებაებს შორის ხალხისათვის ყველაზედ უფრო შემაძრწუნებელი მზის დაბნელება არის. ქვეყნის გამაცხოველებელი, სინათლის და სითბოს მიმცემი მზე, ლაჟვარდოვან ცაზედ ჩვეულებრივი გზით მიმავალი, ანათებს ქვეყანას და უცებ იმას რალაც ჩამოეფარება და დედა-მიწას სიბნელე მოეფინება. მართლა და ამისთანა მოვლინებამ როგორ არ უნდა შეაშინოს გონება-გაუხსნელი კაცი, რომელიც ამას არ მოელოდა? რადგანაც გაუნათლებელმა ხალხმა ამ გვარის ზეციურის მოვლინების მიზეზი არ იცის, ამისთვის ის იმას გამგების რისხვას მიაწერს ხოლმე და შიშით მოელის, რომ იმასთან მოჰყვება ყოველგვარი უბედურება. ვის არ ახსოვს, რა შიშით და ძრწოლით მიეგება ჩვენში ხალხი 1851 წელს მზის დაბნელებას და რა ჭორები დაჰყარეს ამ მოვლინებაზედ. ამ შემთხვევის გამო განსვენებულმა ანტონოვმა დასწერა კომედია „მზის დაბნელება“, რომელშიაც ხელოვნურათ არის გამოყვანილი ხალხის აზრი ამ ზეციურს მოვლინებაზედ და ამასთანავე მოხსენებულია სასაცილო ჭორები, რომელნიც მაშინ გავრცელებულნი იყვნენ. სხვა ჭორებმა ისე ჭორებათ ჩაიარეს, ერთმა კი საწყალ ქათმებს ბოლო მოუღო. დავარდა ხმა, რომ მზის დაბნელებამ ქათმებს კუჭში გველები გაუჩინაო, მიჰყვეს ხელი ამ საცოდავს ფრინველს და იმდენი გაწყვიტეს, რომ იმისი გვარი კინაღამ სულ არ ამოვარდა.

განათლებული კაცისთვის მზის დაბნელება იმისთანა ჩვეულებრივი მოვლინებაა, როგორც მზის ამოსვლა და ჩასვლა; განსხვავება მხოლოთ იმაში მდგომარეობს, რომ ერთი იშვიათათ მოხდება ხოლმე, მეორე კი ყოველს დღეს. ქვეყანაზედ არაფერი არ მოხდება უმიზეზოთ და შემთხვევით; იმას მმართავენ მტკიცე და შეუცვლელი კანონები. როდესაც ამ კანონებს გამოვიკვლევთ, მაშინ ყოველგვარი

მოვლინების ახსნა ადვილი იქნება. მეცნიერების დანიშნულება სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ შეიტყონ და გამოიკვლიონ ეს შეუცვლელი კანონები, რომელნიც თვით ბუნებაში არიან და სხვა-და-სხვა მოვლინებაებს მოახდენენ. ასტრონომიამ ანუ ვარსკვლავთ-მრიცხველობამ კიდეც გამოიკვლია ის კანონი, რომელიც მმართავს ზეციურს მნათობებს და შეიქნა ყველაზე უფრო მტკიცე და შეუცდომელი მეცნიერება. ასტრონომები არა თუ მარტო მოვლინების მიზეზებს გვიხსნიან, არამედ წინასწარ-მეტყველობენ, რომ ამა და ამ დროს ამა და ამ მიზეზებისა გამო, ესა და ეს მოვლინება უნდა მოხდესო და მათი წინასწარ-მეტყველობა კიდეც მართლდება. იმისთვის მართლდება, რომ კანონი, რომელსაც ისინი დაეფუძნებიან, ჭეშმარიტია, და ამასთანავე შეუცდომელია მათემატიკა, რომლის საშვალებით ისინი მოახდენენ თავის გამოანგარიშებას. მკითხველებს ეხსომებათ, თუ როგორ წინათ აგვიწერეს ასტრონომებმა მზის დაბნელება, რომელიც 1851 წელს მოხდა საქართველოში. იმათვე გამოიანგარიშეს, რომ წელს თებერვალში მზის დაბნელება უნდა მოხდეს.

მზის დაბნელება მარტივი და ადვილი ასახსნელი მოვლინებაა. ჩვენ ახლა დაჭეშმარიტებით ვიცით, რომ ჩვენი ქვეყანა ტრიალობს მზის გარშემო ასე, რომ ერთის წლის განმავლობაში ის მზეს ერთხელ შემოუვლის ხოლმე. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ჩვენს ქვეყანას გარშემო უვლის მთვარე და შემოუტრიალდება მას ერთს თვეში ერთხელ. ჩვენს ქვეყანას და მთვარეს ერთი ერთმანერთთან იმისთანა დამოკიდებულება აქვთ, რომ მთვარე უვლის ქვეყანას და იმავე დროს ორნივე ეროათ მზეს გარშემო უტრიალებენ. მზე—მნათობი ზეციური სხეულია; ის ანათებს ჩვენს ქვეყანას და მთვარეს, რომელნიც ბნელი სხეულები არიან, ესე იგი, თვითონ არავითარი სინათლე არა აქვთ და სინათლეს იმათ მზე აძლევს.

როდესაც თავის მოძრაობაში მთვარე სწორეთ მზისა და ჩვენს ქვეყანას შუა დადგება, რასაკვირველია, ეს ბნელი სხეული ჩამოეფარება მზეს და მისს სხივს ჩვენსკენ აღარ გამოუშვებს. მაშინ ჩვენს მიწაზე იმ ალაგს, რომელიც მთვარეს დასწვრივ მდებარებს, მთვარის ჩრდილი დაეცემა და დაბნელდება. ამ შემთხვევაში იტყვიან მზის დაბნელება მოხდაო. მზე ძალიან დიდი სხეულია, ასე რომ ის ერთ მილიონ და ოთხას-ათასჯერ მეტია ჩვენ ქვეყანაზედ, მთვარე კი პატარაა, ორმოც და ათჯერ ნაკლებია ჩვენს ქვეყანაზედ, ამასთანავე ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მზე ჩვენზედ ძალიან შორს არის; ჩვენსა და იმას შუა ას ორმოც მილლიონ ვერსზედ მეტია. მთვარე ყველა სხვა ზეციურს სხეულებზედ უფრო ახლოა, ასე რომ ჩვენსა და იმის

შუა სამას სამოც ათას ვერსზედ ცოტა მეტია. მზის დაბნელება ორგვარია: სრული და კერძოობითი; როცა მზე სრულიად დაბნელდება, მაშინ იტყვიან სრული დაბნელება მოხდაო, როცა მთვარე დაფარავს მხოლოთ ერთს ნაწილს მზისას, მაშინ კერძოობითი დაბნელება მოხდება, ჩვეულებრივ მზის ორივე გვარი დაბნელება ერთსა და იმავე დროს მოხდება ხოლმე ქვეყანაზედ, მაგრამ სხვა-და-სხვა ალაგს. ერთის მხარის მცხოვრებლებს სრული მზის დაბნელება წარმოუდგებათ და მეორისას—კერძოობითი. მაგალითებრ 1851 წელს ჩვენში სრული მზის დაბნელება იყო და საქართველოს კარშემო მდებარე მხარეებში—კერძოობითი. როგორც ზევითა ვსთქვით, მზის შედარებით მთვარე ძალიან პატარა სხეულია, ამის გამო, როდესაც ის მზეს ჩამოეფარება, იმას არ შეუძლიან დააბნელოს მთელი დედა-მიწის ზურგი; მისი ჩრდილი მხოლოდ ჩვენის მიწის ერთს მცირე ნაწილს გადაეფარება. ავხსნათ ეს მაგალითით. წარმოვიდგინოთ, რომ შუაგულ ოთახში ლამპა ანთია. ვსთქვათ ეს ლამპა მზეა. ავიღოთ ერთი ბურთი და დავიჭიროთ კედელზედ ცოტა მოშორებით. წარმოვიდგინოთ, რომ ეს ბურთი მთვარეა და კედელი—დედა-მიწის ზურგი. ამ ბურთის ჩრდილი დაფარავს ერთს ნაწილს კედლისას. თუ დავუკვირდებით, ადვილათ შევნიშნავთ, რომ ამ ჩრდილის შუაგული სულ ბნელი იქნება და გარშემო უფრო განათლებული, ასე რომ სიბნელე შუაგულიდამ თანდათან იკლებს და წრეს გარეთ სულ დაიკარგება. ასე მოხდება დედა-მიწაზედაც მზის დაბნელების დროს. მთვარის შუაგულის დასწვრივ მდებარე ადგილებში სრული დაბნელება მოხდება და იმის გარშემო მდებარე მხარეებს მხოლოთ ბინდი მოეფინება; იქაური მცხოვრებლები მარტო კერძოობითს დაბნელებას დაინახავენ.

როდესაც ჩვენი ქვეყანა დადგება მზესა და მთვარეს შუა, მაშინ ის დაჩრდილავს მთვარეს და მოხდება მ თ ვ ა რ ი ს დ ა ბ ნ ე ლ ე ბ ა, როგორც მზისა ისე მთვარის დაბნელება ორგვარია: სრული და კერძოობითი, ესე იგი, ხან მთელი მთვარე დაბნელდება და ხანიმისი ნაწილი. მთვარის დაბნელება უფრო ხშირათ მოხდება, მინამ მზისა, ამისთვის რომ ჩვენი ქვეყანა ბევრათ მეტია მთვარეზედ და ამისგამო იმის ჩრდილიც მეტია მთვარის ჩრდილზედ ამ მიზეზისაგამო, როცა ჩვენი ქვეყანა ჩადგება მზესა და მთვარეს შუა, იმისი ჩრდილი უფრო ადვილათ მოხვდება მთვარეს და დააბნელებს მას. მზის დაბნელება ყოველთვის ახალ-მთვარეზედ მოხდება და მთვარის—მაშინ, როცა ის სავსეა. ჩვენში წელს მოხდება კერძოობითი მთვა-

რის დაბნელება 2 სექტემბერს. ის დაიწყება მეორე საათზე ნაშუაღამევს და გათავდება მეხუთე საათზედ.

ახლა ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა იმ მზის დაბნელებაზედ, რომლისგამო ეს სტატია დაიწერა. ამ თებერვლის თვის 22 რიცხვს მოხდება მზის დაბნელება, რომელიც დაინახება ევროპაში, ჩრდილოეთს აფრიკაში და დასავლეთს აზიაში.

ჩვენში მხოლოდ მზის ერთი ნაწილი დაბნელდება, ესე იგი, კერძოობითი დაბნელება მოხდება. ტფილისში დაბნელება დაიწყება ნაშუადღევს, როცა პირველ საათის 6 მინუტი გავა. ამ დროს მზის მარჯვენა მხარე ცოტათი დაბნელდება, შემდეგ სიბნელე თანდა-თან იმატებს, ასე რომ ბოლოს მზის ერთი ნახევარი სულ დაიფარება. ამის შემდეგ სიბნელე თანდათან იკლებს და მეორე მესამე საათის 44 მინუტზედ ის სრულებით გაქრება მზის წვერთან. კახეთში, ქართლში და იმერეთშიაც ეს დაბნელება თითქმის იმ დროს დაიწყება და გათავდება, როგორც ტფილისში. თუ ღმერთმა ჰქნა და 22 თებერვალს კარგი მოწმენდილი დღე გამოვიდა, ჩვენ ვგონებთ, ბევრნი მოინდომებენ ამ იშვიათის ზეციურის მოვლინების დანახვას. ზამთარში მზეს დიდი სიცხოველე არა აქვს და ამისათვის შესაძლებელია, რომ თვალი უშუშოთაც გაუჩერდეს მზეს. ვისაც სუსტი თვალები აქვს, იმან მზის დაბნელების დასანახავათ უნდა აღიჭურვოს ჭვარტლით გაშავებული შუშით, რომელიც ძალიან ადვილი მოსამზადებელია. შუშა რომ ცოტა ხანს სანთლის ალზედ დაიჭირო, იმას მაშინვე ჭვარტლი მოედება.

ბატონ-ყმობის გაუქმების გამო სამეგრელოში

ამ ნუმერში მკითხველები წაიკითხავენ უმაღლესს უქაზს გლეხობის განთავისუფლებაზედ სამეგრელოში. ეს უქაზი გამოცხადდა სამეგრელოში 19 თებერვალს, გლეხების „განმათავისუფლებელის“ ხელმწიფე იმპერატორის ტახტზედ აბრძანების დღეს. 8 ნოემბერი და 19 თებერვალი ჩვენთვის სამუდამო სახსოვარ დღეებათ დარჩებიან. 8 ნოემბერს 1864 წლისა, მოხდა გლეხობის განთავისუფლება ქართლში და კახეთში, იმავე დღეს 1865 წლისა—იმერეთში. 19 თებერვალს დაიწყო და კიდეც თავდება დიდი საქმე გლეხების განთავისუფლება: ამ დღეს 1861 წ. გამოვიდა უმაღლესი მანიფესტი ბატონ-ყმობის გაუქმებაზედ რუსეთში და იმავე რიცხვს 1867 წელს თავისუფლება მიენიჭა სამეგრელოს გლეხებს. ამას იქით ბატონ-ყმობა სამუდამოდ მოისპო საქართველოს მიწაზედ; ამასთანავე რუსეთის იმპერიაშიაც ის არსად აღარ არსებობს. უმაღლესი უქაზი გლეხობის განთავისუფლებაზედ სამეგრელოში თავდება შემდგომი სასიხარულო სიტყვებით: „ესრეთ სრულდების ღვაწლი მიდამო ჩვენს იმპერიაში ყმობითის საზოგადოების გაუქმებისა“.

მართლა და გლეხობის განთავისუფლება რუსეთის იმპერიაში დიდი ღვაწლი და უმაგალითო საქმეა. ისტორიაში ძვირათ მოიპოვება ამისი მსგავსი საქმე. 23 მილიონ კაცს მიენიჭა თავისუფლება, ახალი ცხოვრება, ასე ვთქვათ ახლათ დაიბადენ, რადგანაც მონის სიცოცხლე არა მგონია, რომ მართლა ცხოვრება იყოს. უმაღლესის ნებით, მოკლე დროს, წყნარად და მშვიდობიანათ მოიშალა წესი, რომელიც დამყარდა რამდენიმე საუკუნოების განმავლობაში კაცის მძლავრობის და სხვა-და-სხვა გარემოების გამო. ბატონ-ყმობის გაუქშებამ არა თუ მარტო მებატონეების და გლეხების მდგომარეობა შესცვალა, არამედ მთელის საზოგადოებისა. ერთმა მწერალმა ბატონ-ყმობა შეადარა ორპირიან მახვილს, რომელიც წყლულს უჩენდა და აზარალებდა როგორც დამონებულს ისე დამმონებელს. ჩვენი მხრით ჩვენ დავუმატებთ, რომ ბატონ-ყმობა მარტო ამ ორ წოდებას კი არ ავნებდა, ის იყო სენი, რომელიც უშლიდა მთელის ქვეყნის ყველა

მცხოვრებლების წარმატებას. ბატონ-ყმობა, რომ ქვეყნის განათლებას და გამდიდრებას უშლის, ამას ჩვენ ცხადათ გვიჩვენებს ევროპის ისტორია. მინამ იქ ბატონ-ყმობა არსებობდა, ის ღარიბი და გაუნათლებელი იყო. შემდეგ როცა ბატონ-ყმობა მოისპო და იმას თან მოჰყვა სხვადასხვა საჭირო და სასარგებლო ცვლილებანი, სიმდიდრით და განათლებით ის შეიქნა პირველი ქვეყანა ცას-ქვეშეთში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გლეხობის განთავისუფლება ჩვენს საშობლო ქვეყანასაც დიდს წარმატებას მისცემს.

ვინც წაიკითხავს უქაზს სამეგრელოს გლეხების განთავისუფლებაზედ, ის უეჭველია იკითხავს: რა მდგომარეობაშია ახლა ბატონ-ყმობის საქმე ტფილისის და ქუთაისის გუბენიებში? ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, რომ ამაზედ ჩვენ არა გვაქვს არავითარი აფიციალური ცნობა. ვიცით, მხოლოდ რომ ეს საქმე ქართლსა და კახეთში რიგიანათ მიდის, წყნარათ და მშვიდობიანათ თავდება. ორივე მხარე გლეხები და ნამეტურ მებატონეები სწორეთ სამაგალითოდ იქცევიან. საქმე თითქმის ყველგან მორიგებით და დათმობით თავდება. უმეტესი ნაწილი დებულების ოქმისა (უსტავნის გრამოტისა) ქართლში და კახეთში შედგენილი და დამტკიცებულია, ასე რომ იმედია, წელს დებულების ოქმის შედგენა სულ გათავდება. როგორც ამბობენ ბევრნი მებატონეები აპირებენო მიწის შესყიდვას გლეხებისათვის. ამაზედ უკეთესს ისინი ვერაფერს იზამენ. უეჭველია საქმე საბოლოოთ ასე უნდა გათავდეს რომ გლეხი მიწის მეპატრონეთ უნდა გახდეს. რაც მალე მოხდება ეს საქმე, ის უკეთესია. გლეხიც და მებატონეც დაინახავენ, რომ ორივე მხარისთვის სამძიმოა ვალდებული დამოკიდებულება, და მიწის შეხსნა ორივესთვის სასარგებლო იქნება. ბატონ-ყმობის გაყრაში ქართლში და კახეთში ყველაზე უფრო შესანიშნავი და სასიხარულო ის არის, რომ მებატონეები და გლეხები ერთ-ერთმანეთს სწორეთ მეგობრულათ შორდებიან, ორივე მხარე ივიწყებს, რაც რომ უკმაყოფილება ყოფილა მათ შორის, და უნდათ ამას იქით კარგს მეზობლებსავით იცხოვრონ. ტფილისის გუბერნიაში ამასთანავე ყოველგან სოფლის საზოგადოება შესდგა და სასოფლო სასამართლოები დაწესდნენ. ასე, რომ ახლა გლეხები თვითონ მართავენ თავიანთ საზოგადოებას და თვითონ განაგებენ თავიანთს შინაურს საქმეებს. დასაწყისი ყოველთვის ძნელია და ამისათვის ვერავინ ვერ მოითხოვს, რომ გლეხებს თავდაპირველადვე, როგორც რიგია, ისე წაეყვანათ ეს ახალი საქმე, საზოგადოთ კი როგორც ამბობენ სოფლის ამორჩეულნი პირები მაინც კარგათ იქცევიან, ზოგან კიდეც

გაუმართავთ სასოფლო შკოლები და პურის მაგაზინები და სხვაგანაც აპირებენ იმათ დაწესებას.

ჩვენდა სამწუხაროთ უნდა ვსთქვათ, რომ იმერეთიდამ არ ისმის ასე სასიამოვნო ამბავი. იქ დებულების ოქმის შედგენა და საზოგადოთ ბატონ-ყმობის საქმე რალაც მძიმეთ მიდის: იმედი კი გვაქვს, რომ ამას იქით იმერეთი და სამეგრელო ქართლის და კახეთის მაგალითს მიხედავს. ბატონ-ყმობის საქმის გათავება მებატონეების და გლეხების ურთიერთის ნებაყოფლობაზედ არის დამოკიდებული. თუ საქნე ჯინზედ წავიდა, უეჭველია ერთი მეორის ზარალს შეიძლებს. მაგრამ აქედამ უკმაყოფილების, შურის, ერთი-ერთმანეთის დაზარალების მეტი რა გამოვა? ორსავე მხარეს უნდა ახსოვდეს, რომ მომავალში ერთი-ერთმანეთს ყოველთვის დასჭირდებიან, უერთი ერთმანეთოთ გაძლება არ შეუძლიანთ. ამისათვის ისინი უნდა ცდილობდნენ თანხმობით და ისე დათმობით გაშორდნენ ერთი-ერთმანეთს, რომ ერთმა მეორეს იმისთანა არა აწყენინოს რა რაც მომავალში დაუშლის მათ გაწყობილს მეზობლურს ცხოვრებას. ამ საქმეში პირველი მაგალითი, რასაკვირველია, თავად-აზნაურობამ უნდა გამოაჩინოს; რადგანაც ის არის უმაღლესი წოდება განათლებით და შეძლებით ის მაღლა სდგას გლეხებზედ.

როგორც მკითხველი დაინახავს კანონებისგან, რომელნიც სამეგრელოში ბატონ-ყმობის გაუქმებისა გამო გამოიცენ და ჩვენს გაზეთში იბეჭდებიან, სამეგრელოში გლეხები განთავისუფლდნენ იმავე საფუძვლებზედ, როგორც ქართლში, კახეთში და იმერეთში. როგორც აქ-ისე იქ გლეხები უნდა ეწესახურონ მებატონეებს ორს წელს, ამ დროს განმავლობაში უნდა შესდგეს დებულების ოქმი და მებატონემ უნდა მიუჩინოს თავის გლეხს იმდენი მიწა, რამდენიც იმერეთშია დაწესებული, ესე იგი 12 ქცევა. გადასახადი მიწის მოსავლიდამ სამეგრელოში იმ ზომით გამოერთმევა გლეხს, როგორც სხვაგან საქართველოში. პირადის სამსახურის მოკლებისათვის ხელმწიფე იმპერატორმა სამეგრელოს მებატონეებს უწყალობა ფული, რომელიც იმ რიგათ უნდა დარიგდეს, როგორც კახეთში, ქართლში და იმერეთში დარიგდა.*)

სამეგრელოში ორი დიდი ცვლილება მოხდა ამ მოკლე ხანში:

*) ამ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლიან არ წარმოვსთქვათ ჩვენი იმედი, რომ სამეგრელოს მებატონეებიც ისე მშვენიერათ და სასარგებლოთ მოიხმარებენ ხელმწიფე იმპერატორისაგან ნაწყალობევ ფულსა, როგორც იმერეთის თავად-აზნაურობამ მოიხმარა. ჩვენ ვამბობთ ბანკის დაარსებაზედ. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მეგრელები ამ შემთხვევაში იმერლებს უკან არ ჩამორჩებიან და ამ ფულის ნაწილს ბანკისათვის გადასდებენ.

ერთი ადრინდელის მთავრის უფლების მოშლა და მეორე — ბატონ-ყმობის გაუქმება. უეჭველია ეს ცვლილება დიდს წარმატებას მისცემს ქვეყანას. ეს მხარე უხვათ არის შემკული ბუნებისაგან: მიწა აქ ძალიან ნაყოფიერია, მდებარეობა ზღვის პირათ ძალიან სასარგებლოა ვაჭრობისათვის; ამასთანავე იმას ასხია ცოცხალი და ნიჭიერი ხალხი, ადვილად შემთვისებელი და მიმღები განათლებისა და ახალის წესისა, აქამომდე იმის მცხოვრებლებს არა ჰქონდათ საშუალება, რომ ესარგებლებინათ თავის სამშობლო ქვეყნის სიმდიდრითა და მდებარეობითა. სამეგრელოში არ იყო არც მტკიცე მმართებლობის წესი, რომ ხალხის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინოს, იმას არ ჰქონდა არც სასწავლებლები და არც გზები, რომელნიც ასე მიუცილებელნი არიან ახალის განათლების და კეთილდღეობისათვის. ამისთვის ეს მხარე ამქამომდე ყველა სხვა საქართველოს ნაწილებზედ უფრო ღარიბი და ჩამორჩენილი იყო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მხარის განათლების დრომაც მოაღწია. ბატონ-ყმობის გაუქმება უნდა იყოს საფუძველი და პირველი ნიშანი ამ ახალის ცხოვრებისა. იმას თან უნდა მოჰყვეს სხვა ზომები და ცვლილებანი, რომელთაც ხალხის საჭიროება მოითხოვს. შემდეგ ამისა უწინასწარმეტყველოთაც შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სამეგრელოს ბრწყინვალე მომავალი მოელის, რომ ეს მშვენიერი მხარე იმ გვარს ადგილს დაიჭერს კავკასიაში, როგორიც ძველათ განთქმულს კოლხიდას შავი ზღვის პირათ ეჭირა.

პოლიტიკური უფლება დედა-კაცისა

I

დედა-კაცის მდგომარეობაზე საზოგადოებაში, იმისის განათლების საჭიროებაზე, იმის მომზადებაზე შრომისთვის, ახლანდელს დროს შრავალსა სწერენ ევროპის მწერლები და მეცნიერნი, ჟურნალები და გაზეთები. დედა-კაცის ემანციპაციას (თავისუფლებას), ამას წინათ სხვა აზრი ჰქონდა, ახლა სხვა აზრი აქვს. უწინ ამ სიტყვას საძრახ მნიშვნელობას აძლევდნენ. ახლა ემანციპაცია ისე ესმით, რომ დედა-კაცს უნდა ღონისძიება მიეცეს, რომ თავისის შრომით დააწყოს საკუთარი ცხოვრება და გონების გახსნით ზნეობითი დამოუკიდებლობა მოიპოვოს, ასე რომ ამ გვარათ კეთილ-მოქმედი გავლენა იქონიოს საზოგადოებაზე. მართალია ახლაც იპოებიან იმისთანა პირნი, რომელთაც ემანციპაცია უწინდელის აზრით ესმით; მაგრამ უკეთესი, გონება-გახსნილი საზოგადოება ასე აღარ ფიქრობს. დროს შიმართულება ამ უკანასკნელების აზრზედ არის დამყარებული. რას ვხედავთ ამ დროს ევროპაში? ვხედავთ, რომ ყოველს ევროპიულს სატახტო ქალაქებში წესდება დედა-კაცის შრომის საზოგადოებები, რომელთაც საგნათ აქვთ, რომ იმათ გზა გაეხსნას აქამომდე იმათთვის დახშულის მოქმედებისათვის, რომ ამ გვარათ იმათ საკუთარი ღონისძიების მოპოებით თავიანთი თავი უზრუნველ ჰყონ და თავიდამ მოშორონ სიღარიბე, რომელიც დიდი დამაბრკოლებელია ზნეობისა. ამგვარ საზოგადოებაებს დიდი იმედით შესცქერიან ყველა პარტიებისა და ყველა აზრების პირნი, შემწეობას აძლევენ ყველა კლასსები, თვით მეფენი, მაგალ. ანგლიის კოროლევა, პრუსსიის კაროლის სახლობა და სხ., რომელნიც იმათ მიჰფენენ თავიანთს მფარველობას. ასეა ამერიკის უმრავლესს ქალაქებში, რომელთაც ამ საგანში მაგალითი უჩვენეს ევროპას. ყველას ესმის, რომ უპირატესი საგანი ამ საქმისა არის, როგორც ზემოთაცა ვთქვით, გონივრული აღზრდა მდედრობითის სქესისა, ღონის-ძიების მიცემა მოსაპოებლათ საკუთარის

შრომით საზრდოისა და უზრუნველობისა. აი რაში მდგომარეობს დედა-კაცის ემანციპაცია.

ჩვენ ამ საგანზე ახლა არას ვიტყვით. ჩვენ გვსურს ჩვენს მკითხველებს წარმოუდგინოთ ერთი აზრი, რომელზედაც ახლა ხშირი საუბარი აქვთ ევროპაში და რომელიც თვით-თავი საგნიდამ მომდინარეობს—ესე იგი, დედა-კაცების საპოლიტიკო უფლებაზედ. ეს აზრი მომატებულათ არის გავრცელებული ამერიკის შეერთებულს შტატებში და ანგლიაში, თუმცა წარმატება ამ აზრისა ერთი არ არის ერთსა და მეორეს ქვეყნებში. აქ ჩვენ გვსურს დაუპირდაპიროთ ერთი მეორეს სხვა და სხვა აზრები, რომლებსაც ანგლიის ჟურნალები ადგანან. იმათი ბაასი და მსჯელობა შესანიშნავია: აქედამ შეიძლება ადვილათ მივხვდეთ, თუ რა მდგომარეობაშია ახლა საგანი ემანციპაციისა და რა იმედი და სურვილი აქვთ ემანციპაციაზედ მოწინავე პირებს. ამერიკაზედ კი ეს უნდა შევნიშნოთ, რომ კანზასის შტატში დედა-კაცებს კიდეც მიენიჭათ კენჭის ანუ აღმორჩევის უფლება. ვიცით აგრეთვე, რომ ვაშინგტონის კონგრესშიაც ლაპარაკი იყო, რომ დედა-კაცებს მიეცეს კენჭის უფლება. ეს აზრი კონგრესში პირველათ შემოიტანა პენსილვანის სენატორმა კოუენმა. ამ დროს ერთმა წევრმა მისტერ ანტონიმ წარმოსთქვა, რომ რა სიმართლეაო ამ უფლების არ მიეცემა მდედრობითის სქესისთვის? თუ დედა-კაცს მეფობა ეძლევაო, მაშ რატომ არ უნდა მიეცესო კენჭი? მისტერ ვილლიამსი იმ აზრისა იყო, რომ დედა-კაცს პოლიტიკური უფლება არ უნდა მიეცესო, რადგანაც ისინი სხვა და სხვა პრივილეგიას მოკლებულნი არ არიანო; ამასთანავე იმან შენიშნა, რომ ამერიკელნი ყოველთვის პატივისცემით უმზერდნენ და ეპყრობოდნენ დედათ-სქესს. ამ კომპლიმენტის შემდეგ იმან სრულებით მოულოდნელათ დაუმატა, რომ თუ დედა-კაცებს ხმა მიეცათო, მაშინ ისინი თვითეულს საოჯახოს სახლს ნამდვილ ჯოჯოხეთათ გადააქცევენო. კონგრესში ხმები გაიყო: როდესაც კენჭი დაითვალა, მაშინ აღმოჩნდა, რომ დედა-კაცების მხარეზე იყო 9, წინააღმდეგს მხარეზე 37. ემანციპატორები დამარცხდნენ.

მიზეზი საუბრისა ამ საგანზე ანგლიაში ის იყო, რომ შარშან ქვემო-პალატაში პეტიცია შემოიტანა გამოჩენილმა ანგლიის მწერალმა და პარლამეტის წევრმა ჯონ სტუართ მილლმა. პეტიცია მრავალთაგან იყო ხელ- მოწერილი. ის ითხოვდა რომ დედა-კაცებს, ანუ რომელსამე იმათს ნაწილს, მიენიჭოს პოლიტიკური უფლება, რომლითაც სარგებლობენ საზოგადოების სხვა კლასები. პეტიცია ამბობს: ანგლიის სჯული აღმორჩევითს უფლებას აძლევს ყველა სახლის-პატრონებს, მიწის პატრონებს და სხვა და სხვა ქარხანების მეპატრონეებს,

რომელთაც დაწესებული ხარჯი შეაქვთ ხაზინაში. ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ანგლიაში მრავალნი არიან დედათაგანნი, რომელთაც მამულები აქვთ, რომელნიც გამგეობენ სხვა და სხვა ქარხანებს, აძლევენ დიდს ხარჯს, მაგრამ პოლიტიკურს უფლებაში იმათ უარს ეუბნებიან. აქედან ვხედავთ, რომ სრული თავის თავს ეწინააღმდეგება... ეს წინააღმდეგობა უნდა მოისპოს სიმართლის გულისთვ-ს და სახელმწიფოს სასარგებლოთ.

ამ პეტიციამ შობა დიდი ღელვა და აღძრა მკაცრი ბაასი, რომელშიაც ზოგი თანახმა იყო პეტიციისა, ზოგი წინააღმდეგი. ბაასი აქამომდე არ შეწყვეტილა. ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას ამ შემთხვევაში შემდეგს გაზეთებს: Saturday Review, Spectator და Liverpool Mercury.

Spectator-ის აზრით, არიან, რასაკვირველია, დედა-კაცები ნიჭიერნი და მომზადებულნი, მაგრამ ამ გვარნი დიახ იშვიათნი არიან. რა იქნება რომ ერთის გულისთვის ასიდგან ოთხმოცდა ცხრამეტსაც პოლიტიკური უფლება მიეცეს? მაშინ სჯულის წინააღმდეგი გავლენა პოლიტიკაში გაძლიერდება; თვით ოჯახებში ჩხუბი და ვაი-ვაგლახი მიუცილებელია. დედა-კაცის ხმაზედ ერთის მხრით ექნება გავლენა ქმარს, მეორეს მხრით—შვილს, მკურნალს, მღვდელს; ქალზე—იმის მოვალეობას მამისადმი და იმის სულის გრძნობას: ის უნდა უმზერდეს საპოლიტიკო საგანს, როგორათაც ბრძოლას მორჩილებასა და სიყვარულს შორის. აი მიზეზი, რისთვისაც ჩვენ ვეწინააღმდეგებით პეტიციის მოთხოვნილებას. ხალხს აქვს სამართალი ჰკითხოს პეტიციის შუამდგომელთ: შეგიძლიანთ დაამტკიცოთ, რომ ჩვეულებრივის ნიჭისა და განათლების დედა-კაცებს აქვთ საპოლიტიკო დამოუკიდებლობა? დაგვიმტკიცეთ ესა და დავთანხმდებით. აქამომდე მუშა ხალხს ეს უფლება არ მისცემია, რადგანაც იმათი ნიჭიერება საპოლიტიკო საქმეებში ვერ დაამტკიცეს. თუმცა ისინი უმეცარნი არიან, ეს კი უნდა ვთქვათ, რომ იმათთვის უფლების მინიჭებას უფრო საფუძველი აქვს, ვიდრე იმ დედა-კაცებისათვის, რომელნიც იმათზე ბევრით მაღლა დგანან განათლებით, მაგრამ დამოკიდებულნი არიან სხვებზე.

ეს Spectator-ის სტატია ამ საქმეში უფრო ზომიერია, ვიდრე წინათ მოხსენებულის გაზეთის აზრი. მაგრამ იმას მკაცრი პასუხი მისცა დედათ-სქესის მოსარჩლე პარტიამ და სხვათა შორის თვით დედა-კაცმა მისს კობბმა. კობბი უჩვენებს Spectator-ის აზრებში წინააღმდეგობას: თუ იმათ ნიჭი აქვთ, მაშ ამ ნიჭიერების აღმოჩენა თვით საქმეთ რატომ არ შეიძლებაო? კობბის სიტყვით მხოლოდ ისინი სჯიან ლოგიკურათ, რომელნიც ან სრულებით უარ-ჰყოფენ დედა-კა-

ცის პოლიტიკურს ნიჭს, ან თანახმანი არიან ამაზე და ითხოვენ იმის საქმეში გამოყენებას. მისს კობბი ამბობს, მეხოვნელის დედათ-სქესის საგანი ის არისო, რომ ქალებში განილვიძოს იმ თვისებაებმა, რომ-ლებზედაც Spectator-ი აფუძნებს პოლიტიკურს უფლებას და რო-მელთ გაღვიძება შესაძლებელია მაშინ, როდესაც ამ უფლების სარ-გებლობის ღონისძიება იმათ მიეცემათო. დედა-კაცებს სურთ მოით-ხოვონ უშუამდგომელო წარმომადგენლობა. თვით Spectator-ი ერთს თავისს სტატიაში ამტკიცებს, რომ დედა-კაცების უბედურება, რომ-ლის მიზეზნიც კაცნი არიან, აურაცხელიაო. ბევრი მაგალითი შეიძ-ლება წარმოვადგინოთ ამ გვარის უბედურებისა: იმის მოსპობა მანამ-დის არ შეიძლება, ვიდრე მდედრობითი სქესი თვითონ პოლიტი-კაში პირდაპირს მონაწილეობას არ მიიღებსო.

II

მისს კობბის წერილის შემდეგ ჩვენ უნდა მივჰმართოთ Liverpool Mercury-ს სტატიას, რომელიც ძალიან ესარჩლება ანგლიის დედა-კაცების პეტიციას. ის ასე იწყებს თავისს საბუთებს: „მამულისა და სახლების მფლობელნი და აგრეთვე საკუთარის ვაჭრობის მქონნი-დედა-კაცნი ანგლიაში და ვალლისში, ითხოვენ განთავისუფლებას პოლიტიკურის მცირე-წლოვანებისგან, რომელ შიაც ისინი აქამომდე-ეპყრიათ. პეტიცია შემოიტანა პარლამენტში სტუართ მილლმა; ის არის მოაზრებული თვით მდედრობითის სქესისაგან, ხელ-მოწერილი 15000 პირთაგან; იმათ რიცხვში არიან გამოჩენილნი ქალნი ლიტე-რატურაში მეცნიერებაში და თვით პოლიტიკაში. ამ სიაში ვუჩვენოთ მხოლოდ გარრიეტა მარტინო და მერი სომერვილლი; ამ დედა-კაცებმა მრავალი სასარგებლო საქმეები შეასრულეს და ამითი დაამტკიცეს ნი-ჭიერება თავიანთი სქესისა". შემდეგ ამისა ზემოთ მოხსენებული გაზეთი ცდილობს, რომ წინააღმდეგობა უჩვენოს ანგლიურს სჯულში დედა-კაცების შესახებ. ის ამტკიცებს, რომ ანგლიის საზოგადო თვით-მარ-თვაში, იმ დედა-კაცებს, რომელნიც ხარჯს იძლევიან, სჯული აღმორ-ჩევითს ხმას აძლევსო; იმათ აქვთო ხმა სამრევლო კრებაში; იმათ ირჩევენო საეკლესიოს და საეკლესიოს თანამდებობაებში. თუ აქ იმათ სჯული კენჭს აძლევსო, მაშ რა მიზეზი უნდა იყოს, რომ იმათ ხმის უფლება აკრძალული აქვთო საქვეყნო საქმეში, რომლისთვისაც ისინი მომატებულათ იღვწიანო? გასაკვირველი არ არისო რომ დედა-კაცების მოთხოვნილებამ გააოცაო მრავალი, საკვირველი ის არისო, რომ ჟურნა-ლებისა და გაზეთების ბაასმა პეტიციის გამო საქმე ნამდვილათ ვერ გაარ-კვიაო. რა მიზეზიაო, რომ პეტიციის ყველა მოწინააღმდეგენი იმ

აზრისანი არიანო, ვითომც პეტიცია ითხოვდეს, რომ მთელს მდედრობითს სქესს მიეცეს აღმორჩევითი ხმა... არავის არას დროს არ უთხოვნია ესა: არვის ჰქონია აზრში, რომ ყველა დედა-კაცებს მიენიჭოს კენჭი. პეტიცია იმათ შეეხება, ვინც ნიჭიერებით და ცენზით ამისი ღირსია. დედა-კაცის მონაწილეობა პოლიტიკაში ისე არ შესძრავდა სახელმწიფო წესს, როგორც არა სძრავს იმათი მონაწილეობა სამრეველო საქმეებში. არც საოჯახო ბედნიერებისთვის უნდა ეშინოდეთ. იმ დედა-კაცებს, რომელთაც კენჭი უნდა მიეცეს, ან უოჯახონი არიან, ან ოჯახის თავნი არიან. ისინი არიან განათლებულნი, ნასწავლნი, ღონის ძიების მექონნი, მაშასადამე. იმათ მოსყიდვაზე რა ეჭვი უნდა გვქონდეს? ჩვენ კი დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ გვარს დედათ-სქესის მოპოება დიდათ სასარგებლო იქნება ქვეყნ-სთვის.

ამით თავდება Liverpool Mercury-ს დედათ ქება. ჩვენ უჩვენეთ სხვა და სხვა პირთ აზრი ამ საგანზე: ვინ არის მართალი იმათში, ვინ მტყუანი, მკითხველმა თვითვე გაშინჯოს.

ამის დასამტებლად მოვიხსენებთ კიდევ ორ წიგნს, რომელიც ქალებისაგან არის დაწერილი. პირველი იმათგანი ეკუთვნის მადმუაზელ დობიეს. ის არის დაწერილი ლიონის აკადემიის ტემაზე; აკადემიამ ეს შრომა დააჯილდოვა. დობიეს აზრი ის არის, რომ სჯულმა და მართებლობამ შემწეობა მისცენ ღარიბ დედა-კაცებს; ის ამტკიცებს, რომ დედათ სქესს უნდა მიენიჭოსთ თვით-მდგომარე უფლებაო, რომელსაც ისინი ფრანციაში მოკლებულნი არიანო; იმათის შევიწროების მიზეზნი არიანო მამა-კაცნი სჯულის დამდებნი. დობიეს წიგნი, თუმცა ხან და ხან წრეს გარეთ გადის, მაგრამ საფუძვლიანათ არის დაწერილი, სავსეა საბუთებით და ამისთვის ის მზედველობაში უნდა იქონიოს ყველამ, ვინც ყურადღებას აქცევს ამ საგანს.

მეორე თხზულებაა მადამ მინნა პინოფისა; ის არის გერმანიელი. იმისი: „დედა-კაცის მომზადება შრომისთვის", დაფუძნებულია სულ სხვა აზრზედ, ვიდრე დობიეს წიგნი. ის სამოქალაქო და ეკონომიურს მდგომარეობას დედა-კაცისას არ შეეხება. ის ამბობს, რომ პირველად დედათ სქესმა იმაზედ უნდა იზრუნვოსო, რომ ზნეობა და გონების გახსნა მოიპოვოსო. „ჯერ ჩვენ უნდა წესი დავდოთო შინაურს მდგომარეობაში. დიდების მოყვარეობა კი არა, სიმდიდრე და მდიდრული ცხოვრება კი არ არის დედა-კაცისათვის წყარო იმათის ამაღლებისა და დიდებისა, არამედ სერიოზნი, სამუდამო შრომა, აღზდა, აღზდა ნამდვილი და არა გარეგანი. აი რაზე უნდა იყოსო მიქცეული ყურადღება დედათ სქესის ემანციპაციის მოსარჩლეებისაო".

რამდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზედ

ბნელი და გულსაკლავია ჩვენი წარსული და აწმყო. რამდენათაც კაცი ღრმად ჩაუკვირდება ჩვენს ისტორიულს ცხოვრებას, იმდენათ მტკიცეთ დარწმუნდება, რომ ჩვენს ცხოვრებას სიცოცხლის ნიშანი არ აძევს; იმაში თქვენ ვერ ჰნახავთ ნათელს კვალს; რომელსაც შეეძლოს განგვინათლოს გარემოდებული წყვდიადი, რასაკვირველია, ამასა ჰქონდა თავისი მიზეზები...

ყველა სულმდგმულს ბუნებაში ჩანერგილი აქვს თავისი კანონები და მოთხოვნილებანი. წაართვით იმას ეს მოთხოვნილებანი, შეაჩერეთ იმისი ბუნებითი კანონების თავისუფალი მსვლელობა და გახსნა,—ეს იმის სიკვდილის თანასწორია. გინდა მოგიკლავს ეს სულდგმული და გინდა შეგიჩერებია თავისუფალი შინაგანი სიცოცხლე. როდის შეიძლება ვსთქვა, რომ ვცოცხლობ? მაშინ, როდესაც ჩემში შინაგანნი ძალანი აღმოშობენ თავის შესაფერს მოქმედებას, როდესაც მე წარმოვადგენ განმარტოვებულს ქვეყანას, სადაც ერთი ძალა მეორეზედ თავისუფლად მოქმედებს და იმათის ურთიერთის ზედმოქმედებით აღენთება სიცოცხლის ლამპარი. რას ვეძახით უსულო საგანს? იმას, რომელსაც თავისი შინაგანნი ძალანი არა აქვს, რომელსაც ამოქმედებს გარეგანი ძალა.

მე ვამტკიცებ, რომ ჩვენი სიცოცხლე სიცოცხლე არ არის და არცა ყოფილა. განა არ შეიძლება ვსთქვათ, რომ ქვაცა ცხოვრობს, მაგრამ რამდენათ დაბალია მისი ცხოვრება შედარებით ცხოველთან და ადამიანთან. რამდენათაც დაბლა დგას ცხოველი და მცენარე, იმდენათ იმისი შინაგანი სიცოცხლე სუსტი და ჩამქრალია. რათა? ვითომ რა აქვს ადამიანს და ცხოველს ისეთი, რომ იმათ სიცოცხლეს სიცოცხლე დაეძახებოდეს და ქვის სიცოცხლე კი არ-სიცოცხლეს ჰნიშნავდეს?

ადამიანს და ცხოველს აქვს აზრი, მსჯელობა, ისინი გრძნობენ და ფიქრობენ. მცენარე არა ფიქრობს და არცა გრძნობს, ქვა უფრო ნაკლებათ. ახლა ვკითხოთ ჩვენს თავს: ვინ არის ქვეყანაზედ ყველაზედ თავისუფალი? (მკითხველმა, რასაკვირველია, იცის, რომელს თა-

ვისუფლებაზედაც ვლაპარაკობ), ის ვინცა ფიქრობს. ცხოველის და ადამიანის მოქმედებაში ჩვენა ვპოვებთ ორს ძალას, ორს მიზეზს, ერთს გარეგანს და ერთს შინაგანს—აზრს, გონებას. რამდენათაც კაცის მოქმედებაში სძლევენ გარეგანა მიზეზები, იმდენათ ის ნაკლებათ არის თავისუფალი და მაშასადამე, იმდენათ იმისი სიცოცხლე არ სიცოცხლეობს. სადაც სიცოცხლეა, იქ თავისუფლებაა, ე. ი. შინაგანი მიზეზები სძლევენ გარეგანს, იქ კაცი თავის შინაგანის კანონებით მოქმედებს. აქ კიდევ ვკითხავთ: ვის უცოცხლია, მართლა უცოცხლია? იმას, ვისაც ბევრი უფიქრია თავის სიცოცხლეში და ვისნი მოქმედებანიც წარმომდინარეობდნენ შინაგანის წყაროდგან, რომელსაც დაჰბადებდა შინაგანი სიცოცხლის პროცესსი. აქ მე, რასაკვირველია არ ვამბობ, რომ გარეგანიც საჭირო არ იყოს, მაგრამ იმდენათ საჭიროა ეს ჩვენის აზრისათვის, რამდენათაც საჭმელი ჩვენის სხეულისათვის. ჩემი სხეული ცოცხლობს თავის შინაგანის ძალით, მაგრამ უსაჭმლოთ მაინც არ შეიძლება იმისი სიცოცხლე. შინაგანი სხეულის ძალა, კუჭის და ნაწლევების შემწეობით, გადააკეთებს ამ საჭმელს, მრავალგვარს ცვლილებას მოახდენს იმაში და მხოლოდ უკანასკნელად, როდესაცა ის გადაიქცევა სისხლად, დაივლის ტანში და იმას ასაზრდოებს. მაშასადამე შინაგანი სხეულის ძალა შეამუშავებს გარეგანს მასალას. აბა კუჭში და ნაწლევებში ნუ დაჰყოფს საჭმელი და პირდაპირ სისხლში შეიყვანეთ, თუ სხეულის სიცოცხლე მაშინვე არ მოისპოს. აგრეთვე უნდა უყურებდეთ კაცის ზნეობის მხარესაც. თუ კაცის ზნეობითს, ანუ უკეთ ვსთქვათ, სულიერს მხარეს არა აქვს ნება, რომ თავისის საკუთარის კანონებით მსვლელობდეს და თავისუფლად აყვავდებოდეს, მაშინ ის კაცი მოკლულია, ის არა ცოცხლობს რადგანაც, როგორც ეს წინათა ვთქვით, ადამიანი გრძნობს და ფიქრობს და ამიტომაც ცოცხლობს.—ახლა გამოვიკვლიოთ, რა კანონები სძევს სიცოცხლის აკვანში, ვიპოვნოთ სიცოცხლის დედა-არსი და თუ ამ სიცოცხლის დედა-არსს ჩვენ სულიერს სიცოცხლეში ვნახავთ, ხომ კარგი, თუ არა და ჩვენ არა ვცოცხლობთ და არც გვიცოცხლია.

ერთი უმთავრესი კანონთაგანი არის თავის-დაცვა. ეს ეკუთვნის სულიერს მხარეს. ამ თავის-დაცვას ჩვენ ყველა სულ-დგმულში ვპოვებთ. წარმოიდგინეთ ნამკეკა, თვალით დაუნახავი ინფუზორია; იმასაც კი აქვს ეს გრძნობა. ის ებრძვის სხვებს თავის სიცოცხლის დასაცველად. როცა თევზი მოინდომებს იმას ჩაყლაპვას, ის ან გაექცევა იმას და ან მოიხმარს იმ იარაღს, რომელიც იმისთვის ბუნებას მიუცია; ის ან პირით, ან თავით და ან სხვა რამ მოსაგერებელის იარაღით დაეტაკება თავის მტერს და თუ შეიძლო სასიკვდილოთაც

არ დაინდობს. ეს ამტკიცებს, რომ იმასა აქვს თავის თავის დაცვა, რომ იმას თავის-თავი უყვარს. ბუნებაში თავის მოყვარეობა არსებობს. ეს არის მთელი სიცოცხლის დედა-კანონი. რამდენათაც ცხოველი მაღლა სდგას, იმდენათ ეს თავის-დაცვა ძლიერია, იმდენათ ცხოველი სრულად არის აღჭურვილი თავის დასაცველის იარაღებით. პაწაწინა ინფუზორია გამოეკიდება სხვას, რომ ის ჩაყლაპოს. რათა? იმიტომ, რომ თავის-დაცვა უნდა. სხვა ჭია რომ არ ჩაყლაპოს მშიერი მოკვდება. ეს კანონი ყველა ცხოველებში ერთი და იგივეა. თავის საფუძველში, მაგრამ სხვა და სხვა ცხოველებში სხვა და სხვა გვარათ იცვლება. ვნახოთ, კაცობრიობაში ამ კანონს როგორ უმოქმედნია... მრავალ გვაროვანი ცვლილება გამოუვლია კაცს, მანამდის იმას ამ მდგომარეობამდის მოუხწევია, რომელშიაც ჩვენ ეხლა იმასა ვხედავთ. როგორც კაცობრიობა იცვლებოდა, ისე ეს კანონიც, რომელზედაც ჩვენა გვაქვს ლაპარაკი. როცა კაცები ველურს მდგომარეობაში ყოფილან, მაშინ ერთმანეთი უჭამიათ მოხსენებულის კანონის ძალით. მერე მრავალის წელიწადების განმავლობაში, კაცის გონება გახსნილა, კაციჭამიობისათვის ხელი დაუნებებია, მაგრამ მაინც კიდევ კაციჭამიობა არ მოსპობილა, მაინც ერთმანეთი უჟლეტიათ, ომები და სისხლის ღვრა არ შეჩერებულა, თუმცა შესუსტებულა... გასულა კიდევ საუკუნოები. კაცი შესდგომია მიწის შემუშავებას. აი ეს არის ის უდიდესი ცვლილება, რომელიც შეჰმთხვევია ამ კანონს კაცობრიობის ისტორიულს მოძრაობაში. აქ ვხედავთ, რომ კაცის გონებაში მომხდარა დიდი ცვლილება. იმას დაუნახავს, რომ ერთმანეთის ჟლეტა არ გამოდგება, რომ აქ არამთუ თავის დაცვაა, არამედ თავის თავის მკვლელობაა. იმან დაინახა, რომ როგორც იმას უნდა სხვის მოკვლა, ისე სხვასაც უნდა იმისი მოკვლა. კაცმა სცნო, რომ თავის დაცვისთვის და ბედნიერებისათვის იმან სხვასთან მშვიდობიანათ უნდა იცხოვროს, რომ ის კაცს კი არ უნდა ებრძოლოს, არამედ ბ უ ნ ე ბ ა ს, რომ კაცში არ არის უ ა რ ყ ო ფ ა სხვის ბედნიერებისა და კეთილდღეობისა, რომ შეიძლება უფრო კარგათ იცხოვრონ, როდესაც ერთმანეთი ეყვარებათ. კაცმა დაინახა, რომ სიმდიდრე ბუნებაშია, რომ იმის მოპოვება შრომით შეიძლება და დაიწყო მიწის შემუშავება. მაგრამ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს კაცმა პირველათვე ცხადათ იგრძნო. ის მარტო ინსტიკტით გრძნობდა ამას, რადგან იმის გონება ღრმად ვერ ჩააკვირდებოდა იმ დიდის ცვლილების დასაწყის, რომელიც კაცობრიობაში მოხდა. ეს ცვლილება ჯერ არ გათავებულა. მრავალ წელიწადები გავა, შინამ კაცობრიობა ნათლათ დაინახავს, რომ ერთმანეთის ცარ-

ცვაში, ერთმანეთის ჩაგვრაში, ერთმანეთის ჩაყლაპაში და ჩანთქვაში არ არის ბედნიერების წყარო. ჯერ კაცობრიობა ვერ მიხვდა და დიდ-ხანაც ვერ მიხვდება, რომ ვინც სხვასა ჰყლაპავს, იმას სხვანიც ჩაჰ-ყლაპავენ. მაშასადამე ჩვენ ვხედავთ, რომ კაცობრიობას სრულებით არ ეყურება, რაში მდგომარეობს თავის-დაცვა. ერთი ხალხი მეო-რესა სცარცვავს, ატყავებს, თავისუფლებას, ენას და ხალხობას აკარ-გვინებს და ჰგონია, რომ ამით ის თავის ბუნებითს კანონს აღსრუ-ლებს. არა, ის მტერია თავის თავისა, ის თავის თავის მკვლელია. „ვითარითა საწყაულითა მიუწყობთ, ისეთივე საწყაულითა მოგეწყო-ბისთ“. ნუ თუ ეს თავის დაცვაა, რომ მე სხვები ჩავყლაპო და ბო-ლოს სხვას ჩავეყლაპინო? ასე მოუვათ უთუოთ მყლაპველებს. ისინი შეიქნებიან მსხვერპლნი თავის უგუნურებისა. ვინც არ აღსრუ-ლებს ბუნებითს კანონს, ის მკაცრათ დაისჯება ბუნებისაგან, და იმის სახსენებელიც აღარ დარჩება.— ქვეყანაზედ იყვნენ და არიან ორგვარ-ნი ხალხნი. ერთნი ეკუთვნიან მყლაპველებს და მეორეები ჩაყლაპუ-ლებს და ჩასაყლაპავებს. ერთნი არიან მგლები და მეორე ცხვრები. რაღაცა შავი ფიქრები შემოეხვევა კაცს, როცა წარმოიდგენს რამდე-ნი ჭაბუკი, სიცოცხლით სავსე ხალხი ჩაუყლაპავს სხვის გაუმაძღრო-ბას. საბერძნეთი, ის მშვენიერი საბერძნეთი, რომელიც სავსე იყო იმდენის ძალით და სიცოცხლით, რომელიც ასე მშვენივრად აყვავდე-ბოდა და რომლის ბადალი ხალხი ჯერ ჩვენს თვალს არ უნახავს მთელს კაცობრიობაში, ჩანთქო ჯერ მაკედონიამ და მერე რომის მოსის-ხლე და გაუმაძღარმა გულმა. ვაი დაკარგულო საბერძნეთო!. მაგ-რამ უფრო უარესათ ვაი იმათ, ვინც იმის მშვენიერი ყვავილი ასე უდროთ დააჭკნო. საბერძნეთი სამუდამოთ დარჩება და თქვენ, ჩამ-ყლაპელნო, სიცოცხლეშივე დალპით, ჩაიკუშენით, თქვენმა მუცელმა ვერ მოინელა ის, რაც ჩაყლაპა!! საბერძნეთმა თავის სიკვდილით უკვდავების გვირგვინი მოიპოვა, და თქვენ სიცოცხლეშივე ყველასა-გან მოძულებულნი ხართ და თქვენი სიკვდილიც არავინ დაინანა. ასე ძლიერია ბუნების კანონი!

ჩვენს დროს ისე ვერა მიიქცევს რა კაცის ყურადღებას, რო-გორც სხვა და სხვა დაჩაგრულის ხალხების დრტვინვა. აქამდის და ეხლაც ქვეყანაზედ სუფევს ძალადობა, უგუნური ბრმა ძალა. ნუ მოითხოვთ იმისაგან აზრს და სიმართლეს, რადგანაც ძალადობა და სიმართლე ერთი ერთმანეთს გამორიცხავენ, ე. ი. ერთმანეთს მტრო-ბენ და სრულიად ეწინააღმდეგებიან. დიდი ხანია, რაც ძალადობა და აზრი იბრძვიან ერთმანეთში, ბრძოლა თან და თან ძლიერდება. პროფეტებ პირველად აუტეხა ეს ბრძოლა ძალადობას და მან [illegible]

ის არ შეწყვეტილა, თუმცა სხვა და სხვა დროს ის ხან გაძლიერდებოდა და ხან ისევ შესუსტდებოდა. ყველამ იცის, რომ უგუნური ძალის სუფევა არ არის საუკუნო, იმას აქვს ბოლო. მხოლოდ ერთი აზრი და სიმართლე არ დაითურგუნება და მხოლოდ იმისი სუფევა არის უკვდავი და გონების ტაძარი შეურყეველი. დიახ, მე ვთქვი, რომ ჩვენს დროს საუკუნოებიდამ დაჩაგრულმა ხალხებმა წამოიწიეს და თავისი თავი სცნეს, იმათ მოძებნეს თავის დაკარგული სიმართლე, თავისუფლება და ხალხობა. რადგანაც, როგორცა ვსთქვით, ძალადობა სდევს სამართლეს, ამისთვის ასტყდა ბრძოლა, რომელიც ჯერ არ შეჩერებულა. ამ ბრძოლის დასასრული ჯერ არა სჩანს ამ ახლო შომავალში. ჯერ ჩამყლაპელები ძლიერნი არიან, მაგრამ ამასთან ესეც არის, რომ ხალხებმა ბევრი რამ მოიპოვეს, თუ სრულად არ მოუპოვებიათ თავისუფლება და ჯერ არ აღუდგენიათ თავისი დაცემული და მწასთან გასწორებული ხალხობა. ჩვენი ქვეყანა ისეა აგებული, რომ აქ უბრძოლოთ არ გარიგდება რა. კაცი მაშინ მოიპოვებს ბედნიერებას, როდესაც ის ებრძვის თავის დამჩაგვრელს ძალას. მარტო ბრძოლა და ღვაწლი დაადგავს ქაცს უკვდავების გვირგვინს. რათა? იმიტომ, რომ ის აღსრულებს სიცოცხლის დედა-კანონს, იმიტომ, რომ ის თავს-იცვავს, იმას არ უნდა, რომ ვისმე გაეჭელვინოს, იმას არ უნდა, რომ თავისი თავისუფლება, თავისი ენა, თავისი გრძნობა და აზრი სხვას მისცეს, ე. ი. სხვის გავლენას. კიდევ რათა? ამიტომ რომ თავისუფლების, გრძნობის, აზრის და ენის მიცემით ის თავის სიცოცხლეზედ ხელს იღებს და ამით არღვევს ზემოხსენებულს ბუნების კანონს. მაგრამ საკვირველი ის არის, როგორ დაჰკარგვენ ხოლმე, როგორც ეერძოობითი პირები, ისე ზოგიერთი ხალხები ყოველს არამთუ ადამიანურს, არამედ ცხოველურს გრძნობასაც? როგორ და რა სიხით შეიძლება ისე დაყრუვდეს და დაბრმავდეს კაცი, რომ თავის ბუნებითს მოთხოვნილებაებსაც აღარა გრძნობდეს და იმ კანონს, რომელიც ჩანერგილია არამთუ კაცში, არამედ უკანასკნელს ცხოველში? ყველგან, სადაც კი სიცოცხლე ფეთქავს, იქ ეს კანონიც მღვიძარებს. ის დასტრიალებს თავზედ და გაამახვილებს იმისი გონებას, განაცხოველებს იმის მოქმედებას. ერთის სიტყვით სიცოცხლის ნაკადით აღავსებს იმის ნერვებს და სისხლს! მაშ სჩანს, რომ კაცი ისე ღრმად და ისე დაბლა დაცემულა, რომ იმას უკანასკნელი ცხოველიც სჯობია, ისე იმ გვარად გარკინებულა, რომ იმას არც ტანჯვა და არც მწუხარება ესმის! მაშ რაღა ცხოვრებაა ეს ცხოვრება? სჯობს გაქვავდეს, მინამ იცოცხლოს და სიცოცხლისა კი არა ეეურებოდეს რა. სჯობს არა ცოცხლობდეს, მინამ დაკარგოს ის, რაც კაცის ბუნე-

ბას განამშვენიერებს. წარმოიდგინეთ კაცი, კაცი უაზროთ რა არის და წარმოიდგინეთ მასთან კაცი, რომელსაც ყოველი არამთუ ადამიანური, არამედ ყოველი ცხოველი აზრი დაუკარგავს, სხვისთვის მიუცია და ამას სრულებით არა გრძნობს. ოჰ, განაღა იქნება კაცის ბუნების დაცემა ასე მდაბლად?! წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც ენას სჭრიან, იმას ართმევენ სიამოვნებას, რომ ჩჩვილი ყმის ტიკტიკი გაიგონოს და იმის წრფელს გრძნობას დაუახლოვდეს, წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც სტანჯავენ, სისხლსა სწოვენ და ამასთან ის ყოვლად უგრძნობელია. ოჰ, ამაზედ მეტი გულის გაქვავებაღა გინახავთ?! რა სიცოცხლეა ის სიცოცხლე, როდესაც კაცი ყოვლად უგრძნობელია?! ყოვლად უგრძნობელობა მარტო უსულო საგნების თვისებაა. ახლა წარმოვიდგინოთ ზოგიერთის ხალხის ცხოვრება. ზოგიერთს ხალხს სწორეთ ამ მდგომარეობაში ვხედავთ, იმას დაუკარგავს ის, რაც მიუცილებელ კუთვნილებათ უნდა მიგვაჩნდეს და ამასთან ის ვერა გრძნობს ვერაფერს. რათა? იმისთვის რომ თავის თავს ვერა სცნობს. მაშ სჩანს რომ ხალხს, რამდენათაც შეუძლიან ამაღლდეს ცხოველებზედ თავისის გონიერებით, თავისუფლების და სიმართლის სიყვარულით, იმდენათაც შეუძლიან დაეცეს ყველა ცხოველზედ დაბლა. ამის დამტკიცებაებს ჩვენ ვხედავო კაცის სხეულზედ. ის წარმოგვიდგენს შრავალ გვარ გარჩევას. პირველი შეხედვით ნეგრს ვერ შეატყობთ, რომ ის ისეთივე კაცია, როგორიც ევროპიელი. ევროპიელის სახე მშვენიერია და ნიგრის სახე უფრო მაიმუნისას მიემგზავსება. კაცის სხეულის აგებულებაში ადვილათ შესაძლებელნი არიან დიდი და გასაოცარი ცვლილებანი. ბევრჯელ შეჰხვდებით, რომ მშვენიერს დაებადება მახინჯი, რომელიც სრულებით კაცის სახეს არ მოგაგონებთ. სწორეთ ესვე გაიმეორებ., კაცის სულიერის მხარე უფრო მომეტებულს ცვლილებას გამოიელის. ერთის მხრით თქვენ ჰხედავთ ნიუტონს, რომელიც მსოფლიო კანონებს გამოიკვლევს და თავის შეუმცდარის გონებით და გამოანგარიშებით სცნობს, რომ მხოლოდ ერთი მიმომზიდველი ძალა აბრუნებს აუარებელ ზეციურს მნათობებს და მეორე მხრით—ლოტტენტოტს, რომელმაც ათამდის ღათვლა არ იცის ერთის მხრით ჰხედავთ აყვავებულს და თავისუფალს რესპუბლიკებს, მდიდარს ყოველის ნიჭით, მდიდარს მაღალის აზრებით, რომელთაც თავის სიცოცხლეზედ უმეტესად უყვართ თავისი თავისუფლება, თავისი ენა, თავისი ხალხობა. და მეორეს მხრით ჰხედავ იმისს თანებს, რომელსაც არამ თუ ესენი დაუკარგავს, არამედ არცა გრძნობს და არცა სცნობს თავის თავს და ამით თავის არ მყოფობა გვიმტკიცებს. . . . . *)

*) ცენზორის მიერ ვრცლად არის ამოღებული.
რედ.

რათ ვხედავთ ზოგიერთს ხალხს, ზოგიერთს პირებს ასრე დაცემულს, რომ იმათ ყოველი ადამიანური დაუკარგავთ და სრულიად უგრძნობელნი გამხდარან? ამასა ჰქონია თავისი მიზეზები. ხალხი ან ყოფილა უნიჭო, ან მცირე და წინააღმდეგი ძალა მეტად ძლიერი და მომჯადოები, რომ შეუხლართავს ხალხი რაღაც მისნური ბადით და მძიმე ტყვიასავით დასწოლია იმის გონებას და არ აძლევს ნებას თავისუფლად ამოსუნთქვისაც. არ შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენი ხალხი უნიჭო იყოს. მაშასადმე დაგვრჩება მეორე მიზეზი. ამას გვიმტკიცებს თვით ჩვენი ისტორიაცა. თუ მკითხველს ახსოვს ჩემი სიცოცხლის ახსნა, ის, რასაკვირველია, მიჰხვდება, რას ჰნიშნავს თავისუფლების არ ქონა. სადაც თავისუფლება არ არის, იქ სიცოცხლე არ არის, რადგანაც სიცოცხლე ყოველს მოქმედებას თავისუფლად აღმოშობს თავის შინაგანის და არა გარეგანის ძალით. რომელს ხალხსაც სრული თავისუფლება არა ჰქონია, იმას თავის დღეში ვერა გაუკეთებია რა ქვეყნისათვის. მაგრამ რომელი ხალხიც მომეტებულად თავისუფალი ყოფილა, ის მომეტებულად განათლებული, ბედნიერი, სამართლიანი და მოსიყვარულე ყოფილა. მრავალი მაგალითები გვიმტკიცებენ ამას: საბერძნეთი, ჩრდილოეთის შეერთებული შტატები, ანგლია, შვეიცარია, და სხვ. რაც ძველს დროში ქვეყნიერებისათვის იყო საბერძნეთი, ის ანგლია ჩვენს დროში. რათა? იმიტომ, რომ, როგორც ბერძნის, ისე ანგლიელის ბუნებაში თავისუფლების სიყვარული ძევს. ამერიკელისთვის (რომელიც ანგლიის რასას, ტომს ეკუთვნის) თავისუფლება ის არის, რაც ეხლა ჩემთვის და შენთვის ჰაერი და პური. როგორც უჰაეროთ კაცი მოკვდება ისე თავისუფლების მოკლებით ამერიკელი მკვდარია, ამიტომ რომ ის მოკლებულია იმ ძალას, რომელიც ატრიალებს იმის სიცოცხლის ჩარხს ამერიკელსა აქვს მომდრეკი ბუნება, ამისი პიროვნება არ შეიწყნარებს ყოველს იმის თავისუფლების შემავიწროებელს ძალას. როგორც მცენარე ვერ აყვავდება უმზეოთ და უჰაეროთ, ისე ის ვერ გაიშლება წელში, თუ თავის თვალის წინ ვერ ჰხედავს გაშლილს თავისუფლებას, სადაც ყველა კაცი თავის თავის მეფეა და იმის პიროვნებას ვერა შემოზღუდავს რა. ამ ხალხს უყვარს ზღვა. რათა? იმიტომ რომ ჩაუდგავს იმას ყმაწვილობიდგანვე. რაღაც გარე შეუწერელს ძლიერებას, რომლის ზვირთებიც თავისუფლად მჩქეფარებენ. რადგანაც ზღვა თავისუფალი და დაუმონავებელია ამტომ იმას ეს უყვარს, რადგანაც იმისი ბუნებაც იმისთანავეა. ამიტომაც საბერძნეთის შემდეგ ჩვენ ვერა ვხედავთ იმისთანა თავისუფალს ხალხს, როგორიც ეს ხალხია. შეხედეთ ეხლა იმ ხალხს, რომელ-

საც თავის დღეში ზღვა არ უნახავს და მხოლოდ მობიბინე მწვანეს დაჰყურებს (როგორც ჩვენი ხალხი);ის ისეთვე მშვიდი, მიწყნარებული და მორჩილია, როგორც ცხვარი, ძროხა, რომლებიც თავის სიცოცხლეში სულ ბალახს დაჰყურებენ. მართლაც ყოვლისფერი გვიმტკიცებს, რომ მიწის მხვნელი კაცი მშვიდი და მორჩილია, ის ყოველთვის ძველს მისდევს და ახალი ვერა გაიტაცებს რა. იმას ყოველის ფერი წაართვით, ოღონდ ნუ მოუშლით ხვნა-თესვასა. თუნდა ჭირნახულიც წაართვით, ის კმაყოფილია ძროხასავით.

მაშასადამე თავისუფლება მიუცილებლად საჭიროა ხალხის წარმატებისათვის, ამიტომ რომ ეს შეადგენს იმის ბუნების მოთხოვნილებას და ყოველი გარდახდომა ბუნების კანონებისა დაისაჯება ხალხის დამახინჯებით და ბოლოს იმის განაცრებით.

ერთი კაცის ბუნების მოთხოვნილებათაგანი არის ბედნიერების ძებნა. ყველა კაცს ბედნიერება ჰსურს თავის თავისთვის და მუდამ იმას ელტვის, რომ კარგა იცხოვროს; მაგრამ რა რიგათ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს ეს წადილი და თითონ ცხოვრება! ეს მაკვირვებს, რომ კაცს ბედნიერად ჰსურს ცხოვრება და თვის საქმით კი უბედურათა სცხოვრობს. მაშინ, როდესაც კაცი ნეტარების წყაროს უნდა დასწაფებოდა, სიცოცხლეში ის იტანჯება, იბრძვის და მაინც ვერა გაუწყვია რა. მაგრამ ამ ტანჯვამ და მწუხარებამ მაინც ვერ დაუხშა კაცს ბედნიერების სურვილი. როდესაც დაინახა, რომ ეს სიცოცხლე სრულებით უკულმართად არის შექმნილი, იმან რაღაც ოცნებაებს მიჰყო ხელი და თავის თავში ააშენა ის ციხე-დარბაზები, რომლებიც სიცოცხლეში ვერა ნახა. ზოგი მთელს თავის სიცოცხლეში სასუფეველზედ ფიქრობს, ზოგი გამოიხატავს გონებაში მომავალს კაცობრიობის ბედნიერებას, ზოგი ბრამაში ჩაღრმავდება, ზოგი სულ იმას ნატრობს, რომ ელირსოს ელიას ეტლში ჩაჯდომა, ზოგი წარმოიდგენს მშვენიერს წალკოტს, ყოველის სურნელებით და ხეხილოვანებით სავსეს და მიეცემა მერე რაღაც იდუმალ გამოუკვლეველს ტკბილს ფიქრებს, პირს იტკბარუნებს, თითქო ეს არის ეხლა დაეწაფაო ნეტარებას, მინამ შეუბრალებელი ცხოვრება არ მოაგონებს რომ იმას ორ ი გროში არა აქვს პურის სასყიდელად—და ესე გაჰქრება ის მშვენიერი ჩვენება, რომელიც მწუხარების მეტს არას დაანჩნევს იმის გულს. აქედამ სჩანს, რომ კაცს მართლაცა აქვს ჩანერგილი ბუნებაში ბედნიერების ძებნა და ეს მოთხოვნილება ღრმა და ამოუფხვრელია. მაგრამ კაცობრიობა ჯერ იქამდის არ მისულა, რომ თავის მოთხოვნილებაები დააკმაყოფილოს. გაუნათლებლობის გამო ის ყოველთვის თავის ბუნებითი კანონების წინააღმდეგ მოქმედობს და

ამ სახით თავის თავსვე ჯოჯოხეთს უშენებს სამოთხის მაგივრად. აქამდის კაცი ძალიან ცოტას ფიქრობდა თავის მდგომარეობაზედ. იმას არ შეუხედია კრიტიკულის თვალით თავის ცხოვრებისთვის, და არ გამოუკვლევია, თუ რისგან წარმოსდგება, რომ კაცი მთელს თავის სიცოცხლეში ბედნიერებასა სდევს და უბედურებასა ჰპოვებს? ამასა აქვს ორი მიზეზი: კაცობრიობის ცხოვრება მეტად უგუნურად დაწყობილა, რადგანაც კაცს თითქმის სრულებით არა სცოდნიარა, და შემდეგ კაცი მისჩვევია ძველს ცხოვრებას და თავის უცოდინარობის გამო, ვერ მიჰხვედრია, რომ ეს ძველი იმისი დამღუპველია. ეს სიძველე ისე შეეთვისა კაცის ბუნებას, რომ მარტო გენიოსები განიცდიან თავისის გამჭრიახის თვალით ძველის ჩვეულებაების უსაფუძვლობას და თავისის მიუფერებელის ანალიზით წარმოადგენენ, რომ ეს ძველი ცრუ-რწმენებანი კაცის ბუნებას და იმის მოთხოვნილებაებს არ ეთანხმებიან. დიდი ხანი არ არის, რაც კაცმა იცვნეულის თვალით შეჰხედა თავის სიცოცხლეს, დიდი ხანი არ არის, რაც გატანჯულმა ჩჩვილმა გულმა იგრძნო კაცობრიობის ტანჯვა და მწუხარება და იტანჯა იმის ბედნიერებისათვის. ეს მოძრაობა დაიწყო მეთვრამეტე საუკუნეში (თუმცა ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ წინათაც არა ყოფილიყოს ეს ნოძრაობა, მაგრამ ის სუსტი იყო და მეთვრამეტე საუკუნეში კი ამ მოძრაობამ გარემოიცვა ჯერ ფრანცია და მერე მთელი ევროპა). გამოჩნდნენ კაცები, რომლებმაც მოიწადინეს ისეთი რამ ნოიგონონ, რომ კაცობრიობის ბედნიერება და სიკეთე მიანიჭონ. დიდი და აღტაცებული იყო იმათი წადილი. ზოგი იმათგანი დიდის თავგანწირულებით მიეცა ამ დიდს საქმეს და არაფერი დაიშურარა, რომ თავისი საყვარელი აზრი აღსრულებაში მოეყვანა. ჩვენ ვიცით ბევრი იმათგანი, რომელთაც თავი შესწირეს საზოგადო კეთილდღეობას და არ შეუშინდნენ არავითარს დაბრკოლებას.

ისინი სწორეთ ჯვარს ეცვნენ ქვეყვნისათვის და ქვეყანამ კი ვერა სცნა ვერც ისინი და ვერც ის ნათელი, რომელიც იმათ ქვეყნიერებას მოუტანეს. ქვეყნიერებამ, მეტად თავ-მძიმემ, მეტად მიუნდობელმა ყველა ახალის მოვლინებისადმი უარ-ჰყო ისინი და იმათი სწავლა უჭკოთ და შემცდარათ დასახა და თავის თავი მეტად ბრძნათ გამოიხატა. ისინი, მართალია, -გატაცებულნი იყვენენ თავისის იდეით და ადვილათ შეიძლებოდა, რომ თავის გატაცების დროს ისინი ილლიუზიაში ჩაცვივნილიყვნენ, მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ გაუტაცებლად ამ გვარის საქმის წარმოებაც არ შეიძლება და გატაცებაშიაც ისინი თავისის უმანკო ზნეობით და გონივრობით შეუდარებლად მაღლა იდგნენ მთელს საზოგადოებაზედ. იმათ ბევრი ისეთი ნათელი და

ჯან-მრთელი აზრი გამოთქვეს, რომელიც მრავალს საუკუნოებს იცოცხლებს და კაცობრიობის ბედნიერების საფუძველად შეიქმნება.

რამდენათაც ჩვენ დაშორებული ვართ ევროპაზედ სხვა მხრით, იმდენათ ამ საქმეშიაც დაშორებული ვართ. ჩვენში ჯერ ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ისინი სწორეთ ნეტარებენ და „სასუფეველთა ცათა“ იმათ აქვე იხილეს. ამაში ეჭვი არავისა აქვს. მაშ დეე, იოცნებონ ჩვენებმა; მერე ძილის სიზმრები საუკუნო ძილის სიზმრებათ გადაექცევათ!... რამდენათაც ჩვენში სხვა ბუნების მოთხოვნილებანი არიან დაყრუებულნი და ჩამქრალნი იმდენათ ეს მოთხოვნილება, რომელიც ყველაზედ მეტად ეთანხმება ჩვენს ბუნებას და ყველაზედ უმეტესად სასიამოვნოა კაცისთვის, დაყრუებულია და თითქმის ერთი იმისი ნაპერწკალიც არ ღვივის ჩვენს გულში. ახლა ეს უნდა ვიკითხოთ: რით და როგორ დაკმაყოფილდება ეს ჩვენი ბედნიერების წადილი? იპოვეს რამე იმისთანა, რომ რამდენათაც შეიძლება კაცი ბედნიერი გაჰხადონ? ჯერ საფუძველიანი ვერა უპოვიათ რა, მხოლოდ ერთი გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს გ ა რ დ ა. ამას ამბობენ ყველანი, ვინც ამ საქმეს კარგათ ჩაჰკვირვებიან. მხოლოდ განათლებას შეუძლიან შეუცვალოს იმათ აზრები, იმათი ბუნების და თავისუფლების შეუხებლათ და შეუვიწროებლათ. ბევრი ღონისძიება მოუგონებიათ კაცობრიობის გასაბედნიერებთად, მაგრამ იმათ უფრო კათოლიკური ხასიათი აქვთ. კათოლიკობას ძალიანა ჰსურს, რომ ყველას დაუმკვიდროს სასუფეველი. მაგრამ ამისთვის რას შვრება? იმას უნდა მოსპოს და გააქროს ყოველი წინწალი თავისუფალის მსჯელობისა და თავისუფალი რწმუნებისა. იმათი ცხონება უნდა. ამასთან თვით აზროვანებას და თვით რწმუნებას სდევნის. ისე კიდევ ბევრსა ჰსურდათ კაცობრიობის გამომხსნელად გამხდარიყვნენ, მოიგონეს ერთი რამ აზრი, რომელიც, იმათი ფიქრით, გააბედნიერებდა მთელს ქვეყანას და მერე გინდა თუ არ გინდაო ეს აზრი უნდა აასრულოო. ამ გვარი ხასიათი ჰქონდათ მომეტებულათ იმ აზრებს და თეორიებს, რომლებიც კაცობრიობას ბედნიერებას ჰპირდებოდნენ. იმ აზრებში მხოლოდ ის აზრი არის ცხოველი და გამოსადეგი ყოვლის მხრით, რომელიც ითხოვს ხალხის განათლებას, მხოლოდ ამ აზრის აღსრულება შეიძლება და მხოლოდ ამას შეუძლიან კაცობრიობის გაბედნიერებაც. ამისთვისაც ამ აზრს ადგენან მრავალნი.—ეხლა ითხოვენ, რომ რამდენათაც შეიძლება ხალხში ვრცლად მოიფინოს განათლება და ყოვლის ღონისძიებით ცდილობენ, რომ სახალხო შკოლები გაამრავლონ. მკითხველი არ დაივიწყებდა ნუჯერსის შტატის არხიეპისკოპოზის ღირსად-შესანიშნავს სიტყვას: „სახელმწიფო და აღზრდა“. ამ სტა-

ტიაში, რომელიც წარსულს წელს იყო დაბეჭდილი „დროებაში“ მე 26 №-ში, არხიეპისკოპოზი მშვენიერად ამტკიცებს სახალხო შკოლების მიუცილებელს საჭიროებას. მაგრამ აბა ერთი გადავხედოთ რამდენი ასი სახალხო შკოლა გვაქვს? რამდენი სასწავლებელი მოიძიება ჩვენში? ეს შკოლების სიცოტავე გვიმტკიცებს, რომ ჩვენ განათლებაზედ სრულებით არასა ვფიქრობთ და აქედამვე სჩანს, რამდენათ ვფიქრობთ ჩვენს ბედნიერებაზედ!

მაშ, თუ ეგრეა, რა მოგველის ჩვენ მომავალში? მკითხველო, ამის პასუხს მე ვერ მოგცემ, შენ თითონ განსაჯე. მაგრამ ვთხოვ მკითხველს ორიოდ სიტყვა კიდევ მოისმინოს. მე დამავიწყდა თავის დროზედ მეთქვა ეს აზრები, მაგრამ არა უშავსრა. ვიცი გულკეთილი მკითხველი აპატიებს ჩემს გამოუცდელობას. მე ვამტკიცებ სწავლის საჭიროებას და მინდა, რომ ჩემს სიტყვებს შესაფერი სისრულე ჰქონდეს. რა არის სწავლა? სწავლა არის ბუნების კანონების ცოდნა; სწავლა არის გამოკვლევა იმისი, თუ რა მიზეზებიდგან რა შედეგი წარმოსდგება; თუ რა კანონები ჰმართვენ სხვა და სხვა მოვლინებაებს. მაშასადამე, თუ კაცი ნამდვილათ ნასწავლი და განათლებულია იმან იცის (რამდენათაც ეხლა ამის ცოდნა შეიძლება) ბუნების კანონები; მაშასადამე იმასა აქვს ბუნების ცოდნა, და რადგანაც თითონაც ბუნების ნაწილს შეადგენს, იმას აქვს თვივის თავის ცნობაც. აქედამ სჩანს, რომ კარგათა სცნობს თავის სიცოცხლის კანონებს, და თავის მოთხოვნილებაებს—იმას უყვარს თავისუფლება, თავისი მამულიც (რადგანაც ეს თავის-დაცვას მიეწერება) და შეჰხარის ყოველს კეთილს, რასაც კი შეჰნიშნავს თავის გარეშემო. რათა? იმიტომ, რომ იმან ი ც ი ს, რომ სხვის ბედნიერება იმისი საკუთარს ბედნიერებას შეადგენს, რომ თუ მრავალნი ბედნიერები იქნებიან, ისიც ამათში უბედნიერესი იქნება და ამ სახით ამაღლდება იმ პათოსამდი, რომ ახ ნიუტონობას ან შექსპირობას და ან ოვენობას დაიწყებს, ის მიახწევს იმ ნათელს და მაღალ თავის-ცნობამდის, საიდგანაც დაინახავს პირველს მზის სხივებს, რომელიც მომავალში აღმოუბრწყინდება ახალს ქვეყნიერებას, სადაც გონებას, სიმართლეს და სიკეთეს დაუსუფევებია....

ქუთაისიდგან

(კორრესპონდენცია)

როგორც სწერდნენ გაზეთებში, ამ გაზაფხულს რუსეთში და სხვა ქვეყნებშიაც ძლიერი დიდ-წყლობა იყო; დიდი და პატარა მდინარეები გადვიდნენ ნაპირებიდამ და დიდი ზიანი მისცეს ადგილობრივ მცხოვრებთ. ამ მხრით ჩვენი რიონი ქვეყნების წყლებს უკან არ ჩამორჩა. საზოგადოდ ჩვენ შეჩვეულნი ვართ რიონის ხშირს გადიდებას: თითქმის ყოველ წლობით რამდენმეჯერ რიონი გადადის ხოლმე ნაპირებიდამ და დიდს ზარალს შვრება; მაგრამ ასეთი იმისი გადიდება და გადავლა, რომელიც ჩვენ ვნახეთ გასული თვის (ივნისის) 23 და კიდევ სამი წლის წინეთ, ქუთაისში ბევრს არ ახსოვს, რომ წინეთ ყოფილიყოს. საშინელი სანახავი იყო ეს მდინარე იმ დღეს: პატარა და დიდრონი ხეები ძირიანათ ამოგლეჯილები, ტივები, ფიცრები, ცოცხალი და დამხრჩვალი პირუტყვები გაუწყვეტლად მიცურავდნენ ქვეითკენ, თითქმის მთელი დღე. დიდი უბედურება ის იყო, რომ ეს წყალდიდობა მოხდა მრავლისათვის მეტს-მეტად ცუდ დროს. ღომი და სიმინდი, რომელნიც შეადგენენ უმთავრეს ხალხის საჩოს დასავლეთის საქართველოში, ესე იგი, იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში, ახალი ამოსული იყო მიწიდამ, პური ბევრს ადგილს აუღებელი, და რადგანაც საუკეთესო ყანები, ქუთაისიდამ დაწყებული ფოთამდის, სულ რიონის პირად არის და ეს ნაპირები დაბლობია, შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, ლა დიდი ზარალი მოიტანა რიონმა. ორპირის ახლო ადგილების რმნახველები ამბობდნენ, რომ იქ ყანების კვალიც არ სჩანსო; ახალამოსული სიმინდი და ღომი დაუკარგავს ღრმა ქვიშიანს ტალახს, რომელიც დიდ ხანს არ გაშრებაო. საწყალი სოფლელები დიდად დამწუხრებულნი შეჰყურებენ თავიანთ ფუჭად გავლილს ნაჭირნახულევს და არ იციან რა ჰქნანო: სიმინდის ხელმეორეთ დათესვა გვიან არის, ღომისა კი შეიძლება, მაგრამ ტალახი უშლის. ერთობ დიდი უბედურება იყო მცხოვრებლებისთვის რიონის გადავლა. თვით

ქუთაისში დიდი ზიანი არა უქნიარა რიონს; საკმაოდ აზარალა მხოლოდ ფერმა (სახელმწიფო ბაღი), რომელსაც ადრე იქნება თუ გვიან, რიონი სრულებითაც ფეხს აუდგამს; მაგრამ ამით დიდი არა დააკლდება რა ქუთაისს; ამისთვის, რომ სასეირნო ადგილები უამისოთაც ბევრი აქვს ქუთაისელებს: მთელი ქუთაისი ბაღებში დგას; ქუთაისს აქვს ბულვარი. ამ მხრით ფერმას სრულებით არა აქვს იმისთვის ისეთი მნიშვნელობა, როგორიც აქვს, მაგალითებრ, ალექსანდროვის ბაღს და მუშტაიდს ტფილისისათვის. ტფილისში, რომ ეს საზოგადო სასეირნო ბაღები არ იყოს დიდათ საგრძნობელი და შემაწუხებელი იქნება მცხოვრებლებისთვის იქაური ხმელი, მტვრიანი ჰავა. უფრო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქუთაისის ფერმას იმ მხრით, რომ ის არის გაკეთებული გასავრცელებლად ამ მხარეში რიგიანი ბაღის კეთებისა, ვენახის და სხვა სასარგებლო მცენარეების კეთებისა და მოვლისა; მაგრამ აი რამდენი ხანია არსებობს ფერმა და იმისგან არავის არა უსწავლია რა. მებაღეების სასწავლებელს, რომელიც ვითომც არსებობს ფერმაში, შეადგენენ ათი თორმეტიოდე ყმაწვილები, რომელნიც სწავლობენ ქართულად და რუსულად წერას და კითხვას, და მებაღეობა კი, ვგონებთ, მათ ეცოდინებათ თავის დროზე არა უკეთესად სოფლის მებაღეებზე. იმათზე უკეთესად ეცოდინებათ მხოლოდ კეთება ყვავილებისა და თაიგულებისა, რომელნიც ასე საჭირონი არიან მანდილოსნების ყნოსვის დასატკბობლად. მარცლა და ყვავილები და თაიგულები (ბუკეტები) ბევრი კეთდება ფერმაში. მაგრამ ანდაზათ ნათქვამია: თამაშობა სანთლად არა ღირს. ფერმა მისი ყვავილებით და თაიგულებით არა ღირს იმ ხარჯათ, რაც იმაზე გადის...

თუ ბოლო დროს უწინდელ დროზე უფრო გახშირდა და გაძლიერდა რიონის უცებ გადიდება და გადავლა, ალბათ უნდა იყოს რამე განსაკუთრებითი ამისი მიზეზი, რომელიც წინ არ ყოფილა. ორი მიზეზისაგან მოხდება წყლის გადიდება: თოვლის დადნობისაგან და წვიმებისაგან. თოვლისგან გადიდებული წყალი არ არის ეგრე რიგათ მავნებელი ჩვენში, ამიტომ რომ თოვლის ლანქერი არის ხოლმე გაზაფხულს, იმ დროს, როცა სიმინდი და ღომი ჯერ ნაკლებათ არის დათესილი, ან არა და ამოსული არ არის, უფრო მაზარალებელია წყალდიდობა წვიმებისგან— მაისიდამ დაწყებული ნოემბრამდის. ახლანდელი რიონის გადავლა და სამი წლის წინათაც, სექტემბერში, მოხდა წვიმებისგან. მაგრამ წვიმები, ძველად, როდესაც ჩვენი ქვეყანა უფრო ტყიანი და ჭაობიანი იყო, უფრო ეცოდინებოდა, მინამ ახლა; იმ კი არა რიონი ახლა უფრო ხშირად და ძლიე-

რად დიდდება და რლვნის არე მარეს, მინამ წინათ. რით უნდა აიხსნას ესა? ამბობენ, რომ ამის მიზეზი არისო გაოხრება და მოსპობა ტყეებისა იმ მთა-გორებში, რომლებს შუა მომდინარეობს ზემო ნაწილი რიონისა და საიდამაც ერთვიან მას სხვადასხვა წყლები. მართლაც და თუ წარმოვიდგენთ ერთი მხრით იმას, რა გავლენა აქვს ყოველ მხარეში ტყიან მთებს წვიმის და წყლების სიმრავლეზე, მეორე მხრით შევხედავთ იმას, რანაირათ გააოხრეს და აოხრებენ ტყეებს ჩვენ ქვეყანაში, —ადვილად მივხვდებით, რომ ზემო ნათქვამი მიზეზი რიონის უებრი და უცები წყალდიდობისა საფუძვლიანია. ტყეს აქვს ბევრი სინოტიე; ამასთანავე ტყიანი მთები იჭერენ ღრუბლებს და, ამ სახით აძლევენ ქვეყანას წვიმას; ტყე იჭერს მთაზე ნიაღვარს და უშლის ერთბაშათ წყლების მოვარდნას და გადავლას დაბლობ ადგილებში. შეკავებული ტყისაგან წვიმის წალი ჩადის და გროვდება მიწაში, საიდამაც გორების ხეობაებში და გვერდობაებში გამოჩხრიალებს წყაროებად და რუებად. ამის გამო იმ ქვეყნებში, სადაც მთაგორები შემოსილნი არიან ტყეებით, ბევრი წყაროები და მდინარეებია; იქ საკმაოდ მოდის წვიმა, გვალვა იშვიათია და დიდხანს არ გასწევს. რასაკვირველია, ამასთანავე ბევრი დამოკიდებულია იმაზე, ახლოა თუ შორს ზღვა ამ ქვეყანაზე და საიდამ უმეტეს ნაწილად ქრის ქარი. სრულიად ამის წინააღმდეგს ვხედავთ იმ მხარეებში, სადაც მთები გატიტვლებულია, უტყეოა. იქ ხშირია გვალვა; წყლები ნაკლებათ არის და რომელნიც არიან, ის თვისება სჭირსთ, რომ უცებ, პატარა წვიმისგან, მოვარდებიან, გადივლიან და აოხრებენ არე-მარეს, რადგანაც წვიმის დროს არაფერი იჭერს მთებზედ ნიაღვარს, რომელიც ყოველ მხარით რეცხს გორას, თან მიაქვს ნაყოფიერი ზედაპირი მიწისა და თავისუფლად მიგრიალებს დაბლობში. ამისთვის მართალს ამბობენ ისინი, რომელნიც რიონის ჩქარს მოვარდნას და გადავლას მიეწერენ ტყეების აოხრებას; ამიტომ, რომ ეს მეტად ცხადი ფაქტია, რომ ტყეები, როგორც რიონის არემარეებში, ეგრეთვე საზოგადოთ ყოველგან ჩვენში მეტად გააოხრეს, და ახლაც უთავბოლოთ სჭრიან და ბოლოს ულებენ. ეს ფაქტი ყოველს შემთხვევაში ღირს ამათ, რომ იმაზე ყურადღება მივაქციოთ.

წინათ, დიდი ხანი არ გასულა, რაც მთელი დასავლეთის საქართველო დაფარული იყო ტყეებითა, რომლებშიაც იშოვებოდა ყოველგვარი შენობების ხეები: მუხა, წაბლი, ძელქვა, ცაცხვი, მაღალ ადგილებზე ფიჭვი და ნაძვი და სხ. ახლაც, როცა მაღალი მთიდამ დაჰყურებ ამ ქვეყანას გგონია, რომ ტყით არის შემოსილი. მართლა კი რას ეჭედავთ? მთელს იმერეთში (შორი, შეუვალი ხევობაების გარდა)

ერთიღაა რიგიანი ტყე—აჯამეთისა. ტყეები სხვებიც ბევრია, მაგრამ როგორი ტყეები? ისეთები, რომლებშიაც ხეები ვარგან ან მხოლოდ შეშად, საფიცრო ხეები კი იშვიათად იპოვება. ქუთაისში შენობისთვის სავარგისი, კარგი მუხის და წაბლის ხეები მოაქვსთ მხოლოდ აჯამეთიდამ, ფიქვს და ნაძვს კი ზიდავენ ზემო რაჭიდამ, ხანის და ზეკარის ხეობიდამ და ლიხეთ-ახალციხის მთებიდამ. დიდი წაბლნარის და მუხნარის ადგილას, რომელიც თხუთმეტ-ოც წლის წინათ ქუთაისიდამ დაწყებული გასწევდა ხონისკენ და უწევდა გუბის წყლამდის, ახლა ვხედავთ დამახინჯებულს ჯაგნარს, რომელშიაც რიგიანი შეშაც არ იშოვება. სადღაა ახლა ის დიდ ძალი ტყე, რომელიც ორპირიდამ დაწყებული ორივე რიონის პირზე, მეტადრე გურიის მხრით, მიდიოდა ზღვამდის? ოცი წლის წინათ მშვენიერი რამე იყო ეს ტყე; ახლა ის შესდგება, უმეტეს ნაწილად, მრუდე, უსწორმასწორი კოპიტის (იფნის), თხმელას (მურყანი) და ცხემლის (რცხილა) ხეებისგან, რომელნიც გამოსადეგი არიან მხოლოდ შეშად; წაბლის და მუხის დიდი და სწორე ხეები, გამოსადეგი შენობისათვის, ძვირად იპოვება ახლა იმაში. იფიქრებს კაცი, რომ ტყეების მოწყვეტას ერთი კარგი შედეგი მაინც ექნებოდაო, სინოტიე იკლებდა და ჰავა გაიწმინდებოდა და უფრო მრთელი შეიქნებოდაო. მავრამ ესეც არ ითქმის შესახებ ყველა ამისთანა ადგილებისა. მაგალითებრ, რიონის დაყოლებაზე, გურიაშიც და სამეგრელოშიც, ისეთივე საძაგელი ხაშმიანი ჰავა არის და იგივე ხშირი ცივებ-ცხელება ზაფხულში, როგორც ძველად ყოფილა; ამისთვის, რომ ტბები, ჭაობები, ნოლები ისევ ისე დგანან იმ გაფუჭებულ ტყეებში, როგორც წინათ ყოფილა; არავის არ უმეცადინია, რომ თხრილები გაეყვნა და ეს ხაშმიანი წყლები გაეშრო. სხვა-და-სხვა ევროპის ქვეყნებში ახლა დიდი ყურადღებაა მიქცეული ტყეებზე; არა თუ უთავბოლოდ არ აფუჭებენ ტყეს, არამედ ცდილობენ, სადაც არ არის ტყე, ახლად გააშენონ. დრო არის, რომ ჩვენშიც მიაქციონ ყურადღება და მოსპონ უანგარიშო ტყის გაოხრება, თორემ ცუდი შედეგი მოჰყვება ამისთანა უანგარიშობას; დიდი გასაჭირი მოელის ჩვენს ქვეყანას მომავალში, როგორც ვსთქვი, იმერეთში დღესაც გრძნობენ ტყის ნაკლებობას; ახლაც ეჭირთ შენობათათვის სავარგისი ხეების და ფიცრების შოვნა, მაგრამ, თუ ასეთი წინდაუხედავი ტყის კაფვა არ შესწყდა, ახლოა ის დრო, როდესაც შეშა შამოგვაკლდება. ქუთაისში ექვსი უკანასკნელი წლების განმავლობაში იმერული საჟენის ფასმა აიწია ოთხი მანეთიდამ 11—12 მანეთამდე,—ეს ფაქტია. ეს ერთი ცუდი შედეგი, რომელიც მოსდევს ტყის მოსპობას; მაგრამ ნუ დავივიწყებთ

მეორე უცუდესს მხარეს. მე ზემოთ ვსთქვი, რა მნიშვნელობა აქვს ტყიან მთებს წვიმის მოყვანაზე, საზოგადოთ წყლის სიმრავლეზე და მიწის ნაყოფიერებაზედაც. იმერეთში დღესაც ბევრს ვხედავთ ჩვენ მთა გორებს, რომლებიც ერთხელ დიდად ნაყოფიერნი ყოფილან, მაგრამ, როდესაც გაუგებლობას და წინადაუხედაობას მოუსპია იმათზე ტყე, და წვიმის ნიაღვარს თავის მხრით, მოურეცხია, მოუშორებია და წაუღია ნიადაგისაგან ნაყოფიერი მიწა, ეს მაღალი ბორცვები და სერები დამსგავსებია ქართლის გატიტვლებულს და უნაყოფო გორებს. როდესაც შევყურებ ამ მთებს, ცხადათ ვხედავთ, რომ თუ ახლანდელი უთავბოლო კაფვა, წვა და დაგვა ტყეებისა გორებზე არ მოისპო, შორს არ არის ის დრო, როდესაც ყველა ჩვენი ამწვანებული და ნაყოფიერი მაღალი ადგილები დაემსგავსებიან იმ დამწვარ-დადაგულს უნაყოფო გორებს. ნუ დავივიწყებთ კი, რომ დიდ ძალი ნაწილი სახნავ-სათესავისა ჩვენში შესდგება მთა გორებთაგან; როდესაც მთებზე ტყეები მოისპობა, ამას მოჰყვევა წყლების დაკლება, ზოგიერთის დაშრობაც, ამას მოჰყვება ხშირი გვალვა, რომელიც დასავლეთის საქართველოსთვის უფრო საგრძნობელი და მავნებელი იქნება, მინამ, მაგალითებრ, ქართლისათვის; ამისთვის, რომ იქ, ქართლში, მორწყვა უფრო ადვილია, ვიდრე ჩვენში, სადაც უმეტეს ნაწილს სახნავ-სათესს ისეთი მდებარეობა აქვს, რომ ჩვეულებრივი, ადვილი საშუალებით მორწყვა მათი არ შეიძლება და სანამდის ჩვენში ისწავლიან ხერხიანი და დახელოვნებული საშვალებით მორწყვას, მანამდის კარგი დრო გავა...

საშუალო აზიაში მოგზაურობა

თხზულება არმინი ვამბერისა, თარგმნილი ინგლიური ენიდგან რუსულად, 1865 წ.

1865 წელს, რუსულს ენაზე დაიბეჭდა ერთი ვენგრიელის მოგზაურობა შუაგულს აზიაში. იმას რომ ადგილები აუწერია და შემოუვლია, ჯერ იმ ადგილებზე არც ერთს ევროპიელს ფეხი არ დაუდგამს. ვამბერი, პატარაობიდანვე გაზრდილი მაღლად განათლებულს ევროპის საზოგადოებაში, დაუტევებს ნათელს ცხოვრებას, ჩაიცვამს დაკონკილს გლახაკის ტანსაცმელს, ფეხ-შიშველა და ტალახ-შემხმარი წვივებითა დაივლის იმისთანა ადგილებს, სადაც მგზავრობა თვითონ იქაურს კაცსაც ძალიან ეძნელება. მთელ თავის მოგზაურობაში ვამბერი დადიოდა უბინაოდ და არც ერთი სანდო კაცი არ ასჩენია. რომ ერთი ნაბიჯი მრუდეთ გადაედგა და ან რომ ერთი სიტყვა წინდაუხედავათ წამოეთქვა, ის იმავ წამს დაიღუპებოდა; ღმერთი რომ გასწყრომოდა და ის ევროპიელად ვისმე ეცნო, მეორე წამს ცოცხალი აღარ დარჩებოდა. ნეტავ რისთვის ითმინა ვამბერიმ მთელი ერთი წლის განმავლობაში აუტანელი შიმშილი, წყურვილი, უბინაობა და შიშის გამო ნიადაგ თმის აბუძგება? ამ კითხვაზედ თვითონ მგზავრი აი რას გვეუბნება:—„ვენგრიაში რომ მდინარე დუნაი ჩასდის, იქ რამოდენიმე კუნძულებია. ამ კუნძულებში ერთი ყველაზედ უფრო დიდია. ამ უდიდესს კუნძულზედ რომ პატარა ქალაქია, მე იქა ვარ დაბადებული. სალინგვისტო მეცნიერების სწავლა პატარაობიდგანვე მქონდა გულში ჩავარდნილი და ამის გამო ადრიდგანვე დავიწყე ევროპის და აზიის ცვლილ-ენების (наречия) სწავლა. რათ უნდა იყოს გასაკვირველი, რომ განსაკუთრებითი ყურადღება ჩემ სამშობლოს ენის თვისებას მივაქციე. ყველამ იცის, რომ ვენგრიული ენა ალტაიური ტომის ენებს ეკუთვნის, მაგრამ აქამომდე კი არავინ იცის ტომში ის რომელს შტოს მიეწერება:—ფინნურსა თუ თათრულსა? ამის გამოძიება ჩვენ ვენგრიელებისთვის მეტად სასურველია მეცნიერების მხრითაც და კიდევ უფრო ნაციონალური შეხედულობით. ამ მიზე-

ზებისა გამო განვიზრახე გამგზავრებულ ვიყავ აზიისკენ და ადგილობრივ შემეკრიბა ეს ცნობები...“

ვინც კაცობრიობის სწავლას უმატებს, იმისი სახელი უკვდავად რჩება და ნიადაგ გადიცემა ხოლმე შთამომავლობიდგან შთამომავლობაში. ამ გვარი სახელის დამკვიდრება ვის არ განამხნევებს დიდი ღვაწლის მოსატანად?... მაგრამ ნაციონალური გრძნობა, რომელიც კაცს გულში ჩაუნერგავს შრომის სურვილსა თავის სამშობლოს საკეთილდღეოთ—ეს გრძნობა კიდევ მეტად წააქეზებს ხოლმე ყოველს ევროპელს მემამულეს თავის ქვეყნის წარსამატებლად.

ნაცია, ანუ ერთი ტომის ხალხი ეწოდება იმ ნაწილს კაცობრიობისას, რომელიც ცხოვრებს ერთს რომელსამე მხარეში დედა-მიწის ზურგზე. ის იმყოფება რამოდენიმე ათასი წლობით ერთსა და იმავე ბუნების გავლენაში. ამის გამო იმას მიუღია შესაფერი აგებულება, ჭკუა-გონება და შეუძენია ამ ჭკუა-გონების გამომთქმელი თავისებური ენა. ამას აქვს ორგვარი თვისება: შინაგანი, რომელიც ჩამჯდარია ამ ტომის თითოეული კაცების შინა-აგებულებაში და ჭკუა-გონებაში; გარეგანი, რომელიც რამოდენათმე აჩვენებს შინაგანს თვისებასა და შეიცავს ამ ხალხის თითოეულს პირის სახესა, ტანის მოყვანილობას და სიტყვიერებას, ან სწორედ ვთქვათ, ხალხის ენას. ეს თვისებები არიან მიუცილებელნი, ურომლებოთაც ხალხის თვითარსი ცხოვრება შესაძლებელი არ არის. წაართვი იმას ერთი ზემოხსენებული თვისებათაგანი და ის ხალხი ან სულ გადაგვარდება და ან მოკვდება. ვიტყვით მაგალითს: ბულბული თავისებურად ჰგალობს. ძალა დაატანე, რომ თავისებურად აღარ ისტვინოს და ნუ მოეშვები მინამ ყორანსავით ჩხავილი არ დაიწყოს. მაშინ მიუცილებლად ეს უნდა მოხდეს: ბულბული ვერ გაუძლებს ძალდატანებასა და სული ამოხდება. ხალხიც აგრეა. მინამ იმას თავისი განუშორებელი თვისება აქვს, ესე იგი, თავისი ტანის მოყვანილობა, სახე, ენა და ჭკუა-გონება, მინამ ამ ხალხსაც თავისი სახელი ეწოდება და აქვს თვითარსი ცხოვრება. მაგრამ თუ ამ ხალხს ერთი თავის უდიდესი თვისებათაგანი მოაკლდა, ის გადაგვარდება და პირვანდელი ხალხისა არა დარჩება რა. რადგან ყოველი ჩვენთაგანი ცდილობს, რაც შეიძლება, დიდხანს იცოცხლოს და რადგან კაცის ბუნებაა, რომ სიკვდილი ძალიან ეჯავრება, ამის გამო ყოველი კაციც უნდა ცდილობდეს თავის ხალხის კეთილ-წარმატებასა, ესე იგი იმან უნდა გაამჯობინოს და განაძრიელოს ამ ხალხის მიუცილებელი თვისება... ეს აზრი ძალიან კარგათ ესმისთ ევროპის განათლებულს ხალხებსა; ამის გამო ვინც უნდა იყოს თუნდ ანგლიელი, თუნდ ფრანციელი, თუნდ ამერიკელი,

თუნდ იტალიელი და ან ვენგრიელი,—ყველა იმასა ცდილობს, რომ თავის სამშობლოს რითიმე გამოადგეს; ყველას თავის ხალხობით მოსწონს თავი. თუ ხალხი კეთილ-მდგომარეობაშია, მაშინ თითონაც მხიარულად და გულმაგრად არის, თუ ამ ხალხს უბედურება შეემთხვა რამე, მაშინ თითოეული მემამულეც სტირის და ცდილობს შეუმციროს თავის სამშობლოსა ცოდვა-ნაკითხი უბედურება..... *) აი თუნდა თვითონ ვამბერი მოვიყვანოდ მაგალითად. იმას ყმაწვილობიდგანვე შეზრდია მამულის სიყვარული და ამ სიყვარულს ასეთ რიგათ გაუტაცნია, რომ თავის სამშობლო ენის გამოსაძიებლად თავისი თავი თითქმის შეუწირავს, ამისთვის რომ იმან კარგათ იცოდა, რომ მხეცი ხალხი ცოცხალს არ გამოუშვებდა, თუ რომ ის ევროპელად ეცნო ვისმე....

ვამბერიმ რამოდენიმე ხანი დაჰყო ოსმალეთში და, როგორც თვითონ ამბობს, ხშირად დადიოდა ოსმალების შკოლებში მახმადის სარწმუნოების წესის სასწავლელად. იმას მიუცილებელი ზედმიწევნით უნდა ესწავლა საღმრთო წერილი და მიეღო ეფენდის (მღვდლის) სახე, რომ ამ საშუალებით თავისი გვაროვნება და განზრახვა მხეც ხალხში დაემალა. „ოსმალების ოჯახებში რამოდენიმე წელი გავატარე—იტყვის ვამბერი,—ხშირად დავდიოდი ისლამის შკოლებში (მედრესებში), წიგნის სავაჭრო დუქნებში, სადაც ვკითხულობდი მახმადიანურს წიგნებსა და ზოგს კიდეც ვყიდულობდი. მახმადის სარწმუნოება იმდენათ შევიგენი და იმდენათ შევითვისე ოსმალების წესი და ჩვეულება, რომ, ვინც მნახავდა, ყველას ეფენდი ვეგონე. რადგან საშუალო აზიაში მოგზაურობას ვაპირებდი, მიუცილებლად საჭირო იყო, რომ ეფენდის სახე მიმეღო და ისე მემგზავრნა.“ **)

---

*) ცენზორის მიერ არის ამოღებული.
რედ.

**) იხ. სარედაქციო შენიშვნა.

თვითმოქმედება

სამუელ სმაილსის თხზულებიდგან გადმოკეთებული

თ ა ვ ი I

თვითმოქმედება არის საფუძველი ნამდვილი გონების გახსნისა. ხალხისთვის ეს არის ჭეშმარიტი წყარო ნაციონალური მხნეობისა და ძლიერებისა. გარეგანი შემწეობა კაცს უფრო დაასუსტებს; მაშინ როდესაც შემწეობა, დამყარებული შინაგანს ძალაზედ, განაძლიერებს იმას. ეს იმით აიხსნება, რომ როდესაც კაცს ეძლევა გარეგანი შემწეობა, ის აღარ იმოქმედებს თავის საკუთარის სარგებლობისათვის და როდესაც კაცი იმყოფება სხვის გავლენის ქვეშ, მაშინ ის შეიქნება უძლური.

რაც უნდა კარგი დაწყობილება იყოს, ის მაინც ვერ მისცემს კაცს ნამდვილს შემწეობას. ყველაზედ უკეთესი სახელმწიფოს დაწყობილება ის არის, რომელიც მომეტებულს თავისუფლებას აძლევს კაცს თავის განათლებისათვის და შეაძლებინებს იმას, რომ თვითონვე გააუმჯობესოს თავისი პირადი მდგომარეობა. მაგრამ ხალხი კი ყოველთვის დაჯერებული იყო და არის, რომ იმათი ბედნიერება სახელმწიფოების დაწყობილებაზედ არის დამოკიდებული და არა თავის საკუთარს ყოფა-ცხოვრებაზედ. ეს უსაფუძვლო აზრი შეიქნა მიზეზათ, რომ სჯულთდების მნიშვნელობა ასე რიგათ გაადიდეს და საზოგადო პროგრესიც იმის გავლენას მიაწერეს. ეხლა კი ზოგიერთმა პირებმა სცნეს ის ჭეშმარიტება, რომ სჯულმა კერძოობითს მოქმედებას უნდა უჩვენოს მარტო საზღვარი, და თითონ არას დროს არ უნდა იმოქმედოს. ერთის სიტყვით მმართებლობამ მარტო უნდა დაიცვას: სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება. ამისათვის ანგლიაში ამ 50 წლის განმავლობაში უმთავრესნი ცვლილებანი იმაში მდგომარეობდნენ, რომ უწინდელი დაწესებულებაების ძალა გააუქმეს; ამისათვის, რომ არ არის იმისთანა სჯული, რომელმაც შეიძლოს უსაქმო კაცი შრომისმოყვარეთ გახადოს, ფულების მფანტველს ას-

წავლოს ფულის შენახვა და გარყვნილ კაცს პატიოსნება და თავის შეკავება ჩააგონოს და მიაღებინოს. ამ თვისებაების მოპოვება კაცს შეუძლიან მხოლოდ თავისის საკუთარის ნიჭის ხმარებით და ვარჯიშობით, მხოლოდ თავისის ბეჯითი და დაუდგრომელი პატიოსანი მოქმედებით. გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ სახელმწიფოს ღირსება და ძალა დამოკიდებულია თვითოეული პირების თვისებაზედ და არა სახელმწიფოს დაწყობილობაზედ, რადგანაც ხალხი შესდგება ცალკე პირებისაგან და ცივილიზაციის დანიშნულება ამ პირების განათლებაში და წარმატებაში მდგომარეობს.

სახალხო პროგრესი თვითოეული პირების პატიოსნებაში, მხნეობაში და შრომის მოყვარეობაში მდგომარეობს, და ნაციონალური უძლურება არის შედეგი ამ კერძო პირების სიზარმაცისა, თვით-მოყვარეობისა და ბიწიერებისა. ის საზოგადო მოვლენები, რომლებსაც ჩვენ ვკიცხავთ და ვეძახით უდიდესს საზოგადო წყლულს, ხშირად ჩვენი საკუთარი ურიგო ცხოვრებიდან წარმოსდგებიან და რამდენიც უნდა ვეცადნეთ, რომ სჯულის შემწეობით ისინი მოვსპოთ, მაინც კიდევ ეს უბედურობანი გამოიჩენენ თავს ახალი ძალით, უკეთუ თვით ჩვენი ცხოვრება და ხასიათი თავის საფუძველში სრულიად არ გამოიცვლება. თუ ამ შეხედულებას მივიღებთ, მაშინ პირდაპირი ამის შედეგი ის იქნება, რომ მამულის-მოყვარეობა და კაცთ-მოყვარეობა დამყარდება ხალხში უფრო კერძო პირების თავისუფალი და დამოუკიდებული მოქმედებით, რომელსაც მიზნად ექნება თავისი სიცოცხლის გაუმჯობესობა და გონების წარმატება. და არა სჯულის გამოცვლით და სახელმწიფო დანწყობილების გაუმჯობესობით.

ყოველი ხალხის მმართველობა არის გამომხატველი კერძო პირებისა. უკეთუ მმართველობა თავის აზრებით და მიმართულებით ხალხზედ მაღლა სდგას, ის მიუცილებლად ფრთებს დაუშვებს და გაუსწორდება მთელს ხალხს, და თუ ხალხს უკან ჩამორჩა, ის იძულებული იქნება წინ წავიდეს და დროების მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. საზოგადო ხალხის ხასიათი გამოიხატება იმის მმართებლობაში და სჯულთდებაში. კეთილშობილს ხალხს პატიოსნად მმართავენ და განაგებენ, ხოლო ურწმუნო და წამხდარს—ამის წინააღმდეგ. თვითოეული ხალხის თავისუფლება დამოკიდებულია იმის პოლიტიკურზედ და ზნეობითს ხასიათზედ. ის არის კერძო პირების მხნეობის, ნიჭიერების და გამრჯელობის შედეგი.

გარეგანს კაცის მმართვას მცირედი მნიშვნელობა აქვს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორ მიჰყავს კაცს თავისი თავი და თავისი მოქმედება. სწორეთ რომ ვსთქვათ, მონა იმას

კი არ დაეძახება, რომელიც სხვის ბარბაროსობას ითმენს, მონა ის. არის, რომელსაც ვერ დაუძლევია თავისი საკუთარი უმეცრება, რომელიც. ვერ შეჰბმია თავის ბიწიერს მიდრეკილებას, ვნებას,—და სხვადასხვა ქვეყნებში ყოფილან და ეხლაც არიან იმისთანა მამულის-მოყვარენი (პატრიოტები) რომლებიც მტარვალის მოკვლას თავისუფლებისათვის დიდ საქმედ რაცხვენ, მაგრამ ამათ ავიწყდებათ, რომ ეს მტარვალი არის სულიერი წარმომადგენელი იმ მილიონ პირებისა, რომლებზედაც ის სუფევს. ის ხალხი, რომლის ხასიათიც არის პირუტყვობა, მონობა და ქედ-მოხრილობა, თავის დღეში თავისუფლებას ვერ მიიღებს, თუნდ ათასჯერ გამოცვალეთ იმის მმართველი და სრული ცვლილება მოახდინეთ იმის ქვეყნის დაწყობილებაში; და ვინემდის ის ცრუ აზრი არსებობს, რომ თავისუფლება მმართველობაზედ არის დამოკიდებული, მანამდის არავითარს რეფორმას მკვიდრი და პრაკტიკული შედეგი არ ექნება, თუ გინდ თითონ რეფორმა საუკეთესო იყოს. თავისუფლების მკვიდრი საფუძველი კერძო პირების ხასიათზე უნდა იყოს დამყარებული.

ამაზედ არის დამოკიდებული ნაციონალური პროგრესი (წარმატება). აი რა შეადგენს ანგლიის თავისუფლების ძალას. ანგლიელებმა იციან, რომ ისინი არიან თავისუფალნი არამთუ მარტო იმისთვის, რომ ისინი ცხოვრობენ თავისუფალის დაწესებულების მფარველობის ქვეშ, არამედ იმისთვისაც, რომ ყოველს წევრს საზოგადოებისას კარგათ ესმის თუ რა არის თავისუფლება; ამის გამო ისინი იცავენ თავის ხთავისუფლებას და ხმარობენ აზრის გამოთქმაშიაც. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ისინი ამ თავისუფლებას გამოხატავენ თავის ცხოვრებით და ენერგიული მოქმედებით, რომელიც შეჰფერის თავისუფალს ხალხსა. მრავალ შთამომავლობას გაუწევია დიდი შრომა, მინამ ანგლია ახლანდელს მდგომარეობაში ჩასდგებოდა. ამ შრომაში ჰქონდა მონაწილეობა უკანასკნელს მცირედ შესანიშნავს პირსაც. ყოველისფერი იყო ისე რიგათ წამართული, რომ ეს განზრახვა გაემართლებინათ. შრომის მოყვარე და მომთმენი კაცები ყოველი წოდებისა—ყოველგვარი მსწავლულნი, პოეტნი, ფილოსოფოსნი, სახელმწიფო კაცნი, ყველანი ერთად შრომობდნენ, ერთი შთამომავლობა განაგრძობდა წინაპრების შრომასა იმ აზრით, რომ შეიმუშაონ საზოგადო ხასიათი ქვეყნისა და დაადგინონ მტკიცე საფუძველზედ ამ ქვეყნის კეთილ-მდგომარეობა. ამ ღირსეულის ღვაწლშემოსილის კაცების რიგმა დაადგინა წესი ხალხისგან (დაუწყობლობისაგან). ამ სახით ჩვენ დავიმკვიდრეთ ჩვენი წინაპრების შრომის ნაყოფი და ამასთანავე მივიღეთ მოვალეობა, რომ ეს სამკვი-

დრო ჩვენს შთამომავლობას გადავსცეთ, არამცთუ გაფუჭებული არა-მედ უფრო გაკეთებული.

ამ გვარი სული თვითმოქმედებისა, რომელიც მიაჩვევს, კაცს, რომ ჰქონდეს იმედი თავის საკუთარს ძალაზედ და რომელიც გამო-იჩენს თავს კერძო პირების მხნე და დაუდგრომელ მოქმედებაში, არის ნიშანი ანგლიელების ხასიათისა და არის ზომა იმათი ნაციო-ნალური ძლიერებისა. იმათ ყოველთვის ჰყვანდათ იმისთანა პირნი, რომელნიც უბრალო ხალხზედ მაღლა იდგნენ და რომელთაც საზო-გადოება დიდს პატივსა სცემდა; მაგრამ ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ანგლიის ხალხმა არას დროს არ უნდა დაიდუმოს სხვა პირების ღვაწლიც, თუმცა ისინი არ ყოფილან ისეთ რიგათ შესანიშ-ნავნი. ასე კიდევ რომელიმე ომის ისტორიაში მოხსენებულნი არიან გენერლები, და იმ სალდათების სახელი კი დავიწყებულია, რომელ-თაც თავისი გმირობით დასძლიეს მტერი და მიუმკვიდრეს მამულს თავისუფლება და თვითმყოფობა. სიცოცხლე შეიძლება შევადაროთ სალდათების ბრძოლას, რადგანაც უდიდესი მოქმედი (деятель) კა-ცები თითქმის დაბალი წოდებიდგან წარმოსდგებიან. ჩვენ ახლა არ ვიცით და არც კი გაგვიგონია სახელები მრავალი პირებისა, რო-მელთაც თავის სიცოცხლეში დიდი გავლენა ჰქონდათ ხალხის კე-თილდღეობაზედ და იმ-ს წარმატებაზედ. მაგრამ ეს არაფერია. რაც უნდა იყოს ქვეყნის ბედნიერებაზედ და კეთილდღეობაზედ ყოველს კაცს აქვს გავლენა, რომელიც კი თავის შრომის მოყვარეობით და მაღალის სიმართლით აძლევს სხვებს კეთილის მაგალითს; იმის ცხოვ-რებას და ხასიათს სხვანი შეითვისებენ და მომავალში ახალის შთა-მომავლობისთვის ნათელს კვალს დაარჩენენ.

ამას ესეც უნდა დაუმატოთ, რომ განათლებული და პატიოსა-ნი პირების ცხოვრების აღწერა (ბიოგრაფია) მეტად სასარგებლოა სხვებისთვის, რადგანაც უბრალო კაცი იმათი მიხედვით გაბნევდება და კეთილ გზას დაადგება. ზოგიერთი იმათგანი ისე სამაგალითონი არიან, როგორც სახარების მქადაგებელნი, რადგანაც ესენი ასწავ-ლიან ხალხს კარგს ცხოვრებას და ენერგიულს მოქმედებას თავისი და საზოგადო სარგებლობისთვის. ანგლიის ხალხში იპოვებიან მრა-ვალი იმისთანა პირნი, რომელნიც ჩვენთვის მაგალითები არიან, რადგან ისინი დაჯერებულნი იყვნენ თავის თავის ძლიერებაში, მუ-დამ ერთს მიზანს ეკლტოდნენ, დაუცხრომელათ მოქმედებდნენ და პატიოსნად ცხოვრებდნენ. ანგლიელი მშრომელი და პატიოსანი პი-რების ცხოვრებაში კაცი ნათლად დაინახავს, თუ რა ღონისძიება უნდა იხმაროს კაცმა, რომ თავისი თავი წარმატებაში შეიყვანოს.

იმათი ბიოგრაფიებიდამ ცხადათა სჩანს, რა ნაირი მტკიცე რწმუ-ნება აქვთ იმათ თავის შეძლებაზედ და რა რიგი პატივისცემა თა-ვისთავისა. ამათი ბიოგრაფიების წამკითხველი კაცი სცნობს, რომ კაცს მარტო შრომით შეუძლიან ამაღლდეს საზოგადოებაში და პა-ტივცემული გახდეს.

უცხო-ქვეყნელებმა დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს ანგლიე-ლების გასაკვირველს მხნეობას (ენერგიას), რომელიც შეადგენს მთე-ლი ხალხის შესანიშნავს თვისებას, მხნეობას, რომელიც არ გაჰქრება სხვადასხვა დაწესებულებაებში, არამედ დაიცავს სრულს თავისუფლე-ბას აზრისას, სიტყვისას და მოქმედებისას.

„Oue j'aime la hardiesse anglaise! Oue j'aime les gens qui disent ce qu'ils pensent!?" ოხ, როგორ მიყვარს ანგლიელების გამ-ბედაობა! ოხ, როგორ მიყვარან ის კაცები, რომლებიც ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ!"—აი რას ამბობდა ვოლტერი ანგლიელებ-ზედ. ასეთი პიროვნება არის მიზეზი ანგლიელის თავისუფლებისა; ესევე განამკვიდრებს იმის თავისუფლებას. იმათი მხნე და გამრჯელი პი-რები ხშირად შეუღგებიან საზოგადო მოქმედებას და ამ სახით მთე-ლი საზოგადოება გაცოცხლდება და ამ კერძო პირების დახმარებით შესრულდება ძლიერი და ენერგიული მოქმედება მთელი ხალხისა.

ანგლიელების უკეთესი პრაკტიკული აღზრდა მდგომარეობს კერძო პირების მხნეობაში, რომელიც არა თუ ერთგან ან ორგან მოქმედებს, არამედ მთელს საზოგადოებაში. შკოლები, აკადემიები და გიმნაზიები აძლევენ კაცს მარტო პირველს გახსნის თესლს. უფ-რო შესანიშნავია ის აღზრდა, რომელიც ჩვენ ყოველდღე გვეძლევა სახლში, ქუჩაში, სამუშავოებში, საფეიქროში და გუთანზედ, კანტო-რებში და ფაბრიკებში და ყოველს საზოგადო მოქმედების ცენტრ-ში. ამ გვარი აღზრდა ანგლიელს მუშაობას ასწავლის და ამასთან აძლევს ლონისძიებას, რომ თავისუფალი კაცი გახდეს. დაბოლოვე-ბითს აღზრდას, რომელიც საზოგადოების წევრების ხასიათის გაუმ-ჯობესობაში მდგომარეობს, შილლერი უწოდებს „კაცობრიობის აღ-ზრდას". ამ აღზრდას კაცი ვერ შეიძინებს წიგნების კითხვით, ეს მდგომარეობს მოქმედებაში და თავის ყოფა-ქცევის თვალ-ყურის დევნებაში. ბეკონი ამბობს, რომ „მეცნიერება კაცს არ ასწავლის, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ის კაცმა ცხოვრებაში. ეს შეადგენს განსაკუთრებითს ცოდნას, რომელიც ამაზედ მაღლა სდგას და სადაც მეცნიერებას არ მიუწვდება თავისი გავლენა: ეს მოიპოვება გამოც-დილებით."—ეს აზრი მართალია. გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ კაცს უფრო მუშაობით შეუძლიან თავისი თავის გაუმჯობესობა, მი-

ნამ კითხვით, რომ კაცობრიობას განაახლებს უფრო ცხოვრება, მოქმედება და პირადი თვისება კერძო კაცებისა, მინამ ლიტერატურა, სწავლა და სხვა.

გეტემ სთქვა: „თუმცა გასაოცარია, მაგრამ უნდა ვაღვიაროთ, რომ ანგლიელები ყველა ხალხებზედ მაღლა დგანან. არ ვიცი, რა არის ამისი მიზეზი: იმათი შთამომავლობა, იმათი ქვეყნის ჰავა, თუ ის მრთელი აღზრდა, რომელიც იმათ ეძლევათ? აქ ვეიმარში იპოვებიან ანგლიელები, და თუმცა იმათ არა აქვთ ამორჩეული ერთი რაიმე მიზანი, მაგრამ შეხედეთ რა მშვენიერი კაცები არიან! ჩვიდმეტის წლის ყმაწვილები უცხო-ქვეყანაში ცხოვრობენ და ისინი არა რაცხვენ თავის თავს უცხო-ქვეყნელად. ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ საზოგადოებაში იმათ უპირავთ თავი პატიოსნად და მშვიდობიანად, თითქო ისინი თავის მამულში იყვნენ და თითქო მთელი ქვეყანა იმათ ეკუთვნოდეთ“.—„რაც უნდა იყოს, უპასუხა ეკერმანმა, მე მაინც ვერ დაგთანხმდებით, რომ ანგლიის ჯენტლემენები უფრო განათლებული და კარგის ზნეობისანი იყვნენ, მინამ ჩვენი ახალგაზდანი“.—„საქმე ამაში არ არის, მიუგო გეტემ, სიკარგე ამაში არა მდგომარეობს. აგრეთვე არაფერს ნიშნავს მაღალი შთამომავლობა და სიმდიდრე,—საქმე იმაშია, რომ იმათ თავისის გამრჯელობით შეუძლიანთ ისეთები იყვნენ, როგორათაც თვით ბუნებას შეუქმნია. იმათ შეუსრულებელი არა აქვთ რა. ესენი სრული ადამიანები არიან;—თუმცა ბევრნი სრულად უგუნურნი არიან, მაგრამ ამ უკანასკნელს მდგომარეობაშიაც კაცს მაინც არ ეკარგება თავისი მნიშვნელობა და ღირსება: იმას აძევს კაცობრიობის ნიშანი“. ამ გვარათ, გეტეს აზრით, ანგლიელი ახლოა იმ პირობასთან, რომელიც ლესსინგმა კაცის ადამიანობის ნიშნად და თვისებად დასდვა: „იფიქრეთ, როგორც გინდათ, თუნდა შეცდომით, მაგრამ იფიქრეთ თქვენ თავად“.

მეორე უცხო-ქვეყნელი მწერალი ნემეცი ვიზე ადარებს ნემცების და ანგლიელების აღზრდის წესს და ჰპოვებს, რომ პირველი ცდილობს გონების გახსნას მოწაფეში, და მეორე კი ხასიათის გაწმენდას და გაუმჯობესობას. ის ჰპოვებს, რომ ანგლიელები უფრო უყურებენ ვინც უფრო ენერგიულათ ელტვის თავის მიზანს, ვისაც უფრო მომეტებული მოთმინება, დადგრომილება და თავის დაჭერა აქვს, მინამ მეცადინეობას სწავლაში სიჭაბუკის დროს. ერთი სიტყვით, ანგლიელები ხასიათს უფრო დიდს მნიშვნელობას აძლევენ, მინამ გონებას, თუმცა იმათგან არც ეს არის სხვაზედ ნაკლებათ დავიწყებული.

მოვიყვანთ კიდევ ფრანცუზის რანდიუს სიტყვებს ანგლიის წესზედ. იმისი აზრით ეს წესი საუკეთესო გაწყობილებას აძლევს მთელს სოციალურს ცხოვრებას. იმას უკვირს, რომ ჩვენ პირად თავისუფლებასთან სხვებზედ უკეთესად ვემორჩილებით დადგენილს სჯულს და ენერგიულს კერძო პირების მოქმედებასთან, რომელიც ვერ აიტანს ცოტაოდენს შევიწროებას, ჩვენ ვმოქმედობთ ისე, როგორც შეეფერება საერთო მოვალეობას. ფრანცია მომეტებულად სალდათებს და ჩინოვნიკებს ზრდის, მაშინ როდესაც ანგლია ყველას სრულს თავისუფლებას აძლევს, სჭესის განურჩევლად, და ყველას მიანიჭებს თავის აღზრდის უფლებას, ამზადებს მოქალაქეებს, რომლებიც გამზადებულნი არიან პრაქტიკული მოქმედებისთვის. თუმცა შკოლებში და გიმნაზიებში ჩვენ შეგვხვდება ზოგიერთნი ნიჭიერნი პირნი, რომელთაც ღრმა განათლება მიუღიათ, მაგრამ ნაციონალური აღზრდის გამო, ჩვენა გვყვანან მრავალი იმისთანა პირნი, რომლებიც წარმოგვიდგენენ ძლიერის რასის (ტომის) ორს უდიდეს სიკეთეს: შეურყეველს თავის დაჭერას და სიმტკიცეს განზრახულის საქმის მიდევნაში.

ეს პირადი თავისუფლება და ენერგიული მოქმედება შეადგენს ჩვენი ნაციონალური ძლიერების მიზეზს, რადგანაც სული თავისუფალი მოქმედებისა მარტო ერთ წოდებაში კი არ იპოვება, არამედ ის არის გამჯდარი მთელი ხალხის ძვალსა და რბილში და უმეტესად ის გამოიჩენს თავის ძალას დაბალ და ღარიბ ხალხში.

მეცნიერნი, ხელოსნები და ლიტერატორნი—უდიდესი აზრების მქადაგებელნი—გამოვიდნენ ანგლიის ფერმებიდამ, შოტლანდიის მთებიდგან, სამუშაოებიდგან და მადნებიდგან, სამჭედლოდგან და სხვა ადგილებიდამ. ამის მაგალითები ისე ბევრია, რომ კაცმა არ იცის, რომელი ამოარჩიოს იქიდგან მაგალითისთვის. მოვიგონოთ მარტო ეს შემთხვევა, რომ სადალაქოდგან იყვნენ: რიჩარდ არკრაიტი, რომელმაც საფეიქრო (მაშინა) მოიგონა და დაიფუძნა ბამბის მანუფაქტურები, ლორდი ტენტერდენი, რომელიც იყო შესანიშნავთაგანი ანგლიის მსაჯულებში და ტერნერი, სხვა და სხვა ლანდშაფტების მხატვარი.

ნამდვილათ არ ვიცით, ვინ იყო შექსპირი, მაგრამ უეჭველია, რომ ის დაბალი კაცის შვილი იყო. შექსპირის მამა იყო ყასაბი და მემცხვარე. ამბობენ, ვითომც შექსპირი ერთის შკოლის მეკარეთ იყო, და მერე ნოტარიუსის მწერლათ. შექსპირი იყო გამომხატველი კაცობრიობის ცხოვრებისა. ყველა ზღვის მწერალს (морской писатель) ეგონება, რომ შექსპირი იყო მეხომალდე

რადგანაც იმის პიესებში ბევრგან შეგვხვდება ფრაზები, რომელნიც ხომალდზედ იხმარებიან. სასულიერო წოდების პირს ეგონება, რომ ის დიაკვნათ ყოფილა, რადგანაც იმის თხზულებაებში ბევრი სამღთო წერილის სიტყვები ურევია და გამოჩენილი მეცხენე დაიწყებს დამტკიცებას რომ შექსპირი ცხენების დალალი იყო. ყველამ იცის, რომ შექსპირი იყო აქტორი და თავის სიცოცხლეში ბევრი როლები უთამაშნია. ეჭვი არ არის, რომ ის ყურადღებით სწავლობდა და ბეჯითად მუშაობდა; იმის თხზულებაებს ანგლიელების ხასიათზედ აქამომდე ძლიერი მოქმედება აქვთ.

ინჟენერი ბრინდლეი, ზღვაში მოსიარულე კუკი და პოეტი ბერნსი ეკუთვნოდნენ ანგლიის მუშებს. ბენ ჯონსონი უბრალო ქვის მთლელი იყო. იმას საიურიდიკო სასწავლებლის აშენების დროს ხელში ნაჩაბი ეჭირა და ჯიბეში წიგნი ედვა.

შესანიშნავს დურგლებში ირიცხებიან: ხუროთ-მოძღვარი ინიგო-ჯონი, გარრისონი, ფიზიოლოგი ჯონი გეტნერი, ორიენტალისტი პროფესორი ლი, სკულპტორი ჯონი ჯიმსონი.

მათემატიკოსი სიმპსონი, ადამ უოკერი, ჯონ ფორსტერი, ღირსად-შესანიშნავი მოგზაური და მისსიონერი დოქტორი ლივინ-გსტონი და პოეტი ტანაგილლი უწინ ფეიქრები იყვნენ. მებაშმაკეებში იყვნენ შესანიშნავნი: ადმირალი შაველი, მსწავლული სტერჯენი, მოგზაური კერი; შრომის მოყვარე მისსიონერი მორრისონი ჩექმების ქალაპოტებს აკეთებდა. აგრეთვე თომას ედვარდსი პირველათ ხარაზი იყო, მაგრამ როცა კი მოცალება ჰქონდა, ისა სწავლობდა ბუნებითს საგნებს და ბოლოს შესანიშნავი ბუნების გამომძიებელიც გახდა.

მკერვლებსაც ჰყვანდათ თავისი გამოჩენილი კაცები: ადმირალი გობსონი იყო დიდათ გამბედავი ზღვაში-მოსიარულე; ანგლიაში ბევრი ვერავინ შეედრება იმას გამბედაობაში. ის ებარა შეგირდათ ერთს მკერვალს, უატის კუნძულზედ; ერთბაშად იმის სოფელში მოვიდა ხმა, რომ კუნძულის კიდეებთან სდგას სამხედრო ესკადრა. ის გამოვარდა დუქნიდამ და გაიქცა თავის ამხანაგებით ზღვის ნაპირთან, რომ თვალი მაინც მოეკრა ამ საკვირლის სანახავისთვის. ამ პაწაწა მკერვალმა მოიწადინა, რომ ზღვის მოხელეთ გამხდარიყო. ის გადახტა გემზედ, გაეშურა ესკადრისკენ და გემის კაპიტანმა ვოლონტერათ აიყვანა. რამდენისამე წლის განმავლობაში იმან დაიმსახურა პატივი და დიდება და შემდეგ მობრუნდა ისევ სამშობლო სოფელში და მშვიდობიანათ დასახლდა იმავე სახლში, სადაც ის უწინ სცხოვრობდა, როდესაც მკერვალს შაგირდათ ებარა.

იმ შესანიშნავი კაცების რიცხვში, რომლებმაც გამოიგონეს ორთქლის მაშინა, ჩვენ მოვიხსენებთ ნიუკომენს, უატტს და ხტეფენსონს. პირველი ამათგანი იყო მჭედელი, მეორე მათემატიკურს იარაღებს აკეთებდა და მესამე კაჩეგარის *) თანამდებობას ასრულებდა. მქადაგებელი გენტინდონი პირველათ გროშოათ იყო (ე. ი. იმას ნახშირი დაჰქონდა აქეთ იქით გასასყიდათ). ფარადეი, ღარიბი მჭედლის შვილი, სიყმაწვილეში წიგნის ყდის გადამკვრელს ებარა და იქ 22 წლამდე მუშაობდა და შემდეგ შესანიშნავ ფილოსოფოსად გახდა.

დიდი ხანი არ არის, რაც როლერიმ მურჩისონი შეხვდა შოტლანდიაში ერთს კარგ გეოლოგს, რომელიც პურის მცხობელათ იყო. ამ კაცის სახელი არის რობერტი დიკი. როდესაც მურჩისონმა ნახა იმისი თონე, დიკმა გამოუხატა იმას ფქვილზე გეოგრაფიული და გეოლოგიური სახე საგრაფოსი, რომელშიაც ის სცხოვრებდა. ამასთან დიკმა დაუწუნა ქარტები და ბევრი ნაკლულევანება ჰპოვა იმათში, რადგანაც იმან კარგათ განისწავლა საგრაფოს ადგილ-მდებარეობა თავის წასვლა-მოსვლაში. მურჩისონმა დაუწყო გამოკითხვა სხვა და სხვა ამბებისა, და ბოლოს შენიშნა განცვიფრებით, რომ ეს ბირი იყო წარჩინებული ბოტანიკოსი. „მე ვპოვე, ამბობს გეოგრაფიული საზოგადოების დირექტორი, რომ ამ პურის მცხობელს უფრო ბევრი ბოტანიკური ცნობები ჰქონდა, მინამ მე. იმის კოლლექციას აკლდა მარტო 20 ან 30 სხვა და სხვა ყვავილების ჯიში. ზოგიერთი იმისთვის სხვას ეჩუქებინა, ზოგი ეყიდნა და უმეტესი ნაწილი თითონ შეეკრიბა თავის სამშობლოში;—ყვავილები ეწყო რიგზედ და ყველას ზავისი სახელი ჰქონდა დაწერილი“.

ჩვენი ქვეყნის დიდებას შეადგენს ის, რომ აქ იპოვებიან მრავალი ამისთანა პირნი, ბევრნი იმათგანნი, მართალია, ძალიან დიდათ არ არიან შესანიშნავნი, მაგრამ ყველა კი დანდობილია თავის ნიჭზედ და ძალაზედ. ამ გვარი კაცები წარმოგვიდგენენ სასიამოვნო და პატიოსანი მოქმედების მაგალითს. ეს გვიჩვენებს, რა შეუძლიან კაცს თავისის მცირედი ღონით და ნიჭით, თუ ის მიჰმართავს ერთს წინათვე ამორჩეულს მიზანს და ყოველს დროს მხედველობაში ექნება. ბუნების მოვლინებანი არ არიან დაფარულნი არც ფილოსოფიისთვის, არც ხელოსანისთვის და არც გლეხისთვის. იმათ შეუძლიათ ესენი გამოიყენონ თავისი გონების გახსნისთვის. ამ გვარათ მშრომელს კაცებს, თუნდაც ისინი უბრალო ხელობისანი იყვნენ, შეუძლიანთ საზოგადოებას სარგებლობა მისცენ.

*) კაჩეგარი ის პირია, რომელიც ბუზრებს ცეცხლს უკეთებს ზავოდებში, ცეცხლის გემებში და სხვ.

ანგლიის ხალხში ბევრნი არიან იმისთანა პირნი, რომლებიც თავის დაუცხრომელის შრომით ამაღლდნენ მთელს საზოგადოებაში და სასარგებლონი გახდნენ, თუ კარგათ დავაკვირდით საქმეს, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ვინც ყმაწვილობიდამვე შეებრძოლება სხვა და სხვა უსიამოვნო გარემოებაებს და უშიშრად გააპობს ყოველს გვარს დაბრკოლებას, რომელიც კი იმას გზაში დახვდება, ის უეჭველად მოიპოვებს მტკიცე და შეურყეველს ხასიათს და საფუძვლიანს გონების გახსნას. ანგლიის ქვემო პალატაში ყოველთვის იპოვებიან იმისთანა პირები, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ ანგლიელები შრომის-მოყვარენი არიან. ერთხელ პარლამენტში იოსებმა ბრეევერტონმა დიდის აღტაცებით უამბო თავის მსმენელებს, თუ რა რიგი ნაკლულევანება და შრომა გამოუვლია თავის სიყმაწვილეში, იმანა სთქვა, რომ, როდესაც ის იყო ამ შრომაში და გაჭირვებაში, სწორეთ მაშინ გაუელვა თავში, რო მუშების მდგომარეობა გააუმჯობესოს, რითაც კი შეიძლებოდეს. შემდეგ ამისა ჯემსმა გრაგამ გამოაცხადა, რომ იმან სრულებით არ იცოდა თუ ბრეევერტონი ესე დაბალი კაცის შვილი იყო და ეხლა კი იამპარტავნებს იმ აზრის წარმოდგენით, რომ ასე დაბალი ხარისხის კაცს ნება აქვს მოუჯდეს გვერდით ანგლიის მემკვიდრეობითს აზნაურობას.

რასაკვირველია, ეხლაც არიან იმისთანა ქვემოპალატის წევრნი, რომლებსაც შეუძლიანთ ჩაურთონ სიტყვაში: „როდესაც ვებარე ფეიქარს". მაგრამ სჯობს, რომ მოკლეთ გიამბოთ ცხოვრება გამოჩენილი ლინდსეისა, რადგანაც იმისი ცხოვრება არის ისტორია ბრძოლისა სხვა და სხვა დაბრკოლებაებთან.

თავისი ცხოვრება იმან თითონ უამბო ვეიმუტის ამომარჩეველებს. ის 14 წლის ობოლი იყო, როდესაც უნდა მოენახა თავისთვის მოქმედების გზა. გლაზგოვიდამ ლივერპულს 4 შილინგით და ცოტა-ოდენის წვრილის ფულით წავიდა. ის ისეთი ღარიბი იყო, რომ ცეცხლის-გემის კაპიტანს ძალიან შეებრალა და უთხრა, რომ უფასოთ წაიყვანს, ოღონდ იმან ნახშირს უპატრონოს. იმან ეს მინდობილება აღასრულა და ამ სახით გადაიხადა თავისი ვალი. ლინდსეი ბოლოს იგონებდა ხოლმე რომ იმას თავის დღეში ისეთის სიამოვნებით არ ჭამია პური, როგორც იმან ხომალდზედ ჭამა, რადგანაც ეს თავისი შრომით მოიპოვა. ლივერპულში ლინდსეიმ შვიდი კვირის განმავლობაში საქმე ვერ იშოვნა. ის დღითი დღე რის ვაი ვაგლახითა სცხოვრებდა. იმას ებადა 4½ შილლინგი და ძლივს ბოლოს ის განწესდა მეგემეთ ერთს ხომალდზედ, რომელიც ეკუთვნოდა ვესტინდოელ ვაჭარს. ის ჯერ ყმაწვილი იყო, როცა განწესდა ზღვის სამსახურში

და როდესაც ცხრამეტი წლისა გახდა, იმას ჩააბარეს ერთი ხომალდი, რომელზედაც იმას თვალყური უნდა სჭეროდა. ოცდა სამი წლისამ იმან დაანება ზღვას თავი და ისევ ხმელეთზედ დასახლდა. ლინდსეიმ კეთილცხოვრებამდის მიახწია თავის დაუღალავის მოქმედებით და მუყაითი შრომით. იმასა ჰქონდა ერთი განზრახვა, რომ სხვის სიკეთისათვის ისე თავ-გამოდებით ემოქმედნა, როგორათაც თავის ბედნიერებისათვის და ამას ყოველთვის აღსრულებდა.

ამნაირი მაგალითები სხვა ანგლიის წოდებაებშიაც ბევრი იპოვება. საშუალო კლასიდამ ბევრი გამოჩენილი პირი გამოსულა, რომელთაც თავი უსახელებიათ მეცნიერებაში, ვაჭრობაში და ხელოვნებაში. ისაკ ნიუტონი, ანგლიის დიდი ფილოსოფოსი, იყო ერთი მცირე მემამულეს შვილი. იმის მამულს წელიწადში მარტო ოც და ათი გირვანქა სტერლინგი შემოსავალი ჰქონდა. ამავე წოდებისა იყო ვარსკვლავთ-მრიცხველი ადამსი, რომელმაც ცთომილი ნეპტუნი იპოვა. იმისი მამა იყო ღარიბი მიწის შემამუშავებელი.—რიჩარდ ოუენი რომელიც ბუნების მეცნიერების ცოდნაში შეიძლება ნიუტონს შევადაროთ, იყო პირველათ გარდემარინი და კარგა გვიან დაიწყო მეცნიერების შემუშავება; მაგრამ ოუენი ისე ბეჯითათ შეუდგა საქმეს, რომ დიდი სახელი დაიმსახურა. პირველად თავისი ცნობები მოიპოვა მაშინ, როდესაც იმას მეანდეს, რომ მშვენიერი ცხოველების მუზეუმის კატალოგი შეედგინა, რომლებიც შეკრიბა ჯონმა მეტნერმა. ამ საქმეს ოუენი ათ წელიწადზედ მეტი მოუნდა.

ეს მაგალითები ცხადათ გვიმტკიცებენ, რომ თუ კაცს უნდა ხალხის კეთილდღეობა და თავის გაბედნიერება, იმან ბეჯითად და დაუდგომელათ უნდა იშრომოს. სიზარმაცე თავისდღეში კაცს ვერ აამაღლებს. დიდი კაცის შვილებმა და მდიდრებმაც უნდა ენერგიულათ იმუშაონ, რომ მტკიცე რეპუტაცია და სახელი მოიპოვონ, რადგანაც ისინი მემკვიდრეობით მიიღებენ მარტო სიმდიდრეს და არა ცოდნას და ჭკუას. მდიდარს კაცს შეუძლიან სხვა ვინმე იქირაოს თავის საქმის წასამართავათ, მაგრამ ჭკვასა და ცოდნას კი ვერაფრით ვერ იყიდი. ის მხოლოდ შრომით მოიპოვება და არა ფულებით. ამის გამო ღარიბმა და მდიდარმაც ერთგვარათ უნდა იშრომონ, რომ წარმატებაში შევიდნენ.

გონების გახსნა კაცს მარტო თავისი საკუთარის თავისუფალის შრომით შეუძლიან მოიპოვოს, უამისოთ გამარჯვება არ შეიძლება. კაცს სადაც არა დაუთესია რა, იქ ვერცა რას მომკის.

თავი II

ჭეშმარიტი განათლება მდგომარეობს სრული ადამიანის ბუნების წარმატებაში და გახსნაში; იმან უნდა იმოქმედოს როგორც სულზედ ისე სხეულზედ. თუ ერთი რომელიძე მხარე დავიწყებულია, მაშინ ვერ ვიტყვით, რომ კაცი სრულიად განათლებული იყოს. განათლება უნდა შეეხოს მთელს ადამიანს, ყოველს იმის ძალას (ფიზიკურს და ზნეობითს); უნდა მისცეს იმგვარი მიმართულება, რომ კაცის ბუნებამ მიიღოს შესაფერი სისრულე ყოველის მხრით. თუ ფიზიკურს მხარეს მიაქცევთ მომეტებულს ყურადღებას, თქვენ დაჰბადებთ ან ატლეტს და ან ველურს კაცს, და თუ სულიერის მხარის გახსნას ეცდებით, თქვენ აღზრდით იდეალისტს, ხოლო უკეთუ მოიწადინებთ მარტო გონების გახსნას, მაშინ თქვენი მოწაფე შეიქნება ან უგუნური და ან ჭკვიდან შეშლილი.

ნამდვილათ განათლებული კაცი ის არის, რომელშიაც იმის ბუნების ყოველი მხარე გახსნილია და ერთმანეთთან ისე არიან შეთანასწორებულნი, რომ არც ერთი მხარე არ დასძლევს მეორეს.

ძველს დროში დიდი ყურადღება იყო მიქცეული კაცის ფიზიკურს ძალზედ და ყოვლის ღონისძიებით ცდილობდნენ, რომ კაცში შეერთებინათ ძლიერი სული ძლიერს სხეულთან. ბერძნის მასწავლებლები ურჩევდნენ თავის მოწაფეებს, რომ იმათ ის საგნები ასწავლონ, რომლების სწავლაც ფეხდგომელა შეიძლება. თითქმის ამნაირივე აზრი არის გამოთქმული ერთს ძველებურს ანგლიის ანდაზაში: „ზაფხულში—მინდორი, ზამთარში—მეცნიერება“. მილტონი თავის თხზულებაში ამტკიცებდა, რომ ჭაბუკში აღიზარდოს როგორც ფიზიკური, ისე სულიერი მხარე და მით იყოს გამზადებული ყოველ გვარი ბრძოლისთვის.

ჩვენს დროში ჰგონიათ, რომ ფიზიკური მუშაობა კაცს დაამდაბლებს და იმისთვის სრული ყურადღებაა მიქცეული მხოლოდ გონების გახსნაზედ, თუმცა ამგვარი მოქცევა ყმაწვილის სიმრთელის დამღუპველია. ამ გვარათ ტვინი სხვა სხეულის ნაწილებზედ მომეტებულად მუშაობს და როდესაც ყმაწვილის გონება სისრულეში შედის მაშინ იმისი, ჯერ ჩვილი სხეული, სნეულდება, იმას ეკარგება სიცოცხლე და სიმკვირცხლე. აი ეს არის მიზეზი, რომ ჩვენს დროს იპოვებიან ბევრი სუსტის კუჭით, ულონო ხელებით და მჩატე სხეულით. მაგრამ ნუ გეგონებათ, რომ მარტო ფიზიკურს მხარეს ეძლეოდეს ამისაგან ვნება. თვით ჩვენი გონება დამახინჯდება და ზნეობითნი ძალანი დაჰკარგვენ თავის სიცოცხლეს და ძლიერებას, იმათ მოე-

ღებათ ყოველგვარი ენერგია და შეიქნებიან სუსტნი. ფიზიკური შრომის სიძულვილისაგან წარმოსდგება უკმაყოფილება, უსაქმოება, რაღაც უგუნური გამოშტერება, ოცნებობა ერთი სიტყვით ყველა, რასაც დაჰბადებს სიცოცხლე ერთის მხრით გახსნილი. იქნება ამ ფიზიკურის უშრომელობისაგან წარმოსდგებიან ის ოცნებანი, რომლების აუღსრულებლობაც მოუკლავს ხოლმე გულს ყმაწვილ კაცს. უეჭველია, რომ ფიზიკური შრომა კაცს გამოაცოცხლებს, გაამკვირცხლებს, და სიამოვნებით აღუვსებს გულს. ეს შეუნიშნავს დოქტორს ჩანინგს ამერიკაში, რომელიც ამბობს, რომ ყმაწვილები გამოდიან რაღაც ფერ-მიხდილები, ავად-მყოფები, და მეტად უფხონი. ამ ყმაწვილების სენის გასაკურნავათ საჭიროა გამუდმებული სხეულის მოქმედება და ყოველგვარი ფიზიკური ვარჯიშობა. დანიელ მალტუსი, რომელიც ფრთხილად და ბეჯითად ადევნებდა თვალ-ყურს თავის აღზრდას და განათლებას, ითხოვდა, რომ იმისმა შვილმა მიიღოს მონაწილეობა სხვა და სხვა თამაშობაში, რომელსაც შეუძლიან გახსნა როგორც გონებისა ისე სხეულისაც. ის ეუბნებოდა თავის შვილს: „ეჭვი არ არის, რომ მეცნიერების, ხელოვნების და ბუნების ცოდნა გაართობს და გაამახვილებს შენს გონებას, მაგრამ ამასთან შენი სხეულიც უნდა გამაგრდეს,—ამისთვის მე დიდათ მოსურნე ვარ, რომ შენ მიაქციო ყურადღება სხეულის ვარჯიშობასაც. დიდათ სასიამოვნო იქნება ჩემთვის, თუ შენ გნახავ მარჯვეს და ღონიერს მუშაობაში. ვგონებ, რომ ჩვენ კმაყოფილებას და ბედნიერებას მაშინ გამოვცდით, როდესაც მთელი ჩვენი არსება იქნება ამაში მონაწილე“. იერემია ტეილორი ამბობს: „ერიდეთ ცუდაობას, რადგანაც ეს არის დედა ყოველი ბოროტი საქმისა; ყოველი წამი სასარგებლოდ მოიხმარეთ; ზარმაცს გონებას ძალიან ადვილად მოიცვამს სხვა და სხვა ბოროტი ვნება, მაშინ როდესაც მოქმედი და გამრჯე კაცი ძალიან ცოტათ ფიქრობს ხორციელს კმაყოფილებაზედ“.

ანგლიის შკოლებში და უნივერსიტეტებში მიღებულია იმ გვარი სათამაშონი, რომლებიც ითხოვენ ძლიერს სხეულის მოძრაობას. ამ გვარი ღონისძიება მეტად გონიერია და ამის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ანგლიაში ხშირად იპოვებიან ჯანმრთელნი, მამაცნი და ძლიერნი ვაჟკაცნი. ღერცოგმა ველლინგტონმა შენიშნა, როდესაც ის უყურებდა იტონის შკოლაში მოთამაშე ყმაწვილებს, რომ „ვატერლოოს ბრძოლა აქ იყო წინათვე მოგებულია“.

ახლანდელს ყმაწვილების აღზრდაში არ უნდა დავივიწყოთ ძარღვების გამაგრება და გაღონიერება. აქამომდე ვხედავთ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ასრულებს კურსს და ლ ა თ ი ნ ურ ი თ გ ა მ ო ტ ე ნ ი-

ლი თავი გააქვს სხვა და სხვა უვარგისი ცნობებით, და ამასთან სხეული დამჩატებული, დაუძლურებული და სიცოცხლე მოკლებულია. იქნება ჩვენ ახალგაზრდობას კარგათ ეყურებოდეს გრამატიკული ცნობები, მაგრამ შენიშვნის და დაკვირვების ნიჭი კი უფრო უბრალო მჭედლებს და დურგლებსა აქვსთ, მინამ ჩვენს ახალ-გაზრდობას.

არ არის ეჭვი, რომ პედაგოგია, როდესაც წარმატებაში შევა, მასწავლებლები მტკიცედ დარწმუნდებიან, რომ კაცისთვის როგორათაც საჭიროა გონების გახსნა, აგრეთვე სხეულის სიმრთელე, ფიზიკური შრომა, და ჩვეულებრივი საქმის წამართვა. ჩვენ ხშირად შევ-ხვდებით იმისთანა სწავლულებს, რომლებმაც თავისი მეცნიერების მეტი არა იციან რა და თავის წრეს გარეთ სრულებით უვარგისნი არიან. საჭიროა, რომ სასწავლებლებში გაიმართოს სამუშავოები და როდესაც მოწაფეს მოცლა ჰქონდეს, იმან იქ იმუშაოს. ეჭვი არ არის რომ ამგვარი სამუშავოები დიდს სარგებლობას მოუტანდნენ ყმაწვილს მოსწავლეს, რადგანაც ის მოიპოვებს სიმკვირცხლეს და გაღონიერდება კიდეც. მაგრამ ამასთან ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ახალგაზ-დობისთვის მხოლოდ ერთი ხელოვნების სწავლა არა კმარა, რადგანაც გონებითი და ზნეობითი განათლება უფრო საჭიროა კაცისათვის. ფიზიკური ვარჯიშობა დაეხმარება იმას და ამ სახით ყმაწვილს მიეცემა სრული ჯან-მრთელი აღზრდა. ისაკ ნიუტონმა ყმაწვილობაშივე შეიყვარა სხვა და სხვა მეხანიკური მუშაობა. მთელი დღე იმის სახლში არ შესწყდებოდა ჩაქუჩის რახა-რუხი და ხერხვა. ის დიდი კმაყოფილებით აკეთებდა პაწაწა წისქვილებს, ურმებს და სხვა და სხვა მაშინებს, და როდესაც მოიზარდა, ის აჩუქებდა ხოლმე თავის მეგობრებს პატარა სტოლებს და შკაფებს. უატტი და სტეფენსონი ყმაწვილობაშივე სწავლობდნენ, როგორ იხმარებიან სხვა და სხვა იარაღები; აი ეს ცნობის მოყვარეობა იყო მიზეზი იმათი უდიდესი გამოგონებებისა. გონება და პრაქტიკული ნიჭი შეიძინეს იმათ სიყმაწვილეში მუშაობით. აგრეთვე ხელოსან კაცებსაც მოუტანა სარგებლობა თავისმა ხელობამ, როდესაც ესინი სწავლას შეუდგნენ.

ბორიტი აგრეთვე ამტკიცებდა, რომ ვისაც კარგათ უნდა სწავლაო, იმან კიდეც უნდა იმუშაოსო. სხეულის გასამაგრებლად და თავისი გონების გასაღვიძებლად ის ანებებდა თავს სწავლასა და მიდიოდა სამჭედლოში სამუშაოთ. ამნაირივე აზრი გამოსთქვა მილნსმა თავის სიტყვაში, რომელიც იმან წარმოსთქვა მიტინგზედ მეხანიკოსების ინსტიტუტში. იმანა სთქვა, რომ ბეჯითი და კარგი მეხანიკური მუშაობა ყველაზედ უკეთესად მოამზადებს კაცს სწავლის-

თვის. კარგს მუშას შეუძლიან კარგი მსწავლულიც გახდეს. გარდა ამისა ის ამბობს, რომ ყველა შესანიშნავი პირნი იმათ კი არ ეკუთვნიან, რომელთაც ცოტა უმუშავნიათ, არა ისინი ყოფილან მხნე, მშრომელნი და ნიჭიერნი თავის ხელობაში. არის ორი მიზეზი, რომლებიც კაცის გონების გახსნას უშლის: ერთის მხრით კაცის ღონეზედ გადამეტებული შრომა და მეორეს მხრით სიზარმაცე და უშრომელობა. თუ კაცს დიდი ჯაფა აქვს ზურგზედ დაწოლილი, მაშინ ის სწავლისთვის ვერ მოიცლის, და თუ კაცი ზარმაცია, ცხადია, ის ვერას ისწავლის.

ეჭვი არ არის, რომ სპეციალისტი-სწავლულის შრომის ნაყოფი დამოკიდებულია იმის სხეულზედ და სიმრთელეზედ. მრთელი და მაგარი გული ისე რიგათ არის საჭირო ადვოკატისთვის და სახელ შწიფო კაცისთვის, როგორათაც განათლებული გონება. როდესაც ჰაერი თავისუფლად ჩადის ფილტვებში, სისხლი კარგათ იწმინდება და ტვინიც, ამ დაწმენდილი სისხლის შემწეობით, კარგათ მუშაობს.

ვალტერ სკოტს, სტუდენტობის დროს ედინბურგის უნივერსიტეტში, სახელი ჰქონდა გავარდნილი ღონივრობაში და სხეულის მაგარს აგებულებაში. იმას შეეძლო შეჯდომა გაუხედარს ცხენზედ; როდესაც იმან ლიტერატურას მიჰყო ხელი, ის ნადირობას მაინც თავს არ ანებებდა. დილით ის სწერდა „ვეევერლეის“ და საღამოთი საკურდღლათ წავიდოდა ხოლმე.

პროფესორს უილსონს ატლეტის აგებულება ჰქონდა. ის იმგვარათვე მარჯვეთ ხმარობდა წერაქვს, როგორათაც მარჯვეთ სწერდა პოეტურს და ორატორულს თხზულებაებს.

ეჭვი არ არის, რომ კაცისთვის სხეულის სიმრთელე საჭიროა, მაგრამ უმეტესად საჭიროა სწავლაში ბეჯითობა და გულის დადება. კაცმა ყოველი დაბრკოლება უნდა შრომით დასთურგნოს, განსაკუთრებით ეს შრომა ჰმართებს კაცს თავის გონების გახსნისათვის. ვისაც შრომა უყვარს, იმას თავის თავის განათლებაც შეუძლიან და არ არის იმისთანა დაბრკოლება, რომლის მოშორება და დაძლევა ვერ შეიძლოს კაცმა, თუ ის იშრომებს. ერთის სიტყვით, როგორც მეცნიერებაში, ისე ყოველს საქმეში ენერგია (მხნეობა) დიდათ საჭიროა. მართლაც გასაკვირველია, რამდენი შეუძლიან გააკეთოს თავის გონების გახსნისთვის ბეჯითს და მშრომელს კაცს, რომელიც ყოველს გარემოებას გამოიყენებს თავის სასარგებლოდ და არ ჰკარგავს ტყუილად არც ერთ თავისუფალს წამს, რომელზედაც ასე დაუდევნელია ზარმაცი. აი მაგალითებიც: ფერგიუსონი სწავლობდა ვარსკვლავთ მრიცხველობას მინდორში ცხვრის ტყავების დაკეცის დროს. სტონი

ყოველ დღე მუშაობდა ერთს ბაღში და ამასთან მათემატიკას სწავლობდა. დრიუ იყო წაღების მეჯღანეთ, მაგრამ, როდესაც კი იმას თავისუფალი დრო ექნებოდა, დიდი ხალისით სწავლობდა ფილოსოფიას. ამ გვარათ ეს პირები არ შეუშინდნენ დამაბრკოლებელს მიზეზებს და თავის საკუთარის მეცადინეობით და ბეჯითობით შეიქმნენ განათლებულები და მოიპოვეს სახელი. ჯოშუა რეინოლდსი ისე რიგათ იყო დაჯერებული შრომის ყოვლად-შემძლებობაში, რომ ყოველს კაცს შეუძლიანო თავისი შრომით იმ გვარ სისრულემდის მიაღწიოს, როგორიც კი შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ. ის ამტკიცებდა რომ დაუღალავი მუშაობა გენიოსად გაჰხდის კაცს და არტისტისთვის საზღვარი არავის დაუდვია: იმის წარმატება [განიზომება თავისი შრომით. რეინოლდს არა სწამდა ზეგარდმო შთაგონება. ის ამბობდა: „სისრულე და უპირატესობა კაცს შეუძლიან მოიპოვოს შრომით. თუ თქვენა გაქვთ დიდი ნიჭი, შრომა გააუმჯობესებს თქვენს ნიჭს, და თუ თქვენი ნიჭი არ არის ისე ბრწყინვალე, შრომა გამოაღვიძებს და სრულ ჰყოფს თქვენ ნაკლულოვანებას. კარგათ წარმართული შრომისთვის არ არის რა შეუძლებელი, უამისოთ კი კაცი ვერაფერს გააკეთებს.“ აგრეთვე ფიქრობდა ბეკსტონი. იმის აზრითაც შრომა ყოვლად-შემძლებელია და ვისაც უნდა რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს ცხოვრებაში, ის უნდა მიეცეს შრომას. იმას დიდი რწმუნება ჰქონდა ჩვეულებრივის კაცის ნიჭზედ, თუ ამას დაემატა დაუდგრომელი ბეჯითობა. მართლაც და გენიოსობა უშრომოთ უენო ორაკულია.

უეჭველია, რომ გენიოსები იყვნენ ყოველთვის გულდადებული და დაუღალავი მშრომელნი.

ვისაც უნდა ისწავლოს რაიმე საგანი, ის უნდა სრულიად მიეცეს ამ საგანს და იმას არა დროს არ ღალატობდეს. ფრენსის გორნერი დიდად საჭიროდ რაცხდა, რომ კაცი ერთს საგანს დაადგეს, რომ ის სრულებით შეითვისოს და განისწავლოს. ის კითხულობდა წიგნებს დიდის სიფრთხილით და ერიდებოდა წარა-მარა კითხვას. კაცის ცნობების ღირსება ვითარებაში მდგომარეობს და არა უმრავლესობაში და იმათ გამოყენებაში. ამის გამო უფრო სასარგებლოა, რომ კაცმა იცოდეს ცოტა და მტკიცედ, მინამ ბევრი, რომელსაც ის მოიპოვებს მსუბუქი კითხვით. ამ გვარის კითხვით კაცი ვერ მიიღებს საფუძვლიან განათლებას და მაინც უმეცარი დარჩება. ხშირად შევხვდებით იმისთანა კაცებს, რომლებსაც ბევრი წიგნები წაუკითხავთ, მაგრამ საფუძვლიანათ კი არა ფერი იციან რა; ამ გვარი უგუნური მკითხველები მოგვაგონებენ ერთ გვარს ჯიბის დანას, რომელსაცა-

აქვს მაკრატელი, ხერხი, საჭვრეტელი, მაგრამ ესენი ისე პატარეები არიან, რომ იმათ კაცი ვერას გზით ვერ მოიხმარებს: „უკეთესია, რომ კაცმა ცოტა გააკეთოს და კარგათ, მინამ ბევრი და ცუდათ“. როდესაც ახალგაზრდა კაცი რომლისამე საგნის სწავლას შეუდგება, იმან არას დროს არ უნდა დაანებოს თავი ამ საგანს, მინამ არ განისწავლის ყოვლის მხრით, თუ არა და იმის შრომა ცუდ-უბრალოთ ჩაივლის. ლორდი სენტ-ლეონარდსი აღბობს, რომ ის თავის დღეში ახალს საქმეს არ მიჰყოფდა ხელს, თუ ჯერ ძველი არ გაეკეთებინა. ზოგიერთი იმის ამხანაგი წაიკითხავდა ერთს დღეში იმას, რასაც ის მთელს კვირას კითხულობდა და წლის ბოლოს გამოჩნდებოდა ხოლმე, რომ ლეონარდს ყველა ცნობა წიგნებიდამ ამოკითხული ცხოვლად და ღრმად ჰქონდა ჩარჩენილი გონებაში და იმის ამხანაგებს არც კი ახსოვდათ წაეკითხათ სადმე თუ არა.

ჭეშმარიტი და სასარგებლო ცნობა ის არის, რომელიც მოპოვებულია წინათვე მოფიქრებული განზრახვით. როდესაც რომელ-ამე მეცნიერების ნაწილს კარგად ვისწავლით, მაშინ იმ გვარად მოპოვებულ ცნობას კიდეც გამოვიყენებთ. პრაკტიკული ცნობა ჩვენ უნდა შევიძინოთ, წიგნიდამ ამოკითხვა იმისი არ შეიძლება. როგორც ყველა საქმეში საჭიროა გამბედაობა და სიმკვირცხლე, ისე უმეტესად საჭიროა ეს სწავლაში. ვისაც თავის თავზედ იმედი აქვს და ვინც მიეჩვევა სიყმაწვილიდგანვე ყოველ საქმეში თავის გატანას, ის ადვილად მოიპოვებს ერთსაც და მეორესაც. სიყმაწვილეში კაცი უნდა თავისუფლად მოქმედებდეს. ვინც შეავიწროვებს ყმაწვილს და თავის ხელმძღვანელობის ქვეშ ეყოლება, ის ეწინააღმდეგება იმას, რომ ყმაწვილებში აღენთოს სული თვით მოქმედებისა. გამბედაობის უქონელობა არის დამაბრკოლებელი მიზეზი წარმატებისა. კაცი ყოველთვის უნდა სცნობდეს თავის საკუთარს ღირსებას და არ ავიწყდებოდეს თავისი კეთილი ღვაწლი.

ხშირად მოხდება, რომ კაცის საქმეს მცირედი წარმატება ექნება. რათა? იმიტომ რომ თითონ საქმის მიყოლა იყო სუსტი. ზოგიერთხელ კაცს არ აუსრულდება თავისი განზრახვა, რადგანაც თითონვე ეფარება იმ ნათელს, რომელიც საქმისათვის საჭიროა. იშვიათი არ არის იმისთანა კაცი, რომელიც ელტვის თავის განათლებას, მაგრამ ეს წადილი ვერ აუსრულებია, რადგანაც დადგრომილი და მუყაითი შრომა არ შეუძლიან. „მოუთმენლობა საქმეში შეადგენს ჩვენის შთამომავლობის უდიდეს სენს“,—ამბობს დოქტორი ჯონსონი. ამ სიტყვებს აქამდისაც არ დაუკარგავთ თავისი სინამდვილე. აღზდაში ჩვენ ვეძებთ სხვა და სხვა ღონისძიებას, რომ ნაკლებათ ვიშრომოთ.

ჩვენ ვცდილობთ, რომ სწრაფად ვისწავლოთ საგნები და თორმეტ გაკვეთილს მერე დავიწყოთ ლაპარაკი უცხო ენაზედ. ამ მხრით ჩვენ მივემსგასებით იმ მორთულ მოპრანჭულ კეკლუც ქალს, რომელმაც დაიჭირა მასწავლებელი, მაგრამ იმ პირობით კი, რომ იმან თავი არ მოაწყინოს რაღაცა ზმნებით და მიმღეობით.

სხვა საგნების სწავლაშიაც ჩვენ სწორეთ აგრეთვე ვიქცევით: ვსწავლობთ ხიმიას მოკლე სახელმძღვანელოში. ამის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ თუ ამგვარი სწავლა სჯობია სრულს უსწავლელობას, ის მაინც გამოუდეგარია ამ ცხოვრებაში. საქმიდამ გამოდის, რომ ჩვენ ძართლა კი არ ვსწავლობთ, ისე შევაქცევთ ჩვენს თავს და ამასთან დაჯერებული ვართ ჩვენს სიბრძნეში და სოკრატობაში. ეს სენი თანდა-თან უფრო ვრცელდება; ამ გვარის სწავლისაგან წარმოსდგება ორი უბედურება,—ერთი, რომ ღრმა, საფუძვლიანი ცოდნა არ ექმნება, მეორე შრომის სიძულვილი და სიზარმაცე. თუ ჩვენ მართლა გვინდა გონების გახსნა, დაუღალავათ უნდა ვიშრომოთ. ყოველი ძვირფასი ცნობა მოიპოვება შრომით. მუშაობაში ჩვენ უნდა გვქონდეს არჩეული ერთი მიზანი და მოთმინებით უნდა ვუცადოთ იმ სანატრელს დროს, როდესაც ჩვენი შრომა დაგვირგვინდება. ბიუფონი ყოველთვის ამბობდა, რომ გენიოსობა მოთმინებაში მდგომარეობს; იმისი აზრით გენიოსების უკეთესი ნიჭი იმაში მდგომარეობს, რომ დიდის მოთმინებით და თავის-დადებით შრომობენ. ჭეშმარიტი წარმატება მიემართება წყნარად და ის კაცი, რომელიც სინდისიანად და პატიოსნად შრომობს, ყოველთვის მიიღებს ჯილდოს თავისი შრომისთვის. დაჟინებულის შრომით ჩვენი საქმე ნელ-ნელა წაიმართება. სული მშრომელობისა იპოვის თავის-თავისთვის ფართო ასპარეზს, სადაც ის გამოიღებს თავის კეთილ ნაყოფს; მაგრამ ამასთან ჩვენ უნდა ვიშრომოთ ჩვენის განათლებისთვის, რადგანაც კაცმა სიკვდილამდის სულ უნდ ისწავლოს. პოეტი გრეი ამბობს, რომ მუშაობა ბედნიერებაა. კუმბერლადის ეპისკოპოზმა სთქვა: „უმჯობესია, რომ კაცი შრომაში დაიღალოს და ღონე მოეღოს, მინამ სიზარმაცისგან გაუგუნურდეს“.

ვისაც მოუთმენლად ჰსურს, რომ ჩქარა იხილოს თავისი შრომის ნაყოფი, ის მეტად მოკლე ჭკვისაა. ამ გვარი კაცები ჰგვანან პატარა ყმაწვილებს, რომლებსაც ძალიანა ჰსურთ, რომ დათესილი თესლი ჩქარა კმოვიდეს. მაგრამ გონიერი კაცი კი მოთმინებით უცდის გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის მოსვლას, ის ბევრჯელ იმითიც კმაყოფილია, რომ იმისმა შვილმა ძაინც ისარგებლოს იმისი შრომის ნაყოფით.

თვით განათლება არის კაცის გონების ბახსნის უკეთესი და უმაღლესი წესი. ის სწავლა, რომელიც გვეძლევა შკოლებში და სხვა სასწავლებლებში, არის მხოლოდ დასაწყისი ჩვენი თვით განათლებისა; ის უნდა მხოლოდ დაგვეხმაროს ჩვენს საკუთარს განათლებაში. საჭიროა რომ ყმაწვილის გონება ყოველთვის ფიქრობდეს და სჯიდეს, გაჩერებული ის არაოდეს არ უნდა იყოს; ამისთვის უნდა დარჩეს ზოგიერთი გაუჩხრეკელი საგანი, რომლის განსჯასაც ახალგაზდა გონება დამოუკიდებლად, თავის თავად უნდა მიეცეს. მაშინ ახალგაზდა გონება განსჯის, რა უნდა გააკეთოს და რა-არა. იმისი მოქმედება იქნება უფრო მხნე და ჯანიანი, რადგანაც ყმაწვილის თავისუფალის არჩევით და წადილით მოხდა, და ამასთან მოისპობა ეს ბოროტება, ყმაწვილი სხვის რჩევასა და აზრს არ დაენდობა. უკეთესი აზრდა ის არის, რომელსაც კაცი თავის თავად მოიპოვებს. სხვის აზრები კაცს არავითარს სარგებლობას არ მისცემენ, თუ ის კარგათ არ განსჯის იმათზედ და გარკვეულს ანგარიშს არ მისცემს თავის თავს. ჯონ ლოკკი ამბობდა: „სხვა და სხვა ცნობების მოპოვება საკმაო არ არის. თუ კაცმა კარგად არ შეითვისა სწავლა, ის ვერც ძალას მისცემს იმას და ვერც საზრდოს. სხვისაგან შეთვისებულს აზრს ჩვენ ვერ დაუძახებთ საკუთარს; მაშინ, როდესაც ჩვენგან შეძინებული აზრი ჩვენს საკუთრებას წარმოადგენს. ჩვენის საკუთარის შრომით შეძინებული ცნობა შთაიბეჭდება ჩვენს გონებაში ღრმად, მაშინ როდესაც სხვისაგან მიღებული ვერ გაიდგამს ჩვენს გონებაში მკვიდრს ფესვებს. ამ გვარათ მოპოვებული სწავლა აღმოშობს ჩვენს გონებაში ბევრს იმისთანა აზრს, რომელიც უიმისოთ ჩაჰქრებოდა ჩვენს სულში. ვინც თავის თავად განსჯის ერთს კითხვას, ის მეორე დაბრკოლებასაც არ შეუშინდება და—ამ სახით იმაში აღენთება ის დაუძინარი მსჯელობა, რომელიც ჩაუკვირდება ყოველს საგანს და ჰპოვებს მასში დედა-მიზეზებს. აქედან სჩანს, რომ წარმატების თავი მიზეზი არის საკუთარი შრომა; უამისოთ ჩვენ ვერ გვიშველიან ვერც წიგნები, ვერც სწავლა სხვისაგან და ვერც ზეპირობა გაკვეთილებისა“. ეს შრომა დააჩნევს თავის ბეჭედს მშრომელს გონებაზედ და დაჰბადებს კაცში მტკიცე პრინციპებს და დააფუძნებს იმაში სამუდამოთ შრომის-მოყვარეობას.

უკეთესმა მასწავლებლებმა დიდი ხანია საჭიროდ დაინახეს, რომ ყმაწვილი შრომას მიაჩვიონ და თავისი საკუთარი მსჯელობა აღუძრან. ისინი ცდილობდნენ, რომ ყმაწვილებს მიეღოთ ცხოველი მონაწილეობა იმათ მოქმედებაში. ამათში ირიცხება დოქტორი არნოლდი. ისა ცდილობდა, რომ ყმაწვილი მარტო თავის თაბზედ ყოფილიყო დანდობილი,

ის მხოლოდ ამხნევებდა იმათ მუშაობაში და მიმართულებას აძ-ლევდა.

კაცისთვის საკმაო არ არის მხოლოდ ერთი ლიტერატურული განათლება, შეიძლება ბევრი წიგნი წაიკითხოს კაცმა, სხვა და სხვა საგნებიც ისწავლოს და ამასთან სრულიად გაუხსნელი იყოს იმისი გონება, მაშინ როდესაც იპოვებიან კაცები, რომელთაც არ მიუღიათ შკოლაში განათლება, მაგრამ შრომით და თავის გონების ვარჯიშობით მიახწიეს მაღალ გონივრობამდის.

სწავლა უნდა იყოს შეერთებული კეთილობასთან და გონიერებასთან და უნდა გამოიხატებოდეს პატიოსანს ხასიათში, წინააღმდეგს შემთხვევაში ის უდრის ნოლს, ე. ი. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს რა. ეჭვი არ არის, რომ სწავლა დაიცავს კაცს სხვა და სხვა ბოროტი საქმისაგან, მაგრამ ის ვერ აღუდგება წინ თავის მოყვარეობითს მიდრეკილებას, თუ იმაში არ დაემკვიდრებიან გონიერი პრინციპები და კარგი ჩვეულებანი. ამისაგან ჩვენ ხშირად შევხდებით ხოლმე მცოდნე კაცებს, მაგრამ ცუდის ხასიათით.

ზოგიერთი ამგავი დავით ბებუთოვის ცხოვრებიდან

I.

,ᲙᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲧᲔᲜᲘᲠᲑᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ

თავადი დავით იოსების ძე ბებუთოვი დაიბადა ტფილისში, 11 იანვარს, 1793 წელსა. როდესაც სომხეთის სამეფო დაეცა, ბებუთოვის გვარი გადმოესახლა საქართველოში. აქ ბებუთოვიანთ გვარის კაცები საქართველოს თავადობაში ყოველთვის იყვნენ პატივცემულნი. ისინი სამხედროსა და სამოქალაქო სამსახურში ყოველთვის ყოფილან გამოჩენილნი, განსაკუთრებით მეშვიდმეტე საუკუნეში, როცა საქართველოს სამეფოს უკანასკნელი დღე დაადგა. როდესაც ოსმალებმა სპარსელებს წაართვეს გავლენა საქართველოზე და როდესაც მეფე თეიმურაზი ფშაველებთან წავიდა, მაშინ ტფილისში დავით ბებუთოვის პაპის მამა, აშხორ ბეგი, იყო მელიქად (ქალაქის მმართველად). 1724 წელს, ტფილისის აღებაზე აშხორ ბეგი მოჰკლეს. თერთმეტი წელიწადი რომ გავიდა მას უკან, ნადირ შაჰმა გაჰყარა ოსმალები საქართველოდან, თეიმურაზს ისევ მეფობა დაუბრუნა, მაგრამ იმისი შვილი ერეკლე კი ძევლად წაიყვანა. ერეკლეს გაჰყვა რამოდენიმე წარჩინებული თავადი და იმათში ერია დავით ბებუთოვის პაპა, ბასილ ბებუთოვი, რომელსაც ეძახდნენ მელიქ-აღასა. როდესაც ბატონის შვილი იმყოფებოდა სპარსეთის შაჰის კარზე. ნადირ შაჰ გაელაშქრა ინდოეთს, მელიქ-აღაც თან ახლდა და ბევრი კარგი საქმე ჩაიდინა. ნადირ შაჰმ აჩუქა იმას ძვირფასი ხმალი და მისცა მისკარ ბაშობა. ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ სპარსეთში ასტყდა არეულობა. ერეკლემ იშოვნა კარგი დრო, განთავისუფლა საქართველო დამოკიდებულებისაგან და მელიქ-აღა ტფილისის მელიქად დააყენა. მელიქობა ბებუთოვებს სამკვიდროთ დარჩათ. დავითის მამა იოსები ბატონის შვილთან იულონთან მოლარეთ-უხუცესათ იყო. თავადს იოსებს ჰყავდა ცოლად ასული იოსებ კორღანაშვილისა, რომელიც იყო ამილახორათ. ერეკლე მეორეს დროს იოსებ ბებუთოვს მაინც მისკარ ბაშობა ჰქონდა.

1783 წელს, ერეკლე მეფემ ისურვა რუსეთის მფარველობის ქვეშ ჩავარდნილიყო; მაგრამ სპარსელები და ოსმალები მაინც არ იშლიდნენ საქართველოს ხელში ჩაგდებასა. კუჩუკ-კაინაჯში რომ შერიგება მოხდა ოსმალეთსა და რუსეთს შუა, იმის შემდეგ ოსმალები დაწყნარდნენ; მაგრამ სპარსეთმა მაინც თავის განზრახვა აასრულა. 1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანი დიდი ჯარით შეესივა განჯისა და ერევნის სახანოსა, რომელნიც წინათ დაიპყრო საქართველომ. იქიდგან აღა-მაჰმად-ხანი გამოემართა საქართველოში, აიღო ტფილისი და სულ მოაოხრა. ცარცვა და გლეჯა ცხრა დღე არ დაწყნარებულა.

რაკი სპარსელები ქალაქს დაეცნენ, ვინაც მოახერხა მთაში გაიქცა; ბებუთოვის სახლობაც აგრეთვე წავიდა დასახიზნავათ. როგორც კი შვიდ ვერსს გასცილდენ, ასტყდა ასეთი ქარიშხალი, რომ წინ წასვლა აღარ შეიძლებოდა და ამისთვის არჩიეს ერთს დაქცეულს მონასტერში დაბინავებულ იყვნენ. დაებარგდენ თუარა ერთმა ვილამაც წამოიძახა: „არიქა, სპარსელები, სპარსელებიო!“ მაშინვე ყველანი ცხენებზე შესხდნენ და გაიქცნენ. ამ არეულობაში გამდელმა პატარა დავითი სასაფლაო ქვაზე მიატოვა. ცოტათ რომ ბინას მოშორდნენ, კნეინამ, დავითის დედამ, ყმაწვილი მოიკითხა, მაგრამ სად იყო! გამდელი ხელცარიელი მისდევდათ. კნეინა მაშინვე უკან გამოიქცა და თავის ჩვილით ისევ მალე მოეწია ცხენოსნებსა. თავადს დავით ბებუთოვს ძალიან უყვარდა თავის დედა და იტყოდა ხოლმე: დედა ჩემმა ორჯერ დამიფარაო სიკვდილისგან და ორნაირათაც უყვარდა: როგორც მშობელი და როგორც სიკვდილისგან დამხსნელი.

საქართველოს მდგომარეობა უნუგეშო იყო, ამისთვის მეფემ გიორგი მეთორმეტემ სთხოვა რუსეთის იმპერატორს პავლეს, რომ იმას საქართველო თავის ქვეშევრდომათ გაეხადა. ამ დროს საქართველომ განჯის და ერევნის სახანო დაჰკარგა. საქართველო მხოლოდ ქართლსა და კახეთს შეიცავდა.

თავადს დავით ბებუთოვს კარგათ ახსოვდა ზარების რეკა და ზარბაზნების სროლა, რომლითაც ტფილისის ქალაქმა იდღესასწაულა რუსის ჯარის მოსვლა გენერალი ლაზარევის წინამძღოლობის ქვეშ.

იუმცა საქართველო შეუერთდა რუსეთის სახელმწიფოს, მაგრამ მაინც ბევრნი იყვნენ იმისთანანები, რომელთაც სჯეროდათ, რომ საქართველოს კიდევ შეუძლიან თავისუფლად არსებობაო. როგორც ვიცით ამ პარტიის მოთავე იყო ბატონიშვილი ალექსანდრე.

თავადი დავით ბებუთოვის მამა კი ძალიან ერთგული იყო რუსებისა; იმის სახლში იკრიბებოდა რუსის საზოგადოება: იმასთან ხშირად დადიოდნენ ლაზარევი, კოტლიარევსკი, გულიაკოვი, პორტნიაგინი, კნორინგი. ციციანოვი რომ ტფილისს მოვიდა, მოხუცებული მისკარბაში გაიცნო და ისე შეიყვარა, რომ ლაშქრობაში არ იცილებდა. 1804 წელს იოსებ ბასილისძე წინამძღოლობდა ერთს ატრიადსა და მდინარეს ზანგას პირზე დაამარცხა ერევნის სარდალი, რომელიც აპირებდა საქართველოში შემოსევასა. ამისთანა საქმისათვის და სხვა ერთგულებისათვის მისკარბაშს მისცეს პოლკოვნიკის ჩინი და ანნა მეორე ხარისხისა, ალმასით მორთული. მთავარ- მმართებელმა დაიახლოვა იოსებ და ურჩია რომ შვილები სამხედრო სამსახურში მიეცა. მისკარბაში დათანხმდა ამ რჩევაზე. ორი უფროსი შვილი ბასილი და დავითი ჯერ შევიდნენ საანნაურო შკოლაში, რომელიც გახსნა 1801 წ. მეფის გიორგის კარზე დანიშნულმა, რუსის დესპანმა კოვალენსკიმ. ამ შკოლისთვის თავადმა ციციანოვმა გადასდვა ის ხარჯი, რომელიც ჭარ-ბელექნელს ლეკებისგან შემოდიოდა. 1807 წ. თ. ბასილი ბებუთოვი გაგზავნეს პეტერბურგს, კადეტის კორპუსში. შემდეგ ბასილ შეიქნა წარჩინებული მხედართ-მთავარი და მოიგო ორი დიდი ბრძოლა ყურიუყ-დარში და ბაშყადიყლარში. თ. დავითი და სხვა სამი ძმები დარჩენ ტფილისში; იმათგან მხოლოდ გრიგოლ უნდა შესულიყო სამოქალაქო სამსახურში, სხვანი კი სამხედრო სამსახურში.

იმ დროს განათლების წყარო ძალიან ვიწრო იყო: ქართველებში განათლებულს იმას ეძახდნენ, ვინც ქართულს ენაზე წერა-კითხვა იცოდა, სპარსულად ლაპარაკობდა და ცხენზედ კარგად იჯდა. რუსულის ცოდნა მაშინ შეიქნა უფრო საჭირო ქართველებისთვის, როცა საქართველო სრულებით შეუერთდა რუსეთსა. თავადი დავით ბებუთოვი დადიოდა შკოლაში, ცხოვრებდა თავის ოჯახში დახშირად მდევრობდა ხოლმე ლეკებზე, რომლებიც მაშინ ტფილისამდის ჩამოდიოდნენ ხოლმე საცარცვავად. დ. ბებუთოვს ძალიან უყვარდა კვირაობით სამხედრო ვარჯიშობაში სიარული. ის აქ ხის რხმლით იბრძოდა ხოლმე ამხანაგებთან, ხმარობდა შურდულს და ხშირად დაბრუნდებოდა სახლში თავ-პირგატეხილი. ვინ არ იცის ამ სამხედრო ვარჯიშობის სახელი. ეს იყო კრივი. აი თვითონ დავით ბებუთოვი კრივზე როგორ გვიამბობს: „კრივი იყო ორგვარი. ზაფხულში კრივობდნენ მარტო მუშტითა და ამას ერქვა მუშტის კრივი; ზამთარში კი მუშტს ახმარებდნენ ქვასა და ხის რხმალსა. ამას ერქვა ქვის კრივი. ქვის-კრივი ყოველთვის ქალაქს გარეთ უნდა გამართუ-

ლიყო. კრივს დაიწყებდნენ პატარები. ამ პატარებს ორ მხრივ თანდათან ემატებოდნენ და როცა ბრძოლა კარგათ გარგვალდებოდა, მაშინ დიდებიცა და მოხუცებულებიც ჩაერევოდნენ. კრივსა თავისი რიგი ჰქონდა. ვინც კრივში იშოვნიდა იარაღს, ქუდს, სარტყელს, წაბადს, იმის იყო და ველარავინ გამოართმევდა. როცა შიგ ქალაქში გაიმართებოდა ხოლმე კრივი, მაშინ მაყურებელნი და ქალები შევიდოდნენ სახლის ბანებზე და იქიდგან იცქირებოდნენ. ისინი ყვირილით და წაქეზებით ამხნევებდნენ მაჩხუბრებსა. როცა ქალაქს გარეთ დაიწყებოდა კრივი, მაშინ დედაკაცები და სხვა მაყურებელნი აირჩევდნენ მაღლობს ადგილებსა, საიდგანაც ძალიან კარგათ იხედებოდა კრივი ძირს მინდორზე და მთების სივიწროეში. კრივზე ახალგაზრდობა დაფეთებული იყო. ქართველს ქალს ის უფრო მოსწონდა, რომელიც კრივში გაიმარჯვებდა და თვითონ მაჩხუბარი ახალგაზრდაც უფრო გაჯავრებული იმისთვის ჩხუბობდა, რომ თავის საყვარელს მოწონებოდა და სახელიც ეშოვნა. რასაკვირველია, კრივს კარგი მნიშვნელობაც ჰქონდა. ქართველი ყმაწვილობიდგანვე ეჩვეოდა ბრძოლაში ხერხიანობას, თანდათან ემატებოდა იმას ბუნებითი გულადობა (გამბედავობა, სიმარჯვე), სიცქვიტე, ერთი სიტყვით აქ ის იძენდა ყველა თვისებას, რაც კი ბრძოლაში გამოადგებოდა. სარდათის კრივი იწყებოდა შურდულით. კრივში ხმარობდნენ მომცრო შურდულებსა. როცა ქვით ცოტაოდნათ არევდნენ მოწინააღმდეგეების წყობას, მერმე რხმლებს გაიღებდნენ და ჩაერევოდნენ ერთმანეთში; მეშურდულეები ამ დროს შურდულს თავს დაანებებდნენ და ქვას ხელით ესვროდნენ ერთმანეთსა. მეომრებს ნაბდები ესხათ და თავს იმით იფარავდნენ. მაყურებლებში ხანდაზან დიდი კაცებიც ერევნენ; რუსის მთავარ მმართებლებიც ხშირად ესწრებოდნენ ხოლმე: ციციანოვი, ერმოლოვი და ვარანცოვიც ბევრჯერ დასწრებიან.

ძალიან დიდი სარდათის კრივი, ბებუთოვის სიტყვით, გაიმართებოდა ხოლმე ყველიერში და გათავდებოდა დიდ-ორშაბათს. ამ დღეს ყეენობაა. ყველიერის ორშაბათს დილით ადრე ქვემო უბანში და გარეთ უბანში ამოირჩევდნენ თითო ყეენსა, მდიდრათ მორთავდნენ და დააბძანებდნენ ტახტზე, რომელიც იყო აგებული გზის ჯვარადინზე იმისთანა ადგილას, საიდგანაც ყეენს გამვლელ-გამომვლელი არ უნდა გამოპარვოდა. გზაზე ეყენათ მდიდრათ შეკაზმული ყეენის ცხენი და იქვე ქუჩებზე ყეენის ჯარები იდგნენ, რომლებსაც ერქვა ქუჩების სახელები. ყეენის ბრძანებით ართმევდნენ ხარჯს ყოველს გამვლელსა, ვინც კი იმის უბნის არ იყო. მებაირაღე და იმასთან

რამოდენიმე ხლებული გამოეკიდებოდნენ გამვლელსა, დაასობდნენ იმის წინ ბაირაღს და ყეენის სახელით მოსთხოვდნენ ხარჯსა. უარს ვერავინ იტყოდა და აძლევდა შეძლების და გვარად. მერე დიდის პატივისცემით გაჰყვებოდნენ ხარჯის მძღეველსა და წარმოსთქმიდნენ რამდენი შეაწია; ყეენის მოლარეთ-უხუცესი ჩასწერდა დავთარში იმის სახელსა და შესაწირს ჩასდებდა საუნჯეში. სადილობამდის ამას ჩადიოდნენ. სადილს უკან ყეენი თავის უბანში ქუჩებზე დასეირნობდა. თუ მოწინააღმდეგენი შეხვდებოდნენ ერთმანეთს, მაშინვე შეიბმოდნენ, მაგრამ თავი ბრძოლა კი დიდს ორშაბათს გაიმართებოდა. ყველიერის ორშაბათიდგან დაწყებული შაფათამდე მონაგროვები ფული კარგა ბლომათ შედგებოდა. კვირა დილას შეიქნებოდა მოლაპარაკება მოწინააღმდეგეებს შუა; ყეენები გაუგზავნიდნენ ელჩებს ერთმანეთს და ითხოვდნენ ხარჯს და თავის დაკვრას. ამასობაში ორივე მხარე ცდილობდა ერთმანეთის მოსყიდვასა და ან ჯარის გადაბირვასა თავისკენ. თუმცა უკმაყოფილება კი აღიძვროდა, მაგრამ მუხანათობა იშვიათად იყო. თუ რომელიმე ქუჩა არ დარჩებოდა კმაყოფილი ფულის დარიგებაზე, ან გადუდგებოდა ყეენსა და ან როცა კრივი გაიმართებოდა, მომდურავი ქუჩა საქმეში არ გაერეოდა. კვირა საღამოს ორივე ყეენი დიდის ამბით გავიდოდნენ ქალაქს გარეთ, ორივე უნდა გამოსულიყო ალაყაფის კარებიდგან. მე რომ მოგითხრობთ, იმ დღეს კრივი სოლოლაკში იყო დანიშნული,— ამბობს ბებუთოვი,—ჯარის წყობებს თავში მიუძღვოდათ დაფა-ზურნა და საყვირებით აძახებდნენ ოოროოტოოტოსა. მომღერლები სალამურზე ამღერებდნენ საომრო ლექსებსა. მოშაირები თარზე ამღერებდნენ უწინდელის გმირების ამბებსა. ყველაზე წინ მიდიოდნენ მოთამაშეები და მასხრები. ყეენს მიჰყვებოდა იმისი ჯარი და თან სასმელ-საჭმელი მიჰქონდათ. რაკი ქალაქს გარეთ გავიდოდნენ, მოწინააღმდეგენი ამოირჩევდნენ მარჯვე ალაგებსა, საიდგანაც ბრძოლა უნდა გაემართათ. მტრები ერთმანეთის პირდაპირ დასცემდნენ ბანაკს, მთელი დღე და საღამო ლხინს ეწევოდნენ, თუმცა დროსა და დროს შერჩევით ჰქონდათ მოლაპარაკება ომის შესახებ, აჩვენებდნენ კარგს საფარ ადგილებს; აგრეთვე გზირებიც ჰყავდათ, რომ შეეტყოთ მტრის ვითარება, რადგან სახელგანთქმულს მოკრივეებს იცნობდნენ, ამისთვის უსათუოთ უნდა შეეტყოთ, ვინ საით უნდა გაეგზავნათ და რამდენი ჯარითა. ორშაბათს 11-ს საათამდე კიდევ გაიმართებოდა ერთმანეთში მოლაპარაკება მოციქულობის შემწეობითა, უფრო იმ აზრით, რომ მაყურებლებისთვის მიეცათ დრო ქალაქს გარეთ გამოსულიყვნენ და საჭვრეტი ალაგები დაეკავებინათ, ძალიან კარგი საყურებელნი იყვ-

ნენ თეთრ ჩადრიანი ქალები, რომლებიც ბაწრებად გაბმულნი მთების სერებიდგან გადმოჰყურებდნენ მოკრივეებსა. იმათი დანახვა მოკრივეებსაც ძალიან ამხნევებდა და ყოველი ვაჟკაციც ცდილობდა რომ კრივში თავი გამოეჩინა და მამაცათ ჩვენებოდა თავის საყვარელსა, რომელიც სერიდგან თვალს ადევნებდა.

თერთმეტ საათზე მოვიდა თვითონ ციციანოვი თავისი მნლებლებით და დადგა სოლოლაკის თავზე. ყველამ იცოდა, რომ ბრძოლა იქნებოდა ძალიან გაცხარებული და ეგონათ, რომ ზემო მხარე მოიგებდა. ციციანოვსაც ის მხარე ეჭირა. მოუთმენლად ელოდნენ ნიშნის მიცემას, რომელსაც ბრძოლა უნდა დაეწყო. ბოლოს შესწყდა მოლაპარაკება; ზურნამ დაუკრა ძველებული სიმღერა ძველებულს გმირზე ქოროლლზე; ააზრიალეს ერთის ხმით ლოროტოტო, და ბრძოლა დაიწყო.

ჯერ შევიბენით პატარები. სხვებში მეც გამოვხტი, დავიწყე შურდულით ქვის სროლა, წელში ხის რხმალი მებნია და გვერდზე ნაბადი ვიგდე დასაცველად. ამ ქვის სროლაში თანდათან უახლოვდებოდით და რხმალში ვითხოვდით ერთმანეთსა. ერთი ბიჭი მომვარდა, იქით და აქეთ ხტოდა ჩემ წინა, რომ ქვა არ მიმერტყა, ბოლოს ვეცით, დაუწყეთ ცემა ხის რხმლით ერთმანეთს. ჩემი მოწინააღმდეგე დავჭერი და მეც ტუჩი გამიხეთქა. ამ დროს მომვარდა მამაჩემი, რომელიც იყო საჭვრეტად მოსული, წამიყვანა და უნდოდა შინ გაეგზავნე. ახალი შკოლის მოსწავლეებს აკრძალული გვქონდა კრივში სიარული. დიდი ხვეწნით და ტირილით ისევ დამარჩინა, ტუჩი წყლით მომბანა, შემსვა ხლებულის ცხენზე და გვერდით ამომიყენა. თუმცა ტუჩის ტკივილი ძალიან მაწუხებდა, მაგრამ მინამ ბრძოლა არ გათავდა, შინ არ წავსულვარ.

დიდხანს გაგრძელდა ქვის სროლა და ხელდახელ შეტაკება, მაგრამ არც ერთს კი არ დაუძლევია. როგორც სჩანდა რაღასაც ელოდენ. უეცრად ნაშუადღევს მტერი აირია—ზოგი აქეთ წამოვიდა, ზოგი იქითა და მთის ფერდობზე დამდგარი მაყურებლები მთის გაღმა გადავიდნენ. ჩვენები ემზადებოდნენ ერთბაშად თავს დასხმასა და დაიჭირეს ყველა გასავალები და ბილიკები სოლოლაკზე ასასვლელად, ამის მიზეზი აი რა იყო: ჩვენმა ყეენმა ჩუმათ შუაღამეს გაგზავნა ერთი წყობა ჯარისა სოლოლაკის შემოსავლელათ ტაბახმელას, რომელიც იყო ტფილისიდგან ექვსს ვერსზე. ეს ჯარი ორშაბათს დილით უნდა წამოსულიყო და შუადღეზე სოლოლაკის მთით უნდა ჩამოსულიყო მტრის პირდაპირ. ამასთანავე მთებზე ოქროყანიდგან უნდა გაემწკრივათ მარჯვე მეშურდულეები, რომ მტრისთვის ზურგში ესროლათ ქვები.

როგორც კი იმ ჯარის მოწინავე წყობა გამოჩნდა, ჩაერივნენ დიდები და მიიწეოდნენ სოლოლაკის მაღლობისკენ. მეშურდულეებიდგან, როგორც სეტყვა, ისე მოსცვივოდა ქვები: დაჭრილები ბრძოლას თავს ანებებდნენ და იმათ მაგივრად სულ უფრო და უფრო დიდები შედიოდნენ. ყოველგნით შეიქნა ცემა ჟლეტა; მთიდგან აგდებდნენ რუში ერთმანეთსა, ქვემო მხარემ მთის ნახევარი დაიჭირა. ამ დროს, რომელსაც თავი უნდა მოეევლო, ის ჯარი ჩამოვიდა მთიდგან და დაუწყო ქვის ცემა გარეთ უბნელებს. ამით უკეთესი მოკრივეები იმ ჯარს გაუყენეს, ამის გამო ქვემოთ უბნის ჯარმა დიდი ყვირილით შეუტია გარეთ უბნელებსა. წარჩინებული მოკრივეების სახელი ყოველგან ისმოდა და მებრძოლებს ამხნევებდა, ზურნა და სიყვირები თავის ხმით იქაურობას იკლებდნენ. გაიმართა სასტიკი ბრძოლა. რხლმებს ლაწანი გაჰქონდათ. ქვა აღარ იყო ხმარებაში. კრივის ადათია, რაკი რხლმით გადავლენ, მაშინ შურდულის ხმარება სიმუხდლეს ნიშნავს. გარეთ უბნელებს ილაჯი გაუწყდათ და უკან დაიწიეს ქვემოთ-უბნელებმა მთა დაიჭირეს და გარეთ უბნის ჯარი გაიქცა და დაეშო ძირს სოლოლაკის ფერდზე.

ქვები თანდათან უფრო სქლად მოსცვივოდა, ასე რომ თვითონ ციციანოვიც უკან უნდა დაწეულიყო; გაქცეულს ჯარს დიდი და პატარა გამოუდგა სოლოლაკის სივიწროვეში და თვითონ მთავარმართებლის სახლამდის მოერეკებოდნენ კივილ-ყღივილითა. ალაყაფის კარები დაჰკეტეს, რომ გამოქცეულები ქალაქში არ შეცვივნულ-იყვნენ. ციციანოვმა და ქართველთ თავადობამ მთავარ-მმართველის სახლისკენ გაქუსლეს, თვითონ მთავარ მმართველი ჩამოხდა ცხენიდგან, გამოვიდა თავის სასახლის ბალკონზე და იქიდგან დაიწყო ცქერა, უნდოდა შეეტყო თუ ეს ამბავი რითი გათავდებოდა, ციციანოვს მოახსენეს, რომ გარეთ-უბნელების დამარცხება თვით იმათი ყეენის ბრალი იყოვო, რადგან სახელგანთქმული მოკრივე საათო გაიორგულაო, იმისთვის, რომ რამდენსაც ითხოვდა იმდენი ფული არ მისცაო. გამწყრალმა საათომ ერთი ორმოცდა ათი საუკეთესო ვაჟკაცი დაარჩია, გადგა გვერდზე და ბრძოლაში არ გარეულა.

აი ბატონო,—უთხრეს ციციანოვს—საათო მთაწმინდის ძირში ჰზის და იქიდგან დასცინის დამარცხებულს ყეენსაო.

ციციანოვმა დაიბარა საათო. როცა საათო მოვიდა, მთავარმმართველმა ჰკითხა, შეგიძლიან, რომ ეს დამარცხებული ჯარი ისევ შეაბა და გამარჯვებული მტერი გარეკოვო. საათომ გულზე ხელი დაიდო, მადლი გადაუხადა და მოახსენა: „ბატონო, ღმერთმა დღეგრძელობა ნუ მოგიშალოს. მართალია ყეენმა გამაჯავრა, მაგრამ ახ-

ლა იმის მაგიერი თქვენა ბრძანდებით და თქვენს ბრძანებას ვემორ-ჩილები. ქვემოთ უბნელებს ჰყავთ შერმაზანი, რომელიც ჩემი ტოლია და რომელსაც მე პატივსა ვცემ, მაგრამ როგორც მითხრეს ის და სხვებიც კარგი მოკრივეები ყველანი დაუჭრიათ და წაუყვანიათ. ჩვენ, ორმოცდა ათს კაცს, ჯერ არ გვიკრივნია. იმედია რომ თუ კი ერ-თად დავკრავთ, მტერს გავაქცევთ. მხოლოდ ცოტაოდენი უნდა მო-მითმინოთ, რომ თქვენი ბრძანება ჩემს ამხანაგებს შევატყობინო". საათომ მიიღო თუ არა ერთი ქისა ოქრო ციცრანოვისაგან, მაშინვე ძირს ჩამოვიდა, უთხრა თავის ამხანაგებს ბრძანება მთავარ-მმართებ-ლისა, ისინი იქით და აქეთ გვერდით ამოიყენა და დაარიგა, რომ მეშურდულეებს ქვა არ მოახვედრებინოთო ჩემთვის. წინა მეომრებს მეც გაუმკლავდებიო. დაჰკრა ზურნამ გამარჯვების სიმღერა ქორ-ოღ-ლუ. გასძახეს „ღოროტოტო" და ბრძოლა დაიწყო. ხალხმა დაიძახა, საათო მოდისო და საათო შართლაც ვეფხვსავით მტერს ჩაერია და თავის რხმლით სულ ლაწანი აუყენა. ქვემოთ უბნელები უძახოდნენ შერმაზანს, რომ გაეჩერებინა საათო, მაგრამ ის არსად იყო; ქვემოთ უბნელები გაიქცნენ; საათო თავის ამხანაგებით უკან გამოეკიდა, შე-ვიდა მთის წვერზე და იქიდგან აპირებდა რუში მტრების გადაგდე-ბას... ამ დროს მეშურდულემ მოარტყა საათოს მარჯვენა თვალში... ის დაეცა. აქ გაცხარებულნი შეიბნენ. მტრებს უნდოდათ დაჭრილი გმირი წაეყვანათ; ამხანაგები არ ანებებდნენ.

ციციანოვი მივიდა ცხენით, სადაც გახურებული ბრძოლა იყო და მაშინვე გაგზავნა თავის ხლებულები და ქართველების თავადობა, რომ მებრძოლი ხალხი გაეშველებინათ და მოეძებნათ ის კაცი, რო-მელმაც საათოს ქვით თვალი გამოსთხარა. ბრძოლა დაწყნარდა; სა-ათო თუმცა გადარჩა, მაგრამ მარჯვენა თვალი კი დაემსო. იმ დღეს არავინ მოუკლავთ, ამისთვის, რომ წესიერათ კრივობდნენ. მხოლოდ ეს იყო, საათოს თვალი გამოსთხარეს, თავ-პირ დამტვრეული, ცხვირ გატეხილი და თვალ წამოთხრილი მაინც ბევრი იყო.

ნაშოვრობაც კარგი ჰქონდათ.

II

კახეთში არეულობა

(1811—1812)

1811 წელს, 3 ივნისს, პოლკში ჩამრიცხეს. მაშინ ეს პოლკი იდ-გა სპარსეთის საზღვარზე და ბინაობდა ცეპს; მეც აქ მომიყვანეს. ლაგერში ყოფნა არ მომეწონა, ვერც იუნკრის ტანსაცმელს შევეჩვიე,

თავისუფალსა და კარგათ გაწყობილს ქართულს ტანბასამოსს შემდეგ ეს მძიმე იუნკრის მუნდირი მეჩოთირებოდა. გონება არ მაძლევდა მოსვენებას, რაღაც კარგს მოველოდი და ამისგამო ძალიან მსურდა ჩუმათ გავქცეულიყავ ბატონის შვილს ალექსანდრესთან. ერთ ღამეს გავიძვრე სამხედრო მუნდირი, ჩავიცვი ჩოხა და ლაგერს გარეთ მივიპარებოდი, მაგრამ ცეპში ვერ გავძვერი. ჩემზე რომ სალდათი იყო მოჩენილი, ფხიზლათ თვალს მადევნებდა, გამიდარაჯდა, მსტაცა ხელი და მომიყვანა ძმასთან ისევ ლაგერში. მაშინ ჩემი ძმა პასილი ხერსონის გრენადერის პოლკში ადუტანტათ იყო. იმან კარგა ლაზათიანათ ყურები დამისრისა. ცოტა არ იყოს, ამ შემთხვევამ დამაჭკუიანა და ისე გულდადებით დავიწყე სამხედრო სამსახური, რომ ზამთარში, როცა ხალხმა დაიწყო მღელვარება, ღენერალს პორტნიაგინს ბევრი კარგი საქმე ვუყავი. მთელს პოლკში მხოლოდ მე ვიცოდი ქართული და ქართველებთან მოლაპარაკებაში მთავრობას ძალიან გამოვადექი. ვეცდები მოკლეთ გიამბოთ სამწუხარო ამბავი იმ არეულობისა, რომელიც 1811 წელს ზამთარში ატყდა.

მაშინ მთავარ-მმართებელი პაულუჩი სპარსეთის საზღვარზე იყო მოსალაპარაკებლათ. ჩვენი შეფი ენერალი პორტნიაგინი კახეთის მაზრის უფროსათ იყო. იმ დროს საქართველო პურით იხდიდა სახელმწიფო ხარჯსა. იმ წელს ვერ ეყო კარგი მოსავალი. კახეთში მხოლოთ ღვინის მოსავალია კარგი, პური იმდენათ არ მოდის. რადგან სპარსეთს ომის გამოცხადებას ვუპირებდით, ამისთვის ენერალს პორტნიაგინს ნაბძანები ჰქონდა, რომ სახელმწიფო ხარჯი მალე მოეკრიფა და რაც წინა-წლებში დარჩენოდა აუღებელი, ისიც უნდა სრულად აეღო. ხალხს უჭირდა და უარზე იდგა; მაგრამ ფალდებულს ხარჯს მაინც ძალდატანებით ითხოვდნენ. რომ აღარა გაეწყოთრა, ეგზეკუცია გაუსიეს. უნდა ვთქვათ, რომ ეგზეკუცია ჯერ არ გამოეცადნათ ქართველებსა. ყოვლის მხრით მოისმა ჩივილი, რომ სალდათები ოჯახს გვიუპატივრებენო, ცოლებს და ქალებს შეურაცხებას აყენებენო. იმ დროს ალექსანდრე ბატონის შვილის მოჩენილი კაცები აგონებდნენ ხალხსა. თავად-აზნაურობა იმისკენ იყო და დღე ნიადაგ მოელოდნენ იმის მოსვლასა. ჩვენი ჯარი კი საეგზეკუციოთ იყო გაბნეული მთელს კახეთში. მცხოვრებლებს ძალიან დაუმძიმდათ ამისთანა მდგომარეობა და ეკლესიებზე იკრიბებოდნენ მოსალაპარაკებლათა, რომ მალე მოეკრიფათ პური და ამ ძალდატანებიდგან განთავისუფლებულიყვნენ.

ერთხელ თიონეთს ხალხმა ეკლესიაზე თავი მოიყარა. ამდროს მოვარდება ერთი გაცოფებული დედა-კაცი, მოჰგლეჯს ქუდს თავის

ქმარსა და თვითონ დაიხურავს, მოიხსნის ჩადრს მოასხამს იმას და უუბნება: „შენ ახლა ცოლი ხარ და მე ქმარი! რუსმა გამაუპატიურა და შენ მაგიერათ მე უნდა გავსცე პასუხი!“ გამოჰგლეჯს ხანჯალს თავის ქმარსა და შირბის შინისკენ. მთელი ხალხი უკან გამოუდგა.... აფიცერი მოჰკლეს, კამანდა დახანჯლეს, ხალხი ადგა. ბუნტის თავებმა აიღეს ხელში ბაირაღი, რომ მთელი კახეთი აეყენებინათ და ამით უნდოდათ, თიონელებს მთელი ხალხიც რომ მიჰყოლოდა. მოთავენი ერთი სოფლიდგან გადადიოდნენ მეორე სოფელში და მოეგზეკუციე კამანდები მუქარით ამოაწყვეტინეს. ორის დღის განმავლობაში მთელი კახეთი ადგა. თელავი და სიგნახი შემოზღუდეს. ამ ქალაქებში მხოლოდ მცირე გარნიზონები იდგნენ. თელავის მახლობლად ჩვენი შტაბ-კვარტირა იდგა და, თუმცა დიდი ზარალი მიეცა, მაგრამ ჯარი ამ ქალაქის ციხეში მაინც გამაგრდა. სიგნახში კი ყველა ჩინოვნიკები და გარნიზონი გასწყვიტეს. ჩვენის პოლკის მეხუთე ესკადრონს და იმის კამანდირს მარტინოვსაც იგივე უბედურება ეწია. ეს ესკადრონი იდგა სოფელს კაკაბეთს. მარტინოვმა იმდენი მოახერხა, რომ წინა-ღამეს შტანდარტი მაინც გამოგზავნა შტაბ-კვარტირაში. პორტნიაგინმა მთელი ესკადრონიდგან მხოლოდ ას-ორმოცდა-ათი კაცი შეაგროვა და ძალიან გაჭირებაში ჩავარდა. შემწეობას მხოლოდ ტფილისიდგან მოელოდა; მაგრამ ტფილისი ოთხმოც-და-ათ ვერსზე იყო მოშორებული და, უკანასკნელი რომა ვსთქვათ, ჯარს სამი დღე მაინც დააყონდებოდა გზაზე. თუმცა საგარეჯლები ჩვენკენ იყვნენ, მაგრამ არ ეძინათ კი. ისინი თავიდგან ფეხებამდის შეიარაღდნენ და ელოდნენ განდგომილების მოსვლასა. აბუნტებულს ხალხში ბევრი კახეთის თავადი ერია. მეორე დღეს საგარეჯოს ქევხამ პორტნიაგინს წიგნი მოუტანა. იქ იწერებოდა ქობულოვი, რომა მთელი კახელები თქვენზე მოვდივართო და თუ საგარეჯლები არ შემოგვიერთდით სოფელს დავსწვავთო და ყველას ამოგწყვეტთო. ქევხამ უთხრა პორტნიანგინსა, ან სიტყვა მოგვეცით, რომ დაგვიფარავთო, ან გადით ჩვენი სოფლიდგან. სოფლელებს უნდოდათ, რომ ისინი დაგვეცვა და საგარეჯო გადაგვერჩინა დაქცევისაგან. თუმცა ღენერალი დაჰპირდა, დაგიფარავთო, მაგრამ, როგორც შემდეგ გიამბობთ, თავისი სიტყვა არ გაამართლა.

ტფილისიდგან ჯარი არ მოდიოდა, ამდგარი ხალხი კი წამისწამს გვიპირობდა თავს დასხმასა. სოფელში ოდნავ სიმაგრეც არ იყო, რომ ცხენები და ბარგი შეგვენახა. დრაგუნები, 150 კაცის მეტი არა გვყოლია და აი, როგორ დავაწყვეთ საქმე: პორტნიაგინის სადგომის წინ კარგი დიდი მოედანი იყო. ამ მოედანზე ირგვლივ შემოვიწყვეთ

ფქვილიანი ტომრები და ამ ნაირათ გავამაგრეთ. თუმცა მახლობელ ვენ ხებიდგან და ტყიდგან გვესროდნენ, მაგრამ, მინამ ჯარი მოგვეშველებოდა, თავი აქ შევიფარეთ. ამ ჯებირს გარეთ ცხენები, ბარგი და ლაზარეთი იყო. იმ საღამოს ტფილისიდგან მოიჭრა ორი თავადი. იმათ უნდა შეეგონებინათ სიგნახის უეზდი, რომ განდგომილებს არ მიდგომოდნენ. ერთი იმათგანი ანდრონიკაშვილი იყო, რომელსაც ძალიან უჯერებდნენ კახელები და მეორე ქიზიყის პრისტავი ჯანდიერი. არც ჩვენ და არც ამ თავადებს არა გვცოდნია სიგნახის გარნიზონის ამოწყვეტა. ღენერალმა შეიტყო ამ თავადებისგან, რომ ტფილისიდგან მოდისო მაიორი ბუხვორსტოვი ორი როტით და ორი ზარბაზნით. თვითონ ესენი კი სიგნახს მიეშურებოდნენ ხალხის დასამშვიდებლათ. ღენერალმა უთხრა თავადებს, კარგს სახელმწიფო ცხენებზე შემჯდარიყვნენ. თვითონ ჯანდიერისშვილს სთხოვა, რომ ჯარის მოშველებამდის იმასთან დარჩენილიყო. ეს ორი კაცი იმ ღამეს ქევხასთან დადგნენ, მეც იქ მიმიწვიეს. მთელმა სოფელმა სათითოოვოთ ძღვენი მოართვეს ამათა. ქათამი, კვერცხი, ყველი, შემწვარი ბატკნები, გოჭები, პური, ღვინო და ხილი აუარებლათ მოიტანეს. გზირი კარებზე იდგა და იძახდა ხოლმე მემძღვნეს სახელსა. ანდრონიკაშვილი და ჯანდიერი ეტყოდნენ: „აგაშენოს ღმერთმა, დაჯექ!“. გლეხი დაჯდებოდა და რაც მოეტანა, სუფრაზე აწყობდა. ამ სახით სახლი მალე გაივსო სტუმრებითა, რომელნიც თავიდგან ფეხებამდის შეიარაღებულნი იყვნენ. სტუმრები ირგვლივ შემოუსხდნენ კერასა და დაიწყეს ლაპარაკი მაშინდელს ამბავზე. თითონელებს სულ ყველანი არ ამართლებდნენ. ბევრნი იმ აზრისა იყვნენ, რომ რომელმაც დედა-კაცს შეურაცხება მიაყენა, ის რუსი სულ ნაკუწ-ნაკუწათ უნდა ექციათო; მაგრამ მთელი კამანდა რა დანაშაული იყო, რას ერჩოდნენო! ზოგი ამბობდა, იქნება რუსები მოუდგნენ თავის აფიცერს და კაცები დაჰხოცესო. მართალი არავინ იცოდა; ყველა ისე ლაპარაკობდა, როგორც თვითონ ეგონა. ვახშამს შეექცნენ. ბატონები და გლეხები პურს ერთად სჭამდნენ. მერიქიფე უვლიდა გარს სუფრასა და აზარფეშა ხელიდგან ხელში გადადიოდა. ნავახშმევს გაიმართა ხმამაღლა ლაპარაკი, კარს ხშირად აღებდნენ ხოლმე. სტუმრები თან-დათან გვემატებოდა; სახეზე ეტყობოდათ, რომ არ იყვნენ მოსვენებულნი. აი მოვიდა ორი ქართველი. ქუდები მოიხადეს, ბურსეულით ოფლი მოიწმინდეს და მოართვეს ქევხას წერილი. ქევხამ წაიკითხა და საიდუმლოთ გადასცა ჯანდიერს. ეს ბარათი იყო ქობულოვისაგან მოწერილი. ჯანდიერმა ქევხას დაუბრუნა წერილი და უთხრა, ქობულოვს ჩემ მაგიერათ წიგნი მისწერეო. შეუთვალე, რომ ხვალამ-

დის ნუ მოვა, ამიტომ რომ პორტნიაგინი ხვალ აპირებს სოფლიდგან გასვლას. სჯობიან ასე მოიქცე, თორემ დიდი ზარალი მოგეცემათ, რადგან პორტნიაგინი თავგანწირულათ დაიწყებს თავის დაცვას. მერე ჯანდიერისშვილმა ყურში წამიჩურჩულა: „წადი ახლავე ღენერალს უთხარი ფრთხილათ იყვეს. ქობულოვს მე ვიცნობო, იქნება არ დამიჯეროს და ამავე ღამეს დაგვეცესო. აქაურს მცხოვრებლების იმედი ტყუილა ნუ აქვს, ისინი უფრო იმათ მხარეს დაიჭერენ და არ დაუწყებენ წინააღმდეგობას. ლაზარეთიდგან ავათ-მყოფები ახლავ გამოიყვანე, რომ ცოტა მეტი ჯარი იყოს“. ჯანდიერმა ორი კაცი გამატანა და რაც დამაბარა, ყველა პორტნიაგინს მოვახსენე. როგორც კი ავათმყოფები გამოასხეს, მაშინვე ლაზარეთს ცეცხლი მისცეს, შეიქმნა თოფის სროლა. განდგომილები მოგვადგნენ, ვენახებში და გარემო ტყეში ჩაესაფრენ და დაგვიწყეს სროლა იქიდგან; მაგრამ ღამე იყო და ვერა გვავნეს რა. ინათლა თუ არა, თოფის სროლაც გაჯშირდა. საგარეჯლებს ხელი არ გამოუღიათ, მაგრამ ელოდნენ კი, რომ ჩვენ სოფლიდგან გავსულვიყავით. ჩვენ ვიყავით ტომრების ძირში მიმალულნი და ვინც კი მეიდანზე გადირბენდა, მაშინვე თოფს მოარტყამდნენ. დილას ჯანდიერი მივიდა ღენერალთან; ანდრონიკაშვილმა კი გასწია სიგნახს და ხლებულები თან წაიტანა.

ღენერლის თხოვნით ჯანდიერი რამოდენიმეჯერ გამოვიდა განდგომილებთან და აგონებდა ხალხს, რომ თოფის სროლა შეეწყვიტათ. იმას არავინ უჯერებდა. ყველამ იცოდა, რომ ქობულოვი იქ იყო, მაგრამ არავის ენახვებოდა. მზე გიდიხარა და შემწეობა კი აჩსაითა ჩნდა. ბევრი ცხენები და მასთანა 25 კაცი დაგვიჭრეს. მესამე საათი იყო, რომ ზარბაზნის სროლა და ბარაბანის ხმა მოგვესმა. ყველა გამხიარულდა. მაიორმა ბუხვოსტოვმა გვაცნობა, აი მეც მოვდივარო. როგორც კი ჯარი მოახლოვდა, განდგომილებმა დასტოვეს ბაღები და ტყე; სროლა დაწყნარდა.

როცა ბუხვოსტოვი პატარძეულს მოვიდა, იქ სამხედრო რჩევაში დასდეს, რომ სოფელი დაგვეტოვებინა და ტფილისს წავსულიყავით. ამის მიზეზი ის იყო, რომ მაიორი ესიკოვი, რომელიც გაეგზავნათ ორასი კაცითა თელავის ციხის მისაშველებლათ, ძლივს შესულიყო ციხეში, ძალიან დაეზარალებინათ და თვითონაც მოეკლათ. იცოდნენ, რომ თელავის გარნიზონი ორ თვეს გაუმაგრდებოდა ხალხსა. იმავე შიკრიკმა მოგვიტანა ამბავი, რომ 15 ათასი განდგომილი ხვალვე თავს დაგვეცემიანო, უნდათ გაგვსრისონ და ტფილისს მიჰმართონო.

მაშინვე სამგზავროთ მოვემზადეთ, რაც მძიმე ბარგი იყო, სულ დავსწვით და წავედით ტყე-ტყე, გავედით იორს და მივმართეთ

აზამბურს; დიდი გზით წასვლა ვერ შეგვეძლო, გადგან იქ განდგომილები გვიდარაჯებდნენ. თუმცა ძალიან ჩუმათ მივდიოდით, მაგრამ მაინც გაგვიგეს, გამოგვიდგენ და მთელი ღამე სულ გვესროდენ. საგარეჯლები იმათ შეუერთდენ. ჯანდიერი ღამით გაიჭრა სიგნახს თავის ცოლშვილის მისაშველებლათ.

დრაგუნები ქვეითათ მიდიოდნენ და ცხენები სადავით მიჰყავდათ; რამდენიც კაცი ვიყავით, ოთხი იმდენი ცხენი გვყავდა, რადგან კაცები ზოგი მოგვიკვდა, ზოგი გაგზავნილ-გამოგზავნილი იყო; ჩვენ გზას მივყვებოდით. ქვეითი ჯარი წინა-მხარს და უკანა-მხარს გვიცავდა; მაგრამ კაცები მაინც თან-და-თან გვაკლდებოდა; მთელი ღამე წინ მივისწრაფოდით. ცისკრის ამოსვლისას, როცა აზამბურის მთას შევუდექით, არ ვიცი რათა, ჩვენი კოლონა შეჩერდა; ორი ღამე არ მეძინა, ოცი ვერსი ქვეითათ წამოველ, ხელში შტანდარტი მეჭირა და ამან ასე დამღალა, რომ ილაჯი გამიწყდა, კოლონა შეჩერდა თუ არა, მაშინვე მივწექ ხევში და მკვდარსავით მიმეძინა. დიდხანს ვიწექ თუ არა, ის კი არ ვიცი, მაგრამ მახლობლად ზარბაზნის სროლამ გამომაღვიძა. თვალები რომ გამოვახილე, ძალიან შემეშინდა ჩემი თავისა და შტანდარტისაცა. რამდენიმე მინუტი რომ კიდევ მძინებოდა, უკანა ჯარი ისე გამოივლიდა, რომ ვერ შემნიშნავდენ. უეჭველათ, განდგომილები ან მომკლავდნენ, ან შტანდარტიანათ დამიჭერდნენ. სიკვდილის არ მეშინოდა, მაგრამ გულში ეს მქონდა, ვაი თუ იჭვი აიღონ ჩემს ორგულობაზე. მაშინვე ვეცი შტანდარტსა და მოვქუსლე, როცა რხლმების რაჩხა-რუჩხი მომესმა, უფრო გავმხნევდი და ფეხს ვუმატე იმ აზრით, რომ სიკვდილს თავი დავახწიე. ცისკარი ამოვიდა, რომ ალხანაგებს მივეწიე. პოლკის დეჟურნთან, პარუჩიკ რუდნევთან მოვედი და ვუთხარი, თუ მე არ მოგაგონდით შტანდარტი მაინც რატომ არ გაგახსენდათ მეთქი. რუდნევმა შემეხვეწა, არავის უთხრაო, მაგრამ საწყალს ამის თქმაც აღარ დასცალდა; თოფი მოარტყეს და იქვე უსულოთ დაეცა. გამოვიარეთ და სოფელს სართაჭალას მივედით. განდგომილებმა თავი დაგვანებეს და ჩვენ მეორე დღეს საღამოს უშიშრათ შამოველით ტფილისში. მამა ჩემი დისტანციის თათრების უფროსათ იყო და მორჩილების ქვეშ ჰყავდა. ჩემი ძმა ბასილი მთავარ მართებელთან პაულუჩთან იყო სპარსეთის საზღვარზე.

ამ დროს ტფილისში გამოაწყვეს ერთი ატრიადი პოლკოვნიკის ხაგრიაჟსკის წინამძღოლობის ქვეშ და გამოუყენეს განდგომილებსა, რომელნიც ჩვენ მოგვდევდნენ და აპირებდნენ ტფილისს შემოსვლასა. მეორეს მხრით ღენერალს ორბელიანს ნაბძანები ჰქონდა ქვეითის

ჯარით და დრაგუნის პოლკით წასულიყო მეფის წყაროდგან სიგნახს, დაემშვიდებინა ეს ქალაქი და მისულიყო თელავამდის.

დედა ჩემი ვნახე თუ არა მაშინვე მოვიდა ორდინარეცი, პორტნიაგინი გიხმობსო. ღენერალთან დამიხვდა პოლკოვნიკი ზაგრიაჟსკი და იქვე ატრიადიც იყო სალაშქროთ მომზადებული. ახლაც მახსოვს ღენერლის სიტყვები: „მთავრობა დარწმუნებულია შენის ოჯახის ერთგულობაზე, შენი ძმა მთავარმართებლის ადუტანტია, შენც ჩემთანა ხარ და მამაშენიც ჩემი მეგობარია. ჩვენ გვინდა სანდო კაცი. შენ ქართული იცი და კახეთს მიმავალი გზები: გახდი ზაგრიაჟსკის ატრიადის გზის მაჩვენებელი და ამასთანავე პოლკოვნიკის თარგმნელი. მიდი მაიორ კოტირევთან, რომ კარგი ცხენი მოგცეს, მეორე ცხენიც ბარგისთვის გამოართვი და ახლავე მიდი პოლკოვნიკთან“. ღენერალმა ნება მომცა დედას გამოვთხოვებოდი, მაგრამ დამარიგა, ატრიადი სად მიდის, არავის უთხრაო. მაშინ მივუბრუნდი ზაგრიაჟსკის და ვუთხარი, თუ დამაგვიანდეს, ავლაბრის ალაყაფის კარებში რომ გახვიდეთ, არამც და არამც დიდს გზას არ დაადგეთ, ძალიან შორს მოვლა დაგვჭირდება; წადით გზაწვრილზე, საცა დაბრკოლება არა შეგხვდებათ რა. ერთს საათსაც არ გაუვლია, რომ ატრიადს გამოვუდექი. ალაყაფის კარებთან რომ მივედი, დარაჯს ვკითხე, საით წავიდა ატრიადი? იმან იქითკენ მიმასწავლა, საითაც არ ვურჩევდი წასვლასა. მაშინვე ვკარი ცხენს ქუსლი, ხუთს ვერსზე მივეწიე პოლკოვნიკს და ვუთხარი ამ გზით ხვალ ათ საათამდის რომ მივიდეთ სოფელს ლილოს, ისიც კარგია. ზაგრიაჟსკიმ მიბრძანა მოკლე გზაზე გამომეყვანა ატრიადი. თუმცა ბნელი ღამე იყო, მაგრამ ატრიადი გავაყოლე ერთს გამშრალს ხევის პირს, რომელიც კარგათ მემხრობოდა და გამოველით მოკლე გზაზე. ამასობაში ორი საათი დავკარგეთ, ასე რო ლილოს მთასთან გათენებისას მივედით. მთის წვერიდგან შეგვნიშნეს და დაიწიეს მარტყოფისკენ. ტყეში კარგს ადგილებზე გამაგრდნენ.

აქ ერთს საათს შევისვენეთ და მერე მივდექით ტყიდგან განდგომილების გამორეკასა. დიდხანს არ გამაგრებულან, გავიდნენ იორის წყალზე და ჩაესაფრენ ხაშმს, ყარაბულაღს, პატარძეულს და დაიჭირეს მთის სერები. ჩვენი ატრიადი მივიდა სართაჭალას და მთის მარჯვენა გვერდი დაიჭირა. განდგომილების მოთავეთ კახელი თავადები იყვნენ; იმათ რიცხვში იყო ოთარ ქობულოვი და ბარძიმ ჩერქეზიშვილი.

მეორე დღეს დილით ზაგრიაჟსკიმ განდგომილებს გაუგზავნა ერთი მღვდელი და თავადი ვაჩნაძე შესაგონებლათ, რომ ხალხი დაშ-

ლილიყო და თავთავიანთს სახლში წასულიყო, ამასთანავე დაჰპირდა მიტევებას. თუ არ შეისძენდნენ დასჯას ემუქრებოდა. განდგომილებმა უთხრეს, სანამ ცოცხალი ვართ, იორის წყალს აქეთ ერთს რუსსაც არ გამოვუშვებთო. იმდროს მდინარე იყო პატარა და ფონზე კარგი გადასასვლელი იყო ქვეითა ჯარისთვის.

მდინარეზე გადასვლა მოვინდომეთ და ამისთვის დავუწყეთ სროლა მდინარის პირებს. მერე გავიყვანეთ ჯარი მდინარეზე; ამით დავუმტკიცეთ, რომ ისინი ვერ დაგვაკავებდნენ. გავედით თუ არა იორში, განდგომილების ჯარი ორათ გაიყო. ერთი მარჯვნით წავიდა, მეორე მარცხნით ყარაბულაღისა და ხაშმისაკენ. ეს სოფელი მაგარი ადგილია. ვენახებით გარემოცულია და მთის სივიწროეშია ჩადგმული. აქედგან მთის ბილიკი გომბორით თელავს მიდის.

ს. ხაშმსა გამწარებულათ იცავდნენ, მაგრამ ღერიშით მაინც ავიღეთ. ატრიადი დაებარგა ვენახებში, აგრეთვე დაიჭირა მაღლობი და მთის სივიწროე.

იერიშით მისვლის დროს მონასტრიდგან გამოვიდა არხიმანდრიტი ჯვრით და სახარებით, სხოვდა, მონასტრის და სოფლის შეწყნარებასა. ზაგრიაჟსკი ძალიან გაჯავრებით შეხვდა არხიმანდრიტსა და დაუწყო ასეთ-ასეთების ლაპარაკი, რომ მე ველარ შევკადრე სოლიერს მამას ამ სიტყვების გადათარგმნა. არხიმანდრიტმა რომ დაინახა ზაგრიაჟსკის გაჯავრებული სახე, მკითხა, გული რაზე მოსდისო. ამის მეტი ვერა უთხარი რა: პოლკოვნიკი სხვა რჯულის არი-მეთქი და არ შეუძლიან, ჯვარი და სახარება თვალით დაინახოს. ამ დღეს ხუთი განდგომილი შეიპყრეს და გადასწყვიტეს იმათი დასჯა სიკვდილით. ისინი მეორე დღეს დილით ჩამოახრჩვეს.

გათენებისას მოვიდა მთავარ-მართებელი მარკიზ პაულუჩი, და თან მოჰყვენ ბევრი გამოჩენილი თავადები, რომლების რიცხვში იყვნენ: ქართველთ მეფის სიძე ვახტანგ ორბელიანი, მოურავ-ორბელიანი, რომელსაც ეძახდნენ პოტემკინსა, კახეთის პირველი მებატონე ალექსანდრე ჭავჭავაძე და სხვანი. მარკიზს ჩემი ძმა ბასილი მოჰყვა.

მთავარ-მართებელი რომ მოვიდა, მაშინვე გამოეცხადა არხიმანდრიტიცა და გამოითხოვა დამნაშავეების მიტევება. ამ უბედურებს ბაწრის თვლები კიდეც ჰქონდათ ყელზე ჩამოცმული. ერთი მინუტიც რომ დაყოვნებოდათ, უეჭველათ ჩამოჰკიდებდნენ. ამ დროს მოიჭრა ჩემი ძმა ბასილ და გამოუცხადა პატივება. დამნაშავეებს არა სჯეროდათ და იხვეწებოდნენ, ნუღა გვაწვალებთო. როცა თვალები აუხილეს, შებორკილი ხელ-ფეხი აუხსნეს და სახრჩობელადგან ჩამოიყვა-

ნეს, საწყლებმა სიხარულით აღარ იცოდნენ, რა ექნათ. სხვა და სხვა მხადებაში ერთი დღე გავიდა. დაჭრილები და ავათ-მყოფები ჩაფრებით ტფილისს გაგზავნეს. რადგან საჭირო აღარ ვიყავი, ამისთვის მიბრძანეს ტრანსპორტს გავყოლოდი და პოლკში დავრჩენილვიყავ. ეს მე სიამოვნებით ავასრულე.

ატრიადის წინამძღოლობა თვითონ მთავარ-მართებელმა იკისრა. პირველს ნოემბერს კახეთი მთლად დამორჩილდა. განდგომილები ძალიან გამაგრდნენ ველის-ციხეში. აქ მოჰკლეს ვახტანგ ორბელიანი და დასჭრეს ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ბევრი თავადები დაიჭირეს და რუსეთს გაგზავნეს, იმათ შორის იყო ოთარ ქობულოვი და ბარძიმ ჩერქეზიშვილი.

ამ დროს ბატონიშვილი გიორგი კოჭლი ფშაო-ხევსურებში იყო. იმას უხეიროთ რაცხავდნენ და მთავრობას არც კი ახსოვდა. ახლა იმაზედაც ეჭვი აიღეს, დაიჭირეს და პეტერბურგს გაგზავნეს. იმას გააყოლეს ბასილ ბებუთოვი.

1863

ორიოდე სიტყვა კამედიაზე „ვაი ჭკუისაგან“ და რუსულს ტრუპპაზე

ეს ნახევარ წელიწადზე მეტია, რაც ტფილისში რუსული სცენა გაიმართა. რუსის ტრუპპა (წარმომადგენელთ გროვა) დიდს საქმეშია. ის ზედი-ზედ ადგენს სხვა-და-სხვა კამედიებსა და დრამების ნაწყვეტებსა, რომ ამით ჩვენ თვალწინ გააცოცხლოს მრავალ-ნაირი სურათი რუსის ცხოვრებისა. — ესე ყოველი იმ განზრახვით არისო — ამბობს „კავკაზი“, რომ უფრო განათლებულის ცხოვრების სურათითა შეათვისოს ჩვენს საზოგადოებას უკეთესი წესი შინაცხოვრებისა. თუ ეს ასეა, ჩვენი თანაგრძნობაც დაერთვის ამისთანა მოსაწონს განზრახვასა. ამას გარდა რუსული სცენა ჩვენს საზოგადოებას ენას გაუსწორებსო, კარგს რუსულს კილოზე მიაჩვევსო ლაპარაკს. ჩვენ ამ კეთილს განზრახვასაც შევხარით. ახლა ეს დაგვრჩა გამოსაკვლევად: რასში მდგომარეობს უფრო განათლებული ცხოვრება და ან რუსული ტრუპპა რამდენად ასრულებს თავის საქებარს განზრახვასა?—პასუხის მისაცემათ საჭიროა მოკლეთ ავხსნათ, რა არის უფრო განათლებული ცხოვრება, ან როგორია ის საშუალება, რომლითაც უფრო გონებახსნილი ცხოვრება ზედ-მოქმედებს ნაკლებათ გახსნილს ცხოვრებაზე?

წარმოვიდგინოთ ორი სხვა-და-სხვა საზოგადოება: ერთი ველური, მეორე ძალიან განათლებული. შევათანასწოროთ ჩერქეზთ ცხოვრება ამერიკის ხალხის ცხოვრებასთან. ჩერქეზს რომ ამაყი სიტყვა უთხრა, მაშინვე დამბაჩას გესვრის. აქ ყოველი კაცი რამდენათაც თავისმოყვარეა, ამდენათ სხვისი მტერია. ოდნა წყენისთვის მზათ არის უმსხვერპლოს თავის თავს სხვისი სიცოცხლე. ამის გამო აქ ყველანი თავიდგან ფეხამდის შეიარაღებულანი, შორს განდგომიან ერთმანეთსა და ღმერთმან დაგიფაროს, იმათთან ახლოს მისვლა. შენ იმას მტერი ჰგონიხარ, რომელიც ცდილობ იმის მოკვლას, თუ თვითონ არ დაგასწრო შენს თბილ სისხლში ხანჯლის გასვრა. აქ ერთობით ცხოვრება არ მოხერხდება, ამიტომ რომ ყველა ცდილობს სხვის დაჩაგვრასა. ამისგამო საზოგადოების კავშირი სუსტია. ერთი-მეორესთან ვერ თავს-

დება, ყოველი კაცი სხვის შემწეობას მოკლებულია; როგორც ნადირი განცალკევებულა და ნადირსავით გაჭირვებითაც ცხოვრებს. მტაცებლობა, მუდამ შიმშილ-წყურვილი, თავშესაფერის უქონელობა, და ბოლოს ნადირსავით სიკვდილი,—აი ერთგვარი ცხოვრება ყოველად გაჭირვებული და დაჭმდაბლებული.

ახლა წარმოვიდგინოთ ისეთი ცხოვრება, საცა ყოველი კაცი სხვის სიმართლეს იმდენათ პატივსა სცემს, რამდენადაც თავისას, საცა ყოველი გვამი იმას ცდილობს, ისე შემოსაზღვროს თავისი ნება, რომ მეტის მოთხოვნილებით სხვისი ნება არ დაჩაგროს, სხვისი ღირსება არ დაამცირეს. ამ აზრზე ამერიკის საზოგადო ცხოვრება უფრო დაახლოვებულია. აქ კაცების ერთმანეთთან დაკავშირებაც უფრო მოხერხებულია. ამისთანა კავშირი გვამებისა დაჭბადებს საზოგადოებას, რომლის ღონეც მით უფრო ვრცელი და დიდია, რამდენადაც თითო გვამები უფრო შეკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, ესე იგი, რამდენათაც უფრო გაძლიერებულია ერთი-მეორეს პატივის ცემა. მაშასადამე, ცხოვრების ღონისძიებაც მით უფრო დიდია და ცხოვრება გაუმჯობინებულია, რამდენადაც საზოგადოების ძალა მომეტებულია. აქ თითოული გვამი შრომობს, შეძლებისამებრ სწირავს თავის ღვაწლს საზოგადოებას და ამის მაგივრათ თავის ცხოვრების გასაჩათლებლათაც ხმარობს იმ დიდს საზოგადოების ძალასა. აქედგან უნდა გამოვიყვანოთ ესა, რომ რამდენათაც სჯული და საზოგადო ჩვეულება უფრო პატივს სცემს თითოულის კაცის სიმართლეს, იმდენად უფრო გადიდდება საზოგადოების ძალა და ეს ძალა იმდენათ უფრო კეთილს მდგომარეობაში შეიყვანს ცხოვრებასა.

ამას შეესაბამება ცხოვრება ამერიკელთ საზოგადოებისა, ცხოვრება დიდებული და კეთილ მდგომარეობით სავსე

ჩვენ წარმოვიდგინეთ ორ-ნაირი ცხოვრება: ერთი ჩერქეზისა, რომელიც არის ველური და მეტად გაჭირვებული, მეორე ამერიკელი, რომელიც არის განათლებული და რაც შეიძლება კეთილ-მდგომარეობით სავსე. ყოველი საშუალება, რომელიც ეცდება გაჭირვებულის ჩერქეზის ცხოვრების დაახლოებას განათლებულს ამერიკის ცხოვრებასთან, მეტად სამადლო საქმეა. რაც რომ გონება გაუხსნელს ჩერქეზს შეუთვისებს სხვის სიმარლის პატივისცემასა, ის საშუალება კაცთმოყვარული და მოსაწონია. მაგრამ ჩერქეზს რომ ამერიკის ცხოვრების სურათი წარმოუდგინო და გრწამდეს, რომ იმას კარგი გავლენა ექნება ჩერქეზის ველურ ცხოვრებაზე, ეს ძალიან შემცდარი აზრი იქნება. ამიტომ რომ ჩერქეზი თავის უმეცრების გამო ვერ მიხვდება სცენაზე წარმოდგენილის ცხოვრების აზრსა და დარჩება სრულებით იმის უგრძნობელი. ამერიკელის ცხოვრების გასაგებათ,

ჩერქეზს ჯერ სწავლით უნდა გაეხსნას გონება, რომ შემდეგ ამისა გაიგოს ხოლმე იმ ცხოვრების სურათი და სასარგებლოთ გამოიყენოს. ამერიკული ცხოვრება და ჩერქეზისა ორი უკიდურესი წერტილია, რომლებს შორის სცენით შუამდგომლობა არ მოხერხდება. ჩვენი და რუსის ცხოვრება კი სულ სხვა არის. ეს ორი ცხოვრება ერთმანეთზე ძალიან დაახლოვებულია, თუმცა იმას კი არ ვიტყვი, რომ ჩვენი იმათსას უდრიდეს, ან იმათი ჩვენსას არა სჯობდეს. ამ შემთხვევაში სცენა შეიქმნება ერთი საუკეთესო საშუალებათ, რომლითაც უფრო გონება-გახსნილი ცხოვრება კეთილად იზედ-მოქმედებს ნაკლებათ განათლებულზე. სცენა არის ისეთი ასპარეზი, სადაც მაყურებლის თვალ წინ გადმოიშლება სხვა-და-სხვა სურათი გამოცდილის ცხოვრებისა. იქ წარმოგვიდგება კაცის შეუფერებელი ნაკლულევანება, რომელიც ჩვენს უმზგავსო მოქმედებას გვამხილებს, და გვკიცხავს. სცენაზე ჩვენ ვხედავთ კაცის ბრძოლას თავის მავნებელს გულის თქმასთან. თუ მოქმედი პირი სცენაზე სძლევს თავის მავნებელს გულისთქმას და გონივრულის ყოფაქცევით აშორდება ცხოვრების ბიწიერებას, მაშინ მაყურებელი თანაუგრძნობს ამისთანა ქველ-მოქმედებას და იმ-ყოფება კარგს გავლენის ქვეშ. ამ შემთხვევაში ის იკრებს ბევრს ზნეობითს ძალას და ზნეობით ახლდება. თუ სცენაზე წარმოსდგება ისეთი ცხოვრების სურათი, რომელიც სულ-მდაბალი მოქმედებით და ჭუჭყიანი ცხოვრებით აშფოთებს გულსა, მაშინ მაყურებელი სწუხს, სინიდისი ჰკიცხავს, მით უფრო რომ ეს უწესო მოქმედება თვით მაყურებელს მოაგონებს უწინდელს თავის ჩირქიანს ყოფა-ქცევასა. რამდენადაც უფრო ღრმად შეირყევა მაყურებელი სცენაზე წარმოდგენილის უმზგავსო მოქმედებითა, იმდენათ უფრო შესძაგდება იმას თავისი ჩირქიანი ყოფა-ქცევა, და ეცდება თავის ზნის გაკეთებასა. აქედგან სჩანს, რომ სცენას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის აღზრდაში. ეჭვი არ არის, რუსული სცენა ამ აზრით არის გამართული ტფილისში და ყველანიც უნდა ვიყოთ ამ კეთილი საქმის მოხარულნი. მაგრამ ამისთანა კეთილის აზრის ასასრულებლათ ასეთი წარმომადგენელთ გროვა, ანუ ტრუპპა უნდა ჰყავდეს რუსულს სცენასა, რომ შეეძლოს იმ ცხოვრების სურათების გაცოცხლება, რომელნიც იმისგან წარმოდგენილს დრამებში და კამედიებში არიან გამოყვანილნი. საქმე ის არის, ვრცლათ ასრულებს თუ არა ჩვენი ახლანდელი რუსული ტრუპპა თავის სცენის განზრახვასა? ამის პასუხს მაშინ მოგახსენებთ, როდესაც განვარკვევთ რუსის აკტორები-

საგან წარმოდგენილს რომელსამე კამედიასა და შევიტყობთ, თუ რამდენათ განაცოცხლა ყოველმა აკტორმა იმისგან წარმოდგენილი ყოველი ხასიათი გვამისა. ამისთვის აეიღოთ კამედია „ვაი ჭკუისაგან“, რადგანაც ეს კამედია ჩვენზე უფრო დაახლოვებული და გაცნობილია იმ მწერლის გამო, რომელსაც შეუთხზავს ეს კამედია.

სწორეთ რომ ვთქვათ, „ვაი ჭკუისაგან“ არ არის კამედია. ეს არის სატირა იმ დროის რუსის საზოგადოებაზე. ყოველს დრამატიკულს ქმნილებას (კამედიას, დრამას, ტრაგედიას და სხვ.) გამოჰყავს სცენაზე ერთი უმთავრესი მოქმედი პირი, რომლის ხასიათი და ზნე შესაფერს გარემოებაში ნათლად იხატება ხოლმე. ამ უმთავრესს გვაშის მოქმედებაზე სხვა გვამების მოქმედება მჭიდროდ არის დამოკიდებული. იმის მოქმედება უფრო იქცევს მაყურებელის ყურადღებასა, იმისი შეუფერებელი მოქმედება და ბრძოლა უფრო გვიშფოთებს გულსა.

ეი ამაში მდგომარეობს ერთ-არსება მოქმედებისა, რომელიც არის განუშორებელი თვისება ყოვლის დრამისა და კამედიისა. თხზულებას „ვაი ჭკუისაგან“ ეს თვისება არა აქვს. აქ არც ერთი მოქმედი პირი განსაკუთრებით არ მიიპყრობს მაყურებელის გონებასა. ყოველი გვამი ამ თხზულებისა თავის განსაკუთრებულის ქცევით და ხასიათით თითქმის თანასწორად იზიდავს ყველას ყურადღებასა. ერთს რომელსამე გვამზე არ არის დაკავშირებული მთელი მოქმედება. მაშასადამე ამ თხზულებას აკლია შინაგანი ერთ-არსება მოქმედებისა; მაგრამ მეორეს მხრით იმითი აქვს დიდი ღირსება, რომ ის წარმოადგენს ცხოველს სურათს საზოგადოებისას, სადაც ყოველი გვამი იმ საზოგადოების შესაფერად მოქმედებს. თუმცა უმთავრესი მოქმედი გვამი არ ჩნდება სცენაზე, მაგრამ იმის მაგიერ მთელი საზოგადოებაა გამოსული მოქმედების ასპარეზზე. ყოველის გვამის უგნურის ყოფაქცევით შემდგარი საზოგადოების სურათი თან გვაცინებს და თან გვაწუხებს. აქ ერთის გვამის მაგიერად მთელი საზოგადოება გვაძლევს ერთ-არსს შთაბეჭდილებასა. მასში კაცი ჰპოებს მოქმედების ერთ-არსებობასა და ამის გამო შეიძლება, ეს თხზულებაც იწოდოს კამედიათ.

თხზულება „ვაი ჭკუისაგან“ წარმოადგენს ერთის მოსკოველ მებატონის სახლობასა, სადაც ცხოვრება ამ ორს უმთავრესს საფუძველზეა დამყარებული: შინ—ჭამა და შექცევა; გარეთ—თაყვანისცემა და მასთან ჯილდოების ღება. მოსკოველს მებატონეს ფამუსოვს სამსახური მამულისადმი და სახელმწიფოსადმი თავისებურათ ესმის. ის იმდენათ გონება-გახსნილი არ არის, რომ ამგვარი სამსახური

ყოვლის საზოგადოების წევრის ჭეშმარიტ მოვალეობათ გახადოს. იმას არ ესმის, რომ ყოველი გვამი საზოგადოების შესაწევნელად უნდა ცხოვრებდეს და საზოგადოება თითოეულის გვამის საკეთილ-დღეოთ. ფამუსოვის აზრით საზოგადოება თუნდა წყალსაც წაუღია, ოღონდ თვითონ იმას კი ჯილდოები ბლომათ ჰქონდეს და კარგი შემოსავლიანი ადგილი სამსახურში, აგრეთვე ბრწყინვალე ცხოვრება რომ შეეძლოს ყოველდღე ბალი და ვეჩერები აკეთოს. იყოს ქებული ჭამა-სმითა და ყველა ლაპარაკობდეს, რომ „აი ფამუსოვი რა დიდი ვინმეა და რა დიდებულათ ცხოვრობსო“. იმას ჰყავს ერთი ქედ-მოხ-რილი კანცელარიის ჩინოვნიკი, რომელიც ფამუსოვის გულს იმით იგებს, რომ არაოდეს იმასთან თავისით ხმას არ ამოიღებს, არაოდეს ზევით არ აიხედავს და არ დაჯდება. ეს გახლავთ მოლჩალინი. ამის-თანა პირუტყვი მიჩნია ფამუსოვის გულს ძალიან ახარებს, ამისთვის-რომ ნათლად გრძნობს თავის კერპობას, რომელსაც მუდამ თავდახ-რილი მოლჩალინი ღმერთსავით თაყვანსა სცემს. ეს ყოფა-ქცევა ეამებს გულსა ამპარტავნისასა და მუდამ ყურში ჩასძახის: „აი, ფა-მუსოვ, როგორი დიდი ვინმე ხარ, დახე როგორის მოწიწებით თაყ-ვანსა გცემენო!“ ამის მაგივრათ ფამუსოვიც, რასაკვირველია, მოლ-ჩალინს ჩინებით აჯილდოვებს, სამსახურში მუდამ წინ მიჰყავს და ამ რიგად მოლჩალინისგან ამზადებს შემდეგს ფამუსოვსა. ახლა ესეც ვიკითხოთ, ნუ თუ ფამუსოვი მართლაც ისეთი დიდი კერპია, რომ იმას ყველანი მოლჩალინივით თაყვანსა სცემენ?—არა. თვითონ ფა-მუსოვსაც თავისი კერპი ჰყავს, რომლის წინაშე ის მოლჩალინათ ჰხდება. როგორც სჩანს, ფამუსოვის საზოგადოებაში ყოველი უფროსი კერპათ ჰხდება, ყოველი უმცროსი კი მოლჩალინათ, თაყვანისმცემელ პირუტყვათ. უნდა წარმოიდგინოთ, რამდენად არის აქ გაფუჭებული ყოველის გვამის ზნე. აი მაგალითად: მოლჩალინი შეყვარებია ფამუ-სოვის ქალს სოფიოსა. ის უარს არ ამბობს ამ სიყვარულზე, მაგრამ, როცა სოფიოსთან ალერსობს, მუდამ კურდღელივით ყურებ-აცქვე-ტილი იქით-აქეთ იცქირება, არავინ შემომესწროსო და ყოველს ფე-ხის ფაჩუნზე ერთს საყენზე გახტება და გარბის. როცა ჩაცკი თავის თვალით ნახავს ამისთანა სულ-მოკლე ყოფაქცევასა, გულმოწყვეტილი წამოიძახებს: „განა ეს სიყვარულია, რომ გიყვარდეს და მუდამ მზად იყვე უარჰყო შენი სიყვარული! არა. ეს არ არის სიყვარული, ეს სიმ-რუშეა“. მართლაც მუხდალს მოლჩალინს ჭეშმარიტი სიყვარული არ შეუძლიან. იმ კაცში ჭეშმარიტი გრძნობა გამქრალია, რომელიც ასე ამბობს: „მამა ჩემმა მიანდერძა: ვინც უნდა იყოს, ყველას მორჩილი იყავიო. ემორჩილებოდე მასპინძელს, რომელთანაც დგომა შეგვხვდე-

ბა, მის მოსამსახურეს, რომელიც ტანსაცმელს გიწმენდავს, მეკარეს, ეზოს-მგველსა, რომ ცუდი რამ არ შეგამთხვიოს, ეზოს-მხვეტლის ძაღლსაც. რომ არ გიღრინოს". ამის გამო, თუმცა, მოლჩალინს სოფიო უყვარს, მაგრამ, ხელში თუ მოიგდო, არც გოგოს ზოგავს და იმასთან ალერსობაში, სულაც ივიწყებს თავის საყვარელს. ცხადია, რომ აქ კარგი ზნე ჩამქრალია, კარგი თვისება დაბნელებულია. ახლა ავიღოთ მესამე გვამი ზაგორეცკი. მთელმა საზოგადოებამ იცის, რომ ეს კაცი საშინელი ცრუა. ერთი სნეული და სამხედრო სამსახურისგან გატეხილი კაცი, პლატონ მიხაილიჩი, რომელსაც ცოტაოდნად გულის სიმარტივე კიდევ შერჩენია, მოურიდებლად ეუბნება ზაგორეცკის:— „გასწი, თვალიდგან დამეკარგე! წადი ქალებთან, ატყუე, პირში ელაქუცე. მე შენზე ასეთი მართალი უნდა ვთქვა, რომ ყოველს შენს სიცრუეზე უსაძაგლესი იყოს. აი, ძმობილო (ჩაცკის)! გაგაცნობ გვამსა, რომელსაც ეძახიან დარბაისელს და გაზრდილს კაცსა. ეგ გახლავთ ანტონ ანტონიჩ ზაგორეცკი, საშინელი ცრუ, პლუტი და გაიძვერა!" თქვენა გგონიათ რომ ამ სიტყვებზე ზაგორეცკის სინდისი შეაწუხებს და გააწითლებს? სრულებით არა, ლანძღვისთვის აი, როგორს პირმოთნე სიტყვებს ეუბნება პლატონ მიხაილიჩსა: „საკვირველი კაცია პლატონ მიხაილიჩი! თუმცა პირმწყრალად არის, მაგრამ გულკეთილი კაცია".

ამისთანა პირფერი სიტყვით ის ალბობს ყოველს კაცს და ყველას მეგობრად იხდის. იმან ძალიან კარგად იცის, რომ ჩაცკი ჭკუიერი და განათლებული კაცია, იმას ქლესაობით ვერ მოატყუებ; ამის გამო სიკვდილსავით ეშინია იმის მართლმეტყველობისა და თავს არიდებს. მაგრამ რაკი შენიშნავს, რომ საზოგადოება კარგი თვალით ვერ უყურებს ჩაცკისა და რაკი უგნურის სოფიოს სიტყვებით ხმა გავარდება ჩაცკის შეშლაზე, ზაგორეცკი მაშინვე სარგებლობს ამ სიტყვებითა, ტყუილებით გატენილს პარკსა მოხსნის თავს და ჰყვირის: „ვიცი, მახსოვს, გამიგონია, როგორ არ ვიცი? სამაგალითო შემთხვევა იყო: პლუტმა ბიძამ გამოუგონა ჭკუა-შეშლილი არისო, ეგ საწყალი დაიჭირეს და გიჟების სახლში დააბეს".—ერთი, შენც, რას ამბობ!—ეუბნება მეორე კაცი,—ის ეხლა აქ იყო, ჩვენთან.—მაშ ჯაჭვი გაუწყვეტია და გამოქცეულაო—დაატანს ზაგორეცკი, რომ თავისი სიცრუვე გაასწოროს. უნდა წარმოიდგინოთ ამ კაცის უსინდისობა! ერთს სიცრუეში რომ დაიჭერენ, ვითომ შერცხვეს და დაიბნეს თუ! არა. ის მაშინვე მეორე სიცრუეს მოიგონებს და ამით თავს იძვრენს! ზაგორეცკისა ადრე შეუტყია, რომ თუ კაცმა თავისი ენა უსინდისოთ იხმარა, ძალიან ბევრს ისარგებლებს თავის ცხოვრებაში. ამის

გამო მის დღეში სწორს არ იტყვის, ყველას აქებს და ეპირფერება; მტერმა რომ გალანძღოს, ის ასე ეუბნება: შენისთანა მეგობარი ქვეყანაზე არ გამჩენია. ამ სახით თუმცა არავინ არ ერწმუნება და საზოგადოებას კიდეც სძულს, მაგრამ თავის პირმოთნეობით ისე მოყიდული ჰყავს მთელი საზოგადოება, რომ ყველგან პატივცემული და მიღებულია. თვითონ რეპეტილოვი რაღა შვილია? ისიც იმ ყალიბისა ვახლავთ. ვისაც შეეყრება ყველას თავის მეგობარს და ძმას არქმევს; იძახის, მე ანგლიის კლუბის წევრი ვარო, ჩემი სიმამრი მინისტრი იყოვო, მეც ასეთი დიდება მქონდაო, რომ ვეება სასახლე უზარმაზარი სვეტებით ავაგეო და სხვ. იმის სიტყვით მწერალიც არის, დიპლომატიცა, სახელმწიფო კაციც და დიდებულიცა. რეპეტილოვს არა ჰგონია, თუ ქვეყნიერება ურეპეტილოვოთ იცოცხლებს. ერთი ჰკითხოს კაცმა, რა სარგებლობას ელის ამ უსინიდისო ტრაბახობითა? იმასა, რომ სულ-მოკლე თავმოყვარეობა მოსვენებას არ აძლევს: უნდა, რომ გამოჩენილი და პატივცემული იყოს საზოგადოებისაგან. ამისთვისაც ცრუობს ასე საშინლად; მაგრამ მოკლე-ჭკუის პატრონი ყოველს ნაბიჯზე აჩენს თავის გონების უძლურებასა, ყველას კისერზე ეხვევა, მაგრამ ყველასაგან განდევნილია.

ეხლა, როდესაც გადავავლებთ თვალს იმ საზოგადოებას, სადაც ზემოხსენებული გვამები მოქმედებენ, ნათლად ვსცნობთ, რომ აქ ერთი გულახდილი მოქმედებაც არ იპოვება. სიმართლით აქ ერთი ნაბიჯიც წინ არ წაიდგმება. პირით ერთს ამბობენ და გულში სხვა აქვთ. ერთის სიტყვით ყველას პირბადე აქვს ჩამოფარებული. მთელი საზოგადოება მასკარადია, საცა ნამდვილს კაცის სახეს ვეღარ ხედავ. ამისთანა საზოგადოებაში ჩავარდება ერთი გონება გახსნილი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ნამდვილი სწავლით გული განათლებია. ის ხედავს, რომ საზოგადოებაში არც ერთი გონიერი აზრი არ მუშაობს. კეთილი ნაყოფის გამომღები შრომა არსად არის. თითოეულის გვამის ცბიერს მოქმედებას მიზნათ ისა აქვს, რომ მკერდი ჯილდოებით ჩარიხული ჰქონდეს, მუდამ შექცევაში იყოს ფართული და მსხვილდებოდეს. არც ერთის გულს ქვეყნის სასარგებლო აზრი არ აღძრავს, ყველას თვალი მხოლოდ ტანსაცმელზე და სმა-ჭამაზეა მიჩერებული, გონება კი დაბნელებულია. ფამუსოვი აყვედრებს თავის ქალს: „ყველა იქით იყოს და შენ კი ვერ იტყვი, რომ კარგად არ გამეზარდო. როცა დედა მოგიკვდა, მადამ როხიე გიშოვნე, რომელიც დედის მაგიერი შეიქმნაო“. ვიღაც ერთი ბებერი გუვერნანტკის ხელში ჩაუგდია და ამით გაუთავებია მისი აღზრდა. ფამუსოვსა ჰგონია, ბებერი გუვერნანტკის შოვნით ფილოსოფური აღზრდა მივეცით ჩემს ქალსა.

მართლაც ამ აღზრდის კარგი ნაყოფი ცხადათ სჩანს. მშვენიერი სოფიო შექმნილა მოყვარული ახალის მოდის შლაპებისა, ტანსაცმლისა და მუზიკისა; უსწავლია ხვნეშა და სიყვარული. ამისთანა ფილოსოფოსი ქალი, რასაკვირველია, მოლჩალინზე შორს აღარ წავიდოდა. მართლაც იმას გაუნაყოფიერებია თავისი სწავლა მოლჩალინის შეყვარებითა. აი, სურათი საზოგადოებისა, სადაც სოფიო ხვნეშით და მოლჩალინის სიყვარულით ვარჯიშობს, ფამუსოვი მუცლისთვის ფიქრობს და სკალოზუბს სულ მუნდირი და დისტანცია ელანდება. როდესაც ჩაცკი ნათლად დაინახავს ამ საზოგადოების სიყალბესა, მწარე სიტყვებით დაუწყებს კიცხვასა და ამის გამო მთელს საზოგადოებას მტრად გაიხდის. ჩაცკის იმიტომ უფრო ეწვის გული, რომ პატარაობიდგანვე შეყვარებული სოფიო, უგუნურის აზრით წაუხდენია საზოგადოებასა. ვისაც შეხვდება, ჩაცკი ყველას დასცინის; როდესაც თავის საყვარლის გულცივობასა ჰხედავს, ველარ ითმენს და იმასაც ისეთი დაცინებით და უკუმეხათ ელაპარაკება, როგორც სხვებსა, თუმცა იმის ნორჩი გული კი ვერ მოშორებია ამ უგნურს ქალსა. ამის გამო ბოლოს საქმე იმდენზე მივა, რომ გულ-ახდილი და გონება გახსნილი ჩაცკი უგნურს და პირ-ბადე ჩამოფარებულს საზოგადოებას შეშლილად გამოჰყავს და თავის წრიდგან განდევნის. არ შემიძლიან არ მოვიყვანო აქ ერთი ჩვენი მეგობრის სიტყვები ჩაცკის მიმართ: „მოყვასო, ჩემო! ეს ქვეყანა ჯერ ისევ მასკარადია, რომელიც მიემგზავსება იტალიელს კარნავალსა (ყველიერსა), სადაც ერთად შეყრილნი შესაქცევად, დამპალს ფორთოხლებს და ბურთებს ესვრიან თავში ერთმანეთსა და ფქვილს თავზე აყრიან. რაამდენი ფქვილიც რომ შეაყარო მასკიანსა, მაინც არა უჭირს რა. მაგრამ როცა უმასკო მორთული და მოკაზმული კაცი მასკიანებში გაერევა და ფქვილს შეაყრიან და ბურთებს თავში ესვრიან, ქვეყანა იმაზე იცინის, თავიც რომ გაუტეხონ, არავის ენაღვლება. მაშასადამე, თუ გსურს ამისთანა საზოგადოებას რაიმე სარგებლობა მისცე, უეჭველად შენც ნახევარ სახეზე მაინც მასკა დაიდე"...

ცხადია, რომ ამ ჩვენგან გარკვეულის სურათის ცოცხლათ წარმოდგენა დიდს გავლენას იქონიებდა მაყურებელზე, მაგრამ საუბედუროთ ვერც ერთი ზემოთ გარკვეული ხასიათი ნამდვილათ ვერ ვიცვნეთ სცენაზე.

როცა ფარდა ახადეს და დაიწყო პირველი მოქმედება, სცენა წარმოგვიდგინა დილა; ლიზა (ასე ეძახდნენ ფამუსოვის გოგოსა) მიდგომია სოფიოს ოთახის კარებსა და არაკუნებს. ქალს მთელი ღამე მოლჩალინთან ალერსში გაუტარებია. გოგოს ეშინია, ბატონმა

არ შემოასწროს შეყვარებულებსა და უძახის ბატონის ქალს: კარგი-განშორდით, თორემ უბედურება შეგემთხვევათო. მივა და საათის სტრელკას გადასწევს, რომ დააკვრევინოს ცხრა და ამით ბატონის ქალს შეატყობინოს, თითქმის სადილობამ მოაწიაო. ამ დროს ფამუსოვი შემოვა ზალაში, უწყრება გოგოს, ჩემ ქალს ძილს რათ უფრთხობო, და ბოლოს წყრომას ალერსათ გადააქცევს გოგოსთან. სოფიას ხმას რომ გაიგონებს, თითის წვერზე გავარდება ზალიდგან და კარიდორში მოლჩალინს შეეხლება. ამით აზრს აიღებს, ვაი თუ მოლჩალინი სოფიოსთან საალერსოთ იყოვო, გაუჯავრდება. ქალსაც დაარიგებს და წავა თავისთვინ; მერე მოვა ჩაცკი; ის მხიარულია, საზღვარ-გარეთიდგან ეს არის დაბრუნებული. ჯერ შინ არ ყოფილა, რომ ფამუსოვის სახლში მირბის თავის შეყვარებულის სოფიოს სანახავათ; ის კი გულცივად შეხვდება; ჩაცკი შეატყობს და მკვახეთ ელაპარაკება. მერე ფამუსოვი შეეყრება ჩაცკისა, გაიმართება საუბარი. ჩაცკი სიყვარულისაგან გაბნეულია და ფამუსოვის კითხვაზე სულ სოფიო აგონდება. პირველი მოქმედება ამით თავდება. ფარდა რომ ჩამოუშვეს, პარტერი დაიძრა. ეტყობოდა, კარგი შთაბეჭდილება ვერ მიეღო. ნაცნობები ერთი ერთმანეთს უკმაყოფილოთ უცქეროდნენ: მართლაც რა იყო! ჩვენ ვხედავდით სცენაზე ფამუსოვის დროულ გვამებსა, იმათ ტან-საცმელსა; მაგრამ მოქმედი პირები კი ვერ გვისახავდნენ გრიბოედოვისაგან გამოყვანილს ხასიათებსა: ფამუსოვი ფამუსოვს არ გავდა, სოფიო სოფიოსა, მაგრამ ყველაზე უფრო სუსტი შეიქნა უფ. აგრამოვი ჩაცკის როლში. ის ემგზავსებოდა ცოცხალის ჩაცკის მაგივრად, იმის სურათსა, რომლისთვისაც ჩაეცმიათ ჩაცკის ტანთ-საცმელი. ის პირიდგან ისვრიდა ჩაცკის სიტყვებსა, მაგრამ იმისი მიხვრა-მოხვრა და სახის უგრძნობელობა სრულებით არ შეესაბამებოდა იმის ლაპარაკსა. ერთი სიტყვით გრიბოედოვისაგან გამოსახულს ხასიათებს ვერ ვცნობდით. სამწუხაროთ ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ აკტორები ხმა მაღლა ვერ ლაპარაკობდნენ. ამის გამო მაყურებელთ ძალიან მოეწყინათ. შემდეგს მოქმედებაებში უფ. აგრამოვი ჩაცკის როლში სულ მისუსტდა. თამაშობა სულ წაერთო და უგრძნობლათ ადგენდა. მეორე მოქმედებაში გამოდიან იგივე პირები, და იმათ მიემატება პოლკოვნიკი სკალოზუბი, რომლის როლსაც თამაშობდა უფ. არკადიევი. ეს მოქმედება ცოტაოდნათ გაცოცხლდა სკალოზუბის მხედრული რახარუხითა: იმის საუბარი მხოლოდ თავის პოლკების ამბავი, ჩინების მიღება და ომიანობა იყო. ამ მეორე მოქმედებაში ჩაცკი ეჭვს აიღებს სოფიოს სიყვარულზე და უფრო გაჯავრებით ჰკიცხავს ამაო ყბედობისთვის ამ საზოგა-

დოებასა. მესამე მოქმედებაში დაიწყო ვეჩერი. ამ ვეჩერში შეკრბა საზოგადოება. გაიმართა ტანცაობა და ამ ტანცაობამ მაყურებლებიც შეაქცია. სკალოზუბის და მეორე მხედრის ტანცაობამ ყველა გაამხიარულა, ამიტომ რომ ბევრს ფარსებს შვრებოდნენ. ამ ვეჩერში დააგდებენ ხმას, რომ ჩაცკი შეიშალაო. აქ ერთი ძალიან დაბერებული ყრუ კნიაზი გამოვიდა სცენაზე და იმისმა კნავილმაც გაგვამხიარულა, მაგრამ ესეც ხომ ფარსების რიგში უნდა შეირაცხოს. მეოთხე მოქმედება დაიწყო იმითი, რომ სტუმრები თავთავის სახლში მიდიან; ჩაცკი კიბეს უკან იმალება და მოლჩალინის მრუშობის მოწამე შეიქმნება. მოლჩალინი დაუწყებს ლიზას არშიყობას; ამ დროს სოფიო შემოესწრება და უნდა წარმოიდგინოთ იმისი შეწუხება, როდესაც თავის თვალით ხედავს მოლჩალინის უპატიოსნებას. ყველაზე საუკეთესო უნდა ყოფილიყო უკანასკნელი სცენა, სადაც ჩაცკი ჰკიცხავ მოლჩალინის მრუშობას, სოფიოს უგნურებას და ამასთან საზოგადოების ნაკლულევანებას, მაგრამ რადგან აგრამოვი მიხვრა-მოხვრით და სახის გამომეტყველებით სრულებით ვერ ხატავდა ჩაცკის როლსა, ამის გამო ეს უკანასკნელი სცენაც ისე მკვახე შეიქმნა, როგორც პირველი მოქმედება.

ცხადია, რომ კამედია „ვაი ჭკუისაგან“, ერთობ სუსტად წარმოსდგა სცენაზე. რომელსამე აკტორს ან აკტრისას რომ სრულიად გაეცოცხლებინოს თავთავისი როლი, ამის თქმა არ შეგვიძლია. მხოლოდ ის სცენები იყვნენ გაცოცხლებულნი, სადაც მდაბიო ოხუნჯობა გამოდიოდა ხოლმე. ყველაზე უკეთ ადგენდა უ. მუზილი მოლჩალინის როლსა და სოკოლოვი რეპეტილოვის როლსა. კარპოვა ნიჭიერათ ჰბაძავს მოხუცებულს დედა-კაცს; მაგრამ იმის ნაკლულევანება ის არის, რომ ყველა მოხუცებულს ერთგვარათ ადგენს. ზოგიერთი ოხუნჯობა სკალოზუბისაც კარგი იყო. მაგრამ არც ერთი ხასიათი კი ნამდვილათ არ წარმოდგენილა და ამისგამო, როგორიც რიგი იყო, ისეთი გავლენა მაყურებლებზე არა ჰქონია ამ წარმოდგენას. საზოგადოთ რომა ვსთქვათ, ახლანდელს რუსულს ტრუპპას უფრო ეხერხება ის პიესები, რომელნიც მდაბიო ოხუნჯობით არიან სავსენი და სადაც ადვილათ გამოსახატავი ხასიათებია აწერილი, ესე იგი ვოდევილები. რა პიესაშიაც კაცის უაღრესი თვისება და იმის გულისთქმა ნამდველათ მიკვლეულია, არც ერთი მისთანა პიესა კარგათ არ წარმოდგენილა სცენაზე. სასურველია, რომ ტრუპპამ უკეთესად შეასრულოს ხოლმე თავისი განზრახვა, ან თუ არა, თავი დაანებოს ზოგიერთს პიესებსა და მხოლოდ ისინი წარმოადგინოს, რომელნიც უფრო ეხერხება.

ბუნების გავლენა კაცზედ

როგორც ჩვენი წინა-პარი ადამი იყო, აგრეთვე ჩვენც ყველანი მიწის შვილები ვართ. ჩვენა ვართ მიწასთან განუყრელად შეკავშირებულნი; ის გვაძლევს ცხოვრების საზრდოსა თავის ნოყიერი ნაწილებით და ჩვენს ფილტვებს ჰაერს უმზადებს; შესახებ ნივთიერებითის ცხოვრებისა ის არის ჩვენი მაცხოვრებელიცა და მოძრაობის მომცემიც. ჩვენ, როგორს მიწის ზურგის მცხოვრებნი, მონაწილენი ვართ იმის ყოველგვარს მოძრაობაში და დამოკიდებულნი ვართ იმის კანონებზე. არა თუ ცალ-ცალკე აღებულნი პირნი ეკუთვნიან მიწასა, არამედ მთელი საზოგადოებისა და მთელი ხალხების ცხოვრებაც ისეა მოყვანილი და მოწყობილი, როგორს მოწყობილობასაც ითხოვს იმათი საცხოვრებელი ნიადაგი და როგორი ბუნებაც იმათ გარშემო ახვევია. მიწის ნიადაგი და გარემო მყოფი ბუნება ძალიან მოქმედებს კაცის მთელ აგებულებაზედ (ორგანიზმოზედ); ყველა გვარი ბუნებითი მოვლინება, ზღვისა და მდინარეების მიდენ-მოდენა და ატმოსფერის *) თვისება—აძლევენ კაცს თავისებურს ხასიათს და ძალ-ღონეს,**) ამასთან ყველა ისტორიული შემთხვევა (ფაქტი), უმეტესობით, ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობაზედ არის დამოკიდებული, თითქმის შესაძლებელია ვსთქვათ, რომ კაცობრიობა წინ მი-

*) ატმოსფერა (ბერძნულათ) არის ჰაეროვანი ნივთიერება, რომელიც გარეშემო ახვევია ჩვენს დედამიწას.

**) მეცნიერთაგან გამოკვლეულია, რომ რომელი ხალხიც, ზღვასა და დიდ მდინარეებს ახლოს სცხოვრებს, ის ვაჭრობის მოყვარეა, რადგან მისვლა-მოსვლა ადვილად შეუძლიან სხვა ქვეყნებში; ამ სხვა ქვეყნებში მისვლა-მოსვლით ისინი მოიპოვებენ გამოცდილებას და ამ გვარად ეხსნებათ ჭკუა და გონება. მაშასადამე დიდი წყლების ახლოს მცხოვრებნი მალე ნათლდებიან; ამასთან თავისუფლების მოყვარენიც არიან, მაგალითად: ბერძნები, ფინიკიელები, რომაელები, ანგლიელები, ამერიკელები, ჰოლლანდიელები და სხვ თბილს ალაგას მცხოვრებნი არიან უფრო ზარმაცნი და ამისგამო ცუდაობა და სინაზე უყვარსთ. მაგ. ოსმალები, ჩინელები, ინდოელები და სხვ. ვინც გრილ ალაგას სცხოვრობს, ისინი უფრო გამჭრიახნი და მშრომელნი არიან, სწავლასა და მეცნიერებასაც მისდევენ, მაგალითითქმის მთელი ევროპა და ჩრდილო-ამერიკის ხალხი. ცივს, გაყინულ ალაგას მცხოვრებნი, ტანითაც და გონებითაც დაჩაგრულნი არიან; მაგ. ესკიმოსები (ხალხია), ლაპლანდიელები, და სხვა ჩრდილო ქვეყნების მცხოვრებნი და სხვ.

დიოდა განათლებაში მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომელნიც მდებარეებენ მაღლობზედ, ვაკე ალაგას და ზღვის პირებზე. ეს ჭეშმარიტებანი ჰუმბოლტის, რიტტერისა და გიუთოს გამოკვლევის შემდეგ შეიქმნენ გაცვეთილ ჭეშმარიტებად. თავი და თავი აზრი ჩინებული „ქვეყნის მეცნიერების“ მწერლისა ჰუმბოლტისა ის იყო, რომ „დედა-მიწა—კაცობრიობის სხეულია და კაცი კი დედამიწის სულია“.

ხალხში რამდენათაც განათლება ვრცელდებოდა და რამდენათაც ცოდნა ემატებოდა, იმდენათ ბუნებაზედ ზევითა დგებოდა, ესე იგი იმდენათ უფრო გამოდიოდა ბუნების გავლენიდგან და თვითონ იწყებდა იმაზედ გავლენას; უწინდელს გაუნათლებლობის დროს კაცი უდრტვინველად და გაუგებრად ემორჩილებოდა ბუნებას. რამდენათაც ცოდნა და გამოცდილება მოემატა კაცსა, განათლდა, იმდენი უფრო თავის სურვილის გვარად მოეპყრო ბუნებას: ბევრგან შესცვალა იმან ხმელეთის პირი, ერთის მხრით მიმავალს წყლებს მისცა სხვა მხრით მიმდინარეობა და თითქმის ჰავაც გამოსცვალა. ერთის სიტყვით, რამდენიც დრო გადის და მეცნიერება ემატება კაცს, იმდენი იმის მოქმედება სულ სხვა სახეს აძლევს დედა-მიწის ზურგს: რაც დასანგრეველია—ანგრევს და რაც გასაკეთებელია—აუმჯობესებს თუ ხალხი განათლებით წინ არის წასული, მაშინ იმისი მოქმედება ბუნების გაუმჯობესობაზედ არის მიმართული და თუ განათლებით დაბლა სდგას—მაშინ ის ან სულ არ ეხება ბუნებას და ან თუ ეხება —აფუჭებს იმას. ბარბაროსი ჰმუსრავს მიწის მოსავალს და დაუდევნელად სტაცებს იმას თავის საუნჯეს, ასე რომ უწინ ნაყოფიერი და შემუშავებული მიწა, იმისი მოქმედებისაგან ჰხდება აოხრებული და ვერანი. ჭეშმარიტი განათლების პატრონი კაცი კი სულ სხვანაირად ექცევა მიწის ნიადაგს, რადგან ცხადად ესმის, რომ იმისი სარგებლობა მტკიცედ არის შეკავშირებული იმის გარემოების სარგებლობაზედ და თვით ბუნების სიმდიდრეზედაც. ამის გამო თავის წინა მოადგილესაგან მიცემულს ზარალს ის უკანვე უბრუნებს მიწას და მოუქნელის აოხრების ნაცვლად ჰშველის იმის ნაყოფიერებას, გაუმჯობესობას და გამშვენიერებასაც. როგორც ეს შეუძლიან კაცს, რომ აიღოს მიწიდგან უფრო და უფრო მომეტებული სარგებლობა, ისე ისიც შეუძლიან, რომ ნაყოფიერებით გაამდიდროს იგი და მისცეს მისი მიმზიდველი და მშვენიერი სახე.

დედა-მიწის ზურგზედ მრავალი ისეთი ალაგი არის, რომელიც მხოლოდ აოხრების სურათს წარმოუდგენს მხილველს. კაცს მრავალ ალაგას თავისი სამშობლო-საცხოვრებელი უნაყოფო-უდაბურ ალაგად გარდუქცევია: „სადაც იმას ფეხი მიუკარებია, იქ ბალახიც აღარ

ამოდის". სპარსეთის, მესოპოტამიისა, და იდუმეს უმეტესი ნაწილი, მცირე აზიისა და არაბეთის მრავალი ალაგები, რომელნიც ერთს დროს ნაყოფიერებისაგან „დუღდნენ და გადმოდიოდნენ" და მრავალ ხალხს ჰკვებავდნენ, ახლა უნაყოფო და უხალხო ალაგებათ შეიქმნენ. ახლა იქ თითქმის აღარავინა მოსახლეობს და თუ კიდევ დარჩომილან ვინმე, ისინიც ცარცვა-ტაციობითა და ადამიდამ აქამდის ხვნა-თესვითა სცხოვრებენ. როდესაც რომის შემძლებელობა დაემხო გარბაროსთაგან, მაშინ იტალიამ და იმისმა მახლობელმა თემებმა თავიანთ მიწიდგან უზომოდ ნაყოფის გამოტანა დაიწყეს და ამით მთელი თემები უდაბურებად გარდააქციეს; ის ალაგები ახლაც, ორი ათასი წლის დასვენების შემდეგ, მხოლოდ უნაყოფო მინდვრებს და მომწამლავ გარეშებს (ჭაობი ადგილები იტალიაში) წარმოგვიდგენენ. ამათ გარდა ამერიკის შეერთებულ შტატებშიაც ბევრი ისეთი ალაგებია, რომელნიც უწინ ყოფილან ძალიან ნაყოფიერნი და ეხლა კი მხოლოდ ველური მხეცების საცხოვრებლად ღა ვარგანან. ამ ალაგების გავერანებას ყველას და ყველგან თითქმის ერთი და იგივე მიზეზი აქვს; ეს მიზეზიც ის არის, რომ კაცი თავის სიხარბით და უფიქრულობით რაც მიწას ნაყოფიერება აქვს—გამოაცლის და სანაცვლოს მობრუნებაზედ კი აღარ იფიქრებს. სადაც მიწას ესე დაუზოგავად ეპყრობიან, იქ უეჭველად ამავე ხვედრს უნდა მოელოდნენ.

წარმოვიდგინოთ კიდევ ერთი მიწის აოხრების მაგალითი. არა ალაგს არ მოსვლია ისეთი სწრაფი და დაუყოვნებელი აოხრება, როგორი აოხრებაც ფრანციის ალპებს *) მოსდით. ამ მხარეში წვიმასა და თოვლს მთების კალთებიდგან თანდათან ნაყოფიერი მიწა ჩამოაქვს და ზღვაში მიაქვს; ამის ნაცვლად შემუშავებული ფერდოების კლდეები, ნანგრევების გროვები და ყორედ ნაქცევი ველები ღა რჩება; ამასთან თანდათან ფერდოებზედ ხევები ჩნდებიან და ერთიან მთის ზურგს რამდენიმე გაცალკევებულ მთებათა ჰყოფენ; შემდეგში ეს მთები ჩამოწვებიან ხოლმე და თავიანთ ნაქცევებით მთელს არემარეს მოჰფენენ ხოლმე. ზოგიერთ ალაგზედ, ამ მხარეში, რამდენიმე ვერსტის სივრცეზედ კაცი ვერც ერთ ამწვანებულს ბუჩქს ვერა ნახავს. აქ მხოლოდ აქა-იქ გახუნებული საძოვრები და დაქცეული სახლები ღა სჩანს; ეს სახლებიც იმისგან დაქცეულა, რომ იმათი ახლოს მდებარე მთის ნანგრევები იმათ კედლებსა სცემიან. ამ მხარის მფლო-

*) ალპები იმ მთების ზურგს ჰქვიან, რომელენიც მდებარებს ევროპაში და შეადგენს ევროპის უდიდესს მთის ზურგს... ფრანცუზების ალპები იმ ალპების ნაწილს ჰქვიან, რომელიც ფრანციასთან მდებარებს და ფრანცუზებს ეკუთვნის.

ბელებს თავიანთის უმეცრებით მთის ფერდებზედ ტყე გაუკაფავთ და ამის გამო წყალი, უწინ (ტყის დროს) ნიადაგის მაპოხიერებელი და მაპატიებელი, ეხლა გამარხრებელ სახსრად შექმნილა.

ტყის გაწყვეტით აი, ისეთი მავნებული ცვლილება მოხდება ხოლმე დედამიწის ზურგზედ და უმეტესად მთიან ალაგას. უტყეო ვაკე ალაგები უფრო ნაკლებად არიან ზარალში და უფრო წყნარად და გვიან მოხდება ხოლმე იმათი ნაყოფიერების დაკარგვა; მაგრამ მაინც იმათთვისაც აუცილებელია ეს ხვედრი. ყველა გეოგრაფები*) ერთხმათ ამტკიცებენ, რომ წვიმა იქა კლებულობს, სადაც ტყე შეშის მჭრელებისაგან არის აკლებული, და იქ მეტობს, სადაც ახლად ნერგვენ ტყეს; ტყის გაწყვეტას ბუნებაში სხვა და სხვა ცვლილება მოაქვს და წვიმებიც უთანასწოროდ მოჰყავს. ამას გარდა წვიმები ტყიან ალაგებს სარგებელს აძლევენ და უტყეოს კი აზარალებენ. წვიმის წვეთები როდესაც ტყეს ეცემიან, ხის ფოთლები იმათ მაშინვე ძირს არ უშვებს, არამედ ნელ-ნელა ხმელი ფოთლებით მოფენილს ალაგზედ აწვეთებს; ამის გამო როცა ტყიან ალაგას წვიმა მოდის—ძირს ეთბაშად არ ეცემა, არამედ ნელ-ნელა ეცემა და ამიტომ მიწის ნიადაგს უჯდება შიგ; უტყეო ალაგას კი წვიმა ერთბაშად ეცემა და ველარ ასწრობს ნიადაგში გაჯდომას, ხდება ნიაღვრად, ხევებში გროვდება და მდინარეებში მიდის. ამ გვარს ნიაღვრებს ხასიათად ისიცა სჭირს, რომ ზევითა პირს ნაყოფიერს მიწას გლეჯს და ჭლექავს მდინარეებში. ამას გარდა ამგვარ ალაგებში მდინარეების ადიდებაც ხშირად მოხდება ხოლმე და ბევრჯელ ისე ადიდდება, რომ ჭრლვნის და აოხრებს თავის ნაყოფიერს ნაპირებს. ამ უბედურს შემთხვევებში დამნაშავე თვით კაცი არის და დაჯერებით უნდა ვსთქვეთ, რომ ამ გვარი უბედურების აცილება ძალიან შესაძლებელია, და თუ სრულებით აცილება არა—შემცირება კი უეჭველად ადვილია: ამისთვის საჭიროა მხოლოდ ძველი ტყეების გაფთხილება და ახალის დაშენება*).

---

*) გ ე ო გ რ ა ფ ი ა ბერძნული სიტყვაა; ქართულად იქნება: მ ი წ ი ს ა ღ წ ე რ ა. გეოგრაფია ის მეცნიერებაა, რომელიც იპყრობს დედა-ძიწის ზურგის აღწერას თავის ქვეყნებით, წყლებით და ხალხებით; ის შეიცავს, თუ რა დამოკიდებულება აქვს დედა-მიწას სხვა ცის მნათობებთან და პლანეტებთან, და ან მრავალს გვარს იმის პირს რა გავლენა აქვს ცხოველებზე და მცენარეებზე. ხოლო გ ე ო გ რ ა ფ ი ე წოდება ამ მეცნიერების მცოდნეს და გამომკვლეველს.

**) ქუთაისის კორრესპონდენტი, წარსული წლის (1867 წ.) რიონის ადიდებას („დროება" 1867 წ. №29) ძალიან საბუთიანად აბრალებს ტყის გაწყვეტას იმ ალაგებში, სადაც რიონსა და იმის პატარა მდინარებსა აქვს სათავე. ამ ტყის გაწყვეტისავე ბრალია ისიც, რომ იგივე კორრესპონდენტი (№№11 და 13) იმერეთის

ამ გვარად კაცის ხელით არის წყლის მოკლებაც და მომატებაც რომელსამე ალაგში. ამასთან, რადგან ჰავის სიკარგეც და სიცუდეც დამოკიდებულია სისველისაგან და სიხმელისაგან, ამიტომ კაცს ისიც შეუძლიან, რომ მხარეს მისცეს კარგი ან ცუდი ჰავა. სადაც ქალაქებია დაშენებული, იმ ადგილებში ყოველთვის მომატებული სითბოა, ვიდრე გარშემო დაუშენებელს ალაგებში.. მაგრამ ამას თავი დავანებოთ.. სადაც კარგა დიდი ტყე გაუწყვეტიათ და სახნავ მიწებად გადაუქცევიათ, იქ სხვა და სხვა წლის დროებზედ მოხდება ხოლმე დიახ საგრძნობელი ჰავის ცვლილება... ჰავასა სცვლის აგრეთვე მემადნეებისაგან ხელუხლებელი ნიადაგის თხრა. შვეიცის მრავალ ალაგებში, სადაც ამ საუკუნეს წინ ტყე იყო და ეხლა კი გატიტვლებული ალაგია—გაზაფხული უწინდელზედ ორი კვირით უწინა დგება ხოლმე. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ტყეებიც არბილებენ

ჰავის დაუდგრომელობაზედ ამბობს, რომ ღამე დაღამდება ზაფხულად და გათენდება ზამთრად და ან ღამდება ზამთრად და თენდება ზაფხულად. ეს ჰავის დაუდგრომლობაც, როგორც ქვევით ვიტყვით ტყის გაწყვეტისავე ბრალია, რადგან ტყეს ისეთი თვისება აქვს, რომ ჰავას არბილებს და ამიტომ უეცარი ცვლილება ტყიან ალაგას არ მოხდება ხოლმე. ამ გვარს ჰავის დაუდგრომლობას, რასაკვირველია, თან მოსდევს ყველა გვარი საქონლისა და კაცის ავათმყოფობა (მაგ. ჭირი, თურქული, ციებ-ცხელება და სხვ.), მცენარეების მაზარალებელი უდროო ქარები და ნაყოფიერი ნიადაგის მრღვნელი ნიაღვრები, რომელნიც ახრიოკებენ ნიადაგს და ნაყოფიერი ნიწა მიაქვთ მდინარეებში. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს საქართველოში ბევრჯერ და ბევრგან მოხდება მდინარეებისაგან რღვნაც, საქონლის ავადმყოფობაც და ყველა გვარი ციებ-ცხელებაც, რომელნიც საქონელსაც და პატრონსაც საკმაოდ აზარალებენ, რადგან ჩვენში მზა დაშენებულს ტყეს თითქმის არსად არ უფრთხილდებიან და ახლის დაშენება ხომ ჯერ ფიქრადაც არავის მოსვლია. ქართველმა კაცმა იცის: მიჰყვება ტყეს თავიდგან და ბოლომდის გაჰკაფავს"განურჩევლად დიდისაც და პატარასაც, და მხოლოდ იმასა ფიქრობს, რომ თითონ ისარგებლოს ესე იგი, ცეცხლი დაინთოს, სახლი აიშენოს და ფული აიღოს და ამ გვარი დაუდევნელობის შედეგებზედ, ან მომავალი ხაობის სარგებლობაზედ დარდი სრულებითაც არა აქვს. ჩვენში იქნება არც გვალვა ყოფილიყო როდისმე, არც მცენარეების მაზარალებელი ქარი, არც მდინარეების ადიდება და წალეკვა იმათგან მთელი წლის ჭირნახულისა და არც მრავალგვარი კაცისა და საქონლის ავათმყოფობა და ხოცვა. —რომ ტყეებს რიგიანად ეპყრობოდნენ, განურჩევლად არ სჭრიდნენ დიდსა და პატარა ხეს და ან მოჭრილის სანაცვლოდ ჰნერგავდნენ სხვას. თუ კვლავაც ესე მოიქცნენ და ძველებურად არ დაზოგეს ტყე — ჩვენი მამულის მეპატრონე ბევრჯერ იჩივლებს გვალვაზედაც, ნიაღვრებზედაც. წყალდიდობაზედაც, უდრო სიცივეზე და სიცხეზედაც, საქონლის ჭირზედაც, ციებ-ცხელებაზედაც, ზენა და ქვენა ქარზედაც და კიდევ, ვინ იცის, რამდენ სხვა უბედურებაზედ!.. ღმერთმა ქმნას, რომ ყველა ჩვენმა მემამულემ მიუგდოს ყური ამ მეცნიერთაგან გამოკვლეულს ჭეშმარიტებაებს და აღარ ააოხრონ დაუზოგავად მრავალი სიკეთის მომცემი ტყე...

ჰავას, როგოსც ზღვები. ესე იგი, ზამთარს ათბობენ და ზაფხულს აგრილებენ. ზოგიერთი მწერალი ამტკიცებს რომ ჩრთილო-დასავლეთის სუსხიანი ქარი, რომელიც სევენნის *) მთებიდან ჰბერავს და პროვანსს **) საშინლად აზარალებს, თვით კაცის ხელით არის გაჩენილი, რადგან იმ ქარმა მას აქეთ დაიწყო ბერვა, რაც იმ მოხსენებულ მთებზე ტყე გაწყვიტეს.

ჭაობების ციება და სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, რომელსაც ჩვენში დაცდას ეძახიან, იმ ალაგს ჩნდება ხოლმე, სადაც ტყეს შეუჩნდება შემმუსვრელი ცული.

კაცის გავლენა აგრეთვე დედა-მიწის მცენარეებზედაც დიახ საგრძნობელია. უზარ-მაზარი ხეები ბევრ ტყეებში შემცირდენ, რადგან კაცის გაუმაძღრობა მხოლოდ იმათ შემუსვრას ფიქრობს და მაგიერის დანერგვას კი არაოდეს. მაგალითად უნდა მოვიყვანოთ ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა ***). იქ გადასახლებულთ ევროპიელთ დაჰხვდათ იქაურს ტყეებში საშინელი ტანის ხეები. რომელნიც სიმაღლით აუწევდნენ სამოცს და სამოცდა ათს საჟენამდის. ეს ხეები იმათ თითქმის სრულებით გააწყეს და სანაცვლოზედ კი არ უფიქრიათ. ან კი რა ადვილია იმოდენა ხეების აღრზდა? იმათი აღზრდისანვის საჭიროა ასი და ათასი წელიწადები, და რასაც ესე დიდხანს უნდა ლოდინი, იმას გაუნათლებელი კაცი ადვილად ვერ აკეთებს, რადგან არც ძალიან შორს დამნახველია და მომავალზედაც, უმეტესად იმისთანა გვიან მომავალზედ, არა ფიქრობს; ამასთან იმას თავის საჭიროების დაკმაყოფილება თუ ახსოვს, თორემ მომავალი ჩამომავლობისათვის ზრუნვა ეზარება. ამის გამო ტყეებსაც მოსდისთ ესეთი შემმუსვრელი ხვედრი, რომელსაც თვით კაცისათვისვე მრავალი უხერხობა და უბედურება მოაქვს.

სახნავი ალაგების მოთხოვნილებას, გემების საჭიროებას და სხვა-და-სხვა ვაჭრობას მოაქვს საშუალო ტანის ხეების მუსვრა. ეხლანდელ დროში ყოველ წელიწადს იჭრება რამდენიმე მილიონი ხე, ****)

*) სევენნის მთები ეწოდება მთის ზურგს, რომელიც მდებარებს ფრანციის სამხრეთ-დასავლეთის მხარეზედ.

**) პროვანსი არის ფრანციის სამხრეთით მდებარე მაზრა, საშუალ ქვეყნის ზღვის პირზედ.

***) კანადა—ანგლიის დიდი კოლონიაა, ჩრდილო ამერიკაში.

****) თავი დავანებოთ ამ ტყის მუსვრას, რომელსაც მოახდენენ ხოლმე დურგლები, გემების მკეთებლები და რკინის გზის ინჟინერი. ამას გარდა კიდევ რამდენ ვერილმან საქმეზე მიდის ხე, რამდენი ათასი დღიურები არიან ბოტიტვლებულნი სპიჩკების მკეთებლებისთვის, რენტების სიტყვით, ერთი პატარა ქალაქი, ხონნებერგი ფიქვის ხისგან ყოველს წელიწადს სამიათას ტონნს (ტონნი სამოცი ფუთია) სათამაშოს აკეთებს. ამერიკის ომის პირველ ორ წელიწადში, ერთმა ევროპიელმა ზავოდმა თოფის კონდახებისთვის ოცდა რვა ათასი კაკლის ხე შემუსრა.

ამათ ნაცვლად ბალახეული მცენარე მრავლდება და უფრო-და-უფრო ვრცელ ადგილებს იპერს. თითქოს შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ კაცს შეჰშურებია ბუნების ძლიერება და ცდილობს შეამციროს ყველა მიწის ნაწარმოები (მოსავალი),. რომ ისინი იმაზედ ზევით არ იდგნენ.

კაცობრიობას პირუტყვებსა და ცხოველებზედაც ამგვარი გავლენა აქვს. ეჭვი არ არის, რომ სიბირის მამონტი, ირლანდიის დიდი ირეში და კიდევ სხვა დიდი ტანის ნადირები იმისთვის გასწყდნენ, რომ მონადირეებმა სდევნიდნენ იმათ. ახლანდელ დროში ლომი, მარტორქა და სპილო უფრო-და-უფრო ჰშორდებიან კაცს და ადრე იქნება თუ გვიან—სრულებით გაწყდებიან დედა-მიწაზედ. უზარ-მაზარი სტელერია (steleria) წარსულ საუკუნეში ბერინგის სრუტზედ (ზღვის გარდასადინარი) *) ძალიან ბევრი იყო და ეხლა ერთიც აღარსად წანწალებს. გრენლანდიის **) ვეშაპსაც ყველა ზღვებში ემტერებიან. ზღვის ღორიც ყოველ წლივ ათასობით წყდება კაცისაგან; ნათელ თევზსაც ბევრს იჭერენ და ისინიც თანდათან ცოტავდებიან. მრავალ გვარ ფრინველსაც ამ გვარადვე ჰმუსრავს კაცი.

მაგრამ ფრინველის უფიქრელ გაწყვეტას მრავალი მავნებელი შედეგი მოაქვს. მავნებელი და მაზარალებელი მწერები უფრო და უფრო მრავლდებიან (მაგ. ჭიანჭველა, კალია და სხვა.), რადგან მტერი ფრინველები კაცისაგან მოშორებული ჰყავთ. ავრეთვე ვეშაპებისა და იმის გვარი თევზების გაწყვეტამ ის მოიტანა, რომ ზღვაში მედუზები და ინფუზორიები ***) მრავლდებიან.

ეხლანდელ დროში კაცობრიობა თავისი მრავალგვაროვანი მეცნიერების შემწეობით მიხვდა, თუ რამდენი უბედურება დაიხწივა თავს; ამიტომ ის ეხლა იწყებს ბუნებასთან ბრძოლას, იწყებს და ბევრს თავის უწინდელ შეცდომილებაებს ეხლა ისწორებს. ამას გარდა ეხლა მრავალი საზოგადოებაები და თითქმის მთელი ხალხნიც არა სჯერდებიან ბუნების უწინდელს დონეზედ დაყენებას, არამედ ცდილობენ კიდეც, რომ უსაჭირო და უმაქნისი ალაგები შეიმუშაონ და გამოიყენონ და დაუდგრომელი შრომით ბევრგან ასრულებენ ამ თავის წადილს.

*) ზღვის სრუტი, ანუ გარდასადინარი ჰქვიან იმ წყალს, რომელიც ორ ზღვას აერთებს. ბერინგის სრუტი აერთებს ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ოკეანებს.

**) გრენლადია არის ჩრდილოეთის ოკეანის კუნძული, მახლობლად ჩრდილოეთის ამერიკისა, ძალიან ცივი ქვეყანაა.

***) ინფუზორია არის ერთი პატარა ცხოველი ბუშტის მსგავსი, რომელსაც არც პირი და არც გასავალი აქვს. ცხოვრებს წყალში და ტანით შეისვამს წყალში გამდნარ ნივთიერებას.

ამ უკანასკნელ საუკუნეებში მრავალი, სასარგებლო ცვლილებები მოხდა ამ ჩვენ დედა-მიწაზედ, ისეთი ცვლილებები, რომელნიც ცხადად გვიმტკიცებენ, რომ კაცის მტკიცე ნების და დაუცხრომელ შრომას ბევრი კარგი საქმე შეუძლიან. ამის დასამტკიცებლად მოვიხსენოთ ჰოლლანდიელების დაუდგრომელი შრომა, რომლის შეწყობით იმათ თავიანთი ნიადაგი ზღვისა და მდინარეების რღვნისაგან გაამაგრეს. საშუალო საუკუნეებში ჩრდილო ზღვის კიდეებზედ მცხოვრებნი ყოველ წელიწადს ზღვის ტალღებს უნდა მორიდებოდნენ და ამისგამო სულ უკან-და-უკან იწევდენ. ამასთან, თითქოს თავის მტერნი არიანო, ჰკაფავდენ იმ ტყეებს, რომელიც ჰფარავდა იმათ ქვიშა მომბერავი ქარისაგან და ტორფიან ალაგს გაუბრთხილებლობისაგან გადააქცევდნენ ხოლმე ჭაობებად და გუბებად. ასე რომ დიდი ღელვის დროს მრავალი ათასი დღიური მიწა ნახნავ-ნათესით და დაშენებული სოფლებით წყლისაგან ინთქმებოდა ხოლმე.

უკანასკნელ საუკუნეში ნიდერლანდიის მეურნეობა წარმოგვიდგენს ჩვენ ოკეანესთან გამუდმებულ ბრძოლას; ამ ბრძოლაში გამარჯვებული რჩება ნიდერლანდიელი მეურნე. ის მუდამ თვალ-ყურს ადევნებდა ტალღებს, რომ შეეტყო, თუ საითა ჰქონდათ იმათ ძალა და ის მხარე იმან ათას გვარი ოსტატობით გაამაგრა; ამასთან მიწის დაყრით და კიდობნების ჩაყრით ისე მოაგვარა საქმე, რომ ოკეანეს უკანვე წაართო მრავალი მიწა, რომელიც უწინ დაენთქო იმას თავის ტალღების ძალით. უფრო გამოსაჩენი საქმე იმათი ის იყო, რომ მთელი პარლების ტბის წყალი ზღვაში გადაასხა, და ახლა აპირებს ზუდერზეს სრუტის გამშრალებას, იმ სრუტისა, რომლის გაჭრაზედ ჩრდილოეთის ზღვის ღელვას მოუხმარებია ათასი წელიწადი!

ყველა განათლებულს ქვეყნებში ამ გვარად სასარგებლოდ შრომობს კაცი და მრავალს მავნებელს და უსარგებლო ალაგებს სასარგებლო ალაგებად გარდააქცევს ყველგან, თითქმის უდაბურ, უწყლო მინდვრების განაკოფიერებასაც ცდილობენ არტეზის *) ჭების მოთხრით და ამ საქმეს კიდეც ასრულებენ.

ესეთი სასარგებლო შრომა კაცისა დედამიწის ზურგის სახეს ძალიან სცვლის, და ამ ცვლილებას, რასაკვირველია, ჰაერის ცვლი-

*) არტეზის ჭებს იმ გვარ ჭებს ეძახიან, რომელთაც დიდი მიწის ბურაოთი სთხრიან. ამ გვარი ჭის გასაკეთებლად იქამდის სთხრიან მიწას, ვიდრე წყალს არ მიახწევენ; თუ წყლამდის გახვრიტეს დედა-მიწა, მაშინ წყალი დედა-მიწაზე მაღლა ამოჰხეთქს ხოლმე. ამგვარი ჭები მოიგონეს არტუაში (ფრანციის თემია) და იმის გამო ეძახიან არტეზის ჭას.

ლებაც მოსდევს. ერთი სიტყვით კაცს თავის შრომითა და ძალით დედა-მიწის ზურგზედ ბევრი ცვლილება მოუხდენია. ის ადგილები, რომელზედაც უწინ თვით მერცხალიც ვერ გაჰბედავდა ყოფნას, ახლა მშვენიერ და სასიამოვნო ალაგებად არის ნაქცევი; სადაც უწინ ჭაობები, წუმპოები და მომწამლავი ჰავა ყოფილა, ახლა იქ გამშრალიც არის და ჰავაც ძალიან სასიამოვნო და მარგებელია. მაშასადამე გაუსაძლის და დამცდელს ალაგებსაცა აქვსთ შველა. ცუდი ჰავაც შესაძლებელია კარგ ჰავად გახადოს. თუ ჰავის გამოცვლა შეუძლიან კაცს, უეჭველია, ისიც შეეძლება, რომ ოდესმე წვიმებიც გაახშიროს, ამის მაგალითიც კი არის. ლომბარდიაში ეხლა უფრო ბევრი წვიმა მოდის, ვიდრე უწინდელ დროში; ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ იქ ახლა ბევრი წყლის არხები გაიყვანეს მინდვრების მოსარწყავად, და ეს არხის წყლის სიუხვე წვიმის წყალსაც ამრავლებს, რადგან სველი მინდვრებიდამ და წყლით სავსე არხებიდგან ორთქლად არეული წყალი ღრუბლებად გროვდება და უკანვე ჩამოდის წვიმად.

ყველა ამგვარ ახირებულს შრომასთან რომ ბუნების გამშვენიერებაზედაც ფიქრობდენ, მაშინ უფრო უკეთესი იქნებოდა კაცისთვის. ზოგჯერ მთელი ხალხი ისე უანგარიშოდ ექცევა თავისგან დასახლებულს ალაგს, რომ თითქოს იმისი წადილი ბუნების დამახინჯება იყოს, სადაც აქა-იქ გადარჩენია ხე ცულს იმასაც კი სჭრიან და ნაცვლად ავლებენ გახრეკილს ქუჩებს და მეიდნებს. განა არ შეიძლება, რომ ქუჩებიცა და მეიდნებიც გააკეთონ და სახლებიც ააშენონ ისე, რომ ბუნებას თავისი სიმშვენიერე და ჰაერის გამწმენდელი ხეები არ წაართონ?!.. თუმცა ხალხი ანგლიაში შეფარდებით... შედარებით მიწა ცოტაა, მაგრამ იქაურ მხვნელ-მთესველს დიდი ნაყოფიც გამოაქვს მიწიდგან და ბუნებაც მშვენიერად აქვს შემკული; იქაურ მინდვრებზედ ჰნახავს კაცი აქა-იქ მდგარს ათას წლოვანს მუხის ხეებს, რომელთაც თავიანთი მდიდროვანი შეფოთლილი ბორჯღლები ნახნავებზედ აქვთ გადაფენილი; იქ ყველა სოფელს, ყველა ციხე-დარბაზებს მშვენიერად ამწვანებული ტყეები ახვევია. ირლანდიაში და შოტლანდიაში, სადაც უწინ გაუკაფავთ ტყე და მოუტიტვლებიათ მთები და ბორცვები, ახლა კვალად არიან ხშირი ტყით მოფენილნი. რომელიც უმისოთაც მშვენიერს ბუნებას უფრო მშვენიერს სახეს აძლევს. ამ გვარად კაცის ხელოვნებას და ძალას შეუძლიან გააკეთოს და გაამშვენიეროს ბუნება თავის სასარგებლოდ.

მაგრამ უნდა აღვიაროდ, რომ ახლანდელს დროში მოწინავე ხალხი ბუნების სიმშვენიერეს ბევრს აღარ დასდევენ; ისინი მშვენი-

ერებასა და პოეზიას ზევით ძალასა და გამორჩენას აყენებენ. ახლანდელს დროში კაცის წადილი ის არის, რომ თავის მოთხოვნილების გვარად შეიმუშაოს მიწა და სრულებითაც დაიმორჩილოს იგი, რომ მისს აუარებელს კაცის ხიმდიდრეს, უფრო ადვილათ ჰხვეტდეს. დედამიწის ყველა მხარეზედ რკინის გზებსა ჰფენს, ტელეგრაფის მავთულს აბამს, ცდილობს უდაბური ხრიაკა ადგილები ნაყოფიერად აქციოს, წყლების ადიდების და მინდვრების წალეკვას ბოლოს უღებს; ამას გარდა მთებსა და ბორცვებს ასწორებს, მთებში გასავალს ხვრელებს (ტუნნელი) აკეთებს, წითელსა და საშუალ ქვეყნის ზღვას აერთებს, და ამასთან აპირობს კიდეცა, რომ წყნარი ოკეანეს წყალი ატლანტიის ზღვის წყალთან შეაერთოს. მაშასადამე, კაცი ეხლანდელს დროში მხოლოდ იმასღა ფიქრობს, რომ მთელი დედამიწის ზურგი თავისებურად გადააკეთოს და სრულ იმის ბატონად შეიქმნეს, რომ იმის ნაყოფით უფრო უკეთ ისარგებლოს. თუ ამ დროში გამორჩენის წადილმა ასეთი სასწაულები მოახდინა, მაშ მაშინ რაღა უნდა შეიძლოს კაცის ჭკუამ და ძალამ, როდესაც მეცნიერება კიდევ სხვა სახსრებსა და ხერხებს მისცემს იმას? როდესაც კაცი გაიგებს ბუნების ზოგიერთს ძალას და მიზეზებს და თავის მოქმედების სახსრად მოიხმარებს იმათ, მაშინ ის ყველა საქმის აღსრულებას შეიძლებს, რაც უნდა დიდი იყოს ეს საქმე; მაშინ იმას იქნება ისიც არ გაუჭირდეს, რომ რაც მთებია, თუ კი საჭირო იქნებ, სულ ზღვაში უძახოს და ამ გვარად ამაღლებული ალაგები—დაბალ ალაგებს და ჩაღრმავებულები—ამოავსოს და საშინელი სივრცის მექონე უსარგებლო ალაგები ნაყოფიერად და კაცისათვის სახმარ ალაგებად გახადოს!..

ჩვენი ცხოვრების ქრონიკა

ჰავის დაუდგრომლობა ტფილისში.—საზოგადოთ ჰავის გამოცვლა. —იმერეთში ტყის შემუსვრა, ქარისა და ნიადვრის მოვარდნა.—რა უნდა ქმნას იმერელმა, რომ ახალს ჰავას ცხოვრება შეათვისოს?—ტფილისში ქართველობის არარაობა.—პედაგოგიური ყრილობები და იმათი მოქმედების მოკლეთ განხილვა შარშან და წლეულს.—პედაგოგიის მნიშვნელობა. კლასსიკური და რეალური განათლება. კატეხიტეკური მეთოდა.

ამ ჟამად ტფილისის ჰავა მიემგზავსება ცუდი ზნის ყმაწვილსა, რომელიც ამ წამს კასკასებს და იმ წამს ტირის. დილას რომ მზეა, შუადღის უკან ცას დაეხვევა შავი ღრუბელი და გამოუშვებს წვიმათოვლსა. საღამო რომ მყუდროა, დილას ასეთი საშინელი ცივი ქარი უბერავს, რომ კაცს თავიდგან ფეხებამდის ხუთავს. მაინც, ბატონო, საშინლათ შეგვეცვალა ამინდი. ჩვენ მოხუცებულებს რომ ნეტარი დრო გვქონდა, ის აღარ არის. ჰავა საძაგლათ გაფუჭდა და ამან მოგვშალა ყველანი, სულ იმ ცივი ქარის ბრალია, ბატონო! კარგა ხანია რაც ეს ქარი მოტყდა და მას აქეთ ჩვენს ნიადაგზე ჭრას გაუხარია; ხეხილი და სხვა მცენარეობა დასძრა, ნაყოფი გაუფუჭა: მე რომ უწინ გემოვანი ნაყოფი მახსოვს, იმისთანა აღარსად არის; ხილი დამეავდა, ზოგი სულაც გამწარდა; რაც მცენარეს დაემართა, სულიერსაც რომ ის უბედურება ეწია! სოფლად პირუტყვს ველარ გაუხარნია. თავის დღეში არ მოსწრებია კაცი ამდენს საქონლის ჭირსა! მრთელს არსებას ველარ იპოვით: სულიერი გინდათ თუ უსულო გინდათ ყველა დაზიანდა. . . . . .

. . . . . *)

კარგა ხნის კაცი გახლავარ, და ძალიან კარგათაც მახსოვს, მაგალითად, იმერეთში რომ ქარი არ იყო, არც თოვლი მოდიოდა. ზაფხულში პაპანაქება სიცხე იდგა და ზამთარში ველი ჰყვავოდა. რა-

*) ცენზორის მიერ არის ამოღებული.
რედ.

საკვირველია, რომ ამისთანა ჰავაში კაცს თბილი ტანსაცმელი არ დასჭირდებოდა; რაც ჰქონდა ტანზე, ისიც უნდა გაეძრო სიგრილისთვის. დამთბარი სახლი რომ კიდეც ჰქონოდა, რას გამოადგებოდა იმ დროსა; ჭუჭრუტანებიანი ხის სახლი ყველას ემჯობინებოდა, რადგან ყოვლის მხრით მომბერავი სიო კაცს გრილათ ყოფნას შეაჩვევდა. ახლა, ბატონო, ხალხი გამრავლდა, მავნებელმა ცივმა ქარმა მოჰბერა. ის კი არა თუ, მაშინვე მოეფიქრებინათ ჩვენებურებს ტფილის ქვითკირის ბუხრიანი სახლების კეთება. არა, შენც არ მომიკვდეთ! სიცივემ რომ კანი აუწვა, იფიქრა ამის გამთბობი ცეცხლიაო და დაუწყო ტყეს კაფვა: დაუგდო ცული, ბატონო, და სულ ერთიანათ მოატიტვლა მთელი იმერეთი, ტყე რომ აღარ იყო ბარში, ჰაერსაც სინოტოვე დაეკარგა, სიცხემ გაახურვა და ეს გახურვებული ჰაერი თოვლიან მთების ცივს ჰაერს შეერია და ამან დაჰბადა ასეთი საშინელი ხმელი ქარი, რომ მთელი ნაყოფიერება გააშრო და მოსწყლა. ეს კიდევ არაფერი: ბარში რომ ტყე გასწყდა, მერე მთაში დაუწყეს ხეებს ჭრა და თითქმის მთებიც გაახრიაკეს. ახლა წვიმის დაჰბერი ტყე აღარსად არის; ამისგამო წვიმის წყლები ერთბაშათ ჩარბის მდინარეებში. ისინი უეცრად ადიდდებიან, ჭალებზე გადივლიან ხოლმე და ნამუშევარი ზოგი ღვარს მიაქვს და ზოგს ქვიშა მარხავს. ამის შემხედვარე იმერელი უწინდულათვე ფეხშიშველა გაფარღალებული ჭუჭრუტანაებიანს ქოხში ჰზის და სწუხს მარტო ამ სიტყვებით: „ვაი რავა დევიფსეთ და დევიმშით.“ ცივი ქარი კი თავისას არ იშლის უბერავს კანჭებში, სძენს იმერულს ავათმყოფობას და ჰკლავს იმერლებს ბუზებსავით: არ ამოწყდები აბა რა დაგემართება! ჩემო ძმაო, მაგას მწუხარება ვერას უშველის. ჟამი იცვალა, სხვა ჰავა დადგა. ამ დროს გაჩერება არ ვარგა. როგორც დრო მოითხოვს, უნდა ეცადო, იმახ შეათვისო შენი ცხოვრება, თორემ უამისოთ შენც ხელი უნდა აიღო სიცოცხლეზე. ტყეს გაუფრთხილდი. მოტიტვლებულს მინდვრებზე ისევ ხეები გააშენე, ფიცრულს სახლს თავი დაანებე. ცივს ამინდში ფიცრული სახლი ვერ გაგათბობს. ქვა ბევრი გაქვს, თიხა ბევრი. მოზილე თიხა, იმით ქვითკირის ფეჩიანი სახლები გაიჩინე. ჭუჭრუტანებში სიცივე აღარ შემოგეპარება. ამისთანა სახლში ყოველდღე თითო ჯერ მეტათ არ დაგჭირდება ფეჩის გახურება. აღარ გაგიცივდება. შეშაც ძალიან ცოტა გეყოფა. სახლის ასაშენებლათ და ნიადაგ საწვავად ხეებს აღარ დაუწყებ ჭრასა; მთებში ტყე ისევ გასქელდება, ნიალვრები აღარ შეგაწუხებენ და ნამუშევარიც აღარ წაგიხდება. ფეხ-შიშველა და ფარღალალათ სიარულს თავი დაანებე. თბილათ ჩაიცვი და ამას

გამო აღარც სატკივრები აგიტყდება. აი ამით შეათვისებ ახალს ჰავას შენს ცხოვრებას და სიცოცხლის დღეც მოგემატემა. მაგრამ რას ვამბობ? ვინ მისცა ქართველს ამისთანა თადარიგის თავი! ფუმცა ვიცი ქართველის ამბავი, რომ იმას ეს ჩემი სიტყვები არაფრათ იამება. რადგან ბუნებით ძალიან ამაყი კაცია, მაგრამ სიამაყე კიდევ არაფერი, ეს ცოტაოდნად თავის დაფასებას მაინც ამტკიცებს, უბედურება ეს არის, რომ სიამაყესთან ტრაბახიც ძალიან იცის. ხშირად მინახავს ხოლმე პატარა ქართველი ბიჭი, რომელიც ქვეშ მოქცევია მეორე ბიჭსა და არის გაძაგრული. ჰხედავ, რომ აღარაფერი არ შეუძლიან, ცემით თავპირს ამტვრევს მეორე; მაგრამ არა, თავისას მაინც არ იშლის, იძახის: „ამიშვი, თორემ მოგკლავო"; საიდგან მოჰკლავ, რომ თვითონ შენ გკლავენ. ამ ყმაწვილისა არ იყოს, ახლა ყოველი ქართველი, რომელიც ტფილისში ჩამოსულა, დაუჟინია: „ტფილისი ჩვენი დედა ქალაქი არისო." ეს იმას ჰგავს რომ ბუზმა, სოროში დაიზამთრა, გაზაფხულს იქიდან თავი გამოჰყო და ჰყვირის: „ეს სორო ჩემი მონაღვაწი ადგილ-სადგომიაო". ერთი ჰკითხოს კაცმა, ჯერ თვითონ რა არის, რომ იმისი მონაღვაწი იყოს რამე. ქართველობა სხვა ტფილისის მცხოვრებლებში ისე ერევა, როგორც ორიოდე ბუზი ფუთკრების დასში; იმათს ცხოვრებაში ავიცა და კარგიც შეუნიშნავია. ამისთვის ტფილისის მეექრონიკე ისევ სხვა მცხოვრებლების ცხოვრებას უნდა აქცევდეს ყურადღებას, და არა ქართველებისას, რომელიც ოდნათა არ ჩნდება.

ამ წინასიტყვაობის შემდეგ ვიწყებ ჩემ ქრონიკას. ტფილისი ამ ზამთარში ძალიან გაცოცხლებულია, ბალი, მასკარადები და ქორწილები ზედის-ზედ იმართება. თეატრში წარმოდგენაც თითქმის დღე-ნიადაგ არის; მაგრამ ის კი ნუ ჰგონიათ, რომ ქართული წარმოდგენა სამჯერ მაინც ამ ზამთარში ყოფილიყოს: ჯერ ქართული ცხოვრება რა შვილია, რომ იმის სურათი რამე იყოს. ღვთის მადლით, არც მწერლები გვყავს იმის წარმომდგენი. ამასაც თავისი მიზეზი აქვს. მწერალი მაშინ იბადება, როდესაც თვითონ ცხოვრება შეინძრევა, როდესაც ატყდება კარგისა და ცუდის ბრძოლა ერთმანეთში და ამით თვითონ ცხოვრებაც გაუმჯობესდება. რადგან ამისთანა ცხოვრებას მოკლებულია ტფილისის ქართველობა, ამისთვის არც იმის ახალი სურათი ბრწყინავს სცენაზე. ტფილისის თეატრის სცენა გაცოცხლებულია რუსული წარმოდგენით და ოპერებით. ყველაზე შესანიშნავი ამბავია მასწავლებელთ კამიტეტის მოქმედება ტფილისში. ამისთვის ახლანდელ ქრონიკაში ჩვენ გვინდა განსაკუთრებით ამ საგანს მივაქციოთ ყურადღება. კავკასიის აქეთამხარის უმთავრესმა

ინსპექტორმა ისურვა, რომ ზოგიერთ საგნებზე მასწავლებლებს შეედგინათ კარგი პროგრამმები გიმნაზიებში სასწავლებლათ. ამისთვის იმან მოიწვია ამ ზამთარს ტფილისში სხვა გუბერნიებიდგან ზოგიერთი ოსტატები კამიტეტის შესადგენათ, რომ შემდეგ ამ კამიტეტს შეემუშავებინა პროგრამმები ბუნებითი საგნებისა; მერე ის პროგრამმები უნდა განხილულიყო საზოგადო კრებაში, სადაც მოუწოდებდნენ ტფილისის საზოგადოებას, რომ იმასაც მონაწილეობა მიეღო ამ საქმეში, გამოეცხადებინა რა და რაშია თანახმა და ამასთან თავისი აზრი წარმოეთქვა ამ პროგრამმებზე. ამ საზოგადო კრებებში ბევრი კარგი აზრი წარმოითქვა და რადგან ჩვენს მკითხველებს ამ საგანზე არა უკითხავთ რა „დროებაში“, ამისთვის მე მსურს რომ ორიოდე სიტყვა წარმოვსთქვა განსაკუთრებით ამის თაობაზე.

ევროპაში დიდი ხანია დარწმუნდნენ იმ აზრზე, რომ მინამ საზოგადოთ თვითონ ხალხი არ განათლდება სწავლით, რაც უნდა კარგი გამგეობა და სამართალი მისცე, მაინც არა გამოვა რა; ხალხის უგუნურობით კარგი სამართალიც უკულმართათ მიდის და კარგს გამგეობასაც ეკარგება თავისი ძალა. კარგი სამართალი და გამგეობა მაშინ მოუტანს ხალხს სარგებლობას, როცა თვითონ ხალხს შეუძლია იმის მოხმარება. ამისთვის საჭიროა ხალხის, აზრდა, იმის ჭკუა-გონების გამდიდრება სწავლითა. ახლა საქმე ეს არის, რა საშუალება უნდა იხმაროს კაცმა ამისთვის. უნდა დააფუძნოს შკოლები და მიუჩინოს ხალხს მასწავლებელნი, მაგრამ საქმე ამითაც არ გაკეთდა. მასწავლებელნი ვერ ასრულებდნენ თავიანთს მოვალეობას. ისინი ასწავლიდნენ ყმაწვილებს, მაგრამ ჭკუა-გონების გახსნის მაგივრათ, ჭკუა-გონებას უხშავდნენ შეუფერებელი სწავლებითა; განათლების მაგივრათ მეხსიერებას უკარგავდნენ; მაშასადამე მარტო შკოლების დაფუძნება და მასწავლებლების მიჩენა არ ყოფილა საკმაო ხალხის განათლებისთვის. უფრო საჭირო ისა ყოფილა, რომ მასწავლებლებს სცდნოდათ, თუ რა რიგათ ეასწავლებინათ. მასწავლებლებს უნდა შეეტყოთ ყმაწვილის ბუნება და იმ რიგათ უნდა მოპყრობოდენ, რომ იმისი ჭკუა-გონება თანდათან ევარჯისებინათ, თანდა-თან მეხსიერება აეხილებინათ. ამისგამო საჭირო იყო შესდგომოდნენ სწავლების კანონების გამოკვლევასა. მრავალი სწავლული შეუდგა ამ საქმეს და აქედან წარმოსდგა ახალი სწავლა, რომელიც შეიცავს კანონებს, თუ რა რიგათ უნდა ასწავლოს მასწავლებელმა მოწაფეს. აი ამ სწავლას ჰქვიან „პედაგოგია“. რამდენათაც ხალხის განათლება მიუცილებელი საჭიროებაა იმის კეთილ მდგომარეო-

ბისათვის, იმდენათ პედაგოგიას დიდი მნიშვნელობა ეძლევა ამ ჟამათ.

როცა ძველი რომაელები და ბერძნები მოისპო, იმათი ალაგი დაიჭირეს ევროპის ხალხებმა, რომელნიც მაშინ ბარბაროსებათ ირიცხებოდნენ. თვითონ ეს ველური ხალხი იყო ბერძნების და რომაელების გაწყვეტის მიზეზი. ამ ხალხებთან დაიმარხა იმათი განათლებაც. სახსოვრები, წიგნები ბევრი დარჩათ, მაგრამ ტყის კაცი წიგნის კითხვას არ დაეძებდა; მაშინ იმისი ხელობა რხმალი იყო და მკლავი ლონიერი. ამ ორი საშუალებით, როგორც იყო, თავს ირჩენდა და მეტი არც იმას უნდოდა. ევროპის ხალხები დიდს ხანს დარჩნენ ამ პირუტყუულს მდგომარეობაში. ქრისტე შობის შემდეგ თუთხმეტ საუკუნემდის იმათ თითქმის არა შველებიათ რა; ამ ხნის განმავლობაში ევროპის სახელმწიფოებს იმდენათ გაეხსნათ გონება, რომ დაწინაურებულმა კაცებმა იცვნეს ბერძნების და რომაელების დანარჩენი ისტორიული სახსოვრები, შეიტყეს იმათი დანატოვარი წიგნების აზრი; ერთის სიტყვით, გაიგეს იმათი განათლება და მოსძებნეს იმათი სწავლა. მაშინ ვისაც კი ჰსურდა განათლებულიყო, უეჭველათ ბერძნული და რომაული ანუ ლათინური ენა უნდა ესწავლა. ამიტომ რომ იმ დროს განათლება მხოლოდ ამ ენებზე იყო. აქედგან შეუდგნენ ევროპის ხალხები ამ ენების სწავლას და ამ ენების სწავლებაც თავიანთ შკოლებში უეჭველათ უნდა შეეტანათ. ახლა ევროპის ხალხებმა იმათ განათლებას ბევრათ გადაამეტეს; მაგრამ ძველიდგანვე დარჩენილი ჩვეულება—ბერძნულის და ლათინურის ენების სწავლისა სრულებით მაინც არ მოუშლიათ. თითქმის ყველა გრძნობს, რომ ამ მკვდარის ენების სწავლა სრულებით გამოუდეგარიაო, მაგრამ როგორც გაგიგონიათ, ჩვეულება სჯულთ უმტკიცესიაო. აქაც ისე მოხდა. ჯერ-ჯერობით ზემოხსენებულის ენების სწავლას არ დახსნიან. ამ ჟამათ ამის თაობაზე დიდი ბაასია ევროპაში. ერთი მხარე ამტკიცებს, რომ ბერძნულის და ლათინურის ენების უსწავლელობა არ შეიძლებაო, ამიტომ რომ ეს ენები გრამატიკულათ ძალიან შემუშავებული არიანო და ამათი ლექსთა-თხზვის კანონების გამოკვლევა ძალიან ავარჯიშებსო ყმაწვილის გონებას; მეორე მხარე ამბობს, რომ რადგან ჩვენს დროში ბუნების მეცნიერება ძალიან შემუშავებულია და სწავლით გამდიდრებულიაო, იმისი სწავლება უფროც გაუხსნისო ყმაწვილს გონებას და ბევრს იმისთანა სასარგებლო სწავლას შესძენსო, რომელიც ცხოვრებაში უფრო გამოადგებაო. განათლებას, რომელსაც სხვათა შორის ბერძნულის და ლათინურის სწავლება აქვს აზრში, იმ განათლებას კლასიკურს განათლებას ეძახიან. რომელი განათლებაც

უფრო ბუნების მეცნიერებას ასწავლის და არ უნდა ლათინურისა და ბერძნულის სწავლება, იმას ეძახიან რ ე ა ლ უ რ ს გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა ს. რომელი მხარეც კლასიკურს განათლებას იცავს, იმას ეძახიან კლასსიკებს და რომელი—რეალურს განათლებასა, იმას რეალისტებს. ახლა ჩვენ განვსაჯოთ რომელია იმათში მართალი და რომელი მტყუანი. უნდა ვსთქვათ, რომ თითქმის არც ერთი წიგნიც არ დარჩენილა ბერძნებისგან და რომაელებისგან დანატოვარი, რომ რომელსამე ევროპიულს ენაზე არ იყოს გადმოთარგმნილი, არც ერთი იმისთანა სწავლა აღარ იპოება კლასსიკურს ენებზე, რომ ევროპიულს ენებზე არ იყოს აღსნილი და გაშოკვლეული; მაშ ჩემის აზრით რაღა საჭიროა ამ ენების სწავლა. არავინ იმ ენებზე აღარ ლაპარაკობს და არც ცხოვრებაშია გამოსადეგი; მაშასადამე იმათი სწავლა ყმაწვილს ტყუილად დროს წაართმევს. ის სჯობია, რომ ეს დრო ყმაწვილს მოახმარონ ბუნების მეცხიერების სწავლებაში და ბუნების კანონების შეგონებაში. ამასთანავე ასწავლონ ახლანდელი ევროპიული ენები, რადგან ეს ენები ყოვლის მხრით ძალიან საჭიროა ამ ჟამად. მე და შენ რომ გვკითხონ, მკითხველო, ამ რეალურს განათლებას ვამჯობინებთ, მაგრამ სხვანი კიდევ სხვა რიგათ ფიქრობენ. ამ საგანზე რუსეთშიაც ატყდა დიდი ბრძოლა და ბოლოს ასე გადასწყვიტეს, რომ გაეხსნათ კლასსიკური განათლების შკოლებიც და რეალური განათლების შკოლებიცა: აი ამის გამო მოხდა, რომ ჩვენს მხარეში ორ გვარი გიმნაზიები გახსნეს: რეალური და კლასიკური. დღემდის მასწავლებელთ კრებაში, ტფილისს, დიდი ბაასი აქვთ ამ საგანზე. ერთი მხარე უფრო რეალურს განათლებას უდგება, მეორე—კლასსიკურსა; მაგრამ ორთავე მხარეს კი მხედველობაში ესა აქვთ: ღიმნაზიამ ყმაწვილის გონება უნდა ავარჯიისოსო. გიმნაზიურს სწავლებას უფრო ის უნდა ჰქონდესო აზრში, რომ ყმაწვილს გონება აუხილოსო, და არა ისაო რომ რაც შეიძლება ბევრი სწავლა ჩაუდოს გოგრაში და ამათში კი არც ერთი საფუძვლიანად არ გჟეგებოდესო. გიმნაზიამ უნდა შეამუშაოსო ყმაწვილის ჭკუა-გონება და იმისი ნიჭი აღზარდოსო; ერთი-ხიტყვით იმან უნდა დაუმზადოსო ყმაწვილს ჭკუითი ძალა.

ეს ორი წელია რაც მასწავლებლებმა უმთავრესის ინსპეკტორის მოწოდებით, იწყეს მოგროვება ქ. ტფილისში ზამთრობით, რომ სხვა-და-სხვა შესამეცნებელი საგნების პროგრამმები შეედგინათ. წარსულს წელს შეადგინეს რუსული ენისა და ისტორიის პროგრამმა. განსაკუთრებით შესანიშნავი იყო საზოგადო ბაასი რუსული ენის პროგრამმაზე. პროგრამმის შემდგენელთ აზრი ის იყო, იხმარონ საუკეთესო მეთოდა (სწავლების წესი) ყმაწვილების სავარჯიისებლათ

რუსულს ენაში. რადგან მცირე წლოვანი ყმაწვილი ნაკლებათ აზრობსო და იმისი გონების ძალა უფრო გარეშე საგნების გამოხატვაშია გართულიო, ამისთვის საჭიროა ენის მასწავლებელმა ეს სხვა-დასხვა ნახული საგნები და იმათ შორის ურთიერთობრივი დამოკიდებულება გონების თან-და-თან მომეტებული ვარჯისობით ვრცლათ შეასმინოსო. მასწავლებელმა უნდა ყურადღება მიაქციოს ყმაწვილის ჭკუა-გონებას და რის წარმოდგენა და შეგნება არ შეუძლიან, იმის კითხვას ყმაწვილი მოარიდოსო. მაგალითად, ბევრია იმისთანა ზენარი საგანი, რომელიც არც თვალით დაინახება, არც ყნოსვით, არც სმენით, არც ხელის შეხებით არ იცნობა; ვთქვათ ამ გვარი სიტყვები: ს ი კ ე თ ე, ბ ო რ ო ტ ე ბ ა, ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა, ს უ ლ ი და სხვა. ამ საგნების წარმოდგენა და შესმენა ნორჩი გონებისაგან შეუძლებელია. მაშ მასწავლებელი არც უნდა ელაპარაკოს მოწაფეს ამისთანა საგნებზე. ყოველი სიტყვა, რომელიც უნდა იყოს ნივთიერი საგნის სახელი, წარმოადგენს ყმაწვილის თავში გაცნობილს საგანსა, რომლის სწავლის დროს კიდეც უნდა უჩვენოსო მასწავლებელმა; ამის შემდეგ ყმაწვილიც ჯეროვანათ შეიგნებსო. მაშასადამე ყმაწვილის სიტყვიერებაც და მასთან გონებაც ჯერ, რა საგნებიც შინ და შკოლაში იპოვებაო, იმათი წარმოდგენით და ურთ-ერთი დამოკიდებულების შეგონებით უნდა ავარჯისონო. ამისთვის საჭიროა ჯერ ადვილი მსჯელობით (суждение) ავარჯისოს ამისი სიტყვიერება და ამასთან აზრიც, მერმე კი თან-და-თან გაადიდოსო სწავლება. მაგრამ ისე რომ რაც წინათ დაუსწავლია მოწაფეს, იმითი ახალ გასაგებიც მიახვედროსო; მასწავლებელი ასეთ ნაირათ უნდა ჰკითხავდესო, რომ მოწაფე მახვდეს ხოლმე ჯერეთ შეუმეცნებელს აზრსაო. როდესაც ამ გვარი კითხვა-მიგებით მოწაფე თავისთავათ გაიკვეთს ხოლმე ახალს აზრს წინათ დასწავლილის აზრის საშუალებით, მაშინ ამისთანა სწავლების წესს უწოდებენ კ ა ტ ე ხ ი ტ ი კ უ რ ს მ ე თ ო დ ა ს, *) კ ა ტ ე ხ ი ტ ი კ უ რ ი მეთოდა საუკეთესო საშუალება არი-

*) ვთქვათ, მასწავლებელმა მისცა მოწაფეს ექვსი ვაშლი საანგარიშებლათ:
მასწავლებელი—გაჰყავი ორად ექვსი ვაშლი.
მოწაფე გაჰყოფს.
მასწავლებელი.—თითო ნაწილში რამდენი ვაშლია?
მოწაფე.—სამი.
მასწ.—თითო ნაწილს რა ჰქვია?
მოწაფე.—ნახევარი.
მასწავლ.—კიდევ ჰქვია მეორედი. ახლა ეს მითხარე, ექვსის მეორედში რამდენი ვაშლია?
მოწაფე მიხვდება და იტყვის „სამიაო;" თუმცა მასწავლებელს არც კი უსწავლებია ესა. აი, როცა ამისთანა კითხვებით მასწავლებელი მიახვდენს ხოლმე მოწაფეს ახალს აზრსა, მაშინ ამ სწავლის წესს ჰქვიან კატეხიტიკური მეთოდა.

სო მოწაფის გონების გასახსნელათ, სთქვეს პროგრამმის შემდგენელთა. როდესაც ერთმა პროგრამმის შემდგენელთაგანმა გაათავა ლაპარაკი, წამოდგა ერთი პირი საზოგადოებიდგან და დაიწყო, რომ ჩვენს მხარეში უმეტესი ნაწილი მოწაფეთა - სულ ადგილობრივნი მცხოვრებნი არიანო, რომელთაც შკოლაში შესვლის დროს რუსული არ იციანო; ამისთვის საჭიროა, რომ დაბალს კლასებში რუსული ენის მასწავლებლებმა ქართულიც იცოდნენო და ახალი აზრის გაკვეთის დროს, რუსული სიტყვები ადგილობრივს ენებზე გადაუთარგმნონო მოწაფეებს და ამით გაუადვილონო რუსული ენის სწავლა. ამის შემდეგ კამიტეტის თავს-მჯდომარემ სთქვა, რომ ძალიან ძვირათ მოიძებნებიან შკოლებში იმისთანა მოწაფენი, რომელთაც რუსული კარგათ არ იცოდნენო, მაშასადამე არც საჭიროაო, რომ რუსული ენის მასწავლებელმა ქართული იცოდესო"... წარსულს წელს, როგორც ზევითა ვსთქვით, რუსული ენისა და ისტორიის პროგრამმების შედგენით გათავდა პედაგოგიურნი ყრილობანი; ამ წელს კი ბუნების საგნების პროგრამები იყო განსჯილი.

უცხო ქვეყნის ამბები

ანგლიის კაროლევის „დღიური“.—ლონდონში შიმშილობა.—პარიჟის ცხოვრებიდგან. პრინცი ნაპოლეონის გაბუტება თავის ბიძასთან.—პარიჟის თეატრები.—ჰმოლიერის დღეობა.—პრუდონის მოხსენება.—მმართებლობის დევნა გაზეთებისა.—ფრანციაში უკმაყოფილება მთავრობაზე.—პეტერბურგში ბუნების მაძიებელთ ყრილობა.

დიდი ხანი არ არის, რაც ანგლიის კაროლევამ ვიკტორიამ გამოსცა დავისი „დღიური“, რომელშიაც თვითონ კაროლევა ასწერს ძალიან დაწვრილებით თავის შინაურს ცხოვრებას. ეს წიგნი მომავალ ისტორიკოსისთვის ძალიან შესანიშნავია, რადგან იმაში ბევრი იმისთანა რამ ამბავია ანგლიის კაროლევის ცხოვრებიდგან, რომელსაც ძნელათ იპოვნიან სხვა საისტორიო წყაროებში. ანგლიის ერთი გაზეთის სიტყვით კაროლევის „დღიური“ ჯერ 150 ათას ეგზემპლიარამდის გაიყიდა. მარტო შემოსავალი ათი ათასი გირვანქა სტერლინგი შეიქმნა. (გირვანქა სტერლინგი—6 მან. 50 კაპ.) ეჭვი არ არის რომ კაროლევა ამ შემოსავალს ლონდონის გაჭირვებულებს დაურიგებს. ამ შემთხვევაში „ტაიმსი“ ამბობს, რომ შარშან სახელგანთქმული ფარადეი სილარიბეში მოკვდა და ძალიან კარგი იქნებოდა, რომ მთავრობას მიეცა პენსიათ ლარიბის სწავლულის ქვრივისთვის რვაასი გირვანქა სტერლინგი, რომელიც უკანასკნელს ჟამს თვითონ ფარადეის ეძლეოდა. როდესაც კაროლევა ასწერს თავის მგზავრობას ირლანდიაში, იქ ერთი ლირს-საცნობი შენიშვნაა. კაროლევა სწერს: „კორკში, ირლანდიის სამხრეთით, თითქმის ერთი მესამედი ქალები სახით სულ მშვენიერები არიან. ჩრდილოეთისკენ მშვენიერს ქალს ველარ იპოვნი“. ამ ადგილს ბელფასტი ჰქვიან. ბელფასტში მცხოვრებლები ძალიან ერთგული ყმები არიან მისი დიდებულების კაროლევისა და ერთობ არ იამებოდათ ამისთანა გაკიცხვა იმათ სახისა.

— ლონდონში ძალიან სასაწყლე და სიმშილობა გაჩნდა. ამას ამტკიცებს მრავალი მოხსენება პოლიციისა მთავრობასთან. ეს მოხსენება ძალიან გულშესატკივარი რამ არის, ამიტომ რომ მუდამ იმას ამბობენ, ამა და ამ ალაგას მკვდარი კაცი ვნახეო; უეჭველათ უნდა ვიფიქროთ, რომ შიმშილით კვდებიან. ეს გახშირებული კაცების სიკ-

ვდილი ნათლად გვაჩვენებს, თუ როგორი გაჭირვება უნდა იყოს ლონდონის დაბალს ხალხში. 22 იანვარს რომ პოლიციამ მოხსენება წარადგინა, იქ ნათქვამია, რომ ამ უკანასკნელს სამს დღეს მარტო ალდერმენს ორმოც და ათი კაცი დაუჭერია და ციხეში ჩაუჯდენია იმ აზრით, რომ სიმშილით შეწუხებულებს ამ საწყლებს პურს მაინც აჭმევენო საპყრობილეში. ამ 50 კაცში მხოლოდ ერთს ბრმა მოხუცებულს უნახეს ჯიბეში ერთი ანგლიური მანეთი, სხვანი კი ისე შეწუხებულნი იყვნენ სიმშილით, რომ მუშაობა ველარ შესძლეს და მაშინვე ავათ გახდნენ. ამ დამშეულებში გარდა შინა მოსამსახურებისა, რომელნიც სახლიდგან დაუთხოვნიათ, კიდევ იპოვება დედები ძუძუმწოვარი ყმაწვილებით, რომელნიც ითხოვენ სამოწყალოს, რადგან იმათ ქმრებს მუშაობა არ შეუძლიათ. ამ გლახაკებში ბევრი მაკლერიც იპოვება, რომელნიც უწინ ბირჟაზე კარგი შეძლებულნი ყოფილან.

—პარიჟის ცხოვრებიდგან. აქამდის პრინცი ნაპოლეონი, იმპერატორის ძმისწული იმპერატორზე უკმაყოფილოთ იყო, რადგან ფრანციის ჯარი გაგზავნეს რომს და იტალიელების განზრახვა სულ ტყუილ-უბრალოთ ჩაიშალა. პრინცს ნაპოლეონს თავის სიმამრის ვიკტორ-ემანუელის მხარე უჭირავს და იმისი წყენისთვის ბიძას გაებუტა. აქ: მდის თითქო განდევნილი იყო, მაგრამ ახლა როგორც აბბობენ, იმპერატორს შერიგებია და ურჩევს თავის ბიძას, რომ პრუსიასთან მეგობრობა დაიჭიროს და რუსეთს ომი გამოუცხადოს.

—სენ-მარტენის თეატრში ძალიან ამბავია. ამ თეატრის დირექტორს შეატყობინეს, რომ ვერაგობას აპირებენო იმის წინააღმდეგ. თეატრის სარდაფში, სადაც გაზს აგროვებენ, იქ ერთი ვინღაც კაცი ნახეს, რომელსაც ვითომც სდომოდეს თეატრის აფეთქება. პარიჟის თეატრში აქამდის მოდათ იყო, რომ სცენაზე ხშირათ ტიტველს ქალებს აჩვენებდნენ ხოლმე. მაგრამ პარიჟელებს ესეც მოსწყინდათ. ერთმა თეატრმა რომ ველარა გააწყო რა, მაყურებლები რომ ძალიან დააკლდა, მერე დაბეჭდინა გაზეთებში, რომ ამა და ამ თეატრში საყმაწვილო პიესებს წარმოადგენენო, რომელსაც კარგი ზნეობითი გავლენა ექნება ნორჩ ბუნებაზე; მეტრონიკეებმა და რეცენზენტებმა არც იქით სთქვეს—არც აქეთ, იმიტომ რომ გულმა ველარ მოუთმინათ თავიდგან ბოლომდის უსინდისოთ მოქცეულიყვნენ: იცოდნენ, რომ საყმაწვილო პიესების წარმოდგენა ფულის მოსაგროვებლათ ჯრის მოგონებულიო. ფრანციაში საზოგადო სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამისგამო თეატრის დირექტორები ვალათ რაცხვენ მეტრონიკები და რეცენზენტები უფასოთ მიიწვიონ ხოლმე თეატრში,

რომ შემდეგ გაზეთებში იყვირონ ამ თეატრის სასარგებლოთ. დღესასწაულებზე მრავალი ახალგაზრდა დადიოდა თეატრში, რომელსაც სახელად შატელე ჰქვია. ეს თეატრი კარგი ზნის შემაგონებელს წარმოდგენებზე არც კი ფიქრობდა. სცენაზე დასეირნობდნენ თავიდგან ფეხებამდის გატიტვლებულები. პარიჟელი კორრესპონდენტი რუსის „ინვალიდისა“, აი რას ამბობს: ერთხელ დავესწრე ამ თეატრში, რომელიც წარმოდგენა იყო. მთელი ანგლიური პანსიონი: ათიოდე ახალგაზრდა ქალი ცხრის და თექვსმეტის წლისა იქ ისხდა. იმათ ახლდათ ორი მოხუცებული ანგლიელი დედა-კაცი. პატარა ხანს უკან სცენაზე გამოცვინდნენ თორმეტზე მეტი სულ გატიტვლებული სურათები: ახალ-გაზრდა ქალებმა გაოცებით ერთი ერთმანეთს შეხედეს და მერე დაუწყეს ცქერა ამ ტიტველს ტანებსა. ახალგაზრდა ქალების უფროსებმა არ იცოდნენ რა ექნათ, ან თვალები საით წაეღოთ. აჰ მოხუცებულს ქალებს ეგონათ, რომ როგორც ანგლიაში, აქაც იმისთანა წარმოდგენები იქნებაო. ანგლიაში დღესასწაულებზე იმისთანა პიესებს ადგენენ ხოლმე, რომლებსაც ზღაპრული ხასიათი აქვს და კარგი დარიგებით არიან გავსებულნი. რადგან შატელეს თეატრში ერთის წარჩინებულის ანგლიელის მწერლის თხზულებიდგან შედგენილს პიესას ადგენდნენ, პანსიონის მყოლმა დედა-კაცებმა იფიქრეს, ყველას ეს ემჯობინება, რომ ჩვენი შეგირდი ქალები იქ წავიყვანოთო, სადაც ანგლიური პიესის წარმოდგენა იქნებაო. როდესაც სცენაზე ტიტველი ქალი და კაცი დაინახეს, თავი იწყევლეს, აქ რათ წამოვიყვანეთ მოწაფენიო; მაგრამ რაღას გააწყობდნენ. ამ თეატრის დირექტორს იმედი უნდა ჰქონდეს, რომ მიუცილებლათ მოწაფე ქალები ბევრს რასმე გამოსადეგარს ისწავლიდნენ ამ წარმოდგენაში.

— პარიჟში დიდის ხნიდგან სჩვევიათ ყოველ წელს გადაიხადონ ხოლმე მოლიერის დღეობა. ეს წარჩინებული ფრანცუზული მწერალი ჩვენს მკითხველებს ეცოდინებათ, რადგან ამ მწერლის ზოგიერთი კამედია ქართულს ენაზედაც არის ნათარგმნი დ. ყიფიანისაგან. ძველმა ორმა სახელ-განთქმულმა თეატრმა ჩვეულებრივ გადაიხადა ამ წელს მოლიერის დღეობა. ამ თეატრებში, სახელათ „ფრანცუზული კამედია“ და „ოდეონი“, ლექსთა ქება წაიკითხეს მოლიერზე და ამასთანავე მოლიერის სურათს გვირგვინი დაადგეს. მოლიერის დღეობის გარდა ორი სხვა გვარი დღეობა კიდევ გადაიხადეს. კვირას მეგობრებმა და გულითადი პატივისმცემლებმა მოიხსენეს ჩვენი დროების გამოჩენილი მწერალი პრუდონი. სულ ორი წელიწადი არ არის რაც ის მოკვდა. მკითხველების მომეტებულმა ნაწილმა იცის პრუდო-

ნის ვინაობა. ეს იყო დაბალი წოდებიდგან გამოვარდნილი, გლეხის შვილი, რომელსაც არავითარი ლონისძიება არა ჰქონია. დიდის გაჭირვებით, შიმშილ-წყურვილის გამოცდით, შეიძინა პირველ-დაწყებითი სწავლა და მერმეთ თავის თავათ შეიქმნა სახელ განთქმული ფილოსოფოსი და დიდი ნიჭის მწერალი. ერთმა რესპუბლიკურმა გაზეთმა დაბეჭდა გრძლათ აწერილი იმის ცხოვრება. პრუდონი იყო სვეტი დაბალის და გაჭირვებული ხალხისა. პრუდონმა მთელი თავისი ლონე სულ იმას მოახმარა, რომ როგორმე დაჩაგრული ხალხის ცხოვრება წარმატებაში შეეყვანა. ფრანციის მთავრობამ გამოაწყო დიდი ძალი ჯარი პოლიციის მოსამსახურეთა; პარიჟი შემოზღუდა, რომ არეულობა არ მომხდარიყორა. 22 იანვარს სენ-ჟერმის გარეთ უბანში ფრანციის კაროლი უბედური ლუდოვიკ XVI მოიხსენეს. ზოგს მკითხველს კარგათ ეცოდინება, რომ წარსულის საუკუნის გასულს ფრანციის ხალხმა დასაჯა ეს მეფე სიკვდილით და დააწესა რესპუბლიკური მმართებლობა..

— ახლა პარიჟში საცა არ უნდა გაიხედო, ბულვარზე, ხიდებზე, ქუჩებზე, ყველგან ბიჭ-ბუჭების ყვირილი ისმის „La question Romaine 15 centimes“ (რომის საქმე ხუთმეტ გროშათ ღირსო). მთელს პარიჟს უბარია ამ სათამაშოს მოგონება. როგორც სჩანს მთელი პარიჟი დასცინის მთავრობის მოქმედებას რომის საქმის შესახებ. უნდა მოგახსენოთ, რომ ის სათამაშო, რომელსაც ბიჭ-ბუჭები ჰყიდიან არის ორი რგოლი ერთმანეთში გაყრილი. გახსნით გაიხსნება, მაგრამ ისეთ ოსტატურათ არის გაკეთებული, რომ ვინც არ იცის, რაც უნდა ეწვალოს, ვერ გახსნის. რომის საქმე მართლაც ამ ორის რგოლის მგზავსია. რამდენი ხანია ევროპა წვალობს და აქამდის ვერას ფრით ვერ გაუთავებია ეს საქმე. ზემოხსენებულის სათამაშოს მომგონებელმა ორს სამს დღეში სამოცი ათასი ფრანკი იშოვნა. ერთი კიდეც ჩასვეს საპყრობილეში, იმიტომ რომ ჰყვიროდა: „მექსიკის საქმე ხუთმეტ გროშათ ღირსო“. მთავრობა ძალიან ავიწროვებს ხალხსა დასტამბას, ბევრის თქმის ნებას არავის აძლევს, მაგრამ პარიჟი მაინც თანდათან ცოცხლდება. ათის წლის წინათ ვინ გაბედავდა იმის თქმას, რასაც ახლა სწერენ და ლაპარაკობენ. ჟურალებს და გაზეთებს ძალიან ემტერება მთავრობა, მაგრამ ისინი მაინც დღითი-დღე უფრო თავისუფლათ უბნობენ და შეუპოვრათ ჰკიცხვენ მთავრობის მოქმედებას.

ამ დეკნაში გამოიცა ერთი დიდი გაზეთი, რომელიც სრულებით წინააღმდეგია ახლანდელი მთავრობისა. პოლიცია სასტიკათ ეპყრობა გაზეთებს, მაგრამ მაინც ყოველ დღე ბეჭდავენ იმის გასაკი-

ცხავს წერილებსა, საქვეყნოთ გამოაქვთ ურიგო მოქმედება პოლიციისა. ათის წლის წინათ ამას ვერც ერთი ბურჟუა ვერ გაბედავდა; თუმცა იმ დროსაც ისე ექცეოდა პოლიცია ხალხსა, როგორც ამ ჟამად. შიგა-და-შიგ მხარეში უკმაყოფილება ბეჯითათ ცხადდება. მთავრობისაგან გამოყვანილს კანდიდატებს დეპუტატებათ აღარ ირჩევენ. რეკრუტის მოსაკრეფს სჯულს ეწინააღმდეგებიან და სთხოვენ მთავრობას, რომ ეს სჯული გააუქმოს. მთავრობამ თავის გარეგანი დიდება დაჰკარგა და ყველას სამძიმოდ შეექმნა. ყველა გრძნობს, რომ უეჭველად რამე უნდა მოხდესო. 1868 წელს, 8 აპრილს, იმპერატორი გახდება 60 წლისა. რადგან მთავრობა შინაურს გამგეობაში თავისუფლების მომატებას არ აპირობს, ამისთვის ერთიღა საშუალება დარჩენია, რომ ხალხი გაართოს: ეს საშუალება გახლავთ ომიანობის დაწყება.

ახლა პარიჟის ცხოვრებიდგან მივ სწვდეთ პეტერბურგს და მივაქციოთ განსაკუთრებითი ყურადღება იმის გონიერს ცხოვრებას, რომელიც თან-და-თან ვრცელდება არა თუ მარტო დედა-ქალაქში, არამედ რუსეთის ხალხშიაც. თუ კაცი სიმხნით მიჰყვება თავის გონების ვარჯიშობასა, ეჭვი არ არის, ის მალე მოიმკის თავის ჭკუა-გონების ნაყოფსა. ამ შემთხვევაში მთელი ხალხიც ერთი კაცის მგზავსია. უნდა ვსთქვათ, რომ ამ უკანასკნელის ჟამს რუსეთის ხალხის განათლებულმა ნაწილმა დიდი სიმხნით მიჰყო ხელი თავის გონების ზრდას და განათლების გავრცელებას. არც სიმრავლე, არც თოფიარაღი ერთობ არ ამტკიცებს ხალხის ძლიერებას; ამის დამამტკიცებელი უფრო განათლებაა. მაშ ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ რუსეთის ხალხმა გაიღვიძა და დაიწყო თანდათან გაძლიერება. ერთს ამის დამამტკიცებელს მაგალითს მეც მოგითხრობთ. იანვრის დამდეგს პეტერბურგში მოხდა ბუნების- მეძიებელთ უკანასკნელი ყრილობა. ამ ყრილობაშიაც ისე ბევრი საზოგადოება იყო, როგორც ორს წინანდელს ყრილობაში. საზოგადოება დიდს ყურადღებას აქცევდა სწავლულების ლაპარაკსა. კათედრაზე პირველათ უ. იუნგე ავიდა. იმან დაიწყო ლაპარაკი, თუ სწავლას რამდენი ახალი ჭეშმარიტი ცნობა მოუმკია. განსაკუთრებით ბუნების მეცნიერებაზედ და საენო მეცნიერებაზე (языковедение) უბნობდა. იმან განიხილა სხვა და სხვა სწავლულების აზრი, თუ რამდენათ სასარგებლოაო ახალ-მოსწავლეთათვის კლასიკური ენების სწავლება. იუნგე შეეხო ამ საგანზე დაწერილს ჯონ სტუარტ მილლის სტატიასა. მკითხველებმა იციან, რომ სტუარტ მილლისთანა ბეჯითი სწავლული ჩვენ დროში თითქმის არავინ არის. ეს კაცია ანგლიელი და ამტკიცებს, რომ კლასიკური ენე-

ბის სწავლება იმითი შესანიშნავიაო, რომ ნორჩს გონებას ავითარებს და ზრდისო. მილლი ამბობს, რომ ბერძნულს და ლათინურს ენებს ასეთი სრული და ბეჯითად შემუშავებული ლექსთა-თხზვა აქვსო, რომ იმისი განხილვა ყმაწვილის გონებას ავარჯისებს და შეათვისებს ბეჯითათ აზრობასა. უ. იუნგე ეწინააღმდეგა მილლის აზრსა და იმის მიზეზიც გამოაცხადა, თუ ევროპელებს ასე რათა ჰგონიათო. მიზეზი ის არისო, რომ ყველა ევროპული ენები მრავალგვარი ლექსთა-თხზვით ძალიან ღარიბნი არიან. იმათი ლექსთა-თხზვა სულ ერთგვარია. ამ შემთხვევაში ჩვენ რუსები უფრო ბედნიერნი ვართო. სლოვენო-რუსული ენა თვისის ლექსთა-თხზვის სიმდიდრითა, მრავალ-გვაროვნებით და სრული დალაგებით ბევრათ სჯობია ევროპულს ენებს და უფრო უახლოვდება ბერძნულს და ლათინურს ენებსაო. თუ მართლა ენის ღირსება ამაში მდგომარეობს, მაშ ჩვენი ქართული ენა ყველას სჯობნებია. ლექსთა-თხზვის მრავალ-გვაროვნობით რუსული ენა ქართულს არ შეედრება. სხმით გარდასვლითი და მრჩობილ-სხმით გარდასვლითი სახე მხოლოდ ჩვენს ენაშია. არც ერთს ენაზე არ ითქმის ერთი ზმნით მთელი აზრი. ჩვენ ვამბობთ, „ვაწერინებ“, რუსულათ ამის თქმას მთელი წინადადება უნდა, სხვა დასავლეთის ენებშიაც ასეა.

იმის დასამტკიცებლათ, რომ რუსული ენა უფრო დაახლოვებულია კლასიკურს ენებზე, იუნგეს მოჰყავს ორი თარგმანი ჰომერის პოემისა: ერთი ნემეცურათ ფოსსისა, მეორე რუსულათ გნედიჩისა. თუმცა ფოსს ძალიან ბეჯითად და სინიდისიანათ უთარგმნიაო, მაგრამ, რაც თვითონ ნამდვილ თხზულებას სიმშვენიერე აქვს, იმის მესამედიც ვერ გადაუღიაო ნემეცურს მთარგმნელსა; რუსული თარგმანი გნედიჩისა კი უფრო უახლოვდება ნამდვილს თხზულებასა და თითქმის სრულებით აღმოხატავსო იმასა. ამისთანა სიმდიდრე და სისრულე სამშობლო ენისა გვაიმედებსო, რომ როცა ახლად გახსნილი ფილოლოგიური ინსტიტუტი, რომელსაც აზრათ სალინგვისტო მეცნიერების გავრცელება აქვს, და ჩვენი სწავლულები და რუსის საზოგადოების სიყვარული თავის ენისადმი კიდევ უფრო შეამუშავებს რუსულს ენას, მაშინ ეს ჩვენი ენა შკოლებიდგან თან და თან განდევნისო მკვდარს რომაულს და ბერძნულს ენას. რუსის ჭაბუკობა თავის აზრს გააკეთებს ამ ენის მდიდარის და მრავალ-გვარის ლექსთა-თხზვის განხილვითა. აქამდის ჩვენს ენას არაფრათ დავსდევდითო და მაღალი წოდება ჩვენი საზოგადოებისა იმითი იცნობოდა, რომ მშვენიერი პარიჟელი გამოთქმა ჰქონდაო და ცუდათ ლაპარაკობდა თავის სამშობლო ენაზე. მაგრამ ის დრო თანდათან გადის,

როცა ჩვენში თვისი სამშობლო ენა სძულდათო და არც ის დროა შორს, როცა დიდის თვითარსებობით და სიყვარულით მივყოფთ ხელს იმას, რითაც მართლად უფრო მდიდარი და ძლიერი ვართო ევროპიის ხალხზე.

უფ. იუნგეს შემდეგ ილაპარაკა სოვეტოვმა იმაზე, თუ რამდენათ ძლიერი მოქმედება აქვს ბუნების მეცნიერების გავრცელებას მეურნეობის გაუმჯობესებაზე. ხალხი ყველაზე უფრო დაახლოებულია ბუნებასთან და ის მეცნიერება, რომელიც ჰხსნის ბუნების მრავალს გვარს მოვლინებათა, ძალიან სასარგებლოა იმის ზნეობითის და ნივთიერის ცხოვრებისთვის. ბევრს ძალიან სასარგებლო განკარგულებას მოახდენს ხოლმე მთავრობა ხალხის საკეთილდღეოთ, მაგრამ ხალხს სრულებითაც არ გაეგება ამ განკარგულების მნიშვნელობა. როდესაც ხალხი გაიცნობს ბუნების მეცნიერების უმთავრესს ჭეშმარიტებას, შემდეგ გონებაც უფრო გაეხსნება და უფრო გულდანდობითაც მიიღებს ამ ზოგიერთს კარგს განკარგულებებს, რომელთაც ამ ჟამად ცუდის თვალით უცქერის. სიმაშკომ სთქვა, მარტო სახალხო წიგნების გავრცელებით კი არ უნდა გავაცნოთ ხალხი ბუნების მეცნიერებასა, არამედ ეს მეცნიერება უნდა შევიტანოთო სახალხო შკოლებში და ახალგაზრდა შთამომავლობას უნდა ვასწავლოთ. კითხვის უჩვევი ხალხი სახალხო წიგნებს არაფრათ დაეძებს. ამისგამო დიდი მეცადინეობით შეუდგეთ სახალხო შკოლებში ბუნების მეცნიერების სწავლებასა.

სიმაშკოს შემდეგ ზდეკაურმა მოკლე და ჭეშმარიტებით სავსე სიტყვით წარმოსთქვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის საზოგადო და სახელმწიფო ცხოვრებაში ბუნების მეცნიერებას და სხვათა შორის პირაგოვის ქველმოქმედებაც მოიხსენა: პირაგოვის სახელის ხსენებაზე მთელმა საზოგადოებამ ტაში დაჰკრა. ეს ამტკიცებს იმას, რომ რუსის საზოგადოება არ ივიწყებს იმისთანა პირებს, რომელთაც რაიმე სარგებლობა მოუტანიათ რუსეთისთვის.

შემდეგ უ. ბეკეტოვი წამოდგა და წაიკითხა წინადადებანი, რომელნიცა შემოიტანეს ამ ყრილობის სხვა-და-სხვა განყოფილებათა, რომ მინისტრს ნება სთხოვონ, ყველა რუსის უნივერსიტეტებში დაადგინონ ბუნების მეცნიერთ საზოგადოება იმავე გვარათ, როგორც მოსკოვის უნივერსიტეტშია დაწესებული. აგრეთვე წაიკითხეს უფ. ვინოგრადოვის აზრი, რომ გამოსცენ საბუნებო-ისტორიული ჟურნალი რუსეთის ბუნების მეცნიერთ ორგანოთ. ამ წინადადებებს ყველანი თანახმა გაუხდნენ.

ბოლოს ამ ყრილობის თავს-მჯდომარემ უფ. კესლერმა ურჩია წევრებს, მინისტრთან იშუამდგომლონ, რომ ბუნების მეცნიერების

მეორე შემოკრება მოხდეს 1869 წელსა, 1-ლს აგვისტოს, მოსკოვში. იმან მადლობა შესწირა საზოგადოებას და რუსის სწავლულებს, რომელთაც ამ ყრილობას თანაგრძნობა გამოუცხადეს და გაათავა იმითი, რომ ისურვა ბუნებითი სწავლის წინწასვლა რუსეთში, რუსეთის ხალხის სადიდებლათ და სასარგებლოთ. საზოგადოება ცხარი ტაშის კვრით მიეგება პატივცემულის პროფესორის სიტყვებსა.

ეს საზოგადო ყრილობა ბუნების მეცნიერთა იყო უკანასკნელი. მეორე დღეს განყოფილებებში მოხდა ყრილობა და შემდეგ სწავლულთ შეკრებილება დაიშალა. ბევრი კარგი აზრი წარმოითქვა ამ შეკრებილებაში და ამან ნათლად დაამტკიცა, რომ ახლა რუსეთში ბუნების მეცნიერება ძალიან წარმატებაშია. როდესაც ამ გონიერებით სავსე ცხოვრებას შეადარებ ჩვენს ჩამქრალ ცხოვრებასთან, სწორეთ ეს მწარე სიტყვები მოგაგონდება: ნუ თუ ისე უნდა ჩაჰქრეს ჩვენი ცხოვრება, რომ კაცობრიობის განათლებაში იმანაც ნათელი კვალი არ დააჩინოს?..

II

ფლორენციაში დღესასწაულობა პრინცის ჰუმბერტის დაქორწინებაზე.—ფეიერვერკი.

პრინცის ჰუმბერტის დაქორწინებაზე მრავალი ხალხი მოატყდა ფლორენციაში. სულ რომ ცოტა ვსთქვათ, ასი ათის კაცი მაინც იყო ქალაქის მცხოვრებლებს გარდა, რომელთა რიცხვი სხვა დროს, ას ოცდა ათი ათასზე მეტი არ არის. რაც ქალაქის მცხოვრებლები იყო, ერთი იმდენი მომატება, რასაკვირველია, ძალიან გაჭედდა ქალაქს ხალხითა. მართლაც ტევა აღარ იყო! უნდა წარმოიდგინო, ამ დღესასწაულებზე როგორი არეულობა და რუზრუზი იყო ფლორენციაში! სასტუმროებში თითო დღეს ოც-ოც ლირს აძლევდნენ ერთს ოთახში; სხვა დროს ორ ლირს როგორ გადასცილდება ოთახის ფასი. საყავოები და რესტორანები დილიდგან საღამომდის ისე იყო ხალხით გავსილი, რომ მოსამსახურეები თავს რომ ვეღარ ართმევდნენ, მეტის მეტი დაღალულობით მისუსტებულნი ძირს ვარდებოდნენ და თუ ვისმე ხელცარიელი უსმელ-უჭმელი არ გაუშვებდნენ, ღმერთისთვის მადლობა უნდა შეეწირა. ზოგი ერთი-ორათ უმატებდა ფასს საჭამადებში, მაგრამ ბევრი ისე წავიდოდა, რომ არა ეღირსებოდარა. არ იქნა სტუმრებს ვეღარ გაუვიდნენ. ანგლიელები მაინც ერთობ ბევრი მოატყდნენ; როგორ შეიძლება, რომ უიმათოთ სადმე შესანიშნავი ამბავი მოხდეს! ძალიან კარგათ სთქვა ლუი-ბლანმა: „ანგლია განა მარტო ანგლიაშია, ის ცოტ-ცოტათი ყველგან არისო“. რუსებიც იყვნენ,

მაგრამ ყველაზე უფრო ბევრი ისევ იტალიელები მოვიდნენ სტუმრათ.

როცა ახალ დაქორწინებული პრინცები მივიდნენ ფლორენციაში, დღესასწაულობაც მაშინ გაიმართა. სამს მაისს, კვირა დილით, პრინცი ჰუმბერტი თავის მეუღლით სასეირნოთ გამოვიდნენ. წინათვე იყო დანიშნული ის ქუჩები, რომლებზედაც ახალს მეფე-დედოფალს უნდა ევლო; იმ ქუჩებზე იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ ეკიპაჟებს ნაბიჯითაც ვერ გაევლოთ. მეფე-დედოფალი დასეირნობდნენ იმ ეკიპაჟში, რომლითაც ტურინიდგან მოვიდნენ. უკან ორი შტალმეისტერი მისდევდათ და იმათ უკან ორი სადღესასწაულოთ მორთული კარეტები, რომლებშიაც ისხდა იმათი სვიტა. ხალხი რაღაც არ მიეგება დიდი სიხარულითა. იმ დილაზე ჯარმა პრინც ჰუმბერტს ხმალი მიართვა საჩუქრათ. ამ საჩუქარის წასაღებათ ჯარმა გააგზავნა პრინცთან დეპუტაცია, რომელშიაც ერივნენ ყველა ხარისხის მხედრობანი. თავ კაცად იყო სამხედრო მინისტრი ბერტოლე-შიალე, ღენერალი ლამარ მორა და ფლორენციის სამხედრო მაზრის უფროსი ღენერალი კადორნა. საღამოს ფეიერვერკი იყო დანიშნული. ამისთვის მდინარე არნოზე გააკეთეს ხის ხიდი და შუაგულ ხიდზე იყო ერთი ფარი ამართული. ყველაზე პირველ განათლდა ფარი, რომელსაც ჰქონდა ძველებური ციხის სახე, იქით და აქით იმას ჰქონდა მიდგმული ორი კოშკი, კოშკებზე იყო დადგმული ცხენოსანი ძეგლები, ერთი სახავდა ვიკტორ-ემმანუელსა და მეორე ემმანუელ-ფილიბერტსა. ეს მთელი აგებულობა ერთ წამს განათლდა, მხოლოდ ვიქტორ-ემმანუელის ძეგლი დარჩა დაჩრდილული; რაღაც დაემართა, გვიანობამდის ვერ გაანათლეს. ფეიერვერკი გაგრძელდა ერთს საათს; შემდეგ პერგოლის თეატრში ბალ-მასკარადი იყო დანიშნული. იტალიური მასკარადი არც რუსულს ჰგავს და არც ფრანცუზულს. რაღაც შუათანაა ამათ შორის. ლოჟებიდგან მდიდრულათ მორთული ბალის ტანთსაცმლით იცქირებიან შეძლებული ოჯახის ქალები; პარტერი კი მთლათ მასკებით (აჩხაპირებით) არიან ავსებულნი. ისინი სულ კაცურად არიან მორთულნი, ზოგს ფიგაროს ტანსაცმელი აცვია, ზოგს ჟოკებისა, ზოგი მატროსები ggონია. მასკები სულ დაბალი წოდების კაცები არიან ხოლმე. იტალიური მასკარადი მშვენიერი სანახავია. აჭრელებული ტანთ-საცმელი აჩხაპირებისა (მასკებისა), ლოჟები მდიდრათ მორთული საზოგადოებით გავსებული და თვითონ თეატრი მზესავით გაბრწყინვებული გაზის შუქითა, სულ ესეები ძალიან კარგს შთაბეჭდილებას აძლევენ კაცსა. მაგრამ ამას გარდა სხვა შესანიშნავი ამბავი კი არ მოხდება

ხოლმე იქა. იტალიელმა ქალმა ინტრიგობისა არა იცისრა. პარტერში მყოფი მანდილოსნები არ ტანციობენ, და მასკარადის დაშლამდის ორკესტრი პოლკისა და ვალსის მეტს არას უკრავს. პერიგოლის, ბალ-მასკარადი განსხვავებული არა ყოფილარა. ძალიან ცხელოდა და სივიწროვეც დიდი იყო; კაროლის სახლობას გულ-ცივად მიეგებნენ; პრუსიის პრინცს კი ყველგან დიდის პატივის ცემით იღებდნენ და იმის დანახვაზე გაცხარებულს ტაშს სცემდნენ. მაღალმა საზოგადოებამ ლოჟებში სჭამა ვახშამი. ეს მოდა დიდი ხანია რაც იტალიაში შემოიღეს; ლოჟებში გაშალეს სტოლები, მელხიორის ავეჯულობას რაჩხა-რუჩხი გაჰქონდა და ზედ ტკბილი საჭმელები ბრჭყინავდნენ; ორშაბათს მინდორზე ჯარები ათამაშეს. ეს იყო ოთხ მაისს. ხუთს მაისს ნავების დოღი (მარულა) გაიმართა არნოზე. შეიბნენ ექვსი ნავი საბ-სამი ერთად. ბოლოს იმ ექვსს ნავში ორმა ნავმა გაასწრო, ისინი დააყენეს და გააქციეს. იმ დღეს დილით ცხენების დოღი მოხდა. აქ ყველაზე უფრო შესანიშნავი ის იყო, რომ პრუსიის პრინცს აღტაცებით მიეგებნენ. იმ საღამოს კაროლის სასახლეში ბალი დაიწყო და ორი ათასი კაცი იყო ამ ბალზე მიწვეული. ბოლოს ექვს მაისს, დანიშნეს ტურნირი. ამ ტურნირზე უნდა გამოსულიყვნენ მეთხუთმეტე საუკუნის დროის მორთულობითა; იქ უნდა წარმომდგარიყო ძველებური ბრწყინვალე ცხოვრება იტალიის სატახტო ქალაქებისა: ტურინისა, მილანისა, ვენეციისა და ნეაპოლისა. კაშინში დროებით აღაგეს ამ ტურნირისთვის ამფითეატრი, სადაც უნდა დატეულიყო ორმოცი ათასი კაცი. ასე ამბობენ, თუმცა დიდს ამბავს მოელოდნენ, მაგრამ ბევრი არა ყოფილარა შესანიშნავიო. სატურნირო ასპარეზი ძალიან ფართო იყო და ზედ ორმოცი ათასი რაინდი ჭრელს ტანს საცმელში ირეოდა: სხვა და სხვა ფერის ლერბები, ბაირაღები და ემბლებები აჭრელებული ხალივით მოფენილი იყო. როცა ვარჯიშობა დაიწყეს, ღმერთმა შეინახოს! ასეთს ცხენებზე ისხდნენ ძველებურათ მორთული რაინდები, რომ წუმპოში ნათრევს კატებსა ჰგვანდნენ. ერთი ბალი კიდევ გააკეთა ქალაქმა და იშით გაათავა პრინცის ქორწილის გადახდა....

ხალხის აღზრდაში თავისუფლება დიდი საქმეა. თუნდ ახლა ფლორენციის დღესასწაულობაზე რომა ვსთქვათ, ძალიან დიდი ხალხი იყო ქალაქში შეგროვებული. ზოგჯერ მაიდნებზე თუ რამე შესანიშნავი ამბავი მოხდებოდა, ისეთ-ნაირათ გასქელდებოდა მაყურებელთ გროვა, რომ კაცს განძრევა არ შეეძლო; თითონ ეკიპაჟები თითო ნაბიჯს რომ წინ-წაადგამდნენ, შემდეგ ერთი საათით იქვე უნდა მდგარიყვნენ, განძრევა არ შეიძლებოდა. ეს ხალხი იდგა ისე, რომ

არავინ არ შეიწროვებულა და არ გაუპატიურებულა. ერთხელაც არ უნახავთ, რომ ვინმე ერთი მეორეს შედავებოდეს და მუშტი ეჩვენებიოს. იმდენი ეკიპაჟები იყო და არავის იმათგანს არა ვნებიარა. მართალია, პოლიცია ყველგან იყო, მაგრამ ის მარტო თვალს ადევნებდა; პოლიციელს არავინ არ შეუნიშვავს.

ამ დღესასწაულობაში ორი შესანიშნავი ამბავი მოხდა, ამ ამბებს რაიმე მნიშვნელობა რომ არა ჰქონდეს, არ შეიძლება; კაროლის სახლობას ხალხი გულ-ცივად შეხვდა, და პრუსიელს პრინცს კი დიდის აღტაცებით.

პრუსიელი პრინცი საცა მივიდა, ყველგან დიდის აღტაცებით მიეგებნენ. ამით ფრანციის იმპერატორისთვის უნდოდათ ეგრძნობებინათ, რომ სადოვის გმირი იტალიელ ხალხისთვის უფრო საყვარელია, ვიდრე ნაპოლეონი, რომელიც დღემდე არ ანებებს რომს და ბრჭყალებში ჰყავს იტალიის დედა-ქალაქი; პრუსსიამ კი 1866 წელს მომხდარის ომით იტალიის ერთობას ხელი შეუწყოვო.

ლუდოვიკი-ნაპოლეონი ამ ამბავმა ძლიერ დააფიქრა, ვილჰელმის I მემკვიდრისადმი გამოცხადებულმა სიყვარულმა იქნება უფრო მოეხმაროს იტალიის ერთობას და რომიდგან თავისი ჯარი მალე გამოაყვანიოს ნაპოლეონსა. მენაბრეამ მისწერა გარიბალდის, რომ რომის საქმე, როგორც ჰგონიათ, ისე დიდხანს აღარ გასტანსო: თავისი უკმაყოფილება ფრანციამ გამოაცხადა და ის იყოვო. პრინცი ნაპოლეონი რომ შვეიცარიაში მიდიოდა, გზაზე ბრძანება მიიღო, უკან დაბრუნდი, ფლორენციაში უნდა წახვიდეო. მილანში მიიღო მეორე ბრძანება და ახლა პარიჟში არის.

პრუსსიელმა პრინცმა ისურვა იტალიური პალატის ნახვა, პრეზიდენტმა ლანცამ მაშინვე გადასცა თავის თანამდებობა ვიცე პრეზიდენტსა და მიეგება პრინცსა. ლამარმორა არსად არ გამოჩენილა არც ტურინში, არც აქ დღესასწაულებზე, რომ სადოვის გმირს არ ჩვენებოდა. კუსტოცაზე დამარცხებულს ღენერალს რცხვენია იტალიის მოკავშირისა, რომელმანაც იმ ხანებში, როცა იტალია ავსტრიას შეება და ლამარმორის წყალობით კუსტოცის ბრძოლა წაგო, სადოვთან პრუსიის ჯარს დიდი ბრძოლა მოაგებინა და იტალიის ერთობა დაამკვიდრა. არც რიკაზოლი გამოცხადებია პრუსიის პრინცსა. ფრანცუზული გაზეთები რიკაზოლისაც აბრალებენ კუსტოცაზე დამარცხებას; მაგრამ „საიდან სადაო, წმინდა საბაო“ — ჩვენშა იტყვიან. რიკაზოლის რა ბრალია? საკუთრად სამხედრო საქმეში რიკაზოლი არ რევია. ის ყოველთვის წინააღმდეგი იყო ფრანციის მორჩილებისა; კიდეც ამიტომ არ დჯენახვება ისა ვიკტორ-ემა-

ნუელს და ნაპოლეონს. ამ ორივეს ძალიან უყვართ ლამარმორა, რომელიც მუდამ ცდილობს ფრანციასთან კავშირის შეკვრას. კუსტოცის ბრძოლა უგუნურობით მოხდა, თუ ნაპოლეონის ბრძანებით, ეგ სულ ერთია, მაგრამ საქმე ის არის, რომ რიკაზოლის მაგ საქმეში მონაწილეობა არა ჰქონია.

მეფე-დედოფალი მოჰავალს კვირას აპირებს ჯერ გენუაში წასვლას და მერმე ნეაპოლში.

როდესაც პრინცის ჰუმბერტის და პრინცესის მარგარიტის ჯვარის წერა იყო, ღენერალი მენაბრეა კარის ნოტარიუსობას ასრულებდა და ამისთვის სამოცი ათასი ლირი მიიღო საჩუქრათ. პაპს პიოსაც IX ამდენი ფული დაუნიშნეს, მაგრამ იმან უარი სთქვა. ჟურნალები ამბობდნენ, ვითომც ეს საჩუქარი ნებართვისთვის იყოვო დანიშნული, რადგან მარგარიტა და პრინცი ჰუმბერტი ბიძაშვილები იყვნენო. კათოლიკების წესით ბიძაშვილების ჯვარის წერას ერთმანეთზე არავითარი ნებართვა არ უნდა, ამიტომ რომ ბიძაშვილების შეუღლება კათოლიკებში ადათია.

ეს საჩუქარი უფრო იმისთვის იყო დანიშნული, რომ პაპს განეთავისუფლებინა პრინცი ჰუმბერტი თავის წყევისგან.

იტალიური პოლიცია ძალიან ზრდილობიანია და რიგიანია მოქმედებაში, მაგრამ, საუბედუროთ, იმასაც ფრანციის პოლიციის ნაკლულევანება სჭირს: ხან-და-ხან ტყუილ-უბრალოთ იცის გამოცხადება, მე დიდს შეთქმულებას თავს წავატყდიო.

სტუმრები გავიდნენ ფლორენციიდგან. ეს იმის დაცარიელებულს ქუჩებს მაშინვე შეეტყობა.

III

პარიჟის ამბები.—დეპუტატების ამორჩევა.—სენატში თავისუფლათ სწავლების შესახებ ბაასი. — გაზაფხულის შეკცევა. — ჰაეროსტრატი.

—პარიჟში მეტათ გაღვიძებულია ამ ჟამად საზოგადო ცხოვრება. მეტად საინტერესოა თვალ-ყურის დევნება, თუ როგორ გადასწყდება ის საზოგადო საქმეები, რომელთაც თავი წამოუყვიათ და იმათ გამო ახლანდელი ფრანცია ორ პარტიათ გაყოფილა. ერთი მხარე ცდილობს ეს საპოლიტიკო და საზოგადო საქმეები, რომელთაც თავი წამოუყვიათ ისევ უწინდელს გზაზე დააყენოს და იმათს წარმატებითს მსვლელობას კრიჭა გაუკრას. ამ პარტიას ეძახიან ძველის მიმდევრებს ანუ კონსერვატორებს. მეორე პარტიას სურს იმავე საქმეებს მისცეს ისეთი მსვლელობა, როგორიც ამ დროს შეეფერება,

დააბოლოვოს ეს საქმეები ისე, როგორც მოითხოვს ახლანდელი საზოგადოების კეთილ-მდგომარეობა და იმის წარმატება. ამ პარტიის მომხრეებს ეძახიან პროგრესისტებსა. რაც აქამდის ევროპას ართობდა და აწუხებდა, ის საქმეები ყველა ერთბაშათ გამოტყვრენ, საზოგადოება მკვირცხლად არჩევს ამ საქმეებსა, ესმის იმათი მდგომარეობა და ერჟოლით ესწრება ამ სხვა და სხვა პარტიების შედავებაზე ერთმანეთთან. იმათ ისევ დიდის მხნეობით გაიღვიძეს. ფეხზე წამოდგნენ და ერჟოლით მიესწრაფიან, რომ საზოგადო საქმეების გადაწყვეტაში მონაწილეობა ქიიღონ. ისინი ხმა-მაღლა ჰყვირიან, ჩვენც გაგვრიეთ იმ საქმეში, რომელთაზედაც დამოკიდებულია ხალხის და საბელმწიფოს წარმატებაო. უცხო ქვეყნის მოგზაურნი და რუსები, რომელნიც წყლებზე მიდიან მოსარჩენათ და ზაფხულის დროს გასატარებლათ, სრულებითაც ვერ ნიშნავენ, თუ რამდენათ გადიდებულია ამ ჟამათ ჭკუიერი ცხოვრება ფრანციაში.

მრავალს დიდსა და პატარა საქმეებს შორის სამი უაღრესი საქმე ავითარებს და ართობს ამ ჟამად მთელსა პარიჟსა: დეპუტატების ამორჩევა, საპოლიტიკო ეკონომიური დავა კანონის მდებელს კრებაში და სენატში დავა სამღვდელოების თხოვნაზედ, რომელსაც ჰსურს, რომ უმაღლესს სწავლებას თავისუფლება მისცეს. —ერთს ვისმე მთავრობის კანდიდატს გორჟოს ირჩევდენ დეპუტატათ. მთავრობის მომხრე გაზეთებს და კერძო პირებს ცაში აჰყავდათ ეს კაცი, ამისთანა და ამისთანა კარგი თვისების კაციაო. ამასთანავე უმატებდნენ, რომ გორჟო მთავრობის კანდიდატიაო და უეჭველათ ის უნდა ამოირჩესო; როდესაც ამომრჩევლებმა გააშავეს, არ უნდოდათ მთავრობის კანდიდატი ამოერჩიათ, მაშვინ თვითონ მთავრობის მომხრენი გადაუდგნენ და, უწინ რომ ქებით ცაში აჰყავდათ, იმ კაცს ახლა ლანძღვა დაუწყეს და იძახოდნენ, არა ეგ სადაური მთავრობის კანდიდატიაო. მეორე კანდიდატს ისეთივე საქმე მოუვიდა. ერთი სიტყვით მთავრობის მომხრეების მოქმედება სასაცილოა. რომ დაინახეს ხალხი იმათ აღარ უჯერის, ცრუპანტელაობას მიჰყვეს ხელი.—ფრანციის ეკონომიურ მდგომარეობაზე ბაასი კანონის მდებელს კრებაში ძალიან საინტერესო რამ არის, მაგრამ ამაზე ბევრის ლაპარაკი არ არის საჭირო, რადგან ამ საგანზე პოლიტიკურს განყოფილებაშია მოხსენებული. ახლა ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვა სენატში დაწყებულს დავაზე უმაღლესი სწავლების თავისუფლების შესახებ. ამ საგანზე გამოიცა ორი მომცრო თხზულება ანუ ბროშურა: ერთია ფლავიუსისა და მეორე არხიეპისკოპოსის დუპანლუსი.

დოქტორი ფლავიუსი არის მოგონებული სახელი, ნამდვილათ იმას დოქტორი ჟულიენი ჰქვია. თავის თხზულებებზე ფლავიუსს აწერს. ის მოურიდებლად ჰკიცხავს კლერიკალებს (სამღვდელოებას). აი რას ამბობს ის თავის ბროშურაში: „ერთ მშვენიერს დილას თქვენ არ იყავით, რომ თავს დაეცით მედიცინის ფაკულტეტსა, კლერიკალებს ეუბნება. ეს იყო 1823 წელსა, მინისტრი კორბერი წმინდა კონგრეგაციის მოსამსახურე ბრძანდებოდა. განა არ გახსოვთ, თქვენდა სასირცხოთ როგორის ბოროტებით მოიქეცით გამარჯვების დროს. მედიცინის ფაკულტეტს რაც დიდება ჰქონდა, თქვენსულ ერთიანათ წაართვით. ვინ და ვინ ჰყავდა დიდებულ კაცებთაგანი იმას? ვოკელენი, ჟუსიე, პინელი, შოსური, პელტანი, დუბუა, დეჟენეტი და ბევრი კიდევ სხვა. თქვენმა უგნურებამ იმდენათ გაგაბრაზად, რომ ეს დიდებული გვამები შკოლიდან გამოჰყარეთ, იმ აზრით რომ ისინი ვითომც გულ-მხურვალე კათოლიკები არ ყოფილან. თქვენ იმათ მაგივრად იმისთანა კაცები დააყენეთ, რომელნიც უგნურები იყვნენ, მაგრამ კარგი კათოლიკები: ბუგონი, გიბერტი, კლავიზონი, ლანდრ-ბოვე და სხვანი, რომელნიც მეცნიერებისთვის ერთობ მცხოვანნი იყვნენ“. როგორც კი ფლავიუსის ბროშურა გამოვიდა, უფ. დუპანლუმ თავის მხრით გამოსცა წინააღმდეგი პასუხი, რომელშიაც ეს ასჯერ არის რომ განუმეორებია ყველასგან ცნობილი აზრი. დუპანლუ მარტო უშვერს სიტყვებს არ სჯერდება თავის ბროშურაში, ის კიდეც იგინება და ლანძღავს თავის წინააღმდეგებს, არამც თუ წინანდელს ბროშურებში, არამედ ამ უკანასკნელს წიგნშიაც, რომელიც კათოლიკების ხელსამძღვანელოთ გამხდარა სენატში თავის დროს.

როგორც სჩანს პარტიები არ მჯდარან ხელგულ-დაკრეფილნი. თითოეული იმათგანი ცდილა, რომ საზოგადოება თავის აზრის მიმყოლათ გაეხადნა. ჟურნალები და გაზეთებიც ორ ბანაკათ გაიყვნენ, ასტეხეს ისეთი დავა და ვაი-ვაგლახი, რომ გეგონებოდათ, სწორეთ ეს არის ერთმანეთს მივარდებიან და გაწეწავენო: ცილის წამება, დაცინვა და მუჭების ტრიალი ბევრი იყო.... ბოლოს დადგა შვიდი მაისი, იმათებურათ 19 მაისი იყო. სენატის კარები გააღეს და დაიწყეს ბაასი თავისუფალ სწავლების შესახებ შეტანილს თხოვნაზე. პროვინციებიდან მოვიდნენ არხი-ეპისკოპოსები, სენატორები და შეიტაკნენ. ეს უნდა ყოფილიყო პირველი და უკანასკნელი შებმა.— საქმე ამ შებმით უნდა გადაწყვეტილიყო. სიტყვიერი ბრძოლა კლერიკალების (სამღვდელოების) მხრით ასტეხა სენატორმა დუპენმა. თუმცა იმისი სიტყვა ძალიან გაგრძელდა, მაგრამ გულის წმინდით

რომა ვთქვათ უხეირო რამ იყო. დუპენი თავის სიტყვაში სდევნის სენ-სიმონს, ფურიეს, კონტს, პრუდონს, აზროვან-კაცებს, მეცნიერებს და ფილოსოფოსებს. იმას უნდა, რომ ყველა იმ ფიქრზე და გზაზე დააყენოს, რომელზედაც თვითონ სდგას, მაგრამ ახლანდელს დროში ვინც კი გონებითს და ზნეობითს წარმატებას ითხრვს, ყველანი წინააღმდეგნი არიან იმის მხცოვანი აზრისა, რომელსაც შეუძლიან მხოლოდ ბნელი მოჰფინოს და არა ნათელი ხალხის ცხოვრებაში.

დუპენს შემდეგ დაიწყო ს ე ნ ტ - ბ ე ვ მ ა ლაპარაკი.... მაგრამ ვიდრე იმის სიტყვაზე რასმე ვიტყოდეთ, საჭიროა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ იმ სასაცილო დაწამებაზე, რომელიც მოუგონა სამღვდელოებამ. დიდს კრიტიკოსს, სახელ განთქმულს ავტორს „პორ-როიალისას" და ერთს ფრანცუზულს ლიტერატურის მნათობთაგანს უფ. სენტ-ბევს ამ ცოტას ხანში ერთი ახირებული საქმე შეემთხვა. ს ე ნ ტ - ბ ე ვ ი ყოველს პარასკევს ჰპატიჟებს ხოლმე სადილზე თავის მეგობრებს და მოკეთეებს. აი ვინ არიან მისი მეგობრები: პრინცი ნაპოლეონი, ტენი, ფლობერი, აბუ, რომლებისაც კლერიკალებს (სამღვდელოებას) არა სწამთ რა. ერთ პარასკევს სტუმრებმა კარგი მადიანი სადილი მიირთვეს სენტ-ბევთან. საუბედუროთ ეს იყო წითელს-პარასკევს. გულმავიწყობით მოუვიდათ, თუ ვერ მოისაზრა სენტ-ბევმა არავინ იცის; მაგრამ, როგორცა ვთქვი, ისე კი შეემთხვა. ერთმა კლერიკალთაგანმა სუნით გაიგო, რომ იმ დღეს სენტ-ბევს სადილი აქვს გამართულიო და მაშინვე ველეოს მოახსენა. ეს ხომ დიდი პუბლიცისტია კლერიკალებისა. ველიომ დასწერა სასტიკი სტატია სენტ-ბევისა და იმის შეგობრების მიერ ღვთის-გმობაზე; ის სწერდა, თუ როგორ უსირცხვილოთ, შეექცეოდნენო სტუმრები როსტბიფსა და სვამდნენ შამპანსკებსაო. პრინცი ნაპოლეონი რომ კარეტით მოვიდა სენტ-ბევთან, ვიდრე გამოხტებოდა, იქით აქეთ იცქირებოდა, ხომ არავის დაუნახავარო. უნდა წარმოიდგინოთ, როგორი გულს-მოდგინებით ეცენ ამ საგანს ჟურნალისტები და ვინ იცის, რამდენი ფული იშოვნეს მექრონიკეებმა სენტ-ბევის სადილის წყალობით. ორი სამი კვირა სულ ამ საგანზე ლაპარაკობდნენ, მთელმა ევროპამ შეიტყო სენტ-ბევის სადილი. ბოლოს ენა დააცხრეს. ასე ეგონათ ყველას დაავიწყდათ ეს ამბავიო. მაგრამ ამ ცოტა ხანში ხელმეორეთ გააღვიძეს ეს ძველი ისტორია. წინათ სენატში მოხდა ბაასი და სხვათა შორის სენტ-ბევსაც უნდა ეთქვა სიტყვა. როგორც კი ფეხზე წამოდგა ეს პატივცემული კაცი, მაშინვე შეუქმნეს რუზ-რუზი სენატორებმა და არხი-ეპისკოპოსებმა და სიტყვაც არ აცოცხლებინეს.

ყველას ეგონა რომ სენატში წარმოთქმული ახალი სიტყვა სენტ-ბევისა იმ გვარსავე რუზ-რუზს და ხმაურობას ასტეხსო, მაგრამ არა. ახლა რომ საქმე წყდება სენატში, იმას კლერიკალებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგისათვის, ამას ყველა გრძნობს და ამის გამო სენტ-ბევის ლაპარაკს ისეთი ყურადგდებით ისმენდნენ და ისეთი სიჩუმე დადგა, რომ ბუზის ბზუილიც არავის გამოეპარებოდა იმდროსა.

მართალია, კარდინალმა დონნემ რამდენჯერმე გააწყვეტინა ლაპარაკი, მაგრამ სენტ-ბევს პასუხი არ უღირსებია იმისთვის. ლაპარაკში ერთხელ ორატორმა გაჰკიცხა პირმოთნეები და ამ დროს სენატორებმა შფოთვა და ხმა-მაღლა ლაპარაკი დაიწყეს, მაგრამ რულანმა წამოიძახა: „უფ. სენტ-ბევო, განაგრძეთ ლაპარაკი, სენატი დიდის გულმოდგინებით ყურს გიგდებთ". ორატორი იცავდა სიტყვის თქმის და აზრის თავისუფლებას ისეთი ფილოსოფიურად და აზრიანათ, რომ მოსისხლე მტრებიც ცუდს ვერას იტყვიან იმის სიტყვაზე. რაღა თქმა უნდა, რომ რაც აქამდის სიტყვები წარმოუთქვამს სენტ-ბევსა, ეს უკანასკნელი იმის სიტყვა საუკეთესოა. კლერიკალების შეურაცხებისაგან ის სახალხოთ იცავდა თავისუფალს აზროვნებასა, უგნურება იქნებაო, რომ სამღვდელოებას თავისუფლათ სწავლების ნება მივსცეთ, ამიტომ რომ ის მაშინვე იმ გვარათ წაიყვანს საქმეს, რომ მეცნიერებას დააგდ ებს და მხოლოდ იმას ეცდება, რომ თავის გავლენა დაამკვიდროსო. ახალი თავისუფლების მიცემა უპირატესობის მინიჭება იქნებაო სამღვდელოებისათვის და ეს ძალიან საშიშრო და მავნებელი რამ არისო... იმან ძალიან ბევრი ილაპარაკა საზოგადოების პირმოთნეობაზე; შორიდგან ვითომც ჭეშმარიტი მორწმუნენი არიან, მაგრამ გული კი გარყვნილი და ზნეწამხთარი აქვთო. ეს სამწუხარო ზნეობითი მდგომარეობა ნიშნავს ხალხის ჭკუაგონების უძლურებაში ჩავარდნასაო. სიტყვით ყველა მორწმუნე გგონია და ამ მასკასაც ყველა იმ აზრით ხმარობს, რომ რიგიან კაცად იცნობდნენ; თითოეული წევრი საზოგადოებისა საქვეყნოდ აღიარებს კეთილს ცხოვრებას, მაგრამ ჩუმათ კი გარყვნილებაშია ჩაფლული.... სენტ-ბევი ამბობს: „მე მსურს რომ ახალგაზდობას ასწავლონ სრული ბეჯითი სწავლა გონიერებაზე დამყარებული".

გუშინდელს ყრილობაში ილაპარაკა კანტენ-ბროშარმა და კარდინალმა ბონ-შოზმა. კანტენ-ბროშარმა ძალიან ჭკუიანათ და მოხერხებულათ დაამტკიცა, რომ სამკურნალო შკოლის წინააღმდეგ გამოყვანილი მაგალითები ზოგი ბევრში მართალი არ არისო და ზოგი სულ ტყუილიაო. სახალხო განათლების მინისტრს დურუის უნდა

ელაპარაკნა მმართებლობის მაგიერად და ზედვე ეტყობოდა, რომ თანაუგრძნობდა ორატორის აზრებსა. შემდეგ კარდინალმა ბონ-შოზ-მა დაიწყო ლაპარაკი. ის ეცა „სამკურნალო მეცნიერების ლექსიკონსა", რომელიც შეადგინა რობენმა და ლიტრემ. ეს ლექსიკონი ყოველს სტუდენტს ხელში უჭირავს და კითხულობს კარდინალმა მოიყვანა რამდენიმე ალაგი ამ ლექსიკონიდგან, სადაც განმარტებენ, თუ რა არის სიტყვა: ა ზ რ ი, ს უ ლ ი, ს ი ნ ი დ ი ს ი და კ ა ც ი. ამისთანა განმარტებას ძალიან აძაგებს კარდინალი და ამბობს სულ ტყუილიაო. შემდეგ ის ეცა პროფესორის ვულპიანის ნერვულს (ტვინის ძაფების) სისტემის სწავლასა და ეს წიგნიც გალანძღა. ჯერ ბაასი ამით გათავდა.

მაგრამ სულ ამისთანა გონიერი ამბები ხომ არ ართობს პარიჟის მცხოვრებლებსა, პარიჟში მხიარულებაც ბევრია. გაზაფხული მშვენიერი დადგა. ხალხი გუნდ-გუნდათ მიისწრაფის ბაღებში ქალაქის გარეთ უბნებში და ბულონის ტყეში, სადაც საღამ-საღამოთ პარიჟელები ისმენენ ბულბულების გალობას და წ ყ ა ლ-ვ ა რ დ ნ ი ლ ი ს (водопад) ჩხრიალს

ელისეის მინდვრებიც არ არის გავერანებული. ეს მინდვრები ხალხით სავსეა ხოლმე და საღამ-საღამოს ბაღში ყოველთვის კონცერტებია. ყმაწვილები კი ტულერის და ლუკსამბურგის ბაღებში ნეტარებით ატარებენ დროებას. მზემ ალი-მული ააყენა; პაპარაქება სიცხეები დადგა. გრძნობენ, თვითონ პარიჟში დგომა ერთობ სასიამოვნო აღარ არისო და მიისწრაფიან ქალაქს გარეთ აგარებზე და წყლებზე ზაფხულის გასატარებლათ. თუმცა ძალიან ცხელა, მაგრამ პუბლიკა მაინც არ იშლის პალე-როიალის და ვარიეტეს თეატრებში ოფენბახის ოპერეტების მოსმენას. ამას გარდა საზოგადოება გიპპოდრომში მიდის, სადაც ჰაეროსტატია დაბმული ჰაერში ასაშვებათ; ათ ფრანკათ ყველას შეუძლიან ჰაერში ერთ ვერს ნახევარზე ავიდეს ინითი და იქიდან დაჰყურებდეს მთელ პარიჟს. ამბობენ, ვითომც ორთქლის ომნიბუსების გაკეთება უნდოდესთ. ამ დღეებში უნდა ეცადნათ ამ ორთქლის ომნიბუსებით ფრენა ბასტილიის მაიდანზე; თუ ეს მართალი გამოდგა, იმედია, რომ შალე დაიწყებენ პარიჟის ქუჩებზე ჰაერში მატარებელ ომნიბუსებით სიარულს. ცოტა ხანს შემდეგ იქნებ ფაეტონებით სიარულიც აღარ დაეკარგოს!

უჩინ-მაჩინის ქუდოსანი და იმის საუბარი მკითხველთან

I

დიდი ხანია, ჩემო კეთილო, რაც შენთან არ მილაპარაკნია და სწორეთ მოგახსენოთ, იმისთანა სენიც გადამეკიდა, რომ თითქმის აღარც კი მეხერხება ლაპარაკი. მას აქეთ რაც ღმერთს ცაში დემონი *) შეურისხავს, ის გადამტერებია კაცთა ნათესავობას და ყველაფრით ცდილობს, რომ შეაწუხოს. ერთი ამ გრძნეულ სულთაგანი მეც გადამეკიდა და საშველს არ მაძლევს. თუ დავიწყე ავდრიანობაზე ლაპარაკი და მოვყევი ცა მოიღრუბლა-მეთქი, ხალხსაც უწინდელი გრძნობა თან და თან ეკარგება მეთქი, მაშინვე უხილავი დემონი პირში მეჩრება: „ახლა რა არისო, ენაზე სულ ეგ სიტყვები გაკრავსო: „ცუდი“ და „ცუდით“ ერთ ჯერ მაინცა სთქვი სიტყვა „კარგიო“; ეგ სიტყვა კონტრახტით ხომ არ შეგკვრია სულ მე მიძახეო“. თუ ვთქვი ცუდმა დრომ ცუდი ზნე მოიტანა მეთქი, რატომ ასრე არ იტყვიო, კარგმა დრომ კარგი ზნე მოიტანაო. ახლა ეგეც ახირებულია!... თუ ღმერთს ენა მოუცია სალაპარაკოთ, რასაც ჩემი გონება და ჩემი აზრი მიმაგნებინებს, ის უნდა გამოვთქვა, თორემ ან საკუთარი ენა და საკუთარი გონება რაღათ მინდოდა. თუ ღმერთს ჰსურვებოდა, ჩემო უხილავო დემონო, შენებურათ ჩემი ლაპარაკი, ბარემც შენს გონებას და შენს ენასაც მომცემდა, რომ სულ კარგი და კარგი მეძახნა; მაგრამ სჩანს, რომ ეგ უფრო არა ყოფილა სამართლიანი, და რადგან შენ, ჩემო დემონო, თავის დღეშიაც არ გჩვევია სამართლიანობა, მაშ უნდა ვიფიქრო, რომ არც ამაში ბრძანდები მართალი, რომ მუდამ მეუბნები, ჩემებურათ გასძახვიდეო... ვახსენებ ღმერთს და კიდევ სიტყვით „ცუდით“ დავიწყებ ლაპარაკს...

— „სსუ, სსუ, სსუო“!

— ღმერთმა შემარცხვინოს, თუ ეგ კაცობა იყოს. სიტყვის თქმა არ მაცალე და როგორ იქნება! მოდი და ამას შემდეგ გულ დამშვიდებით ილაპარაკე!....

„წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთ აღთქმათა

*) დემონი არის გრძნეული ეშმაკი.

ბრმად ვუმსხვერპლიდი, მივანდობდი ჩემთ გულის თქმათა“...

კიდევ იმიტომაც ამდენი ხანი არ მილაპარაკნია შემთან, ჩემო მკითხველო.

კიდევ ამიტომაც „დროებაში“ მალმალ არ გამოვდივარ, მკითხველო, ჩემი უჩინ-მაჩინის ქუდითა, რომ ხან შეგაქციო ჩვენი საზოგადოების სასაცილო მოქმედებითა, ხან გული აგიშფოთო იმის უმგზავსო ყოფა-ქცევითა. რაც დემონმა თავის ბრჭყალებში ჩამიგდო, მას აქეთ ხალისი არა მაქვს, თან დემონს ვებრძოლო და თან შენთან ვილაზღანდარაო. რა გაეწყობა! ხომ გაგიგონიათ დრონი მეფობენო. ამავე გვარათ ჩემზედაც დემონი მეფობს. აბა რაღა გამივა!...

ეგ არის, ჩემო მკითხველო, ვაი თუ ჩემმა დემონმა ჩემზედ დიდხანს იმეფოს!... აი, მე რისა მეშინია! მაშინ ხომ ვეღარ ნახავ შენს უჩინ-მაჩინის ქუდოსანს მისებურათ მოლაპარაკეს!...

„ღმერთო სახიერო, ნუ დამიკარგავ მე სასოებას!..“

იცი რა გითხრა, მკითხველო! ახლა ჩემი სვე ჰგავს ერთს უპატრონო გემსა, რომელიც შუაგულს ზღვაში ტივტივებს. ზღვა ღელავს და თვით გემიც ხან მარჯვნივ გადადის, ხან მარცხნითა... პა, პა, პა!... რომ ზღვის ზვირთი ზედ შევარდეს, ხომ სულ დასძირავს და შთანთქავს უფსკრულში; მაგრამ მე კი არ მჯერა ესა.... ღმერთი მართალია!...—თვითონაც არ ესმის, რასაც როტავსო—ამბობს მკითხველი.—მართალი ბრძანება გახლავთ; მაგრამ ამისთანა ბუნდი შეუგნებელი ლაპარაკი ხან და ხან უნდა მომიტევო, ჩემო მკითხველო, რადგან ხშირად „ენა მიყივლებს ხოლმე“, როგორც ჩვენში იტყვიან.

ამას წინეთ ერთს ჩემს მეგობართან ვიჯექ ბულვარზე ჩვეულებრივ დაღვრემით. თუმცა ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, მაგრამ ტფილისს მჭმუნვარე ღამეში მოწყენით ჩასძინებოდა. იმის ქუჩები არ იყვნენ დაფა-ზურნით გამხიარულებულნი და არც ქუჩის ბიჭების უდარდელი სიმღერა და სალამურის კვრა აღვიძებდა ტფილისის არემარეს.—„საკვირველიაო—მითხრა ჩემ გვერდით მჯდომმა მეგობარმა,-რომ ამ ტფილისს ამისთანა მყუდრო სახე დაედვაო, სიცოცხლე და სიცხოვლე სულ დაეკარგაო.“-უწინდელი უდარდელი ცხოვრება და შექცევა აღარ მობრუნდება, ვთქვი ჩემ გუნებაში. როცა კაცს ზრუნვა თავს დააწვება, იმას ცეკვა-თამაშისა აღარა სცხელა. ჰხედავ პატარა ბიჭი როგორ თავდახრილი მიისწრაფის სომხის ბაზრისკენ! ალბად გასაყიდი რამ დარჩენია, ან თავის აღასთან ეშურება, რომ დაუდევრობა არ შეამცნიოს და კაპეიკი არ დააკლოს. იმანაც ისწავლა კაპეიკის ფასი! დრო შეიცვალა; უკაპეიკოთ ვეღარავის უცხოვრია.

ტფილისის დარდიანობა მთელ საქართველოს დარდიანობას და ზრუნვას აცხადებს. სწორეთ ასე დაღვრემით იცქირება ამ ჟამათ მთელი საქართველოცა. ამ ცოტა ხანში იმან ბევრი რამ გამოსცადა. ათასის წლის მომკილს ცხოვრების წესს სამუდამოთ გამოეთხოვა. ამ ჟამამდე ყმა ბატონის იმედით ცხოვრებდა, ბატონი ყმის იმედითა; დიდი და პატარა ისე იყვნენ გადაბმულნი ერთი ერთმანეთზე, რომ ყოველი კაცი სხვისი იმედით ცხოვრებდა და თავის ღონეს ან სულ არ დასდევდა და ან ზომაზე მეტს ძალას ატანდა და წელში იყო გაწყვეტილი. ამის გამო ზოგი მუდამ შექცევაში იყო და იძახოდა: „ნუ ზრუნავთ ხვალისთვისაო“, ზოგი ცას შესჩივოდა თავის გაჩენას. არც ერთს იმათგანს თავისა არ ეიმედებოდა. ეს ოთხი ხუთი წელიწადია, რაც დრო გადატყდა. ცხოვრების წესი განახლდა. დიდსა და პატარას უწინდელი იმედი მოაკლდა. აქ ხალხი შედგა და გაოცებით თავის თავს ჰკითხა: რა უნდა ვქმნაო, ან აწ რის იმედით ვიცხოვროთ! — ეს იყო მიუცილებელი და მძიმე კითხვა. ამ კითხვაზე პასუხი ყველას მზათ ჰქონდა; აი პასუხი: „უნდა ვიშრომოთ და საკუთარის თავის იმედით უნდა ვიცხოვროთო“... მაგრამ სიტყვა ადვილათ ითქმის და იმის ასრულება კი ყოველთვის ძნელია. განსაკუთრებით ძნელი და შეუჩვეველი იყო ახალი წესისამებრ ჩვენი თავად-აზნაურობის ცხოვრება; ასი და ათასი წელი გასულა მას აქეთ, რაც ჩვენს კეთილშობილს საზოგადოებას დაუწყია კეთილშობილურათ ცხოვრება: ხელფეხი შრომაში არ უწურთვნია; მუშის გაჭირვება თავის დღეში არ უნახავს. რომ ჭკუა-გონება ევარჯიშებინოს თავის ცხოვრების გასამჯობინებლათ. ის იყო სხვის იმედათ და თავის დროს ბატონურის მოსვენებით და დიდკაცურს შექცევაში ატარებდა. თავიც დასვენებული ჰქონდა და ხელფეხიცა. ამ უზრუნველს გარემოებაში გაზდილი საზოგადოება, რასაკვირველია, უნდა შემკრთალ იყო, როცა გარემოება დაადგებდა იმას თავის ამარათ: მის დღეში თოხისთვის ხელი არ მოუკიდნია და ახალი დრო კი ამას ეუბნება, თუ არ მოჰკიდე, შიმშილი მოგელისო; გავლილი დრო ეუბნებოდა: „ნუ ზრუნავთ ხვალისათვისაო“, ახალმა დრომ კი ასე უთხრა: „იზრუნეთ ხვალისთვისაო“: ერთი სიტყვით ჩვენი საზოგადოება ჩადგა იმ გარემოებაში, საცა პირის პირ შეხვდა ცხოვრების მოთხოვნილებას და უნდა დაეკმაყოფილებინა ისა საკუთარის შრომითა.

როცა საზოგადოება მარტო თავის იმედათ დარჩება, იმისთანა კარგი არა არის რა, ამიტომ რომ ადრე იქნება თუ გვიან, ის მიჰყოფს ხელს შრომასა, რომელიც დაჰბადებს სულიერს და ხორციელს ძალასა. მაგრამ უჩვევს კაცს შრომის შეჩვევამდის კარგა ძალი დრო

უნდება. ამ დროს განმავლობაში, ის მუდამ ყოყმანში და დარდშია. ის ჩუმათ ებრძვის თავის თავს: წინ წავიდე, ვაი თუ უარესი დამემართოსო და უკან დარჩენა, ესე იგი უწინდულათ ცხოვრება, ხომ შეუძლებელიაო. ამ გვარი მდგომარეობა ყველაზე უმძიმესია, ამიტომ რომ კაცს ვერ გადაუწყვეტია ვერაფერი: ძველს ჩვეულებასაც ვერ განშორებია და ახალ დროს მოთხოვნილებისამებრ კი ვერ ეხერხება მოქმედება. ის ძველს დროს გამოთხოვებია სამუდამოთ და ახლისა არა იცის რა. სწორეთ ამ გვარს მდგომარეობაშია ჩვენი საზოგადოებაც. ხელის განძრევა ეთაკილება, მაგრამ უიმისოთაც რომ ვერ უცხოვრია! არის ასე ორ წყალს შუა გაჩერებული. გაჭირების ხალთა ზურგზე აჰკიდებია, და თვითონ კი ამას გულ-გრილად უყურებს. არა, ამისთანა მდგომარეობაში გულ-გრილობა არ ვარგა. რადგან ძველის დროს მობრუნება შეუძლებელია. ბარემაც გამოვეთხოვოთ სამუდამოთ ყველა იმ ჩვეულებებსა, რაც ძველს დროს შეჰშვენოდა. ვსცნოთ, რომ თავისუფალი შრომა ბევრათ უფრო კეთილშობილურია ხელის გაუნძრეველობაზე: ის გამოსცდის კაცს, ზნეობით აღამაღლებს და ცხოვრებასაც გაგვიკეთებს. მადლობა ღმერთს რომ ამ გვარი შრომის დასაწყისიც სჩანს: ამ ცოტას ხანში, ტფილისში გაიხსნა სამი ქართული ღვინის სარდაფი უფ. სულხანოვის და კომპ., კახელ მებატონეებისა, და თ. დავით ჭავჭავაძისა. მაგრამ რაც საქართველოს ხალხს შრომაში სიმხნე შეუძლიან აღმოაჩინოს, იმას რომ ზემოთ მოხსენებული ნაწარმოები შეუფარდოთ, სრულებით აღარასფერი არ ჩნდება: სამი და ოთხი სარდაფის გახსნა შრომა კი არა შრომის აჩრდილიც არ არის... დრო არის ჩვენმა საზოგადოებამ მიჰყოს ხელი არამც თუ მარტო ღვინის სარდაფის გახსნას, არამედ ყოველს გვარს ხელობას, გაჭრობას და მეურნეობას. დროა დიდმა და პატარამ მოჰკიდოს ხელი იმას, რასაც გარემრება წილად ახვედრებს. მაგრამ ამ აზრის გასაპარტებლათ მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ჩვენის საზოგადო ცხოვრების ვითარებაზე.

არამც თუ ჩვენში, ყველგან საცა კი კაცთა საზოგადოება არსებობს, ხალხი იყოფა ორ ნაწილათ: ზოგი შრომობს და თავის შრომის ნაყოფს ჰყიდის სხვაზე, რომ მაგიერში რაც აკლია, ის იყიდოს; სხვანი კი არც შრომობენ, არც არას თავის ნაშრომს ჰყიდიან; მაგრამ ესენი უფრო ხერხიანები არიან. თუმცა არას აკეთებენ, მაგრამ მშრომელების ნაწარმოები სულ იმათ ხელში გადადის. ვთქვათ, მაგალითად, მთელს გორის უეზდში მარტო პური მოჰყავთ და იმის მეტს სხვას არას აკეთებენ. მაგრამ გორის უეზდის მცხოვრებლებს, გარდა პურისა, საქონელიც სჭირიათ ტანთ ჩასაცმელათ; ამისათვის მომეტე-

ბული პური უნდა მიჰყიდონ იმათ, ვინც მარტო საქონელს: ბამბეულს, აბრეშუმეულს და სხვ. აკეთებენ. ვთქვათ ამ საქმეს ტფილისის უეზდის ხალხი ასრულებს. რასაკვირველია, გორის უეზდის მცხოვრებლებისთვისა და ტფილისის უეზდის მცხოვრებლებისთვისაც უფრო სასარგებლო იქნებოდა, რომ თავთავიანთი საქონელი ერთმანეთში მიეყიდათ, ან გაეცვალათ; ამიტომ რომ უფრო იეფად დაუჯდებოდათ და თავისი შრომა ოდნაც არ დაეკარგებოდათ; მაგრამ წარმოვიდგინოთ რომ ტფილისელებს და გორელებს იმისთანა შუაკაცები გამოუჩნდნენ, რომ შრომა არ უყვართ და გორში მიდიან, გორელებს ეუბნებიან, მე საქონელი მაქვს, მოიტა პური მომყიდე საქონელი მოგყიდოვო. რაც შეიძლება იეფ ფასად სტყუებს პურს ალაგზე და იქიდგან რომ მოვლენ ტფილისელებთან, იმათაც ეუბნებიან, მოიტა საქონელი მოგვყიდე, პური გვაქვს, პურს მოგყიდითო. ეს შუაკაცები ტფილელებისაგანაც იეფად ყიდულობენ და გორელებისაგანაც: ერთსაც და მეორესაც აზარალებენ ხოლმე, თვითონ კი ორთავეს წანაგლეჯით ჯიბეს ივსებენ და ორივე მშრომელებზე უფრო კარგს ცხოვრებაში არიან, თუმცა თვითონ კი თავის შენაძენზე (მონაგარზე) იმდენს ოფლს არ ღვრიან. როგორც მკითხველი ჰხედავს, ეს შუამავალი კაცები თავისი ხერხიანობით ორთავე მშრომელების ბატონებათ ჰხდებიან. ტყუილა კი არ არის ნათქვამი:

„ხერხი სჯობია ღონესა,
თუ კაცი მოიგონებსა.“

თუმცა ბატონობა ძველიდგანვე ძალდატანებით იყო დადგენილი ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ თუ ხერხი აქვს კაცს ძალაც არ უნდა, უიმისოთაც უფრო კარგი ბატონი შეიქნება ხოლმე ქვეყნისა. ახლა ამ გვარი ჩვენი ბატონები გახლავან მოვაჭრეები. ისინი თავის შუაკაცობით დიდი ხნიდგანვე გვაცლიან ხელიდგან ჩვენს ნაშრომს და ამ ბოლოს დროს ჰხდებიან ცოტ-ცოტათ ჩვენი ადგილ-მამულების შებატონეები და ჩვენ კი ძალა უნებურათ იმათი მოსამსახურეები. აი, როგორ შუამავლობენ ჩვენში ვაჭრები. პურს, ღვინოს, ხორცს, შეშას და სხვა გასაკვებ მასალას ჩვენგან ჰყიდულობენ და ჰყიდულობენ ძალიან იეფად; ამიტომ რომ ხერხი იციან. აი მაგალითად, წავა სირაჯი კახეთში, და იყიდის ერთ მებატონესაგან სულ ყველა იმის ღვინოებს. იქვე დაბეჭდავს და აგდებს მებატონის ქვევრებში. ჯიბეში კი ასი მანეთის მეტი არა მოეძევა რა: მაგრამ მებატონეს ასე ეუბნება:—აი, ძმობილო, ამ ას მანეთს გაძლევ და ასი მანეთის ღვინოს ახლავ წავიღებ ტფილისში, შემდეგ რასაც წავიღებ იმის ფულსაც თან-და-თან გაძლევ; ბატონიც ყაბულს არის, იმიტომ რომ

ფული ხელათ სჭირდება. სირაჯი გაჰყიდის რასაკვირველია ას მანეთ მეტად კახეთიდგან მოტანილს ღვინოსა, ას მანეთს კახეთის მებატონეს გაუგზავნის, სხვას ჯიბეში იდებს; იმ მეორე ასი მანეთის ღვინოც ჩამოაქვს ტფილისში: იმ ღვინოში ას მანეთზე მეტს აიღებს, ასს მანეთს ღვინის პატრონს უბრუნებს, დანარჩენს თვითონ იდებს ჯიბეში; იმ ასი მანეთის ღვინოც ხელ-ახლავ ტფილისში მოაქვს გასაყიდავათ. ამ რიგათ სირაჯი იმ თავის ას მანეთს ატრიალებს და ერთბაშათ ორი ათასი მანეთის ვაჭრობა აქვს. რასაკვირველია, რომ ასი მანეთი წელიწადში ათასი ჰხდება და ეს სულ სირაჯის ჯიბეში მიდის; მებატონე კი პირღია რჩება. ვთქვათ ახლა იგივე სირაჯი მეორე წელიწადს მაკარიას წავიდა, იყიდა საქონელი, მოიტანა და ისევ იმ მებატონეს ჰყიდის და როგორ ჰყიდის? ორი იმდენათ!—მეტი რა გზა აქვს, რომ მებატონემ არ იყიდოს? თვითონ ხომ ვაჭრობა არ იცის და არც ფულის ყაირათი აქვს, რომ მაკარიაში წავიდეს და საქონელი მოიტანოს; მაშ ტიტველა ხომ ვერ ივლის: ორი იმდენი უნდა მისცეს, აბა რა ქმნას?

ამ რიგათ ვაჭარი მაშინაც გვცარცვავს, როცა ჩვენგან ღვინოს და სხვა ნამუშევარს ყიდულობს და მაშინაც გვცარცვავს, როცა ჩვენივე ფულით ნასყიდს საქონელს ჩვენზე ჰყიდის.

აქედგან ცხადათ სჩანს, რომ კაცი თუ თავის ჭკუას და ღონეს მოიხმარს დიდი შრომაც რომ არ გასწიოს, ხერხიანობით მაინც მოიგებს საქმეს და კარგათ იცხოვრებს. ამ გვარათ იქცევიან ჩვენი ვაჭრებიცა. ამისთვის თავდაპირველად იმას ეცადოს ჩვენი საზოგადოება, რომ ამ შუამავალ კაცებს ღონე დაუკარგოს, ხელიდამ გამოაცალოს ვაჭრობა. საჭიროება მოითხოვს, რომ თვითონვე მიჰყონ ხელი აღებმაცემობას და ყოველგვარ ხელოსნობას. მაგრამ რამდენათაც უფრო გონებით გახსნილია კაცი, იმდენათ იმის შრომას მომეტებული ნაყოფი მოაქვს. ამისთვის პირველი და უკანასკნელი ყურადღება ჩვენს ახალგაზრდობის ზრდაზე უნდა იყოს მიქცეული, რომ შემდეგს დროს მოუმზადოთ გონიერებით დახელოვნებულნი მშრომელი შთამომავლობა. აქ ჩვენ უნდა მოუწოდოთ საქართველოს დედათა, ამიტომ რომ თავდაპირველი წრე ჩვენი ახალგაზრდობისა იმათ ხელშია. იმათ უნდა მისცენ ბეჯითი საფუძველი საქართველოს მომავალს ყმაწვილს კაცობას. ამის ასასრულებლათ რა საშუალება გვაქვს ხელში, ან რას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებითი ყურადღება? ამის პასუხს შეძლების გვარად შემდეგ მოგახსენებთ.

II

წარსულს ნომერში განვიხილეთ ის აზრი, რომ ჩვენი საზოგადოება დიდს ყოყმანშია: იმან იცის, რომ გარემოებამ მარტო თავის იმედათ დააგდო, ჰსურს ხელი მიჰყოს ყოველს გვარს საქმეს, მაგრამ არც ცოდნა და არც გამოცდილება მოსდევს. კიდეც ამიტომ უფრო სამძიმოა ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა, რომ გაჯლებულის ცხოვრების შესათვისებლათ არა ვართ მომზადებული. შეძლებით და ჭკუით სიღარიბესა ვგრძნობთ. ლამის სიმშილით არ დავიხოცნეთ, ყველას ერთიღა საშუალება დაგვრჩენია თავის გასაკვებათ: ეს არის მოჯამაგირეობა. ბატონის ოჯახში სიზარმაცით გააზატებულს შინაყმას თავის ყანაში მუშაობის თავი არა აქვს, შინ ვერ დამდგარა და იმერეთიდგან მირბის ტფილისს და კახეთს: რა არის, ეგებ ვინმემ მიმსახუროსო და ორი გროში მომცესო; ბატონიც ჭკუით და გამოცდილებით იმდენათ დახელოვნებული არ არის, რომ აღირჩიოს თავისუფალი ხელობა და სრულებით დამოუკიდებლათ იცხოვროს. როგორც შინაყმა, ისიც ისე დარბის გაფოცებული: რა არის, იქნება სადმე სამსახურში თავი შევყოვო, რომ სახელმწიფო საქმე მაკეთებინონ და იმის და გვარათ ჯამაგირიც მაძლიონო. ამ სახით დიდი დაპატარა ყველანი მოჯამაგირეებათ გამხდარვართ და თუ არ მოჯამაგირობა, სხვა საქმის კეთება კი არაფრის შეგვიძლიან. შეძლებით დაჭკუით ღარიბობა გვაგდებს ხხვის დამოკიდებულებაში; მოჯამაგირობაში მუდამ სხვისი შემჩერენი ვართ, და ამიტომ, როგორც მოჯამაგირესა, ჩვენც ისე თავისუფალი ცხოვრება არა გვაქვს. ჭკუაგონების გაუხსნელობამ და შრომის უცოდინარობამ აი, ამ უძლურებაში ჩაგვაგდო. ამისთანაა ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა; ამ სენს ჩვენ ველარას ვუშველით; ამისათვის უნდა ვიფიქროთ მომავლისათვის და ამ შემთხვევაში რას უნდა მივაქციოთ ყურადღება? ახალ-გაზრდობის აღზრდას ისე, რომ იმან შეიძლოს თავის დროში თავისი ღონით ცხოვრება და მოჯამაგირობა სანატრელათ არა ჰქონდეს. ამისთვის ის უნდა გავანათლოთ, გონება გავუხსნათ. მაგრამ ამის ასასრულებლათ რა საშუალება გვაქვს ხელში?—თავდაპირველი საშუალება განათლებისა არის ენა: სოფლის დასაბამიდგან რაც აზრი ჭკუას მოუმკია, ენა არის იმის წარმომთქმელი და იმის გადამცემი ერთი შთამომავლობიდგან მეორე შთამომავლობამდე. მაგრამ რამდენიც სხვადა-სხვა გვარი ხალხი ასხია დედა-მიწის ზურგსა, იმდენი სხვა და სხვა ენაა აზრის წარმოსათქმელათ. ყოველ ხალხს თავის თვისების და გვარათ თავისი ენა შეუდგენია. ეს ენა არის იმის მიუცილებელი

საკუთრება, ისე როგორც იმის საკუთრებაა სული და ჭკუა-გონება; ენა არის ხალხის სულიერი ნაყოფი. ვთქვათ ადამიანის შთამომავლობა ისტორიული გარემოებით დაბინავებულია ერთს რომელსამე მხარეში; ოთხი ხუთი ათასი წელიწადი ყოფილა ერთსა და იმავე ბუნების გავლენის ქვეშ; იმ მხარის ადგილს, წყალს და საჭმელს ათასი წლობით ჰქონია ზედმოქმედება ამ ადამიანის შთამომავლობაზე; ამისგამო დაარსებულა ერთგვარი ტომი და ამ ტომს თავის ბუნების შესაფერი ენაც შეუთხზავს. ეს ენა იმის ჭკუა-გონების გამომხატველია და, ვიდრე ეს ხალხი ცხოვრებს, როგორც ჭკუა-გონების წართმევა არ შეიძლება, ისე არც ენის წართმევა შეიძლება. წარჩინებული გერმანიის ფიზიოლოგი ფოხტი აი რას ამბობს ამაზე: „თითოეული ხალხის ენა მჭიდროთ არის დაკავშირებული იმის აზრზე.—ის ხალხი მის დღეში დასჯილია უნაყოფიერობით, რომელსაც მიულია სხვა ხალხის ენა, იმისთანა ენა, რომელიც ხასიათით და შემუშავებით სრულებით არ შეჰფერის მეორე ხალხსა. ელზასის მაზრაში ფრანცუზული ენა და ნემენცური ნიადაგ ებრძვიან ერთმანეთსა; მაღალი წოდება ფრანცუზულს ენაზე ლაპარაკობს და დაბალი წოდება ნემეცურს ენაზე: აქ ხეირიანი არა დაიბადებარა, ამიტომ რომ ერთი ენა სრულებით სჩაგრავს მეორესა. ამისთანა გარემოებას დიდხანს ჰყავს ხოლმე ხალხის გონება დაჩაგრული:—ვატლანდის კანტონის მცხოვრებლები ლაპარაკობენ ფრანცუზულათ, და განათლებას ფრანცუზულს ენაზე ღებულობენ,—ერთი სიტყვით ფრანცუზობა ჰსურთ; მაგრამ აზრობენ კი ნემეცურად. ჭკუის გამომეტყველება და აზრის მუშაობა სულ ნემეცური აქვთ; ამისთვის ამისთანა ხალხი თავის-დღეში საკუთარს კარგს რასმე ვერც შეთხზავს და ვერც მოიგონებს, რადგან ის ენა, რომელზედაც თვითონ ლაპარაკობს, იმის სულიერს მოთხოვნილებას სრულებით არ შეჰფერის. ამიტომ ყველა ნათლათ მიხვდება, თუ რამდენათ უგუნურნი არიან ისინი, რომელნიც ჰფიქრობენ, ვითომც შესაძლებელი იყოს ერთი საზოგადო ენის მიღება მთელი კაცობრიობისთვის; ამისთანა ენა ვერავის ვერ დააკმაყოფილებდა და ცოტა ხანს შემდეგ ყოველი ხალხი მაინც თავისებურათ გადააკეთებდა ამ საზოგადო ენასა.“

რომ კიდეც შესაძლებელი იყოს კაცობრიობისთვის ოდესმე ერთი ენის მიღება, ამ ჟამად მაინც ყოველს ხალხს თავისი ენა აქვს და ყოველი ხალხი აქამომდე საკუთარი ენის საშუალებით ნათლდება. ყოველს ხალხს თავის ენაზე გადააქვს შეძენილი მეცნიერება და იმითი იმდიდრებს თავის ჭკუა-გონებას, ამიტომ რომ სხვა ენა არ ესმის.

ახლა საქართველო იმისთანა მდგომარეობაშია, რომ დიდი და პატარა ყველა გრძნობს სწავლის საჭიროებას, ამ მოთხოვნილებას, რომ ცოტაოდენიც არის, მაინც ხელი შეუწყოთ, უეჭველათ უნდა ვისარგებლოთ ჩვენი სამშობლო ენითა; იმის საშუალებით უნდა, გადავცეთ ხალხსა სასარგებლო სწავლა და მეცნიერება.

ამ აზრით უფ. წერეთელი შეუდგა ამ წლის თებერვლიდგან „სასოფლო გაზეთის“ გამოცემასა. როგორც „დროების“ მკითხველებმა იციან „სასოფლო გაზეთში“ საექიმო (სამკურნალო) და სამეურნეო ცნობებს გარდა სამეცნიერო განყოფილებაც არის. ამ განყოფილებაში იბეჭდება ბუნების მეცნიერებიდგან, მათემატიკიდგან (საანგარიშო ცოდნიდგან) და სხვა სწავლიდგან იმ გვარი სტატიები, რომ შემდეგ შეიძლებოდეს ამ სტატიების გამოკრეფა და სამეცნიერო წიგნების შედგენა სახალხო შკოლებისათვის. ეს სამეცნიერო წიგნები დიდს შემწეობას აღმოუჩენენ ჩვენს საქართველოს დედათა, თავიანთ ყმაწვილების შინ სასწავლებლათ, ვიდრე შკოლებში მისცემდნენ. „სასოფლო გაზეთი“ განსაკუთრებით სასარგებლოა იმ ქართველ მღვდლებისთვის, რომელთაც შკოლები აქვთ, ამიტომ რომ ყოველ სასარგებლო სწავლას ყმაწვილების გადასაცემათ ამ „სასოფლო გაზეთში“ იპოვნიან. ამის გამო ჩვენს საქართველოს დედათა და შკოლების მქონებთა მღვდელთა ვურჩევთ მოიპოვონ ეს სასარგებლო გაზეთი. ამ გაზეთის გავრცელება ორგვარათ არის გამოსადეგი: ერთი იმით რომ თვითონ გაზეთი ბევრს სასარგებლო ცოდნას და დარიგებას აძლევს მკითხველსა და მეორე იმითი, რომ იმის გავრცელებით სამეცნიერო წიგნები დაიბეჭდება და სწავლა დაინერგება ქართულს ენაზე.

ახლა ვსთქვათ ორიოდე სიტყვა „საყმაწვილო ბალზე“, რომლის დაარსებაც უნდათ ტფილისში. ჩვენი იმედი ახალგაზრდობაა. რამდენათაც უფრო კარგი საფუძველი მიეცემა ჩვენს ახალგაზრდობას, იმდენათ უფრო ნაყოფიერი და განათლებული ცხოვრება მოგველის შომავალს დროსა. დიდი ხანია რაც, ევროპაში იგრძნეს, რომ ცხოვრების სიკეთე და განათლების წარმატება დამოკიდებულია აღზრდაზე: არც კარგი წესდებულება, არც სწავლა, არც სიმდიდრე მთელი სახელმწიფოისა არ დაამყარებს ხალხში კეთილ მდგომარეობას, თუ რომ ხალხია გონებით გაუხსნელი და მდაბალის ზნისა. ხოლო თითოეული კაცის სიკეთეზე დამოკიდებულია მთელი სახელმწიფოს კეთილმდგომარეობაც და ბედნიერებაც. თუ სახელმწიფოში ყოველი კაცი ცოდნით მდიდარია და ზნეობით ამაღლებულია, მაშინ მთელს ხალხშიაც გაჩნდება სიყვარული და კარგი საზოგადო წესიც

დამყარდება. თითოეული კაცის შრომით და შენწეობით სახელმწიფოც მდიდრდება და საზოგადო მმართველობაც მეტად კეთდება, ამიტომ-მა რომ ყოველი გამგებელი გონიერი და განათლებული კაცი იქნება. ერთი სიტყვით ხალხის ბედი და უბედურობა, წარმატებით ცხოვრება და გაუნათლებელი მდგომარეობა თითოეულის კაცების ღირსებაზეა დამოკიდებული. ამისთვის დიდი ხანია მას უკან, რაც ევროპამ დიდი ყურადღება მიაქცია შთამომავლობის აღზრდაზე. აღმოჩნდენ დიდი ჭკუის კაცები, რომელთაც მთელი თავისი ცხოვრება შესწირეს ახალგაზრდობის აღზრდას და იმის საზოგადო კანონების გამოკვლევასა.

ამისთანა სწავლულებში პირველი ადგილი უპირავს შვეიცარიელს პ ე ს ტ ა ლ ო ც ი ს.

პროფესორი ნეაკი, რომელმაც ასწერა პესტალოცის ცხოვრება, აი, რას ამბობს იმაზე: „კაცობრიობის საკეთილდღეოთ მუდამ მოუსვენარისა და უსასყიდლო შრომისთვის თუ შეიძლება კაცს გმირი დავარქვათ, მაშინ პესტალოცს გმირობაში ტოლიც არ ეყოლება. ამ საქმეში ის ბეჯითად გმირია, როგორც მწერალი, როგორც კაცობრიობის გამნათლებელი და როგორც ხალხის ამზრდელი. პესტალოცი იყო გასაცვიფრებელი მომთმენი, თავგანწირულებით მოყვარული მახლობელისა და მშვიდობიანი. იმას ბეჯითად სწამდა კაცობრიობის გამჯობინება, ამ კეთილშობილური განზრახვის ასასრულებლათ იმას ვერაფერი დააყენებდა ხოლმე. ამიტომაც შეუძლებელია, რომ პესტალოცის გმირი არ დავარქვათ. იმისმა აზრებმა და მოქმედებამ, იმისმა სიყვარულმა და ტანჯვამ, იმისმა სიტყვამ და მწერლობამ განუსაზღვრელი კეთილი მიანიჭა სახლობას, შკოლას და ხალხს“.

პესტალოცმ შენიშნა, რომ ხალხს დიდი იმედი მოეცა შკოლებისა; იმას ეგონა, რომ თავიანთ შვილების აღსაზრდელათ შკოლა და სხვა სასწავლებლები სრულებით საკმაონი არიანო და ამის გამო დედებმა, თავიანთ შვილების აღზრდაზე სრულებით ხელი აიღესაი ამის გამო პესტალოცმ ნათლად დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ დედები ბევრს ნურას მოელიან შკოლებისაგან, თუ თვითონვე არ იზრუნებენ თავიანთ შვილებზეო. პესტალოცმა კაცობრიობას დაუმტკიცა, რომ თავი და თავი ხასიათი დედ-მამისაგან ეძლევა ყმაწვილსო... რომელი ყმაწვილიც პატარაობიდგანვე დედ-მამის უყურადღებოთ გაზრდილა, იმაზე უბედურ ცხოვრებაში არავინ არისო.

ყაჩაღების, თულების, ქურდების, ლოთების, ვერაგების და სხვა დიდ ბოროტ-მოქმედი კაცების ცხოვრება რომ განვიხილოთ, უეჭველად დავრწმუნდებით, რომ უფრო ბევრი იმათგანი ყმაწვილობაში

ცუდათ აღზრდილან დედ-მამისაგან. არც ეს შეიძლება ითქვას, რომ პატარაობიდგანვე ყველანი დედ-მამის უყურადღებოთ აღზრდილნი ცუდის თვისებისანი გამოსულიყვნენ, მაგრამ ამის მიზეზი სულ სხვა გარემოებაა. ყმაწვილი თავის ცხოვრებაში მარტო დედ-მ.მის გავლენის ქვეშ არ იმყოფება, ის ბევრს სხვანაირს გარემოებასაც გამოსცდის ხოლმე თავის ყმაწვილობაში; მაგრამ ყმაწვილი თუ თავიდგანვე დედ-მამისაგან ცუდათ არის გაზრდილი, მერმე თუნდ ათ ნაირ შკოლაშიაც რომ გაზარდო, მაინც ცუდი კაცი გამოვა. ამნაირი ყმაწვილი რომ კარგს შკოლაშიაც გაიზარდოს და შემდეგ კარგს უნივერსიტეტშიაც რომ სწავლა დაასრულოს, იმის ზნეს მაინც არა ეშველებარა; ვთქვათ, რომ ის კარგათაც ილაპარაკებს, ყველგან კარგს აზრებს წარმოსთქვამს, მაგრამ გრძნობა მაინც სხვა მხრით წარიტაცებს ხოლმე; ამისთანა კაცისთვის ცოტა რამ განსაცდელიც საკმაოა, რომ ცუდმა გულის თქმამ დასძლიოს იმისი გონება და თან-და-თან ზნეობით გაირყვნეს. ამ კაცს თუ ნათელი აზრი თავში უბრუნავს, მაშინ ის მიეცემა შინაგანს ბრძოლას; ამ კაცში გრძნობა შეებმება ხოლმე გონიერებას; ერთის სიტყვით ეს კაცი ზნეობით ორათ განიყოფება: იმასში დამკვიდრდება ცალმხრით ბიწიერება და ცალმხრით გონიერება. მაგრამ, რადგან გრძნობა ყოველთვის გონებას სძლევს, ამისთვის ამ გვარი კაცი ბოლოს მაინც უეჭველათ თავის გრძნობას დაემორჩილებაო,—ამბობს პესტალოცი. იმის აზრით კარგი დედ-მამის გავლენას არა შეედრება რა. დედ-მამის სწავლებით ყმაწვილს აენერგება იმისთანა თვისება, რომელიც გადაექცევა უმთავრესს ხასიათად. შკოლა კი გარეგანს თვისებას თუ მისცემს ყმაწვილს, მეტს ვერას. ყმაწვილი მიემგზავსება კვერცხს, რომელიც გულისა და ქერქისაგან არის შემდგარი. დედ-მამის გავლენა აკეთებს გულს და შკოლა კი მარტო გარეგანს ქერქს აკრავსო. ამ სახით, თუ დედ-მამის გავლენა კარგი იქნება, მაშინ გულიც კარგი გაკეთდებაო, და თუ გული გალაყებულია, რაც უნდა კარგი ქერქი შემოაკრა, ამისთანა კვერცხისაგან ხეირიანი ნაყოფი არ წარმოსდგებაო; თუ ხეს ფესვი დამპალი აქვს, მაშინ მთელი ხეც ლპება და ნაყოფიც დამპალი მოაქვსო. ამ განზრახვით იმან გამოხატა თავის თხზულებაში იმისთანა სახლობა, რომელსაც შესძლებოდა კარგი ზნის დანერგვა ყმაწვილში. იმან წარმოგვიდგინა იმისთანა სახლობა, რომელიც მისცემს ყმაწვილს გონიერს საფუძველს. მაგრამ ამასთანავე პესტალოცი კარგათ ხედავდა, რომ თავის დროში ევროპაში თითქმის არ იყო ამისთანა სახლობა. ამიტომაც იმას აზრათ ჰქონდა გაკეთება იმისთანა „საყმაწვილო ბაღისა“, სადაც შესაძლებელი ყოფილიყო თავის აზრებისამებრ

პატარა ყმაწვილების სწავლება. მაგრამ სხვა და სხვა გარემოების გამო იმას არ დასცალდა ამისთანა ბაღის გამართვა. რაც იმან ვერ აასრულა, იმისი შესრულება წილად ხვდა ფრებელსა, რომელიც იყო პესტალოცის მოწაფე და იმის მემკვიდრე კაცობრიობის აღზრდის ასპარეზზე.

ფრებელი ბეჯითად დარწმუნდა, რომ თუ ყმაწვილის თავდაპირველი აღზრდა შინაურობაში არ გამშვენიერდა, უმისოდ საზოგადოების აღზრდასაც არა ეშველებარაო; და ამას შემდეგ შეუდგა იმის ფიქრსა, რომ როგორმე საუკეთესოთ შეეცვალა შინაური აღზრდა. იმას უნდა ეპოვნა გონიერი საშუალება და ეცნობებინა დედებისთვის, რომ თავიანთ შვილების გასაზრდელათ მოეხმარათ ეს საშუალებანი. ამ ღონისძიების მოსაპოებლად ფრებელს უნდა გამოეკვლია ყმაწვილის ბუნება. ამის გამო ფრებელი ათის წლის განმავლობაში ატარებდა თავის დროს პატარა ყმაწვილებს შორის, რომ შეეტყო იმათი ბუნება, ეპოვნა იმათი აღმზრდელი საშუალება და როგორც რიგია, ისე მოეხმარა. ის დადიოდა სხვა და სხვა სახლობებში, აკვირდებოდა ყმაწვილების ბუნებას და ბოლოს გამოსცა მთელი სწავლა, რომელშიაც გამოხატა სრული სისტემა ყმაწვილების აღზრდისა იმ კანონისამებრ, როგორათაც უნდა აღიზარდოს კაცი ბუნებითად.

დიდს გამოცდილების შემდეგ იმან ისურვა, რაც თავის გონებით და დაკვირვებით მოეპოებინა, იმისი ცდა პატარების აღზრდაში. ამ აზრით იმან გახსნა საყმაწვილო ბაღები გერმანიის სხვა და სხვა ქალაქებში. აი, როგორია ფრებელის საყმაწვილო ბაღი. იმის აზრით ბაღი უნდა იყოს გაყოფილი ორ უმთავრესს ნაწილათ, გარეგანი ნაწილი და შინაგანი ანუ ბაღის გული. ბაღის გარეგანი ნაპირი ყველა ყმაწვილებისა უნდა იყოს. ყმაწვილები ამაზე თესვენ სხვა და სხვა ნაირს ბოსტნეულს და ყვავილებს. ბაღის გული კვლებათ არის დაყოფილი და თითო კვალი თითო ყმაწვილისა არის. ყმაწვილს აძლევენ თესლსა და თავის კვალი თვითონვე უნდა აჩიჩქნოს, დაოშოს და დათესოს; მუშაობას კი ბაღის გარეგან ნაწილზე სწავლობენ, სადაც ყველა შრომობს და ნაშრომიც საერთოა. ამას გარდა ყმაწვილებსა აქვს სხვა და სხვა სათამაშოები, რომელნიც ხმარებაში ყმაწვილს უხსნიან გონებას. ისინი ხან მუშაობენ და ხან თამაშობენ; ამასთანავე კიდეც მღერიან.

როგორც პესტალოცი, აგრეთვე ფრებელიც კარგათ გრძნობდა, რომ ბუნებითი კანონისამებრ ყმაწვილის ზრდა შინაურობაში უნდა მოხდებოდეს ხოლმე და დედ-მამის ხელში უნდა იყოს ჩავარდნილი;

მაგრამ რადგან უფრო ბევრმა დედ-მამებმა ყმაწვილის ზრდისა არა-იციან რა და თუ იციან, ყმაწვილი მაინც არ არის გაშორებული-ცუდს მაგალითსა შინაურობაში, სადაც დედ-მამებს გარდა არიან უზრდელნი მოსამსახურენი და გარეშე პირები. აი ამ გარემოებამ აფიქრებინა ფრებელს საყმაწვილო ბაღის გაკეთება, სადაც ყმაწვილი სრულებით მოშორებულია ამ ურიგო გარემოებასა. აქედგან სჩანს, როდესაც კაცობრიობა ზნეობით გაკეთდება და თითოეული გვამის კეთილ-მდგომარეობა დამყარდება და გონიერი ურთიერთობა განმტკიცდება კაცებს შორის, მაშინ რასაკვირველია საყმაწვილო ბაღიც აღარ იქნება საჭირო და ყმაწვილი თავის სახლობაშიაც მიიღებს იმისთანა აღზრდას, რომელიც შეესაბამება იმის ბუნებას. მანამდის კი განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში უფრო საჭიროა ამისთანა ბაღები ჩვენი ნორჩი ყმაწვილების აღსაზრდელათ.

ღმერთმან წარუმართოს ხელი იმ პირებსა, რომელთაც ჰსურთ ტფილისში გახსნან საყმაწვილო ბაღი ჩვენის ახალგაზრდობის საკეთილდღეოთ. მაგრამ არცერთი ამისთანა საქმე საზოგადოების შეუწევნელათ არ მოხერხდება; ამისთვის, რამდენათაც ძვირფასია საზოგადოებისთვის იმისი შთამომავლობის სიკეთე, იმდენათ უნდა შეეწიოს ამ კეთილს საქმესა. განსაკუთრებით ჩვენმა დედებმა უნდა მიაქციონ იმას ყურადღება, ატარონ ამ ბაღში თავიანთი შვილები და იქ ნახული და გამოცდილი საშუალება თვითონაც მოიხმარონ შინაურს აღზრდაში.

ოსმალეთის ქვეშევრდომი საქრისტიანო ქვეყნების ამბავი

ჩერნოგორიის უკანასკნელი რეფორმები (ცვლილებანი).—შიმშილი ჩერნოგორიაში და გერცოგოვინაში.—გერცოგოვინაში ოსმალეთის მოხელეების კაცთ მოყვარეობა.—დალმაციელი პატრის ლაპარაკი სლოვენების ხალხის შეერთებაზედ.

ამ უკანასკნელ დროში რომ სახელმწიფო წყობილების ცვლილება მოხდა ჩერნოგორიაში, აქამდის სულ ისა აქვსთ სალაპარაკოდ. ეს ახალი ცვლილება ჩერნოგორიის სახელმწიფო წყობილების ორ საგანს შეეხება: შინა მმართველობას და სახელმწიფო ხაზინას. აქამდის მთავარი იყო ხაზინის სრული ბატონი და ფულის შესახებ განკარგულება მხოლოდ იმას ეკუთვნოდა. ამას გარდა ყველა სხვა უფლებაც იმას ეჭირა ხელში, ესე იგი, ის იყო უზენაესი მმართველიც, მსაჯულიც, სასულიერო მმართველობის ხელმძღვანელიც, ყველა თავის სამთავროს სასწავლებლების მეთვალყურეც და სხვ. ერთის სიტყვით ის იყო თავის ქვეყნის სრული და შემოუსაზღვრელი მეუფე. ახლა კი, ახალი წყობილების ძალით ფულის საქმე მთავრისაგან სენატის ხელში გადავიდა. მთავარმა სახელმწიფო ხაზინა სენატს ჩააბარა—და ამასთანავე წარუდგინა ანგარიში, თუ აქამდის რაც იმის ხელში იყო, როგორ გამგებლობდა სახელმწიფო ფულებს. ამასთან რაც აქამდის ქონება ეკუთვნოდა მთავარს, სამ ნაწილად გაიყო: 1) სახელმწიფო, 2) საეკკლესიო და 3) სამთავრო ნაწილად. სახელმწიფო ქონება მიანდეს სენატის უწყებას, რომელმაც თავისგან სამი კაცის კამისია შეადგინა და სახელმწიფო ხაზინაც და ქონებაც იმის გამგებლობას ჩააბარა. ეს კამისია შესდგა: თავმჯდომარისაგან, ხაზინადრისაგან და მდივნისაგან. ამ კამისიის თავჯდომარედ მთავარის ძმის წული დანიშნეს—ბოჟო პეტროვიჩი.

საეკლესიო ქონება ჩერნოგორიის ეპისკოპოსის გამგებლობას ჩააბარეს; აგრეთვე სამთავროს ყველა სასწავლებლების ზედამხედველობაც იმას მიანდეს.

სამოსამართლო უფლებაც სენატს გადაეცა, სენატის ხელში აგრეთვე სამთავროს შინა მმართებლობაც უნდა იყოს, გარნა უზენა-

ესი უფლება კი მთავარს უნდა ეკუთვნოდეს; ამის გამო სენატი კომიტეტებად გაიყო; ეს კომიტეტები შემდეგნი არიან: სამხედრო საქმეთა, ადმინისტრატიული (სახელმწიფო სამმართველო), საფინანსო (ფულისა) და სამოსამართლო. მთავარმა რა აიყარა დამოუკიდებელი თავის ნებითი უფლება, სთხოვა სენატს, რომ დაენიშნა იმისთვის, იმის სახლობისთვისა და სასახლისთვის საცხოვრებელი ჯამაგირი. სენატმა დაუნიშნა 10,000 ავსტრიის ოქრო, მაგრამ მთავარმა იბევრა და ითხოვა შეემცირებინათ; ბოლოს მრავალი თხოვნის შემდეგ 6,000 ოქრო აიღო წელიწადში, თორემ ამაზედაც ნაკლები უნდოდა. ეს ექვსი ათასი ოქრო ჩვენ ფულად 170 ათასი მანეთი იქნება, 17000 თუმანი.

ამ გვარად მთავარმა, სრულებით მოულოდნელად, ახალი ცვლილება შემოიღო თავის სამთავროში. ამ მთავრის განკარგულებამ სასიხარულო შთაბეჭდილება მოახდინა სლოვენებში. ყველამ სასიხარულოდ მიიღო ეს სასიქადულო ბიჯი,—ის ბიჯი, რომელმაც ჩერნოგორიის მმართებლობა სახალხო განათლებისა და წარმატებისაკენ მიმართა, მაგრამ ეს კი იყო რომ ყველა გაოცდა და არ იცოდა, თუ რომელი მიზეზებისთვის დაებრალებინა მთავრის ბედნიერი ნაფიქრი. რასაკვირველია, მრავალი მრავალ ნაირ მიზეზს აბრალებენ ზოგი მთავრის ამირ-სპასალარს ვუკოტიჩს აბრალებდა ამ ცვლილებას, ზოგი სერბიის ელჩს რისტიჩს და ზოგი კიდევ სხვას; სხვები კი ამასა ფიქრობენ, რომ შემოუსაზღვრელი უფლების აყრაზედ მთავარი ნიკოლოზი ჩერნოგორიის შიმშილმა და სისაწყლემ აიძულაო. რადგან მშიერი ჩერნოგორიელნი წამდა-უწუმ მიდიოდნენ მთავართან, როგორც სახელმწიფო ხაზინადართან, და პურსა და ფულს სთხოდნენ, ამის გამო, რომ თავი დაეხსნივა იმათი მოუწყვეტელი თხოვნისაგან, მთავარმა სახელწიფო ხაზინა თავიდან მოიშორა, და სენატს გადასცაო. მაგრამ მომეტებულნი სერბიის მმართებლობის რჩევას აბრალებენ ამ ცვლილებას, და ჩერნოგორიის ხალხიც ამ აზრისა არის; ამის გამო დიდი აღტაცებით არის მადლობელი იმისი, რომ მათ კეთილ დღეობასა ცდილობს... რა მიზეზისაგანაც უნდა იყოს ჩერნოგორიის სახელმწიფო წყობილების ახლანდელი ცვლილება, მაინც დიდს პატივსა სდებს ჩერნოგორიის მთავარს, მით უფრო დიდ პატივს, რომ ამით იმან თავისი უფლება შეზოისაზღვრა, და თავის ნებად აღარ განაგებს მთელი სამთავროს ბედსა და უბედურებასა. როგორც ზევითა ვსთქვით ამ ცვლილებამ ხალხი განათლებისა და წარმატებისაკენ მიმართა.

ზევითა ვსთქვით ჩერნოგორიისა და გერცოგოვინას სიმშილზედ. მართლა რომ გასაოცარი სიმშილია ამ სამთავროებში. თუ კაცმა

თავისი თვალით არ ნახა, ვერ შეუძლიან წარმოიდგინოს იქაური მცხოვრებლების უბედურება და სიგლახაკე. სიმშილისაგან ხალხი სწორედ რომ იმუსრება. ჩერნოგორიაში კიდევ სხვის მოწყალეების იმედი აქვსთ, მაგრამ რა ქნან საწყალმა გერცოგოვინის მცხოვრებლებმა, რომელთაც ოსმალეთის მთავრობა სხვისგან მოწყალების მიღებას, უშლის. მართლა, რომ კაცმა თუ თავის თვალებით არა ნახა, იმ უბედურების წარმოდგენა არ შეიძლება, რასაც ახლა ქრისტიანი მოსახლენი ითმენენ ოსმალეთის მთავრობისაგან. შემდეგი ნამდვილი ამბავი შეგატყობინებსთ, თუ რა უბედურ მდგომარეობაში არიან ოსმალეთის ქვეშევრდომი ქრისტიანები.

ტრიესტში მოვაჭრე გერცოგოვინელმა ვაჭრებმა რომ შეიტყეს თავიანთ ქვეყნის სიმშილი, მოაგროვეს ერთმანეთში პური, დაუდეს გემებზე და გაგზავნეს გერცოგოვინას, რომ იქ ყველა ძალიან გაჭირებულისათვის (ესე იგი ქრისტიანებისთვისაც და მაჰმადიანებისთვისაც) დაერიგებინად უფასოდ. ამ პურის დარიგება მიანდეს ორ ძმას ბოშკოვიჩებს, (რომელნიც ძალიან მდიდრები არიან და ხალხის გაჭირებისთვისაც თავ გადადებულნი). საქმე ჩინებულად დაიწყო. ბოშკოვიჩებმა ყველაფერი ისე მოაგვარეს, როგორც სამჯობინო იყო და ამისთვის იმათ არც ცდა და არც ფული დაუშურებიათ, ამასთან ისე ურიგებდნენ პურს, რომ არც შთამომავლობას და არც სარწმუნოებას არჩევდნენ — ყველას ერთნაირად უძღვებოდნენ. მაგრამ, როგორც სჩანს, ოსმალეთის მმართებლობას ჰსურს, რომ იმისი ქვეშევრდომნი სულ სიმშილით ამოსწყდნენ. ტრებინის ყაიმაქმა (გუბერნატორმა) თავის სამოხელოს მშიერ მცხოვრებლებს სასტიკად აღუკრძალა ბოშკოვიჩებისაგან პურის გამორთმევა. ეს კიდევ არაფერი, იმან გამოაცხადა რომ, ვინც ბოშკოვიჩებს პურს გამოართმევს, იმას სახელმწიფო მოღალატედ ჩავთვლიო. აქ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ყველაზე უფრო ტრებინის მაზრა არის დამშეული. აბა ახლა როგორ მოგწონთ სულთანის მამობრივი მზრუნველობა და იმის მოხელეების ქცევა უბედური ქრისტიანებისადმი?... ამ ამბის შემდეგ, რასაკვირველია, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა უნდა იამაყონ და თავი მოიწონონ, რომ სულთნის მმართებლობა ახირებულად აბიჯებს დასავლეთ ევროპიის განათლებისაკენ და სულ წარმატებაშია!!.

ამას გარდა სხვა საქმეშიაც სჩანს ოსმალეთის მმართებლობის წინ წასვლაში წარმატება. რაღამაც აფიქრებინა სულთანს გერცოგოვინის საზღვარზედ სიმაგრეების აშენება და სამხედრო გზების გაყვანა. რასაც სულთანი იფიქრებს, ის, რაღა ჩიჩინი უნდა, რომ უნდა აღსრულდეს. ამ ფიქრის ასღსრულებისთვის ოსმალეთს მუშა

ხალხი დასჭირდა. მაგრამ ამისთანა საქმეზედ ოსმალეთის მმართებლობა ბევრს აღარ ფიქრობს ხოლმე, ან კი რაღა ფიქრი უნდა? რაიები იქ არა ჰყავს? (ოსმალეთის მმართებლობა რაიებს ეძახის ყველა თავის ქვეშევრდომს, ვინც კი მაჰმადიანი არ არის). მაინც ეს რაიები არიან იმის ხარ-კამეჩი, და მუშათ ხომ-რა უშავსთ. ახლა სიმაგრეებისა და გზების საკეთებლადაც გაირეკეს საწყალი ქრისტიანები და იმათში ორიოდე მაჰმადიანიც გაურიეს, უფრო საჩვენებლად, ვიდრე საქმისთვის, რასაკვირველია. ამ უბედურ ქრისტიანებს არა ჰკითხეს: აქვსთ თუ არა იმათა და იმათ ცოლ-შვილს საზრდო, რომ რჩენა შეეძლოსთ. ოსმალეთი თავის მუშას საზრდოს არაოდეს არ აძლევს. მმართებლობამ ამ მუშებს დღეში თითოს თითო პიასტრი (შაური და ორი გროში) დაჰპირდა ღღიურ ფასად, მაგრამ ამბობენ, იმასაც არ აძლევსო. ნამდვილი წყაროებიდგან გვარწმუნებენ, რომ მომეტებული ნაწილი ამ მუშებისა ისე შეწუხებულნი და დამშეულნი არიან, რომ თვით ძაღლებსაც შურით უყურებენო, როდესაც იმათ პატრონი თავის ნასუფრალს უყრისო! ეს ყოველი ფერი ევროპაში ხდება, რომელიც ყველას არწმუნებს, რომ რაკი ოსმალეთი ევროპიის სახელმწიფოდ შეირაცხა, მას აქეთ განათლებაშია და კაცთ მოყვარეობითს მზრუნველობაში არც ერთ წარჩინებულ სახელმწიფოს არ დაუვარდებაო! ესეც განათლება და კაცთ მოყვარეობითი მზრუნველობა!

ოსმალეთის ქვეშევრდომ ქრისტიანებს ერთმანეთში უთანხმოება აქვსთ, რადგან ზოგი მათგანი კათოლიკია, ზოგი მართლ-მადიდებელი. ამ უთანხმოებისა გამო იმათ ვერაფერი საქმე ვერ მოუგვარებიათ საერთოდ; ამ გაცალკ-ცალკევებისაგან და ერთმანეთის მტრობისაგან ოსმალეთი უფრო დაურიდებლათ იქცევა იმათ შესახებ. ზოგიერთებმა იგრძნეს ამ უთანხმოების შედეგი, მაგრამ ზოგიერთმა, და არა ყველამ. ერთ დალმაციელ პატრს ჩინებული აზრი უთქვამს ამ სარწმუნოებისა გამო გაცალკ-ცალკევებაზე: „სარწმუნოებას რა ხელი აქვს ხალხის შეერთებასთან. ჯერ პირველად ჩვენ უნდა ვეცადოთ რომ სახალხო დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ; ამ მიზნამდის კი მაშინ მივახწევთ, როდესაც ყველა სლოვენები, სარწმუნეობის გაურჩევლად ძმურად შეერთდებით ერთად. სარწმუნოებამ არ უნდა დაგვიშალოს ჩვენ ხალხობრივი შეერთება და ან კი როგორ შეუძლიან დაგვიშალოს.“ თუ ყველა სლოვენები ამ აზრისანი შეიქნებიან, მაშინ უფრო მოსალოდნი იქნება, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომი ქრისტიანები, თავიანთ მმართებლობისაგან ცოტათი დაიჩაგრებიან; და თუ არა, შინაური უთანხმოებისაგან გამოლეულ ძალას ოსმალეთის მმართებ-

ლობა სრულებით გამოულევს, რიგორც გვაჩვენებს იმის ეხლანდელი ქცევა ქრისტიანების შესახებ.

II.

— ოსმალების უფროსები რა შემწეობას აძლევენ შიმშილისაგან სასოწარკვეთილებამდის მიყვანილ გერცოგოვინელებს.—ჯამაგირის მიცემისთვის ოსმალების შემოღებული ახალი ხელშეკრულება.—გერცოგოვინელების სურვილი განათლების გავრცელებისა.—რუსების შესაწირავი და იმათ მოხმარება.—სალაშქრო მზადება ოსმალეთში და ავსტრიაში.

„დროების“ 23 №-ში მკითხველები წაიკითხავდნენ ჩერნოგორიისა და გერცოგოვინის საშინელი სიმშილის ამბავს და ამასთან იმასაც შეიტყობდნენ, რომ გერცოგოვინელმა მოვაჭრეებმა ტრიესტიდგან თავიანთ მიწაწყლის დამშეულ ხალხს ორი გემი პური გაუგზავნეს რალუზაში—დასარიგებლად.

მოხსენებულ „დროების“ ნომერში ისიც იყო, რომ ტრებინის ყაიმაქამს (გუბერნატორს) აუკრძალავს მცხოვრებლებისთვის ბოშკოვიჩებისაგან (რომლებსაც ჰქონდათ ჩაბარებული პური დასარიგებლად) პურის მიღება. ახლა იმას ვაცნობებ მკითხველებს, თუ ამ პურის მიღების აკრძალვა რა საბუთით მოუხდენია ყაიმაქამს (გუბერნატორს).

ბოშკოვიჩებმა რომ პური მიიღეს (როგორც რუსული „ინვალიდის“ კორესპონდენტი იწერება), ტრებინის ყაიმაქამს ნების დართვა სთხოვეს, რომ იმის ხელქვეითი მაზრის თავი კაცები მისულიყვნენ რალუზაში (სადაც პური იყო მიღებული) და მიეღოთ პური. ამ თხოვნის შემდეგ ათი დღე გავიდა, მაგრამ პასუხი არსად იყო. მერე იფიქრეს, რომ ყაიმაქამი ამისთანა კაცთ-მოყვარეობით საქმეს, რასაკვირველია, არ ეწინააღმდეგებაო, და იმის პასუხს აღარ მოუცადეს;—გაუგზავნეს გერცოგოვინის ყველა თავ-კაცებს და სასულიერო პირებს თხოვნა, რომ იმათ წარმოედგინათ გაჭირებული სახლობების სია (სარწმუნოების გაურჩევლად—ქრისტიანებისაც და მაჰმადიანებისაც) და ამასთან ისიც უნდა აღენიშნათ სიაში, თუ რომელ სახლობაში რამდენი სულია. ეს სია რომ მიიღეს ბოშკოვიჩებმა,—ამ სიის მიხედვით გაყვეს პური და ვისაც რამდენი შეხვდებოდა—ურიგებდნენ კიდეცა.

ეს რომ ტრებინის ყაიმაქამმა შეიტყო, მაშინვე აუკრძალა თავის ხელქვეითი მაზრის მცხოვრებლებს რალუზაში ბოშკოვიჩებისაგან პურის მიღება, და მასთანვე ერთი გაკეთებული კაცის, გვარად კოვაჩევიჩის, ციხეში ჩასმაც ბძანა. როგორც ამბობენ ამ კოვაჩევიჩის დატუსაღება იმ განზრახვით უნდოდა ყაიმაქამს, რომ, რადგან

ის მდიდარი და დიდი ვაჭრობის მექონე იყო, არ მოინდომებდა ციხეში ჩაჯდომას, და თავის დასახსნელად ყაიმაქამს იმდენ ფულს მისცემდა, რამდენსაც კი გუბერნატორი მოინდომებდა. მაგრამ ყაიმაქამის ფიქრი არ აღსრულდა, რადგან კოვაჩევიჩი გაიქცა და იმის დაჭერა ვერ მოასწრეს. მაშინ კოვაჩევიჩის სოფლიდგან რამდენიმე გაკეთებული კაცები მიიყვანეს იმასთან იმისმა დესეტნიკებმა. ყაიმაქამი ძალიან გაურისხდა ამათ და კოვაჩევიჩის გაქცევასაც იმათ აბრალებდა; ბოლოს გამოუცხადა, რომ ვინც რაღუზაში წავა პურისთვის ბოშკოვიჩებთან, ის ფადიშაჰის მოღალატედ ჩაითვლება და დიდს სასჯელს მიიღებსო. უბედური სოფლელები ხმის ამოუღებლად გამოვიდნენ ყაიმაქამის საბძანებელიდგან და, რასაკვირველია, კურთხევას უთვლიდნენ ბრძნულ და კეთილ-გონივრულ ოსმალეთის მმართებლობას და იმის ქრისტიან მზრუნველებს—ევროპის მმართებლობაებსაც.

თვით რაღუზიდგან მწერენ,—ამბობს „ინვალიდის“ კორესპონდენტი, რომ გერცოგოვინელები უკანასკნელ მდგომარეობაში არიანო და შიმშილისაგან სწორედ ბუზებივით იხოცებიანო. იქაური მცხოვრებლების სასოწარკვეთილებას ზომა არა აქვსო და ამის გამო ოსმალები ყოველ წამს არეულობას მოელოდებიანო.—ან კი რაგასაკვირველია, რომ მართლა არეულობა მოხდეს. იქაური კორესპონდენტი იწერება, რომ რაღუზაში ყოველდღე მოდიან ტრებინიდგან დამშეული დედაკაცები და ბავშვიდგან საღამომდის დგანან ჩვენ (რუსის) საელჩოსთან და ბოშკოვიჩების კანტორასთან, და შემწეობას ითხოვენ. კარგია კიდევ, რომ ბოშკოვიჩები იმათ ცოტა შემწეობას მაინც აძლევენ, თორემ სულ დაიხოცებოდნენ ქალაქში, სადაც კაცი სიმშილის ნიშანს სულ ვერა ჰნახავს.

ოსმალეთის წარმომადგენელი რაღუზაში არის ერთი სლოვენი კათოლიკი—ფერსიღა, რაღუზიდგანვე, რომელიც სულით და გულით ოსმალებსა და მაჰმადიანებს ეკუთვნის. ეს ყაიმაქამის განკარგულებას ამართლებს იმითი, რომ ბოშკოვიჩებმა არ შეატყობინეს იმას პურის დარიგება. იმის სიტყვიდგან გამოდის, რომ ტრებინის ქრისტიანები თითონვე არიან დამნაშავენი, რომ უპუროთ რჩებიან. ის გასამართლებლად მაღაზიებზედ უჩვენებს ყველას. ტრებინში და სხვა გერცოგოვინის ქალაქებშიაც არის პურის შესანახავი მაღაზიები და იმის უფროსები ყოველთვის მიჰყიდიან იმათ პურს ნახევარ ფასათაო. ეს იმის გამართლება სულ ტყვილია. ბოშკოვიჩებს ყაიმაქამის შეუტყობინებლად არავინ მიუწვევიათ პურის წასაღებათ. თავიანთი თხოვნის პასუხს ათი დღეც უცადეს. პურის მაგაზინებისა კი

რა მოგახსენოთ,—იმათ არც ამითი შეუძლიანთ დაკვეხნა. ამ მაღაზიების ამბავსაც გიამბობთ.

ოსმალეთმა რაკი იგრძნო, რომ თავის მუდამი კოტრობისა გამო, ჯამაგირს თავის დროზედ ვერ დაურიგებდა ჯარებს და სამოქალაქო მოხელეებს, ამ გვარი საშუალება მოიგონა. ყველა მაზრაში, სადაც კი ოსმალეთის ჯარი დგას, რამდენიმე საცავი მაღაზია გააკეთა, რომლებშიაც ინახება სხვა და სხვა გვარი ცხოვრებაში სახმარი ნივთი: სასმელი, საჭმელი, ტილო, ძაუდი და სხვ. ყველა სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთ შეუძლიანთ ამ მაგაზიიდგან გამოიტანონ, თამასუქის მიცემით, ყოველი ფერი, რაც საჭიროა იმათთვის. ამ წაღებულ ნივთებში იმათ ურიცხავენ შემდეგ ჯამაგირიდგან, რამდენსაც გუბერნატორი დაჰნიშნავს. ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ, ოსმალურის სიხარბისაგან, გუბერნატორი იმდენს ურიცხავს ჯამაგირიდგან, რამდენსაც კი მოისურვებს, ასე რომ საწყალი მოხელე, თუ მეტადრე დიდებსაც არ იცნობს, არა თუ თავის ჯამაგირსა ჰკარგავს, არამედ გუბერნატორი პირიქით ვალსაც დაადებს ხოლმე იმას. თუ ოსმალეთი ამ გვარ ანგარებასა და ჩარჩობას სჩადის თავის მოხელეებთან, მაშ იმის ქვეშევრდომი ქრისტიანები რაღა კეთილს უნდა მოელოდნენ იმისგან? მაგრამ ვსთქვათ, რომ უ. ფერსიღი მართალს ამბობს და ყველას შეუძლიან ამ მაღაზიებში პური ნახევარ ფასად იყიდოს; მაინც განა შეიძლება მოითხოვონ საწყალი დამშეულისაგან, რომ იმას ნახევარ ფასად ნაშოვნი პური ერჩივნოს მუქთად ნაშოვნ პურს? მე ეს ყოველიფერი იმისთვის მოვიყვანე, რომ მკითხველმა ნამდვილი გაიგოს და ოსმალეთის მოყვარე გაზეთებს არ დაუჯეროსრა.

თუმც ეს უბედურება ადგიათ გერცოგოვინელებს, მაგრამ მაინც განათლებაზედა ფიქრობენ. ახლა აპირობენ ერთი სასწავლებლის გახსნას, ვაჟებისთვის, მაგრამ შეძლება არა აქვსთ იმდენი, რადგან, შიმშილის გარდა, ახირებული ხარჯისა და ბეგარისაგანაც არიან სრულებით გასაწყლებულნი. სახლს ერთი მონასტერი აძლევს ამ სასწავლებლისთვის, მაგრამ, განა სახლის მეტი აღარა არის საჭირო? მაინც თავიანთ აზრის აღსრულება ძალიანა ჰსურთ და ამისთვის ისინი თავის ერთ-მორწმუნე რუსებისაგან ითხოვენ შემწეობას.

რუსებს ბევრჯერ გაუგზავნია შემწეობა იქაური მონასტრებისთვისა და სასწავლებლებისთვის, მაგრამ ამ შესაწევარ ფულებს თავის დანიშნულება თითქმის არც ერთხელ არ აღუსრულებია. შესაწევარი ფულები მიუნდვიათ იმ პირებისთვის, რომელთაც ოსმალეთისაგან

ჰქონიათ მინიჭებული უფლება; იმათ არცკი უფიქრიათ ამ ფულების დანიშნულ გზაზე გატარება. საქმე ის არის, რომ იქაური დიდი კაცების ნდობა ძნელიაო, ამბობს „ინვალიდის“ კორრესპონდენტი, რადგან იმათ დიდ ალაგებდის მიუხწევიათ პატიოსნებითა და ღვაწლით კი არა, არამედ სხვა და სხვა ვერაგული ქცევითა და ხალხის წინააღმდეგი საქმეებითაო. ოსმალეთში იმისთანა პირნი, რომელნიც პატიოსნები და ხალხის ერთგულნი არიან, ვერაოდეს ვერ მიაღწევენ დიდ ალაგებს. ამისთანა პირნი ან საპყრობილეებში იღუპებიან და ან თავიანთ ქვეყნიდგან შორს სადმე გაძევებულნი არიან. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ღირს პატივსაცემი არხიმანდრიტი დუდიჩი, რომელიც იძულებული იყო გერცოგოვინიდგან გაქცეულიყო.

ამ ოთხი წლის წინად რუსეთში წასულა ერთი გერცოგოვინელი არხიმანდრიტი ფულების მოსაგროვებლად, რომელიც ვითომც აკადემიის გასახსნელად ჰნდომებია. რასაკვირველია, ამისთანა კარგი განზრახვით მოსული არხიმანდრიტისთვის კარგა უმასპინძლიათ რუსებს და ბევრი შესაწევარიც მიუციათ ნათქვამი აკადემიისთვის. მაგრამ საქმე ის არის, რომ იმას აკადემიის მაგიერად ერთი დიდი სახლი უყიდნია და ზოგი სარგებლით გაუცია (ახირებული სარგებლით), აგრეთვე ეკიპაჟიც უყიდნია ვენაში (გავლით) და თავის სახლიდგან მონასტრამდის შოსსე გაუკეთებია თავის ეკიპაჟში სასეირნოდ.

ამაზე წინ კიდევ სხვა ყოფილა რუსეთში ფულების მოსაგროვებლად გერცოგოვინის ეკკლესიებისა და მონასტრების სასარგებლოდ. მაგრამ იმანაც თურმე დაიწყო ერთი ვეება ეკკლესიის შენება და ნახევარზე თავი დაანება, ვითომ იმ მიზეზით, რომ ფული შემოაკლდა.

ამის გამო „ინვალიდის“ კორრესპონდენტი ამბობს, რომ ვისაც ოსმალეთისგან უფლება რამე აქვს მინიჭებული, იმას არ შეიძლება სრულებით მიენდოს კაცია, და ურჩევს ყველას, ვისაც შეწევნა უნდა გერცოგოვინელებისთვის, რომ იმან შესაწევარი რუსეთის ელჩს წარუდგინოს, რომელიც დანიშნულ ალაგას გადასცემსო.

ზევითა ვსთქვით, რომ ოსმალებს ეშინიანთ არეულობა არ მოხდეს შიმშილისაგან შეწუხებულ გერცოგოვინის მაზრებში. ამის გამო ისინი აშენებენ და ჰმართვენ სიმაგრეებს იმ ალაგებში, რომელთაც უფრო მნიშვნელობა აქვსთ რამე. ამასთან ისიც ეფიქრებათ ოსმალებს, რომ სერბიაც არ მიუდგეს გერცოგოვინელებს, თუ ვინიცობაა ისინი ადგნენ. ამის გამო ოსმალები ძალიან ბეჯით თკალყურს

ადევნებენ იმ სოფლებს, რომელნიც სერბიის ახლოს მდებარებენ და ამასთან ნიშიდგან მოყოლებული სერბიისა და გერცოგოვინის საზღვრებზე სიმაგრეებს აშენებენ.

ოსმალების მეგობარ ავსტრიელებსაც არა სძინავთ, როგორც ამბობენ სარწმუნო პირნი, ავსტრიის მმართებლობა ადრიატიკის ზღვის კიდეზედ აპირობს ორი გამაგრებული ბანაკის გაკეთებას. ამასთან ნამდვილად ვიცი (ამბობს კორრესპონდენტი), რომ რაღუზის გუბერნატორის კანცელარიიდგან რაღუზისა და კატტარის (ესენი ავსტრიას ეკუთვნის) მაზრის უფროსებს მიწერილობა აქვსთ გაგზავნილი, რომლის ძალით, იმათ სასწრაფოდ უნდა აცნობონ, თუ რამდენი ჯარი დაეტევა აღნიშნული მაზრის სოფლებში. ესეც უნდა ვსთქვათ, რომ რაღუზასა და ბოკა-დიკატტაროში დიდ ძალი სამხედრო იარაღია გაგზავნილი. აგრეთვე ამ ცოტა ხანში, ამბობენ რაღუზაში წასულან ინჟინერები-ტოპოგრაფები იქაური მდებარეობის დასათვალიერებლად და ოსმალეთის საზღვრის გასაშინჯავად.

ტანსაცმლის უზომოთ ხმარება

კულტურა არის კაცობრიობის სურვილი, რომ გაწყობილი ცხოვრება მოიპოვოს, ყოველივე საჭიროება დაიკმაყოფილოს, კომფორტი ჰქონდეს. კომფორტი ესმის მხოლოთ ნამდვილ განათლებულ ადამიანსა. ველური, ტყის კაცი სიამოვნებაშია ზიზილ პიპილებითა და ბრწყინვალე მორთულობითა; მცირედ გახსნილ, გაუნათლებელ კაცს სადღესასწაულო სიმდიდრე ურჩევნია და სამუდამდღეო ბინძურება, უწმინდურობა და ჭუჭყი, ვინემც სწორი საყოველდღეო ზომიერი კმაყოფილება. სიმდიდრეს, ფუფუნებას, უზომოებას ეწინააღმდეგებოდნენ კანონისმდებელნი, მწერალნი და სარწმუნოების მოქადაგენი, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა, ამიტომ რომ ამისი წინააღმდეგობა შეუძლიან მხოლოთ საზოგადო განათლებას. მოვიტანთ ჟურნალის „ევროპისგან“ მცირე სიტყვას ტანსაცმლის უზომოთ ხმარებაზე.

„ჩვენ უნდა ზომიერათ ვილაპარაკოთ, ან სრულებით მოვსპოთ ლაპარაკი კრინოლინების (ჩვენებურათ ხაბარდის) წინააღმღეგ; აქედან არა გამოდის რა. ეს მიზეზი მხედველობაში უნდა გვგქონდეს და ღირსია შეწყნარებისა. მოდის საქმეში ქალები ძალიან შეურყეველნი არიან, ქალები იმას ჩადიან რაც უნდათ და არ ჩადიან იმას რაც საჭიროა ვისაც ამის დამტკიცება სურს, ამისთვის ისტორიულ დამტკიცებას მოვიტანთ. მეთოთხმეტე საუკუნიდგან მოყოლებული მღვდელობა და მართებლობაები ლაპარაკობდნენ ქალების მოდის წინააღმდეგ, და მეჩვიდმეტე საუკუნეში ისევ ამ ლაპარაკს ვხედავთ, მაშასადამე იმათი შრომა ამაოთ დარჩა. ქალის მორთულობის კრინოლინის წინააღმდეგ ჰამბურგის ქალაქის ფასტორმა ლუკა ოლიანდერმა დაბეჭდა გაკიცხვის ქადაგება. სხვათა შორის იმაში სწერია: ,,უცხო ქვეყნებიდგან შემოვიტანეთ სულელური ტანისამოსის უზომობა, სახელდობრ ქალების კაბების ქვეშეთი რკალები. ამ მორთულობის სიმშვენიერე და სარგებლობა ეს არის: როდესაც ქალი სტოლთან ახლო მივა დაჯდება, ამ რკალებისაგან იუე ზემოთ ნახევარ არშინზე აიწევს და ქვეშედამ გამოჩნდება ქვედა ტანისამოსის კუთვნილება''. ეს დოქტორი ლუკა ოლიანდერი მოკვდა, კრინოლინი კი ისევ ცოცხალია. მრთელის ასო-

ბით მმართებლოსთაგან დაწერილ კანონებისაგან ტანისამოსის შესახებ არა დარჩა რა ერთის ოხუნჯურ ანდაზის გარდა: ეს წინააღმდეგია ტანისამოსის დებულებისა. გონიერი კაცები მაშინათვე ხედავდენ ამ დებულებათ ურგებობასა. ერთმა მწერალმა ლექსები დასწერა: „საქებელ დებულებაებს ტანისამოსის შესახებ არც სრულად არც ნაკლებათ არ ასრულებენ: მაღალის უფლების ბრძანებას ქუჩის ყოველ კუთხეში დასცინიან.“

ტანსაცმლის უზომოების წინააღმდეგ დებულებანი მრავალნი არიან და ბევრს გვატყობინებენ ძველ დროების ჩაცმა დახურვის გარემოებასა. ამითი ჩვენ ვხედავთ იმ დროებას, როდესაც ისეთი ადათი იყო, რომ ტანისამოსით უნდა გაერჩიათ კაცს რა ადგილი ეჭირა საზოგადო ცხოვრებაში. პირველათ ქალაქებში დაიწყეს ტანისამოსზედ დებულება. მას უკან დაიწყეს თავად-აზნაურობამ, სხვა და სხვა განკერძოებულს ადგილების მთავრებმა; ბოლოს იმათი შრომა რომ ცუდათ დარჩა, სახელმწიფოს მმართებლობა გაერია საქმეში. მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეებში (1490-დგან 1577-წლამდის) ნემეცის სახელმწიფო კრებაები (სეიმები) ტანისამოსის კანონდებულებაზედა შრომობდნენ და ამასთან ხელმძღვანელათ მიღებული ჰქონდათ, რომ ტანისამოსი უბრალო უნდა იყოსო, მართებული და იაფიო, რომ ყველა კაცი, რაც უნდა ჩამომაჯლობის და ღირსების იყოსო, ტანისამოსი ჩაიცვას თავის წოდების და შეძლებისდაგვარათ, რომ ზედ ეტყობოდეს რომელ წოდებას ეკუთვნის. რადგანაც ტანსაცმლის უზომოება მთავრებისა, რაინდებისა, თავად-აზნაურობისა, მოქალაქეთა და გლეხთა იქამდის მივიდა, რომ არათუ თითოეულათ, არამედ მთელი თემობა და ადგილობა გაღარიბდა და საზრდო მოაკლდა, რადგანაც ფარჩა, ხავერდი, ატლასი, უცხო ქვეყნის ხელსახოცი, მარგალიტი და ოქრო საშინლათ აღარიბებს, აცარიელებს ხაზინასა, და შურიანობამ, შეჯიბრებამ და შეცილებამ ჩაცმა დახურვაში შეამცირა, შეამსუბუქა ქრისტიანული სიყვარული, და ჩაცმა დახურვის უზომოება ისე გაურჩეველია და ზომიდგან გასულია, რომ განსხვავება არ არის ერთმანეთში, და ამისთვის მორიგებით ჩვენ კურფურსტებთან, თავადებთან და სხვა მოხელეებთან ერთათ დავაწყეთ გამოვცეთ ტანსაცმლის შესახებ დებულება. საქსონიაში, 1596 წ. გამოვიდა ბრძანება, რომლითაც აღეკრძალებოდა ყოველგვარი კეკლუცობა, თვალმარგალიტით მორთულობა, საზოგადოთ ხმარება ხავერდისა, ფარჩისა, ოქრომკედის ნაკერისა, ოქრომკედის არშიებისა, ძვირის კრუჟევისა, ძვირფასი ლენტებისა და ბეწვისა.—მეთოთხმეტე საუკუნეში ბრაუნშვეიგში აკრძალულ იყო ოქროსა, ვერცხლისა და მარ-

გალიტის სამკაულის ხმარება, მხოლოთ რვა წლამდის ყმაწვილებს შეეძლოთ ამაებით მორთულობა. შემდეგ ბრძანება გამოვიდა რომ ქმრიან ქალს ქორწილში და ნათლობაში კანონით დანიშნულზე მეტი ოქროს და ვერცხლის სამკაული არ ეხმარა.

ზოგიერთმა მთავრებმა მაგალითიც მისცეს თავიანთ გამოცემულ კანონების ასრულებისათვის. უკანასკნელმა მთავარმა ბრაუნშვეიგისამ, როდესაც თავისი ჯარი გადასცა, მოითხოვა ერთი ტანისამოსი საზაფხულო და მეორე საზამთრო. სხვა მთავარმა ბძანა, რომ თავის უმცროსს შვილს წამოსასხამათ უფროსი შვილის ძველი წამოსასხამი გადაუკეთონ, დანარჩენი შარვალზე მოახმარონ.

აქ უნდა დაუმატოთ, რომ ჩვენშიაც ყოფილა ადრე ამგვარი აკრძალვა. გაგვიგონია, რომ მეფე ერეკლის დროს ტფილისში აკრძალული იყოო მოქალაქობაში ოქროს სამკაული ეხმარათ, ატლასბაფთის ახალუხი და კაბა, შეიდიში. ამაების ხმარება მაინც ყოფილა ქორწილებში და წვეულობაში. მხოლოთ რა კი დაინახავდნენ, რომ დარბაზის სანათურიდგან მზვერავები იხედებიან, მაშინვე ოქროს ძეწკვს ქალს ზედ ყელზედ ჩამოაწყვეტდნენ დედები. თუ თვალს შეასწრებდნენ მზვერავები, მეორე დღესვე მეფისაგან კაცი მიუვიდოდა იმ ოჯახში და ან ხარჯი მოემატებოდა ან ის მორთულობა უნდა გამორთმეოდათ. ორი ყალამქრის ახალუხი რომ ჰქონოდა ვისმე ან ორი ქათიბა, ერთი წაერთმეოდაო.

ამ დროების ფრანციის მწერალნი და იმათი თხზულებანი

I

იმპერატორმა ნაპოლეონმა, როცა ზალცბურგს ნახა იმისგან დამარცხებული ავსტრიის იმპერატორი და იქიდგან ფრანციაში დაბრუნდა, იმან შენიშნა ფრანციის კამარაზე შავი წერტილი, რომელიც ამ ჟამად საშიშო შავ ღრუბლათ გადაიქცა და ნაპოლეონისთანა გამსჭვერი თვალი კი არა, უბრალო თვალიც კი ნიშნავს ამ შავბედითს ღრუბელსა. დიდი გრგვინვის წინ რომ მძიმე ჰაერი დადგება და ყველას სულს უხუთავს, ახლანდელი ფრანციის ხალხი სწორეთ იმ გვარს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. იმან იცის, რომ საშინელს ქექა-ქუხილს ვერ ასცილდება და გულ-აღელვებით იცქირება იქით და აქეთ, მაგრამ არ იცის სად შეიფაროს თავი ამ საშინელის მოსალოდნელის შემთხვევისაგან.

გიზო სწერს, მე ჩემი კალმით შევხებივარ ყველა დიდს საქმეს, რომელიც აღელვებს ხოლმე საზოგადოებას, შევხებივარ ხალხთა ურთიერთ მიმართ სიმართლის საქმეთა, საპოლიტიკო დაწყობილების საქმეთა, საზოგადოების ურთიერთ მიმართობის საქმეთა, სარწმუნოების საქმეთა, — და ყველგან ორგვარი საგანი შემინიშნავს: დიდი არეულ-დარეულობა და დიდი ყოყმანობა თავის განხრახვის ასრულებაში. არაფერი არ გახდა მარტივი და ადვილი საკეთებელი; ვერსად ვერ ვიპოვე გაშბედავობა. ყოველნი ასახსნელნი საქმენი და იჭვნეულობანი ერთად დასწოლიან კაცის აზრსა და იმის ნებას. სურვილნი ჟსაზომონი არიან, შემოუსაზღვრელნი და მრავალ გვარნი; ყველა იძახის, როგორ მოვიქცეო და ვერაფრისთვის გადაწყვეტით ხელი ვერ შეუხია. ასე გგონია, თქვენ წინ სდგანან არაქათ წართმეულნი მგზავრნი, მაგრამ გზა უკვლევს ალაგას, ჯერ კიდევ თვალ-დახუჭულნი აზრით იკვლევენ გზასა, ამისთანა მდგომარეობაში დარჩენა ხალხისთვის შეუძლებელია და ამისგამო სწავლით და გონებით სავსენი მეცნიერნი და მწერალნი ცდილობენ ახსნან, თუ როგორ და რა საშუალებით გამოვა ხალხი ამ მდგომარეობისაგან. ისინი

თავის თხზულებით ცდილობენ გზა გაანათონ და ხალხსაც გამოსასვლელი გზა დაანახონ. მაგრამ, როგორც ჟირარდენი ამბობს, ფრანციაში აზრი მოქმედებას და საზოგადო განსჯას ვერ მიეცემა, იგი მხოლოდ წიგნებში უნდა იმალებოდესო. მართლაც ფრანციის მოწინავე პირნი ამ უკანასკნელს ჟამს გვაძლევენ და გვაძლევენ საზოგადოების დაბანდულთა საქმეთა ასახსნელს წიგნებსა.

მომავალ დროისთვის საკვლევ გზის მისაგნებათ საჭიროა ახლანდელი გზა დაწვრილებით განიხილოს კაცმა. ამ მოთხოვნილებას გორნმა გასცა პასუხი. გორნი არის ერთი უპირველესი პირთაგანი, რომელიც პატიოსანის თავგანწირულებით მსახურებს ფრანციაში თავისუფლების დამკვიდრებასა. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რა იმან საქმით დაამტკიცა, რომ ის გულმხურვალედ და უსასყიდლოთ იბრძვის ამ საქმისთვის. ამ წარსულს ზამთარს პეშტიდგან მისწერეს და სთხოვეს ლლოიდის დირექტორათ გამხდარიყოს; თუმცა ეს ადგილი შემოსავლით ძალიან სასარგებლოა და ფრანციის მწერლობამ კიდეც დაიწყო მწუხარება ამის ოანა ძვირფასის თანამშრომელის დაკარგვისათვის მაგრამ გორნმა ლლოიდს მისწერა, რადგან ჩემს თავს ვთვლი იმათს რიცხვში, რომელნიც იბრძვიან ფრანციის თავისუფლებისათვის, ამისთვის მე ჩემს წმინდა მოვალეობათ ვრაცხავ აქ დავრჩე, ვიდრე ეს მცირე რიცხვი ჩემის ამხანაგებისა არ გაძლიერდება. გორნის თხზულებას ეწოდება „ბილან-დე-ლამპირი“ (Bilan de l'empire), რომელშიაც განიკიცხება ცუდი მდგომარეობა ფრანციის იმპერიისა ეკონომიურის მხრით. ნაპოლეონ მესამის დროს 31 მილიარდი დახარჯულა თხუთმეტის წლის განმავლობაში, მაშასადამე 12 მილიარდით მეტი, ვიდრე იმის მოადგილეს კაროლს ლუდოვიკ ფილიპეს მეფობაში. ამისთანა ცუდის ოჯახობისაგან, გორნის აზრით, ფრანციას მიელის ორი შემთხვევა: ან ცვლილება და ან ბანკროტობა. ეს დასკვნა იმითია მართალი, რომ ახლანდელი ოჯახობა იმპერიისა, თუ კიდევ უწინდულათ გაგრძელდა, ბანკროტობას შეესწრება უეჭველათ. მაგრამ მიზეზი მარტო უთაური ოჯახობა სახელმწიფოისა კი არ არის, ამის მიზეზი მთელი საპოლიტიკო და საზოგადო დაწყობილობა იმპერიისა არის. როდესაც წარმოვიდგენ ფრანციის ხალხის სიმკვირცხლეს, უნდა დავრწმუნდეთ, ამისთანა მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს. რითიმე უნდა გათავდეს ეს ცუდი მდგომარეობა, მაგრამ ახლანდელი დაწყობილება რომ მოსპოს, იმის მაგიერ რა უნდა დაწესდეს? ან რა ღონისძიებით უნდა მოისპოს? ნუ თუ კიდევ რევოლუციითა? აი ამ კითხვებზე შეჩერდა დიდებული მწერალი რენანი, ამისთვის არ იქნება ურიგო, რომ მკითხველები გავაცნოთ იმის აზრებსა, იმისივე სიტყვებით.

„ფრანციის რევოლიუცია განცდასა ნიშნავს ხალხისას, რომელმანც გაჰბედა იმის მოხდენა. მაგრამ ეს განცდა სახეირო არ იყო, ფრანციის რევოლიუციამ დაჰბადა ხალხი, რომლის მომავალი ეჰვქვეშ არის,—ხალხი, სადაც მარტო სიმდიდრეს ჰძევს ფასი და სადაც კეთილშობილურს გრძნობას ალაგი არა აქვს. კანონის კრება ისეთ რიგათ არის შედგენილი, რომ ყოველი კაცი იბადება გამოსაზრდელს სახლში და ჰკვდება უცოლოთ. აქ შვილი მამის აუტანელ ტვირთათ ხდება; რასაც საზოგადო და საუკუნო მნიშვნელობა აქვს, არც ერთი არა სწამთ: ვინც სწავლულია, თავის მოყვარეა და ცდილობს რაც შეიძლება ცოტა საზოგადო მოვალეობა იკისროს, საკუთრება ზნეობითად კი არ ესმისთ, არამედ მიაჩნიათ სიტკბოებათ, რომელიც ფულის სიდიდით განიზომება; ვისაც ბევრი ფული აქვს, იმას მომეტებული კმაყოფილება და მომეტებული გრძნობიერი კეთილ მდგომარეობა—ხელში უჭირავს. ამისთანა ცხოვრების წესი შთააგდებს ხალხს უძლურებაში და დაამდაბლებს უაღრესს ყოვლისა. რენანი ამბობს, რომ რევოლიუციამ ყოველივე გააცალკევა: კაცი კაცისგან, საზოგადოება საზოგადოებისაგან; არაფერი არ დარჩა ერთად შეკავშირებული, გარდა ეკკლესიისა. იმას არ შეხებია რევოლიუცია და მართლაც სასულიერო წოდებაში რომ ერთობა არის, იმისთანა არც ერთს ფრანციის საზოგადოებაში არ არისო. 1848 წელს მომხდარი რევოლიუცია ყველაზე უფრო შეუგინებელი, პატიოსანი იყო, მაგრამ თავისი წინდაუხედაობით და სიმჩატისა გამო ერთი წელიწადიც არ გასულა, რომ მთელი სახელმწიფო ჩაუგდო ხელში იმ ნაწილს ხალხისას, რომელიც ყველაზე უფრო მძიმე, უმაქნისი და ცუდი ძველი წესის დამცველიაო.

ამ სახით დაარსდა სულის მომხუთავი დაწყობილება. მხოლოდ 1859 წელს, ნაპოლეონ III წყალობით, ამ სულის მომხუთველს გარეგმოებაში მოჰბერა სასიამოვნო ცვლილებამ. ცუდი ძველი წყობილების დამცველთა, ანუ სხვა რიგათ ვთქვათ, კონსერვატორთ ეგონათ რომ პრინცი ლუდოვიკ ნაპოლეონი იმათს აზრებს გაჰყვებოდა, მაგრამ ისინი ვერ იყვნენ შორს გამჭვრეტნი და ამის გამო კიდეც შესცდნენ. გამოჩნდა რომ ნაპოლეონი, რომელიც ამოირჩიეს იმ განზრახვით რომ ყოველი აზრი ანუ იდეა მოსპოს სახელმწიფოში, თვითონ იყო აზრიანი კაცი, ჰქონდა თავისი განზრახვა, პლანები, თუმცა ბევრი არ იყო ჩვენგან მოსაწონარი, მაგრამ იმისი აზრები და პლანები მაინც ბეურათ სჯობდნენ კონსერვატორებისას. ჯერ ნაპოლეონი ისე მოიქცა, როგორ კონსერვატორებს იამებოდა, მაგრამ შემდეგ დაემორჩილა ისევ თავის აზრსა და განზრახვას. იმას უნდოდა ქვეყანა დაერ-

წმუნებინა, რომ რუსეთი ისე ძლიერი სახელმწიფო არ არის, როგორც ჰგონიათო, ჰსურდა ხელი გაეწვდინა იტალიისათვის, რომელმაც დაჩაგვრისაგან თავი წამოჰყო. ხელი წაეწყო გონიერ მოძრაობისთვის, რომელმაც პრუსიის სახელით დააფუძნა თავისუფალი გერმანია; უნდოდა თანდათან გაემზადებინა პაპის საერო უფლების შეცვლა, შეესალავათებინა მკაცრი კანონი 1850 წლისა ხალხის განათლებაზე; გამოეცადა მოხელობაში და ვაჭრობაში იმისთანა წესი, რომელსაც იქნება ბევრი საქები მხარე აქვს: მიეცა გზა მუშა ხალხთა ამხანაგობისათვის (ასსოციაციისათვის), რომელთაც დიდებული მომავალი უმზადდებათ. ძალიან ცოტას მოვითვლით იმისთანა მმართებლობას, რომელსაც შესძლებოდა ამდენი საქმის გაკეთება. უმთავრესი შეცდომილება ახლანდელი მმართებლობისა ის არის, რომ თავის მიწით მარტო არ დაკმაყოფილდა (ფრანციასთანა მხარე თვითონ კი არ უნდა ცდილობდეს სხვა ქვეყნების შოვნას, არამედ სხვები უნდა ბეზეწებოდნენ, შეგვიერთეთო)....

გერმანიის უეცრად გამოსვლამ შეომრად დიდ ბრძოლის ველზე აფიქრებინა მთავრობას, რომ წაჰბაძოს იმას იარაღით და სამხედრო დაწყობილებით, რომელმაც შექმნა გერმანია მძლეველად. შეიარაღებით მიბაძვა არ არის ძნელი! მაგრამ სამხედრო დაწესებულებაში წაბაძვა კი უფრო ძნელია. პრუსსიის წყობა არის თვითონ ხალხის ხასიათიდგან წარმომდგარი; წყობას რომ მიჰბაძო და თვითონ ხასიათი არ გადმონერგო, რომელმაც დაჰბადა ამისთანა წყობა—უგუნურება იქნება. მაშ რას უნდა მივბაძოთ?—ნემეცურს შკოლებს, ნემეცურს უნივერსტეტებს, ზნეობითს აღზრდას გერმანიისას, გერმანიის დამოკიდებულებას სარწმუნოებაზე. როდესაც ბარონ შტეინი 1808 წელს შეუდგა პრუსსიის ადგენას, დაიწყო იმითი, რომ ბერლინი გაჰხადა ჭკუის სატახტო ქალაქად ჩრდილოეთს გერმანიაში. იმან დანიშნა ფიხტე უნივერსტეტის რექტორათ; უნივერსტეტში მიიპატიჟა პროფესორათ კოლფი და შლეიერმახერისთანა კაცები, შემდეგ ნიბური და სავინი. საზოგადოების ძალა ორია: ერთი ხალხის ქველ-მოქმედებაა, რომელიც არის საუნჯე თავგანწირულებისა, მაღალი ზნისა, რომელიც კეთილ-შობილს ხალხს ძველიდგან აქვს მამა-პაპისაგან გადმოცემული; მეორე—განათლებაა და წმინდა აზრი მაღალის წოდებისა. ჩვენ დროს ომი კარგი გამოსაცდელი ღონისძიებაა ხალხისა; რომელიც სჯობია, უეჭველად ის დასძლევს. უფრო მეცნიერი ხალხი ის არის, რომელსაც ეყოლება საუკეთესო მეხანიკოსები, საუკეთესო ქიმიკოსები, რომელიც ყველაზე უფრო ცოტა პატივს სცემს დაძველებულს წესს და რომელიც საუკეთესოთ გამოწყობილია საომრად.

ბარბაროსობა, ესე იგი, მხოლოდ ერთი ღონე, ჭკუის უხმარებლათ, სამუდამოთ დაეცა. ბოლოს ძლევა იმ ხალხს დარჩება, რომელიც უფრო განათლებულია და უფრო კარგი ზნისა არის, ესე იგი რომელიც უფრო მზად არის სამსხვერპლოთ და უფრო კარგათ ასრულებს თავის ვალს. რომელი ქვეყანაც უფრო მსწრაფლათ გამოიყვანს ბრძოლაში მომეტებულს ხალხს საზოგადო საქმის დასაცავათ; ქვეყანა, რომელიც უფრო ბევრს ხაოჯს გამოიღებს გაჭირვების დროს; ქვეყანა, რომელიც უფრო ბევრს ნაყოფს შოვობს ცოტა საშუალებით, ის ქვეყანა ყველაზე განათლებულია, კეთილმოქმედია და იქნება კიდეც ყველაზე უფრო თავისუფალი.—მხოლოდ მეცნიერება და კეთილმოქმედება დაჰბადებს ხოლმე დიდებულს საქმესა. მერწმუნეთ, რომ კეთილი მამულის მოყვარე ის არის, რომელიც გიქადაგებს წინდახედვით მოქმედებასა, ზნეობის თანხმობას გონიერებასთან და არა ისა, რომელსაც სამშობლოს სვე არად მიაჩნია, ოღონდ კი თავისი მჭევრ—მეტყველება და მოხერხებულობა გამოიჩინოს.

ყოველ შემთხვევაში უნდა აღძრას კაცმა ხალხში სიყვარული კეთილ-მოქმედებისა; არასფერი არ უნდა ითაკილოს, რომ განათლება და გონება ხალხში დაამკვიდროს, დააწესოს მაცური და გონივრული აღზრდა, რომელიც უნდა იყვეს დაფუძნებული ბეჯითს და ღრმა სწავლაზე, შთაუდვას გულში ხალხს კეთილ-მოქმედება, რწმუნება და პატივისცემა მცოდნე და განსწავლულ კაცებისა; რევოლიუცია შეაძულოს; საქვეყნოდ პატივს სცემდეს რელიგიურს გრძნობას, მაგრამ სარწმუნოების გარეგანი სახით კი არ უნდა შებორკოს ხალხი, ამიტომ რომ ის არის წარმავალი; ჭეშმარიტი სარწმუნოება კი არა ოდეს არ დაშრტება; ყველაზე უფრო თაყვანს სცემდეს თავისუფლებას;—აი ეს იქმნებოდა კარგი პოლიტიკა.—ჩვენი ქვეყანა მძიმე ავადმყოფია; თვითონ იმისი ბუნება ძირიანათ უნდა გადაკეთდეს.

ფრანციის ღონე გარეშეუსაზღვრელია, მაგრამ ის იჩაგრება ჰაერის უქონლობისა და ტუსაღობისა გამო. უნდა გვეშინოდეს იმისთანა მოვლენებისა, რომლის დროსაც ჩვენი ხალხი თითქოს თვითონვე აპირებდეს თავის სახელის გატეხას და რაც ქველ-მოქმედი და სახელოვანი კაცები ჰყავს, ყველას გაგდებას. უნდა მოვიკლათ ის სახალხო თავისმოყვარება, რომლისაგამო ვცდილობთ ჩვენის მეზობლების გაცალკევებას და დასუსტებას. როდესაც ფრანციის ხალხმა ერთგზის უარჰყო ხელმწიფეების ღვთიური უფლება, იმას შემდეგ გარდა ხალხის უფლებისა, სხვა აღარა დარჩენილა რა მტკაცე: ხოლო ხალხთა ცხოვრება მხოლოდ მაშინ განმტკიცდება საუკუნოდ, როდესაც მხოლოდ ისინი არიან შეერთებულნი ერთად, რომელნიც ერთი ჩამომავ-

ლობისანი არიან, ერთი ენა აქვთ, ერთი ისტორია და საერთო ზრუნვა. ერთი ერთმანეთთან წინალმდეგობის მაგიერათ, ხალხებმა უნდა შეისწავლოს ერთი ერთმანეთისაგან და ისარგებლონ ერთმანეთის გამოცდილებით.

მე ბეჯითად დარწმუნებული ვარ, რომ ორი გარემოებისაგან მთელი ახლანდელი განათლებული ქვეყანა არ მოისპობა: ერთი იმისა გამო, რომ ევროპა რამდენსაც სახელმწიფოთ არის გაყოფილი, და ეს არის დედა-ბოძი თავისუფლებისა, მეორე,—რომ დიდი ძმობაა ხალხებს შორის, რომლისგაძო სხვა და სხვა შთამომავლობის ხალხთა ჭკუაგონებანი შეერთებულნი არიან მეცნიერებაში, ხელოვნებაში, პოეზიაში და სარწმუნოებაში და საზოგადო აზრისთვის შრომობენ. ჩვენთვის სამაგალითოდ უნდა იყვეს საბერძნეთი, რომელიც იყო შეერთებული გონების სიმკვირცხლით და ამასთანავე იყო დაყოფილი მრავალ სახელმწიფოდ და არა რომის იმპერია, რომელმაც თავის საშინელი კავშირით დაღუპა ძველი ცივილიზაცია (განათლება)"...

ამისთანა გულახდით ლაპარაკისთვის და მამაცურის მსჯელობისათვის არ შეიძლება რომ რენანს პატივი არა ვცეთ. „ოჰ, რა მოდავე ნიჭიაო!"—აღტაცებით ამბობს გაზეთის Temps-ს კრიტიკოსი შერერი. ან იქნება რენანი არ კმარობდეს ეპისკოპოზების წყენას და კიდევ უნდა ახალს განსაცდელს მიეცეს! როგორც ვიცით ფრანცია ორ რელიგიათ არის გაყოფილი: კათოლიკისა და რევოლიუციისა. რენანმა პირველი შეაგინა და ახლა მეორესთვის ხელი შეუხია. შერერიც ბევრში თანაუგრძნობს რენანს და ისიც შეძრწუნებით სჭვრეტს რევოლიუციას. ის განსაკუთრებით იმაზე აქცევს ყურადღებას, რომ რევოლიუცია ჭკლავს და არ აძლევს თავისუფლებას. „თავისუფლება დაწესებულება რამ კი არ არისო, ის არის ზნეობითი გრძნობა, გონიერების მორჩილება, გულის თქმათა დაკავება და პირველ შთაბეჭდილების დახშობა. იტყვიან, რომ მე ძალიან სასტიკად ვლაპარაკობ რევოლიუციაზე; და მე რომ ჯერ კიდევ არ დამიბოლოვებია ჩემი აზრი. მე შემეძლო მეთქვა რომ, თუ რამე კარგი მოაქვს რევოლიუციას, იმასაც კარგათ ვერ უდგამს ძირსა. რა მაგისთანა პატარა ნაყოფი გამოიღოს სულ დარღვევას, ისევ რეფორმა (ცვლილება) სჯობია.

რევოლიუცია მაშინ არის შისატევებელი, როდესაც ხალხს სხვა ღონისძიება აღარა დარჩენიარა, რომ ცუდი წესდებულებისაგან თავი იხსნას. ვაი, იმას ვინც ამგვარათ არ უყურებს რევოლიუციას. რცხვენოდეს იმას ვინც იმას სიხარულით მოელის; იმიტომ რომ უყვარს მოძრაობა და ხმიანობა. მაგრამ განსაკუთრებით წყეული იყოს ის უფ-

ლება რომელიც ჰხდის იმას მიუცილებელ საჭიროებათ, ან ის ძალი, რომელსაც ჰსურს იმის მოვლენა. მაშინ პასუხისმგებლად ქვეყანა კი არ ხდება, არამედ ის უგუნური უფლება, რომელიც ამის მეტს საშველს არ აძლევს ქვეყანას".

ამისთანა სტატიების გამოსვლა ფრანციისათვის დიდი ნუგეშია თუ ცისკამარაზე შავი ღრუბლები იკრიბებიან, არიან მაინც იმისთანა გონებანი, როგორც რენანისა და შერერისა, რომელნიცა წინათვე ხედვენ რა შედეგი ექმნება იმ საშიშო ქუხილსა და ფიქრობენ როგორმე თავს გადააცილონ.

II

წინა ნუმერში იყო მოხსენებული ფრანციის ხალხის ვითარება ამ ჟამად: ყველანი ნიშნავენ შავს ღრუბლებს, რომელნიც მზად არიან ჰექა-გრგვინვა მოიხდინონ საზოგადო ცხოვრებაში და ახლანდელი საზოგადო დაწყობილება პირქვე დაამხონ; ამის გამო მოწინავე კაცები შეუდგნენ ახლანდელის მდგომარეობის საფუძვლიანათ გარკვევას და შესწავებას: ზოგნი ცდილობენ შეიგნონ დაწვრილებით ახლანდელი ვითარება ხალხისა; სხვანი ცდილობენ ხალხს გული დაუმშვიდონ, რადგან იციან, რომ ის მეტად აღელვებულია თავის შეუსაბამო ცხოვრებისათვის და ეშინიანთ, გულის თქმამ შორს არ გაიტაცოს ისა,— არ მიაღწევინოს იმდენზე, რომ საზოგადო დაწყობილება და ახლანდელი მთავრობა ძირიან ამოფხვრას და დალეწოს,—მესამე ჯურის სწავლულები აჩქარებენ უჩვენონ მთავრობას სხვადასხვა გვარნი ცვლილებანი, რომ იმათის მოხდენით გამოიყვანოს ხალხი ახლანდელის აუტანელის მდგომარეობისგან.

რადგან ამ ორი ჯურის კაცებზე წინა ნუმერში მოვილაპარაკეთ, ამისთვის ამ ნუმერში მხოლოდ რეფორმებზე ვილაპარაკებთ. აქ საჭიროა ერთ პატარა პარტიაზე ვთქვათ ორიოდენ სიტყვა, რომლის წარმომადგენელიც როშფორია, გაზეთის „ფანრის" რედაქტორი: ეს პარტია აღვიძებს ხალხის გულის თქმას და სიძულვარეს მთავრობისადმი ზოგჯერ ძალიან მოხერხებულათ და ნიჭიანათ, როგორც მაგალითად თვითონ როშფორი. ეს კაცი ფიქრობს, რომ ხალხის ადგომას ვერა დააკავებს რაო, ცდილობს მონახოს იმისთანა ღონისძიება, რომ ამ აუცილებელმა ბოროტებამ, რაც შეიძლება მცირედი ვნება მისცეს საზოგადოებას. თუ ახლანდელი დაწყობილების დარღვევა მიუცილებლათ უნდა მოხდეს, მაშინ რაც რომ ერთსულობით და მსწრაფლათ მოხდება ისა, იმდენათ უფრო ცოტა სავნები იქნებაო...*)

*) ცენზორის მიერ არის ამოღებული.
რედ.

ახლა რეფორმების პროექტებზე დავიწყოთ. ჟულ-სიმონმა გამოსცა თავის სიტყვების კრება, რომელნიც წარსულს წელს სჯულის მდებელს კრებაში წარმოსთქვა. ამ სიტყვების კრებას წინასიტყვაობა დაუწერა და ეს წინასიტყვაობა უმთავრესი ნაწილია მთელის წიგნისა. ჟულ-სიმონი ამტკიცებს, რომ ფრანციაში რადიკალური პარტია არისო და იმათთვის მოქმედების პროგრამა შეუდგენია. ჯერ რამდენსამე ფურცელზე ის უმთავრეს საქმეებს იხსენიებს, რომელნიცა ავითარებენ ევროპის საზოგადოებას ამ ჟამად. ის აქცევს ყურადღებას იმას თუ რამდენი სხვადასხვა აზრი და ერთი მეორის წინააღმდეგი ლაპარაკი აქვთ საზოგადოებათა ამ საქმეზე. ამ შემთხვევაში მხოლოდ რადიკალურს პარტიას შეუძლიან ცხადი პროგრამმა წარმოადგინოსო. ვნახოთ რა პროგრამმა? „სრული თავისუფლება და ამასთანავე რაც შეიძლება, შემცირებული უფლება მმართებლობის მოქმედების დროს“. პარტია უნდა ითხოვდეს თავისუფალს სწავლებას შკოლებში, თავისუფლად ბეჭდვას, ასსოციაციას (ამხანაგობას), ეკლესიის გაცალკევებას სახელმწიფოსთან, სამუდამო ჯარის გაუქმებას, სახელმწიფო და საქალაქო დამოუნების გაუქმებას, სახელმწიფო ხარჯის გაერთებას და ერობის (общины) თავისუფლებას, ყველა სახელმწიფო მოხელეების პასუხის მგებლობას და მოსამართლეების ამორჩევას საზოგადო ხმის მიცემით.

უფრო მოფიქრებულათ და დამჯდარის აზრით შედგენილნი არიან პრევო-პარადოლისაგან წარმოდგენილი რეფორმები. იმან დასწერა თხზულება „ახალი ფრანცია“, რომელსაც მთელმა ევროპამ მიაქცია ყურადღება.—მას აქეთ რაც მე კალამი ხელში ავიღე ათის წლის განმავლობაში ბევრი კერძო ცვლილება წარვუდგინე საზოგადოებას და ისინი რომ მოეხდინათ ჩვენს დაწესებულებას და კანონებში, ჩემის აზრით ძალიან სასარგებლო იქნებოდაო, ამბობს პრევო-პარადოლი. ამ ჟამად მე დავხატე საზოგადო რეფორმის პლანი, რომელიც შეიცავს მთელს სახელმწიფოს საზოგადო ხმის მიცემის სიმართლიდგან მოკიდებული, რომელიც არის წყარო ყოველთა უფლებათა უმაღლესი მმართებლობის დაწყობილობამდე.

„თუმცა დრო მეტ-ნაკლებს ცვლილებას მოახდენს ხოლმე კაცში, მაგრამ მე კი ამ შემთხვევაში არ ვემორჩილები დროსა და იმედიც მაქვს ვეღარა სოდეს ვეღარ შევიძლებ ჩემის აზრის გამოცვლას. სიტყვა „მონარხია“ და „რესპუბლიკა“ სიმძულვარეს ვერ აღმიძრავს და აღტაცებასაც ვერ მომგვრის. როგორი მთავრობაც უნდა დაარსდეს, ის მე ვერც თავის მტრათ გამხდის და ვერც პირუტყვ მონათ.

ჩემს თვალში უაღრესი საკითხავი აზრი ის არის, რომ შევიტყოთ, შევიქმნებით თუ არა ოდესმე თავისუფალი ნაცია (ხალხი)?

ეს არის დიდი კითხვა ჩვენის არსებობის განგრძობაზე და ამ კითხვით ჩვენ შეგვიძლიან მივიქცეთ ფრანციისადმი: ის რომ იმ მდგომარეობაში დარჩეს, რომელშიაც ახლა არის, სწორედ დაემხობა.

დიახ თუმცა ეს ჭეშმარიტება მეტად სამძიმო რამ საგანია ჩვენის თავმოყვარეობისათვის, მაგრამ ლაპარაკი კი ჩვენის ნაციის არსებობაზე მოგვდის. თუ ძირითადის ცვლილებებით „ახალი ფრანცია“ არ გამოცხადდა ქვეყნის წინაშე, ტყვილათ ნუ ვფიქრობთ, რომ ჩვენ დაუმხობელი გადავრჩეთ. რაში მდგომარეობს ეს ცვლილება და საბამდის უნდა მიაღწიოს იმან?

აბ, ჩემმა წიგნმა ამ კითხვებს უნდა გასცეს პასუხი. წინათვე ვიტყვი, რომ ჩემი თხზულება არ მოეწონებათ არც ჩვენი წესის ბეჯითად მიმყოლთა, არც იმათ, რომელნიც ოცნებაში გაერთვიან და ისე ვერ წარმოუდგენიათ ცვლილება, თუ საზოგადოება და სახელმწიფო პირდაღმა არ გადმოაბრუნეს. არც ერთს ამ პარტიებთაგანს ჩემი თხზულება არ მოეწონებათ და სწორე რომა ვთქვა, იმათთვისაც არ დამიწერია მე ჩემი წიგნი: ეს მიმართავს იმ აზრიანს და უსასყიდლო ნაწილს ჩვენის საზოგადოებისას, რომელიც საკმაოთ განათლებულია, რომ შეეძლოს განსჯა საქმეთა და არ არის შებორკილი წინათ შეგონებული აზრითა, რომელიც უშლის კითხვის ახსნას გონიერებასა და ქვეყნის მოთხოვნილებისამებრ.

მე სხვაზე უფრო დამოუკიდებულს მდგომარეობაში ვარ და ამის გამო ყველაზე უფრო შეუპოვრათ შემიძლიან წარმოვსთქვა ჩემი აზრი.

გამოცდილებით უნდა ჩახვდენილიყვნენ გონებას ისინი, რომელნიცა ფიქრობენ, რომ პირმოთნეობის ბუდე სასახლეებია, და დემოკრატიულს საზოგადოებაში ის ვერ გაიხარებს. უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ მონარხიულის დაწყობილებით დემოკრატიულს საზოგადოებაში პირმოთნეობა ვრცელდება ორის მიზეზისა გამო. ზოგნი მისდევენ უწინდელს ჩვეულებას და ეპირფერებიან მონარხსა (მეფესა); სხვანი, რომელთაც ჰსუთ ძირი გაიდგან ხალხში მომეტებულის მეფის უფლების წინააღმდეგ, უსინიდისოთ ეპირფერებიან ხალხსა. თითოეული პირმოთნე, რომ ერთ საპირფერო საგანს არჩევდეს კიდევ კარგი! უფრო მოხერხებულნი ერთსა და იმავე დროს ხალხსაც ელაქუცებიან და ხელმწიფესაც, რომ ორივესაგან სარგებლობდენ. დაე, იმოქმედონ თავისებურათ იმათ, ვინც ამ სენით შეპყრობილნი არიან, მაგრამ ნუ გავამრავლებთ მაინც იმათს რიცხვსა.“

თუმცა პრევო--პარადოლი წინასიტყვაობაში ძალიან მაღალის ზნით ქადაგებს, მაგრამ მაინც ვერ აცდენია იმას, რომ დინასტიური საქმე არ წამოეყენებინა. ის ჰკითხულობს, ვინ უნდა იყოს გადაკეთებულის ფრანციის თავათ, იმპერატორი, კაროლი თუ პრეზიდენტი? იმის აზრით ეს ძალიან საჭირო კითხვაა, რადგან „ფრანციის რევოლიუციამ საზოგადოება დაარსა, მაგრამ მთავრობა ჯერ კიდევ ვერ მოუნახავს“.

ის მოხერხებულათ და მახვილ გონებიანათ ამტკიცებს ყველას, რაც რესპუბლიკისა, ბურბონებისა და ბონოპარტების წინააღმდეგ შეიძლება ითქვას. ის ამბობს, „უკანასკნელს დინასტიას ყველაზე უფრო გაუჭირდება დაუმტკიცოს ნაციის მომეტებულს ნაწილსა, რომ იმას გულგახსნით ჰსურს თავისუფლება, მშვიდობიანობა და პატიოსანი აღმორჩევითი დაწყობილება“ აქედგან სჩანს, რომ პრევო-პარადოლი აძლევს ისევ კაროლს უპირატესობას და იმის ღვაწლს აი, როგორ აგვიწერს: „ეს სახელმწიფოს უფროსი უნდა იყოს პარტიებს შორის მოსამართლეთ და არც ერთის მხარეკი არ უნდა ეჭიროს. არც ერთ სამინისტროს, არც ერთს პირთაგანს და, თუ შესაძლებელი იქნება, არც ერთს აზრს არ უნდა მიემხროს“. პარადოლი გამოტეხით ამბობს, რომ ამისთანა კაროლის მოპოება ძალიან სამძიმოაო და ამის გამო რესპუბლიკაზედაც უარს არ არის. კარგია რომ ორლეანისტი (წინანდელი ფრანციის კაროლის ლუდოვიკ--ფილიპეს მომხრე) ჰგრძნობს თავის შკოლის ნაკლულევანებასაც.

ის პირდაპირ აცხადებს, რომ ლუდოვიკ-ფილიპმა თავის თავი თვითონ დაღუპა იმითი, რომ ერევოდაო გამგეობაში და აღმორჩევითი სიმართლე ძალიან შეავიწროაო. „კაროლი და მინისტრები დიდი კმაყოფილებით აძლევდნენ მხარს ერთმანეთსა იმდროს, როდესაც ხალხს, ისინი ისე სძულდა, რომ ვერ დაენახვებოდნენ. ამპარტავან გვამებისათვის ძალიან სასიამოვნოა ამისთანა კმაყოფილების გრძნობა, მაგრამ ის უნდა იყოს შინაურობაში განკერძოებულათ აღმოჩენილი და ნება არ უნდა მიეცეს იმგვარათ მოქმედებისა, მაშინ როდესაც გვამი უფლებით არის მოსილი“. ეს სიტყვები უფრო გიზოს მიეწერება, ამისთვის, რომ ყველაზე უფრო ამპარტავანათ ის იქცეოდა თავის მინისტრობის დროს, მაგრამ ახლა ისიც კი აღიარებს თავის შეცდომილებას. ეს ნათლათ სჩანს გიზოს უკანასკნელს თხზულებაში „ Meditations religieuses“.

გიზო სწერს, „საზოგადოების მოთავეებისა და ხალხის მოქმედებით მონარხიას და რესპუბლიკას აქვს ბრძოლა ერთმანეთთან. ცხოვრებაში მონარხია სძლევს და გულში კი რესპუბლიკა უფრო მოსწონთ. ახლა ყველას ჭეშმარიტებათ მიაჩნიათ, რომ საზოგადოე-

ბას აქვს სიმართლე, არამც თუ ნათლად იცოდეს გასამგებო საქმეები არამედ იმდენათ უნდა ერეოდეს, რომ შეეძლოს კიდეც თქმა, თვითონ მე ვარ მმართველიო. კონსტიტუციური მონარხია და რესპუბლიკა გვპირდებიან ამ აზრის გამართლებას: ერთი სახალხო წარმომადგენლობით, კაროლის ხელ შეუხლებლათ და მინისტრების პასუხის-მგებლობით; მეორე — საზოგადო ხმის მიცემით და დროსა და დროს განმავლობაში საზოგადო უფლებათა აღრჩევით. მაგრამ ჩვენში არც კონსტიტუციურს მონარხიას და არც რესპუბლიკას მაგრად ფეხი არ გაუდგამს“... გიზოს პირდაპირ უჭირავს თავისუფლების მხარე, ამბობს, რომ ის არის კეთილის მიმგები ძალაო. ის ამტკიცებს, რომ საზოგადოებათა უნდა ჰქონდეთ ნება თავისუფლათ ლაპარაკისა და აზრობისა, რომ შემდეგ გონიერმა აზრმა დასძლიოს და აღმოირჩიოს, რაც იმისათვისა სჯობს.

როგორც რენანი, შერერი, გორნი, გიზოც ამ პირველ პირებსავით ამტკიცებს, რომ ფრანცია ამ ჟამად მოუძლურებულაო ზნეობითად. ის უჩვენებს, რომ მთავრობის დაწყობილების შეცვლასთან საჭიროა, რომ საზოგადოებამაც თავის თავზე მიაქციოს ყურადღება, სახელდობ თავის ზნეობითი მხარის გაკეთებაზე, რომელიც არის ამ ჟამად ყველა უბედურების მიზეზი. რენანსავით, ისიც ისე ამტკიცებს, რომ მთავრობის ცვლილებასთან საზოგადოებამაც ერთ დროს უნდა მიჰყოს ხელი თავის ‍ᲒᲐᲓᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐᲡ. გიზო სწერს: „როდესაც მე ვაძლევ ამ სიტყვებს ძალიან დიდს მნიშვნელობას, ზნეობითი და რელიგიური სარწმუნოება რომ ჰქვიან, ის მართლად რელიგიური და ზნეობითი უნდა იყოს; ის უნდა აღიარებდეს რელიგიურს და ზნეობითს მხარეს კაცისას და ამტკიცებდეს, რომ კაცში არის ისეთი თვისება, რომლითაც განირჩევა იგი იმის გარემო მდებარე ბუნებასთან, ესე იგი, ის უნდა აღიარებდეს კაცში სულსა. მხოლოდ ამისთანა სარწმუნოებით გაცოცხლებულ ხალხებს თავისუფალის მმართებლობითა — შეუძლიანთ იყვნენ პასუხის მგებელნი თავის მოქმედებისათვის და როგორც რიგია ისე ეწეოდნენ პოლიტიკურს თავისუფლებას, ამიტომ რომ მხოლოდ ამისთანა ხალხებს სწამთ ზნეობითი თავისუფლება“. ეს მცნება ძალიან ახლოა რენანის აზრზე...

ახლა დავუბრუნდეთ ისევ პრევო-პარადოლის პროგრამმას. რასშა უნდა მდგომარეობდეს იმის „ახალი ფრანციის“ დაწყობილება? პარადოლი ამტკიცებს, რომ ხალხს უნდა ჰქონდეს საზოგადო ხმის მიცემის სიმართლე. ძალიან დიდი საქმე იქნება. რომ ამასთანავე აღმოაჩინოს კაცმა იმისთანა ღონისძიება, რომ ამგვარი დემოკრატიული დაწესებულება მართლაც ნაციის სასარგებლოთ წარიმართოს.

რა საშუალებით უნდა აღვიძონ ხალხი, რომ იმან მიიღოს გამგეობაში მონაწილეობა და გაუწყვეტლათ არსებობდეს ამისთანა მონაწილეობა? უმთავრეს საშუალებათ ის რაცხავს თავისუფალს ბეჭდვას და გარე შეუსაზღვრელს სიმართლეს ასსოციაციათა (ამხანაგობათა) და კრებათა; აგრეთვე სრულებით უნდა შეიცვალოს ახლანდელი აღმორჩევითი წესი, რომლის წყალობით უფრო გონებაგახსნილებს არ ირჩევენ. იმას უნდა რომ ზემოხსენებულის კაცების გვარნიც იყვნენ ამორჩეულნი და ამისთვის უნდა, რომ ფრანცია ძალიან დიდ აღმომრჩეველ მაზრებათ იყოს დაყოფილი, სადაც ერთს დროს ირჩეოდეს რამდენიმე კანდიდატი. პარადოლს ისიც უნდა, რომ ადგილობრივს მთავრობაებს მიეცეს უფრო დიდი უფლება, რომ იმათ შეისაზღვრონ მთავრობისა და პარიჟის სიძლიერე.

თუ ჟულ-სიმონის პროგრამმას არა აქვს გამოცდილებით სავსე საფუძველი, პრევო-პარადოლიც ვერ გვიჩვენებს იმისთანა ბეჯითს საფუძველს, რომელიც იყოს ხელსამძღვანელათ ახალი საზოგადოების დაარსებაში...*)

ვინ იცის ნაპოლეონ III რამდენს სასარგებლო აზრს მიიღებს ამდენ რჩევისაგან, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ისინი თვალის წინ წარმოუდგენენ იმას ხალხის ვითარებას და ამითაც არიან ეს რჩევანი დიდ-სასარგებლონი, რადგანაც მთავრობისათვის ძალიან საჭიროა იმ ხალხის ცოდნა, სადაც თვითონ მოქმედებს. ჟირარდენმა მართალი სთქვა, უფლებასა და ცოდნას ერთი და იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

---

*) ცენზორის მიერ არის ამოღებული.

რედ.

ერთი თვალის გადავლება

(მგზავრობა იმერეთისკენ)

დიდი ხანი იყო, რაც იმერეთი არ მენახა: სწორეთ გამოვიდოდა ოთხი წელიწადი; იმიტომაც უფრო აჩქარებით მიცემდა გული სიხარულისაგან, როცა ჩემს სამშობლოს მივისწრაფებოდი, როცა ვემზადებოდი იმ ქვეყნის ნახვას, სადაც ზევრი სასიამოვნოდ მოსაგონარი ჟამი ყმაწვილობისა გამეტარებინა: მინდორი, გორაკი, ტყე, მთა, ღელე, მდინარე, ყველანი სანატრელს გასულს ყმაწვილობას მომაგონებდნენ; მეც გული მქონდა კმაყოფილებით სავსე, როდესაც ახალი მჩქეფარე ცხოვრება იმათ გარემოში დამეტოვებინა; შით უფრო სასიამოვნო მოსაგონარი შეიქმნენ მშვენიერნი დღენი მოუბრუნებელად წასულის ნორჩი სიცოცხლისა, რომ ამ ჟამად აღარ იყო არც ის მჩქეფარე ფხოვრება, არც ის სინორჩე, არც ის სულის სიმარტივე. მძიმე გაჭირვებისაგან და უფანასწორო ბრძოლისაგან თითქმის გალეული სიცოცხლე, ზნე და ხასიათი ჩემი შესვრილი უწმინდური ცხოვრების ლექითა უფრო დამანანებდნენ, საცა დავიბადე, იქ მიტევებულს უკეთესს დროებას. კიდეც იმისთვის უფრო მიხაროდა იმ არე-მარეს ნახვა და იმ კამარაში მიტრიალ-მოტრიალება, სადაც დამემარხა ჩემი წინანდელი დრო საუკუნოთ გავლილი. ეს მშვენიერი მიწა-წყალი, ეს ლურჯი ცის კამარა პატრონობს ახლა ჩემს მამა-პაპის ძვლებს, ჩემს დაუვიწყარს ყმაწვილობას, მოდი და თაყვანს ნუ სცემ ამ მხარეს, მოდი და თავს ნუ დასდებ ამ მხარისათვის, როდესაც ჩემი ავლადიდება იქ მარხია. მოდი და საუკუნოთ თავს ნუ გასწირავ იმის კეთილმდგომარეობისათვის!...

ვიცი ამ ჩემს სიტყვებზე ყელამდის გონიერებით ავსილი ჩემი თანა-მემამულე დაცინვით გაიღიმებს და იტყვის: ვიჰ, რა გონებაგაუხსნელი რამ ყოფილა ეს ვინღაც, თავის სამშობლო მხარეს ასე ყმაწვილური გრძნობით ახსენებსო! თითქოს პატარა შეგირდი იყოს, რომელსაც შკოლის ოთახები ცემა-ტყეპისაგან შესძულებია და მოუთმენელათ მოელის დღესასწაულებსა, რომ თავ-შიშველა მოქუსლოს სოფლისკენ, სადაც ტყეებში და ღრეებში წანწალით ეცდება გამოიბ-

რუნოსო შკოლაში ტუსაღათ გატარებული დრო. მაგნაირი ლაპარაკი შეჰფერის გონება-გაუხსნელს ყმაწვილს და არა დაბრძენებულს. ვაჟკაცს, რომელიც ასე უნდა იძახოდეს: Ubi bene, ibi patria ესე იგი:

სადაც ფულია,
იქაც ჩემი სულია.

— რა გაეწყობა, ჩემი ნაკლულევანება ის ზემოთ წარმოთქმული გრძნობაა, მაგრამ ამ ორის პატარა სტიხით რომ ჩემს გაბუტებულს ბრძენს ბუზობა დაუმტკიცდა, ეს როგორღაა!...

ბუზიც ხომ მაგ გვარს აზრებს მისდევს. სანამდის ტკბილი ხილი არ შემოვა, მანამდის ბუზს სძინავს სადმე კუთხეში და არავის აწუხებს. რაკი ვაშლი და ყურძენი დამწიფდება, ისიც მაშინვე თავს წამოჰყოფს და მოფრინდება ამ სიტყვებით:

სადაც მწიფე ხილია,
იქაც ჩემი სულია.

ამ ცოტას ხანს მაინც ბევრმა ჩემმა მემამულეთაგანმა დაიმტკიცა ბუზის ხასიათი. ახალი თაფლი როგორც კი ნახეს, ყველანი მაშინვე იქით გაფრინდენ!... მაგრამ ჩვენს დროში კაცს არაფერი არ უნდა გიკვირდეს. წარსულ მაისის დამდეგს, ერთი სპარსელი მოვიდა ტფილისში და ჩვენს თვალწინ კაცი ქალად გადააქცია. იმას შემდეგ რომ ჟამთა ვითარებამ კაცები ბუზებათ გადააქციოს, აბა რა გასაკვირველი იქნება! კაცობრიობის ცხოვრებაში ხშირად იმისთანა დრო დადგება ხოლმე, რომ კაცი ბუზათ ჰხდება და ბუზზე მომეტებული ზნეობითი ღონე აღარა აქვს. მაგრამ ერთმა ჩემმა მეგობარმა რომ გამაკვირვა, ისე კი არაფერს გაუკვირვებივარ. ის მუდამ წარბ-შეჭმუხვნილი ოხრავდა, რომ ბუზები თან-და-თან მრავლდებიანო ჩვენს ქვეყანაში; თუ მარჯვეთ არ ვიქენით, ყველანი ბუზებათ გადავიქცევითო. ამას რომ ლაპარაკობდა, თურმე, გულში ბუზობა ენატრებოდა და მე აბა რას მივხვდებოდი! იმის ოხვრას და დაღვრემილს სახეს რომ ვუცქეროდი, ვფიქრობდი, ეს კაცი სწორეთ ღომათ დაბერდება მეთქი; მაგრამ!... მაგარიც ეს არის, რომ უჩვენეს თუ არა თაფლი, ეს ჩემი მოწონებული ღომ-კაცი ბუზათ გადამექცა და მაშინვე თაფლს მიახტა. ახლა რომ მახვიდე, ასე გეტყვის, რა დროს პატიოსნებაზედ და კაცურს მოქმედებაზე ლაპარაკია, შიმშილით კუჭი მიხმებაო. ზომიერებით რომ იქცევოდეს, კიდევ არაფერი, მაგრამ აქაც რომ არა აქვს საზღვარი იმის გაძღომას. რაც უნდა ბევრი აყარო, მაინც მშიერი ვარო იძახის.

ვაი, სოფელო, რასშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, და
რა ზნე გაქვს.
ფულით კაცსა ბუზათა ჰხდი, და ავიწყებ გონიერს
გზას.

ამ ჩვენი ბუზებისა არ იყოს, მეც ჩემს გზას გადავცდი, მინდოდა ორიოდე სიტყვა მეთქვა ჩემს მოგზაურობაზე და აქედგან ბუზებზე გადავხტი. აბა, ბუზები რა სალაპარაკო საგანნი არიან, თქვენი ჭირიმე, რომ იმათ ვითარებას ამდენი სტრიქონი მოვანდომე!, მაგრამ კიდეც ეგ არის ჩვენი ცხოვრების დამცირება, რომ ხშირად ბუზებზედ მოგვდის ლაპარაკი.

I

ქუთაისი ერთი პატარა ლამაზი ქალაქია, რომელიც მდებარეობს რიონის დიდი ჭალების ყელში. ამ სახით, იმას უჭირავს შუა წერტილი იმერეთისა. რაჭა, ლეჩხუმი, ზემო იმერეთი, ქვემო იმერეთი, გურია და უმეტესი ნაწილი სამეგრელოსი, როგორც შუა-ალაგს, ისე ეხვევიან ქუთაისს და რაოდენათაც გახსნილია აღებ-მიცემობა ამ მხარეებში, ქუთაისიც ეგოდნათ იმათი სავაჭრო წერტილია.

მთელი ქუთაისი ბაღშია ჩადგმული. შორიდგან რომ შეხედო, ისე დაჩრდილულია დიდრონი ხეებითა, რომ სახლები ამ ამწვანებულს ბაღში თეთრ წერტილებათ სჩანან.

ჩემს შემდეგ ქუთაისს ბევრი მოუმატნია. ხეები გაზრდილანდა ჩრდილი ყველგან ძალიან გასქელებულია, შენობაც ბევრი მომატებია; ამასთანავე უფროც დაშვენებულა: ახალი ჯაჭვის ხიდი აუგიათ, ბირჟა გაუკეთებიათ. აქ განსაკუთრებით ერთმა საგანმა გამაკვირვა: ქუთაისი ძალიან გასუფთავებულა! ყოველს ქუჩას თავისი სახელი დარქმევია. ყოველი სახლი ზედმიკრული და შეღებული ფიცრებით გალაპარაკება, მე ამა და ამ კნიაზის სახლი გახლავარ და ესა და ეს ნომერი მაკრავსო. ერთი სიტყვით ქუთაისი გარეგანის სახით მეტად გაბრწყინვებულა. აბა, ახლა ვნახოთ შინაარსიცა. იქნება ისიც თავისი სიმდიდრით უდრიდეს გარეგანს ბრწყინვალე სახესა. აი, თქვენ თვალ-წინ ტლილის ქვით აგებული ლამაზი დუქანი; ვნახოთ რა საქონლით ვაჭრობს შიგ მდგმური: ორიოდე ღერი ქონის სანთელი, ორიოდე ღრაფინა წითლათ და მწვანეთ შეღებული არაყი, ორიოდე მძეხვი (კუპატი), აი ესენი გახლავსთ იმ მშვენიერის დუქნის ვაჭრის სიმდიდრე. თითქმის სულ ყველა დუქანი ქუთაისში იმისთანაა. ამ სილარიბესთან დუქნის ქირა რომ იკითხოთ, გაგიკვირდებათ: ოცი,

ოცდა ათი და ორმოცი თუმანი! სიდგან უნდა მოიგოს ამდენი დუქანში მდგმურმა ლატაკ ვაჭარმა?—უეჭველია, რომ რაცა აქვს ერთი ორათ უნდა დაჰყიდოს და იმითა როგორმე თავის თავიც და დუქნის პატრონიც უნდა არჩინოს. აი რა არის ძვირობის მიზეზი ქუთაისში. არსად არ ნახულა ისე გაუხსნელი აღებ-მიცემობა, როგორც აქ. ამის გამო არც ერთს ქალაქს ისეთი ღარიბი ვაჭრები არ ასხია, როგორც ქუთაისს. ერთს დუქანს, ერთს მაღაზინს ვერა ნახავ იქ ისე გავსილს საქონლითა, როგორც ტფილისის უკანასკნელი დუქანი და მაგაზინია გავსილი. ამ სახით ქუთაისი რამდენათაც კარგი სანახავია შორიდგან თავისის გარეგანის ბრწყინვალებითა და მშვენიერებითა, იმდენათ უფრო უნუგეშოა იმისი შინაგანი არსებობა, იმისი ზომაზე მომეტებული სიღარიბე და გაუხსნელი აღებ-მიცემობა.

ამ შემთხვევაში ქუთაისი სწორეთ ნამდვილი სურათია მთელი იმერეთისა, როგორც ისა, იმერეთიც აგრეთვე მშვენიერი და ბრწყინვალეა გარეგანის შეხედულობით, მაგრამ შესაბრალებელია სიღარიბით: ბუნება მოსაწონია მრავალგვარობით და მომცემობით; კაცს რომ შეხედო,—გინდ აზნაურს, გინდა გლეხს, ყველა ლამაზათ ჩაცმულია; უფრო ბევრს იმათგანს ბუზმენტებით გაწყობილი ტანსაცმელი აცვია. ქალი ხაბარდას და აბრეშუმის კაბას არ იცილებს. ერთის სიტყვით შორიდგან რომ შეხედო გლეხი და აზნაური მდიდარი გეჩვენება, მაგრამ იმათი ოჯახი და შეძლება რომ ნახო, თვალებზე ხელს დაიფარებ. სიღარიბისა და სისაწყლის მეტს ვერასფერს ნახავ. ბატონ-ყმობის განთავისუფლების შემდეგ ორიოდე გროში თუ ვისმე მებატონეთაგან რგებია, ყაირათის უცოდინარობით მაშინვე მიუფლანგავს და ეხლა ებრძვის ისევ უწინდელს გლეხს, რომ როგორმე კიდევ იმას დასტყუოს თავისი გასაკვები; თვითონ კი ხელს არაფერს ჰკიდებს და ამისგამო კერა უფრო და უფრო უქრება და ვალში ვარდება. გლეხიც იმას ცდილობს, რომ ყმობითის დამოკიდებულების მოსპობის შემდეგ, როგორმე ბატონს გაუთანასწორდეს და მუშაობისათვის თავი დაუნებებია. რაო?—როგორც ჩემი ბატონი არ მუშაობს, ისე, არც მე ვიმუშავებ, რომ ჩემმა ნაბატონარმა ყაზახი (გლეხი) არ დამიძახოსო. ცდილობს თვითონაც ისე ჩაიცვას, როგორც უწინდელს მებატონეს აცვია და თავის ცოლ-შვილსაც ისე ჩააცვას, რაც უწინდელს ქალბატონს აცვია. რათაო?—უნდა დაუმტკიცოს თავის ნაბატონარს, რომ რაც შენ ხარ, მეც ისა ვარო. ამ სახით გლეხმა შრომას უკლო, ხარჯს უმატა და ამის გამო იმასაც თანდათან კერა უქრება და ყელამდინ ვალში ვარდება. იმისთანა სოფლები არიან, რომელთაც ათასი თუმანი ვალი აქვთ და ზოგგან მანეთზე

ნახევარ მანეთს, ანუ მანეთს სარგებელს აძლევენ. ამით ვინ მდიდრდება, ან ვისგან იღებს იმერეთის ხალხი ამდენს ვალსა? ვისაც ორიოდე გროში მოეძევა, იმისგან. ამ ბოლოს დროს, ურიებს აღდგომა გაუთენდათ. ქუთაისში ძალიან გამაკვირვა ურიების ვაჭრობამ. არც ერთს იმათგანს ხეირიანი ვაჭრობა არა აქვს. ყოველს ურიას დუქანი დაცალიერებული აქვს, ან ისეთი დაბალი საქონლითა ვაჭრობს, რომ გროშათ არა ღირს. ხალხს რომ ჰკითხო, იძათთანა მდიდარი კი ქუთაისში არავინ არის. საიდგან შოულობენ ისინი ამდენს ფულს?

— ხალხს ავალებენ ხოლმე და იქიდგან. რასაც ისინი გასესხებით იგებენ, იმის მეათედსაც როგორ მოიგებენ ვაჭრობაში! მართლა, რომელი ურიაც შეძლებულია, იმას, თუმცა დუქანი აქვს დაქირავებული, მაგრამ არაოდეს შიგ არ ვაჭრობს. ის დადის ბულვარის წინ, სადაც გროვდება თავად-აზნაურობა და ხან ერთს მიახტება და ხან მეორეს. რა აქვს სალაპარაკო?—„ბატონოო, ბატონოო, ჩემს ფულს როდის ჰომცემო?“ ეს არის ურიის სალაპარაკო. ვისაც სარგებლის მიცემა უძნელდება, ის ათი სარგებლისოდენს აძლევს ღვინით და პურით. მოდი და ამისთანა ცარცვა გლეჯით ნუ გაღარიბდება ხალხი! მიზეზი ამის მაინც თვითონ ხალხია, რომელსაც თავისი ახალი მდგომარეობა კარგათ ვერ შეუტყვია, ვალის აღება გაადვილებია და ბოლოს თავის დაგირავებასაც მოელის.

ერთი საჩხერელი მებატონე ვნახე. ის იყო შეძლებულთაგანი: პურიც ბევრი მოჰყავს, ღვინოცა და თივაცა; მაგრამ რომ მოინდომოს წელიწადში თუმნისას ვერას გაჰყიდის! სახლობით ქუთაისზედაც ახლოა და ზესთაფონზედაც (ყვირილის სტანციაზე). იმის სახლიდგან ქუთაისამდის სამოცი ვერსი არ არის და ყვირილის სტანციამდი ორმოცი ვერსი თუ იქნება, მეტი არა, მაგრამ რა ჰქმნას, რომ იმ ალაგამდის ჭირნახული ვერ მიუტანია! მთელი საჩხერის მაზრა ისე შემოზღუდულა მთებითა, რომ კარგი საურმე გზა არა აქვს. ცხენით რომ წაიღოს, კაცსა და ცხენს იმდენი ქირა და საგძალი მოუნდება გზაზე, რომ ჭირნახული გასყიდვათ, აღარა ღირს; ურემზე თუ დაუდე, ეს კიდევ უარესი. მინამ გასასყიდ ალაგამდის მიაღწევდეს, შესაძლებელია ურემიც დაიმტვრეს და ხარ-კამეჩიც ამოიხჩოს განუალს ლაფში. ამ სახით გზების უქონლობის გამო საჩხერელმა კაცმა რომ ბევრი ჭირნახულიც მოიყვანოს, ვერ გაჰყიდის და რათ უნდა. არის დამწყვდეული თავის მთებში და ფულს ვერ შოულობს, რომ ცოტაც არის, ოჯახს ხელი შეუწყოს; უფრო ნამდვილი მიზეზი მუშაობაზე ხელის აღებისა ეს უნდა იყოს. რა მდგომარეობაშიაც საჩხერეა, კიდევ უფრო ცუდს მდგომარეობაშია რაჭა, ლეჩხუმი და სვანეთი. ხალ-

ხია ღარიბი, იმიტომ რომ შრომას უკლო, შრომას უკლო უფრო იმიტომ რომ ნაშრომს ვერ ჰყიდის; და ვერ ჰყიდის, იმიტომ რომ გზების უქონლობით ჭირნახული სავაჭრო ალაგამდის ვერ მიუტანია. ამ სახით უმთავრესი მიზეზი ხალხის სიღარიბისა და ვაჭრობის გაუხსნელობისა არის გზების უქონლობა. სანამდის მთის ქედებით შემოზღუდული მაზრები ქუთაისთან და სხვა სავაჭრო ადგილებთან არ შეერთდება კარგათ გაკვერილ საურმე გზებითა, სანამდის სოფლიდგან სოფლამდე ამისთანავე გზები არ დაკეთდება, მანამდის იმერეთის ხალხი ტყვილათ ნუ ელის, რომ ხელი წაიწყოს შინაოჯახობაში; თუ კარგი გზები არ იქნა, გულდადებული მუშაობაც ბევრს ვერას გაა, რიგებს. ნაშრომს და ნაღვაწს თუ კი ვერსაით წაიღებ გასასყიდათ, მომეტებული შრომაც სულ უნაყოფოთ ჩაივლის. ამბობენ ამ ორ წელიწადს რკინის გზა გაიხსნებაო ფოთისა და ქუთაისს შუა. სამაზრო და სასოფლო გზების უქონლობაში რკინის გზა არას არგებს ხალხის კეთილმდგომარეობას. ამიტომ რომ მაშინ ყირიმიდგან და ტრაპიზონიდგან უფრო იაფად დაჯდება ყოველგვარი ჭირნახულის შემოტანა ქუთაისში, ვიდრე ლეჩხუმიდგან და რაჭიდგან. მაშასადამე ყოველგვარი ვაჭრობა და აღებ-მიცემობა უცხო ქვეყნელებს ჩაუვარდებათ ხელში და ჩვენი ხალხი თანდათან იწყებს გაღარიბებას. ამას ისიც უნდა მიუმატოთ, რომ მთელს იმერეთში ჭირნახულის მოსავალმა მეტათ უკლო. მთა-გორიანი სახნავ-სათესი მიწები მოუვლელობით და მუშაობის უცოდინარობით ძალიან გაღარიბდენ. მიწის პატივი იმერეთში არ იციან და ეს სახნავი მიწები იმ დონაზე დამდგარან, რომ უპატივცემლათ კარგს მოსავალს ალარ აძლევენ. მდინარის პირის ჭალები თუმცა კარგი ნაყოფიერი არიან, მაგრამ მთებში ტყეების გაწყვეტისა გამო ყოველ წლობით ჭალები ნიაღვრებით აივსებიან ხოლმე და ნამუშევარს სულ ერთიანათ წალექვენ და წაიღებენ ხოლმე. ესეები რომ კაცმა ყურადღებაში მიიღოს, დარწმუნდება, რომ იმერეთის ხალხის მომავალი ცხოვრება სწორეთ ბევრს სანუგეშოს არას წარმოადგენს. მხოლოდ ორი საშუალებაა, რომელთაც შეუძლიათ, რომ ცოტაც არის, ხალხის კეთილ-მდგომარეობას ხელი შეუწყოს: მაზრებისა და სოფლების შეერთება კარგათ გაკვერილის საურმე გზებითა. და ბანკის დაფუძნება—იმისთანა ბანკისა, რომელშიაც მთელს იმერეთის მცხოვრებლებს ჰქონდეს მონაწილეობა. ბანკი უფულო მეოჯახეს ფულს მისცემს სამუშაოთ, ხოლო გზები მომეტებულს ჭირნახულს გაიყიდვინებენ. ამ ორის ღონისძიებით შეიძლება ვაჭრობის გაღვიძება და ხალხში ფულის დატრიალება და ამ ორის ღონისძიების მოხმარება კი საზოგადოებაზეა დამოკიდებული. იმას შეუძლიან სასოფლო

ზეების გაკეთებაც ითავოს და საერო ბანკის დაარსებაცა. ვნახოთ ან ერთზედ და ან მეორეზედ როგორს მზრუნველობას გამოიჩენს იმერეთის საზოგადოება?...

II

ვისაც ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ქუთაისი არ უნახავს, ის დიდ ცვლილებას ნახავს იქა ამ ჟამად. უწინდელი ნეიარულობა და უდარდელობა აღარ არის. ქუთაისის ბულვარს უწინ იმისთანა მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქისათვის, როგორც პარიჟში ყოვახანებს და კლუბებს. ქუთაისლები სადილს უკან, მზის გადახრისას, მოგროვდებოდენ ხოლმე ბულვარში და მთელი დღის ამბავი იქ განისჯებოდა და გადაწყდებოდა. მუდამ ერთი სიცილი და ხარხარი იყო. ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე ვინმე მოლექსე, რომელსაც ვისიმე ჯავრი ექნებოდა, მთელ თაბახს ლანძღვის ლექსებით გაავსებდა და შეუგდებდა სახლში თავის „მტერს", როგორც იმერეთში ეძახიან მოწინააღმდეგეს. მეორე დღეს ქუთაისის ბულვარში შეიქმნებოდა ამ ლანძღვის წიგნზე დიდი ამბავი: მოჰყვებოდნენ იმის გაჩხრეკას, თუ ახალმა მოშაირემ რა მიზეზით აიღო ხელში ლანძღვის კალამი; იძევდენ, იძევდენ იქამდის, სანამდის მოშაირისა და იმის მტრის შინაურობას, იმათს უკმაყოფილებას სულ ერთიანად არ გამოაშკარავებდენ. ყოველი ჭორი ბულვარში უნდა დაბადებულიყო და იქვე ბოლო უნდა მისცემოდა ახალ ჭორამდის.

უნდა ვთქვა, რომ ქუთაისის მცხოვრებნი და იმასთან მთელი იმერეთიც ძალიან გულსმოდგინენი იყვნენ ეკკლესიის წესის ბეჯითად ასრულებაში: ოთხშაბათს-პარასკევს ხორცის ჭამას ვერავინ გაბედავდა და თუ ვინმე უცხო ქვეყნელი მოვიდოდა, რომელიც არ მისდევ და ეკკლესიის დაწესებულებას მარხვის ჭამაში, იმას უყურებდენ, როგორც არაწმინდას, და იტყოდნენ: „როგორც ძაღლი არ ზოგავს, ისრე არც მაგი ზოგავს მარხვასაო".

ამისთანა წმინდა ცხოვრებაში, რასაკვირველია, ქუთაისს გამოუჩნდებოდენ განსაკუთრებით ბეჯითნი და წმინდანნი, რომელნიც არც წირვას, არც ლოცვას და არც მწუხრს არ დააკლდებოდენ. თითქმის სულ საყდარში იყვნენ დაყუდებულებსავით და იმათს წმინდა ცხოვრებაზე, ლოცვის-მოყვარებაზე მთელი იმერეთი ლაპარაკობდა და ღაღადებაში იყო. მაგრამ იმისთანა ცოდვიანებიც კი გამოჩნდებოდენ ხოლმე ქუთაისის ბულვარში, რომ ბედავდენ ამ მლოცველ კაცებზე ჭორების მოგონებას.

მაგალითად, მე მახსოვს იქ ერთი ჭალარა მოხუცებული, ორმოცდაათის წლისა, ძალიან მლოცველი და ქალწული, ესე იგი ცოლი თავის დღეში არ შეერთო და სათნოებით დამორჩილებოდა ამ სიტყვებსა: „რომელსაც ჰსურს ჩემთან ყოფნა ღარ ჰყავ თავი თვისი და აიღე ჯვარი და შემომიდეგინ მე“, მხოლოდ ეს იყო რომ სულ ხელი ვერ აეღო მსოფლიო კმაყოფილებაზე: მაგალითათ თავის საკუთრებას, მიწა-წყალს ვერ ელეოდა, ფულიც უყვარდა და საზოგადოებაშიაც ცხოვრებდა. უდაბნოში წაუსვლელობა ამ მლოცველს კაცს სასახელოთაც მიაჩნდა; რადგან უფრო ბევრი ზნეობითი ღონე უნდოდა, რომ სოფლიურის არაწმინდებისათვის თავი მოერიდებინა. იმის ფერმკრთალ სახეზე და ჩავარდნილ, ჩაღამებულს თვალებში შეგეხედნა, იფიქრებდი, ეს სათნო კაცი დიდს ჯაფას და შრომას უნდა ეწევოდესო ღვთის საკადიდებლად. საყდარში რომ იყო ხოლმე, მუდამ ტუჩებს აცმაცუნებდა: ალბათ ლოცვილობდა; გულზე მუდამ ხელს იბრაგუნებდა და ამასთან იქით-აქეთ თვალებს ატრიალებდა: ალბათ უნდოდა შეენიშნა, ვინ ისმენს გულ-დაუდებლათ (გარეწრათ) წირვა-ლოცვას, რომ იმათი თავიც ღმერთს შევავედროვო. ერთი სიტყვით იმას ღვთის კაცს ეძახოდენ; მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, ქუთაისის ბულვარში იყვნენ იმისთანა ურწმუნოები, რომელნიც ამ სათნო კაცზედაც იგონებდნენ ჭორებსა. მაგალითად, იმ ღვთის კაცს უყვარდა „რუსული ბეკა ძაღლები“, ესე იგი ევროპიული მოდგმის მაძებრები და კარგათაც უვლიდა. როცა კარში გამოვიდოდა ეს მლოცველი, რუსული ბეკა ძაღლი წინ მოუთამაშებდა და საღოცავად რომ წავიდოდა საყდარში, მაშინ კი ძაღლს თან არ წამოიყვანდა, რადგან იცოდა, რომ რაც უნდა იყოს, ძაღლი მაინც უწმიდური ცხოველიაო.

ბულვარის მეჭორეები, რომელთაც კაცის არა სწამდათ რა, იძახოდნენ: „რათ უყვარს მაგას მაგრე საშინლათ ბეკა-ძაღლებიო? რათ უყვარს, ჰა, მითხარით, შემატყობინეთ, ყოველთვის რომ შინ ძაღლებს ეთამაშება, რათ ეთამაშება, ჰა, შემატყობინეთ? თუ ეგ წმინდა კაცია, რათ ჰკიდებს ხელს უწმინდურს ძაღლებსაო?“—იძახდნენ ბულვარის მეჭორეები და ვერ შეეტყოთ კი ამის მიზეზი... მოდი და ნუ გეწყინება ამისთანა უალაგო კითხვები:—„რათ უყვარს!“ განა კაცს არაფერი არ უნდა უყვარდეს! სიყვარული, წმინდა სიყვარული კაცის პირველი ღირსებაა. ყოველ კაცს თავისი გემო აქვს: ზოგს ყვავილები უყვარს, ზოგს ლიმონის ხეები, ზოგს ცხენები და ამ სათნო კაცს ძაღლები უყვარდა, ვითომ რაო,რა საკითხავი იყო?... მაგრამ ბულვარის მეჭორეები ხომ ვერაოდეს უჭოროთ ვერ გასძლებდნენ და იყო ბულვარში ამ მლოცველ კაცზე მუდამ სიცილი და ხარხარი.

კარგა ხანია მას უკან, ათი, თუ ხუთმეტი წელიწადი იქნება, რუსეთიდგან ერთი ახალგაზდა ყმაწვილი ჩამოვიდა. რასაკვირველია, იმას თავის ჩვეულება ჰქონდა, მარხვას არ ინახავდა და საყდარშიაც ძვირათ დადიოდა. ორი კვირა არ გამოსულა, რომ ბულვარის მეჭორეებს ერთი ამბავი და დავი-დარაბა ჰქონდათ: რაო?... ვინაო?... რა უქნიაო?... კითხულობდა ერთი.—ქვეყანა დეიქცა, არა წმინდება მოვიდა, აღარაფერს აღარ ზოგავენ ჩვენში!... კაცები კი არა, წმინდათ პირუტყვები შევიქენით!—დიდის აღელვებით ლაპარაკობდა მეორე. გ.—ს ხორცი უჭამია.... გ... საყდარში არ დადის... გ. მლვდელს ხელზე არ ჰკოცნის, როცა შეხვდება!... დედა, დედა, დედა!!... ქვეყანა მალე დეიქცევა, მეორეთ მოსვლა მოვა, ბატონო!... მალე მოვა!—„მაგი კიდო არაფელი! მე რომ ვიცი, იგი რომ შეიტყო, სუნთლათ წვერს გამოიგლეჯავ!“— იტყოდა მესამე.

— რა იყო, რაო, რა ამბავია?...

— რა ამბავია და გ... დაქცევა და დამხობა!!...

— გვითხარი, შე კაცო, რა არის, ქვეყანა ხომ არ დაქცეულა! შეჰყვირებდენ სხვა მეჭორეები.

— რა და, დიდ ხუჩაფათს გ... წევიდა და ურიებთან სადილი ჭამა!!...

— უჰ! უჰ! ჯ! დეიქცა, ბატონო, ქვეყანა, დეიქცა!—იყვირებდენ მეჭორეები და მეორე დღეს მთელს ქუთაისში ხალხი ერთმანეთს ჰკითხავდა: მართლა გაურიავდა?..

— კი, ხახამს მოუქცევია თავის რჯულზე—იტყოდა ერთი.

— ხახამს კი არა, თავისით წასულაო ხახამთან და უთქვამს, თქვენს რჯულზე მომნათლეთო.—იტყოდა მეორე.

— არა, ურიებს დოუჭერიათ ლამეში, შინ წოუყვანიათ, იქ გოუხდიათ და წინა-დაცვეთა გოუკეთებიათ.

სხვები იტყოდენ.

რომელიც უფრო ყმაწვილი იქნებოდა, ის იტყოდა,—წინადაცვეთა რა არისო? სხვანი შეჰყვირებდენ:—წინადაცვეთა არ იცი, შეუბედურო, რა არის!—რა არის და ურიის რჯულზე მოუნათლავსთ!.. ყველანი ერთ ხმით დაიწყებდენ ლაპარაკს. მერმე გავარდებოდა ხმა: „გაურიავდა, გაურიავდა, გაურიავდაო“!

ამისთანა ჭორები ძალიან ბევრი დადიოდა უწინ ქუთაისში იმ ახალგაზრდა კაცზე.

მაგრამ ყველაზე უფრო მხიარულათ ერთ გვარი ხალხი ატარებდა დროებას. ამ ხალხს ეძახოდენ საზოგადოთ ლოთებსა და იყვნენ

პარტიებათ დაყოფილნი: იყვნენ მწვანე ყვავილის ლოთები, ბალახოვანის ლოთები, სლაბოტკელებისა და რუას ღელის ლოთები. ისინი თითქმის მთელი დღე ქვეფში და ღვინის სმაში გაერთობოდენ. ამათი მოქმედების და ბრძოლის ასპარეზი იყო სამი კუთხე: ერთი მწვანე-ყვავილა, მშვენიერი მთა გორიანი ადგილი ქუთაისისა, სადაც ჩინებული წყაროა და ბალები. მწვანე-ყვავილას ამ ადგილს იმიტომ ეძახიან, რომ თებერვლიდგან მოკიდებული ზამთრამდის აქ ყველაფერი ამწვანებულია და ყვავის. ბალახოვანი არის მშვენიერი ჭალა რიონის პირზე, ქუთაისის საძხრით მდებარე. აქ ბევრი კაკლებია და ბალახოვანიც იმიტომ ჰქვია, რომ იქ მუდამ სქელი ბალახი მოდის. სლაბოტკაც ცოლ-შვილიანი სალდათების ადგილ-სამყოფელია. ამ ადგილებში ბინადრობდენ უწინ სხვა და სხვა პარტია ლოთებისა, რომელნიც ხშირად განილაშქრებდნენ ხოლმე ერთი ერთმანეთზე; ისიც რისთვის?—„მშვენიერებისათვის“. ასე ეძახდნენ ლოთები, თუ სადმე საიმათო ლამაზს ქალს შენიშნავდნენ.

ამ ლოთების პარტიებს ჰყავდათ თავის მოწინავე კაცები: ესენი ასრულებდენ გზირების მოვალეობას. ისინი ცდილობდენ ხოლმე შეეტყოთ, მოწინააღმდეგე პარტიაში რა ამბავია: უეცრად გავარდებოდა ხმა, რომ აი, ამა და ამ ლოთების პარტიას „მზეთ-უნახავი“ გასჩენიათო. მაშინვე მეორე პარტია განემზადებოდა თავზე დასაცემათ, რომ ის მზეთ-უნახავი მოეტაცნათ. დაარჩევდენ ძალიან მარჯვე ბიჭებს თვის შორის, შეიარაღდებოდენ კეტებით და განელაშქრებოდენ ბალახოვანისკენ.

წარმოიდგინეთ მაისის საღამო. მშვენიერი ამწვანებული რიონის პირზე მდებარე ჭალა. დიდს კაკლის ხეს ქვეშ ფარნებია დაკიდებული. წრე გაუკეთებიათ ლოთებსა, დამსხდარან და მღერიან: „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“ და სხვ. ერთგან ამაღლებული ადგილია. იქ ზის მზეთ-უნახავი, რომელსაც შეტრფის ამდენი ლოთი. თარი, სათარა და ზურნა თავიანთ ხმას შეაერთებენ რიონის ღრიალს და შორს გაისმის „აზარუმ:—აზპანდარუმ“!..

დიდხანს არ გასტანს ეს მხიარულება. იმ არე-მარეზე ღრუბლები გროვდებიან. ჭალის პირს სამკუთხით მოადგენ მეორე პარტიის ლოთები; ისინი დაიმუხლისთავებენ და ისე ეპარებიან იმ ალაგას, საცა ლხინია გამართული. ეს მანევრი იმ განძრახვით მოახდინა ლოთების ჯარმა, რომ სწრაფათ დაეცეს თავზე და მალე გაიმარჯოს. მეოთხედს საათს შემდეგ კაკლის ხეს ქვეშ უეცრად დაბნელდება, შეიქმნება ცემა-ტყეპა, კეტების ტრიალი და ბევრს თავს გადაფხრეწენ:

შეიქმნა მწარე, ძლიერი ომი,
ვითა ნადირსა მშიერი ლომი,
ეკვეთა ლოთებს ლოთების ჯარი
და რაონს ერთვის სისხლისა ღვარი.

ბოლოს მოგებულნი დარჩებიან მიმხდომნი. მზეთ-უნახავს წამოიყვანენ და წამოვლენ. მერე ამ ლოთების პარტიას გამოუდგება მესამე პარტია და ამ სახით იყო ხოლმე თან ცემა-ტყეპა თან მხიარულება, ეს იყო შვიდი რვა წლის წინათ. მაშინდელი ამბავი რომ თვალწინ წარმოიდგინო, ახლა ქუთაისს ვეღარ იცნობ. ის უდარდელი მხიარულება აღარ არის. ბულვარში მხოლოდ დაფიქრებულს სახეებს ჰხედავთ. ყველა თავის ფიქრშია გართული და არავის აღარ ექეიფება. ყველა გრძნობს, რომ ცხოვრების მოვალეობა თვითონ უნდა იტვირთოს, მაგრამ როგორ, ან რა ღონისძიებით?—ეს სწორეთ ძალიან დასაფიქრებელი კითხვაა და არც არის გასამტყუნარი იმერეთის ხალხი, თუ ამჟამად ამისთანა ფიქრშია ჩაღრმავებული და თუ ბურთაობა, ლხინი, თამაში ძვირათ აგონდება. იქაური მოხუცებულნი ლაპარაკობენ: „სულ წახდა დრო; ხალხი აღარ იმღერის, აღარ ქეიფობს: ალბათ რაღაც აუტანელი გაჭირება დაადგა, რომ აღარ ემღერებათო“. ამაზე მე ვიტყვი, რომ მართალია დრო გამოიცვალა, მაგრამ საუკეთესოთ და არა საუარესოთ. ის უდარდელი მხიარულება აღარ არის, მაგრამ აღარც ხალხია ისე ყმაწვილი, რომ უწინდულათ იცეკვოს და იმხიარულოს. ეს მდგომარეობა მომაგონებს საზოგადოთ კაცის ცხოვრებას. როდესაც კაცი ჯერ კიდევ ბავშვია, ის სულ თამაშობს და შექცევაშია. იმას დარდი არ აწუხებს, თუ ხვალ რა ვსჭამოვო. გათენდება თუ არა, გამდელი საუზმეს მოუმზადებს პაწაწინას, კარგა ლაზათიანათ გააძღობს და შემდეგ ისევ წავა მინდორში თავის ამხანაგებთან სათამაშოთ. როდესაც ეს ყმაწვილი დავაჟკაცდება და ოჯახის მზრუნველობა თავზედ დააწვება, როდესაც შეიტყობს, რომ ყოველი იმისი ლუკმა საზრუნველი და სათავცემოა, მაშინ, რასაკვირველია, სათამაშოთ ვეღარ დაიწყებს სიარულს თავის ტოლსა და ამხანაგებში, იწყებს საზრდოს მოპოებას და, თუ კარგი გამრჯელი და ყაირათის კაცია, იქნება თავის დღეში ერთხელაც ვეღარ გამხიარულდეს.

ამ შემთხვევაში იმერეთის ხალხის ცხოვრებაც ეგრეთია. უწინ, როდესაც უფრო ყმაწვილი იყო და ყველაფერი უზრუნველათ ჰქონდა, მომეტებულს ნაწილს თავის ცხოვრებისას სულ შექცევაში და ლხინში ატარებდა. ახლა ის გონებით გაიზარდა. ოჯახობა თავზე

დააწვა. წინათ რომ ორი კაპეიკი ყოფნიდა, ახლა ოთხიც აღარ ყოფნის და ისიც თუ თავის ოფლით არ იშოვნა, სხვისგან ნუ მოელის. მოდი და, როცა ამისთანა მდგომარეობაში ხარ ჩავარდნილი, ნუ იქნები ჩაფიქრებული და მოწყენილი. მაგრამ ეს მოწყენა ცხოვრების წინ წაწევას ნიშნავს. რამდენათაც დიდი კაცი წინ არის თავის მოთხოვნილებით და ცხოვრებით პატარაზე, ეგოდნათ ახლანდელი იმერეთის ხალხი წინ არის თავის ცხოვრებით და გონების გახსნით უწინდელზე.

განქრენ დღენი შვებისა,
როს მზად მქონდა სიამე,
დღენი სიტკბოებისა,
კეკლუცთ მქონდა სია მე.

თუმცა ეს შვების დღეები და კეკლუცთ სია გრძნობიერების მხრით სასიამოვნო იყო, მაგრამ ცხოვრებისთვის კი დამღუპველი იყო; ამ მდგომარეობაში ნივთიერებითაც და ზნეობითაც ბევრი ძალა ეკარგებოდა ხალხს. ის ორივე მხრით სიღარიბეში ვარდება. მადლობა ღმერთს, რომ ამ უდარდელ მდგომარეობიდგან თანდათან გამოდის; მაგრამ სანამდის ახალი ცხოვრება თავის წრეში არ ჩადგება და თავის გზას არ გაიკვლევს, მოწყენის გუშაგი მაინც არ მოსცილდება იმერეთის ცის კამარას.

ერთს ჩემს მეგობარს შევხვდი ქუთაისს და იმან ბევრი საინტერესო ამბავი შითხრა ახლანდელს, ჯერ კიდევ დაუწყობელს ცხოვრებაზე. ყველაზე სასურველი ის არისო, რომ რაც შეიძლება მალე ჩასდგეს თავის კალაპოტში ახალი დამოკიდებულება ბატონებსა და მშრომელს ხალხს შორის. როგორც იმან მიამბო, ჯერ კიდევ დიდი ცილობა აქვთ უწინდელს ყმებსა და ბატონებს ერთმანეთში. ძალიან ცოტაა იმისთანა მებატონე, რომ ერთ ალაგას ჰქონდეს მამული მოგროვებული; უფრო ხშირათ დაწყვეტილ-დაწყვეტილია: აქ რომ ორი ან სამი კომლი უსახლობს, სამ მთას გადაღმა სხვა გლეხები ასახლია. კიდევ იმავე მებატონესი. ჭირნახულის მოწევის დროს, ვიდრე იმ ორს გლეხს გამოართმევდეს იმდენს, რამდენიც კანონით გადაჭრილი აქვს, სამ მთას გადაღმა გლეხებმა მოასწრეს კიდეც ჭირნახულის მოკრეფა და დამალეს. მებატონე მიდის და სთხოვს გლეხს თავის ნაწილს. ის ეუბნება: „რა ვქნა, შენი ჭირიმე, მარცვალი სიმინდი არ მომსვლიაო“.—წადი და ეძებე. მართლაც ვერას უნახავ. ამ სახით არის მუდამ დავიდარაბა და ჩხუბი უწინდელს ყმებსა და ბატონებს შუა. ამ ნაირი მდგომარეობა კიდევ უფრო აძნელებს ცხოვრებას და აგდებს დიდს შურს ორივე მხარეს შუა. ამისთანა გაუთავებელ დავი-

დარაბიდგან გამოსვლა მეტად საჭიროა იმერეთის ხალხის კეთილ-მდგომარეობისათვის. უამისოთ იმის მოსვენება ძნელათ მოხდება. ამ შემთხვევაში დიდი და პატარა ამას უნდა ცდილობდეს, რომ როგორმე ბეჯით საფუძველზედ დაამყარონ ურთი-ერთნი დამოკიდებულებანი, ისე რომ სადავიდარაბოთ საქმე აღარ გახდეს. ბეჯითი საფუძველი კი ის იქნება, როდესაც მებატონეები ფულზე გადუჭრიან გლეხებს იმათ ვალდებულებას. ეს გლეხისთვისაც კარგი იქნება, იმიტომ რომ ეცოდინება, რამდენი უნდა მისცეს მებატონეს თავის ვადაზე. წელიწადში ერთხელ მისცემს, მორჩება და მოისვენებს. მებატონეებისთვის ხომ ათასჯერ უფრო სასარგებლო იქნება, ფულით გაურიგდეს გლეხსა, ამისთვის რომ იმას წინათვე ეცოდინება თავის შემოსავალი და ამისდა გვარათ მოაწყობს თავის ცხოვრებასაც. ამას გარდა, დავიდარაბითაც აღარ იქნება გატანჯული, როგორც ახლა არის. ამ ჟამათ მებატონეს თითქმის მთელი თავისუფალი დრო გლეხთან დავაში ეკარგება: სულ იმის ფიქრშია, როგორ უნდა მოვიქცე, რომ ერთი მარცვალიც არ დამეკარგოს იქიდგან, რაც გლეხმა კანონით უნდა მომცესო. როდესაც ფულით გაურიგდება, მაშინ ამ ფიქრისაგან სრულიად მოსვენებული იქმნება. მაშასადამე რაც მებატონეს თავისუფალი დრო ექნება, ყველას სხვა რაიმე სასარგებლო საქმეს მოანდომებს და ამრიგათ ოჯახობაში მალე წამოიწყობს ხელსა.

თამბაქოს მოქმედება კაცის სხეულზე

კაცმა რომ აიღოს რამდენიმე ფოთოლი თამბაქოსა, დაფშვნას და ჩაყლაპოს, ან არა, წყალში ჩაყაროს და იმის წვენი დალიოს, ცოტა ხანს შემდეგ იმას მოუვლის საშინელი სისუსტე და ფეხზე ვეღარ დადგება; ჯდომაც ვეღარ შეეძლება და მეტი ღონე არა აქვს, უნდა წამოწვეს, ამისთვის რომ თავბრუ დაესხმება, თვალები აერევა და მანჭვა-გრეხასაც მოჰყვება. ამ სახით მოწამლულს კაცს რომ დააკვირდეთ შევნიშნავთ, რომ კანი გაცივებული აქვს, მაჯა დასუსტებული აქვს, შუბლზე და ტანზე ცივი ოფლი დაასხამს, მძიმეთ სუნთქავს, ახრიალებს, თვალის კაკლები გაუდიდდება, კუჭი ასტკივდება საშინლათ, დააწყებინებს საქმეებას წინ და უკან. რასაკვირველია, ამ გვარი ავადმყოფი დიდხანს აღარ იცოცხლებს, სახსრები გაუშეშდება და მოკვდება.

ახლა ვთქვათ, ბევრი არა, მაგრამ ძალიან ცოტა თამბაქო ჩაყლაპა იმისთანა კაცმა, რომელსაც თავის დღეში თამბაქო არ მოუწევია. რასაკვირველია, იმასაც ეგრეთვე ნიშნები გამოაჩნდება, როგორც ზემოთ მოხსენებულს მოწამლულს გვამს, მაგრამ მოკვლით არ მოჰკლავს; მხოლოდ უწინ რომ ტანის სიმთელე ჰქონდა, იმისთანა აღარ ექმნება, იმისი ტანი მოიშლება. მორჩენის შემდეგ რომ კიდეც სცადოს იმდენისავე ჩაყლაპვა, რამდენისაც გამოსცადა, უწინდულათვე შეაქცევს და მორჩენის მერმეთ კიდევ უფრო მოიშლება ტანი. ბოლოს თუ ხშირ-ხშირათ იწყო პატარ-პატარა ზომით თამბაქოს ყლაპვა, შესაძლებელია ტანი ისე მიეჩვიოს თამბაქოს მავნებელს თვისებას, რომ აღარც კი გამოაჩნდეს ზემოხსენებული ნიშნები, მაგრამ ტანი კი ოანდათან დასუსტდება, დამჭლევდება, ბოლოს დამბლა მოუვა და მოკვდება. ვთქვათ თამბაქო არ შეჭამა, მაგრამ იმის ფოთლები იარაზე დაიდვა, მაშინაც იმ გვარათვე მოიწამლება კაცი, როგორც იმის შეჭმით, მაგრამ მოწამვლა მაშინვე კი არ გამოჩნდება, ცოტა ხანს შემდეგ.

როცა კაცი პირველათ დაიწყებს თამბაქოს წევას, მასაც ისეთი ნიშნები გამოაჩნდება, თითქოს მოწამლული იყოს; თავბრუ დაესხმება, ფეხებში სისუსტე მოუვლის, თვალის კაკლები გაუფართოვ-

დება, ზოგს კიდეც ასაქმებს და ნერწყვი უხვად დაუწყებს პირიდან დენას, მაგრამ მალე გაუვლის.

ვინც თამბაქოს სწევას ეჩვევა, თუ იმისთანა ნიშნებს ყურადღებას არ მიაქცევს და დაუწყებს უფრო და უფრო სწევას, რასაკვირველია, სხეული მიეჩვევა და ის ზემოთ მოხსენებული ნიშნები აღარ გამოაჩნდება.

აქედამ სჩანს, რომ თამბაქო მოქმედობს კაცის სხეულზე, როგორც საშინელი საწამლავი. ამის მიზეზი ის არის, რომ თამბაქოში ურევია ერთი საწამლავი ნივთიერება, რომელსაც სწავლულები ეძახიან ნიკოტინსა. ეს სახელი წარმოსდგა ლათინურათ თამბაქოს სახელიდგან. ლათინურათ თამბაქოს დაერქვა ნ ი კ ო ტ ი ნ ი ფრანცუზის ელჩის ნ ი კ ო ს სახელისაგან, რომელიც იყო ელჩათ პორტუღალიაში, მეთექვსმეტეს საუკუნეში და იმან პირველად წარუდგინა ეს მცენარე ფრანციის კაროლევას ეკატერინე მედიჩის. ჟაკ-ნიკოს ეშოვნა ეს მცენარე პორტუღალიელ ვაჭრებისაგან, რომელთაც მოეტანათ ა მ ე რ ი კ ი დ გ ა ნ. ეკატერინე მედიჩიმ და იმისმა შვილმა კარლოს მეცხრემ დაიწყეს სწევა და ამას შემდეგ იმისი სწევა გავრცელდა ფრანციაში და მერე მთელს ევროპაში.

ამ სახით საწამლავსავით თამბაქოს მოქმედება დამოკიდებულია იმასში მყოფ ნ ი კ ო ტ ი ნ ზ ე. შეიძლება კაცმა გამოაცალოს ეს საშინელი შხამი თამბაქოსა. წმინდა ნიკოტინისთანა მძლავრი საწამლავი აქამდის არა იციან რა ქვეყანაზე. ამ საწამლავის ერთი წვეთი რომ ჩაესხას პირში ძაღლს, კატას და ფრინველს რამოდენსამე წამის განმავლობაში მოჰკლავს. კაცზედაც ასე მძლავრათ მოქმედობს ნ ი კ ო ტ ი ნ ი. კაცს ორი წვეთი მოჰკლავს.

ერთი სიტყვით საწამლავებს შორის ნიკოტინი უპირველესია თავისი სწრაფი მოქმედებითა. და დოქტორი ილინსკი ამბობს, რომ მე თვითონ ბევრჯელ მიცდია ცხოველებზე ნიკოტინის მოქმედებაო. ჯერ ცხოველი თითქოს ითრობოდაო; თუ ძალიან მოძრაობაში იყო, ხუთის წამის განმავლობაში მოძრაობა შეუსუსტდებოდა, დაიწყებდაო კვლაკნას, პირიდგან ქაფი წამოუვიდოდა, სულთქმის დროს ახრიალებდაო, ზოგს თვალის კაკლები დაუდიდდებოდაო, ზოგს დაუპატარავდებოდაო, განსაკუთრებით წინა და უკანა ფეხებს ანძრევდა ხოლმე და ბოლოს ოც ან ორმოცდა ათს წამს შემდეგ გაშეშდებოდაო. ძალიან ღონიერი ცხოველი უნდა ყოფილიყო, რომ რამდენსამე მინუტს გასძლებოდაო. მოწამლულს ცხოველებს ენა დაუსქდებოდათ, გვერდებზე გაუშავდებოდათ და შუაში

ნაცრის ფერათ გაუხთებოდათო. ბევრს სხვა სახელოვან დოქტურებსაც გამოუცდია და ისინიც ისე ამბობენ.

კაცზედაც შეუნიშნავთ ერთხელ ამისთანა სურაფი მოწამლვა. ერთმა გრაფმა, სახელათ ბოგარმემ, დაიჭირა გუსტავ ფუნნი და ძალათ ჩაასხა პირში რამდენიმე წვეთი ნიკოტინი. საცოდავი მოწამლული ხუთის მინუტის განმავლობაში მიიცვალა.

თამბაქოში მყოფი საწამლავი ნიკოტინი მოქმედებს პირდაპირ ტვინის ძაფებზე, რომელნიც არიან ტვინში გაბნეულნი; მაგრამ განსაკუთრებით მძლავრი მოქმედება აქვს იმ ტვინის ნაწილზე, რომელიც ერთებს ხირხიმლის ტვინს თავის ტვინთან; ამ ნაწილს ტვინისას ეძახიან სიცოცხლის კავშირს, ამიტომ რომ ძალიან ცოტა რომ ევნოს კაცს ამ ალაგას მაშინვე მოკვდება.

ნიკოტინი ზოგს თამბაქოში ცოტაა და ზოგში ბევრი, მაგრამ საზოგადოთ შეუნიშნავთ, რომ ამერიკელ თამბაქოში უფრო ბევრია, ვიდრე სხვა ქვეყნისაში.

თამბაქოს ხმარობენ სამ გვარათ: უფრო ბევრი სწევს ან პაპიროსებათ, ან სიგარათ და ან ჩიბუხით; მოხუცებულნი იყრიან ცხვირში ბურნუთად გაკეთებულსა და ზოგნი ღეჭვენ, როგორც კევსა, იმ განზრახვით, რომ სურავანდისაგან თავი დაიცვან.

რომელნიც ჭკუით ბევრს შრომობენ, ისინი ამტკიცებენ, რომ თამბაქოს სწევა გონებას ამშვიდებს და აზრს აძლევს ბეჯითს მსვლელობასო. მაგრამ საქმე ეს არის, ვინც მთელი დღე აბრას აკეთებს და ტყუილა ყოფნით მოწყენილია, ისიც ამტკიცებს, რომ თამბაქო ჯავრსა ართმევს კაცსა და ქეიფს მოჰგვრისო. ვინც ბურნუთად ხმარობს თამბაქოს, ის იძახის რომ მხედველობას უმატებსო. ან ერთს ვერ დაუჯერებს კაცი ან მეორესა.

მოსაწევ თამბაქოსა ქარხნებში აკეთებენ; რასში მდგომარეობს თამბაქოს კეთება?—იმაში, რომ კარგს სუნს მისცემენ, გააცლიან ბევრს ნიკოტინსა, რომელიც არის მავნებელი ნაწილი. თამბაქოში ზოგი იმისთანა ნივთიერებაა, რომ როცა იწვის, ცუდი სუნიანი კომლი ადის. ფაბრიკაში გარეცხით გააცლიან ამ ნივთიერებას და შემდეგ ფოთლებს ერთად დააგროვებენ, რომ ცოტათ მოლპეს და გახმეს. დანიშნულს დროს შემდეგ ფოთლები გადაირჩევა და მერე დაუწყებენ სხვა და სხვა ნივთიერებით შეკაზმას, რომელსაც ეტყვიან სოუსსა. აი, როგორ აკეთებენ ამ სოუსს. წყალში შეაზავებენ მარილს, ნიშადურს, ჩაის, ყავას, ფრანც-ვეინს, ვანილს, საბურს, ლიმონის წვენს მიხაკს და სხვ. ამისთანა სოუსში ან ამოავლებენ თამბაქოს ფოთლებსა, ან გარეცხენ იმითა; ამას შემდეგ თამბაქოს ჰყრიან ბოჭკებში,

სადაც ის დაიწყებს დუღილს; რამდენიმე ხნის შემდეგ თამბაქოს ამოიღებენ იქიდგან და სჭრიან წმინდათ, თუ რომ მოსასწევათ უნდათ, თუ არა და შეახვევენ და ციგარათ აკეთებენ; სხვა და სხვა ქარხნებში სულ სხვა და სხვა რიგს სოუსს აკეთებენ, და ამის გამო სხვა და სხვა გემო და სუნი აქვს ხოლმე თამბაქოს.

ნიკოტინი გაეცლება პირველ დუღილზე ან ლპობაზე და მეორეთ დუღილზე, როცა სოუსში ამოავლებენ ხოლმე ძალიან ბევრი ნიკოტინი სოუსს აქვს და ამის გამო ის იჭერს თამბაქოს სუნსა. თამბაქოს მავნებელი მოქმედება ცხადათ შეინიშნება ხოლმე იმ მუშებზე, რომელნიცა თამბაქოს ქარხნებში მიდიან დასაქირავებლათ. როგორც კი დაიქირავებენ მუშას ქარხანაში, ის მაშინვე დაიწყებს უქეიფობას, აუტყდება თავბრუ, ხველა, გულის-რევა, პირიდან საქმება, ნაწლევების ტკივილი და ზოგჯერ ფაღარათობაც. ამისთანა ნიშნები დიდხანს გასტანს და შემდეგ ან თან-და-თან იკლებს ან უმატებს. შესაძლებელია მუშას კუჭში ან ნაწლავებში და ან გულზე ანთება მოუვიდეს; ავათმყოფ სახეზედ მაშინვე შეატყობ თამბაქოს ქარხანაში ნამყოფს მუშასა. ამას გარდა ზოგს მუშას აუტყდება ხელფეხის თრთოლვა და მომეტებული თავის ტკივილი. ამისგამო საფიქრებელია, რომ მუშას ტვინის ძაფები მოეშლება. ტვინის ძაფების მოშლა უფრო სუსტის აგებულების მუშებს გამოაჩნდებათ ხოლმე და იმათ, რომელნიც უფრო მგრძნობიერნი არიან, მაგალ. ქალებს და ყმაწვილებს.

ყველა ამ გვარი ავადმყოფობა იქიდგან წარმოსდგება, რომ თამბაქოს მავნებელი ნაწილები სისხლში გადადიან. თამბაქოს მუშაობის დროს, როდესაც ერთი ალაგიდან მეორე ალაგზე გადააქვთ ხოლმე ფოთლები, ან როცა გაშლიან ხოლმე თამბაქოსა, მაშინ ადის ჰაერში ძალიან წმინდა ნაფხვენი თამბაქოსი, რომელიც სცვივა თვალში და ტანის კანზე მუშებსა და სულთქმის დროს ჩაჰდის ხოლმე ფილტვებში; ნაფხვენის გამო მუშებს ხშირად თვალები დაუსივდებათ ხოლმე, და უფრო იმათ გამოაჩნდებათ ამ გვარი ავადმყოფობა, რომლებიც სატკბურიანი აგებულებისანი არიან; სხვა მუშებს თვალებზე ნაფხვენისგან ცრემლი სდისთ, თვალს აკლდებათ და ხშირად თვალები ეწვისთ.

ბევრნი სახელგანთქმულნი ექიმები ადევნებდნენ თვალს თამბაქოს ქარხნის მუშებსა და ყველანი ამ აზრისანი არიან, რომ თამბაქოს კეთება ვნებას აძლევს მუშებს და ზემოთ რომ ნიშნები მოვთვალეთ, ისინი ძალიან ხშირად აჩნდებათ იმათ.

სიძვირე და მოქმედება მისი კარგამყოფობაზედ

სიძვირე.—მიზეზი სიძვირისა.—საშუალება სიძვირის მოკვეთისა.

ჩვენ ველით განათლებასა, წარმატებასა; გვგონია დავცდითდასავლეთის ხალხსა; ვეჩქარებით, ვუმატებთ სიარულსა, რომ წამოვეწივნეთ იმათა. გავჩიმეთ ტელეგრაფები, რომელიც ერთ წუთში გვასმენს მთელი ქვეყნის ამბავსა; დავიწყეთ რკინის გზა. ხალხიცა და საქონელიც სწრაფათ მიმავლობენ სხვა და სხვა ქვეყნებში; ვაჭრობა ჩვენი გაიხსნა საქვეყნოდ; საზღვარს გარეთ საქონლის გატანა და იქიდამ მოტანა გავრცელდა. ამ ორმოც-სამოცის წლის წინათ რა იცოდნენ ჩვენთა წინაპართა, რომ განათლების ნაყოფი ასე გავრცელდება ჩვენში და ცხოვრებაც გამოიცვლება.

ამ გვარი ცვლილებების გამო ცხოვრებაში შემოვიდა სხვადასხვა საჭიროებანი, რომელთაც უწინდელ ცხოვრებაში არა გრძნობდნენ. დასაკმაყოფილებლად ამ საჭიროებათა უნდა მომატებოდა იმ გვარ ნივთსა, რომელსაც შესძლებოდა ყოველივე სხვა ნივთის მოპოება, ის უნდა ყოფილიყო ისეთი თვალთმაქცი ნივთი, რომ გვეთქო დაბადე მარგალიტი! დაებადა,—დაბადე ბრილიანტი! დაებადა.

ამ გვარი ნივთი რასაკვირველია იყო ფული და ამის მომატებისათვის გაჰართეს სხვა და სხვა ბანკები, რკინის გზისა და გემის კამპანიები. ფული მოეფინა ზღვასავით მთელს ქვეყანაზედ. ეს ფულის სიმრავლე სხვა ნივთების შედარებით დაბადებს კიდეც სიძვირესა; ფასის აწევა, ანუ უწინდელ ფასებზედ დამატება არის ხალხის ხელში ფულის გამრავლების მიზეზით, თუ არა სხვა-ფერ საიდგან მოუმატებდით ფასსა? ფასი რომ მომატებოდა და ფული კი არა, მაშინ ვერ შევიძლებდით ცხოვრებასა. ახლა ყოველ ნივთსა ვყიდულობთ ერთი ოთხათა-ხუთადა, როგორც ამ ორმოც-სამოცი წლის წინათ ყიდულობდნენ; ამიტომ რომ ახლა რამდენჯერმე მომატებული ფული ტრიალებს ხალხის ხელში. ფულის სიმრავლე, თუ ასეთისავე წარმატებით იმუშავებს, მგონია ამ ორმოცის წლის შემდეგ ჩვენი შთამომავალთ ბედნიერად მივაჩნდეთ, რომ ჩვენ ახლა ერთ თუნგ კახურ ღვინოში ხუთს მანეთს ვაძლევთ და ბატკანში სამს მანეთსა.

ომების დროს სიძვირეს უფრო ემატება, რადგანაც მაშინ, საშუადამოთ, მშრომელი ხალხიც შოცდენილია თავიანთის ყასარგებლო საქმისაგან. ამ დროს რა ნივთებსაც ეს ხალხი გააკეთებდა, იმას სრულებით აკლდება: საერთოდ ცხოვრებისათვის საჭირო ნივთებსა ადვილათ ველარ შოულობენ და ჩნდება საშინელი სიძვირე. მაშინ თხოვნა ამ ნივთებისა ძალიან დიდია, და, რომ ვერა შოულობენ საკმაოთა, ვისაც შეუძლიან, მომატებულის მიცემით ისრულებს თავის საჭიროებასა და ვისაც არა—რჩება ისე. ეს სიძვირე, რასაკვირველია, აწვება მხოლოდ დაბალს ხალხსა, რომელიც დღიურს მუშაობით გამოდის და მეორე, რომელსაც გადაწყვეტილი ჯამაგირი აქვს; თორემ იმას, რომელიც, არამც თუ დიდის განცხრომითა სცხოვრობს, ათასსა და ათი ათას თუმნებს უკუ აგდებს, იმას რა ეჭირს?

ამას გარდა სიძვირესა შველის განცხრომა, მდიდრათ ცხოვრება, ამიტომ რომ ჰბადებს იმისთანა ნივთებსა, რომელიც ცხოვრებისათვის საჭირონი არ არიან. მაგალითად: მდიდარს უყვარს ოქროს ნივთების მოპოება, უყვარს ძვირფასი თვლები: მარგალიტი, იაგუნდი, ზურმუხტი, ალმასი და მრავალი ამისთანა ძვირფასეულობა, რომელიც მხოლოდ მორთულობისათვის არის გამოსადეგი და სხვა არაფრისთვის. ეს ნივთები კუჭს ვერ გააძღობს და კაცსაც არაფერში არგია, მაშასადამე ვინც მარტო ამ ნივთებით ვაჭრობს, ის კუჭის გასაძღომ შრომას არ ეწევა და ტყუილა მყოფობით უმატებს ხალხის სიღარიბეს; რამდენათაც უფრო გამრავლდებიან მდიდრები, რომელთაც უყვართ თვალ-მარგალიტი, იმდენათ ამ გვარი ნივთების გამკეთებლებიც ძალიანა მრავლდებიან და ხდებიან საზოგადოებისთვის აგრეთვე გამოუდეგარნი ისე, როგორც იმათი გაკეთებული ნივთები, რადგანაც განცხრომის ნივთები ადვილი სამუშაოები არიან და ფასიც მომეტებული აქვსთ, ამიტომ ესენი ანებებენ თავს სასარგებლო ნივთების კეთებასა, რომელნიც ამის მიზეზით ხალხში საკმაოთ აღარ არიან და ფასიც ემატებათ. განცხრომას მოსდევს ვალიცა, რომელიც ფასებს უმატებს საშინლათ.

როდესაც ხალხში შემოდის განცხრომა და არა აქვსთ საკუთარი ღონე თავიანთის მეუცილებლის საჭიროების დაკმაყოფილებისა, მაშინ ვალს იღებენ და წადილს ისე ისრულებენ. ეს ვალი ამღებს ხომ ისრულებითა ღუპავს, მაგრამ სიძვირესაც-კი ხელს უწყობს; ვალით ნასყიდი საქონელი ერთი ორად უჯდებათ და ამიტომ ბოლოს ველარც შეუძლიანთ მიცემა. როდესაც ვაჭარი ვალითა ჰყიდულობს საქონელსა, მაშინ გამყიდავი ფასს უმატებს, ზოგჯერ მანეთზე ათ შაურსა და ხუთ შაურზედ ნაკლებს კი აღარა, ამიტომ რომ სრულე-

ბით დარწმუნებული არ არის, რომ მიიღებს თავის ფულსა; და რადგანაც ვაჭარს ასე ძვირათა აქვს ნაყიდი, ხალხზედაც ძვირათ უნდა გაჰყიდოს.

ვალი გარდა ამისა აკეთებს ტყუილს ფულსა, რომელიც სრულებით ფული არ არის, მაგრამ ფულათ კი მიიღებენ და ამიტომ ხალხის ხელში ნამდვილს ფულს კიდევ ემატება ტყუილი ფული და ფულის სიმრავლე ჰბადებს მომატებულს სიძვირესა. ტყუილ ფულს ჩვენ ვეძახით ყოველ გვარ ქაღალდზედ ნაწერ პირობებსა: თამასუქსა, ვექსილსა, ასიგნაცსა და სხვ. ამ გვარი პირობაების წერილებიარამც თუ სასარგებლონი არიან, ღუპავენ ხალხსა: დიდის სარგებლით ავიღე ასი თუმანი ვექსილითა და აქავე წავაგე ქაღალდში; რა ვქენი?—ასის თუმნის მაგიერად გავხადე ორასი თუმანი, რომლისაგანაც ორსავეს სარგებელი შეაქვს, ვექსილს ცალკე, და ფულს ც ლკე, და ამითი ხალხის ხელში მიუმატე ფული, რომელიც ფასებს უმატებს.

ასიგნაცები თუმცა ცოტა სარგებელს ეწევიან, რადგანაც მოვალე მდიდარი და ნამდვილი არ არის, მაგრამ ესენიც კი ფასებს ძალიან უმატებენ: ასიგნაცების დასახურდავებლად თეთრსა სესხულობენ სხვა სახელმწიფოსაგან და ამის სარგებლის მისაცემათ საქონელზედ ბაჟის ფულს უმატებენ, რომლის გამო ფასებიც ემატებათ და ჩნდება სიძვირე.

ვალი ჩემის ფიქრით არის მემრისინდელი მოსავლისა წლეულსავე შეჭმა. ვისაც ფული არა ჰქვს და ჰყიდულობს ნივთებს ნისიათა, იმან, რასაკვირველია, ვალი უნდა მისცეს შემდეგის მოსავლიდგანა; ანუ ვინც რამდენიმე ხნის ჯამაგირს პირველათვე აიღებს, იმან შემდეგის სამსახურით უნდა გადაიხადოს ვალი.

ზოგი იტყვის: მაშ უვალობა როგორ იქმნებაო? უვალობა ხელის გაუმართაობა არისო. და თუ ერთმანეთს ხელი არ გაუმართოთ, როგორ ვიცხოვროთო? მეც ვიტყვი ხელის გაუმართაობა იქნება, მაგრამ იმ გვარი პირი უნდა გამართო, რომელსაც შეეძლოს ხელის გამართვის მაგიერობა. რა ხელის გამართვა არის ზოგისათვის, რომელიც მამულებს პრიკაზში აგირავებს და იქიდგან აღებულს ფულებს განცხრომის გზაზედა ჰფანტამს. ზოგი კიდევ რამდენიმე წლის გამოსავალს წინადღითვე ჰყიდის, ნეტავი ნახევარ ფასად მაინცა, მეათედათა და ვალს სიცოცხლეში რომ ვერ იხდის, უშვებს მომავალ პირზედ გადასახდელათა. ფული არა აქვს,—ნურც მიჰყვება დიდს ცხოვრებასა. რა მინდაო, რომ წამომიჭიმავენ დიდრონ მაღაზიებსა ვალითა და ბოლოს კოტრდებიან, არა აქვს ფული,—წავიდეს იმსახუროს; არ არის სამსახური – იმუშაოს,—უშველოს სასარგებლო და საჭირო

ნივთების გაკეთებასა; ეს არა სჯობია, ვიდრე ჯიბეში ხელები ჩაუწყვია და ბოლთასა სცემს განათლებულ მაღაზიაში და ბოლოს ვალსაც აღარ აძლევს იმასა, რომელსაც თავისი ქონება სრულებით იმისათვის მიუცია და ახლა ცოლითა და შვილით უბედურდება. მაშინ მაღაზიას გახსნის იმისთანა კაცი, რომელსაც შეძლება ექნება და რომელიც უფულო კაცზედ იაფათაც იყიდის და იაფათაც გაჰყიდის. მაშინ არც ასეთი სიძვირე იქმნება.

ახლა ვნახოთ ომსა, განცხრომასა და ვალს როგორი მოქმედება აქვს საზოგადო კარგა მყოფობაზედა.

ომის დროს საავადმყოფოები იმსება სასიკვდილე იარებიანის ხალხითა, რომელთაგანაც ზოგი ერთი თუმცა რჩება, მაგრამ დამახინჯებულია. გაკეთება ველარაფრისა შეუძლიან და ხდება საზოგადოების შესანახავი. ომში დახოცილებს შეეძლოთ ეკეთებინათ საჭირო ნივთები და ამითი დაებადნათ სიაფე; მაგრამ ახლა ამის მაგიერათ ჩნდება საშინელი სიძვირე. რადგანაც ამოდენი ხალხი დიდს ხანს იყო მოცდენილი ამ გვარ უსარგებლო საქმეზედა და ზოგნი კიდევ სრულებით საკულაოთაც მოაკლდნენ საზოგადოებასა უდროვო სიკვდილითა, რომლებზედაც საზოგადოებას ჰქონდა დიდი შრომა და ხარჯი, ვიდრე ამათ აღზრდიდა და მოამზადებდა სასარგებლო შრომისათვის. ამას გარდა ყველამ იცის, როგორ დაუნანებლივ ყოველი ფერს მოუკიდებენ ხოლმე ომის დროს ცეცხლსა: პურსა, სახლებსა, საქონელსა და მთელ ქალაქებსა. ცხადია ამისგან საშინელი სიძვირე უნდა წარმოსდგეს. კაცი მხოლოდ მაშინ არის კარგათა, როდესაც იცვამს თბილითა და წმინდათა, კარგათა საზრდოობს, სცხოვრობს თბილსა და წმინდა სახლში. ომის დროს ეს ყოველი ნაკლებათა და ძვირათ არის, ასე რომ, თუ არ დიდის ფასით, კაცი ვერ იშოვნის. დიდი ფასის მიცემა ყველას არ შეუძლიან და დიდი ნაწილი საზოგადოებისა სცხოვრობს ამ ყოველივე საჭიროების ნაკლულევანებაში და ჰხდება ავათა. ავათ მყოფი სულ ბზასა თხოულობს, რომელიც უფრო ძვირდება. ავათმყოფობა შველის სიძვირესა და სიძვირე ავათმყოფობასა, და ამ გვარათ კლავი კლავში გაყრილნი მიდიან ბოლომდინ.

არც განცხრომა არის ნაკლები ჭირი საზოგადოებისთვის. ყველამ იცის, რომ ვინც განცხრომას მისდევს, ის არამც თუ ვარგა ღა საზოგადოების შრომისათვისა, თავის თავისათვისაც უვარგისია არის სნეული, გაქსუებული საქმისგანა და ნახევარ წილზედ წამლების ძალითა ახანხალებს სიცოცხლესა. ამას გარდა განცხრომას მოსდევს გადა უწყვეტელი ვალები, რომლისაგანაც იბადება ბოლო მოუღებელი

დავები. როდესაც კაცი განცხრომასა და უსაქმობას არის დაჩვეული, მაშინ იპარავს და ავაზაკობს და ისე ისრულებს წადილსა. დავებისა და ავაზაკობის გასარჩევლად არ ვეწევით ამოდენი სასამართლოების ხარჯსა?

ჩვენ გამოვიკვლიეთ სიძვირე და შევიტყეთ, რომ ამ საშინელი საზოგადო სენის მიზეზი არის ომი, განცხრომა და ამათგან დაბადებული ვალი. მაშასადამე ეს უკანასკნელი მიზეზები რომ მოვსპოთ მაშინ აღარც სიძვირე იქმნება და ხალხიც კეთილათ იცხოვრებს.

მეტყვიან: რას ამბობ? ომსა და განცხრომას ყოველთვის წარმატება შემოუტანიათ საზოგადოებაშიო და ესენი რომ მოვსპოთ, წარმატებაც ხომ აღარ იქნებაო. სულაც არა! ომს თუმცა წარმატება შემოუტანია უწინდელს დროში, მაგრამ ახლა დაღუპვის მეტი არა შემოაქვს რა. უწინ, თუ არ ომით, სხვა მხარეში შესვლა არ შეიძლებოდა და თუმცა ამ ომში ბევრს ხალხსაც და ქონებასაც ჰკარგავდნენ, მაგრამ სარგებელი ეს იყო, რომ იმ მხრის განათლება მოჰქონდათ შინა და იქაცა ვრცელდებოდა. ახლა ყოველს მხარეში შესვლა ადვილია და დაუშლელი და ომის საშინელი ვნება რაღათ უნდა გავწიოთ? განცხრომას კი თავის დღეში ვნების მეტი სარგებლობა არა ჰქონია რა. განა საზოგადოებისთვის განცხრომის მიმყოლი, სუსტი და სნეული ხალხი არის საჭირო? არა! საზოგადოება უნდა შესდგებოდეს სულ ღონიერი, გონიერი და შრომის-მოყვარე ხალხთაგან. რაც ომებზედ, განცხრომაზედ, ვალის სარგებელზედ, დავებისა და ავაზაკობის განხილვაზედ ფული და შრომა მიდის, იმისი ნახევარი რომ საზოგადოთ სასარგებლო შრომაზედ მოვიხმაროთ, მაშინ იმდენს ცხოვრებისათვის საჭირო ნივთებს და სიმდიდრესა შევყრიდით, რომ ყოველი სიაფეში და სიკმაყოფილეში იცხოვრებდა. მაშინ აღარც დავები, აღარც ავაზაკობა, აღარც ქურდობა და კაცის კვლა იქნებოდა!

საპოლიტიკო და საზოგადო მდგომარეობა სერბიისა

I

ივნისის 10-ში, ბელგრადში ხმა იყო პრინცი ნაპოლეონის მოსვლისა სერბიის სატახტო ქალაქში. მიხეილი III, ორბენის ძე სერბიის მფლობელი, ემზადებოდა დიდებით მიგებებოდა სახელოვან სტუმარსა, რომლისაგანაც სურდა გაეგო რამ სასიამოვნო სერბიისათვის. 12 საათს შემდეგ შეიარა თავის ბიძის ქალთან ანნა კონსტანტინის ასულთან და იმის ქალთან, რომლებიც წამოიყვანა თანა და წავიდნენ ერთს პატარა ტყეში, რომელსაც ჰქვია ტოპჩიდერე. თან მხლებელნი მაგთენი არავინა ჰყვანდა: თითონ ეჭირა ხელში მხოლოდ წკეპლა და იმის ადუნტანტს ეკრა ხმალი. ესენი ორად გაიყვნენ და რომ შევიდნენ ტყის შუაგულში, ამ დროს გამოჩნდნენ რაღაც საეჭო ხალხნი. ორმა მოუარა მიხეილს მარცხნით და ერთმა მარჯვნით; მეოთხე, რომელსაც იცნობდა თავადი, დაიმალა ტყეში. ამათ ჯერ პატივი სცეს მიხეილსა და თავი დაუკრეს, მაგრამ როდესაც ამან მიიხედა მარჯვნივ, მარცხნივიდგან ესროლეს რევოლვერი და დასჭრეს ზურგში; შემდეგ გახშირდა სროლა და დაიწყეს ხოცვა. ანნა მივარდა ერთს მკვლელსა, მაგრამ დაეცა მკვდარი. იმისი ქალი დასჭრეს კისერში ორ ალაგას და შუცელში; მაგრამ მაინც გამოიქცა და მიენდო ერთს გლეხ კაცს მკლავზედ. მკვლელები მისცვივდნენ დახოცილებს გაცოფებულნი და ძალიან დაასახიჩრეს, ასე რომ ძვალიც კი მთელი არ დააგდეს.

მიხეილი მოჰკლეს ყარა-გიორგის ალექსანდრეს განზრახებულთა, რომელთაც სურდათ ორბენის შვილების ამოწყვეტა. პირობა ჰქონდათ შეკრული მიხეილის მოკვლაზედ ალექსანდრეს ცოლსა პერსიდასა, ძმებსა, სიძეებს და იმის მომხრეებს. მოკვლის ამბავი რომ შეიტყო ხალხმა და იმისი გარემოება, მაშინვე მოითხოვა, რომ ყარაგიორგის გვაროვნობა გაჰყარონ იმ მხარიდგან და საყდრიდგან. მართლადაც სამღვდელოებამ საუცხოოდ აასრულა ეს თხოვნა და დაწყევლა ყარა-გიორგის ჩამომავლობა გროცკოში.

სამხედრო მინისტრმა, მილავოი ბლაზნოვატმა რამდენიმე საათში დაიჭირა მკვლელების მოთავენი; ვინც უნდა ყოფილიყო, თუნდა

დიდი თანამდებობის პატრონი, მაშინვე აჭერინებდა და მხარეს მისცა სამხედრო მდგომარეობა; დანიშნა ხალხის ყრილობა ერთს თვეზედ, და ჯარს უთხრა ამოირჩიონ მიხეილის მემკვიდრე. აღმოჩნდნენ რამდენიმე მთხოვნელნი.

აქ იყო ყარა-გიორგის გვარისანი, რომელთაგანიც მიახწევდნენ თავიანთ წადილსა, ეს დრო რომ არა ყოფილიყო, ამიტომ რომ ამითი წინაპირი იყო პირველი დამწყები განთავისუფლებაზედ, ომის დამწყები და მხარეშიაც კარგი ნათესაობა ჰყვანდათ. მაგრამ ახლა კი ბელგრადში რომ ხელში ჩაეგდოთ ესენი, სახრჩობელს უფრო მალე იშოვნიდნენ ვიდრე ტახტსა. წამოაყენეს აგრეთვე ნიკიტა ჩერნოგორიის თავადი. ამ თავადების ქალი მიხეილმა მონათლა 1864-ში და ამ დროდგან სულ ფიქრობდა ხალხი სერბიისა და ჩერნოგორიის შეერთებასა.

მიხეილის ცოლი იულია ფიქრობდა რეგენტობაზედ, როგორც მზრუნველი ბიძაშვილისა, მაგრამ თითონ ქმართანაც ნაჩხუბი იყო, რადგანაც ეჭვი ჰქონდა ანნა კონსტანტინის ასულზედ, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მიხეილზედაც და მმართებლობაზედაც, და ხალხიც კარგის თვალით არ უყურებდა, ამიტომ იულიამ ვერა გააწყო რა. რადგანაც რუმინიის პარტიამ წარმოადგინა გოგენცოლერის პრინცი კანდიდატათა, ამიტომ იულიას სწადდა რუსეთთან შეერთება. მაგრამ ღონე მოძრაობის არის დამოკიდებული ხალხის წადილზედ, რომელიც ინსტინკტითა გრძნობს, რომ სრულებით უცხო ხალხთან მინდობა არის თავისი ხელით სიკვდილი. ხალხი გრძნობს, რომ სერბიამ თუ მოინდომა თავიზედ მომეტებული ხალხის ჩაყლაპვა თითონ უწინ ჩაიყლაპება, ამიტომ უფრო, რომ რუმინებსა და სერბებს შორის შუა არაფერი მსგავსება არა არის რა. რუმინები ეჯავრებათ სერბებსა და ეძახიან მშიშრებსა, ცბიერებსა და გაყვნილებსა.

ერთს პარტიას, რომელმაც თავისი მოხერეები იშოვნა ომლადინაში (ახალგაზრდებში), ჰსურდა გაეთავებინა ორბენისა და ყარა-გიორგის ძეთა ჩამომავლობასთან, რომელთაც ერთმანეთში ჰქონდათ შური; აგრეთვე ყოველ რუმინიისა, ჩერნაგორიისა და სხვა ყოველი უცხო ქვეყნების წარმომადგენლებთანა ამ პარტიას ჰსურდა ენახა სერბიის რესპუბლიკის თავსმჯდომლად გარეშე ქვეყნების მინისტერი გარაშანინი, რომელსაც ეს თანამდებობა ეჭირა მიხეილის დროსა. ეს იყო ძალიან გამოცდილი და ნიჭიანი კაცი მთელს მხარეში და დიდი გავლენაცა ჰქონდა სერბიაში რეფორმების დროსა.

მაგრამ ჩვენ ჯერ არა ვსთქვიფ, რა არის ომლადინა. რადგანაც სერბიაში არ არის უნივერსიტეტი, ამიტომ იქაური ახალგაზრდები იზდებიან სახელმწიფო ხარჯით სხვა მხრის უნივერსიტეტებში, მომატებით ვენაში, გეიდელბერგში და პარიჟში. ამ ახალგაზრდებს დაუწესებიათ უნივერსიტეტებში თავიანთი კომიტეტები სხვა და სხვა სახელებითა. ამ კომიტეტებს აქვსთ განზრახვა გამართონ თავიანთი მწევრნი მეცნიერებაში და ლიტერატურაში. ესენი ყოველ წელსა ჰბეჭდვენ წიგნებსა, რომელნიც შეიცვენ პატრიოტულს მოთხრობაებსა და მცოდინარობის სტატიებსა, რომელნიც წაუკითხავთ კამიტეტში მთელი წლის განმავლობაში. როდესაც თავიანთ სამშობლოში ბრუნდებიან დათხოვნის დროსა, სერბნი ადგენენ შუაგულის სტუდენტების ასსოციაციასა, ომლადინასა, ახალგაზდობასა. ეს არის კონგრესი, სადაც იშინჯება მთელი წლის შრომა სხვა და სხვა კამიტეტებისა; ამითი, რასაკვირველია, დაიცვება მოაზრობის და შედგენილობის სიმთელე.

ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მომატებული ნაწილი ომლადინისა არიან რესპუბლიკელები. ომლადინა აღტაცებულია სერბიის ყრილობის იდეითა, და ამიტომ ბოლოს დროს გამოიჩინა უკმაყოფილება თავადს მიხეილზედ, რომელსაც ამტყუნებდა სიმძიმეზედ, სისუსტეზედ და გაუბედაობაზედ აღმოსავლეთის საქმეებში; ჯავრობდნენ იმაზედა, რომ იმან მოინდომა სერბიას მისცეს მკვიდრი წყობილობა და არ კი წაიყვანა, ჯერე ნორჩი სახელმწიფო, რაღაცა გმირულს საქმეებზედა.

ყველას აზრი მფლობელობაზედ წახდა; მხოლოდ მიხეილის ძმის წულმა მილან ობრენოვიჩის ძემ მოიგო საქმე. მილანი მიხეილის სიკვდილის უმალსვე ამოირჩივა ჯარმა, რომელსაც ეწოდა ობრენოვიჩი IV. მილანი მიხეილს ჰყვანდა აყვანილი შვილადა და იყო უკანასკნელი წარმომდგენი ობრენოვიჩი ძეთ ჩამომავლობისა; ეს ჩამომავლობა სკუპტშინამ გახადა მეფეთა დინასტიად. მილანი იყო ექვსი კვირის წინ პარიჟის კოლეგიის შეგირდი, როდესაც ამოირჩიეს მფლობელადა. არ ვიცით ახლა როგორია, თორემ ამის წინ ცამეტის წლის ყმაწვილს ჰქონდა გახსნილი პირისახე, სასიამოვნო ხმა და ბავში კეთილშობილი პატრიოტი იყო.

სკუპტშინამ ერთგულის თანახმობით ამოირჩია მილანი და მაშინვე გაუგზავნა დეპუტაცია. არ ვიცი ეშინოდათ თუ არა, მილანს პარიჟიდგანვე ორი ჟანდარმი მოსდევდა მცველად, რომელნიც ყოველ სახელმწიფოში იცვლებოდნენ, ვიდრე ბუხარესტამდინ მოვიდოდა. ახლა ის ნაკურთხიც არის მთავრობაზე. მილანმა დასდო პირო-

ბა გააბედნიეროს თავისი ხალხი, რომლის სიტყვებს დაჰყვა ხალხისაგან დღეგრძელობა და ზარბაზნების სროლა; თავის ბავშურ თავზედ დაიდგა ჯარის წინამძღოლის კასკა და შემოიკრა ხმალი თავის პაპისა მილოშისა.

ყმაწვილი ჩავარდა აღმოსავლეთის საქმეებისა, პარტიებისა, სახლობისა და გვაროვნობის მტრობასა შუა, რომელთაც მიამიზეზეს ამოდენი დანაკლისი. სრულებით არიან ამოწყვეტილნი ყარა-გიორგისა და ნევადის ჩამომავლობა, თუ არა—ამას გამოაჩენს შემდეგი.

II

სერბია მდებარეობს ვენგრიის პირდაპირ, რომლიდგანაც განიყოფება დუნაითა. იმისი ტახტის ქალაქი ბელგრადი სდგას, სადაც ერთდებიან სამი დიდრონი მდინარენი: ტისა, სავა და დუნაია, ავსტრიისა და ოსმალოს ზედ შუა გზაზედ. ზედ გადადის რკინის გზები, რომლებიც მოქმედებენ ადრიატისა და შავი ზღვის შუა. სერბია განიყოფება ორ ნაწილად: ზემო სერბია არის მთიანი, რომელზედაც სდგას ხშირი ტყე; ქვემო სერბიაში არიან მხოლოდ წვრილი გორები, რომელნიც სდის ვაზსა, სიმინდსა და ხორბალსა. შუა ამ ორის ნაწილისა გაჭიმულია მთა შუმიდია; აქ უფრო ძალიან ხშირი და სხვილი ტყე არის, რომელიც ძალიან გამოადგა სერბებს 1814-დგან 1817 თავისუფლებაზედ ომში. აქ „ყოველი ხე“, როგორც ხალხის სიმღერებში ითქმება, „გახდა მაომრად“. ახლა კი ეს ტყე ჰკვებავს მრავალ ღორის ფარებსა, რომელნიც შეადგენს ამ მხრის სიმდიდრესა.

ამ მხარეში მცხოვრებნი არ არიან ხშირნი, ასე რომ რიცხვი მცხოვრებთა 1,200,000 მეტი არ არის. სატახტო ქალაქში, ბელგრადში, სცხოვრებენ 20,000 პირნი. სერბიის სხვა ქალაქები, რიცხვად 38, უფრო სოფელსა ჰგვანან, ვიდრე ქალაქებსა. ყველაზედ დიდს ქალაქში 5.000 მცხოვრები არის, და სხვა ქალაქებში ათასიც სრული არ არის. სერბიის მცხოვრებნი ხალვათად ცხოვრებენ თავიანთ მიწაზედ, რომლისა შემუშავებულია მხოლოდ მერვე ნაწილი.

ეს არის კარგი, რომ სერბიაში მცხოვრებთაგან 85 ნაწილი სულ ერთ ხალხსა და სარწმუნოებას ეკუთვნის. დანარჩენი 15 ნაწილი შესდგება მწყემსები ვალახებისაგან, ბოშებისა, ურიებისა და თათრებისაგანა.

სერბები არიან მართლმადიდებელი სარწმუნოებისა. მიტროპოლიტი და სამი ეპისკოპოზი შეადგენენ სინოდსა, რომელიც ნიშნავს მღვდლებსა, მფლობელის დაკითხვითა. კონსისტორია არჩევს ქორ-

წინებისა და გაშვების საქმეებსა. მიტროპოლიტს, სამს ეპისკოპოზს და 20 დეკანოზს ეძლევათ ჯამაგირი მმართებლობისაგან; მხოლოდ 60 მღვდელი და 120 ბერი ცხოვრებენ საეკლესიო მამულებიდგანა და შემოსავლითა.

იქაურნი მღვდლები უცოდნელები არიან; გარდა ამისა ამაო მორწმუნენი და სმის მიმყოლნი, თავიანთ მრევლსავით, რომელთაგანაც ბისრულით არ ერჩევიან არც სწავლითა და არც ტანთ საცმელითა. სერბიაში მღვდლობა ძალიან ადვილია, ასე რომ ყველას შეუძლიან გახდეს მღვდელათა, თუ წერა და კითხვა იცის. მართლმადიდებლობის ეკკლესია სერბიაში ძალიან მშვიდი არის, და არცა სდევნის სხვა სარწმუნოებასა. აქ მხოლოდ სდევნიან თათრის სარწმუნოებასა, ისიც პოლიტიკურის მიზეზებისა გამო.

სერბიის 100 მცხოვრებზედ 12 მოსწავლე მოდის, როდესაც ფრანციაში ათასში ასი მოსწავლე არის და კიდევ ხალხი არ არის მაგდენად განათლებული. მასწავლებელნიც ცოტანი არიან; მასწავლებელი ქალები ხომ სრულებით არაკი იციან რა არის. იქაურნი ახალგაზდები, როგორც ზევითა ვსთქვით მიდიან უცხო ქვეყნებში სასწავლებლად: ეს ამითი არის კარგი, რომ ახალგაზდები სწავლასთან უცხო ქვეყნის ხალხსა და წესებს ხედვენ თვალითა.

ხალხის განათლებისათვის სერბია ხარჯავს სამ მილლიონამდინ, რომელიც შეადგენს ყოველი შემოსავლის მეათედს ნაწილსა.

რადგანაც ხალხის განათლებას გონებრიულს, ვაჭრობისა და ხელოვნობის წარმატებას კარგათ შევიტყობთ, როდესაც დავთვლით მინაწერსა და მიღებულს წიგნებსა, ამიტომ ვნახოთ ეს საქმე როგორ არის სერბიაში. 1856-ში, სერბიის კანტორებში გაიარა 100,000-მა წიგნმა, მხოლოდ 1863-ში 444,000-მა, მაგრამ მაინც თითო მცხოვრებზედ ნახევარ წიგნზედ მეტი არ მოდის, რომელიც თექვსმეტჯერ ნაკლებია, ვიდრე ფრანციაში. ფრანციაც ამ მხრივ უკანა სდგას, რომელსაც ძალიან სჯობნიან ანგლია და ამერიკა.

სასამართლოებში ირჩევა ყოველ წელს 2,000 უგოლოვნის, და 24,000 სამოქალაქო საქმე; ასე რომ ახლა 4% ხალხისა დავაში არიან.

რადგანაც სერბიაში ქორწინება არ აძლევთ მომატებულს ხარჯსა და არც მომატებული ეკკლესიის ცერემონიები უნდა, ამიტომ იქ ნაბიჭვრები ხუთჯერ ნაკლებნი არიან, ვიდრე ფრანციაში. შვილების ხოცვა სრულებით არ იციან რა არის. თავის-მოკვლაც ცოტა არის, წელიწადში 200-მდინ, რომელიც აგრეთვე მოწმობს, რომ სერბიაში ჯერ ცივილიზაცია არ გავრცელებულა.

III

სუმმა საქონლისა, რომელიც გააქვსთ სამძღვარ გარეთა და იქიდამ შემოაქვთ, არის წელიწადში სამოც მილიონამდე. გასატანი საგნებისაგანნი არიან მხოლოდ ღორი, რქიანი საქონელი და პური. ხელოსნობა სრულებით არ არის გავრცელებული, ასე რომ თუმცა სერბიაში წყლები უხვათ არის, მაგრამ საფქვავი სამძღვარ გარეთ გააქვთ წისქვილებში; გარდა ამისა, თუმცა აქ ბევრი ტყეები არის და სახერხი ზაოდებიცა, მაგრამ მაინც ხე-ტყე ავსტრიიდგან მოაქვსთ. ავსტრიიდგან აგრეთვე სხვა ზაოდის ნივთები და ხორაგიც მოდის სერბიაში. სერბიის ხელოსნობისა და ვაჭრობის შუაგული არის ვენაში და ამიტომ სერბები არ უნდა ემდურებოდნენ ავსტრიის გავლენასა მათზედ, ვიდრე იქედამ მოაქვთ ფიცრები, ფქვილი, ქონი, ერბო, ძმარი, ცელები დანები, ლურსმებიც კი.

დამოუნებსა და სხვა ალმაცერა ხარჯებსა შემოაქვსთ ნახევარი სახელმწიფოს შემოსავლისა და მეორე ნახევარი შემოდის პირ და პირი ხარჯითა. უწინ ოსმალები ადებდნენ მრავალ წვრილ-წვრილ ხარჯსა და ეს უთავბოლო წვრილი ხარჯი უფრო აწუხებდა ხალხსა, ვიდრე ამათი მთელი სუმმის ერთად გადახდა. მერე მილოშამ ხარჯი შეაერთა და დაადო თითო ქალაქსა და სოფელსა ერთად, რომელიც მერე ჰყოფს თითო კომლზე და პირზედ, ვისაც რამდენი შეუძლია. მილოშამ ამითი მოიპოვა სახალხო სახელი. ამასთან გადასწყვიტეს უმეტესი ხარჯი, ასე რომ ქალაქ ადგილში 80 ფრანკზე მეტი, სოფელში 40 ფრ. და ბელგრადში 160 ფრანკისა არავის არ უნდა შამოეტანა.

საერთოდ რომ ვიანგარიშოთ სერბიაში სულზე მოდის 16 ფრანკი (ხუთ შაურიანს უდრის), საბერძნეთში ორი ამოდენი მოდის და ფრანციაში 80 ფრ. ეს ამიტომ რომ ფრანციაში ცივილიზაცია (კეთილმდგომარეობა) ძალიან ძვირათა ჯდება, რადგანაც იმის ნაყოფი ისყიდება, როგორც ნაპოლეონ III-ს ჰსურს.

თორმეტის მილლიონიდგან, რომელიც ადის სერბიის ხარჯათა, 540,000 ფრანკი ინიშნება საზოგადო შენობებისთვისა. ეს ძალიან ცოტა არის იმ მხარისთვისა, სადაც ჯერ რიგიანი გზებიც არ არის და ყოველი უნდა გაკეთდეს სულ ხელახლად.

სასახლის სახარჯოდ არის მიცემული თითქმის იმდენი, რამოდენსაც ხარჯვენ საზოგადო შენობებისთვისა, 500,000 ფრანკსა. ეს ძალიან მეტია ასე პატარა სახელმწიფოსთვისა. ორბენოვიჩები ძალიან მდიდრები არიან; მიხეილის ქონება სერბიაში და რუმინიაში

დაფასდა ორმოცდა ათს მილლიონად; მაშასადამე შეიძლებოდა კარგა შეემოკლებინათ სასახლის ხარჯი.

შემდეგ ოსმალეთს აძლევენ წელიწადში ხარჯად 500,000 ფრ. გარდა ამისა პოლიტიკურ აგენტებზე და დიპლომატებზედ ხარჯვენ აგრეთვე 500.000 ფრანკსა, რომლებიც შეიძლებოდა კარგა შეემოკლებინათ.

ჯარის შენახვა ინდომებს სამ მილლიონსა. ფრანციის არმია ამოდენსა ხარჯავს ორ დღეში. რადგანაც დაჩვეულნი ვართ ევროპის ჯარების დიდრონ ხარჯვასა, ჩვენ ეს სერბიის ხარჯი მცირედ მიგვაჩნია; მაგრამ ეს შეადგენს მეოთხედს, მთელს მეოთხედს სახელმწიფოს შემოსავლისა სერბიაში. ამითი ინახება კორპუსი, რომელიც შესდგება 3,400 სალდათისაგან. მაგრამ ამ რიცხვის გასინჯვით ჩვენ ვერ შევარდგენთ სრულს აზრს სერბიის ჯაროსნობისასა და ღონისასა. ას ორმოცდა ათი ათასი კაცი დაიარაღებულია მზრუნველი მმართებლობისაგან და, თუ საჭირო იქნება, მეექვსედი მცხოვრებთა დადგება ბაირაღ ქვეშ, რომლითაც შესდგება 200 ათასი კაცი. პირველს მხედრობის ძალას სერბიისას შეარდგენს სახალხო მილიცია, როგორც შვეიცარიის რესპუბლიკაში. ყოველი მოქალაქე დაიარაღებულია, ყოველი მოქალაქე მაომარია. ყოველი მოქალაქე ზრუნავს თავის სამშობლო ქვეყნის უშიმშილობისთვის და თავისუფლებისათვის. ყოველი სერბი—ოცი წლიდგან ორმოცდა ათ წლამდე—ჩაწერილი არის მილიციაში, გარდა, რასაკვირველია, სამღვდელოსა და უძლურებისა პირველის ჯურით მოდის სამსახურში მეოთხედი ნაწილი ყველა მოქალაქისა, რომელნიც არიან შეტანილნი მილიციის სიებში.

ოსმალოს უზენაესი მთავრობა სთხოვს სერბიას მხოლოდ ხარჯსა. ამ გვარი კანონით მორჩილება ოსმალოსი არაფერია. საქმით კი სერბია თავის უფალია: ამიტომაც სერბიას მიუღია სახე კონსტიტუციური სახელმწიფოსა, რომელზედაც უზენაესი მთავრობა აქვს თავადის ჩამომავლობასა, რომელთაცა აქვთ უფლება მეფობისა; მხოლოდ მართვა ხალხისა არის პასუხის მგებელი მინისტრების შუამავლობითა.

უფლება მეფისა არის შემომიჯნული სკუპტშინის უფლებითა; სკუპტშინა შესდგება მხარის წარმომდგენთაგან და სენატისაგან, რომელსა აქვს მნიშვნელობა მმართებლობის რჩევისა. სენატში წევრები არიან ჩვიდმეტნი, რომელთაც მეფე არჩევს მაღალი ხალხიდგანა და, თუ უნდა, გადააყენებს სამსახურიდგან პენციითა.

სკუპტშინისათვის არჩევენ ერთს დეპუტატს 2,000 ხარჯის მძლეველზედ. უწინ ამასა ჰქონდა მინდობილი განხილვა კანონებისა და ამისი პირველად წარმოთქმა. საჭირო იყო სკუპტშინის დამტკიცება

ყოველს დიდი მნიშვნელობიანს საზოგადო საქმეში. ამასთანავე არც მაგრე ძალიან აწუხებდა მეფესა, ამიტომ სკუპტშინის ყრილობა ყოველთვის მოხდებოდა ხოლმე სამ წელიწადში ერთხელ და ამიტომ, უნდოდათ თუ არა, უთუოთ უნდა დაემტკიცებინათ ისა, რასაც გაევლო.

მაგრამ უკანასკნელმა შემთხვევამ სერბიის დაწყობილება ძირიანათ შესცვალა. რომ მოგროვდა სკუპტშინა უკანასკნელი მეფის აღმოსარჩევლად, პატარა მილანი ყველას ამჯობინა და მაშინვე დააწესა, რომ დღეის იქით სკუპტშინა უნდა მოგროვდეს ყოველ წელიწადსა. ამ გადაწყვეტილების აზრი ეს არის: „დღეის იქით მხარე უნდა იმართვოდეს თითონ“. თითქო სკუპტშინას ჰსურდაო, რომ უფრო სიცხადე მისცეს ამ ცვლილებას, ამიტომ მოუმატა: „სერბიაში უნდა შევიტანოთ კონსტიტუციის რიგიო“. იქედამა სჩანს, რომ თუმცა ლაპარაკობდნენ, მაგრამ კონსტიტუციის რიგი იქ აქამდინ არ ყოფილა.

რადგანაც სერბიაში არ არის განყოფილება საზოგადოებისა რამდენიმე წოდებად, ამიტომ აქ არც ერთმანეთის მძულვარეობა და განყოფილება არის, როგორც გერმანიაში, ფრანციაში და ანგლიაში. ყოველ კვირაობით კმეტი მიდის და ჯდება სოფლის დიდი ხის ძირში; (ამას აქვს მნიშვნელობა ქოქალაქების დეპუტაციისა და მიროვოი სუდისა.) კმეტი ჯდება სკუპის (სამოქალაქო კრების) შუაზე, რომლის გარეშემო იმართებიან მამასახლისები, ამათ შემდეგ ოჯახის თავნი და მერე ახალგაზდები, რომლებიც ყრილობის ყურის გდებას რჩეულობენ, ვიდრე იმასა, რომ ცოტა მოშორებით ითამაშონ სოფლის გოგოებთანა. „ჩემნო ძმანო, ამბობს კმეტი, მეფემ გვიბძანა ჩვენ რომ გითხრათ თქვენ ესა და ესა; გსურთ თქვენ ესა, თუ არა?“ — „ჰო ანუ არა, ჩვენ, გვსურს რომ იყოს ასე ანუ ისე...“ ისმის კრებიდგან. ამ გვარადვე არის ხოლმე დეპუტატების ამორჩევა სკუპტშინაში. აი ოქროს საუკუნე პოლიტიკურის ცხოვრებისა: უფლება და ხალხი ჯერ ისევ ერთმანეთში არიან არეულნი.

IV

ერთი სლავიანის ტომთაგანი, რომელიც სცხოვრობდა ელბის ნაპირებზედ და ჩრდილოეთის ზღვის პირებში, საბერძნეთის იმპერატორმა ერეკლემ მოიწვივა ამ აზრით, რომ დაასახლოს საბერძნეთის ჩრდილოით, რომელიც აკლებული იყო ავარებისაგან.

ყველაზე უფრო შესანიშნავი მეფე სერბიისა იყო დუშანი (1333—1356); ამ მაომარმა კაროლმა იომა გამარჯვებით თესალიაზედ, მაკედონიაზე, ფრანციაზე, ალბანიაზე და აკარნანიაზედ. ბოსნია მოეთვალა იმის მპყრობელობასა, ბოლგარია აძლევდა ხარჯსა. რაგუზამ მიიღო იმისი მფარველობა. იმის სახელმწიფოს სამზღვრები იყო

არხიპელაგი, შავი ზღვა, დუნაი, სავა და ადრიატის ზღვა. აკლდა მხოლოდ ისა, რომ დაემარცხებინა კონსტანტინეპოლი, რომლის ჯარიც დაუმარცხებელიც არ გადურჩა. დუშანი მიდიოდა კონსტანტინეპოლზე, მაგრამ, როგორც თორმეტ მილზე მიახწია, ამ დროს კიდეც გააცხელა საშინლად და გარდაიცვალა რამდენიმე დღის შემდეგ. იმისი ჯარი დაბრუნდა დაღონებული და წამოიღო თან თავისი ვაჟკაცი. ჯერ დუშანს თვალები არ დაეხუჭნა, რომ იმისმა წინამძღოლებმა შეხედეს ერთმანეთს და შესძახეს: ვინ უნდა გახდეს კოროლადაო?

დუშანის დროს წარმოგვიდგენენ, როგორც საუკეთესო დროებას სერბიის ისტორიისას, მაგრამ ჩვენ არა ვართ თანამგრძნობელი მაომარი, დამმონავებელი, და მებატონე სერბიისა. ჩვენა გვგონია, რომ სერბია თვითონვე დაეცემოდა ცუდი შინაურის დაწესებაებისაგანა, რომელიც მოხდა დუშანის დროსა. ეს დუშანისგან დადგენილი მებატონეები შესჭამდნენ ერთმანეთს უკანასკნელს სახელმწუფოს დაცემამდე, ეს კეთილშობილნი გასჭყლეტდნენ გლეხებს და გაასწორებდნენ მიწასთან.

ლაპარაკობდნენ დუშანის მემკვიდრეების სისუსტესა და უხერხოობასა; მაგრამ დანაშაული კი უფრო მებატონე ბარონებისა არის. ოცდა ათი წლის შემდეგ იმისა, როდესაც დამმარცხებელი სერბიის ჯარი იდგა კონსტანტინეპოლის სიახლოვესა, ოცდა ათის წლის შემდეგ სერბიელებს დაეცნენ თავიანთ საკუთარს სამშობლოში და დაამარცხეს კოსსოვოს ომში, რომელსაც სერბიის პატრიოტები (მამულის მოყვარენი) აქამდის იგონებენ ყოველს წლივ შავებითა. ხუთი საუკუნის მონაობა იყო ნაყოფი კოსსოვის დამარცხებისა. ამ უბედურების წარმოდგენაზე ჩვენ უნდა მოვიგონოთ სივაჟკაცე და გონების სიმახვილე მურად I, რომელიც იყო დამმარცხებელი ოცდა ცხრამეტს ომში. მაგრამ არც ის უნდა გაუშვათ აზრიდგან, რომ სერბია მაშინ იყო დაღლილი მაღალი წოდების შეწუხებისგან, იმათი დაუმორჩილებლობისაგან, რომლებიც არ ემორჩილებოდენ კაროლსა და ფიქრობდნენუფრო თავიანთი ქონებისთვისა, ვიდრე ოსმალებთან ომსა.

ჩვენი აზრით დუშანის მეომრებამ და გამარჯვებამ პოლიტიკური სიმკვიდრე კი არ შეადგინა, იმან მოამზადა მხოლოდ კოსსოვის დამარცხება, რომლის გამო სერბები გახდნენ მდუმარენი თავიანთ გულში, და ეს გახდა წყაროდ პოეზიისა — გმირული სიმღერებისა და მოკლე ქების ლექსებისა მილოვაზე და მარკზე.

გარდა ამისა ესენი გულმოდგინებით შეუდგნენ მოსპობას იმ გვარი დაწესებაებისა, რომელიც აქამდინ აწუხებდათ და აშფოთებდათ: მიჰყვნენ მოსპობას წვრილი მტარვალებისას, რომელნიც სწოვ-

დნენ სისხლს გლეხებისასა, — ცხოვრების წვენს მხარისასა. საერთო უბედურებამ გაასწორა საზოგადოებათა მაღალ-მდაბლობა ისე, რომ აღარც კი იყო სახსენელად წოდებანი დამარცხებულებისა, რომელნიც შეიქმნენ რეიებად და მხვნელ-მთესველებად. ოსმალოს უფლება სერბებზე იყო უფრო კაცობრიული, ვიდრე ისპანიისა ვესტ-ინდიაში და ანგლიის პოლიტიკა ირლანდიაში. ოსმალოს ისტორია მოგვითხრობს უფრო მცირედ შეცოდებასა და დანაშაულობასა, ვიდრე ისტორია ფრანცუზის საკოროლოსი. მაგრამ რაც კი შეეხება დანაშაულობას, ქრისტიანები და თათრები, ოსმალები და მავრები ერთმნეთს ვერაფერს დააყვედრებენ რას, და ბოროტ მოქმედება ოსმალებისა აგრეთვე მრავალი არის, როგორც აღმაშფოთებელი.

როდესაც იანიჩარების უწყალოება და ფაშებისაგან შეწუხება გადასცდა ყოველს ზომასა, მაშინ სერბები აბუნტდნენ. ბერძნების რევოლუციის (არეე დარეევის) თვრამეტის წლის წინად; სერბების ბუნტი იყო პირველი დაწყობა ოსმალოს იმპერიის განცალცალკევებისა. ერთმა გლეხმა, რომელიც მაშინ იყო ინსურგენტების წინამძღომლად, მალე მიიპყრო გულის ხმა ხალხისა; ეს გლეხი იყო გიორგი, რომელსაც დაარქვეს შავი. როგორც მრავალმა სხვამ, აგრეთვე გიორგიმ გაანება თავი თავის დანგრეულს ქოხსა და გავარდა მთებში. ოსმალის გაცრცვნას რაცხდნენ ისე, როგორც ურჯულოსაგან წართმევას იმ ქონებისას, რომელიც წართმეულია ქრისტიანისაგან. იმათი ლაშქრობა მარჯვედ მიდიოდა. ამ ბუნტში მიიღეს მონაწილეობა ბევრმა ბერძენმა, კროატებმა, სლავონელებმა; ეს ხალხი იყო სულ თავგანწირული, რომელთაც ჰქონდათ მხოლოდ აზრი, რომ შეეწუხებინათ ფაშების ჯარი აბუნტებული ხალხითა. ერთს მშვენიერს დღეს ეს ავაზაკების ბელადი გახდა თავისუფლებაზედ ომის გმირად, მაგრამ რადგანაც გმირობა შავი, ანუ ყარა გიორგისა წარმოსდგებოდა სიმძულვარობისაგან, ამიტომ ამის ხასიათში არ გამოილია ყაჩაღური მოქმედება. 1804-ში ამ ავაზაკობამ მიიღო ხასიათი პოლიტკურის აბუნტებისა; როგორც შეიტყეს სერბებმა, რომ ოსმალების დამარცხება შეიძლებაო, მაშინვე შეუდგნენ ომსა მხეცურის გაშფოთებითა, გასაოცარის გამბედაობითა და გამძლეობითა. მიშარასთან სერბები 8—9 ათასამდინ შეხვდნენ ოსმალეთის კარგა მრავალს ჯარსა, რომელსაც წინ უძღოდა სერასკირი; ამან შეუთვალა ყარა-გიორგის, რომ დადოს თოფ-იარაღი და გაუგზავნოს მას. „მოდი და წაიღეო!"— შეუთვალა ყარა-გიორგიმ, რომელმაც არ იცოდა რომ ეს გამოჩენილი სიტყვები იყო ნათქვამი ლეონიდისაგან. ბოლოს ამან აიღო ბელგრადი და მიიყვანა პორტა იქამდინ, რომ ამათ დაუწყეს მორიგება.

ყარა-გიორგის მომხრეებმა აღმოარჩიეს ის სერბიის მეფედ. მაგრამ 1807 წ.ის დამარცხდა ვიდდინოსთან, რომლის შემდეგ ოსმალეთს დაუთმო მხარის ნაწილი. მერე 1812, რაკი ოსმალო მორიგდა ბუხარესტის პირობაებითა რუსეთთან, ოსმალებს გაეხსნათ, ხელები და იმათი ჯარი ყველგან იმარჯვებდა. სერბებმა დაკარგეს იმედი თავიანთ საქმის კეთილად წარმატებისა; — ეს იმედი ყველაზედ უმეტესად დაეკარგა თითონ ყარა-გიორგისა. ის გაიქცა ავსტრიაში, მერე რუსეთში, სადაც ალექსანდრე იმპერატორმა მიიღო და გენერლობაც უბოძა. 1816-ში გიორგი კიდევ გავიდა სერბიაში, რომ აეშალა ბუნტი, მაგრამ მაშინ აქ პოლიტიკური მოძრაობის თავს მჯდომარე იყო მილოშ ობრენოვიჩი. მილოშა გიორგისავით უბრალო გლეხი მეღორე იყო, რომელმაც მთელს თავის სიცოცხლეში არც წერა იცოდა და არც კითხვა. არავინ იცის რა იყო მიზეზი, რომ ასე სასტიკად სდევნიდა მილოშა უწინდელს დიქტატორსა: არ ვიცი მილოშას სურდა რომ პირველი ადგილი თითონ დარჩენოდა, თუ ეგონა, რომ ჯერ ოსმალებთან აშკარა ომის დრო არ იყო; იქნება ჰსურდა, რომ ჯავრი ამოეყარა თავისის ძმისა, რომელიც ყარა-გიორგიმ თავისის ხელით მოჰკლა. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ მილოშამ—ამ გიორგისავით გმირმა, ავაზაკობითა და კაცის მკვლელობით შეზავებულმა—თითონვე მიუტანა ამბავი ფაშასა, რომ მოსულაო მერევოლუციე (ამრევ-დამრევი); გარდა ამისა გაგზავნა კაცი მასპინძელთანა, რომელსაც დაემალა გავარდნილი, რომ იმან მოიტანოს, „ან გიორგის თავი ან საკუთარი". ამის გამო მასპინძელმა მოსჭრა ცულით თავი წყნარად თავის მძინარე სტუმარსა.

ამის შემდეგ მილოშამ მალე აშალა პატრიოტული ომი, რომელიც რამოდენიმე ცვლილების შემდეგ გათავდა იმითა, რომ ოსმალები გაყარეს მთიანი ადგილებიდან, ტყეებიდგან და სოფლებიდგან; მაგრამ ციხეები ძნელი ასაღები იყო. შემდეგ ადრიატის პირობით, 1829-ში, ეს ციხეები შეიქმნენ ოსმალების საკუთრებად. ეს ციხეების მფლობელობა იყო ის საგანი,რომელიც შეიცავდა ამ მოალე დროის წინად მთელს სერბიის საქმესა. ამგვარი შეიარაღებული ჯარი, რასაკვირველია, ავნებდა სერბიის თავისუფლებასა და მიკხეილმა თავს იდვა ეს საქმე და გამოიტანა ნება სერბიის ციხეების დაცლისა; ამ საქმეს უშველა იმან, რომ 1862 ოსმალოს კამენდატმა ბელგრადის ციხიდგან დაიწყო ქალაქში ზარბაზნების სროლა, რაღაცა პოლიციური საქმისა გამო.

მაგრამ მიუბრუნდეთ ისევ მილოშას. მილოშას ეჭირა სერბია რკინის ხელითა და მართვიდა ისეთის უფლებითა, რომლისაგანაც

შეეშინდებოდა უკეთეს ფაშასა. მაგრამ ხალხს მაინც უყვარდა ვაჟკაცობისა და ყოჩაღობის გამო, რომელიც დაამტკიცა ორს ომში თავისუფლებისათვის. გულკეთილ სერბებს მოსწონდათ ისიცა, რომ იმათი მეფე უწინ მეღორეთ ყოფილიყო.

ბოლოს სერბიამ რომ ნახა ნებივრობა მილოშასი გადავიდა წრესა, 1835-ში მოსთხოვა კონსტიტუცია. მილოშამ ამას ყური არ შიუგდო. უკმაყოფილება გავრცელდა, ასე რომ ერთს აღშფოთებაში გარდასვეს მილოშა თავისის ღირსებიდგან, სწორედ ისე, როგორც ერთი ფაშა. იმის ადგილს დასვეს შვილი იმისი მილანი, მაგრამ ის მალე მოკვდა, და მეორეთ ლასვეს მიხეილი მეორე შვილი მილოშასი. მიხეილი ჯერ ძალიან პატარა იყო და მამას სრულებით ემორჩილებოდა. ბუნტი ასტყდა უფრო დიდის ძალითა და 1842-ში ობრენოვიჩები გაყარა ალექსანდრემა, შვილმა ყარა-გიორგისამა, რომელიც აქამდი სწავლობდა რუსეთში. ახალმა თავადმა არც არა შეცვალა რა და პორტასაც ძალიან ეფერებოდა, რომ ტახტი დაემტკიცებინა თა ₾ს ჩამომავლობისათვის; ამიტომ ხალხი გადუდგა იმას კიდეცა. გარდა ამისა 1858 წ. ბებერმა მილოშამ გააგდო ალექსანდრე ყარა-გიორგის ძე; მაგრამ უფლება მილოშისა არ იყო ხანგრძლივი, რადგანაც მოკვდა 1860-ში, არავინ იცის რამდენის წლისა.

მილოშაც ცდილობდა, რომ სერბიის ტახტი დაემკვიდრებინა პორტას იმის გვარზე, მაგრამ იმან უარჰყო. შემდეგ სკუპტშინამ დაამტკიცა მიხეილი III და იმისი ჩამომავლობა ტახტზედ. მიხეილმა თორმეტის წლის განმავლობაში, როდესაც იყო გაგდებული ხელმწიფობიდგან, ბევრი ჭკვა მოიპოვა; კონსტიტუცია სასარგებლოთ შერაცხა თვითონ მეფისათვისაცა და ხალხისათვისაცა. ის ხელს უმართავდა თავისუფალს მოძრაობასა სერბიაში; შესაძლვრა ორჭოფი უფლება ოსმალოსი. ცოტაც რომ დასცალებოდა, მიხეილი მოსპობდა სრულებით მხოლოდ სახელად მყოფს უფლებას ოსმალოსას სერბიაზე და აღარც მისცემდა ხარჯსა. მაგრამ ეს გონიერი თავადი მოჰკლეს უდროოთ.

ბუნების კარი

(საკითხავი წიგნი მდაბალს კლასებში სახმარებელი, შედგენილი გოგებაშვილიდგან)

კარგი აზრი კარგი გონების ნაყოფია, კარგი გონება, კარგი ჭკუისა და კარგი ჭკუა—განათლებისა. მაშასადამე, რამდენათაც ხალხი განათლებულია იმდენად უფრო კარგი აზრი მუშაობს იმის ცხოვრებაში. ახლა ყველამ იცის, რომ კარგი აზრი და საქმის დამყარება საზოგადოებაში იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი კაცი თანაუგრძნობს ამ საქმეს და ამ აზრს. ათასში ასმა კაცმა რომ სთქვას მუხას ვაშლი ასხიაო, და ათმა:—არა ვაშლი კი არა რკო ასხიაო, თუმცა ეს მეორე აზრი უფრო მართალი იქნება, მაგრამ საზოგადოება მაინც ასი კაცის მხარეს უფრო დაიჭერს, ვიდრე ათი კაცისას. ათასმა კაცმა რომ სთქვას: არა ელია ქვეყნის გამკეთებელიაო, ეს უკანასკნელი მართალიც რომ იყოს, მაინც ათასი მტყუანი კაცის ხმა გადაამეტებს ათის მართალი კაცის ხმასა და ელიას უეჭველია დაახრჩობენ. აქედგან სჩანს, რომ კარგს საქმეს რამდენათაც უფრო ბევრი მომხრე ეყოლება საზოგადოებაში, იმდენათ უფრო მალე ასრულდება ისა. მაშასადამე, პირველი და უკანასკნელი ღონის ძიება იმაზე უნდა იყოს მიპყრობილი, რომ კარგი საქმის მომხრენი საზოგადოებაში გაამრავლოს, ხოლო საუკეთესო საშუალება ამისთვის არის აღზრდა საზოგადოებისა. ამ შემთხვევაში მით უფრო მადლობელი უნდა ვიყოთ იმისა, ვინც ამ აღზრდას ხელს შეუწყობს. ამისთვის ჩვენი გულითადი მადლობა და პატივისცემა უნდა მიიქცეს უფ. გოგებაშვილისადმი, რომელმაც გვაჩუქა ყოვლად შესანიშნავი საკითხავი წიგნი, ქართველი ახალგაზრდობის დამყენებელი სწავლის გზაზე. მაგრამ ვიდრე დაბოლოვებით წარმოვთქვამდეთ ჩვენს აზრს ამ ძვირფასს წიგნზე, სჯობია, გამოვკრიფოთ ზოგიერთი ალაგი თვითონ ავტორის წინასიტყვაობიდგან:

„ჩვენი საზოგადოება ერთგულათ ცდილობს, რომ, სხვათა შორის, ყმაწვილების უგუნური აღზრდით თავისი უცოდინარობა დაამტკიცოს. იმას აქამდის ხეირიანად ვერ შეუგნია, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამშობლო ენის სწავლებას ყმაწვილის გახსნაში. პედაგო-

ლიის აკსიომაა (ცხადი ჭეშმარიტება), რომ ბავშმა პირველათ თავისი ენა უნდა ისწავლოს, თუ დედ-მამას ამის გონების სწორე გახსნა უნდა. ჩვენი საზოგადოება სრულიად ამის წინააღმდეგს ღაღადებს: ყმაწვილი ქართული ენის სწავლას მერმეც მოესწრებაო. ეს სწორეთ იმას ჰგავს, რომ სახლის შენება ვინმემ ბანიდგან დაიწყოს და ამბობდეს, საძირკვლის ჩაგდება მერე შეიძლებაო. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ეს ჰაზრი კარგი განძრახვიდგან იბადება: ჩვენ საზოგადოებას მოუთმენლათ უნდა, რომ ყმაწვილობამ მალე შეისწავლოს რუსული ენა. ამაზედ კანონიერი და მშვენიერი სურვილი ძნელათღა იქნება. მაგრამ ეს მოუთმენლობა საქმეს ბევრით აფუჭებს. უბრალო მაგალითით ავხსნით ამას. ჩვილ ბავშვს ჯერ დედის რძით ზრდიან, რათა? ამიტომ, რომ იმის სუსტ და ნორჩ ბუნებას მძიმე საჭმელის ატანა არ შეუძლიან. დედ-მამამ რომ ბავშვს მაშინვე მძიმე საჭმლის ძლევა დაუწყოს, რა წარმოსდგება აქედან? ყმაწვილი დასნეულდება და იქნება თანაც გადაჭყვეს. ესავე უნდა ვსთქვათ ყმაწვილის სულიერ მხარეზედ. ბავშვის გონება კარგი ხანი ნორჩი და სუსტია; იმას შეუძლიან აიტანოს მხოლოდ მსუბუქი შრომა. როცა ამ გვარი შრომით გონება გაიღვიძებს და შემაგრდება, მაშინ მძიმე შრომის ატანასაც შეიძლებს. ეს არის ბუნების კანონი და დაუსჯელად არ დარჩება ის ვინც ამას ეწინააღმდეგება. თავის ენა ყმაწვილისთვის ადვილი სასწავლებელია, ამით უნდა ისაზდოვოს და გაიხსნას გონება. შემდეგ ყველა უცხო ენას ადვილათ მიხვდება და ჩქარა შეისწავლის. თუ ყმაწვილს გონება თავის ენაზედ გახსნილი არა აქვს, უცხო ენის სწავლაში მეტათ ბევრს ეწვალება, როდესაც ბევრს დაკარგავს და გვარიანათაც ვერ შეისწავლის. მალ-მალ გვესმის მშობელთაგან შკოლებზედ სამდურავი: მასწავლებლები ცუდი არიან და ჩვენი შვილები რუსულს გვარიანათ ვერა სწავლობენ და გაუხსნელნი გამოდიანო. მაგრამ ეს შკოლების ბრალი არ არის. თვითონ დედ-მამაა დამნაშავე. ესენი თავის შვილებზედ შკოლაში მიცემამდის სრულიად არ ზრუნვენ, არა ცდილობენ, რომ შინ ყმაწვილს თავისი ენა კარგათ ასწავლონ, გონება გაუხსნან და შკოლაში მომზადებული მისცენ. სასწავლებელში შესვლის დროს რომ ყმაწვილმა თავისი ენა გვარიანათ იცოდეს, რუსულს ორჯერ უფრო ადრე შეითვისებს. საკვირველია, რომ ეს უბრალო ჭეშმარიტება ჩვენ საზოგადოებას აქამდინ ვერ შეუგნია.

თქვენ გსურთ, რომ ყმაწვილმა შკოლაში მშვენიერი რუსული კითხვა ისწავლოს? მეტად გონიერი სურვილია! მაგრამ თუ ამისი მოწევა ვინდათ, ყმაწვილს ჯერ ქართული კითხვა კარგათ ასწავ-

ლეთ; ის უნდა კითხულობდეს თავისუფლათ, ხმას ამაღლებდეს იმ სიტყვებზედ, რომელთაც უფრო დიდი ძალი აქვთ წინადადებაში, და ადაბლებდეს იმათზედ, რომელთაც მცირე მნიშვნელობა აქვთ. უნდა კარგათ ესმოდეს, რასაც კითხულობს და თავის სიტყვით გიამბობდეთ წიგნში წაკითხულსა,—ყოველ თავის ჰაზრს ცხადათ და თავისუფლათ უნდა ხატავდეს. რომელი ყმაწვილიც შინვე ისწავლის ამ გვარათ ქართულ კითხვას, იმას ძალიან ადვილათ შეუძლიან რუსულ კანონიერ კითხვაში მალე დახელოვნდეს, ამიტომ რომ ის მიხვედრილია თავის ენაზედ, თუ რაში მდგომარეობს კარგი კითხვა.

თქვენ მონდომილნი ხართ, რომ თქვენმა ბავშვმა შკოლაში რუსული ენის გრამმატიკა წმინდათ შეისწავლოს? დიახ, მშვენიერი წადილია! მაგრამ ეს კეთილი სურვილიც მაშინ აგისრულდებათ, როცა ყმაწვილს შინვე კარგათ მიახვედრებთ თავისი ენის გრამმატიკასა. ესევე პედაგოგიის აკსიომაა: ბავშვს თუ თავისი ენის კანონების ცოდნა არა აქვს, უცხო ენის გრამატიკა ჟაზრო საგნათ ეჩვენება და რამდენსამე წელიწადს ეწვალება, მინამ მიხვდებოდეს, თუ რა მეცნიერებაა გრამატიკა. თუ შენ, მკითხველო, ქართული გრამატიკა პატარაობისას არ გისწავლია და პირდაპირ რუსული გრამატიკა აგიღია ხელში, განა ეს არ გჩვენებია საწვალებელ რათმე. რომელიც მასწავლებლებს მოუგონიათ ყმაწვილების სატანჯველად? ყოველი ყმაწვილი უნდა მოელოდეს ამასვე, რომელსაც დედ-მამა თავის ენის კანონებს და ფორმებს ადრევე არ გააცნობს. სულ რომ ცოტა ვსთქვათ, სამჯერ ჩქარა შეისწავლის რუსულ გრამატიკას ის ყმაწვილი, რომელმაც ქართული გრამატიკა იცის, მანამ ისა, რომელმაც არ იცის. ეს ისეთი უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ სულ მცირე ჭკუის ადამიანისთვისაც ცხადი უნდა იყვეს.

თქვენ, რაღა კითხვა უნდა, გსურთ, რომ სასწავლებელში თქვენმა შვილმა საზოგადო გეოგრაფია დაწვრილებით ისწავლოს. თუ ამ გულის წადილის სრული მოწევნა გინდათ, თქვენ ყმაწვილს თავისი სამშობლო ქვეყანა კარგად გააცანით. ეს მით უფრო ადვილია, რომ ეს ცოდნა ყმაწვილებს გაგიჟებითა სურთ. ვინ არ იცის, რომ მშობლებს მოსვენება არა აქვთ ამ გვარ ბავშვების კითხვებიდგანა: ჩვენს იქით რა ქვეყანაა, ვინ ცხოვრობს იქა, რ ოგორი ადგილია? ვინ არ ცის ის ფაქტი, რომ ყმაწვილებს მგზავრი ბა გარეშემო სოფლებში და ქალაქებში საშინლათა ჰსურთ და მოგზაურობის ამბავს ერთგულათ ყურს უგდებენ ხოლმე. თუ დედ-მამა ყმაწვილს ამ სურვილს დაუკმაყოფილებს და თავის სამშობლო ქვეყანას გააცნობს, დარწმუ-

ნებული უნდა იყვეს, რომ საზოგადო გეოგრაფიის შესწავლა იმისთვის მეტად ადვილი საქმე იქნება.

უეჭველია, მონდომილნი ხართ, რომ თქვენი შვილი კაცობრიობის საზოგადო ისტორიის ცოდნაში დახელოვნებული ადვილათ გახდეს და მცოდნე კაცი გამოვიდეს! ამისი ასრულებაც ბევრით დამოკიდებულია საქართველოს ისტორიის სწავლაზედ. ყმაწვილმა უნდა ჯერ თავისი ქვეყნის წარსული ცხოვრება გაიცნას და მერე ადვილად შეისწავლის კაცობრიობის უწინდელს თავგადასავალსა. ესეც ადვილი საქმეა, მხოლოდ წადილს მოითხოვს. ყმაწვილებს მოთხრობის სმენა მეტად უყვართ და მალეც იხსომებენ. დედ-მამამ უნდა ეს ბავშვის მიდრეკილება კარგათ მოიხმაროს და საინტერესო მოთხრობით გააცნოს თავისი სამშობლო ქვეყნის უწინდელი ბედი და უბედობა.

ერთი სიტყვით, ვისაც კი ჰსურს, რომ ყმაწვილი გონების გახსნაში და სწავლაში სწორე გზაზე დააყენოს და განათლების მიღება გაუადვილოს, ის უთუოთ უნდა ეცადოს—სწავლა იმ საგნებიდგან დააწყებინოს, რომლებიც ყმაწვილზედ უფრო ახლო არიან, მის გრძნობას იზიდვენ და ადვილათ შეითვისებიან. თვალ-ყურ მგდებელ მასწავლებლებს შეუნიშნავთ, რომ ყმაწვილები, რომლებიც გონიერ მშობლებს შინ კარგა მოუმზადებიათ ქართულ ენაში, რუსულ ენას და საზოგადოთ საგნებს ადვილათ სწავლობენ და უკეთეს მოწაფეებათ ითვლებიან. ჩვენმა საზოგადოებამ ამ მაგალითებს უნდა მიბაძოს, თუ არა სურს, რომ ახალმა თაობამ ბოლოს ცუდათ მოიხსენოს.

„სხვა არა იყვეს რა, წიგნები არ არის ქართულ ენაზედ, რომ კაცი სწავლას შეუდგეს“,—იტყვის ზოგიერთი. ეს ტყუილია. ქართული ენა მართალია ღარიბია წიგნებით, მაგრამ ბეჯითი და მოსურნე ადამიანი თავის სამყოფს კიდევ იპოვნის ძველ და ახალ ენაზედ. თუნდაც ნათქვამი ჰაზრი მართალი იყვეს, მით ჩვენი საზოგადოება თავს ვერ გაიმართლებს. რატომ არ არის აქამდის ქართულ ენაზედ საკმაო წიგნები? ვინ არის ამაში დამნაშავე? თვითონვე ქართული საზოგადოება. ის არ ითხოვს წიგნებსა და იმიტომ ესენიც არ იბადებიან ქვეყანაზედ. ბევრს ყმაწვილ კაცს ჰსურს და ცოდნაც ნებას აძლევს, რომ სხვა და სხვა მეცნიერებაზედ წიგნები შეადგინოს, მაგრამ კითხვა: ვინ მოითხოვს და ვინ მოიგონებს? იმას ხელიდგან კალამს აგდებინებს სამუდამოთ. თქვენ წიგნების მოთხოვნილება გამოაჩინეთ და ისე გლახებიც არ არიან ჩვენი ნასწავლი ყმაწვილები, რომ თქვენი სურვილი არ დააკმაყოფილონ. უიმისოთ წიგნების გამრავლება ქართულ ენაზედ შეუძლებელია.

რა არის მიზეზი, რომ ამ თქვენ წინ მდებარე წიგნმა ქვეყანა იხილა? მოთხოვნილება. ამ გვარ წიგნს ყმაწვილობა საჭიროებს და

მოპოებაც სურთ. მაგრამ ეს მოთხოვნილება ძლიერი არ არის. ყმაწ-ვილებს უფროსები ქართული ენის სიყვარულის მაგალითს არ უჩვენებენ და გარემოებაც მათ ამაზედ არ აბალისებს. მეტაფორულათ რომ ვსთქვათ, ჩვენ ყმაწვილებს სუსტი მადა აქვთ ქართული წიგნების კითხვისა. ამისთანა მადას თუ გემრიელი საჭმელი არ შეხვდა, უყურადღებო დარჩება. ამიტომ ჩვენი ყმაწვილებისათვის შედგენილი წიგნი რამდენათაც სასარგებლო უნდა იყვეს, იმდენათ სასიამოვნო. რომელი საგნები არიან უფრო სასიამოვნო და სასარგებლო ყმაწვილის გონებისათვის?—ბუნება საზოგადოთ და ყოველი, რაც ყმაწვილს გარეშემო არტყია. ყოველი ყმაწვილის კითხვა შეეხება ბუნებას და მის საგნებსა. რითი საზრდოებენ გარეულნი პირუტყვნი, როგორ ატარებენ ცხოვრებასა, სად არიან ის ფრინველნი ზამთარში, რომლებიც ზაფხულში ჩვენ ქვეყანაში სცხოვრებენ, საიდგან წარმოსდგება ქარი, წვიმა, თოვლი, ქუხილი და ელვა,—აი რა კითხვები ებადება ყველაზედ ხშირად ყმაწვილს გონებაში. ამიტომ ნამდვილათ საინტერესო წიგნი ჩვენი ყმაწვილებისათვის უნდა იყვეს ისა, რომელიც შესდგება ბუნების და იმის საგნების აწერიდგან, რომელიც მდაბიურათ ხსნის ბუნების მოვლენაებსა. ეს ჰაზრი გვქონდა ჩვენ სახეში, როცა შევუდექით ამ წიგნის შედგენასა. უმთავრესი მიზანი ამ წიგნისა არის—გაუხსნას ყმაწვილს თანა-გრძნობა ბუნებისა, შეაყვაროს მისი გამოძიება და მისი განხილვა, ერთი სიტყვით უნდა გახდეს ბ უ ნ ე ბ ი ს კ ა რ ა თ ა.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ეს წიგნი თავის დანიშნულებას ყოვლის მხრით ვერ აასრულებს, ამიტომ რომ ნაკლულოვანება ბლომათ აქვს. ჩვენი პლანი ნახევრობითაც ვერ ავასრულეთ, ამიტომ რომ წიგნის შედგენაში მუყაითი შრომა ვერ გავწიეთ; ჩვენ იძულებული ვიყავით ნაწყვეტ-ნაწყვეტათ გვეშრომა და ჯეროვანი გულის ყური ვერ მოვახმარეთ. გარდა ამისა წიგნი თან იწერებოდა და თან იბეჭდებოდა. ამიტომ საზოგადოთ სტატიები ვერ არიან საკმაოდ შემუშავებულნი; ბევრი საჭირო სტატიებიც დააკლდა წიგნსა; აგრეთვე ზოგი სტატიები ნათარგმნია რუსულიდგან, თუმცა უმეტესი ნაწილი ჩვენგნივ არის შედგენილი. სულ უმთავრესი ნაკლულევანება ცხოველების სურათების უქონლობაა.

თავის გასამართლებლათ ჩვენ იმას ვიტყვით, რომ ეხლა სრულიათ შეუძლებელი იყო სურათებით გამოცემა. შემდგომისათვის კი თავდარიგს დავიჭერთ, რომ პეტერბურღიდგან გამოვიწეროთ. ზემოხსენებულმა ნაკლულევანებამ დაბადა მეორე ნაკლულევანებაც: გარეული ცხოველების აგებულება და სახე აღწერილი არ არის. ეს

იმიტომ მოხდა, რომ ამ გვარი აწერა რაც უნდა დაწვრილებით იყოს, რულიად უსარგებლოა, რადგანაც ყმაწვილი ვერ შეიძლებს პირუტ-ყვის ნიშნები ისე შეაერთოს, რომ მთელი სურათი გამოვიდეს, შინა-ური პირუტყვების სახე კი ვრცლად არის ნაჩვენები.

ჩვენ ძველის მოყვარე პირებს ამ წიგნის ენა, რასაკვირველია, არ მოეწონებათ. ესენი სხვა ზომით აფასებენ ენის ღირსებასა: რამ-დენიც ენა ძველი და გაუგებარია, იმდენათ უფრო დიდის მოწიწე-ბით უყურებენ. საცინელი ის არის, რომ ეს ახალი ენის მძულვარე პირები თვითონვე ცხოვრებაში ამ ენას გულარხეინათ ხმარობენ და ლაპარაკში მისი სმენა სრულიად არ ეჩოთირებათ; მაგრამ ნახავენ თუ არა ამ ცოცხალ ენას წიგნში, მაშინვე თავზედ ცეცხლს გადაიყ-რიან, „წახდა, მოითხარა და დაიღუპა ჩვენი ენა", გაიძახიან ხშირა-თა. „უწინდელი კეთილშობილი ენის მაგივრათ, ახლა ტეტიური უბ-რალო ენა შემოიღეს, რომელიც მუშას და ფილოსოფოსს ერთი სიად-ვილით ესმის. მეტი ენის მოთხრა კიდევ გინდათ". მაგრამ ვისიც გონება დახშული არ არის, იმას ამგვარი სჯა სიცილათაც არ ეყო-ფა; ის ენის ღირსებას იმის სიცხადით და სიადვილით ზომავს.

ადგილობრივ თვისებას ამ წიგნს აძლევს საქართველოს გეოგ-რაფია. დამფასებელმა უნდა სახეში იქონიოს, რომ ეს სტატიები ყმაწვილებისთვის არიან შედგენილნი და არა უფროსებისთვის. ჩვენ გვსურდა, რომ ყმაწვილს ამ სტატიების კითხვაში სიამოვნება ენახა და წახალისებულიყო თავის სამშობლო ქვეყნის დაახლოვებით გაც-ნობაზედ, ამიტომ ჩვენ უფრო დიდი ყურადღება მივაქციეთ ხალხის ცხოვრებას, მის წარმოობას, ჩვეულობას, და ზნეობას, მანამ თვითონ ადგილის აღწერასა. მასალების უქონლობამ და სიჩქარემ შეძლება არ მოგვცა, რომ საქართველოს გეოგრაფია უფრო ვრცლად შეგვედ-გინა. შემდგომისათვის კი იმედი გვაქვს, რომ ვრცელი საქართველოს გეოგრაფია გამოვცეთ. კარტა ამაზედ ვრცელი შეუძლებელი იყო, რადგანაც მეტათ ძვირათ დაჯდებოდა და წიგნის ფასს გაადიდებდა. ეს მოკლე კარტაც ოცდა სამი თუმანი დაჯდა.

წიგნი თავდება ლექსებითა. ჩვენ სამწუხაროთ ამ ხანათ საყმაწ-ვილო ლექსები მეტი ვერ ვიშოვნეთ. ამ გვარ წიგნში რამდენიც ბევ-რი ლექსი იქნება, იმდენათ უფრო მეტს სარგებლობას შესძინებს ყმაწვილსა. საზოგადოთ ჩვენი წიგნი მეორე გამოცემისთვის ბევრ ცვლილებას და გარდაკეთებას მოითხოვს. საჭიროა ერთი ორათ მა-ინც იმატოს, რომ დააკმაყოფილოს ჩვენი ყმაწვილობა. მაშინ წიგნი ორ ნაწილათ გამოვა: პირველს ნაწილს საგნათ ბუნება ექმნება, მეო-რეს ადამიანი".

კაცის ხელით მოქმედარი ცვლილება ბუნებაში

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ შვილი სრულებით არა ჰგავს დედ-მამას, არამედ სულ სხვა სახისა და თვისებისა არის. დაკვირვებით რომ თვალ-ყური ვადევნოთ ამ შემთხვევაში, დავრწმუნდებით, რომ ის პაპის პაპას დამგზავსებია და ზოგჯერ ამისთანა მგზავსება ძალიან შორს ადის ძველ წინაპარზე. ხშირად იმისთანა მგზავსება მაშინ აღმოჩნდება, როდესაც ძალიან განსხვავებულის ჯიშისას დართავენ ერთმანეთზედ. ძროხის რძიანობა მოშინაურების ბრალია. კარგი მეწველი ძროხა კაცისაგან არის გაკეთებული. კარგი მეწველი ძროხის წინაპარნი ცოტას იწველიდნენ. ხშირია იმისთანა მაგალითი, რომ კარგი მეწველი ძროხის კურო რომ კარგი ჯიშის ძროხას დართო, გამოუვათ ცუდი მეწველი შთამომავლობა. აი ეს ნაყოფი დაახლოვებია თვისებით ძველს წინაპარსა. აგრეთვე მამალი და დედალი შეიძლება იმისთანა ჯიშიდგან იყვნენ წარმომდგარნი, რომელნიც კარგათ ვერ კრუხობენ, მაგრამ ამ დედალ-მამლის წიწილები კიკარგი კრუხები გამოდიან. ესეც წინაპართა დაახლოვებას ნიშნავს, ამისთვის რომ ქათმები ბუნებით კარგი კრუხები არიან და თუ ცუდათ კრუხობენ, ეს მოშინაურების ბრალია.

შორ ქვეყნებში გამგზავრებულნი ხშირად შეხვდებიან ხოლმე ამისთანა მაგალითს. ორი სხვა და სხვა შთამომავლობისაგან წარმომდგარი ხალხი ზნეობით ხდება, გამოდის დაბალი ზნისა, ცუდი თვისებისა. ეს იმითი აიხსნება, რომ ხალხი დამგზავსებია თავის ძველ ველურს წინაპარს, ტყის ხალხსა.

ხიუტი ერთ შესანიშნავს მაგალითს მოგვითხრობს, სადაც შთამომავლობა საკვირლად დამგზავსებია ძველს წინაპარსა. იმასა ჰყავდა ბენტამის ჯიშის ქათამი. ეს ჯიში იმითია შესანიშნავი, რომ მამლები სახით ძალიან გვანან დედლებსა. მხოლოდ ბიბილოთი, დეზებით და მამლის თვისებით თუ გაარჩევს კაცი, თორემ სხვათ ვერაფრით გაარჩევ დედლისაგან ამ ჯიშის მამალსა. ხიუტის დედალი სიბერის დროს, როცა საკვირცხეები მოეშალა, თითქო თან-და-თან მამლათ გადაკეთდა. კაცი იფიქრებდა, რომ ეს დედალი ქათამი იმ თვისებებს იღებს, რომელიც ამ ჯიშის მამალსა აქვს, მაგრამ ამას გარდა ამ დე-

დალს გაეზარდა მამლის გრძელი მოხრილი კუდი, ბარკლებზე ბუმბუ-ლი ამოუვიდა და კისერზედაც მამლის გრძელი ფრთები ჩამოეზარ-და, ერთი სიტყვით გარეგანი სახე სრულებით მამლისა მიიღო.

იუატი ამტკიცებს, რომ ზოგიერთს ურქო ჯიშის ხბოს შუბლზე, რქის ძირები დაყვება და ამით ის უახლოვდება თავის ძველს წინა-პარს, რომელსაც რქა ჰქონია, და შთამომავლობაში გაჰქრობია. არიან იმისთანა ქალები, რომელთაც ორი ძუძუს მაგიერათ ოთხი და ხუთი, ძუძუ დაჰყვებათ ხოლმე. როდესაც ოთხი ძუძუ დაჰყვება, მაშინ იქით და აქეთ ორ ორი ძუძუ აქვს. ზემოთ მოხსენებულს ქალს მეხუთე ძუძუ ბარძაყთან ება. დარვინი ამბობს, თუ წარმოვიდგენთ, რომ რამ-დენათაც დაბალი გვარის ცხოველია, იმდენათ ბევრი ძუძუები ჰყვე-ბაო, ასე რომ ზოგიერთ ცხოველს ბარძაყებზედაც კი აქვთ ძუძუები გამობმულიო, მაშინ უნდა დავრწმუნდეთო, რომ ბევრ ძუძუებიანი ქა-ლი დამგზავსებია ძველს თავის წინაპარსაო. ზოგიერთ კაცს ხერხე-მალი ისე დაგძელებული დაჰყვება, რომ თითქოს კუდი ცხადად უჩან-სო. ესეც თავდაპირველ აგებულობის მიმგზავსებას მოასწავებსო. ფრან-ციელმა სწავლულმა დართო ტურები ძაღლზე და შთამომავლობა უფ-რო ტურებს დაემგზავსა, ვიდრე ძაღლებსა. ესეც, რასაკვირველია, წინაპართან დაახლოვების ნიშანია. იქნება კელენიოს შენიშვნა, რომ ჯორი ვირს უფრო ემგზავსება, ვიდრე ცხენსო, იმასვე მოასწავებდეს, რაც წინეთ გამოვიყვანეთ, ესე იგი, გარეულ წინაპართან მგზავსებას. ცხადია, რომ გარეული ცხოველი უფრო ღონიერია, ბევრსაც აიტანს, ვიდრე შინაური ცხოველი. ვირი, რასაკვირველია, უფრო გამძლეა ცხენზე; ჯორს კი ვირის ღონე და გამძლეობა უფრო დაჰყვება ხოლ-მე, ვიდრე ცხენისა, ამის გამო ვირისა და ცხენის ნაყოფი უფრო გა-რეულის წინაპარის მგზავსია.

ამ სახით უნდა ვიფიქროთ, თუ კაცისაგან შესაძლებელია და-ამგზავსოს ჯიში ადრინდელს წინაპარსა, მაშ კაცს ისიც შეეძლება, რომ ჯიში უფრო შემძლე და ამტანი გახადოს. რა უშავს, რომ ცხო-ველი უფრო გაურავებული და ველური იყოს, სიველურე ცხოველში ამტკიცებს ამის ღონეს და სიმაგრესა.

დაცდითაც ასე გამოდის. როცა სხვა და სხვას დართავენ ერთ-მანეთზე, მაშინ შთამომავლობა უფრო მაგარი და დიდი ტანის გამო-დის. სპენსერი ურჩევს, თუ ცხვრის ჯიში დიდი ტანისა სურთ გახა-დონ, დიდი ტანის ყოჩი დართონ დედალს ცხვარსა. ხოხბის და ქათ-მის შთამომავლობა ხოხობზედაც და ქათამზედაც უფრო დიდი ტანის გამოდის.

წინააღმდეგ ამის მოხდება, როდესაც შთამომავლობა მოდის ერთი და იგივე ჯიშისაგან, განსაკუთრებით თუ ჯიში შეიცავს ცოტა შთამომავლობას. მარტო ერთი და იგივე ჯიშის შთამომავლობაში ცხოველებს ღონე თან-და-თან უნდა აკლდებოდესთ, მაგრამ ზნეობითათ კი თან-და-თან უნდა გაკეთდეს, რადგან თავდაპირველს თავის წინაპარს უფრო და უფრო შორდებიან. მართლაც ასეა. როდესაც გვაროვნებაში თანდათან უფრო პატარა ტანის ცხოველი გამოდის და თანდათან ღონე აკლდება, ეს იმის ნიშანია, რომ ამ ჯიშს სხვა ჯიშის სისხლი არ გარევია, სულ ერთი და იგივე ჯიშის მოდგმაა. სებრაიტმა სცადა დართვა ერთი ჯიშის ძაღლებისა ერთმანეთზე, ასე: რომ მუდამ ერთი დედაშვილის შთამომავლობას ზრდიდა და ბოლოს გამოდგა, რომ შთამომავლობა თანდათან დაპატარავდა და მოუძლურდა, ასე რომ დიდი ქოფაქების მოდგმისანი ფინიებათ გახდნენ. ამისთანა მრავლობა თუმცა ძალიან აკეთებს ჯიშსა, სწმენდავს იმის სისხლსა, მაგრამ ამასთანავე ჯიშიც თან-და-თან გადაშენდება.

ნათესავობაში ქორწინება შთამომავლობისათვის ისეთი მავნებელია, რომ ველური ხალხიც ეწინააღმდეგება ამასა. სამხრეთ ამერიკელ ტყის კაცებს და ავსტრალიელებს ზნეობისა არა გაეგებათ რა, მაგრამ ისინიც კი არ სტეხენ ნათესაობას.

ქათმები რომ ერთ დედალ-მამლისაგან ამრავლონ მხოლოდ, შენიშნავენ, რომ მეორე და მესამე შთამომავლობას ფეხები უგძელდება, ტანი უპატარავდება და ამისთანა ქათამი კარგათაც ველარ კრუხობს. კლარკსა ჰყავდა ძალიან მარჯვე მაჩხუბარი მამლები. იმას უნდოდა თანდათან უფრო და უფრო ღონიერი მაჩხუბარი მამლები გამოსვლოდა და ამის გამო ამრავლებდა მხოლოდ ერთი და იგივე შთამომავლობისაგან, მაგრამ ამითი მამლებს თანდათან უფრო დაეკარგათ მაჩხუბარი ხასიათი და ბოლოს სრულებითაც ველარ ბედავდენ ბრძოლას. ტანითაც ძალიან დაპატარავდნენ. ამის შემდეგ კლარკმა დარდო თავის მაჩხუბარი ჯიშის მამალი სხვა ჯიშის ქათამზე და შთამომავლობა ისევ გაუკეთდა, ესე იგი, ისევ ძალიან მაჩხუბარი მამლები დაეზარდა.

ქათმების შესახებ ესეც უნდა ითქვას, რომ თუ ერთი და იგივე შთამომავლობის ქათმები სხვა და სხვა ალაგას ცხოვრებენ, ისე რომ საკმელიც და გარემოებაც სხვა და სხვა ჰქონდეთ, მაშინ ამ ერთი ჯიშის ქათმების შთამომავლობასაც არა უკირს რა, კარგათ მრავლდება, რადგან სხვადასხვა საკმელი, გარემოება ასხვაფერებს ამათს ერთ გვარს გარემოებას.

ახალი სასამართლოს შემოღების გამო

ცხრამეტი თებერვალი დიდი დღე შეიქნა ჩვენი ქვეყნისთვის. ამ დღეს ხელმწიფე იმპერატორი აღვიდა რუსეთის ტახტზე და აღნიშნა თავის სახელი იმითი, რომ შეუმსუბუქა თავის ხალხს გაჭირვებული მდგომარეობა.

ძველიდგანვე დაწესებულმა ბატონ-ყმობამ ხალხი შეაწუხა ამ წესმა შეავიწროვა გლეხის ცხოვრება. გლეხი იმდენს რას შეიძენდა, რომ თავის თავიც ერჩინა და ბატონიც. ამის გამო ორივე გაჭირვებულად ცხოვრობდნენ და არ იყვნენ ერთმანეთის კმაყოფილი, იმათში არ იყო იმისთანა სიყვარული, როგორიც ამიერითგან დამყარდება. იმ დროს არც კარგი ცხოვრება ჰქონდათ.

გლეხების კეთილ-მდგომარეობისთვის ხელმწიფე იმპერატორის სურვილი მებატონეთა აასრულეს: უწინდელი ბატონ-ყმობა გაუქმდა; ამის მაგიერად ინება ხელმწიფემ, რომ ახალი წესი შემოსულიყო. მებატონეს ჰხვდა იმდენი სარჩო, იმის უწინდელ გლეხისაგან, რამდენიც კანონით ერგებოდა თავის მიწაში, რომელიც გლეხს სამუშაოდ უჭირავს. გლეხსაც ძალიან შეუმსუბუქდა თავისი მდგომარეობა იმითი, რომ რაც კანონით არ ერგებოდა, მებატონეს მეტის თხოვნის ნება არ მისცა. ამითი გლეხის მდგომარეობაც გაამჯობინა და ბატონსაც მოაფიქრებინა სამართლიანად მოქმედება და შრომა თავის თავის გასამდიდრებლათ.

აი ამისთანა მდგომარეობის წინასწარ მეტყველი შეიქნა ჩვენთვის ცხრამეტი თებერვალი. ამ დღეს გაუქმდა რუსეთში უწინდელი ბანტონ-ყმობა და ჩვენც გვიწინასწარმეტყველა ცუდ წესის გადავარდნა. ცხრამეტს თებერვალს გამოცხადდა სამეგრელოში უწინდელი ბატონ-ყმობის გაუქმება.

ცხრამეტი თებერვალი კიდევ უფრო იმითი შეიქნა ჩვენთვის სადღესასწაულო, რომ ამ დღემ მოგვიტანა კარგი სამართალი. ერნო გამხიარულდით! ცხრამეტმა თებერვალმა შეგძინათ ასეთი სამართალი, რომელიც ძალიან მალე გადასწყვეტს სადაო საქმეებს, როგორც

უწინ იყო ისე აღარ გაცდევინებსთ ამ სიტყვების თქმით: „დღეს, ხვალ!“ არც ხარჯს მოგცემსთ და ბევრს დროსაც აღარ დაგაკარ გვინებსთ სადავო საქმეების გადაწყვეტაში.

უწინ ასე იყო დაწყობილი, რომ სამართლის გამჩენი, დანაშაულობის გამომძიებელი მმართველი და საზოგადო კეთილ დღეობის შზრუნველი სულ ერთი და იგივე კაცები იყვნენ. გამგებლობა და მოსამართლეობა ერთი ერთმანეთში იყო შერეული.

ყოველს განათლებულს მხარეში პოლიციის მოვალეობა ის არის რომ ხალხის კეთილ დღეობაზე იზრუნოს, ყოველთვის თვალ-ყური ეჭიროს, რომ რამე უწესოება, დანაშაულობა, ან ბრალეულობა არა მოხდეს რა ხალხში, და თუ მოხდება, მაშინვე სასამართლოებს შეატყობინოს, რომ სასამართლომ შესაფერი დასჯა განუწესოს დამნაშავესა. ამას გარდა პოლიციის მოვალეობაა, რომ ხალხის სიმართლისათვის იზრუნოს, ცუდს მოსავლიანს წელიწადში უმალლეს მთავრობას შეატყობინოს და გაჭირვებული მრგომარეობა შეუმსუბუქოს ხალხსა გზები უნდა აკეთებინოს, რომ ხალხში აღებ-მიცემობა გადიდდეს და აგრეთვე სახელმწიფო ხარჯიც უნდა ჰკრიფოს. ამდენი საქმის ასრულება, რასაკვირველია, პოლიციისათვის საკმაო უნდა ყოფილიყო და მეტს ვეღარც კი იკისრებდა; მაგრამ უწინდელის წესით ამდენს საქმესთან სხვა საქმეც ბევრი ჰქონდა მინდობილი პოლიციასა; მაგალითად: სასამართლო თვითონ არ მოახდენდა გამოძიებას, არც წვრილს სადავო საქმეებს სწყვეტდა და თუ დიდ სადავო საქმეებს გადასწყვეტდა, უსათუოდ ამ გადაწყვეტილების ასრულგბასაც პოლიციას მიანდობდა; ასე რომ დანაშაულობის გამოძიებაც პოლიციას უნდა მოეხდინა, წვრილი დავაც პოლიციას უნდა განესაჯა და სასამართლოს ყოველგვარი გადაწყვეტილობაც იმას უნდა აესრულებინა. ამდენი საქმის რიგიანად კეთება შეუძლებელი იყო პოლიციისათვის და მართლაც საქმეების წარმოება კარგათ ვერ მიდიოდა. პოლიცია თავის საკუთარ საქმეებშიაც იყო მომცდარი და მინდობილს საქმეებსაც აგვიანებდა და ღონეც არ ჰქონდა კარგათ აესრულებინა. მომჩივრებს დიდხანს არ ეღირსებოდა სამართალი, ზოგი მოდავე თითქმის სულაც ვერ მიიღებდა თავის საჩივარზე პასუხსა, ასე რომ ძალა უნებურად საჩივრისთვის თავი უნდა დაენებებინა. მთავრობამ შენიშნა, რომ ამ ნაირი დაწყობილებით ხალხს არ ეძლეოდა რიგიანი სამართალი და ამის გამო შეუდგა კარგი სამართლის მოცემასა.

საუკეთესო სამოსამართლო დაწესებულობა ის არის, რომელიც სამართლიანათ გადასწყვეტს ყოველგვარს დავას და რაც შეიძლება მალე გაასამართლებს მოდავეს და პასუხის მგებელს. ამ აზრით პო-

ლიციას მოაშორა იმისთანა საქმეები, რომლის წარმოებაც იმის მოვალეობა არ უნდა ყოფილიყო და ყველა ამ გვარი საქმეები სამოსამართლო დაწესებულებას მიასაკუთრა. ამით პოლიციას გაუადვილა საკუთარი მოვალეობის ასრულება. დანაშაულობის გამოძიება, სადავო საქმეების გამოკვლევა, წვრილ საქმეების გადაწყვეტა და სასამართლოს გადაწყვეტილობის ასრულება, სულ ყველა ამ გვარი მოვალეობა გადაეცა სამოსამართლო დაწესებულებასა, გარდა იმ საქმეებისა, რომლების გადაწყვეტა სოფლის სასამართლოსა აქვს მინდობილი.

ახალი სამოსამართლო ნაწილის ღირსება ის არის, რომ აქ საქმის გაჩხრეკა და დავის გასამართლება უფრო სიტყვიერად მოხდება და სახალხოთ. ყოველგვარს სადავო საქმეს დიდსა და პატარას, აგრეთვე ყოველგვარს დანაშაულობას, გარდა იმისა რაც სოფლის მოსამართლეებს (სუდიებს) აქვთ მინდობილი, განიხილვენ აი ეს სამოსამრთლო დაწესებულებანი: მომრიგებელი მოსამართლე, ოლქის (სამაზრო) სასამართლო, სასამართლო პალატა. ჩვენში მომრიგებელს მოსამართლეს ჰყავს ერთი ან ორი თანაშემწე, აგრეთვე სეკრეტარი და თავის კანცელარია. ამას გარდა პრისტავები, ან ჩვენებურად ბოქოულები, რომლების მოვალეობაც ის იქნება, რომ ყოველგვარი განჩინება ასრულებაში მოიყვანონ. თანაშემწეებს მიენდობათ ყოველგვარი გამოძიება. მომრიგებელი მოსამართლე დაბოლვებით გადასწყვეტს იმისთანა სადავო საქმეებს, რომლის ფასიც ასს მანეთზე მეტი არ არის. დაბოლოვებითი ჰქვია იმ გვარ გადაწყვეტილობას, რომელზედაც აპელაციის შეტანა არ შეიძლება. მომრიგებელი მოსამართლე იმ სადავო საქმეებსაც გაასამართლებს, რომელნიც ასს მანეთზე მეტად ღირს ორი ათას მანეთამდის. მაგრამ ამ სადავო საქმეების გადაწყვეტილობაზე შეიძლება აპელაციის შეტანა სამაზრო სასამართლოში, თუ რომ მოდავე არ გახდება კმაყოფილი ამ გადაწყვეტილებაზე. ყოველს უეზდში იქნება თითო მომრიგებელი მოსამართლე და ყოველს გუბერნიაში თითო ოლქის (სამაზრო) სასამართლო.

ოლქის (სამაზრო) სასამართლო განიხილავს ყველა სადავო საქმეებს, რომელნიც ორი ათას მანეთზე მეტად ღირს, ყოველ გვარი დანაშაულობა, რომლისთვისაც კანონში დადებულია სასჯელად ახდა, ან შემცირება წოდების სიმართლეთა, განიხილება ოლქის სასამართლოში. სხვა უფრო მცირე დანაშაულობა განისჯება მომრიგებელს მოსამართლესგან. მომრიგებელი მოსამართლე დაიწყებს საქმის გაჩხრეკას, მაშინ როდესაც ვინმე იჩივლებს იმ ზარალისთვის, რომელიც სხვა ჯაცს იმისთვის მიუყენებია, როდესაც პოლიცია, ან

სასოფლო გაზეთი

პირველი წელიწადი

გამოდის სამშაბათობით.

ფასი:

ბეჭდავს ტფილისში	ბეჭდავს ეხლანდელ
და გზავნის ამ ადგილებში	...
1868 წლის — 7 ...	— 6
ნახევარ წლის — 4 —	— 3 — 50
სამ თვის — 2 ... 50	— 2 —

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციაში, ტფილისელის და ...ის სტამბაში, ...ის ქუჩაზე, № 8, ბუბერიოს ს

თუ სხვა სამართველოს დაწესებულება აცნობებს იმას უწესოების მოხდენას. მომრიგებელი მოსამართლე მაშინაც შეუდგება საქმის გაჩხრეკას, როდესაც თვითონ ნახავს რასმე დანაშაულობას ან უკანონო მოქმედებას.

მოჩივარს შეუძლიან აჩივლოს გინდ ორზით, გინდა სიტყვიერათ. მომრიგებელი მოსამართლე მოუწოდებს დამნაშავეებს და შოწმეებს უწყებით, თუ ისინი არ გამოცხადდნენ, შტრაფი გადახდებათ, თუ რომ შესაწყნარებელი მიზეზი არ წარმოადგინეს. როდესაც ვისმე მიუტანენ მოსამართლის უწყებასა, იმან უნდა დანიშნოს უწყებაზე დრო, როდესაც მიულია ეს უწყება, მეორე ამისთანა უწყებაზე უნდა ხელი მოაწეროს მიმღებელმა და ზედაც უნდა იყოს დანიშნული ვის ან როდის მიეცა ისა. ამ მეორე უწყებას უკანვე მომრიგებელს მოსამართლეს მოუტანენ.

როდესაც პასუხის მგებელი და დასახელებული მოწმები მოვლენ მომრიგებელს მოსამართლესთან, მაშინ ის დაიწყებს სიტყვიერად და სახალხოთ საქმის განხილვასა. მომრიგებელი მოსამართლე დაუწყებს მოჩივარს და პასუხის მგებელს კითხვას და იმათ პასუხისამებრ და მოწმების ჩვენებისამებრ იქვე გადასწყვეტს სადავო საქმეებსა, ანუ დანაშაულობისათვის სასჯელსა, ამისათვის ყოველი მოჩივარი და პასუხისმგებელი იმას უნდა ცდილობდეს, რომ რიგიანი და აზრიანი პასუხი მისცეს, რომ უბრალოდ გაუგებარი ლაპარაკით გასამართლება არ დააგვიანოს.

ახალი სასამართლო დაწესებულება იმითია ძალიან კარგი, რომ გასამართლება, როგორც ზემოთ ვთქვით, სიტყვიურათ მოხდება: მიწერ-მოწერა ძალიან შემცირებულია და ამით ძალიან ჩქარა ეღირსება სამართალი მოჩივარსა. ამის გარდა ყოველგვარი საქმე თითქმის მომრიგებელს სასამართლოში და ოლქის სასამართლოში გადაწყდება. ამ გვარი დაწყობილებით კიდევ უფრო დაჩქარდება ხოლმე სადავო საქმეების გათავება და დანაშაულობისათვის დასჯა.

ძველ დაწყობილებაში სიტყვიერად საქმის განხილვა არ იყო, ყოველი სადავო საქმე მიწერ-მოწერით დაიწყებოდა. ჯერ განიხილავდა მდივანბეგი, შემდეგ შეიძლებოდა საქმე გადატანილიყო უეზდის სასამართლოში, იქიდან სამსჯავრო პალატაში, მერე სენატში მერე სახელმწიფო რჩევაში. იქიდგან წამოვიდოდა რაიმე გადაწყვეტილობა და ისევ იმ გზით უნდა ემგზავრა. ამისთანა დაწყობილებით ზოგჯერ სამართალი დიდხანს ვერ ეღირსებოდა კაცსა და იყო დაყოვნებული.

ცხრამეტს თებერვლის შემდეგ ჩვენს მხარეს მიეცემა ისეთი სასამართლო დაწესებულებანი, სადაც საქმის განხილვა მოხდება სიტყვიერად, სახალხოთ და მალე გადაწყდება. ეს ჩქარი სამართალი შუშა კაცს მუშაობაზე არ მოაცდენს; უწინ რომ არზის მწერლებს ფულს აძლევდნენ, ამისთანა ხარჯი ამიერიდგან აღარ მოუვათ, კარგათ გადაწყდება, თუ ცუდათ, მალე ხომ მაინც გადაწყდება და ეს აღარ ჩააგდებს საწყალს მოჩივარს სასოწარკვეთილებაში, რომელშიაც უწინ ვარდებოდა და სანამ საქმე არ გადაწყდებოდა; თავის სახლობას აღარ არგებდა. მაშ, ერნო, მოგილოცავთ ჯარგს ახალს სასამართლო დაწესებულებას, რომელიც დაამყარა მთავრობამ ქვეყნის საკეთილდღეოთ!.

სახალხო მედიცინა

(მკურნალობა)

— ბლეხების დარიგება, რომ კარგათ იყონ და თავი მოირჩინონ იმისთანა ავათმყოფობისაგან, რომელიც უფრო ხშირათ ემართებათ ხოლმე.

საუბედუროთ ჩვენმა გლეხმა აქამდის არ იცის, როგორ უნდა იცხოვროს, რომ ყოველთვის კარგათ იყოს: არ იცის რა არგებს და რა აწყენს; აქამდის ვერ შეუტყვია, რომ იმისთვის როგორც პური და წყალი, ისე საჭიროა:

ა) წმინდა ჰაერი.

ბ) როცა დაღალულია და ოფლიანი, წყალი არ უნდა დალიოს ან თუ დალიოს, ძალიან გაფრთხილებით და ცოტა უნდა დალიოს; როცა ოფლი სდის, არც ტანსაცმელი უნდა გაიძროს.

გ) თუ სადმე წვიმამ მოასწრო და სისველემ ძვლებამდის გაატანა, ჩვენებური გლეხი მოვა თუ არა შინა, მაშინვე სველი ნიფხავ-პერანგი უნდა გამოიცვალოს.

— „აბა ღმერთი გადღეგრძელებს,—იტყვის გლეხი—ჩვენ სადა გვაქვს იმდენი შეძლება, რომ ორი ან სამი ხელი ნიფხავ-პერანგი ვიქონიოთ და ბატონებსავით გამოვიცვალოთ ხოლმე“. არა ძმაო, მაგისთანა ლაპარაკი არ გამოდგება. ბევრიც რომ იწვალო, წელიწადში სამი ხელი ნიფხავ-პერანგი მაინც გაგიცვდება; მაგრამ ამ სამ ხელსა ისე იკერავ, რომ მინამ ერთი ხელი ტანზე არ შემოგაცვდება არ მოეშვები, როცა ის დაგეგლეჯება, მერე მეორეს შეიკერავ და მინამ ისიც არ შემოგაცვდება, მესამე ხელზე აღარ ზრუნავ; ცალ-ცალკე კერვასა, იმდენი მოახერხე, რომ სამივე ხელი ნიფხავ-პერანგი ერთად შეიკერო. საცვალი ყოველ კვირაში გექნება, წმინდათ ტანს შეინახავ, მკბენარი არ მოგეკარება და აღარც გაცივდები ხოლმე, ამიტომ რომ წვიმაში დასველებული ნიფხავ-პერანგსა ყოველთვის გამოიცვლი. ერთ წელიწადს ეს სამი ხელი გეყოფა, მაშ უწინდელზე მეტი არც ახლა

დაგეხარჯება, მაგრამ სიმთელით კი ძალიან მოიგებ: გაცივებით უფრო ალარ გახდები ავათ და სისუფთავითაც ბევრი შეგემატება ცხოვრებაში.

ერთი ძალიან საჭირო საქმე კიდევ დაგვრჩა.

დ) გლეხისთვის მიუცილებლათ საჭიროა, რომ ნადები ხორცი, დაობებული პური, ან სხვა ცუდი სუნიანი საქმელი არ ჭამოს. რაც ჭამოს ცოტაც იყოს და უბრალო საქმელიც, ეგ არაფერი, მაგრამ ახლად გაკეთებული და სუფთათ მომზადებული კი უნდა იყოს. ერთის სიტყვით აყროლებულს და დიდი ხნის საქმელს უნდა ერიდოს ძლიერ.

როგორ უნდა მოიქცეს გლეხი, რომ წმინდა ჰაერი იქონიოს თავის სადგომში? მინამ ამის პასუხს ვიტყოდე, მე გავიხსენებ, თუ როგორ სახლებში ცხოვრობენ ჩვენი გლეხები. საქართველო დიდი ადგილია: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, მთიულეთი, სვანეთი და სხვანი.

ამ ადგილებში სულ ქართველი გლეხები ცხოვრობენ, კახეთში და იმერეთში ფიცრული სახლები იციან. ამ ფიცრულს სახლებში კერა არის გაჩაღებული და შინაურ ჰაერს კომლი ახდენს; კომლს გარდა ზოგან, საცა თვითონ გლეხის სახლობა ცხოვრობს, იმ სახლშივე პირუტყვი უბიათ; სახლის წინ დიდი სანეხვეა. ამისთანა სახლში, მეტი გზა არ არის, კარები ხშირათ უნდა გააღონ ხოლმე, რომ კომლიანი და სუნიანი ჰაერი შიგნიდან გარეთ გამოვიდეს და გარედან წმინდა ჰაერი შემოვიდეს.

საქართველოში გლეხები ქართლისთანა ბინძურათ არსად არ ცხოვრობენ. ქართლში ტყე არ არის; ამიტომაც ამოუთხრიათ მიწა და მიწურებში დგანან. ამ მიწის სახლში რომ შეხვიდე სწორედ მელიას ხვრელი მოგაგონდება. უფრო ბევრს გლეხსა ამ ერთს მიწის სახლში ხბორებიც უბიათ, ქათმებიც შიგ ჰყავს, აყროლებულ ნარეცხ წყალსაც იქ ღვრიან; სარეცხსაც იმავე სახლში აშრობენ, თვითონაც სახლობით შიგ ცხოვრობს და ყველა ავეჯეულობაც შიგ უწყვია. სახლის წინ დიდი სანეხვეა გაკეთებული. რასაკვირველია, ყველა ამაებისგან ჰაერი ფუჭდება, ასე რომ სახლში გარედამ შესულს კაცსა წამხდარი ჰაერისაგან სული ვერ მოუბრუნებია, აქ არც ჰაერის გაწმენდა შეიძლება იმიტომ, რომ მიწის სახლს სარკმელები არა აქვს, რომ გაიღო; ერთი კარია გასაღები და მარტო ამ კარიდგან არ შეიძლება წმინდა ჰაერის დაჭერა სადგომში. ამდენი წელია ჩვენი გლეხი ცხოვრობს ამისთანა სიმყრალეში და სიბინძურეში. ის იძახის სივიწროვით არა დაშავდება რაო, ქართველს არა აწყენსრაო, მაგრამ როცა შე-

ადარებ, ჩვენი გლეხების ცხოვრებას და საქართველოში გადმოსახლებულს ნემცებიs ცხოვრებას, მაშინ მიხვდებით, რომ ჩვენი გლეხის ოჯახში სატკივარი, სიხადი და სხვა სნეულება ყოველთვის გამოულევლათ არის, ისინი უფრო იხოცებიან; ნემცებს კი არც სატკივარი უდგათ სახლში და არც ისე იხოცებიან.

ეს იმიტომ, რომ ნემცები უფრო სუფთათა ცხოვრობენ და უკეთაც გაეგებათ, რა მოუხდებათ და რა აწყენსთ.

ვთქვათ, ახლა ჩვენი გლეხი მუშაობისაგან გაოფლიანდა და დაიღალა. ის კი არა თუ მაშინვე წყლის სმას მოერიდოს, რომ ნაწლავები და ყელი არ გაიცივოს, ან მინამ ოფლი არ შეაშრება ზედა ტანისამოსი არ გაიძროს. არა, ის ამისთანა საქმეს არ დასდევს, ამბობს: ეგ არაფერი, ჩვენ ხომ ბატონები არა ვართ, რომ წყლის სმამ და ჩოხის გახდამ ავათ გაგვხადოსო (თითქოს ისიც კაცი არ იყოს). იმას რა დიდი საქმე უნდოდა, რომ როცა გლეხი სამუშაოდგან მოვა, წვიმით გაწკუმპლული, სველი ტან-საცმელი და ფეხ-საცმელი გაიძროს და გაშრეს; არა ამასაც არაფრად აგდებს ჩვენი გლეხი. სველი ტან-საცმელი მუდამ ტანზე აცვია, ზოგჯერ არც მაშინ იხდის, როცა დაწვება და სველში სძინავს. რომ ჰკითხო რათა შვრები ამასო, გეტყვის, ერთხელ არ დამმართვია ეგ და ორჯერაო; მე მაგისთანაებს პატარაობითვე შეჩვეული ვარო. (მაგრამ ხშირად კი ამბობს ავათ ვარ, წელი მტკივა, მუხლები მტკივა, თავი მტკივა. ამისთანა ტკივილი სულ გაცივებიდან წარმოსდგება). რა ძნელია რომ მოერიდოს მყრალ საქმელს; ყოველიფერი მყრალი ხომ საზიზღარიც არის; მაგრამ არა, გლეხს მყრალი რამე თითქოს გადასაგდებათ ენანებაო, თუ მეტადრე ის მყრალი საქმელი, თევზი, ან ხიზილალაა და ან სხვა ქალაქური საქმელი რამე,—მას ის დიდი სიამოვნებითა სჭამს და იმას კი აღარა ფიქრობს, რომ იმ გვარი საქმელი შერგების მაგიერად შხამად გადაექცევა ხოლმე.

ამგვარ გაფრთხილებაზე არა ფიქრობს ჩვენი გლეხი კაცი, ის სულ იმას იძახის: „როგორც მამა-პაპას უცხოვრიათ, ისე მე ვიცხოვრებო“ და ამას კი აღარა ფიქრობს, რომ იმ მამა-პაპურ ცხოვრებას იმისთვის მრავალი უბედურება და ზიანი მოაქვს!! მრავალი ავათმყოფობა და საქმისაგან მოცდენა; და ამასთან უხერხული და მოუწყობელი ცხოვრება აქვს!! ძალიან შესაბრალისია ის, რომ არ ესმის ეს თავისი ზარალი და არა ცდილობს თავის ცხოვრების გამჯობინებას! ახლა გავჩხრიკოთ და ვსთქვათ თუ რა გამოსდის გლეხ-კაცს თავის უფიქრელი ცხოვრებისაგან. ეს შემდეგისათვის იყოს.

შესანიშნავი ამბავი საქონლის ჭირზე

ერთს ნემეცის სახელმწიფოში, სახელდობრ პრუსიაში ცხრა წლის განმავლობაში თერთმეტჯერ გაჩნდა საქონლის ჭირი და ყოველთვის ლამობდა სულ ერთიანათ ამოეწყვიტა ამ ქვეყნის საქონელი, მაგრამ ხალხი და პოლიცია ძალიან გაფრთხილებული იყო: როგორც კი სადმე გამოჩნდებოდა ჭირით ავათ-მყოფი საქონელი მაშინვე დაჰკლავდნენ. ამ სახით ჭირმა ვერ მოჰფინა ეს მხარე. ცხრა წლის განმავლობაში მოჰკლეს სამიათას ორას ოცდა სამი საქონელი. ამ მოკლულებში მხოლოდ ხუთას ოცდა-ცხრამეტი პირუტყვი გამოჩნდა ჭირიანი, დანარჩენი კი ჭირით არ იყო ავათ, მაგრამ რადგან იქვე აელოთ, იმიტომ გაეწყვიტათ.

მოკლულ პირუტყვში მთავრობა ფულს აძლევდა პატრონს და ამნაირათ დაიხარჯა რვა-ათას ექვსას ორმოცდა რვა მანეთი. სხვა განათლებულს ქვეყნებშიაც, მაგალითად, ანგლიაში და ჰოლანდიაშიაც იყო საქონლის ჭირი და რადგან პოლიციას იქ ისეთი თვალყური არ სჭერია, ამის გამო ერთს ჭირიანობაზე იმდენი საქონელი გაწყდა, რომ თერთმეტი მილიონი იზარალეს.

ქართლში და კახეთშიაც ძალიან მოვლილია საქონლის ჭირი. რა კარგი იქნებოდა, რომ სოფლებში პირობას დასდებდენ, ვისაც საქონელი ავათ გაუხდეს, თუ კი რომ საეჭვოა, მაშინვე მოჰკლან. ამით დიდი ზარალი რომ არ მიეცეს პატრონსა, მთელმა სოფელმა გადაუხადოს, თუ მთელი ფასი არა, ნახევარი მაინცა; ამით მთელს სოფელს იმდენი არა დააკლდებოდა რა და ძალიანაც ისარგებლებდა იმითი, რომ ჭირი არ გავრცელდებოდა. ასეა, ჩემო ძმაო, როცა საზოგადო რამ სენი მოგვევლინოს, მაშინ ყველა ერთი-ერთმანეთს უნდა მეეხმაროს, რომ ერთად იხსნან თავი ჭირისაგან, თორემ თუ ყველა ფეხმოკეცილი დაჯდა სახლში საზოგადო გაჭირვების დროს, მაშინ სათითოოთ ყველას გაუჭირდება და თითოეულიც ზარალში ჩავარდება.

რა მნიშვნელობა აქვს წყალსა საზოგადოთ და საიდგან წარმოსდგება წვიმა?

I

წყალი რომ არ იყოს არც მცენარე (ბალახეული და ხეხილი) იქნება; თუ მცენარე არ იქნება—არც ცხოველი და ფრინველი რამე იქნება; თუ ცხოველი და ფრინველი არ იქნება, მაშინ არც კაცი იქნება.

ყოველიფერს, რაც კი ცოცხალია და ცხოვრებს, საზრდო უნდა: ესეთია ბუნების კანონი; რასაც კი საზრდო მოაკლდება, ის ბევრ ხანს ველარ იხეირებს—მოკვდება. როგორც ფრინველნი, ისე ცხოველნი საქმლის შესახებ ორგვარნი არიან; ერთგვარი ფრინველები იზრდებიან მარცვლებით და მეორე გვარი ხორცით; აგრეთვე ცხოველნიც ზოგი ხმარობენ საზრდოთ ბალახს და ზოგნი კი ხორცს.

ახლა ავიღოთ რომელიმე უდაბური, უნაყოფო ალაგი, რომელიც წარმოგვიდგენს ჩვენ გამხმარ ტიტველა მინდვრებსა და მთებს, რომელზედაც კაცი ვერა ნახავს ვერარა სიცოცხლის ნიშანს. შეიძლება იქ ფრინველმა, ან ცხოველმა იცხოვროს? რასაკვირველია, რომ არა. ზევითა ვსთქვით რომ უსაზრდოოთ სიცოცხლე მოისპობა ხოლმე ისე, როგორც ჭრაქი დაშრტება ხოლმე უქონოდ: ბუნებაში უსაზრდოო სიცოცხლე შეუძლებელია.

მაშ თუ კი ხრიოკ უნაყოფო ალაგებში ბალახი არ მოდის, იქ რამ უნდა აცხოვროს მარცვლის მჭამელი ფრინვლები და ბალახის მჭამელი ცხოველი? თუ არც მარცვლის მჭამელი ფრინველი იქნება და არც ბალახის მჭამელი მაშ ხორცის მჭამელი ფრინველი და ცხოველი რაღამ უნდა აცხოვროს იქ? და თუ კი არც რამე მცენარეა და არც არავითარი ცხოველი—კაცი რაღამ ასაზრდოოს, რით იცხოვროს კაცმა? ცხოვრებაში ერთი დამოკიდებულებაა ერთი ერთმანეთისაგან: ერთი მეორეს ასაზრდოებს და ჭკვებავს, მეორე—მესამეს, მესამე—მეოთხეს და სხვა; თუ პირველი საზრდო მოისპო, მაშინ მეორეც მოისპობა, მეორისგან მესამეც, მესამისგან მეოთხე და სხვა.

უნაყოფო ალაგას სწორედ იმიტომ არ არის სიცოცხლე, რომ იქ ვერა ცხოველი ვერა ჰძოვს თავის საზრდოს: რადგან ბალახი და ხეხილი არ არის, არც პირუტყვია, რადგან პირუტყვი არ არის—არც კაცია; და ამიტომ ამ გვარ ალაგს ეძახიან უდაბურს. უდაბური წარმოსდგება სიტყვიდგან დაბა, სოფელი; უდაბური—უხალხო და უშენებელი

ახლა წინააღმდეგი ავიღოთ. სადაც ბევრი ბალახი და ხეხილია, იქ ყველა გვარი ცხოველიც და ყველა გვარი ფრინველიც ბევრია. ამისთანა სავსე ნაყოფიერ ქვეყანაში, რასაკვირველია, კაცი მრავალ საზრდოს ჰპოვებს თავისთვის, და ამის გამო ნაყოფიერი ქვეყნები მრავალი ხალხით არიან დაშენებულნი, მრავალი მოწყობილი ქალაქები და სოფლები იპოვებიან იქ. ახლა რომ ამისთანა ნაყოფიერ ქვეყანაში ცხოვრების რომელიმე საზრდო მოისპოს, ვსთქვათ, მაგალითად, მცენარე,—მაშინ უეჭველია ცხოველები და ფრინველები. დაიხოცებიან შიმშილით და აგრეთვე ხალხიც ველარ იხეირებს. ესეთი დამოკიდებულებაა ბუნებაში: თუ მიზეზი უხვია—ამ მიზეზის შედეგიც უხვი იქნება, სწორედ ისე, როგორც თუ წყარო მიწიდგან უხვად გამოდის, ნაკადიც სავსე წყლიანია; თუ წყარო იკლებს—ნაკადიც დაპატარავდება და თუ წყარო დაშრა სრულებით, მაშინ ველარც ნაკადი იდენს და დაშრება...

რა არის მიზეზი, რომ ზოგიერთი ალაგი აყვავებულია სხვადასხვა რიგი მცენარით და ცხოველით და ხალხითაც დაშენებულია, და ზოგი კი ისე გახრეკილი და მკვდარია, რომ ერთი უბრალო ბალახიც არ მოიძიება? ამის მიზეზი არის წყალი. როგორც ზევითა ვსთქვით, წყალი შეადგენს ყველა ნაყოფიერებისა და ცხოვრების მიზეზს. თუ ადგილი გახრეკილია—ამის მიზეზი სწორეთ უწყლოობა იქნება; აბა უშოვნე წყალი იმ გახრეკილ ალაგს, როგორ იქაც სხვადასხვა ფერად აყვავდება ბუნება! ნახე როგორ იქაც გაჩნდეს მცენარე და ცხოველები და კაცმაც დაიწყოს იქ ცხოვრება!

მაგრამ იქნება ვისმე ეგონოს, რომ ნაყოფიერება ჰქონია წყალს და არა დედა-მიწას? არა. ყველა მცენარის საზრდოს შეადგენს მიწაში მყოფი ნაყიერი ნაწილები, რომლებსაც მცენარე იწოვს თავის ფესვებით, ისე როგორც ჩვენა ვჭამთ და ვსვამთ პირით, და ისე იზრდება, ყვავდება და მოაქვს ნაყოფი. მცენარის ფესვს მხოლოდ მაშინ შეუძლიან შეიწოვოს მიწიდგან თავის მასაზრდოებელი ნივთიერება, რომელსაც ის ნივთიერება წყალში იქნება გახსნილი. ყველა მცენარის ფესვი ჩვენ შეგვიძლიან შევადაროთ უკბილო ყმაწვილს, რომელიც თავის საზრდოს წოვნითა სჭამს; უკბილო ყმაწვილს რომ მშრალი საჭმელი მივსცეთ, უეჭველია შიმშილით მოკვდება, რადგან მშრალ

საქმელებს ვერას დააკლებს თავის ჩვილი პირით. მცენარის ფესვსაც ამ გვარად უნდა შევხედოთ: ხმელ მიწაში მცენარის ფესვი უკბილო ყმაწვილსავით ვერ იწოვს თავის საზრდოს მიწიდგან და ამის გამო მცენარე უსაზრდოო რჩება.

სწორედ ეს არის მიზეზი, რომ გოლვის დროს ვენახებსა და მინდვრებს საზრდო აკლდებათ ხოლმე, რადგან ფესვები მცენარისა ველარ იწოვენ გამხმარი მიწიდგან ნოყიერ ნაწილებს; სწორედ ამ მიზეზით მოხდება ხოლმე, რომ გოლვის დროს უფრო ცუდი მოსავალი მოდის, ვიდრე წვიმიან ამინდში; გოლვიანი ამინდი ყველა მცენარისთვის—პურისთვის, ლობიოსთვის და ყველა მიწაში დათესილი თესლისთვის—სიმშილს მოახდენს ხოლმე ისე, როგორც უპურობა და უხორაგობა ჩვენთვის სიმშილს შეადგენს. ამის გამო გვეშინიან ხოლმე ჩვენ უწვიმო ამინდისა, და გოლვის დროს, სადაც კი შესაძლებელია, ვრწყავთ, რომ ჩვენ ჭირნახულს მიწაში საზრდო არ მოაკლდეს და ჩვენმა ამაგმა ამაოდ არ ჩაიაროს.

მაშასადამე, გარდა საზოგადო მნიშვნელობისა, წყალს სოფლის მეურნეობისათვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონია. სოფლის მეურნე მინდორს რომ მოჰხნავს და დასთესავს, თუ სარწყავია, წყალს შეუგდებს ხოლმე, და ურწყავისთვის კი ღმერთს ეხვეწება წვიმა მოიყვანოს. იმან კარგა იცის, რომ თუ წყალმა არ დაალბო იმის დათესილი მინდვრები—იმისი ამაგი სულ ფუჭად ჩაივლის და მომავალი წლისთვის უსაზრდოო დარჩება. მაშასადამე ყველა მეურნეს კარგა ესმის წყლის საჭიროება მიწის მოსავლისთვის. ვინ არ იცის, რომ უწყლობისაგან სიმშილი ხშირად მოხდება ხოლმე. როდესაც რამდენიმე წელიწადს ზედ და ზედ გვალვა არის რომელიმე მხარეში, მაშინ იქ უეცველია სიმშილი ჩამოვარდება, როგორც პირუტყვისთვის, ისე ხალხისთვისაც. პირუტყვს ბალახი მოაკლდება და ამის გამო დაიხოცება; აგრეთვე ხალხსაც, როგორც პური და სხვა მცენარე საქმელი მოაკლდება, ისე ხორციც, და ამის გამო ხალხშიაც გახშირდება სიმშილისაგან ხოცვა.

ამის გარდა, რომელიმე ქვეყნის სიძვირე და სიიაფე ბევრჯერ წყლის სიუხვეზედ და ნაკლებობაზედ არის დამოკიდებული: როდესაც წყლიანი ამინდია, მაშინ უეცველად მოსავალი უხვად არის და რადგან საზრდო ბლომად არის საქონლისთვისაც და კაცისთვისაც, ამიტომ იმ საზრდოს დიდი ფასი არა სდევს, რადგან ადვილი საშოვნელია; წინააღმდეგ, როდესაც გოლვისა გამო მოსავალი ნაკლებად არის, მაშინ, რადგან ძნელი საშოვნელია საზრდო კაცისთვისაც და პირუტყვისთვისაც, სიძვირე ჩამოვარდება ხოლმე, როგორც საზ-

რდოსი, ისე სხვა სავაჭრო ნივთებისა, რადგან ყველა ვაჭრობა საზ-
რდოზედ არის დამოკიდებული (ამაზედ ცალკე მოვილაპარაკებთ
თავის დროს).

ერთ მაგალითს მოგახსენებთ, რომელშიაც გვალვას საშინელი
უბედურება მოუხდენია ერთ ქვეყანაში. ხანგრძლივი გვალვისაგან
სრულებით გაწყვეტილა მცენარე და მინდვრებიც გახრიაკებულა;
ამის გამო პირუტყვი საქონელი სრულებით უსაჭმლო დარჩენილა და
სიმშილისაგან ძალიან დაზარალებულა, ასე რომ ზოგიერთს ოცი
ათასი სული დაჰხოცვია ერთად, და ათასობით და ასობით ხომ რამდენს!..
ამ გვარი მოსავლისა და საქონლის ზარალისგან ხალხსაც ძალიან გას-
ჭირებია ცხოვრება: რაღა თქმა უნდა, რომ სადაც ოცი ათასობით
საქონელი გასწყდება, იქ პურიც და სხვა ხორაგიც მისხლობით უნ-
და გაიყიდოს ოქროსავით... ნახეთ წყალს რამდენი სიკეთე შეუძ-
ლიან კაცისათვის და უწყლობა რამდენ უბედურებას დაჰმართებს
კაცს!!..

ამ გვარი მოსაზრება ცხადათ გვაჩვენებს, რომ წყალი, როგორც
საზოგადოთ დედა-მიწისთვის არის სიცოცხლის სახსარი, ისე მარტი-
ვად აღებული კაცის სიცოცხლეც იმაზედ არის დამოკიდებული, და
სოფლის მეურნე ხომ ისე შესაქერის ცას, როდესაც წვიმა დააკლდე-
ბა ხოლმე, როგორც თავის იმედს, და მაშინ წვიმის მეტი იმას ალა-
რა ანუგეშებსრა.

ამ გვარი დიდი მნიშვნელობა აქვს წყალს ცხოვრებაში და
შრავალგვარ არსებაა ცხოვრების მიზეზს შეადგენს იგი. დედა-მიწის
სიცოცხლისთვის წყალი ისევე საჭიროა, როგორც კაცის სიცოც-
ხლისთვის სისხლი; უწყლოდ დედა-მიწა ისევე მკვდარია, როგორც
უსისხლოდ კაცის ან რამე პირუტყვის სხეული და უწვენოთ მცე-
ნარე.

მართლაც, რომ წყალი არ იყოს, დედა-მიწა წარმოგვიდგენდა
ჩვენ მკვდარს, სიცოცხლე მოკლებულს, გამხმარს სხეულს, და ის სი-
ცოცხლე, რომელიც ეხლა სუფევს დედა-მიწაზედ, მაშინ სრულებით
შეუძლებელი იქნებოდა. ამის გამო ნამდვილია რომ, თუ წყალი არ
იქნება, არც მცენარის ყოფნა არ არის შესაძლებელი; და თუ მცე-
ნარე არ იქნება—ცხოველსა და ფრინველს რაღა აცხოვრებს? აგრეთ-
ვე კაცის სიცოცხლეც შეუძლებელია მაშინ!..

ყველამ იცის გამოცდილობით, რომ წყალი ყოველთვის დაბ-
ლობ ალაგას ეძებს თავისთვის და არაოდეს მაღალ ალაგზედ არ
დადგება. მაშასადამე, ბუნება რომ დრო გამოშვებით ზევიდამ არ
გვაძლევდეს წყალს, დაბლობი ალაგებიდამ მაღალ ალაგებში არაო-

დეს არ ავა და ამის გამო მაღალი ალაგები სრულებით გახრიაკებულნი იქნებოდნენ; ამასთან მაშინ ხმელეთი სველეთისაგან, ან დედა-მიწა წყლისაგან, სრულებით გაცალკევებული იქნებოდა. ამ გვარ გარემოებაში დედა-მიწის მეტი ნაწილი იქნებოდა უდაბური, გახრეკილი ალაგი. მაშ დიდი რამე ყოფილა დედა-მიწისთვის ზევიდამ მოსული წყალი, რომელსაც ჩვენ ვეძახით წვიმას. ჩვენ წელანაც ვთქვით, რომ წყალი დაბლობ ალაგებში და ტბებში გროვდება ხოლმეო,—მაშ წვიმა საიდანღა ჩნდება თუ კი ზევით ასვლა არ შეეძლოს წყალს? როგორა მზადდება წვიმა?

ჩვენში ბევრსა ჰგონია, რომ ის ღრუბელი, რომელსაც ბაზარში ჰყიდიან და ჩვენი დალაქები ხშირადა ხმარობენ, ჩადის ხოლმე ზღვაში, შეიწოვს წყალს, იქიდგან ამოიტანს და რომელიმე ქვეყანაზედ დაუშვებს წვიმად. მართალია, მომეტებული ნაწილი წვიმისა ზღვის წყლიდგან მზადდება, მაგრამ ისე კი არა, როგორც ჩვენში ფიქრობენ ზოგნი. არ შეიძლება რომ ბაზრის ღრუბელს მოჰყვანდეს წვიმა ჯერ ერთი ამიტომ, რომ ის წყალი, რომელსაც ღრუბელი შეიწოვს, თუ ძალით არ გამოვსწურეთ, თავის თავად არ გამოვა ღრუბლიდგან; მაშ როგორღა აწვიმებს ჩვენ დედა-მიწაზედ? ჰაერში ვინ გასწურავს იმ ღრუბლებს?!. მეორე იმიტომ არ არის დასაჯერებელი ამ გვარი ფიქრი, რომ რაც უნდა პატარა ღრუბელი ავისროლოთ ზევით, მაშინვე უკან ჩამოვარდება; მაშ რამ უნდა დაიდგნოს იმოდენა ღრუბელი, რამოდენაც ხანდახან ნახევარ ცას მოეჭიდება ხოლმე? ჯერ მშრალიც რაღაც რომ ყოს იმოდენა უეკველად დედა-მიწაზედ დაეცემა და წყლით ხომ უფრო მძიმე იქნება, და რაღა თქმა უნდა, რომ მაშინ ჰაერი იმ სიმძიმეს ვერას გზით ვერ დაიმაგრებს. მაშ გამოდის, რომ სრულებით ტყუილია ის აზრი, ვითომც ბაზრის ღრუბელია ის ღრუბელი, რომელიც აწვიმებს ხოლმე ჩვენ დედა-მიწაზედ. ეს უეკველია იმიტომ ჰგონიათ, რომ ღრუბელი წყალს იწოვს ხოლმე და წყლის დაჭერის თვისება აქვს და ამასთან, რადგან არ იციან საიდგან ჩნდება ღრუბელი და პოულობენ ზღვის პირას, ამიტომ ჰგონიათ, რომ ის ღრუბელი ჰაერში წყლის აზიდვის დროს მოჰგლეჯია დიდ ღრუბელს და ჩამოვარდნილა ზღვაში. ახლა მკითხავენ: ბაზრის ღრუბელს რომ არ აჰქონდეს ზღვიდან წყალი და არ აწვიმებდეს დედა-მიწაზედ, მაშ საიდამ ჩნდება წვიმაო? ამასთან წელანაცა სთქვი და ჩვენც ვიცითო, რომ წყალი დაბლობ ალაგში ჩადგება ხოლმეო, მაშ ზევით როგორღა ადისო? ახლა ისიც რომ დაუმატოთ, რომ წყალი ჰაერზედ მძიმეა რვაას სამოცჯერ (საშვალო სითბოს დროს), მაშინ სრულებით გასაკვირველი იქნება

წყლის ზევით ასვლა, რადგან ყოველი მძიმე ნივთიერება თავიზედ სუბუქს ძირს მოექცევა ხოლმე, თუ თავის ნებაზედ მიუშვით, და ყველა სუბუქი ნივთიერება თავიზედ მძიმეს ზევით მოექცევა ხოლმე. მაშ როგორ შეიძლება, რომ წყალი, რვაას სამოცჯერ ჰაერზედ მძიმე, თავიზედ სუბუქს ჰაერს ზევით მოექცეს? ეს როგორც ხდება ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

II

ახლა ვსთქვათ: როგორ მზადდება წვიმა.

რასაკვირველია, ყველას შეუნიშნავს, რომ წყლის დუღილის დროს, ადუღებულ წყალს ოშხივარი აჰდის ზევით. ეს ოშხივარი არის ორთქლად ნაქცევი წყალი, რომელიც ჰაერზედ სუბუქია და ამიტომ შეუძლიან ზევით ასვლა. მთელ ქვეყანას აჰსდის ორთქლი: ზღვებს, ტბებს, მდინარეებს, ტყეებს, ხეებს, მინდვრებს და საზოგადოთ მთელ დედა-მიწის ზურგს; ჩვენ ამას ადვილათ შევამჩნევთ სიცხეში და აგრეთვე, როდესაც სველი რამე შრება. თუმცა ზამთარში ვერ შევამჩნევთ ხოლმე ამას, მაგრამ მაინც არ უნდა გვეგონოს, რომ ზამთარში არ ასდის ორთქლი დედა-მიწას. ამის დასამტკიცებლად საკმაოა ვეკითხოთ: ზამთარში რომ წვიმა, ან თოვლი მოვა ხოლმე და მერე რომ შრება მიწა—ის მოსული წვიმა ან თოვლი სად მიდის? რასაკვირველია ზოგი მიწაში უჯდება და რაც ზევით პირზე დარჩება—ის ისევ ჰაერში მიდის ორთქლად; სველ სარეცხს რომ გაჰფენენ ხოლმე ზამთარში, იმ სარეცხის სისველე რომ ორთქლად არ იქცეს და ჰაერში არ ავიდეს—სარეცხის გაშრობა შეუძლებელია. მაშ რადგან ზამთარშიაც შრება სველი სარეცხი, ან ტალახი,—სჩანს, რომ ზღვებსაც და ერთი სიტყვით მთელ დედა-მიწის ზურგს ზამთარშიაც ასდის ორთქლი. ეს კია, რომ სიცხის დროს, ზაფხულში, უფრო ბევრი ორთქლი ადის ჰაერში და სიცივეში კი, ზამთარში, უფრო ნაკლები.

ეს დედა-მიწიდგან ასული ორთქლი, როცა ერთად შეჯგუფდება ხოლმე, მაშინ ჩვენ გვეჩვენება შავ-გროვებათ, რომელსაც ვეძახით ღრუბელს. (მაშ, ცაში რომ ღრუბელია ბაზრის ღრუბელი არ არის, არამედ შეჯგუფებული ორთქლია). როდესაც ეს შეჯგუფებული ორთქლი ცივს ჰაერს შეეხება, მაშინ გაცივდება ხოლმე და ას გაცივების დროს ისეთი ხასიათი აქვს ორთქლსა, რომ ერთმანეთს მიეკვრება ხოლმე და წყლის წვეთებად იქცევა; ეს წყლის წვეთები

რადგან ჰაერზე მძიმენი არიან, ამის გამო ისევ დედა-მიწაზედ ეცემიან ხოლმე წვიმად.

ამის დამტკიცებაც ადვილია. აბანოში რომ შეხვალთ, უეჭველია, ადვილად შეამჩნევთ ბუღს; ეს ბუღი არის ცხელი წყლის ორთქლი, რომელიც თავის სიმსუბუქის გამო ჰაერში ზევით-ზევით ცურავს. მერე რომ აიხედავთ აბანოს ჭერში, იქ დაინახავთ წყლის წვეთებს. ეს წვეთები საიდამ გაჩენილა? რაღა თქმა უნდა, რომ წყლის ორთქლიდან. რა ორთქლიც შეჰხებია ჭერს, გაციებულა და ქცეულა წყლის წვეთებათ და თავის სიმძიმისა გამო ან სწვეთავს და ან კედლებზე ცურვით ჩამოდის ისევ ძირს.

ზაფხულის დილაზე ხშირად მოედებათ ხოლმე სოფლებსა და ტყეებს ნისლი. ეს ნისლი არის ქვევით დაწეული ორთქლის ღრუბელი. ამ ნისლიან დროს რომ შევეხოთ ბალახს, ან ხის ფოთლებს,— უთუოდ სველი იქნება. ეს სისველეც იმისგან წარმოსდგება, რომ, რა ორთქლიც შეჰხებია ხესა, ბალახს—გაციებულა და ისევ წყალათა ქცეულა.

ბოლოს უნდა განვიმეოროთ, რომ სითბოს ერთი თვისება აქვს: როგორც წყალს, ისე სხვა ნივთიერებასაც აქცევს ორთქლად და ააქვს ზევით ჰაერში; შემდეგ ეს ორთქლად ნაქცევი ნივთიერება რომ ცივ ჰაერს, ქარს (თავის დროზედ იმასაც ვიტყვით, თუ ქარი საიდამ წარმოსდგება) შეეხება — თითონაც ცივდება, ამის გამო ორთქლის წვრილი ნაწილები ერთდებიან, წვეთებად ჰხდებიან და თავის, სიმძიმისა გამო ისევ დედა-მიწაზედ ეცემიან. წვიმის წვეთებად. აი, როგორ წარმოსდგება წვიმა და რა არის ის ღრუბლები, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ხოლმე ცაში.

ახლა ისა ვსთქვათ, თუ რა დამოკიდებულება აქვს მხარის გარემოებას*) წვიმის სიცოტავეზე და სიბევრეზე, ესე იგი, რა რიგ ქვეყანაში უფრო ხშირად მოდის წვიმა და რა რიგში უფრო იშვიათად. ზევითა ვსთქვი, რომ დედა-მიწის ზურგზე არც ერთი ბეწო ადგილი არ არის, რომ ორთქლი არ ადიოდეს. რასაკვირველია, სადაც წყალი უხვად არის, იქ უფრო ბევრი ორთქლი უნდა ადიოდეს ჰაერში, სადაც მშრალი მიწა უფრო ბევრია, იქ ორთქლიც ნაკ-

*) მაგალითად: ტყე, წყლები, ტბები, ზღვები, მთები, მდებარეობა და სხვა —ეს სულ ყველა არის მხარის გარემოება. აგრეთვე უწყლობა, სიცივე, სიცხე, ქარები და სხვა სულ მხარის გარემოება არის. ჩვენი ქვეყნის გარემოება არის: მთები, ტყეები, წყლები, მშვენიერი ჰავა, სიგრილე და საზოგადოთ ყველაფერი, რაც ჩვენ ქვეყანაშია და მოქმედებს იმაზედ.

ლებად ავა და სადაც სულ გამხმარი დედა-მიწაა, უწყლო, როგორც ზოგიერთი უდაბური ადგილები,—იქ ძალიან მცირე ორთქლი ავა, ასე რომ სათქმელიც არ არის.

მაშ, უეჭველია სველეთიდან (ზღვებიდგან) უფრო ბევრი ორთქლი ავა, ვიდრე ხმელეთიდგან (მიწიდგან). აგრეთვე უნდა ვიცოდეთ, რომ დედა-მიწისა და წყლის გარდა—მცენარეებს *) და ცხოველებსაც აჰსდით ორთქლი; მაშ, სადაც ბევრი ტყეები და ბალახეხია,—იქ უფრო ბევრი ორთქლი ავა, ვიდრე უტყეო და უმცენარო ალაგას, და აგრეთვე, სადაც უფრო მჭიდროთ არის დაშენებული ქვეყანა, იქ უფრო ბევრი ორთქლი იქნება, ვიდრე დაუშენებელ, უდაბურ ალაგას.

ამასთან ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ რომელ ქვეყნებსაც მზე პირდაპირ უცქერის და აცხობს (ათბობს), იქ უფრო ბევრი ორთქლი ავა დედამიწიდგან, და რომელ ქვეყნებსაც კი გეზათა ჰხვდება მზის სხივები და იმიტომ ცივა, იქ უფრო ნაკლებად. აქედამ გამოდის, რომ იმ ქვეყნებში, რომელნიც ტყიანები არიან, წყალი ბევრი აქვსთ, და მზეც პირდაპირ დასცქერის და აცხობს, იქ წვიმაც ბევრი მოვა, რადგანაც იმისთანა გარემოებიან ქვეყნებიდგან ორთქლი ბევრი ავა ჰაერში; ხოლო რომელ ქვეყანაშიაც ტყე არ არის, ან გაკაფულია, უწყლოა, უდაბური მინდვრებია და ცივი,—იქ წვიმაც ცოტა მოვა და ზოგან ათასში ერთხელ (ამასთან ესეც არის, რამდენიც ზღვაზედ ახლოა ქვეყანა, იმდენი წვიმა უფრო ხშირად მოდის, და რამდენიც ქვეყანა განშორებულია ზღვაზე, იმდენი წვიმაც ნაკლები მოვა).

ამ საზოგადო ბუნების (ქვეყნის) კანონებიდამ შეიძლება გამოვიყვანოთ ეს გამოსადეგი დასკვნა (გამოყვანა). ტყეს არაოდეს არ უნდა მოუპყრას კაცი დაუდევნელადა და ისე დაუზოგველად არ უნდა გაჰკაფოს, რომ იმის სანაცვლო არ დანერგოს; ან გაკაფული უნდა დააყორულოს, რომ ხელახლად გაშენდეს.

თუ ტყე საკმაოდ აქვს მხარეს, იმ მხარეში გვალვა იშვიათად მოხდება, და თუ მოხდა—ცოტა ხანს გასწევს. ამის გარდა ტყე სხვაფრივაც ჰშველის მიწას ნაყოფიერებას. ტყიანი მხარე ყოველთვის ნოტიოა და ისე არ გახმება იქაური ნიადაგი, რომ გამოიფიტოს სრულებით და ველარ მისცეს საზრდო მცენარის ფესვებს. აგრეთვე ტყიან ადგილას წვიმისაგან რღვნა (ნიაღვრის) იშვიათად

*) მცენარე ჰქვია მიწიდგან აღმოცენებულს, მიწიდგან ამოსულს, ყვავილ ბალახსა და ხეებილს.

მოხდება ხოლმე. როდესაც ტყეზე მოდის წვიმა, იმის წვეთებს ხის ფოთლები მაშინვე ძირს არ უშვებენ, არამედ ნელ-ნელა აწვეთებენ; ამის გამო წვიმა ასწრობს ნიადაგში გაჯდომას. უტყეო ალაგას კი წვიმა ერთბაშად ეცემა დედა-მიწაზედ, ველარ ასწრობს ნიადაგში გაჯდომას, ჰხდება ნიაღვრად და მდინარეებში მიდის; ამასთან ეს ნიაღვრები ზევით-პირ ნაყოფიერ მიწას ჰგლეჯენ და ჰლექენ მდინარეებში და ხევებში. აგრეთვე ამისთანა ტყიან ალაგებში მდინარეებიც ხშირად ადიდდებიან ხოლმე და თავის ნაყოფიერ დათესილ ნაპირებს სრულებით წაჰლექვენ ხოლმე.

შარშან ზაფხულში, რომ იმერეთში მოხდა რიონის ადიდება და ბევრი დათესილი ყანები წაახდინა ნაპირებზედ,—ეს ადიდება სწორედ იმისგან იყო, რომ ახლო-მახლო მთებზე მოსულმა წვიმამ ბინა ველარ მოიკიდა, მოგროვდა ხევებში და შემოერთო რიონს; ბინაც იმიტომ ველარ მოიკიდა, რომ ახლო-მახლო მთებზე ტყეები გაკაფეს დაუნდობლად და ახალის დაშენებაზე აღარ იფიქრეს.

მეორე დასკვნა (გამოყვანა) ის იქნება, რომ სადაც წყალი ცოტაა, ესე იგი მდინარეები, ტბები, რუები ნაკლებად არის და ამის გამო ორთქლი ცოტა ადის ჰაერში და წვიმაც სულ იშვიათია,—იქ შეიძლება ისეთი ოსტატობა იხმაროს, რომ წყლები გააბევროს. ამისთვის ზოგიერთ უდაბურ, უწყლო მინდვრებში გაჰყავთ ხშირი (ახლო-ახლო) რუები და მიუგდებენ საიდგანმე შიგ წყალს. ამ გვარად სიხმოსაგან გახრიკებული მინდორი სველდება, მალე აღარა შრება და მაშინ ორთქლიც ბევრი ადის ჰაერში; მაშინ ამ მხარეზედაც მოვა წვიმა. ეს ოსტატობა ბევრ გახრეკილ ალაგებში მოუხდენიათ და ამით უნაყოფო და უწვიმო ალაგები გაუნაყოფიერებიათ და დაუშენებიათ. მაშინ ტყეც ადვილად გაუშენებიათ და ერთი სიტყვით, უსარგებლო მიწები სასარგებლო მიწებად გადაუქცევიათ.

ამ გვარად, როდესაც კაცმა იცის ბუნების (ქვეყნის) კანონები, ესე იგი ისა, როდის რა მოხდება, საიდგან რა წარმოსდგება,—მაშინ ყველა ნაკლულოვანებას ადვილად შეისრულებს, ყველა გაჭირვებას ადვილად უშველის; მაშინ აღარც ტყეებს გასწყვეტავს დაუნდობლად, უწყლო ალაგებშიაც წყლებს გაიყვანს, ბევრ შრომასაც არ დაზოგავს, თუ კი გამოსავალი კარგი ექმნება იმ შრომას და საზოგადოდ უფიქრელად და უზრუნველად აღარ მოიქცევა.

ორიოდე სიტყვა ჩვენს უმთავრეს სარჩოზე

დიდი ხანია მას უკან, რაც კაცის სარჩოდ გამხდარა პური და პურის გვარი მცენარეები (იქნება მკითხველს დაავიწყდა ისა, რომ ყოველგვარ მიწის ნაყოფს, ხეს, ტყეს, ბალახს და ბალახეულს საზოგადოთ მცენარეს ეძახიან). რაკი კაცი დაბინავებულა, დაუდგამს ქოხი და შიგ ცოლ-შვილი დაუყენებია, მას აქეთ კაცი ყოველწლივ სთესავს პურს, დიკას, ქერს, შვრიას, სიმინდს და სხვა პურის გვარ მცენარეებს.

სულ პირველად კაცს, რასაკვირველია, არ ეცოდინებოდა არც ხვნა, არც თესვა, არც ხორბლის ფქვა, არც პურის გამოცხობა. იმ დროს, უეჭველად, კაცს ტყე-ტყე უნდა ევლო, ხელში უნდა სჭეროდა ან ქვის კეტი, ან შვილდ-ისარი, რომ ოთხ-ფეხი და ფრინველი ეხოცა და იმითი თავი ერჩინა. ეს დრო კაცის ცხოვრებისთვის ძალიან გაჭირვებული დრო უნდა ყოფილიყო. მუდამ მგელსავით გავარდნილი უნდა ევლო, ამიტომ ცხოველსაც თავის ჭკუა აქვს: მტერს რომ დაინახავს გაიქცევა. დიდი მოთმინება და ხერხი უნდა ჰსდომოდა საწყალს კაცსა, რომ რომელსამე ველურს (გარეულს) ცხოველს მიჰპარებოდა და მოეკლა თავის უხერხო იარაღითა; ან თუ მოჰკლავ, დი, იმდენს სად მოჰკლავდა, რომ სამერმისოთაც (შემდეგაც) ჰყოფნოდი და კიდევაც ბევრი მოეკლა დიდხანს მაინც ვერ შეინახავდა. ამიტომ რომ ხორცი მალე ხდება, აყროლდება და კაცი ველარ სჭამს. ამის გამო თუმცა „ჯეირნის მწვადი შიშინით ცეცხლზედა დასტრიალებდეს“ საქეიფო და მადის გამღვიძებელი რამ უნდა ყოფილიყო იმ დროსა, მაგრამ უბედურობა ეს იყო, რომ ეს ქეიფი ერთი წამის, ან წუთის ქეიფი იყო. მწვადის შეჭმის შემდეგ კაცი ისევ უნდა გასდგომოდა ახალს ჯეირანს, და ისევ ტყეში და ღრეში უნდა ეწანწალებინა.

ამ დროს კაცს ერთ წუთას მოსვენება არ უნდა ჰქონოდა, ნიადაგ ნადირისათვის დილიდგან საღამომდის უნდა ერბინა. იმ დროს ნადირი იქნებოდა მხეცათ და კაცი იმის ნადირათ. ამისთანა ცხოვ-

რებაში არც მოსვენების სიტკბოება ეცოდინებოდა კაცსა, არც თავის ცოლშვილში ტ.ბილად დროს გატარება. კაცს არ ჰქონდა ხვალისთვის სარჩო მომზადებული. ამ დროს კაცის გონებაც ისე უნდა ყოფილიყო გამოუცდელი და აუხილავი, როგორც სხვა ნადირისა.

ახლა რომ კაცს თავისი ჭკუა ბუნების მეფედ ჰხდის და ბუნებას იმის მონათ, მაშინ ეს ჭკუა მიძინებული იყო, სწავლით და გამოცდილებით არ იყო გამდიდრებული; ღამეში რომ ხის ფოთლების შრიალი გაეგონა, კაცი ფრთხებოდა, ამიტომ რომ არ იცოდა, თუ რა ანძრევდა იმ ფოთლებსა; იმას ეგონა, რომ ყოველ ფოთლის ქვეშ გრძნეული სული იმალებოდა იმის მოსაკლავად, ან დასაშავებლად. ქვეყნიერობისა არა გაეგებოდა რა, და უცოდინარობით ყველაფრისა ეშინოდა.

ყმაწვილს ღამისა ეშინია; მაგრამ, როგორც კი თან-და-თან გაიზრდება და ხშირად შეემთხვევა ხოლმე ღამ ღამე სიარული, მაშინ შიშიც თან-და-თან გაუქრება, იმიტომ რომ შეიტყობს, როგორც დღე არ არის რა საშიშო, ეგრეთვე ღამეცა. კაციც ასე იყო. ჯერ ყველაფრის ეშინოდა, ამიტომ რომ არც ერთის ქვეყნიერი ნივთის ანგარიში არ იცოდა. ამ მდგომარეობაში ერთი ღა იმედი კიდევ დარჩენოდა კაცსა, ეს იყო იმისი ჭკუა, რომელიც თან-და-თან ახელილიყო გამოცდილებით; იმას ადრე თუ გვიან უნდა შეეტყო ყოველი ნივთის დანიშნულობა და ამ შეკრებილ სწავლით თავისი ცხოვრება უნდა გაეკეთებინა. დიდი დრო და დაკვირვება უნდა დასჭირვებოდა იმას, რომ შეეტყო სათესლე პურის ანგარიში. დაკვირვებით უნდა გამოეკვლია, რომ ყოველი მცენარე და მცენარეებში პურიცა თესლით მოდის, თესლი გალბება მიწაში, ცოტა ხანს შემდეგ ამოვა მიწიდგან ბალახათა, ეს ბალახი დროს განმავლობაში თავთავს იკეთებს, თავთავი მწიფდება, იმაში მარცვლებია, რომელსაც ჩვენ ხორბალს ეეძახით; მერე ამ ხორბლის დაფქვას და საფქვავი წისქვილის მოგონებას, ფქვილის მოზელას და გამოცხობას; ამაების შეტყობამდის ჯერეთ ყოვლისფრის უცნობს კაცსა, რასაკვირველია, მკითხველო, ძალიან დიდი დროც დასჭირდებოდა და ბევრი კაცის ჩამომავლობაც დაიმარხებოდა უნუგეშოთ. მაგრამ, რაკი რომ პურის და სხვა სასარგებლო მცენარის შემუშავებას ისწავლიდა, ამის შემდეგ კაციც, რასაკვირველია, ერთს ადგილს უნდა დამდგარიყო და გაეჩაღებინა კერა თავის სახლობის გასათბობლად.

პურის მოყვანას რომ ისწავლიდა, შემდეგ კაცს ალარა გაუჭირდებოდა რა. ის დაბინავდებოდა ერთს ალაგას. სარჩოს სამყოფზე მეტს მოიყვანდა, ამიტომ რომ სოფლის გაჩენიდგან მოკიდებული

მიწას არავინ მუშაობდა და ამისთვისაც მიწა ძალიან ნოყიერი უნდა ყოფილიყო, ისე, როგორც ყოველი ნაფუზვარი, ამას იქით კაცს თავისუფალი დრო უფრო ბევრი მიეცემოდა სარჩოს ხიუხვის გამო, და ამ თავისუფალს დროსა ის მოიხმარდა ფიქრობაში და სხვა და სხვა თავის სასარგებლო ნივთების მოგონებაში,—ამ სახით კაცი თან-და-თან უნდა მისჩვევოდა ჭკუის ზრდას და შეძენილის სწავლით იმის გამდიდრებასა.

პურს დიდი საქმე უქმნია კაცის განვითარებისთვის. რაკი რომ პურის სარგებლობას შიმხვდარა კაცის ნათესაობა, და რაკი კაცს გამოცდილებით უსწავლია პურის მოყვანა, შემდეგ კაცსა ტყე-ტყე რბენისთვისაც თავი დაუნებებია. ნადირობა არც პურის მოყვანის შემდეგ მოუშლია, მაგრამ გარეულის ცხოველის დევნაში სულ არ გადაიკარგებოდა: ერთი, ორი, ან სამი დღით რომ სანადიროთ წასულიყო, მერე მაინც ისევ შინ უნდა დაბრუნებულიყო; ამიტომ რომ შინ პურის მოსავალს ელოდა: თავის სახლობაც იმ დათესილ ყანასთან ეყენა და ყველანი აბიბინებული ყანის შემჩერენი იყვნენ; ყანას კი იმ ადგილიდგან ფეხის მოცვლა არ შეეძლო და უხვის მოსავლით ჰპირდებოდა პატრონის ოჯახს კარგს და ზომაზე მომეტებულს სარჩოსა. მაშ, კაცს რომ კიდუვაც ჰყვარებოდა თრევა და მუდამ წანწალი, პურის ყანა მაინც ადგილის გადაცვლის ნებას არ მისცემდა. ამ სახით პური ყოფილა იმის მიზეზი, რომ კაცს ფეხი გაუდგამს ერთს ალაგას და ოჯახობისთვის ხელი მოუკიდნია.

ოჯახობა ბევრი ნივთის საჭიროებას მოაფიქრებინებდა: კაცს გარეშო ხე-ტყე ბევრი ჰქონდა; მხოლოდ ერთიღა დარჩებოდა იმას, რომ ამ მასალებისაგან საოჯახო ნივთები მოეგონებინა: გაჭირვება მაჩვენე, გაქცევას გაჩვენებო,—კაცსაც ასე მოუვიდა. თუმცა იმისი გონება პირველათ გაჭოუცდელი და ყოვლისფრის მიუხდომელი იყო, მაგრამ, როცა გაჭირვება დაადგა, მაშინ ჭკუასაც ჯაფა დაატანა და ამ ჭკუამ თან-და-თან უფრო და უფრო კარგი აეეჯულობა მოაგონებინა კაცსა. იმან თავისი მოსაზრებით ურემი გააკეთა, წისქვილი აბრუნა; მიჰხვდა, რომ რაც უფრო კარგათ მომზადებულს მიწაში ჩასთესავდა პურსა, ისე უფრო ბევრი პური მოუვიდოდა; ამ რიგათ მიწის ასაჩეჩი საჩეჩიც (იმერულათ კავი) მოიგონა, მერმე გუთანიც გაიმართა.

აი, ახლა მოვედით იმდენ განათლებაზე, რამდენზედაც ჩვენ საქართველოს ხალხს მიუღწევია. ამას აღარ გასცილებია ჩვენი განათლება, ამაზე მეტად, ცუდი გარემოების გამო, აღარ გახსნილა ჩვენი ჭკუა; მაგრამ ევროპის ხალხები რომ ავიღოთ, იქ კი ბევრათ უკეთე-

სი ავეჯულობა არის მოგონებული და ბევრათ უფრო დიდ საზრდოსა ჭკრეფავენ მიწისგან და ჩვენზე ბევრათ უკეთაც ცხოვრობენ.

ამ სახით, პირველადვე რომ გონებით-სუსტ კაცის ნათესაობას გაჭირვება დაადგა, იმან თანდათან მოახმარებინა თავისი ჭკუა, რომ რაც დედ-ამიწის ზურგზე მასალა იყო: ხე, წყალი, მიწა მადნეული ყველა თავის ცხოვრების საკეთილდღეოთ მოეხმარებინა. ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო დიდი ამაგი კაცისათვის პურს უქნია. პურს დაუბინავებია კაცი ერთ ალაგას. პურს მიუცია კაცისთვის მომეტებული სარჩო, რომ იმას თავისუფალი დრო ჰქონოდა და ამ თავისუფალს დროში კაცს სხვადასხვა სასარგებლო ნივთები და სამკაულები მოეგონებინა. ამ სახით პური გამხდარა კაცთა ნათესავობის გამზრდელი და იმის გონების გამნათლებელი.

ახლა რომ გვკითხოს კაცმა: დაწვრილებით ვიცნობთ თუ არა ამ ჩვენს მოკეთე გამზრდელს მცენარესა?—ჩვენ უნდა ვუპასუხოთ, არა. არ ვიცით, თუ რა ნაირია იმისი შინაგანი აგებულობა, როგორ იზრდება, რა გვარს წვენს იღებს მიწისგან და რა ნაირათ გვიმზადებს იმ ძვირფასს თესლსა, ხორბალსა, რომელიც გვარჩენს და გვაცოცხლებს. ამისი ცნობა კიდევ იმითია ჩვენთვის საჭირო, რომ სანამდის იმისი აგებულობა დაწვრილებით არ გვეცოდინება, ვერც იმას შევიგნებთ, თუ რა ნაირი მიწა უფრო მოუხდება, ან როგორ უნდა იმისი მუშაობა. ამიტომაც ჩვენ გვსურს „სასოფლო გაზეთის“ შემდეგს ნუმერში ვილაპარაკოთ ამაზედ.

ახლა კი უნდა ვსთქვათ ორიოდე სიტყვა საზოგადოთ პურის მოყვანაზე.

ორმოც საუკუნეზე მეტს გაუვლია მას აქეთ, რაც კაცთა ნათესაობას პური მოჰყავს. პურისთვის ძალიან კარგია წებოიანი, ნოტიო და პოხიერი (მსუქანი მიწაა); ესეთია მიწა— თიხიანი (ყვითელი) და შავი თიხანარევი მიწა. ქვიშიან მიწაზედ და იმისთანა ალაგებში, სადაც შავი რუსული პური კარგა მოდის, ხორბალი ვერ ამოვა, თუ ძალიან ნოტიო ალაგი არ არის, და თუ მიწასაც კარგათ არ უვლიან და თავის დროზედ სასუქითაც არ ასუქებენ ხოლმე.

ხორბალი არის ორგვარი: ერთს ეძახიან ძველ-თესლს და სთესენ შემოდგომაზე, ენკენისთვეში და ღვინობისთვეში; მეორეს კი ჰქვიან ახალ-თესლი; ამას გაზაფხულზე სთესენ—მარტში და აპრილში. ჩვენში კარგი პური მოჰყავთ ქართლში და სომხითში (სამხრეთ სომხითში) უფრო ხშირად თავთუხსა და თეთრ ხორბალს სთესენ; ქართლში კი უფრო მამხობელი და დიკა მოჰყავთ. კახეთშიაც და ჭუთაისშიაც სთესენ ხორბალს (ბევრნაირს), მაგრამ იქ ერთობ ვაჭ-

რობენ ამითი და ამიტომ იმდენი მოჰყავთ, რამდენიც თითონ ეყოფათ და გასაყიდათაც დარჩებათ.

ბევრგან ხორბლისთვის მიწას შეიმუშავებენ ხოლმე, სასუქსაც აყრიან, მაგრამ ჩვენში ამას თითქმის სრულებით არავინ დასდევს. ჩვენში იციან მიწის დასვენება, ესე იგი, ამ წელიწადს მოჰხვნენ, მეორე წელიწადს კი თავს დაანებებენ, დაასვენებენ ხოლმე. ამ გვარი თესვისაგან ბევრი მიწა არის ჩვენში მომცდარი. სხვა ქვეყნებში, საცა მიწა ნაკლებათა აქვსთ, ასუქებენ კიდეც სასუქით და ამასთან ყოველ წელიწადს ხორბალს არა სთესენ; პირველ წელიწადს რომ ხორბალი დათესონ, მეორე წელიწადს სხვა სასარგებლო თესლსა სთესენ, ცერცვს, იონჯას, სიმინდს ან სხვა ამ გვარ თესლებს. ესენი მიწას ძალიან არ აცლიან ნოყიერებას და ამასთან ამათი მიწაში დარჩომილი ფესვები ისევ ლპება და ნოყიერებას უმატებს მიწას; მაშინ მეორე წელიწადს შეიძლება ხორბლის დათესა და მესამეზედ ისევ სიმინდისა, ცერცვისა, ან სხვა ამ გვარი რამისა და სხვა.

ძველი თესლი ისეთ დროს უნდა დაითესოს, რომ დათესილს ყინვამ ერთ თვეზე ადრე არ მოასწროს; და საცა კი ცივი ჰავაა, იქ უფრო ადრე, ყინვებამდის ექვსი, ანუ შვიდი კვირით წინ.

ხორბალი არ უნდა დაითესოს ძალიან სქლად (ხშირად), რადგან ერთი მარცვლიდგან რამდენიმე ღერო ამოვა ხოლმე; მაგრამ ესეც კი უნდა იცოდეს დამთესავმა, რომ რამდენიც მსუქანი მიწაა, იმდენი უფრო ხშირად შეიძლება დათესვა, რადგან მსუქან მიწაში ბევრი საზრდო ექნება ხორბალს; მაინც ისე ხშირად კი არ უნდა დაითესოს, რომ ამოსულმა ღეროებმა ერთმანეთს დაუშალონ გაზრდა და ავნონ.

დასათესად ყოველთვის ძველი ხორბალი სჯობია, ამიტომ რომ ახალმა გალეწილმა ხორბალმა ავადმყოფობა იცის. თავთავი უშავდება ხოლმე და მარცვლების მაგიერათ შავი ფქვილი აქვს შიგ. თუ კარგი ძველი ხორბალი დაითესა, თავის დროზედაც და კარგს და კარგათ მოხნულ მიწაზედ, მაშინ მეჭირნახულეს ერთ ოცდა ათადა და ორმოცად დააჯილდოებს. დაფარცხვის დროსაც, ისე უნდა დაიფარცხოს, რომ ხორბალი არა ჩნდეს მიწაში; ცუდათ დაფარცხულ ნათესს ყინვების დროს ყოველთვის ფესვი დაუძრება და წახდება. უცხო ბალახებიც ძალიან აწყენს ყანის ამოსვლას. ჯერ ერთი, რომ მიწიდამ საზრდოს აცლის და გაზრდის დროს სჩაგრავს; მეორეც იმითია ცუდი, რომ გალეწვის დროს ხორბალში ერევა უცხო თესლები და საძაგელი ღვარძლი, რომელნიც პურს აუგემურებენ და მაწყინარს ჰხდიან კაცისთვის. ამისათვის ძალიან საჭიროა, რომ ყანა გამარგლონ და უცხო ბალახები გააცალონ ხოლმე, ამას თუმცა ხარ-

ჯი უნდა, მაგრამ მაშინ მოგება გამარგვლის ხარჯზედ ერთი ორად იქნება; ამიტომ რომ პურიც ერთგვარად ბევრი მოუვა, წმინდა, გემრიელი და შემრგოც იქნება. ყანა მაშინ უნდა გამარგლონ, როდესაც ჯეჯილი ერთ გოჯზედ არის ამოსული და ამასთან გამარგვლისათვის ყოველთვის მზიანი და მშრალი ამინდი უნდა ამოარჩიონ ხოლმე.

მანამ ჯეჯილი ღეროდ იქცევა, მარგებელია ყანისათვის თბილი ამინდი და დროგამოშვებით წვიმა; თავთავი როცა უკეთდება ხორბალს, თუ მაშინ წვიმიანი ამინდი დაუდგა ყანის, ავადმყოფობა გაუჩნდება, თავთავი უშავდება და მარცვალი უფუჭდება. ამ ავადმყოფობის გარდა ყანამ იცის, ღეროებზედ ყვითელი ლაქები დააჩნდება ხოლმე; ამ ავადმყოფობას ეძახიან ყ ა ნ ი ს ჟ ა ნ გ ს. ყანას ჟანგი მაშინ მოსდის, როდესაც დაუდგრომელი ამინდი დაუდგება, ესე იგი, როდესაც სიცხის შემდეგ ერთბაშად აციცდება და წვიმების შემდეგ ერთბაშად გახმება ხოლმე მიწა.

ხორბლის მომკა მაშინ უნდა, როცა ჯერ ძალიან შემოსული (დამწიფებული) არ არის, ამიტომ რომ გადამწიფებული (ძალიან შემოსული) ხორბლისა და სხვა მარცვლის ფქვილიც ნოყიერი არ არის. სათესლედ კი ყოველთვის კარგი შემოსული (დამწიფებული) უნდა იყოს. ხორბალი ყველა მარცვალს სჯობია ნოყიერებით—სიმინდსაც, ლომსაც, რუსულ პურსაც, ფეტვსაც და ქერსაც.

ახალთესლს (გაზაფხულის თესლს) ადრე უნდა დათესვა, მაგრამ წვიმიანი, ძალიან სველი ამინდი კი არ უნდა იყოს. ზოგ სხვა ქვეყნებში ახალთესლს შემოდგომაზედვე მოუმზადებენ ხოლმე ნახნავს. ენკენისთვეში მოხნავენ, დაჰყრიან სასუქს ღლიურზედ ოცდაათ ურემს, კიდევ მოჰხნავენ და ისე გაუშვებენ გაზაფხულამდის; გაზაფხულზედ კიდევ მოჰხნავენ, დაჰსთესენ და დაფარცხავენ ხოლმე. ახალ თესლმა უფრო პატარა ბუჩქი იცის, ესე იგი, ერთ მარცვალს ბევრი ღერო არ მოაქვს, ამიტომ ახალთესლი უფრო ხშირად უნდა დათესონ. ახალთესლმა უფრო ხშირად იცის თავთავის გაშავება; ამის გამო მცოდინარენი მთესველებს ურჩევენ, რომ თესლი კირიან ან შაბიამანიან წყალში დაალბონ და ისე დათესონ ხოლმე. ახალთესლი უფრო ჭვიან უნდა მოიმკას ძველთესლზედ. მოსავალი ძველთესლისა სჯობია.

აჭარა (აჭარა ბრინჯი) უფრო აიტანს ხოლმე ყველანაირ ამინდსა და მიწას, ვიდრე ხორბალი; არც თავთავის გაშავება იცის ხშირად. აჭარა არის ახალთესლიც და ძველი თესლიც. როგორც ხორბალს სთესენ, ისე აჭარას უნდა დათესვა და ისეთ მიწაში, როგორიც ხორბალს უხდება; ესეც კია, ბევრჯერ აჭარა გამხმარ, გამოფიტულ მიწაშიც მოდის ხოლმე. აჭარას მოვლა ისეთივე უნდა, რო

გორც ხორბალს, რადგან აჭარას თავთავიდგან მარცვალი ადვილად სცვივა, ამიტომ ის მაშინ უნდა მომკან, როდესაც ღერო თეთრი აქვს და მომკის უმალვე წაიღონ მინდვრიდან, თორემ ბევრ ხანს მინდორში ყოფნით თავთავი სულ დაეცლება; აგრეთვე წაღების დროს ურემს ქვეშ უნდა დაეგოს რამე. აჭარის მარცვალი ხორბალზედ ორჯერ მსხვილია, მაგრამ რადგანაც მცვივანა თავთავი იცის, ამის გამო ბევრი ცვივა და იკარგება უბრალოთ.

ხორბლის მოყვანა ბევრნაირად არის სასარგებლო; ერთი, რომ პური ყველა სხვა თესლის პურზე ნოყიერი იცის; მეორე, იმისგან აკეთებენ სახამებელს; იმის ბზეს საქონლის საჭმელად ხმარობენ და აგრეთვე ნამჯა ძალიან სასარგებლოა გომეშში საქონლის ქვეშ დასაგებად.

ჩვენი სოფლელი მკითხველებისთვის დასასწავლი რაღაც-რაღაცაები

I

ეს არის გაზაფხული დადგა. ერთი ორიოდე თბილი დღეები რომ დგიჭიროს, რაც გარემო ხეხილი, ტყე და ბალახია, ყველა ერთ-ბაშათ იფეთქებს. ზამთრით მიძინებული სიცოცხლე ისევ გაიღვიძებს და ქვეყანა სადღესასწაულო ტანსაცმლით შეიმოსება. ჩვენ რომ დიდს დღეს სიხარულით მოველით, იმას ესე შეჰფერის. ყოველი ჩვენთაგანი რაც ბუნებას მოუცია, იმითი ვემზადებით აღდგომის მიგებებას; როგორც სჩანს ჩვენი დედა-მიწაც ემზადება სადღესასწაულოდ. სწორედ აღდგომის დღეებში გამოვა ყოველი ფერი, ტყე ფოთლით შეიმოსება, მინდვრები ამწვანდება, ყვავილები გამოვლენ, ერთის სიტყვით რაც რამ სასიცოცხლოა დედა-მიწის ზურგზე, ყველა ემზადება გრწყინვალე დღესასწაულს, მხიარულებას. ეს კარგი ამბავია, რომ წრეულს ბუნებამ გაიზიარა კაცის მხიარულობა. როცა ამგვარათ ბუნება თანაუგრძნობს კაცსა, ეს ბედნიერების ნიშანია; ალბათ ის არ არის ჩვენზე გამწყრალი და დღეგრძელობასაც გვიქადებს. ღმერთმაც აგრე ქმნას! დღეგრძელობა ყველას ეპირვება, მაგრამ ჩვენ მაინც ყველაზე უფრო გვეპირვება, ამიტომ რომ ჩვენი უბედურობის გამო ძველიდგან მოკიდებული თითქმის აქამდის კარგი ცხოვრების გემო არ გაგვიგია.

ესეც ხომ ასე, მაგრამ დარწმუნებული ვარ ბევრი მკითხველი იმასაც მკითხავს, ეგ ბუნება რა არის, რომელიც წრეულს ჩვენთან მხიარულებას ემზადებაო? ამის პასუხათ გთხოვთ დილ-დილობით ადრიანათ გამოხვიდე ხოლმე კარში, მკითხველო, და მიიხედ-მოიხედო... ეს შენთვისაც კარგია, იმიტომ რომ დილის ჰაერის შესუნთქვა კაცის გამაცოცხლებელია და სიმრთელის მომმატებელი; ამასთან ისიც უნდა ვთქვათ, რომ ვინც ადრე ადგომას არის მიჩვეული, იმას სიზარმაცე თავიდგან მოშორებული აქვს და შრომაზე გულ დადებით არის. ვისაც შრომა არ ეზარება, იმას, მკითხველო, სიმდიდრეშიაც

ფეხი უდგას; მაგრამ რა ვთქვი!.. არა, სიმდიდრეში ფეხის შესადმელ ათ საჭიროა, შრომასთან ყაირათიც იცოდეს კაცმა: რაც ოფლით შეუძენია, იმას ტყუილ-უბრალოთ არ აბნევდეს.

დასწყევლოს ღმერთმა, რით დავიწყე და რით გავათავე! მინდოდა ბუნება რა არის ის ამეხსნა და ამის მაგიერათ შრომაზე გადავხტი. საკვირველია, რომ ყველაფერში ქართველობა გვეტყობა— აზრობაშიაც, წერაშიაც და სხვა შრომაშიაც. ერთს საქმეზე დიდხანს გულს ვერ დაუდებთ, მალე მოგვბეზრდება ხოლმე და მერე ან სულ თავს მივანებებთ ყველაფერს საქმესა და ან სხვა საქმეზე გადავხტებით. იქაც, რასაკვირველია, უმუყაითობისაგან ავიცრუებთ ხოლმე გულსა. ამისთანა ხტუნვაში არაფერი ხეირიანი კი არ გამოდის. აზრობაშიაც ეგრე ვართ, იმიტომაც გვეძახიან, რომ ქართველებს არაფერში ხეირი არა აქვთო. რა გაეწყობა! ვეცადოთ ყოველს საქმეში მხნეთ ვიმოქმედოთ და სანამდის ბოლო არ მივსცეთ, მანამდის არც ერთს საქმეს თავი არ დავანებოთ. აი მაშინ ჩვენი შრომიდგანაც ხეირი გამოვა და უხეიროს მაგიერათ ხეირიანებს დაგვიძახებენ. მაშ ახლა მეც ამ დარიგებას მივყვები.

თუმცა აქამდის ბევრი ვიხტუნე ისე, რომ რისაც ახსნა შინდოდა, ვერ მოვახერხე, მაგრამ აი ეხლა ისევ ჩემს ასახსნელ საგანს (სახელს) ვუბრუნდები. მაშ დავიწყებ.

როდესაც კაცი ადრიანათ გარეთ გამოვა, ის ჰხედავს დედა-მიწას, იმაზე ამოსულს ხეხილს, ტყეს, ბალახს, ხედავს ღელეებს, წყაროებს, უფრო დიდ წყლებს, რომლებსაც ჩვენ ვეძახით მდინარეებს, ამიტომ რომ მიდიან ზღვისაკენ იქ შესართავად. ქართლსა და კახეთში მტკვარი და ალაზანია დიდი მდინარე; იმერეთში— რიონი, ცხენის-წყალი და ენგური.

მდინარეებს გარდა კაცი დედა-მიწაზე ჰხედავს ყოველნაირ ცხოველსა, ქვებს, კლდეებს და ვინ იცის რამდენ რასა. როცა კაცი ზევით აიხედავს, ჰხედავს ცასა, რომ თასივით თავზედ თითქოს ვარსკვლავებია მაჭედილი.

ეს ვარსკვლავები ჩვენზე ძალიან შორს არიან და ამიტომაც პატარებათ გვეჩვენებიან, თორემ ცოტათ ახლოს რომ ვნახოთ, დავრწმუნდებით, რომ ისინი ჩვენს დედა-მიწაზედაც ბევრათ უფრო დიდები არიან.

ვარსკვლავებს გარდა კაცი ჰხედავს მზეს, რომელიც ათბობს ჩვენს დედა-მიწას და ყველაფერს სიცოცხლეს აძლევს. ღამით ცაზე ვხედავთ მთვარესა. სულ ამაებს: დედა-მიწასა და რაც დედა-მიწის ზურგზე იპოვება, ვარსკვლავებსა, მზეს, მთვარეს, რომელსაც სულ

ციურ მნათობებს ეძახიან, სულ ყველას ერთიანათ ვეძახით ქართულათ ბუნებასა.

ამას გარდა კიდევ იტყვიან კაცის ბუნება, როცა უნდათ მოიხსენონ კაცის ტანი და იმის აგებულობა სულ ერთიანად. მაშ დავიხსოვნოთ, რომ რასაც თვალით ვხედავთ ცაზე და დედა-მიწაზე ამას საზოგადოთ ბუნება ჰქვია. ესეც დავიხსოვნოთ, რომ როცა იტყვიან კაცის ბუნება, მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ მხოლოდ კაცის ტანი და იმისი აგებულება მთლად ერთიანად. აგრეთვე როცა იტყვიან, ხის ბუნება, ან ძროხის ბუნება, მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ მთელი ხე თავისი აგებულებით და ან ძროხა თავისი ცხოვრებით.

ახლა ცალ-ცალკე მოუყაროთ თავი იმ არსებებსა, რომლებიც ბუნებაში იპოვებიან, ყოველს არსებას, სულიერს და უსულოს, სხეულს ეძახიან; ქვა არის სხეული, ხე არის სხეული, ძროხა არის სხეული, კაცია სხეული, ერთი სიტყვით, რაც უნდა აიღო, ყველას საზოგადოთ სხეული ჰქვია.

მაშ რაც ბუნებაში ნივთებია, ყველა რომ შევაგროვოთ და თავ-თავის ადგილას დავაწყოთ, ისინი შეადგენენ სამნაირ გროვასა. აი, მაგალითად, ბალახი, ხე, ტყე, სოკო და სხვა ამათგვარი სხეული ერთად შევკრიბოთ. ამათ ერთგვარი ცხოვრება აქვთ. ისინი ჩნდებიან თესლისაგან, რომელიც მიწაში განაყოფიერდება და მიწიდგან თავს ამოყოფს, და თუ სოკოს თესლია, სოკოთ გაიზრდება, თუ ბალახის თესლია—ბალახათ, თუ ვაშლისა, ან სხვა რაიმე ხის თესლია—ხეთ გაიზრდება.

ზემოთ მოხსენებული სხეულები მიწაში ფესვით არიან მიმაგრებულნი, მიწიდგან სწოვენ წვენსა, იზრდებიან და ბოლოს თავ თავის შესაფერი ნაყოფიც მოაქვთ. ყველა ამგვარს სხეულებსა ჰქვია მცენარე,—მაშ ყველა ის საგნები, რაც მიწაზე ამოდის, იმის წვენით იკვებება და მიწაზე ფესვით არის დამაგრებული, იმათ რქმევია მცენარე.

ახლა ავიღოთ იმისთანა საგნები, რომლებიც სულიერები არიან, შეუძლიანთ თავისი ნებით ადგილის გამოცვლა, სჭამენ პირით, გრძნობენ ტკივილს და სიამოვნებას, მაგალითად: ლოკოკინა, გველი, ხარი, ცხენი და სხვა—ყველა ამაებს დაარქვეს ცხოველი.

ახლა შევკრიბოთ ერთად იმისთანა სხეულები, რომლებსაც არც ფესვი აქვთ, რომ მიწიდგან წვენი სწუწნონ საზრდოთ, არც პირი აქვთ, რომ საზრდო სჭამონ, არც არაფერი. ისინი მხოლოდ არიან დაბნეულნი დედა მიწაზე, არც ზრდა აქვთ არც გრძნობა. ამ საგნებს ყველას მადნეულობა ჰქვიან, მაგალითად: ქვა, კირი,

რკინა, კლდე, შაბი, მარილი, ქვიშა, ოქრო, ვერცხლი და სხვა ამისთანაები.

რაც რამ ბუნებაშია, ახლა სამგვარ სამეფოთ გავყოთ: ერთ სამეფოს შეადგენს ის სხეულები, რომლებსაც უძახიან მ ა დ ნ ე უ ლ ო ბ ა ს ანუ მ ი წ ა თ გ ვ ა რ ს ა. მეორე სამეფოს შეადგენენ ისინი, რომლებსაც ერთად უძახიან მ ც ე ნ ა რ ე თ გ ვ ა რ ს ა და მესამეს შეადგენენ ის სხეულები, რომლებსაც უძახიან—ც ხ ო ვ ე ლ თ გ ვ ა რ ს ა.

მცენარეს აქვს თავისი იარაღი. რომლის შეშწეობითაც ის ილებს წვენს მიწიდგან, იმზადებს ტანში საზრდოსა და ამგვარათ იზრდება. მაგალითად ხის იარაღი არის იმის ფესვი, რომელიც სწოვს მიწის წვენსა და აძლევს მას ხესა; ფოთლებიც იარაღია, რომელიც ამზადებს მიწიდგან ამოღებულს წვენს საზრდოთა.

როგორც მცენარეს, ცხოველსაც აგრეთვე თავის იარაღები აქვს, მაგალითად ძაღლის იარაღი არის პირი, რომლითაც ჭამს ჰურსა, ფეხებიც იარაღია, რომლითაც დადის და სხვა.

მაშ, ბუნებაში არიან იმისთანა არსებანი, რომლებიც თავის საცხოვრებლათ სხვადასხვა სახმარ იარაღებით არიან შემკულნი. ამ არსებებს ეძახიან იარაღიანებს, ან ორღანოსნებს. ყოველი მცენარე ორღანოსანი არსებაა. ხე არის ორღანოსანი ან იარაღიანი არსება. ფესვია იმის ორღანო ან იარაღი, ფოთოლია იმის ორღანო, ან იარაღი, ყვავილია მისი ორღანო ან იარაღი. აგრეთვე ცხოველსაც ორღანოსან არსებას ეძახიან; მაგალითად: კაცია ორღანოსანი არსება. იმის ორღანო ან იარაღია: ხელი, ფეხი, თვალი, პირი და სხვა.

ამ სახით, ბუნებაში არიან ორგვარნი არსებანი: ორღანოსანნი ანუ იარაღიანები და უორღანოსნო ანუ უიარაღონი არსებანი; მაგალითად ქვა არც იზრდება, არცა გრძნობს, ამის გამო არც საზარდი და არც საგრძნობელი იარაღები, ან ორღანები აქვს, იმიტომაც ეძახიან უიარაღოს, ან უორღანოსნოს.

ამ სახით, ორღანოსანნი არსებანი არიან მცენარეთ გვარი და ცხოველთ-გვარი, ხოლო უორღანოსნონი არიან მადნეულნი.

რა მეცნიერებაც ამ სამგვარს არსებებს დაწვრილებით განიხილავს, იმას ჰქვია ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა. არის ისეთი სწავლაც, რომ მარტო მცენარის აგებულებას და იმის ცხოვრებას ტყობულობს. ამ სწავლას ჰქვია ბ ო ტ ა ნ ი კ ა. ბოტანი ბერძნულათ მცენარეს ნიშნავს. ბოტანიკა მცენარის აწერაა, მცენარის განხილვა, გაჩხრეკა და სხვ.

მოდი ახლა ჩვენც მცენარის განხილვა და გაცნობა დავიწყოთ. მაგალითად ავიღოთ ხე.

ხეს აქვს ფესვი, ღერი, ფოთოლი, ყვავილი, ნაყოფი და თესლი. ფესვია ხის ორღანო, რომელითაც მიწაშია ჩაფლული და ჩამაგრებული. ის იღებს მიწიდგან წვენს და გაჰყავს ხეში იმის სარჩენათ და საზრდელათ. ფესვის ზევითა ნაწილს ჰქვიან ყელი; შუათანა ნაწილს ტანი და ქვევითა ნაწილს ბოლო და ბოლოს შემდეგ ფოჩი. ფესვი ყელით ხეზეა მობმული (დაკავშირებული), ტანით მიწაშია ჩასული და ფოჩით კი წვენს იღებს მიწიდგან. ფოჩს შეადგენს წვრილ-წვრილი და თეთრ-თეთრი ფესვის ძაფები, რომლებიც წურბელასავით მოჰკიდებიან მიწასა და სწოვენ. ამიტომაც ხის ან წვანილის გადარგვა რომ გინდოდეს, უნდა ეცადო მიწიდგან ისე ამოიღო, რომ ფოჩი არ მოიგლიჯოს; თუ მოიგლიჯა, მაშინ გადარგული მცენარეც ვეღარ ამოიღებს მიწიდგან საზრდოსა და გახმება. უფოჩოთ დარგული ხე ვერ გაიხარებს.

ღერია ხის ტანი. მაშ ტოტები რაღაა?—ტოტებიც იგივე ხის ღერია; მაგრამ აი რით განირჩევიან ერთმანეთში: რომელი ღერიც მიწიდგან ტოტებამდიც არის ასული, იმას ჰქვიან დედა-ღერი. ლოტონი, ტოტები კი მომცრო ღერები არიან. მცენარის ღერი სხვადასხვანაირია: მაგალითად მუხის ან მსხლის ღერს ეტყვიან ლოტონსა, ლოტნარსა; ალვის ხის ღერს ეტყვიან საროსა, ყოველგვარ ბალახის ღერს ეტყვიან ჩალას ან კალამს. მაგალითად სიმინდის ღერი ჩალაა, ხორბლის ღერი ჩალაა და სხვ.

ზოგი მცენარე ერთი წლის მეტს არ ცოცხლობს; მაგალითად ყოველნაირი ბალახი, სიმინდი, ხორბალი და სხვ. ამიტომაც იმათ ღერს და ფესვს ეძახიან ერთ-წლოვანსა. ზოგი მცენარეა, რომ ორი წლის მეტს ვერ ცოცხლობს, მაგალითად სტაფილო, ჭარხალი, ამისთვის იმათ ღერსა და ფესვს ორწლოვანი ჰქვიან.

ზოგი მცენარეა, რომ დიდხანსა სძლებს; ამისთვისაც იმათ ღერსა და ფესვს მრავალწლოვანი ჰქვია; მაგალითად ყოველნაირი ხე: ვაშლის ხე, მსხლის ხე, იფნა და სხვ.

რის მაქნისია ღერო?—ღერს გაჰყავს ფესვიდან ადენილი წვენი ფოთლელში; აქედან სჩანს, რომ ღერი არ უნდა იყოს ყამირი, ისმილებიანი უნდა იყოს, უამისოთ წვენსაც არ შეუძლიან ფოთლებში ასვლა. მართლაც ღერი არის წვრილ-წვრილ მასრებისაგან შემდგარი. ყოველ-წლივ ხის ღერი მსხვილდება იმიტომ, რომ მასრები ქერქს შიგნით ღერის გარშემო მრავლდებიან და წინა წლისას სალტასავით ან რგოლსავით შეშოვრტყმიან. ეს მასრების კრება გაზაფხულზე ძა-

ლიან წყლიანია და ეძახიან ხის ლორწოსა, ზაფხულში ყოველი მასრა სათითოვოთ გვერდებზე სქელდება, მაგრდება და შემოდგომაზედ კეთდება ახალი სალტა, ან რგოლი, რომლითაც ხე გამსხვილდება ბოლმე ერთი წლის განმავლობაში. ჩვენმა სოფლელებმა და უფრო დურგლებმა კარგათ იციან ხის წლოვანების შეტყობა. როცა ხის კუნძს გადამორვენ, ან გადახერხენ, მერმედ ხის გულიდგან მოჰყვებიან ბოლმე და დაითვლიან რგოლებს ქერქამდის, რამდენი რგოლიც გამოვა, ხეც იმდენი წლისაა. ამ რგოლებს ერთათ ჰქვიან ხის ცილი. ხის ცილის რგოლები, რომელნიც გულთან ახლოს არიან შემორტყმულნი, უფრო ფართონი და სქელნი არიან და რომელი რგოლიც ქერქთახ ახლოს ძევს, ის უფრო ვიწრო და თხელია. აქედან სჩანს, რომ ყოველი ხე ახალგაზრდობაზე უფრო იზრდება. როცა მობერდება, მაშინ ყოველწლობით ზრდასაც აკლებს და თხელი ცილის რგოლებსაც იკეთებს. ამის ცოდნა ტყის მეპატრონეებისთვისაც კარგია, რადგან ეცოდინებათ, ხის კაფვა რა და რა დროს სჯობია. ვთქვათ ზოგი ხე ოცდა-ხუთ წლამდეს კარგათ იზრდება, შემდეგ ზრდასაც აკლებს და ფუღუროვდება.

ტყის მეპატრონემ თუ ეს იცის, გაჰყოფს თავის ტყეს ოცდა-ხუთ ნაწილად, ერთს წელიწადს რომ ერთს გაჰკაფავს, მეორე წელიწადს მეორე ნაწილს, მესამე წელიწადს—მესამესა, ასე რომ თითო ნაწილს ოცდა-მეხუთე წელიწადზე შეხვდება მოჭრა, სწორედ იმ წელიწადს, როცა ტყე დასრულდება.

ფოთოლია ხის ორგანო, რომელიც ამზადებს წვენს და აქცევს ხის საზრდოთ; როგორც ჩვენ პირით ვსუნთქავთ, ისე ხე თავის ფოთლებითა, ასე რომ ფოთოლი ხის კუჭიც არის და ფილტვებიცა. ამ სახით ფესვი, ღერი და ფოთლები არიან ხის მასაზრდოებელნი ორგანონი. ფესვი წვენსა სწოვს, ღერს ეს წვენი ფოთლებში გაჰყავს და ფოთლები კი ინელებენ.

II

როგორც წინეთ ვსთქვით, ფოთოლი არის ხის ორგანო, რომელიც ინელებს მიწიდგან ასულს წვენს და ისუნთქავს ჰაერს მცენარის სასიცოცხლოთ. ფოთოლი იყოფება ორ ნაწილად: ფოთოლი და ფოთლის ტარი. ფოთოლი ჰქვიან ფოთლის ბრტყელს ნაწილს და იმის ფეხს—ტარი. თუ ფოთოლს ტარი არა აქვს, მაშინ ეძახიან უტარო ფოთოლსა. სახით ფოთოლი ბევრნაირია: კვერცხ-ნაირი, როცა კვერცხსავით მოგრძოა, თავში ვიწრო და ტართან ბოლო ფართო აქვს. გულ-ნაირი, როცა ფოთოლი კაცის ან ცხოველის გულსა ჰგავს, ლახ-

ვარ-ნაირი, როცა ლახვარს ჰგავს, ნეშტარ-ნაირი, როცა ნეშტარს ჰგავს და სხვ.

ფოთოლს აქვს ძარღვები. მაგალითად გავსინჯოთ სიმინდის ფოთოლი. როცა ძარღვები ისეა დაწყობილი, როგორც სიმინდის ფოთოლში, მაშინ ამისთანა ფოთოლს კავ-ძარღვას ეტყვიან. ახლა ვნახოთ მსხლის, მუხის ან სხვა რომელიმე ფოთოლი. ამისთანა ძარღვებიან ფოთოლს ეტყვიან კუთხ-ძარღვას. ფოთლის ძარღვებს შუა ალაგები მწვანე ნივთით არის გავსებული და იმის გამო მთელს ფოთოლს მწვანე ფერი სძევს. ამ ნივთს დავარქვათ ნაფქვი (აქ რომ სახელებს ვსწერთ, ესეები მკითხველებმა უნდა კარგათ დაიხსოვნონ, ამიტომ რომ მერე სამეცნიერო საგანზე რომ დავიწყებთ ლაპარაკს, ჩვენი აზრის გაგებაც აღარ გაუჭირდება).

ფოთოლს ორ მხრივ წმინდა კანი აქვს გადაკრული. ეს კანი რომ ავაფცქვნათ, ისეთი თხელია, რომ თითქმის მინასავით სინათლე გადის. ამისთანა ნივთებს ვეტყვით გამსჭვერს. მაშ, მინა გამსჭვერი ნივთი ყოფილა! აგრეთვე ფოთლის კანიც იმდენათ თხელია, რომ გამსჭვერია. ხის ფოთოლს ერთი გვერდი ცისკენ აქვს მიშვერილი, მეორე მიწისკენ. ერთს დაუძახოთ ზედა გვერდი, მეორეს—ქვედა გვერდი. ფოთოლს ქვედა გვერდზე რომ კანი ავაძროთ ჩვენი თვალით ვერაფერს შევნიშნავთ; მაგრამ სწავლულებმა მოიგონეს გამდიდებელი შუშა. იქ რომ პატარა ბუსუსი ჩადვა ხის ოდენათ გამოაჩენს. რასაკვირველია, რომ რასაც ჩვენი თვალი ვერ შეამჩნევს, ის ამ გამდიდებელს შუშაში გამოჩნდება. ამ შუშას მიკროსკოპი ჰქვიან. მკითხველმა ეს სახელიც უნდა დაისწავლოს. ამ მიკროსკოპში რომ ფოთლის ქვედა-გვერდზე აფცქვნილი კანი ჩასდვა და ჩაიხედო, შენიშნავ რომ იმ კანს პატარ-პატარა პირები ასხია, იმისთანა პირები, როგორიც ჩვენ გვაქვს. ამ პირებს ბაგეს ეძახიან. ფოთლის ბაგეები დღისით დამუწულია და ღამით დაღებული. ეს ბაგეები ფოთლის ორგანოა, რომლითაც სუნთქავს მცენარე.

ჩვენ როცა ვსუნთქავთ ჰაერი ხდება, გამონასუნთქვი შესასუნთქავათ აღარ ვარგა ჩვენთვის, მაგრამ მცენარისათვის ჩვენი გამონასუნთქვი ჰაერი ძალიან კარგია და მცენარის გამონასუნთქვი ჰაერი კი ჩვენ შესასუნთქავად არის კარგი. მცენარის შესასუნთქავს ჰაერს ჩვენი ფილტვები ამზადებს და ჩვენ შესასუნთქავს ჰაერს კი მცენარე გვიმზადებს. ამ სახით მცენარენი და ჩვენ ერთი-ერთმანეთის საკეთილდღეოთ ვართ გაჩენილი. კაცებიც რომ ამ სახით იქცეოდენ კარგი არ იქნება, მკითხველო! მაშინ ხომ უსამართლობას კბილი მოსძვრებოდა და კაცებსაც დღეგრძელობა მოემატებოდა. ფოთოლი ხეს

აფხულიდან შემოდგომამდე მსახურებს, მაშინ ხეც იზრდება. შემდგომ ის გახმება და ჩამოცვივა, მაშინ ხეც აღარ იზრდება და ზამთარში საცოცხლე მიძინებულია. ზოგი ხეა, რომ ყველა ფოთლები ერთბაშათ არ ჩამოსცვივა. ერთი ფოთოლი რომ ჩამოვარდება, იმის მაგიერათ მეორე გაეზრდება. ამისთანა ხე ბუდამ ამწვანებულია. მაგალითად ფიჭვი, ნაძვი, დაფნა, ბზა და სხვ.

ფოთოლი ახხია ხის ღერს და ტოტებს. რაც ღერს და ფოთოლს შუა ალაგი რჩება, იმას ჰქვია ფოთლის უბე. ზაფხულს ფოთლის უბეში ხეს პატარა კვირტი (კოკორი, კუკური) გამოუა. ეს კვირტი შეშემოდგომის განმავლობაში გაიზრდება, ისე რომ ზამთრის პირს კარგა მოზრდილია. ეს კვირტი მრავალ პატარ-პატარა გახმარ ფოთლებშია გახვეული და ფის-შემოკრული, იმ აზრით, რომ ზამთარში სიცივემ არ დასძრას. ამ გამხმარს საბურველს—საფუთნავს ეტყვიან, ხის ქერტლსა.

კოკორი რომ გასჭრა შუაში პატარა ღერია და გარშემო ერთი ბეწო ფოთლები ასხია. ასე რომ კოკორი ანუ კვირტი ერთი ბეწო ხის ტოტია თავისი ფოთლებით. გაზაფხულს ეს პატარა ღერი დაგრძელდება, ფოთლები გაეზრდება და გადაიქცევა ახალ მოზარდ ხის ტოტათ.

კვირტია ორნაირი: ერთს საფოთლე კვირტს ეძახიან, მეორეს საყვავილე კვირტსა. საფოთლე კვირტი გაიზრდება პატარა ტოტათ, რომელსაც ფოთლები გაეშლება. საყვავილე კვირტი გაიზრდება ტარათ, რომელიც ისხამს ყვავილებს. ამ ტარს ჰქვია ყვავილის ფეხი.

კიდევ არის მესამე ნაირი კვირტი, რომელსაც ეტყვიან ფესვის კვირტსა. ეს კვირტი ამოდის ფესვზე და თავზე კანი აქვს ჩამოცმული, ამ კანს ეძახიან კვირტის ქუდს. ეს კვირტი არაოდეს ფოთლებს არ მოისხამს; ის იზრდება, არღვევს მიწას და გახდება ფესვის ფოჩათ, რომელიც სწოვს მიწის წვენსა.

როგორც წინათ ვსთქვით, ღერი, ფესვი და ფოთოლი მცენარის მასაზრდოებელნი ორგანონი არიან. ახლა შეუდგეთ მცენარის საშენებელი და გასამრავლებელი ორგანოების აწერას. ისინი არიან ყვავილი, ნაყოფი და თესლი. ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

III

ავმას წინეთ ამავე სათაურით დავბეჭდეთ რამდენიმე სასარგებლო ცოდნა მცენარის *) შინაგებულებაზე; იქვე ავხსენით თუ, რა

*) მცენარე ჰქვია ყველა იმ გვარს არსებებს, რომელნიც მიწაზე ამოდიან შაგალ. ხე, ხებილი, ბალახი, ამაგებს სულ მცენარეს ეტყვიან.

დანიშნულება აქვს მცენარის ცხოვრებაში ფესვსა, ღერსა და ფოთოლს ჩვენ ავხსენით, თუ რამდენათ ეწევა თითო ამ ორგანოთაგანი *) მთელს მცენარის ცხოვრებას და ნათლად გამოვიყვანეთ, რომ ეს ორგანოები, ანუ იარაღები არიან მცენარის მასაზრდოებელნი ასონი. ფესვი დამაგრებულია მიწაში, თავის პატარა ფესვის ძაფებით ანუ ფოჩებით, წურბლებსავით მოჰკიდებია მიწას, სწოვს წვენს და გაჰყავს მცენარის ღერში ანუ ტანში; მცენარის ღერსა ანუ ტანსა აჰყავს ეს წვენი ფოთლებში და ფოთლები ინელებენ ამ წვენსა ისე, როგორც ცხოველის კუჭი საზრდოსა. ამას გარდა ფოთლებითვე სუნთქავს მცენარე ისე, როგორც ფილტვებით სუნთქავს ცხოველი.

თუ მკითხველსა ჰსურს კიდევ წაიკითხოს დაწვრილებითი ცოდნა იმავე საგანზე, ვთხოვოთ მოსძებნოს იმ საგანზე დაბეჭდილი სტატიები „სასოფლო გაზეთის“ მეოთხე და მეხუთე ნომრებში.

ზემოხსენებულს მასაზრდოებელ ორგანოებს გარდა მცენარეს აქვს საშენებელი ორგანოებიცა, რომლითაც მრავლდება მცენარე ისე, როგორც ცხოველი მშობიერ ორგანოებითა.

მცენარის სამრავლებელი ორგანოები არიან ორგვარნი: კუკური ანუ კვირტი, საჴმელათ რომ კარტოფილი იხმარება, ისა, ხახვის ან პრასის თავი, სულ ყველა ესენი შეადგენენ ერთ გვარს მცენარის საშენებელს ორგანოებსა; მეორე გვარს საშენებელს, ან სამრავლებელს ორგანოს წარმოგვიდგენ მცენარის ყვავილი. კუკური რომ დამყნა სხვა მცენარეზე, გაიხარებს და გაიზრდება, აგრეთვე თუ კარტოფილის გაშენება უნდათ, იმას ჩაჴყრიან მიწაში; პრასა და ხახვის თავიც რომ ჩარგა მიწაში, ისიც გაიზრდება. კუკურს გარს შემოხვეული აქვს ქერტლი, რომელიც იმას იფარავს ზამთარში სიცივისაგან. კუკური რომ გასჴრა გაზაფხულის პირზე, როცა ჯერ კიდევ არ გაშლილა, აი რას ნახავ: შუაგულს პატარა ღერი და გარშემო კიდევ უფრო პატარა ფოთლები ასხია.

ერთი სიტყვით ის იგივე მცენარეა, როგორც დიდი ხე, მხოლოდ სიპატარავით გაირჩევა მეტით არაფრით, როგორც რომ ცხოვლის გვამში მყოფი ნაყოფი მხოლოდ სიპატარავით განირჩევა დედა ცხოველთან.

ამ პატარა მცენარის ნაყოფს, ისე როგორც ცხოველისას, ეწოდება შთანაჩენი. მაშ, კუკურში, საჴმელს კარტოფილში და ხახვის თავში იმყოფება შთანაჩენი, რომელიც, მიწაში ან სხვა ხის ტანზე დანერგილი, გაიზრდება მცენარეთ.

*) ორგანო არის იარაღი ანუ ასო, რომელიც ეწევა ცხოველს, ანუ მცენარეს რაიმე გვარათ.

ყვავილი კი ისეთი ორგანოა, რომელიც ამზადებს მცენარის ნაყოფს, ესე იგი, შთანაჩენს ისე, როგორც დედალ-მამალი ცხოველის მშობიერნი ორგანონი თავიანთ მოქმედებით გააჩენენ ცხოველის. შთანაჩენს, ანუ ნაყოფს.

ყვავილში იმყოფებიან დედალ-მამალნი ორგანონი, წარმომშობნი შთანაჩენისა ანუ ნაყოფისა, და ამ დედალ-მამალი ორგანოების მასაზრდოებელნი ფოთოლნი.

ავიღოთ გაშლილი ვარდი და გავსინჯოთ: ვარდის ყვავილის ზის წვრილ ღერზე, რომელსაც ეძახიან ყვავილის ფეხს; ამ ფეხის თავზე განიერი სქელი და წვერგამწვეტებული ფოთლები აზის, რომელნიც გადაშლილნი არიან ყოშებსავით. ამ სქელ ფოთლებს მწვანე ფერი აქვს და ეძახიან სათასე ფოთლებსა ან ყოშებსა. ზემოხსენებულს თასს ამ ფოთლებიანათ თასუკას (Чашечка) ეძახიან. თასუკას ზემოთ ირგვლივ ასხია მრავალი ნაზი ფოთლები წითლათ ან ვარდისფერათ შეღებილნი, ყველას ერობაშათ ეძახიან გვირგვინს; თითო ან წითელს და ან ვარდისფერს ფოთოლს ფარფალს ეძახიან.

გვირგვინს ზევით, ვარდის ყვავილის შუა ადგილზე, ყვითელი გულია. ეს ყვითელი გული მრავალ პატარ-პატარა ყვითელი მარცვლებისაგან არის შემდგარი. თითო ყვითელი მარცვალი ფეხზეა დამაგრებული. ამ მარცვალს თავის ფეხიანა დავარქვათ კვეჟო (Тычинки) მაშ, კვეჟო განიყოფება ორ ნაწილათ: თავი და ფეხი; თუ კარგათ დააკვირდი, ეს კვეჟოს თავი ანუ ყვითელი მარცვალი ორ პატარა პარკისგან არის შემდგარი. ეს ორი პარკი გძლათ ერთმანეთზეა მიკერებული ასე, რომ ორივე პარკი ერთ მარცვალს ან კვეჟოს თავს შეადგენს. როცა ვარდი გაიშლება, თითო პარკი წვრილ-წვრილ ბუსუსით არის გავსებული. თითონ ბუსუსი ისე პატარა არის, რომ თვალით ძლივს დაინახება. ამ ბუსუსს კვარკვალიტა დავარქვათ.

როდესაც ყვავილი გაიშლება, კვეჟოს პარკები დასკდებიან და იქიდგან გამოსცვივა მტვერსავით მრავალი კვარკვალიტა და ეცემა სათესლეს ტუჩზე. ზოგს ყვავილს, მაგალითად ვაშლის ყვავილს, ტყემლის ყვავილს და სხვ. თითო სათესლე აქვს, ვარდს კი ბევრი სათესლეები აქვს, ისინი ყვავილის შუაგულზე არიან დამაგრებულნი და გარშემო მრავალი კვეჟოები აქვს შემოშწკრიებული.

თითო სათესლე სახით ბოთლსა ჰგავს; როგორც ბოთლსა აქვს ტუჩი, ყელი და მუცელი, აგრეთვე სათესლესაც აქვს ტუჩი ყელი და მუცელი.

სათესლეს ჰქვიან მდედრი ასო ანუ ორგანო, კვეჟოს მამრი ასო ანუ ორგანო. კვეჟოდგან რომ კვარკვალიტა გამოსცვივა, ერთი

ამ კვარკვალიტათაგანი მაინც უნდა დავარდეს სათესლეს ტუჩზე, იქიდგან კვარკვალიტა გაიზრდება ძაფად, ჩავა სათესლეს ყელში და შემდეგ მუცელში. აქ სათესლეს მუცელში მყოფი კუკური განაყოფიერდება და ამას შემდეგ დამწიფდება შთანაჩენი, რომელსაც ჩვენ ვეძახით თესლს ანუ მარცვალს.

განსაკუთრებით შესანიშნავი არის ისა, რომ თუ სათესლეზე კვეჟოს კვარკვალიტა არ დავარდა, ის თესლი არ განაყოფიერდება და არ დამწიფდება.

ამ სახით, როგორც მდედრი ცხოვლის გვამში ნაყოფის გასაჩენად მამრი ცხოვლის თესლია საჭირო, აგრეთვე მცენარის სათესლეში კუკურის გასანაყოფიერებლათ მცენარის მამრის ორგანოს თესლია საჭირო.

როგორც წინათ მოვიხსენეთ, ყვავილი არის მცენარის სამრავლებელი ან საშენებელი ორგანო და აი ამ ნაწილებისაგან არის შემდგარი: თასუკა, გვირგვინი, კვეჟოები და სათესლე. თასუკას ფოთლებს ყოშები ჰქვია. ყვავილის გვირგვინი ფერად-ფერადია; იმის ფოთლებს ფარფლები ჰქვიან.

თასუკა და გვირგვინი არიან მამრისა და მდედრის ორგანების მასაზრდოებელნი.

ზოგჯერ, როდესაც მცენარე ძალიან ბევრს საზრდოს იღებს მიწიდგან, მაშინ კვეჟოები და თვითონ სათესლეებიც ფარფლებათ გადაიქცევიან და გვირგვინს ემატებიან. ამ შემთხვევაში თუ ყველა კვეჟოები და სათესლეები გაფოთლდნენ, მაშინ თესლსაც აღარ გაიკეთებს მცენარე; ამიტომ რომ მამრი და მდედრი ასოები აღარ აქვთ.

ბოსტნის განყოფა და კვლების გარიგება

ჩვენში როგორც მოჰხვდებათ, ისე აკეთებენ ხოლმე ბოსტანს. არც იმას დასდევენ, თუ მიწა ბრადი ბრუნდეა, არც იმას, თუ ოღ-რო-ჩოღრია, არც გზები გაჰყავთ შიგ, და არც კვლებს აკეთებენ ანგარიშითა და მოსაზრებით; ხშირად ისიც არ იციან, თუ რომელ ბოსტნეულს, როგორი მიწა უყვარს და რა ხასიათისაა და როგორ მიწას როგორი ყურის გდება და კეთება უნდა. ბრადი ბრუდე ბოსტანში კვლებს ვერაოდეს ვერ გააწყობენ რიგზედ: კვლების რიგზე გაწყობა კი ძალიან საჭიროა ბოსტნის მოსავლისათვის; ოღრო-ჩოღ-რო ბოსტანი ვერ მოირწყვება თანასწორედ, რადგან ზოგგან ბევრი წყალი ჩადგება და ზოგგან ცოტა; თუ არ იციან რა მიწას რა მოვლა უნდა—მაშინ ყველა გვარ მიწას, როგორც თიხა ნარევ შავ მიწას, ისე ქვიშიანსაც, ერთნაირად უვლიან და რადგან ბევრჯერ გზებსაც არ აკეთებენ ბოსტნებში, ამის გამო შიგ დათესილში დადიან ხოლმე და იმის მაგიერად, რომ ნაშლათა და რბილად შეინახონ მიწა—სტკეპნიან და აფუქებენ.

ამისთანა დაუდევნელობისაგან ის გამოდის, რომ ჩვენში ბოსტანს ისეთი მოგება არა აქვს, როგორიც სხვა წინწასულ ქვეყნებში, სადაც ზოგიერთი სახლობა თითქმის მარტო ერთი დღიური ბოსტნის შემოსავლითა სცხოვრობს და ისე კარგა, რომ ჩვენში ბევრჯერ ორასი დღიური მიწის პატრონიც ვერა სცხოვრობს.

ამის გამო კარგია, რომ მივბაძოთ იმათ ყველა გამოსავლიან საქმეში, და რადგან მამულის პატრონისთვის ბოსტნეულის მოყვანაც ძალიან სასარგებლოა, ამის გამო ბოსტნის მოყვანაშიაც რომ მივბაძოთ (არც ძნელია) და კარგიც იქნება. ამისათვის აქ ავწერ იმას, თუ დაწინავებულ ქვეყნებში ბოსტნებს როგორ აკეთებენ.

ბოსტნისათვის ყოველთვის ვაკესა და თანასწორ ალაგს არჩევენ ხოლმე. ამისთანა ალაგზედ გაკეთებული ბოსტანი უფრო ადვილი საკეთებელიც არის, კვლებიც რიგზედ შეიძლება გააკეთონ, ერთნაირათაც მოირწყვება და მოსავლელათაც უფრო ადვილი იქნება. ბოსტნისთვის ყველაზედ უფრო მოგრძო-ოთხკუთხა მიწა სჯობია.

მთელ ბოსტანს ჰყოფენ რამდენსამე ნაწილად დიდი გზებით. ამ გზებს სიგანით ორ ადლნახევარს აკეთებენ ხოლმე, იმიტომ რომ ურმებსა და პოვოსკებს თავისუფლად შეეძლოს სიარული. თუ ბოსტანი ერთ დღიურზედ მეტი არ არის, მაშინ ამ დიდ გზას შუაში გაატარებენ ხოლმე, სიგრძეზედ, და თუ ორი დღიურია, ან მეტი—მაშინ ჩუჯობია რომ ეს დიდი გზა გარე შემოუტარონ ბოსტანს.

გზებზედ ზევით-პირ ნაყოფიერ მიწას აიღებენ ხოლმე და ბოსტანში ჰფანტავენ, გზებზე კი ხვინჭს ან მსხვილ ქვიშასა ჰყრიან, ისე კი, რომ გზის ზურგი ერთ მტკაველზე ამაღლებული იყოს, და წვიმის დროს წყალი ადვილად დაიწრიტოს კვლებში. ბევრგან ამ გზებზედ იონჯასა და პრასა ბალახსა სთესენ, მაგრამ თვეში კი ერთხელა სთიბავენ, რომ თესლი არ შემოვიდეს და ნაპირის კვლებში არ ჩაიფანტოს.

ბოსტნის ორივე ნახევარს ჰყოფენ პატარა ნაწილებად—გარდი-გარდმო გზებით. ეს გზები სიგანით ადლნახევარია თითო. ამ პატარა ნაწილში არის თხუთმეტიდამ ოც კვლამდე. ამ ნაწილებშიაც კიდევ ორი ნახევარ ადლის სიგანეზე გზას გაატარებენ ხოლმე და მაშინ ეს ნაწილი გაიყოფა სამ დიდ კვალად. ამდენი გზები ზოგს ტყუილა ჯაფის დაკარგვად ეჩვენება, მაგრამ გამოცდილებით კი შეტყობილია, რომ ეს გზები ბოსტნის მოვლასა და მოკრეფას ძალიან აადვილებენ და ბოსტნეულსაც არ აფუჭებინებენ ფეხით, აგრეთვე ამისთანა დაყოფილ ბოსტანში თესლის გადანაცვლებაც ადვილია (თესლის გადანაცვლებას ამას ვეძახით: ერთ წელიწადს რომ ერთ კვალში დათესონ რამე, მეორე წელიწადს იმავე თესლს აღარ სთესენ—გადაუნაცვლებენ—სხვა კვალში სთესავენ). თუ ბოსტანი პატარაა, და ოცი ან ოცდაათი კვალი არის, მაშინ, რასაკვირველია, საჭირო არ იქნება ამდენი გზები; მაშინ დიდი გზის მაგიერად პატარა გზა საკმაო იქნება; კვლები კი მაინც რიგზედ უნდა გააკეთონ. ამ დიდ კვლებს ორი მტკაველის სიგანე თხრილებითა ჰყოფენ და გამოჰყავთ რამდენიმე პატარა კვლები.

დიდი გზის ახლო კვლებს აკეთებენ ერთი არშინი სიგანისას, გარშემო ბალახიან ბელტებს შემოუწყობენ ხოლმე და შიგ ორ შარათ იმისთანა მცენარესა სთესენ ან რგავენ, რომელსაც ყოველწლივ არ უნდა-თესვა, ესე იგი მრავალ წლოვან მცენარეს. ამასთან ერთ შარში დაბალ, უღერო მცენარეს სთესენ, მაგალითად: მჟაუნას ისპანახს, მარწყვს და სხვ. და მეორეში კი მაღალ ღეროვან მცენარეს—სალბს, პიტნას, ტარხუნას და სხვ.

ამ კვლებშივე შეიძლება დაირგას ნაყოფის მომტანი ბუჩქებიც: მოცხარი (სმაროდინა), კინკრუჟა (კუნკრუხელა, კრიჟოვნიკი), ანუ ყვავილოვანი მცენარები. ამ ბუჩქების ჩრდილის ქვეშ მწვანილი თუმცა მცირე მოდის, მაგრამ ეს დანაკლისი იმ ბუჩქების მოსავლით ერთი ორად ჯილდოვდება.

ნაპირის კვლები, ესე იგი, ის კვლები, რომელნიც ღობის ახლოს არიან, ერთი ადლი უნდა იყოს. გარშემო ამ კვლებსაც ბალახიან ბელტებს შემოუწყობენ ხოლმე და თვეში ერთხელ გამოთიბვენ, რომ თესლი არ ჩაცვივდეს კვალში. ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხარეზედ, რომელი კვლებიც იქნება—იმ კვლებს უფრო ბევრი სათბო ექნება, რადგან მზე პირდაპირ დასცქერის; ამის გამო ამ კვლებში უფრო სათუთს მცენარეს დასთესენ ხოლმე, რომელთაც დილის სიცივისა ეშინიანთ, მაგალითად: სხვადასხვა გვარი ადრეული ცერცვი, ბაკლა და სხვ.

სამხრეთისა და აღმოსავლეთის ღობის პირის კვლებში, რომელთაც უფრო ბევრი ჩრდილი მიადგებათ ხოლმე, მჟოლსა (მალინას) და სხვადასხვა ჯიშის თხილსა რგვენ, რადგან ამათ ჩრდილისა არ ეშინიანთ, არც მზის გულსა საჭიროებენ ძალიან და მოსავალს კი დიდს აძლევენ პატრონს.

ამასთან ყველა ბოსტანში გადასარგველი კვლებიცა აქვსთ: ეს კვლები სიგანით ერთ ადლზე ცოტა მეტია და ზოგი მცენარისთვის, მაგ.—ხაჭიჭორასთვის, კვალს სიგანე ორი არშინი აქვს. ერთის სიტყვით ამ კვლებს ისეთი სიგანე აქვსთ, რომ ორივე მხრიდან შუა ალაგას ხელი მისწვდება და ადვილად შეიძლება დარგვა და გამარგვლა. თუ ყამირი და ნოტიო მიწაა, მაშინ კვლებს უფრო ვიწროს აკეთებენ, ერთ არშინიდამ, ერთ ადლამდის. კვლებს შუაც სიგანით ნახევარ არშინიან თხრილს უკეთებენ. თუ მიწა ან მჭლეა, ან ნოტიო, მაშინ თხრილებს ჩააღრმავებენ ხოლმე და კვლებს კი აამაღლებენ, რომ სისველე ადვილად გაშრეს; და თუ წინააღმდეგ, მიწა მსუქანია ან ხმელი, მაშინ თხრილებს თხელს უკეთებენ და კვლებს კი ჩაღრმაებულებს, რომ კვლებში სინოტივე შეინახოს და მალე არ გახმეს, მეტადრე გვალვის დროს.

თუ მიწა ხმელია, ან ქვიშიანი, ან თუ მაღლობ ალაგზედ არის, მაშინ კვლებს მიწის ნიადაგის თანასწორედ არ აკეთებენ, არამედ ერთ ციდაზედ დაბლა, რომ ნოტიო უფრო დიდხანს შეინახოს. ამისთანა ჩაღრმავებულ ბოსტნებში კარგად მოდის კომბოსტო და კომბოსტოს გვარი მცენარეები.

თუ მიწა ნოტიო არ არის, მაშინ კვლების ზევით პირს სწორეს აკეთებენ, რომ სისველე უფრო დიდხანს შეინახოს. მაგრამ, თუ ადგილი ან დაბლობი და ან ნოტიოა, მაშინ კვლებს შუაგულში აამაღლებენ ხოლმე; ეს იმისთვის რომ ამაღლებულ კვლებში წყალი უფრო ადვილად დაიწრიტება და სინოტიე გამოეცლება. ადრეული მცენარის დასათესად დაქანებულ კვლებს აკეთებენ, ისე კი, რომ ამაღლებული მხარე ჩრდილოეთისკენა აქვს და დაქანებული სამხრეთისაკენ. ესეთი კვლები უფრო ხურდებიან მზისაგან. ამისთანა კვლები უნდა გაკეთდეს კედლის ან ღობის ძირში, და მაშინ უფრო ბევრი სითბო დადგება. ამ კვლებში ადრეულ მცენარესა სთესენ და ძალიან კარგიც მოდის.

კვლები უნდა იყოს გარიგებული აღმოსავლეთიდგან-დასავლეთისაკენ (სიგძეზედ); მაშინ მზე ისე აღარ ახმობს კვლის თხრილებს და ჩრდილოეთის ქარიც ვეღარა ჰხვდება კვლებს, რადგან კვლის ნაპირს ამაღლებული მიწა ეფარება.

გადასარგავი ბოსტნეულის მოსაყვანი კვლებიც საჭიროა ბოსტანში. ამას ისეთ კვლებს ურჩევენ ხოლმე, რომელთაც ჩრდილოეთის მხრივ მოფარებული აქვს და აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხრივ კი ღია. ამ კვლების მიწა ძალიან მსუქანი უნდა იყოს. ზოგგან გადასარგავი ბოსტნეულის მოსაყვანად ესრე ამზადებენ მიწას: აიღებენ ერთ წილ დამწვარ ბალახს ან ფოთოლს, ერთ წილს დამწვარ სასუქს და ერთ წილსაც ქვიშას, აურევენ ერთმანეთში და კვლებში ჰყრიან.

გადასარგავი ბოსტნეული ჩვენში მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში უნდა დასთესონ. ერთი თვის უკან გადარგვაც შეიძლება. გადასარგავი ბოსტნეულის კვლები უნდა სველად შეინახონ და მალ-მალ გამარგლონ ხოლმე; ამასთან ხშირად თუ იყოს, უნდა გაათხელონ, რომ არ უჩრდილებდნენ ერთმანეთს და უფრო თამამად და ღონიერად ამოვიდნენ. ზოგიერთ გადასარგავ მცენარეს კი დაჩრდილება უხდება, მაგალითად კომბოსტოს გვარს; ეს იმიტომ, რომ ჭია აღარ გააფუჭებს, რადგან ჭიას მზის შუქი უყვარს, ჩრდილს კი ერიდება.

გადასარგავ კვლებში უფრო იმ მცენარესა სთესენ, რომელთ გაზდასა და მოსვლას დიდი დრო უნდება, მაგალითად: ყველა კომბოსტოს გვარ მცენარეს.

ამგვარად ბოსტნის კეთებას ჯაფა უნდა, მაგრამ გამოსავალიც ძალიან დიდი ექნება, რადგან რასაც მოიყვანს კარგი და ფასიანი იქნება. რაც უნდა ბევრი ჯაფა და ხარჯი მოუვიდეს კაცს ამისთანა

ბოსტნის კეთებით, მაინც თუ რიგიანად მოიქცა—ერთი ათად დაჯილდოვდება. ამისთანა ბოსტნები ჩვენში დიდ სარგებლობას მოუტანენ პატრონს და უმეტესად იქ, სადაც ადვილია ბოსტნის მოსავლის გაყიდვა, ესე იგი ახლო არის ქალაქზედ და შარა გზაზედ.

ამისთანა ბოსტანს პირველ წელიწადს თუ უნდა ბევრი ჯაფა, თორემ მერე ბევრი აღარაფერი და მოგება კი ყოველთვის დიდი იქნება: ჯერ ერთი, რომ არც ერთი თესლი არ დაიკარგება უბრალოდ და პატრონი ყოველთვის დაიმედოვნებული იქნება მოგებაში. ჩვენებურ ბოსტნებში კი ერთი თესლი კი არა ათასიც გაფუჭდება, რადგან სრულებით არ შეიმუშავებენ ხოლმე მიწას, და რაც ამოვა იმის მეოთხედსაც ფეხით გაჰქელენ ხოლმე; ამას გარდა მეორე წელიწადსაც ისეთივე კეთება უნდა, როგორც პირველ წელიწადს.

ჩვენს ბოსტნებში მოჰყავთ მხოლოდ: კომბოსტო, ხახვი, კიტრი, ნესვი და საზამთრო,—სხვა თითქმის არაფერი; აგრეთვე ბევრი ალაგიც უბრალოთა რჩება, რადგან ჩვენმა მებოსტნეებმა არ იციან, თუ რა ალაგიდამ რა სარგებლობის გამოტანა შეიძლება.

აქ აწერილი დაწინავებული ქვეყნის ბოსტნის კეთება ასწავლის, თუ რა მცენარეებია კიდევ საბოსტნე და ამასთან ჩრდილში რა უნდა დაითესოს, რომ მიწა უქმად არ ეგდოს, ქვიშიანში კვლები როგორ გაკეთდეს და ნოტიოში როგორ, რომ დათესილი კარგა მოვიდეს და სხვ. კაი სწავლის მიბაძვა კარგიც არის და გამოსავალიცა აქვს. ესეც უნდა დაუმატოთ, რომ შემოუღობავი არა ვარგარა, და ბოსტანს ხომ სულ ბევრი დააკლდება ფარღალალობით.

აბრეშუმის მოყვანაზედ

ვინ არ იცის, რომ აბრეშუმი ყველა გვარ ფარჩაზედ უფრო დიდს პატივის ცემაშია; ვინ არ იცის, რომ ყველა თავმომწონე და შეძლებული, თუ მუდამ არა, დღესასწაულ დღესა და სტუმრობაში მაინც ყოველთვის აბრეშუმს იცვამს, და შეუძლებელსაც საგარეო და სადღესასწაულო საცმელი რამე, წმინდა აბრეშუმისა თუ არა—აბრეშუმნარევი ფარჩისა უთუოთა აქვს. აგრეთვე ვისაც აბრეშუმის ტანსაცმელი აცვია იმას ყოველთვის უმეტესს პატივსა სცემენ, ვიდრე ჩითისას ან შალის საცმელიანს, თუმცა ბევრჯერ მოხდება ხოლმე, რომ ზოგიერთი ჩითისა ან შალის საცმელიანი უფრო მეტი პატივის ღირსია, ვიდრე ზოგიერთი აბრეშუმიანი. ამ გვარად აბრეშუმს დიდი პატივი და ღირსება აქვს ხალხისაგან. ყველა მდიდარი აბრეშუმს ეტანება, ყველა დღესასწაულში აბრეშუმი იჩენს ხოლმე თავს თავის შრიალით და ვისაც თავის მოწონება უნდა—აბრეშუმში იკმაზება.

ზოგი იფიქრებს: ეს იმიტომ არისო, რომ ხალხი მოკლებულია თავის საკუთარ, შინაგანს ღირსებასაო და ამასთან ისეთი თავის მოყვარეობაცა აქვსო, რომ ჰსურს უთუოდ ყველამ შეამჩნიოსო ის, ყურადღება მიაპყროსო და პატივი სცესო; ამის გამო გარეგანი, მიკრული ღირსებით (თუ კი შეუძლიან ტანისამოსს კაცის ღირსება შეადგინოს) იზიდავს სხვების ყურადღებას და ამით ატკბობს თავის ცრუდიდებასაო. არ ვიცი, მაგრამ აბრეშუმი პატივსაცემია და სასარგებლო, რადგან გამძლეც არის და სუბუქი სატარებელიც: რამდენიც კაცს გამძლე ტანისამოსი აცვია—იმდენი ტანისამოსზედ ცოტა ხარჯი მოსდის და რამდენიც სუბუქი—იმდენი იშის ტანიც ცოტა ტვირთსა ჰგრძნობს და მიხრა-მოხრა ადვილდება; ამის გარდა ზაფხულში აბრეშუმის ტანსაცმელი ძალიან კარგია ტანისთვის, რადგან გრილია და ტანსაც არ ჩაახურებს.

რუგორც აბრეშუმი, ისე ამ აბრეშუმის მოქმედი (მკეთებელი) ჭიაც პატივსაცემია, რადგან, ჯერ ერთი, კარგი ქსოვილის მასალას უმზადებს კაცს და, მეორე, აბრეშუმის მომყვანს ამდიდრებს. ამის

გამო არ იქნება ცუდი, რომ აქ მოკლედ ვსთქვათ აბრეშუმის ჭიის ვინაობა და ამბავი.

აბრეშუმის ჭიას დიდი ხანია გამოუჩენია თავის სარგებლობის მომტანი თავი. როგორც ბევრნი ამბობენ, პირველად ჩინეთში გამოჩენილა, საიდამაც ჩაი მოდის. რადგან თუთის ხე ჩინეთში ისე ველურად (ტყეებში) იზრდება, როგორც ჩვენში მუხა და წიფელი, და რადგან სადაც თუთაა—იქ უეჭველად აბრეშუმის ჭიაც იქნება, ამისათვის უნდა ვიფიქროთ, რომ ჭია იმავ თავითვე ყოფილა ჩინეთში თუმცა კი იმავ თავითვე არა სცოდნიათ ჩინელებს იმის სარგებლობა და მოქმედება.

დროს-განმავლობით ჩინელებს დაუწყიათ ტყეში თუთის ხეებზედ ჭიის პარკების მოგროვება, კეთება, ქსელვა და ხმარება. შემდეგში ეს ჩვეულება უფრო გახშირებულა იმათში, და ბოლოს ქრისტეს შობამდე ორი ათასი წლის წინად, იმპერატორი ღოანღ-თის მეფობაში, ამის ცოლს სილინღ-შის, უნახავს რა, რომ აბრეშუმის ჭიას ისეთი სარგებლობა მოაქვს ხალხისთვის, უბრძანებია სახლებში შეტანა ჭიისა და იქ მოვლა. ამ დროდგან აბრეშუმის მოყვანა ძალიან წინ წასულა ჩინეთში და ეხლა მთელი ჩინეთის ნახევარ სიმდიდრეს აბრეშუმი შეადგენს. ამის გამო ეხლა სილინღ-შის ჩინელები დიდს პატივსა სცემენ და მიაჩნიათ აბრეშუმის მოყვანის ღმერთად. *)

ჩინეთის მახლობელ ქვეყნებშიაც, ინდოეთში და იაპონიაში იმ თავითვე ყოფილა აბრეშუმის ჭია, მაგრამ ევროპაში **) კი არა. აქ გადმოუტანიათ ჩინეთიდან ათას სამასი წლის წინად.

ქრისტეს შობიდგან ხუთასი წლის შემდეგ ორი ბერძნის ბერი წასულა ჩინეთში ქრისტეს სარწმუნოების საქადაგებლად და იქ დიდხანს ყოფილან. იქ ყოფნაში იმათ აბრეშუმის კეთება უსწავლიათ და, როცა წამოსულან უკან, თავიანთ სამშობლოში, ხუთას ორმოცდა ხუთმეტ წელში ქრისტეს შობის შემდეგ, თან მოუტანიათ მოპარული ჭიის თესლი, რომელიც თავიანთ ყავარჯნის თავებში დაუმალავთ. ქურდულად იმისთვის წამოუღიათ, რომ ისე ვერ შეიძლებდნენ, რადგან ჩინელებს ჯერ ეხლაც (და მაშინ ხომ უფრო) ისეთი ხასიათი სჭირთ, რომ თავიანთ ცოდნას არავის არ გაუნაწილებენ, როგორც ზოგიერთმა ცრუ ეკონომებმა იციან ჩვენში, რომ თავიანთ აქიმობას არავის არ ასწავლიან და საფლავში ჩაიტანენ ხოლმე თავის ჯანა-

*) ჩინელები წარმართები არიან და მრავალი ღმერთები სწამთ.

**) ევროპას ეძახიან მთელი ქვეყნის მეხუთე ნაწილს, რომელშიაც არის შემდეგი სახელმწიფოები: რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი, ნემეცეთი, იტალია, საბერძნეთი, ნახევარი ოსმალეთი და კიდევ სხვა პატარა სამეფოები.

ოზობას. ჩინელებსაც ესეთი ხასიათი სჭირთ, და რომ გაეგოთ ბერძნის ბერებისთვის ჭიის თესლის წამოღება, უთუოდ დაჰხოცდნენ იმათ და ვინ იცის სახრჩობელაზედაც ჩამოეხრჩოთ, როგორც ავაზაკები.

მას აქეთ ევროპაშიაც, სადაც კი ხეირობს თუთის ხე, უფრო სამხრეთისკენ, გაუჩენიათ აბრეშუმის ჭია და უკეთებიათ აბრეშუმი, ჩვენშიაც უეჭველია ძალიან დიდი ხანი უნდა იყოს, რაც ჭია მოჰყავთ და აბრეშუმს აკეთებენ, რადგან თუთა ჩვენშიაც ძალიან ხეირობს და ზოგან ტყეებშიაც არის. თუმცა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენში, საქართველოში, დიდი ხანია მოჰყავთ აბრეშუმი, მაგრამ აბრეშუმის მოყვანა ისეთ მცირე ხარისხზედა სდგას, როგორც ყველა სხვა მოსავლის მოყვანა.

სხვაგან, მაგალითად: საფრანგეთში (ფრანციაში), იტალიაში და ყველგან, სადაც კი თბილი ჰავაა და თუთა კარგათ ხეირობს, ჭიაც კარგა იზრდება და აბრეშუმიც ბევრი მოდის; და ზოგან აბრეშუმი იმდენი მოჰყავსთ, რომ მთელი მხარის სავაჭროსა და სიმდიდრეს მარტო ის შეადგენს.

თუ ჩვენშიაც მოჰყვნენ და იმათსავით მოიყვანეს აბრეშუმი, შეიძლება მოველოდოთ, რომ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეც, ადრე იქნება თუ გვიან, აბრეშუმი იქნება. ჩვენშიაც აბრეშუმის სასარგებლო ჰავაა, და თუთის ხეც ძალიან ბლომად არის—მაშ იმის მეტი აღარა გვაკლია რა, რომ შრომა მოვახმაროთ, კეთება ვისწავლოთ და ჭია მოვიყვანოთ. კახეთსა და იმერეთში ბევრს მოჰყავს, მაგრამ ისევ ძველებურად, მამაპაპურად, და ამის გამო გამოსავალი იმდენი არა აქვსთ, რამდენიც შეიძლება ჰქონდესთ. თუ ჩვენშიაც მიჰბაძეს სხვა ქვეყნის კარგ მკეთებლებს, მაშინ უეჭველია იმავე შრომითა და ხარჯით, რასაც ახლა ანდომებენ, ერთი-ორად მეტ მოსავალს აიღებენ და ათჯერ უკეთეს ძაფსაც დაჰქსელენ. ამის გამო აქ ავწერთ, თუ აბრეშუმის ჭიას როგორ უვლიან სხვაგან და აბრეშუმსაც როგორ აკეთებენ და ჰქსელენ.

აბრეშუმის თესლიდგან ჭიის გამოყვანა

ყველამ იცის, რომ როდესაც ბუნებისაგან საჭმელი დაემზადება ჭიას, ესე იგი, როდესაც თუთის ხე შეიფოთლება, მაშინ თუთის ხეებზედ აბრეშუმის ჭიაც გამოვა ხოლმე თავის კვერცხიდან; ამის გამო ყველა აბრეშუმის მომყვანმა, შინაც მაშინ უნდა მოიყვანოს ჭია, როდესაც საჭმელი გაუჩნდება, ესე იგი, როდესაც თუთის ხეები შეიფოთლება. ჩვენში ეს დრო სწორედ მაისის დამდეგში არის. ამ დროს ჭიის თესლი უნდა ოთახში შეიტანონ და იქ სუფთა ქაღალდზედ გა

ფინონ; ოთახი უნდა გაათბონ, და ამასთან რამდენიც დღე გავიდეს, იმდენი უფრო და უფრო მოუმატონ სითბოს; მაშინ ხუთი ან ექვსი დღის შემდეგ თესლიდგან გამოვლენ წვნიკი, მუქი ფერისა და ბუსუსიანი ჭიები.

ჭიების თესლიდგან გამოსვლა სულ ერთად არ მოხდება ხოლმე, არამედ გაგრძელდება ოთხს ან ხუთს დღეს: ჯერ პირველ დღეს სულ ცოტა გამოვა, მეორე და მესამე დღეს თითქმის სულ და მეოთხე და მეხუთე დღეს კი დანარჩენი. აბრეშუმის ჭია გამოდის თესლიდგან ყოველთვის დილით ოთხი საათიდგან—ათ საათამდის. რა წამს ჭიები დაიწყებენ კვერცხიდან გამოსვლას, მაშინვე ზედ თესლზედ უნდა გაუფინონ თუთის ნორჩი ფოთლები; ჭიები ამ ფოთლებზე დაიწყებენ ცოცვას და ჭამას. მაშინ ეს ფოთლები უნდა აიღონ ჭიებით და სხვა ფიცრებზედ გადიღონ (ფიცრები ქაღალდ დაფენილი უნდა იყოს). ხანდახან ამ ჭიებს ხელით აიღებენ ხოლმე და ფოთლებზედ ისე სმენ—ეს ძალიან ცუდია, რადგან ჭია ჯერ ნორჩია და აყვანის დროს ხელში დაისრისება და გაფუჭდება (ავადმყოფობა დაემართება). მეორე, მესამე და მეოთხე დღეს რომელი ჭიებიც გამოვლენ—ისინი უნდა შეინახონ და რომელნიც პირველსა და მეხუთე დღეს—ისინი კი უნდა გადაყარონ, რადგან გაზრდის დროს ან ჩქარა იზრდებიან, ან გვიან და ამის გამო ამათი მოვლა სახერხო არ არის.

აბრეშუმის ჭიის კანის გამოცვლა და ზრდა

ყველა ცხოველი წელიწადში ერთხელ გამოიცვლის ხოლმე ზევით პირ კანს ან ბალანს, ბუმბულს, ქერქს და სხვ. მაგალითად—გველი—ქერქს იცვლის, ცხენი ბალანს, ფრინველი ბუმბულს და სხვ. თუმცა აბრეშუმის ჭია სულ ერთ თვესა სცოცხლობს, მაგრამ ამ მცირე ხანში ისიც კი იცვლის თავის კანს, ამასთან ზოგი თავის სიცოცხლეში სამჯერ და ზოგი ოთხჯერ.

აბრეშუმის ჭიის კანის გამოცვლა ამ გვარად მოხდება ხოლმე: კვერცხიდამ გამოსვლის შემდეგ რომ ხუთი დღე გავა, ჭიებს მადა ეკარგებათ, აღარ იძვრებიან ადგილიდან და თავაღებული არიან თითქმის მთელ დღეს ან მეტსაც. ამ დროს ჭიას სძინავს და ამ ძილში იმას ეცვლება კანი (ტყავი).

ეს ტყავის გამოცვლა იმისთვის მოხდება ხოლმე, რომ აბრეშუმის ჭია ძალიან ჩქარა იზრდება და რადგან ტყავი არ ეჭიმება, ამიტომ პატარავდება, სქდება და ჰვარდება; ხოლო კანის ქვეშ იმას სხვა ახალი კანი უკეთდება, უფრო რბილი და სუფთა.

რადგან კანის გამოცვლის დროს ჭიასა სძინავს და სუსტდება კიდეც, ამის გამო არ უნდა გადაიღონ სხვა ადგილზედ, რომ არ შეწუხდნენ. კარგია რომ ჭიის მომყვანებმა იცოდნენ თუ რომელი ჭიები იცვლიან კანს და რომელნი არა. ამის ცოდნისთვის ესე უნდა მოიქცნენ; რომელი ჭიებიც პირველ დღეს გამოვლენ, ისინი დააბინაონ ერთ ალაგას, რომლებიც მეორე დღეს—ისინი მეორე ალაგას, რომლებიც მესამე დღეს—მესამე ალაგას, მეოთხე დღისა—მეოთხე ალაგას და სხვ.

ეროი სიტყვით ყველა დღის გამონაჩეკი ჭია ცალ-ცალკე უნდა შეინახონ და ცალკე მოუარონ; მაშინ რომ ყური უგდონ—შეატყობენ, რომ ყველა ჭია თესლიდგან გამოსვლის შემდეგ მეხუთე დღეს გამოიცვლის კანს.

პირველი კანის გამოცვლის შემდეგაც რომ ექვსი დღე გაივლის, ჭია მეორედ იცვლის ხოლმე კანს; ამ მეორედ გამოცვლის შემდეგაც რომ ოთხი დღე გავა,—მაშინ მესამე კანს გამოიცვლის ჭია და მეოთხე კანსაც მესამე კანის გამოცვლის შემდეგ ექვსი დღის უკან გამოიცვლის, ოთხჯერ მეტად კი აღარ იცვლის. მეოთხე კანის გამოცვლის შემდეგ ცხრა ან ათი დღე რომ გავა, მაშინ ჭია ჩაჯდება პარკში და დაიწყებს აბრეშუმის ქსელვას.

აქედამ სჩანს, რომ აბრეშუმის ჭიის სიცოცხლე გრძელდება ოცდა-ათ ან ოცდა-თერთმეტ დღეს. თუ კარგა მოუარეს ამაზე ადრეც დაიწყებს აბრეშუმის ქსელვას: ოცდა-ოთხი დღის უკან და მაშინ ოცდა რვა დღეზე მეტს არა სცოცხლობს.

რამდენიც ჭია ჩქარა მოამზადებს პარკებს, იმდენი აბრეშუმის მომყვანისთვის დიდი მოგებაა, რადგან მეტი ხარჯისაგან განთავისუფლდება და გამოსავალი კი ისევ ისა აქვს. ამიტომ ყველა ჭიის მომყვანმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ხარჯი მაშინ შეუმსუბუქდება. იმას, როდესაც ჭიას კარგათ მოუვლის და საჭმელსაც თავის დროს მისცემს.

როდესაც აბრეშუმის ჭია იზრდება, მაშინ როგორ უნდა მოეჭცეს იმას პატრონი

ვისაც აბრეშუმის ჭიის მოყვანა ჰსურს, იმას უთუოდ უნდა ჰქონდეს ცალკე ნათელი, სუფთა და ბუხრიანი ოთახი, რომ, თუ ვინიცობაა სიცივე იყოს, ოთახის გათბობა შეიძლებოდეს, რადგან სიცივე სწყენს ჭიას.

რომელ ოთახშიაც ჭიის მოყვანა ჰსურთ, იმ ოთახში უნდა გააკეთონ თაროები, ისეთი კი რომ ოთხივე მხრიდან ღია იყოს და

გარს სიბრული შეიძლებოდეს. ამისათვის ოთახის შუა ალაგას უნდა დაურჭონ ოთხი მკლავის სიმსხო სწორე კეტები, ისე რომ ყუთის კუნჭულებისავით გამოდიოდეს. სიგრძეზე ეს კეტები ორ ადლზე უნდა იყვნენ დაშორებულნი და სიგანეზე ერთ ადლზე; ამ კეტებს გარშემო სამ პირად ჯოხები უნდა შემოაკრან ლურსმებით ისე, რომ ჯოხიდამ ჯოხამდის ორი მტკაველი იყოს დარჩენილი. ამ ჯოხებზე უნდა გააწყონ წნელის ლასტები და ამგვარად გამოვა სამი ოთხივე მხრიდგან ღია თარო. ამისთანა თაროებს ყველა ადვილად გააკეთებს. ამოდენა თარო მისხალ-ნახევარ თესლისთვის არის საკმაო, და ვისაც მეტის მოყვანა უნდა, იმან თაროც უფრო გრძელი უნდა გააკეთოს.

როდესაც ჭიის გამოყვანის დრო მოვა, ერთ თაროზე უნდა დაუგონ ქაღალდი (თუნდ დაწერილი იყოს, გასვრილი კი არა) და თესლი დააყარონ. როგორც ზევითა ვსთქვით კარგი იქნება, რომ პირველსა და მეხუთე დღეს გამოსული ჭია გადაყარონ და რაც მეორე, მესამე და მეოთხე დღეს გამოვა ის შეინახონ.

კანის გამოცვლის, ანუ ძილის წინა დღეს და ერთი დღეც ამის შემდეგ ჭია არასა სჭამს, მაგრამ კანის გამოცვლის შემდეგ რომ ერთი დღე გაივლის, მაშინ ჭიას დიდი მადა აქვს, ამიტომ ჭმევაც კარგი უნდა, რომ ჩქარა გაიზარდნენ, ოთახში უნდა თბილოდეს, ამისთვის, თუ ცივა, უნდა უთუოდ ბუხარი გაახურონ; რამდენიც ეთბილებათ იმდენი საჭმელს უფრო კარგათ სჭამენ და მალეც გაიზრდებიან, და რამდენიც მალე გაიზრდებიან, იმდენი პარკებსაც მალე გააკეთებენ და ეს, როგორც წინა ფურცელში ვსთქვით, პატრონისთვის მოგება იქნება.

ჭიას სინათლე უყვარს, ამიტომ ნათელ ოთახში უნდა გამოიყვანონ, ეს კია რომ მზე პირდაპირ არ უნდა დასცქეროდეს, თორემ დაჰთუთქავს.

თესლიდგან რომ გამოვა ჭია, ორი დღის შემდეგ უნდა დაუწმინდონ, ამისათვის ალაგი უნდა გადაუნაცვლონ. ჭიებზე უნდა დააწყონ ფურცლის (თუთის) შეფოთლილი ნორჩი ტოტები, და როდესაც ჭიები აცოცდებიან ზედ, მაშინ ეს ტოტები სუფთა ალაგს უნდა გადააწყონ და ნაჭამი ფოთლები გადაყარონ, ისე კი რომ თან ჭია არ გაატანონ.

ბუდის დაწმენდა ჭიებისთვის ძალიან საჭიროა, რადგან ერთად დაგროვებული ფურცლის ნაჭამი ფოთლები ჰაერს ჰფუჭებენ და ეს გაფუჭებული ჰაერი ძალიან სწყენს ჭიას. ბუდეს რომ დაუწმენდენ მაშინ ჭია უნდა ცოტა ფართოდ გაფინონ და რამდენიც გაიზრდება უფრო და უფრო დიდი ალაგი უნდა დააჭერინონ თაროზე, იმიტომ რომ

შეჯგუფებული ჭია ერთმანეთს სჩაგრავს და ჰაერსაც ახდენს. წმინდა ჰაერი ძალიან საჭიროა ჭიისათვის, ამის გამო, როცა თბილი, უქარო მზიანი დღე იყოს, უნდა ფანჯრები გააღონ და ჰაერი დაუწმინდონ, მაგრამ ორი პირდაპირი მხრიდან კი არ უნდა იმუშაოს ქარმა, თორემ აწყენს. ბოლი ძალიან სწყენს ჭიას, მეტადრე თამბაქოს კომლი, ამის გამო უნდა მოარიდონ, და ბუხარიც ისეთი უნდა იყოს, რომ კომლი არ გამოდიოდეს; აგრეთვე კატები, ოაგვები, ღამურები, ფრინველები და ყოველგვარი სხვა ჭიაც მავნებელია აბრეშუმის ჭიისთვის.

მანამ ხუთი დღისა გახდება ჭია უნდა ორ საათში ერთხელ დაუყარონ ნორჩი ფურცელი (ზოგი ჭიის მომყვანი პირველ დღეს ფოთოლს უკუწავს და ისე აჭმევს); ამასთან იმდენ-იმდენი უნდა დაუწყონ, რომ ოთხ დღეში ორი გირვანქა ფურცელი შეჭამონ. რადგან კანის გამოცვლის (ძილის) წინ და შემდეგ დღეს ჭიები ცოტასა სჭამენ, ამიტომ მაშინ საჭმელიც ცოტა უნდა დაუყარონ და როცა კი მადა მოუვათ, მაშინ საჭმელიც მეტი უნდა მისცენ.

თავის დროს რომ საჭმელი არ მოაკლდეს ფურცელი ყოველთვის დამზადებული უნდა იქონიონ; საჭმლის დამზადება არ არის ძნელი, რადგან ყმაწვილებსაც შეუძლიანთ ფურცლის ტოტების მომტვრევა. დამზადებული ფურცელი წმინდა ალაგზე ან ჭილობზე უნდა გაფინონ და ისე შეინახონ, ამასთან ისეთ ალაგას, რომ არ დასჭკნეს; გროვად შენახული შეხურდება და გაფუჭდება და ჭიასაც ძალიან აწყენს. სველი ფურცელიც აწყენს ჭიას, ამის გამო, როდესაც წვიმიან ამინდში მოკრიფონ, უნდა ჯერ გაფინონ ჭილობზედ, რომ გაშრეს და მერე აჭამონ. ჭიას თეთრი თუთა უფრო უყვარს, ამიტომ იმის ფურცელი რომ აჭამონ უფრო ემჯობინება. როცა ფოთოლს უყრიდნენ ისე უნდა დაუყარონ, რომ თანასწორად იყოს მოფენილი და რამდენიმე ფოთოლი ერთ ალაგას არ იყოს შეჯგუფებული.

კანის გამოცვლის ანუ ძილის შემდეგ მესამე დღეს ჭიას კიდევ უნდა დაუწმინდონ და მაშინ თაროს ნახევარი ალაგი დააჭერინონ. ამ დროს საჭმელი ისე უნდა აძლიონ და იმდენი, რომ სამ დღეში ექვსი გირვანქა ფურცლის ფოთოლი უნდა შეჭამონ.

მეორე ძილის ანუ კანის გამოცვლის შემდეგ მესამე ძილამდის ჭიას ორჯერ უნდა დაუწმინდონ ალაგი: ერთი მესამე დღეს და მეორე იმის შემდეგ მეორე დღეს. მაშინ ადგილის დაწმენდა ანუ ბუდეების გამოცვლა კარგი იქნება, რომ ბადის შემწეობით მოახდინონ; ამისათვის უნდა აიღონ მეთევზის ბადე და იმოდენა მოსჭრან, რამოდენაც თაროა, ესე იგი, სიგანით ერთი ადლი და სიგრძით ორი

ადლი, მერე უნდა შუაზე გაყონ და მიწის საცერივით ოთხკუთხ ჩარჩოზე გადაჭიმონ (ჩარჩოს სიგრძე და სიგანე უნდა ერთი ადლი), როდესაც ჭიისათვის ბუდის გამოცვლა უნდოდესთ, მაშინ ამ ბადეზედ ფურცელი უნდა დაუყარონ და ჭიის თაროზე დადონ. ჭიები რომ აცოცდებიან ზედ, მაშინ სხვა ალაგას უნდა გადაიტანონ და ბუდეს რომ დაუწმენდენ, უნდა ისევ თავის ალაგას გადმოიტანონ. ამ ბადეების შემწეობით შეიძლება ბუდე ყოველთვის სუფთად შეუნახონ ჭიებს. ამისათვის, როდესაც ბუდეებს გაუწმენდავენ და ჭიებს ისევ თავის ალაგას გადაიტანენ ბადე ისე უნდა გაუშვან და საჭმელი ზედ დაუყარონ ხოლმე. როცა შეატყონ, რომ გაწმენდა უჭირდეს, ბადე უნდა აიღონ, დაუწმინდონ ქვეშ და მერე ისევ დადონ. ეს ბადეები ძალიან აადვილებენ ჭიების ბუდის გასუფთავებას, მაგრამ ეს კია რომ მხოლოდ მეორე ძილის შემდეგ შეიძლება ახმარონ, ადრე კი არა, რადგან ამაზედ ადრე ჭიები ძალიან წვრილები არიან და ბადისაგან ადვილად დაიჭყლიტებიან. მეორე ძილის შემდეგ ჭიებს უფრო დიდი ალაგი უნდათ, მაშინ უნდა მთელი თარო დააჭერინონ. ამისათვის როცა დასაწმენდათ ბადეს დაუგებენ, უნდა ყური უგდონ, და ნახევარი რომ აცოცდება ბადეზე, მაშინ უნდა ააცალონ და ახლა მეორე ბადე დაუგონ, რომ ნახევარიც ამაზე აცოცდეს; გაწმენდის შემდეგ ორივე ბადე თაროზე ერთმანეთის გვერდზე უნდა დადონ. მეორე კანის გამოცვლის შემდეგ ჭიას იმდენი უნდა აჭამონ, რომ მესამე დაძინებამდის (ოთხ-ხუთ დღეს) თვრამეტი გირვანქა ფურცელი მოუნდეს.

მესამე კანს რომ გამოიცვლის, მაშინ ჭიას ორი თარო მოუნდება, და დაწმენდაც ორჯერ უნდა. ერთი—ძილის მესამე დღეს,—და მეორე—მეხუთე დღეს,—სწორედ ისე, როგორც მეორე ძილის შემდეგ დაუწმენდენ ხოლმე, აგრეთვე ბადეების შემწეობით. მესამე კანის გამოცვლიდგან მეოთხე კანის(ოთხ ხუთ დღეში)გამოცვლამდე ჭიამ უნდა შეჭამოს ორმოცდათოთხმეტი გირვანქა,ან ექვსი ლიტრა ფურცელი.

მეოთხე კანის გამოცვლის შემდეგ ჭიაებს სამივე თარო უნდა დაახაფრინონ და ბუდეც ორჯერ უნდა დაუწმინდონ: ერთი მეოთხე ძილის მეოთხე დღეს და ერთიც მეშვიდე დღეს. მეოთხე ძილის შემდეგ ჭიები ძალიან ბევრსა სჭამენ და პარკების გაკეთებამდის უნდებათ შვიდ ფუთ ნახევარი ფურცელი. როგორც სჩანს ანგარიშიდგან, მისხალ ნახევარი თესლიდგან გამოსულ ჭიას მთელ თავის სიცოცხლეში უნდება საჭმელად ცხრა ფუთ ნახევარი ან ათი ფუთის თუთის ფურცელი.

ჩვენში აბრეშუმის მკეთებლები არც იმას დასდევენ, თუ როდის უფრო ბევრი საჭმელი უნდა ჭიას და როდის ნაკლები და არც იმას, თუ რა ზომით. ჩვენმა ჭიის მომყვანებმა იციან, როცა მოხვდებათ მაშინ აჭმევენ; და ზოგნი კი იმდენს გააჩენენ, რომ საჭმელს ვეღარ შოულობენ და ჭმევის მაგიერათ—ამარხულებენ ხოლმე საწყლებს.

ესეთი მოუფიქრებლობა და დაუდევნელობა, რასაკვირველია, კარგ მოსავალს არ მისცემს აბრეშუმის მომყვანს და უფრო მეტჯერ სწორედ ეს დაუდევნელობაა მიზეზი, რომ ჩვენი მეაბრეშუმე მანდილოსნები ერთმანეთს შესჩივიან ხოლმე: „ჩემი ჭია სულ წახდაო“, „ჩემმა კი, რაღაცა ღმერთი გაუწყრა, ცუდი პარკები გააკეთაო“.

ყველა აბრეშუმის მომყვანმა უნდა იცოდეს, რომ როგორც მეტი საჭმელი, ისე ნაკლებიც მავნებელია იმის მოგებისათვის, და ამასთან რამდენისთვისაც საჭმელი ეგულებათ იმაზე მეტი არ უნდა გააჩინონ; სწორედ იმ ზომაზედ რომ აჭამოს და იმ დროს, როგორც ზევითა ვსთქვით—მაშინ უეჭველია ცოტანილა იჩივლებენ ჭიის გაფუჭებაზედ და ცუდი პარკების გაკეთებაზედ.

ცოცხების დაწყობა

მეოთხე ძილის შემდეგ მეცხრე დღეს აბრეშუმის ჭია პარკში ჩაჯდება და აბრეშუმს დაუწყებს ქსელვას. ყველა გვარმა ჭიამ (მატლმა) იცის, რომ თავის აბლაბუდებს ხეზე ან ხის ტოტებზე გააკეთებს ხოლმე, აბრეშუმის ჭიასაც ასეთი ხასიათი სჭირს და ამის გამო ამათაც ასეთი რამე უნდა გაუკეთონ, რომ ზედ თავიანთ პარკების მიკვრა შეეძლოსთ. ამისათვის აკეთებენ ცოცხებს ანუ საპარკეებს. სხვაგან ცოცხებს ნამჯისას აკეთებენ: უნდა აიღონ მაჯის სიმსხო ნამჯის კონა, თავი და ბოლო თანასწორად დააჭრან, ასე რომ სიგრძით ორ მტკაველზე ცოტა მეტი იყოს. მერე შუა ალაგას უნდა თავი მოუჭირონ და ბოლოები გაუფარჩხონ ცოცხისავით; ცოცხები წვრილი წნელებისაც შეიძლება გაკეთდეს. თავის დროზედ ცოცხები უნდა დასხან ისე, რომ ერთი გაფარჩხული ბოლო ზევით ჰქონდეს და ერთი ქვევით და ყველა თაროებზე ოთხ რიგათ, ისე რომ სიგრძეზედ თორმეტი ცოცხი მოვიდეს. თაროებზე ცოცხები მაგრა უნდა იდგნენ, და ბოლოებიც კარგა უნდა ჰქონდეს გაფარჩხული, რომ შუაში ცარიელი ადგილები ჰქონდეს დარჩენილი და ჭიებმა ადვილად გააკეთონ შიგ პარკები.

მეოთხე კანის გამოცვლის შემდეგ რომ შვიდი დღე გავა, ცოცხები მაშინ უნდა დასხან თაროებზედ, რადგან მეცხრე ან მერვე დღეზე ჭიები მადას ჰკარგავენ, თავის ტყავი ეჭმუჭნებათ, მოუსვენრად და-

ცოცავენ და აბლაბუდეს მსგავსი წმინდა ქსელი გამოსდის ტყავიდგან; მაშინ რომ ცოცხს იპოვნის ჭია, ზევით წვერზე აცოცდება ხოლმე (მანამ აცოცდება ერთი დღე და ღამე გადის), იმ გაფარჩხულში აირჩევს ალაგას და დაიწყებს პარკის ქსელვას.

აბრეშუმის პარკები სახით და სიდიდით მტრედის კვერცხსა ჰგვანან, ზოგი პარკი ყვითელი ფერისაა, ზოგი—თეთრისა და ზოგიც—ღია მწვანე ფერისა—სხვა ფერ პარკებს კი არა ქსელავენ აბრეშუმის ჭიები. ზოგიერთი ჭიები ვერ აცოცდებიან ხოლმე ცოცხზედ, თავიანთ აბრეშუმს უბრალო ცოცვაში ჰკარგავენ და მერე უსარგებლოდ კვდებიან. ამისთანა ჭიები უნდა ქაღალდებში ჩასხან და ისე დააწყონ; მაშინ ისინი ვეღარსად იცოცებენ და პარკებსაც გააკეთებენ. ცოცხის მაგიერათ შეიძლება ბურბუშელა და წვრილი ნაფოტი იხმარონ: მაშინ ეს თაროებზე უნდა გაფინონ და ჭიები ზედ თავიანთ პარკებს გააკეთებენ.

აბრეშუმის ჭიის ბოჟი და პეპელა; თესლის დაჟრა და შენახვა

აბრეშუმის ჭია რომ პარკში ჩაჯდება, სამი დღიდგან ხუთ ღღემდის მოუნდება ხოლმე პარკის ქსელვას; როდესაც სულ გამოელევა აბრეშუმი და პარკის კეთებასაც დაასრულებს, მაშინ ჭია ნელნელა გადიქცევა ბოჟად და ბოლოს ბოჟიდგან პეპელა გამოდის. პეპელა პარკიდგან თორმეტს, ან თხუთმეტს დღეს შემდეგ გამოვა ხოლმე (იმ დღიდგან რომ ვიანგარიშოთ, რა დღესაც ჭია პარკის კეთებას დაიწყებს); თითქმის ყველა პეპელა გამოდის პარკიდგან დილის ოთხ საათსა და ათ საათს შუა.

რადგან აბრეშუმის პარკები მაგრათ არიან მოქსელილნი, ამის გამო როდესაც გამოსვლის დრო მოუვა პეპელას, მაშინ ის პ რკის ერთ ბოლოს თავისგან გამოდენილი სითხეთი დაალბობს ხოლმე და მერე თავითა და ფეხებით თავის აბრეშუმის საცხოვრებლიდგან გამოსავალ ხვრელს იკეთებს. რადგან აბრეშუმის პარკი პეპელის გამოსვლას შემდეგ აღარ ივარგებს, ამის გამო სათესლედ მხოლოდ იმდენი პარკი უნდა შეინახონ, რამდენიც თესლი უნდათ და დანარჩენში კი პეპლის გამოსვლამდის უნდა ამოახრჩონ ბოჟი.

დედალი-მამალი პეპლები ადვილად შეიძლება გაარჩიოს კაცმა: დედალი პეპელა უფრო დიდია მამალზე და უფრო მსხვილიც არი რადგან მუცელი კვერცხებით ანუ თესლითა აქვს სავსე; ფერით თეთრია და რომელი პარკიდგანაც გამოსულა, ყოველთვის იმ პარკს ახლოსა ჰზის; მამალი პეპელა დედალზე უფრო პატარაც არის და უფრო წვრილიც, ფერითაც ნაცრის ფერია და თავის პარკთან არა-

ოდეს არ დადგება—სულ დაცოცავს და ფრთებს აფრთხიალებს: ეს იმიტომ რომ ის დედალ პეპელას ეძებს და როცა კი იპოვის —შეერთდება ხოლმე იმასთან და იმის თესლს გაანაყოფიერებს; დედალი პეპელა ყოველთვის მიიღებს ხოლმე მამალს და ორნივენი იქამდის დარჩებიან შეერთებულნი, ვიდრე თითონ მამალი არ დაეხსენება.

დედალ-მამალი პეპელა ხან-და-ხან ერთ დღე და ღამეს არიან ხოლმე შეერთებულნი; მაგრამ ეს არ არის კარგი, რადგან დედალი პეპელა ღონესა ჰკარგავს და ამიტომ თესლსაც ცოტასა ჰყრის. ამის გამო შეერთების შემდეგ ექვსი საათი რომ გავიდეს შეერთებულ პეპელებს უნდა ფრთები დაუჭირონ და ერთმანეთს მოაცილონ. იმას შემდეგ დედალი პეპლები მსხვილი ქაღალდის ფართო ყუთში ჩასხან ცალკე და მამლები კი დაპურვილ ყუთში შეინახონ, რომ ვინიცობაა თუ სათესლე პარკებიდგან სულ დედალი პეპელები გამოვიდნენ, იმათი განაყოფიერებისთვის იხმარონ და, თუ არ იყოს საჭირო—უნდა გადაყარონ.

დედალი პეპელა თესლის დაყრას ორს ან სამს დღეს ანდომებს და როცა სულ დაჰყრის, ორ ან სამ დღეს უკან კვდება; ყველა დედალი პეპლა ხუთასიდან შვიდას თესლამდის დაჰყრის ხოლმე; დედალ პეპელას შეუძლიან უმამლოთაც დაჰყაროს თესლი, მაგრამ იმისთანა თესლებს ლაყს ეძახიან, რადგან იქიდგან ჭია არ გამოვა.

ახლად დაყრილი თესლი ყვითელი ფერისა არის და, რამდენიც დღე გავა იმდენი უფრო და უფრო მუქ ფერს იჭერს და რამდენსაც დღეს შემდეგ ნაცრის ფერისა შეიქნება ხოლმე; ლაყ თესლს კი ყოველთვის ყვითელი ფერი აქვს;—ამ ნიშნით შეიძლება იმის გადარჩევა და გადაყრა; ჭიის თესლი სიდიდითა და სახით ღაჟღაჟის (ხაშხაშის) თესლს მიემსგავსება.

რადგან ყველა დედალი პეპელა საშუალო რიცხვით ხუთას თესლსა ჰყრის და მისხალ ნახევრის წონას კი უნდება შვიდი ათას ხუთასი თესლი, ამის გამო მისხალ-ნახევარი თესლის ასაღებად (მომავალი წლისათვის) საჭიროა სათესლედ თვრამეტი წყვილი დედალ-მამალი პეპელა შეინახონ (ვისაც სამი მისხალი თესლის აღება უნდა —იმან ორჯერ ამდენი პეპელა უნდა გადაანარჩუნოს): საპეპლეზე უნდა აარჩიონ მომსხო, მაგარი, ულაქაო პარკები, მერე ერთ თაბახ ქაღალდზე ხის წებოთი მიაკრან და მერე ისეთ ალაგს უნდა დადონ, რომ მზემ არ დასწოს, რადგან სიცხისაგან პარკებში ადვილად ხმებიან ბოჟები და ამიტომ პეპლებიც ველარ გამოდიან.

თესლს რომ მოაგროვებენ, გაზაფხულამდის მშრალ, გრილ ალაგას უნდა შეინახონ (ცხელსა და ნოტიო ალაგას შენახული აღარ გამოდგება); თაგვსაც უნდა დაუმალონ, თორემ იმათ ძალიან უყვარსთ ჭიის თესლი.

აბრეშუმის პარკებში ბოჟების ამოხრჩობა

სათესლე პარკებს რომ გადაარჩევენ, მერე უნდა აიღონ ცოცხებიდან სხვა პარკიც, მოაცალონ გარეშემო რაც აწეწილი აბრეშუმი ექნება, ლაქიანი პარკებიც უნდა ცალკე გადაარჩიონ, პარკები ცოცხებიდგან უნდა მეცხრე დღეს აჰკრიფონ (იმ დღიდგან უნდა დათვალონ, რა დღესაც აბრეშუმის ჭია პარკის კეთებას დაიწყებს). რადგან, როგორც ზევითა ვსთქვით, პეპელა-გამოსული პარკები ამოსახვევად აღარ იგარგებს, ამის გამო სათესლედ მხოლოდ იმდენი პარკი უნდა გადაარჩიონ, რამდენი თესლიც უნდათ (რამდენი თესლისთვის რამდენი წყვილი პეპელა უნდა, ისიცა ვთქვით ზემოთ); სხვა პარკებში კი ბოჟები უნდა ამოახრჩონ.

ბოჟების ამოხრჩობა სხვა-და-სხვა ნაირად იციან: სადაც გრილა და მზეს დიდი სიცხოვლე არა აქვს, იმისთანა ადგილებში კალათაში ჰყრიან აბრეშუმის პარკებს და ცოტახანს ნელად გახურებულ ფეჩში ან თონეშია სდებენ; სიმხურვალისაგან ბოჟები პარკებში სულ დახმებიან და პეპლებიც ვეღარ გამოვლენ; სადაც კი ცხელა, მაგალითად: ჩვენში, საჭირო არ არის არც თონე და არც ფეჩი; აქ შეიძლება ჭილობზედ ან ტილოზედ გაფინონ თხლად პარკები და ცხელ მზეზე გამოიტანონ; მზის სიმხურვალესაც შეუძლიან ბოჟების გახმობა პარკში. მაგრამ ბოჟების ამოსახრჩობად ყველაზე უკეთესი საშუალება ეს არის: ორ ჩაფიანი ქვაბით წყალი უნდა შედგან ცეცხლზედ და როცა დუღილს დაიწყებს მაშინ უნდა ორი ჯოხი გადონ ქვაბზე და ზედ საცრით პარკები უნდა დადგან; ამ საცერში პარკები ოთხი თითის სისქეზე უნდა ეყაროს; საცერს რომ დასდგმენ ქვაბზედ, ზედ (საცერსაც და ქვაბსაც) უნდა რამე გადაახურონ, რომ საცერში ორთქლი დატრიალდეს; ნახევარ საათს შემდეგ საცერი უნდა აიღონ.

ამ გვარად ორთქლისაგან ბოჟები სულ ამოიხრჩობიან პარკებში. საცერი რომ გადმოიღონ ქვაბიდგან, ორი ან სამი პარკი უნდა გასჭრან და დარწმუნდნენ, გამომხრჩვალან თუ არა ბოჟები; თუ გამომხრჩვალან, პარკები უნდა მზეზე გაფინონ გასაშრობად, რომ სინოტიე არ შეჰყვეს, თორემ აბრეშუმი ცუდი გამოვა.

როდესაც პარკებში ბოჟები ამოიხრჩობიან, მაშინ ყველა პარკები მთლად დარჩება, რადგან პეპლები აღარ გამოვლენ პარკებიდგან.

მთელი პარკებიდან შეიძლება აბრეშუმი ამოიხვიოს და პარკებათაც შენახვა ადვილია, ოღონდ კი ისეთ ალაგას შეინახონ, რომ თაგვმა არ გააფუჭოს.

ერთ გირვანქა აბრეშუმს უნდება ორასი ახალი (გაუშრობი) პარკი და მშრალი პარკისა კი უფრო ბევრი — ოთხას ოცი; აქედან გამოდის, რომ მისხალ-ნახევარი თესლიდგან ავა ორი ლიტრა, ან ოც გირვანქამდის გამშრალი პარკი. თითო პარკიდგან ამოიხვევა წმინდა ძაფი სიგძით ოთხასი საჟენიდგან შვიდას საჟენამდის (რვაასი ადლიდგან ათას ოთხას ადლამდის).

აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა

როდესაც ცუდად უვლიან აბრეშუმის ჭიას, მაშინ იმას სხვა და სხვა ავადმყოფობა გამოაჩნდება ხოლმე, და უფრო ხშირად შემდეგი:

ა) სიწითლე, რომლისაგანაც ჭია მოეშვება და უძრავად არის ერთ ალაგას; სიწითლისაგან ფერიც ეცვლება ხოლმე; მუქი (ნაცრის) ფერის მაგიერად, წითელ ლაქებიან ფერს დაიჭერს. ეს ავადმყოფობა ჭიას პირველ ხუთ დღეში გამოაჩნდება ხოლმე და ხშირად ამ ავადმყოფობითაც იბადება. ორი მიზეზი აქვს სიწითლეს: ერთი, რომ თესლს ძალიან თბილ ალაგას შეინახავენ და მეორე, მაშინ გამოაჩნდება, როდესაც წვრილ ჭიებს თბილი ალაგიდან ცივ ალაგში გადაიტანენ, ან ცივი ალაგიდან თბილში.

ბ) სიყვითლე, რომლისაგანაც ჭია ჭუჭყიან ყვითელ ელვარე ფერს იჭერს, და როცა კვდება ყვითელი ჩირქი გამოჰდის ტანიდგან. ეს ავადმყოფობა გადამდებია და თუ სიყვითლიან ჭიას კარგა მყოფი მიეკარა, ისიც სიყვითლით გახდება ავად. სიყვითლე აჩნდება ჭიას მეოთხე ძილს შემდეგ (ოცდა ორი დღისა რომ შეიქმნება), თუ მჭიდროთ არიან თაროზე და ან თუ ნორჩს, შემოუსვლელ ფოთლებს აჭმევენ. სიყვითლით ავად რომ არ გახდეს ჭია, თაროებზედ უნდა ხალვათად (ფართოდ) გაჰფინონ და ფოთოლიც შემოსული აჭამონ; ოთახშიაც წმინდა ჰაერი უნდა შეუშვათ (ორი პირდაპირი მხრიდან კი არ უნდა გაუღონ ფანჯრები და არც ცივ, ნოტიო დღეში). რა წამს ჭიებს სიყვითლე შეატყონ მაშინვე უნდა გადაყარონ შორს, რომ კარგა მყოფებსაც არ გადაედოს.

გ) თეთრი სიკვდილი, რომლისაგანაც ჭია მადასა ჰკარგავს და გაჭიმული გდია ერთ ალაგას; ამ ავადმყოფობიან ჭიას ისეთი ფერი აქვს, როგორიც კარგა მყოფს; ეს სენიც მეოთხ ეძილს შემდეგ დაემართება ხოლმე, თუ ოთახში ძალიან ნოტიო და მომხრჩვალი ჰაერი დგას; ამის გამო ჰაერი უნდა ყოველთვის დაწმინდონ ოთახში,

როდესაც მშრალი და თბილი დღე იქნება. ამ ავადმყოფობიან ჭიებს ეძახიან თეთრ მკვდრებს.

დ) ს ი შ ა ვ ე, რომლისაგანაც ჭია ნელ-ნელა შავდება, მერე ტყავი უსქდება და იქიდგან სქელი, შავი ჩირქი გამოჰდის. ეს ავადმყოფობა გამოაჩნდება ხოლმე ჭიას მაშინ, როდესაც ცოცხზედ აცოცდება პარკის გასაკეთებლად; ხანდახან ისიც მოხდება ხოლმე, რომ ჭია დაიწყებს პარკის კეთებას და მაშინ დაემართება ხოლმე სიშავე.

ე) გ ა ქ ვ ა ვ ე ბ ა, რომელიც ემართება ხოლმე ჭიას სიკვდილის წინ; მაშინ ჭია მაგრდება (ქვავდება) და კანიც უწითლდება. ეს ავადმყოფობა მოსდის ჭიას ყველა ხანში.

რასაკვირველია, უკეთესი იქნება ჭიის მომყვანი ეცადოს, რომ ჭიას ავადმყოფობა რამე არ გაუჩნდეს. ამისათვის ყველაზედ დიდი სიფრთხილე თესლის ყიდვაში ჰმართებთ. თესლი არაოდეს არ უნდა იყიდონ ისეთი, რომელიც არის მოგროვებული იმ აპრეშუმის ქარხნებში, სადაც ჭიის ავადმყოფობა რამე ყოფილა. მერე თვითონ ჭიასაც ძალიან უნდა უვლიდნენ და უფრთხილდებოდნენ: ყოველთვის ახალი საჭმელი უნდა აჭამონ, თაროებზედ სქლად არ უნდა იყვნენ გაფენილნი. ბუდე თავის დროს უნდა გამოუცვალონ ხოლმე. საკმაო სითბო უნდა იყოს ოთახში, ჰაერიც რიგზე დაუწყინდონ ხოლმე და სხვ.

თუ ამ სიფრხილეებმაც არ უშველა რა, და ჭიას ავადმყოფობა რამე გაუჩნდა, ავადმყოფები მაშინვე უნდა აირჩეს და მიწაში ჩაიფლას (გარეთ), და კარგამყოფებს კი კარგად მოუარონ; ამასთან ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ავადმყოფობა ბევრჯერ ერთი ქარხნიდგან მეორე ქარხანაში გადაჰდევს ხალხს; ამისთვის არ უნდა მიუშონ აბრეშუმის ქარხნებში ის კაცები, რომელნიც იმ ქარხნებიდამ არიან, სადაც ჭიის ავადმყოფობა გაჩენილა.

ამასთან ერთი გამოჩენილი რუსეთის მეაბრეშუმე იმასაც ამბობს რომ თუ ჭიაში ავადმყოფობა გაჩნდაო, მეორე წელიწადს ყველა იარაღი: თაროები, ბადეები, ცოცხები და სხვ., რასაც კი ავადმყოფ ჭიას ახმარებდნენ, ახალ ჭიას არ უნდა ახმარონ, თორემ ამ იარაღებისგან ამათაც გაუჩნდება ავადმყოფობა; და თუ სულ არ გამოსცვლიან ამ იარაღებს,—ეს მაინც უნდა ჰქნან, რომ სულ დაწმინდონ და. დარეცხონ საპნითა და წყლით; სარეცხ წყალშიაც უნდა ცოტაოდენი შაბიამანის ზეთი გაურიონ; ოთახი გოგირდით გამოახრჩოლონ და რამე საღებავით შეღებონ. მაშინ იმ ოთახში შეიძლება მეორედ მოიყვანონ ჭია.

თუთის ხე (ფურცელი), იმის გაშენება და აბრეშუმის მოყვანისაგან სარგებლობა

თუთის ხე (ფურცელი) სამ ნაირია: თეთრი, წითელი და შავი. ნაცადია რომ თეთრისა და წითელი თუთის ფოთოლს უფრო კარგა სჭამს ჭია, თუ ეს თუთა თესლით არის მოყვანილი;—ეს კია, რომ დაბლობ, ჭაობიან ალაგში გაშენებული თუთის ფოთოლი (რა ჯიშისაც უნდა იყოს) აწყენს აბრეშუმის ჭიას.

ჩვენში თუთას ისე მოვლა არა სჭირდება, რომ ძნელი იყოს იმის მოყვანა. ყველა მიწის პატრონს შეუძლიან იმდენი თუთის ხე იქონიოს თავის მიწაში, რომ, სულ ცოტა, მისხალ ნახევარი თესლიდგან გამოსულ ჭიას მაინც ეყოს.

თუთის მოყვანა ყველგან შეიძლება: ეზოში, ბოსტნებში, ვენახში და სხვ.; ეს კია რომ ვენახში ისეთ ალაგს მოიყვანონ რომ ვაზებსა და ბოსტნეულს არ უჩრდილებდეს. ჩვენებურ ვენახებში და ეზოებში კაცი მრავალ ნაირ უსარგებლო ხეებსა და ჯაგებს ჰნახავს, მაგალითად: მაყვალს, კუნელს, ტირიფს და რამდენ სხვას, რომელთაც მოგება არა მოაქვსთ რა პატრონისთვის, რასაკვირველია, ბევრად უკეთესი და მოსაგები იქნება მამულის პატრონისათვის, რომ ეს მოხსენებული უსარგებლო ხეები და ჯაგები ამოაგდოს და იმათ მაგიერ თუთის ხე მოიყვანოს, რადგან სარგებლობასაც ბევრს გამოიტანს და მოსაყვანათაც ძნელი არ არის.

მით უფრო სასარგებლოა ჩვენი სოფლებისთვის აბრეშუმის მოყვანა, რომ ჯერ ერთი, რომ ის ხე ძალიან ადვილად ხარობს, მეორე—აბრეშუმის ჭიას დიდხანს არ შესცქერიან და ბევრ ხარჯსა და ჯაფას არ ანდომებენ და მესამე—როდესაც აბრეშუმის ჭია იზრდება —იმ დროს ჩვენ სოფლელ ქალებს მოშეტებულებს თითქმის სრულებით არაფერი საქმე არა აქვსთ. რაღა თქმა უნდა რომ ამისთანა სახერხო გარეომებაში, ძალიან კარგი იქნება, რომ ჩვენმა სოფლის ქალებმა სხვათაშორის, აბრეშუმის ჭია მოიყვანონ და იმითი თავიანთ ოჯახს შეჰმატონ.

მისხალ ნახევარი თესლიდგან გამოსული ჭიის გამოსავალი ეს არის: თუ კარგა აჭამეს ჭიას (იმდენი და იმ დროს, როგორც ზევით ავწერეთ) და კარგათაც მოუარეს, მაშინ იმათი გაკეთებული პარკებიდგან წმინდა აბრეშუმი გამოვა ორგირვანქა ნახევარი. ამ აბრეშუმის ფასი იქნება—სულ ცოტა—ორი თუმანი, ან ორ თუმან ნახევარი აქ თუ ჩვენი ჩარჩების ოსტატობა მოვიგონეთ, აბრეშუმის ყელვაში, როგორც სხვა მოსავლის ყიდვაშიაც, მაშინ ჩვენი გამოანგარიშება ტყუილი ეგონებათ. მაგრამ საქმე ის არის, რომ რა ფასადაც ჩვენი

ჩარჩები ყიდულობენ სხვადასხვა სოფელში და სხვადასხვა მოსავალს, ის ფასი არას გზით არ ჩაითვლება წესიერ ფასად, და თითონ ჩარჩებიც წესიერებაზე ძალიან შორს არიან. ამის გამო კარგი იქნება, რომ ერთი სოფლის მეაბრეშუმეებმა აბრეშუმები ერთად შეაგროვონ (ყველამ თავის აბრეშუმის წონა დაიხსოვნოს), ერთ სანდო კაცს ჩააბარონ და იმის საშუალებით პირდაპირ იმას მიჰყიდონ, ვისაც თვითონ ჩარჩები მიჰყიდვენ ხოლმე. მაშინ აბრეშუმის მომყვანებს უფრო დიდი მოგება ექნებათ და ჩვენ ნათქვამშიაც ტყუილს არ შეგვწამებენ ან თუ ეს ჩვენი რჩევა არ მოეწონებათ, სხვა რამე მოაგვარონ, რომ ჩარჩებისაგან უფრო ცოტათი მოტყუვდნენ ხოლმე აბრეშუმშიაც და სხვა გასაყიდ მოსავალშიაც,—ორ თუმან ნახევარს ექვს, ან შვიდ კვირაში არა მოსავალი არ აძლევს, რომელზედაც დახარჯულია სულ მისხალ ნახევარი ჭიის თესლი და ცოტაოდენიც შრომა.

ვინც სამ მისხალ თესლს გამოიყვანს, ის ორ ამოდენა მოგებასაც მიიღებს და სხვ. ამის გამო ჩვენ ყველა ჩვენს სოფლის მემამულეებს ვურჩევთ უმაქნისი ჯაგებისა და ხეების მაგიერად, თავიანთ მიწებზედ და ცარიელ ადგილებში თუთა გააშენონ.

სათესლედ ჩამოცვივნული და დამწიფებული თუთა უნდა მოაგროვონ ერთ რამე ჭურჭელში, სამ დღეს დააცალონ რომ უფრო დამწიფდეს (დალბეს); მერე უნდა დაჭყლიტონ და ძალიან გაწურონ; ეს გაწურული თუთა უნდა საცერში ჩაყარონ დაასხან წყალი და ქვაბზედ დადგან, როცა წყალი გავა, თან თესლსაც გაიტანს (საცერი ისეთი უნდა იყოს რომ თუთის თესლს გასვლა ადვილად შეეძლოს); როდესაც საცერი დაიცლება—მაშინ კიდევ დაასხმენ წყალს, მანამ თესლი სულ გავა საცერში. მერე ქვაბიდგან წყალს გდაასხამენ და ძირს წმინდა თუთის თესლი დარჩება. ეს თესლი უნდა თხლად გაფინონ ფარდაგზედა, ან ტილოზედ და ისეთ ალაგას გააშრონ, რომ არც ციოდეს და არც ცხელოდეს. გამშრალი თესლი შეიძლება დათესონ სადაც სურთ და ამოვა თუთა.

თუთის მოყვანაზე შემდეგში უფრო ვრცლად მოვილაპარაკებთ.

ორიოდე სიტყვა სოფლის ახალ მოხელეების ამორჩევაზე

I

აი ეხლა დრო მოგვიახლოვდა სოფლის მამასახლისების, მოსამართლეების და სხვა მოხელეების ახლათ ამორჩევისა. ეხლა ჩვენი გლეხკაცობა კარგათ უნდა მოემზადოს მოხელეების ამორჩევაზე და ამისათვის გვინდა აქ მოვილაპარაკოთ.

ყმების განთავისუფლების შემდეგ სოფლის საქმეების მართვა შემოვიდა ახალი კანონით. სოფლის მოხელეები მთელმა სოფელმა უნდა ამოირჩიოს, ეს დაწყობილობა კანონისა კარგი დაწყობილობაა, ამიტომ რომ ვინ უფრო კარგა იცნობს სოფლის კაცსა, თუ არ ისევ სოფლის კაცივე, ამისათვის კანონის ძალით ნება მიეცათ გლეხებს, რომ თავიანთ სოფლის მოხელეები თითონვე ამოერჩიაო,—მერე ამორჩევის შემდეგ ამტკიცებს მთავრობა.

პირველი ამორჩევა მოხელეებისა ამ სამის წლის წინათ მოხდა. ამ სამს წელიწადში სოფლის ხალხი, რასაკვირველია ავსა და კარგს გამოსცდიდა, ნახამდა საქმესა და ეხლანდელ წესს უწინდელსას შეადარებდა. თუ კარგი მამასახლისი, კარგი მოსამართლეები, კარგი ნაცვალი იყო სოფელში, ამაზე რასაკვირველია გლეხი კაცები მაშინვე შეიტყობდნენ ახალი კანონის სიკეთესა. ამას გარდა სოფლისთვისაც სახელია, რომ კაი კაცების ამორჩევა სცოდნია, სიფრთხილით მოქცეულა და ალალ ბედათ არ მისდგომია: ვინც უნდა იყოს, სულ ერთიაო, ის ამოვარჩიოთო. ეს იმისთანა სოფელზედა ვთქვით რომ კარგათ მოქცეულან და კარგი კანონი კარგათ აუსრულებიათ. სოფლისთვისაც ხეირია, სარგებლობაა, რაღა თქმა უნდა.

მაგრამ ახლა იმ სოფელზე მოვილაპარაკოთ, რომ კარგი კანონი, ან შეცდომით, ან დაუდევრობით კარგათ არ აუსრულებიათ. კარგი და სასარგებლო კანონი ცოდვაა რომ კარგათ არ სრულდებოდეს და ცუდი საქმეა კაცმა თავისი სარგებლობა არ იცოდეს . ამისაგან ის წარმოსდგება, რომ კარგს კანონს არას დასდევენ და იძახიან, სულ ერთია ჩვენთვისაო, გინდ ძველი კანონი იყოსო და გინდ ახა-

ლიო. არა ეს შეცდომაა, ტყუილია, სოფლის ახალი კანონი კარგი კანონია და ამაზე ეჭვი არ უნდა შევიტანოთ, ეს ეჭვიანობა უნდა დავარღვიოთ.

რისგან მოხდება ეჭვიანობა, იმისაგან, რომ კარგი მოხელეები არ ამოარჩიეს გლეხებმა ზოგიერთ სოფელში. ზოგ მამასახლისზე, ზოგ მოსამართლეზე სოფელი უკმაყოფილო დარჩა; მაგრამ ვისი ბრალია? კანონმა ნება მისცა სოფელსა, რომ თავიანთი მოხელეები თითონვე ამოერჩიათ, რატომ კარგი კაცები არ ამოირჩიეს. აი საქმე ეს არის რომ კაი ამორჩევა მოახდინონ.

რასაკვირველია, ის პირველი ამორჩევა იყო ამ სამი წლის წინათა, ახალი საქმე იყო, სოფელი ჯერ არ შეჩვეულიყო ახალ კანონის წესებსა; ახლა კი საქმე კარგათ უნდა დააწყონ, კარგათ აიღონ და დაიღონ, კარგა უნდა დააფასონ კაცი და ისე ამოარჩიონ. ეს საქმე დიდი საქმეა; ამიტომ რომ თუ კარგი მოხელე არ ამოარჩიეს, რაც მოხელესაგან ურიგო, უკანონო და უსამართლო საქმე გამოვა, იმისი ბრალი კი არ იქნება, სოფლის ბრალი იქნება;იმისთანა კაცს რათ ირჩევდნენ და ქვეყნის ცოდვის მიზეზნი რათა ხდებოდნენ.

დიდი ვალი აწევთ კისერზე, რომ კაი სიფრთხილით დაიჭირონ ეს საქმე; დაუდევრობა არ შეიძლება, ერთმანეთზე საქმის მიგდება არ შეიძლება. დღეს ხვალობაა, ადამიანობაა, ვინ იცის, რა საქმე იყოს, რა მოხდეს, დღეს არაფერი საქმე არა გვაქვს, ხვალ ვინ იცის რა საქმე დაგვჭირდა მოხელესთანა. ამიტომ კიდეც ყველამ ერთად, მთელმა სოფელმა ერთპირათ უნდა დაიჭიროს საქმე, როდესაც მოხელეებს ირჩევენ. როგორც ვთქვით, დაუდევრობა ცოდვაა, ერთმანეთზე საქმის მიგდება არ შეიძლება, ნურც ვიტყვით არა მცალიან აი ისინი მოილაპარაკებენ და ამოირჩევენ ვინც იქნებაო,— არა ეს ცუდი საქმეა და ახლა რომ ასე ვიძახოთ მე არა მცალიაო, ხვალ ვინ იცის, ხუთი იმოდენა დრო დავკარგოთ, მუშაობასაც მოვცდეთ დრომ ფუჭად ჩაგვიაროს; ან იქნება ისეთი უკანონო და უსამართლო საქმეები ვნახოთ, რომ ვიძახდეთ, ვაი, ვაი, ამისთანა კაცი როგორ ამოარჩია სოფელმაო. აბა მაშინ უნდა გკითხოს კაცმა, ეხლა შენ, შვილო, მაგრე ლაპარაკობ, როცა დრო იყო, სადა ბრძანდებოდიო. აბა იფიქრეთ ყველა ესეები, ტყვილია თუ არა. კარგ კაცს ამოირჩევთ, თქვენთვის იქნება კარგი, ავს ამოირჩევთ თქვენთვის იქნება ავი: ორივე თქვენი საქმეა, კანონი თქვენ გენდობათ ამ საქმეში.

რადგანაც ამ ახლო ხანებში იქნება სოფლის მოხელეების ამორჩევა, სოფელი ეხლავე ამის ფიქრს უნდა შეუდგეს, თუ რომელი და

რომელი კაცი გამოირჩიოს და როგორ გამოირჩიოს. ამისათვის მოვიტან კანონებიდგან, რაც ამ ამორჩევისათვის არის საჭირო.

წესდებაში სოფლის საზოგადოებათა მოხსენებულია: (მუხლი 52 და 53) სოფლის მოხელენი ზოგნი არჩევით დაინიშნებიან და ზოგსა ან ჯამაგირით იჭერენ ან რჩევით დანიშვნენ. არჩევით დაინიშნებიან: სოფლის მამასახლისი, ნაცვალი, საცა დაწესებულნი არიან, და სოფლის მოსამართლეები (სუდიები). ესენი უთუოდ უნდა აირჩიონ. (54) სხვა მოხელეები: გზირები, მეველეები, მერუეები და სხვანი როგორც უნდა სოფელს ისე დააყენებს, თუ უნდა ჯამაგირითა, თუ უნდა ისე არჩევითა და ვინც უნდათ, ოღომც კაი ყოფა-ქცევისა იყოს. (მუხლი55)მამასახლისათ, ნაცვლათ და სოფლის მოსამართლეთ ვერ დაინიშნებიან ოცდახუთ წლისაზე ახალგაზრდანი, ვერ დაინიშნებიან სამართლის გადაწყვეტილებით გალახულნი და ეჭვქვეშ დატოვებულნი და ცუდის ყოფა-ქცევით გათქმულნი; ამასთანავე მამასიხლისი, ნაცვალი და მოსამართლეები უფრო სახლის უფროსები უნდა იყვნენ. (56) მამასახლისი და სოფლის მოსამართლეები სოფლის ყრილობამ, სოფლის თემმა, უნდა ამოირჩიოს. (57) ნაცვალი უნდა ამოირჩიოს იმ სოფლის თემისაგან, საცა ნაცვლათ უნდა იყოს. (58) ამორჩეული მოხელეები სამი წლით უნდა იყვნენ, ხარჯის მომკრეფი — მარტო ერთის წლით. ჯამაგირით დაჭერილი მეველეები, მერუეები და სხვანი რამდენი ხანიც უნდათ.

თუ შემდეგ სამ წელიწადს კიდევ ახლად მოინდომა სოფელმა ძველი მოხელეების ამორჩევა, შეუძლიათ ამოირჩიონ, თუ ძველი მოხელეები ამაზე უარს არ იტყვიან. (59) მამასახლისათ, სოფლის მოსამართლეებათ და ნაცვლათ თითო მოხელეობისათვის ორი უნდა ამოირჩიონ, რომ ვინიცობაა მოხელის ადგილობრივ არ ყოფნის დროს, ან სიკვდილია, ან მძიმე ავათმყოფობა, მოხელის ადგილი დაიჭიროს. (60) სოფლის საზოგადოებისაგან ამორჩეულს არ შეუძლიან უარი სთქვას მოხელეობაზე, თუ შემდეგი მიზეზი არ აქვს: თუ სამოცი წლისა მეტია, თუ ადრე მოხელეობა გაუწევია სრულათა თავის ვადამდის, თუ მეტათ დასნეულებულია და ნიადაგ ბინა სოფლის საზოგადოებაში არ აქვს თავის საქმეთა გამო. ამ ზემოხსენებულს წესის წინააღმდეგ თუ ამოირჩიეს გლეხი, მას შეუძლია იჩივლოს მახლობელ მთავრობასთან. დროებით ვალდებულნი გლეხნი ამ გვარ საჩივარს შეიტანენ მიროვის პოსრედნიკთან. (61) მამასახლისი და სოფლის მოსამართლენი დამტკიცდებიან თავიანთ თანამდებობაში უეზდის ან ოკრუგის ნაჩალნიკის წარდგინებით გუბერნატორისაგან. ნაცვლები დამტკიცდებიან უეზდის ან ოკრუგის ნაჩალნიკისაგან, დროე-

ბით ვალდებულ გლეხებისაგან დამტკიცდებიან ან უეზდის ოკრუგის ნაჩალნიკისაგან მიროვის პოსრედნიკის თანხმობითა.

(63) თუ მოხელეთ უკანონოთ ამორჩევაზე ან უკანონო არჩევის მოხდენაზე ორ კვირის განმავლობაში სოფლის სახლის მეუფროსეთ მეხუთედ ნაწილისაგან საჩივარი შევიდა, უეზდის ან ოკრუგის ნაჩალნიკი განხილვაში შევა და თუ ჩივილი მართალია თავის დასწრებითვე მოახდენინებს ახალ ამორჩევასა.

აი ეს კანონი, აქ მოგვაქვს რომ მოვაგონოთ ჩვენს გლეხებსა, რა რიგათ უნდა მოახდინონ მოხელეების ამორჩევა. ეხლა ეს უნდა მოვიხსენიოთ: რადგანაც ზემოთ მოვიხსენიეთ, რომ სოფლის მამასახლისი და მოსამართლეები სოფლის ყრილობისაგან უნდა აირჩევნენ, ახლა უნდა სწორედ წავიკითხოთ ყრილობაში რომელ გლეხს შეუძლია იყოს და რომელს არ შეუძლია. (71) სოფლის ყრილობას შეადგენენ ყოველნი, რა სარწმუნოებისაც უნდა იყვნენ, სრულ ასაკოვანნი სახლის მეუფროსენი გლეხნი (ოცდაერთის წლისანი), რომელნიც სოფლის საზოგადოებას ეკუთვნიან და კამერალის აღწერით ცალკე კომლათ ირიცხებიან. ამათ გარდა ამორჩეულნი სოფლის მოხელენი.

სახლის მეუფროსეს, თუ თითონ არ შეუძლიან ყრილობაში ყოფნა, ან ავად არის, ნება აქვს თავის მაგიერ თავისის სახლიდგან ვინმე გაგზავნოს ყრილობაში.—ყრილობაში არ შეიშვებიან გლეხნი, რომელნიც არიან გამოძიების და სამართლის ქვეშ ისეთ დანაშაულობათა და შეცდომათა გამო, რომლისათვისაც დამნაშავენი მოკლებულ იქნებიან კანონით, ყოველ უფლებათა და პატივთა პირის პირ და წოდებით მათდა მითვისებულთა. ამას გარდა ყრილობაში არ მიიშვებიან ის გლეხნი, რომელნიც სასაჯართლო ადგილების გადაწყვეტილებით პოლიციის ზედველობის ქვეშ არიან მიცემულნი.

(13) სოფლის ყრილობის გარდაწყვეტილება მაშინ არის კანონიერი, როდესაც ყრილობაში დამსწრე ყოფილა მამასახლისი ან მისი მოადგილე; ამას გარდა უეპველათ უნდა იყოს სოფლის მეუფროსეთ ნახევარი ნაწილი.

ამ რიგათ უნდა მოხდეს სოფლის ყრილობა. ყრილობაში მოხელეების ამორჩევის საქმე გადაწყდება ან თანხმობითა საერთოდ ან მეტის ნაწილის ხმითა. გლეხები ორათ უნდა გაიყონ და დასთვალონ ორივე მხარე, ვინ უარზეა და ვინ თანახმაა, საითაც მეტი ხმაა იმისი გარდაწყვეტილება აღსრულდება, თუნდა რომ ერთი ხმაც მეტი იყოს. ხმის მოგროვება კიდევ სხვა გვარათ შეიძლება, რაგორც სოფელში ადათია.

როგორი კაცები ამოირჩიოს სოფელმა და რა სახით მოახდინონ ამორჩევა კანონიერათ, ამაზე კიდევ მივილაპარაკებთ.

II

ამ გაზეთის წარსულ კვირის წინა ფურცელში მოვილაპარაკეთ, რომ ახალი კანონების კარგათ ასრულება თვითონ სოფელზედა ჰკიდია და კარგი მოხელეები არიან სოფელში თუ ცუდი ეს სოფლის ბრალია. ამისათვის სოფელმა კარგა ფრთხილათ უნდა ამოირჩიოს მოხელეები, რომ მერე სავაგლახო აღარ გაუხდეთ მთელი სოფლის საქმეცა და სათითაოდ ყველა გლეხის საქმეცა. ამასთანავე მოვიტანეთ კანონის დებულებაცა თუ როგორ უნდა მოახდინონ ალმორჩევაცა.

ეხლა ჩვენ დაწვრილებით უნდა მოვიხსენოთ რა და რა მიზეზისაგან მოხდება, რომ კარგ მოხელეებს ვერ არჩევენ ზოგიერთ ადგილასა.

აი ვსთქვათ სოფელში მოვიდა მოხელეების ამორჩევის დრო. გლეხობა, რასაკვირველია, კაცებს ეძებს. ხალხი ეძებს გაშოცდილ, მცოდნე კაცებსა. გამოცდილები ძველი მოხელეები არიან. ზოგნი ეჭვობენ იმათ ამორჩევაზე, რადგან ადრე ის მოხელე უკანონოთ იქცეოდა და ქრთამს ღებდა. ან უსამართლოთ ირჯებოდა. ამას, რასაკვირველია, ყველა სოფელზე და ყველა მოხელეებზე არ ვამბობთ რომ ასე უკანონოთ ირჯებოდნენ, მაგრამ ზოგგან ყოფილან: ამათ ამორჩევაზე ზოგი თუმცა თანახმა არ არის, მაგრამ იძახის ეჰ რა ვქნათ გამოცდილი კაციაო. ამასთანავე შეიძლება მოხდეს, რომ ამისთანა მოხელემ ზოგი გლეხიც მოიმხროს, რადგანაც ჯიბის გამსება უნდა უსამართლოთა და უკანონოთა.

აი ამას არ უნდა დაჰყვნენ სოფლის ჩვენი გლეხები. გამოცდილება საქმისაგან არის, სულ ახლად ამორჩეული მოხელე ჭკვიანი და მართალი კაცი მალე გამოიცდება, ამას ფიქრი არ აქვს. თავის საქმეს მალე შეიტყობს და თუ ჭკვიანი და სვინდისიანი კაცია, უფრო კარგათ შეიტყობს, უფრო მალე გამოიცდება. ძველ გამოქნილ უკანონო, მოქრთამე და უსამართლო კაცებს დავეხსნათ, თავი დავანებოთ, თორემ თავის დღეში ჩვენ ვაგლახს ვერ გადავრჩებით.

ძველ ავ კაცებს რომ თავს ვანებებთ, ახალ კაცების ამორჩევაზედაც ფრთხილათ უნდა ვიყოთ. ზოგს ახალ კაცებს იქნება თითონ უნდოდეთ, რომ მოხელეთ ამოირჩიოს სოფელმა, იმ ფიქრით რომ სოფლის საქმეები ხელში მექნებაო და ჯიბეს კარგა ავიმსებო. ამისათვის იქნება მომხრე კაცებიც იშოვნოს გლეხებში, დააჯეროს, რომ მე პატიოსნობით, სიმართლით, და უქრთამოთ გავაკეთებ საქმესაო, კანონიერად მოვიქცევიო. ამისთანა კაცებსა უნდა ერიდოს სო-

ფელი, იმიტომ რომ რაკი მოხელეობას დაიწყებს, იქნება ძველ უსამართლო მოხელეებს გადააჭარბოს. ამგვარათ ხალხი მოტყუვდება და ამისაგან არის კიდეცა, რომ ზოგ სოფელში იძახიან, ვინც უნდა დავაყენოთ მაინც თავისას არ იშლიანო, უსამართლოთ და უკანონოთ ირჯებიანო, აი ამიტომ კიდეც ამაზე სიფრთხილე უნდა ახალ კაცების ამორჩევაზე.

კაი კაცივით ლაპარაკი ყველას შეუძლია. ქურდსაც, კაცის მკვლელსაც, მოქრთამესაც, უსამართლოსაც, ქვრივის და ობლის დამჩაგვრელსაც, ღარიბის თავში მცემელსაც, მაგრამ საქმე ის არის, რომ მანამ კარგა არ შევიტყოთ იმის კაი კაცობა, იმისთანა კაცს არ უნდა დავუჯეროთ, არ უნდა მოვტყუვდეთ.

სიფრთხილე და სიფრთხილე გვმართებს. სათანადოთ უნდა ვეძებოთ და ვიპოვნოთ კაი მოხელეები.

მაშ რა ნაირი კაცები ამოვირჩიოთ, აქ უნდა მოვიხსენიოთ. ჩვენ გვინდა ჭკვიანი, მართალი, ადამიანისათვის თავგადადებული გამჭრიახე კაცები.

ჭკვიანი კაცის საჭიროება ყველამ იცის. ქვეყანაზე ძვირფასი ჭკუისთანა არა არის რა. ჭკუა ბევრ გაჭირებიდგან გამოიყვანს კაცს. ჭკვიანი კაცი ქვეყანას სიკეთით ააავსებს, ჭკვიანი სხვასაც გააჭკვიანებს და ბევრ უბედურებისაგან გამოიხსნის. მაგრამ ჭკუასთან თუ კაცს სიმართლეც არა აქვს, კეთილი ხასიათი არა აქვს, ქვეყანას დააქცევს, მარტო თავის სიკეთეს და სიმდიდრეს ეძებს და სხვამ თუნდა თავი ქვასა ჰკრას არ ენაღვლება. მართალი კაცი ღარიბისა, ქვრივისა და ობლის მფარველია, ყელამდის რომ ოქროში ჩასვა, გროშს არ დააკლებს, უსამართლობა ეჯავრება და ყველასაგან ნდობა აქვს, ყველა ერწმუნება. აი ამისთანა კაცია საჭირო სოფლისათვის.

რა სოფელი იქნება, რა ხალხი იქნება რომ ამ გვარი მართალი კაცი არ იყოს. ამისთანა კაცი ღარიბებში უფრო ბევრია, მაგრამ ესენი გულით და სიკეთით მდიდარნი არიან. აი ამისთანა კაცებს უნდა ვერწმუნოთ. იმათ კი ნუ დავუჯერებთ, ვინც კარგი ლაპარაკი იცის სიმართლეზე, ავზე და კარგზე და ვინც სიტყვით ასეთ სიკეთესა გვპირდებიან, რომ ეს არის ჩვენი საქმე გაკეთდეთ და ესენი იქნებიან კარგი მოხელეებიო. საქმით კი, ვინ იცის, რამდენი ღარიბისა, ქვრივისა და ობლის ქონება და მამული დაურბევიათ, რამდენი საწყალი დაუჩაგრავთ და რამდენი უცხო კაცი და ნათესავი შეუწუხებიათ. არა, ამისთანა მატყუარა მოლაპარაკე კაცები არ გვინდა.

ჩვენ ისინი მოვინდომოთ, ვისაც ალალ-მართალი ლუკმა პური უჭამიათ თავის ოფლითა, ვისაც თავისი სიცოცხლე სიმართლით გაუტარებია და ყელამდინ რომ ოქროში ჩასვა ერთს არ დააკლებდეს. მაგრამ ბევრჯერ მოხდება, რომ კაცი მართალი, სვინდისიანი იყოს, მაგრამ შორმხედველი ჭკუისა არ იყოს. ამისთანა მართალი კაცი არ გამოგვადგება იმიტომ, რომ ჭკუის პატრონი ავი ხასიათის კაცი იმას მოატყუებს თავის სარგებლობის გულისათვის. გაჭირებაში ხერხის მოგონება გაუძნელდება და ამით საქმე წახდება. რასაკვირველია, ისევ უსვინდისო ჭკვიან კაცს მართალი კაცი უნდა ვირჩიოთ. მაგრამ ყველას ისა სჯობია, მოვძებნოთ ისეთი კაცი, რომ ორივე ღირსება ჰქონდეს: ჭკვიანიც იყოს და მართალიცა. მოხელე ჭკვიანი და მართალი კაცი გვინდა.

ამ ორ კარგ თვისებას უნდა გამჭრიახობაცა. საქმეში გამჭრიახობა დიდი საქმეა. ბევრი ჭკვიანი კაციც ვიცით და მართალიცა: საქმე აქვს რამ გასაკეთებელი, დღეს ხვალობაზე აგდებს საქმესა, ჰაი დღეს გავაკეთებო, ჰაი ხვალაო; ამაობაში ერთიც ვნახოთ, საქმე დატრიალდა და გაფუჭდა, ან თუ საქმეს აკეთებს ისე არ იწყებს, როგორც საჭიროა, ან არა და ერთ საქმეს რომ აკეთებს მეორე ველარ გაუკეთებია, თუ ორივეს თავს უდებს ვერ მოუხერხებია; თუმცა ცდილობს, მაგრამ ხერხი არ იცის, ოსტატობა არა აქვს. ამიტომ კიდეცა გამჭრიახე, ხერხიანი, ხელჩქარი და მომარჯვებული კაცია საჭირო.

დიდი ხანია რუსეთის სოფლებში პურის მაღაზიებია გამართული, რომ ვინიცობაა შიმშილია, ან დაჭირება, იმ პურის მაღაზიებიდგან ხელი გაიმართოს და ბევრჯერ გაჭირვების დროს ძალიან შეჭწეობასაც აძლევს გლეხობას თუ სათესლეთი, თუ ისე პურათა. ამ გვარი პურის მაღაზიები ჩვენს სოფლებშიაც ზოგან გამართეს ამ ახლო ხანებში და საჭიროც არის, რომ ყველგან დაწესდეს ამისთანა მაღზიები.

ამას გარდა ზოგიერთ სოფლებში გლეხობა ფულსა ჰკრეფს სოფლის საზოგადოებაში თავისის ნება-ყოფლობითა და ბანკსა მართავს. ამ ბანკიდგან ვისაც გაჭირება ადგია ფულს იღებს ცოტაოდენ სარგებლით და ხელს იმართავს. ესეც ძალიან საჭირო რამ ჰრის ჩვენი გლეხობისათვის, რადგანაც ეხლა ძალიან ბევრნი ფულს დიდის სარგებლით იღებენ ვაჭრებისაგან და დიდ ვალში ვარდებიან. ბანკი ამ შემთხვევაში ძალიან უშველიდა სოფლის ხალხსა.

ამის გარდა ძალიან საჭირო რამ არის შკოლების გამართვა; ამას ლაპარაკი აღარ უნდა, ჩვენმა გლეხმა ძალიან კარგათ იცის,

რომ წიგნის ცოდნა ძალიან საჭიროა და თუ წელში გამაგრდა, შკოლის გამართვაზეც უარს არ იტყვის.

მაგრამ პურის მაღაზიის, ბანკის და შკოლის გამართვას კაი მოთავე კაცები უნდა. თუ არ ქვეყნის სიკეთის მოსურნე კაცი, ქვეყნისათვის თავგადადებული ამისთანებში არ გამოდგება. სოფლის სიკეთის ზრუნვა მოხელეების მოვალეობაა, და ზემოთ რომ მოვიხსენეთ მოხელეებიც იმისთანა საქმის მოთავეები უნდა გვყავდეს. მოხელეები სოფლისათვის თავგადადებულნი უნდა იყვნენ, სოფლის სიკეთეს და თავის საკუთარ სიკეთეს არ უნდა არჩევდნენ, როგორც თავისი თავისა და ცოლ-შვილის სიკეთე სურთ, სოფლის სიკეთეც ისე უნდა ჰსურდეთ. ღარიბისა და ობლის მფარველნი უნდა იყვნენ. არამც თუ ღარიბისა, მდიდრისაცა, რომ უსამართლობით გროში არვის არ დაეკარგოს, არავის არ წაერთვას, არავინ არ დაიჩაგროს.

ამასთანავე პატიოსნობა, რიგიანობა, წესი და სიფაქიზე უნდა ჩამოაგდონ სოფელში. ხახელმწიფო ხარჯი წესით და სიმართლით მოაგროვონ და კანონი რიგიანათ აასრულონ. ამისთანა კაცი სოფლისათვის ზრუნველათ უნდა იყოს, სოფლის მოხელე ამისთანა კაცი უნდა მოვძებნოთ და ამოვარჩიოთ.

აი ეს ოთხი თვისებაა საჭირო, რომ კაცი ამოვარჩიოთ: მოხელე უნდა იყოს ჭკვიანი, მართალი, გამჭრიახე და სოფლისათვის მზრუნველი, თავგადადებული.

რისგან წარმოსდგება ქარი?

ბუნების კანონია, რომ თბილი ჰაერი განზედ იწევს, თხელდება და მსუბუქდება, აგრეთვე ბუნების კანონია, რომ ყველა მსუბუქი ზევით მიდის, და მძიმე კი თავისზე მსუბუქს ქვეით იწევს; ამ ბუნების კანონისგან წარმოსდგება ქარი.

როდესაც ჰაერს ყველა ალაგს ერთ ნაირი სითბო აქვს,—ერთ ნაირი წონაც ექნება. და მაშინ ჰაერი არც ზევით ადის და არც ქვეით ჩამოდის—წყნარად არის; მაგრამ თუ რომელიმე ალაგას ჰაერი გათბა, ან გაცივდა,—წონაც შეიცვლება და მაშინ ის დაიწყებს ზევით-ქვევით და გვერდებიდგან დენას,—ქროლას.

მაშ გამოდის, რომ როდესაც ჰაერს ყველგან ერთ-ნაირი წონა აქვს, მაშინ ისა დგას—წყნარად არის; და როდესაც სადმე წონა შეეცვლება სითბოსა და სიცივისაგან მაშინ რყევასა და დენას დაიწყებს. ვსთქვათ, ერთ რომელიმე ალაგას გათბა ჰაერი; ეს გამთბარი ჰაერი გათხელდება და გამსუბუქდება კიდეც; ამ სუმბუქ ჰაერს გვერდებიდგან ცივი, მძიმე ჰაერი მოაწვება და რადგან სუბუქია, ზევით აიტანს და იმის ალაგას თვითონ ჩადგება. ეს ერთი წამში არ მოხდება ხოლმე. არამედ ცივი ჰაერი თბილის ალაგს იმდენ ხანს იდენს, ვიდრე ორივე ალაგას ერთი სითბოსი და ერთი წონისა არ შეიქმნება. ამ ჰაერის დენას ეძახიან ქარს. ავიღოთ მაგალითად ერთი კუნძული, რომელიც დედა-მიწაზედ მოშორებით არის ზღვაში (კუნძული არის ხმელეთი, რომელსაც გარეშემო ზღვა ახვევია).

ჯერ უნდა ისა ვსთქვათ, რომ დედა-მიწა წყალზე მალე გათბება ხოლმე. კუნძულს რომ მზე დაადგება, მაშინ კუნძული უფრო ჩქარა თბება, ვიდრე გარეშემო მყოფი ზღვა; აგრეთვე დედა-მიწის ჰაერიც ზღვის ჰაერზედ მალე გათბება ხოლმე; ამისა გამო, როდესაც მზეა—კუნძულის თბილი ჰაერი ავა ზევით, და ზღვის გრილი ჰაერი კი კუნძულის ყველა ნაპირებიდგან დაიწყებს იმის ალაგას დენას, ზღვის ჰაერის დენისაგან კუნძულის ნაპირებზედ მზიან დღეში ყოველთვის გრილი ნიავი უბერავს ხოლმე (ზღვის ნიავი). ღამე ეს დენა უკუღმა შეიცვლება ხოლმე. კუნძული ზღვაზე უფრო მალე ცივდება;

აგრეთვე კუნძულის ჰაერიც ზღვის ჰაერზედ მალე ცივდება ხოლმე. გაცივებული კუნძულის ჰაერი ზღვის თბილი ჰაერის ალაგას დაიწყებს დენას და ნაპირებზედ ადგება ქარი. ეს ჰაერი იქამდის იდენს, მანამ კუნძულზედა და იმის ნაპირებზედ ჰაერი არ გაერთნაირდება და გაერთ-წონავდება.

მთელ დედა-მიწის ზურგზედაც სწორედ ესე მოხერხდება ხოლმე. დედა-მიწის სახე მიემსგავსება ერთ უზარ-მაზარ ბურთს, რომელსაც ზევითი პირი ოღრო-ჩოღრო აქვს მთებისაგანა და ხევებისაგან. დედა-მიწისთვის თავი და თავი სითბოს მიმცემი არის მზე. რადგან დედა-მიწას ზევითი პირი მომრგვალებული აქვს, ამისათვის მზე ერთნაირად არ ათბობს მთელ იმის ზურგს: რომელი მხარეც მზისაკენ აქვს ამომჯდარი, იმას მზის შუქი პირდაპირ ეცემა და ის ალაგი უფრო ძალიან თბება; მაგრამ რომელი მხარეც პირდაპირ მზისაკენ არა აქვს მიქცეული, იმას მზის შუქი გეზათ ხვდება და ზოგან მხოლოდ გაეხახუნება და შორს მიდის, იკარგება;—ამის გამო, რომელ ალაგებსაც პირდაპირ არა ჰვდება მზის შუქი—ის ალაგები ან გრილი ან ცივი არიან (რამდენიც უფრო ცერად ჰხვდება, იმდენი უფრო ნაკლები სითბო აქვს), და ამ მიზეზისა გამო დედა მიწაზე სამ ნაირი ჰაერის ზოლია; ცხელი, გრილი და ცივი. ცხელი—დედა-მიწის შუა სარტყელია (ზოლი), გრილი—სარტყლის აქეთ იქითი ზოლებია და ცივი—დედა-მიწის ბურთის ბოლოებია (მაშ დედა-მიწის ბურთზედ ხუთი ჰაერის ზოლია: ორი ცივი, ორი გრილი და ერთი ცხელი.—ზოლები მკითხველმა ძალიან მრტყელები უნდა წარმოიდგინოს).

ყველა ამ ზოლს თავისი შესაფერი ჰაერი აქვს, ესე იგი: ცხელს—ცხელი, ცივს—ცივი და გრილს—გრილი. მაშ გამოდის რომ დედა-მიწის ზურგზედ სამი გვარი ჰაერის ზოლია: ცივისა, გრილისა და ცხელისა. ამის გარდა, რადგან დედა-მიწა ტრიალობს მზის გარშემო, ალაგები ერთ დროს არა აქვს მზისკენ მიქცეული და ამისაგან წარმოსდგება, რომ სხვადასხვა ალაგას ზამთარი და ზაფხული სხვადასხვა დროს მოდის ხოლმე, ასე რომ, როდესაც სამხრეთ აფრიკაში ზაფხულია და ცხელა, მაშინ სამხრეთ აზიაში ზამთარია (აფრიკა და აზია მთელი ქვეყნის ორი ნაწილია, რომლებშიაც რამდენიმე სხვადასხვა სახელმწიფოები არიან). რადგან სხვადასხვა სითბოსი და წონის ჰაერი ვერ იქნება წყნარად, ამის გამო მთელი დედა-მიწის ჰაერიც ყოველთვის დენაში და რყევაშია. ზაფხულის და ზამთრის სითბოს სხვადასხვაობა ჰბადებს ერთ გვარს, დროგამოშვებით ქარს (ამ ქარს ეძახიან მუსსონს); ხოლო დედა-მიწის ბურთის შუა და ნაპირის

ზოლების სითბოს სხვადასხვაობა ჰბადებს მეორე გვარს, გამუდმებულს ქარს (პასსატი ქვიან ამ ქარს).

თბილ ალაგებში ჰაერი სითბოსაგან თხელდება; ცივ ალაგებში კი სქელდება და მძიმდება. ცივი ჰაერი თავის სიმძიმით თბილ გათხელებულ ჰაერს აწვება გვერდებიდგან, ააქვს ზევით და იმის ადგილას დენას იწყებს; თბილი ჰაერი რომ ზევით ადის იქ ცივდება და ჩამოდის იმ ალაგას, საიდამაც ცივი ჰაერი მოდის; ცივი ჰაერი რომ მოვა თბილი ჰაერის ალაგას, იქ ისიც თბება, მსუბუქდება; მერე ამას სხვა ცივი ჰაერი აწვება და ახლა ეს ააქვს ზევით,—და ამ გვარად იქამდის მოდის და მოდის ეს ჰაერი, მანამ ორივე ალაგას ერთი სითბოსი და ერთი წონისა არ შეიქმნება.

დედა-მიწის ბურთის ნაპირი ზოლების ცივი ჰაერი თავის სიმძიმით აწვება შუა ზოლის ცხელ, მსუბუქ ჰაერს და ააქვს ზევით; აქედგან წარმოსდგება ჩრდილოეთიდგან და სამხრეთიდგან ჰაერის დენა ან ჩრდილოეთის და სამხრეთის ქარი; ზევით ატანილი თბილი ჰაერი ცივდება, იყოფა ორად და ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ მიდის, იქიდამ მოსული ჰაერის ალაგას, რომ კიდევ ხელმეორედ იდინოს დედა-მიწის შუა ზოლისაკენ. ასე მუდამ და დაუცხრომლივ დენაშია სამხრეთისა და ჩრდილოეთის ცივი ჰაერი ცხელის ალაგას და ცხელი—გაცივების შემდეგ—ცივის ალაგას. ამ მიზეზისაგან წარმოსდგება ჩრდილოეთისა და სამხრეთის მუდამი ქარი.

დაუდგრომელი ქარები წარმოსდგებიან ქვეყნის მოყვანილობისაგან, ესე იგი მთებისა, ხევებისა, ზღვისა და სხვ. მიზეზებისაგან; აგრეთვე იმისაგანაც, რომ მუდამი ქარები ერთმანეთს შეხვდებიან ხოლმე.

ცხოვრებაში ქარსაც სარგებლობა მოაქვს კაცისათვის. ქარი ცხელ ქვეყნებს აგრილებს, ჰაერსა სწმენდს და ამას გარდა ზღვის წყალი მიაქვს ორთქლად ხმელეთზედა და იქ აწვიმებს. ნაცადია, რომ ზღვის წვიმა უფრო რგებს მიწის მოსავალს, ვიდრე მდინარე წყლებისა და სხვა ორთქლის წვიმა. რომელი ქარიც ზღვის მხრიდგან მოდის, ის ქარი ყოველთვის მარგებელია ქვეყნისთვის, მაგრამ თუ ქარი უდაბური მინდვრებიდამა ჰქრის—მაშინ მიწისთვის მაწყინარია, რადგან თვითონ ხმელია და მიწიდგანა და მცენარეებიდგან აწოვს იმათ სისველეს და ამ გვარად ახმობს ყოველისფერს.

ჩვენი გლეხების გადასახლება

ჩვენი გლეხების გადასახლების ამბავი შევიტყეთ, რომ ზოგიერთ ადგილებიდგან სხვაგანა სახლდებიან. რაჭიდგან ორმოცი კომლი აპირობს ქართლში გადმოსვლასა და იმისთვის კაცები გამოუგზავნიათ, რომ ადგილის თაობაზე მორიგდნენ. ამას გარდა ქართლიდგან რამდენსამე კომლს ყარაიაზის მინდორში უნდათ დაბინავებაო და ამისთვისაც კაცები გაუგზავნიათ ადგილის გასაშინჯავათა.

გლეხი კაცის გადასახლება სახლკარით და ცოლშვილით, ერთი სიტყვით სხვაგან ბინის მოკიდება ისეთი ძნელი რამ არის, რომ კარგი სიფრთხილე და კარგათ გასინჯვა უნდა საქმესა. გლეხმა კაცმა უნდა შეიტყოს თუ ახალი ბინის ადგილი რა ადგილია, რა მიწაა, რა სიცხე და სიცივე იცის, რა ავადმყოფობა იცის იმ ადგილმა, რა წვიმები და ნიაღვრები იცის, რა მომცემი მიწა არის, რომელი მოსავალი უფრო კარგათ მოდის, წყალი აქვს თუ არა, რა გზები აქვს, რა ტყეები აქვს, რა საბალახე და საძოვარი აქვს, ქალაქებთან ახლოა თუ შორსა, გარეშემო ხალხი ახვევია და რა ხალხი ახვევია. ამასთან ისიც უნდა იცოდეს, თუ სახლებს იმ ადგილს როგორ აშენებენ, და რა ნაირი ადათითა ცხოვრობენ იქაური გლეხ-კაცები. სხვა კიდევ ბევრი რამ არის ჩამოსათვლელი, ყველას წვრილათ ვერ შოვიფიქრებთ და ეს თითონ გლეხმა უნდა მოიაზროს, რადგანაც თითონ უფრო კარგათ გაშინჯავს.

ჩვენ აქ უფრო ისეთი რამ უნდა ვილაპარაკოთ, რაც პირველი და საჭირო რამ არის.

პირველი რამ არის მამულის შოვნა, თუ რა ადგილს იპოება ცარიელი ადგილი. მამულები არის ან სახელმწიფო, ან საეკლესიო, ან საბატონო. რასაკვირველია, ამ მამულებში, საცა გლეხკაცს ხელს მისცემს, იმ ადგილს აიღებს, ამას თქმა აღარ უნდა. ჩვენ გვსურს რომ შევიტყოთ, სად რა სახელმწიფო ან საეკლესიო მამულია, რომ ჩვენი გლეხისთვის შეგვეტყობინებინა, მაგრამ ამჟამად ამ ჩვენ სურვილს ვერ ავასრულებთ, თუ ღონისძიება მოგვეცა ვეცდებით შევიტყოთ და შევატყობინოთ ჩვენ სოფლის გლეხებს სად რა ადგილია

ცარიელი სახელმწიფო და საეკლესიო და რა პირობით აძლევენ. აგრეთვე კარგი იქნებოდა, რომ მებატონეებსაც გამოეგზავნათ განცხადება, ვის რა ადგილი აქვს მისაცემი, რა ადგილას და რა პირობით აქირავებენ. ამ გაზეთის გამომცემლისაგან სიტყვა გვაქვს, რომ ამისთანა განცხადებას უფულოთ დაბეჭდავს ამ გაზეთში. ეს მებატონისთვისაც კარგი იქნებოდა და გლეხისთვისაც.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართლში ერთს ორ ადგილას მებატონეებს მამულები მიუციათ გლეხებისათვის იმ პირობითა, რომ ნახევარ მამულზე ბალი მოაშენონ და ნახევარი თითონ გლეხებმა იხმარონ და როცა მოაშენებენ, ის ბალი მებატონეს უნდა დაუბრუნონ და მეორე ნახევარი სამუდამოთ საკუთრებათ დარჩეთ გლეხებსა. ამ გვარათ მამულის აღება და მიცემა მებატონებისთვისაც კარგია და გლეხისათვისაცა. გლეხისთვის იმით არის კარგი, რომ რახან ფული არა აქვს, ნახევარ მამულის მოშენებით მეორე ნახევარსა ყიდულობს, ბატონისთვისაც აგრეთვე კარგია, რომ მამული მეტი აქვს და ფულიც უჭირს და ნახევარ მოუშენებელ მამულის სამაგიეროთ მოშენებულ მამულსა შოულობს გლეხის შემწეობით; იჯარით ან დროებით რომ აქირაოს მამული, ღალაზე, ან კულუხზე, ამითი მამულიც არ გაკეთდება, თანდათან უფრო და უფრო წახდება, ისე მომცემი აღარ შეიქნება, როგორც პირველათ იყო, ამიტომ რომ მამული მაშინა კეთდება, როცა ნამეფილის პატრონის ხელშია. ამისთვის კიდეც ვინც მამულს სანახევროთ იძლევა, ძალიან ჭკუიანურათ ირჯება. მეზობლობაც კარგი გაიმართება და სოფლის ხალხისთვის კარგი მეზობლობა კარგი საქმეა.

ამბობენ კიდევ ზოგნი მამულებს ისე აძლევენო, რომ მოსავალი შუაზე გაიყონო: ნახევარი გლეხს, ნახევარი მამულის მებატონეს. ეს ძალიან ძნელი საქმეა და არა მგონია, რომ გლეხმა კაცმა ამ მძიმე პირობით მამული აიღოს; ეს თითონაც კარგა იცის და ამაზე რაღა ლაპარაკი უნდა.

ბინის გამოცვლის დროსა და სხვა ადგილზე გადასახლების დროს ერთი ძნელი რამ კიდევ ადგილის სიცხე და სიცივეა. ცხელ ადგილებიდგან ცივ ადგილს ან ნამიან ადგილს და აგრეთვე გრილი ადგილიდგან ცხელ ადგილს გადასახლება ძალიან ავნებს კაცსა, რადგანაც ჰაერს არ არის შეჩვეული და ავადმყოფობა მოსდევს. მასუკან სახლის მდგომარეობა, ხვნა-თესვა სულ სხვაგვარათ უნდა მოახერხოს და მანამ ამაებს გაარიგებს—კაციც თან გად ება.

აი ეხლა გლეხები ქართლიდგან ყარაიაზის მინდორზე აპირებენ გადასვლასაო. ქართლი უფრო გრილი ადგილია ყარაიაზის მინ-

დორზე და იმათთვის არ გამოდგება. ყარაიაზის მინდორმა საშინელი სიცხეები იცის თუმცა ერთ მხარეს ტყე აქვს და აგერ სამი წელიწადია შუა მინდორში წყალი მოუდის, მაგრამ ისეთი სიცხეებიაო, რომ აპრილის თვეში იქ თათრები დგანან და ისინიც კი იყრებიან, და ენკენისთვემდინ იქ ადამიანის ჭაჭანება არ არისო. სიცხეს გარდა საძაგელი გველი, მორიელი და სხვა შხამიანი ჭიაჭუა მრავალიაო. იქ თუ კიდევ გასძლებენ თათრები, რადგანაც სიცხეს არიან შეჩვეულები, თორემ ჩვენი გლეხები ვერ აიტანენ იმ სიცხესა. ამ ორმოცისა თუ ორმოცდა ათი წლის წინათ იქ რუსები დაუსახლებიათ და ეხლა იმათი კვალიც აღარ დარჩენილა. ამიტომ კიდეც კარგათ ჩადიან ჩვენი სოფლელები რომ მამულების გასაშინჯათ კაცებსა გზავნიან, აი როგორც ეხლა ქართლიდგან ყარაიაზში გაუგზავნიათ და რაჭველებს ქართლში. ეს კი საჭიროა, რომ კარგათ გაშინჯონ ადგილები და ამას გარდა არ შესცდენ, რომ იქნება ერთ-ერთ წელიწადს, ან როგორიღლოდეს ან ცხელოდეს ამით არ მოტყუვდნენ და ეცადონ კარგა შეიტყონ, ყოველ წელს უფრო როგორი სიცივეა ან სიცხე.

ერთი სიტყვით კაცების გაგზავნა მამულის გასაშინჯავათ ძალიან საჭირო რამ არის და ძალიანაც სიფრთხილე უნდა, რომ უფრო გამოცდილი, ჭკვიანი და მარჯვე კაცები გაგზავნონ ახალი ბინის გასაშინჯავათ.

გადასახლებისათვის დიდათ საჭიროა, რომ ახლო-მახლო სოფლის გლეხკაცები ერთათ შეერთდნენ და ერთათ დაიჭირონ საქმე, ერთათ ჭირი, ერთათ ლხინიაო, ნათქვამია. ხარჯი ერთათ რო ექნებათ, უფრო ნაკლები იქნება, ერთმანეთს მოეხმარებიან, ერთმანეთს შეაძლებინებენ. ცალ-ცალკე გადასახლება ძვირათაც დაუჯდებათ და ძნელიც არის მარტოობა. ამასთან მამულიც ერთათ რომ აიღონ და მასუკან ერთმანერთში გაიყონ, ესეც ამითი იქნება კარგი, რომ ხარჯის მიცემაში, ღალის მიცემაში, უფრო ნაკლებათ მორიგდებიან მამულის პატრონთან. ამიტომ რომ მამულს ერთიანათ რომ აიღებენ, მებატონისთვისაც კარგია; რამდენიც გლეხი მეტი იქნება, უფრო მეტი ნდობა აქვს, ვიდრე ერთსა და ორ კაცსა, ჩვენ ამაებზე კიდევაც მოვილაპარაკებთ.

აქ ჩვენ იმაზე არ მოვილაპარაკეთ, რომ, რასაკვირველია, კანონის ასრულებაა საჭირო, რაც კი გლეხის გადასახლებას შეეხება.

სოფლის მოხელეების ამორჩევა

როგორც გუბერნატორის მოწერილობა იყო, ამ ხანებში მოხელეების ამორჩევა უნდა მოხდეს და ვგონებ ამ ენკენისთვეშივე გათავდეს. წარსულ კვირას ტფილისის უეზდის ნაჩალნიკის ჩინოვნიკი გავიდა ამორჩევის მოხდენისათვის.

სოფლის მოხელეების ამორჩევაზე ჩვენ მოვილაპარაკით მაისის თვეში და ვთხოვთ ჩვენს სოფლის კაცებსა, რომ კიდევაც გადიკითხონ „ორიოდე სიტყვა სოფლის ახალ მოხელეების ამორჩევაზე". ეს იყო დაბეჭდილი გაზეთის სამ წინა ნომერში მაისის 14-სა, 21-სა და 28-სა. რაც მაშინ გვითქვამს იმას ველარაფერს ვერ მოუმატებთ: მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ კარგა მოფიქრება, კარგი სინდისიანათ ამორჩევა უნდა. ყოველმა გლეხმა უნდა იცოდეს, რომ თუ იმის ამორჩეული კაცი ცუდი მოხელე გამოდგა, ეს იმისი ბრალია, რასაც უკანონობას, უსამართლობას და უსვინდისობას მოხელე იზამს, ამაში ყველაფერში ამ უსამართლოებაშიაც და უსვინდისობაშიაც მოხელე კაცის ამომრჩეველსა აქვს წილდებულობა. ამიტომ რომ იმისი ამორჩევით დაუყენებიათ ისეთი კაცი. ბრალი სოფელს დაედება თუ მოხელე რიგიანი არ გამოვიდა.

მანამ ამორჩევამდინ რაც დროა, ყველამ სვინიდისიანათ უნდა იფიქროს კარგათ ასწონოს ყველა, ვისაც კი მოხელეთ დაყენება უნდა. პირფერობა, მიმხრობა მალე გამოუსადეგი გახდება, სავაგლახოს საქმეს ნუ გავიხდით და თვალი გავახილოთ, რომ ღარიბის შემწე და კეთილი გულის კაცები ამოვირჩიოთ, თავი დავანებოთ ხარბ, თვალგაუმაძღარ კაცებს. ოღომც ღარიბისა და ობლის შემწე იყოს ვინმე, ხარბი და აბეზარი არ იყოს, ჭკვიანი და გამჭრიახე იყოს და არა უშავს რა, თუ ღარიბი იქნება. სიტყვა კაი კაცობაა, კაი კაცობას სიმდიდრე ვერ დაედრება. ნურც წლოვანობას უყურებთ, რომ არ იქნება, თუ ბებერი არ იყოსო. სიბერე კარგია, მაგრამ ხშირად ყმაწვილი კაცი ჭკუითა და კაი კაცობით ბევრჯერა სჯობია ბერიკაცსა.

სიფრთხილე და სვინიდისიანობაა საჭირო მოხელეების ამორჩევაში. დაუდევრობა, ზანტობა, ერთმანეთზე საქმის მიგდება არ შეიძ-

ლება. არ უნდა ვთქვათ, რომ ეჰ მე არა მცალიან, ვინც უნდა ამორჩიონო. მერე რომ საქმე გაგვიჩნდეს და სანანური გაგვიხდეს, ცხვირში ვიცეთ, რომ რატომ მეც არ გავერიეო ამ მოხელის ამორჩევაში. საქმე ის არის, რომ ყველა ხომ დღესვე არ იქნება, ხვალისთვისაც უნდა ვიფიქროთ.

კიდევ ვიტყვით სიფრთხილე, სვინდისიანობა და საქმის დადევნება, ამორჩევის საქმეზე მუყაითობა, თორემ სანანური და სავაგლახო გაგვიხდება საქმე. კარგად დავიხსომოთ, რომ თუ სოფლის მოხელეებში უსამართლობა, მექრთამეობა და უსვინიდისობა მოხდა რამე, ცოდვა სოფლის ხალხს დაედება კისერზე.

შინაური ცნობები

სასოფლო სახლოსნობის შკოლის გამართვა საქართველოში აგრეთვე დიდი საჭირო არის ეხლა, რადგანაც მხარეში ძნელი საშოვნელი არიან კარგათ მცოდნენი მებაღობისა, ღვინის დაყენებისა, თამბაქოს მომყვანისა და სხვ.; ამიტომ სხვა მხრიდგან მოჰყავთ ესენი; მაგრამ ბევრმა არ იცის მხარის ხასიათი და ვერცა რჩება აქ დიდს ხანსა. ხანდისხან ჰალალ ბედზე იწერენ სხვა მხრიდგან ამათა და ბოლოსა ჩნდება, რომ არაფერი არ იციან.

მაგრამ როგორი შკოლა უნდა გაიმართოს სასოფლო სახლოსნობისა საქართველოში, და რა უნდა ასწავლონ იქ?

პროექტის ავტორის აზრით აქ უნდა გაიმართოს იმ გვარი შკოლა, რომელშიაც შეიძლებოდეს მოემზადნენ კარგი მოურავები წვრილი და შუათანა სახლოსნობისათვის; იმგვარი შკოლა, რომელშიაც ასწავლიდნენ სასოფლო სახლოსნობას საერთოდ და განსაკუთრებით იმ ნაწილებისა, რომელნიც უფრო გამოსადეგნი არიან ჩვენს მხარეში.

უფ. სიტოვსკი არაფერს ამბობს დიდრონი სახლოსნობის მოურავებზედა და პრიკაშჩიკებზედა. პირველნი უნდა იყვნენ საფუძვლიანად ნასწავლნი ხალხნი და ამასთან გამოცდილნი. ამ გვარ ხალხს აქაური მემამულენი არა თხოულობენ, რადგანაც აქ ცოტა არის კარგა მოწყობილი და დიდრონი სახლოსნობანი; და თუნდა ითხოვონ კიდეცა შეიძლება ამათი გამოწერა რუსეთის შუა გუბერნიიდგანა. კარგი პრიკაშჩიკები კი მალე გვეყოლებიან კრების სახლოსნობის სასწავლებელიდგანა, მეტადრე მაშინ თუ ამ სასწავლებელს მიეცემა უფრო მეტის სწავლის საშუალება.

პირველი მომზადება შესასვლელათ მაგდენი არ უნდაო, ამბობს პროექტი; საკმაოა, რომ ყმაწვილმა იცოდეს კითხვა და წერა რუსულისა და ოთხი დასაწყისი მოქმედება არითმეტიკისა. უფ. სიტოვსკი უფრო დიდს მნიშვნელობას აძლევს ყმაწვილის წლოვანობასა და იმათ ტანის სიმაგრესა; ყმაწვილი 15-ს წელიწადზედ ქვევით არ უნდა მი-

ილონ შკოლაშიო. გარდა ამისა უნდა იყვნენ ლონიერნი და არაფერი სტკიოდეთ, რომ სახლოსნობის მუშაობა კარგათ აასრულონ.

ვადა სწავლისა, როგორც თეორეტიკული, აგრეთვე პრაქტიკული, შკოლაში არის დანიშნული სამი წელიწადი.

რაც კი შეეხება ადგილს, სად უნდა გაიმართოს შკოლა: ტფილისში, თუ სოფელში,—ამაზედ ავტორის აზრი ორად იყოფა. პირველი აზრია, რომ შკოლის გამართვა სოფლებში სჯობს, რადგანაც იქ იქნება შეგირდი შემოფარგლული მხოლოდ თავის სწავლის საგნებითა და სწავლასაც საქმით გამოსცდის; მაგრამ მაშინ მასწავლებელნი საკუთარნი უნდა იყოლიოს შკოლამა და ამაზედ დიდი ხარჯი უნდება. მეორე—ტფილისში მასწავლებელნი საკუთარნი არ უნდათ, ამიტომ რომ მაშინ სხვა ადგილებში მახწავლებელთ მოიწვევდნენ და ამათ დაუნიშნავდნენ თითო ურროკებზე რომელსამე ფასსა; ამასთან აქ კიდევ იმით ისარგებლებდნენ მოსწავლენი, რომ არიან გამართულნი ბიბლიოთეკა, მუზეუმები და სხვ. სასარგებლო სწავლისათვის საგნები.

მაგრამ ჩვენის აზრით მაინც სოფელში სჯობია, ამიტომ ოომ იქ გამოცდილს სწავლას მოიპოვებენ, რომელიც განსაკუთრებით არის საჭირო ჩვენის მხრისათვის.

დამასტეგანი

ახირებული ფურცელი

ახალი მწერლის აშფოთება.—რჩევა თუ ვის უნდა მიჰბაძოს.—გამოცანის ახსნა ფიქრებითურთ.—ბოდიში.—ლექსი ჭრელაძეებზედ.—გლეხივით საუბარი.—ყურდღლის ანდაზა.—ქართული შემთხვევა.—გლეხის მუშური სიმღერა და მისი გამოსალმება.

ძინგ! ძინგ! ძინგ!—რა ამბავია? გული მიძგერს! პირველჯერ გამოვდივარ სალიტერატურო ასპარეზზედ და ვემსგავსები იმ ახალგაზრდა მონადირეებს, რომელთაც ხელათ არა აქვსთ დიდი ნადირების ხოცვა და პატარ-პატარა ნადირებს უსვრიან. მოგეხსენებათ, რომ პირველად ყოველი ფერი მიბაძვით იწყება და განსაკუთრებით ამგვარი საქმეები; მხოლოდ ერთი ცა და ქვეყანა გაჩენილა მიუბაძავათ. მეც უნდა მივბაძო ვისმეს, და მიბაძვით დ ვიწყო თავშა შესავალი. მეშინია კი, საკვირველი ხალხია ქართველი: პირველ სიტყვაშივე დაგიჭერს და დაგცინებს; არ ვიცი რა უნდა ვქნა? მივბაძო, მაგრამ ვის? თუ მივბაძე ძველს მწერლებს და დავიწყე ამ სიტყვებით: „ძალი მომეც და შეძლება და სხვა"... ახალი მწერლები გამირისხდებიან: „ჩვენ ვერ მოგვაგნო რომ ძველს მწერლებს მიხტომიაო". სწორედ საშინელიც არის, იმათ უნდა მივბაძო. იმათ ისტორიით იციან სტატიის დაწყება და მეც ისე დავიწყო?—„ვინ მოჰ ლა იულიოს კეისარი? ვინ იყო ბრუტი?" არა ახ, არ ივარგებს: ვაი თუ მეც ისე დამემართოს, ზოგიერთებს რომ დაემართა. იცით, ბატონებო, ზოგიერთ ჩვენს მწერლებს რა დაემართათ? ერთმანეთს უმტკიცებდენ მე ვარ ბრუტი და შენ იულიოს კეისარიო. შექნეს ბაასი და რით გითავდა მათი ბაასი? მითი, რომ კეისრობაზე სუყველამ ბოდიში მოიხადეს და ბრუტობა კი დაიმტკიცეს ჩვენს ლიტერატურაში. თუნდა რა დიდი ხანია აქიდგანა. სჩანს რომ ისტორიით დაწყება არ ვარგებულა. ვსინჯო ერთი და მივბაძო მეორე გვარ მწერლებს, ანდაზებით და გამოცანებით რომ იწყებენ ხოლმე სტატიებს? მართლა ახლა გამახსენდა. ბატონებო, ის ანდაზა ჯერ ხომ არავის გამოუცვნია, ერთმა ლიტერატორმა რომ იკითხა: „რა იყო მიზეზი რომის დაქცევის და ვინ დააქცია რომიო? მე გამოვიცნობ უფ. ავტორო!

— აბა ვინ არი? გამოიცანი! (მკითხავს ავტორი).

— დამაცადეთ, ცოტა ვიფიქრო,

ვ ფ ი ქ რ ო ბ.

— ვერ გამოიცან?

— ვერა, ბატონო, სწორედ მიჭირს მიხდომა!

— მაშ რაღას ტრაბახობდი?

— მოითმინეთ, ბატონებო, ეგებ გამოვიცნო, თქვენც ერთი მიბძანეთ: საქმელია?

— არა!

— სასმელია?

— არა!

— რა უნდა იყოს?

დ ი დ ხ ა ნ ს ვ ფ ი ქ რ ო ბ

— არიქა გამოვიცანი! გამოვიცანი! არხიმედივით ვყვირი.

— ჰო! რა გაყვირებს? რა იყო! თუ გამოიცანი სთქვი, ვინ იყო რომის დამქცევი?

— ჩემი ზარხოშ ბახუსიჩი, ბატონო, იმან დააქცია რომი, საკვირველი ვინმე გახლავსთ, ბატონებო, ზარხოშ ბახუსიჩი: მაშინვე ხელებს აუკანკალებს კაცს და მაგარი სასმელები რომ არ დააქცევინოს არ შეიძლება და განსხვავებით რომის მტერია! ხომ გამოვიცანი? ბარაქალა ჩემო მახვილ გონიერებავ! მაგრამ თქვენ კი უკაცრავათ, ბატონებო, მკითხველებო! მომიტევეთ, აი როგორ მეტყობა ყმაწვილ მონადირობა: რისთვის გამოვედი და საით გადავუხვიე?! და უკაცრავათ თქვენი ჭირიმე! რას მოგახსენებდით? ჰო, ვის მივბაძოთო? ვხედავთ რომ არ ვარგა არც ძველი წწერლების, არც ისტორიკოსების და არც მეანდაზეების მიბაძვა. თუ მივბაძე ზოგიერთებს და დავიწყე: „ახ, რამდენი ხანი მძინებია, ძლივს არ გამოვიღვიძე და სხვ“. არც ეს ივარგებს! აბა თქვენი ჭირიმე ახალ ნამძინარევზე რა ახალი ამბავი დაიწერება სიზმრისა და ბოდვის მეტი. რა ცეცხლში ჩავარდი? დავრჩი, დავრჩი ასე მიუბაძავათ, გულმაც მოუმატა აშფოთებას: ძინგ! ძინგ! ძინგ!... კიდევ ძინგ!.. ძინგ!.. ეჰ! რაც იქნეს და იქნეს აღარავის მივბაძავ, ამგვარ ლიტერატორთაგანს, ისევ ჩემით გამოვალ ქართულათ და ქართულათაც დავიწყებ ქართულის მიბაძვით, მაგრამ აქაც ერთი ჭირი; სად მოვნახო ნამდვილი ქართველი! ამ თერგს გამოლმა ძველს ქართველებს მივბაძო, რომელნიც აღარ არიან თუ ახალს ჭრელაძეებს? ჭრელაძეები ვინ არიან? გაკვირვებით მკითხავთ. განა არ იცით?

ქართულზედ რომ ხელს იღებენ,
ველარც რუსულს ახერხებენ,
ულვაშებს ემტერებიან,
რუსულად ბაკებს უშვებენ.

სხვისას კარგსა მეტად ჰგმობენ.
თუმც თავის თავს სუსტად ჰსცნობენ—
ჯიბეებსა თაგვი უპრისთ,
მაგრამ ისევ დიდკაცობენ.

ქართულ ენას არად ხდიან,
შვილებს რუსულათა ჰზრდიან,
ტრეტიაკოვსკის აქებენ
და რუსთველს კი დასცინიან.

ეს გახლავან ჭრელაძენი,
საქართველოს ფუჭნი ძენი,
უსწავლელნი სწავლულები,
კოტრი-კრეზნი, სულელ ბრძენნი.

—

ყოვლადვე ნუ იყოფინ!!!

ამათ უნდა მივბაძო? (ანდუყაფარავით დავიყვირებ) — არა! არა ღმერთმა დამიფაროს!—არა ბატონებო, წარმოვსდგები თქვენს წინ! როგორც გლეხი კაცი, სულით და გულით ქართველი, დავებჯინები წითელ ბლის თასმიან ჯოხზედ, ხმას გავისწორებ და მოგახსენებთ:

— ბატონებს გაუმარჯოს!

— გაგიმარჯოს! რა იცი ახალი ამბავი? (მიბძანებთ).

— აქა მშვიდობა, თქვენი ჭირიმე. (და მოვჰყვ ბი):

არა მძინებია ბატონებო, მაგრამ ხანდახან კი მომგვრიდა ხოლმე ძილს „ცისკარი“ თქვენი ჭირიმე, რომელზედაც ახლა მსურს მოგახსენოთ ჩემი სოფლური უგუნური შენიშვნები: როგორც მოგეხსენებათ ეს ჩვენი ყმაწვილი „ცისკარი“ მეექვსეს წელიწადში ჩადგა, მაგრამ დღემდი არ ვიცოდი სადაური ყმაწვილი იყო, რუსის თუ ქართვლის, ღმერთთან სწორი სჯობს. ზოგიერთი თვისება კი ქართველი ყმაწვილისა ჰქონდა. ყოველ თვეში თითო კაბას იცვლიდა, წითელს იცვამდა, ხან ყვითელს და ლურჯს; ამით სწორედ ცელქი ქართველი ყმაწვილი მომაგონდებოდა ხოლმე. ამას გარდა ზამთარში სუქდებოდა და ზაფხულში გახდებოდა ხოლმე, ესეც ქართველი ცელქი ყმაწვილის თვისება გახლავთ—თორემ სხვა ამ წლამდის ქართველობა არ ეტყობოდა; დღეს, თქვენი ჭირიმე, ვილაცები კარგი მასწავ-

ლებლები გამოუჩნდენ, განსაკუთრებით ერთი მოლაყბე გამოჩენილა და მართალია ლაყბობას კი ეძახის თავის სტატიებს, მაგრამ იმას უფრო სარგებლობა მოაქვს იმის ლაყბობით, როგორც თვითონ უწოდებს, ვიდრე იმ ფილოსოფოსებს, რომელნიც ხან-ინახით ჯდებიან გორს და ხან ათინა, რომი და ევროპა შეძრეს თავისის ფილოსოფიით, რომელიც დააფუძნა საქართველოში პლატონ ფილოსოფოსმა. ბერძნების პლატონზედ არ მოგახსენებთ, არა მე მოგახსენებთ ჩვენს პლატონ ფილოსოფოსსზედ.

მინდოდა ახალი მასწავლებლების გაცნობაც და ავიღე ხელში ფებერვლის ცისკარი, მაგრამ ჯერ აქ ერთი ანდაზის ნება მიბოძეთ, რომ მოგახსენოთ, რადგანცა აქ არ გახლავსთ თავში შესავალი, რომელშიდაც მე არ მინდოდა ამითი მიბაძვა, მაგრამ გაგრძელდება.

ყურდღელი მარტო სამ დღეს წოვს, აი ამ მიზეზით: თურმე, დედამ ჰკითხა, რომ დაებადა ბოცორი:

— შვილო სამს თვეს გაწოვო? (ჩქარა ჰკითხა) თუ საამ დღეეს (გაუგრძელა). საწყალს შვილს სამი დღე მეტი ეგონა და მიაძახა (იმანაც გაგრძელებით) რასაკვირველია საამს დღეეესო. იმისი არ იყოს, მეც ყურდღლის ბაჭიასავით მომივიდა ბატონო; ვნახე ცისკარში ერთს სტატიას ქვეშ გრძლათ იყო ხელმოწერილი: ზემოური იმერელი გორისელი წერეთელი ეფთიმე. ვიფიქრე, აბა აქ არის სიბრძნე სოლომონისა თქო და დავიწყე კითხვა. თქვენმა ბზემ გამიკვირდა, ისეთი მშვენიერი ენით ყოფ დაწერილი და ეს შესანიშნავია! ძალიან გიეჭირვება კარგი ენა ჩვენ. მაგრამ თუ არ გაბიწყრებით ერთს ანდაზას კიდევ მოგახსენებთ, სულ ანდაზაც არ გახლავსთ, ყოფილი გახლავთს, მართალი შემთხვევაა.

რა ვქნათ, ბატონებო, ჩვენი გლეხების ფილოსოფია და ისტორია ქართული ანდაზები და შემთხვევები გახლავსთ:—ჩემს მეზობელს ერთი შვილი ჰყავს, რომელიც კარგათ გამოზარდა, ბევრი ენებიც ასწავლა, მაგრამ ის ყმაწვილი, როგორღაც ქართველს არა ჰგავს, არც ბუნებით ჭკუა აქვს და არც ნიჭი ქართველისა. გუშინწინ ნათლია მისი ეწვია ჩემს მეზობელს და მეც იქ შევღოღდი. მამამ წაუდგინა შვილი მისი ნათლიას და უთხრა: რა ბედნიერი კაცი ვარ, ამ შენმა ნათლულმა ხუთი სხვადასხვა ენა იცისო. ნათლიამ ამოიხვნეშა და დაიკრა მუხლებზედ ხელი. რა დაგემართა? ჰკითხა მამამ. რაგორ რა დამემართაო. შე კაცო აქამდის ჩემი ნათლულის სიჩერჩეტე ერთმა ხალხმა იცოდა და ახლა ხუთ სხვადასხვა ხალხს შეუტყვიაო. მისი არ იყოს... ხე! ხე! ხე! ხე! ხე!... გორისელსა ისე მოსვლია, იმ დალოცვილს ანტონ კათალიკოზსავით ღრმათ რომ დაეწერა ბევრი

ვერ გაიგებდა და კარგი ეგონებოდა და ახლა კი ყველა შეატყობს, რომ ავტორს ცარიელი გუდა დაუბერტყავსო. მაგრამ რა მსჯის მე ამდენს გამბედაობას, პირველად პატივი დამიყრია მისის სტატიის და მისის მწერლობისათვის. რა ჩემი საქმეა გორისელი წერეთლის განხილვა, ერთი გულჩვილი კაცი გახლავარ. მაგრამ ეს კი შევატყვე, რომ უფალს ზემოურ იმერელს, წერეთელს ეფთიმეს, არ ესმის პოეზია. საღმრთო სიტყვა და პოეზია იმ დალოცვილს ერთი ჰგონია. ასე რომ ერთი ალილუია ერთი პოეზია ჰგონია, ორი ალილუია—ორი ჰოეზია, სამი—სამი და ამგვარათ. მაგრამ რა მსჯის მე ამის თქმას, კიდევ პატივი დავაყარე მის თხზულებას და მის მწერლობასა უკანასკნელათაც. ბლიაძეს წაეკითხა მისი ცალიერი თხზულება და აი რა სამღერალი მუშური ლექსი მოიგონა, რომელსაც ჩვენ სოფელში სუ-ყველა იმღერის:

ზემოური იმერელი
კახელს შემოწყრაო,
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
სამ დღეს უღეჭა სტატია
და ძლივს გამოხრაო.
ცილს არ ვსწამებთ, ბატონებო,
თვითონ მოგვითხრაო.
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
მერე დაჯდა და რედაქტორს
წიგნი მისწერაო:
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
თქვენი ცისკრის გამოწერა
თუმც მომენატრაო
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
მაგრამ კახელის სტატიამ
გულს ისარი მკრაო.
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
წიგნის კითხვისა სურვილი
შიგ სულ აღმოფხვრაო.
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
მაგ თერგის წყალ დალეულმა
ეგ რა შეგვკადრაო?
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
ანტონსა და ჩახრუხაძეს
რას ჩაემტერაო?

ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
ჟურნალი უნდა გამოსცეს
სულ ქართლი შესძრაო.
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
ჩემ მაგიერათ ურჩიე,
თუ დაიჯერაო,
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
ბევრი უნდა, რომ ეყოლოს
ხელმომწერი ცხრაო.
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
სხვებიც ბევრი რამ მინდოდა
რომ მომეწერაო.
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
რაც აზრები მოვაგროვე
ჯავრით გამიქრაო.
ჰეე ჰოო, ჰეე-ჰოო!
ეს ჩემი ბატის კალამიც
ნოემ გამოსჭრაო.
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
ეს მისწერა და მართლისთვის
აწ ჩვენც უთხრათ ბრავო!
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!

ამასაც ამბობს ბლიაძე, თუ ეფთიმე გორისელმა ბოდიში არ მოიხადა, უთუოდ ყოველ თვეში შევამკობ ხოლმე სხვადასხვა რიგათაო.

ყოვლადვე ნუ იყოფინ! აწ ნება მიბოძეთ შინ გიახლოთ! მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონებო!..

— მოიცა კაცო! სად მიდიხარ? ღვინო დალიე!

— არა, თქვენი ჭირიმე! გმადლობთ! შინ მივეშურები და მშვიდობით ბრძანდებოდეთ ნახვამდის.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქართულის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის „დროების“ გამოცემაზედ.

განათლებულს ქვეყნებში თითქმის ყოველი კაცი საჭიროთ რაცხს, რომ დაწვრილებით შეიტყობდეს არა თუ თავისის მამულის გარემოებას, არამედ სხვა ქვეყნების მდგომარეობასაც. ამისთვის იქ იბეჭდება მრავალი ჟურნალი და გაზეთი, რომელნიც ავრცელებენ საზოგადოებაში სხვადასხვა ცნობასა.—ჩვენი გარემოება, ნამეტნავათ ახლანდელი, მოითხოვს, რომ ჩვენც ვტყობულობდეთ ჩვენის ქვეყნის ყოფა-ცხოვრებასა და აგრეთვე მმართებლობის განკარგულებებსა. გარდა ამისა, რადგანაც ჩვენი წარმატება დამოკიდებულია განათლებულის ხალხებისაგან შეძინებულს სწავლაზედ და იმათ ცხოვრებაზედ, ამისათვის, თუ გვსურს საკუთარი კეთილ-დღეობა, უეჭველად იმათ უნდა ვბაძვიდეთ და იმათ სწავლას ვითვისებდეთ. ამ საქმეში პირველი შუამავლობა ეკუთვნის გაზეთებს და ჟურნალებს. ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენ ვიკისრეთ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის გამოცემა ქართულს ე ნ ა ზ ე დ.

ამ გაზეთს ერქმევა სახელათ „ დ რ ო ე ბ ა “ და ექნება შემდეგი ნაწილები:

1. მმართველობის განკარგულებანი და ცნობანი რუსეთზედ და განსაკუთრებით ჩვენს მხარეზედ. ამ ნაწილში შემოვა კორრესპონდენციები ანუ სხვა და სხვა ადგილებიდან გამოგზავნილი წერილები.

2. საპოლიტიკო ცნობები და ტელეგრამმები.

3. მეცნიერება და ხელოვნება. ამ ნაწილში დაიბეჭდება სტატიები, რომელნიც შეეხებიან ყოველ-გვარს სწავლას და შედგენილნი იქნებიან ადვილ-გასაგონის ენით, აგრეთვე წმინდა-სალიტერატურო თხზულებები

4. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ანუ გარკვევა ქართულის წიგნებისა და შესანიშნავის თხზულებებისა უცხო ენებზედ.

5. სხვა და სხვა ამბავი, ანუ მოკლე ცნობები, რომელნიც შეეხებიან სწავლას, ხელოვნებას, აღებ-მიცემობას, სოფლურს მეურნეობას და ექიმობასა.—ფელეტონი.

6. სახაზინო და კერძოობითი განცხადებები.

შეძლებისამებრ „დროების“ რედაქცია ეცდება თავისი პროგრამმა აასრულოს. მაგრამ რადგანაც გაზეთი ქართულს ენაზედ ახალი საქმეა და თვით პროგრამმაც ვრცელია, ამისათვის იმისი ასრულება საკუთარის ჩვენის ღონისძიებით ძალიან ძნელია, ამაში რედაქციას ისე თავის თავზედ არა აქვს იმედი, როგორათაც საზოგადოების შემწეობაზედ. ზოგიერთმა პირებმა კიდეც აღგვითქვეს თანამშრომლობა, და ეჭვი არა გვაქვს, რომ იმათ გარდა სხვანიც ბევრნი მიიღებენ მონაწილეობას თავიანთის შრომით ჩვენს გაზეთში.

„დროება“ გამოვა ამ 1866 წლის მარტის თვიდამ, კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ერთის თაბახიდამ ორ თაბახამდე. გარდა ამისა შეძლების და გვარათ ხან და ხან გაზეთთან გამოვა დამატება. ამ დამატებაში იქნება დაბეჭდილი სტატიები, რომელთაც დაბეჭდვა სივრცისაგამო გაზეთში არ მოხერხდება.

ფასი მთელის წლის ნუმრებისა არის: გაუგზავნელათ ტფილისში 6 მანეთი, გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში 7 მანეთი. „დროების“ გამოცემას ვაპირებდით იანვრიდამ, მაგრამ ნებართვა ახლა მოგვეცა; ამისათვის ამ თვის მაგიერათ დავნიშნეთ მომავალი მარტი. ფასიც წლევანდელის წლისა არის ნაკლები, ესე იგი: 1867 იანვრამდე გაუგზავნელათ ტფილისში 5 მანეთი, გაგზავნით ტფილისში და სხვა ადგილებში 6 მანეთი.

გაზეთზე ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში „დროების“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გალავინის პროსპექტზედ, ზუბალოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთ ვთხოვთ უშორჩილესათ, რომ თავიანთი მოთხოვნილება გამოგზავნონ ხოლმე ამ ადრესით:

В Тифлис. В контору редакции грузинской газеты „Время“, при типографии Меликова и К-°.

რედაქტორი გიორგი წერეთელი.

გამომცემელი სტეფანე მელიქიშვილი.

ტფილისი. 10 იანვარს, 1866 წელსა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის „დროების“ გამოცემაზე 1867 წელს.

გაზეთი „დროება“ 1867 წელს გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე რიგით, როგორც გამოდის 1866 წელს.

თუმცა „დროებაში“ რამდენჯერმე წარმოვსთქვით ჩვენი აზრი, რა მნიშვნელობა და გავლენა უნდა ჰქონდეს ჩვენს ცხოვრებაზედ გაზეთს და ჟურნალს, მაგრამ ვალათა ვრაცხთ ვსთქვათ კიდევ რამდენიმე სიტყვა ამ საგანზედვე.

ცხადია ყველასთვის, რომ დრო იცვლება. ბევრი რამ, რაც ჩვენის მამა-პაპებისათვის იყო საჭირო, ახლა იმათის შთამომავლობისათვის გამოსადეგი აღარ არის. ჩვენ თვითონ დამსწრენი ვართ, რომ ზოგიერთი რამ, რაც საჭიროთ მიგვაჩნდა, ის ჩვენ დროს უვარგისათ მიაჩნიათ და ჩვენც თავი დავანებეთ. ეს არის ბუნებითი კანონი კაცობრიობის მოძრაობისა და ამ კანონს ვერ წაუვა ვერც ერთი ხალხი, რომელზედაც კი შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად სცხოვრებს.

ჩვენ უნდა ვეცადოთ დავტოვოთ ყოველივე უვარგისი ჩვენს ცხოვრებაში, რაც კი გვიშლის, რომ ნამდვილს განათლების გზას დავადგეთ და დაუახლოვდეთ იმ ხალხს, რომელიც ჩვენზედ წინ არის და ვისგანაც გვმართებს მივიღოთ ბევრი სწავლა.

აი ჩვენის ფიქრით როგორი აზრი უნდა ჰქონდეს ყოველს გაზეთს და ჟურნალს, რომელიც კი დაიწყებს ამ დროს თავის შრომას. ამის გარდა ახლანდელს გაზეთს და ჟურნალს უნდა ჰქონდეთ ის მნიშვნელობა, რომ ნათელის გარკვევით გაადვილონ ყველა ნამდვილი და კანონიერი სურვილი და საჭიროება. აგრეთვე იმათ უნდა უჩვენონ საზოგადოებას უნდა, თუ არ არის საჭირო, ან როგორ და რა რიგათ, მოიპოვონ და გამოიყენონ ეს საჭიროება, რომ საზოგადოება წავიდეს წინ, და მიიღოს ის, რაც მნიშვნელობა აქვს საზოგადოებას ბუნებით დანიშნული. გაზეთის პროგრამმა დარჩება ისევ ის, რომელიც იყო გამოცხადებული წლეულს.

გაზეთის პროგრამმა:

1. მმართველობის განკარგულებანი და ცნობანი რუსეთზედ და განსაკუთრებით ჩვენს მხარეზედ. ამ ნაწილში შემოვა კორრესპონდენციები ანუ სხვა და სხვა ადგილებიდამ გამოგზავნილი წერილები.

2. საპოლიტიკო ცნობები და ტელეგრამმები.

3. მეცნიერება და ხელოვნება. ამ ნაწილში დაიბეჭდება სტატიები, რომელნიც შეეხებიან ყოველ-გვარს სწავლას და შედგენილნი იქნებიან ადვილ-გასაგონის ენით, აგრეთვე წმინდა-სალიტერატურო თხზულებები.

4. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ანუ გარკვევა ქართულის წიგნებისა და შესანიშნავის თხზულებებისა უცხო ენებზედ.

5. სხვა და სხვა ამბავი, ანუ მოკლე ცნობები, რომელნიც შეეხებიან სწავლას, ხელოვნებას, აღებ-მიცემობას, სოფლიურს მეურნეობას. და ექიმობას. ფელეტონი.

სახაზინო და კერძოობითი განცხადებები.

6. გარდა ამისა შეძლებისდა გვარად ხანდახან გაზეთთან გამოვა დამატება.

ამ დამატებაში იქნება დაბეჭდილი სტატიები, რომელთაც დაბეჭდვა სივრცისა გამო გაზეთში არ მოხერხდება.

ჩვენ თვითონვე ვაღვიარებთ, რომ იქნება ბევრი რამ არ ავასრულეთ, რაც დავპირდით მკითხველებს; მაგრამ იმითი ვიმართლებთ თავსა, რომ ამ წელიწადს ბევრი იმისთანა ცვლილებანი მოხდნენ, რომელთაც დაგვიშალეს ჩვენის პროგრამმის სრულათ ასრულება...

ამასაც კი ვიტყვით, რომ ჩვენ, ჩვენის მხრით, მეცადინეობა არ მოგვიკლია; მაგრამ ამისი განსჯა თვითონ მკითხველებისათვის მიგვინდია.

„დროება“ უწინდელათვე გამოვა კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ერთის თაბახიდამ თაბახ ნახევრამდე.

ფასი მთელი წლის ნუმრებისა არის: გაუგზავნელათ ტფილისში 6 მანეთი, გავზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში 7 მანეთი.

გაზეთზედ ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, „დროების“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გალავინის პროსპეკტზედ, რეიტერის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთ ვთხოვთ უმორჩილესათ, რომ თავიანთი მოთხოვნილება გამოგზავნონ ხოლმე ამ ადრესით:

В Тифлис. В контору редакции грузинской газеты „Время“, при типографии Меликова и К-°.

რედაქტორი გიორგი წერეთელი.

გამომცემელი სტეფანე მელიქიშვილი.

ტფილისი. 1 ოქტომბერს, 1867 წელსა.

განცხადება

გაზეთის „დროების“ გამოცემაზე 1868 წელში

1868 წელს გაზეთი „დროება“ გამოიცემა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულ წლებში იცემოდა.

ეს ორი წელია, რაც გაზეთი „დროება“ გამოდის. საზოგადოება თავის თანაგრძნობას არ აკლებს; მხოლოდ ის გზაზე ცოტაოდნათ დრტვინავდა; თუ გამოერეოდა იმერული ლექსთა-თხზვა, ეს ქართლელებს ეჩოთირებოდათ და თუ ქართლური ლექსთა-თხზვა იყო, ეს იმერლებს ეჩოთირებოდათ. ამისთანა მოვლენა ცხადათ ამტკიცებს იმას, რომ საზოგადო ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჯერ არ გამართულა. რაოდენიმე ათი წელი ნაყოფიერი შრომა მიუცილებლათ საჭიროა სალიტერატურო ასპარეზზე, რომ ენა დადგეს და თავისი შესაფერი ლიტერატურული ფორმა მიიღოს. ამ შემთხვევაში საზოგადოების დრტვინვას მხოლოდ დრო განაქარვებს. „დროებას“ ნაკლულევანება ეს კი არა, უფრო სხვა იყო. ის ვერ აქცევდა ჯეროვანს ყურადღებას ცხოვრებისაგან მოტანილს მრავალს გვარს ცვლილებებსა და საქმეებს; და როგორც რიგია იმდენათ ვერ ჰხსნიდა, ვერ აფასებდა იმათს მნიშვნელობასა. ერთის სიტყვით იმას არა ჰქონდა დღიური ინტერესი. აი რა იყო უმთავრესი ნაკლულოვანება „დროებისა“.

ჩვენმა ცხოვრებამ უფრო ქარი წინ მსვლელობა დაიწყო: აჰ სამის წლის განმავლობაში ბატონ-ყმობითი დამოკიდებულება გაუქმდა, სასოფლო სასამართლოები დაარსდნენ, და სამსჯავრო ცვლილებაც, ეს არის, კარზე მოგვდგომია და კარგი სამართლის შემოტანით უნდა დააგვირგვინოს ბატონ-ყმობის გაუქმება. ამას გარდა ამ უკანასკნელს წლებში მთავრობამ განსაკუთრებითი ყურად-ღება მიაქცია ხალხის განათლებას, დაარსა სასოფლო შკოლები, რომელიც სდებს საფუძველს ხალხის განათლებისას. ამ უმთავრეს ცვლილებებს გევრი სხვა ახალი საქმეებიც თან მოსდევენ. ყოველს იმათგანს თავისი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში. ყველა ეს დიდი და მომცრო ცვლილებები ადრე თუ გვიან სრულად შესცვლიან ჩვენის ცხოვრების სახესა. მაშასადამე ყოველს ახლად მოვლენილს ამისთანა საქმეს უნდა ახსნა, გაჩხრეკა, იმისი კარგისა და ცუდის მხრის ჩვენება. გაზეთიც რასაკვირველია განსაკუთრებით მაშინ ჰხდება საინტერესო საზოგადოებისთვის, როდესაც ცხოვრების ყოველ-გვარის მოვლინების რიგიანათ გარკვევას შეუდგება თავ-თავის დროზე. ამ მოვალეობის ვრცლად

ასრულება ჩვენ გაზეთს ჯერ კიდევ არ შეუძლიან, მაგრამ რედაქცია მაინც შეძლებისამებრ ეცდება ამ გზით მოქმედებასა. ამასთანავე უნდა გამოვუცხადოთ „დროების“ მკითხველებს, რომ მომავალს წელს „დროებაში“ შემოვა სამსჯავრო ნაწილი, სადაც ყოველი გვარი საგ-საჯულო ცნობები იქნება დაბეჭდილი.

ხელმოსაწერი ფასი:

	გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	—	გაუგზავნელათ:
ერთის წლისა	7 მანეთი	—	6 მანეთი
ნახევარი წლისა	4 „		3 „ 50 კაპ.
სამის თვისა	2 მან. 50 კ.		2 „

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ პარასკევობით.

ხელი მოიწერება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით;

В Тифлис. В контору редакции грузинской газеты „Время“.

პ რ ო გ რ ა მ ა

„სასოფლო გაზეთისა“

„სასოფლო გაზეთში“ იქნება შემდეგი ნაწილები:

I. ოფიციალური ნაწილი:

მთავრობის განკარგულება, რომელიც განსაკუთრებით შეეხება სასოფლო სამმართველოთა.

ა) განკარგულებანი, რომელნიცა სასულიერო სამმართველოთა უნდა მოიყვანონ ასრულებაში.

ბ) განკარგულებანი, რომელნიცა უნდა ეუწყოს სასოფლო სამმართველოთა, რომ ისინი გახდნენ იმათ ხელმძღვანელათ.

II. არა-ოფიციალური ნაწილი:

1. სამეურნეო ცნობანი: ამ ნაწილში დაიბეჭდება იმისთანა სტატიები, რომელნიც შეეხება სხვა-და-სხვა სამეურნეო ნაწილსა, მაგალითად: მიწის მუშაობას, ბოსტნის კეთებას, ღვინის მოყვანას, პირუტყვის შენებას და სხვა; სასოფლო ვაჭრობას, აღებ-მიცემობის და ოჯახობის მაჩვენებელი სტატიები.

2. სახალხო მედიცინა (მკურნალობა): აქ დაიბეჭდება ისეთი სტატიები, რომელშიაც იქნება დარიგება, თუ როგორ უნდა იცხოვროს ხალხმა, რომ სიმრთელით იყოს, აგრეთვე იქნება ნაჩვენები ისეთი ექიმობა სხვა და სხვა ავათმყოფობაზე, რომ თვითონ ხალხსაც უმკურნალოთ შეეძლოს ზოგიერთ ავათმყოფობას მორჩენა.

3. ამბავი სასოფლო ხალხის ცხოვრებაზე. აქ დაიბეჭდება ამბები, თუ როგორ მიდის სასოფლო გამგეობა ჩვეს ქვეყანაში, სახალხო შკოლებზე, პურის მაღაზიებზე, ბანკებზე; აგრეთვე კორრესპონდენციები და მოთხრობა სოფლის ხალხის ცხოვრებიდგან.

4. სხვა და სხვა ცნობა: წვირლმანნი ხალხის გასაგებნი სწავლანი, რომელსაც ექნება მხოლოდ ის განზრახვა, რომ ხალხს ამაოდ-მორწმუნება და ცუდი ჩვეულება მოაშლევინოს.

5. სახაზინო და კერძოობითი განცხადება.

„სასოფლო გაზეთი“ გამოვა კვირაში ერთხელ და შეიცავს ერთს სტამბის თაბახს.

ოფიციალური ნაწილი იქნება რუსულად და ქართულად.

ფასი ერთი წლისა გაუგზავნელათ 6 მან. გაგზავნით 7 მანეთი.

რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.

რედაქტორის შენიშვნები

I. გიორგი წერეთელის ფსევდონიმები

გიორგი წერეთელის ნაწერების სრული კრებულის გამოცემისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი ფსევდონიმების გამორკვევა და სისწორით დადგენა. ჩვენთვის უკვე უდავო ფაქტია, რომ გ. წერეთელი ერთი ფსევდონიმით არ სწერდა: თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის ორმოცი წლის განმავლობაში, იგი სხვადასხვა ფსევდონიმით აქვეყნებდა თავის ნაწერებს. საგრძნობი ნაწილი მისი წერილებისა სრულიად ხელმოუწერელი იბეჭდებოდა გაზ. „დროებასა", „სასოფლო გაზეთსა", „ტფილისის უწყებასა" და „კვალში".

ამ ხელმოწერილ წერილების გამოკვლევასა და გ. წერეთლის ფსევდონიმების დადგენის საქმეში დიდ დახმარებას გ•გვიწევს სამი საინტერესო დოკუმუნტი:

1) „გიორგი წერეთლის ნაწერების სია", რომელიც თვითონ გ. წერეთელს შეუდგენია და აღნიშნულია მისი ნაწერები 1880 წლამდე. როგორც მკითხველი ქვევით, ჩემს შენიშვნებში დაინახავს, ეს სია არ არის სრული: მას აკლია წერილები გაზ. „სასოფლო გაზეთიდან" (1868—73 წ.), რამდენიმე წერილი „დროებიდან", სრულიად არ არის მოხსენებული წერილები „ტფილისის უწყებიდან". მიუხედავად ამისა, ეს ერთად-ერთი მთავარი დოკუმენტია, თვით ავტორის მიერ შედგენილი, რომელიც საშვალებას გვაძლევს სისწორით დავადგინოთ გ. წერეთლის ფსევდონიმები და მისი წერილები 1880 წლამდე[1]).

2) „კვალის" რედაქციის მიერ შედგენილი სია[2]). ეს სია გაგრძელებაა გ. წერეთლის სიისა და შეიცავს 1880—1900 წლების ნაწერებს. არც იგი არის სრული; მასში გ. წერეთლის მხოლოდ უმთავრესი ნაწერები არის დასახელებული. თვით რედაქცია შენიშნავს:

---

[1]) ეს სია გიორგი წერეთლის ხელნაწერიდან გადაუწერია კ. ლორთქიფანიძეს და თავის შენიშვნაც გაუკეთებია მისთვის. (იხ. კ. ლორთქიფანიძის არქივი, რომელიც მოთავსებულია ქუთაისის მუზეუმში). ამ შენიშვნას თავის ადგილზე შევეხებით.

[2]) იხ. „კვალი" № 3, გვ. 48—51, 1900 წ. ან კრებული: „გიორგი წერეთელი", გვ. 169—184, 1900 წ.

„ეს სია, რასაკვირველია, სრული არ არის. აქ მოხსენებული არ არის არც „სასოფლო გაზეთი", და არც რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი წერილები. აქ არ არის აგრეთვე მისი არქეოლოგიური გამოკვლევანი და სხვა წვრილ-მანი ქართული წერილები. ყველა ეს რომ შეგროვდეს ორი ამდენი იქნებოდა" („კვალი № 3, გვ. 51, 1900 წ.).

მიუხედავათ ამ ნაკლისა, „კვალის" რედაქციის მიერ შედგენილ სიას საკმაო დახმარების გაწევა შეუძლია გ. წერეთლის 1880—1899 წლების ნაწერებისა და ფსევდონიმების დადგენის საქმეში.

3. მესამე დოკუმენტს წარმოადგენს ხელნაწერი: „ბიბლიოგრაფია გიორგი წერეთლის ბელეტრისტიკისა"—ამ „ბიბლიოგრაფიის" ავტორი უნდა იყოს გ. წერეთლის მეუღლე ან. წერეთლისა, ბიბლიოგრაფია შედგენილია 1911—20 წლებში. ავტორი ამ ბიბლიოგრაფიაში ეხება გ. წერეთლის არა მარტო ბელეტრისტიკას, არამედ პოემებსაც, დრამებსაც, ზღაპრებსაც და მითებსაც. ამ „ბიბლიოგრფიაშიაც" არ არის მოხსენებული გ. წერეთლის რამოდენიმე ორიგინალური მოთხრობა და ლექსი, თარგმნილი მოთხრობები, ლექსები და სხვა. მიუხედავათ ამისა—ამ „ბიბლიოგრაფიასაც" შეუძლია თავისი შესაფერი დახმარება გაგვიწიოს გ. წერეთლის ნაწერებსა და ფსევდონიმების დადგენის საქმეში.

ამ დოკუმენტებისა და სხვა წყაროების მიხედვით ჩვენ გამოვარკვიეთ და დავადგინეთ გ. წერეთლის შემდეგი ფსევდონიმები:

მესამე თერგდალეული—ამ ფსევდონიმით გ. წერეთელმა ჟურ. „ცისკარში" 1862 წ. თავისი პირველი წერილი მოათავსა (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ქვევით).

გ.—თელი— ამ ფსევდონიმით მან ჟურ. „საქართველოს მოამბეში" 1863 წ. დაბეჭდა თავისი მეორე წერილი. შემდეგში ის ხშირად ათავსებდა გ.—თელის ფსევდონიმით წერილებს გაზ. „დროებასა", „კრებულსა" და „კვალში".

ვ.—ელი— უმთავრესად სწერდა კვალში.

გ.—ლი— იქვე.

თელი— „დროებასა" და „სასოფლო გაზეთში".

გ. გორისელი— „დროებასა", „კრებულში" და „კვალში". გორისი გ. წერეთლის სოფელი იყო.

„კრებულის" მკითხველი—1871 წლის დროებაში.

XX— იქვე.

X— იქვე.

XX—ელი— „კვალში".

კრაზანა— დაბეჭდილი აქვს რამოდენიმე ლექსი „დროებაში".

დამსწრე— „კვალში“.

X-ელი— იქვე.

ბ. წ.— „ივერიასა“ და „კვალში“.

მაზაკვალი— „კვალში“.

გასული— ამ ფსევდონიმით გ. წერეთელმა 1895 წ. „კვალში“ (იხ. № 34, 35) დაბეჭდა 1875 წ. ფრანკფურტში დაწერილი პოემა „მწუხარე დედა“.

იმერელი— ამ ფსევდონიმით მან მოათავსა ერთი წერილი— „აღმოსავლეთის პოლიტიკის აზრი“ — გაზ. „დროებაში“ (№ 6), 1879 წ.

გაზ. „ივერია“ 1900 წ. სწერდა—„გ. წერეთელმა ჯერ უნივერსიტეტიდგანვე 1862 წელს „ცისკარში“ დაბეჭდა რამდენიმე წერილი „ექვთიმიძის“ სახელით და მაშინვე საუკეთესო ქართველთა ყურადღება დაიმსახურა“. ამასვე იმეორებს ჟურ. „ალმანაკი“ (იხ. № 1, 1900 წ.). უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს აშკარა შეცდომა არის: 1862 წლის „ცისკარში“ არც ერთი წერილი არ არის მოთავსებული ექვთიმიძის ფსევდონიმით. როგორც მკითხველი ქვევით დაინახავს კ. ლორთქიფანიძემ, აკაკი წერეთელმა და გიორგი წერეთელმა თერგდალეულის ფსევდონიმებით დაბეჭდეს წერილები 1862 წ. „ცისკარში“— გ. წერეთლის მამის ექვთიმე წერეთლის საწინააღმდეგოდ.

რასაკვირველია, ჩვენ აქ ავღნიშნეთ ის ფსევდონიმები, რომლის გამორკვევა და დადგენა ამჟამად შესაძლებელი გახდა ჩვენ ხელთარსებულ მასალების მიხედვით. თუ დამატებით აღმოჩნდა კიდევ ახალი ფსევდონიმი იგი გამოქვეყნებული იქნება შემდეგ ტომებში.

II. „სამნი ძმანი - სამნივ თერგდალეულთგანი“

„თერგდალეულთა საკითხი“ ჩვენ განგებ გამოვყავით სხვა საკითხებიდან და ამ შენიშვნების ცალკე თავში ვიხილავთ. ამ საკითხის გამორკვევა მჭიდროთ არის დაკავშირებული 60-იანი წლების ახალი თაობის ინტელიგენციის მოძრაობასთან. ცნობილია, რომ თერგდალეულთა სახელწოდებით ძველმა თაობამ მონათლა ახალი თაობის ინტელიგენცია, რომელმაც სწავლა-განათლება რუსეთის უნივერსიტეტებში მიიღო. მაგრამ ჩვენ დღეს ეს საკითხი კი არ გვაინტერესებს, არამედ იმის გამორკვევა თუ ვინ სწერდა ან სწერდენ თერგდალეულთა ფსევდონიმით ,1862 წლის „ცისკრისა“ და 1863 წლის „საქართველოს მოამბის“ ნომრებში. რომ მკითხველთათვის ნათელი გახდეს საქმის ვითარება, მას გავახსენებთ შემდეგ მომენტებს: როდე-

საც ილია ჭავჭავაძემ 1860-61 წლებში იერიში მიიტანა ძველი თაობის წინააღმდეგ და ლიტერატურის საკითხებში სასტიკად დაგმო მათი მიმართულება, 1862 წლის თებერვლის „ცისკარში“ ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ წერილი მოათავსა გიორგი წერეთელის მამამ ექვთიმემ, რომელსაც თავის სტატიის ქვეშ შემდეგი ხელმოწერა აქვს გაკეთებული: ზემოური იმერელი, გორისელი წერეთელი ექვთიმე[1]). ამ წერილს დიდი აღშფოთება გამოუწვევია მაშინდელი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებში. საინტერესოა ამ მხრივ მოვისმინოთ კ. ლორთქიფანიძის კერძო წერილი „ცისკრის“ რედაქტორ ივ. კერესელიძესთან. 1862 წ. მარტის თარიღით იგი სწერდა:

„ასე სისხლიანი ნაღველი გადაევლება ხოლმე ჩვენს გულს, როცა იმისთანა უებრო ცუდ სტატიებს ვამჩნევთ, როგორიც იყო ამ ნომერშიდ უფ. ეფ. წერეთლის. მაგრამ რა გაეწყობა, როგორც სტატიებში ვუბნობ, თქვენი ბრალი არ არის ეს. განვიმეორებ, ისე გავცეცხლდი ამ სტატიის დანახვაზედ, რომ არ შეგვეძლო, რომ არ დაგვეწერა რამე; ვინ სწერს? სწერს კაცი-რომელსაც, როგორც თვით ეფ. წერეთელი უბნობს, სიკვდილში უდგია ფეხი და რომელიც აქამდის არ უნახავს ხორციელ კაცს მწერლის ადგილზე. ვიცნობ იმ კაცს, რა კაცია. როგორ გაბედა ამგვარი სტატიის დაწერა, მერე ცხრა თვის გასვლის შემდეგ! მაგრამ ანდაზა იტყვის: „კუმ ფეხი გამოყო მეც ნახირი ვარო“.—როგორც გაუნათლებლობით და ფარისევლობით გაყინული აქვს თავი ეფ. წერეთელს, ისეთი გაყინული აზრები უთქვამს. იპოვის ნეტავი კაცი ბის სტატიაში რამე აზრს? აი ასე შეწუხებულმა, დავსწერე თქვენი ჟურნალისთვის ორიოდე სიტყვა და ამ წიგნთან გიგზავნით. თუ წინააღმდეგი არ იქნეს თქვენი ჟურნალი, გთხოვთ დააბეჭდინოთ ან აპრილის ან მაისის წიგნში, რასაკვირველია, პირველი ემჯობინება. ჩემს სახელსა და გვარს ნუ გამოაცხადებთ, ჩვეულებრივი ფსევდონიმი იყოს მათ მაგიერათ ის ფსევდონიმი, რომელიც მომიწერია სტატიის ქვემოთ „თერგ-დალეული“[2]).

მაგრამ „გორისელი წერეთლის“ წერილს არა მარტო კ. ლორთქიფანიძე აუშფოთებია, არამდე მთელი მაშინდელი ახალთაობის ინტელიგენცია. მის წინააღმდეგ „ცისკრის“ აპრილსა და მაისის ნომრებში სამი წერილი დაიბეჭდა სამივე თერგდალეულის სახელით მოწერილი.

„ჩვენ აქა ვართ სამნი ძმანი,
სამნივ თერგდალეულთგანი.
მე გახლავარ გორისელო,
ერთი ამ სამ ძმათაგანი...

---

[1]) იხ. „ცისკარი“ № 2, 1862 წ. სტატია: „წიგნი მიწერილი რედაქტორთან“ გვ. 201—07.

[2]) დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში (ქუთაისის მუზეუმი).

[3]) იხ. „ცისკარი“ № 4, გვ. 365, 1862 წ.

ასე სწერდა თერგდალეული—მეორე წერილის ავტორი, ეს იყო ერთი საინტერესო ეპიზოდი ძველსა და ახალ თაობათა შორის ატეხილი ბრძოლისა; ამ. ლექსით მტკიცდება, რომ სამნივე თერგდალეულს შეთანხმებით დაუწერიათ წერილები ე. წერეთლის წინააღმდეგ და ცალ-ცალკე გაუგზავნიათ „ცისკარში" დასაბეჭდათ.

გამოსარკვევია: 1. ვინ იყვნენ ეს სამი თერგდალული და 2. კერძოთ, თვითეული ცალკე წერილი რომელ ავტორს ეკუთნოდა

ჩვენს მწერლობაში გადმოცემით ცნობილი იყო მხოლოდ ორი ავტორი: კ. ლორთქიფანიძე და გ. წერეთელი. 1925 წ. ნ. ნიკოლაძის ჩვენებით, მათ მიემატა მესამეც: აკაკი წერეთელიც[1]), მაგრამ აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ 1916 წ. კ. ლორთქიფანიძეს განუცხადებია სერ. გორგაძისათვის, რომ აკაკი თერგდალეულის ფსევდონიმით სწერდაო. უკანასკნელი აღნიშნავს, რომ „ცისკარში" ამ ფსევდონიმით არც ერთი ლექსი არ აღმოჩდა დაბეჭდილიო[2]). აქ გაუგებრობასთან უნდა გვქონდეს საქმე: ალბად, კ. ლორთქიფანიძე მიუთითებდა საერთოდ აკაკის ფსევდონიმზე,— თერგდალეულზე, ხოლო მკვლევარს უნებლიეთ დაუწყია ამ ფსევდონიმით დაბეჭდილ ლექსების ძებნა.

ნ. ნიკოლაძის და კ. ლორთქიფანიძის ჩვენება და მოწმობა სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ აკაკის მონაწილეობა „სამ თერგდალეულთა" წერილებში გამტკიცებულად იქნას მიჩნეული. მაგრამ ჩვენ ხელთ არის ერთი დოკუმენტი, რომელიც ასი პროცენტით ამტკიცებს ნ. ნიკოლაძისა და კირ. ლორთქიფანიძის ჩვენებებს: ეს არის აკაკის პირადი ბარათი კ. ლორთქიფანიძისადმი 1862 წლის, 12 სექტემბრის თარიღით. ტფილისიდან აკაკი სხვათა შორის სწერს ლორთქიფანიძეს შემდეგს:

> „ბულვარზედ მოგზაურობა[3]) დაბეჭდვამდი ჩემ ხელში იყო, მაგრამ იქ ჩვენზედ არაფერია, ვიზედაც არის ვიცი ყოველი პირი, მაგრამ გამოსარჩლება არ გვარგებს, ღირსნი არიან, ტროსტიჩქებით ეძებენ ტროტუარებზე ჭეშმარიტების ნამსხვრევებს. არა იციან რაო არც იმას ამბობენ, მაგრამ ქართული არ იციანო. თორემ ჩვენზედ როგორ გაბედავდენ რამეს დაწერას, ეგ სტატია არდაზიანის[4]) არის, იმან დასწერა. კი დაეწერათ ჩვენ-

[1]) ვ. კოტეტიშვილის „ქართული ლიტერატურის ისტორია" წიგნი მე-II გვერ. 161.

[2]) იხ. სერ. გორგაძის ხელნაწერი: „აკაკის ბიბლიოგრაფია" ყ. საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი, № 1466.

[3]) „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ" დაბეჭდილია 1862 წ. „ცისკარში" № 7, გვ. 117—ძია თორნიკე" ხელმოწერით. ეს წერილი „საქ. მოამბეში" № 4, გაარჩია თერგდალეულმა (კ. ლორთქიფანიძე).

[4]) ლაპარაკია ბელეტრისტ ლ. არდაზიანზე, რომელიც მაშინ პუბლიცისტურ წერილებსაც სწერდა და კამათი ჰქონდა თერგდალეულებთან.

ზედაც პასუხი ვიღაცეებს, მაგრამ იქვე ეთქვათ, მოგდომიათ ტყავის გაძრობა და ეგ არისო და შიშით უკანვე წაეღოთ" [1]).

ამ რიგად, სავსებით დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს აკაკი წერეთლის თანამონაწილეობა აღნიშნულ ლიტერატურულ ბრძოლაში, და აგრეთვე ისიც, რომ იგი თერგდალეულის ფსევდონიმით სწერდა პუბლიცისტურ სტატიებს იმ ხანებში.

კირილე ლორთქიფანიძის მონაწილეობაც ასი პროცენტით დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც მის არქივში ჩვენ აღმოვაჩინეთ 1862-63 წლებში მის მიერ „ცისკარსა" და „საქართველოს მოამბეში" დაბეჭდილ ყველა წერილის ავტოგრაფები.

გ. წერეთლის ავტორობაზე, გარდა ნიკოლაძის დამაჯერებელი ჩვენებისა, მიგვითითებენ მისი ბიოგრაფი [2]) და პროფოფესორი ა. ხახანიშვილიც [3]).

ახლა საინტერესოა გამოვარკვიოთ თვითეული ცალკე წერილების ავტორების საკითხიც.

„ცისკარსა" და „საქართველოს მოამბეში" 1862-63 წლებში კირილე ლორთქიფანიძის მიერ მოთავსებული წერილები ასი პროცენტით შეიძლება გამორკვეული და დამტკიცებული იქმნას, რადგან მის არქივში აღმოჩნდა დაცული ყველა მისი წერილის ავტოგრაფები. ამ ავტოგრაფების აღმოჩენას ის დიდი მშნიშვნელობაც აქვს, რომ საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ რა არის ამოშლილი ან შესწორებული თვით რედაქტორის მიერ [4]) და რა—ცენზურის მიერ. ამ ავტოგრაფების მიხედვით ლორთქიფანიძეს ეკუთვნის: 1. „წიგნი მიწერილი რედაქტორთან ევფ. წერეთლისა" (იხ. „ცისკარი" № 4, 1862), 2. „ორიოდე სიტყვა „ცისკარზედ" და „ახალის ჟურნალის სარგებლობაზედ" (იხ. „ცისკარი" № 9. გვ. 35—48, 1862); 3. „ბიძია თორნიკეს სტატიისა გამო" (იხ. „საქართველოს მოამბე" № 4, გვ. 82-88, 1863 წ.); 4. „ამაო ამაოთა" (იხ. „საქ. მოამბე" № 6, გვერ. 69—82, 1863 წ.); 5. „ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა" (იხ. „ საქ. მოამბე"

---

1) დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში.

2) იხ. კრებული: „გიორგი წვრეთელი"—გვ. 4. 1900 წ.

3) А. Хаханов: „История груз. словесности" ტ. 4. გვ. 400-01. 1906 წ.

4) ერთ წერილზე ლორთქიფანიძეს მიწერილი ექვს, რომ მან კერესელიძეს წერილი ამ სახით გაუგზავნა, ხოლო უკანასკნელს მისი წერილიდან ზოგი ადგილი ამოუშლია, ზოგიც თავისი ჩაუმატებია.

№ 11, გვ. 34-72, და № 12, გვ. 62-87, 1863 წ.) ყველა ეს წერილი ხელმოწერილია თერგდალეულის ფსევდონიმით.

რომელი წერილის ავტორი არის აკაკი წერეთელი? სამწუხაროთ ამ შემთხვევაში არავითარი ავტოგრაფი არ შენახულა; მაგრამ არის ნ. ნიკოლაძის მითითება, რომელსაც შეუძლია ძლიერ დიდი დახმარება გაგვიწიოს ამ საკითხის შესწავლის საქმეში.

ჩემს შიკითხვაზე ვ. კოტეტიშვილი მიპასუხებს:

—„თქვენ მკითხეთ, თუ რა საფუძველს ვემყარები, როდესაც ჩემ „ქართულ ლიტ. ისტორიაში" ვამბობ, რომ ლექსი: „ჩვენ აქა ვართ სამნი ძმანი, სამნი თერგდალეულთგანი", აკაკი წერეთელს ეკუთვნის. ამ დასკვნამდე მიმიყვანა ლექსის სტილიურმა ანალიზმა, რაც შემდეგ დადასტურებულ იქმნა ნ. ნიკოლაძის მიერ, როდესაც ჩემი დასკვნის შესამოწმებლათ მას მივმართე".

სამწუხაროთ აქ ლექსის შესახებ არის ლაპარაკი, ხოლო ამ ოთხი პწკარიანი ლექსით თავდება „ცისკარში" ეფ. წერეთლის წინააღმდეგ მიმართული მეორე თერგდალეულის სტატია: „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ" (იხ. „ცისკარი" № 4, გვ. 347-65, 1862 წ.) მიუხედავად ამისა, ნიკოლაძის მითითება სახელმძღვანელო აზრად უნდა ჩაითვალოს მთელ ამ წერილის ავტორის დადგინების საქმეში. ამ წერილის აკაკის ავტორობას შემდეგი ფაქტიც ნათლად ამტკიცებს: აღნიშნული წერილი იმავე „ცისკარში" გაურჩევია თომა მაჭავარიანს ქუთაისიდან გამოგზავნილ წერილში: „პასუხი, მეორე თერგდალეულის პასუხისა" (იხ. „ცისკარი" № 8. გვ. 186-191, 1862 წ.) ავტორი ამ წერილში სხვათაშორის სწერს:

„არ ვიცი უფალო მეორე თერგდალეულო, რისთვინ არ მოგწონსთ თქვენ კნეინა ბარბარე ჯორჯაძის თხზულებათა ქება ეფთვიმე წერეთლისა მიერ? მე ვფიქრობ თქვენ დაილია ჭავჭავაძეს რომ არ გიქებსთ თხზულებას. (თქვენი თხზულება სწორეთ საქებარი ყოფილა)".

ჩემ მიერ ხაზგასმული სიტყვები ამტკიცებს იმას, რომ წერილის: „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ"—ავტორი მაშინაც უკვე ცნობილი ყოფილა თავისი თხზულებებით. შეუძლებელია ეს ყოფილიყო ან კირ. ლორთქიფანიძე, ან გიორგი წერეთელი, ან თუ გნებავთ ნიკო ნიკოლაძეც: ყველა ესენი მაშინ იწყებდენ წერას და ილია ჭავჭავაძესთან მათი დატოლება შეუძლებელი იყო; კ. ლორთქიფანიძისა და გ. წერე-

თელის პირველი წერილი სწორედ გორისელის საპასუხოდ დაიბეჭდა 1862 წ. „ცისკარში“. აქედან ნათელია, თუ დამტკიცებულად არის მიჩნეული აკაკის მონაწილეობა „სამ ძმათა—თერგდალეულთა-განის“ ლიტერატურულ ბრძოლაში, მაშინ წარმოდგენილ მასალების მიხედვით, დამტკიცებულადვე უნდა ჩაითვალოს ზემოდ აღნიშნულ წერილის—„ორიოდე სიტყვა ზემოურიმერლის გორისელის სტატიაზე“—მისი ავტორობაც.

ყველა ზემოდ მოყვანილ ფაქტების შემდეგ ადვილია იმის გაგებაც, თუ რომელი წერილის ავტორი არის გ. წერეთელი. იგი არის მესამე წერილის ავტორი, რომელსაც ეწოდება „ახირებული ფურცელი“ (იხ. „ცისკარი“ № 5, გვ. 23—30, 1862 წ.) და რომელსაც ხელმოწერილი აქვს ფსევდონიმი მესამე თერგდალეული. წერილის დასაწყისშივე ავტორი აღნიშნავს:

„პირველად გამოვდივარ სალიტერატურო ასპარეზზედ და ვემზგავსები იმ ახალგაზრდა მონადირეებს, რომელთაც ხელათ არა აქვსთ დიდი ნადირების ხოცა და პატარ-პატარა ნადირებს უსვრიან“. (გვ. 23).

ამ ცნობითაც მტკიცდება, რომ ამ წერილის ავტორი აკაკი არ უნდა ყოფილიყო: იგი უცილოდ გ. წერეთელს ეკუთვნის. საერთოდ უნდა ვსთქვათ, რომ გ. წერეთელის გალაშქრება თავისი მამის წინააღმდეგ მართლაც დამახასიათებელ ისტორიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც 60-იან წლებში ერთი მეორეს დაეტაკა ორი თაობა და გაჩაღდა მათ შორის გამწვავებული ბრძოლა. ეს ბრძოლა, როგორც სჩანს, ცხოვრების ყოველმნიშვნელოვან სფეროშიაც შეჭრილა და ოჯახის წევრებიც დაუტაკებია ერთი მეორესათვის.

მაშინდელი ლიტერატურული ბრძოლის დასახასიათებლად ძველ თაობასა და ახალ თაობას შორის, საჭიროდ მიმაჩნია აქ მოვიყვანო ვრცლად ერთი ადგილი ნ. ნიკოლაძის 1862 წლის კერძო წერილიდან კ. ლორთქიფანიძისადმი, რომელშიაც იგი ეხება სწორედ გორისილის წერილსა და მის გარშემო შექმნილ ამბავს. ნიკოლაძე სწერდა:

ძმაო კირილე!

დღეისწორ პარასკევს მოვედი ჭუთაისს. გზაზე ვიყავი თვრამეტ აგვისტოდან ოცდა რვა სექტემბრამდი. აქაური საზოგადოების ამბავი ხომ შენც გეცოდინება, ქალები და კაცები არიან სწორეთ როგორც გინახავს უწინ. პატარა პროგრესი კი არის: ლაპარაკობენ ლიტერატურაზე. მართლა: გორისელმა შემეხვერწა თქვენთან ბოდიშის მოხდა. რათ არ დამიჯერე ნუ-დაწერ სტატიასთქო ექვთიმეზე? ხომ მისი ბრალი არ ყოფილა. წარმოიდგინე

გორისელს დაუწერია სტატია რომელშიაც გაულანძღია რაფიელ ერისთავი მისი ლექსისათვის რომელშიაც სწერია რომ მე ხომ კატა არ ვარ და შენ თაგვიო, ერთი სიტყვით პოლონოვის ლექსის გარდათარგმნისათვის, მერმე მოუყვანია ჭავჭავაძის ლექსი „ა ყ ვ ა ვ ე ბ უ ლ ა ვ ე ლ ი“ მაგალითათ და ანტონის და ჩახრუხაძის ლექსები: ვითომ აი ამისთანა ლექსები უნდა წერონო. ჩვენ ვირისთავს. (ესე იგი მიხვდები ვის, ანუ ესე იგი კერესელიძეს, ჩვენ პუშკინს და სხვა) ჭკუაშ. მოსვლია: ამ წიგნს მე გამოვცვლიო; მაშინვე აუღია ხელში რედაკტორის, ცენზორის და არ ვიცი კიდევ ვინი კალამი, გორისელის სტატიიდან რაფიელის ლანძღვა გამოუშვია, ჭავჭავაძის გინება კი თავისი ჩაუმატებია, და ეს ყოვლად უსახო უგვარო სტატია შეგვხდა ჩვენ წასაკითხავათ. გორისელმა ეხლა სტატია დაწერა, რომელშიაც სრულიად ბრალს ადებს კერესელიძეს. მე უთხარი: ჩვენ სრულიადაც არ მოგვივიდოდა ფიქრში თქვენი ლანძღვის დაწერა, რომ თქვენ ჭავჭავაძის ჟურნალი [1]) არ გეგინებიათქო. ჩვენ იმ ჟურნალის დიდი იმედი გვაქვს, თქვენ კი ჯერ ჟურნალი არ ჩასახულათქო და კრედიტს უკარგავთქო. გორისელმა ფიცი, მტკიცი, აი ღმერთი, აი ხატი, არც კი მცოდნია თუ ჭავჭავაძე ჟურნალის გამოცემას აპირებსო, მაგ სიტყვებიო: „ვიღაც ჭავჭავაძე ჟურნალის გამოცემას აპირებსო“ და სხვანი-კერესელიძის ჩამატებული არისო. გორისელმა მთხოვა დრო დამინიშნეთ და იმ სტატიის შავს მოვიტანო წაგაკითხებო, თუ იმ სტატიაში რამე სწერიაო მაგისთანაო, სულ მაგინეთო. მეც უთხარი თუ თქვენ არ დაგიწერიათ ჩვენ ბოდიშს მოვითხოვთქო, მაგრამ არც ჩვენა ვართქო მაგაში დანაშაულნი. აქაური პოლიც-მეისტერი კარგი კაცია, როგორც პატიოსნებით აგრეთვე სწავლით. ფილოსოფია, კრიტიკა, პოლიტიკური ეკონომია ბრევლი ჩვენს კანდიდატებზე უფრო კარგათ ესმის. იმან შემხვდა გუშინ წინ მოწამეთას და მკითხა გორისელი მასე საშინელათ რათ გალანძღეთო? მე უთხარი რომ კაცი რომ სხვის ბაღებში შევა უკითხავათ, და იქ ყოველიფერს აურევს დაურევსთქო, იმ კაცს ისე ეკადრებათქო. მაშინ პოლიცმეისტერმა მითხრა თქვენ ხომ არ ერეოდით მის სლედსტვიებშიო? მაშ არც იმას უნდა გაელანძღა თავისი გასაყიდელი კალამით ლიტერატურაო. რ ო გ ო რ მ ო გ წ ო ნ ?? აქ ყველანი ამბობენ გორისელზე: **по делам вору мука.**

ჭავჭავაძის ჟურნალმა აქ ფურორი მოახდინა ჯერ ჯერობით, გენაცვალე, კირილე, რამე სტატია გაგზავნე დასაბეჭდავათ. უსათუოდ გააგზავნე“ [2]).

3. გაზ. „დროება“ და გ. წერეთელი

როგორც მკითხველმა უკვე იცის, თითქმის მთელი ოთხი წლის (1866—1869 წ.) განმავლობაში გ. წერეთელი ითვლებოდა გაზ. „დროების“ რედაქტორად, მის მთავარ თანამშრომელად და სულის ჩამდგმელად. მისი ღვაწლი და შრომა ამ მხრივ მეტის მეტად დიდი არის. 1876 წ. „დროების“ დაარსების ათი წლის თავზე (1866—76) მისი მაშინდელი რედაქტორი ს ე რ. მ ე ს ხ ი სწერდა:

---

[1]) ლაპარაკია ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეზე“.

[2]) დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში.

„ეს შენიშვნა ისე არ უნდა გათავდეს, რომ ჩვენ არ მოვიხსენიოთ ერთი პირი, რომელსაც გაზეთის ბედში არა-მცირედი მონაწილეობა მიუძღვის, რომელსაც ამ ჩვენი „დროებისათვის" ცოტა ოფლი არ დაულვრია: ეს პირი არის „დროების" პირველი რედაქტორი — გიორგი წერეთელი. გიორგი წერეთელის მეცადინეობასა, ნიჭსა და სამშობლო საქმის სიყვარულს უმადლოდეთ თუ დღეს ჩვენი გაზეთი ცოცხალია და თუ შემდეგში იმას დღეგრძელობა მოელის" [1]).

ამასვე აღნიშნავდა 1875 წ. ნ. ნიკოლაძე თავის რუსულ წერილშიაც „დროების" შესახებ. 1869 წლიდან ნიკოლაძე ერთ-ერთი უახლოესი თანაშრომელი იყო გაზ. „დროებისა" და აქტიური წევრი იმ „ახალი ახალგაზრდათა" ჯგუფისა, რომელიც 1869 წელს შესდგა გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძისა და სერ. მესხის მეთაურობით. ნიკოლაძე კარგად იცნობდა გ. წერეთელს, დიდი ხნის განმავლობაში ისინი ერთად ეწეოდენ ლიტერატურულსა და პოლიტიკურ ბრძოლას. მან კარგად იცოდა გაზ. „დროების" დაარსებისა და ვითარების ამბები, კარგად ხედავდა ვ. წერეთელის შრომასაც და ღვაწლს ამ გაზეთის წარმატების საქმეში. თავის წერილში ნიკოლაძემ სწორედ ეს აღნიშნა [2]).

გაზ. „დროების" დაარსება ერთ უშესანიშნავეს ეპოქის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიაში. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ „დროება" იყო პირველი ევროპიული ხასიათის გაზეთი ქართულ ენაზე, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური მსოფლმხედველობა ახასიათებდა და რომელიც ახალი თაობის დემოკრატიულ მისწრაფებებს ემსახურებოდა.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ უშესანიშნავეს პერიოდში დაიწყო გაზ. „დროების" გამოცემა და მისი მოღვაწეობა. საზოგადოებრივ-ეკონომიურის მხრივ ამ ეპოქას ახასიათებდა ჩვენი ცხოვრების საგრძნობი წინსვლა კაპიტალისტურ ურთიერთობისაკენ და ჩვენი სოციალური ძალების ამოძრავება; პოლიტიკურის მხრივ—ალექსანდრე მეორის რეაქცია და „თეთრი ტერორი". ეს რეაქცია „რეფორმის" მეორე დღესვე დაიწყო რუსეთში,—სწორედ მაშინ, როდესაც გლეხურმა მასებმა თავიანთი მოძრაობით უკმაყოფილება გამოაცხადეს „რეფორმის" მიმართ და როდესაც რევოლუციონური ინტელიგენცია ნ. ჩერნიშევსკის იდეური ხელმძღვანელობით შეუდგა რევოლუციონური ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა

1) იხ. „დროება № 24, 1876 წ.

2) იხ. წერილი: „Местная литература"—„Тифл. Вестник" № 99, 1875 წ.

და რევოლუციისათვის მზადებას. ამ პოლიტიკურმა რეაქციამ თავის უმაღლესს წერტილს მიაღწია პოლონეთის აჯანყებისა (1863 წ.) და კარაკოზოვის ტერორისტული აქტის (1866 წ.) ზეგავლენით: ალექსანდრე მეორეს მთავრობამ ისარგებლა აღნიშნული მომენტებით და გაამეფა რუსეთში „თეთრი ტერორი" რევოლუციონური მოძრაობისა და კრამვოლის აღმოსაფხვრელად. რუსეთის პრესა სასტიკი ცენზურის ქვეშ მოექცა და ინტელიგენციას ყოველგვარი საშუალება მოესპო თავისი აზრის თავისუფლათ გამოთქმისა. ამ პოლიტიკურმა რეაქციამ თავისი დაღი დაასვა გაზ. „დროების" მოღვაწეობას, რომელიც სწორედ სასტიკ „ტერორის" პერიოდში გამოვიდა და რომელიც, როგორც ქვევით დავინახავთ, ცენზურის მაგარი არტახებით იყო შეკრული.

მაგრამ, ამ საშინელი რეაქციის პირობებშიაც, ჩვენი საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა წინ. ბატონ-ყმობის მოსპობამ ჩვენში,—რომელიც გამოწვეული იყო ჩვენი ძველი საზოგადოებრივი წყობილების კრიზისითა და ეკონომიური აუცილებლობით,—მტკიცე საფუძველი შექმნა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის. „დროებას" სწორედ ამ ახალი ეკონომიური ურთიერთობის კონსოლიდაციის პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა და იგიც თავისი პროგრამით, თავისი იდეოლოგიითა და მისწრაფებით ამ კაპიტალისტურ ტენდენციის გამომხატველი იყო. მეორე მხრივ, ჩვენი ახალი ცხოვრების დასაწყისის მაჩვენებელი იყო ჩვენი ახალი თაობის ინტელიგენციის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე და მისი ბრძოლა ცხოვრების ახალ პირობებისათვის. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ჩვენი სტუდენტების (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ღოღობერიძეები, ი. ისარლიშვილი და სხ.) მონაწილეობა 1861 წლის სტუდენტთა არეულობაში [1]) და 1868—69 წლების გაფიცვებში (ბ. ჯაფარიძე, ნ. ყიფიანი, და სხვები). ამავე ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის დასაწყისის მძლავრ სიმპტომს წარმოადგენდა 1865 წლის ხელოსანთა აჯანყება ტფილისში. ამრიგად, მიუხედავად რეაქციის სუსხიანი დღეებისა, „დროებას" მაინც ახალ საწარმოო ურთიერთობის განვითარებისა, ახალი საზოგადოებრივი ძალების ამოძრავების ხანაში მოუხდა ცხოვრება. ამას ნათლად გრძნობდენ მისი ხელმძღვანელები. სერ. მესხი სწერდა:

---

1) ამის შესახებ გამოქვეყნდება ჩემი. ნარკვევი „სტუდენტთა არეულობა 1861 წ. პეტერბურგში და ქართველი სტუდენტობა".

„დროებამ“ ისეთს დროს დაიწყო გამოსვლა, როდესაც, ხანგრძლივის ძილისა და მყუდროების შემდეგ, საქართველომ თითქო გამოღვიძება დააპირა. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენმა ხალხმა ცოტ-ცოტათი დაიწყო თავის ძველი ცხოვრების წესისა და ხასიათის მიტოვება, და ახალს, თანამედროვე ცხოვრებას შეუდგა. ეს იყო ის დრო, როდესაც განათლებული ახალგაზრდა ქართველები გაჩნდნენ ჩვენში, რომელთაც ცოტა არ იყოს, შეანძრიეს თითქო გაქვავებული და დამყავებული ჩვენი ცხოვრება. ხალხი გრძნობდა ახალ დროს, ახალ ცხოვრების მოახლოებას. თვალები და გონება რომ არ ჰქონოდა მაშინდელ ქართველს, მარტო ყნოსვითაც კი შეიტყობდა, რომ რაღაც სხვა დრო და სხვა მოთხოვნილება გაჩნდაო“ [1]).

გაზეთი „დროება“ ამ ახალი დროების გამომხატველ ორგანოდ გადაიქცა. არ დარჩენილა არც ერთი ღირსშესანიშნავი საკითხი ჩვენი ცხოვრების მიერ წამოყენებული, რომ „დროებას“ იმაზე პასუხი არ გაეცა და არ გადაეჭრა იგი რადიკალური დემოკრატიის თვალსაზრისით. თავისი შინაარსითა და მიმართულებით „დროება“ პროგრესიული რადიკალური ბუჟუაზიული აზროვნების ორგანო იყო. იმ დენად, რამდენადაც იმ ხანებში ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის დარღვევა და მისი ნაშთების აღმოფხვრა აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ახალი კაპიტალისტური დამოკიდებულების განვითარებისათვის,—ბურჟუაზიული მოძრაობა და აზროვნება ჯერ კიდევ განუყრელი იყო რადიკალურ-დემოკრატიულ მოძრაობასთან და აზროვნებასთან და ჩვენი ახალი ორგანოც და მისი იდეური ხელმძღვანელნიც ასახავდენ ამ ობიექტურ-ისტორიულ გარემოებას.

გაზეთის დაარსებას დიდი ხნიდან აპირებდა ახალი თაობის ინტელიგენციის ერთი ჯგუფი. ჯერ კიდევ 1863 წ. ილ. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოვიდა პროგრესიული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. მაგრამ იგი ერთი წლის არსებობის შემდეგ დაიკეტა. ამ გარემოებამ აღუძრა სურვილი ინტელიგენციის ერთ ჯგუფს შესდგომოდენ ქართული გაზეთის გამოცემას [2]); გაზეთის გამოცემის მიზნით წინასწარი მუშაობაც ჩაუტარებიათ და სტამბის შეძენასაც შესდგომიან. ამ საქმეების ინიციატორობა უკისრიათ ნ. ღოღობერიძეს, [3])

1) იხ. „დროება“ № 24, 1876 წ. სერ. მესხის წერილი.

2) ს. მელიქიშვილი „დროების“ ათი წლის დღესასწაულზე ამბობდა: „პირველი აზრი იმ გაზეთის გამოცემისა, რომლის გამომცემელი მე გახლავართ და რომლის ათი წლის არსებობას ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ, ეკუთვნის თ. ი. ჭავჭავაძეს, რომელმაც პირველად გამოსთქვა ეს ჰაზრი „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ“. (იხ. „დროება“ № 24, 1876 .წ).

3) ნ ი კ ო ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე იყო 60-იანი წლების ქართველ სტუდენტთა ერთ-ერთი მეთაური, მონაწილე 1861 წლის სტუდენტთა არეულობისა ყოფ. პე-

ვახტანგ თულაშვილს,[1]) დიმიტრი ბაქრაძესა,[2]) და ს. მელიქიშვილს[3]). 1864 წ. მაისის 25-ის თარიღით ნიკო ღოღობერიძე სწერს კირილე ლორთქიფანიძეს:

„ამას კი გწერ, ვიცი გეამება: მე, ვახტანგ თულაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე და სტეფანე მელიქიშვილი სტამბის გახსნას ვაპირებთ წელს შემოდგომას, გვინდა ახალი შრიფტი შევადგინოთ ქართული, ლამაზი, ადვილი საკითხავი ასო-მთავრულით, უსტამბოთ ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლიან. თუ ღმერთმან ქმნა და გავაწყვეთ კარგათ, მაშინ იმედია თქვენის (სტუდენტების ს. ხ.) შეშწეობით, რამეს მოვახერხებთ“ [4]).

გაზეთის გამოცემისათვის ნებართვის მიღება იმ ხანებში არც ისე ადვილი საქმე იყო. როგორც სჩანს, დიდი ცდების შემდეგ 1866 წლის დასაწყისში დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზისძეს, რომელიც მაშინ მეფის მოადგილედ ითვლებოდა კავკასიაში, გაზეთის გამოცემის ნებართვა მიუცია განსაკუთრებულს პირობებში და სასტიკი ცენზურის დაწესებით. ზემოდ დასახელებულმა ჯგუფმა უკვე 1865 წ. რედაქტორად მოიწვია გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რომელიც მაშინ ახლად დაბრუნებული იყო რუსეთიდან და პედაგოგიურ პრაქტიკას ეწეოდა. თუ როგორ პირობებში უხდებოდა მუშაობა ახალგაზრდა რედაქტორსა და გაზეთის თანამშრომლებს, ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ აქ რამოდენიმე ადგილი „დროების“ თანამშრომელთა კერძო მიწერ-მოწერებიდან და დოკუმენტი საცენზურო კომიტეტიდან.

ტერბურგში, „დროების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი 1868 წლამდე, შემდეგ სახელმწიფო სამსახურში შევიდა, ერთხანს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარედაც იყო, 80-იან წლებში ჰიათურის მრეწველობას მოკიდა ხელი. გარდ. 1911 წ. ნ. ღოღობერიძე გ. წერეთელს გამოყვანილი ყავს კიკოლიკის სახით თავის „მგზავრის წერილებში“.

[1]) ვ. თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი—„საქართველოს მოამბეში“ თანამშრომლობდა ვ. თ. ფსევდონიმით. ბატონყმობის მოსპობის შემდეგ „გასამიჯნავ დაწესებულებაში იშოვა კარგი ადგილი“ (გ. წერეთელი). მწერლობას იშვიათად უბრუნდებოდა, გარდაიცვალა 1911 წ.

[2]) დ ი მ ი ტ რ ი ბ ა ქ რ ა ძ ე—ისტორიკოსი და პუბლიცისტი. პირველ ხანებში უახლოესი თანამშრომელი იყო გაზ. „დროებისა“. შემდეგ ცენზორადაც იქნა დანიშნული. გარდ. 1890 წ.

[3]) ს. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი—გაზ. „დროების“ გამომცემელი და სტამბის მეპატრონე,—ძმა პროფ. პ. მელიქიშვილის და ცოლის-ძმა პუბლიცისტ სერ. მესხისა. გარდაიცვალა 1886 წელს.

[4]) დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში.

1866 წ. 16 იანვარს ნ. ღოღობერიძე კ. ლორთქიფანიძეს სწერდა:

„ახლა ჩვენი თხოვნა შენთან და საზოგადოთ სტუდენტებთან მდგომარეობს იმაში, რომ შემწეობა ამოუჩინოთ ამ გაზეთს, იკისროთ მისი თანამშრომლობა. ეჭვი არ გვაქვს, რომ ამ თხოვნას აგვისრულებთ, რომ თქვენს თანამშრომლობაზედ არა გვქონოდა იმედი, ჩვენ კიდევაც ვერ გავბედავდით გაზეთის გამოცემას.—ადვილათ მიხვდებოდით, რა მიზეზებისა გამო ვითხოვეთ გაზეთის ნება და არა ჟურნალისა. ჩვენის აზრით გაზეთი უფრო სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხისათვის, მინამ ჟურნალი. ჟურნალის დიდს სტატიებს ვერ ერეოდენ ჩვენი ბოუმზადებელი მკითხველები, გაზეთის მოკლე სტატიები, რა საკვირველია, უსწავლელს კაცს გაზეთის ახალ-ახალი ან ხშირათ ცხოვრების შესახები ამბები უფრო გაართობს, მინამ გრძელი ტრაქტატი რომელიმე საგანზედ. გამოცემა გაზეთისა, უეჭველია, უფრო ადვილია, მინამ ჟურნალისა. სხვა რომ არა. ვთქვათ, გაზეთში ხან და ხან ორიგინალური სტატია რომ არ იყოს, არაფერია, უიმისოთაც შეიძლება გასართობი და საინტერესო იყოს, მაშინ როდესაც ჟურნალში თუ ერთი ორი სტატია არ იქმნა ნამდვილი, რაღა ჟურნალი იქნება. ამასთანავე ჟურნალში საპოლიტიკო ნაწილის ნებას ხოშ არადროს არ მოგვცემდენ. ნუ დაივიწყებთ იმას, რომ ჩვენ გაზეთთან დამატება გამოვა წიგნებათ, რომელმაც უნდა აასრულოს ჟურნალის ვალი, რადგანაც ამ დამატებაში დაიბეჭდება გძელი სტატიები. რედაქციის შეძლებაზედ არის დამოკიდებული, რამდენსაც მოახერხებს, იმდენი წიგნი შეუძლია გამოუშვას წელიწადში ამ დამატებისა. კირილე, შენ კარგათ იცი რა არის ჩვენი ხალხისთვის საჭირო და ამისათვის ამაზე მოწერა საჭირო არ არის. თუ რამე გაქვს დაწერილი, ძალიან მადლობელი ვიქმნებით, რომ გამოგვიგზავნიდეთ, ამასთანავე, რასაკვირველია, ამას იქით მეტის ხალისით მოკიდებთ კალამს ხელს. მანდედამ კორესპონდენციებს სხვა და სხვა შესანიშნავ ამბებზედ რომ გამოგვიგზავნიდეთ ხოლმე, მაგას რაღა ემკობინება. წერის დროს აქაური ცენზურა კი უნდა იქონიოთ სახეში. ღონორარზე დათიკოსაც მოვსწერე, თუ რამე ღონისძიება გვექმნება, დაგვერწმუნეთ, პირველათ იმას ვეცდებით, სტუდენტები დავაკმაყოფილოთ“ [1]).

როგორც ამ წერილიდან სჩანს, რედაქციის მთავარ ამოცანას შეადგენდა თანამშრომელთა მობილიზაცია მოეხდინა და რუსეთის ქალაქებში გაბნეული ქართველი ახალგაზრდა ინტელიგენტები ჩაება ლიტერატურულს მუშაობაში. თვით გ. წერეთელი იმავე კ. ლორთქიფანიძეს ახარებს რა ახალი გაზეთის გამოცემის ნებართვის მიღებას, სწერს: „თქვენ ახლა ძლიერ საჭირონი ხართ ჩვენთვისო“. მართლაც, რედაქციამ შესძლო ახალი თანამშრობლების შემოკრება თავის გარშემო და ღირსშესანიშნავი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მუშაობის გაჩაღება. 1866—69 წლებში, როდესაც გაზ. „დროება“ გ. წერეთლის

[1]) იხ. კ. ლორთქიფანიძის არქივი ქუთაისის მუზეუმში.

რედაქტორობით გამოდიოდა, ამ ორგანოს უახლოეს თანამშრომლებად ითვლებოდენ: დიმ. ბაქრაძე, ვ. პეტრიაშვილი, ალ ცაგარელი (შემდეგში პროფესორები), კ. ლორთქიფანიძე, ი. ჭავჭავაძე, ან. ფურცელაძე, მ. ფაზელი (გურიელი), გრ. თარხან-მოურავი, პ. უშიკაშვილი, აკაკი, ნ. ინაშვილი, რ. ერისთავი, ი. ჯანაშვილი, ი. გოგებაშვილი, ნ. ღოღობერიძე, სტ. მელიქიშვილი, ვ. თულაშვილი და მრავალი სხვები. მაგრამ გაზეთის სული და გული, მისი ტონის მიმცემი თვით რედაქტორი გ. წერეთელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი კვირაში ერთხელ გამოდიოდა იგი მაინც მეტის-მეტად დიდ შრომას მოითხოვდა თვით რედაქტორისაგან. იმ ხანებში, როდესაც ჯერ კიდევ პირველად იკიდებდა ჩვენში ფეხს პერიოდული გამოცემის საქმე, გასაკვირი არ არის, თუ ამ პირველი საფუძვლების ჩაყრა მეტის-მეტად ძნელი იყო ახალგაზრდა ლიტერატორისათვის; მას უნდა ეხელმძღვანელა გაზეთის არა მარტო იდეური მხარისათვის, არამედ ტეხნიკურ პირობებისათვისაც, დღე და ღამ სტანბაში ყოფილიყო და ეზრუნა მისი გავრცელებისათვისაც. ოთხი წლის განუწყვეტელმა მუშაობამ იგი მეტად დაჰქანცა და მოასუსტა. 1883 წელს სერ. მესხის დასაფლავებაზე გ. წერეთელი ამბობდა:

„ვერც ერთი თქვენთაგანი იმ საშინელ ჯაფას და თავგანწირულებით ბრძოლას ვერ წარმოიდგენს, რაც მე და ჩემ ამხანაგებს გვინახავს და გამოგვიცდია მესხთან შრომით კვირის კვირამდე, თვისთვეობამდის, დღე და ღამ უძილობა, მუდამ რკინის მტვერში (სტამბაში) ყოფნა და მით სუნთქვა, იმ მძიმე ჰაერით ფილტვების ლპობა". [1]).

1883 წლის „დროების" 31 ივლისის ნომერში ი ვ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი ს წერილში „დროების" მოღვაწეობის პირველი პერიოდი შემდეგი სიტყვებით არის აწერილი:

„4 მარტს 1866 წელს გამოვიდა პირველი ნომერი „დროებისა" გ. წერეთლის რედაქტორობით. ეს ნომერი კარგა მოზრდილი იყო: ფელეტონს თავისი ალაგი ეჭირა, მოწინავე წერილს თავისი, დანარჩენი ნომერი დაეპყრო პოლიტიკას, დაგვიანებულ ტელეგრამებს და მთავრობის განკარგულებას. პირველ მოწინავე წერილში[2]) რედაქცია უხსნიდა მკითხველებს გაზეთის მნიშვნელობას, უხსნიდა, რომ საზღვარ-გარეთ ყოველ ქუჩერსაც კი ჯიბეში გაზეთი უდევსო, თითქო არცხვენდა ამით, თუ ქუჩრები გაზეთებს ჰკითხულობენ, თქვენ უფრო არ შეგეფერითო! მაგრამ საზოგადოება ყრუდ დარჩა და გაზეთს არამც თუ კუჩრები, იმისთანეებიც კი არ ჰკითხულობდნენ, რომელ-

[1]) იხ. „დროება" № 145, 1883 წ.

[2]) „დროების" პირველი მოწინავე წერილი დაწერილი უნდა იყოს სტ. მელიქიშვილის მიერ.

თაც მოცლილი დრო (და ეს მოცლილი დრო ხშირად მთელი დღე იყო) ჭორებისათვის ჰქონდათ გადადებული. მხოლოდ ორიოდ თავგამომეტებული ლიტერატორი შრომობდა მაშინ რედაქციაში და თითქმის გაზეთის ყოველი სტრიქონი რედაქციაშივე იყო დაწერილი. არსაიდამ კორესპონდენციები, არსაიდამ ახალი ამბები, პოლიტიკის წყაროდ მხოლოდ გაზეთი „კავკაზი" და, რაც უფრო საგრძნობელი იყო, არსაიდამ ხელისმომწერლები!.. მკითხველი საზოგადოება თუ იყო სადმე, გულცივად ეპყრობოდა გაზეთს. რა „დროება", რის „დროება", ქართული გაზეთი ვისთვის რა საჭიროა! ჰქადაგებდა არა ერთი და ორი, ჰქადაგებდნენ მრავალნი და ამ გულცივობით გულს უკლავდნენ იმათ, ვინც იტანდა ამ საზოგადო საქმისათვის სიმშილს, წყურვილს, უწყალო, განუწყვეტელ შრომას და თან ყოველს ამაზე კიდევ უარესს საზოგადოების გულგრილობას, უმადურობას!.. დროება გამოიცვალა და შეეცვალა სახე „დროებასაც". პროვინციებში აქა-იქ გამოჩდნენ ცხოვრების ნიჭიერ დამკვირვებელნი და თავიანთ ნაშრომით გაუნახევრეს წვალება რედაქტორსა და უმთავრეს თანამშრომლებს მართალია, ბევრ კორესპონდენციას შესწორება, წაშლა-წამოშლა, როგორც ამბობდენ, გაშალაშინება ეჭირვებოდა, მაგრამ სამაგიეროდ გაზეთს უფრო ჩვენებური სახე მიეცა, პოლიტიკა თვის კალაპოტში ჩაჯდა და გაზეთს გაზეთობა დაეტყო".

ასეთს პირობებში უხდებოდა პირველ ხანებში მოღვაწეობა გ. წერეთელსა და მის რედაქტორობითა და უახლოესი თანამშრომლობით გამოსულ გაზ. „დროებას". ნიჭიერმა რედაქტორმა დიდი ტანჯვა და ენერგია დახარჯა, რომ გაზეთი ფეხზე დაეყენებია და ჯერ კიდევ მოუბზადებელი საზოგადოების ყურადღება დაემსახურებია.

„დროების" მატერიალური მდგომარეობისა და გავრცელების შესახებ საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს გრ. თარხან-მოურავი ერთ თავის წერილში 1871 წ. ამ ცნობებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ „დროებას" 1866 წ. ყოლია 400 ხელისმომწერი; 1867 წ. 350; 1868 წელს—330; 1869 წ.—დაახლოებით 300; 1870 წ.—243 თარხან-მოურავი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „დროების" მატერიალური მდგომარეობა იმ მხრივადაც იყო უმწეო და მეტის მეტად სამწუხარო, რომ ყველა ხელისმომწერს არ შემოქონდა თავისი ხვედრი თანხა; ასე მაგალითად „დროებას" ოთხი წლის (1866—1870 წ.) განმავლობაში დაკარგვია ხელისმომწერლებისაგან 3,058 მანეთი. ამავე 1866—1870 წლებში გაზეთს უნდა შემოსვლოდა ხელისმომწერლებისაგან დაახლოებით 11,361 მანეთი; ფაქტიურად კი შემოსვლია 8.309 მან. „სჩანს, რომ თითქმის მეოთხედი შემოსავალი აღარ იცის კაცმა რა იქნა, სად დაიკარგა"; უკეთ რომ ვსთქვათ, ეს „მეოთხედი ნაწილი" ხელისმომწერლებს არ შემოუტანიათ. დღეს, როდესაც ქართულ გაზეთის ტირაჟმა 80.000-დე მიაღწია, რასაკვირველია, გაზეთის 300-400 ექზემპლიარის გამოცემა ვერავითარ შთაბეჭდილებას

ვერ ახდენს: მაგრამ ეს მინიმალური რიცხვი იმ პერიოდს ეკუთვნის როდესაც ჩვენში პირველად იკიდებდა ფეხს გაზეთის გავრცელების საქმე. იგივე თარხან-მოურავი შემდეგ საინტერესო ცნობას იძლევა:

„ეხლა კი ვნახოთ, როგორ ვრცელდება საზოგადოებაში „დროება"— 1868 წ. გამოდიოდა 330 ეგზემპლიარი, და მცხოვრებლების რიცხვი კი თფილისის გუბერნიაში ქართველებია 336,000.—ამ 330 ხელისმომწერლებიდან უნდა გამოვრიცხოთ ის რიცხვი, რამდენთაც მისდის ქუთაისის გუბერნიაში „დროება", თბილისის გუბერნიაში გამოიწერება მხოლოდ 148 ეგზემპლიარი, ესე რომ თითქმის 2,269 სულზედ მოდის ანგარიშით 1 ნომერი „დროებისა". აქედან სჩანს, რომ 2.269 კაცი აძლევს წელიწადში 7 მანეთს, — ესე იგი თითო კაცზე მოდის 1/4 კაპ. მაშასადამე უნდა შეიკრიბნენ ოთხი კაცი და გამოიმეტონ მხოლოდ ერთი კაპ., რომ წლითი წლამდე ჰკითხულობდნენ ყოველ კვირას თითო ნომერს „დროებისას".—უეჭველია, რომ საზოგადოების ამ გვარის თანაგრძნობით ჩვენი ლიტერატურა ვერ ნახავს წარმატებას. წინააღმდეგ ამისა, უნდა ვსთქვათ, რომ „დროება" თავის მოვალეობას ასრულებს დიდის მეცადინეობით და თავის საქმის ერთგულებით... ესეც უნდა მივაწეროთ მის რედაქციის განსაკუთრებულ ენერგიას" 1).

მაგრამ მატერიალურ სივიწროვესთან ერთად გაზეთის წინააღმდეგ მიმართული იყო მაშინდელი სასტიკი ცენზურა და მემამულეების მხრივ დევნა. გაბატონებულმა წრეებმა სამართლიანად დაინახეს „დროებაში" მათ საწინააღმდეგოდ მიმართული აზრები და დევნაც დაუწყეს მას; 1871 წლის ნომერში ვკითხულობთ:

„სამწუხაროა საზოგადოებისაგან ლიტერატურის მნიშვნელობაზე ამისთანა უსაფუძვლო შეხედულება. მაგრამ კიდევ უფრო მომეტებული სამწუხარო ისაა, რომ ზოგიერთები, თავის ცხოვრებისა და მოქმედების გაკიცხვა რომ არ გაიგონონ, მზათ არიან რითიმე ავნონ ამ ლიტერატურას, ან თუ შეიძლება სრულიაც მოსპონ საზოგადო ნაკლულევანების მაჩვენებელი გაზეთი ან ჟურნალი. ამას ჩვენ უსაფუძვლოთ არ ვამბობთ: ამას წინეთ „დროებაში" ერთი უეზდიდამ კორესპონდენცია იყო დაბეჭდილი, რომელშიაც ჩვენი კორესპონდენტი (ხვათაშორის ამბობდა, რომ აქაური ნაბატონეები ავიწროებენ გლეხებსო, დაჭირების დროს ერთობ ძვირათ მიჰყიდეს იმათ პურიო და სხვ. ამ ამბის გამჟღავნებამ ისე ააღელვა თურმე ზოგიერთი ადგილობრივი მამულის პატრონები, რომ ერთს თუ ორს იმათგანს წინადადება მიეცა სხვებისათვის, რომ ყოველი ღონის-ძიება ვიხეპაროთ, რომ გაზეთი მოისპოსო"... 2) (შემდეგ ცენზორის მიერ არის ამოღებული ს. ხ.).

ასეთს ატმოსფერაში უხდებოდათ „დროების" რედაქტორებს გ. წერეთელსა და სერ. მესხს თავიანთი ლიტერატურულ-საზოგადო-

1) გრ. თარხან-მოურავი: „დროების" და „მნათობის" ღონის-ძიება და საზოგადოების თანაგრძნობა ლიტერატურისადმი" „დროება" № 2, 1871 წ.

2) იხ. „ჩვენი მკითხველი საზოგადოება და ლიტერატურა"—„დროება № 20, 1871 წ.

ებრივი მუშაობის წარმოება. მიუხედავად ამ მძიმე პირობებისა, მათ შესძლეს უდიდესი როლის თამაში ჩვენი ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში.

მაგრამ რედაქტორის საქმიანობასა და გაზეთის საქმის შესაფერისს სიმაღლეზე დაყენებას ხელს უშლიდა უმთავრესად მაშინდელი სასტიკი ცენზურული პირობები. მკვლევარმა თუ ამ გარემოებას არ მიაქცია არსებითი ყურადღება, მისთვის სრულიად გაუგებარი დარჩება „დროების“ პოლიტიკური პროგრამის არსებითი შინაარსი და ძლიერ დასცილდება ისტორიულ სინამდვილეს. როგორც ვწერდით. „დროების“ პირველ რედაქტორს სასტიკ რეაქციის პერიოდში მოუხდა მუშაობა და ამან თავის გავლენა მოახდინა გაზეთის შინაარსზე; გაზეთს პირდაპირ აკრძალული ჰქონდა პოლიტიკურ საკითხებზე წერა და მსჯელობა. რედაქტორი იძულებული ხდებოდა თანამშრომლებისათვის შესაფერისი დარიგებანი მიეცა. 1866 წ. იმავე კ. ლორთქიფანიძეს იგი სწერდა:

„მაგრამ ამას კი ძალიან გეხვეწები წერილებში აზრები დაფარო ისე, რომ ბეც კაითმაზოვის თვალებს არ შეეჩხიროს, თორემ უეჭველად ამოშლის და სტატიას ძალა დაეკარგება“. რომ მკითხველმა ნათელი წარმოდგენა იქონიოს მაშინდელ ცენზურულ პირობებზე, მოვიყვანთ აქ ცენზურულ კომიტეტის ერთ განკარგულებას მთლიანად. 1874 წ. ცენ. კომიტეტიდან სწერდენ გაზ. „დროების“ დროებით რედაქტორს კ. ლორთქიფანიძეს, შემდეგს:

„Государь великий князь наследник разрешил издание редактируемой вашим сиятельством газеты „Дроеба“, приказать изволил, чтобы обозрение текущих политичсских известий было перепечатываемо только из оффициалных газет: „Русский Инвалид“, „Северная почта“, „Правительственный Вестник“ и „Кавказ“, о чем сообщено бывшим редакторам газеты „Дроеба“ г. г. Меликову и Церетели отношением цензурного комитета от 5 января 1866 года за № 5.—Между тем цензурою неоднократно замечено, что в политическом отделе газеты „Дроеба“ допускаются не только известия, заимствуемые из других неоффициальных газет, но и самостоятельные сообщения политического характера в форме корреспонденции и даже нередко суждения по поводу того или другого политического явления. Хотя подобное нарушение программы, однажды преподанной редакции к руководству, не раз ставилось ей на вид, но в следствие продолжающегося и поныне такого нарушения, цензурный комитет считает необходимым подтвердить вашему сиятельству о точном исполнении разрешенной редакции программы, на основании которой политический отдел газеты „Дроеба“ должен заключать в себе одно только факти-

ческое изложение политических известий, без всяких суждении со стороны редакции по поводу их и известия эти должны быть заимствованы только из оффициальных газет. Для удостоверения же цензуры в этом отношении комитет просит ваше сиятельство в представляемых на цензуру корректурных листах под каждым сообщаемым известием указывать № газеты, из которой таковые будут заимствованы" [1]).

ამ დოკუმენტს კომენტარიები არ ესაჭიროება: იგი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი მაგარი არტახებით იყო შეკრული „დროების" რედაქცია; მას არც უფლება არც საშვალება არ ჰქონდა გამოეთქვა თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა, შეეფასებია მიმდინარე საზოგადოებრივი ვითარება ისე, როგორც ამას მოითხოვდა მისი მწამსი და მისწრაფებანი. მაგრამ თუ რაიმე პოლიტიკურ აზრებს აპარებდენ გაზეთში—ეს ხდებოდა დიდი ტაქტითა და სიფრთხილით—„აზრების გამოთქმით ისე, რომ ბეც ცენზორებს არ შეჩხირებოდა თვალებში". მაგრამ ამ მძიმე პოლიტიკურ ატმოსფერის საუცხოვო სურათს იძლევა გ. წერეთელი ერთ თავის კერძო წერილში კ. ლორთქიფანიძისადმი. ამ წერილში ავტორი მიგვითითებს იმ აგრესიულ-რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე, რომლის გატარებას შეუდგა მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლაევიჩი ამიერ-კავკასიაში და რომელმაც შემდეგ, 80-იან წლებში დონდუკოვ-კორსაკოვის დროს უმაღლეს წერტილს მიაღწია. მოგვყავს ეს წერილი მთლიანად.

საყვარელო ძმაო კირილე!

მიკვირს ეს ორი წელიწადია, რომ შენგან წიგნი არ მომსვლია. იქნება მიწყრები; მაგრამ ჩვენ შორის წყრომას ადგილი არ ექნება; მაშ რას უნდა მივაწერო შენი აგრეთი გულ გრილობა?.. გაზეთზედ რატომ არას იწერები. იქნება ღირსად არა ხდი, რომ იმაზედ რაიმე ყურადღება მიაქციო; მაგრამ ამას კი გეტყვი. — თუ საზოგადოთ დაწინავებულის კაცის აზრში ჩვენს გაზეთს მართალია ბევრი ნაკლულევანება აქვს, მაგრამ მით უფრო მოსწონს ის ჩვენს საზოგადოებას. ამ ბოლოს და ბოლოს განსაკუთრებით უფრო და უფრო მიიზიდა მკითხველები. კვირა არ გაივლის, რომ ხელის მომწერი არ მიემატოს. ახლა მე ვგონებ, 400-ზედ მეტი უნდა იყოს ხელის მომწერი, გეუბნები ვგონებ, იმისთვის რომ მართლად არ ვიცი, რადგანაც ეს საქმე უფრო გამომცემლებს შეეხება და მე ამ საქმეში კომპეტენტი არა ვარ. ახლა ორიოდე სიტყვა ჩვენს გარემოებაზედ უნდა გითხრა. ვიდრე ის დიდ შემთხვევა [2]) აღმობრწყინდებოდა პეტერბურგის არეზედ, ჩვენი ძველი

[1]) დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში.

[2]) ავტორს მხედველობაში აქვს კარაკოზოვის ტერორისტული თავდასხმა ალექსანდრე მეორეზე 1866 წ. 4 აპრილს. ხ. ხ.

ბაც იმდენად სულ შეხუთული არ იყო. თუმცა კი ხალხობას აშკარად სდევნიდენ მაშინაც და ნეველროვმა, რომელსაც ჩვენ აქ „ციკლოპსა“, ვეძახით და ნამესტნიკის ხელქვეით პირებმა შეადგინეს ერთი პროექტი, რომელსაც აზრში აქვს აღმოფხვრას ჩვენი სახსენებელი საქართველოს არეზედ. მაგრამ მაინც კიდევ როგორც იყო უფრო თავისუფლად ვიბამდით (?) სულსა; ეხლა კი სრულებით შევიბორკილენით გონიერებით. არავითარის ხეირიანის აზრის გამოთქმის ნებას არ გვაძლევენ, აგრეთვე მთავრობის განკარგულებაებშიაც იმისთანა ბრძანებანი გაიცა, რომ სრულებით ლამის, ჩვენს ქვეყანაში, ან წყვდიად სიბნელე მოჰფინოს და ან რუსეთის კამარა თავს გადმოგვახუროს. ჩვენებურს აფიცრებს უთხრეს ან რუსეთში წადით სამსახურში და ან სულ სამსახურიდგან გამოდითო. ეტყობა, იმედი არა აქვთ იმათზედ. ქართულს ენას სდევნიან; ამტკიცებენ სტატიებით რომ მეგრელები სულ სხვა ტომისანი არიანო და უნდა სხვა გვარი ანბანი შევუდგინოთო. ზევით რომ პროეკტი გითხარი იმის აზრი აი რას შეიცავს.—უნდათ მასწავლებლების სემინარია დაარსონ. ამ სემინარიაში მიიღებენ სასულიერო სემინარიის ყმაწვილებს, როდესაც ისინი იქ სწავლას შეასრულებენ. ზემოხსენებულს მასწავლებლების სემინარიას უნდა ეწოდოს „учительская семинария“ ამ სასწავლებელში ქართული ენა არ უნდა იყოს. როდესაც ამ სასწავლებელში შეასრულებენ სწავლას ყმაწვილები, შემდეგ იმათ გააგზავნიან მასწავლებლებათ „სასოფლო სკოლებში“, სადაც იმათ გლეხების ყმაწვილებს უნდა ასწავლონ რუსული წერა-კითხვა და ლაპარაკი: ქართული კი არას გზით არ უნდა ასწავლონ. ასე ამრიგად მთელი ხალხობა უნდათ გაარუსონ. თვით ჩვენი საზოგადოებაც ისე მიძინებული და შეშინებულია, რომ ან არას გრძნობს და ან თუ გრძნობს შიშისაგან ხმა ვერ ამოუღია, ამ გვარს მდგომარეო აში მითხარით რა უნდა ვქნათ? ნუთუ ყოველი ჩვენი ახალგაზრდათაგანი მადაურ ჰაერს უნდა შეაჩერდეს და სამშობლოსთვის არ უნდა იფიქროს? — ვერიდოთ ძმაო, რომ მყობადში დედ-მამის მკვლელი არ დაგვიძახონ. ახლა ღვთის მადლით ტფილისში შეუძლიან ყოველს ჩვენთაგანს, თუ მეტს არ გამოვეკიდებით, თავისის შრომით დარჩეს, კანდიტატის დიპლომიც რომ არ ქონდეს. თუ არ ჩამოდით და არ მოგვეხმარეთ ძლიერ სასაშიშრო მდგომარეობაში არის ჩვენი საქმე; „ქართველი დაეცა მოსხლეტით და დღითი დღე ეპარება იმას სიცოცხლე“. აქ ამბავი მოგვივიდა რომ სვიმონ წერეთელი და ბევრი ჩვენი ყმაწვილებთაგანი დაიჭირესო. მართალია თუ არა?

შენი ძმა გიორგი წერეთელი.

ტფილისი, 3 ივლისს, (1867 წ.)

ასეთს პოლიტიკურ ატმოსფერაში გამოვიდა და მოღვაწეობდა „დროება“. რასაკვირველია, დროს თავისი დაღი დაასვა ამ გაზეთს და არ მისცა მას თავისუფალი გაშლის საშვალება. მიუხედავად ამისა გ. წერეთლის რედაქტორობის პერიოდში (1866—69 წ.) ამ გაზეთმა მეტად დიდი კულტურულ-პროგრესიული როლი ითამაშა. და შემოიკრიბა თავის გარშემო ახალი სასიცოცხლო ძალები 1869 წელს ახლად შემდგარმა ჯგუფმა (ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი და

სხვ.) რედაქტორობა სერ. მესხს გადასცა, ხოლო გ. წერეთელი დარჩა მისი უახლოესი თანამშრომელი. 1869—73 წლებში, 1868—73 წ. იგი რედაქტორობდა „სასოფლო გაზეთს", 1871—73 წლებში „კრებულს". 1873-77 წლებში გ. წერეთელი საზღვარგარეთ იმყოფებოდა და იშვიათად თანამშრომლობდა „დროებაში". „დროებას" იგი დაუბრუნდა 1879 წ., მაგრამ რამოდენიმე თვით თანამშრომლობის შემდეგ დასცილდა მის რედაქტორს და იმ ხანებში უმთავრესად რუსულ გაზეთებში დაიწყო თანამშრომლობა. სერგეი მესხი „დროებას" რედაქტორობდა 1869—83 წლების განმავლობაში [1]). 1883 წელს, საშინლად დაქანცული და სასიკვდილოდ დაავადმყოფებული ს. მესხი (გარდაიცვალა იმავე წელს), შესცვალა ივ. მაჩაბელმა, რომელიც „დროებას" რედაქტორობდა 1883—85 წლებში. 1885 წელს ადგილობრივი მთავრობის განკარგულებით გაზ. „დროება" დახურეს.

გ. წერეთლის რედაქტორობის დროს გაზეთის გამომცემელი იყო სტ. მელიქიშვილი (1841-86) და იგი იბეჭდებოდა მელიქიშვილისავე სტამბაში. 1872-83 წლებში „დროების" გამომცემელნი იყვნენ თვით რედაქტორი სერ. მესხი (1844-83) და იგივე სტ. მელიქიშვილი; 1883-85 წლებში გ. ქართველიშვილი. (1830-1901 წ).

გაზ. „დროება" 1874 წლამდე კვირაში ერთხელ გამოდიოდა პარასკევობით; 1875—1877 წლებში კვირაში სამჯერ—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით; 1877 წელს პირველ ივნისიდან—ყოველდღე.

4. გ. წერეთლის 1862—1868 წ. ნაწერები

როგორც მკითხველმა უკვე იცის, ამ პირველ ტომში ჩვენ მოვათავსეთ გ. წერეთლის 1862—68 წლის პუბლიცისტური ნაწერები; ძალიან მცირედის გამონაკლისით ყველა ეს წერილი მის ორიგინალურ შრომებს წარმოადგენს. მაგრამ ამ ტომში არ შესულა მისი ბელეტრისტული ნაწერები და ნათარგმნი წერილები. მკითხველს რომ სრული წარმოდგენა ჰქონდეს გ. წერეთლის 1862—68 წლების ლიტერატურული მუშაობის შესახებ, ჩვენ საჭიროთ დავინახეთ ამ ტომშივე გამოგვექვეყნებია სია აღნიშნულ პერიოდის მისი ბელეტრისტული და ნათარგმნი ნაწერებისაც.

[1]) აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1873 წლის ოქტომბრიდან 1874 წლის ოქტომბრამდე, როდესაც ს. მესხი საზღვარგარეთ იმყოფებოდა ცოდნის გასაფართოებლად და ევროპის ცხოვრების გასაცნობად. „დროების" დროებით რედაქტორად კ. ლორთქიფანიძე (1839-1918) ითვლებოდა. 1880-81 წლებში გაზ. „დროება" და ჟურ. „ივერია" გაერთიანდა და ამიტომ „დროების" რედაქტორებათ ითვლებოდენ: სერ. მესხი და ი. ჭავჭავაძე.

I. მხატვრული ნაწერები

1. მონადირის ნაამბობი—რამოდენიმე სიტყვა ტიგრზედ.—(„დროება“ № 42, 1866 წ.)

2. მგზავრის წიგნები—(„დროება“ № 12, 13, 15, 36, 37, 39, 1867 წ.)

3. ფლიდეთელ მოხუცის ნაამბობი — ზღაპრული მოთხრობა—(„დროება“ № 19, 1867 წ.)

4. კლოდ გო—თხზულ. ვიქტ. ჰიუგოსი—(„დროება“ № 15, 16, 17, 1868 წ.)

5. *** ლექსი რუსულით—(„დროება“ № 32, 1868. წ.).

6. რამოდენიმე სურათი მოთხრობიდგან „გვრიტია“—(„დროება“ № 40, 41, 42, 43, 1868 წ.)

7. ბაკურაძე და იმისი გლეხი პეტრიელა—(„სასოფლო გაზეთი“ № 34, 35, 1868 წ.)

8. თათიას სიკვდილი და ბაკურაძის ყმების შეშინება—(„სასოფლო გაზეთი“ № 37, 1868 წ.)

9. საპრელი მომკალი ქალი—მერკანტინისა—(„დროება“ № 46, 1868 წ.)

10. ვილგელმ ტელიდან—შილერით—(„დროება“ № 52, 1868 წ.)

აქ მოხსენებული თხზულებანი მოთავსებული იქნება მისი ნაწერების იმ ტომებში, რომელშიაც დაიბეჭდება მხატვრული ნაწერები.

II. ნათარგმნი წერილები

1. პარიჟი ამერიკაში—(„დროება“ № 21, 22, 25, 27, 30, 31, 1866 წ.)

2. ახლგაზრდა დედებს და ყმაწვილ ქალებს:—

I. აღზრდაში შეცდომილება—(„დროება“ № 26, 1866 წ.)

II. ყმაწვილის სიცრუე—(იქვე, № 31).

III. ყმაწვილის თვით-ნება—(იქვე № 32, 33).

IV. ყმაწვილის თავშეკავება—(იქვე № 40, 41).

3. სახელმწიფო და აღზრდა—(იქვე, № 26, 1866 წ.)

4. საშუალო აზიაში მოგზაურობა—(იქვე, № 31, 32 1867 წ.)

5. ენერგია და ახოვნება—(იქვე, № 44, 45, 1867 წ.)

6. გარდინერის პროცესი—(იქვე, № 11, 12, 13, 1868 წ.)

7. ბენუას საქმის წარმოება — (იქვე, № 24, 25, 26, 1868 წ.)

8. ვლადისლავ მიცკევიჩი და მისი მოქმედება პარიზში — (იქვე, № 30, 1868 წ.)

9. ბირგემ იუნგის ქადაგება — (იქვე, № 30, 1868 წ.)

10. სასამართლო და პოლიცია — (იქვე, № 49, 50, 51, 1868 წ.).

აქ მოყვანილი წერილების სია შედგენილია თანახმად გ. წერეთლის ხელნაწერისა, რომლის შესახებაც ზევით ვესაუბრეთ მკითხველს. რასაკვირველია, მისი ნათარგმნი ლიტერატურა 1866—68 წლებში ზემო დასახელებულით არ ამოიწურება. პირველი, — რაც უმთავრესია — აქ არ არის დასახელებული მთელი რიგი წერილებისა „სასოფლო გაზეთიდან", რომელიც უცილოდ გ. წერეთელის ნათარგმნია. მეორე — თვით „დროება"-ში უცხოეთისა და რუსეთის ჟურნალ გაზეთებიდან თითქმის ყოველ ნომერში არის ნათარგმნი; ეჭვი არ არის, ამ თარგმანების დიდი ნაწილი გ. წერეთელის უნდა იყოს, რადგან ის იყო მაშინ „დროების" რედაქტორი, სულის ჩამდგმელი და ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელიც.

როგორც წინასიტყვაობაშიაც ვწერდით, თარგმნილი პუბლიცისტური წერილები გ. წერეთელის ნაწერების სრულ კრებულში არ იქნება შეტანილი.

5. 1863 წლის წერილი

„ცისკარს" რა აკაკანებდა?" დაბეჭდილია 1863 წლის ჟურნალ „საქართველოს მოამბე"-ში (იხ. № V, გვ. 39—61) გ. — თელის ფსევდონიმით. მეორე სათაურად ამ წერილს ჟურნალის გვერდებზე გაკეთებული აქვს: „რამდენიმე სიტყვა ცისკარზედ". ეს წერილი გამოწვეული იყო იმ ცხარე კამათით, რომელიც 1861—63 წლებში ძველ თაობასა და ახალი თაობის ინტელიგენციის შორის სწარმოებდა, როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ეს წერილი არ არის გ. წერეთლის პირველი პუბლიცისტური წერილი: 1862 წლის „ცისკარში" გ. წერეთელმა კ. ლორთქიფანიძესთან და ა. წერეთელთან ერთად მოათავსა წერილი „ახირებული ფურცელი" (იხ. № 5) თავისი მამის ექვ. წერეთლის წინააღმდეგ და ახალი თაობის დასაცავად; ეს წერილი ხელმოწერილი იყო მესამე ტერგდალეულის ფსევდონიმით. სამწუხაროთ გ. წერეთლის ეს პირველი წერილი უფრო გვი-

ან დავადგინეთ, როცა ეს ტექსტი უკვე დაბეჭდილი იყო და ამიტომ პირველი წერილი დამატებაში მოვათავსეთ.

„საქართველოს მოამბე“ მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში გამოდიოდა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით. იგი 60-ანი წლების ახალი თაობის ორგანო იყო. ამ ორგანომ თავის დროზე დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ახალთაობაში. თვით გ. წერეთელი 1897 წ. ამ ჟურნალის შესახებ სწერდა:

„პეტერბურგის სტუდენტობაც აღტაცებით შეხვდა ამ ჟურნალის გამოსვლას. იქიდან მესამე კურსის სტუდენტმა კ. ლორთქიფანიძემ[1]) და პირველი კურსის სტუდენტმა გ. წერეთელმა თავისი ჯერ კიდევ უცდელი კალმის ნაშრომიც მოაწვდინეს ახალ წრეს ღუმანიტარული მიმართულებისას. „საქართველოს მოამბე“-მ დაჰგმო ძველი ბატონყმური დამოკიდებულება, სანტიმეტალურათ შეხედა მან თავის მწერლობაში გლეხის დაჩაგრულს ბედს და შემდეგ ესევე გრძნობა გადაიტანა სამშობლოზედაც. სამწუხაროთ ამ ცოცხალმა მოძრაობამ მხოლოდ ერთი წელიწადი გაატანა“[2]).

ამ ორგანოს მნიშვნელობის შესახებ 1872 წ. ნიკო ნიკოლაძე სწერდა:

„დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ რას ნიშნავდა „საქართველოს მოამბის“ საქმე, მაგრამ არც 1863 წ. იყო ეს დაფარული ვისმესთვის. ყველა გრძნობდა, ყველამ იცოდა, რომ „საქართველოს მოამბე“-ს უნდა ჩაედგა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ახალი დროების სული, ეჩვენებინა ახალი გზა, შეექმნა ახალი სასიყვარულო მიზანი,—მამულის, საზოგადოების სიკეთე და ღირსება. ის მწვავე სიტყვებით დაღვიდა და ჰკლავდა ძველი საზოგადოების უმეცრებას და გულგრილობას საზოგადო საქმისათვის და ქადაგებდა საზოგადო საქმისა და სიკეთისათვის შრომას, თავის დადებას. მაშინ, როგორც ეხლა, ყოველ პატიოსან კაცს მიაჩნდა, რომ მისი უპირველესი ვალი იყო იმ სიტყვის გავრცელება და შისი ძლიერების მომატება ახალგაზრდობაში“[3]).

„საქართველოს მოამბე“ თავის სახელმძღვანელო წერილში სწერდა:

„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია... ჟურნალმა ყოველ აზრის საკეთილო მოძრაობას გზა მისცეს, ყოველიფერი შენიშნოს და ყოველს ფერს

[1]) კ. ლორთქიფანიძის წერილებს „საქართველოს მოამბე“-ში ხელმოწერილი აქვს თერგდალეული.

[2]) იხ. „კვალი“ № 46, 1897 წ.

[3]) იხ. ნ. სკანდელი: „ჩვენი მწერლობა“—„კრებული“ № 12, 1872 წ. იხ. აგრეთვე ნ. ინაშვილის წერილი: „საჭიროა თუ არა ქართული რიგიანი ჟურნალი?“ („მნათობი“ მარტის, 1869 წ.) ამ წერილში იგი ზედმიწევნით დადებითად ახასიათებს „საქართველოს მოამბის“ ღვაწლს.

პასუხი გასცეს,—ერთი სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა და გასამჯობინებლად, გასაკეთებლად. ამ ძნელ საქმეში ჟურნალმა უნდა წაიმძღვაროს წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი.. ჩვენ მეცნიერებსა და ხელოვნებას მოვჰსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარსა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებაებით ცხოვრების ახსნა და გაგებაში; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო. კითხვაზედა" [1]).

როგორც მკითხველიც შეამჩნევს, ეს იდეები ნასესხები იყო რუსეთის 60-ან წლების გონებრივ მოძრაობის სალაროდან და თავისებურად შეფარდებული საქართველოს სინამდვილესთან.

ჟურნალს ექვსი განყოფილება ჰქონდა: წმინდა სალიტერატურო, ისტორიული, საპოლიტიკო და სოფლიური ეკონომია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, სხვადასხვა ამბავი, დამატებანი. სარედაქციო განცხადებაში ვკითხულობთ:

„ისტორიული ნაწილის რედაქტორობა იკისრა უფ. ნიკოლოზ ღოღობერიძემ, სხვადასხვა ამბავისა უფ. დავით ყიფიანმა, საპოლიტიკო და სოფლიური ეკონომიისა უფ. ივანე სერებრიაკოვმა" [2]).

ჟურნალში მონაწილეობას ღებულობდენ: ძველი მწერლებიდან გრ. ორბელიანი, დიმ. ყიფიანი, გ. ერისთავი, იბეჭდებოდა ლექსები ნ. ბარათაშვილისა და ალ. ჭავჭავაძის; ახალ მწერლებიდან—ილ. ჭავჭავაძე, კ. ლორთქიფანიძე (თერგდალეული), დავით ყიფიანი, ვ. თულაშვილი (ვ. თ.), გიორგი ჩიქოვანი, სპირ. ჩიტორელიძე (მიხ. ყიფიანი). ისტორიკოსი სულ. ბარათაშვილი, ლევ. ჯანდიერი, ივ. ბერიძე, პეტრე ნაკაშიძე, გ. წერეთელი (გ—თელი), ბ. ვ. (ვერ გავიგეთ ვისი ფსევდონიმია), დ. ბ. . . ი., ი. ოქრომჭედლიშვილი, მაქსიმ ღოღონაძე, ს. აბაშიძე. კორექტორობას ეწეოდა პეტრე უმიკაშვილი.

გ. წერეთელმა თავისი წერილით მონაწილეობა მიიღო ახალი თაობის ამ პირველ ორგანოში და ხელი შეუწყო ახალი თაობის იდეების გავრცელებას საზოგადოებაში. 1866 წლიდან, როდესაც იგი გახდა გაზ. „დროების" რედაქტორი, უფრო გააღრმავა მარცხნით 1861 წლის ახალი წრის საქმე და მას გარკვეული რადიკალ-დემოკრატიული შინაარსი მისცა.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ პირველ ხანებში ი. ჭავჭავაძესა და გ. წერეთელს შორის კარგი დამოკიდებულება არსებობდა. მაგ-

[1]) იხ. წერილი: „საქართველოს მოამბეზედ"—№ 1, გვ. 121—23, 1863 წ.
[2]) იხ. „ცისკარი" № 10, გვ. 190, 1862 წ.

რამ შემდეგში—რადიკალურად შეიცვალა. 90-ან წლებში ი. ჭავჭავაძე და მისი „ივერია“ ცხარე კამათს აწარმოებდა გ. წერეთლის წინააღმდეგ; ეს კამათი ხშირად „უკადრისი ლანძღვა-გინების“ ხასიათსაც ღებულობდა. არსებითი ხასიათი ამ ბრძოლისა იმ იდეურ წინააღმდეგობაში უნდა ვეძიოთ, რომელიც გ. წერეთლის რადიკალურ-დემოკრატიულ მიმართულებისა და ი. ჭავჭავაძის თავად-აზნაურულ ლიბერალიზმის დაპირისპირებიდან წარმოსდგებოდა. ერთ წერილში გ. წერეთელი სწერდა ილ. ჭავჭავაძეს:

„. . . ერთგან კი ვუმტყუნე ჩემ შეხედულებას იმითი, რომ მე გატაცებული ვიყავი თქვენი (ილია ჭავჭავაძის) მოღვაწეობით, სანამდის ბანკირათ გახდებოდით, მერე კი, უკაცრავათ, ჩამოგეცალეთ, იმიტომ რომ ბანკირობამ სულ სხვა არა-ლიტერატურული ზნეები დაგაჭერიათ“ [1]).

თავის ადგილას ამ ბრძოლის შინაარსიც გაშუქებული იქნება არსებული დოკუმენტების მიხედვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. (გვ. 5.) **ჟურ. „ცისკარი“**—პირველად გამოვიდა 1852 წ. გ. ერისთავის რედაქტორობით. უსახსრობის გამო მისი გამოცემა შესწყდა 1853 წელს. 1857—1875 წლებში იგი გამოდიოდა ივანე კერესელიძის რედაქტორობით. ივ. კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე (1827—1893 წ.) სწერდა, როგორც პუბლიცისტურ წერილებს, ისე ლექსებსაც, მოთხრობებსაც და დრამებსაც, მაგრამ მისი ნაწერები ღარიბი იყო როგორც შინაარსით, ისე გარეგანი ფორმითაც. იგი ლიბერალური აზრების მიმდევარიც ყოფილა, მაგრამ „ცისკარში“ ვერ ახერხებდა თავის აზრების აშკარად გამოთქმას, რადგან ეს ორგანო მსხვილი მემამულეთა სრული გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და უმთავრესად თავად-აზნაურული კონსერვატიზმის გამომსახველი იყო. „. . . ივანე კერესელიძე—როგორც აღნიშნავს ფ. მახარაძე—ბატონ-ყმობის წინააღმდეგი ყოფილა იმ დროს, თუმცა ამას აშკარათ ვერ აცხადებდა. ასე ითქმის „ცისკრის“ ერთ მაშინდელ თანამშრომელთაგანზე, სახელდობ მოლაყბეზე—მიხეილ თუმანიშვილზე“ (იხ. „კვალი“ № 47, 1901 წ.). ამ ჟურნალმა მით გაუწია სამსახური ქართულ აზროვნების წინმსვლელობას, რომ დრო გამოშვებით მასში ახალი მიმართულების წერილები და მოთხრობებიც იბეჭდებოდა (დ. ჭონქაძე, ანტ. ფურცელაძე, აკაკი

---

1) გ. წერეთელი: „ღია წერილი თ. ილია ჭავჭავაძეს“ — „კვალი“ № 17 გვ. 329, 1897 წ.

წერეთელი, ი. ჭავჭავაძე და სხვ.). ივ. კერესელიძის რედაქტორობის დროს ამ ჟურნალის თანამშრომლები იყვენ: გრ. ორბელიანი, ლ. არდაზიანი (მისი ფსევდონიმია: ბიძია თონიკე, გ. ბარათაშვილი, ალექსი ელბაქიძე), იუ. კერესელიძე (ხშირად მოლაყბესაც აწერდა), მ. თუმანიშვილი (ლექსებს—თ აწერდა, ხოლო პუბლიცისტურ წერილებს—მოლაყბეს—ხშირად ამ ფსევდონიმით სხვებიც სწერდენ), დიმ. ყიფიანი (ბაქარ ქართლელი), დ. ბერიევი, გრ. დადიანი (კოლხიდელი), ალ. ორბელიანი, ბარბ. ჯორჯაძისა, რაფ. ერისთავი, გ. დიდებულიძე, ანტ. ფურცელაძე (ქერელი ბექა, ულოლიკო, თავხედი და სხვ)., აკ. წერეთელი, გაბრიელ ეპისკოპოზი, გრ. რჩეულოვი, დიმ. ბაქრაძე, ვიხ. ჩიგიანი, ალ. სავანელი, პ. ჩარექოვი, მ. გურიელი (ფაზელი) და მრავალი სხვანი. „ცისკრის“ გავლენა განსაკუთრებით დაეცა „დროების“ დაარსებით და ახალი თაობის ლიტერატურული მუშაობის გაჩაღებით. „ცისკარმა“ ვერ აართვა ალღო ახალ ეპოქას და მისი გავლენაც საგრძნობლად შემცირდა.

2. (გვ. 5) **„ცისკარი“ იანვარს აქეთ რაღაც ერთობ დატკბა“**—ამ შემთხვევაში ავტორი მიუთითებს „ცისკარის“ განახლებაზე 1863 წლის 1 იანვრიდან. ამ წლიდან „ცისკრის“ უახლოესი თანამშრომლობა იკისრა ანტ. ფურცელაძემ (1839—1913), რომელიც 60-ანი წლების რადიკალური მიმდინარეობის მიმდევარი იყო, ჟურნალში საგრძნობლად შეიტანა ახალი იდეები. მან დაგმო ბატონყმობა, ძველი დახავსებული წყობილება, რეაქციონური მიმდინარეობა და ახალი ცხოვრებისაკენ მოუწოდა საზოგადოებას. ფურცელაძის წერილებში საგრძნობლად იყო გაპარებული რე'პუბლიკანური იდეები. იგი აშკარად ჰქადაგებდა უტილიტარიზმის პრინციპს ესტეტიკისა და ხელოვნების საკითხში. მიუხედავად ამისა, ანტ. ფურცელაძე მაინც სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ. (იხ. „ცისკარი“ № 3, 7, 1863 წ.). და ეს უკანასკნელიც პოლემიკას ეწეოდა მის წინააღმდეგაც. რასაკვირველია, „ცისკრის“ გარდაქმნას ანტ. ფურცელაძე ვერ შესძლებდა და იგი იძულებული შეიქმნა თავი დაენებებია მისთვის. გ. წერეთლის წერილი მიმართული იყო ანტ. ფურცელაძის წინააღმდეგაც. მარტის ნომერში ანტ. ფურცელაძემ უკვე მოათავსა მკაცრი წერილი „საქართველოს მოამბის“ ჯგუფის წინააღმდეგ.

3. (გვ. 5) **იმ გაბასრებულ ჩხუბის შემდგომ**—ავტორს მხედველობაში აქვს ის შეტაკება, რომელიც ახალთაობასა და „ცისკრის“ თანამშრომელთა შორის მოხდა 1861—62 წლებში. მწვავე კამათი და შეტაკება ორჯერ მოხდა: პირველად 1861 წ., როდესაც

„ცისკრის“ აპრილის ნომერში ი. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა თავისი წერილი: „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედ“ (იხ. № 4, 1861 წ.). ამ წერილში ი. ჭავჭავაძემ დაჰგმო „ცისკრის“ მწერლობის მიმართულება და „ახალ რითმების მორახუნეები“ უწოდა მათ. ჭავჭავაძის საწინააღმდეგოდ წერილები მოათავსეს ბ. ჯორჯაძისამ (იხ. № 5, 1861 წ.), გ. ბარათაშვილმა (იხ. № 6, 1861 წ.), რევ. ერისთავმა (იხ № 5), სარდიონ ალექსიევ-მესხიევმა (იხ. № 6, 1861 წ.) და სხვებმა. ი. ჭავჭავაძემ „პასუხი“ გასცა (იხ. № 6, 1861 წ.), რომელსაც მოყვა ბარ. ჯორჯაძის „პასუხის პასუხი“ (იხ. № 9, 1861 წ.) და ამრიგად გაჩაღდა ბრძოლა ორ თაობას შორის. მეორედ— 1862 წ. ბრძოლისა და შეტაკების საბაბად გადაიქცა „ზემოური იმერელის, გორისელი წერეთლის“ წერილი (იხ. № 2, 1862 წ.), რომელიც არსებითად გაგრძელება იყო ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ წარმოებული პოლემიკისა. „ზემოური იმერლის“ წერილს მოყვა ჩვენთვის უკვე ცნობილ სამი თერგდალეულის: კ. ლორთქიფანიძის, აკ. წერეთლისა და გ. წერეთლის მკაცრი წერილები. თერგდალეულებს ვრცლად უპასუხა მოლაყბემ (იხ. № 9, 10, 1862 წ.), რომლის ქვემოც თვით რედაქტორი ივ. კერესელიძე იყო ამოფარებული. ამ კამათში ი. ჭავჭავაძე არ ჩარეულა. კამათის შემდეგი გაგრძელება გადატანილი იქნა „საქართველოს მოამბეში“ 1863 წელს.

ამ შეტაკების მთავარი შინაარსი ენისა და ესთეტიურ-ლიტერატურული საკითხების გარშემო ტრიალებდა; ახალ თაობას, აღზრდილს ბელინსკისა და ჩერნიშევსკის ნაწერებზე და თეორიებზე, აღარ მოსწონდა ანტონ კათალიკოსის „კატეგორიებზე“ აღზრდილ მწერლების სქოლასტიური შეხედულებანი ხელოვნების საკითხში. აქ ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო ესთეტიური თეორია დაუპირისპირდა ერთი მეორეს. ტყუილა არ სწერდა ჭავჭავაძის შესახებ გ. ბარათაშვილი:

„უფ. ჭავჭავაძე ნაცვლად მადლობისა, რომ იმის ლექსებს ყური არავინ ათხოვა, შეემზადა პეტერბურგში, როგორათაც დონკიხოტი, მარცხენა ხელში ეპყრა ფარის მაგივრად ბელინსკის ტომები, მარჯვენაში ლექსიკონი უსწორო სიტყვებისა და ესრეთ დაიარაღებული, გამოილაშქრა საქართველოზე, რათა ძალ-და-ძალ აეღო, დაფნის გვირგვინი“ 1).

ი. ჭავჭავაძემ ახალი თაობის სახელით დაგმო და უარყო ძველი ცრუ-კლასიკური, სენტიმენტალური და სქოლასტიურ-რეაქციონური

1) იხ. „ცისკარი“ № 6, 1861 წ.

მიმდინარეობა ლიტერატურაში; მან აღნიშნა, რომ „თუ „ცისკარი“ უვარგისია კიდევ თქვენგან, ყვავებო ფარშევანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორნის ჩხავილით“. ჭავჭავაძე სწერდა:

„რა საჭიროა ეხლა ან ჩვენ ლიტერატურისათვის, ან ხალხისათვის სენტიმენტალურ სკოლის მწერლების გაცნობა?.. იქნება ფიქრობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, რუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცთომილება?! თუ ამას ფიქრობენ მაშ ისტორიას აღარა აქვს თავის დიდი მნიშვნელობა, ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანვე გვასწავლის ჭკუასა, როგორ უნდა მოვიქცეთ. წინა-კაცსა უკანა მომდევარი იმისთვის უყურებს, რომ, ვინიცობაა, წინამ ფეხი წამოკრას და ყირაზე გადაიაროს უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს. მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ. რაც მამა-პაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათო - ეგ ჩინეთის ფილოსოფია არის; თუ მაგას მივყევით, ჩვენც ჩინებსავით შევსდგებით ერთ ადგილზედ და წინ ფეხს ვეღარ წავსდგამთ“ (იხ. „ცისკარი“ № 4, 1861 წ).

ამით ახალი თაობის ინტელიგენციამ სასტიკად დაგმო რა ძველი ლიტერატურული მიმდინარეობანი, საინტერესო დებულება წამოაყენა იმის შესახებ, რომ ქართველმა ხალხმა გვერდი აუაროს წარსულ დროთა სიცრუესა და ცდომილებას და პირდაპირ გამოიყენოს დაწინაურებული ერების მაგალითები; ამით მან გამოაშკარავა მთელი რეაქციონერობა და შეუსაბამობა „ცისკრის“ მიმდინარეობისა. ჭავჭავაძე სწერდა:

„ნუ თუ მართლა რაც „ცისკარში“ იწერება საქართველოს ხალხის ფიქრია, ჭკუაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუ თუ მართლა „ცისკარში“ ჩვენი განვითარებაა, ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუ თუ მართლა ეგრე დაეცა რუსთველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე ჭკვიანობს? მეც ძაგასა ვჩივი და ვსტირი, რომ არა, ათასჯერ არა, მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბლაჯნის, აღარ ბლაჯნოს, რადგან ეგინი თავის ბლაჯნითა ამდაბლებენ ჩვენს ენას. მე იმისთვის ვლაპარაკობ აგრე სასტიკად, პირმოუფერებლად, რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლელნიც თავის ოთახიდან ფეხს ნუ გამოსდგამენ გარეთ, ლიტერატურაში. ამას გთხოვთ ხალხის სახელითა, ხალხისავე სახელის დაცვისათვის.“ (იხ. „ცისკარი“ № 6, 1861 წ.).

ასე სწერდა ილია ჭავჭავაძე „ცისკრის“ მწერლების შესახებ. ეს სასტიკი დაგმობა იყო არა მარტო უნიჭო მწერლებისა, არამედ მთელი მათი მიმართულებისაც. ახალი თაობის მწერლებისათვის მხატვრობა, ლიტერატურა, მუსიკა გამომხატველი უნდა ყოფილიყო რაიმე ახალი აზრისა, იდეისა, მისწრაფების. მწერალს უნდა აესახა

ცხოვრება და ეჩვენებია ხალხისათვის ახალი იდეები, ჭავჭავაძე სწერდა:

„...ეგ მექანიკური მიკერ-მოკერებაა ენაში, როგორც კნ. ბ. ჯორჯაძის ლექსებ; ეგ ხელოსნობაა და არა ხელოვნება. ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა; მუსიკა, მხატვრობა, პოეზია—ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეიას, მხოლოდ იმით განიყოფიან რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალასა ხმარობენ, როგორც მუსიკა—ხმასა, მხატვრობა—ხაზსა, პოეზია სიტყვასა“ (იხ. „ცისკარი“ № 6, 1861 წ.).

ასე დაეტაკა ხელოვნებისა და ესთეტიკის საკითხში 1861 წ. ძველი და ახალი თაობა ერთი მეორეს. მაგრამ ესთეტიკისა და ხელოვნება-ლიტერატურის საკითხი მხოლოდ ერთი მხარე იყო მათი ბრძოლისა, შემდეგში იგი გაღრმავდა და მთელი მათი მსოფლმხედველობა დაუპირდაპირდა ერთი მეორეს; მაგრამ ამ თაობათა ბრძოლაში, როგორც ვწერდით, ორი სოციალური აზროვნება ებრძოდა ერთი მეორეს: დრომოჭმული, მიმავალი, ისტორიის მიერ განწირული—თავად-აზნაურული წოდების აზროვნება და მომავალი ახალი ცხოვრების მეთაური—ბურჟუაზიული აზროვნება.

როგორც აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის მიერ დაწყებული ბრძოლა 1862 წელს განაგრძეს თერგდალეულებმა (კ. ლორთქიფანიძემ, აკ. წერეთელმა, გ. წერეთელმა) და შემდეგ იგი უფრო გაღრმავდა „საქართველოს მოამბეში“.

4 (გვ. 5) **ექვსი წლის ნაღვაწი**—იგულისხმება ჟურნ. „ცისკრის“ მოღვაწეობა 1857—63 წლებში, როდესაც იგი ი. კერესელიძის რედაქციით გამოდიოდა.

5. (გვ. 6)... **ნამეტურ ორის წლის წინიდამ დაწყებული იანვრამდინ მაინც. „ცისკარი“ თითქოს სამუდამოდ გამოეთხოვა მოსვენებას**—ავტორს მხედველობაში აქვს ის ბრძოლა, რომელიც 1861 წლიდან დაიწყო ახალთაობის ინტელიგენციამ „ცისკრის“ წინააღმდეგ და ის არევდარევა და შიში, რომელსაც განიცდიდა რედაქცია ამ შემოტევისაგან.

6. (გვ. 7) **მოლაყბე**—პირველად ამ ფსევდონიმით „ცისკარში“ სალაყბო ფურცლები მოათავსა პოეტმა და პუბლიცისტმა მიხეილ თუმანიშვილმა (1818—75.); მან მხოლოდ სამი წერილი მოათავსა ამ ფსევდონიმით „ცისკარში“ (იხ. № 11 და 12, 1857 წ; და № 1, 1858 წ.) ამის შემდეგ იგი აღარ თანამშრომლობდა „ცისკარში.“ მაგრამ შემდეგში მოლაყბე—თუმანიშვილს

თავისი მიმდევრები გასჩენია და იმათაც მოლაყბის ფსევდონიმით დაუწყიათ წერა. ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია, რომ მოლაყბის ფსევდონიმით „ცისკარში“ მხოლოდ მ. თუმანიშვილი სწერდა (იხ. ჯორჯაძე ტ. VI) ეს შეცდომაა და ამის საწინააღმდეგო საბუთებიც საკმაოდ არსებობს. 1863 წ. „ცისკრის“ რედაქტორის ივ. კერესელიძის საპასუხოთ გაბრიელ სულხანოვი სწერდა:

„თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ მ ო ლ ა ყ ბ ი ს ს ა ხ ე ლ ი თ ა ბ ე ვ რ ი სხვადასხვა კაცი სწერდა თქვენს ცისკარში; ისიც კარგად იცით რომ პიველი ორი სტატია, ერთი მათგანია 1857 დეკემბრის და მეორე 1858 იანვრის ცისკარში მოლაყბის სახელით რომ დაიბეჭდა, ასეთი კარგნი იყვნენ, რომ მრავალნი მბაძავნი გააჩინეს და იმ მიმბაძველებმა მოლაყბის სახელით დაიწყეს წერა. იმათში მგონი თითონ თქვენც (ივ. კერესელიძეც. ს. ხ.) ერიენით. მაგრამ ეს მიმბაძავნი განირჩევიან იმ პირველ მოლაყბესაგან (ავტორს მიხ. თუმანიშვილი ყავს მხედველობაში. ს. ხ.) რომელმაც იმ ორი სტატიის (უნდა იყოს სამი სტატიის. ს. ხ.) შემდეგ ერთი სტრიქონიც აღარ აღირსა თქვენს ცისკარსა“ (იხ. „შენიშვნა“ გაბრიელ სულხანოვის, „საქართველოს მოამბე“ № VII გვ. 105—06, 1863 წ.).

როგორც სჩანს ახალთაობის ინტელიგენციას ძლიერ მოსწონებია მოლაყბე-თუმანიშვილის წერილები, რომელიც მან 1857—58 წლებში გამოაქვეყნა (იხ. ამის შესახებ „ცისკარი“ № 9, გვ. 38 1862 წ. თერგდალეულის წერილი და № 7, გვ. 370—71, 1863 წ., სადაც გამოქვეყნებულია ი. ჭავჭავაძის 1858 წლის წერილი გ. სულხანოვისადმი).

ახლა კითხვა იბადება: ვინ სწერდენ მ. თუმანიშვილის შემდეგ მოლაყბის ფსევდონიმით. სამწუხაროთ თავის წერილში გ. სულხანიშვილი პირადათ მხოლოდ ივ. კერესელიძეზე მიგვითითებს და სხვებს არ ასახელებს. თავის „მოგონებაში“ აკაკი ამბობს, რომ „სალაყბოში, რომელსაც გ ა ბ ო ს უ ლ ხ ა ნ ი შ ვ ი ლ ი სწერდა, ბევრერია ხოლმე ლავრენტი არდაზიანის ოხუნჯობაცო“ (ტ. 1, გვ. 85.). სულხანოვზე თავის ზემოდ დასახელებულ წერილში ი. ჭავჭავაძეც მიგვითითებს, მაგრამ თვით სულხანოვის წერილიდან ირკვევა, რომ მ. თუმანიშვილის წერილები ჰგონებია ილიას სულხანოვის წერილები. (იხ. „საქ. მოამბე“ № VIII, 1863 წ.). თვით სულხანოვი არ ამბობს, რომ იგი მოლაყბის ფსევდონიმით სწერდა. შეიძლება აკაკიმ ძველი შთაბეჭდილებით—იმ შთაბეჭდილებით, რომელმაც ილია შეიყვანა შეცდომაში,—მიაწერა მ. თუმანიშვილს მოლაყბის ფსევდონიმი —არის კიდევ ერთი ცნობა, რომელიც ამბობს, რომ მოლაყბის ფსევდონიმით გრ. რჩეულოვიც სწერდაო.

ყოველ შემთხვევაში, ერთი უდაოა, რომ მოლაყბის ფსევდონიმით ივ. კერესელიძეც სწერდა და მან გასცა პასუხი თერგდალეულს (კ. ლორთქიფანიძეს), რომელმაც 1862 წლის „ცისკარში“ (№ 9) მოათავსა წერილი: „ორიოდე სიტყვა „ცისკარზე“ და ახალის ჟურნალის სარგებლობაზედ“. მოლაყბემ ე. ი. ივ. კერესელიძემ ეს წერილი გაარჩია „სალაყბო ფურცელში“ (იხ. № 9, 10, 1862 წ.). ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე კერძო წერილში 1872 წ. სწერს კ. ლორთქიფანიძეს:

„სალაყბო ფურცელზე მინდოდა დამეწერა რამე, მაგრამ შენ მანდ არა ხარ..... (ვერ გავარჩიეთ) этого мерзавца, გახსოვდეს რომ მოლაყბე თვითონ კერესელიძე არის“.

გ. წერეთლის წერილში დასახელებული მოლაყბე ი. კერესელიძე იყო.

7. (გვ. 7.) **თერგდალეული**—ეს თერგდალეული კ. ლორთქიფანიძე იყო, რომლის წერილი (იხ. „ცისკარი“ № 9, 1862 წ.) გაარჩია მოლაყბე—კერესელიძემ და, სხვათა შორის, აღნიშნა რომ „ცისკარს“ არ იწერენ არც სტუდენტები და არც სხვები და ამ სიღარიბის გამო არის ჟურნალი ჩამორჩენილიო.

8. (გვ. 8) **„ცისკრის“ რედაქტორს,—როგორც პოეტს**... ივ. კერესელიძე ლექსებსაც სწერდა, რომელიც ხშირად იბეჭდებოდა „ცისკარში“. მისი ლექსების კრებული 1878 წელს გამოვიდა ცალკე წიგნად.

9. (გვ. 14) **სოფოკლი**—საბერძნეთის სახელგანთქმული დრამატურგი, რომელიც ცხოვრობდა V-ე საუკუნეში ქ. დ. (დაახ. 495—406) ავტორი პიესისა: მეფე ედიპი, „ანტიგონე“ და სხვ.

10. (გვ. 14). **ესხილი**—საბერძნეთის უდიდესი დრამატურგი, ცხოვრობდა V—IV საუკ. ქ. დაბ. მისი ტრაგედიებიდან მხოლოდ რამდენიმემ მოაღწია ჩვენამდე—„მიჯაჭვული პრომეთეოსი“, ტრილოგია —„ორესტეია“ და სხვა.

11. (გვ. 14). **არისტოფანი**—საბერძნეთის გამოჩენილი დრამატურგი—ცხოვრობდა V—საუკუნეში ქ. დ. მის კალამს ეკუთვნის თერთმეტამდე ჩვენამდე მოხწეული კომედია.

12. (გვ. 14) **ევრიპიდი**—საბერძნეთის გამოჩენილი დრამატურგი; ცხოვრობდა V—საუკ. ქ. დაბ. მას მოუხდა მოღვაწეობა დემოკრატიის კრიზისის ეპოქაში. ავტორი: „მედეასი“, „ალკესტასა“ და სხვა ტრაგედიებისა.

13. (გვ. 16) **გრ. რჩეულოვი** (1820—77) ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი იყო „ცისკრისა“, სადაც იგი ათავსებდა უმთავრესად

ისტორიული ხასიათის რომანებს, ლექსებს, სხვადასხვა ხასიათის წერილებსა და თარგმანებს. მისმა „ქვრივის ლიმონებმა“ სასტიკი კრიტიკა გამოიწვია ა. ორბელიანის მხრივ. „თამარი საქართველოს ბატონიშვილი“ დაიბეჭდა 1862 წ. „ცისკარში“ (№ 5 და შემდეგი). „შეშლილი“ დაბეჭდილია 1862 წ. № 4-ში. რჩეულოვის ზოგიერთი რომანი რომ გადმოკეთებულია, ამას პროფ. ა. ხახანაშვილიც აღნიშნავს (იხ. მისი წიგნი, ტ. IV გვ. 109) აკაკი თავის მოგონებაში სწერს, რომ გრ. რჩეულოვს დიდი ნიჭი ჰქონდა. უცხოდან გადმოქართულებისაო (იხ. ტ. I გვ. 85.)

14. (გვ. 16) **მამიხაგან შვილის დარ გება**—დაბეჭდილია „ცისკარში“ (№ 10, 1862 წ.) და ეკუთვნის ლენერალ ოტიფანტერს თ. გიორგი ერისთავს. ეს დარიგება აგებულია ღმერთისა და იმპერატორის მორჩილების საფუძვლებზე, გარკვევით გამოხატავს მისი ავტორის რეაქციონურ-კლერიკალურ სულისკვეთებას.

15. (გვ. 16) ვორონცოვი—კავკასიის მეფის მოადგილე 1845—54 წლებში. რჩეულოვის რომანი მისი მოღვაწეობის ქებით იწყება.

16. (გვ. 17) **ლესინგი** (1729—1781)—გერმანელი მწერალი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მაშინდელ ინტელიგენციაზე თავის „ლაოკოონით„ (1766 წ.). იგი იყო ტიპიური წარმომადგენელი გერმანელი განმანათლებელი ბურჟუაზიისა.

17. (გვ. 17) ჰეგელი—(1770—1831—გერმანიის გამოჩენილი ფილოსოფოსი, რომელიც ესთეტიკისა და ხელოვნების საკითხებს იდეალისტურ-მეტაფიზიკური თვალსაზრისით იხილავდა.

18. (გვ. 20) **დანიელ ჭონქაძე** (1830—60) ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი რაზნოჩინური ინტელიგენციისა. პირველად დასწერა ჩვენში სოციალური ხასიათის მოთხრობა და სასტიკად დაჰგმო ბატონყმობა. მისი „სურამის ციხე“ დაიბეჭდა „ცისკარში“ (იხ. № 12, 1859 და № 1, 1860 წ.) ამ რომანმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია ქართველ მებატონეთა შორის. ჭონქაძემ საფუძველი ჩაუყარა ჩვენში წვრილ-ბურჟუაზიულ რადიკალ-დემოკრატიულ მიმდინარეობას. თერგდალეულებმა ქებით შოიხსენიეს იგი. (იხ. „ცისკარი“ № 9, 1862 წ.) ამ მხრივ გიორგი წერეთლის აზრი სავსებით გამოხატავდა მთელი ახალთაობის შეხედულებას დ. ჭონქაძეზე.

19. (გვ. 20). **დიმიტრი ყიფიანი** (1814—87)—„ცისკრის“ უახლოესი თანამშრომელი, სადაც იგი ათავსებდა ბაქარ ქართლელის ფსევდონიმით ორიგინალ ნაწერებსა და ევროპიულ ენებიდან ნათარგმნ თხზულებებს. მის მიერ არის პირველად ქართულად თარ-

ბმნილი შექსპირის დრამა „რომეო და ჟულიეტა“, რომელიც 1857 წ. „ცისკარში“ დაიბეჭდა. დ. ყიფიანი მონაწილე იყო 1832 წლის შეთქმულებისა. შემდეგში იგი ერთ-ერთი სახელგანთქმული ჩინოვნიკი გახდა ამიერ-კავკასიაში. 1864—70 წლებში ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი იყო. 80—იან წლებში თავგამოდებით ებრძოდა დონდუკოვ-კორსაკოვის რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რის მსხვერპლიც იგი გახდა 1887 წ. თავისი პოლიტიკური მისწრაფებით იგი კონსერვატორი იყო და გამოხატავდა მოხელე არისტოკრატიის მისწრაფებებს.

20. (გვ. 20) **გარდაქეშნელი**—ვინაობა ვერ გავიგეთ. იგი თანამშრომლობდა „ცისკარში“. 1879 წ. გამოცემული აქვს: „ხუშრობა-ვოდევილი ორს კარტინაში.“

21. (გვ. 20) **ზერიძე**—თანამშრომელი იყო „ცისკრისა“, შემდეგ 1863 წ. „საქ. მოამბეში“ მოათავსა: „უცნაური ნიშნობა ტფილისის საიდუმლოებისაგან“ (იხ. № VII, VIII, IX, 1863 წ).

22. (გვ. 20) **დიმ. ბაქრაძე**—(1827—90) ისტორიკოსი, არქეოლოგი და პუბლიცისტი. უახლოესი თანამშრომელი „ცისკრისა“, სადაც ათავსებდა ისტორიული ხასიათის მონოგრაფიებს. საინტერესოა მისი „ქართველი ქალები“ (იხ. № 4, 1860 წ.) და სხვ. 1865—6 წლებში მონაწილეობა მიიღო „დროების“ დაარსებაში და იქაც ათავსებდა პუბლიცისტურ წერილებს, (იხ. „დროება“ № 5—20, 1866 წ.) და ისტორიულ ნარკვევებს.

23. (გვ. 20) **ლავრენტი არდაზიანი** (1818—70)—ცნობილი ბელეტრისტი. როდესაც 1857 წ. შესდგა „ცისკრის“ ახალი რედაქცია, არდაზიანი ერთ-ერთ უახლოეს თანამშრომლად იქნა მიწვეული ჟურნალში, სადაც იგი ათავსებდა თარგმანებს ბელეტრისტულ ნაწერებს („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, და „მორჩილი“) და პუბლიცისტურ წერილებს. მისი ფსევდონიმი იყო: ბიძია თორნიკე, გ. ბარათაშვილი, ალექსი ელბაქიძე. უკანასკნელი ფსევდონიმით ძან მოათავსა წერილი (იხ. „ცისკარი“ № 6, 1863 წ. „ორიოდე სიტყვა შესახებ თერგდალეულის სტატიისა“), რომელშიაც გაარჩია „საქ. მოამბეში“ (იხ. № 4, 1863 წ.) მოთავსებული წერილი თერგდალეულისა—თავისი მიმართულებით პროგრესისტი იყო.

24. (გვ. 21) **რაფიელ ერისთავი** (1824—1901.) ცნობილი პოეტი, რომელიც „გლეხთა მგოსანი თავადის“ სახელწოდებით იყო ცნობილი ჩვენში. იმ პერიოდში იგი თანამშრომლობდა „ცისკარში“ სადაც ათავსებდა უმთავრესად თავის ლექსებს. შემდგომში მისი ნაწერები იბეჭდებოდა, „დროებაში“, „კრებულში“, „ივერიაში და სხვ.

„დროებაში“ აღსანიშნავია მისი ესკიზები: „რამდენიმე სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“. თერგდალეულები სიმპატიით ეპყრობოდენ რ. ერისთავს.

25. (გვ. 21) **გრ. ორბელიანი**—(1800—83)—**პოეტი**—**ფეოდალი**, უკანასკნელი წარმომადგენელი მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიისა. მონაწილეობას ღებულობდა 1832 წლის შეთქმულებაში; 60-იან წლების დასაწყისში მეფის მოადგილედ ითვლებოდა კავკასიაში. იგი ცხარე ბრძოლას აწარმოებდა ახალი თაობის წინააღმდეგ. მისი „პასუხი შვილთა“,—რომელზედაც ილ. ჭავჭავაძემ „პასუხის პასუხით“ უპასუხა—მიმართული იყო ახალი თაობის დასამცირებლად. უკანასკნელნი დიდათ აფასებდენ გრ. ორბელიანის პოეტურ ნიჭსა, მაგრამ ებრძოდენ მის მიმართულებას.

26. (გვ. 21) **აკაკი წერეთელი** (1840—1915)—ერთ-ერთი მთავარი თანამშრომელი იყო „ცისკრისა“, თავისი მიმართულებით იგი ახალთაობას ეკუთვნოდა და მათთან ერთად აწარმოებდა ბრძოლას ძველების წინააღმდეგ. მთელ რიგ ნაწერებში ეს ბრძოლა ორ თაობათა შორის აკაკის საუცხოოდ აქვს გამოხატული; საკმაო ნაწილი მისი „ცისკარში“ დაბეჭდილ ლექსებისა გლეხების მდგომარეობასა და ბატონ-ყმობის საკითხს ეხებოდა. ეს ლექსები ნათლად გამოხატავდენ მის დემოკრატიულ მისწრაფებებს. „მშვენიერო ალექსანდრა“ დაიბეჭდა „ცისკარის“ 1860 წლის დეკემბრის ნომერში. „რუსეთუმე“ პოემა ყოფილა, მაგრამ პოეტისათვის მოუპარავთ და შემდეგ აღარ აღუდგენია. რამდენიმე თავი ამ პოემიდან გამოქვეყნებულია „ცისკარში“ (იხ. № 6, 1861 წ. № 2, 1862, № 4, 1863 წ.) პოეტის გადმოცემით ეს პოემა ვრცელი ნაწარმოები ყოფილა და მასში დაუხატავს ძველი და ახალი თაობის ბრძოლა. „ახალი თაობის ტიპად ჩემი თავი მყავდა გამოხატული და ძველი თაობის ტიპად ჩემივე ოჯახი“, სწერს აკაკი (იხ. „ჩემი ნაწერები“ წ. I, გვ. 96.) ეს 1863 წლის „ცისკარში“ (№ 4,) დაბეჭდილ მეორე თავიდანაც მტკიცდება. აკაკის „საქ. ძოამბეში“ მონაწილეობა არ მიუღია და დარჩა „ცისკრის“ თანამშრომლად. რატომ არ მიიღო მონაწილეობა აკაკიმ ახალ თაობის ორგანოში,—ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. შეიძლება ამის გასახსნელი მოგვცეს მისმა კერძო წერილის ერთმა პატარა ადგილმა. 1862 წელს იგი სწერს პასუხად კ. ლორთქიფანიძეს:

„კერესელიძეს რაღათ მივსცემთ თუ კი შენი სურვილი იქნება, მაგრამ რა ვქნა რომ ილიკო (ჭავჭავაძე) ჩემი მაგინებელია! მას სტატიას რომ შემეხვეწოს ~~ა~~რ დაუბეჭდაო, ასე ამბობს“.

შემდეგში, როდესაც 1869 წ. შესდგა ახალი ჯგუფი, აკაკი მას მიემხრო და „დროების“ ერთ-ერთ თანამშრომლად ითვლებოდა.

27. (გვ. 21) **ფურცელაძის რეცენზია**—აქ ლაპარაკია იმ წერილის შესახებ, რომელიც ანტ. ფურცელაძემ ქერელი ბექას ფსევდონიმით მოათავსა 1863 წ. „ცისკრის“ ნომერში და რომელშიაც გააარჩია დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“. უნდა ავღნიშნოთ, რომ მწერლობაში სერიოზული ყურადღება დ. ჭონქაძესა და მის ნაწარმოებს პირველად ანტ. ფურცელაძემ მიაქცია და უძღვნა მას ვრცელი წერილი (იხ. „ცისკარი“, № 1, გვ. 111—146, 1863 წ.) როდესაც გ. წერეთელი სწერს (გვ. 21):...„როდესაც თერგდალეულმა გაიხსენა იმაზედ („სურამის ციხეზედ“), როგორც ერთ კარგ თხზულებათაგანზედ“...—ამ შემთხვევაში ავტორს მხედველობაში ჰქონდა თერგდალეულის (კ. ლორთქიფანიძის) წერილი: „ორიოდე სიტყვა „ცისკარზედ“ და ახალის ჟურნალის სარგებლობაზე“ (იხ. № 9, 1862 წ.), რომელშიაც გაკვრით აქებს „სურამის ციხეს“ როგორც კარგ ნაწარმოებს და აღნიშნავს, რომ „ცისკრის“ მკითხველები არა თუ არ არიან თანახმანი მისი, არამედ „სურამის ციხეს“... ყურში არ შეუშვებენო“ (იხ. გვ. 38, 44.). ანტონ ფურცელაძემ უფრო საფუძვლიანად გაარჩია „სურამის ციხე“ და აღნიშნა მისი დიდი მნიშვნელობა ჩვენს ლიტერატურაში. იგი სწერდა:

„სურამის ციხემ“ დასცა ზარი, დაუბადა ტანში ჟრუანტელი სიძველისა და სიკრუის მქადაგებლებსა, აუმღვრია სისხლი, დაასია ესენი დაწინაურებულ აზრების პატრონებზე. პატარა ხანს შეშინებული კონსერვატორები გამოვიდნენ ისევ ასპარეზზე და დასცეს თავის საყვირი, ამალას თავის თანამოძმე და მომხრე ხალხს მიაგებეს დაფნის გვირგვინი... ქვეშოელ ეფთიმე წერეთელს, ბერიძეს, რჩეულოვს და სხვა ამგვარ უნიჭოს და კონსერვატორს მწერლებს“ (გვ. 115—16.).

28. (გვ. 22) **გარიბალდის ცხოვრება**—ანტ. ფურცელაძის ნარკვევი იყო და დაიბეჭდა „ცისკარში“ (იხ. № 1, 2, 3, 4, 1863 წ.). წერილი რადიკალურ-დემოკრატიული შინაარსისაა.

29. (ვგ. 22) **ქერელი ბექა**—ანტ. ფურცელაძის ფსევდონიმი იყო. ამ ფსევდონიმით მან მოათავსა რამოდენიმე წერილი „ცისკარში“ და გაარჩია „საქართველოს მოამბე“ და მისი მწერლები (იხ. „ცისკრის“ № 3, 7, 9, 1863 წ.).

6. 1866 წლის წერილები

I. **„მათუსალას აღსარება“** (გვ. 25—32) ფელეტონებად დაბეჭდილია 1866 წ. „დროების“ № 1 და 2-ში. წერილი ხელმოუწერე-

ლია. იგი შეტანილია თვით გ. წერეთლის მიერ შედგენილ თავის ნაწერების სიაში და თანახმად ამ სიისა იბეჭდება ჩვენს გამოცემაშიაც.

II. **„დედაკაცის აზრი დედაკაცზედ“** (გვ. 33—36) დაბეჭდილია „დროების“ № 5-ში. წერილი ხელმოუწერელია. იბეჭდება თანახმად გ. წ-ლის სიისა.

III. **„საკვირველი მოვლენა“** (გვ. 37-40) დაბეჭდილია „დროების“ № 7-ში, ხელმოუწერელია. იბეჭდება თანახმად გ. წერეთლის სიისა.

IV. **„ბანკის დაარსების გამო ქუთაისში“** (გვ. 41—43). წერილი წარმოადგენს „დროების“ მერვე ნომრის მეთაურს, რომელსაც სათაურათ აქვს: „ტ ფ ი ლ ი ს ი, 22 ა პ რ ი ლ ს“. ჩვენ მიერ გაკეთებული სათაური ამოღებულია „დროების“ წლიური სარჩევიდან. წერილი ხელმოუწერელია და არ არის შეტანილი გ. წ-ლის ნაწერების სიაში. მაგრამ თვით სტილი წერ-ლისა და მისი შინაარსი მიგვითითებს იმაზე, რომ იგი გ. წერეთლის კალამს ეკუთვნის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. **ბანკის დაარსების საკითხი** (გვ. 41)—ბატონყმობა ქართლ-კახეთში გადავარდა 1864 წ. ხოლო იმერეთში—1865 წ. ქართველმა თავად-აზნაურობამ მთავრობისგან ყმების განთავისუფლებაში საკმაოთ დიდი თანხა მიიღო: ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ—1.654.350 მან., იმერეთის და გურიის—2.833.815 მან. ბატონ-ყმობის მოსპობის დასაწყისიდანვე, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ცნობილმა დ ი მ. ყ ი ფ ი ა ნ მ ა, წინადადებით მიმართა თავად-აზნაურობას—და შემდეგ მათი სახელით მთავრობასაც მიმართა,—რომ მათ „ხელმწიფისაგან ყმების განთავისუფლებაში ნაბოძებ ფულისაგან“ გადაედვათ განსაზღვრული პროცენტი და დაეარსებიათ სათავად-აზნაურო ბანკი, რომელიც მიზნად დაისახავდა თავად-აზნაურობის დახმარებას და მათი შვილების გამოზრდას. დ. ყიფიანის, როგორც წვრილი და საშუალო თავად-აზნაურთა იდეოლოგის, მიზანი იყო გადაერჩინა ეს წოდება ეკონომიურ განადგურებისაგან და ამიტომ იგი ბანკში ეძებდა ამის ერთ-ერთ საშუალებას. დიდი ნაწილი წვრილი და საშუალო თავად-აზნაურობისა აღფრთოვანებით გამოეხმაურა დ. ყიფიანის წინადადებას. შემდეგში—70-ან წლებში ბანკისა და მისი წესდების საკითხმა დიდი დავა გამოიწვია ქართველ თავად-აზნაურობასა და ინტელიგენციაში. გ. წერეთელი „დროების“ სხვა თანამშრომლებთან ერთად (ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი და სხვ.)

მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ამ კამათში. მისი წერილები ბანკის საკითხის შესახებ თავ-თავის ადგილას იქნება დაბეჭდილი.

V. **„ქართული თეატრი“** (გვ. 44—52) მოთავსებულია „დროების“ № 11 და 12-ში, წერილი ხელმოუწერელია. იბეჭდება გ. წ-ლის ნაწერების სიის მიხედვით.

შენიშვნები

1. (გვ. 44) **ქართული თეატრი 60-იან წლებში.** როგორც ცნობილია, ქართული თეატრის არსებობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა 1850 წელს. მაგრამ გ. ერისთავის თეატრმა დიდხანს ვერ იარსება და იგი რამოდენიმე წლის შემდეგ დაიშალა. 60-იან წლებში მუდმივი დასი და თეატრი არ არსებობდა. მხოლოდ მოხალისენი ადგენდენ ჯგუფებს და დროგამოშვებით თამაშობდენ სცენაზე. 60-ანი წლების მეორე ნახევრიდან გ. წერეთელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ასეთ წრეებში. მართალია სცენის მოყვარეთა ასეთს მუშაობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ხანებში, მაგრამ მათ დიდი დაბრკოლებანიც ეღობებოდა წინ. 1879 წელს «დროებაში» ვკითხულობთ:

„პირველ ხანებში მათს შრომას ვერაფერი სანუგეშო შედეგი ჰქონდა და არც გასაკვირველი იყო ეს: მეტად მოუწყობელ გარემოებაში იყვნენ და ამის გამო ყოველ მხრივ უბრკოლდებოდათ საქმე. ძლივს ვაი-ვაგლახით შოულობდენ წარმოსადგენ ადგილს, ტანისამოსს და სხვა საჭირო ნივთეულობას და ყველა ამაში მეტად დიდ ქირას იხდიდნენ, საზოგადოებაც გულგრილად უცქეროდა ამ შექცევას, უეჭველია, იმიტომ, რომ თავიანთი მოთხოვნილება რიგიანად ვერ უკმაყოფილდებოდა. ამ მიზეზით მოყვარულებს ყოველთვის ზარალი მოდიოდა და ამ ზარალს თავის ჯიბიდამ იხდიდენ. ერთი ფრიად დამაბრკოლებელი მიზეზთაგანი ამ საქმისათვის ისიც იყო, რომ თვით დასში მოყვარულებს ქალები არ ჰყავდათ და მუდამ წარმოდგენისათვის იძულებულნი იყვნენ აქა-იქ ექირავებიათ ვინც კი შეხვდებოდათ. ბევრჯელ დაუქირავებიათ სომხის აკტრისები, რომელთაც ქართული კითხვაც სულ არ სცოდნიათ და ლაპარაკიც ძალიან ცუდად და როლი იმ აკტრისებს სომეხური ასოებით დაწერილი უსწავლიათ ხოლმე“. (იხ. „ქართული თეატრის საქმე“,—„დროება“ № 82, 1879 წ. იხ. აგრეთვე გ. თუმანიშვილი: „ქართული თეატრის საქმე“, 1879 წ.)

გ. წერეთელიც ადასტურებს ამ მოსაზრებებს ერთი თავისი მოგონებით. იგი სწერს:

„ახალგაზრდობა 1867 წელს ტფილისში გაიტაცა მსახიობითი თამაშობამ. ხან აქ, ხან იქ შეიკრიბებოდა მათი გუნდი. მომეტებული ნაწილი მათ შორის გემნაზიის კურს დასრულებულები იყვენ; გონება განვითარებულნი ბუნების მეტყველებისა და ისტორიის წიგნებითა.... ამის შემდეგ სა-

ზოგადოებაში ძალიან აღიძრა სურვილი ქართული წარმოდგენებისა დროდა დრო გამოშვებით.... ჩინებულად თამაშობდენ იმ დროს ქალების როლს სომხის მსახიობნი: სატინიკი და სოფიო. ქართველი ქალი კი იმ დროს სცენაზე მოთამაშე არავინ სჩანდა" (იხ. „კვალი" № 51, გვ. 2 – 3, 1893 წ.).

როგორც აღვნიშნეთ, 60-იანი წლების დასაწყისიდან სცენის მოყვარენი დროგამოშვებით მართავდენ წარმოდგენებს, როგორც ტფილისში, ისე ქუთაისშიაც. შემდეგ წლებში უფრო სისტემატიურ ხასიათს ღებულობს ქართული წარმოდგენები.

2. (გვ. 44) **კომედია „ცოლის შერთვეინება"**—მოლიერის ერთმოქმედებიანი კომედია არის, რომელიც 1861 წ. გადმოუთარგმნია ფრანგულიდან ლიმ. ყიფიანს და დაბეჭდილია „ცისკარში" (იხ. № 3 1862 წ.) როგორც ცისკრის ცნობებიდან სჩანს, იგი 1862 წელსვე წარმოუდგენიათ ქართულ სცენაზე. 1865 წ. ზაფხულის მიწურულებში საქველმოქმედო მიზნით გაუმართავთ წარმოდგენა და დაუდგამთ იგივე „ცოლის შერთვეინება" (იხ. კ. ყიფიანის მოგონება „ფასკუნჯში").

3. (გვ. 44—50) **ძალათ აქიმი**—მოლიერის კომედიაა. დ. ერისთავის ცნობით იგი ივ. ერისთავს გადმოუკეთებია («დროება» № 409, 1874 წ.) ქართულად. „ქ ა რ თ უ ლ რ ე პ ერ ტ უ ა რ შ ი", რომელიც კ. დ. ყიფიანს შეუდგენია და რომელშიაც მოხსენებულია ყველა ორგინალი და ნათარგმნი პიესა (იხ. „დროება" № 22, 29) 1876 წ.) ეს კომედია სრულიად არ არის მოხსენებული.

VI. ბუნების მეცნიერებიდან—წავი. (გვ. 53—58) დაბეჭდილია «დროების» № 26. წერილი ხელმოუწერელია. იბეჭდება გ. წ-ლის ნაწერების სიის თანახმად.

VII. მლეთის ხოფლის საზოგადოების სათემო განაჩენის გამო. (გვ. 59—63). ეს წერილი მეთაური წერილია, დაბეჭდილი „დროების" № 25. სათაური აქვს: „ტფილისი, 19 აგვისტო". ჩვენ მიერ გაკეთებული სათაური ამოღებულია „დროების" წლიური სარჩევიდან. წერილი ხელმოუწერელია, გ. წ. „ნაწერების სიაში" არ არის შეტანილი. სტილი და აზრები წერილისა ნათლად ამტკიცებენ, რომ ეს წერილი გ. წერეთელს ეკუთვნის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. (გვ. 59) **„დროების" კორესპონდენციაში მლეთიდან** ვკითხულობთ:

„მ ლ ე თ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ს ა თ ე მ ო გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა, რ ო მ ე ლ ი ც შ ე ს დ გ ა ა მ ა 1866 წ ე ლ ს 10 მ ა ი ს ს. სამთო ოკრუგის მლეთის

სახელმწიფო გლეხების სასოფლო საზოგადოების ყრილობამ სამთო ოკრუგის ნაჩალნიკის გრიგოროვის წინადადებით 1866 წელს 10 მაისს განაწესა:

იმ ფულებიდამ, რომელიც მოგვცა ჩვენ ხარ-ურმის გამოკვანისთვის და შეშის მოტანისთვის იმ დროს, როდესაც ჩაჩნებმა გამოიარეს წარსულს 1865 წელს სამთო ოკრუგზედ. გარდა იმისა რაც საზოგადო საჭიროებისთვის მოგვიხმარნია და რაც ბილეთით სატყეო უწყებისთვის მიგვიცია, დანარჩენის ფულით ჩვენ ვაწესებთ სოფლის საზოგადო თავნსა. ეს თავნი ჩვენის საზოგადოებისაგან აღმორჩეულს ხაზინადარს ებარება და ექნება ქვემოხსენებული დანიშნულება.

1. ჩვენგან განწესებულის თავნიდან, რომელიც შეიცავს ამდენსა და ამდენს უნდა მიეცეს ხოლმე კერძო პირს, რომელსაც ფული უჭირს, 10 მანეთი სარწმუნო გირაოთი ხუთის პროცენტით (სარგებლით) ნახევარის წლის განმავლობაში (10% წელიწადში), იმ პირობით, რომ თუ ეს ფული იმან თავის დროზე არ შემოიტანა, გირაო საზოგადო დაფასებით გაისყიდება და შემოსულის ფულით თავნი შეივსება.

2. შემოსული პროცენტი ანუ სარგებელი თავნს მიემატება.

3. რადგანაც თავნი იქნება ხელუხლებლად, ამისათვის საზოგადოებას შეეძლება გაჰოიტანოს იქიდამ ფული საზოგადო საჭიროებისათვის იმ პირობით, რომ დანიშნულს დროს ისევ საზოგადოებამ შემოიტანოს გატანილი ფული თანასწორის შეწერით თითო კაკზედ.

4. თავნი უნდა შემოწმდეს წელიწადში ორჯერ, ივნისში და დეკემბერში; ამისათვის რწმუნებულმა პირმა, რომელსაც ეს ფული ექნება მინდობილი, საზოგადო კრებას უნდა წარუდგინოს ამ თავნის ანგარიში.

5. თუ რწუმებულმა პირმა დაფანტა საზოგადო თავნი, მაშინ იმან უნდა ხლოს ეს ფული თავისის ქონებითა. ამისათვის ის მოვალეა, რომ ხელწერილი მისცეს ამაში საზოგადოებას, როდესაც იმისგან მიიღებს ფულს შესანახავად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საზოგადოებამ დანიშნა 10% (სარგებელი პროცენტი), იმისთვის რომ მთაში ხშირად კერძო პირი აძლევს ხოლმე ფულს 20% და 30%, გარდა იმისა რომ სარწმუნო გირაოსაც იღებს. ამისათვის საზოგადოებისგან დანიშნული 10% (პროცენტი) ბევრი არ არის.

6. ამის შემდეგ რაც საერთო ფულს მივიღებთ. შეშაში და ხარ-ურმის გამოყვანაში, ყველას ჩვენ განვაწესებთ ხოლმე საზოგადო. თავნის გასადიდებლად. (იხ „დროება" № 25, 1866 წ.).

ეს დოკუმენტი საინტერესოა მრავალის მხრივ; იგი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ ჩვენი სოფლის მცხოვრებლებში როგორ შეიჭრა საამხანაგო ბანკებისა და კოოპერაციების დაარსების შეგნება და როგორ ფორმებში ყალიბდებოდა ეს ამხანაგობანი.

2. (გვ. 59) **იმერეთის სააზნაურო ბანკის გამო** — „დროების" ეს მეთაური წერილი იბეჭდება ამ ტომში (იხ. გვ. 41 — 43).

3 ვრცელი ნარკვევი: **„ისტორიული მოძრაობა განათლებისა"** ეკუთვნის ცნობილ ისტორიკოსს დ ი მ ი ტ რ ი ბ ა ქ რ ა ძ ე ს და მო-

თავსებულია 1866 წ. „დროებაში“ (იხ. № 5—20). ამ წერილის უკანასკნელ თავებში ავტორი არკვევს კოოპერაციებისა და ასოციაციების მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებაში. ავტორი სწერს:

„იწყება კოოპერაციები, ანუ ასოციაციები, რომელნიც ჩვენს დროს ვრცელდებიან მთელს ევროპაში და რომელზედაც მომავალს დიდი იმედი აქვს. უკანასკნელს დრომდე ამხანაგობის პრინციპი არ უცდიათ საზოგადოთ იქ, სადაც უფრო საჭირო იყო, ესე იგი, დაბალ ხალხის შრომაში. ეს ნაკლულოვანება უნდა შეავსოს კოოპერაციამ, მან უნდა აღადგინოს შრომის სიმართლე, გაანთავისუფლოს იმ ჯღლისაგან, რომელიც იმისთვის დაუდვია კაპიტალს; უნდა შესცვალოს ნივთიერებითი და ზნეობითი მდგომარეობა... ჩვენ დროს კაპიტალისტებს სრულებით ხელში ეჭირავთ ყოველი ვე საქმე, ყოველივე შრომა. კაპიტალისტი მტერია მუშა ხალხისა. ეს არ უნდა იყოს, როდესაც მუშა ასოციაციის შუამავლობას მიმართავს, მაშინ კაპიტალი დაჰკარგავს თავის ძალას, შრომა მონობისაგან გამოვა, თავისუფალი გახდება და თვითონვე შეიძენს კაპიტალს... ამხანაგობას (ასოციაციას) დღეს თუ ხვალ ჩვენი ხალხიც უნდა შეუდგეს. უამისოდ ის ყოველთვის გაჭირვებაში იქნება. დროს განმავლობაში იმისი მდგომარეობა უფრო ცუდათ წავა“ (იხ. „დროება“ № 17, 1866 წ.).

საერთოდ უნდა ავღნიშნოთ, რომ 60-იან წლების მეორე ნახევარში ჩვენი ინტელიგენცია, გაზ. „დროება“ და სხვა ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევდენ ამხანაგობების, ასოციაციებისა და კოოპერაციების დაარსებას (ამის შესახებ იხ. ს. ხუნდაძის წიგნი: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ ტ. I, 1927 წ.). მაშინ დიდათ აშინებდათ “პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ შ ი ჩ ა ც ვ ე ნ ა“ და ამიტომ ცდილობდენ გვერდი აეარათ ამისათვის; მაგრამ ეს გეგმა უტოპიური იყო და ისტორიამ იგი გაანადგურა. აღსანიშნავია, რომ მათი ასოციაციური გეგმები არსებითად არ სპობდა კაპიტალისტურ წყობილებას, იგი მხოლოდ მავნე მხარეებს უსპობდა მას; იმ პერიოდში კოოპერაცია ასოციაციების განვითარება ხელს შეუწყობდა ჩვენში კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას.

გ. წერეთელიც დიდ ყურადღებას აქცევდა ამ ასოციაციებსა და საამხანაგო ბანკების დაარსების საქმეს.

VIII. ახალგაზრდა დედებსა და ყმაწვილ ქალებს (გვ. 64—67) დაბეჭდილია „დროების“ № 26, 31, 32, 33, 40, 41-ში. ამ წერილის დიდი ნაწილი პირდაპირ ნათარგმნი არის რუსულ პედაგოგიურ ჟურნალიდან. ჩვენ აქ მოგვყავს მხოლოდ ის შესავალი ნაწილი, რომელიც თვით გ. წერეთელს ეკუთვნის. წერილი ხელმოუწერელია. იბეჭდება თანახმად ნაწერების სიისა.

IX. კორესპონდენციები (გვ. 68—75) „დროების“ კორესპონდენციის სათაურით ცალკე განყოფილება იყო მოთავსებული გაზ. „დროების“ ფურცლებზე. 1866 წ. ნოემბერში მოთავსებულია გ. წერეთლის სამი კორესპონდენცია ქუთაისიდან. ჩვენ მათ ერთი საერთო სათაურით ვათავსებთ. პირველი კორესპონდენცია დაბეჭდილია № 32, მეორე—№ 36, მესამე—№ 44; კორესპონდენციები ხელმოუწერელია. იბეჭდება თანახმად „ნაწერების სიისა“,

შენიშვნები

1. (გვ. 70) **„კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“** დაარსდა ვორონცოვის დროს, 50-იანი წლების დასაწყისში. ამ საზოგადოების დაარსებით ვორონცოვი ცდილობდა სასოფლო-სამეურ. ნეო კულტურა გაევრცელებია ამიერ-კავკასიაში. ამ საზოგადოებამ თავის დროზე დიდათ შეუწყო ხელი ჩვენში ევროპიული მანქანების გავრცელებას. რასაკვირველია, ვორონცოვს მხედველობაში ყავდა უმთავრესად მემამულეები, და არა ღარიბი გლეხობა. ამ საზოგადოების საშუალებით შემოქონდათ ამ.-კავკასიაში სას.-სამეურნეო იარაღები, თესლეულობა, კულტურული მცენარეები, იბარებდენ აგრონომებს და მცოდნე პირებს; იგი ხელს უწყობდა სას.-სამეურნეო პროდუქტების გავრცელების საქმესაც.

2. (გვ. 71) **1866 წ. აფხაზეთში აჯანყებას ჰქონდა ადგილი.** არეულობა დაიწყო ბზიბის ოლქში. აჯანყებას მრავალი მიზეზი ედვა სარჩულად. გლეხთა განთავისუფლების რეფორმამ გაუგებრობა გამოიწვია აფხაზეთში; იქ გლეხობა ჯერ კიდევ მებატონეების დიდი გავლენის ქვეშ იყვნენ, ამ გარემოებით ისარგებლეს მემამულეებმა და გლეხობა გამოიყენეს თავიანთ მიზნებისათვის რუსეთის მართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხალხში აგრეთვე დიდ უკმაყოფილებას ბადებდა რუსის მოხელეების უხეში მოპყრობა. აჯანყებულებმა დახოცეს აფხაზეთის მართველი პოლკ. კონიარი და სხვა. რუსი მოხელეები, გარდაცვალებულ მთავრის მიხეილის შვილი გიორგი შერვაშიძე გამოაცხადეს მთავრად. აჯანყებულები დაამარცხა რუსის ჯარმა. მას ის შედეგი მოყვა, რომ წებელდის თითქმის მთელი მოსახლეობა გადასახლდა ოსმალეთში, ხოლო აფხაზეთში რუსის მართველობის განმტკიცებით ნიადაგი გამოაცალეს ფეოდალური არისტოკრატიის უკმაყოფილებას (იხ. ესაძის წიგნი: „Историческая записка“... ტ. I, 1907 წ. არეულობა ვრცლად არის აწერილი 1866 წ. „კავკაზის“ ნომრებში).

X. განათლების გავრცელებაზე საქართველოში (გვ. 75—82) დაბეჭდილია „დროების“ № 35 და 36-ში. წერილი ხელმოუწერელია. თვით წერილის აზრისა და სტილის მიხედვით ეს სტატია გ. წერეთელს ეკუთვნის.

XI. ბუნების მეცნიერება და იმისი დიდი ღვაწლი ხალხის განათლებისათვის. (გვ.83 — 88). დაბეჭდილია—თელის ფსევდონიმით „დროების“ № 38-ში. გ. წერეთელს შეტანილი აქვს თავის ნაწერების სიაში.

7. 1867 წლის ნაწერები

XII. ძველი წლის ნაყოფი და ახალი წლის კოკრები. (გვ. 91—106) წერილი მოთავსებულია 1867 წ. „დროების“ № 1 და 2 ნომერში ფელეტონებად. ხელის მოწერა არა აქვს. იბეჭდება თანახმად „ნაწერების სიისა“. „დროების“ შემდეგ ნომრებში ამ წერილის გაგრძელება არ არის დაბეჭდილი. ადვილი საფიქრებელია, იგი ცენზურის პირობების გამო ვერ დაიბეჭდა.

XIII. მზის დაბნელება... (გვ. 107—110) დაბეჭდილია „დროების“ № 4-ში. წერილი ხელმოუწერელია. იბეჭდება თანახმად „ნაწერების სიისა“.

XIV. ბატონ-ყმობის გაუქმების გამო სამეგრელოში (გვ. 111—114). ეს წერილი წარმოადგენს „დროების“ 23 თებერვლის ნომრის (№ 8) მეთაურს. ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილი სათაური ამოღებულია „დროების“ 1867 წლის ნომრების სარჩევიდან. წერილი ხელმოუწერელია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. (გვ. 111) **ბატონ-ყმობა სამეგრელოში** გააუქმეს 1867 წელს 19 თებერვალს. ადგილობრივი მთავრობა უკვე 1865 წლიდან შეუდგა იქ მზადებას ბატონ-ყმობის გაუქმებისათვის; ვინაიდან ურთიერთობა გლეხთა და მემამულეთა შორის ერთობ გამოურკვეველი იყო და იურიდიულად ჩამოუყალიბებელი, ამიტომ კომისიას დიდი ხნის განმავლობაში დასჭირდა მუშაობა. საგლეხო რეფორმას სამეგრელოში საფუძვლად დაედვა იგივე დებულებანი, როგორიც ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. დაახლოებითი სტატისტიკის მიხედვით მაშინ სამეგრელოში ყოფილა: გლეხობა 22.970 კომლი ან 93.263 სული მამაკაცი. აქედან მებატონეებს ეკუთვნოდათ 19638 კომლი ან 80.284 სული მამაკაცი, დანარჩენი ეკუთვნოდენ ეკლესიას; მემამულეები ეკლესიის მსახურიანად შეადგენდენ 2.760 კომლს ან 9.625

სულს მამაკაცს. ამ ყმების განთავისუფლებაში სამეგრელოს მემამულეებმა მიიღეს მამაკაცზე 25 მანეთი, სულ 2.215.570 მანეთი. ოფიციალურ სტატისტიკის მიხედვით ეკლესიის მონობაში კვლავ დასტოვეს დაახლოვებით 15.000-ზე მეტი გლეხობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „რეფორმის“ ნიადაგზე შექმნილმა პირობებმა 1876 წ. დროებით ვალდებულ გლეხთა არეულობა გამოიწვია სამეგრელოში. როგორც ცნობილია, სამეგრელოში 1857 წლის აჯანყების შემდგომაც გლეხობა არ დაწყნარებულა. „განთავისუფლების“ ხმებმა თავისებური გავლენა მოახდინა გლეხობაზე და ისინი დაჟინებით მოითხოვდენ მონობის უღლის მოსპობას. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი აუწყებდა მთავარ სამმართველოს, რომ „სამეგრელოში.

„По случаю распространившихся слухов о предстоящем освобождении крестьян из крепостной зависимости, жалобы крестьян на помещиков, а последних на крестьян все более и более возрастают“.

გლეხთა უკმაყოფილება, როგორც დავინახეთ არც შემდეგ შეწყვეტილა სამეგრელოში. გ. წერეთლის წერილი დაწერილი იყო ლეგალურს, სასტიკ ცენზურულს პირობებში და მას მეტის თქმა არ შეეძლო აღნიშნული რეფორმის შესახებ.

2. (გვ. 114) **ადრინდელის მთავრის უფლების მოშლა.**—1803 წ. სამეგრელო ავტონომიური უფლებებით შეუერთდა რუსეთს. 1857 წ., როდესაც სამეგრელოში გლეხთა გრანდიოზული აჯანყება მოხდა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ისარგებლა მომენტით და ფაქტიურად გაამეფა რუსული სისტემა სამეგრელოშიაც. 1867 წ., როდესაც სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის შვილი ნიკო სრულწლოვანი გახდა, რუსეთის მთავრობამ აიძულა იგი უარი ეთქვა თავის სამთავროზე, სამაგიეროთ მან მიიღო რუსეთის მთავრობისაგან მილიონი მანეთი საჩუქრათ და ტიტული ბრწყინვალე თავადის მინგრელსკის სახელწოდებით.

XV. **„პოლიტიკური უფლება დედაკაცისა“** (გვ. 115-19) დაბეჭდილია „დროების“ № 19 და 20-ში. წერილი ხელმოუწერელია. იბეჭდება თანახმად ნაწერების სიისა.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ „დროება“ და მისი თანამშრომლები დიდ ყურადღებას აქცევდენ ქალთა საკითხს და ქალის განთავისუფლებას მონურ მდგომარეობიდან. იმავე 1867 წლის „დროებაში“ მოთავსებულია წერილი ფ. დათეშიძისა: „მუშა ხალხის ქალის და ოჯახის მდგომარეობა ევროპის წინა სახელმწიფოებში“ (იხ. № 28, 29 და 30); შემდეგში ნ. ნიკოლაძე და ს. მესხი

არა ერთხელ შეხებიან ამ საკითხს. განსაკუთრებით აღსანიშნავი არის „დროების“ თანამშრომელის ნ. ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს წერილი ქალთა განთავისუფლებაზე, რომელიც 1869 წლის „მნათობში“ დაიბეჭდა ჯ. ს. მ ი ლ ი ს წერილის „ქალთა განთავისუფლების“ თარგმანის წინასიტყვაობად.

XVI. **„რამოდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზე“** (გვ. 120-130)—დაბეჭდილია „დროების“ № 25-ში, სალიტერატურო ნაწილში. წერილი ხელმოუწერელია და იბეჭდება თანახმად „ნაწერების სიისა“.

XVII. **„ქუთაისიდგან“** (გვ. 131-35)—ეს კორესპონდენციაა „დროების“ № 29-ში; იგი ხელმოუწერელია და იბეჭდება თანახმად ნაწერების სიისა.

XVIII. **„საშვალო აზიაში მოგზაურობა“** (გვ. 136-38)—დაბეჭდილია „დროებია“ № 31-32 ში. წერილი ხელმოუწერელია. იბეჭდება თანახმად ნაწერების სიისა. ჩვენს გამოცემაში გადმობეჭდილია მხოლოდ შესავალი.

XIX. **„თვითმოქმედება“** (გვ. 139-58)—დაბეჭდილია „დროების“ № 21 და 22-ში. წერილი ხელმოუწერელია. იბეჭდება თანახმად ნაწერების სიისა.

ეს წერილი გ. წერეთელს გადმოუკეთებია სამუელ სმაილსის თხზულებიდან.

XX. **„ზოგიერთი ამბავი დავით ბებუთოვის ცხოვრებიდან“** (გვ. 159-74)—ამ წერილის პირველი თავი დაბეჭდილია 1867 წ. „დროების“ № 49-ში, ხოლო მეორე 1868 წლის № 2-ში. წერილებს არა აქვს ხელისმოწერა. იგი იბეჭდებაა თანახმად „ნაწერების სიისა“.

ეს წერილი გ. წერეთელს გამოუკრეფია და ზოგან გადმოუთარგმნია დავით ბებუთოვის ვრცელ ძ ო გ ო ნ ე ბ ი დ ა ნ, რომელიც დაწერილია 1861 წ. და დაბეჭდილია 1867 წ. „Военный Вестник“-ის ნომრებში; 1902 წ. ეს მოგონებანი სავსებით გადმობეჭდეს „Кавказский сборник“-ში (იხ. ტ. XXIII, გვ. 1—130, 1902 წ.).

8. 1868 წლის წერილები

XXI. **„ორიოდე სიტყვა კამედიაზე „ვაი ჭკუისაგან“ და რუსულს ტრუპაზე“** (გვ. 177-86)—ეს წერილი მოთავსებულია ფელეტონად „დროების № 1-ში. ხელმოწერილი აქვს გ.—თ ე ლ ი. შეტანილია „ნაწერების სიაში“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. (გვ. 180) **ავტორი კომედიისა ,,ვაი ჭკუისაგან''**—არის ა. გრიბოედოვი (1795—1828), რომელიც რამდენიმე ხნის განმავლობაში მსახურობდა საქართველოში და ბოლოს ელჩად იყო სპარსეთში, სადაც იგი მოჰკლეს. საქართველოში იგი მუშაობდა თავის შესანიშნავ კომედიაზე და ადგილობრივ პირობების ზეგავლენით დასწერა მან მეორე პოემა ,,ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ღ ა მ ე''. გრიბოედოვმა 1828 წელს ცოლად შეირთო ცნობილი პოეტისა და გენერლის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალი—ნინო (გარ. 1857 წ.). ამრიგად, როგორც სამსახურით, ისე ოჯახური დამოკიდებულებით გრიბოედოვი ახლოს იდგა მაშინდელ საქართველოს ცხოვრებასთან. ,,ვაი ჭკუისაგან'' პირველად ქართულად გადმოიარგმნა გ. ციხკარიშვილმა 1853 წ. და იმ წელსვე დაიბეჭდა ცალკე წიგნად. 1863 წ. ,,საქ. მოამბეში'' (იხ. № XII) დაიბეჭდა პირველი მოქმედება გ. ერისთავის მიერ ნათარგმნი.

XXII. **,,ბუნების გავლენა კაცზედ''** (გვ. 187-96) დაბეჭდილია ,,დროების'' № 4-ში. წერილი ხელმოუწერელია. იბეჭდება თანახმად ნაწერების სიისა.

XXIII. **,,ჩვენი ცხოვრების ქრონიკა''** (გვ. 197-204) დაბეჭდილია ,,დროების'' № 6-ში ქ—ე ლ ი ს ფსევდონიმით. შეტანილია გ. წერეთლის ნაწერების სიაში.

XXIV. **,,უცხო ქვეყნის ამბავი''** (გვ. 205—21) დაბეჭდილია ,,დროების'' № 9 და 22-ში X ფსევდონიმით, იგი შეტანილია გ. წერეთლის ნაწერების სიაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

გ. წერეთლის მიმოხილვანი ევროპის მდგომარეობის შესახებ იმ პერიოდში იბეჭდებოდა, როდესაც ევროპაში მწვავე კრიზისი მზადდებოდა. ერთი მხრივ, გერმანიის საერთო ეკონომიური ზრდა და პოლიტიკური მოღვაწეების გაცხოველებული მოქმედება გერმანიის ერის გაერთიანების შესახებ, მეორე მხრივ, საფრანგეთში დაწყებული შინაგანი კრიზისი აღმოცენებული სამრეწველო კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების ნიადაგზე, რომელმაც მკაცრად დაუპირისპირა ერთი მეორეს სოციალური კლასები და მათი პარტიები,—ნათლად გამოხატავდენ ევროპის მაშინდელ მდგომარეობას. განსაკუთრებით საფრანგეთში მზადდება ნიადაგი დიდი მოძრაობისათვის. ნაპოლეონ მესამის პოლიტიკამ საფრანგეთის შინაგანი წინააღმდეგობანი

უფრო გაამწვავა და რადიკალური ბურჟუაზიის წინაშე მკაცრად დასვა საკითხი საფრანგეთის ხელისუფლების შესახებ; მაგრამ კაპიტალიზმის ზრდამ არა მარტო ბურჟუაზია აამოძრავა, არამედ გაამწვავა კლასიური ურთიერთობა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. 1867-69 წლებში მხოლოდ ნიადაგი მზადდებოდა იმ დიდი კრიზისისათვის, რომლის წინაშე საფრანგეთი და მთელი ევროპა დადგა 1870-71 წლებში.

როგორც მკითხველმა უკვე იცის, მაშინდელი „დროება" სასტიკად შებორკილი იყო ცენზურის მიერ და მას არ ჰქონდა საშვალება თავისი შეხედულება გამოეთქვა საერთოდ პოლიტიკური ვითარების შესახებ. გ. წერეთელმა თავის მიმოხილვაში, და განსაკუთრებით „ამ დროების ფრანციის მწერალში"... (იხ. გვ. 247-58) გარკვეულ ხერხს მიჰმართა და ფაქტიური მასალის შერჩევით და შეფასებით ნათლად დაანახა მაშინდელ მკითხველ საზოგადოებას ევროპაში დაწყებულ პარტიათა ბრძოლის მთავარი აზრი.

1. (გვ 207) **მოლიერი** (1622-1673)—საფრანგეთის გამოჩენილი დრამატურგი, რომელმაც სასტიკად ჭაჰკიცხა საფრანგეთში კაპიტალიზმის განვითერების რიჟრაჟზე არისტოკრატიულ-ფეოდალური წოდება და წყობილება და ნათლად გამოსახა ამ წოდების დაცემა. უკვე 60-70-ან წლებში ქართულად მოლიერის რამოდენიმე კომედია იყო ნათარგმნი. მაშინ მოლიერის საუკეთესო მთარგმნელად ითვლებოდა დიმ. ყიფიანი. რამოდენიმე კომედია აკ. წერეთელმაც გადმოთარგმნა

2. (გვ. 207) **პრუდონი** (1806-1865) — საფრანგეთის გამოჩენილი ანარქისტი, წვრილ-ბურჟუაზიის იდეოლოგი. პრუდონი სასტიკად აკრიტიკებდა მსხვილ კაპიტალისტურსა და ფეოდალურ კერძო საკუთრებას, მაგრამ დიდი დამცველი იყო წვრილი კერძო საკუთრებისა. იგი სასტიკად ებრძოდა აგრეთვე კომუნისტურსა და ასოციაციურ მიმდინარებას; მომხრე იყო ურთიერთ დამხმარე ბანკების დაარსების. პრუდონს 60-ანი წლების ჩვენი ინტელიგენცია კარგად იცნობდა. მისი ერთ-ერთი ნაწარმოების თარგმანი დაბეჭდილი იყო „საქართველოს მოამბეში". 1863 წ.

3. (გვ. 209) **ჯონ სტუარტ მილი** (1806-73)—ინგლისელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი. ფილოსოფიაში პოზიტივისტი იყო; ეკონომიკაში კლასიკური სკოლის ეპიგონად ითვლებოდა. მისი აზროვნება კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების პერიოდში ჩამოყალიბდა, როდესაც სავსებით გამომჟღავნდა კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი. მილი მხარს უჭერდა ასოციაციების თეორიას. მის ნაწერებს კარგად იცნობდა

ჩვენი მაშინდელი ინტელიგენცია; მისი ზოგიერთი ნაწერი ქართულადაც ითარგმნებოდა.

4. (გვ. 219) **სენ-სიმონი** (1760-1825) — გამოჩენილი ფრანგი უტოპისტი, რომელიც სასტიკად აკრიტიკებდა ფეოდალურ წყობილებას; იგი მომხრე იყო ასოციაციების დაარსებისა. სენსიმონისტებმა მისი მოძღვრება განავითარეს სოციალისტური მიმართულებით.

5. (გვ. 219) **ფურიე** (1772-1837)—გამოჩენილი ფრანგი უტოპისტი, დამაარსებელი ფურიერიზმისა, რომელიც სასტიკად აკრიტიკებდა კაპიტალისტურ წყობილებას და მოითხოვდა ფალანგების, პატარა თემების დაარსებას. ფურიე სასტიკი წინააღმდეგი იყო რევოლიუციისა და კლასთა ბრძოლის.

6. (გვ. 219) **კონტი** (1798-1857) — ფრანგი სოციოლოგი და ფილოსოფოსი; პოზიტივური მიმდინარეობის დამაარსებელი. მისი მოძღვრება საფრანგეთის ბურჟუაზიის თავისებურ იდეოლოგიას გამოხატავდა.

XXV. **„უჩინ მაჩინის ქუდოსანი და იმის საუბარი მკითხველთან“** (გვ. 222 34) დაბეჭდილია „დროების“ № 19 და 20-ში ხელმოუწერლად. ამ გამოცემაში იბეჭდება თანახმად „ნაწერების სიისა“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. (გვ. 225) **უფ. სულხანოვი და კამპ.** — 60-იანი წლების ჟურნალ-გაზეთებში ხშირად ხვდებით ცნობებს, რომ ქართველი მემამულენი წარმოებისა და აღებ-მიცემობის საქმეს ჰკიდებენ ხელსა. სულხანოვები ცნობილი იყვენ თავიანთი მოღვაწეობით სოფლის მეურნეობის რაციონალურად მოწყობის საქმეში და ამიტომ ევროპიდან 50-ან წლებიდანვე იწერდენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებსა და ახალ თესლებს. განსაკუთრებით ცნობილი იყო ივ. სულხანოვი, რომელიც ხშირად ათავსებდა წერილებს ამ საკითხების შესახებ „გუთნის დედაში“, „დროებაში“ და „სასოფლო გაზეთში“. იგი არა ერთხელ დასწრებია სასოფლო-სამეურნეო გამოფენებს მოსკოვში და საკითხის შესწავლის მიზნით ევროპაშიაც იმოგზაურა. გ. წერეთლის მიერ გადმოცემული ფაქტები მით არის შესანიშნავი, რომ ვტყობილობთ, თუ როგორ ცდილობდენ ჩვენი არისტოკრატიის ფენები შეთანხმებოდენ ახალ ეკონომიურ განვითარებასა და პირობებს.

2. (გვ. 225) **თ. დავით ჭავჭავაძე**—შვილი იყო პოეტ ალ. ჭავჭავაძისა; დიდი მემამულე და სამხედრო პირი.

3. (გვ. 230) **უფ. წერეთელი და „სასოფლო გაზეთი“**—ლაპარაკია თვით ავტორის—გ. წერეთლისა და მის მიერ დაარსებულ-

,სასოფლო გაზეთის'' შესახებ, რომლის გამოცემაზე განცხადება იყო დაბეჭდილი ,,დროებაში''. (დაწვრილებით იხ. ქვევით გვ. 446—448).

4. (გვ. 231) **პესტალოცი** (1746-1827)—ცნობილი პედაგოგი და თეორეტიკოსი, რომელმაც წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიის თვალსაზრისით განიხილა პედაგოგიკის საკითხები. მან წამოაყენა იდეა საწარმოო შრომის სწავლის საქმესთან შეერთებისა.

5. (გვ. 233) **ფრეშელი** — (1782-1852)—წვრილ-ბურჟუაზიული პედაგოგიური იდეების მქადაგებელი, რომელიც ვერ განთავისუფლდა რომანტიულ შეხედულებებისაგან და მასთანვე ქადაგებდა შრომის საფუძვლებზე აღზრდის იდეას.

XXVI. **,,ოსმალეთის ქვეშევრდომი საქრისტიანო ქვეყნების ამბავი''** (გვ. 235-43) დაბეჭდილია ,,დროების'' № 23 და 27-ში ხელმოუწერლად. იბეჭდება თანახმად ,,ნაწერების სიისა''.

XXVII. **,,ტანსაცმლის უზომო ხმარება''** (გვ. 244-46) დაბეჭდილია ,,დროების'' № 27-ში ხელმოუწერლად. იბეჭდება თანახმად ,,ნაწერების სიისა''.

XXVIII. **ამ დროების ფრანციის მწერალნი და იმათი თხზულებანი** (გვ. 247-58)—დაბეჭდილია ,,დროების'' № 34 და 35-ში ხელმოუწერლად. აქ იბეჭდება თანახმად ,,ნაწერების სიისა''.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. (გვ. 247) **გიზო** (1787-1874)—საფრანგეთის ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე. ბურჟუაზიის იდეოლოგი, რომელიც ქანაობდა ლიბერალიზმსა და კონსერვატიზმს შორის. იგი მხარს უჭერდა ბურჟუაზიის განთავისუფლებას ძველი რეჟიმის გავლენისაგან. როდესაც 1848 წ. რევოლუციამ დაამარცხა გიზო და მუშათა კლასი გამოვიდა სამოღვაწეოდ, იგი ,,სოციალური მშვიდობიანობის'' ქადაგებას შეუდგა. გიზოს ისტორიულმა შრომებმა ეპოქა შექმნეს ევროპის ისტორიოგრაფიაში.

2. (გვ. 248) **ჟირარდენი** — (1806-84)— ფრანგი ჟურნალისტი. 60-ან წლებში იგი ოპოზიციონურ ბრძოლას აწარმოებდა მთავრობის წინააღმდეგ. 1869-70 წლებში აღტაცებით მიეგება ლიბერალურ იმპერიას. გაზ. ,,ლიბერტე'' დაარსა 1866 წ.

3. (გვ. 248) **რენანი** (1823-92)—საფრანგეთის ცნობილი ისტორიკოსი და ფილოლოგი, პროფესორი ლიბერალი, რომელიც მხარს უჭერდა კონსტიტუციონალურ იმპერიას. მას არ სწამდა დემოკრატია; პარიზის კომუნამ მასზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. 60-იან წლებში მოინდომა პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობა და 1868 წ. გა-

მოაქვეყნა წიგნი მიმდინარე მომენტის შესახებ. იგი ლიბერალი იმპერიალისტი იყო; თავის პროგრამას იგი ასეთს დასკვნას უკეთებდა: „თავისუფლება და პროგრესი ურევოლუციოდ და უომრად“.

4. (გვ. 252) **შერერი** (1838-99)—საფრანგეთის პოლიტიკური: მოღვაწე. დაინტერესებული იყო მუშათა მდგომარეობით. მოაწყო მუშათა ურთიერთ დამხმარე კავშირები. მისი მეთაურობით დაარსდა „რესპუბლიკანური კავშირი“ (გამბეტას პარტია), მონაწილეობას ღებულობდა 1870-იან წლების ამბებში.

5. (გვ. 253) **როშფორი** — საფრან. ცნობილი პუბლიცისტი და მწერალი. სასტიკი მტერი იყო მეორე იმპერიის. 1868 წ. მან დაარსა ერთკვირეული ორგანო, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა. საღდებოდა 80.000. ამ ორგანოში იგი სასტიკად ესხმოდა თავზე ნაპოლეონის მთავრობას. ნაციონალურ საბჭოში იგი მიემხრო რადიკალურ მემარცხენეებს, მხარი დაუჭირა პარიზის კომუნას და ებრძოდა ვერსალელებს. სამხედრო სასამართლომ მას მიუსაჯა გადასახლება ახალ კალედონიაში, საიდანაც გაიქცა 1874 წ. 1880 წ. დაბრუნდა საფრანგეთში და განაგრძო თავისი მუშაობა. როშფორის შესახებ ბევრს სწერდა 70-იან წლებში ნ. ნიკოლაძე. იგი „ობზორშიაც“ თანამშრომლობდა.

6. (გვ. 254) **ჟულ-სიმონი** (1814-96)—საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი. ლიბერალი, რომელიც თავგამოდებით იცავდა ინდივიდუალურ თავისუფლებას და წინააღმდეგი იყო სოციალიზმისა. 60-იან წლებში ოპოზიციაში უდგა მთავრობას; 70-ან წლებში რამოდენიმეჯერ ეჭირა მინისტრის პორტფელი.

7. (გვ. 254) **პრევო-პარადოლი** (1829-70)—ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი, აკადემიის წევრი, ლიტერატურის ისტორიის პროფესორი. პირველად მემარცხენე ლიბერალი იყო და იმპერიის მოწინააღმდეგე. განსაკუთრებით გაითქვა სახელი თავისი წერილებით „კურიერ დე დიმანშში“. თავი მოიკლა 1870 წ.

XXIX **„ერთი თვალის გადავლება“** (გვ. 259-71)—დაბეჭდილია „დროების“ № 36-37-ში გ.—ლის ფსევდონიმით. ნაწილი გადაბეჭდილია „სასოფლო გაზეთში“ № 29, სრული გვარის მოწერით გ. წერეთელს შეტანილი აქვს თავის „ნაწერების სიაში“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. (გვ. 267) რუსეთიდან ჩამოსული ახალგაზრდა ყმაწვილი გ... უნდა იყოს გიორგი ღოღობერიძე, ძმა ნიკო ღოღობერიძისა. მის შესახებ ს. მესხი თავის „ხელნაწერ პორტრეტებში“ სწერს:

„გ ი ო რ გ ი ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე უძველესი მოთავეა იმ ახალგაზრდა პარტიისა, რომელსაც იმერეთში „წვეროსნებს“ ეძახიან... შეხედვით 50 წლის იქნება. ყირიმის ომის დროინდელი, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტია“ (ს. მესხი, თხზულებანი, გვ. 385).

აკაკი წერეთელს იგი გამოყვანილი ყავს 1860 წელში დაწერილ „პ ი რ უ ტ ყ ვ ე ბ ი ს ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ შ ი“ (იხ. ტ. III). შემდეგ დაწერილ შენიშვნაში აკაკი ამბობს, რომ სხვებთან ერთად ამ პიესაში გამოყვანილი ყავს გიორგი ღოღობერიძე, მაშინდელი ინტელიგენტი და ოპოზიციის მეთაური (იხ. გვ. 397). უნდა ვიფიქროთ, რომ გ. წერეთლის მიერ დასახელებული გ.... აღნიშნული ღოღობერიძეა.

XXX. **„თამბაქოს მოქმედება ადამიანის სხეულზე** (გვ. 272-75) დაბეჭდილია „დროების“ № 37-ში ხელმოუწერლად. გადაბეჭდილია „სასოფლო გაზეთში“ № 28; აქ იბეჭდება თანახმად „ნაწერების სიისა“.

XXXI. **„სიძვირე და მოქმედება იმისი კარგადმყოფობაზედ“** (გვ. 276—80) — პირველად დაიბეჭდა „დროების“ № 38-ში ხელმოუწერლად; გადაბეჭდილია „სასოფლო გაზეთში“ № 29. გ. წერეთელს შეტანილი აქვს თავის „ნაწერების სიაში“.

XXXII. **„საპოლიტიკო და საზოგადო მდგომარეობა სერბიისა“** (გვ. 281-92)—დაბეჭდილია „დროების“ № 43 და 44-ში ხელმოუწერლად. აქ იბეჭდება გ. წერეთლის „ნაწერების სიის“ მიხედვით.

XXXIII. **„ბუნების კარი“** (გვ. 293-98)—დაბეჭდილია „დროების“ № 48-ში. წერილი დაუმთავრებელია. იბეჭდება თანახმად „ნაწერების სიისა“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. (გვ. 293) ი. **გოგებაშვილი** (1840-1912)—ცნობილი ქართველი პედაგოგი და მწერალი, თავისი პედაგოგიური წიგნები უკვე 60-იან წლებში გამოაქვეყნა და ამით დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ ჩვენი პედაგოგიური ლიტერატურის საქმემ, რადგან გოგებაშვილმა იმ ხანებში ახალი ნაკადი შემოიტანა ჩვენ პედაგოგიურ ლიტერატურაში. იგი „დროების“ თანამშრომლად ითვლებოდა. მისი პირველი წერილი— „პოლიტიკური მიმოხილვა“— დაბეჭდილია „დროების“ № 9, 1866 წ. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ „ბუნების კარი“ სასტიკად გააკრიტიკა 1873 წ. ნ. ნიკოლაძემ (იხ. „დროება“ № 400).

XXXIV. **„კაცის ხელით მომხდარი ცვლილებანი ბუნებაში“** (გვ. 299)—დაბეჭდილია „დროების“ № 48-ში იბეჭდება თანახმად „ნაწერების“ სიისა.

9. „სასოფლო გაზეთი“ და გ. წერეთელი

1868 წლის ნაწერებში ჩვენ მოვათავსეთ გ. წერეთლის ის წერილებიც, რომელიც „სასოფლო გაზეთში“ იბეჭდებოდა. ამიტომ საჭიროა მკითხველს ამ გაზეთის შესახები ცნობებიც გავაცნოთ. ამ გაზეთის რედაქტორად და გამომცემელად ითვლებოდა თვით გ. წერეთელი. პირველი ნომერი გამოვიდა 1868 წ. თებერვალში; ამ წლის განმავლობაში იგი გამოდიოდა კვირაში ერთხელ — საშუალებათობით. 1869 წლიდან თვეში ორჯერ. გ. წერეთელს თხოვნა ასეთი გაზეთის გამოცემისა 1867 წ. აღუძრავს, მაგრამ ნება არ მიუციათ (იხ. ს. ავალიანი: „ქართული პრესის წარსულიდან“—, სახალხო გაზეთი“ № 894 1913 წ.). გ. წერეთელი ამ გაზეთის რედაქტორად და გამომცემლად ითვლებოდა 1868—73 წლებში. მხოლოდ 1869 წ. რამოდენიმე თვის განმავლობაში დროებით რედაქტორად და გამომცემლად სერ. მესხი ითვლებოდა, რადგან იმ ხანებში გ. წ — ლი პეტერბურგში წავიდა გამოცდების ჩასაბარებლად. 1874 წლიდან რედაქტორობა და გამომცემლობა პ. უმიკაშვილს გადასცა.

ჩვენი პრესის ისტორიაში „სასოფლო გაზეთი“ პირველ პოპულარულ, საგლეხო გაზეთად უნდა ჩაითვალოს. 1861 წ. „ცისკრის“ დამატებად გამოდიოდა „გუთნის დედა“, რომელსაც რედაქტორობდა ივ. კერესელიძე. დახმარებას ეს გაზეთი „სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან“ ღებულობდა. მაგრამ თავისი შინაარსითა და დანიშნულებით ეს გაზეთი მემამულეების ორგანოს წარმოადგენდა და მათ ინტერესებს ემსახურებოდა. ამ გაზეთის მიზანი იყო დახმარებოდა მემამულეებს სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის გაუმჯობესების საქმეში; იგი „მ ა მ უ ლ ი ს პ ა ტ რ ო ნ ო ბ ი ს ა და ვ ა ჭ რ ო ბ ი ს გ ა ზ ე თ ა დ“ იწოდებოდა.

სრულიად სხვა მიზნებს ისახავდა გ. წერეთელი, მას სურდა რამდენადაც ამ მხრივ ცენზურა ნებას მისცემდა, ფართო დახმარება აღმოეჩინა გლეხობისათვის სხვადასხვა რჩევითა და დარიგებით. გ. წ—ლის ყურადღება ამ ფენისაკენ იყო მიქცეული. ამ საკითხსაც გ. წერეთელი ბურჟუაზიული დემოკრატიის თვალსაზრისით უდგებოდა.

რასაკვირველია, გაზეთს დიდი გავლენა არ ჰქონია ჩვენი სოფლის მცხოვრებლებზე, ნაგრამ არის ცნობაც, რომ მას კითხულობდენ სოფლებში და ისე თუ ისე იყენებდენ იქ გამოთქმულ აზრებს. 1873 წ. „დროება“-ში ვკითხულობთ:

„ამ მოკლე ხანში უფ. გ. წერეთელს, „სასოფლო გაზეთი"-ს რედაქტორს, მოუვიდა წინანდალისა და ორი სხვა კახეთის სოფლის საზოგადოებისაგან ოფიციალური წიგნი, რომელშიაც სწერენ, რომ „ჩვენ დიდის სიამოვნებით წავიკითხეთ „სასოფლო გაზეთში" სტატია „სოფლის მოსამართლეებს" და მოგვეწონა ბანკის თაობაზე იქ გამოთქმული აზრიო". ამასთანავე აცნობებენ, რომ ჩვენ, მამასახლისებმა, ჩვენ ჩვენი საზოგადოებები შევკრიბეთ ამის თაობაზე და ერთად გადავწყვიტეთო, რომ სოფლის ბანკები გავმართოთო. მაგრამ რადგანაც ეს საქმე ჩვენთვის ახალი და უცნობია ამისთვის უმორჩილესად გთხოვთ უფრო დაწვრილებით დარიგება წიგნით გვაცნობოთო". (იხ. „დროება" № 5, 1873 წ.).

გ. წერეთელმა 1871 წ. გადასწყვიტა თავის გაზეთის გაფართოება და უფრო მოწესრიგება მისი გავრცელების საქმისა. ამ მიზნით მან თხოვნით მიჰმართა „ა-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას". ამის შესახებ იმავე „დროება"-ში ვკითხულობთ:

„ამ ახალი „სასოფლო გაზეთი"-ს რედაქციამ „საზოგადოებას წინადადება მისცა, რომ, თუ შემწეობას მომცემთ, „სასოფლო გაზეთში" მეურნეობის და სოფლის სახლოსნობის ნაწილს შემოვიღებ და ეს გაზეთი თქვენ გაავრცელეთ ხალხშიო. „საზოგადოება" დათანხმდა, და ამნაირათ რედაქციას ყოველ წელიწადს ეძლეოდა ოთხმოცდაათი თუმანი, რომლისთვისაცა თავის მხრივ ვალდებული იყო 450 ეგზემპლარი „სასოფლო გაზეთი"-ს) წარედგინა „საზოგადოება"-ში. ეს მოხდა 1871 წ. და წლევანდელი (1873 წ.) წლის იანვრამდი საქმე ამ მდგომარეობაში იყო. ამ თვის 13-ს „საზოგადოების" კრებამ გადასწყვიტა, რომ „სასოფლო გაზეთი" რიგიანათ ვერ ასრულებს თავის დანიშნულებასაო და ამის გამო დაიწყო იმაზე მოლაპარაკება რომ დაეარსებინათ სხვა გამოცემა"... (იხ. „დროება" № 4, 1873 წ.).

„საზოგადოებამ" სუბსიდიის ძლევა კვლავ „გუთნის დედას" დაუწყო, რომლის რედაქტორადაც 1873 წ. ანტ. ფურცელაძე დაინიშნა. უკანასკნელის სასახელოდ უნდა ითქვეს, რომ მან ამ „გუთნის დედა"-ს რამოდენიმედ ნაროდნიკული შინაარსი მისცა.

———

დიდი უმეტესობა „სასოფლო გაზეთში" მოთავსებული წერილებისა ხელმოუწერელია. პირველ წლებში, განსაკუთრებით 1868 წელში, „გაზეთის" უმთავრესი და ერთად-ერთი თანამშრომელი თვით რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი იყო. მას იშვიათად უწევდენ გარედან დახმარებას. თითქმის ყველა წერილს, თარგმნილსა თუ ორგინალს, მისი ხელი ატყვია. ხოლო თუ სხვა ვინმე მიაწოდებდა წერილებს, იგი ხელმოწერილი იბეჭდებოდა. ასე მაგ. პირველ ნომერში ყველა წერილი ხელმოუწერელია. მხოლოდ ერთი წერილია ხელმოწერილი: „სასოფლო ხალხის ცხოვრებაზე". — („მგზავრობა".) რომელიც დ. მელვინეთ-უხუცესოვს ეკუთვნის. ამგვარადვე

შემდეგ ნომრებშიაც. სხვა წერილებიც, რომელიც უცილოდ გ. წერეთელს ეკუთვნის მაგ. „თამბაქოს მოქმედება კაცის სხეულზე“ № 28— დაბეჭდილი იყო „დროება“-ში № 37, 1868 წ.; „სიძვირე და მისი მოქმედება კარგად მყოფობაზე“ № 29, დაბეჭდილი იყო „დროება“-ში № 38, ხელმოუწერელად არის დაბეჭდილი. თვით მოთხრობა „გვრიტიას“ რამოდენიმე თავი, რომელიც „სას. გაზეთშია“ დაბეჭდილი, არა აქვს გ. წერეთლის არც ფსევდონიმი და არც გვარი და სახელი მოწერილი. აქედან ერთი დასკვნა აშკარაა: „სასოფლო გაზეთში“ თავის ორიგინალსა თუ თარგმნილს წერილებს გ. წერეთელი იშვიათ შემთხვევაში აწერდა თავის გვარს ან ფსევდონიმს, ხოლო სხვისი წერილები უმეტეს შემთხვევაში ხელმოწერილი იბეჭდებოდა.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ „სასოფლო გაზეთი“, როგორც პოპულიარული-საგლეხო ორგანო, ცდილობდა გასაგები ენით მიეწოდებია ხალხისათვის სამეცნიერო ცნობები და განემარტა საჭირბოროტო საკითხები. აქ თქვენ შეხვდებით დაბეჭდილს, როგორც სამეურნეო ხასიათის, ისე სამკურნალო, აგრონომიულსა და სხვა ხასიათის სამეცნიერო წერილებს მარტივი ენით დაწერილს. ასე მაგ. „საქონლის ჭირისა და სხვა ავადმყოფობის ცნობა და იმათი წამლობა ადვილის და იეფის საშვალებით“ (იხ. № 2, 3, 4); „ანგარიშში სახმარებელი ნიშნები ანუ ციფრები“ (№ 3 და შემდეგი); „ორიოდე შესანიშნავი დარიგება ბოსტნის კეთებაზე“ და მრავალი სხვა. დიდი ნაწილი ამ წერილებისა არ წარმოადგენს გ. წერეთლის ორიგინალურ ნაწერებს: იგი უმთავრესად ნათარგმნია რუსულ სასოფლო გაზეთებიდან, ჟურნალებიდან და წიგნებიდან. ყველა ამ წერილის გადმობეჭდა გ. წერეთლის სრულ ნაწერების კრებულში შეუძლებელი და მიზანშეუწონელია. ამიტომ რედაქტორმა მიზანშეწონილად სცნო ამ ტომში გადმოებეჭდა 1868 წლის „სასოფლო გაზეთიდან“ ყველა ის წერილი: 1) რომელიც უცილოდ გ. წერეთლის კალმის ნაყოფია, და 2) რომელიც ამა თუ იმა სახით შეეხება ჩვენი ცხოვრების მაშინდელ ვითარებას და დამახასიათებელია თვით „გაზეთისა“ და მისი რედაქტორისათვის.

სამწუხაროთ, 1868 წლის „სასოფლო გაზეთი“-ს სრული კომპლექტი არ აღმოჩნდა ტფილისისა და ქუთაისის არც ერთს ჩვენს ბიბლიოთეკაში, მუზეუმსა და არქივში. საქ. მუზეუმის წიგნთსაცავში შენახულ 1868 წლის „სასოფლო გაზეთს“, რომლითაც ისარგებლა რედაქტორმა, აკლია შემდეგი ნომრები: 6, 13, 14, 17, 18, 20, 24, 25, 27, 36. 1868 წელს გამოსულა სულ 42 ნომერი.

10. წერილები 1868 წლის „სასოფლო გაზეთიდან“

I. ახალი სასამართლოს შემოღების გამო (გვ. 302-306)—დაბეჭდილია № 1-ში.

II. ხახალხო მედიცინა (გვ. 307-309)—დაბეჭდილია № 1-ში.

III. შესანიშნავი ამბავი საქონლის ჭირზე (გვ. 310)—დაბეჭდილია № 1-ში.

IV. რა მნიშვნელობა აქვს წყალსა საზოგადოთ და საიდან წარმოხდგება წვიმა (გვ. 311—19)—დაბეჭდილია № 2, 3-ში.

V. ორიოდე სიტყვა ჩვენს უმთავრეს სარჩოზე (გვ. 320—26)—დაბეჭდილია № 3-ში.

VI. ჩვენი სოფლელი მკითხველებისათვის დასახწავლი რალაცრალაცაები (გვ. 327—37)—დაბეჭ. № 4, 5, 11 ში.

VII. ბოსტნის განყოფა და კვლების განრიგება (გვ. 338—42)—დაბეჭდილია № 7-ში.

VIII. აბრეშუმის მოყვანაზედ (გვ. 343—58)—დაბეჭ. № 8, 9, 10-ში.

IX. ორიოდე სიტყვა სოფლის ახალ მოხელეების ამორჩევაზე (გვ. 359—66)—დაბეჭ. № 11, 12-ში.

X. რისგან წარმოსდგება ქარი (გვ. 367—69)—დაბეჭ. № 11-ში.

XI. ჩვენი გლეხების გადასახლება (გვ. 370—72)—დაბეჭ. № 23-ში.

XII. სოფლის მოხელეების ამორჩევაზე (გვ. 373--14)—დაბ. № 28-ში.

XIII. შინაური ცნობანი (გვ. 375—76)—დაბეჭდილია № 42-ში.

11. დამატებანი

I. ახირებული ფურცელი (გვ. 379—84)—პირველად დაიბეჭდა 1862 წ. მაისის „ცისკარში“ (იხ. № 5, გვ. 23—30) მესამე თერგდალეულის ფსევდონიმით. ეს გ. წერეთლის პირველი დაბეჭდილი წერილი იყო. ამის შესახებ ჩვენ ზევით (იხ. გვ. 396) ვრცლად ვისაუბრეთ და აქ ალარ განვიმეორებთ მას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. (გვ. 382) ერთი მოლაყბე—ლაპარაკია „ცისკრის“ თანამშრომელზე; როგორც ვწერდით, მოლაყბის ფსევდონიმით იმ ხანებში უმთავრესად თვით „ცისკრის“ რედაქტორი ივ. კერესელიძე სწერდა.

2. (გვ. 382) პლატონ ფილოსოფოსი—იგულისხმება ისტორიკოსი და პუბლიცისტი პლ. იოსელიანი, რომელსაც ზედმეტ სახელად პლატონ ფილოსოფოსს უწოდებდენ. თავისი სოფლმხედველობით ხგი ძველი თაობის წარმომადგენელი იყო და მკრულადაც უცქერრ-

და ახალი თაობას. მისი მთავარი პოლიტიკური მრწამსი რუსეთის ტახტის ერთგულებასა და საქარ. თავად-აზნაურობის სამსახურში გამოიხატებოდა; იგი უდიდესი მეხოტბე იყო ქართველი თავად-აზნაურობისა (იხ. „კავკაზ"-ი 1862 წ.).

3. (გვ. 381) **ანდუყაფარ**—გმირია გ. ერისთავის კომედიისა

4. (გვ. 382) **ზემოური იმერელი გორისელი წერეთელი ეფთიმე**—გ. წერეთლის მამა იყო, რომელმაც 1862 წ. თებერვლის „ცისკარში" წერილი მოათავსა ი. ჭავჭავაძისა და ახალი თაობის საწინააღმდეგოდ (იხ. ზევით გვ. 398).

5. (გვ. 382) **ანტონ კათალიკოსი** (1719—88)—მე-XVIII-ე საუკუნის მოღვაწე და მწიგნობარი. მას დიდძალი წიგნები აქვს შედგენილი და გადმოთარგმნილი ქართულად. მან გამოაცოცხლა ჩვენში სქოლასტიური აზროვნება და ფილოსოფია. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ენის ისტორიაში: ქართული ენის მეცნიერული დამუშავება მისი საგრამატიკო შრომით დაიწყო. მაგრამ იგი სქოლასტიური მოაზროვნე იყო და მის შრომებშიაც სავსებით დაცულია ეს თვალსაზრისი; იგი სწერდა „მეტად განყენებული, ხელოვნური ენით, იოანე პეტრიწის სკოლას სტილით". ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხშიაც ანტონმა სავსებით გაატარა ეს სქოლასტიური თვალსაზრისი. ეს მისი შეხედულებანი დიდი ხნის განმავლობაში იყო გაბატონებული ქართულს ლიტერატურაში. როდესაც 60-ან წლებში ახალი თაობის ინტელიგენცია შეეცადა ჩვენს ლიტერატურაში განემტკიცებია ბელინსკისა და ჩერნიშევსკის ესთეტიური თეორია ლიტერატურის საკითხში, ძველი თაობა ანტონის სქოლასტიური თეორიით შეიარაღდა და დაუპირისპირდა მათ; რეალისტურ-უტილიტარული ესთეტიური თეორია მიუღებელი აღმოჩნდა ანტონის რეაქციონურ-სქოლასტიურ აზროვნების საფუძველზე მდგარ თაობისათვის. ამიტომ ახალი თაობის წარმომადგენელნი სასტიკად ილაშქრებდენ ანტონის წინააღმდეგ.

6. (გვ. 383) **ბლიაძე**—როგორც სხვა წყაროებიდან ირკვევა, ბლიაძე ხალხური საზანდარი ყოფილა ძველად.

7. (გვ. 383) **კახელს შემოწყრაო**—აქ ნაგულისხმებია პოეტი ი. ჭავჭავაზე.

8. (გვ. 383) **სამ დღეს ულეპა ხტატია**—ზემოური იმერელი თვით სწერდა ამას.

9. (გვ. 383) **ანტონსა და ჩახრუხაძეს რას ჩაემტერაო**—ი. ჭავჭავაძე თავის წერილში უარყოფდა ანტონის ხელოვნების თეორიას

და ჩახრუხაძის ლექსებსაც იწუნებდა, ხოლო ძველი თაობის წარმომადგენელნი სავსებით იცავდნენ მათ.

10. (გვ. 384) **ჟურნალი უნდა გამოსცეს**—ი. ჭავჭავაძე 1862 წლიდან უკვე ემზადებოდა ახალი ჟურნალის გამოსაცემად. თვით ზემოური იმერელი წერდა თავის წერილში:

„ესეც შევიტყვეთ ქორათ ქუთაისშიდ, რომ ვითომც ახლა უფ. ჭავჭავაძე აპირებდეს მეორეს ჟურნალის გამოცემას, უეჭველია ის ჟურნალიც ისე ახალის ენისა იქნება, რა ენისათვისაც გამობრძანდა მწერლობის ასპარეზზედ შარშან და იმედი ჰქონდეს, რომ ბევრს ხელის მომწერს ჰპოვებს. იმ ენით ლაპარაკს ჩვენი საზოგადოება დიდათ შორავს. დამერწმუნოს, ჩვენი ჟურნალიც ამ ზემო თქმული მიზეზისა გამო დაეცემა“ (№ 2, გვ. 202).

11. (გვ. 384) **ყოველივე ნუ იყოფინ**—ეს წინადადება ნახმარი აქვს ზემოურ იმერელს თავის წერილში და გ. წერეთელი დაციტირებულ იმეორებს.

II. **„დროების“ განცხადებანი** (გვ. 385—90)—პირველი განცხადება ცალკე ფურცელზე დაბეჭდილი; მისი ერთი ექზემპლიარი 1866 წლის „დროების“ კონპლექტში აღმოჩნდა. 1867 წლის განცხადება დაბეჭდილია „დროების“ 1867 წლის პირველ ნომერში, ხოლო 1868 წლის—იმავე წლის 44-ში.

III. **პროგრამა „სასოფლო გაზეთი“-სა**—დაბეჭდილია 1868 წლის „დროება“-ში.

12. გ. წერეთლის ნაწერების სრული კრებულის გამოცემათა გეგმა

როგორც წინასიტყვაობაშიაც ვწერდით, გ. წერეთლის ნაწერების სრული კრებული, წინასწარ გეგმის მიხედვით, განზრახულია გამოიცეს 15 ტომად. მთელი ნაწერები გაყოფილი იქნება ორ უმთავრეს სერიად; პირველ სერიაში დაიბეჭდება პუბლიცისტური და ისტორიულ-სამეცნიერო ნაწერები, მეორეში—მხატვრული ნაწერები.

რასაკვირველია, წინასწარ იმის განსაზღვრა ზუსტად თუ რომელი ნაწარმოები რომელ ტომში შევა—ტექნიკურად შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ აქ ვადგენთ გეგმას,, რომელსაც საორიენტაციო დანიშნულება აქვს.

პუბლიცისტური და ისტორიულ-მეცნიერული ნაწერები

ტომი პირველი—1862—1868 წლების პუბლიცისტური წერილები.

ტომი მეორე—1869—1872 წლების პუბლიცისტური წერილები.

ამ ტომში დაიბეჭდება წერილები „დროებიდან", „კრებულიდან" და „სასოფლო გაზეთიდან". აქვე შევა „საუკეთესო ცოდნა" (ცალკე წიგნაკად გამოცემული 1870 და 1888 წლებში) და „დავით გურამიშვილი და მისი წინა დროებანი", დაბეჭდილი 1870 წ. დ. გურამიშვილის პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში.

ტომი მესამე—1872—1880 წლების პუბლიცისტური და ისტორიულ-მეცნიერული წერილები.

ამ ტომში დაიბეჭდება 1872—80 წლების მხოლოდ ქართული წერილები პუბლიცისტური და მეცნიერულ-ისტორიული ხასიათისა გაზ. „დროებიდან", „კრებულიდან" და „სასოფლო გაზეთიდან".

ტომი მეოთხე—1877—1892 წლების პუბლიცისტური და მეცნიერულ-ისტორიული წერილები.

ამ ტომში მოთავსებული იქნება, ერთი მხრივ, რუსულად დაწერილი მისი პუბლიცისტური და ისტორიულ-მეცნიერულ ხასიათის წერილები: „Голос"-იდან, (1877—79 წ.) „Тиф. Вестник"-იდან, (1879—80 წ.), „Новое обозрение"-დან და „Кавказ"-იდან. ორი შრომა დაბეჭდილი მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოების გამოცემაში: „Полное собр. надписей Гелатского монастыря" და „Археологичекая экскурсия по Квирильскому ущелью". მეორე მხრივ, პუბლიცისტური წერილები გაზ. „ივერიიდან" (1886—89) და ჟურ. „ჯეჯილიდან".

ტომი მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე—ამ ტომებში დაიბეჭდება ყველა მისი პულიცისტური და ისტორიულ-მეცნიერული წერილი 1893—1899 წლების ჟურნ. „კვალიდან.

მხატვრული ნაწერები.

ტომი მეცხრე—მოთხრობები:

1. „ჩვენი ცხოვრების ყვავილი" (დაბეჭდილია „კრებულში" № 8—9, 10—11, 12, 1872 წ. და № 1,2 1873 წ.).

2. „მგზავრის წიგნი" (კრებული № 5—6, 9—1973 წ. „დროება" № 12, 13, 15, 37, 39,—1866 წ. და № 16, 17, 1870 წ).

ტომი მეათე—მოთხრობები:

1. „გულქან" (დასაწყისი დაიბეჭდა „დროებაში" № 41, 42, 43, 45, 1868 წ. და „სასოფლო გაზეთში" № 34, 35, 37, 1868 წ. და „კვალი" 1897 წ.).

2. „მონადირის ნაამბობი“, რამდენიმე სიტყვა ტიგრზე— („დროება“ № 42, 1866 წ.).

3. „კლოდ გო“—თარგმანი („დროება“ № 15, 16, 17, 1868 წ.).

4. „ხალხის ცხოვრებიდან“ — („სასოფლო გაზეთი“ № 15, 1870 წ.).

5. იმერეთის სურათები—(„დროება № 20, 1873 წ.).

6. ზემოთის სამარფალი—(„დროება“ № 39, 40, 42, 1873 წ.).

ტომი მეთერთმეტე—ლექსები, პოემები, დრამები.

I ლექსები

1. ლექსი—ყველა კაცი (რუსულით) „დროება“ № 32, 1868 წ.)

2. საბრელი მამკალი ქალი—მირკანტინისა—(„დროება“ № 48. 1868 წ.).

3. უცხო მხარე—რუსულიდან—(„დროება“ № 16, 1869 წ.).

4. დის ქორწილზე — ლეოპოლდის — („დროება“ № 4, 1870 წ.).

5. კუხელის სიმღერა — („დროება“ № 21, 1871 წ.).

6. ფუტკრის აღსარება—(„დროება“ № 29, 1881 წ.).

7. ფუტკარმა უთხრა კრაზანას („დროება“ № 33, 1871 წ.).

8. სახალხო ლექსი—(„კვალი“ № 30, 1895 წ.).

II პოემები

1. არანკა ჰერცოგოვინის ქალი—(გამოცემულია ექ. ხელაძისეერ ცალკე წიგნად, 1876 წ.).

2. მწუხარე დედა—დაწერილია 1875 წ. (დაიბეჭდა: „კვალში“ № 34 და 35, 1895 წ. „გასულის“ ფსევდონიმით).

3. ვილგელმ ტელი დან—შილერით — („დროება“ № 52, 1868 წ.).

III პიესები

1. ჯიშრი—კომედია—(„კრებული“ № 2, 1871 წ.)

2. ოჯაზის ასული—კომედია (დაუბეჭდავია)

3. დარია—დრამა—(დაუბეჭდავია).

4. ეგმონტ—გეტესი—ნემეცურიდ თარგმნილი—(„კრებული“ № 5—6, 1873 წ.).

ტომი მეთორმეტე—ზღაპრები და მითები:

1. ფლიდეთელ მოხუცის ნაამბობი—(„დროება“ № 19, 1867 წ.).
2. ლომკაცი—ზღაპარი ლექსათ („ნობათი“—1884 წ.).
3. ღვთის წყალობა—საყმაწვილო ზღაპარი—(„ჯეჯილი“ № 3, 4, 5, 1891 წ.).
4. თავიჭამიები (ზღაპარი)—„კვალი“ № 24, 25, 27, 29, 1893 წ.).
5. ჩვენი ძველი გმირები („ჯეჯილი“ № 1, 3, 5, 1892 წ.).

ტომი მეცამეტე—მოთხრობები

1. ოცი წლის წინეთ—ძველი მამასახლისის ნაამბობი—(„ივერია“ № 9, 10, 11, 12, 1886 წ.).
2. ერთი ღამე საწირეში—(„ივერია“ № 61, 1886 წ.).
3. საჩიო—დალალ-აზანაური („ივერია“ № 122, 123, 130, 131, 1886).
4. ედიშერ ქელბაქიანი—მოთხრობა—(„ივერია“ № 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100—1887 წ.).
5. მამიდა ასმათი—(„ივერია“ № 101, 104, 109, 113 114, 1888 წ.).
6. რუხი მგელი—(პირველი გამოცემა 1892 წ.).
7. ათი მცნება—ამბავი—(„კვალი“ № 48, 49, 50, 1893 წ.).
8. მეცხვარის ნაამბობი—ესკიზი—(„კვალი“ № 1898 წ.).
9. საშობაო მოთხრობა—დალალთა მოშტრობა—(“კვალი“ № 53, 1897 წ.).
10. თოფის სროლა—ამბავი—(„კვალი 1898 წ.).
11. განწირულნი—(„კვალი“ 1898 წ.).
12. იუმორისტული სცენები—(„კვალიდან“)

ტომი მეთოთხმეტე—მოთხრობები

პირველი ნაბიჯი—(„ცდა“ 1890 წ.).

ტომი მეთუთხმეტე—კერძო წერილები, გამორჩენილი მასალები და საბიოგრაფიო დოკუმენტები.

ჩვენ შეგვეძლო ყოველი ტომის მასალა იმ სახით წარმოგვედგინა, როგორც ეს მხატვრულ სერიაშია დასახელებული. მაგრამ ამით ეს ტომი ერთობ დაიტვირთებოდა და ამიტომ ასეთს ვრცელ გეგმას არ ვაქვეყნებთ. საორიენტაციოდ ეს გეგმაც საკმარისია. რასაკვირველია, სრულიად ადვილი შესაძლებელია ამ გეგმაში შემდეგში რაიმე ცვლილების შეტანა დაგვჭირდეს, მაგრამ მისი მთავარი პრინციპი მაინც უცვლელი დარჩება.

ს ა რ ჩ ე ვ ი

		გვერდი
I.	**რედაქტორისაგან**	IX—XII
II.	**გიორგი წერეთელი—ს ი მ ო ნ ხ უ ნ დ ა ძ ი ს ნარკვევი**	XIII—XLVIII
III.	**1863 წლის წერილი**	3— 22
	1. „ცისკარს“ რა აკაკანებდა?	5— 22
VI.	**1866 წლის წერილები**	23— 88
	1. მათუსალას აღსარება	25— 32
	2. დედა-კაცის აზრი დედა-კაცზედ	33— 36
	3. საკვირველი მოვლენა	37— 40
	4. ბანკის დაარსების გამო ქუთაისში	41— 43
	5. ქართული თეატრი	44— 52
	6. ბუნების მეცნიერებიდან	53— 58
	7. მლეთის სოფლის საზოგადოების განაჩენის გამო	59— 63
	8. ახალგაზრდა დედებს და ყმაწვილ ქალებს	64— 67
	9. კორესპონდენციები	68— 75
	10. განათლების გავრცელებაზედ საქართველოში	76— 82
	11. ბუნების მეცნიერება და მისი დიდი ღვაწლი	83— 88
V.	**1867 წლის წერილები**	89—174
	1. ძველი წლის ნაყოფი და ახალი წლის კოკრები	91—106
	2. მზის დაბნელება	107—110
	3. ბატონ-ყმობის გაუქმების გამო სამეგრელოში	111—114
	4. პოლიტიკური უფლება დედა-კაცისა	115—119
	5. რამდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზედ	120—130
	6. ქუთაისიდგან	131—135
	7. საშვალო აზიაში მოგზაურობა	136—138
	8. თვითმოქმედება	139—158
	9. ზოგიერთი ამბავი დ. ბებუთოვის ცხოვრებიდან	159—174
VI.	**1868 წლის წერილები**	175—376
	1. ორიოდე სიტყვა კომედიაზე „ვაი ჭკუისაგან“	177—186
	2. ბუნების გავლენა კაცზედ	187—196

3. ჩვენი ცხოვრების ქრონიკა . . . . . 197—204
4. უცხო ქვეყნის ამბები . . . . . 205—221
5. უჩინ-მაჩინის ქუდოსანი . . . . . 222—234
6. ოსმალეთის ქვეშევრდომი საქრისტიანო ქვეყნების ამბავი . . . . . 235—243
7. ტანსაცმლის უზომოდ ხმარება . . . . . 244—246
8. ამ დროების ფრანციის მწერალნი . . . . . 247—258
9. ერთი თვალის გადავლება . . . . . 259—271
10. თამბაქოს მოქმედება კაცის სხეულზე . . . . 272—275
11. სიძვირე და მოქმედება მისი კარგადმყოფობაზედ 276—280
12. საპოლიტიკო და საზოგადო მდგომარეობა სერბიისა . . . . . 281—292
13. ბუნების კარი . . . . . 293—298
14. კაცის ხელით მომხდარი ცვლილება ბუნებაში . 299—301
15. ახალი სასამართლოს შემოღების გამო . . . . 302—306
16. სახალხო მედიცინა . . . . . 307—309
17. შესანიშნავი ამბავი საქონლის ჭირზე 310
18. რა მნიშვნელობა აქვს წყალსა და საიდან წარმოსდგება წვიმა . . . . . 311—319
19. ორიოდე სიტყვა ჩვენს უმთავრეს სარჩოზე . . 320—326
20. ჩვენი სოფლის მკითხველებისათვის რალაცრალაცაები . . . . . 327—337
21. ბოსტნის განყოფა და კვლების განრიგება 338—342
22. აბრეშუმის მოყვანაზედ . . . . . 343—358
23. ორიოდე სიტყვა სოფლის ახალ მოხელეების ამორჩევაზედ . . . . . 359—366
24. რისგან წარმოსდგება ქარი? . . . . . 367—369
25. ჩვენი გლეხის გადასახლება . . . . . 370—372
26. სოფლის მოხელეების ამორჩევა . . . . . 373—374
27. შინაური ცნობები . . . . . 375—376

VII. დამატებანი . . . . . 377—392

1. ახირებული ფურცელი . . . . . 379—384
2. განცხადებანი „დროების“ გამოცემაზედ . . . 385—390
3. პროგრამა „სასოფლო გაზეთისა“ . . . . . 391—392

VIII. რედაქტორის შენიშვნები . . . . . 393—454

1. გ. წერეთლის ფსევდონიმები . . . . . 395—397
2. „სამნი ძმანი—სამნივ თერგდალეულთგანნი“ . 397—403

3. გაზ. ,,დროება'' და გ. წერეთელი . . . . . 403—115
4. გ. წერეთლის 1862—68 წლების ნაწერები . . 415—417
5. 1863 წლის წერილი . . . . . 417—430
6. 1866 წლის წერილები . . . . . 430—437
7. 1867 წ. წერილები . . . . . 437—439
8. 1868 წ. წერილები . . . . . 439—445
9. ,,სასოფლო გაზეთი'' და გ. წერეთელი . . . . 446—449
10. წერილები 1868 წლის ,,სასოფლო გაზეთიდან'' 449—
11. დამატებანი . . . . . 449—451
12. გ. წერეთლის ნაწერების სრული კრებულის გამოცემათა გეგმა . . . . . 451—454

გამომცემლობა „ქართული წიგნი“

იბეჭდება

გიორგი წერეთლის

თხზულებათა სრული კრებული

მეოთხე ტომი

პუბლიცისტური წერილები

(1869—1871)

* * *

დამზადებულია დასაბეჭდად

მესამე ტომი

პუბლიცისტურ-მეცნიერული წერილები

(1872—1880)

[illegible]

ამხ. მ. ო.რახელაშვილის სახ.

ჯ.ო.ლ.ბ.ვილ.ს 1 № 13).

სწარმოებს ამბულატორიული მიღება:

1. მეანოგა გინეკოლოგიაში

მედიც. დოქტორი ს. ბ. შახპარონიანი კონსულტაციით, დილის 12 საათამდე მიიღებენ.

შემდეგი ექიმები:

1. ექ. პარატოვი
2. ექ. ალეტ ხოდა
3. ექ. ი. აბაშიძე

10—12 საათამდე.

მედიცინის დოქტორი — კალამკაროვი 12—1 ს.

პროფ. შალაშვერიძე 1—2 საათამდე

ექ. ა. ბაქრაძე 2—4

2. ძირურგიაში:

კონსულტანტი პროფ. მაჭავარიანი მიიღება დღე გამოშვებით ენტ. რიცხვებში 1—2 საათ

ექ. ოგანიანი 10—1 საათამდე.

ექ. გაჩეჩილაძე (ქირურგი-უროლოგ.) 2—4 ს.

3. შინაგან სნეულებაში;

ექ. ტერიანი 10—1 საათამდე.

4. სავადმყოფოსთან ახლო ხანმი დაიწყებს მუშაობას სანექიმო დახმარების ბიურო.

[illegible]

[illegible]

ნიკოლო[illegible]

[illegible]

ნიკო. მოსე[illegible]

[illegible]

ქონსტანტი[illegible]

[illegible]

[illegible]

ფასი 4 მან.
ყდა 1 მ. 50 კ.

894.63
ბ394